

„ხევსურული პოეზია“, რომელიც პირველად 1931 წელს გამოიცა და მალევე იქცა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად, აკაკი შანიძეს ჩაფიქრებული ჰქონდა, როგორც „ქართული ხალხური პოეზიის“ ოთხტომეულის პირველი ტომი. დანარჩენი მასალა მომდევნო ტომებად უნდა დაბეჭდილიყო, მაგრამ მკვლევარმა ჩანაფიქრის სრულად განხორციელება ვერ შეძლო.

ნავარაუდები იყო „ხევსურული პოეზიის“ ხელახლა გამოცემა აკაკი შანიძის თხზულებათა თორმეტტომეულში, რომლის ბეჭდვა, სამწუხაროდ, თითქმის ოცდაათი წლით შეფერხდა. დიდი ქართველი მეცნიერის 130 წლის საიუბილეოდ სამუალება გვეძლევა, შევაესოთ არსებული ხარვეზი და IV ტომად დაებეჭდოთ ფოლკლორისტული, ლიტერატურათმცოდნეობითი და ლინგვისტური კომპლექსური კვლევის ეს კლასიკური ნიმუში.

გამოცემა ზუსტად მისდევს პირველს, გასწორებულია მხოლოდ უმნიშვნელო შეცდომები და შევსებულია შენიშვნებით, რომლებიც თავად ა. შანიძეს ჰქონდა მიწერილი თავის სამუშაო ეგზემპლარში.

სარედაქციო კოლეგია:

მზექალა შანიძე (მთავარი რედაქტორი), ავთანდილ არაბული,
თამაზ გამყრელიძე, დარეჯან თვალთვაძე, თედო უთურგაიძე,
ზურაბ ჭუმბურიძე

ტომის რედაქტორები:

მზექალა შანიძე, ავთანდილ არაბული

Editorial Board:

Mzekala Shanidze (Editor-in-chief), Avthandil Arabuli, Thomas Gamkrelidze,
Darejan Tvaltvadze, Zurab Chumburidze, Thedo Uturgaidze

Editors of the volume:

Mzekala Shanidze, Avthandil Arabuli

გამოცემაზე მუშაობდნენ: მარიაკა ერქომაიშვილი,
მარიამ ებრაელიძე, ნათია დვალა

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019

ISBN 978-9941-13-594-1

წინათქმა

*„იშეიათია, რომ მეცნიერს, მით უმეტეს
ლინგვისტს, ისეთი დიდი როლი ჰქონდეს
თავისი ქვეყნის ისტორიაში,
როგორც აკაკი შანიძეს“.*

*პოვარდ არონსონი,
აკაკი შანიძისადმი მიძღვნილი
კრებული, ჩიკაგო, 1994*

„ხევსურული პოეზია“ პირველად 1931 წელს დაიბეჭდა, ხოლო მეორედ – 2009 წელს. მას შემდეგ ქართველმა მკითხველმა კარგად გაიცნო ეს წიგნი, როგორც ფოლკლორისტული, ლიტერატურათმცოდნეობითი და ლინგვისტური კომპლექსური მეცნიერული კვლევის კლასიკური ნიმუში; ამიტომ დღეს, როდესაც წიგნი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა, მისი ხელმეორედ დაბეჭდვის მიზანშეწონილობას საგანგებო დასაბუთება აღარ სჭირდება.

საქართველოს მთიანეთმა, მისმა ხალხმა, ენამ და პოეზიამ ძალიან ადრე მიიპყრო აკაკი შანიძის ყურადღება – მაშინ, როდესაც პირველად გაიგონა მისი ყურისათვის უჩვეულო ინტონაციის, თავისებური უღერადობისა და სპეციფიკური ლექსიკის მქონე კილოებზე მოლაპარაკე მთის მკვიდრთა მეტყველება. „ჩემი ინტერესი მთისადმი იწყება 1908 წლიდან, როდესაც გიმნაზიელმა ზაფხული გავატარე ბიძა-ჩემთან, ს. ზორხში, სადაც ნარევი მოსახლეობაა მთიულებისა და ფშაველების“, – წერს იგი. აკაკის მამის ძმა, ბესო შანიძე, ფშავეში იყო ჩასახლებული, ცოლად ზორხელი ქალი ჰყავდა და მეგობრობდა ვაჟა-ფშაველასთან, რომლის ცოლიც იმავე სოფლიდან იყო. ამ პირველმა სტუმრობამ და ვაჟასთან პირველმა შეხვედრამ ჩაუნერგა მომავალ მკვლევარს ის ინტერესი და სიყვარული მთისადმი, რომელიც მის შემდგომდროინდელ ნაწერებში აშკარად ჩანს. „ხევსურული პოეზიის“ სამეცნიერო აპარატში აღნიშნულია, რომ ზოგიერთი ლექსი მას მაშინვე ჩაუწერია. 1911 წელს აკაკი შანიძე, მაშინ პეტერბურგის უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტი, ნიკო მარამ მიავლინა ერთი თვით ფშავე-ხევსურეთში. ეს მივლინება უთუოდ თვითონ აკაკი შანიძის მისწრაფებებსა და სამეცნიერო მიზნებს სავსებით შეესაბამებოდა, რაც კარგად ჩანს ნ. მარისადმი

მიწერილ წერილებში. მეორედ ა. შანიძე პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიამ მიავლინა ისევ ნ. მარის წარდგინებით. ამჯერად მივლინება უფრო დიდხანს – ოთხ თვეს გაგრძელდა. ახალგაზრდა მკვლევარმა ფეხით და ცხენით მოიარა კავკასიონის პირაქეთა და პირიქითა მხარეები – ფშავი, ხევსურეთი, გუდამაყარი, მთიულეთი, ხევი და თუშეთი, ჩაიწერა პოეზიისა და პროზის ნიმუშები, განავრცო და შეამოწმა სალექსიკონო მასალები. წერილებში უკვე ჩანს ზოგიერთი ის დაკვირვება მთის კილოებზე, რომელიც შემდგომ მის მრავალ გამოკვლევაში იყო დადასტურებული. კარგად ჩანს აკაკი შანიძის აზრიც ხალხური პოეზიის შესახებ: „ხალხური სიმღერები აქ, მთებში, უმაღლეს განვითარებაშია მისული. თამამად შეიძლება ითქვას, რომ აქ პოეზიის სამეფოა“, – სწერდა იგი ნ. მარს.

ა. შანიძის საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ ადრევე განზრახული ყოფილა ამ მასალების დაბეჭდვა 1915 წ. სერიაში «Материалы по фетическому языкознанию» (№3). შენახულია ა. შანიძის ხელით ნაწერი ფურცელი: Горские говоры грузинского языка წარწერით: Представлено и [сторико]-ф[илологическим] о[тделением] 5.XI.1914. და ბეჭდით: в набор (ხელმოწერით). აქვეა ა. შანიძის ხელით გადაწერილი ნაწილი ნიკო მარის წარდგინებისა. რაღაც მიზეზთა გამო ეს წიგნი მაშინ არ დაბეჭდილა, მასალების შეკრებას კი ა. შანიძე შემდეგაც განაგრძობდა. კარგად არის ცნობილი ბეს. გაბურისგან ჩაწერილი ტექსტები, როდესაც ხევსური ჯარისკაცი პეტერბურგში პოსპიტალში იწვა დაჭრილი. „ხევსურულ პოეზიაში“ მითითებულია მასალები, რომლებსაც მეცნიერის დავალებით კრებდნენ მისი მოწაფეები; ზოგჯერ „მათქამები“ იყვნენ სრულიად შემთხვევით შეხვედრილი პირები, რომელთაგან ზოგს შეჰყრია ქუჩაში ან ბაზარში, სადაც ხის გამთლილი „კასრულებით“ გასაყიდად ჩამოჰქონდათ სახელგანთქმული ხევსურული ერბო. დაბეჭდილ ტომში მითითებულია ზოგიერთი ლექსი თუ ვარიანტი, რომელიც წიგნის გამოსვლამდე სულ ცოტა ხნით ადრეა ჩაწერილი – 1930-1931 წლებში. საკვირველი არაა, რომ ჩამოთვლილ ჩამწერ-შემკრებთა ჩამონათვალში ასამდე პირია დასახელებული.

აკაკი შანიძე ხალხური პოეზიის შესწავლისას მარტო ზეპირ წყაროებს არ დასჯერდა.

მან მეცხრამეტე საუკუნის ეთნოგრაფიული ლიტერატურიდან და პერიოდიკიდან ამოკრიფა საჭირო მასალები; აგრეთვე გამოიყენა საქართველოს მუზეუმში დაცული გამოუქვეყნებელი ხელნაწერები. სათანადო ბიბლიოგრაფიებისა და ხელნაწერთა კატალოგების უქონლო-

ბის გამო, როგორც იგი თვით წერდა, ეს იყო ძალიან რთული შრომა, რომელსაც დიდი დრო და ენერგია დასჭირდა. სამაგიეროდ მან თავი მოუყარა ისეთ მასალას, რომლის შესწავლამ და კლასიფიკაციამ ახალ ასპექტში წარმოაჩინა ხალხური პოეზიის უმნიშვნელოვანესი მხარეები. წიგნის პირველ ნაწილში დაბეჭდილია რეაასამდე პოეტური ნაწარმოები, ხოლო მეორეში, რომელსაც „შენიშვნები და ვარიანტები“ ეწოდება, ზოგიერთი ლექსისათვის წარმოდგენილია მრავალი ვარიანტი, მათ შორის საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული. მაგალითად, საგმირო ლექსს, რომელშიც მეფე ერეკლეს სიკვდილის შემდგომი ამბებია მოთხრობილი (№59), ცამეტი ვარიანტი აქვს, ლექსს ივანეურის შესახებ (№184) – ათი, და ასეთი მაგალითები მრავლადაა.

ეს წიგნი ჩაფიქრებული იყო, როგორც „ხალხური პოეზიის“ ოთხტომეულის პირველი ტომი. დანარჩენი მასალა სხვა დიალექტებისა (მათ შორის ლიტერატურული სიუჟეტების ხალხური ვარიანტები), ლექსიკონი და ენობრივი მიმოხილვა მომდევნო ტომებში უნდა ყოფილიყო შეტანილი. სამწუხაროდ, სხვა მრავალ საბუთთან გამოკვლევარმა ამ ჩანაფიქრის სრული განხორციელება ვერ მოასწრო. მართალია, 1911-1913 წლებში შეკრებილი დიალექტოლოგიური მასალები და „მთის კილოთა ლექსიკონი“ დაბეჭდა 1982 წ. ა. შანიძის თხზულებათა I ტომში, მაგრამ პოეზიის ნიმუშებს (რომელთაგანაც ყველაზე მეტი ფშაურია) ისეთი ვრცელი აპარატი არ ახლავს, როგორც „ხევსურულ პოეზიაში“. ლექსიკონი, რომლის მასალები XX ს. დასაწყისშია შეკრებილი, მეტად მნიშვნელოვან და იშვიათ მასალას შეიცავს. „ზოგიერთი იმდროინდელი ჩემი ჩაწერილი სიტყვა შეიძლება დღეს აღარ იხმარებოდეს“, – ასე წერდა თვითონ ავტორი ლექსიკონის წინასიტყვაობაში. ლექსიკონი საკმაოდ მოზრდილია; მასში დამოწმებულია არა მხოლოდ ცოცხალ მეტყველებაში გაგონილი, არამედ მთის ყოფასთან დაკავშირებული მწერლების – ვაჟა-ფშაველასა და ალ. ყაზბეგის ლექსიკა. სიტყვების მნიშვნელობას მკვლევარი საგულდაგულოდ ამოწმებდა ადგილობრივ და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა, „იხმარება თუ არა ესა თუ ის სიტყვა აქაც (ე.ი. მთიულეთში) იმ მნიშვნელობით, როგორც, მაგალითად, ფშავსა და ხევსურეთში“, – ასე სწერდა იგი ნ. მარს.

კიდევ ერთი საბუთი აკაკი შანიძის ინტერესისა მთის პოეზიისა და მთის კილოებისადმი არის ლექსიკონი ვაჟა-ფშაველას ენისა, რომელიც მან ვაჟას თხზულებათა რამდენიმე ტომს დაურთო (1922-1933 წლებში). ვაჟა-ფშაველას თხზულებათა სათანადო გამოცემაზე აკაკი შანიძე

ადრევე ფიქრობდა, სწორედ იმ დროს, როდესაც იგი მთის კილოებს ინტენსიურად იკვლევდა. ეს ჩანს იმ წერილიდან, რომელიც დაწერილია 1915 წ. ზაფხულში, როდესაც მან ვაჟას გარდაცვალების ამბავი გაიგო (წერილის ადრესატია ივ. ჯავახიშვილი). ამავე დროს, „ხალხური პოეზიის“ წინასიტყვაობაში, რომელშიც პრინციპული ხასიათის მრავალი საკითხია დასმული, არის მსჯელობა ხალხური პოეზიისა და მწერლის შემოქმედების ურთიერთგავლენისა და დამოკიდებულების შესახებ, სადაც ავტორი მიუთითებს, ვაჟა ამ პოეზიაზე ჩანს სკოლაგავილილი. ისიც უნდა შეინიშნოს, რომ ხალხური პოეზიისა და მთის კილოების კარგად მცოდნე აკაკი შანიძეს არასდროს ჰქონია ის სექპტიკურ-კრიტიკული დამოკიდებულება ვაჟას ენისადმი, რომელიც ჩვენში არაერთგზის გამოთქმულა. „ვაჟა არ ემორჩილება რომელიმე ლიტერატურულ შაბლონს. იგი თავისთავადია, განუმეორებელია; თუ ლექსებსა და პოემებში ლუკა რაზიკაშვილი ფშავლობს, სამაგიეროდ პროზაულ ნაწერებში ის სალიტერატურო ენის ნორმებს იცავს...“ „არც ერთ ქართველ მწერალს არ შეუტანია თავისი კუთხიდან მწერლობის ენაში იმდენი, რამდენიც ვაჟამ...“ „ვაჟა მთურ სიტყვებს ხმარობს (ფშაურს, ხევსურულს), მაგრამ ამით იგი ამდიდრებს სალიტერატურო ენას“ – ამ გამონათქვამებში აშკარად არის გამოჩინებული პატივისცემა ვაჟასადმი, და ამავე დროს დიდი სიყვარული „მთური“ ენისა და პოეზიისა. ამ სიყვარულმა შეაძლებინა მკვლევარს იმ უზარმაზარი მასალის შეკრება და შესწავლა, რომელსაც „ხალხურ პოეზიაში“ მოუყარა თავი. ეს სიყვარული მას სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა; ამ სტრიქონთა დამწერის ხევსურული სახელიც (მზექალა) აქედან მოდის.

„ხევსურული პოეზიის“ ეს გამოცემა ზუსტად მიჰყვება პირველს, გასწორებულია მხოლოდ ბეჭდვის შეცდომები, აგრეთვე ის შეცდომები პირველ ნაწილში (გამორჩენილი სტრიქონები და მსგავსი), რომელთა შესახებ „შენიშვნებში“ არის მსჯელობა. აქა-იქ დავამატეთ (სათანადო მითითებებით) შენიშვნები, რომლებიც თვით ა. შანიძის მიერ იყო მიწერილი მის კუთვნილ სამუშაო ცალში. ძირითადი ნაწილის ბოლოშია გადმოტანილი „დამატებიდან“ რამდენიმე ლექსი, რომლებიც აკაკი შანიძეს მოგვიანებით შეუტანია წიგნში; მაგრამ – რაკი ისინი დამოუკიდებელი ტექსტები იყო – მათი ნუმერაცია ძირითადი ნაწილის სათვალავის მიხედვით გაუგრძელებია (769-788) და სარჩევშიც ასევე უჩვენებია. გარდა ამისა, „შენიშვნებში“ შევითანეთ მითითება იმ ნომრებზე, რომელთა შესახებ „დამატებაში“ კიდევ არის რაიმე მასალა.

მოვერიდეთ ენობრივი ფორმების გასწორებას (გარდა თითო-ორი აშკარა უაზრო შეცდომისა); თვითონ ა. შანიძე ხშირად აღნიშნავს, რომ ესა თუ ის ფორმა სიტყვისა არ არის ხვესურული, მაგრამ გასწორებული არ არის მის მიერ, რადგან მათქვამის სიტყვითა ჩაწერილი, ან ამოღებულია ძველი პუბლიკაციიდან, სადაც ენობრივ სიზუსტეს ნაკლები ყურადღება ექცეოდაო. არ არის გასწორებული არც გამომცემლის მართლწერა, რომელიც ზოგჯერ თანამედროვე ნორმებს არ ეთანხმება (მაგალითად, კომპოზიტების დაწერილობა), ან არათანმიმდევრულია (მაგალითად, ჯვესური და ხვესური).

„ხვესურული პოეზიის“ ხელახლად გამოცემა ნავარაუდევია იყო აკაკი შანიძის თხზულებათა თორმეტტომეულში, რომლის ბეჭდვა, სამწუხაროდ, ოცზე მეტი წლით შეფერხდა (ოთხმოციან წლებში გამოვიდა ხუთი ტომი). დღეს საშუალება გვეძლევა მკითხველს მივაწოდოთ „ხვესურული პოეზია“, რომლის დაბეჭდვა განახორციელა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და მისმა გამომცემლობამ. დიდი მადლობით უნდა მოვიხსენიოთ უნივერსიტეტის გამომცემლობის ყველა თანამშრომელი, რომლებმაც დიდი შრომა გასწიეს ამ რთული ტექსტის დასაბეჭდად მოსამზადებლად, აგრეთვე უნივერსიტეტის ლაბორატორია „ორიონის“ თანამშრომელი მარინე ოდიკაძე, რომელიც დიდად დაგვეხმარა საკორექტურო მასალის კითხვისას.

ეს წიგნი დღევანდელ პირობებშიც არანაკლებ მნიშვნელოვანია და საჭირო, ვიდრე ამ სამოცდათი წლის წინათ, როდესაც იგი პირველად დაიბეჭდა. იმედი გვაქვს, რომ ახალი გამოცემა კვლავ გაუღვივებს მკითხველ საზოგადოებას – განსაკუთრებით ახალგაზრდობას – ინტერესს ქართული ხალხური მხატვრული ფოლკლორისადმი. წიგნის ორსავე ნაწილში, მისივე გამომცემლის სიტყვითვე რომ ვთქვათ მკვლევარი-ფოლკლორისტი, ლიტერატორი, ეთნოგრაფი, ენათმეცნიერი თუ მუსიკის თეორეტიკოსი დღესაც ბევრს თავისთვის გამოსადეგსა და სასარგებლოს ნახავს. აკაკი შანიძის უზარმაზარ მეცნიერულ მემკვიდრეობაში „ხვესურულ პოეზიას“ გამორჩეული ადგილი უჭირავს. ერთი წიგნი „აკაკი პაპაძე“ თავის პატარა შვილთაშვილს, აწ სამზეოდან უდროოდ წასულს, უსახსოვრა ასეთი წარწერით: „ჩემს საყვარელ შვილისშვილისშვილს დაჩი აღზაზაშვილს ჩემს მოსაგონებლად და სასწავლოდ“. „ხვესურული პოეზია“ სწორედ ერთ-ერთი წიგნია, რომელიც აკაკი შანიძემ „მოსაგონებლად და სასწავლოდ“ დაუტოვა ყველა ქართველ მკითხველს.

მზექალა შანიძე

წინასიტყვაობა

ხალხური პოეზიის სიმშენიერესა და დიდ მნიშვნელობას ბევრი გრძნობდა ჩვენში, ბევრი კრებდა და ზოგჯერ აქვეყნებდა კიდეც ნიმუშებს სხვადასხვა კუთხიდან, მაგრამ მაინც ჯერჯერობით ცოტაა გაკეთებული ამ დარგში და, რაც გაკეთდა, ისიც გაფანტულია სხვადასხვა გამოცემაში, ძველი მისაწვდომია ყველასათვის და ამის გამო დასაფასებლადაც ძნელია. კერძოდ, მთაც იქცევედა ამ მხრით ყურადღებას და იზიდავდა მუშაკებს, რომლებიც ხალხისთ და ზოგჯერ დიდი სიყვარულითაც ეკიდებოდნენ ამ საქმეს; მაგ., ხევსურული სათვის შეგვიძლია დავასახელოთ ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი, თ. რ ა ზ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ბ ა ჩ ა ნ ა, მოხურისათვის – ა. ყ ა ზ ბ ე გ ი, ფშაურისათვის – დ. ხ ი ზ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, გ. ა ფ შ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, კვლავ თ. რ ა ზ ი კ ა შ ვ ი ლ ი; თუშურისათვის – ი. ბ უ ქ უ რ ა უ ლ ი, ი. გ ო მ ე ლ ა უ რ ი და სხვები, მაგრამ ყველა ეს შეკრებილი ლექსები მხოლოდ შავი მასალაა, რომელსაც შემოწმება, შედარება და მეცნიერული დამუშავება ეჭირება, რომ შესაძლო გახდეს მათი სათანადოდ მოხმარება და გამოყენება.

ამ მიზნით განვიზრახე, რომ რევიზია მეყო და თავი მომეყარა პირველად მთელი მასალისათვის, რომელიც საქართველოს ერთ კუთხეს შეეხება, მთას, შემევსო ძველი ფონდი ჩემ და სხვათა მიერ ახალ-ჩანაწერი ნიმუშებით, დამერთო სათანადო ახსნა-განმარტუბანი და ლექსიკონი და ამგვარად შემოწმებულ-გაცხრილული, გამართული და დალაგებული მიმეწოდებინა მკითხველისათვის, როგორც სანდო მასალა და ამით საფუძველი დამედო ხალხური პოეზიის მეცნიერული გამოცემისათვის და გზა გამეკაფა ფართო და სერიოზული ფოლკლორისტული კვლევა-ძიებისათვის ჩვენში.

ხალხური პოეზია მთაში ოთხ ტომადაა განზრახული: პირველია ეს და შეიცავს ხევსურულ ლექსებს სათანადო ვარიანტებითურთ, მეორე იქნება ფშაური, მესამე – დანარჩენი კუთხეებისა: თუშური, მოხურური და მთიულურ-გუდამაყრული, მეოთხეში კი მოთავსებული იქნება ნაწყვეტები ხალხური ვეფხისტყაოსნიდან, როსტომიანიდან, ეთერიანიდან და სხვა, რაც მწიგნობრული თუ სხვა გზით არის გადასული ზედა ფენებიდან და თავისებურად გადაკეთებული და გადასხვაფერებული ხალხში. იმავე ტომში იქნება მოქცეული ინდექსები საკუთარის (ადამიანთა და გეოგრაფიულის) სახელებისა, რომელიც ყველა ტომს ერთად ექნება გაკეთებული, ვრცელი გამოკვლევა ლექსთა ფორმისა

და შინაარსის შესახებ და აგრეთვე ენის მიმოხილვა გრამატიკა-ლექსიკის თვალსაზრისით. ლექსიკონში შეტანილი იქნება ისეთი სიტყვებიც, რომელიც სადმე ლექსში შეიძლება არ გვხვდებოდეს, მაგრამ ჩემ მიერაა მთაში შეკრებილი. შიგვე მოქცეული იქნება მთის მწერალთა ნაწერებიდან (ვაჟა-ფშაველას, ბაჩანას და ა. ყაზბეგის თხზულებათაგან) ამოკრებილი სიტყვებიც. ამის გამო ლექსიკონს ფართო მნიშვნელობა მიენიჭება და დიდ დახმარებას გაუწევს იმ გაცხოველებულ ტერმინოლოგიურ მუშაობას, რომელიც ჩვენში წარმოებს ამჟამად.

პირველ ტომში შესულია უმთავრესად ხვესურული მასალები. ხვესურული, რომ ვამბობ, იგულისხმება ხვესურებს შორის გავრცელებული და ხვესურისაგან გაგონილი. წარმოშობით კი უეჭველია ზოგი მათგანი სხვა კუთხიდანაა: ფშავიდან, თუშეთიდან, თუ სხვა მხრიდან. ამასთანავე ერთად, თუ ცნობილია ჩემთვის ლექსის ვარიანტი რომელიმე სხვა მხრიდან, იგიც მოყვანილია და ნაწევნები შენიშვნებში. საზოგადოდ, ერთი რომელიმე ლექსის ვარიანტები ერთადაა მოთავსებული. ასეთი მეთოდის წყალობით მკითხველს და მკვლევარს საშუალება ეძლევა, გაითვალისწინოს ლექსის სვე-ბედი მთელი მისი გავრცელებულობის არეზე და ადვილად წარმოიდგინოს ყველა ის ცვლილებანი, რომლებიც განუცდია მას სხვადასხვა კუთხესა და სოციალურ გარემოში მოხვედრის გამო. ამავე გეგმით იქნება გამოცემული დანარჩენი ტომებიც; მაგალითად, მეორეში ძირითადი ფშაურის ფონზე გაშლილი იქნება მთელი შედარებითი მასალა სხვადასხვა კუთხიდან და მათ შორის ხვესურეთიდანაც. ერთი სიტყვით, გამოცემის დროს სახელმძღვანელო აზრად მიღებულია, რომ მოცემულ იქნეს ამომწურავი ცნობები ხალხური პოეზიისათვის ამა თუ იმ კუთხის შესახებ, მაგრამ ისე კი, რომ თუ რომელიმე ლექსი რამოდენიმე ვარიანტადაა ცნობილი (იმ პირობით კი, თუ თითოეული ამ ვარიანტთაგანი რაიმე ახალს გვაძლევს), ყველა ერთად იყოს თავმოყრილი. ამით საშუალება გვაძლევს ნათელი წარმოდგენა გვექონდეს როგორც თითოეული კუთხის შესახებ, ისე თითოეული ლექსის ვითარების შესახებაც. თავისთავად ცხადია, რომ ერთხელ დაბეჭდილი ვარიანტი სხვა ტომებში აღარ იქნება განმეორებული.

ქართველ ტომებს მთაში ბევრი რამ აქვთ საერთო ერთმანეთთან და განსხვავებულებაც ერთიმეორისაგან; მაგალითად, ხვესურები ბევრად განსხვავდებიან თავის მეზობლებისაგან ენით, ჩაცმა-დახურვით, ზნე-ჩვეულებით, სარწმუნოებრივი შეხედულებით, თუ სხვით, მაგრამ ბევრი რამაც აერთებს მათ ფშაულებთან, თუშებთან, მოხვევებთან და მთიულ-გუდამაყრელებთან. პოეზიაში თავს იჩენს როგორც განკერძოე-

ბული და განსხვავებული, ისე საერთო ხასიათის მოვლენები. ამიტომაც, რომ ერთ რომელსავე ტომში წარმოშობილი სიმღერა-ლექსი ადვილად ვრცელდება დანარჩენებში. დ. ალბანელი აღნიშნავდა, რომ „საზოგადოდ, თუშ-ფშავ-ხევსურების სიმღერები დღეს ისე გადახლართულია ერთმანეთში, რომ მათი გარჩევა ძნელია, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ კერძო შემთხვევაში დარწმუნებით შეუძლიან კაცს ესა თუ ის სიმღერა მიაწეროს ერთ-ერთ მათგანს“-ო (კვალი, 1897, №13). რადგანაც, მაშასადამე, მთის პოეზიაში ბევრია საერთო როგორც ფორმით, ისე შინაარსით, ამიტომ ვრცელი მიმოხილვა მთის ხალხური პოეზიისა მეოთხე ტომში იქნება მოცემული, ახლა კი რამოდენიმე სიტყვით შევეხები ამ ტომში მოთავსებულ ხალხურ პოეზიას.

ხალხური პოეზიაო, რომ ვამბობ, ვგულისხმობ ისეთ პოეზიას, რომელიც გაჩნდა, განვითარდა და ტრიალებს სოფლის მუშა ხალხში, გლეხობაში, იმ სოციალურ წრეში, რომელიც შრომასა და ჯაფაშია და მეტწილად წერა-კითხვის უცოდინარია. ეს ის პოეზიაა, რომელიც ჩვეულებრივ ზეპირი გადაცემით ვრცელდება ერთი კაციდან მეორეზე და ძველი თაობიდან ახალზე. მისი შემნახავი და დამცველი მრავალ პირთა მეხსიერებაა და ეს არის მიზეზი, რომ მისი ფორმა და შინაარსი ცვალებადია და ადვილად ეგუება ამა თუ იმ კუთხის გემოვნებას, თუ სოციალური ფენის მიდრეკილებას. ზეპირი გავრცელება ხალხური პოეზიისა, მისი უწიგნოდ დასწავლა და გადაცემა თავის დაღს ასვამს ტერმინოლოგიასაც: ლექსს ამბობენ (135, 41; 513, 11; 534, 15; 538, 12; 565, 1; 650, 6), იტყვიან (585, 2; 643, 1). ან ლექსის თქმა იციან (452, 15; 468, 1; 470, 46; 597, 3), ამიტომ ლექსის შემთხვევლს ეწოდება მათქვამი (ვარ მოთქვამი, მათქომი, მოთქომი, მაგ., 80, 20; 103, 17; 104, 9; 128, 24; 136, 41; 162, 19; 186, 13; 194, 16; 196, 7; 204, 19; 249, 20; 351, 12; 777, 6; 778, 21 და სხვაგანაც), ან მთქმელი (455, 57; 477, 59; 541, 44), ან კიდევ მათუბარი (110, 18), მაგრამ ამ ძველი ტერმინების ნაცვლად ახალიც ჩნდება: მალექსებელი (135, 40; 164, 40; 165, 16 და ბევრგან სხვაგან), მალექსარი (325, 12; 448, 14; 467, 60); მელექსე (ვარ. მოლექსე), მაგ., 209, 35; 225, 63; 228, 44 და ბევრგან კიდევ), მესაირე (222, 12), ან კიდევ ძველის გვერდით ახალი ჩნდება: პოეტის-მოთქვამი (! 546, 36), ან პოეტი მათქვამი (608, 22). ლექსის თქმის ან გამოთქმის გარდა (224, 1; 514, 41; 568, 1) იციან ჩამოთვლაც, ან დათვლაც და აქედან ნაწარმოებია ჩამამთვლელი (135, 41; 454, 17; 456, 16; 469, 2). ლექს-სიმ-

ღერების უწიგნოდ გავრცელება შორს მანძილზე დაბარებას გულისხმობს: გიბარა (217 ბ, 39; 602, 1); დაგიბარა (786, 1), დაგიბარებდათ (569, 8), დამიბარებავ (533,12), დაუბარებავ (210, 20; 350, 11; 359,28; 521, 30), „უთხარით ბესარიონსა დაბარებული ჩემია“ (446, 1), თემებში დასაბარები (364, 2) და სხვ. გამონაკლისის სახით შეიძლება მიწერაც იყოს (მოუწერავის: 564, 1), მაგრამ ეს ახალი მოვლენაა.

ამ წიგნში შემოკრებილია ყველაფერი, რაც მოვებნე და შევავროვე წყობილ სიტყვად ასხმულ ნაწარმოებთაგან ხევსურეთში და რაც მხატვრული ფოლკლორის ერთ მთავარ ნაკადს შეადგენს.

* * *

ხევსურული პოეზიის ძირითადი თემა მამაცობაა ანუ გმირობა და ამ საგმირო ხასიათის სიმღერა-ლექსებით იწყება წიგნი. თავშივე მოცემულია სიმღერები ხევსურთა თავგანწირული ბრძოლისა ფეოდალების წინააღმდეგ მე-17 საუკუნის ოციან წლებში, როდესაც არაგვის ერისთავს ზურაბს უნდოდა დაემორჩილებინა მთა და ხარკი დაედო მისთვის. კლასთა ბრძოლის ამ ეპიზოდს მიძღვნილი აქვს 23 ლექსი ვარიანტებითურთ, რომელნიც მეტად საყურადღებონია მრავალმხრივ. ხევსური ახლაც თავმოწონებით იგონებს იმ ამბავს, რომ მათ წინაპრებს

უკოცავ აზნაურები დაბლა აკუმოს წყალზედა (6,4).

ან კიდევ:

ერისთვის აზნაურებსა ყორნებ აწკლით ეზიდებისა (7,12).

სასტიკი იყო ზურაბის შეტევა ხევსურებზე და სხვა მთიელებზე, მაგრამ ძლიერი იყო მოგერიებაც. ზურაბი რომ ბევრს ვერას გახდა ძალით, ხერხს მიჰმართა, — მონინდომა „დაბალითება“ ანუ მოტყუება. მან დაიბარა გამოჩენილი ხევსურები თრუსოს. მიიწვია ნადიმზე და დანდობით იარაღი დაახსნევინა.

მლებს ნუ დაიწნით, კვესურნო, — ზურაბ არ დაინდობაო (18,17).

მაგრამ სტუმარ-მასპინძლობის წესზე აღზრდილი ხევსურები მასპინძლის მხრივ სტუმრის ღალატს აბა რას მოიფიქრებდნენ? გადარჩა მარტო ალუდა ალექსაური, რომელმაც ზურაბს მეღვინე მოუკლა და გამოიქცა. დღესაც ჟრუანტელსა ჰკერის კაცს მთელი ამ ამბის მოგონება და აბა მაშინ რა უნდა ყოფილიყო? ამიტომ გასაგებია ის სიხარული, რომლითაც მთელი მთა ზურაბის მოკვლის ამბავს შეჰხვდა:

კაცი წავიდეს თუშეთში, ფშაველ-ჭვესურეთში ჩაფარი:
საფურცლეს მოკლეს ზურაბი, ძილ დააძინეს მაგარი.
ფშაველ-ჭვესურთა უთხარი, წელთით დაიწნან აბჯარი;
ფშაველ-ჭვესურთა ქალ-ზალმა ძილ დაიძინან მაგარი.

(20,17-20)

მშენიერი ნიმუშია აგრეთვე ხალხურ პოეზიაში კლასთა ბრძოლის გამოხატვისა შიოლა ღუღუშაურის შესახებ მოღწეული ლექსები (№№40-42), განსაკუთრებით კი „შიოლა და მთრეხელი“ (№42), სადაც დიდი ოსტატობით არის გადმოცემული თავგასული ბატონის მოკვლა მთრეხელის მიერ. ეს ამბავი ისე ძლიერად აღბეჭდილა ხალხის მეხსიერებაში, რომ მე-17 საუკუნიდან მოღწეული ძველის ლექსის გვერდით ახალი რედაქციაც გაჩენილა ივანე ფიცხელაურისა (№04, გვ. 392), რომელიც დიდი მხატვრული გემოვნებით არის შესრულებული და სადაც, სხვათა შორის, შემდეგს ვკითხულობთ:

შიოლა ღუღუშაურო, სკამს დასჯე ერისთვისასა,
აზნაურობას ხფიქრობდი, ბატნობას მოწებისასა,
მოძმეთ მონობას ხფიქრობდი, გარიყვას ნამუსისასა.
შენ არ იცოდი, მოწენი ყმობას არ იზმენ ცხვისასა:
სისხლის მწოველსა ბატონსა მსწავლებს ჩვენ უზღვნით ჭკვისასა,
აზნაურობის ძებნანი გზას მაგცემთ სამარისასა

და სხვა.¹

ფეოდალების წინააღმდეგ ბრძოლას ამჟღავნებს აგრეთვე ლექსი №262, სადაც თიანელი ჭავჭავაძე გაუმაძღარ ღორად არის წარმოდგენილი.

ამგვარი ხასიათის ლექსებს უპირისპირდება ლექსები ერეკლე მეორის შესახებ, სადაც ჩანს, რომ მოქნილი პოლიტიკის წყალობით ერეკლეს თავის გავლენის სფეროში მოუქცევია ხვესურები, როგორც ომში მეტად გამოსადეგი ხალხი. მიუხედავად ამისა უკმაყოფილობა

¹ მომყავს აქ ერთი ვერსია გადმოცემისა მთრეხელის შესახებ, რომელიც შ. დო-
ლაქიძეს ჩაუწერია ი. ფიცხელაურის ნაამბობის მიხედვით: ივანობა დღეს შიო-
ლას გამოუცხადეს მოხვევებმა: „შენაო აზნაურობა მივიღია და თუ თავს არ დაანებებ,
მოგკლავთო (შიოლას ერისთავმა მისცა აზნაურობა). მამრე შიოლამ უარი უთხრა:
თქვენს ამებესა არ უყურებო და ძალით დაგიმორჩილებთო. მაშინის გადაწყვეტეს იმის
სიკვდილი და ერგა, ერთი მთრეხელი იყვის. ის იყვის კარკუქილი, დისწული ჭვესურე-
ბისა და ჭვესურეთს იყო გაზრდილი, გორად ფამარული. იმისი პაპა, ჭვესური, მან(დ)
კარკუქას მღვარაიყო, შიოლას ეყვარა კარკუქითა და გევედა. ამისთვი იმის ჯაფრი ჰქონდა
მთრეხელსა და იმიტომ თქო: მე უწილოდ გავალიო. შიოლას ძმისწული ჰყვანიყო და
იმას შეეტყობინა შიოლასთვის ეს ამბავი“ (სხვა ვერსიები ნ. გვ. 387-389).

და პროტესტი ბაგრატიონთ წინააღმდეგ მაინც გაისმის. ერთ ლექსში (№59 ზ, 26–27), მაგალითად, კვითხულობთ:

ამაგ სიმღერის მათქვამსა ნღობა მეც მქონდა ჴმლისაო.

წამართვეს ბაგრატიონთა. ცოდვა ეკიდოს მკედრისაო!

შააბეს თავის თავადსა, ყურაალაღის შვილსაო.¹

მთაში უკანასკნელ ხანებამდე საშუალო საუკუნეების ნატურალურ-გაცვლითი მეურნეობა არსებობდა და ამ საწარმოო საფუძველზე გაშლილი საზოგადოებრივი ურთიერთობა და სული ტრიალებდა. ერთი გვარის მეორე გვარზე დაცემა ადგილ-მამულის თაობაზე თუ სისხლის ასაღებად, ერთი ტომის მეორეზე გალაშქრება ბევრის დასადებად თუ ცხვარ-საქონლის გამოსატაცებლად ჩვეულებრივი მოვლენა იყო. აი ეს მხარე ხევესურთ ყოფა-ცხოვრებისა ძლიერად არის წარმოდგენილი ამ წიგნში. მთელი რიგია ლექსებისა და სიმღერებისა, რომლებიც გვაწვდის ცნობებს გალაშქრებაზე და დარბევაზე. მაგალითად:

1) ხ ე ვ ს უ რ ე ბ ი ილაშქრებენ ქისტებზე (ლილვლებზე, მითხოვლებზე და სხვ., №№38, 95, 122, 128, 146, 150, 161, 167, 171, 185, 186 და სხვ.), თუშებზე (№30), არხოტზე, რომელიც ნაწილია ხევესურეთისა (№№88, 89, 135, 136, 137, 176), გუდამაყარზე (№№114, 198), მოხვეეებზე (№№125, 170).

2) ქ ი ს ტ ე ბ ი (ლილვლები, მითხოვლები, ახვანი) ილაშქრებენ ხევესურეთზე (№№80, 107, 130, 139, 143, 156–159, 175, 177, 182, 777).

3) თ უ შ ე ბ ი ილაშქრებენ: დაღისტანზე (№№75, 84, 243, 244), ქისტებზე (№778), ფშავზე (№141).

4) ლ ე კ ე ბ ი და საზოგადოდ დაღისტნელები ესხმიან: ხევესურეთს (№№82, 155, 162, 168, 183), თუშეთს (№№115, 118, 133), კახეთს (№132).

5) ფ შ ა ე ლ ე ბ ი ილაშქრებენ: ხევესურეთზე (№№148, 151, 180), ქისტებზე (№149).

არის შემთხვევები, როცა თუშები და ხევესურები შერთებულნი ძალით იბრძვიან ბახტრიონის ასაღებად თათრების წინააღმდეგ კახეთში (№24), ან ქისტების წინააღმდეგ (№179), ან კიდევ ფშაველები და ხევესურები ეშველებიან თუშებს გასაჭირში (№254).

¹ ვაჟა-ფშაველას თავის „ძალიკა ხიშიკურ“-ში თითქოს ეს ამბავი უნდა ქჷრდეს გამოყენებული:

თუკი ლაშქარში ეუნდოდი, რად გამართვა ხმალია?
გულს რად მიფუჭებს, ისეთი ან რა დაადგა ძალია?

ხშირია მზირობისა და სისხლის ალების ამბები (№№72, 91, 108, 109, 164, 177, 180, 181, 194, 197, 198), ფართო ადგილი უჭირავს საქონელზე თავდასხმის ამბებს (ცხენის ჯოგზე, ხაროვანზე თუ ცხვარზე: №№111, 201, 203, 204, 205, 206, 212, 213, 214, 215, 216, 217, 218, 219, 248, 670, 778), ვხვდებით აგრეთვე ტყვეობის ამბებს როგორც ქალებისას, ისე ვაუებისას (№№37, 39, 163, 265). ამათგან ერთი ისეთია, რომ ჟრუანტელს მოჰგვრის კაცს. მართლაც, აბა რა არის იმაზე საშინელი, რომ კაცი იძულებული გახდეს საკუთარი ქალები დახოცოს, ოღონდ ამით კი გადაარჩინოს მტრის ხელში ჩაცვივნას (№77).

კაცის მოკვლის დროს ჩვეულებად ჰქონდათ ხოლმე მოკლულის შეწირვა თავისთვის ან ვინმე მახლობლისთვის. შეწირული ვითომც მსახური უნდა იყოს საიქიოს და, სხვათა შორის, წყალი უზიდოს იმას, ვისაც შესწირეს. ამ ჩვეულების გამოხატვას ვხვდავთ შემდეგ ადგილებში: 108, 20; 132, 10; 194, 13; 199, 10; 211, 30–34; 225, 49; 605, 17. მკვდრისადმი შეწირვის უმაღლეს ხარისხს წარმოადგენს დატყვევებული მტრის დაკვლა მკვდრის საფლავზე (№143).

წოგნში ბევრგან არის საუბარი მარჯვენის მოჭრაზე, როგორც მტერზე გამარჯვების უმაღლეს ნიშანზე: 30, 15; 75, 4; 150, 12; 778, 16 (6. კიდეც №214 შნშ.). ერთგან პირდაპირ ნათქვამია:

ვკლ მასჭერ, ნასკვაურისძევე, – უკვლოდ სახელ არ არსა.

(99, 10)

ხოლო მეორეგან ვტყობილობთ, რომ მარტო ხელის მოჭრა არ აკმარეს, არამედ თავიც მიაყოლეს თან (№264, 28). ხელს მკვდარს სჭრიდენ, თუმცა წესის დარღვევასაც ჰქონია ხოლმე ადგილი: ლუხუმი ცოცხალი ყოფილა, როცა ხელი მოუჭრიათ (91, 7).

ამ აუარებელ დაცემა-აკლების ამბებში თავს იჩენს გონივრული მოქმედებაც, სადაო საკითხები გადაწყვიტონ და მეზობლური ურთიერთობა მოაგვარონ არა ხმლით, არამედ მოლაპარაკებით და ერთმანეთის გაგებით (№265, ბჭობა არხოტისა და ლილღოს შესარიგებლად).

ერთ-ერთ თავის ეთნოგრაფიულ წერილში ნ. ურბნელი ამბობდა, რომ „ხვესურის ოჯახი უფრო ეკონომიური კავშირია, ვიდრე ზნეობრივი, ეკკლესიური. ცოლი ეკონომიური ძალაა, როგორც თვით ოჯახიო და სადაც ოჯახი ამ ნიადაგზედ არის აღმოცენებული, იქ ხომ ზნეობრივი ძალა უპირატესობას უთმობს ეკონომიურსო. კიდეც ამიტომ ხვესური-სათვის „ჯვარ-დაწერილის“ ცოლის გაგდება ისეთივე ადვილია, როგორც კერპულად (იგულისხმე: ჯვარ-დაუწერლად. ა.შ.) შერთულისაო.

უმეტესად ცოლს აგდებენ რაიმე ეკონომიურის მოსაზრების გამო“—ო (ივერია 1887, №8). მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ არა მარტო ცოლქმრული დამოკიდებულება, არამედ მთელი ყოფა-ცხოვრება ხევესურეთში და საზოგადოდ მთაში) ეკონომიური პირობებით არის განსაზღვრული. მთიელების საზოგადოებრივი ურთიერთობა და განსაკუთრებით ხევესურებისა გვაროვნულ პრინციპზეა აგებული, რომელიც თავის მხრივ თემობრივ მიწათ-მფლობელობაზეა დაყრდნობილი. როგორც ეს პრინციპი, ისე მისი ეკონომიური საფუძველი საკმაოდ შერყეულია, რაიცა გამოკვლევებიდან ჩანს. ბევრია დაწერილი მთების შესახებ, მაგრამ შედარებით ცოტაა ისეთი გამოკვლევები, სადაც ეკონომიური ვითარება იყოს საკმაოდ აწერილი და გამოკვლეული. ყველაზე უფრო დაწვრილებით ცნობებს და თანაც საკმაოდ სანდოს, ფაქტიური მხარის აღწერის მხრივ, მ. მაჩაბელი გვაწვდის¹. მთავარი ძარღვი ხევესურთა ავლადილებისა მესაქონლეობასა და მიწათ-მოქმედებაზეა დამყარებული, მაგრამ ერთი-და-მეორეც უხსოვარი დროის ფორმებშია ჩამოსხმული.

მესაქონლეობას, თუ იგი ძირ-ფესვიანად იქნა გადაკეთებული და რაციონალურად დაყენებული, რა თქმა უნდა, კარგი პირი უჩანს მომავლისათვის ხევესურეთში, რადგანაც მშვენიერი საძოვრები და სათიბები მოიპოვება, მაგრამ აქამომდე მეურნეობის ამ დარგს უმთავრესად შინაური მოთხოვნილების დაკმაყოფილება ეკისრებოდა. საქონლიდან მთავარი ყურადღება ექცეოდა ხარს, ფურს, ცხვარს და რამოდენაღმე ცხენსა და ჯორს. ხარის მთავარ დანიშნულებას ხენა შეადგენდა, ფურის მოშენებას რძის პროდუქტების მოცემა ჰქონდა აზრად (განთქმულია თავის ღირსებით ხევესურული ერბო), ცხერის მატყლი შინაური შალის საქსოვად იხმარებოდა, რომლისაგანაც ტანისამოსს იკერავდნენ, ხორცი კი უმთავრესად შეწირულებათათვის მიდიოდა ხატობებში და აგრეთვე ქორწილში და მიცვალებულის „რიგებში“, ხოლო ცხენსა და ჯორს უმთავრესად სატრანსპორტო საქმეები ევალებოდა.

სახნავე-სათესი მიწა ცოტაა ხევესურეთში. ჩემს ხევესურეთში ყოფნის დროს ყველა უმიწობასა და აქედან წარმომდგარ უმწეობასა და უკიდურეს გაჭირებას შემომჩიოდა. მთავარი მარცვლეული, რომელიც ხევესურეთში მოჰყავთ, ქერია, შემდეგ კი სვილი (ანუ ჭვავი). დიკა გამოწილისის სახით გვხვდება უფრო დაბალ ადგილებში. ბოსტნეულიდან შეიძლება კართოფილი დავასახელოთ. ეს არის და ეს. მიწის სივიწროვის გამო მოსავალი ნახევარ წელსაც ვერ ჰყოფნის მოსახლეობას,

¹ Экономический быт государств. крестьян Тiftonского уезда: Материалы для изучения экономич. быта госуд. крестьян Закавказ. Края, Т. V, 1887, გვ. 515-571.

დანარჩენი უნდა ყიდვით იქნეს შევსებული. ვაჟა აღნიშნავდა, რომ „ხევსური პურის ყიდვას ვერ ასდის. ხშირად იმას ერწო-თიანეთილად და კაკაკილად ზურგით მოაქვს ქერი, საზრდო ჯალაბობისთვის“-ო (ივერია 1886, №199). მ. მაჩაბელი ამბობს, რომ მიწის საკითხის გამო ფშავლები და ხევსურები მტრებად არიან გადაკიდებულნი (გვ. 370). იმავე ავტორს აღნიშნული აქვს, რომ „არა მარტო ფშავლები იყვნენ მტრულად განწყობილნი ხევსურებთან, არამედ სხვადასხვა გვარის წარმომადგენლები აქაც და იქაც მუდმივ კმტრობდენ ერთმანეთს. ამ მტრობას, მიწის სივიწროვით გამოწვეულს, მათ სარწმუნოებრივი ხასიათი მისცეს“-ო (ib.). ბევრ ლაშქრობას, რომელზედაც ჩინებული სიძლერებია ამ წიგნში, სწორედ უმიწაწყლობით გამოწვეული მდგომარეობა უძევს საფუძვლად. ლაშქრობამ უნდა შემოსავალი მისცეს, ქონება შეჰმატოს, ეკონომიურად გააძლიეროს, შეუვსოს ის ნაკლი, რომელსაც მესაქონლეობა და ხვნა-თესვა არ აძლევს. საილუსტრაციოდ შეიძლება დავიმოწმოთ, რაც არდოტლებს მ. მაჩაბლისათვის უაძნეაობა: სამასიოდე წლის წინადო გუდანის ჯვრის მოგანძურებმა გამოილაშქრეს ჩვენზე, გეძლიეს და წაგვართვეს ნახევარი საძოვრებისა ანგელოზის ხეესა და არჭილოს ხეეშიო. მას შემდეგ ამ საძოვრების შემოსავლის ნახევარს გუდანის ჯვარს ვაძლევთო (ib.)¹. რაღა სხვა დავიმოწმოთ? საუკეთესო მოწმეები თვით ამ წიგნში მოთავსებული სიძლერებია:

ამბობდა გუდანის ჯვარი: დიდი ორ, როგორც ყენი.
მითხოვ გადავლა მეწადა, რა გამოვიდას მთა-ველი²,
ვაცი და ვერძი დასუქდას, ბატკანს ზედ ესხას კრაველი.

(№178)

ფშავლების ქმოსტზე ლაშქრობის მიზანს საქონელი შეადგენს: „ქმოსტი ძეს საქონინანი“ (180,2); უხათზე დაცემას ცხვრის წამოსხმა მოჰყვა: „ცხვარი ავიღავთ უხათით, მაგიდისთ ფარებულასა“ (171,4), პირ-აქათელი ხევსურების არხოტზე გალაშქრების მიზანია გაბეგვრა: „გაბეგრან არხოტივნები, კვამლზე აიღან ცხვარია“ (176,5). ახალა შუქიაური იმით არის ქებული, რომ მითხოში ცხვრის მოზვერვა იცის (47,6), შალვათ ხახონი მითხოსაკენ მზირს მიუძღვება, რადგანაც „მითხოველთ მემცხვარეებსა ნიავი უქრისთ მთისაო“ (111, 7), გუროვლების გალაშქრებას (№128) მათქვამი ასე აბოლოებს:

¹ თითქო ამ ამავეზე უნდა მიგვითითებდეს ლექსი №257

² ე.ი. როცა თოვლს აიღებს და გამოზაფხულდებაო

ამაგ სიმღერის მათქვამი ბერ-კაცი ბანზე ზისაო,
ძმა მეც მამიკლეს ქისტებმა, ყველას თავისი სწყინსაო.
ველარ ვხედავდი ღამესა, აღარც ანდე მაქვ ზზისაო,
თორემ მეც წასვლა მეწადა, – სადგომ მეც ვიცი ცხერისაო.

არშასა და სნოზე ხევსურთ გალაშქრების შედეგად „თავ-კან აჩ-ხოტის მინდორსა წარ-ცხენებს ლალევედინაო“ (170,15), გომტიკაურნი სწყვეენ თემბოლათაიშვილს: „შარშ გადმოღლალე წარ-ცხენი, ვალ გად-მოგვიდე მტრისაო“ (192,20), ქისტები ესხმიან ფშავლების ცხვარს (№№204-206), ლაგაზიანთ ცხვარს (№139), წოვა-თუშები იტაცებენ ქისტების ცხვარს (№778), მითხოვლები – არდოტლებისას (№130), ახვანი შატილზე ილაშქრებენ, რადგანაც შატილლებმა ბეგრის ძლევა შეუწყვიტეს კომლზე თითო ცხვარი (№172) და სხვა. ეკონომიური სარჩული ჰქონდა გუროვლებსა და შატილლებს შორის ატეხილ ომს, რომელმაც ბევრი იმსხვერპლა (ნ. №612, ომი კელის წყალზედ), ეკონომიურმა პირობებმა გამოიწვია ბურჟუაზ-უკენახოვლების ზოცა (№745) და სხვა და სხვა. თუ რაოდნად დიდია ეკონომიური გაჭირება ხევსურეთში, მკითხველს შეუძლია თუნდაც იქიდან გაითვალისწინოს, რომ, როგორც მკვლევრები ერთხმად აღნიშნავენ, – და ამას მეც ვადას-ტურებ, – შვილების გაჩენა ხელოვნურადაა შეზღუდული და თითქმის არსად შინაურ ფრინველს არ აშენებენ და ძაღლი და კატაც იშვიათად თუ სადმე ვისმე ჰყავს, რადგანაც მათი გამოკვებისათვის კი არა, თავ-ისთვის არა აქვთ საკმარ სარჩო.

რ. ერისთვის „სამშობლო ხევსურისა“ უფრო პოეტური იდე-ალიზაციაა, ვიდრე სინამდვილეზე დამყარებული დაკვირვება: ხევსურებ-მა ეკონომიური გაჭირვების გამო¹ ბევრმა მიატოვა „სალი კლდანი“ სამშობლო, და დაეშვა ბარისაკენ და ახალშენები შექმნა ერწოში თუ ცივ-გომბორის კალთებზე კახეთში.²

სატრფილო ლექსები (№№323-445, 723-730, 785, 788) შედარე-ბით ნაკლები ოდენობითაა წარმოდგენილი. ამ დარგში ხევსურები ჩამოუვარდებიან ფშავლებს. მაგრამ ჩამოუვარდებიან არა იმიტომ, რომ ხევსურებს არ შეეძლოთ ფშავლებივით მოხდენილად თქმა ლექსისა

¹ იმდენად სისხლის ძიების შიშის გამო არა (ნ. შენიშენა №204-სთან), რამდენადაც საერთო ეკონომიური სიფიწროვის მიზეზით.

² დღეს უკვე ოციოდე ადგილას არიან ხევსურები ჩამოსულნი კახეთში; ესენია: თეთრი წყლები, ვებები, სახადი, კვერნამუელი, ბულანი, იფნის გორი, ზავის წყარო, საკვერე, ალოტა, ასხაბარი, ჭიაურა, ჭართალა, ფიჭვიანი, ყულრო, ვერონა და სხვა.

სიყვარულის შესახებ, — არა, ეს დარგი პოეზიისა არ არის ხევესურის მეომრული ბუნებისათვის მაგრე მიმზიდველი. აი როგორ დაპირისპირებულია ყმა კაი და ცუდი:

კაი ყმა ლაშქარ მოკვლების, სწორების მეჯობინობასა,
ცუდაი — საცხვრის ყურესა, ქალებში ლოგინობასა.

(№284)

ან კოდევ:

კაი ყმა ვმალსა ჩახედავს: „ნეტარ, გამიჭრის თუ არა?“
ცუდაი — ქალის უბესა: „ნეტარ, შამიხვევს თუ არა?“

(№286)

ან კოდევ:

ვაშკაცს რას გამოადგების... გამჩვენეობა ქალისა?

(№288) და მისთ.

აფშინათ აბა ასე მიპმართავს მინდიასა და უშიშას (563,39):

ქალჩი მკვეხრებო ვაჟებო, კისერ არ მომიხარათა!

ხევესურს მოსთხოვეთ ლექსები უფრო ხმლის ქნევისა, ფარის ფარე-ბისა, ომისა და ცდის შესახებ, სადაც მას ვერვინ შეედრება. მაგრამ სატრფიალო ლექსებიც საკმაოდ მოეპოვებათ. განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს ლექსები ხევესურული ჩვეულების შესახებ, რომელსაც სწორფრობას ეძახიან და რომელიც ფშაურ წაწლობას მოგვაგონებს.¹ ქალების მიერ ნათქვამი ლექსები ხომ ბლომად გვხვდება საზოგადოდ ხევესურეთში და ამ წიგნშიც მოიპოვება, მაგრამ მათი შემოქმედება შედარებით უფრო მრავლად სატრფიალო დარგშია წარმოდგენილი. ქალები თავის ლექსებში განსაკუთრებით დასტირიან თავის უბედობას იმ საუკუნოებით გამტკიცებული ჩვეულების გამო, რომელიც მოითხოვს მათგან ქონებში გახიზვნას თვიურისა და შშობიარობის დროს.

სამრელო ჩამამიშალა ჩამამდინარმა წყალმაო,

ჩივის ერთი (349,2),

სამრელოს კარში ჩამავეჯე, გამზრალი ორ, გაყინული,

აღარც ჯგალათ მამიგონეს დაცილებულ-გაწირული,

მოთქვამს მეორე (№348),

¹ სწორ-ფრობის ლექსებში „მპობილი“ ვაესაც აღნიშნავს და ქალსაც (პო. ქალსაც!).

საბოლოო ჩამამაბერა, – ნიავ სცოდნია მთასაო,
ქვითინებს მესამე (№353,3).

ქალ-ვაჟის სიტყვა-პასუხი უფრო ბარშია გავრცელებული, მაგრამ მთაშიც გვხვდება და კერძოდ ხევსურეთშიც. ამის ნიმუშებია აქ №№407, 408, რომელთაც მოსდევს ამგვარივე ხასიათის გაშიარება ქალისა ვაჟის მიერ (№№409, 410), ან ვაჟისა ქალის მიერ (№№412-417), მაგრამ ესენი კენტ-კენტად არის წარმოდგენილი, – არა ჩანს, თუ რომელი რომლის პასუხია.

საღდათობისა და ომის ლექსებში (№№446-478, 674, 779) გაშიშვლებულია იმპერიალისტური სახელმწიფოს ზრახვები და მისწრაფებანი, სიტყვა და საქმე. აქ არის ლექსები, რომლებიც რუსეთ-ოსმალეთის ომზეა ნათქვამი (№465), რუსეთ-იაპონიისაზე (№674), უმრავლესობა კი საღდათად გაყვანას, საღდათის დაბეჩავებას და მსოფლიო ომის ამბებს ეხება. საღდათობის ლექსებს შორის განსაკუთრებით ერჩევა №452 (ფშაური წარმოშობისა), სადაც საღდათის დამონაგება და დამცირება უფროსების მიერ ძალიან მხატვრულად არის გადმოცემული. 465 ნომერში მშვენიერად არის დასურათებული კერძო მაგალითზე, თუ რა უბედურებას ატეხს მშრომელ ხალხს ომიანობა.

მსოფლიო ომის საშინელებანი ისეთი სიმკვეთრითაა გადმოცემული, რომ მსგავსი რამ მე არაფერი ვიცი ქართულ ლიტერატურაში. არც გასაკვირია: ლექსების ავტორები უშუალო მონაწილენი იყვნენ ომისა და თავისი თვალთ ხედავდნენ ომის მიერ თავს დატეხილ უბედურებას და განადგურებას. იმას ვერ ვიტყვით, რომ იმპერიალისტური ომის მიზნებში და რაობაში ისინი ნათლად ერკვეოდნენ, მაგრამ ბუნებრივი ალლო მინც თავს იჩენს და ერთ მათგანს მწარედ ათქმევინებს (№779):

მე ხო მშიერა დავდივარ, რას მიშველს ჯვარ-მენდალია?

შინ მივალ დახიჩაული, საქონ არა მყავ, ცხვარია.

(ვ) უყურებ ცალე კედლებსა, პურ ვის მოვსთხოვო, წყალია?

მსოფლიო ომის ამბებს უშუალოდ მოსდევს ნიკოლოზის ტახტიდან ჩამოგდება და საზოგადოდ თვითმპყრობელობის დამხობა (№№479, 480).

საუცხოვო რამ არის წერილი იმპერატორისადმი (№675), რომლის ავტორსაც დასაჭერად სდევდნენ ხელმწიფის შეურაცხყოფისათვისო.

წიგნში მოიპოვება ცოცხალი სურათები რუსეთის ფეხის შემოდგმისა და დამყარებისა: შატილის დაწვა (№253) მოგვითხრობს ცარიზმის

ჯარების მიერ ხევსურეთის აწიოკებას მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში. გვაქვს ლექსები ძველი რეჟიმის ადგილობრივი მოხელეების ძალ-მომრეობისა და უსამართლობის წინააღმდეგ: ლექსი მაზრის უფროსისადმი მიმართული (№782, გვ. 795), ნაცვალ-სუდისა და მამასახლისის წინააღმდეგ (№659), არის ზეკუციის ამბებიც, როგორც საწყალი ხალხის დარბევის ერთ-ერთი საშუალება (№222) და სხვა. ყველა ეს მშრომელი მოსახლეობის აკლების ჩვეულებრივ ამბებს გადმოგვცემს, მაგრამ გადმოგვცემს არა ჩვეულებრივად მხატვრულ ფორმებში.

ქონებრივი დიფერენციაცია ცოტად თუ ბევრად ხევსურეთშიც არსებობს, მაგრამ ვაჭარი და მემამულე, ამ სიტყვების კლასობრივი შინაარსით, ხევსურეთში არ არის. ბარში ჩამოსულ ხევსურს კი ბრძოლა ერთთანაც უხდება და მეორესთანაც¹ (№678)

სტუმარ-მასპინძლობის ლექსები (№№481-504, 771-776) მოკლე-მოკლეებია. მოკლე-მოკლე ლექსები, რომლებიც ამ წიგნშია დაბეჭდილი, საზოგადოდ ნაწყვეტებს წარმოადგენს დიდი ლექსებიდან, რომელთაგანაც ხალხის მეხსიერებას მხოლოდ რამოდენიმე მუხლი შემოუნახავს. მაგრამ სტუმარ-მასპინძლის ციკლიდან და რამოდენადმე სატრფიალოდანაც ბევრი ლექსი თავიდანვე მოკლე უნდა ყოფილიყო. პურადობას მეტად აფასებს ხევსური, რომელიც ამ თვისებას მამაცობაზედაც კი მალლა აყენებს. აი მაგალითად რას ამბობს იგი ერთგან (№503):

პურადი კაცი მამაცზე სამის გაფრენით მეტია.

ამგვარივე აზრია გამოთქმული მეორე ლექსშიც (№504). ხევსურების განთქმულ მასპინძლობას და პურადობას (რა თქმა უნდა ეკონომიური შესაძლებლობის ფარგლებში) თითქოს არ შეეფერება ის, რომ სტუმარ-მასპინძლობის ლექსები აგრე ცოტაა შედარებით, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ სტუმრობის დროს ხევსურები ერთი-მეორის საქებ სიმღერებს დაჰმღერებენ ფანდურზე. ეს სიმღერები კი ჩვეულებრივ გმირული შინაარსისა უნდა იყოს.²

¹ „სომეხი“ (678,15) ხევსურისათვის უფრო კლასობრივი შინაარსის მატარებელია (ვაჭარს აღნიშნავს ჩვეულებრივ), ვიდრე ეროვნულია. რამდენადმე ასეთია „რუსიც“, რომელიც უფრო ცარიზმის სამხედრო ნაწილებს და სამოხელეო აპარატის წარმომადგენლებს გულისხმობს.

² ეს გარემოება დ. პავლიაშვილმაც აღნიშნა („ლუდის ზღისა და ხმარების საქმე ხევსურეთში“; ივერია 1903, №№145, 149).

მამაცობასთან და პურადობასთან ერთად ხევსური მონადირეობას აფასებს ძალიან. ქურაზიშვილთაგან მიმართულ ლექსში (№233) სამი მზე იხსენიება: ერთი პურადობისა, მეორე მამაცობისა, მესამე თოფოსნობისა, – „ჯივვენ ვერ გაგივლენ მთაზედაო“. მართლაც ხევსურეთის კრიახ მთებში ჯერ კიდევ ბლომადაა ჯიხვები და რა გასაკვირველია, რომ ბუნებით მამაცსა და მეომარ ხევსურს იგი მიზანში ჰყავდეს ამოდებული? წელიწადეულში ბესარიონ გაბურს მე ერთი აწერილობა დავუბეჭდე, საიდანაც ჩანს, რომ სამ მონადირეს (მინდიას, აღუას და ივანე ბალახურისძეებს) ერთს ნადირობაზე 17 შუნ-ჯიხვი დაუხოცავთ (7 აღუას და 10 კი მინდიასა და ივანეს ერთად). ეს ამბავი მე გაზვიადებულად და გადაჭარბებულად მეჩვენა (ib., გვ. 333). ამის გამო ბესარიონი მწერდა 1927 წელს: „მე იმ წიგნში კიდევ ნაკლებს ვსწერდი და ახლა ვსწერ, თუ რამთვენი შუნ-ჯიხვი მაუკლავ. ეხკითხავ თავში მინდიას. მინდია მეუბნება: მე მოვკალ სრუ წინ-წინ, ნადირობა რო დავიწყე, ქართული ჯირიმი თოფით, რვაოცი შუნ-ჯიხვი (160), მემრ ბერდენკა რომ ვიყიდი, – ხუთოცი იმით მაკვალ (100). სრუ ყველა ბერდენკაით და ქართულ თოფით მომიკლავ ცამეტოცი სულ (260 სული). ახლა აღუას ეხკითხავ. აღუა მეუბნება: მე მოვკალ (60) სამოცი სული შუნ-ჯიხვი. აღუას, ივანეს და მინდია გაბურებს ხყავ მოკლული სულ 460 სული ნადირი“. რომ ვინმემ ამ ანგარიშშიც ეჭვი შეიტანოს მონადირეების მოთხრობისადმი ჩვეულებრივი სკეპტიკური მოპყრობის გამო და ერთი ოთხადაც შეამციროს მოკლული ნადირის რიცხვი, მაინც არ იქნება ცოტა სამი კაცისათვის. ახლა რამდენი სხვაა კიდევ განთქმული მონადირე. ჰო და, აბა რა გასაკვირველია, რომ ნადირობაც, როგორც ყოფა-ცხოვრების ერთ-ერთი მხარე, პოეზიაშიც იყოს სათანადოდ გამოხატული. და მერე რა ცხოვლად არის გამოხატული! შუნ-ჯიხვებზე ნადირობას ხევსურეთის პიტალო კლდეებსა და მიუვალ მთებში დიდი საფრთხე ახლავს. ზშირია მონადირის დაღუპვა, რომელსაც აქ სამი ლექსი ეხება ერთიმეორეზე უკეთესები (№№516, 533, 671). მონადირეობის ციკლიდან უნდა უსათუოდ აღინიშნოს ომას ლექსი „თივის თრაზე“ (№512), რომელიც, როგორც თავშივეა აღნიშნული, თივაზე მუშაობის დროს არის ნათქვამი მთაში, დასვენების დროს:

თივათ ვთრი ოროლობითა, დასვენებაიც მინდაო.

ჩავხედავ, ჩემო სოფელო, ადგილო ნაპირისაო და სხვა.

ეს საუცხოო ლექსი ასე თავდება:

ლექსო, არ დაიკარგები, ნათქვამო ომანისაო.

და მართლაც, თუ აქამომდე იგი ხვესურეთში და რამოდენადმე მეზობელ კუთხეებშიც იყო გავრცელებული და ცნობილი, ამიერიდან ქრესტომათიებშიაც შევა და, რასაკვირველია, არ დაიკარგება.

ლიტერატურული წრეები რამოდენადმე იცნობს მოყმისა და ვეფხვის სიმღერას, რომლის ფშაური ვარიანტიც პირველად დ. ხ ი ზ ა ნ ა შ ვ ი ლ მ ა დაბეჭდა. ამ ძველი ლექსისა ბევრი დეტალი დაიკარგა, მაგრამ შემონახულ იქნა მთავარი: გმირული ბრძოლა მოყმისა ვეფხვთან. ამაზე კარგი თემა აბა რა უნდა იყოს მამაცური სულით გაჟღენთილი ხვესურული პოეზიისათვის? ამიტომ ძველი ლექსი ვეფხვთან ბრძოლისა, მრავალი წლის განმავლობაში საკმაოდ დაზიანებული, ერთმა ჩვენი დროის მათქვამმა განაახლა, შეავსო და მოგვცა გავრცობილი რედაქცია (№519), რომლის ერთი ვარიანტიც ვ. კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ მ ა დაბეჭდა „ქართულ მწერლობა“-ში 1927 წელს. არ იცი კაცმა რა ამკობინო, ძველი, თუ ახალ-დართული მუხლები. ამ მაგალითიდან მკითხველი დაინახავს, რომ ხალხურ პოეზიაში ადგილი ჰქონია ლექსების საფუძვლიანად გადაკეთებასაც.

სიკვდილის ლექსებში (№№520-539, 647) ყურადღებას ბევრი იტყვევს: ერთ მათგანში (№520) მოცემულია ფილოსოფიური შეხედულება სიკვდილზე და მისი გამართლება. განსაკუთრებით ისეთ სიკვდილს უძღვნიან ლექსებს, რომელსაც ტრადიკული ხასიათი აქვს, როგორცაა მაგ. თავის მკვლელობა ქალისა (№522), რაიცა შედარებით ხშირი მოვლენაა ხვესურეთში სამრელოში გახიზვნასთან დაკავშირებით, ან კიდევ ზვავისაგან დალუპვა (№№535, 536), მტერთან დამარცხება და სხვა.

თქმულებანი ბევრია ხვესურეთში, მაგრამ მხოლოდ ზოგიერთი მათგანია გალექსილი. ასეთია, მაგ., ციხის ნაშალი (№540), შურის ციხე (№541), გაბურთ ეშმა (№547). ამათთანავეა მოთავსებული სარწმუნოებრივი ხასიათის ლექსები იაწსრისა (№№542) და კოპალას შესახებ (№543, 544), რომელთაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მთიელთ ცხოვრებაში ძველად და ნაწილობრივ ახლაც აქვთ: ესენი ძველი ღმერთებია. ქრისტიანობის გავლენამ ისინი ვერ მოსპო, თუმცა კი თავისი ელფერი გადაჰკრა მანც. თვით ლექსები შეიძლება ძალიან ძველი არ იყოს, მაგრამ მათი შინაარსი ძველის ძველ წარმოდგენას გვაძლევს. კოპალა და იახსარი (მთიელთ გამოთქმით: იაწსარი) დევებთან მეტბრძოლად არის წარმოდგენილი.

ქალაქის მომჭირნეობის გამო სამწუხაროდ ვერ მოვიყვანე შენიშვნებში თ. რ ა ზ ი კ ა შ ე ი ლ ი ს მიერ ჩაწერილი პროზაული თქმულება კოპალას შესახებ (R34-36), ვერც მისივე (ბ ა ბ ლ უ ჩ ო ნ ა უ რ ი ს სიტყვით) ჩაწერილი „ღთიშვილთ დაბადება და ქადაგება“ (R44-49). ძველი სარწმუნოებრივი წარმოდგენა ხევესურებისა (ხშირად ქრისტიანულად ელფერ-გადაკრული) სხვა-და-სხვა ლექსის მუხლებშია გაკვრით გამოთქმული. მრავლისაგან მხოლოდ ერთს დავიმოწმებ: გუდანის ჯვარი მთავარი სალოცავია პირ-აქეთ ხევესურეთში. იგი, როგორც ბევრი სხვა „ჯვარი“ ანუ „ხატი“, ადგილობრივი მოსახლეობის ძველი ღმერთია ქრისტიანულად გადაკეთებული. ფეოდალური ეპოქის საზოგადოებრივი ურთიერთობის ტერმინოლოგია სარწმუნოებრივ სფეროშიც იქნა გადატანილი: ჯვარი „ბატონია“ და მისი მოსაენი კი „ყმები“. და როდესაც გუდანის ჯვარმა „ბრძანა“ ქადაგის პირით (№176):

საათენგენოდ გამიძღვან სამის ბატონის ყმანო¹,
სამი ააბან ღროშაი, სამსავ შაბან ზარიო,
წვესურებ დაამწყალობნან, წყრომით არ გახყვას ჯვარიო,
გაბეგრან არხოტიენები, კვამლზე აიღან ცხვარიო,

მაშინ:

გაიგა არხვატის ჯვარმა, წელზე შაირტყა წმალიო

და გუდანის ჯვარს შემოუთვალა:

მე სხვაენით ამაქე ბეგარი. დამპალო, სა მიხვალიო?

კაი თავაზიანი მიმართვა კია: ღმერთი ღმერთს დამპალს უწოდებს!² ეს ამბავი გასაგები იქნება, თუ მოვიგონებთ, რომ ხევესურები მხოლოდ თავ-თავის სალოცავს სცნობენ, რაიცა თავის მხრით გვაროვნული სისტემის ყოფა-ცხოვრებაზეა დამყარებული.

საკუთრივ ქრისტიანული წარმოშობისაა: იშრიშობა (№555) და ალების ღამე (№557), რომლებიც ბარიდან შესული ჩანს მთაში. ხევესურის წარმოდგენა საიქიოს შესახებ, გამოხატული №560-ში, არსებითად განსხვავდება ქრისტიანული ეკლესიის მიერ შემოტანილი

¹ გუდანის ჯვრისა, ხახმატის ჯვრისა და ბაცალივოს ჯვრისა.

² „ერთი ხევესური, მამასახლისი, მოძრეველ სასამართლოში საქმის გარჩევის დროს გვარწმუნებდა ჩვენ, რომ მათი ღმერთები ჩვენს, ქართველების ღმერთს, არ ჰკვანან, ავგულები არიან და ძრიულ მალე შემოსწყობიან ხოლმე ხალხსაო“ (ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი, ფონოგრ. წერილები: დროება 1885, №166).

მოდღერებისაგან საიქოს შესახებ. უკანასკნელი ორი ლექსი (№545, დევების ჯორწილი და №546, დევების ამომწყვეტი) მაჩვენებელია იმისა, თუ როგორი ცოცხალი სურათების დახატვა შეუძლია ხალხს დევების შესახებ გავრცელებული ძველი თქმულების ნიადაგზე.

გალექსების სათაურით თავმოყრილია ისეთი ლექსები (№№561-603), რომლებიც ჩვეულებრივ ერთგვარ კამათს წარმოადგენს ორ მე-ლექსეს შორის.

ლექსი ხვესურთ ძველებური გავებით „სიმღერის“ საპირისპირო ჟანრია: სიმღერე საგმრო საქმეების წყობილ სიტყვად ასხმულ ქმნილებას ჰქვია და თავისი მუსიკალური ჰანგი აქვს ფანდურზე, ლექსი კი ყოველგვარ სხვა შინაარსის შაირს ეწოდება, კერძოდ ისეთებსაც, რომლებიც შექცევისა და ერთიმეორის სალაღობოდ გამოითქმის ხოლმე. „მაღლქეს ახიელლებმა“-ო, ამბობს მინდია (569, 1), „ოსიკას ვულექსებივარ“-ო, ამბობს გიგიტელი (579, 1); „მანგიავ, ქალებს გილექსებ“-ო, ამბობს ოსიკა (578, 3) და აქედან არის აღებული სასათაუროდ „გალექსება“. იგი მთლად არ შეეფერება იმ განყოფილებას, რომელსაც უზის, მაგრამ ჯერ-ჯერობით უკეთესი ტერმინი ვერ მომინახავს. უმრავლესობა ლექსებისა აქ ისეთია, რომ მეგობრული კილო აქვს და ერთმანეთის გასახარელად და გულის მოსაგებად ითქმის ხოლმე, და არა გასაჯავრებლად ან საწყენინებლად. სიმონ გაბური ერთგან კარგად შენიშნავს: „ეს ერთუცის ლექსობა განა კი სწყინდა? გულს ახარებდეს და იცინოდეს. ეს იყო იმათი გახარება“-ო (№568, შენიშვნა). მაგრამ გაშირება ხდება ხოლმე გადაკიდების ნიადაგზე, ან კიდევ თავ-დაუჭერელი ტონით ნათქვამი ლექსი თვითონ ხდება მიზეზი გადაკიდებისა, რასაც ზოგჯერ ჩხუბი და ხანდახან დაჭრაც მოსდევს ხოლმე. სხვათა შორის ქალების გაშირება სწყინთ ძალიან და ამას შფოთი და შეხლა-შემოსლა მოჰყვება ხოლმე.

ვინ გვიშირე ქალ-ზალი? გაძეხ ჯანმატელთ ჭირითა!
ბობოქრობს ერთი (595, 1).

ქალებ რომენმ გვიშირე, მკვდართამც გიძე მელაიო!
ცხარობს მეორე (582, 5). გასპარასა და ლიქოკლებს შორის ატეხილ ცხარე შეკამათებას ლექსებით (№№582-583) ხმლის ჩარევა მოჰყვა საქმეში (№583,9):

გარმაქნეულ გარმაჩინდა ჳმალი ფხა-შიშველაიო.

ან კიდე (584, 3):

მამასწერეს ხახონაურთა, იდგა თურების¹ პრიალი.

ნარეუში (№№604-733) და დამატებაში (№№769-778) მოხვდა ლექსები, რომელნიც უმთავრესად ამ წიგნის ბეჭდვის პროცესშია მიღებული, თუ ჩაწერილი ან ჩაწერინებული ჩემ მიერ. ამიტომ აქ გვხვდება როგორც სამამაცო ხასიათის ლექსები (№№604, 670, 769, 777, 778), ისე სატრფიალონი (723-726 და სხვ.), საღდათობისა და ომისა (№№609, 674, 779), სტუმარ-მასპინძლობისა (771-776), ნადირობისა (671, 672), სიკვდილისა (606, 647) და სხვ. აქვეა ლექსები საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ (№723, 733).

შ რ ო მ ი ს ჰ ა ნ გ ე ბ ი მრავალგან გაისმის ლექსებში. და ეს არც საკვირველია: პოეზიის ნიშუშები, რომლებიც აქ არის თავ-მოყრილი, ხომ მშრომელთა მასიდან არის გამოსული.

თივით ვთრი ოროლობითა, დასვენებაიც მინდაო,

ასე იწყებს თავის შესანიშნავ ლექსს არხოტელი მინდია წიკლაური (512).

ხუთშაბათ გათენებასა ურემ წავიდა მთისაო,
საგათენებოდ შამაჯდა თხორუს თავ წვერის ძირაო,
დავკონენ თორმეტნ თივანი ნაბაკურაის პირაო,

მისძახს მინდიას შატილელი სამუკა ჯინჭარაული (513). ბესარიონი ხარის ქედს დაჰმღერის (617):

ერთგულადა სწევ ულელსა, უდარდელი ხარ ჯავრისა.

უსახელო ავტორი საქონლის ჭირს მოთქვამს (№625), სხვა კიდეე ყანის დასეტყვას შემოგვჩივის (№624). წიგნში საუბარია შეშის ჭრაზედაც (№682), ფიცრის თლაზედაც (№№580, 683), წისქვილის

¹ თ უ რ ი ქისტური სიტყვაა და ხმალს ნიშნავს. ჩვეულებრივ იგი არ იციან ხეესურეთში, მაგრამ ლექსში მეტი ეფექტიანობის მიზნითაა ნახმარი.

სხვა ლექსები გასპარასი მგელას შესახებ („ქობულოს მგელა დაკარგეს“ და „ჴმალს რად არ იბომ, მგელაო“) აღარ დაებეჭდე, რადგანაც მგელას პასუხი არ ვიცი, გარდა იმისა, რომ მგელა ხმლით გაუსწორდა გასპარას: გზაში მოასწრო, გააქცია და გაქცეულს აღარ დაეღვნა

გამართავზედაც (№680), ყანის მკაზედაც (№№694, 696) და სხვა. შრომის ჰანგზეა აგებული მთლად ლექსი №715, იგივე ჰანგი მოისმის ხევსურულ ნანაშიც (№713 გ. გვ. 753):

ეე ნანო ძილასაო, სამკალ გაჩენილასაო.

იმპერატორისადმი მიმართულ ლექსში (№675) შრომის დაპირდაპირებაა უსაქმობისა და მუქთახორობისადმი:

სიელის სამკალა(დ) წაგიყვან, ნამგალს მოგაწვდი ჴელშია
და სხვა.

მთლიანად შრომის ჰანგებზეა აწყობილი მთიბლური ლექსები (№№734-769): „თიბა(დ) გავიდეს ჩარგალელნი“ (734, 1), „თიბის სამშაბათსამც მათიბივა იმ ჩემით ბროლიით ცელითა“ (735), „ცელი ვლესე და ვერ გავლესე“ (737), „იმ შენსა გამახედენაში ცელი ჩორჩში გავამტვრიეო“ (742, 3-4), „გუდელას მუშა აირიეაო“ (745, 1), „შარვანულო შავარდენო, მუშები გიხარიან-დაეო? უბან მამკალნი ქერ-იფქლ ზედაო წყაროს კარ გიხვევიან-დაეო“ „უდელას გიცან მთიბლებშია“ (755, 4), „სადილობამდინ დათვიამა სამი ნამწრევი აიტანა“ (757, 1-2). „არა ჭრის ამანათის ცელი“ (761, 1), „ყანა მკეე, დელის მშვენიერო“ (767, 1), „ქარო, გაგინე მირეშაო, — შენ გადამიწან უდელანი“ (762), „მთაში მთიბლების სამღერალო, ნამწრევი საკაფიო“ (768, 4-5) და სხვა. შიგა და შიგ გვხვდება აქ ისეთები, რომელთა შინაარსიც მკედრის დატირილს წარმოადგენს (739, 747, 748, 767, 768) ან ადგილ-მამულების თაობაზე ატეხილ დავას (745) და სხვა.

მთიბლურ სიმღერებში, სხვათა შორის, ჩარგალია ხშირად მოხსენებული (734, 1; 748, 4; 749, 5; 754, 3; 766, 2). შეიძლება ამასთან კავშირი ჰქონდეს თქმულებას იმის შესახებ, რომ ხევსურების წინაპარი ჩარგლიდან აფშოს გადასახლებულა და იქიდან ხევსურეთს, გუდანში.¹

ერთია ძალიან საყურადღებო მთიბლურ ლექსებში, — ეს გახლავს მათი ფორმა, რომელიც სრულ კონტრასტს წარმოადგენს დანარჩენ სიმღერა-ლექსებისას. აქ არ არის რითმა, რომელიც აუცილებელი ნიშანია ქართული ხალხური ლექსისა საზოგადოდ. არც თუ მარცვალთა რაოდენობით უდგება ამ ციკლის ლექსები სხვა ლექსებს. თუ არ მი-

¹ თქმულების ერთი ვერსია რ. ერისთავს მოჰყავს (О тушино-пшаво-хевсурском округе: Зап. Кавк. Отд., Р.Г.О., III, 1855, გვ. 79. აქედან გადაბეჭდა ყამარულმა, Хевсурья, Тиф. 1929, გვ. 47). მეორე მოჰყავს თედორაძეს (ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, ტფ. 1930, გვ. 82). ერთი მეც მაქვს ჩაწერილი 1911 წელს.

ვიღებთ მხედველობაში შიგა და შიგ მღერის დროს ჩართულ მარცვლებს, არც გვრინში დასაყოლებელ ბოლო ხმოვნებს (უშთავრესად ონს), გამოდის, რომ საზოგადოდ მთიბლური ლექსის მუხლი (თუ მუხლის ნახევარი) ცხრა-მარცვლოვანია, და არა ათი, როგორც შეიძლება ზოგ მათგანმა გვაფიქრებინოს:

ცელი ვლესე და ვერი გავლესე
შარცაჩეულო შავარჯენო
ლაშარსი მშაელები ახოხორჯა
ყანა მკევი დეღისი მშეენიერო და მისთ.

ეს ამბავი ძალიან დამაფიქრებელია. იგივე მოვლენა ახასიათებს, — როგორც შენიშვნებში მოყვანილი ვარიანტიებიდანაც ჩანს, — გუდამაყრულსაც და ფშაურსაც. სამწუხაროდ ჯერ არა მაქვს მთიბლური ლექსები სხვა კუთხეებიდან (მაგ. თუშეთიდან, ხევიდან, მთიულეთიდან, ქართლიდან, კახეთიდან), რომ ვიმსჯელოთ, თუ რამდენად დამახასიათებელია იგი საერთო ქართულისათვის. ყოველ შემთხვევაში ასეთ სიმღერებში უნდა გვქონდეს ერთ-ერთი ნიმუში უძველესი ქართული ლექსისა, რაიცა ფრიად მნიშვნელოვანია ქართული მეტრიკის ისტორიისათვის.

ლექსს მთაში კიდევ აქვს შერჩენილი ძველი ხასიათი, შესრულებულ იქნეს მუსიკალურად, ე.ი. სიტყვები გალობით იქნეს წარმოთქმული, ან დამღერებულ იქნეს ფანდურზე, ხშირად მესამე ელემენტთან შეერთებით, პლასტიკასთან, ტაშის-კვრითა („ტომ-ფანდური“) და ცეკვა-თამაშობით, რაზედაც მიგვითითებს თვით სახელწოდება ხვესურული ლექსების ერთი დარგისა: ს ი მ ღ ე რ ე.¹ ამიტომ თავის თავად ცხადია, თუ რა მნიშვნელობა აქვს სიტყვებთან ერთად მუსიკალური კილოს გადაღებას და გამოქვეყნებას. კერძოდ მთიბლური ლექსების სასიმღერო ჰანგები თვით ტექსტის შესახებაც გვეტყოდა რასმე და ამით ქართული მეტრიკის ისტორიისთვისაც.

¹ მღერა ძველად თამაშობას აღნიშნავდა (და არა გალობას). სიმღერე ხვესურეთში უფრო იმას გულისხმობს, რომ ჯარში უფროსები დასხლება, ხელში ლუდიანი ჯამები უჭირათ. უმცროსები კი თავ-მოხდილება და ცალ მუხლზე დარჩილი. ერთ მათგანს ფანდური აქვს და ამღერებს საგმრო შინაარსის სიტყვებს, შემდეგ ფანდურს მერეებს გადასცემს და ახლა ის დაამღერებს. შემდეგ იგი მესამეს გადასცემს. იგი კიდევ სხვას.

ეს წიგნი დასაწყისია ქართ. მხატვრული ფოლკლორის მთელი სერიისა. იგი ბევრისთვის უთუოდ საკვირველი და განსაცვიფრებელი მოვლენა იქნება: ბევრს აქამომდე არც კი ჰქონდა კარგად გათვალისწინებული, თუ რა საგანძურს წარმოადგენს ხალხური შემოქმედება და რამდენი მარგალიტი მოიპოვება შიგ. ამ წიგნის გამოსვლით ფარდა აეხლება ამ საგანძურს და ყველას შეეძლება ეს მარგალიტები ხელი-ხელთ აგომანოს. წიგნის გამოცემა თანაბრად სასიხარულოა როგორც ლიტერატორთათვის და სალიტერატურო საკითხების მკვლევართათვის, ისე ენათმეცნიერთა, ეთნოგრაფთა და მუსიკის თეორეტიკოსთათვის. ყველა იპოვის შიგ თავისთვის გამოსადეგსა და სასარგებლო რამეს.

სალიტერატურო საკითხების მკვლევართათვის ფართოდ ისმის საკითხი ხალხური შემოქმედების (კერძოდ პოეზიის) და ლიტერატურის ურთიერთი გავლენისა და დამოკიდებულების შესახებ. ბევრი ჩვენი გამოჩენილი მწერალი (მაგ. აკაკი, ა. ყაზბეგი, ვაჟა და სხვ.) ეტრფოდა ხალხურ პოეზიას და აგროვებდნენ კიდევ მის ნიმუშებს. ყაზბეგისა და ვაჟას შეკრებილ მასალათაგანი ზოგი ამ წიგნშიც არის შემოსული. მთიდან გამოსული ორივე დიდი მწერალი თავის ნაწერებში ხალხურ შემოქმედებას დიდ ანგარიშს უწევდენ და ერთი მათგანი მანც, ვაჟა, ამ პოეზიაზე ჩანს სკოლაგავლილი. ვაჟა ძლიერია, სადაც ხალხურ თქმულებათ და ხალხურ ამბებს (რა თქმა უნდა, თავისებურად გადაკეთებულსა და გადამუშავებულს) ხალხური ლექსების ფორმითვე გვაძლევს და სუსტია, სადაც ამ ნიადაგს ჰშორდება. მისი „ალუდა ქეთელაური“, „ბახტრიონი“, „სტუმარ-მასპინძელი“, „ხის ბეჭი“, „სისხლის ძიება“, „გველის მჭამელი“, „ძალლიკა ხიმიკაური“ და ზოგი სხვაც საუცხოვო მაგალითია ამისა. ეგებ ლიტერატორთათვის ინტერესს-მოკლებული არ იყოს ის გარემოება, რომ ამ წიგნში მოიპოვება ზოგიერთი წყარო ვაჟას შემოქმედებისათვის და პარალელები მის მიერ დამუშავებული თემებისათვის: ბახტრიონის აღებისა და ზეზვა გაფრინდაულის ლექსებს რომ თავი დავანებოთ (რომელთა ფშაურ ვარიანტებსაც თვითონვე ასახელებს), შეიძლება მიუეთითოთ ლუხუმზე, (ამ წიგნში №91), რომელიც მხოლოდ ზოგადი ხაზებით მოგვაგონებს ვაჟას ლუხუმს „ბახტრიონ“-ში. ვაჟას პოემა „ხის ბეჭი“ აგებულია თქმულებაზე, რომლის ვარიანტიც ამ წიგნშია მოყვანილი (ნ. შნშ. №720-თან). ძალლიკა ხიმიკაურის შესახებ ამ წიგნშიც მოიპოვება ხალხური ლექსის ნაწყვეტი (№117).

„სტუმარ-მასპინძელ“-ში რომ ორი თემა ერთმანეთზე გადაბმული: ერთი მასპინძლის მოვალებობისა სტუმრის წინაშე და მეორე საფლავზე შეწირვის ამბავი, ორივე პარალელს პოულობს ჩვენს მასალებში: გარეშე მტრისაგან სტუმრის დაცვა, თუნდაც ეს სტუმარი მოსისხლე მტერი იყოს მასპინძლისა, გადმოცემულია მთრეხელის ამბავში (№42). ასეთივე ხასიათისაა ამხანაგის მიერ შემთხვევით დაჭრილი ხევსური მონადირის მიღება და სათანადოდ მოვლა და პატივისცემა მოსისხლე ქისტის მიერ (ნ. შენიშვნა 517 ნომერთან, გვ. 655). ქისტის საფლავზე ხევსურ ზვიადურის შეწირვა ვაჟას პოემისა არსებითად იგივეა, რაც თუშის ლუის ლუხუმის სამსხვერპლოდ დაკვლა ქისტის საფლავზე (№143). შეიძლება სხვა პარალელებზედაც იქნეს მითითებული, მაგრამ კმარა. მხოლოდ უნდა აღვნიშნო, რომ ვაჟა მართალია, უცილობლად მართალია, როცა იგი, ი. ვ ა რ თ ა გ ა ვ ა ს შენიშვნის გამო, გააკვიმარტავს, თუ როგორ ეყრობა იგი თავის პოემებში ხალხურ თქმულებათ და გადმოცემათ (თხზულებანი, III, გვ. 449 და შემდ.): ხალხურ თქმულებათ ვაჟა-ფშაველას ნაწერებში ყველგან თავისუფალი მოპყრობისა და გადაკეთების ცხოველი ბეჭედი აზის.

ხალხური პოეზიისა და ლიტერატურის ურთიერთობის სფეროდან კიდევ ბევრი და მნიშვნელოვანი საკითხები ელის გაშუქებას, ვინაიდან ხალხური პოეზია მიმდებარის არის სესხისა ხელოვნური წყობილსიტყვაობიდან და სამაგიეროს გადამხდელიც.¹

ეთნოგრაფისათვის აქ მრავალია საინტერესო მასალა და საბუთები ხევსურთა რჯულისა (მაგ. 627) და საზოგადოდ ზნე-ჩვეულებისა. რად ღირს თუნდაც მხატვრული აღწერა ხელოსნის მოვალებობისა ჯვარში (№667):

ბულაურობით ჯარს უნდა, პირის საბანზე ცხვარსთანა,
რქა-ჯანგანზედ ვერძს უნდა, კიკინ-მალაღზე თხასთანა,
თასთ უნდა ჭიქა-ბარზიმზე, სეფეზე, სასანთლესთანა.

¹ ძალიან საინტერესოა, დაისვას საკითხი ხალხურ პოეზიაში ერთი მათქვამის შემოქმედებაზე მეორის გავლენის შესახებ. ეს საკითხი ქართული ხალხური პოეზიისათვის ახალიაროგორც ახალი ამბავია თვით ამ პოეზიის მეცნიერული შეკრება და დაბრუნება. თუ რომ ერთი მწერლის გავლენა მეორეზე შედარებით ადვილი გასათვალისწინებელია წერილობითი ძეგლების არსებობის გამო, ხალხურ პოეზიაში, სამაგიეროდ, ასეთი საკითხის გადასაწყვეტად დიდი სიძნელის დაძლევაა საჭირო ამ სპეციფიკური ხასიათის გამო. ამ წიგნში საქმოდ მოიპოვება მასალები ამგვარი საკითხების კვლევა-ძიებისათვის. მაგრამ განსაკუთრებით თვალში ეცემა კაცს, რომ სამუკა ჯინჭარაულის ლექსი „სათიოდ“ (№513) ნათქვამი უნდა იყოს მიხნდა წიკლაურის (ომას) ლექსის გავლენით (№512).

იმაზე დამატებით, რაც ზემოთ ვთქვი სისხლის ალებისა და სწორ-ფრობის შესახებ, შეიძლება გაკვრით აღნიშნო კიდევ სხვა მხარეებიც ორიოდ მაგალითით: სალაშქროდ გამგზავრებისას დაწესებული ცერემონიალი კოსტად და ლამაზად არის გადმოცემული 167 ნომრის ვ ვარიანტში (გვ. 501), სამრელოს ყორის ქვების შინ შემოტანა იწვევს საუკუნობით გამტკიცებული წესის შებღალვას და ერთგვარ პროტესტს (№668), სასკოლო აღმშენებლობის დარგში ჯერ კიდევ ზოგიერთი ძველი შეხედულებაა დასაძლევი (№732), „სახელ-სირცხვილს“ ვერ ხედავს თავის ირგვლივ კახეთს ჩამოსული ხევსური (№678) და სხვა და სხვა.

ხალხური მუსიკის მიმდევრისათვის ძვირფასი იქნება ფართოდ მოყვანილი ვარიანტები და ცნობები თვითეული ლექსის შესახებ. კომპოზიტორი დ. არაყიშვილი სიმღერების ჩამწერტა საყურადღებოდ აღნიშნავდა, რომ, „ყოველი სიმღერა, როგორც ვიცით, შესდგება მუსიკისა და ტექსტისაგან. მუსიკა ასე თუ ისე გამოხატავს ტექსტის შინაარსს. რადგანაც ჩვენს დროში ერი ხშირად მღერის ერთსა და იმავე კილოზედ სხვადასხვანაირ ტექსტს, სრულიად სხვადასხვანაირი შინაარსისა, ამიტომ საჭიროა სიმღერის დამწერისათვის მეტის-მეტი სიფრთხილე, საჭიროა გადასინჯვა ყველა ტექსტის და ჩაწერა მხოლოდ იმისი, რაც უფრო შესაბამება ჩაწერილ მუსიკას“—ო (ივერია 1900, №30). გადასინჯვისათვის მუსიკოსს აქ მზამზარეული მასალა ეძლევა ხელში.

ენათმეცნიერისათვის აქ ბევრია საყურადღებო, როგორც გრამატიკის მხრით, ისე ლექსიკისა. ამაზე აქ აღარც კი შევჩერდები, რადგანაც სპეციალურად მექნება ვრცელი მიმოხილვა მეოთხე ტომში. იქვე იქნება წარმოდგენილი ვრცლად ლექსტა მოძრაობა და ცვალება ისტორიულად და გეოგრაფიულად ეპოქის საერთო მიმდინარეობასტან და გეოგრაფიულ-სოციალური წრის გემოვნებასტან შეფარდება-შეგუებით, ლექსის პოეტიკა, კერძოდ ხერხი ავტორისა შენახულ იქმნეს ლექსი მისი სახელიტ, შედარებანი, რომელტაგანაც ბევრი შაბლონადაა გადაქცეული და სხვა და სხვა. ახლა კი ნებას მივსცემი ჩემ ტავს უბრალოდ ჩამომეთვალა მრავლისგან მხოლოდ რამოდენიმე ლექსი, რომელტაც უეჭველია დიდი მხატვრული შემოქმედების ბეჭედი აზის, მაგრამ მიჭირს, — არ ვიცი რომელს მივსცე უპირატესობა, ისე კარგებია ბევრი მათგანი. აი ტუნდაც „სიმღერე“ გორის ბრძოლისა (№48), სადაც ბევრი ხევსური გაწყდა. რა სიმღერიტ არის გადმოცემული ბრძოლის მომენტები და შემდეგ ბრძოლის მძიმე შედეგი ხევსურტათვის ლექსის

ბოლოში! რა სისუბუქე და გაქანებაა ხევსურების ხევზე გალაშქრების ლექსში (№170), ან რა თამაშობაა ნაროზ ბლოელისაში (№147)! რა ღრმა გრძნობებით არის გამობარი „თივის თრაზე“ (№512), რა მძიმე ფერებით არის დახატული მონადირეთა დაღუპვა (№№516, 533, 671), ან რა მოლივლივეა ქალის მიერ გამოთქმული ლექსი მობილიზაციასთან დაკავშირებით (№609). რომელი ერთი ჩამოთვალაო? ცუდია სიკვდილის სურათი? (№647). ვერ არის ოსტატურად გამოცემული გამარჯვებულის ზეიმი? (№670). ზოგი მათგანი (მაგალითად „გაეიარე და ვეიბეცა“, ისე როგორც №778) ისეთი მხატვრული ღირსებით არის შემკული, რომ გარეგნული ფორმა გზიბლავთ და დროებით თვალს გარიდებინებს შინაარსზე, რომელიც მეცხვარეების დარბევა-აწიოკებას წარმოადგენს.

თავი რომ დავანებოთ სხვებს, როგორც დიდს, ისე წვრილ-წვრილ ლექსებს, აგრეთვე ცალკე მუხლებს, რომელთაგანაც არ მშორდება მეხსიერებიდან გაფრინდაულის „ზეერვა“ ხმლისა და სიტყვები (27,4):

მგელს დავაცვითე კბილები, ტურას ლოყები ჭამითა.

ერთი ვიკითხოთ: ზემორე ჩამოთვლილ ლექსთაგან რომელია ნაკლები ვეფხის ტყაოსნის რომელსამე ტაეპზე, ან ვაჟას პოემების რომელიც გნებავთ იმ ადგილზე? ხალხური ლექსების სიმშვენიერე კიდევ უფრო სიცხადით წარმოგიდგება, როცა დაიბეჭდება სხვა ტომებიც და განსაკუთრებით, ფშავური ლექსები. ზოგი რამ მაშინ ეთქვათ, საეხლაოდ კი ეს ვიკმათ.

რა თქმა უნდა, ამ კრებულში ბევრი სუსტი ლექსიც გვხვდება, მაგრამ სუსტი ადგილები ვეფხის ტყაოსანშიც კი მოიპოვება და არც ვაჟაა იმათგან თავისუფალი. მე არ ვაწარმოებ შერჩევას, რადგანაც ეს არ არის მეცნიერული, არამედ ვბეჭდავ ყველაფერს, გარეგნული ფორმით, გინდ კარგი იყოს, გინდ ავი, ოღონდ დამახასიათებელი კი იყოს კუთხისათვის. ამავე მოსაზრებით არ შემისწორებია მუხლები, რომლებიც ზოგჯერ ვერაა კარგად გამართული: აკლია მარცვლები, ან ზედმეტი მოეპოვება.

ვაუკაცობის გამოსახატავად ხშირად იხმარება ეპითეტად ცხოველებისა და ფრინველების სახელები: ვეფხვი, ლომი, ირემი,¹ ჯიხვი, ხარი, არწივი ან ორბი, ქორი, მიმინო, შავარდენი. ეს ეპითეტები ბევრ-

¹ ჩვეულებრივ ირემს, სხვანაირად კიდევ მანძილას, უფრო იმის ეპითეტად ხმარობენ, ვისაც კლავენ.

გან გეხვდება, მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა სიმღერე „გაგაის ძობი“ (№182), სადაც ცხოველთაგან გეხვდება ვეფხვი (მ. 22), მგელი (მ. 5) და მანძილა (ე.ი. ირემი, მ. 20), ფრინველთაგან კი: არწივი (მმ. 7, 11), ორბი (მ. 9), შავარდენი (მ. 4) და ქორი (მ. 8).

ფარ-წმლის კარგად ხმარება, თავის დაღება, გმრობის გამოჩენა, კაი ყმობა, ველად გასვლა, ცდა და სახელის მოტანა, ეს ვაჟკაცობის აუცილებელი და სავალდებულო პირობაა. ცდისათვის კი იარაღია საჭირო. ამიტომ, რომ საომარ იარაღს აგრე აფასებს ხევსური, რაცა პოეზიაშიც ძალიან კარგადაა გამოხატული: ხ მ ა ლ ი (ფრანგული, გორდა და სხვ.), თ ო ფ ი (ხირიმი, ბუნა, სიათა და სხვ.), ჯაჭვი, ძველ ლექსებში კიდევ მშვილდ-ისარი ისეთი საგნებია, რომელთათვისაც სასიყვარულო სიტყვები, ეპითეტები და ხოტბა ბლომად მოიპოვება. ჩვენბური მშვილდ-ისარი დღეს თითო-ოროლა თულა მოიძევა მუზეუმში¹. ხევსურული პოეზიიდან კი ვტყობილობთ მათ აღწერილობას: მ შ ვ ი ლ დ ი შეიძლება იყოს რქისა (42,4; 182,19), ანუ რქიანი (5,10; 15,4; 44 ე, 13; 141,13; 186,5), მომეტებულად ჯიხვის რქისა (506, 3), გოზა-წითელი (141, 13; 260, 2), ისარი შეიძლება იყოს კილო-წითელი (506, 4), თბე-შავი (144, 8), თბე-წვრილი (255, 10), თორღვა ფშავლებს ბეგრად აღვეს არწივის ფრთების შეკრებას საისრედ (44, 11) და სხვა. იარაღის დაფასებასთან ერთად ლექსებში იმასაც ვხვდებით, რომ მათ ხმარებას ხშირად ოჯახის გაჩანაგება მოსდევს, მაგ. ხმალზე დანდობა არ შეიძლება, რადგანაც იგი „მშვიერი მგელია“:

სადღეოდ გულის მკეთიე, სახვალოდ ლიბუს მთხრელია,
გაგატანინებს მამულსა, გედვას კარის პირ მტყელია.

(№270)

* * *

ორიოდე სიტყვა გამოცემის გარეგნულ მხარეზედაც: ამ წიგნში შემოვიტანე ყველაფერი, რაზედაც ხელი მიმიწვდებოდა: ჩემი კოლექციიდან (სადაც ჩემ მიერ პირადად ჩაწერილ მასალებთან ჩემი თანამშრომლების მიერ ჩაწერილ-შეკრებილიც მომეპოვება), მუზეუმში დაცუ-

¹ სხვათა შორის, 1923 წელს სვანეთში ყოფნის დროს გულის ეკლესიაში (ბეზოში) დათვალი 400-ზე მეტი ისარი.

ლი ხელნაწერებიდან, თუ დაბეჭდილი მასალებიდან. სათანადო ბიბლიო-ოგრაფიის უქონლობის გამო ჟურნალ-გაზეთებში გაბნეული მასალის მოძებნას ბევრი დრო და მოცალეობა სჭირდება და ძალიან ძნელია, რომ რაიმე არ გამოგეპაროს. მოწადინებული კი ვიყავ, რომ სადმე თუ კია დაბეჭდილი ხეცსურული ლექსი ან მისი ვარიანტი, ყველა შემომეტანა ან აღმენიშნა მაინც. უეჭველია, თითო-ოროლა შემთხვევა გამორჩენისა მაინც იქნება, მაგრამ ვფიქრობ, რომ ღიღისაგან ღიღი ნაწილი აქამოდღე დაბეჭდილი მასალისა თავ-მოყრილია ყველა. ყოველ შემთხვევაში ნაკ-ლის შევსება ამიერიდან ადვილი საქმეა.

შენიშვნებში ვცდილობდი რაც შეიძლება მოკლედ მომეჭრა სიტყ-ვა. რაკი სიტყვების ახსნა და საკუთარ სახელთა ინდექსი ცალკეა განზრახული, ამიტომ შენიშვნებში უმთავრესად ტექსტის დადგენა და შინაარსთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება იყო საჭირო. ტექსტის შესახებ შენიშვნათაგან მხოლოდ უმთავრესებია აქ შემოტ-ანილი. ამაში მოქცეული მასალა შეკრებილი სხვა-და-სხვა დროს და სხვა-და-სხვა მომზადებისა და ინტერესის მქონე პირთა მიერ. სამ-წუხაროდ, ისეთ დიდ საქმეს, როგორცაა მხატვრული ფოლკლორის მასალების შეკრება-შესწავლის საქმე, ჯერ-ჯერობით მტკიცე ორგანი-ზაციული ხასიათი არ აქვს ჩვენში მიღებული. თუ ჩამწერ-შემკრებნი ადგილობრივი მკვიდრნი არ არიან, ენის თავისებურებათა უცოდინარ-ობის გამო ფორმებს ხშირად ისე ასხვავებებენ, რომ ზოგჯერ ძნელია ნამდვილის გამოცნობა. ამას დაურთეთ დაუდევარი ბეჭდვის გამო წარ-მომდგარი უხამსი შეცდომები, რომლებიც მშვენიერ მასალას ხშირად ძალზე ამახინჯებს¹. ვეცადე, რამდენადაც კი შეიძლებოდა, შეცთომები გამესწორებინა და ტექსტის ნამდვილი სახე დამედგინა. ზოგი ჩემი შესწორება არც კია აქ აღნიშნული, თუმცა, — უნდა აღვნიშნო მაინც, — სამეცნიერო გამოცემაში ზედმიწევნილობის დაცვის გულისთვის საჭ-ირო იყო ყველა წერილმანი ამენიშნა. ეს შეეხება არა ისეთ მარტივ საქმეს, როგორცაა პირის ნიშნად ჰეს ნაცვლად ხანის ჩასმა, ან წარის აღდგენა სათანადო ადგილას (რაიცა თავის თავად იგულისხმება), არ-ამედ ზოგი სხვაც ფორმალური ხასიათისა.

¹ ხალხური პოეზიის დიდი მოტრფიალე უცნობი პირი, რომელსაც ხომარაში (ფშავეში) ჩაუწერია ლექსები, ივერიის რედაქციისადმი მიმართულ წერილში აუცილებელ პირობად სცნობდა ლექსის ენის შეუცვლელობას (ივერია 1890, №148), მაგრამ ასეთი საღი შე-ხედულება განა ყველას მოეპოვებოდა?

შინაარსის შესახებაც შენიშვნებში მეტად ვუძნწობდი. შეიძლება ეს იმითაც მომდიოდეს, რომ მე რომ ვიცი, მგონია სხვადაც იცის-მეთქი და ზოგჯერ ალბათ ისეთ რასმე ვუვლი გვერდს, რაიცა მკითხველთა დიდი უმრავლესობისათვის ასახსნელია. მე მაინც ვფიქრობ, რომ ამჟამად ისეთ მდგომარეობაში ვიმყოფებით, რომ სჯობია სანდო ტექსტები გავამრავლოთ, ვიდრე დეტალურ გამოკვლევებს გამოვეყილოთ თვითეული ლექსის შესახებ, თუმცა დაწერილებითი შესწავლის ფასიც კარგა ვიცი.

ლექსების მუხლები მე ყოველთვის გაშლილად მაქვს წარმოდგენილი (თექვსმეტ-თექვსმეტი მარცვალი), და არა გატეხილად (რვა-რვა მარცვლად), როგორც ამას ჩაილიდა ხალხური ლექსების შემკრებ-ჩამწერთა დიდი უმრავლესობა. ამას ორი მოსაზრებით ვშვრები: ჯერ ერთი, ერთისა და იმავე მოცულობის წიგნში ორჯერ მეტ მასალას ვტევე, ვიდრე მაშინ იქნებოდა, რომ ლექსები რვა-რვა მარცვლიან სტრიქონებად მებეჭდა. ქაღალდის დაზოგვისათვის ამას უეჭველად დიდი მნიშვნელობა აქვს და მასალის კომპაქტობითაც იგებს მკითხველი. მერმე კიდევ: ლექსის აგებულობის თვალსაზრისით ერთეულს თექვსმეტ-მარცვლიანი მუხლი შეადგენს და არა რვა-მარცვლიანი. როდესაც მეხსიერებიდან იკარგება ლექსის ნაწილები, იკარგება მთელ-მთელი ერთეულები, — ამოვარდება თექვსმეტ-თექვსმეტი მარცვალი, თუმცა გამონაკლისის სახით შეიძლება ერთი მუხლის ერთი ნახევარი გადაებას მეორე მუხლის მეორე ნახევარს, რომელსაც რითმა მოუდის. ასეთი წესი გამოცემისა შეიძლება საყოველთაოდ იქნეს დადგენილი ხალხური ლექსების გამოქვეყნების დროს.¹

ლექსების მუხლები ხშირად ისეა ერთმანეთში გადარეული, რომ, ვარიანტების სათანადო რიცხვის გაუთვალისწინებლად, ძნელია გამორკვევა იმისა, თუ რომელი მუხლი რომელი ლექსისაა თავდაპირველად. მაგალითად, როცა ხელთ გვაქვს მარტო №133, შეიძლება რითმებმა ეჭვი დაგვიბადოს მისი შედგენილობის შესახებ. როდესაც ვკითხულობთ ლექსს №778-ს, რომელსაც ორიოდე მუხლი საერთო აქვს №133-თან, ეს ეჭვი უფრო ძლიერდება, მაგრამ საერთო მუხლების საკითხის საბოლოო გადაწყვეტისათვის ეგ კიდევ არ არის საკმარისი. ხალხური ლექსის თავისებურება, მისი ზეპირი გავრცელებულობის გამო წამომდგარი, ის გახლავს, რომ ერთი გამოთქვამს, მეორე გაიმეორებს და რასმე დააკლებს, მესამე მოუმატებს, მეოთხე გადააკეთებს,

¹ მთილურ ლექსებში, მათი თავისებურების გამო, იძულებული ვაგხდი ცხრა-ცხრა მარცვლად მებეჭდა სტრიქონები.

მეხუთე ერთმანეთში არევეს სხვა-და-სხვა ლექსის მუხლებს და ასე დაუსრულებლად იცვლება ლექსის პირვანდელი სახე. ამიტომ საზოგადოდ ვარიანტების მოყვანას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ლექსის სვე-ბედის გასათვალისწინებლად, დეტალების გამოსარკვევად და ხშირად დედა-აზრის მისაგნებლად, მაგრამ წიგნის გაზრდის შიშით ზოგჯერ იძულებული ვიყავი, ვარიანტების მოყვანაზე ხელი ამელო და მხოლოდ მითითებით დაეკმაყოფილებულიყავი (ნ. მაგ. შენიშვნა №163-ის შესახებ, გვ. 428).

ლექსებს სათაურები თითქმის ყველგან ჩემ მიერ აქვს დასმული. ეს სათაურები ლექსის შინაარსის მიხედვითაა გაკეთებული, ხშირად შიგნით ნახშიარი სიტყვებია უცვლელად აღებული. გვერდით ნაჩვენები მუხლების სათვალავი აადვილებს მსჯელობას და გამოკვლევას ლექსის შესახებ, ვარიანტების ჩვენებას და ლექსიკონის შედგენას. თუ კი მომეპოვებოდა ცნობა მათქვამის შესახებ, — როდესაც ასეთი თვით ლექსში არაა მოხსენებული, — ყოველთვის აღვნიშნავდი ხოლმე სათანადო ადგილას შენიშვნაში.

ჩემი კრებული უფრო სრული იქნებოდა, რომ ხელი მიმიწვდებოდა ყველა იმ მასალისადმი, რომელიც უეჭველია კერძო პირთა ხელში მოიპოვება. ვის არ აინტერესებდა ხალხური ლექსები და ვინ არ კრებდა მათ, უმრავლესობა სასხვათაშორისოდ, ზოგი კი სისტემატურადაც. ა. გრენი წერდა: ხუთი წლის განმავლობაში საქართველო შემოვიარე და შევკრიბე 4000-მდე ხალხური სიტყვიერების ნაწარმოებები (ЖМНП 1895, მარტისა, გვ. 29). ალბათ აქ ზოგი რამ მთიდანაც არის. ყოველ შემთხვევაში მთის პოეზია უსათუოდ უნდა იყოს წარმოდგენილი პ. უმიკაშვილის მიერ შეკრებილ ხალხურ ლექსებში, რომლებიც მან ანდერძით ფ. გოგიჩაიშვილს გადასცა და სთხოვა გადმოეცა და ისიც მხურვალედ შეჰპირდა ანდერძის პირნათლად შესრულებას („ცნობის ფურცელი“, 28.5.1904, №2507). ალბათ სხვებსაც მოეპოვება დიდი თუ პატარა კოლექციები.

* * *

უკანასკნელ არ შემიძლია მადლობა არ მოვახსენო იმათ, ვინც ამ წიგნის გამოცემას შეუწყვეს ხელი. პირველ ყოვლისა მადლობა ჩემ თანამშრომელთ ეკუთვნის, რომელთაც ან უაძნეადად პირადად ლექსები, ან ჩაუწერიათ და გადმოუციათ. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო ჩამწერ-შემკრებნი ბესარიონ და სიმონ გაბურჯი, ა. ოჩი-

აური, ე. ბალიაური, აბა გიგაური, ვ. ტუქსიშვილი, გ. წერეთელი და შ. დოლაქიძე. მაღლობა უნდა ვუთხრა აგრეთვე გ. ლეონიძეს, შ. მშველიძეს და მ. მრევლიშვილს, რომელთაც თავისი რვეულები მომწოდეს და აგრეთვე მაკალათიას, რომელმაც ნ. ჭონქაძის რვეული გადმოშტა. საქართვე. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების გამგემ პ. ინგოროყვამ ხელნაწერ მასალებზე მუშაობაში შემნიწყო ხელი, სტამბაში ჩასაბარებელი დასაბეჭდი ლექსების ერთი ნაწილის გადაწერაში დახმარება გამიწიეს ქართული ენის კაბინეტის მომუშავეებმა: ს. ჩხენკელმა, ა. გვენცაძემ და სტუდენტ-ქალებმა: ე. გოგოძემ, რ. ჩუბინაშვილმა, ქ. ცხადაძემ, თ. სალარიძემ და ე. აგლაძემ. ყველას მაღლობა. განსაკუთრებით ფ. მახარაძეს, რომლის ინიციატივითაც სახელმწიფო გამომცემლობამ იკისრა ხალხური პოეზიის გამოცემა ასე ფართო მასშტაბით, დიდი მაღლობა, აგრეთვე სახელგამის სარედ. განყ-ის გამგეს ნ. მიწიშვილს. პოლიგრაფტრესტის პირველი სტამბის მუშები ყველანი ხალხისთუ ეკიდებოდნენ ამ წიგნს და ყველას მაღლობა უნდა მოვახსენო, განსაკუთრებით სტამბის გამგის მოადგილეს ა. სიხარულიძეს, მეტრანაჟს ვ. ბოლქვაძეს და ასოთ-ამწყოებებს: ალ. ქართველიშვილს (რომელმაც თითქმის მარტომ ააწყო წიგნი 105 გვერდიდან მოყოლებული ბოლომდე), ვ. ბერიკაციშვილს, ა. ლომიძეს, ს. ინასარიძეს. ა. ახვერდოვს, ვ. გულისაშვილს, გ. ფავლენიშვილს და ე. სამადალაშვილს.

დასასრულ არ შემიძლია არ გამოვთქვა ორი სურვილი: ერთი ისა, რომ მოეწყოს როგორც მთაში ისე ბარში ორგანიზაციული მუშაობა ხალხური ლექსების შეკრებისათვის და ეს სამუშაო მოესწროს მანამდე, ვიდრე დაეიწყებულ იქნებოდეს ხალხის მიერ საუკუნეებით შექმნილი და აქამდე ზეპირად შემონახული ლექსები და სხვა დარგის ნიმუშები ხალხური შემოქმედებისა, რაიცა აგრე ძვირფასია მეცნიერებისათვის. ჯერ კიდევ ფ. მახარაძე აღნიშნავდა ამ 35-ოდე წლის წინად: „ხალხური სიტყვიერება წარმოადგენს ისტორიულ მოვლენას, რომელიც დაიბადა და განვითარდა ისტორიულად განსაზღვრულ ეპოქაში და რომელზედაც მსხვილი ასოებით აღბეჭდილია ამ ეპოქათა შინაგანი თუ გარეგანი ვითარებანი, მაშინდელ საზოგადოებათა ხასიათი და მისწრაფებანი. ამიტომ, სხვა წყაროთა შორის, ხალხური სიტყვიერება წარმოადგენს ნელდ მასალას ხალხის წარსულის, მისი

კულტურის, ე.ი. მისი საზოგადოებრივი ურთიერთობის, მისი უფლების, მისი ენის, მისი სარწმუნოების და სხვათა შესასწავლად“ -ო („ხალხური პოეზია და ბ-ნი მ. კელენჯერიძე“: თხზულებანი, ტ. V, 90). ასეთი მასალის შეკრება მით უფრო საშურია დღეს, როცა ჩვენი ყოფა-ცხოვრების სწრაფი განვითარება სოციალისტურ სამეურნეო სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით სულ მოკლე ხანში შესცვლის სრულიად ფოლკლორის ხასიათსა და ბუნებას.¹ მეორე: ფოლკლორის მნიშვნელობა არა მარტო წარსულის შესასწავლად, არამედ ზოგიერთი პრაქტიკული საკითხის გადასაჭრელად გვავალებს შევქმნათ არქივი ხალხური შემოქმედების ნაყოფთა დასაცავად და მოსაველეად, სათანადო კატალოგებითა და ნუსხებით, რომ მათი გამოყენება შეეძლოს ყველას, ვისაც კი ინტერესი აქვს ჩვენი ქვეყნისა და საერთოდ კავკასიისა, თუ სხვა ერთა ფოლკლორის შედარებითი კვლევა-ძიებისათვის.

23.07.1931

ა. შანიძე

¹ საფიქრებელი კია, რომ თვით ამ კრებულმა ერთგვარი გავლენა მოახდინოს ხალხურ პოეზიაზე მთაში იმით, რომ ახალმა თაობამ წიგნის საშუალებით ისწავლოს ხალხური ლექსები და არა ზეპირად გაგონებით უფროსი თაობისგან.

1. Երջմոմբո

1. ერისთობა კევსურეთში

კევსურეთშია, ზურაბო, ვერ იქამ ერისთობასა.
გაგიწვრილდების კისერი, ვერ შესძლებ ქვეითობასა.

2. ზურაბის გალაშქრება კევსურეთზე

- ლუქუთ იყრების ლაშქარი, არ ერგებიან გზანიო,
სასმელად არ ეყოფიან ბაზალეთურნი ტბანიო,
სადგომლად არ ეყოფიან თრიალეთურნი მთანიო.
ქვეით' ღულის თავ მოვიდა, ნაკარებს – ცხენოსანიო.
- 5 ბაცეს სუმბატას მიუდგეს: „სუმბატავ, შინა ხარიო?“
– „შინა ორთ ბიძა-ძმისწულნი, საშნი გვტანიან სხვანიო,
სკამზე გვიწყვავის ისარი, გამოვა ჯორის ცალიო.“
ჯერე ფარ გამაიყოლა, მემრე შიშველი კმალიო
ბაცეს სასისკროდ ატირდა აჭეს ჩაბაკის ქალიო:
- 10 „მიშველეთ, ჩემო მაშულნო, მტერმა მამტაცა კარიო,
მამიკლეს თათარ-ქართველთა კევსურთ მემეტე ქმარიო.“
საკამატვილოს წამოდგეს ცხრანი ძიბლანი ძმანიო:
„არ გამოგვისხნეთ დარნითა შუქო, თამარო დანიო.“
კვათეს ჩაყარეს ისარი, დილა რო ცამა ნამიო.
- 15 კიბეს ჩაწურეს ლაშქარი, რო საკალმაზე წყალიო.
ვინ იჯე ღორღლოვანასა? გაგიწყრ კარატის ჯვარიო!
დაგუბებულსა ლაშქარსა შენ გაასწავლენ გზანიო.
გუდელას დაჯდა ზურაბი, ატირდა ვერ რო ქალიო:
„ღამაკლდა სათვალაეშიგა სამოცი კმალოსანიო.“
- 20 „გაიქეც, ერისთვიშვილო, მოგდევნ კევსურთ ყმანიო,
თორ კიდევ ჩაწითდებიან კეოს გორ ქცეულანიო.
აგერ ღულის თავს გახენე, მძიმე გადმოდგა ჯარიო.“
რბოლით დაკრიფნა ზურაბმა გძელნი არაგვის გზანიო,
ჩარგლის კართ დახვდა შშავლები, აყოლეს სისხლის კვალიო.
- 25 ცოლი ეტყოდა ზურაბსა: „რად არ მოგიღეს მკვდარიო?“

3. ომი ღულის თავს

- ქარკოს უნ შავკოციყვენით, გვაშაირებენ ქაღნიო.
ბეერა დაბრუნდა უკულმა ღიჩინის ქალის ქმარიო;
ბეერამაც ტყეში ჩაილა ქუჩუმიანი ფარიო;
ბეერმაც კი სისხლით დაფერა ვადა-ცვრიანი კმალიო.
- 5 ღულის თავ მოგდეეს, ბატონო, ლომნიურისძის ფარიო.
მარჯვნივ მოხყეების ყმაწვილი, კადუთ ას მეომარიო.
ღარაქიშთ ნანაისძეო, ღმერთმა გაცხონას მკვდარიო!
ღულის თავ კარგად უჭირე ლომნიურისძეს მქარიო.
უთურგი არ მოგეკვლივა მეწყინაისძე კარიო.

4. წყლიანი ლოგინი

- ღულის თავ კელით ირჩევენ, ვისაც ფუნჩია ხქვიანო.
კაცი მასტყუედი, აბაო, ჯინჭარაულო ჭკვიანო:
შენ დააბრუნენ კევსურნი, ღართულნი, ფარ-აბჯრიანნი.
ახლოს ხვიდავის ქუდ-ნისლა, საძახებელა ტიალი.
- 5 კმან ჩაგიყარნეს აჭესა, დადგა ახლების გრიალი.
ჩამაგეწივნეს, ზურაბო, დღე დაგიღამეს მზიანი,
ჩაგიღეს აკუშოს ძირა, ლოგინნ ჩაგიღვნეს წყლიანნი.

5. ომი აკუშოს

- აკუშოს ლაშქარ მავიდა, კმა ლიქოკ ჩავარდებისა.
ქავის კარ ნასხლომთ ახალთა მუკლებს ქარ შაუეგდებისა.
სომეხასა და მინლოდას წინ ვერვინ დაუდგებისა.
აკუშოს დელეს შამაკდეს, კართ უღელ დაეღებისა.
-
- 5 კალოთ გორ ჩამამდინართა ისართ დასცვითნეს ყიანი.
უქას აწითნეს წისქვილნი, აკუშოს თავნი კლდიანნი.
ზურაბ ჩატირის ჩარგლის კართ, როგორც რო ქალი თმიანი.
მსახურებ ეუბნებიან: „ზურაბ, ვერ იყავ ჭკვიანი.“
- 10 აკუშოს რად მიხვილოდი? ჯვარი ხყავ დობილიანი.
მოგდიეს ვან-კევამდია, მშვილდნი მოჭეხდეს რქიანნი,
მოგდევედესთ, მოგაწუხებდესთ, კმაღნი მოწყებდეს ფხიანნი.

6. აზნაურების კოცა

- ბედიანამც დაჯდების ლიქოკ ლიქოკელთ ჯარზედა!
სათავეს უსხენ უფროსნი, აძრახდებიან ჭკვაზედა.
ბოლოში უნცროსებ უსხავ, კელებ მიუდის კმალზედა.
უკოცავ აზნაურები დაბლა აკუშოს წყალზედა.
5 უკიდოდ არ გაივალის იმ სისხლის ალაზანზედა.
ცხენთა შამახკდა მკერდზედა, მკედართა – უზანგაზედა.

7. ომი ორწყალში

- ერისთავ შახყრის ლაშქარსა, კანჭის ქელს დაგროვებისა;
საკევესურეთოდ ღგულავის, არაგვზედ შამადგებისა,
აკუშოს წინ-წინ მავიდა, კმა ლიქოკს გავარდებისა.
5 სომეხასა და მინდოდას მუკლებს ქარ შაუჯდებისა.
აკუშოს ღელეს შამოქდეს, კართ უღელ დაედებისა.
კალოთ გორს ჩამადიოდეს, შუ ვაჩე ჩაუდგებისა.
– „წყენარად ვიდინათ, სომეხა, თორე გზა ჩაგვიგძებისა;
ფშავის ორწყალში ჩავიდათ, მანდ ომი მაგვიკდებისა;
მანდ მაველენ ფშაველ-კევესურნი, ზურაბიც მაშავედებისა.
10 იანვარ წოწკოლაური, მშვილდ, ძალზე გეზიდებისა;
ელიზბარ ფოცხვერიშვილი „კმალ, გაჭურ!“ გეუზნებისა.
ერისთვის აზნაურებსა ყორნებ აწყლით ეზიდებისა.

—

იოფას დაუბარებაე: „ჩემი ნულარ აქვ ლოდინი,
მე-დ' სარუმს, მაგის ხუცესსა, ორწყალში გვიდგას ლოგინი.“

8. წერონი

- ფხიტუთ მოვიდეს წერონი მაშერალნი შორის გზისანი.
როშკის გორ ზურაბ ჩამოჯდა, შუქნ ჩამუტივნა მზისანი.
როშკას აწიწდეს ციხენი, ბლოს ბანნი ქვითკირისანი:
„გვეშინის, დაგვეცემიან ნაზლობნი საქელისანი.“
5 — „დადეგ, დაგვექსენ, ზურაბო, ნარჩოზნ ორთ შენის კმლისანი,
თორ ჩვენაც შამოგეცდებით, მესხნი ჩვენაც გვეონ წყლისანი;
მაგვივლენ პირ-იქითთა ნაპირის ადგილისანი.“
თან მახყვეს ქალუნდაურსა მამუკას შუქნი მზისანი,

- 10 ბეგენ-გორ ჩამოეწივა, ყმან ჩაჭრნა ზურაბისანი,
ამანლით ამბარუნეილმა სამანს ჩახყუნდა ქვისანი,
რომენიც გარდააქცევედა, ცოდვან მახკიდნა კმლისანი.

9. უ ტ ი

- როშკის გორ დაჯდა ზურაბი, შუქნ მზისან ჩამოუტივნა.
ამაგით ვითხარ, ზურაბო: „ქვესური კაცი უტია.“
აგერ ბეგენ-გორს გახენე, – ფუტკარს ღვაგ, გამოუტია.
ქალუნდაურმა ფრანგული ქარქაშითი ამოუტია,
5 კმლითა სცა ზურაბის ჯარსა, სისხლმა სიმურში უწია.

10. ქიჩბარაული

- გუდან მოვიდა ლაშქარი, ჭიე კარვებმა შაფარა;
ლურჯამა ოთხით ნაჭედმა თავი ლაშქრისკე დახარა;
მასზე ნაჯდომმა მკედარმა გული საომრად წაყარა.
5 ქელში ნაჭერი ვაჟამა შუბი თავ-ღალმე დახარა;
ტანზე ნაცვამი ბევთარი ვაჟმა ფქვილებურ გაყარა.
მარტუამ ქიჩბარაულმა ლაშქარ წყალ-გალმა გაყარა.
სისხმა ვადათათ ნადენმა სამკლავე სამკან დაღარა.
აიქით ჩამონადენმა ჯაჭვის კალთუებ დაყარა.
10 ზეითით ქალმა დაჰხედნა, მანდელი მალლა შახარა:
„გაქებენ, ქიჩბარაულო, ჩემს საქმარესამც შაგყარა!
კელთ მისცა თავის აბჯარი, ლურჯა საფერქედ მიღგვარა!
თუ იმას დააჭარბებდი, ცოცხალიმც ნულარ მამგვარა!
თუ ის შენ დაგაჭარბებდა, სამკლაუეებიმც წაგყარა!“

11. ჭრელა ნადირიშვილი

- ერისთავ მახყრის ლაშქართა, ტყეეს ფათვლად გადასწვდებისა;
შამაუყენა არაგვსა, ფხიტუს მთას გარმაკლებისა;
ოსაურ გადმაიარეს, როშკის კორკ დაგროვდებისა.
5 ერისთავ ეტყვის ლაშქართა, რაც ჭკევაში მაუქლებისა:
„როშკის გორ თეთრი ცინეი ჩვენ ძალზე შაგვიდგებისა;
ნადირიშვილი ჭრელაი შიგ რაით შაგვიტდებისა.
ენა ვხკრათ საბალითუბი, მთის კაცი ვერ მიხვდებისა.“

- 10 ჭრელამ შაუტყვა ღალატი, ციხეში შაუკლებისა.
წელზე კმალი სრტყავ ფოლადი, თოფს ტყვია მუკლებისა;
ვაკისას არ გარმაუშენა: „ჩემს როშკას არ მიკლებისა.“
ვაკის ძირ გარმაიარეს, კარკოს წყალს გამაკლებისა.
ბეკენთ-გორ ქალუნდაური ყორნის გრილოვებს ხყეებისა.
„კმლით უთხრით, კევსურთ შეილებო, ადგილი ჩვენ დაგვიჩებისა.“
კმლითა სცეს კევსურთ შეილებმა, სისხლის გუბ-გუბი დგებისა!

12. მიგრის ტყავი

- 5 ქალმა თქვა: ვიტყვი სიტყვასა, ძმათ თუნდა მამჭრან თავიო,
გადმოდის საძელეზედა თავ-უჩინარი ჯარიო.
ელია-წმინდას დაქუჩდა ქუჩუმიანი ფარიო.
დასცნიან გათენებისას ქმოსტსა და როშკას ცანიო.
10 როშკის-გორულთა ციხეთა ჩაიცვეს მიგრის ტყავიო.
შიგ ნადგომმ ახალ ვაჟებმა დააყრევიეს მკვდარიო.
არ გადმაუშევს ვაკისას, წვერისას დასხნეს გზანიო.
„ჯერე ჩვენ ვაჭმევთ სადილსა, მემრ მოკლედ კევსურთ ყმანიო.
მოგვივლენ ჯერე ღულითა ჭრელაის შეილნი, ძმანიო.
10 მოგვივლენ გუდანელები, ხვადებმ მაილა ჩქაბიო.“
ომათა ნათელისძესა მოხყვა გუდანის ჯვარიო.

13. ქერაულ-ქიჩბარაულნი

- 5 გორ-შელმ წამაე, ზურაბო, ნახენ ქერაულნ ყმანია!
მაშინ მოხვიდი, ზურაბო, ერტყას უნცრუას კმალთა.
უნცროსსა ქიჩბარაულთას არ აუტანავ ფარია.
ზენ-უბნით ჩამაემართნეს ქიჩბარაულნი ძმანთა,
კვათუს ჩაყარეს ლაშქარი, კოცეს ზურაბის ჯარია.

14. ზურაბის ჯავრი

ზურაბს ჯავრი კლავს ორისა: კევსურეთისა, ფშავისა.
კევსურეთ ჭორმეშავისა, ჭორმეშავ კლდისა შავისა,
შიგ მდგომლის მარტიასა, კმალ-სისხლიანის ვაჟისა.

15. მისურაული

კაცი გამოვა სანესა, წვერს გამიელის კლდიანსა.
ფეიქრებოდა ზურაბსა: „ეგ რაით მიზამს ზიანსა.
ნეტარ ქრთამს ვერ მივსცემდია მისურაულსა კმლიანსა?“
ალაველ ვაკეს ჩამუჯდა, მშვილდსა დაზინა რქიანსა.

16. მშაველა

მშაველაი ორ, ნუ მახოლ, ზურაბე, არ მოგცემ ზავსაო.
მშვილდსა დავზინებ ახალ-გორ, კიდის ყურ ვაქნევ ჩქამსაო.

17. ზურაბის წადილი საარხვატოდ გალაშქრებისა

ზურაბ როშკის გორ ჩამოჯდა, თანა ხყავ თავის ჯარიო,
ახიელ ციხეს მოხქადის, კუთხს არ მოღვლიჯნას ქვანიო!
არ გამორეკნას შიგითა ჯურჯიაულნი ყმანიო!
ქავთარაულთა ვაჟებსა დაცდილი ერტყა კმალიო.
5 ორდანათ ხომიზურასა არ დავგიტეხნას რქანიო!
ალიათ ბაბღეს უძახეთ: „ბერმა გევიჭირას მქარიო.“
შარუამამ მათურლიშვილმა ვეფხვმა დაშალნა მწკალნიო.

ამავ სიმღერის მოთქვამი ხიზნის პატრონიც ვარიო,
მიჭერავ ბალახურისძეს შიშნიას თოფის ტანიო,
10 თავ ხიზანს ვერ დაონებე, თვალით მიჩინდეს გზანიო.

ღალატით დაქოცა კევსურებისა 18.

ზურაბმ ხოყანა აიფრა, ბევრს ვაჟს უტირა დედაო,
ბევრს ქალს გაუქნა ფარაგი, უკბინა ძუძუზედაო,
მეჩქარე დაავიანა, აუბნა ნებაზედაო.
უბარა ღუღუშაურსა, კაცს მისწევს ზედი-ზედაო:
5 „კევსურებ ჩამომივიდან, ვინც ომში გამოდგებაო, –
მშაველა ჯინჭარაული ნიაღე ნუ დადგებაო!
სამნაიც გამიყოლას, ომს გვერდით დაუდგებაო.“
– „კევსურებ, სამნა ნუ წავას, – მჭედელი დაგვაკლდებაო.
კირიმებს თოფებს აკეთებს, ქურთემულ გაუსქდებაო.“
10 არ დაიჯერა სამნამა: „ნათვალ ორ, არ მიქდებაო.“
კევსურნ არაგვზედ ჩადიან, ყორან ჩახყეფდა ზედაო.

დერენა ცაბალუკისძე ცხენთ ქვეითი ხყვებო.
პირ-შიშველი ყოფილას, თავ რად არ შასწყალდებო?
შამეხევიენეს ზურაბსა თრუსოში სადილზედაო.

15

გახუა კეთუშაური კევსურთ კას ეუბნებო:
„ზურაბს მოგიკლავთ, კევსურნო, თქვენ' საქმე კარგად ქდებო.“
კევსურებმ არ დაიჯერეს, ზურაბის ეტლი ღრედაო.
„კმლებს ნუ დაიქსნით, კევსურნო, ზურაბ არ დაინდობო.“
დასხდეს, დარიგდეს კევსურნი, ზურაბ მეღვინედ ღგებო.

20

ეუბნებოდა მსახურსა: „ჩოფინავ, რასა ღბედაო?“
„ამოდ მეექვცე, ზურაბო: აქა გვევან, ვერა ზედაო?
სამოცს თავს მოვსჭრი კევსურსა, თრუსოს რო სისხლი წყლევდაო.“

—

თრუსოს ნაკოცთა კევსურთა ზედ ავი დარი ღეცა,
მშაველას ჯინჭარაულსა ტანს სისვი სკლატი ჩეცვა;

25

ბეჭებს აასხეს ისარი; ბრალია, ჯაჭვი არ ეცვა!
აღუდი აღექსაური, ზურაბ, რა კერკად მაგექცა?
მოგიკლა პირის მეღვინე, თაოდ ცოცხალი გაგექცა.
შენ მოგიქნია, ზურაბო, შენი მსახური შეეჭრა.

30

ღმერთსამც ვინ გაღმარჯვებიყვა, კმალ-ღაშნას წვერიმც მეეკრა!
ხახონას ბერდიაულსა მქართ თუთრი მშვილდი გაღეცვა,
ამაგის მოზინებული ზურაბისადამც ღეეკრა!..

19.

ზურაბო ერისთვის შვილო, სისხლისიმც დაგლევს წყალია!
შენ დაგვიკოცენ ღალატით ნარჩევ კევსურთა ყმანია.
რად არ გაუშვენ ველადა კევსურნი-ღ' შენნი ყმანია?
ამაშინ გამოჩნდებოდა, ვისიცა სჭრიდა კმალია!

19a.

სევდამც მაგხვდების, ზურაბო, დაგლევდამც სისხლის წყალია!
თრუსოს აწიენ კევსურნი, კელით არჩიენ ყმანია;
გაატეხინე დოლეთი: „ფარა მალალეთ, ცხვარია.“
თრუსოს მასხენ მაშვრალნი, დანდობით გასჭერ თავია.
რად არ სწორ-და-სწორ გააწყვენ კევსურნი-ღ' შენნი ყმანია?
თითოს კი დაგიკანჭვედეს ფარს ქვეშ ნაწურთნი ყმანია!

—

თრუსოს დაკოცილ ქვესურთა მშაველ სჯობ ჯინჭარაული.
ცოცხალთა შინ წამასულთა ალუდა ალექსაური.

—

- 10 ალუდა ალექსაურო, დიდხან ცოცხალიმც ხარია!
წელითამც არ შაგეკსნების, თრუსოს რაც გერტყა ხმალია!

20. ზურაბის მოკვლა

- 5 ზურაბ, თან გახლდეს მსახურნი, ერთხან რო დაიბადეო;
ისპაანამდე გაითქვი, ყენთან გაიზარდეო.
ოსეთი ასუქებულა, კარ-ცხენი ამაღლაღეო;
სოსლომის შვილის ლურჯაი სიმამრსა გაულაღეო;
ახლა გიბარებს სიმამრი: „მოდი, საფურცლეს მნახეო!“

—

- 10 ადგა, წავიდა ზურაბი, მორთული თავის ყმითაო;
წამაგებნეს ზურაბსა: „მოგვიხვედ მშვიდობითაო!“
ხილი მართვეს ზურაბსა: „ზურაბ, შეექე ხილსაო!“
ჯერ სვა და ჭამა ზურაბმა, მემრ პირი წახყვა ლხინსაო.
დაადგეს მოჩანგეები, დააძინებენ ძილსაო;
მოუსხდეს მოღალატენი ახლოსა, ყურის პირსაო;
კმლითა სცა თუშთ მოურაემა: „დახკარით კახპის შვილსაო!“
ხანჯარ ხკრა ყორჩიბაშისძემ ბეჟანმა გულის პირსაო.

—

- 15 თუშთ მოურაესა უბოძეთ ზურაბის ცხენი საღარი!
ტყავ-კაბა საგინაშვილსა, ქუდი ვათღრის მაღალი!
ბარამ ბატონსა შახკლება ზურაბის ქამარ-ხანჯარი.
კაცი წავიდეს თუშეთში, ფშავ-ქვესურეთში ჩაფარი:
„საფურცლეს მაკლეს ზურაბი, ძილ დააძინეს მაგარი.“
ფშაველ-ქვესურთა უთხარი, წელთით დაიქსნან აბჯარი.
ფშაველ-ქვესურთა ქალ-ზალმა ძილ დაიძინან მაგარი.

21. ზურაბის დაწყევლა

ზურაბო ერისთვის შვილო, შვიდსამც წელსამც ხარ სნეული,
მეშვიდეს წელსამც მახკვლები სიმამრის კელ-მარეული!

22. ზურაბის სიმაპრი

თემურაზ ჩაუებნების იმერთ მეფის შვილსაო:

„თუ ზურაბს მახკლავ, ქალს მოგცემ, მონა არ დაგცემს ცხვირსაო.“

ზურაბმ ვერ იგრძნა ღალატი, კმალზეით ზურნას ხკსნისაო.

„ღახკართ, ნულარ გაუშობთ, – იდახღეს, – კახპის შვილსაო.“

23. ადგომამც იყვა

ვიყვებით ცოტინიკანი, ადგილ გეეჭირა კმლითაო.

წლით მოგვდიოდის ღაშქარი ძაღლისა ზურაბისაო;

კტოციღვართ სიუჭკოვითა, ისივ ადგომამც იყვაო!

კევსურები ბახტრიონის ომში

24.

იყრების თუშის ღაშქარი, ნაქერაღს გროვღებთანო;

აღარ ხყავ აშაკანაი, წინამძღვარს ღონღებთანო.

გაუძვეღ, ბექურისშვიღო, თუშ ღურჯას გიქებღთანო.

გაფრინღაული ამბობღა: „კევსურებ ნუ მოღიანო:

5 ჩაღიან აღაბღობასა, ჯარს ეგენ გვირეღღიანო.“

იწყინა ზოშურაულმა: „ღაბრუნვა არ მწაღიანო,

გზანი მეც ვიცნი, კევსურნო, საც თუშებ ღაშქრობღიანო;

მუქარა იყვას, ზეზვაო, საც კარავს იცემღიანო!“

ქვა-კიღის ჭაღას ჩაუღგეს, გზანი მანღ ხანღებთანო.

10 მშავღებ ჯღან-ბეღიანები კევსურთ მეგუღღღ ხყვიანო.

ბახტრიონ სულთქმის ციხე ღგას, კევსურებ ეხვევიანო.

საღ იყვა თუშიშვიღები? კევსურებ კარავს ჭრიანო.

ნაღირაის კმლის ნამტვრეენი კარავის კარში ხყრიანო.

გაიქცა თათრისეღები, თუშებ მემრ მოვიღიანო,

15 ღიაც-ყმაწვიღის კაღოსა ცხენებით ღეწვეღიანო.

25.

მეტნი ხართ, საღირისშვიღნო, გიჭვრეტენთ ტაღავარზეღა,

წინ-წინ თქვენ გაღახფრინღებით ბახტრიონ გაღავანზეღა,

კმლითა სცემთ ხანის კარავსა, ზეღ მიხოღთ ფაღავანზეღა.

ზეზვა გაფრინდაული.

26.

ჭირსამც მოვხპარავ ზეზვასა, გაფრინდაულის შვილსაო!
სადც ოშში შეეტანება, მარჯვენა მარჯვედ ჭრისაო.

27.

- 5 თუშთა იყრება ლაშქარი: „უნდა ჩავიდეთ აღისა.“
კმალს აქებს გაფრინდაული: „თორმეტი მოკვალ ამითა;
ავაესე დიდი მინდორი თათრის ზოჯაის ძვალითა;
მგელს ღავაცვითე კბილები, ტურას ლოყები ჭამითა.“
ენასა – გაფრინდაული – თუშო, გაჯობნებ ენითა,
განა შახყარე ლაშქარი, ბახტრიონს დაეც ღამითა.
გასტეხე დიდი ბახტარი თეთრის რემაის ცხენითა;
სრულად აავსე ჭალები თათრის ზოჯაის ძვალითა.

28. ზეზვას დაჭერა

- 5 ზეზვაის ცხენო, ამ ზამთარ ბაგა გამახარ კბილითა,
ქალაქ დაგიბეს პატრონი, ღამეთ გითუნებს გმინითა;
გომბორი გადაავლიეს ძუა-ნაღები ცხენითა;
ბაზარი შამაველიეს დაფ-ნაღარათ, სტვირითა;
ზედიზე შადგა თათრები: „ზეზვა უნდ ვნახოთ თვალითა.“
ზეზვა რა სანახავია, მაკლული თქვენი კელითა?
მაშ რად არ ღნახეთ ზეზვაი, ბახტრიონ იღგა ცხენითა,
მაგდევლათ, მაგაწუხებლათ, მაგხველათ შუბის წვერითა?!

29. მარტია მისურაული

ჭორმეშავ ქალებ ტიროდა: „ქმოსტში წვიმს, აქაც მოგვივა.
გაზაფხულ რახან მოვიდას, მარტია ველად გაგვივა;
სახელის მოყვარული ას, შინ რაით აღარ მოგვივა;
მითხოს საკიდელს ჩამახქნის, სანეს საკარგ-ყმოდ მოგვივა.“

30. მამუკა ქალუნდაურის მოკვლა

შახყარავს გიორგ-წმინდასა თუშთა ეღვარე ფარია.
აიღეს საკვირაოდა თეთრი მძოვარი ცხვარია.

- მაშუკამ ქალუნდაურმა შორით მახკიდა თვალია,
გორდიგორ ჩამოდიოდა, მობუბუნებდა კარია.
- 5 ალერდის წყალში გავარდა, ირემმ გაილა რქანია.
შამაუბრუნდა, – ფარავდა პირზე მზე, ბეჭებს ფარია.
შამოკდეს საფინხოშია, მეშველნ მუნდეს ცხრანია.
– „აქით გამიშვით, ქალებო, შორით მიჭირეთ თვალია!“
შამეწია ლაშქარსა: „თუშნო, დაყარეთ ცხვარია!“
- 10 – „ნუ მოგვდეგ, ქალუნდაურო, არ გეინდა შენი ცხვარია.“
არ დაიჯერა მაშუკამ: „ატირდა ჩემი გვარია.“
ღაბრუნდეს მექობაურნი: შაღვა, ივანე ძმანია.
ივანე თოფსა ჩაუჯდა, გულზე დაჰხვია ალია.
წაიქცა ქალუნდაური, ირემმა დასხნა რქანია.
-
- 15 კელსა ნუ მამჭრი, ივანე, – სახელი მაინც შენია.
მქარზეით თოფსა ნუ მამკდი, – ჭიუხში ჯიკეთა მტერია;
წელზეით ემალსა ნუ შამქსნი, – კეესურთად კაის მქნელია;
ტანზეით ჯაჭვსა ნუ წამყრი, – ქერიგოს ქვიშათ ფერია.“
-
- 20 ნატრობდა ქალუნდაური: „ნეტავინ ამაყენაო!
საც მექობაური სახლობს, იქამც კი ჩამაჩინაო!
მეშველიმც დაგვიგვიანა, ერთურთი გვაცდელინაო!
მექობაურის ცოლ-დედას თვალიმც კი აჭერინაო!“

31. ბერდია

მთაში ნუ ღვდინხარ, ირემო, ბარად ჩამოდი ნისლითა.
შინ როდი არი ბერდია, კორცთა ნუ დახყრი შიშითა!

ბერდია და კირჩლა სანეს 32.

- ბლოელ ბერდია, კირჩლაი სანეს შაყრილან სმაზედა,
ჩამაღვარდნია სიტყვაი წინანდელს მტერობაზედა.
- „ეხლად იყვასა, ბერდიავე, აქ ვსხეოროთ ჩემსა სკამზედა;
მაშინ ვიამბათ მაგისი, რო შავიყრებით გზახზედა;
5 ჩემი მოკლია ფრანგული ვერ ვათამაშო შენზედა.“
– „სხვას ვერვის უთამაშებავ კმალი კირჩლაის ტანზედა.“

ქვესურებ, დაირიგებით, ნუ გახკდით მტერობაზედა.
სხვაც ბევრი გაგვირიგებავ სანეს ნასხლომებს სკამზედა.

33.

ბერდიას კმალსა მოკლესა ბევრკან უნახავ მთა-ველი,
მე ისეთს დაეხკრავ, კირჩლაო, რო არ გადასწვდას მტკაველი.

34.

კირჩლამ თქვა ბაბურაულმა: „დაკვრა ვისწავლე სტვირისა;
თავადთა ღუღუშაურთა დღე გაუთენე ჭირისა;
კმლითა ვეც ვაუსა შიოლას, ტანი დაუძარ გმირისა.“

კირჩლა ბაბურაული 35.

ტუტილის კიდურ გაკვრიტეს მითხოელთ ქალებმ ცქერითა:
„როს გამოჩნდება, ნეტარა, ბაბურაული ფრენითა?
კირჩლავ, ნუმც გამასჩენილხარ თავის ლურჯაის ცხენითა!“

36.

ვინ შახკე სამელის წვერა? ვინ შასძარ ჯაჭვის საკელი?
იქნები ბაბურაული, – კირჩლას მასწონდა სახელი.

5 დრო ის გირჩიყო, კირჩლაო, კმოსტის კორკ ლურჯას სთელევედი;
ძმა გოგოთური გვერდთ გედგა, მტერსა შორიელ სთელევედი.
კირჩლავ, გიჭურვენ ქვესურნი: „ლურჯამ აჭნივა სახელი.“
– „ახლა თქვენ მოგცემთ ლურჯასა, თუ ადვილია საქელი.“

37. ლაშქრობა დაუგვიანდა

ლაშქრობა დაუგვიანდა ლალსა გუდანის ჯვარსაო,
კირჩლასა ბაბურაულსა, მაგის მოკლია კმალსაო.
გვითქვიდით ბაბურაულსა: „მჭველელ გვიკითხე ჯვარსაო!“

- 5 დრომას თუ გამოგვიბძანებ, ქვესურნ ჩვენც გვიდგან მზასაო.
სხვას ნურვის გაგვიგებიებ, ფუნჩიას გვითქვი ძმასაო.“
თემროზაულთა უძახეთ: „ლურჯა თქვენც გყვანდესთ მზასაო.
მკედარი ლურჯაისაი საქმეს ნუ უყრის თავსაო.
ზედ ივდა გამახელაი, სისხლიანს იბამს კმალსაო.
10 გუდანაც ჩაგვიძახნიდით: ვეფხე-ლომნ მანდ იდგენ გზასაო.“
გამახელისძე შიშია, თინიბექ ლესავს კმალსაო.
გაგვიგებიეთ ლიქოკა გაგაის ცოლის ძმათაო.
ტუტილს დარჩების გაგაი, არწივ მაიტებს მკარსაო.
მაღე მაიყვანს ტუტილით აფშინა თავის ძმასაო.

38. კირჩლას სიკვდილი

- ქვესური აღარ გამოვა კირჩლაისთანა კმლიანი.
ატირდა კირჩლაის ცოლი ღილიან-პერანგნიანი:
„მითხოს ნუ წახვალ, კირჩლაო, სახლ გიდგა საქონიანი.“
5 არ დაიჯერის კირჩლამა, – გლეხი გადიღდა ცხვრიანი.
ჩაის ჩაივლი, კირჩლაო, ამაისა გაქვს კლდიანი.
ტიტულ კნავს ამაისშვილი სუიკა მგელი პირ-სისხლიანი.
სუიკას ამაისშვილსა თოფი აქვს ტალ-კვესიანი.
გესრევდის, არ დაგაცდენდის, გაუმართებავ ტიალი!

- სუიკას კირჩლა მაუკლავ, არწივ მზორს ეთულებოდა. –
10 წვერსა უსინჯვენ, ულვაშსა, ვეფხვისას ეფერებოდა.
„თუკლად არ მოვკალთ კირჩლაი, დავლათ თუ გვეჩვენებოდა.“
შენი მამკლავი, კირჩლაო, მითხოს მეშეტედ ჯდებოდა;
კარძედ მაუდის მლოცავი, ფეკზედ არ ამუდგებოდა;
შინ სულნი არ უდგებიან, მთა-წვერთა იარებოდა;
15 გაუმართებავ სიათი, ბეჭულს არ გაუცდებოდა.

39. კირჩლას ქალი ტყვედ

ბარაქალ, კირჩლაის ქალი! ღმერთმა გიცოცხლოს ძმანიო!
თავსა დაადეგ ქალებსა: „ჩქარა გავიხვენეთ გზანიო!
გაიგებს შატილინები, სისხლის გაივლის წყალიო.“

შიოლა ლუღუშაური 40.

ცხენს ზკაზმებს მიქელიშვილი: „ცხენ, დაეღათ ჯუთის გზაზედა;
მოგვივა მამუკაური ბერდია პირობაზედა;

შიოლას ლუღუშაურსა დილას მიუღათ კარზედა!

სტუმართად კარგსა იტყვიან, მაგვეგებება გზაზედა.“

5 კარი საკარგ-ყმოდ დაღვიან, – ვინც ურეკებდა ფარზედა.

კელზედ დაიკრავს სამკლავეთ, ჩაჩქანს იზურავს თავზედა.

კელი გაიკრა ფრანგულსა: „მადეგით შიოლანზედა!

ორი გაწოვის დედამა, არა გაგწირა ერთზედა.“

შიოლაისა ნაქნარსა ვეღარც ვინ იქმოდ თემზედა.

10 შიოლას ლუღუშაურსა დაჯდომა უღირს ჯარზედა.

41.

შიოლამ ლუღუშაურმა წამოგვაკეტის ძალიო;

კარკუნას მოგვაწირვინა საციხედ ნაზიდნ ქვანიო.

მემრე ცხენს უთხრა ბურდულმა: „ეწ გადავლანათ მთანიო.

მაგვივა ბაბურაული, ჩავიდათ კევის წყალზედა.“

5 საკარგ-ყმოდ დადგეს კევსურთა: „შიოლას ვინ სცემს ფარზედა?“

– შიოლას ბლოელ ბერდიამ შამუარ მარჯვენაზედა;

მოკლიამ გააპრიალა, შუქნ გადიყარნეს მთაზედა;

მოკლიამ ჩამააცვითა, სისხლი გაწითდა ტანზედა.

შიოლა გაწითლებული გაწირა კევის წყალზედა.

10 ნუ უღალატებთ, კევსურნო, ქალ აურჩიეთ თემზედა.

42. შიოლა და მთრეხელი

აქნამდე, ლუღუშაურო, სკამს იჯე ერისთვისასა,

აეხლა გამისხორიგდი, მსახურს გაფერებ სხვისასა.

არ გაუტიე მთრეხელი, კევს მიმავალი დისასა.

ცხენი მასთხოვე, გიბოძა, მშვილდს რადად სთხოვდი რქისასა?

5 – „მშვილდ თაოდ უნდა მთრეხელსა, ნაპირის ადგილისასა;

გზა ყველაისად სწორი ას, რად არ გამიშობ, ლთის მადლსა?

მგონიხარ ნახალიზარი, ყამს თუ არ იყავ მტრისასა.“

არ დაიშალა, გადასწვდა მკართ ნადებს მშვილდსა რქისასა.

- 10 „გახლავარ ღუღუშაური, არ დაგიფერებ სხვისასა.“
 გულს დახკრა, სხვაკე გაღვარდა ფალავანს აჩხვატისასა.
 „კარგა ხანს სჭაქე აჩხვატი, ეხლა მე გაჭმევ მიწასა.“
 გამაბრუნდების მორეხელი, დაელნებას ღვავ ცისასა,
 მოზღვეენ ღუღუშაური, განრისხებას ღგონ ხთვისასა.
- 15 მიღმართა ყოვლაწმიდასა, დედას მშობელსა ხთვისასა;
 კარნ არ დაუხედეს ღიანი ნაგებსა დედუფლისასა.
 მივა და შაიხვეწების ძმისა მამკლავი ღისასა:
 „დაო, ვერ შემინახედი? ცხონებას შენის ძმისასა!“
 – „წამოდი, შავო და ბნელო, თუ სულს ვაამებ მკვდრისასა.
- 20 ნუ მახკლავთ, ჩებნო მამულნო, ნაჭაპნს ნუ მაპჭრით თმისასა!“
 კარისას არ გაუტიენა, საკვით დაუკერენ ისარსა.

—

ამბობენ ჩამაქცევასა ახალციხურის კლდისასა,
 თან ჩაყოლასა ამბობენ ქერბულელაის ძისასა, –
 ვერ შეინახა სტუმარი, ვაი ვა დედას მტრისასა!

43. ვაჟუსძის მოკვლა თორღვას მიერ

- დაჯედ, ვაჟუსძეკ, დაგვეკსენ, თუშეთს მოგწყინდას ზიანი!
 ერთხან ქვესურეთ გადაქედ, ადგილ იქ ნახე კლდინი!
 ჯოჯინის ღელეს შამოხკე, მგზავრ შავხვდა ქალ-ვაჟიანი.
 შიგ სტანავ ცუცქიაური, ბულა მოღბიჯავს რქიანი.
- 5 თოფი ესროლე, ვერ დახკარ, ხოთი იყო დავლათიანი.
 კმალი მოსთხოვე, შენ მოგცა, დანა დამალა ფხიანი.
 ქელი გკრა საყელოშივა მკლავ-თითას იმედინი.
 დაგიბალითა, გულს დაგცა, მიწა გაჭმევა მტერიანი.
 გაგწირა დენალონის ჩლილა, დაგაგდა სისხლ-ტიგრიანი.
- 10 კმალი თავითთ დაგიღვა, ნაბად ვაგხურა ცვრიანი.
 გვერდით მოვისვა ყორანი: „გალო გამოხარ წვნიანი!“
 თაოდ ანდაკზე გაღვარდა ირემი თვირთვილიანი.
 სადილად არლოტს ჩავიდა თორღვაი მკლავ-სისხლიანი.
 წამეგებნეს დედანი: „სით მოხვედ სახელიანი?“
- 15 „ბოზნო, რას მკითხავთ, დედანო?
 კმალი ვაჟუსძემ წამართვა, შინ მოვედ სირცხვილიანი.“

– გეტყობის საუბარზედა, თორღვაჲ, სამ გიქნავ რიალი.

–

ამგ ქართულის მათქვამი თუშის ქალი ორ თმიანი.

სალექსოდ გამამიგზავნე საყური კუკუმიანი.

20

ცოლად კი წამოგივიდოდ, თუშის ვარ კეთილიანი.

ძალიან ნუ გაზდიდღები, მამა მეც მყვანდა კმლიანი.

44. თორღვა

ობლობით ამიზარდა თორღვა ძაგანის გვარიო,

ამაეს ამიყოლა ნავთი და ნაკვერცხალიო.

იორში ამიჩქევიფა, შორით ვინ უკა თვალიო.

დიღებულობა დაუთქვეს, ბეჭებს უნახეს ჯვარიო.

5

მარჯვნივ შზე წერებულიყვა, მარცხნისკე მთვარის ნალიო.

ძაგნაკორნაზე შამოკლა, თუთა უჭამავ, ბალიო.

ანდაქით ამოდირღეს მენადირენი რენიო.

შამოძუებუებეს თორღვაი, რო ძუძაური ჯვარიო.

„შმაღლებ, უმატეთ ბეგარსა თითო ტარიგი ცხვარიო,

10

თითო ნაცრიან ტომარა, მთაზე დაყყარა მშრალიო.

საკარ-ყმოდ შამიკრიფიღით ლალის არწივის მქარიო.“

– „ვინც შენ ეგ მოგცას, თორღვაო, მამა წაუწყმედეს მკედარიო!“

ამიწვავდა ჩოთამა ისარი მჭვარტლიანიო,

15

გულსა ხკრა, სუკსა ეწია, წავიდა ნატყვიარიო.

–

„ჯაჭვი რა უყავ, თორღვაო, ძმობილის ნაწუქარიო?“

– „იელოვანზე გავწირე, გაცურდა როგორც წყალიო,

გაბუღე დასაჭურღადა, ველარ მოვხკიღე თვალიო.“

20

– „სამჯერ მამიხვე, თორღვაო, სამი დაგიკალ ცხვარიო,

მეოთხედ მოსულს დაგიკალ თეთრი ქორაი კარიო.

გიზაგედ-ღ' ვერ დაგიზავე, – ბაგრატიონთა ხარიო.“

45.

თორღვაჲ, გიბარებს ბატონი: „აქ ჩამეღი ბარადა!

ქულსა დაგზურავ წითელსა ჭარელთ ვაყების თვაღადა;

წელზე კმალს შამოგარტყემღი, ვერვინ შამოგქსნის ძაღადა;

ცხენზედ გადაგსომ, თორღვაო, შინ წავიყვანდა ჩქარადა.“

5 ვაჟისძის გადამღებელი, თორღვაჲ, რა გქონდა ფარადა?
სამკლავენ უქმარებიან, დანა ხქონია კმალადა.

46. თორღვას მოკვლა

დედა ვაცხონე მჭედლისი! – ზრო ლამაზ გაეკლიბაო;
მემრე მაგისი მსრევლისი! – ლამაზა მეეზინაო;
ჯაჭვი და სკლატი შვიდ-რიგად შიგიშიგ დაეკერიტაო;
სააზნაურო თორღვაი ცვილივით დაეჭვრიტაო.

47. ნარჩევი ხალხი

მითხოს აღდი ჯობ მამაცად, მშველებს ჯობ კუკუმაური,
თუშებსა ლუის ლუხუმი, გუდამაყრელთ ბუბუნაური,
მოკევეთ ღუღუშაური, კევესურებს ხოშურაული.
5 კმლის ქნევად, ფარის ფარებად მარტია მისურაული.
ამაგის გვერდის სადგომლად იმედა მინანაური.
ცხვარს ვინ მოზვერაეს მითხოსა? – ახალა შუქიაური.
ვინ ჩავას მოზვერულზედა? – გამახელთ თემროზაული.
კაცსა ვინ მოხკლავს მითხოსა? – ჩააცვეთს ბაბურაული.
10 ხუთ-ხუთს ვინ ჩახკოცს მარტოი? – ძაღლიკა ხიმიკაური.
ვინ გაღმეტდების ლამქართა? – ლულელი არიშაული.

48. კევესურები გორის ბრძოლაში

ავარდა ბატონიშვილი ერეკლე ნათათრადლიო,
არაგვი შამაიარა, ფხიტუს დალაქნა მთანო;
ფხიტუს ღელეში შამოქდა, პირ-წალმ ილოცა ჯვარიო,
5 მოკითხულობდა გზა-გზათა: „კევესურებს ვინ ხყავს თავიო?“
სანეს დაიცა კარავი, შამაიხვიენა ყმანო.
იმედას ეუბნებიან: „გაგვილი ბეღლის კარიო,
გამოგვიბძანე დროში, ორივ აბი ზარიო,
ჩაგვიმწყალობენ ახალნი, წყრომით არ ჩახყვეს ჯვარიო.“

–

თვალივის ბოლოს დაგროვდეს, ცამა დაუცა თვალიო.
10 სამი დასვიან ქადაგი, არ ულაშინებს ჯვარიო.
კევესურებმ არ დაიჯერეს, – „არ ბრუნავს ჩვენი გვარიო.“
არაგვზე ჩამადიოდა ყაწიმიანის ჯარიო,

ქალაქის კიღზე გამოკდეს, ქალაქსაც შაზღვეს ზარიო.
გახკვირდა სომხიშვილები: „სად მიდის კევესურთ ჯარიო?“
15 „ქართლი შაუკრათ, კევესურნო...“ ქალაქს ვინ შაზღვა ზარიო?
სურამზე გადაიარეს, გადაამტვრიენეს გზანიო.

ომ იქნა გორის ბოლოსა: სისხლსა წვიმს, ზეთი დარიო.
– „მინდვრად ჩეედით, კევესურნო, სანგლად მაივლით მკედარიო.
უთურგაისძემ გაჭარბათ, – კარგად უჭრიდა კმალისო.
20 კარზედ გიორგა დაგიდგათ, ეგ ყვირილობის კარიო.“
თოფის კმა მოდის მალ-მალედ: „ლულულ მანგია ვარიო,
ორ გვერდით მიწვეს დაჭრილი, თაოდაც ურჩოდ ვარიო,
მესამე თხრილში ჩავიდა, ურჩო სჭირს ნახანჯრალიო;
სახელ ნუ დაიმალების, თუ სად ქართველ ვინ ხარიო.“

25 საშნი გვეტანნეს მკედარნი, ცხენებზე ხქონდა თვალიო.
ბიას ქელში აქე მათრაკი, ლომნისა – ლაგმის ტარიო;
დუხთ იკრავს ნაოგურაი: „ლიქოკს ჩალხისძე ვარიო.
იარ, წავიდათ, მოკლიავ, დავხიათ ქართლის წყალიო.
ქალაქ მიგვასხმენ ურუმნი, კევესურთ იქ მოდის ჯარიო.
30 აიქ უამბათ მეღ' შენა, რაიც გვეტანა ძალიო.“
ზოგებ შინ წახოლთ, კევესურნო, ზოგთ აქ დასწერეთ ვეკარიო.
უთხრიდით შინ-წასულებმა: დარბაზს გაეწირეთ ჯარიო.

სათავეს ევდა იმედა, არ ევალების ვეკარიო.
დასჩუმებიან დროშანი, აღარც ერთ იძახს ზარიო.
ციხეთა ბაცალიგურთა, მალალთ, დახარეთ თავიო, –
35 დაგივიანდათ ლომნისი, აღარ მოვივით კარიო.
ქალო და ზალო, იგვლიეთ, საყურ დაყარეთ, ცვარიო.

49. კევესურები აწყურთან

ქართველებ, ვერ გაიგეთა, ქევის მთა გარმასულაო?
ცოტინაი ას სნოს წყალი, ჯერ დიდი არ მასულაო.
იარალაის კუდაი ქევის მთას გარმასულაო.
ერეკლე ბატონიშვილი ტახტზეთი გარმამკედარაო,
5 იარაღები აუსხამ, ბაბლიას გარდამჯდარაო.

- კაცი კევსურეთ წალალა: „თავ დამჭირდება ყმისაო, კევსურებ ჩამამივიდან, თორ ქალაქ წამერთმისაო, წილ გაიყარან ახლებმა, ბებრებ აქ ვერას ღისაო.“
- 10 „სანეს კევსურებ იყრების, უფროსებ თემ-თემისაო: „წასვლა გვი, არ გვეშველების, არ წასვლა არ იქნებისა.“ არაგვი ჩამამტერიეს, ქავ აღარ დაუდგებისა. ლელ-უბან გადმოდიოდეს, ელვა ღვა ჩაჩქნებისაო; კუკიას ჩამადიოდეს, ჭუნა მახჭონდა ცისაო; ქალაქს მიუვა ბატონსა ჯოგი ლეგისა მგლისაო;
- 15 ჭუნით მართვეს სალამი, წყრომით ქვე არ იქნებისა. ერეკლეს გასცინებია, პირს მზეი ეფინებისა. „შორაად სადენს ამბობენ, კევსურ ვერ გამადგებისა.“ სურამი გადაიარეს, აწყვერსაც მიუდგებისა. აწყვერის სიმაგრეჩია ლეკები ჩაუდგებისა.
- 20 დაბრუნდა იარალაი, — მაგას რა მეეგვრებისა? ბატონიშვილი შასწუნდა: „ჯარ რაით გამიწყდებისა!“ კევსურებ მაკსენებენ: „დღეს ჩენი გადაგკლებისა!“ ჩამეერჩივნენ კევსურნი, ერეკლე ჩამახყვებისა. ლონხური-შვილ სუმბატა კმლიან კაცთ წინ უძღვებისა;
- 25 გუგუაიშვილ სუმბატა სახლჩი შიგ დაუდგებისა; ჯამბათა ივანეურსა მაშველი მანუნდებისა. ჯამშაისძეო, რად ხკვლები? ერთი ხარ, არ გიკლებისა, შენი წილი და ნაწილი გუღანს გასაყო რჩებისა. ერეკლეს ბატონისშვილსა პირს მზეი ეფინებისა, —
- 30 მაუკლავ კოხტა ბელადი, გლეხი არ ეკადრებისა; შვილი ტყვედ წამაიყვანა, მსახურად დასჭირდებისა. ბიტურაისა აბაი დედასამც დაურჩებისა! გუღანელები ეძებენ მა გუგუაის შვილსაო. „ღერენა რად დაგვიანდა? ცხენი უმკედროდ რბისაო.“
- 35 ჯამბათა ივანეური ვეფხვ გაიწვავდა მთისაო. აზნაურები იკითხვენ ლომნის გაგაის შვილსაო. ნეტავი მაგკათ, კევსურნო, საგზალი სამის დღისაო! ერეკლეს შამახვევიხართ, მაქნევა გწადისთ კმლისაო. ფშავლებ უღებენ იმედსა: „ჭურა ჩვენც გწადის მკრისაო.“
- 40 მემრა მამუკას მალნახვენ, წოწკურაულის შვილსაო. საღირათ ელიზბარასა წონა კარგი აქვ მტრისაო.

ამა ქართულის მათეოში ბლოში ბიტურა ზისაო,
ბიტურამ ვერა იცოლა, აბამ უამბო ცდისაო.

50. კევსურები თუშეთში ლეკების წინააღმდეგ

- ჯარს ეძახს ბატონიშვილი ერეკლე თავის ყმათაო:
„პირ ქენით, შშაველ-კევსურნო, თუშებ აქ მიდგას მზასაო.“
კევსურნ ალაზნის თავ ჩადიან, ამფორას ლესვენ კმალთაო.
გავიდეს ნაყავეჩოსა, მალალს ხუშეჟის მთასაო,
5 იჭურენ გადმოსაკედსა, ლეკ რომენს მოოს მთასაო.
ხუთმაბათს თენებაზედა ლეკი გადმოკდა მთასაო,
ფარსმანს მიუდგეს ციხეთა, ნაყენ სიმაგრის კარსაო.
შშავლებ გვიდებდეს იმედსა: „თოფის დავხვევდით ალსაო.“
კელი გაიკრა აბამა თოთიათამა კმალსაო;
10 განათდა ბაწარაული, ცა წმინდა უცემს თვალსაო.
გვერდს უდგას სახლის კაცები, ჩალხურებ სჭერდეს მქარსაო;
ხაზიკაურებ ვაყები ნაჩვევებ იყენეს ცდასაო;
შიგ სტანავ ორი ღულელი, ერთი ეძახდა სხვასაო:
„თითო შავსწირათ ოროლსა სიმაგრეთ ნაკოც მკვდარსაო.“
15 პირიქით პოხილაური ამამღერებს კმალსაო,
ბლოველი მოლოდინაი მგელი მოხკერეფდა ცხვარსაო.

სათრუსოოდ

51.

- ერეკლე ბატონიშვილი ას ლთისგან დავლათიანი;
სათრუსოოდა გაღბედავს, – სავსე ას საქონიანი;
კევსურებს დაიბარებდა: „თავი დამჭირდა ყმიანი.“
დაემზადნიან კევსურნი: „ოსების ჩვენ გვეჭირს ზიანი.“
5 ჩამავა გაიდაური, მანძილა რქა-ჯანგინი;
მანყეების თამარისძეი, დროშამ მაილა ძგრიალი.
თრუსო გაღეწეს კევსურთა, აისრ რო კალო ძნიანი.
გახუა ხიტალიონი ბასრის კმალაი ფხიანი;
ხთისია ატაბიონი შაორდენია მქრიანი, –
10 ციხის კარ შასტანებო, მკვდარ დარჩა სისხლ-ტიგრინი.

ამაგ სიმღერის მათქვამი კოჭლი ორ, ვერსად დავალი;
ხვალი მყავ ბეწინიკაი, არ გამეზარდა ტიალი!

52.

- თრუსოს ჩავიდეს კევსურნი, ჭეხა ჩაიდეს ცისაო.
„ნეტავი არ ჩასულიყვნენ!“ საერისთოვლებს სწყინსაო.
ომათა ნათელისძესა ეტლი თან ჩახყვა ღთისაო.
საქათერემოდ სწადიან, ჯავრი აქე ქვითკირისაო.
5 ქვითკირის კარზედ შამაქდა, ფერ მაიყოლა მგლისაო.
ხკვირობენ აზნაურები: „კევსური როგორ ცდისაო!“
„ომიშვილი იქნება“, ერეკლე იცინისაო.
გვერდს უდგას ატაბიონი, ღთისია, კარგა ცდისაო.
თოთიას ქება რად უნდა? თესლი აქე არწივისაო,
10 სისხლ გარდაუდის ფრანგულსა ოსისა თრუსოვლისაო.
ოსო, რად იარებოდი, ყამ რად არ გქონდა მტრისაო?
რად არ იკითხე ამბავი თოთიას ფრანგულისაო?
ურჯუკას ქება რად უნდა? სისხლ ბევრჯელ უღვრავ მტრისაო.
თავ-თაოდ ვერვის გაქებდით, ბედენად არვინ სცდითაო.

53. აბღულა

- აბღულის ყარაულები ქალაქის კიდზე მდგარაო;
მანდით აყრილა აბღული, დიღომჩი გადმომდგარაო.
ერეკლეს კაცსა ულაღავს: „ერეკლე, ჩემო ნალაო,
გამამილალე სურსათი, ჩემი ქალაქის ღალაო!“
5 ეგ რო ერეკლემ გაიგო, სიცილით გამამღარაო:
„რა ქნა მა წითელ მელამა? ტყავ კარზე მამიტანაო!“
გონსა მოვიდა მთიული, ეგრ რო ი ღორის ფარაო.
ვაუები თიანელები ჩაიჭრეს კარავთანაო,
ჩაჭრეს, ჩაკაფეს კარავი, ჩაყარეს ფარი-ფარაო.
10 ეუბნებოდეს ოსები: „კარგი, მთიულო, კმარაო!“
გამოქცეული აბღული სამშვილდეს ჩამომდგარაო.
წამაეგება დიაცი: – „ბიჭო, რამ აგაჩქარაო?“
– „სუ დამიღუპა ჯარები, მანდ რო ერეკლე მდგარაო.“

54. გაბრიელ

- ანდრეზად არ მადიოდა, ახლა გაბრიელმ ქნისაო,
დალიენა ბაგრატიონნი, თავად ბატონად ზისაო.
გაბრიელმ ლაშქარს შაყარნა რუსისა-დ' ლიახვისაო;
5 აწვედა მოკევეებსა: „ჯავრ ვის გაქვთ ერეკლისაო?“
ერეკლე შაწუხებულა, ტანთ ბევთარს იცვამდისაო.
კევსურეთს წიგნებ წალალა: „თავ მეჭირების ყმისაო.“
აჩქარდა კევსურთ შვილები, ერთმანეთს არ უცდისაო;
არაგვზე ჩამოდიოდა, გუნდნია შავარდნისაო;
10 ევრე ჩამამტვრიეს, ზეავმა რომ წვერი ტყისაო,
ქალაქს შევიდეს კევსურნი, მზე ეფინების პირსაო.
ერეკლე წამოეგება: „მოხვედით საომრითაო!
არიქათ, ჩემო კევსურნო, თორ ქალაქ წამერთმისაო.“
თოფით იომეს კევსურთა, მემრ კელ მიუდის კმლისკაო.
კევსურეთ, გაბრიელ, ვერ შახვ, — ტყეიას აგასხმენ წვრილსაო.
15 ბევრი იზრდების ობოლი, კმალ-სისხლი უხარისაო.

55. წინის უმის გმირი

ერეკლე ბატონიშვილი გმირია წინის უმისაო,
შიგადი გული რკინისა, გარედი სალის კლდისაო,
რა ცხენსა გარდაჯდებოდა, რა ტურფა ჩილი ხეაო!
რახანსა ომში შევიდეს, მეტის-მეტ მამაციაო.

56. პატარა კახი

ერეკლე ბატონიშვილი ერთ პატარა კახიაო,
აღგეთ[ა] ალგეთობასა ცხრა-კეც რაზმი ჩახიაო,
ასი ცხენსა გაალაკვინა, ორას კარავს წახვიაო,
„ომსა რად უნდა გრძელება?“ — შუბი ბუდეს გახვიაო.

57. თურექმანი ტფილისში

ორშაბათ დილას გათენდა ავი დილა, ავი დარი, —
ყმაწვილების კალოს ლეწავს თურექმანის ცხენის ნალი.
ერეკლე გამაქცეულა, მუკლებს აღარა აქვ ჯანი.

- შამეყვრების რუსები, სამის ბატონისა ჯარი.
- 5 – „რამ გამაგაქცივ, ერეკლე, რამდლ დეგატანა ძალი?“
 – „რასა მკითხვდით, რუსებო? მტერმა მამტაცისა კარი.
 შამევიდა თურექმანი, ქალაქს გაადინა ალი.
 მიუბრუნდათ, გავაქციათ, ამავეგდათ მაგის ჯაერი!“
 არ დაიჯერეს რუსებმა: „ჩენი უფრო დიდი ჯარი, –
 10 თურექმანამ უნდა ხიას ქალაქის პირ ალაზანი.“

58. რკინის კარის შექსნა

- ვერ გაიგეთა, ქართველნო? შაგექსნათ რკინის კარია.
 აღარ გყავთ ნეფე ერეკლე, არც მისი საომარია,
 დამდგარა ბირახები, აღარ ჭეხს ზარბაზანია!
 ცხეთას დგას თეთრი საყდარი, გვერდზე ჩაუდის მტკვარია,
 5 შიგა დგას ოქროს ლოგინი, შიგ ნათობს კელაპტარია,
 შიგა დგას კუბო ოქროსი, გამოსახული ჯვარია.
 კუბოში ჩაუწვენიათ ბაგრატიონთა გვარია,
 დაწერა კამალაზედა ქართული ორი-სამია:
 „სასხვათოდ ნუ გაპკადოდეთ, მუხრანში იდგა ცხვარია,
 10 სამადლოდ ნუ გაპკადოდეთ ჩემი ნარტყამი კმალია,
 სამადლოდ ნუ გაპკადოდეთ იმერელთ ნეფის ქალია!“
 გადაიცვალა ერეკლე, შვილებს დასწერა ჯვარია:
 „უფროსმ გიორგიმ შაირტყას ჩემი ნაბამი კმალია!“

59. ქალაქის არევა

- ღმერთო, რა დიდი ბრალა არევა ქალაქისაო,
 დალევა ბაგრატიონთა, ჩარჩევა მასკვლავისაო,
 მეფის ერეკლის სიკვდილი, დაქცევა კმელეთისაო!
 გიორგი ბატონიშვილი შეებძოლების სითათაო.
 5 გაეარდა ალექსანდრეი, ჯარი ხყავ დალისტინისაო.
 კევსურეთს კაცი წალალა: „თავი დამჭირდა ყმისაო.“
 აჩქარდეს კევსურთ შვილები, ერთმანეთს არ უცდისაო.
 არაგვზე ჩამადიოდა გუნდი ქორ-შავარდნისაო,
 ჭეხით მიართვეს სალაში გიორგ ბატონისშვილსაო.
 10 ერთუცს დაუდგეს პირდაპირ ჯარები ორის ძმისაო,
 შუაზე უდის ჩაფრები, რუსი არ აძლევს პირსაო.

15

შუადღის დრო რო მაეიდა, გუგუნ ღვა ზარბაზნისაო.
გაიქცა ღალისტნის ჯარი, ბძანება იქნა ხთისაო,
გაღახყვა ქევსურთ შვილები, წკება ამადის კმლისაო.
თოთიას ამწუხარებენ სულხანაურის შვილსაო,
თავზე ნახურავს ჩაჩქანსა ჯამს ნატყვიარი სჭირსაო.
მაგას ვინ ეტყვის მამასა, ვინ გარმაავლევს პირსაო?
ყველაის საწყინარია დადგომა ბორაყისაო,
აღარ ხუოდას დროში ღალის კარატის ჯვრისაო.

60. ბორაყის წაღება

ღმერთმა იცოდეს, მეწყინა სიკვდილი ერეკლისაო,
ღარჩომა ნაროვანზედა მეღროშე ბღარაისაო,
ღეკებისაგან წაღება ბღარაის ბორაყისაო.

61. ხახათ მწარია

მაჩხო შე თანღილაშვილო, ენაიმც მოგჭრა გძელია!
ხახათ მწარია მახპარე, ღამე ავლიე ბნელია.
ჭარში რო ჩამაიარე, მანღ შაუცვაღე ფერია.

ღევანი

62.

5

პირველად ღმერთი ვახსენათ, ეგ უფრო ღიდებუღია.
გაიღა რუსთ ქემწიფემა, მუქლებს ღაიკრა ქელია:
— „რადას უბრუნავთ, თავადნო? ცოდო-ბრალ ბრუნავს ძნელია.
ან შამიკართ ტივები, ან ამიგევით გეშია.“

10

ქალაქით ჩაფრებ მაეიდა, წიგნებ მახქონღა ბევრია.
შიგა ეწერა: „ღევანი, შვილად გაზღიღი ჩვენია.
ვაპ, თუ უჭირღას ღევანსა, ომს უპირობღან — ძნელია!
არ ხყვანღას ჯარი, ან თაო არ ხქონღას წამღის მტვერია!
ქიზიციმც ღაიწყევლების, მაგის ქევხუღა ერია!
გავვიორგუღლა ბატონი, ჩვენზე აიღო ქელია.
ჩაფარმ რო ცხენი შახკაზმა, აჟუანტა მისცა გძელია;
უთხრიღით ჩემთა ჯალაფთა: „ნახვა მეწაღა თქვენია;
საბნეღოს ნუ შამიკლებით, — გამიღალღების მტერია;

- 15 დაფას და ზურმას დახკარი, ღზინი გაღმართე გძელია;
 შაიბრაღიდი არაგვი, შაუძღლებელი თეზია.“
 გაიგეს ლეკის შვილებმა, ჩქარა დახკაზმეს ცხენები;
 ოთხთავ აკვერეს ნალები, ლურსმარს უგრინეს წვერები.
 „მოდ, გაუშვათ თარეში, რაღა ლეევანი მთელია.
 მაღალ ერისთავ მოვგლიჯათ, ტყვე წამოვასხათ ბევრია,
 20 შამოეს შამავავლიათ დიღმის მინდორი გძელია.“
 აცათ, თქვე ლეკის შვილებო, რად შამავართვით თვალია?
 იქვე მთელია ლეევანი, იქვე ბევრი სყავ ჯარია!
 ზო გაქსონს, მოსაქციელსა ავი დაგადვით დარია?
 გამავგურიათ ლეევანი, გაგინახვერათ ჯარია!
 25 ქალაქში ბზანებს მელიცი: სიზმარი ვნახე ძნელია,
 ეგ თუ გაიგა ლეევანმა, ეგ თუ გაიგა, – ძნელია;
 მოსთხარას ორივ თვალები, მოხერხას ენის წვერია.

63.

- ქმალი სჭრის ბაგრატიენისა, ნეფისა ერეკლისაო;
 ნეტავი გამაცნობინა! ლეევანს უქებუნ შვილსაო.
 საღეკო შამამტვრია, ზევემა რო წვერი ტყისაო;
 წავიდა სარუსეთოდა, საქართველოი ხკვირსაო;
 5 კემწიფის კარზე მივიდა, ეტლი თან მიხყვა ღთისაო.
 „მაბძანდი, ლეევან ბატონო, ყმაწვილო ათის წლისაო,
 შეიდს წელს ყვენად ნაჯღომო, არ მადის შენს მეტისაო!“
 დაჯდა და ხკითხა ამბავი თბილეთის ქალაქისაო:
 „რამ გაადიდა ჭარელი ნარჩომი ჩემი კმლისაო?
 10 წახვიდე, – არ საქშერო ხარ, არ წასვლა არ იქნებისაო.“
 გამაყოლა ჯარები, კერკები ათას-ფრისაო.
 ლეევან ქალაქი შამაქდა, ჭეხა მაიღა ცისაო.
 ლეკთ უფროსები შაშინდა: „ჩვენკე რაით იქს პირსაო.
 მაგან თუ პირი ჩვენკე ქნა, საქმე ჭირს დაღისტნისაო.“
 15 ვინ მაკსენა ლეკებსა სიკვდილი ლეევანისაო?
 მამკვლარა კორცის ბატონი, ბძანება იქნა ღთისაო.
 მტერი ვერ გაულაღლება, – ერეკლე ცხენსავ ზისაო.

–

ემა ქართულის მათქომი გლეხაი ვიყავ მთისაო,
 რად ეკადრების ქართული ნათქვამი გლეხ-კაცისაო?

20 ვაჰ, თუ ერეკლე გამიწყრა, იქნების ჩემის ჭკვისასო.
ერეკლე რას მიქადებდა, ან გული დედუფლისასო?

და თ უ ნ ა 64.

გადადის იმერეთზედა აქლემთა ნატოტარია;
წვიმა დაწვიმებს ღრუბლებმა, შიგ ჩადგა ნაგუბარია.
ჩაყრილა ვარდის ფურცელი, დაღბერნებს, დასძრავს ქარია;
საკრეფლად შამასჩვევიყო ბაგრატიონთა ქალია.

5 ემაგას მახპარებია ერთი თათარი მყრალია;
დაუჭერავის თათრებსა თამარი დედუფალია.
დათუნამ ბატონიშვილმა ჩაიცვა სამანქანია,
შამაუძახა მსახურთა: „ჩემი მამგვარეთ ჩქარია!“
გადაჯდა თავის ფეკ-თეთრსა: „ეხლა დაზომენ გზანია!“

10 წვერის ძირს შამეეწია, გაუნახვერა ჯარია;
მეშიდმეტეზე მივიდა, დადგა, გაწმინდა ემალა:
„შამინდევ, ღეთის წყალობაო, ოცსა დამიკლდა სამია!“
ერთმა თათარმა ურიამ თოფს დააყრივნა ემანია.
ცხენზეით ჩამაიტანეს დათუნა ალვის ტანია,
15 თმა-გლეჯით ჩამაავლიეს ბაგრატიონთა ქალია:
„ჩემი მარვენეთ დათუნა! მთელი არი, თუ მკვდარია?“
– „დათუნა რა სანახავია, – ბეჭებს სჭირს ნალახტარია.“

64a

დარეჯან დასწყევს შვილებსა: „დათუნამც მაგიკვდებისთა!
მტერსთანა, მაკეთესთანა წინ ვინალ წაგიდგებისთა?!“

65. მუცალი

გირავს ჩამადგა მუცალი, დიდი მუცალის ჯარია;
თუშებს მაციქულ ახკიდა, ბეგრად მასთხოვა ქალია.
მირგვალს დაგროვდა თუშები, დიდ დადგა საუბარია.
ზოგებმ თქვეს: „მივსცათ ბეგარი, მტერმ დაგვიჭირა კარია.“

5 – „ვერას მივსცემდით“, ზოგებმ თქვეს, „მარკეი, ცოლ-შვილთ ბრალაია!“
ქალმა ქესელოს გაივა, ხუთნ მასწყვიენ თავის ძმანია:

„ან მიპატრონეთ, თუშებო, ან ქალს შამარტყით ქმალა.
თორ გავალ, გამავერევი ლურჯ პერანგიან ქალია.
თქვენ შაგრცხვენდებისთ, ვაეებო, რო ვინ მინახნას თმანია.“

- 10 ცხენს ხკაზმავს ითადანური, საისკე მიმავალია?
სუ ღამით შამაიარნა დიდნი თუშეთის მთანია.
შუა ღამის დროს გაალა თელავს გალაენის კარია.
შამასწყრა ლევან ბატონი: „რალა სტუმრობის ხანია?“
– „ჯერ მკითხე, მერე გაამბობ: მტერმ დაგვიჭირა კარია.
- 15 ეხლა თუ მაგვეშველებით, ვიქნებით შენნი ყმანია.“
ადგა, წამადგა ლევანი, იძახა თავის ჯარია.
აივსა გათენებისას თელავს გალაენის კარია.
კელთ მისცა მაშხარაები: „შინათნიდით გზანია.“
– „ვაიმე, ვერ ევომებით, ლექთ უჭერიან მთანია.
- 20 ბატონო, ანდარეზაი ნუ გყავის პატიმარია.
მაგას თუ არ გაუშვებდით, თავად ჩამოგვკენს ქმალა.“

- გაუშვეს ანდარეზაი, ღთით თავის დავლათითაო.
წყალს გირეოში გავარდა სახლთხუცის ორქაფითაო,
ტანი გაილა ლერწამი, ზედ ქუდი ვათარისაო.
- 25 გირაეის ჭლას შამორბის ყმა ლურჯის პერანგითაო.
მუცალ კარავჩი აკაფა ნაკუდარაის კმლითაო:
გაიქცა მუცალის ჯარი, ქალივით ატირდისაო.
მიზღვეენ თუშიშვილები, წიკაპა ამადის კმლისაო.

- მუცალს ცოლ ჩამეგება: „მუცალმა რალა ქნისაო?“
- 30 – „მოგიკლა ანდარეზამა, ყორნებს ამაქე ბწყლითაო.“
– „ეუებენ, არ ღამიჯერა, ქალმა ვაჯობნე ჭკვითაო.
თუშეთ ნუ წახოლ, ცუღაო, არამც ვინ დაგხვდეს კმლითაო.“

აბაშა

66.

აბაშამა თქვა: „დავბერდი, მუკლებს აღარ მაქვს წადინი.
ნეტავი არ მამდიოდა მაგ მუხუაურთ ქადინი!
მანამდი ვიყავ ახალი, არ გავიგძელი ნადიმი,
ჭალათით გამოქცეულმა მთაზე ვჭამიდი სადილი.“

67.

ნისლ ძესა ლებაისკარსა სუ მუდამ აუყრელადა.
აბაშას ტანზე ჯაჭვ სცევა სუ მუდამ წაუყრელადა.

68.

აბაშას დამოყვრდით, ქალებო, ხირსილაური მგელია.
ღარიბ კაცია აბაშა, ბევრის ვაჟის მკვლელია.
მაგას არა ხყავ საქონი, ჭიუხნი ნაღირ ბევრია.

69.

საპირისწამლე ვერცხლისა, აბაშავ, ოკრად დაგჩება.
დაგიკიდებავ გულზედა, თოფის ლიშანიმც დაგდგება!
– ერთი აბაშამ გესროლა, ნიაღვ აღარ დაგცდება!

70. ა ნ ჯ ა რ

ანჯარ, დასტურთა მაურავ, არწივს ღგავ მაღლის მთისასა.
შაიბნენ ლეკებ-ფშაელები, ჩამოქცევას ღგავ ცისასა.
გაძვირდა ტყვია-წამალი, კმლით აპირობენ მისვლასა.

71. ბაბუხური

ხამხი(თ) ტირილით წამავლენ, ქალებ იძახდეს თავზედა:
„შენ, ძმაო, შენებ მამკლავებ შემოდის ჩვენსა გზაზედა.“
მავიდა ასთემურაი სიცილი(თ) დანდობაზედა.
წინა მგზავრმ რომენმ შაიარ? ძმისწულ მამიკლეს რაზედა?
მე რომ გავზარდე პარტალა, ხამხას გაღმეტლა გორზედა.

72. ბალათერა ჯაბუშანური

კარკურით გამეემართა ბალათერაი დილითა,
ღელის-ძმათ გაჯაერებული ქვა-რკინას ამტვრევს კბილითა.
ჯუთისას შამაიარა, მართულმა იარაღითა.
აივსნეს ქოთანის ბეჭნი ქომო-ციხლების მზირითა.

- 5 ყმაწვილად ბალათურამა კმალ მაიქნია პირითა.
ზოგნი ჭრნა, ზოგნი ჩაკათნა, ზოგნი წაუვლენ ჭირითა.
რანიც წავიდეს ჭირითა, სისხლსა მისთხევენ პირითა.
ერთმანეთს ეუბნებიან: „ნუმც წამოვსულვართ შინითა.“
მარტუამ ბალათურამა მთა გარდიარა გმინვითა,
10 გადაუჩინდა დედასა გაცინებულის პირითა,
გადაუშალნა ქოჩორნი გადაპოზილნი ტვინითა.
ბალათურაის დედამა თმანი დაიჭრნა ძირითა:
– „ბიძამ არ მოგცა ჩაჩქანი, აწ გაძლას შენი ჭირითა!“

73. ბალათურას ფარი

მიქეელის კარს შახიდეთ ბალათურაის ფარიო,
მაუელის ომის წადინი, დასძრავს ხანდიხან ქარიო.
შამდინარ-გამამდინარმა სწორებმ დაუგან თვალიო.

74. იოსება

- კევი ზის იოსებაი, ბულა ბუბუნებს კარიო;
აღარ კადრულობს დაბალზედ, მაღალზედ დაქნა გზანიო;
ქალაქს დაშიშნა სომეხნი, გულამაყარს ქნა ძალიო;
ქმოსტ-როშკას გადაეჩვივა, როგორც მარილზე ცხვარიო;
5 ჩამოკდა ცი[რ]კლოვანასა, ჩამოივაქნა გზანიო;
გამაუდგების ცხვრის წყემსსა, ვერ დაიჭირა ქალიო.
ქალმა ისრიენა მანდელნი, არხოტს ჩაყარნა კმანიო.
ვაჟებს ციხის კარ ნაჯდომთა მუქლებს შაუჯდა ქარიო.
გამაღმეტდების ყმაწვილი, გამააშეთა თავიო,
10 მახყვება იოსებასა, შუ არ ჩაუვა ფარიო.
ხკითხველა იოსებაი: „ყმაწვილო, ვისა ზარიო?“
– „რას მკითხავ, იოსებაო? დამბრუნავ აღარ ვარიო.
დისწულ ორ იონეურთი, ბალახურისძე გვარიო.
გუშინ რომ ქალას მოზდევდი, იმის საქმარე ვარიო.“
15 შამოხკრა იოსებასა, მოსჭრა მარჯვენა მქარიო.
ვგრე ჩაკუწეს ერთუცი, როგორც ჭეკარა მხალიო.
საწყალი იოსებაი გზის თავს შამოწვა მკედარიო.

75. ბ ე ქ ა

- ქალი ვარ თუშთა წოვათი, სიტყვას ვერ ვამბობ, მცხვენისა:
დაითვრნენ თუშთა შვილები, ერთ-ერთი მააქვ კელითა.
გავხედენ, გორზე ჩამორბის ვაჟი ბექაი ფრენითა.
ლეკებსა გასჭრა თავები, კალთა ამივსა კელითა.
- 5 ნეტავი, ძმაო ბექაო, შვილი გქნა მამის-ჩემისა!
ანამც კი დავსევა სატყვეოს, დავიკსნა მამის ცხენითა!

76. ბუკულიშვილი

- გაითქვი, ბუკულიშვილო, მითხოს გაღვარდი კმადო.
დალლიე მაისტელები, ამით გაქებენ ცდადო.
ჰაჩარუსაქე გაღვარდი, საიდგან წახველ სადაო?
მარტუამ ბუკულიშვილმა ლაშქარს შამასდვა ზარია;
- 5 ეგრე დაფანტა ლაშქარი, როგორც მგელმ ფანტოს ცხვარია.
დაბრუნდა ტოშის გაზდილი: „აუაერგი ვარია,“
თოფ დახკრა ბუკულიშვილსა, არწივს მასტეხა მკარია.
– განა! მამიკალ ძმობილი, არდოტელ მეომარია.

77. თავისი ქალების დაკოცა

- სამციხელების თოფებმა ელოს ძირს შამაჰკეივლაო.
ეგრე გამქდარა უკიშვილ თათარა, როგორც სინაო.
მიქელი, სურას გაზდილი, რად არ ვინ დაიჭირაო?
ქალნი დაკოცნა თავისნი, სულეთი წაიკდინაო.
- 5 ყველასამც ეგრე მაუვა, ვინც მიქელს გაუცინაო!
ერთხან გამოვა კარშია, ისევ შამოვა შინაო.
კარს უდგა ლეკის ლაშქარი, თავი მით მაიწყინაო.

გაგა ბერდიშვილი

78.

თავს აქებთ, არხოტიენებო, ეგ რაილ სამართალია?
ამლას ბერდიათ გაგაი სამის თემობის კარია.
ჭალას მაივლა სანგლადა ღილღველთ ნაკოცი მკედარია,
ზედ გააყარა ხე-ჭერი თავ-თავის ღილღველის ძვალაია.

- აზნაგეს ქალნი ატირდეს, ცრემლით იბანდეს პირსაო:
 „ბეჩაენო ჩვენო მამანო, ველარ გახვედით ჩდილსაო,
 ვერც სანადიროდ წახვედით: ჩორებს გაგაი ზისაო.
 ან კელთ წაგვასხენ, გაგაო, ან ბეგარ დაგვედევ ცხერისაო!
 5 აიგეს აკალდამაი შენის ნაკოცით მკედრითაო,
 აკალდამისა კარები ჩვენის ნაგლეჯით თმითაო!“
 არ დაიჯერა გაგამა: „ადვილ მიჭირავ კმლითაო.
 წინ თქვენ დამეცით ლაშქარი, ეხლა მე ვიბძვი ღლითაო.“

80.

- ლილლოს იყრების ლაშქარი ერთის ურჯულოს თავზედა;
 ადგიან, წამავედიან გაგაის მუქარაზედა:
 „მამკლავი უნახეაისა აგებ მავკელათ სკამზედა,
 ან კელად წამავეყვანათ, ან თავი მავსჭრათ გზაზედა.“
 5 საწოლთ მახკელვენ გაგასა, ვეფხვს სძინებიყვა მკლავზედა.
 აიმ ღროს გამავედიდა, კელებს უკონვენ მქარზედა.
 „ვაი თქვენს გაგას, ძალღებო, ხანჯარ არ შამჩა ტანზედა!“
 ღილღველს ახგლიჯა ხანჯარი, იმასავ დასცა გულზედა.
 მეორეს გარდაუბრუნა იმავ სენაის კარზედა.
 10 მესამე ქვითკირს შამახკრა, ტვინი შაასხა ქვაზედა.
 ბერდიაობით იძახდის: „კიბე მუშვი ხანზედა.“
 არ სცალის ბერსა ბერდიას, თოფს ეხვეოდა თებზედა.
 თოფს ისრევს ბერი ბერდია, მკვლარ უწყვოვ კალოს კარზედა.
 ოროლთა გატუსულათა მკვლარი შაყარეს მკვლარზედა.
 15 ჭახუკათ ჩაჩაურასა დავლათ დააჯდა მქარზედა.
 მუკლავ მამის მამკლავი, მკვლარ უწყევს წინგარდაზედა.
 მარტო შარუმა ომობდის ორის ქვითკირის კარზედა.
 ტერლის კარ კალოთანელნი ვეფხენი აბრუნდეს მწკალზედა.
 ნუ ვიტყვით მაგათ ნაკოცსა, ბატონთან იყენან ზავზედა.
-
- 20 ამავე სიმღერის მათქვამი კორმოან დაეჩი მთაზედა;
 მამქონდეს ჯიკეის თავ-რქანი, მამიხაროდეს გზაზედა.
 შვიდ-შვიდის ჯალაფისაი მარტუა დავეჯე სკამზედა.
 თუ ვერ ვიძებნე შვიდნივა, სწორნიმც ნუ დამსმენ ჯარზედა!

81. კადელი ღერენათა

კა ყმა შავაქათ, ვაჟებო, — ცუდებიც შეეცდებოდა.
კადელსა ღერენათსა საგონი ჩაეყრებოდა, —
შაუყრავ მშავლის ლაშქარი, ტანიეს უგროვდებოდა.

82. გორგი

რა ამბავია შატილსა, რა წყრომა ბრუნავს ღთისაო?
მატნე მოვიდა შატილსა: „ჯარ მოდის დაღისტინისაო.“
შატილიენებსა ვაუებსა ფათვლად არ გააჩნდისაო, —
5 თითო თოფი აქვ თითოსა, თითო საკსარი ტყვეისაო.
მატნე მოვიდა მეორე: — „მოდის და არ იშლისაო.“
გორგის ლულ ჩამაწვადეთ მჭვარტლიან კათხაითაო, —
ჩამაიარის გორგიმა, ჩაუჯდის ციხის ძირსაო;
ბოლი მასწივის ბოლზედა, გარჩევ არ იყვის კმისაო;
ესროლის აღდამიშვილსა, ოთხი გაწირის ჩდილსაო.
10 ჭანთას ჩაუდგით ფაცერი, თავ-ფეკი ჩაუდისაო.

83.

ნეტარ არ გამახყიდდესა თილისძენ გორგის კმალსაო?
თუ გამახყიდდეს, ვიყიდდი, მივსცემდი ცხვარსა-დ' რვალსაო.
ჩაუდებდი ციხის ლიბუში, გაიმაგრებდა ქავსაო.
ლიბუში რო იქნებოდა, ლეკებს მისცემდა ზარსაო.

5 ლეკეთის მთაზე ყორანი ერთ რასამ უმახს სხვასაო:
„გორგი ველობას წასულა, გავხყვათ ემაგის კვალსაო.
გორგი დაგვამდებს ლეშითა, თუ შეხვდით ნაომარსაო.
ბაგოს ჩავიდა სოფელში თვალ შუადღისა ხანსაო;
ტანს ეცვა ჩოკა ლეკური, აპრიალებდა კმალსაო;
10 ქვითკირის კარზედ გასწირავს აკაფულს ლეკის მკვდარსაო.

ემანდით გამობრუნვილსა ყორნებ ეყრების გზაზედა.
გორგის ხვითხედეს ყორნები, გორგი არ ეტყვის წარზედა.
— „მე რაღას მკითხავთ, ყორნებო? ჩაელით ნაომარზედა.
სისხლი სვით, კორცით დაძელით, ნულარ შაარჩენთ ტანზედა.

- 15 კმლის მამქნევ დალოციდით, ყორნებო, ნაჭრევ თუ სჭირდეს ძვალზედა.“
შაბალის ვეშაგური ჩიოდა: „ჯორ ვერ გავყიდე კმალზედა.
სხვათ მოკლეს ოროლ-სამსამი, მე დაერჩი მარტუაზედა.“

84. თუშები ლეკების წინააღმდეგ

- ჭალაში თუშნი ჩაიდეეს, ნისლი თან ჩახყვა ცვრიანი.
ერეკლე შეწუხებულა: „გზა ვერ გავიგე ტიალი.“
შამაუდახა თუშებსა: „ადარვინ ხართა კმლიანი?“
ცხენს შავდა თილისძეთ გორგი, ლურჯამ გაილა გრიალი;
5 მაგას ბილოსძე გამუდგა, მაჟარს გახჭონდა პრიალი;
გოთლაის ჩალის ფერამა ნაცხვრეზე იწყვა ფხვრიალი.
ბილოსძის მაჟარ გავარდა, ლეკ დარჩა სისხლ-ტივრიანი.

85. გულუხვისშვილნი

- ლული აღუღეს თუშებმა საბალითარად სვიანი,
იწვივნეს გულუხვისშვილნი მამით შვილამდე მტრიანნი;
ახყარეს იარაღები, ეგენ არ დასხნეს კმლიანნი;
ოთხნივე დასხნეს ერთადა, ტაბლა დაუდგეს ზიარი,
5 როცა დაითვრნენ თუშები, დადგა ხანჯრების პრიალი.
დაქოცეს იქი-დ' მეშველა, ანჯა გაწირეს ტიალი.
თვითონ მოკლიან უთური, მანძილა კარი რქიანი.
შვილი მაუკლეს უთურსა, არწივი სინსილიანი.
სხვები კი ახზე დაქოცეს, ბრალი კი მეშველისანი!
10 ნეტარ რად მოკლეს მეშველა? ალაღ კაც იყო, ღვთიანი.

86. ზეზვა და თათულიკა

ქარი ქრის საქარავნოსა, ლურბელსა ღებრევიანა.
ზეზვაი-დ' თათულიკაი ერთმანეთს ზვერევიანა.
კმლები დატეხეს ცემითა, ხანჯრებით ჩხვერევიანა.

87. ი ვ ა

ნეტაიე მიაც ცხენ მამცა! ვაჭმევი ქურსა, თივასა.
ეგები გავედრებოდი ჭურასძიშვილსა ივასა.

88. თამარისძის დატირება

ა) ქვესური დიაცის მიერ

თამარისძეო, მახვედაო?
მაკლულო უსაფეროთაო,
ღიღღველთა ყარწიკაინთაო?

ბ) არხოტიონთ ქალის მიერ

თამარისძეო, მახვედაო?
5 არხოტიენები შინ იყვაო?
წამლიან კოლნი ეღგესაო?
ტყვიის სკამები ესხალაო?
ბურაი გამადიოდაო?
ტირილ რად უნდა ქვესურებსაო,
10 საძროხის ყურეს ნაკოცებსაო?
ტირილი არხოტიენებს უნდაო,
საქარის მაღალ მეომრებსაო.

89. ა ხ ი ა

ქვესურეთს ცანი დაეცნეს, არხვატს ნაპირნი ცისანი.
ქვესურეთისად ახია! ვა ბრალნი არხოტისანი!

90. კისტნელი იმედა

ბევრჯელ ვიარე კისტანსა, ბევრჯელ ვილოცე ჯვარია.
ველარ შავაქი ახლები, იმით მიტანავ ბრალია.
აიქ დავალის იმედა, საც ვერ დადიან სხვანია;
ბევრჯელ შაღებნა სისხლითა აკვათ ჭალანი-დ' გზანია.
5 წინ ბაზდელ შამეყარა, თეთრი ქორაი კარია.
თოფ არ ესროლა იმედამ, – „მეიმედების კმალია.“
მძიმე აუტყდა მდევარი, ეცოტავების მკვდარია.
ერთისად როგორ გავალათ აკალდამაის კარია?
გამადმეტლიან მდევარსა ორნ ახალგაზღან ყმანია.
10 ნაჯდომას მიხყუდებიყვნეს, ქვე თუ იყვნიან ბრმანია?
„სად მიზლით?“ – იმედამ ხკითხა, პირსაც დაჰხვივის ალია.

კისერში გამადიოდის წინა კბილების ძვალია.

„ესლა წაიღეთ, ქისტებო, მკვდარზე შადვეით მკვდარია.“

91. ლუხუმი

მზირი შაყრილა მზირზედა თუშისა, ლეკებისაო.

დეექცა ამხანიგები, მჭურ აღარ დაშა მკრისაო.

ლუხუმის ამხანიგებსა მანდელიმც გზურავთ დიაცისაო!

მესამედ გამოხტომაში ლუხუმს მუკლ მასტყდა მგლისაო.

5 კმალი ახკადეს ფრანგული, კალდომ გადაუგდეს სხვისაო;

თოფი წაართვეს კირიმი, კარა გადაუგდეს სხვისაო;

ქელი მარჯვენა მააჭრეს, წესიც არ იყო მთლისაო.

დაჩეხა თოფის კონტახი, შაიკრა არტახითაო;

სიმშლით დაღონებულმა ქუჩი მოძოვა მთისაო;

10 წყურვილით დაღონებულმა ცვარი ალოკა ცისაო.

ლუხუმს გველ შამეჩვია, მუკლს ულოკს, უკურნისაო.

ორი კვირა რო წავიდა, ლუხუმს მუკლ ექნა მგლისაო.

ჭალისაკე წამუა, ყელი დაიღბო წყლითაო.

წყლის პირზე დათვი მოვიდა დიდის კახეთის ტყისაო;

15 ლუხუმისაკე წავიდა, სულ დაიყარა ყმისაო.

„ღმერთო, მაგას რაღად დამწერე, კელ არ მაღირსე მტრისაო?“

დათვი წყალმ გამაიბრუნა, წაიღის, დახკარგისაო.

ლუხუმი წყალში გამუა, ცურვა სცოდნია წყლისაო.

დაგლიჯა ქერის თავთავი, ემაგით შანაყრდისაო.

20 მეორედ მგზავრი შამაჰხვდა ლეკისა ბაგოზლისაო.

წამაიყვანეს ლუხუმი, ტირის და ცრემლსა ღვრისაო.

მარჯვენა არ აქვ ლუხუმსა, მარცხენას კმარობდისაო.

92. მარიაშულისძე

ჩაიარის და ჩაკოცნის მარიაშულისძემაო.

ყველამ ვერე ქნას ვაჟკაცმა! ომმ რაღა იცის გძელმაო?

93. მექობაური

თუშებს სჯობ მექობაური. თუშებს საფენნოს აუტყდა.

ივანეს მექობაურსა ორ-სამჯერ კარგა მაუქდა:

ჭაბრილოს თუშიშვილებსა ერთხან ვეშაპიც მაუკლა.

—

- 5 ჭაბრილოს თუშიშვილებსა ვერა გაუგავ გზისაო.
დასცილდა მექობაურსა ამასაკელი მზისაო.
გველ თუ გველს შამახბმულიყვა, ბძანება იყვა ღვთისაო.
მექობაურის ფრანგული ვეშაპს ოროლა ჭრისაო.
გველი გაიდვა კიდადა, ზედ თუშებ გამოღისაო.

94. ს ე ს ე ლ ა

ღისეღას ჩაკურათასა თოფი აქვ ღიდის ხნისაო;
ფისიტისად გაუქადლებავ, მარიამ-წმინდის ძირსაო.
„მიშველე, ძმო გამიხარდ, შენი ვარ, განა სხვისაო?“

95. ფერაულნი

- კაკმატ ფერაულთ სიზმარი დაცდილი მტრის კოცისაო.
თავადაც იკოცებიან, არცა-რა უკვირთ სხვისაო.
„ახულებთ გაგაგებინათ, სისხლ ბევრჯელ უსვამ მტრისაო.“
ჭალას ივანეთ ბერდია არწივი ბანზე ზისაო.
- 5 ადგეს, ჩაიდვეს საგზალი, აქსენეს ძალი ღთისაო;
ტანთ იარაღებ აისხეს, საქსარი თითო ტყვისაო;
დათვის-ჯვარ გადაიარეს არწივებმ ზინზილითაო;
ალაქოს გასთენებივა, ალაგს იძევენ ჩდილსაო.
„ღღე აქ დავლიოთ“, — ვაუებმ თქვეს, — „ღამ ჩავსხდეთ
სოფლის ძირსაო.“
- 10 მგზავრი მავიდა ტუტილა, დავლათი მგზავრებისაო.
მაურავ ქისტებს უხარის, ტყუილს უზიდავს პირსაო.
ბერდია ეუბნებოდა: „ნაქნარ ჩვენ უყვათ მგლისაო;
ჯერა დავრიენათ თოფითა, მემრა მავკრიფათ ქმლითაო;
არგონებლივა მაუვა, ალი ეხვიას პირსაო.“
- 15 ჯერ თოფებ არ გაკერფილა, ბერდია ეღლებს სჭრისაო.
ოროლ ივანეს შასწირეს თავი კარგისა ყმისაო.
დაბრუნდეს ნასახელარნი, მზე ეფინების პირსაო.
კარს შატილს შამუარან, ჯარი დგას ბატონისაო.
გზას შაპხვდა ბატონიშვილი, ზლართვა სწადიან გზისაო.

20

„დაგვეკსენ, ჩოლაყაშვილო, თორ შენ' სიცოცხლე ჭირსაო.
ტანთ გვასხავ იარაღები, თითო კელში გვაქვ მტრისაო.“
მახარობელი მაუვა ზაძეს თათარის შეილსაო:
„მაგიდეს ველს წასულები, ჯაერი ამუყრავ მტრისაო.“
ივანე მაუყვანავის, არწივ ჯვარის კარ ზისაო.

96. მინდია ბერდიშვილი

5

ნუ მახკლავთ არხოტიონსა, ქისტებო, მინდიასაო!
თუ მახკლავთ, არ დაიჯერებთ, წყალს ნუ გაატანთ მკვდარსაო!
აენია ბერდიშვილები, არ შაგარჩენენ ვალსაო.
აქებენ კირჩლაის შეილსა, გრანჯას ამბობენ კასაო.
შურის საძებრად წამავლენ, მაგრა ჩაიციმენ ჯღანსაო.
თოფ გადის ნეთხის ბირშია, ქარაფნ უცემენ თვალსაო.

97. მჭედლური და წიქა

5

შატილს ქაეის კარს ატირდა ჯალაბურის ქალია:
„აღარ მოვიდეს წასულნი მჭედლური-დ' წიქა, ძმანია.
წიქას არ აკმარებინეს ჯორით ნაყიდი კმალია.
არც მჭედლურ დაავიანეს, არ მისცეს ომის ხანია:
დრო აღარ მისცეს იმთვენი, ეცადა მკლავის ჯანია.“

98. ნაკუდა გამაროზა

ნაკუდავ გამაროზაო, თუშო, მოკლე ხარ ენითა.
ნახა წაველის ლაშქარი, გამოგიყვანენ კელითა.
ვერ გაძღა თუშიშვილები, ვაჟკაცო, შენი ცქერითა.

99. ნასკეაურისძე

5

ჩავალის, ჩაეუბნების როშკას გაზდილი საღარსა:
„თუ თავი გეზუბუქება, მძიმეს დაგკიდებ ლაგაშსა;
თუ რომ გეშინის, ის მითხარ, გულს მე ჩავიდებ მაგარსა;
ჩავკიდებ გორ-გურიანსა, ჩავაფრენ მაღალ-მაღალსა.
ყდოს აქებენ ყანებსა, დაგადებინებ ნაღარსა.
თავს დაგანებებ, ტიאלო, რას ვსწყალობ ლეკის ყანასა?!“

10

დამკვლევენ ყიდულები, შუბს ღნახვენ ტარით მაღალსა.
სწორებ დაიწყებს კითხვასა: „ნასკვაურისძე სად არსა?“
– ომშია ნასკვაურისძე, მაგის გამოსვლა გძლად არსა,
კაცებს კოცს, კელს კი არა სჭრის: „კევსურის წესი არ არსა.“
კელ მასჭერ, ნასკვაურისძევე, – უკელოდ სახელ არ არსა.

100. უთურგის გიორგი

არღოტს უთურგის გიორგი, გიქრის დავლათის ქარიო,
ერთიმც სხვა გყვანდა, გიორგი, შენდ რო ეჭირა მქარიო!
მაისტელთ გაგვირუმებდით, შეედებოდათ ზარიო.

101. სახელობა

5

ბევრა სახელობს კევსური, ბევრამ გაბანდა ჯღანიო:
გორგომა უთურგათამა ბევრკან გაწირა მკვდარიო;
ლიქოკელთ დაულეგავა ბუნოთ მამღინარ მგზავრიო,
საშოვარ დააყრევიეს, მაგას შურობენ სხვანიო;
გუღანელთ-ჭორმეშიონთა კაც ვერ ჯობ მეომარიო;
წლით კოცვენ ქაქმატელები, მტერს მაგით შასდევს ზარიო;
ჩაფერნეს ბაცალიგველთა ბუყარაჩოში კმალნიო.
ბევრჯველ ჩაყარნეს კადუელთ უხანოდ მითხოს კმანიო,
საქოსა ქუშანათასა ირემს დაღნაყნეს რქანიო;
მარეშათ ჯამბოლათასა არ მისცეს ომის ზანიო.

10

102. მინდია (შიშნია) ბალახურისძე

მამა გემდურის, მინდლო: – „შვილო, უჯერო ხარიო, –
აკვათა, არხოტიონთა შენ აუშალე ზავიო;
სოფელში შესტანებიხარ, ფეხონს გაუჭერ თავიო.“
დაჯავრებულთა აკვათა დიდი შაყარეს ჯარიო,
ქრთამი აძლიეს ქისტებსა, სოფლად თითოი კარიო:
„არხოტში ნუვინა გაგვეცემთ, ენა გაქვთ ცლანგინანიო.“
არხოტის ჭლას აკვათა ზვადთ მანათნეს ნაღნიო.
ესმით ბოლი გამოდის: „ბალახურისძე ვარიო!“
ჭერამა შიშნიაისამ ტყვია დალალა ჩქარიო,

5

- 10 კაცს დახკრა, ცხენსა გაღვარდა, წყალმა წაიღო მკვდარიო,
 „ჯერ მე გაჭმევდით სადილსა, მაკლენ არხოტელნ ყმანიო.“
 შიშნიავ, ნუმც შაგეკსნება წელზედ ნაბამი კმალიო,
 ნუმც გაგიტყდება ჭერაი, არხოტის რკინის კარიო!
 შიშნიას ნუ დაიცილებთ, საც ისხდეს სმისა ჯარიო!
- 15 შანდობა ბალახურის ძეს! არხვატს შაბა კარიო.

აღუდაური 103.

- ღმერთო, რა დიდი ბრალთა სიკვდილი კაის ყმისაო!
 ჭიბლას დაიქცა ქვითკირი, კუთხი გამასკდა ქვისაო:
 მინდიაშ შელმაიშვილმა შუქი ჩაკრიფა მზისაო.
 მზემა გაიგა, იწყინა, მასკვლავი ჩამადისაო,
- 5 მთვარემა ხუთმეტისამა შავი შაიცვა პირსაო.
 იწრო ჭალაი შეუკრავ გოშტიკაურთა მზირსაო.
 ბრალთა მინდიასად, ხან რო არ ექნა ცდისაო!
 არ ხარჯნას ტყვია-წამალი! ჯარ უწყოე მასრაისაო.
 აღუდაური დასწების, შავი ღურბელი ცისაო.
- 10 აღუდაურის კირიმსა კვამლი სულ-წუხად სდისაო;
 სისხლისა კვალზედ გაუდგა, ყორან თან მისდევს კლდისაო;
 აბჟორიტესა მახკელავს, მა დაგაზული მგლისაო.
 მთელსა მინდიას უამბა: „უმცროს გექნების გზისაო!“
 ბარაქალ, აღუდაურო! არვის შაარჩენ ჭირსაო.
- 15 მანამდენ საქსოვარია, მანამდენ წყალი დისაო.
 ნაქნარი აღუდაურის ანდრეზად არ ითქმისაო.

—

- ამაგ ლექსების მათქვამი სანადიროში ზისაო;
 უწუხრე, არ მამივიდა თორმეტი ჯიკვი კლდისაო.
 საღექსოდ გამამიტანე საპირისწამლე რქისაო;
- 20 არ მამცემ, არ მეწყინების, — შენ უფრო შაგატებისაო.

104.

ჯარაის წყაროს რა ამბავია? ჩამატენხნას ხვაე ცისასა.
 გაბუურთ მზირი აუღვა დილა, ამაეს მზისასა.

- გაბურთა ალუდაური დაელნებას ზგავ ცისასა.
აკლოლას ჩამოხკიოდა: კელთ მოგცემ შენის ჭკვისასა.
5 გამექცევ ვერ გამეხვეწებ, ტყვიას გკრავ კირიმისასა.
ჩაუდეგ, ალუდაურო, ნათოზს ყრის გულ-ღვიძლისასა.
მოხკელავ აბჟორიტესა საფერსა შენის ძმისასა.
ქება ნიადეგ შეგქლების იმავ დღეს მძებნელს ძმისასა.

- ამავ სიმღერის მათქვამი საქობის კარში ზისაო.
10 კელში უჭერავ ფანდური, სიტყო ამოზღის ცდისაო.
სალექსოდ გამომიგზავნე საპირისწამლე რქისაო.
არ გამამიგზავნ, არ მინდა, შენ უფრო შეგქლებისაო.

105. მარტია კირჩლაიშვილი

- მარტია კირჩლაიშვილი ქორ მთაში იარებოდა;
წავიდა სანადიროდა, ვეფხვ ჯიკვებს ეპარებოდა;
ახლოს მისვლივა ქისტები, სიკვდილი ეხედვებოდა.
5 დიდა არხოტის ჯვარი, გაუგო(ღ) არ მაშჩებოდა;
წავიდა საშველებლადა, მიქელი ემზადებოდა.
ნასრევი გოშტიკაურთა მარტიას არა ხედებოდა;
მარტიანისა ნასრევი გალოზედ აჭკვავდებოდა,
გოშტიკაურთა დინინი ყორანთ საჭმელად კდებოდა.
10 ომ იქნა საქარის წვერსა, თოფის კმა დაკშირდებოდა;
მარტიანისა მაჟარი კირიმებს გასჭარბდებოდა.
მარტია იმას ჩიოდა: „თოფ სახელს მეკიდებოდა.“
შინა-ღ წამეედ, მარტიაე! სახელი მით შენ გჩებოდა.
მარტია ჩალმა დაბრუნდა, სახელ წინ ჩაუძღვებოდა;
ამღას შამატა ბანზედა, ვაჟს რაიმ ეცინებოდა.
მაულოცედა სწორები, მამას კი ეამებოდა.

106. უშიშა ოჩიაური

ჭიძლის კლდეთ ყეფდა ყორნები, ერთი უძახებს სხვასაო:
„ველთ მიოს ოჩიაური, გავხყვათ ამაგის კვალსაო;
ჩვენის მისვლისად გასწირავს ყორის წყალაზე მკვდარსაო.
უშიშა არ დაგვაკლებდა სახრაოდ ღილღელის ძვალსაო.“

5 უშიშავ ოჩიურო, დალოცვა შენის პირისა!
ბევრი მაგიკლავ ღიღღველი, წყენა არ იცი ჭირისა.

107. უშიშა წიკლაური

დაზია გამაუძღვების თექვსმეტის კაცის მზირთაო;
ჩაუსხნის ბისნის ჭალასა, გზა მოოს ჩემის მტრისაო;
მაელის აბაისძესა ამლით, გაგაის შეილსაო.
თვალ მენადირეთ შაგდა, ხან იყვა შუადლისაო;

5 უყვიან არ-გონებული, ალი ახვიეს პირსაო.
ბრალი ას უშიშაისად, ხანი არ მისცეს ცდისაო.
თუ ეცნა, ვერც კი დასწონდეს სულხანაურის შეილსაო.
იმით აშინებს უშიშა, ჯარ უწყოვ მასრაისაო.
ტერღის წვერ გაუგონებავ ბისნას დაქცევა კლდისაო.

10 ეტყოდა თამარისძეი: „უშიშას უჭირს გმირსაო.“
კირიმი უშიშაისი ნელ-ნელად გამადისაო.
დაბრუნდეს სათაეჭკაოდა, ქარ მუკლებს შაუჯდისაო.
სადუცე ჩამაიარეს არწივებმ კივილითაო.
იწრო შაუკრეს სახვევი, გზა მოოს ღიღღველებისაო.

15 ეტყოდა თამარისძეი: „ვერშ მავიდ ჩემის ძმისაო,
თოფის ბუდე უშიშაისა ღიღღველის თოფს შაშენისაო.“
უყვიან არ-გონებული, ალი ახვიეს პირსაო.
დაზი ამხანიგთ ეტყოდა: ჩენი შინ წასვლა ჭირსაო
სამნი შაგყარნეს წყალჩია, სხვები აგებლატნეს ჩდილსაო.“

20 ცოცხალს უშიშას მოუვლენ: „უნტროსებ მზას გყვანდისაო.“
თათიათ ოდინაისა დედაიმც ცხონდებისაო!
არ მაუტიენა მკკლარზედა, დისწულ ას დელიძმისაო.

108.

ველობა გაუბედავის სულხანაურის შეილსაო;
არხოტის ჭალას ჩადიან, გულში აქვ ჯიკვებისაო;
არხოტის ჭალას ღიღღველებსა ეშმაკი მახყვა მკრითაო;
მასეეს არ იგებდიან, უშიშა შეხვდა გზითაო.

5 გაგებით ვერ დასწონდიან სულხანაურის შეილსაო,
თვალ შემოგვაგდეს წინ-წინა, სრუ თესლს დაგვიღვეს მზირთაო,

დააყარა თოფები, ალი ახვიეს პირსაო.

კელ-ზეით შემოუბრუნა, ომ იქნა თვალთმაქცისაო.

კირიმი უშიშაისა ბისნის დაარღვევს ჩდილსაო.

10 ტერლის წვერს გაიგონიან ჭეხა ბისნის კარს ცისაო.

კირიმი უშიშაისა ნელ-ნელა გამოდისაო.

„თუ-გლალ დაგვიკრეს ღიღღვლებმა, მზე დაგვიბნელდეს პირსაო!“

ღურბინდით ჩამახენებდეს, საცმელა იცნეს ძმისაო;

მთით ბარად ჩამაიყარნეს ლაღნი არწივნი მთისაო;

15 შაუკრეს ვიწრო ჭალაი, სადენი ღიღღვლებისაო;

დააყარა თოფები, მზის პირ დაასკდა ჩდილსაო.

„იქნებოძც უშიშაისად! მზიდავიძც ხარი წყლისაო!“

მანამდინ დაიკოცნიან, ცოცხალს უთვალვენ პირსაო,

ცოცხალს უშიშას უამბეს, პირს ღმინი ექნებისაო.

20 „ორ წაგიღალეთ უმცროსი, მზიდავიძც გყავის წყლისაო!

წყალ მაინც აზიდვიიდი! სხვა ღლიღვებმ რა იცისაო?!“

უშიშა წამაიყვანეს, კარი საფეხნოს ზისაო,

ამაიტანა ღურბინი, ჯიკვთ შეხედნებდის კლდისაო.

ბრაღია უშიშაისა, მიწას უთხრიდან გრილსაო!

25 ტყვია ვერ მეერეოდა სულხანაურის გმირსაო.

109.

ღმერთმა თუ ბძანა, თორემა კაცი რას მოიგონებდა?

სიკვდილსა უშიშაისას ზოყანა გაიგონებდა.

ჯიკვის მოტანად წავიდა, გზას მზირი აუღებოდა.

ბრაღია უშიშაისად, შუღლის ხან არ ექნებოდა!

5 თუ ომის, შუღლის ხან ჰქნიყო, გვიანაც გაიყრებოდა.

ბევრნი დაუხვდეს ერთასა, მაგის მეტ რა იქნებოდა?!

სანამდე მზირნ შეხვდებოდენ, ღიშანი დაუღებოდა.

მაშინ შესწუხდა უშიშა, გულში კი არ შინდებოდა.

მალღა გამოჩნდა ყვარანი, რაც კაცთა სისხლით ძღებოდა.

10 უშიშამ თოფი ესრივა, ერთი ყვარანსა სცდებოდა.

მეორე მოასწრო უშიშამ, ყვარან ველარა ზტებოდა.

ქისტებ გზას უსხენ უშიშას, მაშინ შუღლ მოუქდებოდა.

ქისტებმ ესრიეს თოფები, უშიშას ორი ხვდებოდა.

ერთი ესრია უშიშამ, ერთი ქისტიცა კვდებოდა.

110. ღამბერდი და შაკანა

როშკის გორს ღიღღველ თამაშობს, კელში უჭერავ კმალიო.
გამათამაშდის ღიღღველი: „კეესურებს შავსდვათ ზარიო.“

ღამბერდამ გადმაიწია, მეშველნ მანდეს ცხრანიო.

„აქით გამიშვით, ღიღღველებო, კეესურთ უნდ დაუფთხო ჯარიო.“

5 კეესურთაც ამირჩიეს ყმა ერთი შასადარიო.

შაკანა გამაიყვანეს, კელში ეჭირა კმალიო.

ერთმანერთისკე დაიქცნეს, ცამაც დაუცის თვალიო.

შაკანა-ღ' ღამბერდა შაიბნეს, ლაშქართ დაუგეს თვალიო.

ღამბერდამ ჩამაუქნია, ღიღღველ ამლათიც არიო.

10 „აცა, დაიცა, ღამბერდო!“ შაკანამ შააგება ფარიო.

ფარის გირგოლი გააწყვეტინა, „შაკან, გაგიწითდა მქარიო.“

შაკანამაც შამაუქნია, მოვიდეს გალოს ჩქამნიო.

შაკანამ შამაწვინის როშკის გორ ღიღღველის მკედარიო.

მეგრამ შაკანსაც გამახყვა ღამბერდის ნაკანჭარიო.

15 შაკან კი ისევ გამორჩა, ღამბერდ კი წაიღეს მკედარიო.

ღამბერდა კაი ვაჟ იყო, კაის დაგმობა ბრალია.

ვერც შაკან გადარჩებოდა, თუ არ ხქონიყო ფარია.

—

კაცი ვარ გათუთრებული სიმღერის მუბარია.

შალვათ ხახონი

111.

კეესურეთ ამბავ მოვიდა, დალევა წოვათ ცხერისაო.

კადუელ-ბაცალიველებსა იმედ აქვ ერთუცისაო.

მიუელენ შალვათ ხახონსა: „ხახონ, გაგვიძველ მზირსაო.“

ეპატიჯების ხახონი, ვისაც გული აქვ ცდისაო.

5 დღე-ღამეს ორსავ აღენდა, არ მოხკიდებდა ძილსაო.

წანატეს ჩამაეხვიენეს, ნისლებ რო გორის პირსაო.

მითხოველთ მემცხვარეებსა ნიავე უჭრის მთისაო.

„დაღბრუნდი საშინაოდა, ქისტო, შენ' წასვლა ჭირსაო.“

ბიძია ბენანისა გახედავს, თოფს უზისაო;

10 „შინ ველარ წახოლ ცოცხალი, მაქარ მოგაბომს პირსაო.“

თამარისძის შვილთ წაიგდეს თითო-თითოი კმლითაო.

გვერდს უდგას ბაცალიგვლები, იმედ აქვ ერთუცისაო.
ივანე ხთისიასა, ნატენი ფოლადისაო.
სახელიმც ნუ მოგეშლებისტ! ნაქნარ არა ჯობს სხვისაო.

112.

შალვათ დაბერდა ხახონი, მუკლებს აღარ აქვს ჯანო.
აღარ ეშინის ვეშაკსა, უკრძალავად დის მგზავრიო,
უერთოდ არ დაბრუნდების შალვათ ხახონის კმალიო.

113. შუქიაური

ახიელს თეთრსა ციხესა ჩარდახი ჩამოსდისაო,
შიგა ზის შუქიაური, თავს ცეცხლი გადასდისაო.
შუქიაურის კირიმი გულმწუხრად გამოდისაო.

114. ჭორმეშა

ახლად მოვიდა ზაფხული, ვაჟ ბევრი გულმა აილა.
ჭორმეშამ ივანეს შვილმა თოფაი კელით გაილა;
არ მივას შინ მოსავალად, სუდარი უბეს ჩაიდვა;
ფშარაოს თავი შაუკრა, მტრის მოსავალი გზა იყვა.
5 მაუვა ბუბუნაური, მანძილამ რქანი მაიხვნა.
შორს დასხნა ამხანიგები, მარტუა მარტომ გაიგდა.
ომს უჩვეველი ვაჟები სახალისოდა ჩაუშვა.
გულამაყრელებ ამბობენ: „საორბეს თოფის კმა იყვა.
აის ჩვენ მონადირეა, კურდღელა სადამ მაიგდა.“
10 ღმერთს მადლი, ივანეს შვილო, მტრის ჯავრი თუ ამაიგა!

ზუის ანთა

115.

ლეკი გადიღდა ლეკეთსა, მძიმედ აბიჯებს ბანზედა;
აიწყობს სამკლავეებსა მარცხენა-მარჯვენაზედა;
წამავა თუშეთისაკე, შამაქდა მალალს მთაზედა.

5 ხუის ანთაც მანდ იყვა, თოფი ეკიდა მქარზედა.
„მენა ვარ ხუის ანთაი, ნუ მხედავ სხვა-და-სხვაზედა.“

116.

ჩავხედენ ართანაშია, ღურბელი არეულია,
შიგა დგას ხუის ანთაი, კმალ სისხლში გარეულია.
თუ მოკვდა ხუის ანთაი, ერთ მამა დალეულია.

117. ძაღლიკა ხიმიკაური

ძაღლიკავ ხიმიკაურო, ლიქოკის ზღურბლო, ზღუდეო.
ბეერს ააგლიჯე კალდიში, თეძოზე დაიკიდეო.
არ მოგჩა გაუტეხელი, მტერს ვისაც აეკიდეო.

118. ფუნჩა და მანგია

კახეთს რად ღბრუნავ, ფუნჩაო, გან სპილენძი ხარ ცერინი?
ერთხელ ფშავშიაც წამოდი, ბაკი მანდ გიდგა ცხერიანი;
შაჰხედენ ნაქერლის გორსა, ვაც-ვერძ შაგიფთხვა თხიანი.
ძილს უჩიოდა მანგია, ლეკებმ მაიღეს გრიალი.
5 „ძაღლების იმედი მქონდა, ოქრებმ არა ქნეს ჟრიალი.“
„ამიშვით, – იტყვის მანგია, – ხანჯრისა ვნახე პრიალი.“
მანგია წამაუფრინდა, ზედ აზის ვეფხვი ბჟკლიანი;
გულს უგლის ღამის სიბნელე, უნათებს ხანჯრის პრიალი.
ხუთი მაუკლავ მანგიას, თავად წევს სისხლიანი.

119. ფუნჩათ ჯამრული

კახეთში ფუნჩათ ჯამრული ათეთრებს შუბის ტარსაო.
„ბორბალ არ გამოვიდა? – გაჰხედნებს ბორბლის მთასაო, –
ვერ გადილისა ლურჯაი, ვერ მახკიდებსა ნალსაო?“
ქაიავ ქარსაის ქალო, ქმარს ნუ უქარგავ ტყავსაო!
5 მოგივათ ფუნჩათ ჯამრული, მასჭრის ცხვარივით თავსაო.
ცხენის გავაზე შაგისომს, შეგავლევეს ბორბლის მთასაო.
„მასღივან ქარსამაულთა უკულმა ნაჭედს ნალსაო.“

120. ველგუჯა ხუშიშვილი

„ყვარანო, ჭარის ბოლოსა არ მათვლიე თვალთა?
ველგუჯა არსად დნახია, ხუშიშვილი კარია?“
– „ენახე და ქვეც მამეწონა, დიდ-დიდნ სხდომიყენეს თვალნია.
საჭმელად ვეღარ ჩაუედ: არწივს ეფარნეს მქარნია.
მარტუა არა ყოფილა, – ორნი ეტანნეს სხვანია.
ქვესურეთობა ეგულა, ასდიდებივა წყალია.“

121. თუშების მექალაქე

თუშების მექალაქესა ყვარან დაღბუის თავზედა;
აშიშებიან ჭლანი, დგებიან ხაშმის წყალზედა.
ვინ იყავ? ვინ იარები? თავ ვინ გადასდევ ცდაზედა,
აზდეგ, აილი აბჯარი, გახვე სვილობის მთაზედა?
5 მათ სად ღგონობდი სავლელად, „სადილ სად ვჭამავ გზაზედა?“
კახეთით არჯალ, მამუკა მაგივლენ ჰირობაზედა.
შილდა-საბუე გაგივლავთ, კელეგ გაქეთ კმლის ხე-ტარზედა.
ვაუებსა გავაზელთებსა სიტყვას არ ეტყვით წარზედა.
10 გულ-კელა შამუბრუნდებით, ზვადთ მიიგოგებთ ნალზედა.
შამოხკლებოდით სხალთ გორზე, თვალ გაქვისთ თებელთ ცხვარზედა.
ცხვარი თებელთით აიღეთ, გასძაბეთ სივნის მთაზედა.
შინ მახვალთ ნასახელარნი, თავდაბლა სხელხართ ჯარზედა.

122. ბაის ციხე

აქეშლოს ბაის ციხეო, წვერამდ ნაგებო კირითა,
ფშავლებმა ჩამაირიგეს აწ მესამისა რიგითა.
გარედან ვერ ამოკედები, გზაც არა მაქვის შიგნითა.
ფშაველთ ქალ გამამირჩიეს საფშაველოშიით შიგითა:
5 „თუ დაჰშლი ბაის ციხესა, ნუ ამოგვაგდებ ჭირითა!“
ახლა კი უნდა შაგაკვდა, სამჯერ ნამრგალო წილითა.

123. სალუქის ქაეთან

სალუქის ქავსა გადმოჩნდა თეთრი ალამი ჩითია.
წინ-წინ თეთრ ცხენი გადმახყვა, ზედა მქედარი ქისტია.
სალუქის კარსა სალუქი ეს მოცადური ვისია?
გადვარდა ალამიანი: „პატრონ ვინა ხართ მქედრისია?“

124. ი ს ყ ი ა

კიშოს მალოზანასა ყორნები ჩამოდოდა;
სუნხანაურთა უშიშა ქორებულ ჩამოხკიოდა;
ღიჩინი იაღღოშვილი ისყიას გადადიოდა.

125. კევსა თქვეს

კევსა თქვეს მაკევეებმა: „კევსურნი მავაქციენით;
წითულ-ყვითულან ღროშანი საბაკეს მავაყრიენით;
იმათ ნასრეენი ისარნი იმათავ შავესრიენით.“

126. ფხოველი და შავანელი

ერთი ვაჟკაცი ფხოველი შავ-წყალს საომრად დადგაო,
ადგა და შინ წამოვიდა, გზას შავანელი შაჰხვდაო.
ჩაჭრეს, ჩაკაფეს ერთურთი, მაშველი აღარ შაშჩაო.
ცითა მოვიდა ყორანი, მაგათ ნაომარს დახყვაო,
ჯერა დაითვრა სისხლითა, მერე ლემ ჭამა, გაძღაო,
ადგა და ისევ წავიდა, მაგათ ვაგლახნი დასცაო:
„ორნივ ყოფილან უჭკონი! ერთმ მაინც რად არ დასთმაო?“

5

127. შავი ვარ

შავი ვარ, შავი ცხენი მყავს, შავი თექალთო მიდგია;
სახლი მაქე ნაპირისაი, კარი ჯავრისა მიბია;
ლოგინი უძილობისა, შივ ნარ-ეკალი მიგია;
ტაბლანი ზარავანდისა, ზე კიცვის ჯორცი მიწყვია.
დანა დავაგი ჯავარი, ზე გიშლის ტარი მიგია.
მაველი ხთის ბრძანებასა, მიწამა, ვერ გამიგია.

5

გუროვლები სამეკობროდ

128.

გუროს ველობა ნუმც ქნილა, გამასვლა ორის ძმისაო!
ამაგათ იარაღები – საკსარი თითოს ტყვისაო.
ადგეს, აიღეს აბჯარი, ძალი აკსენეს ღვთისაო.
მიუვლენ აპარეკასა: „ნაპირ ჩავძიათ წყლისაო!“

- 5 სტუმრულად ჩამაიარეს ჭალაი შატილისაო;
ტერელოს ჭალას ჩადიან, ხანია შულამისაო;
ბოსოხს პირდაპირ ჩამუსხდეს, ხანია თენებისაო.
ბოსოხით ცხვარ-წყემს გამოვა, რისხვა გამოხყვა ხთისაო;
დააყარიან თოფები, მზის-პირ დახვივეს ჩდილსაო.
- 10 თოფის კმა იღუაისა ტერელოს ჩამადისაო.
აჩქარდეს ტერელოვლები, ჭიკვა დგას ცხენებისაო.
– „არიქათ, ტერელოვლებო! წყემსი მოგვიკლეს ცხვრისაო!“
შამაეხვივნეს მირგვლივა, – „თქვენნი შინ წასვლა ჭირსაო.“
თოფი ხოლიგას დახკრიან, მუკლი მოხკვეთეს მგლისაო.
- 15 ბრალთა იღუაისა, – თავი ვერ დასთმა ძმისაო.
ეგ უფრო საკვირველია, – ძმასზეთი ომობდისაო!..
შინ მასვლა მოულოციდით ბათაკიანის შვილსაო!
სცადა და აღარ გავიდა, – გამოსულია ზღვითაო.
სულეთში ულაკაური კარი სათავეს ზისაო;
- 20 შვილნი მიუდიან იაღნი, მზე დეეფინა პირსაო;
უკოცავ ტერელოვლები, მზიდავი თან ხყეებ წყლისაო.
უთხრიდით მაგათ დედასა: „დაწვე, გულ მიეც ძილსაო, –
შენ შვილთ ქნეს საკსენებელი, მანამ ღურბელ დის ცისაო.“
-
- 25 ამაგ სიმღერის მათქვამი ბერ-კაცი ბანზე ზისაო.
ძმა მეც მამიკლეს ქისტებმა, ყველას თავისი სწყინსაო;
ველარ ვხედავდი ღამესა, აღარც ანდე მაქვ გზისაო,
თორემ მეც წასვლა მეწადა, სადგომ მეც ვიცი ცხვრისაო.

129.

- აკნებ აყეფდეს ყორნები: „ეხლა ველობის ხანიაო.“
იღუასა და ხოლიგას ძმათ აქვის საუბარიო:
„მამა ვიძებნეთ წინავა, რასალ გვიხედვენ სხვანიაო?“
მაუვლენ აპარეკასა: „შინშო, გვიჭირე მქარიო.“
- 5 დაუაზრიდი, დედაო, იღუამ შაირტყ კმალიო.
ათენგენასა დილასა სად მიდის მეკოპარიო?
ტერელოს ჭალას ჩამადის სამის გუროვლის კვალიო,
ბასოხ კიდის პირ შაუკრეს, ჩდილში არ უდის ცხვარიო.
ცხვარ-წყემსი მაუვილოდა, ერთუცს დაუგეს თვალიო.

- 10 იდუაისა ყელ-ჭრელმა რისხვით გაიღნა კმანო.
ქისტო, გულს გაგადებიეს, დაგზეიეს თოფის ალიო,
შავწირეს ულაკაურსა, ყოფილხარ შამადარიო.
ქმა გატყდა საურჯულოოს, დაიძრა მთა და ბარიო.
არ დაანებნეს ღილღვლებმა საშინაონი გზანიო.
- 15 წინ-წინ ხოლიგას დაგვიკრეს, არ მისცეს ომის ხანიო,
ზედავ დასწების იდუა, არწივი მეომარიო;
ძმაი დაიდვა საყუნად, ურჯულოს შაზღვა ზარიო.
მერმე იდუას დაგვიკრეს, არწივს მალნაყეს მქარიო.
ომობენ ულაკაურნი, სრუ იძვრის მთა და ბარიო,
- 20 ნომარს ამგათასა თვალით ვერ ღნახვენ სხვანიო.

130. მითხოვლების დასხმა არდოტლის ცხვარზე

- არდოტში რა ამბავია? ჩამატეხას ღვაგ ცისასა;
ამბობენ ლაშქრის მოსვლასა: „გარდმაკდა არიშქისასა.“
შეიდკან ჩაუსხეს მალული ცხვარ-წყემსსა არდოტლისასა.
„ქელად წაასხეს“, იძახან კარავნისასა, ტყევისასა.
- 5 ბრალი ას, მურღვათ ჯამრულო, ბეჭნი მიანდენა ქვიშასა!
არ გქონდას თოფ-იარაღი, არ გახედვედა ლიშანსა!
ყმაწვილ ხარ, ლაგაზიშვილო, არ შაგაშინან ღვთის მადლსა!
არც შენ გაქვ თოფ-იარაღი. ხანსაც არ იყავ ცდისასა.
ივანეი და ხოლიგა მუკლს მაიბემდეს მგლისასა;
- 10 დაქუეხ წინ-წინ მოვიდეს, წამოსულნ ჭალაისასა;
მასწვრეს ალიამურა, ქისტებ ახკვალვენ ქვიშასა.
ხოლიგა ჩამახკიოდა: „ქელთ მაგცემთ თქვენის ჭკეისასა:
მთისას მე არ გადაგიშობთ, გზა არ გაქვთ ჭალაისასა.“
ივანე იროს გაზდილი გულით გახედავს ლიშანსა;
- 15 თოფი ზკრა ციციკათ ძობისა, ნამტვრევს გაისრევს ძელისასა.
ქვე თუკლად გარმაგაცდინე, თბეს ეფარიღი კლდისასა.
ლამაზად ვერ ამიჩინდი, თორპილს გაბემდი ლიშანსა.“
მზეს რად არ ხფიცავთ, ქალ-ზალო, იმ ორის ოშკაცისასა?
ვინ იყენეს მენადირენი, შიბთ ვინ გამახყვეს კლდისასა?
- 20 ამბობენ კარგად გასჯასა ძმათ სისკარაის შეილთასა.
„აეხლა დაუშიღინდათ, – ღამით ვერ ვღნახვით ლიშანსა.“
უფროსებ უჯავრდებიან: „ცოდვას რას უზამთ ტყევისასა?“

ყველაზე საკვირველი ას, ჯარს ვინ დასწონა მტრისასა?
კმლით ჩამარეუას ამბობენ გიორგით ჯამრულისასა,
ჩარჩევას, ჩამათვალვასა კარაენისასა, ტყვისასა.

მოგიცდათ, არდოტელებო, კლოვ ნულარ იქამთ ღვთის მადლსა.
ნუ სწირავთ თოფ-იარაღსა, ნაპირს ხართ ადგილისასა.

131. ძელის სამანი

ხომ არ დასცილდა ქისტებსა, სამანს რო დგემდეს ძელისასა?
თოთრ ტაიჭოსანს ხედვედეს მწევარს არხოტის ჯვრისასა;
ტყე-კლდეზე გადადიოდა, მკედარს არ ღვეანდა სხვისასა,
უკენ ყმან მიქელისანი ფხას აწითებდეს კმლისასა;
უკრევდეს სახვევ-სახვევთა, ხერგს მუშაობდეს მკედრისასა!

132. ტყვეების დაყრევინება

ლოპოტას ჩამოდიოდეს ლეკები წულიანები,
მიუდიოდათ კახები ტირილით, ცრემლიანებით.
ლეკებს მგზავრ შამეყყარათ თუშები თოფიანებით.

„ლეკო, გიკვეხნავ ლეკეთსა: „თუშეთსა შავისწავლიო;“
ის აღარ მოგიგონებავ, მზას გვაქ ნაკუდა კმალიო.“
კახებ შინისკე გაიქცენ, ლეკ-თუშთ დაუწითლ ცანიო,
ლეკთაცა აქორეველთა კარგა უჯერებს კმალიო.
ლეკმ მარჯვე გააწყვეტინა ფარსმანლის თუშის ძვალიო.
საშველად შახვდა ახლოსა თუშის ლეოის კმალიო.
ლეკი დაკაფა ლეომა: „მამუტანილით წყალიო!“
თუშების ნაკოც ლეკებმა მკედარმ დააგუბა წყალიო.

133. ლეკების დასხმა

ჯაჯოთ გიორგის ლურჯაი ფხვრიალებს და უცემს ცხვირსა,
„რა უკლოობა შაგიდგა, რაად უფთხოვ პატრონს ძილსა?“
არ ქნილა შულამის ღროი, ბიბინი დგას ლეკებისა.
რად ენდობოლით ღვინოსა, ან თენებაზე ძილსაო?

- 5 ომი მოგვიტდა ძრიელი, თოფი ჭეხს, ტყვია წვიმსაო.
 დაგვეცა უღარო დარი, ცნობა არ იყო მკვდრისაო.
 ზედ ბნელი ღამე დაგვეცა, პირი გევინათებს კმლისაო.
 გაჰკვირდეს თუშიშვილები ჭრას თავბერაის კმლისაო.
 ეგ უთურის კმლის გაჭრილი კვალს ღვეანდა ყამირისაო.
 10 ლეკნ სანგალს მაივლებდიან ბაგას ნაკოცის მკვდრისაო!

134. ფაცხვერი და ალუდი

- ფაცხვერას ბაქინცაურსა გავლა სწადიან მთისაო,
 გადმოსვლა ახიელჩია, ჟერება დროშისაო,
 გატეხა გაუტეხისა ბაკათა ქეთიკირისაო,
 გამაყვანა და წაყვანა ქალისა განძისაო,
 5 გამატანა და წატანა ჯიგრაულაის კმლისაო.
 ჯარით დაგვექსენ, ფაცხვერო, ერთხან გამუძველ შზირსაო.
 დაგხვდება ბაკაის-შვილი ცირცლოვან კილდის პირსაო,
 არ უნდა სხვა ამხანიგი, იმედ აქვ თოთაისაო.
 შამაგეწვევის მღევარი შავ ქვიშას წვევრის ძირსაო.
 10 მაგდევდას თათრისეული, ჭეხა გეგონას ცისაო,
 გესრეუდას მართალ-მართალსა, თავზე გეყარას ქვიშაო.
 – „რად არ გადამხოლ, შშაველო, რასალ მასუქებ ნადირსა?
 თოფი მაქვ ავის პირისა, თუნდ ტერლას ზკითხე ნადირსა,
 ალუდ ორ კურდღელაისძე, მწარეს გიმზადებ სადილსა.“
 15 – „აგრე ვერ მამკლავ, ალუდო, შენ რო ჯიკვს მახკლავ კლდისასა,
 კეესურთ კარს მივღგერი სანესა, გზას მავსთხოვ ტანისასა.
 ჩაგისხამ მალულ-მალულსა, არ დაგიჩქამებ ქვიშასა.
 ზენ-უბან დაგიჯაბნებდი ნაგებსა ბასრის ქვისასა.
 თოფის აღს აგიტანიებ ანაგებს ბაკაისასა.“

ქისტების ლაშქრობა არხოტზე

135.

სამშაბათს გათენებადა დიდი ღვას ცოდო-ბრაღია:
 იხვევის დელამიწაი, ცოდვით ჩამოდნეს ქვანია,
 ცაზე აყენებს მასკვლავთა არხოტიენების ბრაღია;
 სიბრალულისგან ქრებოდა ცისკარი ამამქდარია.

- 5 ორს თემს დაეცა თავზედა მთელი ურჯულოს ჯარია,
უკენ ას ერავენელები, არც რა მისჭირეს მქარია,
ვაუებმ ომობის კვალად ჩამაისწავლნეს გზანია.
„წითელ არმიან მეველით“, მასულთ ჩაყარნეს კმანია,
„ამღას გეყავ გიანარალი, მქარზე წითელ ხერავ ჯვარია,
- 10 კომისარ ჩამაიყვანეთ, რომენ გყავთ მუუბარია.“
გათუნებამდე მაქრიფეს სოფელში ქუდოსანია,
მემრ იარაღებ მაქრიფეს: თოფი, ხანჯარი, კმალია.
ეკლესიასთან შაყარნეს არხოტის ჯვარის ყმანია.
შვიდნია ახიელელნი, მიწას კნავს ქისტიის ჯარია:
- 15 გათუნდა, მაში გაიგეს: „ურჯულომ დაგეცნა ცანია,“
ჯავრმ გაუარა გულშია, კბილით დაკვინტნეს ქვანია;
შაეკრა ყარაულებსა ველთ გასავალნი გზანია,
სრუ დაუჭერავ სოფელი, შაერეს სიმაგრის კარია.
ახლა დაეცნეს ამღასა, დილა თენების ხანია;
- 20 დახკივლეს ქისტიშვილებმა, ყველამ დაღვედრა გვარია.
თოფის კმა, ელვა-ქუხილი, სრუ ჟერდა მთა და ბარია.
კარში გამავა დავითი, ხოდელიშვილი ჩქარია,
დადგების გაკვირებული, თან ღგონავ საოცარია.
აის დროს წამაეხვივნეს ქისტიშვილების ჯარია.
- 25 – „ნუ მახკლავთ, ქისტისშვილებო, ქვრივის გაზდილი არია,
დედა დაშჩების ბებერი, დიაცი, ახალ-ზალია,“
არც რას შველს დედის ერთასა, სალოცავმ ახკრა მქარია.
სიკვდილს არ დასდევს დავითი, გულ უძე როგორც ქვანია.
მაგით ას ბოროტიანი, არ მისცეს ომის ხანია.
- 30 გაწირა წუთისოფელი, არხვატს დასწერა ჯვარია.
მშვიდობით, ამღის ციხეო, შენი ჩამოშლა ბრალია!
თუ მახკვე, ღმერთმა გაცხონას! შინ ხო არ დაიმალა?!
წაედით, ურჯულოებო, ჩავლილთამც დაგლევეთ წყალია!
ისწავლე, ელამარძაო, არხვატით წანატანია,
- 35 მიხოლ, მიგიდის ტყვეები, მიგიდის კარავანია.
იცოდე, არ შაგჩებოდა არხოტივნების ვალია,
წინავაც გკოცდესთ უღმერთოდ, როსაც არ გედვათ ბრალია.
გაქსონსთა საამლოშით გამაგილაღესთ ცხვარია?
წყემსიც ქვიშაში გაწირეს, ტყვიამ დანაცა ძვალა?

40 ამაგის მალექსებელი ვერ ტირის, როგორც ქალია,
არც რა ვიამბე ლხინითა, ცრემლებში ჩამავთვალაია.
ეგეთან არა მეგონნეს არხოტ მაზღილნი ყმანია.
უშინებავის ქისტები, ბევრ რო შაყარეს ჯარია.
მაშინ კი გადაგაკლევინთ, ტყემ რა გაიბას თვალია.

136.

- ახალ ლექსობას დაეწყებ, კას ვერას ვიტყვი ავზედა.
ბევრა სისხლი გვაქვს დაღვრილი, ურჯულო არ გვყოვ ძალზედა.
ნუ დახალიზდით, ვაჟებო, უვალოდ კაცის კვლახედა!
ხან ცხენებ გამაულალეთ, ხან დაეცენით ცხვარზედა.
- 5 კაცნო, სუყველა კაცია, ქულს დაიხურავს თავზედა.
თავ-თავ ურჯულო წყინულობს: „ჩვენაც წაეიდათ ვალზედა.
ბევრ საუბარ კი ვიცოდით, რახან დავსხდიდით სმაზედა.
მავიდან, ჩვენაც დავხვდებით, კმას რო ავლებენ კმაზედა.
თუ იქით მავას ლაშქარი, შამამიკდების ბანზედა.
- 10 მე რაისადა-ღ მეშინის, ვერ გამაოლა კარზედა?
ჯერ ვერ ას გათენებული, მასკვლავნივ ბრწყინვენ ცაზედა.
თოფი ჭეხს, ბომბი გრიალებს, ცა დაგვეხურა თავზედა.
ყველა ტარივით აბრუნდა, იარაღს ისხმენ ტანზედა.
თავის ფიქრისგან შამკრთალთა ვერა გაიგეს ხანზედა.
- 15 აგებ საით ვინ გავიდათ, გულ კი ყველას აქვ ცდაზედა.
ცეკად მავრტყენეს სოფელსა, თივებს ცეცხლ მაზღევს ბანზედა.
საითა-ღ გასავალი გოქვ, კაც ხო ვერ ხტების ცაზედა?
სტუმარ-მასპინძლებ, ვაჟებო, მაიმალენით რაზედა?
წიოკობს დიაც-ყმაწვილი, ბევრა მაგიდგათ კარზედა.
- 20 არიქათ, აგებ გვიშველათ, იმედ გოქვ მეტად ძმაზედა.
გამაგიყარნეს საქონნი, ერთ ღილღველ გიღვასთ ბანზედა.
თოფ დაგკრათ საკვამშიგითა ჩუფჩუფზე, საუბარზედა.
ირჩევების ნათელისძეი, მივარდნილია წყალზედა,
გიგიტა პარაბლიანი დაუდგა ბოსლის კარზედა.
- 25 ბაბუტამ ბომბი დაიდვა დაკასულილი სკამზედა,
შუა უბანში ქვიტიკირო, ნაგებო მუქარაზედა,
დანეული ხარ, ოკერო, ბანს აძლევ თოფის კმაზედა.

- მაგიდგეს ახალ-უხლები, შენ თუ რას გვიშველ ხანზედა.
 ერთუცს საბლებით აღენენ ქვეთას თვლით ზეთა თვალზედა.
- 30 დაშალეს სათოფეები, დადე, ქეითკირო, ძალზედა!
 თოფი ჭეხს, ტყვია ტყრიალებს, კრილ იძაბების ბანზედა:
 კლო ვერ ნუ იქამთ, ვაუებო, ერთუც ნუ ხათრობთ კმაზედა.
 მაველით ახიელელთა, არ მაგვივიდეს ხანზედა.
 მეთემე მაგვეშველების, ხო მავლენ თენებაზედა?
- 35 ახიელითაც მავიდე, თათია იცნეს კმაზედა.
 ღალატით დაგვიბალითნეს პოლიციას ჩქაშზედა.
 „იარად ჩამაიყარეთ!“ კაცებს გვიღალვენ ძალზედა.
 სამეთვეუროდ ჩავდებით, არ გამაგიშობთ წყალზედა.
 ქოო ვერე კი ვერ გაქნევთ, დახალიზულნო სხვაზედა.
- 40 მეედით, თაოდ წაილით, ჩვენ ვერ დაგვიდებთ მქარზედა.

ყველაის მართლის მათქვამსა კოეში მეკუთენის ჯარზედა.

137.

- გულს შეეყარა სალონი, დარდი მკლავს, ჯავრი ბევრდება;
 ჩვენის ნაწური სისხლისგან სრუ დედაშიწა სველდება.
 წითლად მაიქცნეს წყარონი, ჭალას არაგვი ღელდება,
 მთელ ქვეყნის საწყინარია, ჩვენთვი ურჯულო კელდება.
- 5 სამშაბათ დილა თენდების, შავი ბადეი გვედება.
 თოფი ჭეხს, მთანი ელობენ, თოფის ცეცხლისგან თენდება.
 თავზე დაგვივიეს ურჯულო: „თქვენთვის დილაიც ბნელდება.“
 ახლა დაგვეცა, რაიცა წინავ შიშ იყვა, ელდება.
 ერთუცის ძალით ლაშქარი ვინც რო ცხვარია მგელდება.
- 10 იშლების ცეცხლის გირკალი, ვითა ელვაი გელდება.
 კაცნო, იფიქრეთ! რას ფიქრობთ? ჩვენთვი ქედანი გველდება.
 საითად გაოლთ, ვაუებო?! ჩვენთვი მინდორიც წვერდება.
 კელის უქდელა მბრძოლი ვინც რო ყმაია, ბერდება,
 მაგათ ჯავრითა' ბოროტით მკვდარიც რად არა მთელდება?
- 15 ცაზე ქრებიან მასკვლავნი, მზეიც ამაზე ბნელდება.
 პირ გაიბრუნა ლაშქარმა, მიდის, აღარა ჩერდება.
 დრო-დრო მაიტანს ყველასა, კლდეი, კამპანი ველდება.

138. კმლითა თუშთ, ხანჯრით ლეკებმა

გარა გოთლასძე გაუძღვა, სარდალი თუშებისაო;
ქეთრის მთა გადაიარეს, კვალ გადიტანეს მგლისაო;
დაგოს სოფლის პირს შაუკრეს სადენი ლეკებისაო.
ლეკი წამუა თორმეტი, მძებნელი თუშებისაო.

- 5 „ჩამოდით, წულიანანო, თუშები დაგხედებისაო.
ჩვენის დაკოცით, ლეკებო, გან თუშებ გასხლტებისაო?“
კმლითა თუშთ, ხანჯრით ლეკებმა, – სისხლი მკლავთ გადადისაო.
შვიდი მათკლავთ ორათა, ხუთ წავეიდ თორმეტისაო.

—

- 10 ემა ქართულის მათქომი ქალი ვარ ბაგოზლისაო.
გოთლასძევე, გამამილაღე ყაწიმი შენის კმლისაო.
ფარაგზე არ დავიკრავდი, მგლოვიარე ვარ ქმრისაო.
შენთან მამიკლეს ლეკებმა, ყორნებს ამაქვე მწკლითაო.

139. ღილღვლების დასხმა

ლაგაზიანთ ცხვარსა და კაროვანზე

ხამხას ჩითურა გადიღდა, არ არი კაცის წარზედა;
შამაწვედის ღილღვლებსა, მარიგებენ გზაზედა.
გულში აქვს ქვესურეთობა: „ჩავეიდეთ კარავანზედა.“
შამოკდეს ბისნუს კუროზე, მასკვლავ გამრავლდა ცაზედა.

- 5 ნასოფლარს ჩამაიყარნეს, მთვარე ჩამოვა გზაზედა;
შამოკდეს ოსანიკასა, შებ დიწვერა ცაზედა.
თავ გაიერთა ლაშქარმა ბისნის წვერს, სარგის მთაზედა.
შაჰხედეს ბიტურ ვაცვერძსა, გულ დაშმა ცხვრის ფარაზედა.
დაეცნეს, არ დაიჯერეს, ლაგაზიანთა ცხვარზედა.

- 10 განსა დაუდგა წყემსები, ველარ შაუღვეს ძალზედა.
არხოტით კმანი ჩაყარნეს: „მოგვემველენით ხანზედა!“
სამღვეროდ არხოტიენები დეემზადნიან წამზედა;
ოროლ პირ მასრა აისხეს, თოფებს უხარის მქარზედა.
არხოტის ჭლას მგზავრები ერთ-ერთს არ უცდის გზაზედა.

- 15 ახლები აჩქარებულან, ბებრებს გულ ერჯის ცდაზედა.
კარგებმ თავ გამაიმეტეს, მეწვერე ნახეს მთაზედა.
ზოგნი წავეიდეს წვერისას, ზოგნი სახჩუის გზაზედა.

- ომ იქნა საკარის დეღეს, ნისლები წვება მთაზედა.
 კვამლი გავიდა კვამლშია, გაირთხა ბოლი ცაზედა.
 20 მაჟრებ ჭეხს საკარეზედა, კირიმებ – თავის კმაზედა.
 დატყვერენ, დაკურდენ სტამბოლებ, ტყვია ცვიოდა ფარზედა.
 სიათამ დედის ერთამე ტყვია გალალა ძალზედა.
 ბრალია, გიორგაისძე, ურჩოდ დაიჭრა ტანზედა!
 ეგრია მინდიანისი არწივ დაკოდეს მქარზედა.
 25 ზოგებ ჩაყარეს ხესელას, ზოგებ ტანიას წყალზედა;
 წაართვეს გუდა-ნაბადი, ნასოფლარს გაყვეს ბანზედა.
 ცუდად ქნეს, წილ არ დაგვიდევს: „ვერ შამახკედით ხანზედა.“
 მეწვერემ დაგვაგვიანა, ვერ აყვარენით წამზედა;
 ვესროლეთ თითო-ოროლი, ტყვია აჩქამდა ძვალზედა.
 30 ლარტანის გორას შახედეთ, ორნი შაუსხდენ მქარზედა.
 აისრე უტყუილებავ: „ცხვარმ გაგვილაქა გზაზედა.“
 – „ცხვარმა კი არ გაგილაქათ, ტყვია თუ მახვდა ტანზედა.“

140. თუშთ მოურავი

- თუშეთში თუშთ მოურავმა სუ დაიარა ცხენითა,
 მიძე შყარა ლაშქარი, თუშნ აარჩინა კელითა.
 გადმოდგენ ანწლოვანაზე, ნისლ ზედ დაედვა ცვრიანი.
 შასწუხდა თუშთ მოურავი, გზა ვერ გაიგო ტიალი.
 5 შამაუძახა თუშებსა: „თუშნო, ვინა ხართ კმლიანი?!“
 ცხენს შაჯდა თილისძეთ გორგი, მაჟარმ გაიღო პრიალი.
 გონიოს ცხენმა ფეკ-თუთრმა გზა ბერტყა მალახვრიანი.
 მესამ აღაჩა გაიქცა მორთული ნალ-უსმრიანი.
 თამაშობს ჯიმშელის ცხენი, ლაგამ აქვ ოქროიანი.
 10 გათენებისას გაწირეს ხულანტრის ჭლა წყლიანი.
 ქოთაის ჩალისფერამა ბაკზე დაიწყო ფხვრიალი,
 ქოთაის თოფი გავარდა, წყემს დარჩა თექაიანი.

141. თუშების დაცემა კოშარაზე მიცქის ბელადობით

ამ ზამთარ, მიცქის კუდაო, ჯოყარ გამაჰხარ ნარისა;
 რახან მავიდას ზაფხული, გაბერტყა იცი ნამისა.
 ჩაკვიდებ კოშარის გორსა, უსმარ მოცვითუ ნალისა.
 ჩაგავდებ კოშარაშია, ქერი მოძოვე ბარისა.

- 5 დათვის სანათურსა ჩამაუარათ კარისა.
დათვიაჲ სანათურო, მანდილიმც გზურავს ქალისა!
ლეკოდ სამუქაროდ ნაგები სახლ რად გასწირე თავისა?
გალვარდი კოშარის ჩდილში, მტკერევა გამოდის კარისა.
„მიშველე“—ობით ძახილი გამოდის შენის ქალისა.
- 10 ქალს კუკუმაურ მაუვა, მეზობელია კარისა.
სანათურის ჭერხოში ნაფოტ ეყარა ფარისა.
კაცმა კოშარით იძახა: „კაცთ აღარვინ ხართ ემლიანი?“
მუქეში მშვილდი აჭებდა, გოზა-წითელი რქიანი,
ისარნ კოშარას მოვიდეს, თუშნ გორვენ ჩითაინნი.

142. ღაზი და ლუის ლუხუმი

- „ამ ზამთარ, — თქვა ლუის ლუხუმმა, — ჯდომა არ მწადის ჯარზედა;
ნასახელარნი თუშები ფეკს აცურებენ ლამზედა;
ერთხელ მოვიდეს ზაფხული, ღაზის დაეცნეთ ცხვარზედა.“
დაჰხედეთ ლუის ლუხუმსა: ღაზის კელ ხკიდაჲ მქარზედა.
- 5 — „ქელად წამოდი, ღაზიო; თავს ნუ მაიჭრი გზაზედა.“
— „ვთი თქვენს ღაზის, თუშებო, წყემსებ არ შამა ცხვარზედა.
თუ წყემსებ აქ ყოფილიყვენ, გაგვიკდებოდა ცდაზედა.
ვიცი წყემსების ამბავი, — არ გაგიშვებდნთ გზაზედა.“

143. ლუის ლუხუმი

- გაისთველკმელა ზაფხულმა, ნეტავ ვის თუმის ჭირადა?
საბოსლოს იჯდა ლუხუმი, ნეტავ თუ მაგის ჭირადა?
გაუდღეს შუალამის დროს ლუხუმსა ბოსლის კარიო.
გამაიარეს ბოსელი, ნაწოლ მოკელეს კარიო.
- 5 „ვთი თქვენს ლუხუმს, ძალღებო, თოფმ დამინაყა ტალიო;
აღარც გადმამყვა ხანჯარი, მედინა სისხლის წყალიო.“
იჭერენ, ვერ დაიჭირეს, ლუის ლუხუმსა ცხვარნიო.
ძლივ სადამ დაიმორჩილეს, წინ დაუყენეს ცხვარნიო.
შამააკდინეს მთაზედა, თუშეთს დასწერა ჯვარნიო.
- 10 „კა იყავ, ჩემო თუშეთო, მასავალ აღარ ვარიო.“
სოფლებში ჩამაავლიეს, სრუ შამაავლა თვალიო.
მიხციდეს ჭირის პატრონსა, სრუ გამაართვეს რვალიო,
შამააკდინეს საფლაგზედ სანთელ-დაკრული კარიო.

- 15 თუმის ქალმ იცნა, შასტირნა: „ლუხუმს ნუ მასკლავთ, ბრალია!“
„ბევრჯელ უტირენ დედანი, ცხვარ-წყემსს გაუჭურ თავია.“
საფლავზედ გამათამაშდა: „კელშიამც მამცა კმალია!“
ზედაე გასწირა ლუხუმმა ხვედეგი მეომარია.
ხვედეგმ გასწყვიტნა ჯალაფნი, ცეცხლთ მიულვარა წყალია,
თავად მშვიდობით წავიდა, გამაუჯარა კარია.

144. თარეშიდან მოსული შვილები

- „მოხველითა, შვილნო, მოხველით? ბევრა ამბები დიოდა.“
– ჩვენ კი მოველით, მამაო, ბევრი სხვა ვერ მოდიოდა,
ზოგს სჭირდეს, ზოგსა იჭერდეს, სისხლის წყარობ ღიოდა.
თბე-წვრილს ისროდეს ისარსა, მშვილდის გოზები ჭყიოდა.
5 შაწუხებული მკედრები ცხენზეთ ჩამადიოდა;
ჭირიმე დავითისი! ემაგას არა სტკიოდა.
ყმა მზირთად გადმოხვეწილი მთას ქორებულად კიოდა;
გულს ეშჭო თბე-შავ ისარი, სისხლი ყიათა სდიოდა,
ყიათას ჩამონადენი ჯაჭვის კალთეებს ზდიოდა;
10 ჯაჭვის კალთათა ნადენი თმა-წვეერთა გარდასდიოდა;
ხუთი მაეკლა მარტუას, „ვერა ვქენ“, იმას ჩიოდა.
თავი არ მალგონდებოდა, ამხანიგებსა ჩიოდა.

145. აპარეკა

ქვესური აპარეკაი ცხენს შაჯდა, გაათამაშა;
ქმალი შაირტყა წელზედა, აბჯარი გაილამაზა;
შატილს ჩავიდა ქისტებში, ქისტები გაანაგაბრა.

146. ზოგაის მინდი

- არხოტით მზირი გავიდა, წყრომით გამახყვა ჯვარია,
ზოგაის მინდი გამახყვა, გააბერტყინა ნამია.
ჯერ ჩაავლიენა ჭლანი, მეგრ თვირთვილიან მთანია.
ერთ იყო ზოგაის მინდი, ოთხნი ეტანნეს სხვანია.
5 პირიქით გადავიდიან, მითხოს მაველეს თვალია.
სოფლადაც ჩასვლა ეწადის, ძმობილ ხყავ ფიც-ნაჭამია.
ზოგაის მინდის დასცილდეს თერეთურლოსკე გზანია.

- ჩვენ თურეთურგო გვევონა, შიგ ალღისძეი ქარია.
 10 ეს მიზუც აკლებულა, შიგ ალაჩანის ქალა.
 ქაჭრით გამაგიტანათ ქემხით ნაკერი ტყავა;
 შაგყარნათ სიმაგრეჩია, გაღმოგიკეტათ კარია.
 თავად აქვაში გავარდა: „აქ მოგვიჭირეთ მქარია.
 მინდი ჩავიგდეთ კელადა, თუ ვის გიკიდავთ ვალა.“
 15 წინ-წინ ბაზღეთით მოიდეს სულზან, ბათაკა ძმანია.
 ბათაკაისა ლურჯამა მაღლა მაილა თავია.
 – „მინდი მაჩვენეთ თვალთა, ბევრი მიკიდავ ვალა.“
 გათუნებისას აივსო მიზუს ქავ-ციხის კარია.
 მინდი თავის ძმას ეტყოდა: „ძმავ, რად გატეხით ხარია?
 ნიკოსთან, ნიკურასთანა ჩვენც დაგვეთმობის თავია.“
 20 კვირიკამ ნანაისძემა ციხეში ბანდნა ჯღანნია.
 ძარღარით გაღმაუფრინდა, ვეფხვმა დახნა ჯარია.
 – წეე, წაიღი ამბავი, მინდის რა ადგა ღარია.
 მინდის ნუ მახკლავთ, ქისტებო, კელში მიეცით კმალა.
 25 კმალ თუ იქმარას მინდიმა, შინავ გაუშვით კარია.
 თორმეტი მოკლა მინდიმა, დადგა, ჩაავო კმალა.
 არ დაიჯერეს ძაღლებმა, ღაბაკად დადგეს მკედარია.
 მზე წითღებისა, წყრებისა, ხოგაის მინდი კვღებისა.
 ცაზუღ მდინარი ფრინველი თბე-ბოლოთ იხრშებისა.
 ჩამოდის წვრილი მასკვლავი, მთვარე უკუღმა ცხრებისა.

147. მოლოდინში

ატირდა ბუღლის ღელესა ორი ღამაში ქალა.
 მესამე ღელა ატირდა, ცრემლით იბანნა თვალნია.
 კახეთს არიან ახლები, ველით, – მოსვლისაც ხანია;
 ველით და არ მოგვივიდეს, თუთრად დათოვნა მთანია.

148. მშავლების ღაშქრობა შატილზე გარას მეთაურობით

შატილს ნუ ჩახვალთ, მშავლებო, – შატილს ვაჟნი ღგან კმლიანნი.
 თვითანა ღნაყენ წამალსა, ბაკნით უღგანან ტყვიანნი.
 – „არ დავბრუნდებთ“, – მშავლებმ თქვეს, – „განა ქალნი ორთ თმანნი?“
 ორშაბათ თუნებაზედა თოფმა დაიწყა ტყრიალი.

- 5 ორშაბათ დილა გათენდა, შატილი დარჩა მკედრიანი.
გარბის-გამორბის გარაი, მანძილა ქორ-ბუდიანი.
– „რად ვერე, ჩემო ბატონო? მაგდენ რად მიყავ ზიანი?
გარა ვარ თურმანაული, მე ბევრკან მიქნავ ზიანი.
ლაშარის გორზე მიკოცავ ქისტის კარები რქიანი.“
- 10 ქუდ-საქდელაში მოცვივდეს ცხენ ლაშ-დართხმულნი, ტიალნი.
თოფ-სიათანიც მაიხვენეს, ბუჩა მაიღეს ტიალი.
რო გამუარდის ბუჩაი, მთა-ბარმ დაიწყის ღვრიალი.

149. მშავლები ტერელოს

- ლაშარს შამოკლა თამარი, ცხრის წლისა დედუფალიო.
კელით მაილა მათრაქი შეიდ-კეცი, შეიდი მქარიო.
– „ჩემებო მშავლის შეილებო, ყველამ გალესეთ კმალიო.
ჩავიდათ ტერელოშია, ქისტებისა მჭირს ჯვარიო.“
- 5 გაიგეს მშავლის შეილებმა, ყველამ გალესა კმალიო;
ჩავიდეს ტერელოშია, ციხეს შამაქსნეს კარიო;
გამაიბრუნეს საქონი, თან მააქეს მთა და ბარიო,
გამუდგა ტერელოვლები, თავ-თავი მეომარიო.
მთათ იქით-აქათ გადადის ტერელოელთა მკედარიო.
- 10 ნუ დაიკვებებთ, მშავლებო, ეგ არ ას თქვენი ბრალიო.
გვერდს გიდგათ ლაშარის ჯვარი, გიქრისთ დავლათის ქარიო.

150. გუროვლები სამაისტოდ

- გუროს დაზდილა ახლები, აქვ ნდობა ერთურთისაო,
მძიმე ჩაიდვეს საგზალი, გავლა შორს ღგულავ გზისაო.
გავიდეს მაისტის თავსა, თვალი დაადგა ღთისაო.
საყურებ დააკეთიან, ხანია შულამისაო.
- 5 ჩაუსხდეს საყურებშია, ხანია თუნებისაო.
მაუვას მექაროვნეი, თეთრი ნადირი ტყისაო.
თოფებს არ აუჩქარებენ, გატევე არ ღგულავ მთლისაო.
დააყარიან თოფები, აღი დაპხვიეს პირსაო.
თოფის ბოლშით გარდახყვა შუქი ივანეს კმლისაო.
- 10 თათარსაც იმედ ხქონიყვა ხანჯრისა ორპირისაო.
კადარას არას ვაქებდი, – არ მწაის თავისისაო.

კელ მოსჭრეს, უბეს ჩაიდვეს კელი მა ბუსურბნისაო.
მძიმე აუტყდა მღევარი, მღევარი დაღისტნისაო.

151. შატილის გატეხა

შატილს რადა სდით, მშავლებო? განა ქალაქის კარია?
განა სხენ ოქრო-მჭედელნი, გან იწურება რვალია?
შატილ გამტვერეს მშავლებმა, ქვაზედ არ წირნეს ქვანია.
„რაკლა გატეხეს შატილი?“ იმას ხკვირობდეს სხვანია.

152. მშავლები ქვა-კიდს

ქვა-კიდს ჩაგროვდეს მშავლები, ლურჯას იჭერენ ფეკადა.
„რად იჭერთ ლურჯას, მშავლებო?“ პატრონ არა ხყავ ბერადა.

153. გარა თურმანაული

მშაველს უყვარდა გარასა ჟერება დროშაისაო,
შაყრაი მშავლის ლაშქრისა, ჩაელევა შორის გზისაო.

154. ჩანთელი და აფთარაული

ჩანთელი-დ' აფთარაული ორნიე შაიბნეს კარები;
მეშველი დაუგვიანდათ, დაანაფოტეს ფარები.
კმლითა სცა აფთარაულმა, ზედ მიანაყა ტარიი.
ზეავს ქვეშ ჩავარდა ჩანთელი, ჩამასდის ზეავის წყალიი.
5 ქვემოთით ამოდიოდა ჩანთელის თოფის ქვანია.

– „თუ დაეცდა, აფთარაულო, დიდხანს ცოცხალიმც ხარო!
თუ მოგზვდა ჩემი ნასროლი, ჩემი უნცროსიმც ხარო!“
– „ვერ დამკარ, ვაყო ჩანთელო, ისიე ცოცხალი ვარო.“
„საითა-ლ დაუცდენია?!“ იმას კვირობენ სხვანიაო.

155. ლეკების დაცემა კისტანზე

კისტანს მოვიდა ლაშქარი ლეკისა აკვაისაო.
აბულეთაურთ ციხესა კარი არ შაქსნან ხისაო!
შივა შავიდა ხოლიგა, თუთრი მანძილა ტყისაო.

- მაძისურად ვაუებსა თესლი აქვ არწივისაო.
 5 აქებენ ბაბკიაურებს, ცდა მამადგ მაუღისაო.
 კაცი ქვესურეთს გააგდეს: „გვიშველეთ!“ ეძახდისაო.
 წინ-წინ კაკმატით მოვიდეს, ეტლ მოხყვა გიორგისაო;
 გაგვიგებიეთ გუდანსა, ბრალ მისწვდა მამის ძმისაო;
 10 ბაცალიგოელთ ვაუებსა იმედ აქვს ცხენებისაო;
 მოუჭრეს წინა-ქადუელებმ მოკლე საყენი მთისაო;
 გუნდი ლიქოკით გამასტყვერა ქორისა, შავარდნისაო;
 დათვის ჯვარ გადაიარეს, ნამ გადაბერტყეს მთისაო;
 სალაშქროს ჭალას ჩაგროვდეს, ელვა დგას ჩაჩქნებისაო.
 დოლათა გაიდაურსა მკარი მასტეხეს მგლისაო.
 15 ნუ იტყვით ჩალხის სიკვდილსა, საწყენ ას მღლის ღთისაო.
 მზემა გაიგა, იწყინა, ცა წმინდა ნამსა ყრისაო.
 მთვარემა ზუთმეტისამა შავი შაიცვა პირსაო.
 მგელათ უთურგას აუგით ეკალდამაი რელისაო;
 შიგ შააწყინეთ უთურგა, ანგელოზია ღთისაო;
 20 ოქროს დაუდგით სარკმელი, შუქი ჩაადგას მზისაო;
 გვერდით ლეკ დაუწვინიდით, მამკლავი ოროლისაო;
 – „ლეკო, ოროლის მამკლავო, დედა გაგიწყრა ღთისაო!
 მგელიათ ბულო მოგაბამს თეთრი სიათის პირსაო.“

156. ქისტებმა გზა შეუკრეს თუშეთს მიმავალ კარატის ჯვარიონთ

ქვესურნო, ქისტნი დაგლევედესთ, გიშველათ თათარაულმა;
 ბერმა გიშველათ ჯაკნამა, ჩაბაკის ივანეურმა.

157.

ბორბალ აგებენ ციხესა, რო მარილაის ქვისასა;
 ხედ დააყრიან გალოსა თავ-თავის მითხოვლისასა;
 აღეშად ფერცხალს აყრიან სამოცის ფხაჭეხლისასა.

158.

ჭანთეს, ტერელოს, ფხაჭეხას კაც რამ დალია ჭკვიანი?
 გზას რად უკრევედეს კოპალას? – მსახურნ ეტანნეს კმლიანნი.

ომი ას ნაროვანზედა, სისხლსა წვიმს, ზეთი დარია.
 ომობენ ხახიკაურნი, პირ-შიშველანი ყმანია.
 ძაღლიკას ჩამახვევიყენეს ხახიკაურსა ცხრანია.
 „ა დელას ძაღლიკაისას! შინ დამრჩომივა ფარია!“
 სიკედლილსა ხახონისასა წყინობს კარატის ჯვარია:
 „ნაროვნის ღელე გამიტყდა, ღროშას შამიქსნეს ზარია.“

160. ქისტის ისთაბარი

ქისტ ისთაბარო, ბორბალსა მარჯვე გევონა სავალი.
 კოპალა გაგიგონავა, აღრითვე თუშეთს მავალი?

—

161. თადიაურნი

ამბობენ, თადიაურნო, ჭირზე ვერ გონობთ ჭირსაო.
 ხიტალეს გაგვიძახნიდით, კან ხყვან გახუას შვილთაო.
 ჩირდილით ბაკალან წამავლენ, იმედ აქე ძმასა ძმისაო.
 მიუდგებიან კარზედა ქაკმატ გაგაის შვილსაო.
 5 „კარი-ღ გაული, ბერღიაჲ, მსწავლე ექნები გზისაო.“
 ველ-კეთილ ამაიარეს, ხანია შულამისაო;
 დათვის ჯვარ გადაიარეს, ნამ გარღაჩქიფეს მთისაო.
 მითხოს პირდაპირ ჩავიდეს, აღაგზედ ლევენ ჩდილსაო.
 „ნულარ მიხვ, ქისტის გაზდილო, გულზე ნატყვივრებ გჭირსაო.“

—

10 ხან იყვა შულამისაი, თოფმა გაიღნა კმანო;
 ნადირაისა მაჟარმა დანაყა შუბლის ძვალთო.

162. ლეკის ლაშქარი კევსურეთში

საძელეს გარმადიოდა მძიმე ურჯულოს ჯარია;
 დაცნინან უხანოს ხანთა ქმოსტში, როშკაში ცანია.
 როშკას ადგილის მჭერელთა დააყრევით მკედარია.
 ბერღიამ ბასილის ძემა თოფს გაშუცვალა ტალია;
 5 ვაკისას არ გარმაუშენა, ვაკის ძირ დასხნეს გზანია;

წინ-წინ მასულსა ლურჯასა არ მისცა რბოლის ხანია;
ზედა ნაჯდომსა მკედარსა წითლა უღება ტანია.
ღულით მავიდეს წინ-წინა ჭრელაიშვილნი ძმანია.
აფშინაისა ლურჯამა მალლა მაილა თავია.

- 10 აფშინას ჭრელაიშვილსა არ მისცეს ომის ხანია.
ფარს ქვეთი შამათოლეს თოფის ტყვეია ჩქარია.
გუნდი ლიქოკით გამასქდა ქორის, შავარდნის ჯარია.
ლოხაურის ძე გაბუძღვა, ას ყვირილობის ხანია.
ვაჟებმა გუდანელებმა წამოაბედეს თავია.
- 15 წელთ გზაზე წამაეწინეს, დააყრევიეს მკედარია.
ჯარიამ ვეფხვიას ძემა სისხლით დაფერა კმალია;
ორ მოკლა ლეკის ბელადი, ჩამაგორა მკედარია.
ჯოყოლიკათა სტანავის, ვინც უფრო მეომარია.

ამაგ სიმღერის მათქვამი კევესურის შვილი ვარია.

163. ნანა თორღვაის ქალი

ატირდა ტუტიღ წისქვილში ნანა თორღვაის ქალიო:
„შენ, მამა ჩემო თორღვაო, ნუმც შეგობამის კმალიო!
ნუმც გიკოცავის ლეკები, ნუმც გიზიდნავის კელიო!
ხუთშაბათს თენებაზედა ქალსა დამეცნეს ცანიო.

- 5 მე თუშიშვილებ მეგონა, ლეკთ შამამიწყვეს ჯარიო;
ჩამიკოცნიან ძმა-შინშნი, მიბრუნვენ სისხლის ტბანიო;
კელნ დასჭრენეს, უბეს ჩამისხნეს, ქალამ დავიჭრენ თმანიო;
მავლიეს ფეკ-შიშველასა თვირთვილიანნი მთანიო;
ქავთრის მთას გადასაესა უკუღმ მაბრუნებს ქარიო.
- 10 ეგ ქარიც არა ყოფილა, ქალისა ცოდო-ბრალიო.
დაენაყე საყურ-ბეჭედი, მამულთ ულიშნენ გზანიო;
წამოვა თუშიშვილები, აგებ მაკელან კვალიო.
რჯუღლიანთ კელ-უკადრები აწ ურჯუღლოში ვარიო.
უთხარით ჩილოელებსა: ხახონს უჭირონ მქარიო!
- 15 ხახონიშვილო ნებიერ, თოფს დაუპირე ტალიო!
ჩემმა საქმარემ ხიწვამა მალლა შაიბას კმალიო!
თუ სოფლად ვერ დაიწონენ, მთას უდგას, უჭრან ცხვარიო!
შუაღამისას მავიდან ხახონის თოფის კმანიო;
დილას დასინჯეთ, ლეკებო, ხიწვიას ნახანჯრალიო!“

164. ბერდიშვილები

ლექსს იტყვის გაბიდაური, ვაჟ ვინაც სახელს იქამსა,
მაღე მანწყობს პასუსსა, არცა-რას დაღლევს ღიდ ხანსა.

—

- მთაშიგით ამბავ მავიდა, კმა მისწვდა დეღამიწასა;
დაბნულდა მზისა სხივები, ნაპირს ჩავიდა ზღვისასა;
5 მალლა ატირდეს ფრინველნი, ცრემლ დაიწურეს ფრთისასა.
„სიბრალით ველარ ჩავდივართ არხოტის კალაისასა.“
ამლით წამავას მზირები: „ჯავრს კი არ შევკამთ მტრისასა;
ღიდზან არ ვავლევთ შზეზელა მამკლავსა გიჟაისასა.
უშიმას თვალით ვერ ვიჭერთ, ჩვენ ეხედავთ თოფის ნიშანსა.“
10 ჩადიან, ჩაბოინობენ ვეფხენი უშიშრად გზისასა.
ფრინვლად აკლავის ფრთეები, არ აჩქამებენ ქვიშასა.
ის კი რას მღგონდებოდა, ღიღღღღღებ ელიან მისვლასა?!
ბეწინას წინ-წინ მისულსა დაღლიშნეს, როგორც ჯიღდასა.
ერთმანეთს ეუბნებიან: „თვალ არ შეგვავდას, ღთის მაღლსა!
15 თორ ომს აგვიტენს ფიცხელსა, არ დაგვიფერებს სხვისასა.“
არც-რა სწყინს, არც-რა ეშინის, მიხქადს ნელ-ნელა სიტყვასა:
„თვალ ვერ შეგავდე, რჯულ-ძაღლო, ვა დედას ქვესურისასა!
მაგით ორ დასანანები, ხანს რო არ მაძლევთ ცდისასა.“
რა დაათვა, იძახა: „სულ ღმერთსა, ლეში მიწასა.“
20 კმა მისწვდა ბაბუტიშვილსა ბეწინას, კუთხსა ქვისასა;
უშიშრა შამაუკიულა რაზმსა პირდაპირ მტრისასა.
თოფის კმას ერთუც გააბომს, ნათოზს გაიღებს ძვლისასა.
ბაბუტიშვილის ნასრევი ქისტს უმტერევეს ბეჭის ფიცარსა;
სულეთ წაღლაღავს ბეწინა ორთავ მამტანსა წყლისასა.
25 ნელა დაგვიკრეს ბეწინას, მასკვლავს მასწილვენ ცისასა.
მესხნი გაებნეს მთვარესა ნაპირის ადგილისასა.
არ ბოინობენ არწიენი კლდეებში ჩორეხისასა.
სულეთში ბასილაური გზას დახყვეს სამოთხისასა;
პირს იყენებენ ნათულსა სანთლისას, კელაპტრისასა.
30 ჯავრს გულში ჩასვლას ამბობენ ბერდიშვილთ ახლებისასა.
კავშირი შახკერენ თათბირსა: „იმედს არა ვართ სხვისასა.“
ბაბუტამა და გიგიმა გზა დაისწავლეს მთისასა.
შაკალ ჩაუსხდეს ჩდილშია, ძაღს აქსენებენ ხთისასა,

- 35 არხოტის ჯვარი თან სტანავ, ფხასაც აჩვენებს კმლისასა.
თოფ დახკრეს ღიღღელის გაზდილსა ნაპირის სოფლებისასა.
კმა გატყდა საურჯულოსა: „ფრინველნ დაფრინდეს მთისასა.“
ამლას შამაკდეს ბანზედა, სახელს ულოცვენ კირჩლასა.
არ ხკარგავთ, ბერდიშვილებო, ნაქნარსა მამ-პაპისასა.
თქვენ კმა შორად გავიდა, ყურს მისწვდა კელმწიფისასა.

- 40 ამაგის მალექსებელი ნაპირს ზის კავკასისასა,
მალლა მიენატრი ღურბელთა მდინართა აერისასა,
ახიელაში ციხესა, ნაგებსა აბაისასა.

165.

- გარდაიკრიფნენ ღრუბელნი, დარჩა სიწმინდის დარიო.
რას ხფიქრობთ, ბერდისშვილებო? „შური გვაქვ საძებარიო.“
შაირტყი, მამასახლისო, ფხაზედ ნაღესი კმალიო.
წვრილა გყავთ საიმელო ბერდისშვილთ ალვის ტანიო.
5 ბისნის წვერ ქვიშის ლოგინო, მეორ-მესამედ გთხარიო.
გვეიმედების წვრილაი, უშიშათ ალვის ტანიო.
თვალს უცემს წელთად ნახვევი აბოინისა ჯარიო.
სამ დღე ალაგზედ დავლიეთ, თვალით ვერ ვნახეთ წყალიო.
ხან იყვა შულამისაი, ჩორეხ დაგვეცა ჯარიო.
10 აგვიწიოკეს ცხვარ-წყემსი, წკმუტუნებს ქალი, ზალიო.
დგას თოფის ძგარა-ბგურაი, ელვენ სიწმიდის ცანიო.
ჩვენ აიქისკედ წავედით, საც რო თვალთან მთანიო.
გამაგვიდგების მდევარი, აგბე მაკელან მკვდარიო.
უწივლათ პოლიცაშია: ჩორეხ დაგვეცა ჯარიო.
15 აგვიწიოკეს ცხვარ-წყემსი, არ უნდა ვჭამათ ჯაერიო.

ამაგის მალექსებელმა ფანდურს ჩაუდევ ძალიო.

166. ქოლიკიშვილი

აკუმოს დელეს ირემო, დაბლა ჩამოდი ნისლითა.
შინ არ ას ქოლიკიშვილი, კორცთა ნუ დახყრი შიშითა.

167. კეკესურების გალაშქრება მითხოს

- ბევრამ გაკეების ქალამა სათარუშოდა ქმარია,
ბევრამ გაბანდა ვაჟამა სამითხოოდა ჯღანია.
ემზადნეს შვიდ დღეს, შვიდ ღამეს, ელვენ სიწმიდის ცანია.
დათვისჯვარს ერთად შაგროვდეს, დაშვენდა მთა და ბარია.
- 5 დათვისჯვარს გადადიოდა შვე-ნაბადაის ჯარია.
ჩადიან კისტნის ჭალასა, ცხენებმ' დაცვითეს ნალია.
ჩააწყვეს გუროს ჭალასა თუთრის თოფების ჯარია.
ენლა რო ჩავალთ შატილსა, მაგის ძირ მითხო არია.
შატილს სამ დასვეს ქადაგი. „ნუ წახვალთ!“ ბძანებს ჯვარია.
- 10 არ დაიშალეს კეკესურთა: „არ ბრუნავს ჩვენი გვარია.“
ჯერ შუალამე არ იყო, მითხოში დასცნეს ცანია.
ჯარეგა გამამტერიეს, ქაეებს უნაყეს კარია;
მიღმა გორს ცინე მალგლიჯეს, აღარ ეხვევის ცვარია.
მემრ თერეთერდოს დაეცნეს, აჰხეიეს ცეცხლის აღია.
- 15 მაიანავრეს მითხოი, უგზოზე დასხნეს გზანია.
აქაის შვილის კალოსა ვის გიჭრის დავლათის ქარია?
ახალამ შუქიაურმა თოფს დაუძრ კონტახის ტარია.
სტუმარი აქაიშვილთა კუბოში ჩადეეს მკედარია.
მემრე კმლითა სკეს ჯინჩურას, ჩდილზე გაქანდა მკედარია.
- 20 მაშინ გატეხეს შუ-მითხო, მაუდის ძროხა, ცხვარია.
ერთ კვირას მითხოში იდგეს, დაქოცეს კარავანია,
კაცი წავიდა პირ-თავექვე: „დაგვადგა დიდი ძალია, –
კეკესურის ლაშქარ დაგვეცა, არიქ, გვიჭირეთ მქარია!
ტუტილს შამოდგა ლხენითა კეკესურთ ვაუების ჯარია;
- 25 ჯერე მოვიდეს ჭანთელნი მშვილდ-ისრიანნი ყმანია;
სხვას ხალხზე ნამეტნავადა იმათ გვიყვიან ძალია.“
ტუტილს ჩაყარნეს კეკესურნი, დიდ დადგა ცოდვა-ბრალია.
ვინ იყავ მეგრელაური? დიდხანს ცოცხალიმც ხარია!
პირ-აღმე შამეეტია, არ დაანებეს გზანია;
- 30 მარტუას მეგრელაურსა საშნი სცემდიან სხვანია.
ახალას შუქიაურსა შვენიერ ედგა ტანია.
ისრ ხტლება იარაღები, როგორც მანძილას რქანია.
ბევრამ ესროლა ისარი, არ მისცეს ომის ხანია.
გახუავ ქეთეშაურო, ღმერთმა გაცხონოს მკედარია!

- 35 ტუტილის კიდურს დაბრუნდა, ამაამღერა კმალია.
– „გამოდი, ეხლა ვიომათ, მემეტე რომენ ხარია?“
კმლითა სცა აკვით ბელადსა, ფეკთ ქვეთ გაღეწა მკვდარია.
მემრე კი მაგასც დახკრეს, არწივს მასტეხეს მქარია.
იძახა მარაისძემა: „კევსურნ, მიჭირეთ მქარია!“
- 40 დავითათ მარაისძესა ბევრათ უყვიან ძალია.
მარტუამ მარაისძემა სამ-სამ აგორის მკვდარია.

- ემაგის მალექსებელი აიქ ნატანებ ვარია;
შამამაქციეს ქისტებმა, დავხიე არლოს წყალთა.
იქ დარჩა დავითაური, თორმეტი მეომარია.
- 45 ჩემს მეტ ველარვინ მოვიდა იქად წასული ჯარია;
ჭალაზე შამოვიდოდი, ტყვია მამწივს ჩქარია;
მამატეხინეს ბარკალი, ტოტით ვიარე, ბრალია!
გადმუელ კევსურეთშია, ვატირე ქალი-დ' რძალია.

168. ჩაგვირილა

- ჩაგვირილაის ლაშქარი გამოქრის კაკმატისასა,
წინ-წინ ჭორმეშავს მაუდგეს, სიმაგრეს შავის კლდისასა.
ოშს უზმენ მისურაულნი მარტია ბებრი მგლისასა,
შუბსა ხკრავს, გააგდებიებს ბელადსა ლეკებისასა.
- 5 მოხქადდეს ჭიე-გუდანსა, ღულს უზამს თავის ჭკვისასა.
ღულს უზის ვეფხვი ციხის კარ, არ დაგანებებს ზიზანსა.
თათარაისა თათარა კელთ გაძლევს თქვენის ჭკვისასა,
ცხრა-ათს კლდეთ გადაუძახებს, წყალთ აწურვიებს მთისათა.
ამბობენ ფშაველიშვილები: „წყალ სად წავიდა, ხთის მადლსა?“
- 10 წყალნიმც მიართმენ ამბავსა ნაცადსა კევსურისასა!

169. კევსურები საურუმოში

- საურუმოში კევსურთა დღე დააღამეს მზიანი,
ლოხაურისძე დაბრუნდა ბულეჯან გულ-ჯავრიანი:
„ძმაი ურუმებმ მამიკლეს, შინ მიოლ სირცხვილიანი.“
- 5 – „მაგას ნუ შჩივი, ბულეჯან, – მოგიკვდა სახელიანი,
კევსურთა სანამეტნაოდ კმალ მაიქნივა ფხიანი.“
კევსურთ თავ-თავად ვერ გაქებთ, ენა არ მიჭრის ტიალი;

ყველას გსხავთ ჯაჭვ-იარაღი, არვინ ხართ ხალაითანი.
წინ-წინა მოსულთ ურუმთა არავეინ დახვდით ჭკვიანი.
ლომნისა გაგაისშვილსა სიტყვა არ მოსდის გზიანი.
10 ქმოსტელი ყარდანაული ბასრის კმალია ფხიანი;
საჩქაროდ გადაიხურა ჩაჩქანი ზარადიანი,
ურუმებს ჩამოშჭყიოდა, მაჟარ კელთ ხქონდა კმიანი.
ღულელი არიშაული შავარდენია მქრიანი.

170. კევსურების გალაშქრება არშასა და სნოს

კევით მოვიდა ამბავი, საჩქაროს ამბობდიანო.
გუდან ხკაზმებენ დროშათა, სალაშქროდ ლამებდიანო,
შასხნიან ჩუჩაყეურსა, შალგვასაც შახკლებიანო.
5 ვაჟები წყალს-იქითლები როშკის გორ გროობდიანო.
ელოდდეს კაკმატელებსა, ხვადნ არსად მოჭყივიანო.
ბაცალიგველთა ახლები ხვადებსაც ნალევიდიანო.
ენკენიასა დილასა კევსურნ მთას გადივიდიანო,
საძელე გადაიარეს, ჯუთის კორკ გროვდებიანო,
ჯუთას ჩადიან ჯვართანა, დალასაც ეტყოდიანო.
10 წალმ ჩახყევე, ჯუთის გიორგივე, საკარგემოს გითქევიდიანო.
ჯუთას ატირდეს ტირიფნი, ჭაუხნი ბანს ეტყვიანო.
გახკვირდა მეკევეები: – „კევსურებ სად მიდიანო?“
– არშას მიდიან კევსურნი, სადილად სნოს მიდიანო.
სადილობისად ცხენ-კათა ხვად(თ) სნოი მოგალიდიანო.
15 თაე-კან აჩხოტის მინდორსა კარ-ცხენებს ლალევიდიანო...
წინათა მამათ ნაქონნი დალესნეს, უფრო ჭრინანო.
არშით აყრილან ყვარანნი, საძელეს ბულობდიანო,
კელს ლოცვენ კევსურისასა: „მშიერან დაგვაძლნიანო.“
საძელით კევსურთ შვილები ბლო-ღელეს ბურთობდიანო.
20 ბარაქალ, კევსურთ შვილებო! წინათაც ეგრე ქნიანო.

171. უხათზე დაცემა

ლაღნო, სად მიზდით, კევსურნო, სად მიხქრით ქარებულასა?
წინ გიდგასთ გუდანის ჯვარი, ყვიროდა ქარებულასა;
მოგყვებისთ კაკმატის ჯვარი, ტიროდა ქალებურასა.
ცხვარი ავიღავთ უხათით, მაგიდისთ ფარებულასა.

- 5 მაგვევბისთ მაგის პატრონი, ტიროლა დიაცურასა,
ბევრი გესრიათ ამგან, ვერც ერთი თქვენებურასა.

172. ომი ბეგრის მიუცემლობის გამო

- ჩიოდეს შატილიენები: „ვალ მოვიკადეთ ხთისაო;
ეგი არ მოგვეონდებოდა, თავს თუ კმალ გვედო მტრისაო.
დაგვეცნეს თენების დროსა ჯარ მძიმე აკვიასაო.
აცად, გათენდას, აქვანო, კარი გველას ცისაო,
5 ი მემრე გაიგებოდა თქვენი და ჩვენის ცდისაო!
ჩოთათა გოგოთურამა ქაეი აავსა მკედრითაო,
სანამდი სხონ გაიგებდეს, ერთ წინავ მაკლა ხითაო.
დედა ვაჟისა ვაცხონე ბანაყაურის ყმისაო! –
ქავს გარედ გაუმაგრებავ ვერ, რო ცალ-ბანა ქვისაო.
10 არც ქალი წაყვანია გუდანლის აბაისაო.
ბულოთ ლაგაზამ ატირნა დედან აკვაჩი კმითაო.
ბრალ თქვენი, შატილიენებო, – თავს არ ულევდით ჭირსაო,
დახყარეთ ჯალაიათა ბეგარი ერთის ცხერისაო.

173. ქორთუა

- ქორუათოსა ეშმაკი მარცხნივ ჩამულის მკრითაო.
ქორთუა აუჩქარდება შაკრული დღე-წერისაო;
გამაუძღვების ქორთუა: „გზა ვიცი ჭაუხისაო.“
ჭაუხით მადის კივილი სულ-წუხა წყემსებისაო:
5 „არიქათ, შატილიენებო, ფარა წაიღეს ცხერისაო.“
ბერებს გულ აუჩქარდება, ახლებ ქარივით ქრისაო.
გავგივებე მთიბლებსა, შაუკრან წვერის ძირსაო.
აძიკასა და კვირიკას ოფლ პირზე ჩამაზდისაო;
შამაქდეს კანის თავსა, ხანია შულამისაო.
10 ღამის სიბნელე გულს უტეხს, თენება უხარისაო.
ამაუჩინდა ქორთუა, კარი მანძილა ტყისაო;
დაყარიან თოფები, ალი ახვიეს პირსაო.
თამარისძეთა ხახონი დავლათით გაღმეტდისაო:
გამარტოებით ესრია, ქორთუა ქეიშას თხრისაო.
15 მიორე წიქამ დავვიკრა: „ძალღებ, არ გარჩენთ ჭირსაო.“

აუგ რად იქნებ, ვაუებო, შაქება თავის ძმისაო?
ამავ სიმღერის მათქვამი შატლ ბოლოზე ძისაო.

174. ჭირი არ შეარჩინეს

- შატლში რა ამბავ იქნა, რა წყრომა დადგა ღთისაო?
ქალებ ატირდა ყინჩადა, ცრემლით იბანენ პირსაო.
სიკვდილი ბადაისაი, უკულმ ჩაკლმა შხისაო;
ქისტებსა გაუხარდება: „მველ მავისხლიტეთ მთისაო.“
- 5 რად გაგინარდათ, ქისტებო? არვინ შგარჩინეს ჭირსაო.
ზედავ დაშრება წიქაი, წონა კაი აქეს მტრისაო;
ძმა მანგიური გვერდს ედგა, მავრა მჭერელი მქრისაო.
ადგეს, ჩაიდევს საგძალი, ძალი აქსენეს ღთისაო;
ექადან კორუათასა, ჯავრი არ ხქონდა სხვისაო.
- 10 ქისტო, რამ გაგაგულდიდა? ყამ არ გქონივა მტრისაო!
ამბავი რად არ იკითხე საშუკათ წიქაისაო?
ქავში დაგიდგა ლოგინი, ყამი არ გქონდა მტრისაო!
ქავზედ გარდვიდა წიქაი, ფეკი გარდიდა მგლისაო;
ხანჯარი გადაიყოლა, მძებნელი ბადაისაო.
- 15 მაბრუნდეს ნასახელარნი, შზე ეფინება პირსაო;
მაუოს მახარობელი მავ ხათუთისძის შეილსაო...
სამუკავ, ნულარ სჯავრობდი, ნულარ გაიფთხოზ ძილსაო!
წიქამ იძებნა ბადაი, კარი საფეხენოს ზისაო!
ნეტაეი შატლივენებო! არვის შარჩინთ ჭირსაო!
- 20 სახელი მამადგნ მაგიდისთ, კოცა არ გიკვირსთ მტრისაო.

175. ღილღველთ დაცემა ჯუთაზე

- ღილღოს იყრების ლაშქარი, წინამძღვარს ღონდებიანო.
ყბილას ეუბნებოდეს, სამეტოს აძლევდიანო.
დაგროვდეს შიბუს ჭალაჩი, ჯუთისკე ლამევდიანო.
შუალამის დროს იძახეს: „ჯუთას დეეცნეს ბანთაო.“
- 5 ნაგები ქურსიკაისა ცეცხლის მოივლებს აღსაო.
სტუმრად ხყვან არზოტიენები, ტყვიას დაღლაღვენ ცხარსაო.
ბვერი აქვ ტყვია-წამალი თოთელსა-დ' მარტიასაო.
შშვილდ-ისრებულა დაისწერეს, ლაშქარს შასდებენ ზარსაო.

10 ზენ-უბან დეეშველენით, უთუთ თხრიან ბანსაო,
ტირილით გარმაავლევენ ლამაზთ უთუთ ქალთაო.
ხანი არ მისცეს ომისა უთუთ მშაველასაო.
უთუთ კიბალური კმალზე ცდის მკლავის ჯანსაო,
რომენიც მეეწონება, შასწირავს მშაველასაო.

15 ყიბილამ უთხრა ლაშქარსა: „ართხმოულს ვხედავ ჯვარსაო.
ცეცხლი გაჩინდა ღალანგურ, ჯუთას გეერტყა ბანთაო.
წავიდათ ჯვართ კორქისასა, მე შაგასწავლებ გზათაო.
თორე გაიგებს ჯურკაი, შაჯდება ბაბლიასაო,
ახალგაზდანი ჯურკასა სამდევეროდ უღდა მზასაო,
20 შამოგვეწევის თოთელი, დაგვაწირვიებს მკედარსაო,
კვირიკა გილაიშვილი არ გადაგვიშობს მთასაო,
წინას მოგვივლის ლაშქარსა, ჭიმლის კლდეს გეიკრავს თავსაო.“
ბადათა აბაისძეი ლაშქარს მავლებს თვალსაო,
რომენიც მეეწონება, აქსენებს თავის მკედართაო.
25 კაცი გააგდეს არხვატჩი: „აქ რად არ გეიჭერთ მქარსაო?
თქვენსკე მოგვიდის ლაშქარი, ნუ დაგვინებებთ გზასაო.“
ვაკეთას ცხენი შამარბის, ოთხს მაანათებს ნაღსაო.
ზედ იჯდა ბერდიათ გაგა, მკედარ არ ზოგავს თავსაო.
ეძახდა: „ცხენის მჭამლებო, დაგინახვერებთ ჯარსაო.“
30 მერცხალიშვილის კირიმი შაკრულს წაიღებს კვამლთაო,
გაგაის წელზე ნაბამსა დაამტვრევს სპილოს ძვალსაო.

ბებრები ქომო-ციხლები შამახედვედეს მათათო.
ერთმანეთს ეუბნებიან: „სიზმარს ვხედვედით ავსაო.
ჯუთას წავიდა ლაშქარი, გადასცდა პირობასაო.“
ჭალაჩი ჩამადიოდეს, შინჯვენ არხოტის წყალსაო.
35 „წყალი მასულა წითელი, არხოტ თუ სჭრიან თავსაო.“
მერცხალიშვილის კირიმი შუ-ლილლოს ჩახყრის კმათაო.
გუ მარტო არ მოვიდოდა, ორთ მაიყოლებს სხვათაო.

176. კევსურების გალაშქრება არხოტზე

ქადაგობს გაიდაური: „ბძანებს გუდანის ჯვარიო:
საათნგენოდ გამიძღვან სამის ბატონის ყმანიო;

სამი აბან დროში, სამსავ შაბან ზარიო;
5 ქევსურებ დაამწყალობან, უკულმ არ გახყვას ჯვარიო;
გაბეგრან არხოტიენები, კვამლზე აილან ცხვარიო.“
გაიგა არხვატის ჯვარმა, წელზე შაირტყა კმალიო:
– „მე სხვაენით ამაქე ბეგარი, დამპალო, სა მიხვალიო?“

შეხენე, კვირიწმინდას ყროლანი გადმადიანო.
– „აქა ნუ მახლით, ყროლანო, გულს სისხლნი გადამდიანო.“
10 არ დაიჯერეს ყროლათა, სოფლადავ შამადიანო.
ციხით დასჭენნა ბურამა, ყაწიშნი ლამჩი ხყრიანო.
„ამადე, თამარისძეო, ლულუნ გელევიანო;
ტალახიანჩი რად ღგორავ? მაწმინდარს გეტყოდინო.“
ახლა მეორემ დასჭენნა: „შენც თამარისძე გქვიანო!“
15 ჩამაკე, იონეურო! ყმაწვილას გაქებდიანო.

177. ნაროზ ბლოელი

ბლოჩი გაზდილას მინინო, ქორი ზარებულ მკიეანი,
უწოვავ ქრისტის დედაი, განთ კორცივლისა რძიანი?
საფერქედ ზერდავ შახკაზმა, ზედ ქორი შაჯდა მკრიანი,
5 ბლო-ღელე გარდაავლივა, საძელე მწვანილიანი,
შუშპრობით ჩამავლივა ქოთანის ბექჩი კლდიანნი.
ტიმღელნი, ნეკაფსოელნი ჯუთას სამზირლა დიანო,
ჩაუსხდეს გზის თავ, გზის ძირა, შუ ნაროზ ჩაიგდიანო.
ჯერე იომა ცხენ-ღი-ცხენ, მშვილდი აყეფა რქიანი,
მემრ კმალი ამაძღერა ვადათით მელანქრიანი.
10 ერთი შამახკრა ტიმღელსა, ნაწყვეტნი გზის ძირ ხყრიანო.
მეორე ნეკაფსოელსა, თითნი ვადაზე ხყრიანო.
მესამე შამოუბრუნა, სისხლის წყარონი დიანო.
ღურჯას კელ დახკრა, დაღვედრა: „შინ წეედ, ოქერ-ტიალო.“
თავს დააკეცა ლაგამი, წერილ-წერილად მასკვლავიანი.
15 ფარი დახკიდა ტახტასა, მათრაქი ოქროიანი.
ბლო-ღელეს ლურჯა მოტირის, აისრ რო ქალი თმიანი:
„ჯუთას მამიკლეს პატრონი, შინ მაოლ ოქერ-ტიალი.“
– „რა გატირილებს, ლურჯაო? მაგიკლეს სახელიანი,
ქევსურთა სანამეტნაოდ კმალ მაიქნია ფხიანი.“

178. სამითხოოდ აპირებენ გალაშქრებას

ამბობდა გუდანის ჯვარი: „დიდი ორ, როგორც ყენი.
მითხოს გადავლა მეწადა, რა გამოვიდას მთა-ველი,
ვატი და ვერძი დასუქდას, ბატკანს ზედ ესხას კრაველი.“

179. პირობის შეკვრა

თუშთა, ქევსურთა, მშაველთა ლაშარს პირობა შაკრიან.
უბრძანებს ლაშარის ჯვარი: „აკვაში ჩასვლა მწადიან.“
„ერთმანეთს ნუ ვულალატებთ!“ ჭდეებ დროშაზედ ხყარიან.
წინ თუშნი, უკენ ქევსურნი, მშაველს ნელ-ნელად ჩახყვიან.
5 ცხვარ აიტანეს აკვათა, მითხოს თავ გარმაძაბიან.
მძიმე აუტყდა მდევარი, ქევსურთ კმლით ომი სწადიან.
ოროლთა გულქანის ძეთა ლაშქრის ოდენა სცადიან.
მაშუკას მუჟღარაულსა მქარნი შაორდნად აყრიან.
თოფი ხკრა აკვათ დიჩინსა, ახლა კმლით ცემა სწადიან!

180. მშაველების ლაშქრობა ქმოსტზე

ჯორო ხიზანას ცხვირ-თეთრო, პატრონ გყავ ილეთიანი.
ლაშარს შაუყრის მშაველებსა: „ქმოსტი ძეს საქონიანი.“
ქმოსტი არ გაიტეხების, განა კოკა ას წყლიანი?
5 მშაველებო, ოკერ-ქევის გორს მონა დღე გადგათ მზიანი,
მოგდევლათ კოკლუცაური, მშვილდი მოგყეფლათ რქიანი.
დაგიკრათ დედის ერთასა, მიწა გიჭმიათ მტკრიანი;
მოგიკლათ მედროშეიცა, ბეკურა მქარ-შუბიანი.
თოფიც ბევრია მშავეშია, კირიმი პირ-კვამლიანი.
კმალიც ბევრია მშავეშია, ფრანგული ფხა-სისხლიანი.
10 ვაჟიც ბევრია მშავეშია, ჯავრისგან გულ-ლორღიანი.

181. ოჩიაურნი

რად გაგიხარდათ, დიღღელებო, არხოტიონთა ზიანი?
უშიშა ოჩიაურმა არ დაგიბარათ გზიანი.
მიუკლენ ალუდიკასა: „ერთით ვართ სირცხვილიანი:

5 ამღას მოგვიკლეს დისწული, აბათ კურდღელა კმლიანი.“
ადგიან, გადაიარეს ჩორეხის თავი კლდანი,
ქორიალამოს გავიდეს, დილაი თვირთვილიანი;
მაუვა საქანისტელი, ირემა რქა-ჯანგანი;
დააყრიან თოფები, მაჟრებს გახქონდა ჟრიალი;
„იქნებიმც ალუდაისა! მანდ იწვე გულ-ნატყვიარი!“
10 ჩორეხს აძრახდის ყორნები: „ვინ იყავ, ვინ ხქენ რიალი?“
– „იყვნიან ოჩიაურნი, ბევრკან სხოკან ქნეს ზიანი.“
ნეტავი მაგათ დედასა! ჯარ დასხდეს სახელიანი.

—

არ გამიყოლეს საშზირსა, ქალი ვეგონე თმიანი;
გავეყოლ, რას დაულევდი? წულზე კმალი მბავ ფხიანი,
15 მქართა შეკიდა კირიში, ძალიან კმა-ძალიანი.

182. გაგაის ძობი

გაგაის ძობივ, გერჩიყავ, ღილლო გეჭამა ჭკვითაო,
ყანა გექნ, კარი გელაღა, ჯოხი მაგეჭრა ტყითაო.
კვესურეთ რად იარები თავის მართული ყბითაო?
თვალ უზის თვალაჯაიძეს ჯურკასა შავარდნისაო.
5 კმასა გაგიტეხს კვესურეთს, მუკლსა შიბამს მგლისაო. —
წინავ გუდანით მოვალის ძალი გუდანის ჯვრისაო;
იმას ღერენამ მასდივა არწივმა სინსილითაო;
ბლოელ ბერდია მავიდა, ქორ მქარ-ბოლოსა შლისაო;
კირჩლამ საფერქე შახკაზმა, ზე ორბი შავდა მქრითაო,
10 ბლო-ღელე გადაავლია, საძელე კინკილითაო,
ქოთანთას შამაეწია არწივი კივილითაო.
კირჩლაე, შენ გამაგარა თვალაჯაიძემ მქრითაო...
თვალაჯათ ალუდაური ომობდა ჩოკი-ძვლითაო;
საკარგ-ყმბ მივსცათ, კირჩლაო, — ცემა დავასწვრა კმლითაო.
15 კახოს უთურგა დასჭეხდა: „კვესურნ, ვერ ზარით ცლითაო.“
კვესურებმ დაჯავრებულთა ჯუთა აავსეს მკვდრითაო.
მამა უტირის ღერენას ხიტალიონსა კმითაო:
„შვილო, ცოცხალი არ მოხვალ, არ დაღბრუნდები გზითაო.“
აჭეხა ბასილის ძემა ომამა მშვილდი რქისაო,
20 ძობიი გაღმაიბრუნა, მანძილა დასცა ძირსაო,

ატირდა ყორის წყალზედა ერთი ღლიღველი კმითაო:
„დაგვიხინა თურმანაულმა ჯურკამა ვეფხვმა მწკლითაო,
ქირჩლამა ბაბურაულმა გორდა ფრანგული კმლითაო.“

183. ლექების დაცემა ლულსა და სნოზე

- დღესამც ნუ გათენებულა დღეს ზუთშაბათი მზიანი!
ნაკარეებ გამდადიოდა ურჯულო დოლბანდინი.
ცხენნი ღულის თავ მოვიდეს, აღამს გამმაქვე პრიალი.
ათათა, ღულელთ შვილებო, დღე გაგიოთენდათ ცდიანი.
- 5 სიმაგრეთაქე წახვედით, ვითამ ჯიქენი ხართ რქიანნი.
ნუ გეშინიანთ, ქალ-ზალი: ვეფხვიათ გყავთ კმლიანი,
თათარათა თათარა ბულა ბუბუნებს რქიანი:
ქუნჩალეთ ივანეური გლეს აზნაური ყმიანი;
ქორი-ა თოთელიშვილი, სიმაგრის კარზე მკივანი;
- 10 სიძე ხყავ ხახიკაური, ბასრის კმალია ფხინანი;
იდუა ციხელიშვილი სიათის ტყვია-მტკივანი;
სვეტი-ა მგელაიშვილი ჯუმალა სინათლიანი;
გამახარეთ[ა] იმელა გვერდს უდგას იმელიანი;
სიმაგრით გამადიოდა თეთრის სიათის ყრიალი;
-
- 15 ქორწილ აქე ვეფხვიათა, ნაწევი მიუდიოდა,
კონ უდგან ღულეთ სავსენი, სისხლ პერად მოუდიოდა,
ლექებ გულ-ქადარეები უწველად მიუდიოდა;
ღულელთ შვილების ნაკოცი მკვდარი კლდეთ გამდოდიოდა;
წყალნი ღულის ძირ დაწურნა, ორ-წყალში აღარ დიოდა;
- 20 გახკვირდა მშავლიშვილები: „ეს წყალ ქვე სად მიდიოდა?“
სიმაგრით ღულელთ ქალ-ზალი ტირილით გამუდიოდა;
სულეთშიგ ღულელთ შვილები ჩივილით შამოდიოდა:
„მქარ არ გვიჭირეს ქევსურთა, მარტოთა არ გადიოდა.“
დაიქენეს ქევსურთ შვილები, მთა-წვერზე მიდ-მოდიოდა.
-
- 25 ზუთშაბათ თენებაზედა ქევის მთას გადადიოდა;
სნოს ღუღუშაურთ ციხესა თავს ალი გადასდიოდა.
თოფს ისრებს ჯაბანის პაპი, მქედრები ჩამადიოდა,
უსუფათისა მამკლავსა პაპს მლოცავ მიუდიოდა.

184. ივანეური

- ჭიმლაშიგ ივანეური რას-რა უფიქრობს თავსაო?
ღელა ღაუცხოობს საგძალთა, მამა უბანდავს ჯღანთაო.
დაჯდება ივანეური, ღღე-შუ გაღღესავს კმალსაო.
გამავა წინგარდაზედა, გაღმართებს სიათასაო.
- 5 სამშაოდ გამემართა, დასწერს ქალ-ზალი ჯვარსაო.
წაიყრის ქალბან-ბანდულსა, ლამაზს ჩაიცომს ჯღანსაო.
შამაქდა მუჭის ღელესა, შშაო, მაგაელებს თველსაო.
კითხულობს ივანეური შშავლის სათიბთა მთათაო.
ჩამაენუკა წყემსებსა, კოცას არ ზკადრებს თავსაო.
- 10 სამს სხვეას გამამფრინღალი კალოდ გაღეწავს მკვდარსაო.
გაალებს ივანეური ლაშარის ჯვარის კარსაო.
შიგ შავა ივანეური, წელთით დახკედავს კარსაო.
მიუა ზოშურაული, მიინთებს კელაპტარსაო.
„გამიღი-ღ, ივანეურო, ნუ შამაცოდევს ჯვარსაო!“
- 15 გაულებს ივანეური, გაუქრობს კელაპტარსაო.
შამახკრა ზოშურაულმა, ივანეს მოსჭრის მქარსაო.
შამახკრა ივანეურმა, შაასხა სისხლი ქვასაო.
ივანეურის ფრანგულსა ქალაქ უსინჯვენ ფხასაო.
„ბასრი ყოფილხარ, ფოლადი, განაღამც სჭრიდი ძვალსაო!
20 შენი გამჭვლი, ოქერო, ნეტარ ვერ გასჭვლს სხვასაო?“

კაკმატელთ მზირი ქისტეთში

185.

- კაკმატით გაუბედავის საქისტეთოდა მზირსაო.
გაშუძღვის ხათუთის ძეი, მუქლი შაიბა მგლისაო;
ღათვის ჯვარს გაღმადიოდეს, ნამ შამაბერტყეს მთისაო;
ანდაკზედ ჩამადიოდეს, კვალ ჩამაიღეს მგლისაო;
- 5 აწუნტას ღელეს გავიდეს, ლიშან დაუღდა ცღისაო;
კოკიდიც ჩამაიარეს, ხანია მზის მოსვლისაო;
მზირი შეყრილა მზირზედა, თოფის კმა ამადისაო.
ბრაღია, ხათუთისძეო, ტანი დაგეძრას გმირსაო!
მამკლავსაც არ გაუშვებდი, ლიშანს შეაგლებ კბილსაო.
- 10 ძმაი გოგოთურ გვერდ გელგა, შავარდენ მკრებსა შღისაო.

- ფერაულთ ახალ-ვაჟები წყნარა გახედვენ ლიშანსა,
 ეტანა ქეთულაური, ჭერას ლგონობდა მკრისასა, –
 „თოფი თუ არ დამიჯერებს“, იმედს დადგება კმლისასა...
 15 წინ-წინ კმა გატყდა არდოტში ამოსაქელსა მზისასა,
 მემრე კმა გატყდის კაკმატში, – ჩამატუნას ღვაგ ცისასა.
 ვინ ეტყვის მაგის დედასა, ქალსა მაგ ჩალხურისასა?
 ბრალია ჩამოხკლებოდე სადგურსა შავარდნისასა!

186.

- ბორბალ აყეფდა ყორნები: „სად მიდის მეკოპარო?“
 გადადის აწუნტაზუდა მენადირეთა კვალიო.
 ჩაელენ ქვა-კიღის ჭალასა, ავი აუტყდა დარო.
 აჩქარდა ხახუთის ძეი: „მტერსა მოგვკიდე თვალიო.“
 5 აბრუნდეს თოფის აღშია, სისხლის დგას ნაგუბარო.
 ბრალია, ხახუთისძეო, ტყვიამ დაგიძრას ტანიო!
 კბილთ დახკარ თავის მამკლავსა, კისერში გაზღის კვამლიო.
 გოგოთურს რა ებრალეების? ყმაწვილ ას უმეტყარიო.
 კმლითა სცა ძმისა მამკლავსა: „ყოფილხარ შასადარო.“
 10 ბაჩუა ბეწინიკუა გაზდამდინ მეომარო.
 იღუათ ხოშაქის ძესა შინამდინ მოხევა ჯავროი:
 „თოფი მქონია დუშმანი, აღარც კმლის მექნა ხანიო.“

–

ამაგ ქართულის მათქვამსა საგონიან მქონ გზანიო.

187. მანგიათ ოსისფერაი

- მარკედ ვარ შაწუნებული, – თოვლი დათოვლა მთებზედა.
 დამეწყევიებ, ზაფხულო, თუ არ მოგვიხვედ ხანზედა.
 მანგიათ ოსისფერაი გამოსერნავდა ბანზედა.
 არც იცის სიფულღული, არც საკელთ იყრის მკარზედა.
 5 არც იცომს ახალ-ახალსა, დაისარტყლების ტყავზედა.
 წამოვლენ საძაუგოდა, აუდგა მზირი გზაზედა.
 გაღიხანანა ვაჟამა, კელი დაიდვა კმალზედა:
 „რაალ ბეწიკა ვიქნები, ცხენებ დავწირა გზაზედა?
 ქისტების გამოქცეულსა ქუდიმც ნუ მხურავ თავზედა!“

10 გაჯალათ ქალის გაზდილო, გაითქვი გრანიცაზედა.
გლეხოზას არეინ გეტყოდა ე მთელსა ქვეყანაზედა.

—
შენმა შზემ, ჩემის ძმისამა, ქალს ცრემლი მამდის თვალზედა.
ქიჩილა მამიტანიდი, გადავიხურო თავზედა.

188. ბერიძე მჭედლურიშვილი

ადგეს, წავიდეს მშავლები, შადგეს სამტერო გზაზედა.
გადმეშლება ლეკები, ნასახელოები სხვაზედა.

ბერიძე მჭედლურიშვილსა გული ხქონიყო ცდაზედა.

სიათას ერურჩულება: „გაგარდი გუნებაზედა!

5 ორწყეს დაგაყრი წამალსა, თოფო, შენც გინდა გაძლება.“
ეგ თქვენი ალი მამადი ბერიძემ წითლად შალება.

189. ფულიკა

აფულიკაის ფულიკავ, კაცმა მახკელენ ჭკვანიო!

ქვესურეთ რად იარები? რა ვის მაგიდევს ვალიო?

აჭიონთ მეშეშეებმა შორით მაგაბეს თვალიო;

ჩაგაგდეს იწროს ხევჩია, მთაც ზედ დაგხურეს-ღ' ბარიო;

5 მეჯალდურის გორს აგკიდეს, ქისტო, მოგწყურდა წყალიო.

190. მინდია

გაგვიძედ, ბერო მინდიავ, მუკლი შაიბი მგლისაო.

ახლებიც ჩაახალიზენ, ვისაც გული აქვ ცდისაო.

კოცდიან სასახელოდა, მინდის ბერი ხყავ ძმისაო.

191. მამუკა გელდიაური

გუდან აგებენ ბელელსა, ზღუბლად უღებენ სინასა.

ხკითხვედეს გელდიაურსა ანდრეზსა წინა-წინასა.

ჯერ ჭკვას გამურჩევს მამუკა, არ გამგონისად — რკინასა.

192. გორგასლამ

პირდაპირ შამავხედვედი ციხის გალაენის პირსაო.

ნეფე ყოფილას გორგასლამ, მშვილდ უჭეხებავ გმირსაო.

193. მტრის ვალი

- ცეტნი ხართ, არხოტიონნო, არცა-რამ გკრავთ ჭკვისაო, თავში არა გაქეთ გონისა, მუცელში ნაწლევისაო. რად ხეოცდით ბარის დილღვლებსა? თუმბა თქვენი წყლისაო. ველობა გაუბუდავის ამლით კირჩლაის შვილსაო.
- 5 ახიელ დაუბარებდა იმ თათიას შვილსაო, საამხანიგოდ ნაქები, წინავ ნაცად ხეავ მზირთაო. წავიღეს სანადიროდა, გულში აქე ჯიკეებისაო. თავ-თავად გაიყარნიან, ძალი აქსენეს ხთისაო. წილს ხყრიან სანადიროთა, მაზვერვა სწადის მთისაო.
- 10 წვერის ძირ დაზძინებთევა კირჩლათ კირჩლაიშვილსაო, კლდის ძირში დამინებულსა სიზმარ უნახავ ცდისაო. მეელის გათენებასა, მასვლა უხარის მზისაო, შახედავს სანადიროთა, თვალი შაგდა მზირთაო. აკლიან გოშტიკაურნი, მარტიას არ მიზღისაო,
- 15 ნაკლი მარტიაისა ვალოზე აჩქამდისაო. თოფსა ეხვევის მარტია, ყინჩა დახპარავს ჭირთაო: „ცალეზე არ გაიარა, თავ არ ირჩივა სხვისაო, აეხლა ნუ მიღალატებ, ნუ დამიღაღებ მზირთაო.“ დასწყევენ გოშტიკაურნი თემბოლოთაიშვილსაო:
- 20 „მარშ გადმოღალაღე კარ-ცხენი, ვალ გადმოგკვიდე მტრისაო.“ შორს დარჩა ჯურჯიაული, ბრალა კაი ყმისაო! თან რო ხყვანიყვა ოღინა, თესლს დაუღვედეს მზირთაო.

ყმაწვილის მოკვლა ჭორმეშავს

194.

- კმა სადამ გატყდა ჭორმეშავ, ვერავენ იცის რაზედა: „ქისტებს ყმაწვილი მოუკლავ ჭორმეშავის ძირ წყალზედა.“ მძიმე მღევარი გაბუდგა, წამუა უგზოს გზაზედა. პირი წახყვიან ლხინობას, რო ამავიდეს მთაზედა.
- 5 გოგოთურ წოვაისშვილი მაუვა სახლის კაცებსა. „აღვით, კეკსურთ შვილებო! აღარ გვესხდომის ჯარზედა; ავღვათ, ჩავიდვათ საგზალი, შავღვათ სამტერო გზაზედა!“ ჩავიდეს ქეშლოს ჭალასა წუხრ, ვაკშობისა ხანზედა.

- 10 სოფლადაც ჩასვლა სწადიან, ქისტ ჩამაუვას წყალზედა.
მაჟარი უთურგაისი გავარდა დაცემაზედა.
კირიმი გოგოთურისა აჩქამდა ბეჭის ფთაზედა.
ნასრევი აბიკაისა ქისტს დაუშინჯე ტანზედა.
„ძალლიკაისად იქნები! მალ-მალ წაგლალავს წყალზედა.“
15 დაბრუნდეს ნასახელარნი, მალე შამაქდეს მთაზედა.
წამაიტანეს ძალლიკა, შამაქდინეს ბანზედა.

—
ამა სიმღერის მათქომი ბებერი ვზივარ კარზედა.

195.

- ქაკმატს ვერ გამოსცილდების ჯოყოლიკაის შვილსაო;
ივანეს ჯოყოლათასა შაკერა სწადიან გზისაო.
საყურა ჩამოჯიგჯიგებს: „არ ვიცი ზავის ქნისაო.
5 ქისტნო, ჩაგიგდით კელადა, ნულარ გახედაეთ ჩილსაო.“
ჯერ თოფი დახკრა ციცქასა, შემრელა ჩამოსორისაო.

196. ჯოყოლიკათა ივანე

- ჯოყოლიკათავ ივანევ, კაცი გამოხვედ რა-ფერი?
დაბადების დღეს გამაგყო მარჯვენა მქარზედ სანთელი.
შენ გაუალი არ იყო საურჯულოოს მთა-წვერი;
5 შენ ჩაუჯდომი არ იყო, საც მასცემს გზისა საყელი.
შენ გამჯაყავი, ივანევ, კაციმც ნუ იყოს დღევრძელი!
ასეთ-ასეთი გაგჯაყავს, ვინაც არ იყო შენფერი.

—
ამავ სიმღერის მათქვამი დაბადებიდგე სრუ ბერი.

197. სისხლი იძიეს

- მანგიას სიზმარ უნახავ აპარეკაის ცდისაო.
წაუვა ჭირის პატრონსა, ბალათურაის შვილსაო.
ადგეს, ჩაიდევს საგძალი, ღამე გატეხეს სთვლისაო.
ხახონთა ნათელისძესა მჭერელ არ უჩანს მქრისაო.
5 ქორელამურზე გამოვლენ, დილაა, თნდებისაო.
ამანდ გულ არ უდგებოდა, თუთრ კლდებზე ხქონდა თვალიო;

- დღისით საბაკეს დაჰზვერვენ, ჩაუელენ ბინდის პირსაო;
ჯერ თოფებ დააშლიან, მემრ პრიალ დადგა კმლისაო.
„გომეკლი, შამოგეყარე, საფერი ჩვენი მკვდრისაო.“
10 კელი ახლამ მოსტაცა, მკვდარს ბაკის პირზე სორისაო.
დაბრუნდეს ნასახელები, მზე ეფინების პირსაო.
საკარგყმო სანების ჯვარსა ნიაღე მაულისაო.

198. თამარისძის სისხლი აიღეს

- მიუეა ბალათური ბერაისშვილსა შინაო:
„მედ' შენ შინ რაადღე ესხედვართ? ხალხმ' ჩვენზე გაიცინაო.“
ადგეს, წაიღეს ორნიეა, გაიღეს ბინდი დილაო;
ქვენა მთა გადაიარეს, ჩაქდეს აცეხის ძირსაო.
5 ახლოს მიუელენ სოფელსა, დასხდეს ათლუხის პირსაო;
ელიან დაღამებასა, დაბნელებასა წინაო.
ვაკშამზე გადაუჩინდეს თამნაურსა შინაო.
ლხინობდეს თამნაური, კელთ კათხებ დაეჭირაო.
„ჩვენდ იყავ კაის მაქმელი, ახლა შენც მაგიწვდინაო.“
10 ყვერფნი აივსნეს სისხლითა, ფრანგულეებმ გაიცინაო;
შამაწვინეს სკამზედა, დაღალულმ დაიძინაო.
კვირობდეს გუდამაყრელნი: „ჩვენში ეს აროს ქნილაო.
რამთვენ მოგვიკლავ კევსური?! ვერვინ შამოგვიე შინაო.
ჩვენ გვითხრეს: „თამარისძესა მძებნელ დაში არავინაო.“
15 დაშიომიე ბერაისშვილი, გაფხავებული რკინაო.
ბალათერ გამუყოლებავ ფერ-შუცვლელი რკინაო.

—

ატაბით ბერაისშვილსა სისხ ბევრჯელ ესვა მტრისაო.
შამახკრა, გააწვევტინა მოკლითა ფრანგულითაო.

199. ჭრელას სისხლი იძიეს

- ემზადებიან ჯან-რჩანნი: „შური გვაქვ საძებარიო.“
საგულდაგულოდ გაბანდეს კარის გავაის ჯღანნიო:
„კახეთ მაგვიკლეს ჭრელაი, ლეკებს მიგვიდევს ვალიო.“
მიუელენ ჯაბუშანურსა: „მგელავ, იცნოდი გზანიო.“
5 ადგიან, გაემართნიან, გახყვა არხოტის ჯვარიო.

წავიდე, გარდაიარეს მაღალ არხოტის მთანიო,
წყალსა გავიდე წმინდასა, დაკრნეს კრიახის გზანიო;
ლექსა ასძრახდეს ლეკურად, ერთმანეთს მისცეს ზავიო.
– „მაგათ ზავ არ იქნებოდა, – შუ უდის სისხლის წყალიო.“
მგელამ იქმარა ხანჯარი: „გუგუსადამც ხარო!“
ყმაწვილმა ნისლაურამა კარგა უჭირა მქარიო;
ბათირავ, ნუმც შაგეკსნების ძმისა ჭრელაის ემალიო!
ნუმც მაგიკვდება ელგუჯა! ვეფხვი გყავთ მეომარიო.

10

200. ღაღუმი

ცხვარი სად გიდგას, ღაღუმი? საბაკეს გიქებდიანო.
მოდინ თუშიშვილები, მოგქადან, არ იშლიანო,
შენთა ქავთა და ციხეთა ფანჯარათ ჩამუშლიანო.

–

ქეკ-კმელის ჭალა შენც იცი, რო სანადირო ტყე არი,
იქა რო მგლები ბუღობენ, კბილებს გახჭონდა ძგრიადლი.

201. თათრების დასხმა ფშაველთ ჯოგზე

თაქლაში ამბავ დავარდა, ვეჭობ იყრება ლაშქარი.
არჩევენ ჯიელ ბიჭებსა, ან კარგი ცხენი რაც არი.
აქაცა ჭამეს სადილი, თანაც წაიღეს საგძალი.
მოდინ კითხვა-კითხვითა: „ივანეს ბინა სად არი?“
5 ივანე ეტყვის ჩობანსა: „ცხენებს თუ ვნახავთ, სად არი?“
მქარძე თოფ გადაიკიდა, წელძე გახყვება ხანჯარი.
ივანემ ცხენებ დააფთხო, ბინაში მოკლა ყათარი.
– „ეხლა კი დავგჩი კელადა“, იქით უძახებს თათარი.
– „ნუ გემინიათ, ძაღლებო, მოდით, ივანეც მზად არი.“
10 საცხენის კარში ჩაუდგა, რკინა ყოფილა მაგარი.
საცხენეს შამაერია თათრიშვილების ლაშქარი.
ომია გაქურებული, ბინამ დაიწყო დანდგარი.
ჩამეეშველენენ ღვთიშვილნი, ლაშა გიორგიც აქ არი.
პირდაპირ შაუვარდება ერთი რჯულ-ძაღლი თათარი,
15 კმალ წვერით შამაუქნია, დაუჭრნა უბის მასრანი.
ივანეს კმალ კი არ შაშა, წვერ-წალმ იქმარა ხანჯარი.

202. ქურდობა არ შეარჩინეს

- საკარის მაღალ თოფი ჭეხს, ჩამოტეხნას ღვაგ ცისასა.
ვე ბეჟიტათა ბაბუა ნადირს ღვაგ სალის კლდისასა.
ვე ბაბუხურის შვილაი რკინას ღვაგ ფოლადისასა.
შე სირაღაის გაზდილო, ტოტით გათხრევენ ქეიშასა.
5 ასთეჟურაის გაზდილო, გიმტერევენ გულის ფიცარსა.

203. დაავიწყეს ცხენის მოპარვა

- გამოემართო ქისტები, ბრძანებაი აქვ სულისა;
ჭალაზე შემოდიოდეს, მაგათ ფერი სძე ქურდისა.
სწადიან ცხენის მოპარვა, სანამეტნაოდ ლურჯისა.
ტერლის კარ მაღალ სახვევზე საყურში ვინა-ღ უზისა?
5 თოფი ხკრა ბუნუხუასა, რჯულ დააცილა ქურდისა.
არსამბექ გამოქცეული ღმერთს ეხვეწების ქულითა.
დედა ოცხონე ვაჟისა, სამართი სცოდნივ მრუდისა!
დედა ოცხონე, ძმობილო! ქისტს დააცილე ცხენიო.
ველარ იპოეს მამკლავი, ქისტებმ აიღეს ქელიო.

ქისტების დასხმა ფშავლების ცხვარზე ანდარუყოს მეთაურობით

204.

- წამოვლენ ბარით ქისტები, აქსენეს თავის ჯვარია.
მაუვლენ ანდარუყოსა: „დიჩინო, გაგვართვ გზანია!“
ემზადა ანდარუყოი, ფეხზედ ჩაიცვა ჯღანია;
უბეს ჩაიდვა სუღარი, ჯალაფთ დასწერა ჯვარია.
5 მავიდეს კალოთანაში, იყო ვაქშობის ხანია;
მონახეს ქიბიშაურნი უღელ-დადებულ ძმანია,
ქისტურად ხკითხეს ამბავი, ერთ-ურთს დაუგეს თვალია.
ეტყვიან ქიბიშაურსა: „ძმაო, გვიჭირე მქარია.“
ემზადა ქიბიშაური, ვეფხემა აისხა მწკალია.
10 უერთოდ არ დაბრუნდების ობლის ნალესი ემალია.
ხკითხედა ანდარუყოი: „ფშავლებს სად უდგა ცხვარია?“

- „ვიდინათ, ანდარუყოვო, შენ მოგიმოკლდეს გზანია.“
 გიორგიმ ანდარუყოსა არ მისცა ომის ხანია.
 მა კვირიკაის ხანჯარმა აისხა სისხლის ცვარია.
 15 გიორგი ქიბიშაურმა შაღა სუდის კარია.
 ნაჩალიკ გაუჯავრდება: „ქეესურო, შენი ბრალაია.“
 – „შენი ჭირიმე, ბატონო, ქისტებმ გაბედეს ძალია;
 წელთ მესხა იარაღები. გან თუ რა ვიყავ ქალაია?“
-
- ამაგის ლექსის მათქვამმა ბელელს გაეაწყვენ ქვანია,
 20 სალექსოდ მინდა, გიორგივ, ტერღულის ჯიკვის რქანია.

205.

- საწყლებო მემცხვარეებო, შუ გიღისთ სისხლის წყალაია,
 ან დაგლევსთ ბარში თათრები, ან მთაში ქისტის ჯარია.
 გადავა კალოთანასა ახარებაის ცხვარია.
 ღიღღოთ წამაგლენ ღიღღვლები, აქსენეს თავის ჯვარია.
 5 მიუელენ ანდარუყოსა: „ღიჩიმმ გაგვართვენ გზანია.“
 დაჯდა, გაბანდა გულითა კარის გაეაის ჯღანია.
 უბეჩი სუდარ ჩაიდვა, ჯალაფთ დასწერა ჯვარია.
 შამაკდეს კალოთანასა, წუხრ რო ბნელობის ხანია.
 წამაგებენს ხირსილნი მარტიას შვილნი ძმანია.
 10 ქისტურად ხკითხეს ამბავი, ერთუცს დაუცეს თვალაია.
 ხკითხევდა ანდარუყოი: „ფშაგლებს სად უდგა ცხვარაია?“
 – „ვიდინათ, ანდარუყოვო, ჯერ მიგვიდიან გზანია.“
 წყაროს სათავეს შამაკდეს, ბევრი აქე საუბარია.
 შულამის ხან რო მავიდა, ქისტებმ მააწყვეს ჯარია,
 15 იწყინა უძილაურმა: „რა ღროს სტუმრობის ხანია?“
 გიორგიმ მარტიათამა ძმობილს დახურნა ცანია.
 დაგვიკრა ანდარუყოსა, დააგლეჯიენა ყბანია.
 ჩამოდლიოდა ღვედრაი: „ქიბიშაურ ორ გვარია.“
 უბრალოდ არ ჩაივლიდა ობლის ნალესავე კმალაია.
-
- 20 სალექსოდ გამამიგზავნენ, გიორგივ, ჯიკვის რქანია,
 უნდა დავაკრა ბელელსა, შორით ემბოდან თვალნია.

- სამნია კალოთანელნი, სამნივე ქორებრივე ხქრიანა,
 ნაპირის ადგილისანი თავს ხალხში აღარ სთვლიანა.
 ნაცად ეგეთა უნდარის, მანდ რო კრაველან ცლიანა:
 5 ოკში წინ, ოკში უკენა საბაკეს სისხლით სერიანა.
 ეს მამაძალი ქისტები სრუ საქურდალად დიანა!
 კალოთანის კორკს მოვიდეს, ბინაზედ დადგებიანა;
 უნდოდა დაებალითნეს, მემცხვრისად დაერიალა.
 კვირიკამ კრაველიანმა ომ აღარ დააგვიანა:
 დაუკოცან ორ-ოლნი. როგორ დაკერიტა ტყვიამა?
 10 გიორგი მარტიაშვილმა ბერდენკა ჩაუწკრიალა:
 დაუკრა ანდარუყოსა, ტარივით დაატრიალა.
 რას სწყალობს მგელაის თოფსა? ნამტერევენი გადადიანა.
 ზოგნი ფულს ანგარიშობენ, ზოგნი იარაღს ხყრიანა.
 ზოგნი ამბობენ: „დაელმარხათ“, ზოგნი ტოტით ქვიმას თხრიანა.
 15 პირ-აღმისაკე გასწიეს, კარნი უღელში ღებინა;
 დაღმარხეს წვერის ძირშია, ზე ქარაფს დასცემდინა.
 კვირობდა ელამორძაი: „რა ღირმად ჩაუყრიანა?!“
-
- ეს ლექსი გამოგიგზავნა ღულით ბაბილის ნიამა.
 20 სალექსოდ მინდა ხანჯარი, რო ქისტებს დაუპრიალა.
 არ მინდა შორად ძეგაი, სრუ ჩვენ ჭალაზედ დიანა.

207. კაგა ნაროზაული

- მიკვირხარ, ჭალას მთიბელო, რამ მაგაცდინა ჭკვიანი?
 საქონ ტანიეს ჩაღლაღე, ბარია სათიბიანი.
 „თუ თივა გამითავდება, სანეკროია ტყიანი.“
 დაგძინებია, კაგაო, ვითამ ჯიკვ იყავ რქიანი.
 გამაგიყარეს საქონი, გამახყვევ გულ-ჯავრიანი.
 5 ბრალი ას ერეჯიფისა, ლიშან არ ჩინდას ტიალი!
 სულეთში ვერ შეაჩინე ურჯულო დოღბანდიანი.
 მწვიდმეტე რო ესრიე, ქისტებმ გაიღეს გრიალი.
 ბევრკან კი ხყრავის, კაგაო, შენის კირიმის ტყვიანი.
 10 დააწირვიენ ძროხანი, გაუშვენ პირ-ოფლიანნი.

- ქალღმერთს დაუსვი ციფირი, ვაპირობ ლექსის თქმასაო.
 ვინა ხარ ქისტეთს მავალი, მითხოს ვინა სტეხ კმასაო?
 იქნება სულხანაური, არა ზოგავდა თავსაო.
 მითხოს ჩდილს ააქოთებდა, კლდენი აძლევედეს ბანსაო.
- 5 ისახელებს და წამოა, ვერ მოუქედვენ კვალსაო.
 მოლაის სისხლით ნალებსა ხანჯარს გაუწმენდს ფხასაო,
 მე ბევრჯერ გითხარ, სურხანავ: „ღრიდე სისხლიანს გზასაო,
 ნათქომი არის: „კოკაი მუდამ არ ზიდავს წყალსაო,
 წყლის სამ ზიდავაში გატყდების, დაერეკების ქვასაო.“
- 10 სურხანამ არ დაიჯერა, არას ხკითხვედის სხვასაო.
 პირიქითობა ეგულა, მაგრად გაღბანდავს ჯღანსაო.
 გამაისტუმრა დედამა, ველარ აშორებს თვალსაო.
 ქვესურ ხთისიკა გეტანა, ფშაველიც გიჭერს მქარსაო.
 ანატორაში ჩაუსხდეს, ელიან თენებასაო.
- 15 ჩამოვლენ შატილიენები, ჩამაღლალევედეს ცხვარსაო.
 ნუ იცომ, გიგიაშვილო, ბუსურბნის ტალავარსაო!
 შაგხვდება ჭირის პატრონი, გაფერებს ქისტის ყმასაო.
 გულზედ დაგადებს ლიშანსა, თოფი გაიღებს კმასაო.
 შვილ კელში დასჩა გიგიას, ყინჩად დასწერდა ჯვარსაო.
- 20 იაღიმც შახვალ იაღში, ზიხარ იაღთამც სკამსაო!
 მარჯენითამც კმალს შაიყოლებ, მარცხნითამც კელაპტარსაო!
 ვინ მოგკლა, შვილო აბაო, ვინ-რარა მხურავს ცათაო?
 მამაშვილობით ვიყრებით, ნუ მაფოფინებ თვალთაო.
 მემრე კი შატილიენებსა ბევრად ვერა ვსდებ ბრალსაო.
- 25 შაგიკვრენ, სულხანაურო, მაღლა მთას, დაბლა ბარსაო,
 დაგთოფეს კისტინის ჭალასა, მზე-ამოდენის ხანსაო.
 თოფ დაგკრეს, მთისა არწივო, შამაიჭუჭკავ მქართაო.
 ნეტარ ვინ ეტყვის ამბავსა დედ-მამასა და დათაო?
 ნათულას ამბავს ნუ ეტყვიო, თორო მოიკლავს თავსაო.
- 30 ფერ ახკლოძია, სულხანავ, შენსა სახლსა და კარსაო,
 ციხეს ლამ-კირით ნაგებსა, ქვაზე ნაღებსა ქვასაო.
 აღარ დაუდის სტუმარი დედა-შენს თამიასაო,
 აღარსად მელიციენები – მელიციის აფიცარსაო.

35 გენუკით შასანდობარსა, სულ-წმინდათ სალოცავსაო,
ცოცხალთად მოსაკმაროსა, მკედრებისად საღირალსაო.

209.

აეხლად მოდის ზაფხული, ბალახი დახყრის თრთვილსაო;
ვაუისა ველთ გასულისა მოვლა კარგი ას მთისაო.
მთილიმთივ შემოვიდოდი, ბრძანება იქნა ზთისაო.
ტირილით ამომკდარიყვა სისკარი თენებისაო,
5 ამაყვლა მაცნეი, ამავე მაელა ყმისაო.
საბუდრად ჩამასულიყო ყორანი შულამისაო.
აყვავდა ხილი შავადა, გაქმა ფათოლი ტყისაო,
დაგუბდა წყალი მდინარი, მთელი ქვეყანა ხეკირსაო.
ზედ ისხდეს მტრედნი ლამაზნი, ცრემლით იბანდეს პირსაო.
10 მაშინ თქვეს: „გადაუვლავის გოგოთურაის შვილსაო.“
მეც ვნახე გადანავალი, გადაეკვალა ქვიშაო.
შატილ ჩაივდა სულხანა, სანგალ მივლა ქვისაო.
„ღმერთო, შამყარე, – ამბობდა, – ურჯულოს ქისტის შვილსაო.“
შუადღის დრო რო მივიდა, მგზავრი კშირ-კშირად დისაო.
15 დაადეა თოფის ლიშანი მარჯვენას გულის პირსაო.
„არ ვიც დურბინის ბრალია, არ ვიც მე რაიმ მჭირსაო,
ქისტურად ტალავარი სცვა, სერი აქვ კევსურისაო.“
თოფის ქმას დახყვა კივილი გიგიათ აბისაო,
დაიჭერს ბოლოშითა მამაი თავის შვილსაო.
20 ეშველას, რას ეშველების? გულს ნატყვიარი სჭირსაო.
გიგიათაი აბაი შუქ დაიკრიფა მზისაო!
ახლები შატილივინები ერთად შაიყრის პირსაო.
ორწყალაში რო შამავლენ, სინათლე იქნა დღისაო.
სულხანას ის არ ეგონა, შამავეყრები მზირთაო.
25 დატყვრების არშავიანი, ზედიზედ გამოდისაო,
სულხანა შამაწვინეს, სისკარი თენებისაო.
თქვენ იცით, ამხანიგებო, აეხლა ჩემის მტრისაო.
აეხლა ღმერთმა გაცხონას, შამქოთუბელო მთისაო!
სულეთში ჩამაიყვანეს, ოქროს ჩიკაზე ზისაო.
30 კელში უჭერავ ფანდური, ლარ უდე სპილენძისაო:
„გუდელას დამჩა ციხეი, ნაგები ბასრის ქვისაო.“
სახლ დაგჩა კირით ნალესი, ნადგომი ვაკის პირსაო;

კარზე ნაბამი ლურჯაი ფხვრიალებს, უცემს ცხვირსაო.
ჭერხოთ ჩამოდის დგრიალი ნაღესი ფრანგულისაო.

- 35 მელექსეს ვერას გაიგებთ, წყლის სათავეში ზისაო.
სალექსოდ გამომიგზანეთ ყანწ მანც იყოს რქისაო.
დავასხა შამანდობარი, სწორებს დავყუდა პირსაო.

210. ფუტკრის ქურდი

- ა ბეჩავ ჩემო ფანდურო, ფანდურ არა გჯობ ხისაო:
დაგიკრავ, ვერე იძახებ, მეგონე[ბ] სპილენძისაო.
ერთსა მე ვიტყვი სიტყვასა, ბევრი არ ვიცი თქმისაო.
მამაძაღლები ქისტები სრუ საქურდალზე დისაო, –
5 მახპარვენ წიწილაშვილსა ორსაოდ ფუტკრის ძირსაო.
აწყობენ ქეშლურაჩია, ჯალაბთ წაუტანთ ტკბილსაო.
გაიგა წიწილაშვილმა, მუკლი შაიბა მგლისაო.
არაგვზე შამაეწივა, დაბლადა ქუთხის ძირსაო.
ზოგებ ჩაყარნა წყალჩია, ზოგებ აღბლატნა ჩდილსაო.
10 ა იმა ღამეს ვაჟი ლამიანაზე ზისაო.
გათენებიდგე წამოვა, აკოს მოვიდა ძირსაო.
გავაგებიათ თათარსა, მა თოთიანის შვილსაო,
სამსხანიგოდ აქებენ, მჭერელ არა ჯობ მკრისაო.
ქმა გატყდა: „ლიქოკელებო, დაგვეშველენით, ჭირსაო.“
15 მეთოფეობით აქებენ მა წიწილაის შვილსაო.
მარცხენას გვერდზე ბერდენკა, ქისტებ ჩამადის ძირსაო.
ახყარა იარაღები, მოართვა ნაჩალიკსაო.
სტიკის ბერდენკა აჩუქა, ნაქონი სალდათისაო,
პატრონა გამაუვიდა ას-ასი ზაზინისაო.

- 20 ეგ ლექსი დაუბარებავ დულჩი კვესურის შვილსაო.
ეგ ლექს ამაშინ ამოთქვით, ჯარ რო დასხდების სძისაო.

211. ქისტების დასხმა თუშების ცხვარზე

ჩათმაში ჩამასულიყო თორმეტი ფარა ცხვარია.
იყრების ბელანქარშია მძიმე ურჯულოს ჯარია;
მანდ გყვანდეს ჭარულთ შვილები, იგიც ბელანქრის მქარია.

- გულკადარი ხყავ ბელადი ალაზანს გამამკლარია.
- 5 დაგზავნეს ყარაულები: „ჩათმას მოგვივლი თვალია.“
მოვიდეს გალაღებულნი: „ადვილა საშოვარია.“
საწყალსა თუშიშვილებსა ეტყვიის საწყენი მკარია.
დაეცა შულამის დროსა მძიმე დაღისტინის ჯარია.
ზეღიზედ შამამდგარიყვა თორმეტი ფარა ცხვარია.
- 10 აქამდი არ ჩამასულა ჩათმაში თუშის ცხვარია,
ჩვენ ჩვენს საქონთან ვილევით. წყემსებო, თქვენი ბრალია!
წინ გაუძღვარეს ვაცები, მიღის ზარების ჩქამია.
გახყვა ყუილით ძაღლები, ძალლა ცას შაზღვეს ზარია.
გიორგიმ უთხრა გიგასა: „რაად მოწყენით ზარია?“
- 15 – „მოწყენით რაგო არ ვიყვა? ძაღლებმ წამისხეს ცხვარია.
არც მიგვევალის თუშეთსა, ჩვენი კაცობა რ'არია?
დაგვეკეთების სამძახი, არ მოგვეცემის ქალია,
არ დაგვესხდომის ჯარზედა, დასხდას ალუდის ჯარია.“
– „ყმაწვილადა ხარ, გიგაო. რო ვერ მიჭირავ მკარია?“
- 20 – „მქარს თუ ვერ გიჭერ, გიორგი, დამარქვი კახის ქალია.“
ჩომანდახისას წავიდეს, მარცხნივ აართევს მკარია.
შუას ჩათმაში მასწვრეს, არ დაანებეს გზანია.
ცხენებს დახყარეს ლაგმები, გამაანებეს გზანია.
ჯარის შუაზე გადადგეს, ორად გაწყვიტეს ჯარია.
- 25 ომობენ უთურიშვილნი, დაღისტანს შაზღვეს ზარია,
ჩათმის ბოლომდე მოზდიეს, შადვეს ზეღიზედ მკედარია.
გათუნდა. გასცენეს თუშები, შორ-ახლოდ უყვეს ძალია.
თოფი დაუკრეს გიგასა, გიორგის მოსტყდა მკარია.
– ვამ შენ გიორგის, გიგაო, წყურვიელი ხარო!
- 30 ხუთი შასწირა გიგასა: „მაუტანიდი წყალიო!“
ოთხი თავის თავს შასწირა: „იყვენით ჩემი ყმანიო!“
თითო-ოროლი წყემსებსა: „დაუბრუნდიო ცხვარიო!“
ერთი შასწირა ბინასა: „დაიჭირიდი თვალიო!“
თითოი – ცხვრისა ძაღლებსა: „გაუცხელიდი წყალიო!“
- 35 თოფ დახკრეს უთურიშვილსა, დასხნა მანძილამ რქანიო.
გიორგის ბალთა-ყაწიმსა სისხლმ შაუცვალა ფერიო.
გიორგის ცხენო საღარო, დიდხანამცა ხარ მთელიო!
შამაიარენ ღამითა მარტომ ქიზიყის გზანიო.
პირით მოგქონდა ლაგამი, გიხანდებიან გზანიო.

- 40 ალვანჩი ამბავ დაავდი: „ჩათმაში დაგვცნეს ცანიო.“
 ცხენებ დახკაზმეთ, თუშებო, რომენიც უფრო ჩქარო.
 შამონჩნდეს ბელანქარშია გიგაის ვაცის რქანიო.
 ჭარელთ დალაღდეს ქალები: „მაუღის თუშის ცხვარიო.“
 „რად გიხარიან, ქალებო? კა კი არ გვედგა დარიო.
 45 ბევრას დღეაი იტირებს, ბევრა დაქვრივდა ქალიო.“

—

ამაგის მალექსებელი ალვანში თუშის ქალიო;
 ავხყარე საყურ-ბეჭედი, ძირით დავიჭრენ თმანიო.
 გან თუ რა შორიელ იყვნენ? — ბიძაშვილ იყვნენ, ძმანიო.

212. ყაზიბეგიანთ ცხვარზე დასხმა

- გამაიბრუნეს ღიღღღღღღღმა ყაზიბეგიანთ ცხვარიო,
 ფარეხის კარზე გაწირეს წითლად ნაღები მკვდარიო.
 ვინ იყავ, მენადირეო, შორით მახკიდე თვალიო?
 შუა კორკს გადმასწევიყო: „ქისტო, დაყარე ცხვარიო!
 5 თორე ბულეჯან მოვიდა, მგელაის შვილი ქარიო.“
 კლდის ქარაფხეით ჩამუჯდა, ტყვია დალაღა ჩქარიო.
 მეთოფეს ბულეჯან ხქეიან, მაგის თოფს არ უნდ ტალიო.
 „რად არ დასდგებით, ძაღლებო? რადა გძრავთ ტყვიის ქარიო?“
 ერთ წამაიდეს დაჭრილი, ორ ემანდ დარჩა მკვდარიო.
 10 გადვიდა მგელაიშვილი, ახყარა საომარიო:
 „ყაზიბეგიშვილ ვინა ხარ, შინ გაირეკა ცხვარიო?“
 ბულეჯანს გამაუგზაენა აპელატი და ჯვარიო.
 „ბულეჯან, გამამილალე, ეკრას ტარს სპილოს ძვალიო.
 ან ჩოკა გამამილალე, ზედ ეკრას ნატყვიარიო.“

ცხენების წასხმა ზენა-მკრიდან

213.

- ჯარევით ქისტებ წამავლენ, საგზალ ჩაიდვეს ზიარი;
 ზენამკრით ცხენებ წაასხეს, ეგონათ ოკერ-ტიალი.
 არავის ჭალას ჩამოქდეს, დამუა, განა დღე არი?
 ნუ წახვალთ კაკმატისასა, გზაში ვეფხვი წვეს ბწკლიანი.
 5 სად მიხვალ, ქისტის გოგოო? ჩოკ-პერანგ მოგჩეს ტიალი.

- ველ-კეთილს შემოგეწევთ, თოფ-ჩახმასს გააქვ წკრიალი.
თოფი ზკრა ამიშვილსა, სისხლმა გაიღო ჩქრიალი.
აბულეთ კაკმატიონო, მუდამამცა ხარ კმიანი!
მუდამამც გაგემარჯვება, მუდამამცა ხარ კმლიანი!
- 10 სასამართლოჩი წადგება ე ლეთისგან ნაწილიანი,
რა-რიგა შამობრუნდება მარცხენა მქარზე ჯვერიანი!

214.

- ქისტეთით ქისტებ წამავლენ, საგძალ ჩაიდვეს ზიარი.
„უნდა გადვიდათ ფშავშია, – ამანდ ზომ დიდი ტყე არი.
ცხენ უნდა წამავიყვანათ, უპატრონო ას ტიალი.“
ცხენს წაიყვანდეს ოკერსა, ეგონა ოკერ-ტიალი.
- 5 ლულის ჭალაზედ ნუ წახოლო, გზა გაქვისთ საკირკლიანი.
თუ წახოლო, კაკმატს ნუ მიხოლო, – ჯვარი ხყავ მაცილიანი.
გორგობ არცად გაგიგასთ, დღე დავიღამასთ მზიანი.
ჭალაზედ შამაიარეს, ცხენებს მაქვის გრიალი.
გაიგეს კაკმატელებმა, სიტყვა უძახეს ჭკვიანი:
- 10 „ვაშკაცები ორთ, აქ მადით, ქალ თუ გგონავისთ თმიანი?“
– „სრუყელამ ჩამაიარეთ, სრუაც თუ ვინ ხართ კმლიანი.“
დაჯავრდეს კაკმატელები, დადგა ახლების დგრიალი.
ველ-კეთილ ამაეწიენეს, იდგა ჩახმასის წკრიალი.
სათავეს აბულეთი ხყავ, ქორ-შავარდენი მქრიალი.
- 15 რაიცად აბულეთი ხარ, სრუ მუდამ სახელიანი,
სასამართლოშიგ გარდახოლ მარჯვენა მქარზედ ჯვერიანი.
ჯამაგირს მაგიმატებდა კემწიფე ჩენი ჭკვიანი.

–

სალექსოდ გამამიგზავნეთ ხანჯარი შავხალიანი.

215. კვირიკა და ცხენის ქურდი

საკერპოს საკერპოვლები გორულს საბოსლოს დისაო,
ვაკეს დაუდგამ ბოსლები, აუგავ ბასრის ქვისაო.
კვირიკა შამაუკლების, თუთრი მანძილა მთისაო.
გადაწყი სასწრაფოები, თორ ღამე მოდის სთვლისაო.

- 5 წინ-წინ მოსული წითლაი რაგორ გულდიდად რბისაო!
კვირიკას გამაეღვიდა, ჩქამ იქნა ჩანმახისაო.
თოფ დასხლტა, ცხენი გაიქცა, მქედარ დაეცა ძირსაო.
მეორე ჩამოაყოლა, ახვივა ალი პირსაო.
ჩამოჰკიოდა კვირიკა: „შენ ცოცხლის წასვლა ჭირსაო.“
- 10 გამაეღვიდა ახლებსა, ქუხილ დგას თოფებისაო.
„დაისაჯენით, ვაჟებო, ქურდ დავას უგზო გზითაო.“
ეუბნა მემცხვარებსა: „მარცხენას მქარზე სჭირსაო,
სისხლსა სთხვეს ამომავალი, ფირტვის აყოლებს პირსაო.“
- 15 სანამეტნაოდ კვირიკას კოში დაუღვით რვლისაო,
ცოცხლისა სამღლეძელოი, მასაგონები მკვდრისაო.

აბა გიგაური 216.

- ქისტებს უპარავ ცხენები, მითხოსკე მიუღენია.
ნაჩალიკმ უთხრა აბასა: „მე იმედი მაქვ შენია.“
ადე და ცხენი შახკაზემე, გზა იცი რამოდენია.
წინ ქურდი, შორა მღევარი, ამბობს, „თუ ვერა ექენია!“
- 5 მივა, მიინთებს ლამფასა, თავს ღამე ადგა ბნელია.
„მიიკოცეს ამხანიგები, ვალი მაქვ ასაკელელია.“
ღარჩა და ღარჩა ლურჯაი, ხუთმეტ თუმნიან ცხენია.
„არ დასჩა, – ეტყვის პატრონი, – ბევრა გაჭმეი ქერია.“
- 10 გათენებადინ ათავნა მშავ-ქვესურეთის ტყენია.
ცხენ რომენმ გამაუცვალე, კაი სიკეთე ხქენია.
გადაიარა ბორბალი, თქვა: „არ ას დასაჭურია.“
ყინვარათ წყალზე ქისტებსა მონა დაედვა ფერია.
ბლოელო აფშინაშვილო, დედა ვაცხონე შენია!
- 15 მაშინავ ის კი უმახე: „ნულარ მიგყავისთ ცხენია!
შინ ვეღარ წახვალთ ცოცხლები, დაგმოკლებიანთ დღენია.“
იმათ სწორ-სწორად იშუღლეს, საყურად ხქონდეს კლდენია,
თავს ადგას მძიმე ავდარი, ღვარ მოდის რამოდენია.
თოფის კმა, ეღვა-ქუხილი ბევრად არც გასაყრელია.
ღიღღეველი პირ-სისხლიანი მგზავრობას დასცდა მგელთა.
- 20 შენ კი დაბრუნდი, არწიო, შამაიკვართვენ თბენია,
გაისწორიდი ულაში, წელში გაიგდი კელია!

იმას მახველავს ყვარანი, ძევა არ უნდა შენია.
ახლა მაგონობს გზაზედა: „გიძი მაქვ დასათვლელია.“
თორმეტ პატრონა დაუწვავ, ას კიდევ ხქონდა სრულია.

—

- 25 ლექს კი ვერ გითხარ საფერი, კაი ვაჟობა ხქენია;
შაგაგინებენ ისინი, თაოდ ვერაის მქნელნია.
მქარ-გვერდზე იწვა ოში ბევრაის ლექსის მთქმელია.
კალთაში უძეს ფანდური, თავით ბოლომდი ჭრელია.

217.

- ცხენის მჭამლებსა ქისტებსა ქურდობაზედ აქვ გულია.
თიანეთ ჩამავიდოდეს, ცხენების პარვა ღგულია.
ნაჩალიკ გამასერნავდა, მქართ პალტო-წამასხმულია.
იმ დროს მსახურებმ იძახეს: „ცხენებიც დაკარგულია.“
- 5 გიგაურს დაიბარებენ, მღევრობა იცის მგლურია.
„მტრისად მიყოლა, ბატონო, ადვილი სამსახურია.“
ქელად აისხა აბჯარი, ლურჯა დგას შაკახშულია.
კვირობენ თიანელები: „სადისკეს მამზადულია?
მაგვდენ პატრონა რად უნდა? სრუ მირგვლივ გადასხმულია.“
- 10 მშავის ჭალაზედ შამაჩნდა ლურჯა კულ-შანასკულია.
მაუჯავრდების პატრონი, გზანი ხქონ გაწაფულნია.
კვალს იძევს გაბოროტვილი, სპიჭკა აქვ განათულია.
შამაეჯარა ორ-წყალსა, სისკარიც გამამბულია.
„გათენდი, — ამბობს, — ოკერო, აგებ გაიქსნას გულია.“
- 15 მერე გამაიცვალა წითლაი დაკვართულია.
გაკურდა, თან-თან გამალდა, მათრაქზე ხქონდა ყურია.
ა ბეჩავ დედის გაზდილო, რა ფიქრებს მისცა გულია!
„ჩვენებ სტრაჟნიკებ ჩაკოცეს, საქებარი მაქვ შურია!
ღალატით ვკოცა ქისტები, ეგ რალა ვამკაცურია?“
- 20 შორიდან ნახა ქურდები, ჭალაში ჩამასულია.
„აცა, ნუ მიზლით, — ეძახდა, — თქვენთან შულლობა მგულიან.“
ერთმანეცს სროლა დაუწყეს, საყურში ჩასაფრულნია,
მაშინავ დააყირავა. წაწყმდას ქისტების რჯულია!
თორმეტ პატრონა დაუწვავ, ას კიდევ ხქონდა სრულია.
შენზე წინ კაც კი ვერ წავა, რკინისა გიძეს გულია.

- აიჩავ ჩემო ძმობილო, კაცი არა გყავ ცალთა,
ჩაჩანში ყველამ გაიგა შენი სახელი, გვარია.
გიკდების იარაღები, როგორც არწივსა მქარნია.
შაგაგინებდეს ისინი, ვისაც აქვ შენი ჯავრია.
- 5 კარგებ დაგიწყებს ქებასა, გვერდს გიღვან რაგორც ძმანია.
პრისტავის მალოდინი აქვ, მარტო მავიდა მგ ზავრია.
ღიჩინებმ მითხოველებმა გაქსნეს ღურბინის თვალია.
მითხოს ჩდილ ლურჯა შამარბის, ოფლ მიზდის რაგორც წყალია.
ზედა ზის ლეგა მქედარი, პატრონა უწყევავ ჯარია.
- 10 ქელში ბერდენკა უჭვრავ, დახვასტულნი ხქონ მქლავანია.
ბლოელ გიგაურ იქნების, მითხოელთ ნიავღვარია.
ატირდა ქალი და რძალი, ერთმანეთს შასღევს ზარია.
არიქათ, თოფებ დამალეთ, მაგრა ჩაკეტეთ კარია,
ყაჩაღებ ტყეში გავიდან, არვის მახკიდას თვალია.
- 15 არ წავა უსიკვდილოდა, არვინ გაართოთ ჩქამია.
ბვერი შაუკრავ ყაჩალი, წელზეით შახქსნა კმალია.“
ვერა ბრუნდების შულღშია, რაგორც კალოზე კარია.
ვერე ამინებს ქურდებსა, როგორც ღურბელსა ქარია.
ქისტებმ თქვეს: „თოფებ ვესროლოთ, წყალში ჩავაგდოთ მკვდარია.“
- 20 ზოგთა თქვეს: „მაგას ვერ მეხკლავთ, ხატებსთან წილ-ნაყარია.
ჩვენ' მითხოს ყოფა აღარ ღირს, გავწირათ მიწა-წყალია.
რომ მაეკლათ, არ შავარჩინენ, – ბატონს ხყვან თავის ყმანია.“
ქევსურთა ახალ ვაუებმა ხვადებს დააკრეს ნაღნია.
ნარჩევებ ემზადებან: „მითხოს მიგვიღვე ვალია.“
- 25 ყველას აქვ ბერდენკაები, თოფს აღარ უნდა ტალია.
სახანოს ჭალას ჩავიდეს, როგორც ყაზახის ჯარია.
ელოდებან პრიკახსა, დადგა ზატორის ჩქამია,
კვამლ ნისლად უნდა დაიდვას, ტყვიამ დანაყას ძვალია,
ქისტისა, ქევსურისაი წავიდას სისხლის წყალია.
- 30 „რას შვრებით? – უთხრეს ქისტებმა, – რა გემართებს თქვენი ვალია?
ყაჩაღებ ტყეში გავიდეს, წადით, დაძიეთ კვალია.
თუ არ იქნებით ჭკეპზედა, ბვერ გაკეთდების მკვდარია.
ყველას გვაქვ არშავიანი, ზოგ სახლში ხკიდავ სამია.“

- 35 მზას დადგეს მითხოვლები, გიგაურზე ხქონ თვალნიდა.
შუაზე ულის პრისტავი, არ მისცა ომის ხანია.
ღონდარგაი და გაგია ამაგის საზანდარნიდა.
შულღში კი არ გვეშინიან, წავეიღას სისხლის წყალია.

219.

- ერთსა მეც ვიტყვი სიტყვასა ვაშკაცის ცდილობაზედა.
მაიგონიღით კა ვაუი, ჯარ რო დასხდებით სმაზედა!
ვახტანგი ბარათაშვილი იძახდა მაღალ კმაზედა:
„ქისტებმ დაგეპარეს ცხენები, გიგაურ გახყვას კვალზედა,“
5 „იძელ აქვ ლურჯაისაი, მათრაქ არ უნდა ტანზედა.“
ღამის სიბნელეს არ დასდევ[ს] იმ სახრიხლიანს გზაზედა,
სრულ ღამით შამაიარა, ძილ არ მასვლია თვალზედა.
ომისკე გაბოროტვილი დათვის-ჯვარ შაკდა მთაზედა.
შასძახნა თავის ხატებსა: „თვალ გქონდესთ მარტო ყმაზედა,
10 დამყევით, ანგელოზებო, მივდიორ სისხლის კვალზედა.“
მტრისა კი შიში არა აქვ, თოფს ათამაშებს მკლავზედა.
გათენებისად ჩავიდა მდაბლა ურჯულოს წყალზედა.
წინა-უკენ ხყავ ქისტები, გული აქვს ომის ქნაზედა.
„ცხენებ დაწირეთ, ძალღებო, ნუ მიზღით თავის ჭკევაზედა!
15 ამხანიგებ რო მიცვარცეთ, ნახალიზრებო სხვაზედა,
თუ გინდა კმალ-და-კმალ მადით, ფრანგულებ ვცადათ ჭრაზედა!“
კელ-და-კელ სროლა დაუწყეს, ქისტი დახყუდა თავზედა.
„ჩვენდ იყავ კაის მაქმელი, ეხლა გეძინას ქვაზედა!“
კმა გატყდა შუას მითხოსა, დანი ატირდეს ძმაზედა.
20 ცხენი წაგართვა, ბუგაჩო, აბა წავიდა გზაზედა.
ბარაქალ, აფშინაშვილო! წინიდგეს მასღით ცდაზედა.
მაულოციღით სახელი, ჯაყს ნუ ვინ იტყვით კაზედა!
სიმაგრეს კევსურეთისას მტერ ვერ გაგვივლის კარზედა.
ბლოს უღვას მაგარ ციხეი არწიეთა ნახუდარზედა.
-
- 25 ამაგ სიმღერის მათქვამი ბერი ორ ციხის ბანზედა,
ვერ გითხარ შენი საფერი, ჭალარ მირევაკ ყმაზედა.
ჩუსტები გამამიგზავნე, ბაწართ ვერ ვიხვევ ჯღანზედა.

220. მამუკა და სადარა

სხვა საქმე არა კეთდების, ლექსის თქმა მწადის ერთისა.
იძახე, ჩემო ფანდურო, ჭირიმე შენის ღმერთისა!
ყელზე არშავის ცორები ლამაზა შეგიკლებისა.
5 ახლებ ჩაგისხი ლარები, კაზელამც მოგიკლებისა!
ვინაც ვაჟ იქამს სახელსა, გასპარამ იცის ქებისა.
მამუკასა და სადარას შესაფერს ვერვინ ეტყვისა.

—

ველა გავიდეს ვაჟები, მიძრეს და მოძრეს მთებიცა.
კვირობდა ჩვენ ქელმწიფეი: „ბევრა გვინახავ სხვებიცა,
10 ავეთ არვინ გვინახავ, ანდრუზად არ იქნებისა.“
შესწუხდა ღურბენატარი, გული თოვლივით დნებისა.
ცალკე მაულის პრიკაზი, ბრძანება ჩვენის ნუფისა.
ნამდვილა შამაუთვლავის დაჭერა ყაჩაღებისა;
ჯარის გაგზავნა ხგულავის, ნარჩევის ყაზახებისა.
15 ტყუილა, ღურბენატარო, ჯარი უბრალო სცდებისა.
ყაზახებ ჩაგეიკოცების, აფიცერ მოგიკვლებისა.
თავ მიიწყინა სადარამ მთელ სოფლის შეწუხებითა.
ვინ იყო ძალა(დ) დამჭერი? ბატონსთან მივა ნებითა.
ცულა ნუ ხკადრებ, ბატონო, თორ ზაკონ გაგიკვლებისა.
დაგიმტვრევს სასამართლოსა, შენ საქმე წავიკვლებისა.
20 აბეჯითებენ სიკვდილსა, თასებიც ილოცებისა.
იგვლევენ ქვესურთ ქალები, ბევრ-ბევრ კი ატირდებისა.
ნუ სტირით, ქვესურთ ქალებო, სახელ სამზეოს რჩებისა.
ცოცხლებსაც ხქონდა სახელი, ღმერთმა აცხონას მკვდრებიცა.

—

მაგის მეტს აღარ გაამბობთ, მშვიდობით, გამარჯვებითა!

221. სადარა

ქალაქის გუბერნატორი საისკელ ივლებს კმასაო?
რად აწვეს ზეკუციასა, პირმელმ რად მიზღვეს წყალსაო?
აკოს შამაკლეს სოფლადა, მძიმეს მასხამს ჯარსაო;
ხალხის დალუპეას აპირობს, სახლების გადაწვასაო.
5 „თქვენ თუ ყაჩაღებს არ მაგვეცმთ, აღარას ვფიქრობ კასაო.“

- სადარა შიშითაი გულს ხკითხავს, გუნებასაო.
 ხან იტყვის: „კელად მივიდა“, ხან გული ურჩევს ცდასაო.
 ისრევ არჩივა სიკვდილი თემ-სოფლის დაღუპეასაო.
 მივიდა, გამაეცხადა დილა, თენების ხანსაო.
- 10 „მე ვარ სადარა, ბატონო, რო გიწვალეზბდი ჯარსაო;
 მიძვედა შენი ჯარები, ჩემს ვერ იგებდეს კვალსაო.“
 მე ვზღებდი, გუბერნატორო, შენ გუბერნიას ზარსაო.
 აწ მავედ თავის ნებითა, მე აღარ გიქცევ ძალსაო.“
 გულში სწყინს გუბერნატოროსა, კანონ არ აძლევს თქმასაო:
- 15 „რო მახვე თავის ნებითა, შენ ვინ გატანდა ძალსაო?
 სრულება მინდა, მოყმეო, კემწიფის ბრძანებასაო.“
 შუაში ჩაუყენებავ, უდგას ჯარები მკარსაო.
 აკოთ რო ჩაემართების, მთა-წვერთ მავლეებს თვალსაო,
 შახედავს ბალავაჩოსა, მაღალს არხოტის მთასაო.
- 20 „ბევრჯელ კი გარმაგიარე თვალ-შუალამის ხანსაო.
 არხვატში მყვანდეს ამქრები, მედგეს სრუ მუდამ მკარსაო.
 მშვიდობით, სალო კლდეებო! თქვენ მე მაძლევდით ბანსაო.
 მშვიდობით, ჯვარ-ჯვარისკარო, ველარცა-ღ ვლნახავ ჯარსაო.
 მშვიდობით, ჩემო სწორებო, ვინც ჩემს იღვით მკარსაო!“
- 25 კივილით სადამ ჩაივლის მშავ-ქვესურეთის წყალსაო.
 უქდების მთისა არწივსა, ხანდხან იგრუზავს მკართაო.
 ქალაქში ჩაუყვანავის გუბერნატოროის კარსაო.
 შაყრილა გიანარლები, ამბობენ სულობასაო;
 გადაუწყვიტეს სიკვდილი მთისა არწივსა ჩქარსაო.
- 30 შავო სად მიხვალ წერილო, პირ-შელმ რად მიზღვე წყალთაო?
 მაუვა მახარობელი დედა-მამასა, ძმათაო:
 „სადარა აღარ მაგივათ, გწერდათ სამუდმოდ ჯვარსაო.“
 იწყინეს მაგის სწორებმა, ტანზე ჩაიცმენ შავსაო,
 ქალ-ზალს დაუდგა წკმუტუნნი, თავზე იგლეჯენ თმასაო.

222. ზეკუცია არხოტს

არხოტს ზეკუცია ჩადგა ქვესურეთით წამასული.
 წინ-წინაზე გამიკვირდეს, მე მეგონნეს გამაზულნი.
 მითხრეს: „ეგეთანია დედის მუცლი(თ) გამასულნი.“
 ახიელის ულიცაზე იარნუკა გამართული.

- 5 რაკე გადიდებულ დაოს ზოგიერთა აღის გული!
 მკარზე გძელებ ჯოხებ უსხავ, შუბები აქე ჩამაცმული.
 ყველას ზურგზე ხასუნაი ხარატულად გამაქრული.
 ნაქნარ ეგეთა უნდა, კვესურებმ რო დაკლეს ფური!
 ძაღლებ მირგელივ ეხვეოდეს, მზორი ედვა გამახრული.
- 10 შაბურაშვილს ეგ უთხარით: „გამაცვალესაე გზირი?
 ხუტუნისშვილს ვერ აწვალებს, კაცო, შენისთანა ვირი.“
 მეშიარე წამადგების, გმინზე გააყოლა გმინი.
 შუღლისაკე დასწუხდების ღიღღველ ასლაყისშვილი.

მამუკა გოგოჭური 223.

- ზენაით მოღის ამბავი: „ვეფხვი დაზეზდა კლდისაო;
 არაეინ დააზინას, არეინ დახივას მწკლითაო.“
 საძელე გადაიარა მინინომ კივილითაო;
 ჩრდილოეთისკე დაბრუნდა, გავლა სწადიან გზისაო;
- 5 უთქვამის: „უნდა დაეგალა მთა-ბარი დაღისტნისაო,
 ვესტუმრა თავის ამქარსა ზელიმ-ხან ქისტისშვილსაო.
 ჩამავა, ჩამაბოინობს ლალი არწივი მთისაო.
 მახყვების ნისლის კოტორი, ღურბელი შავი ზღვისაო.
 გზაში შამახვდეს წყემსები, ნაცნობებ ღიღის ხნისაო.
- 10 ღალატით ხკითხეს ამბავი, მისცეს სალაში გზისაო.
 ის კი რა მახგონდებოდა, თუ ჩაუსხემდეს მზირსაო.

-
- ომია ბახტრის ჭალასა, თოფის ქმა გამოღისაო.
 მარტო მგზავრს შამაეხვივა ჯარები ყაზახისაო.
 ღმერთმანი შაფიქრებენ, ან მააშლეკენ ღზინსაო.
- 15 ნაბადი გვერდზე იქცივა, ძალი აქსენა ხთისაო.
 არიქ, ორპირო რკინაო, ეხლა საქმე ჭირსაო.
 გადაერია ჯარშია, ფერი დაიდვა მგლისაო.
 მიფანტ-მაფანტა პოლკები, ვერ რო ფარები ცხვრისაო.
 ემადრიველების ხანჯარსა: „რაქე ლამაზა ჭრისაო!“
- 20 თვალ-წამის ერთის ხანზედა ვაკე აივსვა მკვედრითაო.
 სისხლმა შეღება მინდორი, თერგი რო წითლა დისაო.
 თავადაც ამანდ დამრჩალა, დავლათი აღარ ჭრისაო.

დაუძინებავ რქაზედა, რო ჯიკვი ჭაუხისაო.

—

- შორა გავიდა ამბავი, ზიანი ფალავნისაო.
- 25 ეგ ბალთის არე-მარეი აივსვა ცხენოსნითაო.
მკვდარს მულოცვენ სახელსა, ჩვენ კი გვიწყენენ ჭირსაო.
შემოქდა ჩარქვთ ქალები, ცრემლით იბანენ პირსაო.
„ვინ იყვა მარტო მავალი, შორა გამლები გზისაო?
ეს გლენხსა არა გონილა, აზნაურ თუა მთისაო.“
- 30 შენ სიკვდილს ვინ დაიჯერებს? შე გალავანო ქვისაო!
გათქულო გრანიცაზედა, მთვარეო ხუთმეტისაო!
ვინ გაზდის ქვესურის ქალი სხვა შენისთანა შვილსაო?
უნდა გეპარას ჯარები ნარჩევის ყაზახისაო;
ოსმალის გრანიცაზედა მიუძღვებოდი კმლითაო;
- 35 ჭარ-ბელაქანში ლეკებსა ბეგარი დასდვა ცხერისაო.

—

- მთა-წვერთა ასტყდა წყალ-ღვარი, ქარი ხქრის ლამადისაო.
ნუ დაგცილდებისთ, სწორებო, სახელი კაის ყმისაო!
მაღ-მაღე მაიგონილით, რა ჯარი დასხდას სმისაო!
ზოგებსა აის უთხრიდით, ვისაც რო ჯავრი სჭირსაო:
- 40 „მამუკა ნულარ გაშინებსთ, ნულარ გაიმთხოვთ ძილსაო!“

—

- ამბობენ სულეთ შესულსა, ოქროს ჩიკაზე ზისაო,
სულ ფეხზე უდვას მსახური, ხალხი ყველაის მქრისაო;
აბანიებენ კელ-პირსა, მამტან არ აკლავ წყლისაო.
გემღური, გუდამაყრელო, პატრონო ბევრის ცხვრისაო:
- 45 ღალატით მაგიკვლევაის, ვერ მოქცეულხარ ჭკვითაო.
რად გამოზდიხარ მზეზედა, შემრცხვენელო თუმობისაო?
ქიჩილა უნდა გეხურას იმ შენის დიაცისაო,
ქელთ გქონდან ტარ-ნამტენანი, ჩამოსჯდა კერის პირსაო.

—

ამაგის მალექსებელი შვილი ორ კვესურისაო,
ძაუგში მიძეს ბინაი, ნაპირი ქალაქისაო.
ეეხლა მოდის ზამთარი, თვე ღებების იანვრისაო.
ვაპირობ, უნდა გავაღა ღუქანი არაყისაო,
მამიდიოდან სტუმრადა ქალები აფიცრისაო.
ღმერთმან, ვერ ვიცი სალაპი, — კანონი რუსებისაო.

რას ხფიქრობ, ბესარიონო? ლექსის გამოთქმის ხანია.
შენ თუ არ უთხარ ლექსები, ვერას ეტყვიან სხვანია.

—

- დაჩუმდა შშავ-კეესურეთი, მაღლა მთა, დაბლა ბარია;
მთათ აღარ უვლის არწივი, იყოს შულამის ხანია.
- 5 შასწუსლა ბალაეაჩოი: „ღამით ვერ ენახე მეზავრია.“
მამუკავ, ვაჟიას შვილო, შენ' დაცილება ბრალია!
შენ' სახელ მუდამ იქნების, სანამდე მიწა-წყალია,
სანამდე კეესურეთი დგას, ცასა ჩამასდის ნამია;
ბრალია, ბურეკურელო, მიწას ეჭირას ტანია!
- 10 არ დახეიდოდა მთა-წვერთა არწივი მეომარია!
სანამდე იყავ ცოცხალი, მტრისა არ სჭამე ჯავრია, —
ზარ შასდეე გუბერნიასა, შორად გავიდეს კმანია.
გიყვარდა ომი ძრიელი, კელშიგ შიშველა კმალაია;
მქართ გედვა არშევიანი, ომის დროს მოსაკმარია;
- 15 მარცხენას მკლავზე გეხვია პატრონაბის ჯარია;
თურგმ ჩაიწერა გულშია შენ' ბალთას ნაომარია;
ზღვის ნაპირამდე გავიდა, კვირობს ოსმალის ჯარია.

—

- არ გგონდებისა სულეთში ზოგ-ზოგის ხალხის ჯავრია?
არვინ გყავე მამკრეი, ღნაყათ სულეთის კარია?
- 20 მარტიას მისურაულსა აღარ უჭრისა კმალაია?
არ იტყვისაე იმასა: „ძმასა-ღ უჭირა მქარია?“
რას ამბობს ქალუნდაური, ბეგენტ გორ მეომარია?
მარტო რო ჩახყვა ლაშქართა, კოცა ზურაბის ჯარია,
მეთორმეტეს რომ შამახკრა, დადვა, ჩაავა კმალაია?!
- 25 არ გგონდებისა აღქიმი, თუშების წანატანია?
გვერდს არ უსხენა ვაჟები: შალვა, ივანე, ძმანია?
ომი რო ხქონდა ბორბალას, სისხლით შალებნეს მთანია?
არ ასა გაჯავრებული: „გასწყდა გოგოჭურთ გვარია?“
ვინ დამა გოგოჭურებსა თქვენფერა მეომარია?
- 30 ერთ კაობს შაბურაშვილი, შინაურთ კამანდარია;
თავის ძმის სამუქაროდა კეესურთ შყარა ჯარია,
სიცოცხლე რაადალ უნდა? მაგან მასთხარა გვარია.

—

- მამუკავ, შენსა ნაქნარსა ველარ იქმოდეს სხვანია:
 ხანჯრით ტყვიათან ომი ხქენ, მკვდარზე შეხყარე მკვდარია;
 35 შემეგეხვივა მარტოსა ბალთას ყაზახის ჯარია;
 დაგარტყეს შვიდი ტყვიაი, ქვე ძლივ დაგიძრეს ტანია.
 მშვიდობით, მთისა არწივო, ღმერთმა გაცხონას მკვდარია!
 თაოდ თუ მახკვე, ვაჟაკო, სახელ სამზეოს არია.
 ქვე ვინა-ღ გაზდის შენ-ფერას დედა კვესურის ქალია?
 40 რას სნადით, გოგოჭურებო? ბალთას გასწირეთ მკვდარია?!
 ჯავრობენ არხოტიენები, საც შაიყარა ჯარია:
 „ყველას გვიტყედების სახელი, მაგას გვიკირცხვენ სხვანია.
 ომობდა წინას დროშია ლეკეთშიგ კევსურთ ჯარია.
 განთ იქ არ იკოცებოდა ვაჟები მეომარია?
 45 იკითხეთ, თუ ას ანდრეზი, ვის გაუწირავ მკვდარია?
 საფლავს უაზრებთ გზის პირში, დაზღით დღის-თაოდ მგზავრია.
 ბრალ კი ას მამუკაისად, რომ ბალთას იწვას მკვდარია,
 არ დასტიროდას ყინჩადა კევსურთ ქალი და ზალია!

225.

- ყური დამიგდით, ვიამბათ, ბძანებაია ზთისაო.
 ორშაბათ დილა გათენდა, სიზმარ მინახავ ცდისაო.
 არეულ ნისლებ მოვიდეს, ლემადეები ჰქრისაო.
 5 გადმოვიტანე ფანდური, ხანია ლექსის თქმისაო,
 საშიბის ძალებ ჩავუსხი, გული დავაკარ ხისაო,
 დაუკარ, ვგრე იყერა, მეგონა სპილენძისაო.
 კაფიაობას დავიწყებ, ვთვალავ, რომენიც მინდაო.

- უდროოდ რადა ღბნელდები, მთვარევ ხუთმეტი დღისაო?
 ჩამეღ ბურუკურთასა მამურალი შორის გზისაო!
 10 ზოგთა კი დანათებდი, ზოგთად ბნელი ხარ იქაო.
 მეუბნებიან: გაევიგი სიკვდილი ფალავნისაო;
 დაქცევა ბურუკურთასა ნადგომის გალავნისაო.
 ჩამოგიყრინე ჩარდახნი, ციხეო ბასრის ქვისაო.
 ბრალია მამუკაისად წელზე შამოქსნა კმლისაო,
 15 მკართით ჩამოქდა თოფისა, გილდისა არშავისაო!
 სანამდი იყო ცოცხალი, ჯავრი არ ჭამა მტრისაო.

- ცოლ-შვილს რას უზამ, ყაჩაღო? გაზაფხულ მოდის კენისაო.
ვინ გაუმართავს გუთანსა, ბრაღ ვის აქვ ობლებისაო?
შენს გულსა, იანვარშია გადამავალო მთისაო!
- 20 უკენ მოგდედეგს კეესურნი, რო ფარა შშაეღის ცხერისაო.
შაენის კორკზე წამოხვე, კვალ ვერ მოკელეს მგლისაო.
კეესურებმ არხოტს დაიწყეს ჭამაი საჭონღისაო.
შენ ფხიტუ გადაიარე, ლალო არწივო მთისაო.
ბაკურ-კეეს ჩაე სოფლადა, სტუმარო თავის დისაო.
- 25 კელ-ფექ გექნების მამზრალი, ტყავ ატანილი ჯღნისაო.
გაზაფხულისა(დ) მაგნების, დროიც მაშინა ცდისაო;
წახვიდი ძელიმ-ქარსთანა, მჭერელ გექნების მქრისაო.
გათქმულს ეგრეცა ამბობენ, ზურაბს რო ერისთვის შვილსაო.
ღამით იარე, მამუკავ, დანღობა ნუ გაქვ დღისაო!
- 30 გზას გაგართვემდა მთვარეი, ნადგომი გორის პირსაო.
ბალთას ჩამოხვალ სოფლადა, მეხი დაგეცა ცისაო.
გაგიტყდებოდა იღბალი, ეშმა ჩაგივღის მქრითაო.
სოფღის პირ წამოგეგება საღღათი კელშვიფისაო.
„ბიღეთ მაჩენე, კეესურო, თუ ნებაი გაქვ გზისაო.
- 35 თუ არ გექნების ბიღეთი, შენი სიცოცხლე ჭირსაო.
ნანღეღი მამუკაი ხარ, მამკლავი საღღათისაო,
ორისა აბეშიკისა, სტრაჟნიკის მურთაზისაო.
აჭმეი ჯავრი ბეერასა, ვითა შესწირე ვისაო.“
გულს დარდ ღეეცა მამუკას, მაგრე არ მოშღის ღმინსაო,
- 40 აღარ გაიყვანს ბიღეთი, არც იმეღი აქვ კმღისაო,
აქვის ბატარა ხანჯარი, ტარ უკრავს სპიღღოს ძეღისაო.
ღადღა და უთხრა ყაზახსა: „შენი კი არა მკიღავო,
არც მამიშენის მამკლავ ორ, არცა-რა შენის ძმისაო.
თუ არ მიჯერებ, არ მიშობ, ორ-სამ უნცროსიც მინღაო.“
- 45 აიკრა კელი ხანჯარზეღ, ფერი ღაიღვა მგღისაო,
უნადრიკს ჩამაუქნივა, ნათოს ჩამოღის მქრისაო;
სხვა[ს] წვერი გადაუბრუნა, აბეშიკს ქისტისშვილსაო;
კელ მოუწვღინა ნაწღევეთა, – სიმოკლე არ ერჩისაო.
მესამე დაჰკრა ყაზახსა, – „შენ ჩემსამც წყალსამ ზიღაო!“
- 50 მამაძაღღებმა რუსებმა მეტი არ მისცეს ცღისაო.
აყრიან არშავიანსა, ყინჩაღ აყოღებს ღმინსაო.
მეცხრე მანამღი არ დაჰკრეს, მაკლულ არა თქვეს რვისაო.
მანღ ღაგიგებენ ლოგინსა, ბალთასა, სოფღის პირსაო.

55 შიგ ჩაგაწვენენ, ყაჩაღო, კმელეთზე მტებო კმისაო;
ზე კოშკი აუგებავის, არ ჩამტვეველი წყლისაო.
ზე კარტი დაუკიდებაჲ, სახეა ყაჩაღისაო.
ცოლ-შვილს ნუ სჯავრობ, ყაჩაღო, ორ ლეკვ გასწირე მგლისაო.
ორივაც ღმერთმა გაზარდას! ჯავრი არ სჭამან მტრისაო.

—

60 სალექსო გამამიგზაენე ჭრელი ჭურჭელი ქვისაო,
გამომიყოლე სტაქანი სასხმელი არაყისაო,
შენდ რო დაელოცა, მამუკავ, ჯარი რო მესხედეს სმისაო.
უმოკეთეო არა ხარ, იყავ ძმობილი ძმისაო.
მოლექსეს თუ რას იკითხავ, ნათქვამი გულბათისაო.

226.

სუყველას კაი დროი აქვ, თებერვალია დამდგარი.
სულ ორ-ოროლნი დადიან, ველის ნადირებ რაც არი.
ხალხი ერთუცში ირევის, გამართული აქვ ბაზარი.
მეც ვიყავ ბაზრობაშია, შინ მევე ნაქალაქარი.

—

5 გროვლების საარხვატოდა ქვესურთ შვილების ლაშქარი.
ქვესურებს მამამაღლებსა უსომ ერთუცის ნაბანი.
მამუკას გამოსდგომივან, ბევრამ დალაქნა მთა-გზანი.
აიჩან, ოჟიაშვილო, კაცი აღარ გყავ ბადალი.
დაბადების დღეს გამოგყვა მქართ თოფი, კელში ხანჯარი.
10 მარტო უმთხილე რუსებსა, არცა გაგაბან კაჭარი.
თორ რუსებმ მამამაღლებმა ბევრს აურიეს ჟამ-კარი.
ბევრას კი გააწირიეს გულ-უწადინო წაწალი.

—

მე ბეჩავ შვილი გამავე, სულ აღარაში სათვალდი.
ხალხ დააზრებით მაშინებს, როგორც ტუსალებს ჯანდარი.
15 მელექსეს თუ რას იკითხავთ, კვირიწმიდაში ნათქვამი.

227.

წმიდა გიორგი გწყალობდას, სახე მაგისი ჯვარია!
მამუკამ ნახა სიზმარი, ზელიმ-ხანს უყვა თვალა.
ადგეს და გამაემართნეს, გაღმაიარნეს მთანია.

- არხოტის გადმოსავალში საწყინარ ეტყვის მქარია.
5 მამუკავ, ფრთხილა იარე, უკულმ ბრუნდების ქარია.
ბალთისკე გამეუმართა, დახვდა ყაზახის ჯარია.
მამუკას სთხოეს ბილეთი, ხკითხეს თავისი გვარია.
– „მე თუ ყაჩაღი გგონიორთ, სად მაქვის თოფი, კმალა?
თქვენც უნდა გენანებოდესთ შეწუნებული მგ ზავრია.“
10 ხანჯარს ამასწევს მამუკა, მგრა უჭერავ ტანია.
გახკრა, გაუსვა მამუკამ, დიდი დგას ცოდო-ბრალია.
ზალპით ესროლეს თოფები, დაიძრა მთა და ბარია.
მამუკამ ხკითხა მუკლებსა: „ახლა გაქცევის ხანია.“
გამაიქცევის თავ-ალმა, გეფხვმა დაშალა მწკალია.
15 რვა ტყვია მახვდა მამუკას, მამუკა ისევ კარია.
წამაიქცევის თავ-ქვია, სისხლი სდის როგორც წყალია.
დაადგა სვეტი ნათელი, სახელოვანი მკვდარია.

—

მე ვნახე, როცა ესროდეს, კელში მეჭირა ბარია;
უხრიაღლებდი კანავსა, კარგა წაეიდას წყალია.

228.

- შაქება კევსურიშვილსა მამუკას შახკლებისაო.
ვინის მამასახლისო, დედა გაგიწყრა ზთისაო!
შაზირწუნენ კევსურნი, ძალა გაქე კელმწიფისაო.
კევსურთ აღარ-ა გავედა ფარისაი და კმლისაო.
5 აღარ გაყენებს ტირილი ქალისაი და ზლისაო.
მიულავ აფიცრობაი მაგ შაბურაიშვილსაო.
„თუ ვერ მაიჭერთ ყაჩაღებს, თქენი სიცოცხლე ჭირსაო.“
მამუკა კელა არ მავა, კიამ არ დარჩას მთლისაო.
წამავა არხოტისკედა, ადგილი ნაპირისაო.
10 იქითაც მალე დაბრუნდა: „აქ ჩემ შანახვა ჭირსაო.“
ჩამაუჩინდა მდეგარსა ბლოს თავ, მა წვერის ძირსაო.
ვერ გადახენეს შიშითა. ვინ დაიჭერდა გმირსაო?
ქდის ღელე გადაიარა, ქდეს კვალ ჩავიდა მგლისაო.
კითხულობს გადასაკელსა, გადავლა სწადის მთისაო.
15 გადასვლა ურჯულოჩია, გაცნობა გძელიმ-ხნისაო.
ჩამაუჩინდა სიკვდილი გორგალას წვერის პირსაო.
„სად მიხოლ, ჩემო მამუკავ?“ მაუკოცნიდა პირსაო.

- „მადით წამე ჩემთანა, მსწავლე გექნები გზისაო.
 ბალთაჩი გიცდის მწერელი, გამოგზავნილი ხთისაო.“
- 20 ურადნიკ შაგულდიდა, ბილეთ მასთხოვა გზისაო.
 მამუკამ მალე უჩვენა ბაშფორთი დიდის ხნისაო.
 კარტიჭკა გადმაჩვენეს გათქმულის ყაჩაღისაო.
 მაშინ გულს ხკითხა ოშკაცმა: „ღლე გამითენდა ცდისაო.“
- 25 კელი დაიკრა ხანჯარსა, ფერი დაიდვა მგლისაო.
 ურადნიკს გადმაუქნივა, შიშით დაეცა ძირსაო.
 „ეგ გინდა, რუსის გაზდილო, დაწვე, დაჭამე მიწაო!
 უნცროსიმც ჩემი იქნები, სულეთ მამტანი წყლისაო!
 კელ-უკულმ გადმაგიქნიე, თუკლალ გიწვდინა ცრუესაო.“
- 30 დააწყვეტია ორადა აპელანტარი მკრისაო.
 გაიქცა დუდაროეი, ირემ ეგონა ტყისაო.
 დადგა ღორიეი დიღინი, შაშვიეი აღებს პირსაო.
 ჩოხელათ გუდამაყრელთა დედა გაუწყრა ხთისაო!
 გააგებიეს ყაზახთა ამბავი ყაჩაღისაო.
- 35 უამბე ღილღელის ჯალაფთა ნაცადი ოშკაცისაო.
 შვილ წყალობაჩი მიგევა, დამჭერი ყაჩაღისაო.
 მამუკა სისხლის ჯვარები, ნაჩუქარ კელმწიფისაო.
 მაშინ ისი თქვა მამუკამ: „მზე დამაბნელეს პირსაო.“
- 40 ზაღ მისცეს მამაძაღლებმა, მამუკა დასცეს ძირსაო.
 მამუკას კევსურიშვილსა კელი ეღირსა მტრისაო.
 მამუკას მგებრნი მოვიდეს მა თავის დედის ძმისაო.
 დაჯდა, უამბა ამბავი თავისი' ყაზახთ ცდისაო.
 სულეთა ჯარი ჩამოსხა მა თავის ნაკოცისაო.
 წინითი ჩხუტი მართვა, კელჩი თასები ხისაო.
-
- 45 მელექსეს თუ რას ხკითხულობთ, შვილი ორ კევსურისაო.
 კლდერი ვაყენებ თივათა, ჩდილი დათოვა მთისაო.

229.

- ყური დამიგდეთ, ბიჭებო, ამბავი გითხრათ მართალი:
 მამუკა ბურჯუკრელი განა მართლად-ა მამკვდარი?
 მის სახელს მუდამ ამაღლებს იმის ბალთაში ნაქნარი.
 ძველთაგან მადის ანდრეძი; „ბევრს ცოცხალსა სჯობ ზოგ მკვდარი.“
- 5 ომის დროს მაგრად ეჭირა მამუკას თავის ხანჯარი.

შორით მაუვას პასუხი, ზელიმ-ხნის შემონათვალი:
 „აქ მადი, მთისა არწივო, ვლაკათ დაღისტნის მთა-ბარი“
 სამგზავროდ დაემზადების, ამაფხავა ზანჯარი;
 10 საჩქაროდ გადაიარა მთა საქელისა მალალი;
 ჩავიდა კევის ჭალასა, შუადღეი ას დამცხარი.
 რა იცის კეესურიშვილმა, „გზაში მზირი მყავ ჩამსხდარი?“
 ჩოხელათ, გუდამაყრელთა, ღრისხევედას ღმერთი მალალი!
 შაატყობიეს ყაზახთა, გზაში ჩაუსხეს ლაშქარი.
 15 მამუკას წინ-წინ მისულსა გარმავლობა ჩაფარი,
 სიცილით უთხრა: „რუსებო, არ ამირივთ ფამ-კარი!“
 რო მინც აღარ გაუშვეს, დაშალა ვეფხვმა ძაგარი,
 გადაიყრივნა ნაბადნი, აქსენა ღმერთი მალალი,
 გამაერივა ყაზახთა, მაშევ უქსენა მამკვლარი.
 20 ქისტო, გიცხონდას გამზღელი! გული გდებივა ძაგარი:
 შენს მეტმ ვერავინ დასწონა, ზედ მიხვედ შორით გამხტარი.
 შენს გულის სიმამაცესა მქარს აღარ გჭურდა ღონ-კარი,
 კელ-უკულმ გარმაქნულმა დავიჭრნა უბის მასრანი,
 გულზეით ჩამანადენმა სისხლმ შავიღებნა კალთანი.
 25 ჯართ შუა კეესურიშვილი უთოფოი ას დამჩრალი,
 უჭურავ სისხლით გასვრილი თავის ბატარა ზანჯარი.
 თოფებს ისრევენ ყაზახნი, ერთუც ეძახან: „დახკარი!“
 კამანდრობს ჯარის უფროსი, მალალს ადგილზე შამდგარი.
 თოფ დახკრეს ბურჯურელსა, არწივს მასტეხეს ცალ მქარი.
 30 ვაშკაცის დაცემაზედა სრუ აინდგრივა მთა-ბარი,
 თერგმა დაიწყა ტირილი, ზღვის პირთ გაიღა ნაქნარი.
 მამუკავ, ღმერთმა გაცხონას! მთელი ხარ, განა მამკვლარი?
 ანდრეძად არ მადიოდა, თოფთან ომობდას ზანჯარი.

მელექსეს თუ ვინ იკითხავთ, ბესარიონის ნათქვამი.

230. ძმის სისხლის აღების მოლოდინში

ზენ-უბან დაჯავრებულან ჭირის პატრონი ყმანია.
 იონას არ სცილდებიან ძმის გარსიანის თვალნია,
 ტერღის წვერ უდგან ლოგინნი, რა გამავიდან მთანია.
 ცოტინას ზომიზურასა ჩაასწავლნიდით გზანია!
 5 ხანდიხან მარტუა ჩავა, ხან-ღ'-ხან ხყევბიან სხვანია.

231. აბა ბაკალაური

აბავ შენ ბაკალაურო, მალეო ცხენივითო,
დაგიფხაებავ ფრანგული თიბაში ცელივითო.

232. ფადიაური

სად იყავ, ფადიაურო? ნაბადზე ნამი გღებია.
– „მშავს ვიყავ, შური ვიძებნე, მაშვრალსა ღამძინებია.“

233. სამი მზე

ნეტავ თქვენ, ქურაზიშვილნო! სამი მზე მოვა თქვენზედა:
ერთ მოვას პურადობისა, შუქ დაგიღებინთ სკამზედა,
მეორე მამაცობისა, მტერ ვერ შავიდგათ ძალზედა,
მესამე თოფოსნობისა, ჯიკენ ვერ გაგივლენ მთაზედა.

ახალა

234.

ახალა მგელაის შვილი კაც დაიბადა რაფერი?
ღაბადების დღეს გამახყვა ოქროს პერანგი საცმელი.
არხოტში, არხოტიენებო, ქალ აურჩიეთ საფერი!
ცოლო, დაუცხვენ საგძალნი, ვაჟმ რო დალაქნას მთა-წვერნი!

235.

ახიელ არწივ გაზდილა შავარდენტ ნაბიჭვარია,
უწოვავ ქრისტის დედაი, არ თუ კორციელთ ქალია.
ახალას მგელაის შვილსა პირად უბძანებს ჯვარია.
უშიშრად ჩამაუვლავის იწრო არხოტის წყალია.

236.

კეესურებ, არხოტიენებსა ხალიზს რად ულევთ ცდისასა?
სათავეს რად არ დაისხამთ, კოშს რად არ აძლევთ რველისასა?
ახალა მგელაის შვილი სიზმარს ღნახვედა ცდისასა,

- 5 ცოლი დაუცხოვს საგძალთა, წავიდა ვაჟი მთისასა,
 ხამხას ჩავიდა სოფლადა, დისწულ რო დედი-ძმისასა,
 თოფსა შალრევედა ფეხონსა, ელვას ზკრავს კირიმისასა.
 ამანდით გამაბრუნდების, წამავა ვეფხვი მთისასა.
 აუტყდა მძიმე მღევარი, კვალს ვერ მახკელევენ მგლისასა.
 შინ მასულ ცხვარსა დახკლევდა, რივს იქამს პირი-ქსნისასა,
 10 მეზობლებს გააგებებებს, სულს კი აქსენებს მკედრისასა.

237. თორმეტის შურის მძებნელი

- ციხე ზენ-უბან დაიქცა, კუთხი გამასქდა ქვისაო:
 მამკვდარას ოჩიაური, მგელი მჭამელი ცხვრისაო.
 დათ ამბავ მაუეილოდა, ყინჩად იხევენ პირსაო.
 „თავი რად მახკალ, მინდია?“ სიათა ყინჩად ტირსაო,
 5 თორმეტის შურის მძებნელო, კელად მამყვანო ტყვისაო.“
 არწიველ-ქომოციხნლები გაიგძელევენ ძილსაო:
 „კიშაოს ჭალა დაგენებდა, ვინა-ლ მაგვისხამს შზირსაო?“

მინდია თეთრაულისძე 238.

წყალს გაქეითულთ ვაჟებსა საომრად აწევდიანო,
 მინდიას თეთრაულისძეს კელითაც არჩევდიანო.

239.

ვინ მახკალ თეთრაულისძე მინდია დანდობაზუდა?
 იმედავ წოწკურაულო, შენ შაგიგდებავ თავზუდა.
 რად უღალატე სტუმარსა, ნაჯდომსა თავის სკამზუდა?
 მაგის მაკვლა თუ გეწადა, სწორს რად არ შაზვდი გზაზუდა?

240. უთურგიანნი

ნეტავ თქვენ, უთურგიანნო! ყანა არ მაგიცდებისთა,
 მკერდიან-დუმაიანი წინ სუფრა დაგიხვდებისთა,
 ამღინარ-ჩამომღინარი წყემსი, მუშაი ძლებისა.

241. ხალიაისძე

ხალიაისძის სიკვდილსა ნუ იტყვით ლეკებსთანაო!
თუ გკითხანთ, აის უთხრიდით: „ქალაქ ას ბატონსთანაო.“
ბატონმ თუ გკითხასთ, უთხრიდით: „ომში ას სწორებსთანაო.“
სწორებმ თუ გკითხანთ, უთხრიდით: „სულეთ ას იაღთანაო.“

242. მიქელა

ხალიაისძეთ მიქელა ლეკთა შინ შასტანებივა,
ვერა გაუგავ ლეკებსა, ეშმაკად მაშჩვენებივა.
ხალიაისძეთ მიქელა ველარვინ დაიჭირაო,
ლეკნი გაწყვიტნა თავის კმლით, სულეთი წაიკლინაო.

243. თუშები სააქორაოდ

- თუშები საქორაოდა კიდუს თავ გროვდებიანო,
ელიან უშაკალასა, წინამძღვარს ღონდებიანო.
თავში სჭირს ლეკის ნაკმლევი, შუკლნი მით გვიანდიანო.
გაუძველ, ბექურიშვილო, ლურჯასა გიქებდიანო.
- 5 ცხენს შავდა ბექურიშვილი, შარანიც შახანდიანო.
აქორას კაცი გაგზავნეს, ლეკნ სიცილს ჩაწყდებიანო:
„ბევრი გვოქვ ტყვია-წამალი, ახლოს ვერ მადგებიანო.“
შუაღამის დროს თუშები აქორას დაეცნიანო,
ციხეს იმ აქორელთასა ლიბუთით გამაშლიანო,
- 10 წყემსებს იმ აქორელთებსა ჩარდახთით ჩამახყრიანო,
ვაც-ვერძსა აქორელთასა ბაკის კარს გაუქსნიანო.
ზოგებ ქავს გარეთ ომობენ, ზოგნ ქავში გარდადიანო;
ამანდით დაქცეულები ლეკნ ერთუცს არ უცდიანო:
„მაგკლიდით სამ-სამ, ოთხ-ოთხი.“ მკედარ თვალით ვერ ნახიანო.
შინ ცოლებს მათყუებენ; კარში სხვათ რას ეტყვიანო?
- 15 თუშებმ დახკარგეს მგელაი, ამხანიგნ იძვედიანო.
წინ ლეკი, უკენ მგელაი ირმებულ მაფრინდიანო.
„ადარ გაგიშობ ცოცხალსა, თუშები დამგმობდიანო.“

კმლისას გახკვირან გაჭრასა, ნაჭრევენ შაყარნა ქავზედა,
საკარგ-ყმოდ გამაბრუნეილი, ყოჩო, მაგიკვლევეს რქაზედა.

244. ლექები და თუშები

ლექებო, მკედარს ქვე რად სტირით? თუშებს მიგიდევსთ ვალია; ერთხან ვერ ვნახე გასული მე თქვენი მეკოპარია.
ბაგოს ძირ თუშიშვილებმა მთელ ლექებს შაგდვესთ ზარია,
ჩამაგერიენესთ კმლებითა, ჭალას ჩაყარეს მკედარია.

245. დანდობით გაწყვეტინება არხოტივნებისა

ხაძაის ხაბირიკაო, ყველა გრისხეველას ჯვარია!
დანდობით დაალევიენ არხოტ ნარჩენი ყმანია,
გააწყვეტიენ ოროლნი ქარჩაის შვილნი ძმანია,
მზირი შახყარე მზირზედა, დიდი დგას ცოდო-ბრალა.
დილისად, გათენებისად ხოშარდალოს ხყარე მკედარია.

246. კადუელები

ტუტეილის კიდურთ ნისლი დგას, არილს გაიგდებს მზისასა.
შიგ იდგეს კადუელები, ფერს დაიდებენ მგლისასა,
ელიან გათენებასა, დილა გამოსვლას ცხერისასა,
პურსა არ ჭამენ უკორცოდ, არჩევენ ვაც-ვერძისასა.

247. წითელათანა

წითელათანა გაივსა არხოტ ნაკოცით მკედრითაო.
ბარაქალ, არხოტივნებო! კელ-უკულმ დახკელენ კმლითაო.

248. ჯაბირი წყალზე

არხოტ მავიდა ამბავი: იყრების დაღისტანია,
აპირობს საარხვატოდა: „წავიღათ ქარავანია!“
გაიგეს არხოტივნებმა, მუქლებს შაუჯდა ქარია,
აისხეს იარაღები, ეეფხეთა დაშლენეს მწყალნია.
ცხრანი საკარეს წავიდეს, ვინც კაი მეომარია,
ხუთნი ზეთუკის წვერზედა, ამანდ შაუკრენეს გზანია,
ზოგნი ჩავიდეს ჭალასა, არამც გატეხან წყალია.
სრუ დაიჭირა მთა-ღელე, – არხოტივნების ჯარია.

- მაუკლენ ქისტიშვილები, იყო შუადღის ხანია.
 10 აბეჩავ, არხოტივენებო! ფერი დაიდევს მკრთალა.
 ცის ჩამატეხას შალგვანდა, რო ქუხლეს ბერდენკანია.
 წყალზე ჯაბირად ჩაიდვა ქისტის შვილების მკედარია.
 „ეგ გინდათ, ცხენის მჭამლებო, ჩადით, იქ მასვით წყალა!
 აქამდი არვის წაულავ არხვატით კარავანია.
 15 ეგ ღნახეთ თქვენის ჭკვისაი, ახლა ითრიეთ მკედარია!“
 დაბრუნდეს არხოტივენები, მტრისა არ ჭამეს ჯავრია,
 დაჯოცეს ქისტიშვილები, ჭალად ჩაყარეს მკედარია.

249. გუროვლები სამეკობროდ

- ამბავ გუროჩი რაია? რა წყრომა დადგა ხთისაო?
 ველობა გაუბედავის ულაკაურის შვილთაო.
 აპარეკაიცი გახყვების, მართვეი შავარდნისაო.
 5 წვრილი ჩამადის მასკვლავი, მთვარე შავს იცვამს პირსაო.
 ტერღი ჩამაუვლავის, ჯავრი სჭირს ბოსოზ მტრისაო.
 წყემსი ბოლოში ახვიეს, მანძილა დასცეს ტყისაო.
 დაბრუნდეს ნასახელარნი, კიდი ჩააგდეს მტკვრისაო.
 სიყმაწვილითა შამცდარან, მცურავ ბევრია წყლისაო.
 ომი გაუქდა სათოფრად, ბძანება იქნა ხთისაო.
 10 წინა მინდიას დაუკრეს, ხანი არ მისცეს ცდისაო.
 იღუა მითთა დაბრუნდა, ნღობა ყინჩია ძმისაო.
 იღუაისა ყელ-ჭრელსა პირისას კვამლი სდისაო.
 „მადელით!“ ქისტებს ეძახდა, ძმასზეით ისროდისაო.
 ეგ უფრო საკვირელია, ძმას საფარ ზქონდას ძმისაო!
 15 ღმერთო, რა დიდი ბრალია წყალჩი შაყრაი მკედრისაო!
 „შინ წიედ, აპარეკაო, წასვლა წესია მთლისაო,
 დედას უამბი ამბავი ჩვენის-ქისტების ცდისაო!“
 დედასა ვინ ახარებდა? ბებერ ხყავ, იქამს ლხინსაო.
 დათ თუ ვინ გააგებიებს, ნაჭაპნ დაიჭრან თმისაო.
 —
 20 ამა ქართულის მათქვამი კევსური არხვატ ზისაო.
 შაწუხებულსა მეწადა შამოხენება მთისაო.
 ლემადე გარდმოდიოდა, ამბავ გარმააქვ ცდისაო.
 გაივით, გამამიგზავნეთ ხანჯარ მა ღილღვლებისაო.
 არას გენუკვით ხანჯარსა, თავადაც შაკვლებისაო.

250. ყარაული შიბუს ჭალაში

ვინ ლბრუნავ შიბუს ჭალასა დილა ადრიან მწკალზედა?
ვინ ხეყები სიმაგრეებსა? მოყმეჲ, ვინ უელი თავზედა?
ვეფხვი ვინ მახკალ საკარეს, ვინ ჩახყევ სისხლის კვალზედა?
ტყავი ვეფხვისა ერეკლეს ვინ ჩაუტანე კარზედა?
იქნების ალუდაური, უდგან ლოგინნი მთაზედა;
იჭერს ღილღველთა, კევსურთა, ცუდს კაცს არ უშობს გზაზედა;
დღისით დგას ყარაულადა, ღამით ჯიკეთ უელის მთაზედა;
ვეფხვს მახკლავს, ტყავსა ჩაუტანს, ჩავას ერეკლის კარზედა.

5

251. ნისლაურისძე

ნისლაურისძე კირჩლაი კლდისა ვეფხვია მწკლიანი.
სიბერე ღომსა არ უშლის, ას მინც სახელიანი.
ბევრჯელ ჩავიდა ღილღოსა საომრად გულ-ჯავრიანი,
ბევრჯელ ისრივა კირიმი, მთა და ბარს ედგა გრიალი,
ბევრკან დააგდა ღილღველი დაჭრილი, პირ-სისხლიანი.

5

252. გაბურთ დაღევა

დაღევა გაბურთაი, ღმერთო, რა დიდი ბრალია!
გაიგეს მაკეთებმა, შორად გაიღნეს გზანია.

—

ისევ იზდების მგლის ლეკვი არწივთა ნაბუდვარშია.
დედა მკლავთ უპოხს მალ-მალე დილ-დილა თითბრის ჯამშია.
შვილი ხკითხვედა დედასა: „რაად ორთ გასაჭირშია?
ან მამ-ბიძაებ სად მყავის, მარტო რაად ვართ ხალხშია?“

5

253. შატილის დაწვა

იყრების დიდი ლაშქარი, ტყეს ფათელად გადასწვდებისა.
არაგვი შამაიარეს, მთას იქით გადაკდებისა;
ჩაწვა, ჩადაგა შატილი, ალ ზეცას ღმერთს მისწვდებისა;
გუროს სიმაგრეს მიუდგეს, ვაჟებ შიგ შაუდგებისა.
გამადის ბუჩასეული, მკვდარ კლდეზე გადიყრებისა.
ამანდით გამაბრუნებულ კევსურეთს ჩამადგებისა.

5

- კეკესურეთ დაწვა, დადაგა, ცოდო-ბრალ დიდი დეგებისა.
 კეოს დაბრუნდა ლაშქარი, ქობულოს გამაქლებისა.
 მამუკას კელ-მოკლეთასა ვეფხე საომრადა ქლებისა.
 10 აკუშოს ჩავა ლაშქარი, მღევარი ჩამახყვებისა.
 ქმალს ნუ სტეხ, მგელათ სუშბატავ, ნაცად არ გეკარგებისა.
 ბაბუა მგელაისშვილი ვეფხვი კანჭუბზე დეგებისა.
 კვირიკა ჭილჭაისძეი ბუღაი დაბრუნდებისა.
 ნუ ხკვდები, გორელაურო, – მარტო ხარ, არ გიკვდებისა.
 15 მამას ურჯეუკაისას შზე უდგას, უბნელდებისა,
 თორ დედა ბებერ ხყოლია, ცვილის სანთლები სდნებისა.
 დანი საბნელოდ ჩაუსხდეს, ფარავთით იხოშებისა.

254. მშაველ-კეკესურთ მიშველება თუშეთში

- ელოს ატირდეს დედანი: „მტერმ მარკედ შავგაშინნაო.
 შაყრილნი მშაველ-კეკესურნი ელოსამც შამოხვიენაო!
 დინინებს კეკესურთ შვილებსა ყაწიმებ დაუმდღვინაო!
 მშაველები ლევ-ლუგაები თოფებსა ჩამოხვიენაო!
 5 სამციხელების თოფებმა ელოს ჩდილ შამოხვიევილაო!
 ამ ჩვენებს მეთოფებსა ძილიმც ვინ დაგვიძინაო!
 პირი წყლით დააღბობია, თოფებიმც დაუგრილაო!“

ბლოველი მლოდინაი წამაბედებს თავსაო.
 ცხენ-თითოს გამოფრინდების, მეტა ოროლს სჭრის თავსაო.

255. ტყვეობიდან გამოქცეული

- შვიდს წელს ტყვე ვიყავ, დედაო, არ მილაკიან ქვიშანი.
 საკმისას ჩამოშობილნი შუქნი ვნახნიდი მზისანი.
 ბრმაი ვეგონე, კოჭლაი, კარჩი ვერ გამამავალი;
 გამამიყვანეს კარჩია, ქალ-ზალ ამოდგა მრავალი,
 5 პირდაპირ ჩამამიფინეს თვალ-მარგალიტის სრევალი.
 ვარჩიე მთავარ-მთავარი, ჯიბეს ვიყარე მრავალი.
 აიქაც გადაეფურინდი, საც რო არ იყვა სავალი.
 გამამაყოლეს მოყმეი ახალ-წვერ-მამამავალი.
 ვიდინეთ, ვერ დაბეწივა, მუქლი ჩემ ჯობდა მავალი.
 10 თან ისარ გამამაყოლა თბე-წვერილი, ჩქარა მავალი,

- სუკსა მკრა, გულსა მიწივა, მუკლი მამკვეთა მავალი.
გადავე ბურვილთ ძირჩია, აღარ-ა გადასავალი.
ე გზანიმც აყვავებთან ცხვრისანი, მემცხვარისანი!
წყალთ მაგათ გამამაკლინეს, კილნი დამისხნეს სხლისანი,
15 თორ მანდით გადავარდნილსა ქაჯნი ჩამოქემდეს წყლისანი.
ქაჯნი თუ ვერას მიზმოდეს, ვეშაპნი ზღვის პირისანი.

256. ხარხელაურნი

- არწიენო ხარხელაურნო, წინითგე მოზდით ცდაზედა:
გივმა გაღმართა მაჟარი, თეთრ გადაიცვა ტანზედა,
ნადირამ ქმალი გაღესა, შაიბა ლერწმის ტანზედა.
5 საქლაქოდ წამავლენავ ლეკების მუქარაზედა;
ქლაქი შამოვიდიან, ბატონს მიუღვეს გარზედა.
წყალობა უყო ბატონმა, ხალათ დააცო ტანზედა.
ქლაქის კილს რო გამოქდეს, სამტეროს შადგეს გზაზედა.
გივ ეტყვის ამხანიგებსა: „გულ ნუ გაქეთ დაქცევაზედა!
10 საჩქარომ მითხრა ლიშანმა, მტერ აგვიღვების გზაზედა.“
გადმოშალნეს ლეკები, ხალიზ-ნაჯმევი სხვაზედა;
ბელადი გამოსჭარბდების, საკლებ შეეკრა მქარზედა.
ნადირამ დაძრა ჩახმახი, ბელად დაყუდა თავზედა;
მეორეს გივმაც დაუკრა, ძმათ გაუქდ დასწრობაზედა.
გივს დაუმზადეთ საქსარი, შასთვალეთ სიბერეზედა.
15 შანდობა ნადირას უთხართ, საღც იყვნეთ ლენის სმაზედა!
წინა[ვა]ც ავად მეექცნეს ყმაწვილის დაჭერაზედა.

257. გუდანის ჯვარს

- კვირაეს გათენებადა დაღვა სიწმინდის დარია.
გარმოვიტანე ფანდური, მამწაღდა საუბარია;
ვერ დავაყენებ ენასა, რაის-რა შენათვალა;
იწროდ გავებანდე ქულჩაი, ფეკზე ჩავიცვი ჯღანია.
—
5 ქვე რა-ქელ შაწუხებულან ე ჩენი ჯვარის ყმანია?!
აღარც გვეძლევა ბეგარი, მტერმა შაგვიკრნა გზანია.
ემზადე, გუდანის ჯვარო, წელთ შამაირტყი ქმალაია,

- თავის საფერკე შახკაზმე, ოქროს დააკარ ნალია!
 გადაჯე თავის ლურჯასა, აიღი დელამფარია!
 10 პირიქით გადაიარე, არდოტ ჩაყარენ კმანია!
 ზოგთ ააჩინე ბნედაი, ზოგს წამასთხარე თვალაი!
 გამაუწყვიტენ ჯალაფნი, ცეცხლზე დაუსხი წყალია!
 დაბრუნდი ნასახელარი, დაიბარნიდი ყმანია!
 ბელლის კარ შაქუნდი! არ სწედების წვიმის ცვარია;
 15 შაყრილებს მაგანბურებსა შენ ხყვანდი კამანდარია!
 ქვე რა კარგია, ვაჟებო, ე მარტო საუბარია!
 მაშინ იქნება მონაი, ტყვიას მახქონდას ჩქამია,
 გამადიოდეს თოფები, ებას კირიმებს ალია,
 კა ვაჟ ღვედრებდეს ფრანგულსა, გაილის სისხლის წყალია.
- 20 მიაც ლიმანში გავხედავ ამაგის მოლექსარია;
 დავღვედრე ბატონთეული, კნიაზის ნაჩუქარია;
 არ შემოვაკლებ გილდებსა, – წელზე მასრების ჯარია.

258. ბატატი

გარდმოვიტანე ფანდური, ჩავათამაშე კელია.

-
- ქვესურეთს ბატატ გაითქვა, რო წინა დროში ლელია.
 სხვა არვინ გამიგონია ქალი ვაჟების მტერია.
 ახლა გამოჩნდა ბატატი, ბაჩლელ ლელაის ფერია.
 5 შაყარა თექვსმეტ ყაზახი, ეგ იმათ აფიცერია.
 „მითხომი უნდა გარდვიდა, წამოვიყვანო ცხენია, –
 სხვაკან არ მოიქელების ბატატის შესაფერია.
 ტახტის თავითი მიკიდავ აბჯარი ასასხმელია:
 ხანჯარი სპილოს-ტრიანი, თავი-ბოლომდე ჭრელია;
 10 ვინტოკა არშავიანი, წინა რეჟიმი, ძველია.“
 ერთ გვერდზე ნაგან შეიბა, სხვას გვერდზე მაუზერია.
 აიმას ამბობს ბატატი: „თოვლის გამრობას ველია, –
 ქისტეთში უნდა გარდვიდე, მითხოს ვადინა მტვერია.“
 დელაგატ გამოუგზავნეს: „ბატატო, დაგვექსენია!“
 15 ძირს ნულარ გაუნედლებდით! გაქმეს მტერობის ზენიო.“
 ბატატმ მისწერა წერილი: „აჩარო მაინც ჩემიო.“
 მითხოს დაადო ბეგარი, ცხრა გაუკვეთა წელიო.

259. ორბელნი

ადგეს, წაეიდეს ორბელნი, იმერეთ წყალსა გაკდესა.
იმას კი ვერავინ იტყვის: „არ იყვნეს, იმით წაკდესა.“

260. შალვა

შურის საძებრად შალვაი მთაზე ქორივით კიოდა;
გულს ეშჳვა თბე-თეთრ ისარი, ყიათა სისხლი სდიოდა.
„ვაი თქვენს შალვას, სწორებო! ვეცდებოლ, არ გადიოდა.“

261. მიქანი

სავსენ ხართ, ჩორთის დაზდილნო, მიქანო, მთვარესავითა:
ყელი და ყური გინათობთ ჭიქანურ-ქანვესავითა;
ყელ გიგავ ჭიქის ჭურჭელსა, – ლეინონიმც ჩადგებიანო!
შუბლი – ალგეთის მინდორსა, – ყანანიმც დაწვებიანო!

262. თურმან ფაფარენელი

თურმან ორ ფაფარენელი, კითხვა ვერ ვიცი გვარისა.
ქორკი დაეწვი და მალარო, უინვან ჯავრი მაქვ ორისა,
თიანეთ ჭავჭავაზისა, გაუმაძღარის ღორისა.

263. კილავის გადამღებელი

კილავის გადამღებელი ბურმა ხირსილა თქვიანო.
კილავის კმლისა ხრინკანი გუდან სახუცოს ზკრიანო.

264. წინას ვალზედ მიყოლა

პატარავ ჩენო სოფელო, ნადგომო გრანიცაზედა,
თავ-თავად გადათესულო, რო მშავლის ცხვარო მთაზედა!
როსა-რა დაგეცემიან? მადის მუქარა ძალზედა.
დაუბარებავ მითხოთა: „მაგყვებით წინას ვალზედა.“
აქ თუ მაგიდეს ქისტები, მკვდარ შაიდების მკვდარზედა.
ახლებო, მაიგონილით, ჯარეგას რა დღე გათენდა.

- ჩაკოცეს თუმი, მშაველი, მკვდარი შაყარეს მკვდარზედა.
 სამნ იყენეს ღედის ერთანი, დაჭრილს დათვივით დაქედესა.
 სამ-სამ წალალეს უმცროსი, თავადაც აიქ დაწვესა.
- 10 ჩინით რომენ ხარ კვირია? ციხემ რკინის კარ დატეხა.
 ბაბუათი გიგია, – მაგათ ბასრის კმალ შახსენესა.
 ჩვენ რო მაგვიკლეს იმედა, სრუ ლიქოკ ცანი დაგეცნესა.
 ის ხვარ გეგონათ, ძალლებო, მანგიასი შვილ დაბერდა?!
 ორი მთა გადაიარეს, მემრ იწროს ჭალას ჩახყვესა.
- 15 სალუქის თავზედ შამაკდეს. ამაში ქვე ძლივ გათენდა.
 შამამდინრებსა მგზავრებსა მეზი ცაშივით დასცესა.
 ერთი იმაში გაწირეს, მეორე ტოტზე დასცესა.
 გაიქცა თათარის შვილი, სისხლის კვალ მიზღვეს გზაზედა.
 „ნუ მიხვალ, ვირის ნაშენო, ნატყვიარი გჭირს ტანზედა.“
- 20 ბებერს კარივით აბრუნდეს, მემრ არწივივით დახტესა.
 იმედა წამაიყვანეს, ღელას დაუსვეს სკამზედა.
 ბებერმ რაი თქვა თოთიამ? ცოტაად თუკლად გათენდა?
 უცხონდეს ღელა-მამაი სულხანაურის გამზდელსა!
 მარტუა დაიარების, სხვათ არ მიღნატრის სახელსა.
- 25 ჩაივლის მითხოვ ჭალასა, მოკლედ ჩააჭრის საყელსა.
 მაუას ქისტის მოლაი ცხენს გადამჯდარი თავ-ქმელსა.
 ცხენზეთი გარმაიტანეს, მალედ მიწაზედ დასცესა.
 ეგ უფრო საკვირელია, კაც ორსავ შჭრიდას თავ-ქელსა!
 არცა რა საკვირელია, – სირცხვილ სუყველას აქნევსა.
- 30 კარგებ ხყავ ამხანიგები, არ ამბობს იმათ სახელსა.

–

სალექსოდ გენუეკებოდით თითოს პატრონას საკლელსა.
 ან ხანჯარ გამამიგზავნეთ, ქისტს რომ აღგლიჯეთ ტანზედა.

265. ბჭობა არხოტისა და ღილღოს შესარიგებლად

- დავედები, დავსაგონდები, ხანია ლექსის ბეჭდვისა.
 გავღმართე დავითთეული, წინა თუ გამიტყდებისა.
 კიდევ გამასთქვამს მერცხალი, როსაც რო დაითვრებისა.
 ნათქვამი იანვარჩია ნიაღვრ არ მასცდებისა.
- 5 ღილღველთა-ღ' არხოტიონთა ლექსებს ვინ ეუბნებისა!

–

- დღისთაოდ დაოს მაგლიგა, ყორნის სულ აღარ ძღებისა.
 სრუ კი ვერ ვაძღებთ ღიღღღღღებსა, ვითასაც მაშვიღებისა.
 შაყრიღას კაც-შუაკაცი, ი რო ტერღის კარს ვეჭყვიღთა.
 იმთვენა ღიღღღღღებ მასულა, ცახცახ გახჭონღა ყბებისა.
- 10 ორ-სამკან ცეცხლი დავაგზით, ცხერებიც დავკოცეთ, თხებისა.
 გიორგიობის ღამეი სრუ თეთრად გათენღებისა.
 მაეიღა ჭეგაიშვილი, ძალღივით იღერღებისა;
 ეგრე მაგრად კი ჩიოღა, კარი კარს ეჭვიღებისა.
 რჯულს კი სამ-სამ ცხვარ უთქვამის, მიმცემ ვინ იყო ერთისა?
- 15 „მე კი შავს თიკანს არ მივსცემ“, ზოგებ მკედართ იწირებისა.
 სისკარათ იონეური ქალღღღღში რასამ სწერღისა.
 ფიცხელა ნაროზაული წითელ გვეღივით შქენღისა.
 ამბობენ, ფარემაშვილი დეირბინით იცქირებისა.
 აქით თათარა მოვიღა, აიღსა ჯიბგირებითა.
- 20 კელში ბერღენკა უჭერავ, არ ვიცი, რა იქნებისა.
 იძიეს, ველარ მაკელეს, ფიჭვის ძირებჩი ძერებისა.
 გაქცეულს ველარ ვაბრუნებთ, იქისკელ იზიღებისა.
 აბჩავ არზოტივენებო, მაგარს პირზე კი ზღებითა!
 ჭღაღზე ქავი გაღმართეს, ქორიც ვერ გაფრინღებისა.
- 25 შიგ უსხავ მეთოფეები, ბერღენკაები ტყერებისა.
 თუ სამ მოვიღა ლაშქარი, მკედრებით კი აივსებისა.
 სისხლის წყალმ უნღო წაიღას კიღებიცა და გზებისა.
 მივსწერთ ჩენს კემწიფესა: თოფებიც გვინღა, კმღებიცა.
 გამაგრღით, არზოტივენებო! გატეხით რა იქნებისა?
- 30 ვინაც მაკღების, დავღმარხათ, სხვა კიღეუ გაჩინღებისა.
 კმა შორად გაგვივარღების, მტერი ქვე დამინღებისა.

266. არზოტივენებს

- ლექსობა უნღა დავიწყა, ქება-გინება ზოვისა.
 ზაფხუღის მასელას მაველით; გეითხრეს: „ჩვენ ლაშქარ მადისა.“
 ზოგ ცირცლოენისას წამავა, ზოგ კი ჭღაღზე მადისა;
 ბეერის მღღება ღგულღავის ზარბაზნისა და თოფისა.
- 5 ბეერა ვაჟ დამღღების, რა ქუხიღ იღღას თოფისა;
 ზოგს გაულღღვენ დეღებსა, ზოგს გაულღღვენ ცოღღ-შვიღსა;

ბევრს მკვებარს გამაქცევენ, ქალებ ტიროდან: „მარბისა.“
ნაპირის ადგილისათა გინება როდის ხკდებისა?

- 10 აბენავ არხოტიენებო, მტერს ხო თქვენ უდებთ ბორკილსა!
მტრის ნახვა ახალგაზრდათა კიდევ ურჩევავ კორწილსა;
თოფს დახკვრენ, გაიცინებენ, არა იციან ცოდვისა.
ვაშკაცის შინ მაკვდომასა სიკვდილ ომის კარ სჯობისა.
იტყვიან სიკვდილიდგესა: „სიმაგრე იყვა სოფლისა.“
15 აღარ ასტყდების მამკედარი, დამდეი დიდის ოფლისა;
მაკვლების, დაიკარგების; სიცოცხლეი აქვს ცოდვისა.

—
ამაგის მალექსებელი სალს კლდეში იგებს ლოგინსა.

267. სწორ-სწორად შაქება

- ერთსა მეც ვიტყვი სიტყვასა, ვიამბობ სხვა-და-სხვისასა:
შავაქებ ბაკურისძესა, სახელ-უზღებ ერისთვისასა.
გვერც უდგას არაბულისძე, ვენაცვლე გულსა ყმისასა!
5 გულ-ლომი, მუკლად ვეფხვია, დაელნებას ღვაგ ცისასა.
მანმადი მარიშაული ჰირს დაიბრუნებს მგლისასა.
ილიკო ოსის გაზდილი ზვავს ღვეანდა მალლის მთისასა.
ოთხთავ სწორ-სწორად შავაქებთ, მქართ სდგებართ ერთუცისასა.
ლექსაც ლიშნობრივ ვიამბობთ, — სკამს სხეხართ ნათლულისასა.
10 ლექში ყაჩაღებ გასწყვიტენ, ტოტით ათხრევი ქვიშასა;
ქმლითა ჩახკაფე ლექები, ჯავრს კი არ შჳამდი მტრისასა;
ცხენი მაგიკლეს ტიალი, სხვას ზიხარ უკეთისასა;
საჩქაროდ გადასჯდებოდე ნიშასა ნიაჳ-ქრისასა.
საც რო თვალს დახკრავ, მიგიყვანს, ქარს ღვეანდა მალლის მთისასა
უნდ იყავ დიენერალი, ძალა გიდებენ ლიშანსა.
15 ბარისაკოში სტრაჲენიკებ ხალხს აქუნებენ ვითასა!
წამოვლენ უკენ-ატოსკენ, ძალს აქსენებენ ხთვისასა;
დაეცნეს გიორგის შვილსა ურჯუკას შულამისასა.
მაბუკა გამაუარდა, კვალს შინჯვენ ყაჩაღისასა.
ილიკო ეუბნებოდა: „ა, დედას ჩვენის მტრისასა!“
20 მანმადი მარიშაული დაბლა ჩახვდავს მიწასა.
უჩინ დაგესწოთ დამეი, ვერ ხედავთ თოფის ლიშანსა.
აღექსი ბაკურისძესა (თუშის გაზდილი ვინ ასა)
ეუბნებოდა კირჩლაი: „ნეტა რაგორ ვქნათ დილასა?“

მელექსეს თუ რას იკითხავთ, კევსურიშვილი ვინ ასა.

268. რა უნდა ვაჟას?

ვაჟასა შენისთანასა განა თუ აგრე სმა უნდა?
დილას ადგომა ადრიან, გრილსა რკინასა სხმა უნდა;
აყუფდებოდას ქობაქი, სოფელს სიმირგვლივ ვლა უნდა;
სოფელს მაგიდას მოძალე, სხვათ ნამეტნავად ცლა უნდა.

269. რა უნდა იცოდეს ბეწიკუამაც კი?

ყმაწვილო ბეწიკუაო, დარბაისლობა იცია?
წინ ჩასვლა, უკვენ ამოსვლა, ჩაშველებია იცია?
დაგეჭრა სწორ-ამხანიგი, ჩასვლა-შაშველა იცია?

270. დაბარება ველს წასულს

ველს წახვალ, ბეწიკურაო. რა ვითხრა, რა დაგაბარო?
გეტყვი: ძილს ნუ დაენდობი, — ძილი ვაჟაკის მკვლელია.
გეტყვი: თოფს ნუ დაენდობი, ჩახმაზ ეშმაკის ცხენია.
გეტყვი: კმაღლს ნუ დაენდობი, — კმალი მშვიერა გეგლია:
სადღეოდ გულის მკეთეი, სახვალოდ ლიბუს მთხრელია;
გაგატანინებს მამულსა, გედვას კარის პირს მტყელია.
ნურცა-რას მკლავს დაენდობი, — მკლავი სხვისაიცი მტყელია;
ნურცა-რას მუკლს დაენდობი, — მჯობი ბევრისა ბევრია.

271. ალაზანს

ალაზნის წყალო, ტიალო, ველიანო და ტყიანო,
ბეერ ვაჟი გემუქარება, ბორბლით შავ-წყლამდე მტრიანო.
ვერაგინ შამოგწვდებოდა, ტყუილად გეშინიანო.

272. ახლები ომჩი

ჯარში წახვიდით, ახლებო, რომნის კმაღ უფრო ჭრისაო!
ომჩი ჩაიედეს ახლები, წკეპა ამაღის კმლისაო.
ლემადეს ამამდინარსა კენესა ამანყვა მტრისაო.

273. მეტობის ქნა

ვაჟე, რას მეთავდილები, რა მეტობაი გიქნია?
შენი ცხენი და აბჯარი ლაშქარს როს წავიტანია?
კაცი როს მახკალ ჭარელი? კელი როს მოგიტანია?
ქალი მოკვეთილებული ცოლად როს მოგიყვანია?
ქვესურთი დიდი ქებაი მეტად როს აგიტანია?

274. ზვაევი

გაგნის დაჰხვიენა გორზელა შენი ღრუბელნი ცამაო,
წვიმა დაწვიმეს ღრუბელთა, თოვლი დაღრივა ქარმაო.
თორმეტი თუში დალივა ერთის ფერდაის ზვაემაო.
ბევრმა ჩაბერტყა ქოჩორი ლამაზის ქალის ქმარმაო.
5 ნეტარ, რაი ქნა დიღომა უშიშაისძემ ქარმაო?!

გაფრინდა-ღ' ვერ გაეხვეწა, შორით მაუჭრა ზვაემაო.
„რად არ დაგვლიენა მტრის ძალმა, ან კაის ვაჟის კმალმაო?“
რად ჩამოგყვარნა ამანა — ერთ უდაბურმა მთამაო?“

10 თუშეთს ატირდა ქალები: „დაგვიგვიანდა ქმარები,
რა უყვათ ცხენ-ოქერებსა? ჩანაყეს ნალ-უსმარები.“
ზოგთა თქვეს: „ბოსელთ შავყარათ, გამაუჯარათ კარები.“
„მინდორს გაუშვათ“, — ზოგებმ თქვეს, — „იქ ცვითან ნალ-უსმარები.“
ზოგთ კიღევ: „უკულმ დავხკაზმათ, ზედ თავად შავსხდათ ქალები,
გადვიღეთ ქვესურეთშია, იქ ავირჩიოთ ქმარები.“

კაი ყმა

275.

კაი ყმა, მგელი, არწივი, — არც ერთ არ გაიწურთინება:
მგელი არ მაშლის მგლობასა, კაი ყმა მამაცობასა,
არწივი არწიობასა, მთის ყურეს ნადირობასა.

მგელი გაივლის მთაზედა, ნამ დაბერტყილი ღარჩება.
არწივი დაიხულება, მთით ბარად ჩამოვარდება,
დაიჭერს შუნის თიკანსა, ჯორცი ძვალადავ დაშჩება.

276.

მაში კარგია კაი ყმა, დილა რომ ბინდი დგებოდეს,
იცემდეს ჯაჭვის პერანგსა, „ომს ვიქაშ“, ემზადებოდეს,
ცხენი რომ ხრეველს ლაგამსა, წალმა-უკუღმა სტებოდეს.

277.

კას ყმას ნუ შურობთ, სოფლელნო, – კაი ყმა სოფლის ფასია,
კაის ყმის ცხენი, აბჯარი თავ-და-თავ ცულის ფასია.

278.

კარგს ყმას არ იპატიუებენ, – ჯარს არ აყენებს წარზედა.
იმას კი აღარ ფიქრობენ, მტერს დაგვიყენებს გარზედა.

279.

კაის ვაჟისა ცოლობა ნუ გიხარიან, ქალაო:
კაი ყმა მალედ მაკვდება, დამრჩები ცარიელაო.

ცუდი ყმა

280.

ცუდი ყმა მოხეს ვერ წავა, ნადირს ვერ მახკლავს კლდისასა,
რო მაკლას, ტყავსა ვერ გახკლის შუნ-ჯიკვსა ბოტობისასა;
რო მეუზიდას, ვერ მახგლეჯს სასულას ჯიკვ-მაზერისასა.

–

ზედ ფიცხი, ფეკში ყინული, ჯიკვებს ვერ ჩაეპარები.
შინ რად არ იჯე, ცუდაო? დედას უკეთე ტარები!

5

281.

შენ იქ ვერ წახოლ, ცუდაო, საცა ჯიკვ დავა რქიანი.
მოხეს, სისოურთ დანაღვეს, ყმა უნდა სახელიანი.

ყმა კაი და ცუდი

282.

ატირდა კაი ყმის ცოლი: „აღარ მამივა შინაო.“
იცინის ცუდაის ცოლი: „გამაიქცევა წინაო.“
გამაქცეულის მასელასა არ-მასელაი სჯობს შინაო.

283.

კას ყმას აჭმეი, დედაო, დილა ადრიან სადილი:
ან ემა რა შამაღვარდების, ან მთას გაუვას ნადირი.
ცუდას რად უნდა, დედაო, მზის დაცხომამდე სადილი?
არც რა ემა შამაღვარდების, არც მთას გაუოს ნადირი.

284.

კაი ყმა ლაშქარ მაკვლების სწორების მჯობინობასა;
ცუდაი საცხვრის ყურესა, ქალებში ლოგინობასა.

285.

კაი ყმა მაშინ გატყდების, რა ღვინო დამეირდებისა;
ცუდი ყმა მაშინ გატყდების, რა ომი დაქშირდებისა.

286.

კაი ყმა ემალსა ჩახედავს: „ნეტარ, გამიჭრის, თუ არა?“
ცუდაი ქალის უბესა: „ნეტარ, შამიხვევს, თუ არა?“

ვაშკაცი

287.

ვაშკაცსა გული რკინისა, აბჯარი უნდა ხისაო,
თვალნი ქორებულ მხედავნი, გულ-მკერდი შავარდნისაო.

288.

ვაშკაცს რას გამოადგების სოფელთ შვენება ტანისა,
ბანებზე მიდგომ-მოდგომა, გამჩვენება ქალისა?
კმალს უნდა აჭრეენებდეს, იმედი ხქონდეს მკლავისა.

289.

რა ტურფანი ხართ, ვაშკაცნო! ფერს ვერ შავიცვლისთ ზამთარი.
ამაშინ გამაგაწვევით, გავიდას კეცსურთ ლაშქარი;
ცხენთა საფერქელ გიკაზმენთ. რა ტურფა გქდებისთ აბჯარი!

290.

ოშკაცნო, შშეილდნო რქისანო, გოზა-წითელნო, ფალთონო,
არც მაშინ შაშინდებითა, ომში რო შახოლთ მარტონო?

291.

დაიგრუზება არწივი, მთით ბარად ჩამავარდება.
მზას უნდა იყოს ოუკაცი, კმა რამე შამალვარდება.

თქვენისთანა

292.

ქალ ბევრი დაიფიცებდა: „ჩემის ძმებისა შზემაო!“
გაზარდას თქვენისთანაი კეცსურის ქალის რბემაო!

293.

არ ვიც, მამათით გამახოლთ, არ ვიც, მაგიღნათ ქარმაო.
უნდა გაზარდას თქვენფერი დეღამ კეცსურის ქალმაო!

294.

ყვაესა რად უნდა ჩაჩქანი, ან ყიჭალასა ფარია?
ვაჟასა თქვენისთანასა წელზე ნაბამი კმალთა?

295.

ნეტარ, ბუნაის პატრონსა წამალ რად დასჭირდებო?
სულაურის ფრანგულსა ჯანი რას დასჭირდებო?
ან თქვენს ფერს მამაცს მოყმეს ომი რას დასცილდებო?!

296. მამაცი ყმა

ვინა თქვა მთავრის ქორისად: „ბაკალი, გეზელიაო?“
მამაცის ყმისად ვინა თქვა: „მამცდარა, რეგვენიაო?“

297. ტანად და გულად

დაგკვლია, ალვის ხეს ღვეიხარ, – თვალნი არ ამოგწვდებიან;
საომრად ცისა მებს ღვეიხარ – სწორნი ვერ დაგედრებიან.

298. ერთგულსა და ორგულს

ნეტავინ თქვენსა დედასა, თქვენ დაუზღიხართ შეილადა!
არ გინდათ პირის მბანა, არც წარბის წერა წერილადა.
ეყოფა თქვენსა ერთგულსა თქვენი სურვილი ღზინადა.
აფრევ თქვენსა ორგულსა თქვენი სიცოცხლე ჭირადა.

299. ქალი და ვაჟი

ქალი არ ვარგა ქურდ-ბოზვი, ვაჟი სოფელ-კართ მჭეხარი:
რახან გაჭირდას, დადგების, როგორც უღელში მჭლე კარი.

300. ომის კარ დამჭეხნებელი

ომის კარ დამჭეხნებელსა არ დაიცილებს სწორები.
სოფელში ტკბილსა გემოსა გულ-მქურველად ტირის ქალები.

301. ჯაჭვი

ჯაჭვმა თქვა სამანქანურმა: „ქაჯებმ ამასხეს თითითა.
მიყიდოს აიმ ვაჟამა, ვინც ზიდვა შასძლას კისრითა;

მემრე წამილას ჭალასა, აიქ გამხეხას ქვიშითა;
 მემრე ჩამიცვას ტანზედა, თუ ზიღვა შსიძლას კისრითა!
 მე კმალნი რას დამაკლებენ? ვერც შუბნ გამხეთქენ შიშითა.
 ნუ ეშინიან ჩემს პატრონს! ფოლადისა ვარ, იმითა.
 ვერ დავენდობი ტყვიასა, – შორით წამოვა ლიზღვითა.“

302. მშვილდოსანთ

ლომნო, ვერ დაგლევეთ სიმშილი, ათას შორს სძოვდენ ირმები.
 თქვენთ თქვენი მშვილდი დაგარჩენსთ, თქვენი ისართა პირები.
 ნეტავი, ვისიცა რა ხართ! ნეტავი, ვის ეპირებით?!

303. ვის რა ალაღებს?

ქვესურო, კმალი გალაღებს, მშაველო – ენა გძელიო,
 გუღამაყრელო – მაჟარი, ტყვია გამასღის ცხელიო.

304. ომში უკრძალაენი

ქორის ერისთვის დისწულნო, ლაშქრულად კახეთს ჩახვალთა.
 მაგით უყვარხართ ბატონსა, ომს უკრძალავად შახვალთა.

305. კმალი

კმალო ქვესურეთ ნადებო, აღვანში თუშმა გაგფერა,
 გაკურთხა ნეფე ერეკლებ, საომრად ჯვარი დაგწერა.

306. მოკლე კმალი და მდაბალი ვაშკაცი

კმალსა სიმოკლე არ უშლის, – ფეკი წადგი და წაგძების;
 ვაშკაცსა სიმდაბლაე, – ომის კარ მაღლა დაღების.

307. შატილიონი და კმალი

კმალს ეტყვის შატილიონი: „ამლის პირდაპირ ველთა.
 სადაც ვინ შამაგვეყრების, სუყველა ჩვენი მტერია.“

308. ნიკოს კმალი

აბეჩან, ნიკოს წვრილაო! გაელდა, ხვეიხარ ცასაო.
მაგიტ მასწონხარ პატრონსა, მალ-მალ გილესავს ფხასაო;
შევიბომს უქმის თავადა დაბალს ჩიხაის ტანსაო.
სამგზავრობა მგულავის, რა გაოთავებ კენსაო.

309. ახალგაზდას

მამწონხარ, შენმა გაზდამა! მუკლნი არ წამექცევიან.
ზოგნი რო გჯობდან სწორები, ზოგნი იქავ დაგექცევიან.

310. ბეწინიკას

ყმაწვილო ბეწინიკაო, რას თვალნი გიჭრელოიან?
ქელი მიგიდის კმალზედა. რას ჯარნი გიტრელოიან?

311. ბუჩა

დარჩი ოქრადა, ბუჩაო! რა ას, ეგეთი რა ტყვრება?
თითო რო გამბუარდების, სამი-ოთხ-ოთხი აკლდება!

312. რა მამწონს?

კმა მამწონს თქვენის თოფისა, – იცის გველივით წივილი;
თქვენი მთათ შამავლილობა, ქორებულ შამაკივილი.

313. ლურჯაის ნატოტარები

გეტყობა, არხოტის მთაო, ლურჯაის ნატოტარები.
დაუწვიმავის ლურბელთა, დამდგარა ნაგუბარები.

314. დიდი იმედი

თქვენ, ჩვენნო დიდნო იმედნო: კოშენო, ნაგებნო კირითა,
წყარონო უკვდავებისნო, გამოზდით ოქროს მილითა,

ზეკას ნახვეწნო ისარნო, ქალაქ ნაღებნო ინითა,
კაბანო ხავერდისანო, შვიდკან საყრელნო ღილითა!

315. ობოლი ველად

ობოლსა სწყევენ ყორნები: „ნუმც გამასულხარ ველადა!
სანამ შენ გამოხვიდოდი, კორცი გვჩებოდა ძველადა.“

316. სამაისტლო ვაჟები

სამაისტლოებს ვაჟებსა ბაკნით ასმიეთ ლუდია!
განთ იქაც ქალებებია, გადაიმრუდან ქუდია?
იქ არის ქისტის შვილები, თოფით იციან შულღია.

317. შაპატივება

ქალო, ქმარს შაუპატივე, ემა ლაშქროვისა ვარდების.
გძელია მაისტის თავი, ცუდა გყავ, დაგივარდების.
სწორებ დაუწყებს გმობასა, შენ გული გაგიავდების.

318. ოროლთ გამდარებელი

ვაჟი ბევრია, ვაჟებო, ერთ ერთის გამდარებელი;
ვაჟ კი იშვიათ გამოვა ერთ ოროლთ გამდარებელი.

319. ნატვრა თუშის ქალისა

თუშის ქალმა თქო: „წაუვალ ბასრის კმლის ამამღებელსა,
შორად საგძლისა წამღებსა, სახელის შინა მამღებსა.
ბეკურთ ჩაკურას წაუვალ, არას დავლმადლებ თავსაო;
ღილ-ღილად ჩამამიჩენდა ლეკის მარჯვენა მკლავსაო;
მამივას ნასახელარი, შავაყვარებდი თავსაო;
ლამაზად შამოვიხვევდი ნასახელარსა ქმარსაო.“

320. ლუდი, ძაღლი და ყმა

ეს ლუდი მათრობელი ჯობს, ძაღლი – ბაკებზე მყეფარი;
ყმა სოფელს სულ-ღებული ჯობს, ომის კარ – ძაღლა მჭეხარი.

321. ხუთთა მცემელი

მაშინ სად იყავ, ოჟაო, როსაც არ ვიყავ ქმრიანი?
ახლა სხვა მამწონებივა, შენს უკეთია კმიანი:
ხუთთა სცემს, ხუთთა უფარებს უჯაჭვო, პერანგიანი.
შენ ერთსაც ვერ დაუხვდები ჯაჭვიან-პერანგიანი.

322. შეუპოვარი

ჯავრო, არ მოგცემ ნებასა, გულო, არ დაგაშავებო,
მტერო, არ შეგეპუები, კმალო, შენ გაგაფხავებო.

2. Երկրաչափություն

ბესარიონს

323.

- ვენაცვლე, ბესარიონო, მაგ შენსა საუბარსაო!
როდის-რა გნახავ, არსენო, არაყით გადაძთერალსაო?
შენდ შანახულსა ბოთლასა მინც არ ვასმევ სხვათაო.
თავის სალოცავმ გიშეელას, გამაგიყვანას ზღვასაო!
- 5 დღე-ღა-ღღე მლოდინი მაქე, სრუ გამეხედავ გზასაო.
აგრილებულსა ჭიმლასა როს-რა მათელებ თვალსაო?
როს-რა დაზღვები, ვაშკაცო, თავის სწორების მქარსაო.
აისხა იარაღები მაგ ლერწამივით ტანსაო,
მამიხვიდოდა სტუმრადა, მლოდინ მქონდას ქალსაო?
- 10 შენ წასვლით, ბესარიონო, ბევრა ქალ გონობს სხვასაო.
ბევრ ქალ ჩამახყრის ცრემლებსა, ბევრ თვალთ იჭერს გზასაო,
ბევრ-ბევრას უღვას ბოთლაი შენს მლოდინზე ქალსაო,
ეთელებოდეს, არსენო, მალლა ქვიტკირის კარსაო,
დილა-სალამოს ტიროდეს, ძილი არ ხქონდა თვალსაო,
- 15 გონობდენ ნათქვამ-ნაქნარსა, მემრ იმ შენს ნაუბარსაო.
მე მგზავრად მივედ თქვენშია. გადაეკე ქალი მთასაო,
სერ-ფერ წასვლიყო ჭიმლასა, ჯვარსა და ჯვარის კარსაო.
მეც შავქე, ბესარიონო, შენის ქვიტკირის კარსაო,
წამავე საჩქაროზედა, ისრევ გარმაეკე მთასაო.
-
- 20 მაგის მეტს აღარ ვიამბობ, დავწერ, არსენო, ჯვარსაო;
როს-რა იქნების ის ღროი, სტუმრად რო მეჯღა სკამსაო?
ყანწს სევმა არაყიანსა, აღლეგძელებდა ქალსაო?
მშვიდობით, არხოტიონო, გედვას ხთიშვილი მქარსაო,
გამაგიყვანას მშვიდობით, ბესარიონო, ზღვასაო!

324.

გაძნელდა, ბესარიონო, თან-თან სურვილი შენია,
თან-თან ჩავიდა გულშია, გამამიცვალა ფერია.

- ლიშან თუ გელიშნებოდა, გამადიოდეს მშენია,
მოგყვანდა თამაშობითა შენი ფეკ-თუთრი ცხენია.
- 5 გზაში რო დაგხვდა ძმობილი, ბოთლა ეჭირა ჭრელია,
დალლიე სამდღეძემლოი და გაიქნიე კელია.
პირობა რაად გასტეხე? კაცო, რარიგად ხქენია?

325. ზოლიგათ თათარას

- მოგნატრი, გუროს ციხეო, ქვაო ნადებო ქვასაო,
მემრე შენ, გუროელაო, გაზდილო სასლის ტანსაო.
შამაქდეს მენადირენი, ვიყურებ თოფის კმასაო.
თუთრ-ჩოკა რაიმ გადაქდა, მასრან უცემენ თვალსაო.
- 5 უთხარით ჩემი ნათქვამი ზოლიგათ თათარასაო:
„დაგედვა ჭორი, საძრახნი, ნუ ჩამაიტან თავსაო.
ახალ ტალავარ ჩაიცვი, მაირთუ ჩაფრულასაო.
არა გი, ნუ გეშინიან, არ გადმოვქდები მთასაო.
არ წაგილაღავ შინითა გამახელაის ქალსაო!
- 10 კიდევ ვინ მისცემს ურბეთსა ჩემსა მამასა, ძმასაო.
კიდევაც წაუვიდოდი შენზე უკეთუსს ქმარსაო.

—

- ცხვარი მყავ შუა-გორასა ემაგის მალექსარსაო;
შავხელავ მყინვართ ბოლოსა დაკრიახულთა მთათაო.
ევვ ლექს გამოგიგზავნა მითხოთ პრიგაოს ქალმაო.
- 15 სათითუ გამამიგზავნე, შამიკდებოდა ქალსაო;
გიკეთებ კელისაკოცსა, მამა დაგიწერს ჯვარსაო.

326. კვირიკას

იმით მინდი, კვირიკაო, კარგი იყავ, იმითაო.
ვინაც ჩვენ საძრახ იამბას, გაძლას ჩვენი ჭირითაო!
მამკვლართამც მიეყულების შაკაზმულის ვირითაო!

327. ალექსის

- ამ ლიშნობით ვიამბე, სკამ დაგელივა ჩვენსაო.
გვერდი ვინ გვეჯდა გოგოი, ცრემლს რო აბნევედა ცხელსაო?
იტყვის: „მავსწირავ ყველასა, ქოოდ ავიტან კელსაო“.
- 5 როს დავინახავ თვალითა ნოეოი ქალაქელსაო,
ალექსი არზოტიონი ათამაშებდას ცხენსაო?

328. აბაისძეს

- „სად დახოლ, აბაისძეო, სად აურიანებ კმასაო?
მე შენი მკლევლა სურვილი, შენ მამიდაის ქალსაო.
ნუც შენ მაიფონ დიაცსა, არც მე წაუოლ ქმარსაო.
ჩამავლილს სადამ ამბობენ აბაისძესა მთვრალსაო.
5 მაუა მძიმე აედარი, დაურევს კორკოტასაო.“

329. ძილას

- არ დამცილდების, ძილაო, ქალო, ნაქნარი შენია.
თაოდ ჩაუწევ ძმობილსა. ბარაქალ, კარგა ხქენია!
იტყოდი იმას გულშია: „ეგ ქალა უკვე ბერია;
5 ქვე თუ მოსწყინდა წოლაი, აღბად აილა კელია.“
განა დაწოლა მეწადა? მეგონა ჩალა-მტვეურია.
ეშმაკად მეჩვენებოდა, ქალო, ძმობილი შენია.
გზის თავში ხმკიდი ყანასა, ვეტანა მამა შენია.
ერთხან მამგონდა გულშია შენ' საძახები სენია,
იქავავ თავი ვანიებ, გამავიქნიე კელია.

330. ეთერს

- მე რო მოგწერე წერილი, არ მიგიღავა, ეთერო,
მთვარეო ხუთმეტისაო, მაისის მზეო ნათულო?
რა უფერს გახყევ ქმარასა, ქალო, შენ კარგის საფერო!
სხვა კი ვიამბე ქებითა, ერთ სიტყვაი ვთქვი სასენო.
5 ვინ რა-რა მოგიკითხავს ქეთელაურის ნათქმელო?

331. თინას

მიგინებდიან ძმობილსა. ქალო, რაი ვქნა, თინაო?
შენ სხვათა შაგინებითა ძმობილ არ გაგიწირაო.
ცხენი ხყავ ნიაკქრის ფერი, ზედ მქედარი ზის სვილაო.

332. გაშორშორება

ქალი ორ ქოჩორ-ყვითული, კობტა ვიყენებ თმასაო,
მალლა შამავკე მთაზედა, მღაბლა ჩავხედავ ბარსაო.

- როს-რა გააბობ, ძმობილო, ქალების ნაუბარსაო?
მე და შენ გვაშორშორებენ, ეხვეწებიან ჯვარსაო.
5 ჩვენ თუ მავსწირავთ ერთუცსა, საღმერთოდ დახკვლენ კარსაო.
მე კი ნაფიც მაქვს ჯვარშია, მიმეტდებოდი ძმასაო,
თუნდ იყო უსინდისოი, ქალს არ ინდობდა, ზალსაო.
არ შამაწუხათ, ქალებო, არ გამაცილათ გზასაო!
10 ვინაძლივ, გამაწირვიოთ ძმობილ კევესურის ქალსაო.
რაი-ღ კქნა? ველარ დაეხკერავ პერანგის ნაჭრელასაო,
ველარ ჩავიცომ ტანზედა ორზე მამწაულს ტყავსაო.

333. ალიათ ხორას

- ქარიშხალმა და თოვამა მე მარკედ დამაღონაო;
მარკედ ორ შაწუხებული, მალ-მალ გწევ, ყალიონაო.
მალ-მალედ მომაგონდები, ქალო ალიათ ხორაო,
არ ღგეანდი ადამიანსა, შაკრულო ვარდის კონაო.
5 მე კი აღარა მწადიან, — ჩამამიარა დრომაო;
დაწოლა აღარ მწადიან, ძაღლის ლოგინზე ვგორაო;
თან-თან გაწვერილდა კისერი, სრუ დილა-წუხრი ვზომაო.

334. ლალე

- წორადა ორ სამსახურში იმერეთის მკარესაო,
პოსტის კარზე გამოვედი ამაღლების ღამესაო.
„ჩვენ ადგილებს ჩახენიდი!“ ვემუდარე მთვარესაო,
5 „ამბავ ჩამამიტანიდი! ვერ ღნახავა ლალესაო?“
სხვაიც ბევრი გამიგონავ, გაავამეტე ქალებსაო.
ყველას სწორა ასძრახდების, გინდა შაკდას სანესაო.
ზოგს კი აის ეგონების, ჩემთან მაოს ღამესაო.
ხასიათში არ მაუა, წავა სხვაკე მკარესაო.
10 ვაჟა თეთრა გაათენებს მალოდინის ღამესაო,
გათენდების, არ მაუვა, თვალთ იჭურს კარებსაო.
მეორე დღეს ატკაზ იცის, ეუბნება ნანესაო,
საღეს იცის, გადალესა, გარმალესა, ჩალესაო.

—
ამაგის მალექსებელი არაყს დავლევ მწარესაო,
სამღლეგძელოს მავიგონებ, ვადლეგძელებ ლალესაო.

335. ქაჯია და ქერქა

იმახე, ჩემო ფანდურო, როსაც აგიღებ კელშია.
ცულებ გავიგი ამბები. რა ძნელი გასაგებია!
მითხრეს: „ქაჯია, ქერქაი ორნივ ერთუცის მკრებია,
ბუნტოჩიკობა დაიწყეს, მიძრეს და მაძრეს ზღვებია.“
5 ნეტარ, რაით-რა ომობენ? მე ხო სრუ მიკვირს ეგია:
არ ებადების მახვილი ფირჩხილის მასაკვეთია.
ჩემო ძმობილო ქაჯიაე, კაცთ ენას რაად ზყვებია?
ადეგ და არხოტ წამაე, საჩუქრით აივსებია;
ერთ ღამე მთაზე ათენე, დილისად გამასცხვებია.
10 ვერავინ იტყვის აუგსა, კარგ ვიყავ სიაზღუშია.
არცა-რა ბერი ეხლა ორ, კიდევაც გამაეღვებია,
ძოლანდელ კვირას გადავდე ოცდამეხუთეს წელშია.
იაპონია ვერა მჯობ, მაგოდენ ვიცი ქერქია,
გაუღმართავ ცის მაშინასა, პაერზე გამაეხტებია,
15 მაშინ მტერ რასა-ღ დამაკლებს, მე რახა ვიყვა ზეთია?

336. ჩალხაის მარიემას

ჩემო ბებერო ფანდურო, შენ კი ნუ დამიბერდები!
დაბერდა შენი პატრონი, შენ კი აღარას ერგები.
ჩალხაის მარიემაო, შენც კარგა ქალა ღბერდები.
ბებრებს კევსურებს მაშორდი, ქალო, ნუ დაიკელთები!
5 ახლა მეც გამიძმობილდი, ახ რა კარგუა გექნები!
თვალ-ჭრელო, ქოჩორ-ყვითელო, ქალ-პატონებში ეთვლები.
გიგა ორ ბურღიაული, მეც გიანარლებს ვედრები:
მაგათ ჩემოდენ ვინ მისცა ოქროები და ვერცხლები?
10 კევსურობაზე რა მიჭირს? მტერს კი გულ-და-გულ ვეგლები.
თუნდა ძირს, თუნდა ზევითა, მე კი ჩემს საცდელს ვეცდები.

337. ოსმანს

აქა-ღ ჩამაჯე, ოსმანო, ღროება გავატარათა.
არ გვაკლავ ბოთლის არაყი, დაელოთ ჩქარა-ჩქარადა.
ვინც კა ქალი ხყავ ცუდასა, ქმარს ყველა გავაყარათა.
მანც ჩვენ გვეკითხვენ, ოსმანო, ჩვენც კარგად დავაკვალათა.

- 5 აილით თავი, ქალებოთ, ნუ ხკითხავთ დედა-მამასა.
ქვეყანამ გამაიღვიძა, აწ ძველ ღროება არ ასა,
არჩიეთ აისეთაი, ვინც რო მოგივათ თვალადა.
კაც ბუზვად ეჩვენებოდას, ალვის ხეს ლგვანდას ტანადა.

338. გაცინებულს

- სამგზავრობა გაეხედე, ავდეგ ადრიან დილაო.
კარისას გარმამავალსა გზაში დამიხვდა თინაო,
კელში ეჭირა გოგოსა არაყიანი მინაო.
დავლიე სამდღეძელლოი, ბიჭურო, სად-რა ღვერინაო?
5 სამრელოს კარში ვინ იდევ? ქალო, რამ გაგაცინაო?
შენ სხვათ ქვე რას გაუცინებ? ჯერ თავ არ დაგიხილაო.
ბევრჯელ გაწბილდა შენ' ელჩი, ბევრ-ბევრამ დაგიწუნაო;
ბევრჯელ დაღბრუნდი, ქალო, გულ-ჯავერიანი შინაო.

339. სათითე

- ბესარიონის ფანდურმა იცის ლამაზად ჟრიალი,
პატრონ ხყავ გორ-შელმიონი, გუნებით ლალატინი.
აბეჩავ არხოტიონო, დრო ბევრა გამაიარო.
ბიჭურის დაბარებული ბევრად არ დაავციანი.
5 სათითევ, შენ ხარ მოწამე შუ-და-შუ ნასევდინი.
ეგ რო ოსმანას უამბე, სიტყვა არა თქვა გზიანი.
ქვესურისაკე იჯავრა. რამ მაცდინა ჭკვიანი?
ბიჭურის სამდღეძელლოი ბოთლა ვსვით არაყიანი.
ვინც შენ გაატეხას, ბიჭურო, მოკედას ის გოდერძიანი!

340. საუკნიაზოდ

- ქალებს რაი აქვ გულშია, ნეტაინამც ქნა გაგება!
ქალი რო კაცთან დაწვების, საუკნიაზო შადგება.
კაცმ რო კელ გააჩაჩუნას, შაიშლებ-გადილაკება.
„ავდგები, — იტყვის, — შინ წაოლ“, ზოგს ნახვერობა მასდნება.
5 მაექეტ ტკბილის ენითა, თან-და-თან შენკე მოწვება.
რა გათენება მოვიდას, მაშინ ლოგინიც დატკბება;
ადგომა აღარ სწადიან, მკარს წამაიგდებს, ჩაწვება.

341. ვაშკაცის მუწყინარი

ფანდურო, რამ შამაგთვალა ძახილი მუწყინარი?
სუყელა საქმეს დამსწრალ ვარ, წყალიც დადგების მდინარი.
არაფერია ქალები, გამამალვიძეს მძინარი.

- 5 ქალა რო შინავ წალალას, ეგთა ვაშკაც კი ვინ არი?
ნეტარ, რაი ას, ვაჟებო, ვაშკაცის მუწყინარი?
თოფი და კმალი ვაშკაცსა, მაგას ყვარობდეს წინანი,
კელზე საფუქრებ ჩაიცვას, ფექზე დაიკრნას რკინანი.
გახედენ ცერებს, – გავიდეს ჯიკენი რქა-ჯანგებთანნი;
უკენ მისდევდას ვაშკაცი, ჯღანზე ფექ-წრიპიანნი.
- 10 ესროლას, ვერას გამსჩას, დაბრუნდას გულ-ჯავრიანი;
იფიქრას ბევრი ვაშკაცმა, შინ მოვა თვალ-ცრემლიანი.

342. ბევრის დროს გამამცველელი

ქალო, ნუ მიქებ ძმობილსა, – შენ' ძმობილ არაფერია.
მე ვიცნობ შენსა ძმობილსა, ბევრის დროს გამამცველელია:
სხვასთან იკეთებს სხვის გულსა, პირად მასული შენია.
ნეტარ, რას ჭკვაში მუდის, კაცო, გინება ჩემია?
5 რა გგულავ, სიავ-სიკეთე ადვილად გასაცველელია.
შენ ბეჯით არა გეგონას, დამთმო ვეღარა ჩემია.
შენზე სიკეთი მჯობინი, ეს ქვეყანაზე ბევრია.

343. სიზმარში სანახველი

ხუთშაბათ დაღამებადა ლოგინთ დაწოლას ველია.
გონთ მავე გაცინებული, ამადიოდეს მზენია.
შენი ჩვენს მასვლა, ძმობილო, ას რაკელ სანატრელია!
ვინ დაიჯერებს მასვლასა? სიზმარში სანახველია.
5 ერთხან მენახე მასული, თან მაგყვეს შუქნი, მზენია,
ქუდს მირგვლივ ესხა მასკვლავი თვალ-მარგალიტის ფერია,
კელში ეჭირა ოქროი ხუთმეტნიანი, ჭრელია.,
თან მახყვეს სამნი თავადნი, ჯვარ-მერდალ ესხა ჭრელია.
კელში დვირბინებ ეჭირა, მითხრეს: „მზე-მთვარეთ მთველენია.“

10 მაგის მეტს აღარ ვიამბობ, ლექსები გამოშვლია.
ქალისა ბევრი ლექსობა, ძმობილო, არაფერია.

344. ძმობილის გაწირვა

სამშაბათ გათენებადა თვალზე მდიოდა ცრემლიო.
გამაწირვიეს ძმობილი, მომაწერიეს კელიო;
გული ვერ გამომიცვალეს, ჯავრით იამბეს ბევრიო.
5 თქვენ' იყოს ბათირიშვილი! ძმობილ აღარ ას ჩემიო,
ახლა საშუდმოდ გაეწირე, უნდა ავილა კელიო.
აწიღვე შენთან დამწოლი იქნების შენი ფერიო!
გულად ჩაეიდა ნდომი, თან-თან ამკადა ფერიო.
ლიმან თუ გელიშნებოდა, რო გამავეიღეს მზენიო.
10 სოფლის თავ გადმავიარე, კელში შეჭირა ცხენიო,
შენ იღვე ჭერხოს კარშია, სიტყვა მიძახე სენიო.
აწიღვე აღარ მოგიკლეს, ბიჭო, ჯავრება ჩემიო!

345. პატარა ამბავი

პატარა ამბავს ვიამბობ, ჩონგურო საჟიჟინაო,
რაიც რო გითხრა, ისწავლე, შენც არა დაიცილაო!
უნდა ჩავიგდა გულადა ჩემი სალამო, დილაო.

მე ვიყავ ქაჯთა სოფელში, გუშინ გათავდა კვირაო.
5 ვუყურებ ქაჯის გოგოსა, სწორ-ფრობა გამიპირაო.
არცა გინება მწადიან, — ქაჯ იყო, მაბილბილაო.
მე იმას გამოვეპარე, ეჯავრა, გამაწბილაო.
მცხეთას შამავეკე ბანზედა, ვერვინ მაეკელე შინაო.
მარკედ ორ შაწუხებულნი, ხანდახან ამავშმინაო.
10 მქარ-გვერდზე შამავექადლე, დალალულს დამეძინაო.
გონთ მაველ გახარებულნი, სიზმრად მინახავს თინაო.
გარმავხენე და არ იყო, სიცოცხლე მამეწყინაო.
მაგასაც სხვისად უსმევევ ჩემთვი შანახულ მინაო.
ჯაბრობას თავი ვანებათ, ქალო, გონთ მოედ, თინაო!
15 თორემ ბევრი მყავს ნაცნობი, თუ გინდა გაიცინაო.
შენის გულისთვის გაეწირე ოცდათორმეტი ბინაო.

ლექს სხვაზედ გადავაქციოთ, ბან მამეც საუიენიანო.

- 20 გარმავიტანე ქალაღდი, დავწერე ანა-ბანაო.
გალმა სოფელში მაცვიეს, მასპინძელმ წამიყვანაო.
მეგულდიდების ქალები, – თინა იქ აღარ მტანაო.
ღმერთმა მასპინძელს უშველა! მალედ იქ მიიყვანაო.
მელიშნებოდა ქალაღდი, – შუქ დადგა საკვამთანაო.
მასკვლავმა თენებისამა პაპიროს მამიტანაო.
- 25 ჩემზე კევსურებ ჯავრობდეს: „აქ რასთან მითარაო?“
ზოგებ მითრევედეს: „დაწვეი!“ ქრთამ ვინამ გაიტანაო.
არ მეძინების, ქალებო, არ ვწვები, ღმერთის მამაო.
სრუ თერთად უნდა გათენდას, შინ წასვლა მგულავ ზვალაო.
ცის პირიც შამბულენდა, კარი გააღა ცამაო.
მიაც ძალიან დამათვრა შარაში ლუღის სმამაო,
- 30 გაყრამა უწადინოდა, ველარცა-რაის თქმამაო.
ახლა შენ იცი, ძმობილო, დუშმანთა' შენმა ჭკვამაო!

ეგ ლექსი გამოგიგზავნეთ მე და თანდურის კმამაო.

346. წილის გაყრა

დადინჯდი, კევსურის ქალო, თავ დაამძიმე თმინი!
ძმობილთან წილი გავყარათ: ან ორთავ გეყვანდას ზიარი,
ან საქცევ გამამიგზავნე, ან საყურ ზინზილიანი.

347. ძელიმზანას

- პარასკევ გათენებადა დილა ას ყინულიანი.
ჩემს ძმობილს გამაუგზავნავ, ლექსი უთქვამის კმინი.
ვალ უნდა გადავიკადა, მაგას რად უნდა გვიანი?
შტოლზე დავწერა ქალაღდი, კალამს გახჭონდას წყრიალი.
- 5 აბეჩა ძელიმზანაო, შავარდენი ხარ მკრიანი.
შულღშით გამაუეალო, სუ დახოლ გულ-ჯავრიანი.
წელზე გრტყავ ლეკის ნაჭელი, გამჭრელი სპილოს-ტრიანი,
ნალესი ზუმფარაზედა, სამსალასავით ფხინი,
ოქროს ვარაყით ნალები, შუ-ღა-შუ ნასევდიანი.

- 10 ცხენ უნდა გვეყვანდეს, ძმობილო, იორლა გულთი-მკრიანი, კა ზქონდას მართულობაი, შუ-და-შუ ნასეველიანი, ზედ იჯდა, ძელიმხანაო, კევსურასავი მტრიანი, ფეკები უზანგაშია, ტრახტებს გახქონდას ჭრიალი.

—

- 15 ამაგის მალექსებელი ძირად ორ გოდერძიანი, ზიარ სარგებლის გამსწორი, დუშმანთად ხამაზდიანი. ჩემ გულ დაიწყებს ცახცახსა, თუ სად შულდ იქნა, გრიალი. მინც იქისკენ გამწვედა, კაც რო ას ხთისშვილიანი. შულლს ავერ მამაწადინებს, მთვრალს რო მშაველისა ღრიალი.

348. სუყველაის გაწირული

- სამრელოს კარში ჩამაეჯდე, გამზრალი ორ, გაყინული, აღარც ჯალაბთ მამიგონეს დაცილებულ-გაწირული. ვაჟა რაიმ ჩამაჩინდა, ვით მასკელავი მაწილული. ვთქვი, რო მაგას გაუკეთა გაჭრელებულ-გასირბული.
- 5 შენი სხვასთან წოლა მწყინდა, აკი დავწვი ჩემი გული! მაშ, ისეთა ვისა უნდა, სუყველაის გაწირული? ეგეთი კარგაია, ნაღდ ჯვარშია შაწირული.

349. მოძულებულ ძმობილს

- წაილა წინ-ქადუს თავი კორკოტამა და ღვარმაო. სამრელო ჩამამიშალა ჩამამდინარმა წყალმაო. გაიგონე და გაიგი: აღარ მინდიხარ, არაო!
- 5 ძაღლი ხარ მეწისქვილეი, მავალი ღამი-ღამაო, ქურდ-ბოზე ხარ, უნამუსოი, კმასა ვტეხ, აღარ ვმაღაო. სოფელში ვინაც კაია, იმასამც აგაფარაო! თვალით რო ვეღარ გნახედი, ზედამც რა დაგაფარაო! დაგლივა ალაღებულმა ჩვენის ძირულმა წყალმაო! ქლაქის ბოლოს გაგიღა, ვეღარ გიტირას დამაო!
- 10 გიძივა თუმბა, სოფელმა, ვეღარ მაგკელა დამაო! პირიქითულავ ვაჟაო, შენ რაი-ღ დაგებარაო? გეკვეხნა ქლაებშია: „სათითე გამიცვალაო. არაყიანი მინაი ლოგინში მამიტანაო.“ რაკელ სათითეს გაგიცვლი, რა გზაში შაგყარაო!

350. როგორი უნდა ქალი?

ლექსობა მამაწადინა, მწარეს ვიბრუნებ ენასა.

სიუფრე რაად უწერავ ქალას დაბალას, სქელას?

სახლი აქვ გადარეული ძაღლ-ლორის ხალხის დენასა.

ნიაღვ აეგეთასა სრუ ცუდ-მარიელ თულავსა.

5 ქალ ქმარს არ უნდა სწუნობდას, თორე გაცდების წერასა.

ქალ ერთს ქმარს უნდა დაზჯერდას, ვერ გამასწვდების ყველასა.

ქალ ღამით სიარულჩია თავის ჭირ-ბოროტს კელავსა.

ამაშინ ვისა-ღ უძახებს, უფერმ რა გაიკელასა?

ქალ უნდა აისუთაი, ღამით შინ მაიკელასა.

10 რასაც ეტყვიან ჯალაფნი, სრუ ყველა დაიჯერასა.

—

ეგვ ლექს დაუბარებავ ლევუას, სვილის ფერასა.

ნამეტნავ არავისადა, — გეყურებოდასთ ყველასა!

351. როგორი უნდა ვაჟი?

რაკელ კარგი ხარ, ზაფხულო! როდის მოგვივა სთველიო?

ისით დრო როდის მოგვივა, ილასტებოდეს ქერიო,

ბარში ჩქამობდეს ნამგალი, მთაში ელობდეს ცელიო,

ემზადებოდეს მკედარი, ნალებს იკრავდეს ცხენიო?

5 ვაჟი ჩვენს სოფელს ბევრია, მკრით მფრინავ-შევარდენია.

ბევრია სხვა სოფელშიაც ბაგაზე დასაბმელია.

ვაჟ უნდა იყო ისეთი...

არ ამინებდას ხანჯარი, ფოლადის სათითენიო.

მთვრალად დაიწყებს კვეხნასა: „სახელ თუ ვერა ვქენიო.

10 უნდა წავიდე ღიღლოსა, ცხვარი მყავს მოსასხმელიო.“

მთვრალმა ბევრ იცის კვეხნაი, რო მოფხიზლდების, ძნელიო.

—

ამა ლექსისა მათქვამი ანგრილი, ხახის ფერიო.

აღარ წვებიან ქალები, სახელ თუ ვერა ვქენიო.

352. როგორ ვაჟს უნდა ქება?

ვერ გადავშჩი ლექსობასა, ქალებ — მირველივ დენასაო.

იმას გირჩევთ, ქალებო: მააკართი ენასაო!

- შინ დასხეთ ჭკვიანადა, თავის მამის კერასაო!
 თავის საქმე გააკეთეთ! ვერ გასწვდებით ყველასაო.
- 5 ძლივ მიეღოთ გაზაფხულსა, ჭაღებზე დენასაო.
 ძალად ფეკზედ დააყენებთ, ვისაც ღნახეთ ქერასაო.
 ქება აისეთას უნდა, ტანად ღვეანდას ჯერანსაო,
 ხალხნი დევერია ხქონდას, შულღი ღვეანდას ელვასაო.
 რო გაიგებთ, არ იწყინათ, ნუ დამიწყებთ ზვერვასაო,
 10 თორე კიდე გავჯავრდები, დავიცხადებთ ყველასაო.

353. სასაღდათოს

- დაბერებულხარ, წიწმატო, ელარ მაგასწვერ მხალსაო.
 მამწყინდი ყვავილიანი, აღარ მინდიხარ ქალსაო.
 საბოსლომ ჩამამაბერა, – ნიავ სცოდნია მთასაო.
- 5 მზეი საძელეს არ მადის, ჯუთავ, არ გავლებს თვალსაო.
 თუ მახვალ, გაგამპობილებ შეთეს, ი ჩემსა ძმასაო.
 ბევრა ქალ გამავაქედლე შენის ოთარის კარსაო.
 ყოფილხარ სასაღდათოი, ადა გენაცვლა ტანსაო!
 ქვე გასწირავა დიაცსა, ლამაზს ბერდიშვილთ ქალსაო?
 არ გაგიტევენ სოფელენი, გამავაქსნევენ ჯვარსაო.
- 10 მამა გყავ დავლათიანი, ქორას დაუკლავს კარსაო.
 მამწყინდი, აღარ მინდიხარ ჯუთას მებოსლეს ქალსაო.

354. საღდათში მიმავალს

- მაგიდის საღდათობაი, ოც დაეჯარა წელია,
 ჩაყარან მამამაღლებმა, კენჭ ამაგქონდას ჭრელია,
 ჩვენ ნაწალიკის კარზედა მალ-მალ იცვალა ფერია.
 გაგიღებდების ლურჯაი: ვინაღ გიჭმოს ქერია?
- 5 საურჯულოოს გათქმული ქისტისეული ცხენია.
 შენს დედას შაწუხებულსა აღარ შრებოდას ცრემლია.
 რას იქამს ჯარეგიონი, ემა არ სწვდებოდას შენია?
 დაგიბევრდებისთ დუშმანი, დაგიხვავდებისთ მტერია.
-
- 10 სამრელოს კარში ჩამავჯე ამაგ ლექსაის მთქმელია.
 მარკედ ორ შაწუხებული, აღარ შშრებოდა ცრემლია.

355. ქმრის დაწუნება

- ჩემდ რო უუბნავ სწორებსა (ვამ დედას ქალაისას!):
„გაკახპებასა აპირობს, დაწუნებასა ქმრისასა,
თავით ბედევდა წასვლასა დედა-მამისა, ძმისასა.“
5 თავით როგორ წაუვალის გაზდილსა ქალთა-მზისასა?
წაუალ გუდამაყრელსა, პატრონს ბეგრანის ცხვრისასა.
გამოგივზაენით სიძესა, გადმამეთორესა მთისასა.

356. წყემსობად

- ჯალათენ მლაღვენ წყემსობად, დავაღამებ დღევსაო.
ნეტარ, როს-რა დაღამდების? ამოვხედავ მზეესაო.
შინ რო ავედ, დედას ვხკითხე: „სტუმარ ვინ იყვ ჩვეენსაო?
5 ქვესურს რაიმ მივაფერე, მაიჭნევდა ქველსაო.“
გადავხენე, ჩინა სეჰმა სადღეგრძელოს ჩემსაო.
„მაღლობელ ორ“, მიაც უთხარ, ვერ გეგოვ სხვეებსაო.
„ბაჩას რად არ ათამამებ, რად არ აჭმევ ქველსაო?
რად არ გამუკვართავ ტუას, რად არ უშლი ქველსაო?
10 შენ გშურობენ სოფლელები, შენს არ ლევენ სეენსაო.
რახან მოკვდა, წამოხვიდი, გაგირევენ ცხვენსაო.
ჩემსა სანთულ-სამარხშივა სტუმრად მოხოლ ჩვეენსაო,
გარმოგაწვდიან ფანდურსა, მიეწვადე შეენტაო.
ჩხუბს გაგიკდის ქვესურები, მოგიმართავ ქველსაო.
15 რახან დასწვა ქალებსთანა, გადმოგამლი ბზეესაო.“
საიქო გავიცადე, – „ვეგია“, თქვეესაო.
ნეტარ, ვეღარ ვიცნობაე სანდაურსა ჩემსაო?
იქავ წოლას დაეიწყებდი, დაეხფიცებდი მზეესაო.
ბეგრი დუშმან გაულაღდა. „ვეგ უნდა!“ თქვეესაო.
ყველას მოუიდას ვგრე შენის გულის მღევსაო!

357. მწუხიარე ძმობილს

თუშია ჩემი ძმობილი, მეწინაე ხყავ ცხენია.
ამბობენ მწუხიარესა, ნაჭრეებისგან ჭრელია.
არ მახკვლდე, ქვესურიშვილო, – გაგილაღდების მტერია.
მახკვლები, დაიკარგები, არვინ მძებნული შენია.

- 5 ამბობენ სალდათობასა, აიქ წასვლა ხო ძნელია.
წავიდას, ვინღა დარჩება ამა ქვესურის ფერია?

358. საყვედური

- დამიძველდა ბუზიკანტი, არ მიმიღის ქართულიო.
ბევრა მაშინ დაობარე, როსაც იყო მართულიო.
ჩამოვჯედი ეზოშია კმელა გორით მასულიო.
ველარ ვნახე გამართული, დამეფარა ნაფთულიო.
- 5 როს-რა მოვა გაზაფხული? იმღერებდა დასტურიო.
თუ გვეულა წამოსვლაი, არაყ გელგა ნაწურიო.
ნეტა, სად-რა წავივიდა ე სთველი და ზაფხულიო?
სიკვილითად გამაპარულო, არ მაქვ შენზე კა გულიო.
უნ წავიდა თიანეთა, ქალ ოჟურად მართულიო;
- 10 უნ შავილა საჩივარი, გამამივა პრაკულიო.
შენ გეძახდა სოფლელები: „ქალაღლ შენზე მასულიო.“
აიქ დეაჭყრიებდი, ბორკილს ეღგა ჟღარუნიო.
წყალ იქ მიღის ალაზანი, მშავ-ქვესურეთს ნაწურიო.
ტუსაღების საჭმელადა, შენაც იცი, რაც პურიო.

359. დღე თუ ღამე?

ბევრია ამბობს ლექსებსა ცუდსა და წარა-მარასა,
ვერვინ გიამბობს, ფანდურო, მართალსა ჩემისთანასა.

- დღეი ჯობა, თუ ღამეი? ვაჟებო, გკითხავთ ამასა.
ბარემც კარგია ღამეი, სინათით დღეი ძალავსა,
5 მუშათად საშუაოდა, სარჩოს შინ მოსატანადა.
სუ ქვეყნის გამნათობელი დილა მზე შამოხფარავსა,
მააშრობს დილის ცვარ-ნამსა, მალლა მთას, დაბლა ჭალასა.
რა თუნების დრო მოვიდას, მწყერ ყანას ეტყვის ლალასა.
მაგრემ არ იყოს ღამეი, ეგიც ღმერთმ დაიფარასა!
- 10 ნაქარსა ქვეყანაზედა რამთუნ სიუფერეს მალავსა!
ნამეტნავ ქურდებისადა: ვერ დაიწყებდეს პარვასა.
დღისით ნიაღე ვინ იქამს საქმესა ეშმათანასა?
სამადლოს საქმეს რას იქამ ქალ-ვაშსთან ელჩისთანასა?

- 15 რა დადგას ღამის ღვიადი, მზე რა გორს შეეფარასა,
 რახან დაქშირდან მასკვლავნი, ბევრს უხარიან ქალასა.
 ძმობილისაკე ღამინობს. ძნელად რო ღეეშალასა.
 დაამზადებდა მინასა, ჯალაფთად მონაპარავსა.
 ვაჟ პურის ჭამას არ უცდის, გააბუმბულებს ჩაღასა,
 აქლების, ლოგინს გაიშლის, არ უცდის პურის ჭამასა.
- 20 ქალ მიდის ნელის ბიჯითა, არ ააჩქამებს ჩაღასა.
 ვაშკაც კი შვრინავს ტკბილადა, სძინავს, ატყუებს ქალასა.
 მივა და გამაღვიძებს, არას დაღლედა ხანასა.
 რა შულამის ღრო მავიდას, საუბარ გაიშალასა.
 ბოთლით დაღლევენ არაყსა, „გუნება შეგვიცვალასა.“
- 25 ყბა რო ყბას გამაეტოლას, მკერდი მკერდს ღეექალასა,
 გაქშირებენ კოცნასა, პირიღვან ნერწყვის პარვასა.
 აღრიდგეს ნაცნაური ხყავ, მღობას აღარას მალავსა.

—

ეგ ლექს დაუბარებავ კახეთი(თ) სალაშქანასა.

360. რა უნდა სიყვარულს?

- მე-ღ' შენ გვიყვარდა ერთურთი, გვატკობდა შაქარივითა.
 მა შენსა-ჩემსა შუაში ენან ღვან ჩაფარივითა.
 მაგას შენ ნურას გახყვები, გასცილდი თავს ქარივითა.
 სიყვარულს დამალვა უნდა მაპარულას ცხვარივითა:
 გამაჩინდეს, გლოვნა უნდა უკეთიას მკვდარივითა.
- 5

361. მთას-იქითელა ვაჟას

- მთას-იქითელა ვაჟაო, თავის ლოგინჩი გძინაო.
 შენ' ავალობა მიამბეს, ნეტავი მოგარჩინაო!
 შენთან დამიღვა ლოგინი, შენ მკლავზე დამაძინაო,
 შენებ ნაუბრებ სიტყვები აღარამ დამაცილაო!
- 5 ვითაიცი დაეწეუ, ვიგონე, გულს ცეცხლი გამიჩინაო.
 ქალი ვარ სამრელოჩია, აღარ მივდივარ შინაო,
 შენს მოლოდინზე დავმალე არაყიანი მინაო.
 თუ ეგ გაგვიგეს ბებრებმა, არ მიგვიტყვენ შინაო.

362. შენაც გარმადი

მთაზე გადმოდის ღურბელი, თოენასა გარმანყრიანა.
შენაც გარმადი, მაგელი, სხვები რო გარმადიანა?!

363. ძმობილის ამტერება

აის კი აღარ მეგონა, ღუშმან თუ გამაჩერებდა,
ჩემს ამარჩეულს ძმობილსა კაცთუნა ამამტერებდა.
ბანისას გადმაიარა, ქვას ქვიშასავით მტვერებდა.
გაუჯაერებაღ ღუშმანთა, სისხლი ღაჯიას ფერეკდა.

364. სიკეთე წყალში

დაგიკრავ, ჩემო ფანღურო, ახლებს ჩავიდებ ლარებსა,
ეხლად გიამბობ ლექსებსა თემებში დასაბარებსა.

—

- რამოდენ ანაბარი აქვ ვაჟკაცებსა და ქალებსა!
ერთმანეთს მიხყვ-მახყვებიან, ბნელს გაივლიან ღამესა.
5 მაგარ პირობა შაკარით, ერთმანეთ დააკვალეთა!
თუ მაიგონებთ სიკეთეს, ბოლოსაც გაიტანეთა.
სიკეთეს გაისწორიეთ, დახკველიეთ, ხალხო, მდარესა.
მემრ მიაც მაღლზე დავდგები, ზოგთ ვაძმობილებთ მთვარესა.
ზოგს ღოში მარილს გაურევ, დავახვრეტიებ მწარესა.
10 ზოგს კი არ უნდა პატიჟი, ლოგინს გასწირავს ცალესა.
არ მამწონს სიდიღურეი, ვერ ვხკლები წარე-მარესა.
ვირჩიე ღუშადის ქარი, ღრუბლიანს გაადარებსა.
არ გაიგია, კვესურო, ქვე რაკელ დავაბრალებსა?
ჯავრი(თ) ჯაყ დაგდევს, საწყალო, აღარც ქვე დაგინანესა.
15 შენი სიკეთე ნაქნარი სრუ წყალში გადაყარესა.

365. გადარყვნა

კვირაეს გათენებადა დაღბერნე, ქარო მთისაო!
დაგიკრავ, ბუზიკანტაო, წარა-მარაის ჭკვისაო,
კას ვაჟკაცივით მაგარო, შაყრილო ნიგვზის ხისაო,
ღლიანს ქალივით კოხტაო, სრულ ჭრელის ქაღალდისაო.

- 5 გადარყენაია მასული ქართველისა ქალაქისაო.
 ეს ხალხიც გადაირივა ბარისაი და მთისაო;
 სრუ გადარყენა ქალები, ალლო აილეს მგლისაო:
 ღამით დადიან მირგვლივა, ციცა რო თუბერვლისაო.
 ქალებმ მიუღით ბოთლაი, ვინაც-ა თქვენის ჭკეისაო,
 10 ვინაც გაგიგლეჯს ფარავსა, ადვილად გახქსნის ღილსაო.
 ვაშკაცას მეფარაგესა მიწაიმც ჩამაშლისაო!
 ცრემლი ნუ ეღირსებოდას ქალისაი და ზღისაო!
 კაც კი ნიაღე კაცია, – ბრალაა ქალებისაო!
 ვხედავ, რო გადიდებულხარ, ჯოყარო ყამირისაო.
 15 საჭიროს არა გეგონას კოხტა ყენება თმისაო,
 ზისცვრით კელ-პირის ბანაი, თუთრება თორ-პილისაო.
 ეკლესიაში, ქალებო, თავის წადინით სღითაო.
 გიხარისთ ჯეარის წერაი, დახურვა გვირგვინისაო.
 გიხარის აძრახებაი, გვერდი დაწვენა ქმრისაო.
 20 გაიკვირიდით ყველამა მზეზე სიარულ მკედრისაო.
 თავის თავისგან გახფუჭდი, რა ძალ გეტანა ხთისაო?
 წინავ ამბობდეს იმასა: „კარგა, არა სჭირსაო,“
 საყვავ-ძერაედ გაკდილო, ნაყვანო კაის ყმისაო,
 წამაგიყვანა შინითა, გავლივა ტირილითაო.

366. ჩემთან ჩემი, სხვასთან სხვისი

- გასაკრები არაყი მაინც გულისას მათქმევსა,
 მემრ ხალხის წარა-მარაი ქვე რაკე უფრა მაზნევსა!
 დაბევრებულან ღუმმანნი, კაცნ საჯავროზე დადგესა.
 ერთხან გაბედეს ღალატი, მაგრამ ვერ გააცხადესა.
 5 იქვე ფერობა მაუნდა, კვესურიშვილ რო ცადესა.
 კაის მენდობე ღგონავის, გული შინისკე აწევსა.
 საუღუმლოდა ქალაი ბოთლით არაყას ასმევსა.
 დღეს ერთად დააღამებენ, ღამითაც ერთად დაწევსა.
 ნეტაი გამაგებივა, რომელს-რა გამაარჩევსა?
 10 ჭკვაში კი არა მაუდის, ელჩში აღარას ათქმევსა.
 მე შენ' ველარა გავიგი, ვაი ამაგის დაძღესა!
 ქარს ღგვიხარ მადლის მთისასა, წყალს ღგვიხარ ჩამანადენსა.
 დღეს მახოლ ჩემთან, – ჩემი ხარ, ხვალ გულს სხვაკნისკე გავწევსა.

- 15 აღზავ, შე ქისტის გოგო! ძმობილი გამაგართვესა.
ნეტავ თქვენ იყენათ კარგადა, სიცოცხლეს მაგიმატებსა.
დაბადების დღეს გამავედ, ან ქება რაღას მარგებსა?
ზოგებ ზომ მინც მიცნობენ, ზოგებმ თუ ბრალი დამდეესა?!

367. მკვდარი ღობილი

- წამავედ მინდორშითა, მყვანდა ლურჯაი ცხენიო;
ნაღობის კარზე შამავქე, კართაზე მამჩეს თვალნიო.
ნადელობ გამამეგება, თვალ-ცრემლიანი არიო;
დაჯდა, დამიწყა კითხვაი: „როგორ გავიდა ცხვარიო?“
- 5 – „ცხვარან კი კარგა გავიდეს, ჩემ ნაღობ როგორ არიო?“
– „შენ ნაღობ როგორ იქნების? სამის კვირაის მკვდარიო.“
ჩამამეშილა კელ-მუქლი, დამედვა ოფლის ნამიო.
– „ეგიმც არ გეთქვა, ბებერო, ის გეთქვა: „სხვაკან არიო.“
იქვე მალოდინ მქონიყო, – მავა სადაცა-ღ არიო.“
- 10 დავბრუნდი დაღონებული, ცრემლი დავერცხენ გზანიო.
ნაღობს მავართვი გარმუნი, მანათ გავიდი სამიო.
„ვაიმე, გასაოკრებო, კელსაც მაგყრიან სხვანიო!“
ნადელობს სატყავკაბეი, თავზე სახური შალიო.
საგონის გონობაშია ჩამომლევიყვა ხანიო.
- 15 გავხენე, გადაშლილიყვა თორმეტ ბინაის ცხვარიო.
გაზაფხულზედამც დამლევედა ალაღებული წყალიო!
ან ზვავიმც ჩამამაგდებდა, რო დაღხევიან მთანიო!

368. მკვდარი ძმობილი

ქალებს ბედრიანაებსა ქეეც მავუა ძმობილია.
მე კი რაქე გადამიწყდა კევსურაის ლოდინია?
აღარც იცის დღეობაი, აღარც ღზინი, კორწილია,
არცა-ღ მაგონება მწადის, – უდგა მიწის ლოგინია.

369. უკულმ სირბილი

ჩავიკარ, ჩემო ფანდურო, ჩაგატანიე ჟიჟინი.
რაად იციან ქალებმა სამრელოს კარჩი სიცინი?
ძმობილისაკეც წამოვლენ, რახან მოვიდას ძილ-პირი.

- შინისკეს დაიქცევინ, რო შამაიძურის ცის-პირი.
 5 თოღმ თუ მასწვრა გზაშია, უკულმ იციან სირბილი.
 შინ დელა გაუჯაურდების: „არც სრუ იცია სირცხვილი?
 ჩამაგიშილა მიწამა! გადაგკეკია ცხვირ-პირი.“
 ქალ უფრი პირით ირიდებს, ტყუილად იცის ქვითინი:
 „ბანზეით ნაწოლ ჩამოკე, შინ მაშინებლეს გირწყვილნი.“
-
- 10 სუყველა მართალ ვიამბე, ტყუილს არ იტყვის ღიჩინი.

370. ნეტაინ გამაგებივა!

- აის მასკვლავა ჩემია, მართო რო დავა ცაზელა,
 ჩახედვენ არხოტონსა: საღ-რა წვეს, ვის-რა ბანზედა?
 ნეტაინ გამაგებივა, ქალა ვინ უწვეს მკლავზედა?
 არ უნდა ბევრი პატიჯი, მავლენ ერთ სიტყვის თქმაზედა.
 5 ლურჯას უძღებენ ქერითა, თივას აყრიან თავზედა.

371. მიბრუნებული

- მიბრუნებულს გავალექსებ, ორს კვირაეს ნადგომია;
 პატრონი ხყავ შავ-წვერაი, ბევრას ქალსთან ნაწოლია;
 სიბერემ დამიახლოვა, დამიხვავდა საგონია,
 ახლა სიშავე მაწუხებს, ეციც ჩემი საგონია.
 5 დასალუპაენ ჯალაფნი მყონ, — არ მამართვეს საპონია,
 რას-რა ბძანებას მაგვიტანს ჩვენ უჩიტელ საშოსონია.
 ქალაი ხყავ ბლალოჩინსა, სახელ ხქვიან ალონია.
 ახლა ბლალოჩინ ქალს მამცემს, გაეკლებ თემის ბატონია.

372. შუალამეთ მდინრებს

- იძახე, ჩემო ფანდურო, იცი ლამაზად ჟიჟინი,
 ჩავისხი თითბრის ლარები, ავასხი ოქროს ზინზილი.
 რა ალლოი აქვ ქალებსა სამრელოს კარში სიცილი!
 შავ შუალამეთ მდინრებო, არ იცით სახელ-სირცხვილი.
 5 შინისკე დაედინებით, რახა გაიძრას ცის-პირი,
 გაღვიძებსთ ფამ-უფამოთა ჩემის ლურჯაის კვიკვინი.

373. ქალი წყალზედ

ცივ წყარო გაღმავიარე, ქალი მჯდარიყო წყალზედა;
თავი მავსთხოვე, არ მამცა, შორს მამიწერა ქვაზედა:
„კარგას ვხყევივარ ვაჟკაცსა, კახეთ გავგზავნე ცხვარზედა,
ვერ უღალატებ იმასა, შავით არ დავეჯდე ძმაზედა!“

- 5 — „შენ თან წაგიყვან, ქალაო, გამაუღებეი კვალზედა,
მიაც იქ მიმავალი ორ, საც შენ დაგსომენ ჯარზედა.
მაშინა რა მეშველების, რო გიგორებდან მკლავზედა?
ვერ მაევიჭირებ ტირილსა, ქულს დაევიფარებ თვალზედა.
10 მავბრუნდებ, ისევ წამოვალ, მავეთხევე თავის ცხვარზედა,
შავათამაშებ ლურჯასა მაღალს ჭორმეშოს მთაზედა.“

374. დედის ერთას

ძმობილო დედის ერთაო, სად რა-რა ღბრუნავ ბანზედა?
ნეტავი წამოგიყვანა, შამოგავლია მთაზედა!
მოგგვარა ჩემი ამბავი, რო ნარეობა გაბედა!
მიწაიც არ დამაცილებს შენთა კბილთა და ბავეთა.
5 მაშინ რაღა ვქნა სულეთა, შენ თუ სამღერლად შასდევა?
ამაშინ მამიგონიდი, თუ სადმე ჯარზე გახვედა,
შანდობა მაინც უთხრიდი ყანწსა არაყით სავსესა!

375. მაშინ და ეეხლა

ყანაზე მადის ნათრაშნი, ქალების ქუჩას ნადენი.
თქვენ-ფერებ მათუშკეები გოროდში დადის რამთვენი!
მაშინ კარქ ვიყავ, ქალაო, როსაც არაყით მათვერი,
დამით რო მიყარაულე, ქალო, რო ანთი სანთელი.
5 ეეხლა გამიორგულდი, ძღრენ რათა სჭამე რამთვენი?

376. ჯობილობით

მთაჩი გავხედენ მთიბელთა, — იმათში არ ერეოდი.
შენითა ჯობილობითა ქმარადა მენატრებოდი.
სიტყვაი შენი ნათქომი სიტყვაჩი არ ერეოდის.

—

— შეილი ვარ არხოტიონი; ქალო, რად მაშაირებდი?

5 თუ უკვენ გამამიღვები, კარზე მაგივალ ღამითა.

– შენ თუ ჩემ საქმარეი ხარ, მალლა შიიბი კმალისა!
წამაველ საარხოტიენოდ, უკულმ გადმამყვას ჯვარიცა!

377. თეთრს ცხენოსანს

ჭალაზე რომენ შამასწნდი თეთრი ქორაის ცხენითა?
შამაკლინე ქავის კარს! ქალი გაგიძღებ ქერიითა.
ქერიითა, არა ქერიითა, მარგალიტითა ჭრელითა;
აგისხამ ბუა-ფაფარსა სამკაულითა ჩემითა.

5 ცოლად კი არ წამაგივალ, მამა დამისვა მუქლითა.

378. ტივლად

მე ვთქვიდი: „კარგი ქალი ვარ, არა ვარ საძრახიანი,“
შენგან დამეთქვა, ვაჟო. დღემც დაგიბნელა მზიანი!
სახლიმც დაგჩება ტივლადა მორთული, სარათიანი!
ჯოჯიმც დაგჩება ტივლადა, კარს გიბავ ნალ-უსმრიანი!
5 ცხვარიმც დაგჩება ტივლადა, მთას გიღვა თვირთვილიანი!
ცოლიმც წაგივა შინითა მტირალი, თვალ-ცრემლიანი!

379. კვეთილიანი ქალი ვაჟს

ცხენ აქის ჩამაველიე, თაქალთო-უნაგრიანი,
ზედ ქალი გადმაგიჯდები დარალა ყვითულ-თმიანი.
საცოლედ გამაგყვებოდი, არ ვიყვა კვეთილიანი.
კვეთილობასაც არ დავსდევ, გზა მეშორება ტიალი.
5 იქნება არც კი მიკადრო, შენ თავადი ხარ ჭკვიანი.
შენ თუ თავადი ბძანდები, მე ხო მამა მყავ ჯვრიანი?!
წავალის-ღ' აიქ დაჯდება, საცა გზა მისცემს მტრიანი,
ლექს მახკლავს, მასჭრის მარჯვენას, მოვალის სახელიანი.

380. სხვათა ენათა მიმყოლს

აის ქალა ვარ, ვაჟო, გუშინ რო შენ არ გინდოდი,
შენსა კარსა და საკვამსა ქარივით ვეცვითებოდი,
დაფანჯარაულ ეზოთა მუქლის-კვრით ვუბობდებოდი.

შენ თავს კი არ იბრუნებდი, ბატკანსავითა ხტებოდი, ხყვებოდი სხვათა ენათა, შინ ჯალაფთ არ ენდობოდი.

381. ცრემლები

ნისლი წავიდა ცისაკე, ნამი შაბერტყა ქარმაო, ჩამოაბნია ცრემლები მაწუნებულმა ქალმაო.

382. პირის უტეხლობა

ვაიმე, პირსა ვერ უტეხ დედა-მამასა, ძმასაო, თორ შინაც მოგივიდოდი, არას ვხკითხევედი სხვასაო.

383. გაფოთებული

დაებრუნდი გაფოთებული, შევღამე თავისა თავსაო: რად არ ჩავიცვამ ბეგთარსა, წელზე შავირტყამ კმალსაო? ავხკაფავ გველებურადა მე შენს შინ წამყვანს ქმარსაო. ესრე უცადათ ერთმანეთს, ერთუცის პირობასაო. დაგვითქმენ ჭორსა, საძრახსა. ნუ ჩამოვიტანთ თავსაო.

384. ცოლის წართმევა

მე აის ნუნუაი ორ, ცხენს ვზიორ თავის ნიშასა. გაებდე მითხოვლობაი, გზა დავისწავლე მთისასა. ლეგ-ლუგას ჩოქას ჩავიცომ, ლეგაის მითხოვლისასა. ქალო, საქმარეს მაგიკლავ, ნაგებსა ბასრის ქვისასა, ციხეს მარჯვენას მივაკრავ შენის უფროსის ძმისასა, ჩამოდიოდას ნაწვეთი, ლიბუს აღნობდას ქვისასა.

5

– ვაიმე, ჩემო ნუნუავ, სიტყვას რად იტყვი ბრიყვასა? შენ ცოლს ქვე სადით წაართომ ღარიბი კაცი მდიდარსა?

385. საყელო

მიდიან ჯორობაშია. გამიშვი, ჩემო მშობელო! სხვა კი სრუ ყველა წავიდა. შენც წადი წუთისოფელო!

- წინ-წინ რო დაეწეე ქალსთანა, მაშე დაეძიე საყელო.
შაიშალ-გადაილაკა: – „რა ხქენ, შე ვირის ნაშენო?
5 რად ჩამომართვი კაწრითა სირმაით შაკრულ საყელო?
გამიჯავრდების დედაი. ბნელაში როგორ გავკერო?
გამოვალა-და ვიძახებ, მთელს ქვეყანაზე მაგფენო.“
– „მაგას ნუ იტყვი, ქალაო, – ნემს-ნაჭურთ მია მოცეპო.“
10 ვუძახე ლაშარის ჯვარსა: „ჯვარო, ველარას მიშველო?“
– „თუნდა ფეკითაც მავიდას, მე არაი მაქე საშენო.“

386. ფარაგის ამბები

ეგ რა ვაჟკაცის წესია ქალის ფარაგის ამბები?
ზოგ-ზოგას ვაჟას ღვონია: „ემაგით წინ-წინ წავდგები.“
ის კი არ იცის საწყალმა: „ემაგით უფრო წავკლები.“

387. მოლოდინში

ორშაბათ დილა გათენდა, ბუქესა ზიდავს ქარიო.
სტუმრისა მაქე მოლოდინი, არ მავიდა მგზავრიო.
ჭურხოჩით მამედინა ამბის კითხვა, ჩქამიო.
ქელჩითა დავისრიე ნამტენაი-დ' ტარიო.

388. მეფარაგეს

- ვერ ამომიხოლ ენითა, ნუ ამეკიდე ქალასო!
ეირში ყანა მოგიკნავ, აღარსად დავიგვალავსო;
დასთესე დაუთესავი, აღარვინ დავიფარავსო.
ყველაი ამბობს მართალსა, არავინ დავიმალავსო.
5 შენ ზომ არ ინდობ ქალებსო, მერუყე ფურ თუ ყანასო.
სიმართლი ხკითხე, კევსურო, თაიასა და თალასო.
ამბობენ დაფოლებულსა შენს ნასწორფარალას ქალასო;
ქელ-და-ქელ უკსნი ფარაგსა, სწავლულ ხარ ანაბანასო;
შავიშინებაც ქალები, გამბობენ ხათაბალასო;
10 გვერდი ნაწოლებ ქალებსა წახკიდებ წარა-შარასო.
გინდა ძალიან გეწყინას, ხეს გავსთლი შენისთანასო.

389. ციფირად დაწერებული

ქალი ვარ შადღეებული, ტანჩი ვარ შაკერებული;
ვამკაცი კელა შამდგარი, თმა-ჩუბა-დაყენებული.
ქება რად გინდათ, ქალებო? პირზედ აქვ დაწერებული.
შამიქით აისეთაი, რო ღირდას საქსენებელი,

- 5 კაცთაგან ატეხილ იყვას, სწორ-ფერთან აღელებული.
მზესა ღვაგე ჩემი ძმობილი, დარს მავა დაშვენებული,
ქურდ-ბოზეთან წილი არ უძე, არც თავ აქვ გაფერებული.
ნაღღია გარმოწურული, ციფირად დაწერებული.

390. ღილის ქსნას დაჩვეულს

აიმა მთასა გახენე, – ნაქარ გადმოაქვ მთათო.
რას მეშარები, კევსურო? რაზე წამკიდე შარსაო?
შენ თუკლად დაჩვეული ხარ სწორ-ფერის ღილის ქსნასაო,
ქალების გამჭვენობას ენა გაგიგდავ ყბასაო!

- 5 მე შენისთანა კევსურსა არ ვეყრებოდი გზასაო.
გზის თავზე გადაგცილდები, მალლა ავიტან თავსაო,
ფეკზე ჩავიცვამ ჩუსტებსა, აღარ ვიკადრებ ჯღანსაო,
ჩავიცვამ დარაიასა, არ გადავხენებ შალსაო;
წაუვალ აისეთასა, წყლის კვალა სვემდას ჩასაო,
10 არ აკეთებდას საქმესა, იმსახურებდას სხვასაო;
ვერ შეეყრები გზაჩია, ცხვარივით მოგჭრის თავსაო.
წელზე აისხამს აბჯართა, თემლაკს შეიბამს კმალსაო.
აღარ ვიანბობ ლექსებსა, სრუ მაონებებ თავსაო,
გაგწირავ, კევსურის შვილო, შენ დაგანებებ სხვასაო.

391. ზრიალ-გრიალი

ორშაბათ გათენებდა ცრემლმა მაილა კრიალი.
გადმოვიტანე ფანდური, ლარამა გაილა ძგრიალი.
ანდრეზად არ მოდიოდა მაგოდენ ზრიალ-გრიალი,
ქალების მიდენ-მოდენა. ღამე არ არცხვნის ტიალი!
5 ვინ ვის გყავს გამარჩეული მერღლიანი და ჯვრიანი?
სითაც რას შეაქებ, ვისაც გულ უძე წყლიანი.
ქებაი იმას შახჯლების, ქორ-შავარდენ-ა მკრიანი,
სულ ყველას გამეტიებული, ქალ-ზალში ნამუსიანი.

10

ყველკან პირ გაუწბილვბავ, ამომავალი მზე არი,
თუ კიდევ სად რა გავიგონ, სიტყვა იყურან გზინანი. –
ეწ ღრუბლიანში ვიამბე, მაშინ იქნების მზინანი.

–

ამა სიტყვების მათქვამი აქიმის ქალი ჭკვიანი.

392. ელიზბარა

ბებერო ჩემო ფანდურო, საშიბის გიდებ ორლოლსა.
მე დაბერებას ვაპირებ, შენ მაიმატე ჭკვა-გონსა.
წყალს იქით ელიზბარასა, ჩემს ძმობილს, ვინ ჯობ გოგოსა?
არ კადრობს თათის ძველათა, ბანზე ჩუშტებით გოგავსა.
ყელ-ყური მთვარესავითა, თვალე მუუგავ კოკობსა,
ყველასთან არას დაწვების, ზოგ-ზოგიმც მანწონასა.

5

393. კერაჩი შატანება

ძმობილო, ძმობილის მზესა, სხვას ნუვის ეძმობილები!
შენსა მომკლავსა, ძმობილო, შეიღს წელს არ დავეზავები,
გზაჩი ჩაუდგამ საყუნასა, ირმულად ჩავეპარები.
თუ აიძანაც ვერ მაკლა, კერაჩი შავეტანები.

394. შაპირებული

ხუთმაბათ დაღამებადა ძმობილს ვარ შაპირებული.
არცაით წასაეალია, საქმეა გაჭირებული.
აღარცა მიშობს დედაი, ბერია გაფთხილებული.
დიდ-ხანი, არა ცყოფილვარ ძმობილთან დაძინებული.
ის არ გეგონას, ძმობილო, ნღობა აქე დაცილებული.

395. ურიგო წოლა

გარმოგიტანე, ფანდურო, დაგიკარ, მაძახურო.
როდის-რა მოხვალ, ზამთარო, ლექსებში გაგაქურო?
ვინ-რა გასწავლა, ქალაო? წოლაი არა გგულაო?
რად არ დასწვები რიგზედა? ქალო, რას გულ-აღმ ღბრუნავო?
რო შავხვდას დედის გაზდილი, ა მაშინ(ნ) რაღა გგულავო?
რა კარგ გყვანიყვა ძმობილი, ფარავ რო გარმაგხურო!

5

ქალის ზედ წოლა რად მინდა? საღამოს დავისურაო.
როდის-რა მოხვალ ჩვენშია, თემებში საფეკურაო?

396. გულზედ მოსული

მზე-ბუდობანი მწვიმელო, ზაფხულსაც მოემატებივ,
ქალი ვარ გულზედ მოსული, ენაჩი ნულამც ჩასდგები!
მთიბელ-მომკალჩი არ წავალ; თუ წავალ, აღარ დავდგები.
გზანი რომ შამხვდე, ძმობილო, აგძრაზღებ, აღარ დავდგები.
5 ჩვენში რომ მოხვალ სტუმრადა, შენთან კი აღარ დავწევი.
ვერ გახვალ შუღლის ბოლოსა, მეჯაბრეს ვერვის გასწვდები.

397. არქიელა

ხუთშაბათ გათენებადა ღრუბელ დაეცა მთათაო.
ჯალაფთ წყემსობად წამლალეს, ქათიბ ჩავიცვი ჭრელიო.
ქევსურეთისკენ გავხენე, თვალებს მომადგა ცრემლიო,
სადა ხარ, ჩემო ძმობილო, ღურჯა სად-რა გყავ შტერიო?
5 ოთალის კარზე თამაშობს, აჭმიე თივა-ქერიო.
მადიან, მაკითხულობენ: „არქიელ სად-ა ჩვენიო?“
ოთალჩი არქიელასა ეღვა ლოგინი ჭრელიო.
ნურას აგინებთ, ქალებო, – არ ას ძმობილი თქვენოო.
ეგეთებ ძმობილები გყავთ, რო დაამლული მგელიო.
10 ქალმა თქვას აეგეთამა, ქალ იყვას ქალთა ფერიო,
თუ არა, მელიას ღგვიხარ, შენ შეგინება ძნელიო.
საღდათა მოკითხული ვარ, კელიც კი მოწერილიო.
ზღვას კი არ გავალ, ძმობილო, არ გავალადა მტერიო.
არვინ უანბა ფეტვასა ე ლექსი ჩემ ნათქმელიო.
15 მე კი წამაეალ შორადა, დაო, იმედ მაქვ შენოო,
ძმობილებს არ გაულაღებ, ბევრ ქალებია მტერიო.

398. მუქარის დათხოვა

მტერს მოუვიდას ეგრეო, მე მომივიდა წელსაო!
ქალებმ მუქარა დამთხოვეს: „ნუ იარები ჩვენსაო!“
ღროებამ ჩამოიარა, ყველა გასწირავს ძველსაო.
თქვენაც გამწირეთ, ქალებო, ნუცრუ ნუ მიხვევთ კელსაო.

- 5 მე მაგით რას ვინაღვლიდი? ჯერ ბალახ იცვლის ფერსაო,
იქვე კი მოგიფანტავდით, ვაი ძმობილებს თქვენსაო!
ერთია თქვენი ძმობილი, აბა ვის მეტყვი სხვასაო?
კარჩი გამოსულ მენახა, ღგვანდა ჭანჭახის მყვარსაო.
დაანებიდით ერთურთსა, პირზე ნუ გახკდით ტყავსაო.
- 10 რო ვნახა ჩემი ძმობილი, შორით დაუცემს თვალსაო.

399. გროშად

- პარასკევ გათენებადა გარმონ მიჭირავს კელსაო.
ჩემის გარმონის ჟერაი მიდ-მოდლოდა თუქსაო.
ჩვენში მოსული სტუმარი არ დღიანდების ერთსაო.
ლოგინს კი არას დაუგებ, დავაწვენი ჩალა-მტვერსაო.
- 5 ზე შემოაყრიო ტყლაპ-ტყლუქსა ძმობილის მაგიერსაო.
თქვენ რო გყვანიასო ქალები, გროშად არ ვარგის ერთიო, –
მაგოდენ ტილებ ასხია, ყანას რო სთესავ თესლიო;
წიწიმოებში ჭახები, ზამთრის საჭონს რო ყელჩიო.

400. დასავით წამება

(კაცისა და ტყვე-ქალის გაბაასება)

- რა ხარ, რას დაიარები? გზა ხომ არ გაქე არეული?
– რა ვიც, რას დავიარები? ტყვე ვარ შორით წამოსული.
ამალამე შამინახე, თუ გწამს საქართველოს რჯული!
მითამ შენი და ყყოფილვარ, შენი დედა-მამის შვილი.
- 5 – მიაც კი დას მიგაფერე, მზე ყოფილხარ გორს მოსული.
თუ დასავით ვერ გიწამო, კმალიმც გამჭრის გალესული!
ჯოჯოხეთსამც ჩავარდება, რახან მოკვდას ჩემი სული!

401. ილო და სანათა

- ლუხუმათ სოფელ ქალაი, ქებული დედა-მამითა;
ქალ ღვაგ სამოთხის ყოვილსა, ნარწყავი უკვდავებითა.
ე ქვეყნით თქმული არა ას, ჩამასულია ზევითა,
მარიამ ხთიშობელსა ღვაგ, იცნობის იმის სერთა.
- 5 გველეთში ერთი ბიჭია, ნამყოფი ნეფის ქელადა;
იბარებს ლურბელატორი არზების დასაწერადა.

10 ღმერთს ვფიცავ, ეგი ძლივ იყო ღროების შასაფერადა, —
უკიდავ ერთმანეთზედა აბჯარი ასასხმელადა,
ცხენი ხყავ ოც-თუმნიანი, მზად იყო გასაფრენადა.
ხალხი მას ამბობს: „სანათს საქმარედ შეეფერება,
მაგის საკადრის ცხოვრება მაგას ძლივ შეეკლება.“

15 ილო ლუხუმში წავიდა, სანათს გეეჩვენება.
იცნა, გაიგა სანათამ, წავა და გეეთულება.
„აქ მოდი, — უთხრა პატრონმა, — სადილი მოვაზაგათა!“
ჩქარად უბძანა პოვრებსა. რაკი იკადრებს თავადა?!
პური რო ჭამეს, წაეიდეს პადრუჩკში სასერნავადა.
ილიამ უთხრა სანათს: „ჩვენ საქმე გაავათავათა.
უშუაკაცოდ ცოლ-ქმრობა ძვირად იწონის თავადა.
სანათო მშენიერო, შემეყვარდა შენი სახე.
20 ღმერთსა ვფიცავ, გავგიჟდები, თუ როდისმე ველარ გნახე.
ვაი ჩემის ცოდვის ბრალი, სხვამ თუ ვინმე დაგიგ მახე!“

25 შინ წავიდა ილიაი, იქი ელჩი მოაწვდინა.
მეორეს დღეზე მოხპარეს, ილოს მიხგვარიან შინა.
წამოფრინდა ილიაი, როგორ ტკბილა შამოსცინა!
ოქრა დადგა ხვეენა-კოცნა, სრუ დარდები დაიცილა.
დაალა შკაფის კარები, ბოთლად გადმოაჩინა,
წამოასხა სტაქანშია, წინ-წინ თავად დაიჭირა.
„გადღეემელას, მეუღლეო, მეუფემა ძალთა შინა!
ღმერთმ თუ აქ წამაგიყვანა, ნულარ წაგიყვანა შინა!“
30 ახლა მეორე დაასხა, მეუღლეს მისცა სტაქანი.
სანათს ენას რა მოსჭრის? დასალოცავა მზად არი.
„ჩემო პატრონო ილოვო, ღმერთი გწყალობდას მალალი!
შენი და ჩემი ცოლ-ქმრობა იყოს რა კარგა მამქდარი!
კევსურეთ ქმარი ვიძებე, ვერ ვნახე შენი ბადალი.
35 ა, ვაჟო, გული მქრა გქონდას, მოდის ჩვენ მამულთ ლაშქარი.
ა, ჩქარა ცხენი შახკაზმე, ტანზე აისხი აბჯარი!“

იფიჟრებიინდა ცისკარმა, ბინდი დგებოდა დილისა.
ლუხუმათ სოფელ კმა ისმის, — სანათს დედა სტირისა:
„ამტაფა დაკარგულისა ჭირიმე ჩემი შვილისა!

- 40 ჭრელებს თვალების ჭირიმე, იმის ლამაზის პირისა!“
 ლუხუშში ლუხუშ-სოფელენი მირგვალას გროვდებიანა,
 მათბინებიდან გასულნი პირისას ცეცხლსა ყრიანა.
 უნცროსებ იმას ელიან: „უფროსებ რას გვეტყვიანა.“
 ეგრ ერთ-სხვას აყოლილნია, რო ერთის დედის შვილები.
- 45 რო შაგეხენა, იტყოდი, გეგონებოდეს გმირები.
 „ხოყანა რაკლა მას გიზამსო, სიცოცხლე რასა ხქვიანა?“
 ადგეს და გამოემართნეს, უფროსნიც ეტყოდიანა.
 ერთი იმათა უფროსი ლაშქართ აკვალებს ჭკვაზედა.
 „ნურც თავს დაზოგავთ, ნურც მტერსა, მკლავი დაცადეთ ცდაზედა!
- 50 იარალ კერკით იკმარეთ, კმლებ არ მიგიტყდასთ ფარზედა!
 რალა მაგის თქმით? ვაშკაცთა გულჩი არ ეღარდებიან,
 ზოგთ უელის გულის წადინი, ერთმანეთს ეშუქებიან.
 ზოგებ ბუმბულის კმაზედა სიმღერეს ეუბნებიან.
 ქვანი და ხენი, ოყებო, საცქერნად ეშალებიან.
- 55 მზეიც იშორებს ღურბელსა, შუქნი მათ ეფინებიან.
 ოში შასულნი ვაშკაცნი რაკი არ მოღირდებიან?!
 ჯერე თქვეს: „კაი, ვაცადათ, რაც კევსურეთის წესია.“
 (ბოლო აკლია)

402. ქალის მოტაცება

- რაკელ შვილ გამაუვიდა ზეზე-უბანში მთვრალასა?!
- კას ერთსაც არ მაიგონებს, სრუ გონობს ხათაბალასა.
 იბევენ ბალიაურნი დილა ნათელას ქალასა;
 თეთრქალ ას დაღონებული, კვირობენ ცოდო-ბრალასა.
- 5 ჯავრობენ სახლის კაცები: „არ ხკითხა დელა-მამასა.“
 დელ-მამან დაჯაერებულან: „არ მეხმკით ზიარს ყანასა.“
 ერთმანეთს ეუბნებიან: „თავისად გავიყვანათა.“
 თავისად რაი-ღ გამიყონს? ეგ ღმერთმა დაიფარასა!
 წამაიტანეს საბელი, ზომენ ნეთხიროს ჭალასა,
- 10 თავის წილს მამკალნ დახვიენეს, ჩემს წირვენ მასამკალასა.
 ქვენ-უბნი გერგეტელაი ზენ-უბან შამამკლარასა,
 ვიცო, ამკიდებს მტრობასა, გამაწირვიებს შარასა.
 თათარათაი ბაბუა არ იტყვის წარა-შარასა.
 აბა რა საკვირელია, ერთმ რო მეც შამიბრალასა?

არ გიხედნებლით მაგასა, უთხარით ამირბარასა.

—

ავე ლექს ბარისაკოთა ყაჩაღებმ დავიბარათა.
იქნება იქავ მავიდათ, ღროებამ მაიტანასა.

403. ობოლივით ატირება

ქალებს ჭრელებ კაბები სცოვ ბუბულაით ნაყიდები,
ყელზე ვერცხლის შიბებ უსხავ, ბოლო-ბოლო საკინძები.
რახან გზაში შამყარნან, გამწყრალივით გავსცილდები;
რა გავსცილდა, გაღმავხენებ, ობოლივით ავტირდები.

404. საკინძი

ქალო, შენეულ საკინძი იკვლივში ჩამყვა თანაო;
ამავიტანე, ჩავხენე, კინალ დავიეც დანაო.

405. ბაბაღეს

ა ბეჩანა, ბაბაღეო, რამთვენ ბეჭდებ დაიჯარა!
შენი ღრო ზო კაცს აღარ აქვ, ღობილი გყავ მარიჯანა.
გუშინისა წინგართაზე შუა ბანზე გედგა ჯარა,
ერთ რო სიმღერეს იტყოდით, სხო იმას რო აიჯანა.
ჩემკე თვალს არ დაიცემენ, მაშ რა ვქნა, რო არ ვიჯავრა?

5

406. ჯინჭარაულთ ქალი

საჯორობოდ წამავედი ნანა ჯინჭარაულთ ქალი.
სანეს გორზე რო შამავექე, ბიჭებს ჩემზე ხქონდათ თვალი.
ჩავიხედენ ტალავართა: მიკლებოდეს თათნი, ჯღანნი.

ქალ-ვაჟის სიტყვა-პასუხი 407.

წინ-წინ გნახე, ვაჟკაცაო, მაჩე მეგონე საღარიო.
ვეთ გასხავ წვერ-ულვაში, როგორც ღორის ჯაგარიო.

—

ერთ მუკლად რო გამავეიქცა, დიდმის ბოლოს გავკარდები;
ქლო, შენთან არ დავწეები, ჯოჯოხეთს კი ჩავკარდები!

408.

კლდეზე რო წყალი გადმოდის, გადმახყრის სამსალიკასა.
მე სრუ არაად ჩავხედავ შენ-ფერას ჩანჩალიკასა.

—

ქლო, აწესა, მაწესა, მინდერად გახენე, — რა წევსა!
აისიმც ვაშკაც მაკვდების, რომენიც შენთან დავწევსა!

409. ფარაგ-ჩამოწვევტილი

წყალს იქით წვიმა მოვიდა, წყალს აქეთ — წვიმა წვევტილი.
ქალასა შენისთანასა ფარაგ აქე ჩამოწვევტილი.

410. თუ მინდა

თუ გინდა, ყველად გაგწურავ, თუ გინდა, გაგზელ ცომადა;
თუ მინდა, მანდილთ დავხურავ, წაგიყვან მამულთ ცოლადა.

411. კოტანი

მათურელ-ძირულნ წისქვილნი მარილის გულა შლიანო.
შიგა სხენ ქალნი ლამაზნი, ვაყების გულსა გლიანო.
ვაჟასა შენისთანასა ჩალადაც არ ჩახყრიანო,
დაუდემენ ძაღლის ბაგასა, შიგ კოტათ ჩაუყრიანო.

412. ბანზედ ტრიალება

ქსელთა ვქსოვ მამის ეზოთა, ზალტეთა ვაყრიალება.
ქმარსა წაუოლ მაქმედსა, ცუდასა ვავვიანება.
ვაჟასა შენისთანასა ბანზედა ვატრიალება.

413. ვინაც შენთან

ხეი მიწვება-მოწვება, შიგ შავი გველი ჩაწვება.
აის ქლაიმც მოკვდება, ვინაცა შენთან დავწვება!

414. ვირთ შაფერება

ზემო თაროს კოდნი მიდგან, ქვემო თაროს თასებო;
საძროხეში ვირნ მიბიან, მაგათ არ მეფერებო.

415. გოშია

დილას რო კარზედ გამოვედ, წისქვილის კარზედ გეძინა;
ძირს გეგა ნარი, ეკალი, ზედ ნაბდის თეკა გეხურა;
ვერდს გეწვა ძაღლის გოშია, ზედ კელი გადაგეხვია.

416. მაინც არ

ციხით ნარცხან გადმოვღვარენ, ძირში დარჩეს თორანო.
შენ კი მაინც არ მინდოდი, გინდა შავრჩეთ ორანო.

417. კასთან

წყალსა არ შავალ იორსა, თუ შავალ, თხელ-თხელ დავხყევი,
არ დავხკვლევ შენისთანასა; თუ დავწვა, კასთან დავწვები.

ვაჟის ნატვრა

418.

იაღბუზი და წელკუდი ორივამც ეკლით შენარა!
კარიმც შააბა რკინისა, კლიტე მე მამცა, შენ არა!

419.

ნეტავინ, კარგავ ქალაო, ყანები მოგვცა ზიარი!
შიგ სამარგელა მალრივა, ნაპირიმც მისცა ტყიანი!
მემრამც ვის აყურებივა ჩემი და შენი გრიალი!

420. გიორგის

გიორგი, ჩემო ძმობილო, ვაჟკაცო ილეთიანო,
იმით გშურობენ სწორები, ალბათ, რომ ყაჩად გქვიანო.

421. ქალების ნდობა

ქალებო, თქვენი ნდომითა მთას წაოლ, გავნიავლები;
არცა-რას მალე მაგივალთ, არცა-რას გაეგვიანდები.

422. სურვილს მოკვლევინებული

გავზენე, – წყალსა ჩახქონდა თეთრის მაჟალოს ნასეტყვი.
თუ სურვილს მამაკვლევინე, ქალო, დედა-ჩემს რას ეტყვი?

423. მეძროხე ქალს

მინდორში ჩამოგირევაჲ ქალო თვალ-კოკო, ძროხები.
აღვილად დაგეწყემსები, როცა კენა-თესვას მოვშჩები.
ავდარს არ გაგაწუწვინებ, ჩემს ნაბადს დაგიქოხებდი.

424. წყემსს

მთას მარაზული მოაკრა, წყემსო, ახყარე ცხვარია!
არ მოგწყინდაე მთას ყოფნა, არ მოგინდაე ბარია,
კარგას ქალასთან ჩაწოლა, იმასთან საუბარია?

425. ლამაზს

ნუმც მამიკვლები, ლამაზო, ნუმც გამიკვლები ავადა!
შენ თუ მამიკვედ, ლამაზო, თავს კი მავიკლავ თავადა.

426. სიცილ-ხახანი

გორის პირზედ გავიგონე ქალთა სიცილ-ხახანია.
ბებრებს რად არ მაშორდებით? ქვე გაკლაეთა ახალია?!

427. ქოჩორეები

ქალის გულისად, ვაჟაო, ეძმობილე მდარესა, –
მაგისხამს ქოჩორეებსა, არ გამაგიშვებს ცალესა.

428. ყვითელ-თმიანს

ჩამოვიარე, ჯიჯუეთო, ველიანო და ტყიანო.

სად-რა ხარ, ჩემო მშობილო, თვალ-ჭრელო, ყვითელ-თმიანო?

429. აიმას

აიმა მთასა გადვილი, აიმა უთოვლოსაო;

აიმა ვაჟას წაუოლ, აიმა უცოლოსაო.

430. დასტური

ძალიან გაძლება უნდა დასტურად დაყენებულსა:

ამ ჩემ ზუს ველარ ვაყენებ, ამ ხთისგან შაჩვენებულსა!

არც აბედნებს ქალ-ზალსა, არც ღრიდებს დაბერებულსა.

პირამდე წამლით სავსეა, დააჩენს დამთელებულსა.

431. სამაგიერო

მეცხვარის ცოლი ჩიოდა: „ქო არ მქონია დავლათი, –

ქმარი თრიალეთს წამსვლია, ქო ჩაუვლავის ქალაქი,

უვლავის კახპებჩია, უძღვევავ თითო მანათი.

თუ კი მაგაზე იქნების, ახლა ჩემ ნახას დალატი!

5 მეც იმას მ...ბ, ვინაც კელ იცის ჯარათი.

მალი-მალ დავიპატიჯა, მალ-მალ გაუდნა კარაქი.“

432. ჩახურვა

ფაცხვერსა ბაკინცაურსა ნიავ მაუდის საპურე.

ჩავხენე ფაცხვერის ქალსა, – გამაუჭერავ სამწურე.

უჯავრდებოდა ფაცხვერი: „შენ ვისა-ლ ჩეექანწურე?“

– „არა, ფაცხვერო, ხთის მზემა, აკლილი მქონდა, ჩავხურე.“

433. შენის შიშით

ეს ქვა ნეტავი აილა, გასტყვარცნა სამზღვარს იქითა!

მეწადა ქალთან დაწოლა, ვერ დაეწევ შენის შიშითა.

434. წაწლები

ჩვენთან ჩამაიაროდი, ღვერათ ვაჟავ, ბატარაო!
ჩექმა მამირახუნისი, ლოგინ მიღვა კართანაო.
ქელა მამიცაცუნისი მარცხნივ აპურთანაო.

435. ტრფიალება

რა კაია ქალსთან წოლა, უბიაში კელანია!
ცო-ცოტინან ტუტუანი, ვაშლის ოდ-ოდენანია!
ჩემ კვალის ოშკაცისა წარბის-კვალა წვერანია!

436. ცოლები ქმრებზე

ქალმა თქო: „ქმარი მეწყალის ბორბალ გამოთენე ღამისა.“
სხვამ უთხრა: „არას მეწყალის – ნაბად მიხურავ კრავლისა.“

437. უქმრო და უცოლო

უქმრუაის ქალის გული მინდორთ გახქრის ქარივითა,
უცოლოის ვაჟის გული იწურება მხალივითა.
ქალი დედას ეუბნების: „გათხოვის ხან მაძივიდა,
გამათხოვე, დედაჩემო, თორე ხან-ღრო წამივიდა.“

438. რაზე შეეტყობა?

ვაჟსა რა ცოლი მაუნდას, ფანღურთა გაუშტერდება.
ქალსა რა ქმარი მაუნდას, ჯალაფთა გამაერევა.

439. საქმარეები

– ქალო, საქმარეს გიქებენ, ჩემსამც საქმარეს შახყარა,
ქელთ მისცა იარაღები, ლურჯა საფერკედ მოღკვარა!
– ნანატრის გაცხადებითა, ნეტავენ ქვე სად შახყარა!

440. კახური ტილი

ის არ არია შენ' ქმარი, ბორბალს ჩამორბის ვირითა?
დაუტენიან კაბანი ბეჩავს კახურის ტილითა.
მაგივა, გაუფხიკიდი შენის წინაის კბილითა.

441. გუნების ქმარი

ლიმან თუ გელიშნებოდა, ვინ გშველდა ქერის მკასაო?
ქალი ვარ ოცის წლისაი, ჯალაფნ მაძლევენ ქმარსაო.
ნეტაეინ, კევსურიშვილო, დამანებებდა თავსაო!
ან ქალაღდს გამოღგზაენიდა, სიტყვის მოველი თქმასაო.
5 ზაფხულის მასვლას მაველი, უნდა გადაშრას მთასაო.
აგება-ღ გამავარჩევი ჩემის გუნების ქმარსაო.

442. გასათხოვარ ქალი კევსურისა

მე თუ არ მწადის, ჯალაფნო, ვერ გამათხოვებთ ძალადა.
ნუ აღენთ შუა-კაცებსა, არვინ მაუშოთ კარადა!
გაიგიოთ, ჩემნო ჯალაფნო, კევსურ არ მინდა ქმარადა.
წაუღლ არხოტიონსა კევსურთ შვილების ჯაბრადა, –
5 მამწონან არხოტიონნი, ურჯულოს უღგან კარადა,
ღღისთაო მააქე სახელი, ქისტებს თავს სჭრიან ცხვარადა,
მალ-მალ უვლიან მთა-წვერსა, მააქე ნადირი ბარადა.
რად მინდა ქმარი ისეთი, იყოს ჩემს ინაბარადა?
თუ მიმცემთ, არხოტიონსა, მე სხვა არ მინდა ქმარადა.

443. ნიატ

ქალას შავსთხოვე, არ მამცა, რუსულად მითხრა: ნიატო,
მიწითამც ამოგევსება, ჩემდ ძვირო, სხვისთვინ იაფო!
მამი-ძმის მოუქმაროი ყვაეთა-ყორანთამც მიაქო!

444. სამი ღლე-ღამე

„ე ქალი არვის მიმიცა!“ გომეწრით ღიღას ებარა, –
ე ჩემზე მეტი არ არის, ჩემის არშინით ეუზმანე.
სინათე კიდენ შაზღისა? სამი ღლე-ღამე ეუგმანე.

445. შუაჩი

კირცხილჩია და თხილჩია წნელი სჯობის აკაკისა.
ქალო, შენთა ძმათა მზეხა, ფეკთ შუაჩი რა გაქვისა?

3. 6675-705-6675

ა) სალდათობა და ომი

446. ნაობრანცს

უთხარით ბესარიონსა დაბარებული ჩემია:

რუსეთით ქალაღ მავიდა, კელმწიფის დანაწერია
(გაბუურობით ეწერა, ეგ ხო გვარია შენია?):

„ჩამაიყვანეთ სალდათი, თავადიშვილის ფერია!“

5 შენ წახოლ, ლალო არწიეო, შენ წასვლა ჩვენდ ას ძნელია.

მაერჩებით ახალ-უხალი, სრუ აღარაის ფერია.

მაგრამ შენ რას ინაულლებ, ღმერთმ მოგცნას დიდი დღენია!

გახქლები, ბესარიონო, ჯარების აფიცერია,

მაგცემენ აფელატრებსა, შენ ხეყანდა კამანდერია,

10 ჩიოდან უფროსებსთანა: „სილა სცოდნივა ძნელია!“

ყავლს გაათაეებ მშვიდობით, შინ მახოლ უეჭველია,

ჩამოგყვას არხოტის ჯვარი, ის შენტვი მწყალობელია!

ბევრ ატირდების ქალაი, ის ძმობილები შენია,

ცრემლი წყალივით ზდიოდას, დღე ეგონების ბნელია.

—

15 მელექსეს თუ რას იკითხავ, ნისლაურთ მაისტელია.

447. სალდათში მიმავალი

აბეჩავ არხოტიონო, დროებამ ჩამოვიარა!

ცხენო, მიყვარდი ტიალო, მალეო, გულთი მკრიანო!

კელში ნაჭურო მათრაკო, მემრ ყანწო არაყიანო!

აწ სად ხარ, კევსურიშვილო, გუნებით ღალატიანო?

448. თეთრ-ქუდაები სარუსეთოდ

ღუუეთ მთავრობამ შაყარა ახალ სალდათის ჯარია.

აბეჩავ, ნაობრანცებოთ, არა გაქეთ კაცის ყამია!

- გადარჩეულებ ვაჟები სრუ სასაღდათონ ყმანია.
 თითო ას აგეთ-აგეთი, ალვის ზეს უგავ ტანია.
 5 შაყრილან კაზარმაშია, გამუდის ტოშის ჩქამია.
 „ხვალ დილა წავალთ რუსეთა“, გვიცხადებს კამანდარია.
 გავიდეს საქეიფოდა, თვალ-შუაღამის ხანია,
 დაალებიეს დუქნები, ძალად უმტვრიეს კარია,
 ჩამაირიგეს ვაჟებმა ბოთლა-სტაქნების ჯარია.
 10 თოთრად გაივლის ღამეი, მოვიდა დილის ხანია.
 ემზადნეს თენებაზედა, ხთისა აქსენეს ძალია.
 წავიდა სარუსეთოდა თოთრ-ქუდაების ჯარია.
 წალმა-ღ ჩახყევით, ღთის შვილნო, საღდათთ უჭირეთ მკარია.

—

- ერთ საათს ვიჯე ციხესა ამაგის მალექსარია.
 15 დავსტყლიშე ოსის სტრაჟნიკსა, აბრუნდა როგორც ტარია.
 სიმირგვლივ შამატრიადლა, ვერ გაიმართა ტანია.
 წამადგა. გაჯაერებულმა შამამიქნივა კმალა.
 ქელთ შემჩა იმის ხანჯარი, სპილოს უნათობს ტარია.
 გაება წარბის თავზედა, ეტყვის საწყინარ მკარია.
 20 „ეგ გინდა, ოსის გაზდილო, რო ამიტეხე შარია.
 მე ვინ მოგიკალ, რჯულ-ძალლო, ჩემგან ვინ გიწვეს მკვდარია?
 წადი და აიქ იძიე, ვისაც მიგიდევს ვალა.“
 მიჩიელა ნაჩალიკსთანა, ყვიროდა როგორც კარია.
 ნაჩალნიკ დამიბრაცუნდა: „ქევსურო, რად ხარ მკვდარია?“
 25 — „რა მებრალების, ბატონო, ორ რუსეთს მიმავალა.
 სტრაჟნიკსა, პოლიციელსა ჩვენთან ვინ მისცა ძალა?
 საღდათნ სისხლის ტბად ვითვლებით, ორთ მეფის ტახტის ყმანია.“

449. საღდათში მიმავალ ძმასა და სწორ-ფერს

- სირცხვილ-ნამუსი აღარ ას, რაკი რუსობა მავიდა:
 მეორედ მიდის საღდათი; ერთხელ ხო წინავ წავიდა?!
 უგონთაო და ღვარძლაო, თქვენ ხო მიუღით მაინცა!
 უგონთა არას დაგიდევს, ქაჩალ თუ ქელში ხყავისა.
 5 ცხენ თუ აღარ გყავ, ღვარძლაო, გამაიცვალე მაინცა!
 მე ხო უთქვენოდ ვერ გავძლებ, წამიყვანილით აიქა!
 რაკელი ქალი ვიქნები, თქვენს წინ ქალაღდი გავიგა!

450. სალდათად დაბარებული

- მარტუია დამრჩალი ლექსო მთვრალის შვილია,
გადმავიტანე ფანდური, აძრახდა როგორც სტივია.
რა სალდათობა მახპირდას, ვაშკაცისათვის ჭირია.
მეც იქ ორ დაბარებული, აბა რა გასაკვირია?
5 მამცემენ არშავიანსა, წვერში შტიკ-შამაყრილია,
– „იყარაულე, – მეტყვიან, – გრანიცაების პირია.“
წუხრ დახყუდებენ სალდათსა, გათენდა, ფეკზე ხკირია,
უძილობისგან ბეჩავი რა მარკედ ყელ-შაჭრილია?!
10 მალგონდებიან ჯალაფნი, თავისი დედა ტკბილია,
მემრე თავისი ლოგინი, ხალიჩა-გამაშლილია.
სრუ წმიდად დაღონ-მალგონდა, სადაც რო დაუძინია.
გაიმართების ომები, სალდათებმ ყარეს წილია.
ვისაც ერგების წასვლაი, პირში დაშჩების ღმინია.
15 რახან შავიდას ოშშია, რა მარკედ ფერ-შაკვილია!
ბეჭში დასცემენ შტიკებსა, გულ იყოს გამაველილია.
ვინ შაიბრალებს სალდათსა, გორებდას თავ-მოჭრილია?
ბევრა ვაჟ კედების ლამაზი, ბევრაის დედა სტირია.
რაქე ცულ საგონ გექნების ოშში მაკლული შვილია!
ბევრაის ქალ-ზალ ატირდა, ცრემლით იბანეს პირია.
-
- 20 ამაგის მალექსებელი ლექსო კეცსურის შვილია,
ლექსის თქმას დიდ ხან რად უნდა? საჩქაროდ ჩამათვლილია.

451. ღელვა ზღვაზე

- რუსეთში ჩამასული ორ, დაეჯე, ქალაღებს ესწერაო.
სხო საქმე რა მიკეთდების? მამაწადინა მღერაო.
რო ჩიტი გაზაფხულზედა, მაქცეული მაქვ ენაო.
სხოლ კი კაია რუსეთა ზანიატებზე დენაო.
5 წინ-წინ რო ზღვაში შავედით, კინად დაგვლივინა გემმაო.
შაშინდეს კახის შვილები, პირჯვარს დაიწყეს წერაო.
თავს კუთხარ, დავღმე, დავღვედრე: „შენც არ გააწირას ფერმაო!
რა გარგა თავის სოფელში კენა-თესვამა და ცელმაო?“
მერე გამავედ, დავხკიველ: „ზღვაო, გაწირე ღელვაო!

- 10 პარახოტ არ წაგვიქცევა, რა დი-დიდს ტაღლას სცემოა!“
ბევრი მაგწერეთ წერილი ამაგის მალექსემაო;
ეხლა კი მავთხრით, მაგბზარავთ, თუ არ მომწერეთ ყველაო.
სანადიროში დაზღილნო, ფეკებს გაწყინათ კლდემაო.

452. მეცხვარე სალდათი აფიცერზე

- სად მიზღინხარ, თავო ჩემო, სარჩოზებით იღებ კელსა?
სადა სწირავ სამშობლოსა, მემრე ქვეყანასა შენსა?
რამთვენიც ძაღლ შამეყრების, ჩესტზე მალეზინებს კელსა.
თუ მალლა კელს არ ავიღებ, ციხეს მაჩვენებენ ბნელსა.
- 5 ამით მასტულდა სიცოცხლე ამ საბრალოს თავსა ჩემსა.
ესენ კი დამლალოიან, როგორც ჩობნებ მსუქან ცხვრებსა.
გამაივლის აფიცერი, მალ-მალ დამკრავს მქარზე კელსა:
„ეს ბიჭ ყველკან გამადგების“, ეუბნების სალდათობსა.
მე გულ-ნაწლევნ მერევიან, ის რო მქარზე მისომს კელსა.
- 10 რატო შირაქში არა ვართ? გამაგიყენებდი ცხვრებსა,
აპელატრებსაც აგყრიდი, აგკიდებდი გულის ძველსა,
უფროსად დავიდგებოდი, სახელს გასწავლიდი ჩემსა,
ქართულ ქალაღდს დავიწერდი, არც მაგვეკრიდი მეენესა.
თუ ჩქარა არ ისწავლიდი, მუშტით ჩაგამტკრევედი ყბებსა.
-
- 15 ეგ შირი იოსებმ თქვა, მოვაქსენო თავის ძმებსა.
ჩემს მაგივრად გეახლებისტ, ყველას ჩამაგართმევსთ კელსა.

453. გადათხეული

- ოკერო წუთის სოფელო, დრო გივლის თითო წლისსაო.
ზოგს კი წაიყონ მალლადა, ზოგს ჩამაადებ ძირსაო.
სალდათში წამამიყვანეს გაზღილი მალლის მთისსაო.
ზე თოღში მიდგას კრაოტი, დილით ავღებუბი მზითაო.
- 5 ქვეც მყავის მოახლეები შვილები რუსებისსაო,
ლოგინის გებას კადრობენ, მახანიებენ პირსაო.
კვეხაში ნურას ჩამიდგებთ, კვეხა მეც სხვისი მძულსაო.
ჩემით ვაუობით არა ვარ, ძალი შამეწივ ხთისსაო.
მაგრამ ბევრი მაქვ ბრუტადა საგონი სხვა-და-სხვისსაო.

10 მე სად ვარ გადათხეული, ან სადაურის წყლისაო?
ან ძმა სად-რა მყავ გიჟაი, რას-რა ციხეში ზისაო?
ფრინველთა გადამაველთა კმა სწვდების ერთუცისაო.
როდისა-ღ ვნახავთ ერთუცსა? გათენებამც ჟნა ღლისაო!

454. სმირნაზე

ის დრო აღარ ას, წერილაო, იქ რო ქალებსთან სწვებოდი,
დაღლევი ბოთლის არაყსა, ძმობილო, გაღლოთღებოდი,
წახვიდოდ სანადიროდა, ჯიკეთ სიმაგრეში ხყევბოდი,
უკილოებდი ნიავსა, ბერდენკას ექაღლებოდი,
5 ჯიკეს თოფს დახკრებდი, მახკლებდი, გაქანდის, სიცილს ხკვლებოდი.
აქ ხყარაულობ სამძღვარსა, იქაც მტერს უმაგრებოდი.

ამაგის მალექსებელი რუსეთ სმირნაზე ვდგებოდი,
რუსულ ქუქუნაკ ჩამაცვეს, მნახებდი, გახკვირებოდი.

455. სალდათის დანაბარევი

სალდათად ჩამამიყვანეს. ნიჩაო, არაფერია!
რუსეთაც იტყვის ლექსებსა, კაც თუ კი გამოთქმელია.
გავიდა გრანიცაზედა ნაქშირაულის ფერია,
ხუთ სატენიან ბერდენკა, გილდი კაზიონ ბევრია.
5 იაპონიის სამძღვარი საყარაულო ჩვენია.
რა ცუდად ვიყავ ავადა! ეხლა კი გამოვძვერია,
არ მოკვდა არხოტიონი, დარჩა იქავე მთულია.
თორმეტი მყვანდა ღონტური, დაიდვეს სინის ფერია,
თან მოხყებოდეს ფერშლები ზოგ ახალ, ზოგი ძველია.
10 კოიკას მიკრავ დოსკაი, ზედ გვარ აწერავ ჩემია,
ბოლოზედ ლისტი ფურცელი, ნუმერ ასხავის ჭრელია.
შინ უნდა წერილ გავგზავნა, არვინ ას წამამსვლელია,
ვერათ წახოლ, ქაღალდო, ზღვაი გაქვ გასასვლელია,
კანვერტში უნდა ჩაგაგდა, მარკა დაგაკრა ჭრელია.
15 სწორად უამბე ყველასა დაბარებული ჩემია.

უთურგათ დავითს უთხარით: „ნიკაპ დაგეწვა მტყელია,
სასიკვდილო რო მიქნიე, კაცო, კაცი ხარ ბერია.

ჩვენით რო კმალი წაილი, გან-თუ-რად იყო შენია?
20 გაყიდეთ, ჩაბაკაურნო, არ შავიკდებისთ გძელთა, —
წელთ კი ვერავენ შაიბომთ, ნაკშირაულის ფერია,
ტანში კარგად ას ნაქნარი, ვადა ვერცხლით აქვ ჭრელია.
ვაი თუ ვერვინ უმქედრეთ! არ მიგიწვდებისთ კელია.
იცის მტრისაკე ზიდილი, იყო ძალიან მჭრელია.

ჩემს ძმას ბაბუას უთხარით: „კარგა გაკვებე ცხენია!
25 კარგა მიყურე ხანჯარსა! ეჯანგებოდა წვერია.
სიზმარში სამიჯერ გამიტყდა, შიშით მწყდებოდა წელია.
დაჩვეულია, ვერ გაზძლებს, თუ არ გამოზღის პერია.
იქვე მაუვას პატრონი, მალ-მალ მაისვას კელია.
30 სრუ გამოვწმიდენ ჯალაფნი, არ გაუწირე მტვერია.
სხვა კი არას ვინ ამბობდა, — ჯავრობდა მამას-ჩემია.

მარაიზძეთა თოთაო, დედა ვაცხონე შენია!
ხანჯარიც კარგად გიჯერებს, რახან მაისვა კელია.
კაის ოჯახის პატრონო, ღმერთმ მაგცნას დილნი დღენია!
35 არაყ გაქვ გამაულევი, სუფრა გაშლილი გძელია.
მაგოდნის ინაბრისაი შე ვერ ორ გადამქედელია.

თათრად და ბაბუა იყვენეს ღილღვლების მტერნია,
ნეთხაში სადამ ჩავიდეს, აღარ გაწირეს მტვერია.
ცის ქუხილივით ამადის, ერთუცს უქმობენ კლდენია.
40 სულეთს შავიდა ჩარგეზი, არ შაიყოლა ფერია.
რა შუაზე შჭირს საწყალსა! გაგლეჯილი აქვ წელია.
მარკედ აღონებს ნაჭრევი, თვალებით ცრემლის მღვრელია.
ძალიან იზიდებოდა, ვერცაით გამომსვლელია.
ველარაი ქნეს ნეთხელთა, დადგა მეორე წელია.
ისრ კი ნულარვინ მოხკვდებით, ვერ გამოიღოთ კელია.

45 გაჯალათასა გაგასა რა კარგა ხკლების წვერია!
შენ უნდა იყვა, ძმობილო, ჯარების აფიცერია.
შავკდებოდ აქელატრები, იმასთან მქრები მტყელია.
წავიდათ პეტერბურგშია, ადგილ გაწირე შენია.

- უთხარით კემწიფიანთა: „სიტყვა ისმინეთ ჩემია:
 50 ფული მასჭერით ახალი, ხალხს შამასწყინდა ძველია.
 გაწირეთ საქართველო, სხვა მეფე გვინდა ჩვენია.
 წინავაც ცალკე ვყოფილორთ, ვერას გვაკლებდა მტერია.
 სამეფო ერთუცს ვილუპავს, შენ ამბობ: „არაფერია.“
 ხალხი ბუზივით ირევის, მიწერ-მაწერა ბევრია.
 55 აჩინდეს ბუნტოვშჩიკები, მარჩომა შენიც ძნელია.
 განა ვერ გაგკერეტს ტყვიანი, განა ხარ რკინის გრდემია?“

—

- თაოდაც რუსეთ დამრჩალა ამაგ ლექსაის მთქმელია.
 ჩავარდას რუსის კელადა თქვენი ღუმშანი, მტერია!
 იქვე გამცილდა სიკვდილი სულელების ამომრთმელია.
 60 თუ კიდე შამამეყარა, აღარც მავშჩები მთელია.

ვაენი გოსპიტელში 456.

- დასწყევლას ჩემ სალოცავმა ვაენის გოსპიტელიო!
 რა ცუდად გამაბეჩავა, რა მონა დამღვა ფერიო!
 რუსების ზანიატზეით ამატანივა კელიო.
 რა კარგად გვიკამანდრობდა ჩვენ როტნი კამანდერიო!
 5 მინდვრად სასროლად ვდიოდით პატრონა-უკლებელიო.
 თოფისად არხვატონსა გასარულ ხქონდა კელიო.
 ეხლა კი გამაბეჩავა. ვერ გატყდას თქვენი მტერიო!
 ორს კვირას მარკედ შავსწუხდი, ვთქვი: „არ დავრჩები მთელიო.“
 შინ ვერ მავსწერე წერილი, — „იტირებს ღელას-ჩემიო.“
 10 ღმერთმა ვიშველას, დოხტურო, რამაც გვერდ დამიჭერიო.
 თვალებს სინათლე მამეცა, რა-რიგად მაღლი ხქენიო!
 იქვე მავუა პატრონი, ლურჯა როგორ მყავ ცხენიო?
 იქნების გახლებული, ზამორის თუ ჭამა ქერიო.
 მთაშიავ გამანათლების მთვრალაის შვილის ცელიო.
 15 დღეში სათიბლად არ მეყო სამ დესეტიჩა ველიო.

—

ვაენი გოსპიტელში წევს ამაგის ჩამამთვლელიო.
 ავად ნამყოფის კაცისა ლექსობა არაფერიო, —
 შათვლილ აქვ მოავადესა: ჭკვა მოკლე, ენა გძელიო.

457.

რუსეთში არხოტიონსა რუსულ ქუქუნაკ სცავისა,
რუსულა ქულა დამხურეს, შუბლში ლიშანიც ხკრავისა.
არ ხცლების გასაოკრები, — ეშმაის გრილოს ღგავისა.
რუსეთ ბევრა კი გავიგი, ჯერ ხო არ მამიკლავისა?!
ბევრა კი გამიჯავრებავ, ბევრისად გამიკვლავისა.
დასუსტდა არხოტიონი, იმედ აღარ მაქვ მკლავისა.
იქნება იქავ გამავრჩა, მეყვა, რაც შამიძლავისა.

5

—
ამაგის მალექსებელი სრუ გოსპიტელში ღგდავისა,
არცა-რა მარტუაი ორ, სხო ხალხიც ბევრი-ღ ხყრავისა.

458.

შორად რუსეთში ჩამავედ არხვატით წამასულიო,
ლექს ვიტყვი მწუნხიარეი, ყველამ დამიგდით ყურიო.
გულს მიშინჯებდა დოხტური: „ქეესურო, გტკივა გულიო.“
— მე გულს რაი მჭირს, დოხტურო? — დოხტურ ხო დაკელთულიო.
ლექსი მიიღით არხოტა, რუსეთ ას გამათქმულიო,
დასწყევლას ჩემ სალოცავმა ამათ კანონი, რჯულიო!
მიჭმიეთ ღალმისტიურსა თავის საჭმელი პურიო.
იქავ მაუვა პატრონი, მზას იყოს შაკაზმულიო.

5

459.

რუსეთში ჩამომიყვანეს, სალდათი ვიყავ წლოვანი.
შორს მარჩა ჩემებ სწორები, მქნენი და ლომ-გულოვანი.
კარგ იყავ, ჩენო არხვატო, მტრისათვი შაუპოვარი.
ზამთრის ჭალა გაქვ საველეად, ზაფხულის შრების კლდოვანი.

5

—
სუ მუდამ, შინ მაუსვლელად, დადიან მენადირენი,
მტრისად[ა] ზარის შამდებნი, ჯიკეთათვი სისხლის მდინენი.
ბევრამ ვაუმა თქვა მოსულმა: „ქისტებ კი ავატირენი;
მკვდრები ერთმანეთს ითრევდეს, წამოვედ, იქ მოვწირენი.“

- ბერა ვაჟი ას არხვატში, ბერდენკას ექაღლებისა.
 10 თან კი მტერს მიზღვეს ლომ-გული, თან ჯიკვებს მთებზე ხყვებისა.
 ჯიკვსა თოფს დახკრავს, ჩააქცევს, კაცივით აგმინდებისა,
 უაზრებს ჯიკვის თვალებსა, თაოდავ დადნანდებისა.
 „ვაიმე, ჯიკო, რად მოგაკალ? სწორებს მოგსხლიტე რქიანი.
 სიმაგრეებში ნადგომო, ჯიკო, ჩვენსავით მტრიანი.
 15 დაშანდა, ჯიკო, (რა გიყო?) შენის თვალების ბრიალი.
 თოფი გესრიე, გაგება, ტყვია ჩქარია ტიალი!“
-
- თაოდაც კი რუსეთში ვარ ამაგ ლექსის ჩამომთვლელი.
 ახლად კი მომეწყინა ეს ვაენი გოსპიტელი.
 ვერ წამოვედ (შორადა ვარ), რომ მენახა დედამ-ჩემი
 20 მე შინისკე ვემზადები. მგონე, არ ვლგონივარ მთელი.

460. შინისკე მზადება

- რუსეთში არხოტიონი რუსის ბძანებას ხყვებისა.
 რუსების კელად ჩავვარდი. თქვენ' მტერიმც ჩავარდებისა!
 წინ-წინ როტაში გამწერეს, ჯარებ სძირნაზე დგებისა,
 უყურებს არხოტიონი, კელთ გახკრავს, გახკვირდებისა.
 5 ვის ერთს აულო სალაში? სახე ას კამანდრებითა.
 გაგვლალვენ ზანიატზედა, კამანდრებ გამოგვეყვებისა,
 გვიკამანდრებენ სძირნასა, ხესავით დაეჩერდებითა,
 დაწოლას გვიკამანდრებენ, თოვლში, ყინულში ეწვეებითა,
 სვალსა ერთის დღისასა პირქვ ნაწოლნ გაეკანდებითა.
 10 საყელოშიით ჩამადის, თოვლ გულზე დაგვადნებისა.
 ხუთ-სატენიან ბერდენკა სრუ თოვლით აივსებისა.
 მაგვლალვენ კაზარმაშია, თან პურიც მაგვევიდებისა.
 პურის საჭმელად დავსხდებით, არ გეცალის, ვერ დავძლებითა.
 პურს რად არ გვაჭმევთ, რუსებო? კაცო, რას გვემართლებითა?
 15 გასწერენ გოსპიტელშია, სალდათ რო აგმინდებისა.
 ძნელია, რახან ამბობდან: „მოკვდების, არ მარჩებისა.
 დავჭრათ, იქნება მაბრუნდას, არ დავჭრათ, არ იქნებისა.“
 გვერდს გამიბედეს დაჭრავი, თავს დოხტურ დამადგებისა.
 თავის ძმებევით მივლიან, დოხტურს რო ფერშლებ ხყვებისა.

- 20 საწყალო არზოტიონო! შორა რუსეთში რჩებისა.
მალგონდი, თავის არხვატო, შამაღობვილო მთებითა,
ჯიკვებო სიმაგრეშია, ჯარო და ჯარო რქებისა.
თან მენადირე დაგყვებისთ, ბერდენკას ექაღლებისა,
მაგიკილოებსთ ნიავსა, მთხილობს, თოვლივით დნებისა.
- 25 ჯიკვებ შასჩივლებს კლდეებსა: „სრუ ცოღვით ვიკვებებითა, –
ბალახზე აღარ გვიტევენ, ზოგ სიმაგრეში გვყვებისა.
კლდეზე ფიტარზე დადიან წრიაპითა და ჯღნებითა.
გვერდალზე გადმაგყვებიან, ჩვენაც ძლივ გადავკვებითა.
ამაქდას დილის ცისკარი, საწოლში შამოვკვებითა,
შშიერები, დაღალულები კლდის გრილოებში ვწვებითა.
30 შიშ რო არ გექონდას გულშია, ბერდენკა გამასტყვრებისა.
არ უჯერდებიან თითოსა, ხუთი-ექვს დაგვაკლდებისა.
წვერზეით დაგორვილები ჭალაში გავიყრებითა.
აივს მთელი არხვატი ჩენის ჯიკვების რქებითა.“
- 35 ჯიკვთ უკვირს: მენადირეი როგორ არ დაბერდებისა?
მუდამ დვირბინში ცქერიით თვალებს არ მოაკლდებისა?
„დაბერდას მენადირეი! – თქვეს, – სრუ ღმერთს ვეხვეწებითა.“
დაგვიახლოვებს, დავსწყევლით: „დვირბინიმც გაავტყდებისა!“
იქავ თავისას არ იშლის, ვა ბრალი ჯიკვთა დედისა!
-
- 40 ამაგის მალექსებელი შინისკე ეშხადებისა.
„მოვასწრობა, თუ მამასწრობს?“ ამ წერილს ეშუქრებისა.

461. მაკითხვა

- რუსეთში ქრისტეს წუნრასა დაჯვე, ლექსები ვთვალეო,
გამავე, მთვარეს ავხენე, ხვეწნი თავ შეავბრალეო.
რად არ მიაშობ ამბავსა, არხვატს ჩახედავ, მთვარეო?
ვერ მამიტანეს ამბავი, წერილებს ვეშუდარეო.
- 5 ვერცაღ რა მაგან მამწერა, ძელიმ-ხანს შამავსთვალეო.
შინშო, ჩემდ დიდო იმედო, რა ცუდ დროს გამეყარეო!
იმას გთხოვ, ძმაო მიხაო, მამწერე, დამიბარეო:
რაკელი გქონდა ზამთარი, რაკელ დრო გაატარეო?
იქავ მაგიოლთ, სწორებო, სამ წელ გაივლის მალეო.
- 10 დედასამც ნუ გაუზდიორ, დაედგა რუსებზედ მდარეო!

15 რაც გინდა დიდად მიჭირდას, ერთხან ისი ვთქვა: „ვაძე“-ო,
აბეჩავ, ჩემო ფანდურო! ბევრ ლექს კი დავაბარეო.
ბევრჯელ გახტოლე, ლურჯაო, დღე დაგაყენე მწარეო,
პირს გედვის მძიმე ლაგამი, ოფელში რამთვენჯერ გბანეო.
ეხლა რუსეთში გამავედ, დროება გამაქსცვალო,
წაშკითხავს უძღვნი მაკითხვას, დამსწავლო, კელი მამეო!
მშვიდობით იყავ, მსმენელო, დროება გაატარეო!

462. სალდათის წადილი

5 აბეჩავ ქართველთ შვილებო! ვაუბ შაღვანან მგელსაო.
კარგად დახკეებენ ცხენებსა, თოფრით აჭმევენ ქერსაო.
კელს აქვის ბერდენკაები, ავს დღეს აყრიან მტერსაო.
თავს მავანებებ ამასა, ძმაო, წავიდათ ჩვენსაო.
5 ქვევრებ ღვინით მაქვ სავსეი, არაყს მიგართმევ ბევრსაო.
იცოდ, კას ქალსთან დაგაწვენ, რომ შლიდას ყვითულს თმებსაო,
რომ ვერ ძღებოდა ნდობითა, ხკოცნიდა, ეხვეოდა ყელსაო.

463. საახალწლო მილოცვა სწორებს

პარასკევ გათენებადა ვარ ფიქრის დანაჭერია,
დამგონდ-მამგონდა ყველაი, მაკეთუი და მტერია.
ჩამაგვირიგა არაყი, მობრძანდა აფიცერია.
5 რუსულად გვაღღებელეზა ჩვენ როტნი კამანდერია.
მე მოგილოცავთ, სწორებოთ: გათნდა ახალ წელია,
მრავალს დაგასწრნასთ უფალმა და დაგიმარცხასთ მტერია!
ჩვენ სოფლის ახალ-უხალი ყველა ერთუცის ფერია.
თავში თქვენ, ჯურკაის შვილნო, რას გამაგჩების მტერია?
ხალხი გყავთ აჯაბრებული, ნიჩეო, არაფერია.
10 მკრის ჭერა იცის მაგარი, გვერდსა გყავთ მაისტელია.
აბეჩავ ნისლაურთაო, ბევრა კი ვაგითულია!
არ გჩების გაულაკავი, ვისაც გააბი კელია.
გუგუათაო ბერდიავ, ჰე, გამარჯვება შენია!
იცი ლამაზად ტრიალი, ჭურჭლებ რა გედგას ჭრელია.
15 არაყ გაქვ გამაულევი, ქერ გიბე ძველის ძველია.
გათთქვა, იონაშვილო, ვგ მასპინძლობა შენია:

- 20 დღისთაო სწურავ არაყსა, სტუმარ მაგიდის ბევრია,
ბევრჯელ მასმე არაყი, ბევრჯელ კი დამათვერია.
მე კი ქვეც ვერას მაკლებდი, ხარ მამის-ჩემის მტერია.
არ დამცილდების, სწორებო, ეგ ინაბარი თქვენია.
ბევრა სიკეთე დასთესეთ, ორ დიდად მაღლობელია.

შევღებე წელწად-დილასა ინით ჩონგურის ყელია.
ჯერ სად-ა? ბევრას ლექს გეტყვისთ ბესარიონის ყელია.

464. სალდათის სიკვდილი

- რუსეთში რა ამბავია? ცოდო-ბრალი დგას ღვთისაო.
ვინ კვდების აღესაშია სალდათი კელმწიფისაო?
ამირას გოცირიძესა მეზი დაეცა ცისაო,
5 უდროვოდ სწორებს მასხლიტა ვაშკაცი ოცის წლისაო;
გასაოქრებმა სიკვდილმა ბრალი არ ნახა ყმისაო,
დაღალულს დააღალატა, ხანი არ მისცა ცდისაო,
წაართომს არშავიანსა, პატრონას წელთით ხეხნისაო.
იგვლევენ გიანარღები, ჯარი სტირს აფიცრისაო.
10 ატირდეს ქართველთ სალდათნი: „ჭირიმე ჩენის ძმისაო!“
კაცი აღარ ხყავ პატრონი, კარგად მამველელი მკედრისაო.
კარგად გაურთეს კუბოი, შუა მართული ჯვრითაო.
მეტ იყვა სალდათებშია, ჯარ გახყვა აფიცრისაო.
თუ მახკვე, ღმერთმა გაცხონას, გულადად ბასრო ქვისაო!
თოფის მომქმარე მკლავზედა, მკოცელო ქისტებისაო!
15 შენ მოხკალ ქისტი ოთხ-ოთხი, არ იყავ ოცის წლისაო.
გეგუდარებით, ფრინველნო, პირ გაიარეთ ზღვისაო,
უამბეთ თუშიშვილებსა სიკვდილი კაის ყმისაო.
უთხარით გოცირიანთა: „მეზი დაგვცათ ცისაო,
ამირა აღარ მაგივათ, დარჩა გრანიცის პირსაო.
20 მალოდინ ნუღარ გექნებისთ, ხანი რა დადგას სთვლისაო,
შინ მაღიოდას სალდათი, დრო იყოს ახალ წლისაო.
ამირა აღარცად იყვას, ვაი შემრ ბრალი ძმისაო.“
ბრალ კი ას, თუშო, არ იწვა შენის ალვანის პირსაო,
გენატრებოდას ცრემლები ქალისაი და ზღისაო!

465. ომი გუმბრზედ

- მონა დროობა დაგვიდგა: მტერმა მოგეტაცა კარია;
აღარც მოსავალ მავიდა, დაიწვა მთა და ბარია;
ძმამა ძმა არვინ დაინდვა, აღარც ვინ ქალი-ღ' ზალია;
თითოს ენა აქვ ეგეთი, თავს მასჭრის, როგორც კმალაია.
- 5 იძახან რეულობასა: აღარ გოქვ გასავალიო.
ზონთქრის, ამბობენ, ჯარებმა შამანდგლიენა ზღვანიო.
აქით მა ჩვენს კემწიფესა მიდის, მიუდის ჯარიო.
მიდის და მიდის სალდათი, როგორც ზაფხულზე ცხვარიო.
ყველა კაც მაგას ხკვირობდა: „არ ერგებიან გზანიო.“
- 10 ომი მოუქდა გუმბრზედა, სისხლის ბრუნედეღს ტბანიო.
სული დგას ტყვია-წამლისა, თოფს ცეცხლისა ღბავ ალიო.
ცაშიით თავ-ფეკ ჩამოდის, აისრ რო წვიმა-წყალიო.
ამბობენ: უზურგეთისკე სისხლის წავიდა წყალიო.
ქალაქში მოდის დაჭრილი, მანდ რიყელა ხყრავ მკვდარიო.
- 15 ამანდით იწერებიან: „კევსურთ გვიჭირეთ მკარიო!“
შაყრილა კევსურთ შვილები, ბევრ ხქონდა საუბარიო.
წილით არგინეს თოთიას, იქ არა წამავალიო.
„იქ ნუ წამლალავთ, კევსურნო, აქავ მამჭვრით თავიო!“
ბარაქელ, სუმბატურაო! გუნება გელვა ჩქარიო.
- 20 აიქ კი წახვე, ოშკაცო, საც სახელობდეს სხვანიო.
ზოგთა თქვეს: „მერდალ მოუა“, ზოგ-ზოგებმ: „სისხლის ჯვარიო.“
ზოგებმ ეგვრაც იამბეს: „ზეპირ დარჩება მკვდარიო.“
-
- ამაგის გონობაჩია ჩამამელია ხანიო.
გავხედენ: შამადიოდა მშაველიშვილების ჯარიო.
- 25 შუაჩი ნაჩალიკ უდგას, შორით ემბოდა თვალიო.
ნაჩალიკ ჩემთან შამოჯდა, გუდელას დადგა ჯარიო.
ჭკვიანად იცის საუბარ, ლამაზად ედგა ტანიო.
უბანა როშაქიშვილმა: „ოკმად დაკალით სამიო!“
ორი კი მოხყავ სხვათაი, ერთს ჩემსაც მოსჭრეს თავიო.
- 30 ქვამ ჩემით გამაიტანეს, გამოიჯარეს კარიო.
თოთიათაო ბერდია, დიდხანს ცოცხალიმც ხარია!
შენაც დაგიკლეს შვინდაი, ძირზეით დასჭრენს რქანიო.
გაიგა მამასახლისმა, აშალა საომარიო.

- 35 თითო გულ მიაც მეტყობა: „აღე, შაირტყი კმალიო, გუდელას ჩამაიარე! მთელი ხარა, თუ მკვდარიო?“
 გუდელას ჩამოვიარე, არვინ მიჭირა მქარიო.
 აქით მე, იქით მშავლებმა ერთუცს უქსენეთ მკვდარიო.
 ერთმ მამაძალმა მშველმა აშალა საომარიო,
 მისულსავ გარმამიქნია, ვერ მაყოლა ძალიო.
- 40 ახლა მეც გადაუქნე, მივამწუხვიენ თვალნიო.
 „ძალლებო მშველიშვილებო, დღეს ზო კი თქვენი დარია,
 საკვლავოდ დაისწავლიდით! შური გვაქვ საძებარია.“

—

- ამაგ ლექსების მათქვამი ყველამ იკითხეთ, ვინ იყო,
 ვაჟი აზიზა გაზდილი, ღმერთს გეფიცებით, ძვირ იყო.
- 45 ქება-გინებას ნუ იტყვით მა თქვენი ენა-პირითა,
 აპირობს რუსეთობასა, არ მიწონებდეს შინითა.

466. მობილიზაცია

- რას ხფიქრობთ, თუშნო, კევსურნო? ახლა ომობის ხანია!
 შაქურებულხართ ღუჟეთა ქორ-შავარდნების ჯარია.
 მალლა გადაქრნეს მასკვლავნი, ელვენ სიწმიდის ცანია,
 პირი ემურვის მთვარესა, აღარა ნათობს ღამია.
- 5 აღელვდა კელმწიფეები, შამაიჩქეიფენეს ზღვანია,
 დაგ ზანენს ტელევრამები, შაუქურებაე ჯარია,
 კშირ-კშირად მადის პრიკაზი, რუსეთს დაადგა ძალია,
 დასტეხეს ჰაეროპლაენი, სისხლსა სწვიმს, ზედ კი დარია.
 მასწუხდა პეტერბურგია, ეგ რომანოვის გვარია,
- 10 „უნდ დაძმველას, — ამბობდა, — მთელ კაკკასიის ჯარია.“
 კმა გატყდა მშვე-კევსურეთა, დგას იარაღის ჩქამია,
 მთას-იქითლებიც მაუკლენ: „უნდა გიჭირათ მქარია.“
 ნაპირის ადგილისათა უქრის ლემადის ქარია.
 მაგიდეს არხოტივნები, ომში ნარჩენი ყმანია:
- 15 ბერდიშვილო, ოჩიაურთა გაბურთ ვაჟებიც სტანია.
 გააგებიეს კობასა, ხყავ თავის აფიცარია.
 „გაგვიძველ, ცისკარაულო, წელზე შაიბი კმალია!
 გიქადებსთ გამარჯვებასა დიდი არხოტის ჯვარია.“
 კევსურთ გიგაურ გამუძღვა, ჯარებს რო კამანდარია.

- 20 ღალანგურ რა ამბავია? ცეცხლის გამაჩნდა ალია.
ჯუთით მავიდეს ახალნი, წმიდის გიორგის ყმანია,
ომის კარ გამარჯვებულნი, ვეფხვივით მეომარნია.
თუშეთით გამაემართა ქორ-შავარდნების ჯარია,
ცხენთა გადასხდეს რემათა, მახჭრიან, რაგორც ქარია,
- 25 კელში უჭერავ თოფები, ფხა-აღმ შამბული კმალა,
ლაუკივლებენ ერთუცსა, გულ-დინჯნი, ომში ცხარნია.
ნანობენ გაფრინდაულსა: „ზეზვა აღარა გეტანია.“
შაქურბულა დუჟეთა თუშთ, მშაველთ, კეესურთ ჯარია,
საომრად დამზადებულან მთაში ნარჩენი ყმანია.
- 30 ბევრა დასწირავს ობლებსა, ბევრ გაქერივდების ქალია,
ბევრას გამასყვეს ოშკაცსა ტირილით დედა-ღანია.
ბილეუტებს დაურიგებენ, ზედ სწერავ სახელ-გვარია,
ყველას აძლევენ თოფებსა, გრანიციტ მონატანია,
ხუთ-ხუთი ჩადის პატრონა, კვამლზე გაემბის კვამლია.
- 35 მადლობას ეტყვის კელმწიფე: „მაგრად მიჭირეთ მქარია!
ვინ მყავის, თუშნო, კეესურნო, თქვენ-ფერა მეომარია?
წინაც თქვენ იყო სახელი, ეხლაც თქვენა გაქვთ ძალია.“
შაქურბულთა კეესურთა ხყვების გუღანის-ჯვარია,
ბერი კოპალა თვალს ავლებს, ენანებიან ყმანია.
- 40 ჩამოსხყვა წყალს-იქითულთა დიდ-გორზე მამურთვალა,
თან ხყვების მშაველის შვილებსა დიდი ღაშარის ჯვარია,
ბერმა სანებამ თუშებსა მარჯვნივ აართვა მქარია,
გვერდს უდგას არხოტივინებსა დიდი არხოტის ჯვარია.
თუშნო, მშაველნო, კეესურნო, ერთუცს უჭირათ მქარია!
- 45 წინავაც ცოტან ვიყვნით, მტერმ ვერ შეგვართვა თვალა.
რო დაებრუნდებით, სახეთო ვქნათ, დაეკლათ კარი და ცხვარია,
შამავეხვივინათ ხატებსა შაურცხვენელნი ყმანია!
დავლით შამანდობარი, ვინც იქ დაგჩების მკედარია,
ცოცხლების სამღლეძელოი, ვინც იყვნეს მეომარნია,
- 50 მემრ იმათ სამწყალობნელი, ვინც მთაში მარჩეს ყმანია,
ჩენი ნდობით და წამასვლით ტიროდეს, რაგორც ძმანია.

—

მელექსეს ვერას გაიგებთ, საერთოდ ნაუბარია.
დამწერ ას ბესარიონი, არაყით გადამთვრალაია.

467. ბრძოლის ველზე

- ლექისი თქმა მწადის ერთისა, ცალკე დრო არ მაქვ ცალია, —
არ გვაცლის გერმანიი, მტერმა შაგვიკრა კარია.
- 5 გრანიცას გადარტყმული ზყავ მთელ კავკასიის ჯარია,
სისხლით მასვლილებ ვაჟები, ძველნი ერეკლის ყმანია.
ომობენ კავკასიელნი, მთა და ბარს შეზღვეს ზარია,
მტერს მიხყვებიან კვალზედა, მკვდარზე შეყარეს მკვდარია.
უკენ არ იწევს ლაშქარი, ქართველთ ვაჟების ჯარია,
გვერდს უდგან მთისა არწიენი, ვეფხვივით მეომარნია,
მგელივით ეტანებიან, შტიკებს გააქვის ჩქამია.
-
- 10 კვირაეს გათენებადა სისხლსა სწვიმს, ზედ კი დარია.
ბევრას მეელის სიკვდილი. ღმერთო, ქენ სამართალია!
გარმოწვა გრანიცაზედა მძიმე გერმანის ჯარია,
მირგვლივ ზარბაზნებ დაღმართა, ჯარს იმით გვიყო ძალია,
სუყველკნით გზები შაგვიკრეს, არცაით საომარია.
- 15 აფიცრებ ჯარებს უვლიან, დიდ უდგას საუბარია,
ღვირბინით იცქირებიან: „საით ავართოთ მკარია?“
შასწუნდა გიანარალი, აბრუნდა როგორც ტარია,
ჯარებს გადასცა პრიკაზი: „ახლა ომობის ხანია.“
მარცხნივ ჩამადგა ყაზახი, მარჯვნივ დრაგუნის ჯარია.
- 20 ნისლი დაიდვა კვამლისა, აქუზდეს ზარბაზანნია.
სისხლით იღება მინდორი, მკვდარზე გადადის მკვდარია.
თოფებ სჭეხს, კმლები პრილობს, ძირს სისხლისა დის წყალია,
ხვადებ დგებიან ტოტზედა, სისხლზე უცურავს ნალია;
წითლად შედებილ შუბები, — ომობს ყაზახის ჯარია.
- 25 თითო ნასრევი ოცსა კლავს გერმანის ზარბაზანია,
თერამეტ ფუთიანს ტყვიასა ჩვენ თავზე გააქვ ჩქამია.
მაღლიდან ჰაეროპლავნი, ტყვია სწვიმს, წყდება ჯარია,
გაწყვიტეს ღვიზიები, არ რჩება მეომარია,
სრუ სისხლით გადასვრილია გრანიცის არე-მარია.
- 30 გაბრაზდა გიანარალი, ჯარს მაუმატა ჯარია,
თან უკამანდრა ურავი, სროლის აღარ-ა ხანია.
„ახლა სჭირდების, ვაჟებო, ვაჟკაცსა მკლავის ჯანია.“
აფიცრებ კმლებით შაიბნეს, შტიკით სალდათის ჯარია,

დახკრეს დუხოი მუზიკა, ჯარს მუშმატეს ძალია.
35 სალდათი გერმანიისა ყონდად ეგების მკვდარია.
დაბრუნდი, გერმანიაო, შენის გატენის ხანია!
ბარაქალ კავკასის ჯარო! კარგ-ა თქვენ ნომარია!
კელთ იგდეს კაცი მრავალი, ის გერმანიის ჯარია,
პულემენტი და პატრონა, თოფი და ზარბაზანია.

—

40 ბევრ დარჩა გრანიცაზედა ვეფხვივით მეომარია,
ბევრ ვაჟი მძიმედ დაჭრილი, ბევრ უპატრონო მკვდარია.
ბევრა ინატრის მშველელსა, ბევრს ღგონდებიან ძმანია.
ზოგებს ეღირსა საფლავი, ზოგ ველზე რჩების მკვდარია,
ზოგ დარჩა ისეთ ალაგსა, კაცის ვერ ხედავს თვალა.
45 ბევრაის დედა ქვითინებს, ბევრს უტირიან დანია,
ბევრს გაუოკრდა სახლ-კარი, ბევრნ სამ-სამნ გაწყედეს ძმანია,
ბევრმ გაიძლოლა უნცროსი, ბევრა კელ-უყროდ მკვდარია.
ბრალი ას, ქევსურთ შვილებო, არ ჩინდას ნომარია!
ომი არ იყოს კმლებითა, აღარ ფარობდას ფარია!
50 არ ერჩეოდათ ცალკედა ვაჟები მეომარია!
აღარ იგების ნაცადი, მკვდარზე გადადის მკვდარია.
მშვიდობით, მშაველ-ქევსურნო, ვინც ცოცხალი ხართ ყმანია!
ვინც დაშჩით გრანიცაზედა, ღმერთმა გაცხონასთ მკვდარია!
თქვენ სახელ მუდამ იქნების, სისხლის აღინეთ წყალა.
55 ნუ დაიცილებთ, სწორებო, საც შაიყრებით ჯარია!
ღალიეთ შამანდობარი, ვინც ომში დაგჩათ მკვდარია!
გაწირეს თავის სამშობლო, ძმათ გაგვაყარეს მქარია.
მკვდარზე ნუ ჩახოლოთ, ყორნებო: მეომართათვი ბრალია!

—

60 რუსეთში ბესარიონი ამაგის მალექსარია.
გამამიარა ტყვიამა, მაგარ ხქონივა ქარია.
ვიამბე წარა-მარადა, არ-ა ლექსობის ფამია.
ორ მარკე შაწუხებული: ომში დაეწირენ ძმანია,
ველარ გავიგი ამბავი, წერილ მივსწერე სამია,
65 აღარ მიღ-მადის ფომტაი, მტერს უჭერან გზანია.
შივიში გადართულია რუსი-გერმანის ჯარია,
მუდამ დღეს ზარბაზნები სჭეხს, დის სისხლის ალაზანია.

468. წელწად-წუხრა გრანიცაზედ

- წელწად-შამაეს წუხრასა ლექსი უნდა ვთქვა ახალი.
საწყალო ბესარიონო, ხარ გრანიცაზედ დამრჩალი!
ველარტად ვნახე სწორები, ლუდი-არაყით დამთვრალი,
ჩვენდ ქვე სად არის დღეობა, ან ჯარი ჯვარში დამსხდარი?
- 5 ქუჩლების გრანიცაზედა ქვესურთ შვილების ლაშქარი.
ბევრ ვაჟ ას გულ-ჯავრიანი, აწ გრანიცაზედ დამრჩალი.
ჩივიან: „ყინავს ზატორსა, ცუდი დაგვიდგა ზამთარი.
„ორთ რარიგს დროებაშია? წელ გვითუნდების ახალი.“
დღეს ბევრის დედა იტირებს კერაის პირში მიმჯდარი.
- 10 ბევრაის ცხენი ჭიხვინებს, ტოტებზე დგების ქაჩალი,
ბევრაის სახლში ხკიდავის, პატრონს მაელის აბჯარი.
გამაგრდით, ქვესურთ შვილებო, აქსენეთ ღმერთი მაღალი!
იქნება კიდე გველირსას, ვნახათ სამშობლოს მთა-ბარი.
ამაგის მალექსებელსა წინ ბოთლა მიდგას ცამცამი,
- 15 არცა-რა მარტუაი ორ: ამხანიგი მყავ ქეთთარი.
ჯავრ მაგვდის ქვესურებზედა, უნდ დაუბარათ მართალი.
ბევრა ქვესურა აე-ჩაოს ახლა კორშაში დამთვრალი,
ბევრა ქალ ელის ძმობილსა, შინ ბოთლა უდგას ცამცამი.
გაგიწყურასთ გუდანის ჯვარი, ვინც ხართ ბოთლით დამთვრალი!
- 20 ვინაც ჩუმად სოთ ბოთლასა, ხართ გუდანურში ჩამძვრალი!
სრუ ჩაგეკოცასთ წაწლები, არ გაგიწირასთ ჭაჭანი!
გინება არვინ დაგვიწყათ, — ას სიმთვრალეში ნათქვამი,
ცუდ სიტყვა არავინ გვეკადრათ, არ შაგვიგინათ წაწალი!

469. სუალკაზედ

- გიორგიობის თვე დადგა, დილა გათენდა გრილია.
ახლა დაგითვლის ლექსებსა კალატოზაისშვილია.
-
- აქამდე იყო ზაფხული, აწ შამადგომის პირია.
ტყემა დაყარა ფათოლი, ჭალათ გაიბეს რთვილია.
- 5 მაღლიდან ცხვარი, საქონი დაბლა ჩამოდის, — თბილია.
იმღერენ მემცხვარეები, ვითომ დღეობის პირია.
-

კმა გატყლა მშავს და ქვესურეთ, არაგვი ჩამოგვივლია.
ქურდების არსენალშია თუშ-შმაველთ-ქვესურთ მზირია.
„ომში ნურავინ გავტყდებით!“ მაგარ შეაკარით პირია.
10 „ვინაც გავტყდებით და მოკვდეთ, სამოთხეც დაკვეთილია.“
როტინი კამანდირ გვეტყოდა: „ხვარვინ ხართ გატყეხილია?“
– „ქალ არავინ ვართ, – უთხარით, – ყველას ერთი გვაქვ პირია.“
მალედ ბრძანებას მოველით, როგორც ობოლი კვირია.

–
მოვიდა ტელეგრამაი, კემწიფის დაბეჭდილია:
15 „დაგვეშველენით, ქართველნო, ეხლა თქვენ დასთმით ძილია!
მტერ რაღაც გადმოგვესია: თურქი, ოსიფო გმირია.
მქარს მისჭერს გერმანიაი, ვილგელმა კარგის შვილია.
ათას ფერ საომრები აქვ გართული, როგორც სტივირია.“
ჩვენც შეუქციეთ მსახურთა სიტყვა რჩეულად ტკბილია:
20 „რას გემართლებს მკვდარ-მალლი? ღმერთმ გაუწყვიტას წილია!
ნუმც გამოლრიდებს შინითა სისხა და მუცლის ჭირია!
გაუწყდან ერთ კვირეესა ცოლი, ქალი და შვილია!
შენც ბევრის ცოლოში ჩაზღეგ. მამას ჩავიდნა ვირია!
ჩაგვეარენ სუალკაზედა, საცა გრანიციის პირია.
25 ათ ღლე და ღამე გვაღინენ, სამშობლო გაგვიწირია.

–
გავწირეთ ჩენი სამშობლო საამური და ტკბილია.
მამგონდას წუთის-სოფელი, გმინს გამიყვების გმინია.
სად-რა ხართ, ჩემებ სწორებო, სადა-რა გაქვისთ ღზინია?
ჩვენ ვსხვეართ პოზიციაზე, მიწა გვაქვ ამათხრილია.
30 მოვიდა შულამის ღროი, მოგვეკიდების ძილია.
მოველით გათუნებასა, ცამ რო გააღას პირია.

–
გათუნდაც, ნახეთ თვალითა ამოსავლეთის ჩდილია.
არცად-რა იყო ტყე-გორი, მინდორ ას ატკრეცილია.
ღურბინდით ცქერა დაიწყეს, მტერი სრუ მირგვალ გვლევია.
35 თან გვიკამანდრეს ურავი, თოფების ძგარა-ძგურია.
ზარბაზნის სროლა დაიწყეს, ტყვიამ დაღბადა სულია.
მინდორმ დაიწყა ცხროობა, პირს აგვეხვია მუნია.
მივდივართ, უნდა ვიძებნათ ათიათასის სულია.
არვინ ას ჩენი მქარეი ლეკი, თათარი, ურია.

- 40 ბევრ ვაშკაც დარჩა მინდორთა, აქვე პირი დაღებულა.
აიმ დროს მიაც მამარტყეს ტყვია, რუსულად პულა.
მეგონა შაშინებულსა: შუა გამიყვეს გულა.
ორი დღე-ღამეს იქ დავრჩი, წყალ კი ძალიან მწყურია.
მათარეს ილიენკაი, ცხენებით შაკმაზულია.
- 45 მემრ ჩამსვეს მაშინაშია, საფერქვეც გასაკვირია.

—

- მოვედით ბალინცაშია, ფარნებიც განთებულა.
ჩა ღუღდა სამოვარჩია, ლოგინიც დაგებულა.
ზედ დასახურიც მზად იყო, თავითიც დაღებულა.
ჯერ ზინა დამალეინეს, მემრ ჩაი დაშაქრულა.
- 50 მეორე დილა გათენდა, დაფიცხებულა წყლულა.
მოვიდეს სესტრიცეები, ჩემთვის შახვევა ღვულა.
შამხვიესა და ვერ შამკრეს, სისხლი მდის ალანდულა.
მაშინ ვთქვი: „დაბადებისა ე ჩემიმც დღეი კრულა!
სადიური ვარ? სად ვკედები? აქ რა მაქვე დაკარგულა?!“
- 55 მაგ ტანჯვას ვიყავ საბრალო, მთელი ვარ, ისევე სრულა.

—

თუ რას მეღექსეს იკითხავთ, მოსკოვში გამოთქმულა.
ქელჩი უჭერავ კალამი, საწერზე გადასმულა.
ქვესურეთს უნდა გახვგზაენა, კანვერტჩი გამაკრულა.

470. ეშმაკის მოგონილი

- თქვენც იყურეთ წინაჟმური, შედგენილი პოეტისა.
გამარჯვება, ძმა-კაცებო! მე მგზავრი ვარ შორი გზისა.
თუ მაისმენტ, მე გაამბობთ, — მინდორთ ომი წინა უმისა.
რამთენ კემწიფეებ ომობს, დრო მოვიდა სისხლის ღვრისა.
- 5 თავა პადრუჩკი დადიან, არ აქვე დარდი სალდათისა.
გერმანია ეუბნების: „ვარშავს პლანი ჩემკენ ჭრისა.
არ მამცემ, ძალი წაგართმევ, — აღვილია მამ-პაპისა.“
ჩვენ კემწიფემ უპასუხა: „მითხარ, დაეკითხე ვისა?
მე ვარ რუსის გასუდარი, ჭკვად მამყვანი ამყისა.
- 10 ჯარები მყავ მაგოდენა, რიცხვით ვერვინ დაითვლისა.
თუ არ სდგები, მე გიჩვენებ, როგორ შეხკმაზებენ ვირსა.“
გერმანიას ავსტრიაი ეხლავ მიეშველებისა,

- 15 გრანიცაზე ჯარებ უღვას, შატაკებას მაელისა.
თურქიც მაგას ეშველები, სიუზია სამის ძმისა.
გაქლა სამი ამხანიცი მტერი ჩვენის კემწიფისა.
გერმანელებს რა უნდოდა – შამოგდება ვარშავისა?
ავსტრიას ეგე ეგონა: „ღუბლონი მე დამჩებისა.“
არ დადგებიან თათრები, დაყრობ ღგულავ შავი ზღვისა.
- 20 ჩვენ კემწიფემ გაუგზავნა: „ესლა გაწყრა დედა ღეთისა.
მიაცა მყავ ქოფაქები, იმელი მაქვ დავლათისა.
არ იცნობთა ფრანცუზებსა? არ გეგონოთ თქვენი ჭკვიცა!
იაპონიის ჯარებიც თქვენ ადგილში გარმადისა,
გაამაგრა ცინდაი, ესლა მასვენებით ზისა.
თქვენთვი ყველა დაიფარა, დათვის სორო ძვირად ღირსა
- 25 არც-რა მე ვარ თქვენებური, თქვენთან ომი არა მწყინსა;
ძალიან არ შევსწუხდები, ფიქრი არ მაქვ შიმშილისა.
თუ გაჭირდა, მოვა ძალა შავი ხალხი თისის წყლისა,
მამივა ქართველთ ლაშქარი, ომ იციან ამლათისა.
მინდოროთ აგეთ ომ გამავა, მიწათ აადენენ კრილთა.
- 30 გერმანიავ, ამაციან! დიდი გაფთხილება გჭირსა.
შენ კი უთუოდ მოგაკლევდას, გაუფთხილდი ვერცხლის ღილ
რალა ბევრი მაგაკსენათ? შაიბნეს და ჯაკნი ქნისა.
არც ყოფილა, არც იქნების არც ანდერძი ამავისა.
ოთხთავ კუთხივ ზარბაზნები საზარავი მკვდარ-ძაღლისა.
- 35 აგეთი აქვ ყუმბარაი, როგორც ლახტი გმირებისა.
გამავიკლა პულიმეტი, მაგონილი ეშმაკისა,
ერთ მინუტის ხანაზედა ათას პატრონებს ცლისა.
საცა ზვლების სნარადი, ორ საჟანზე მიწას თხრისა.
ვისაც ზვლების, აღარ რჩების, სრუ თავ-ფეკი ად-ჩადისა.
- 40 წითლა შაღებნა მიწანი, წითლებ წყაროები დისა.
ბევრა კარგ ყმა მინდვრად დარჩა, გაქლა მონატური წყლისა,
აიწვეს და ვერ ადგების, გულზე ნატყვიარი სჭირსა.
მაგის დედამ რო გაიგას, ცრემლით ჩამაიბანს პირსა.
ოქრად დარჩეს ვინტოკაი! ერთ ნატყვიარ მეცა მჭირსა.
- 45 დავემინდე, რა მემელები? სირცხვილია ვამაკისა.

—

მელექისას რას გაიგებთ? ნათქვამია სალდათისა.
თუ ვინ ჩემზე ვეჭ მაილა, — მასმა მგულავ ატკაზისა.

471. სისხლის წვიმა

- ერთს კიდევ ვიტყვი სიტყვასა. მოდით, დამიგდეთ ყურია!
რომემნ ასტეხე ოინი? შენი სულიმცა კრულია!
არ მოგწყინდათა, ქართველნო, რუსთ მეფის სამსახურია?
კაც მაგათ კელში ნამყოფი სრუ დაწულ-დადაგულია.
- 5 ომში მიუდის სალდათი, იწვების დედის გულია.
დაწოლილს არ ეძინების, შვილი ხყავ დაკარგულია.
ცოდვიანი ხარ კემწიფე, სუყველას გადასულია,
სრუ ფეკზე გიდგას სალდათი, საომრა დამზადულია.
- 10 კელში უჭირავთ თოფები წვერზე ხიმტ-ჩამოცმულია,
წინ მიუძღვების აფიცერ წელზე კმალ-შემორტყმულია.
კამანდრებ უკამანდრებენ, რაც წესი სალდათურია.
გერმანიის ჯარზედა ქართველთ ზე-მისელა თქმულია.
მავიდა სისხლის წვიმაი, ნამდვილად გაგებულია, —
გრანიცებზედ მინდვრები სრუ სისხლით შადებულია.
-
- 15 ეხლა აქაურ გიამბათ, ამბავი ჩვენებულია:
მტერი აღვომას აპირობს, ოსმალოც დამზადულია.
ქევსურთა ახალგაზდანი სრუ რუსეთს გაკრეფილია.
ალარ გვაძლევენ თოფებსა, ზაზინაც დაკეტილია.
არშავიანებ ვიყიდათ, მივსცათ ხუთ-ხუთი ფურია!
- 20 ამზადეთ ტყვია-წამალი, ვისაც რო გაქვისთ ფულია.
აეხლა იქავ მაგვიდის წინა წესი და რჯულია.
ქირიმბ დაიწმინდების, რაც დროთა გაჟანგულია,
ფრანგულებ დაილესების, ზოგ ფხაზედ გაჩალხულია.
ვაჟნო, რად გინდათ ნაქონი ჩასაცემელ-დასახურია?
- 25 ან ვერცხლის დანა, სარტყლები, ან ქული ყაზახურია?
მზად გინდათ ტახტის თავითა კულჩაი გაბანდულია,
ხვადი ეზოჩი ნაბამი სრუ იდგას შაკაზმულია,
ჩქარობდას ხვადის პატრონი, საომრა დაჩაჩქნულია.
-
- ამაგის მალექსებელი სანების მაგანბურია.
30 კელში უჭირავ სურაი არაყით გაცამცმულია,
გადასომს სულ-უქცევრადა საქვეყნო სადღევრბელოა.
თქვენისა გამარჯვებისა, ლექს უთქვამს საზანდრულია.

472. მსოფლიო ომში დაჭრილი

ვაჟა-ფშაველა არ დაზღვეს ხალხს, რო აბუნტდა ღღესაო.
დაჯდა, გაშალა ქალღლი, დაიღვა წიგნი, სწერსაო;
დაჭრილიმც ყველა მარჩების, ღმერთიც მაუწერს კელსაო!
შაზძახან, ეშველებიან ხთიშვილნი თავის ყმებსაო.

- 5 თქვა: ვერ გაეაჭრევ არზასა, გოროდებ დაიკედაო.
დაოლნა! – მეუბნებიან, – თორ გერმანია გვერესაო.
წაგვართვა რამღვენ ქალაქი, ჩვენაც ვანებებთ გზებსაო.
არ ერქარების რუსებსა, ჯარებს ძალი აქვ ჩვენსაო.
ვინ ეტყვის გერმანიასა, ნიკალა გახვევს ცეფსაო,
10 გიტყუა, დაგიმორჩილა, აესაც მაგაყრის ღღესაო.
დაგიღვა, ვერე გაგრეკა, მემცხვარეებ რო ცხვრებსაო.
სა სწირავთ პაზიციასა, კელით ნათხარსა თქვენსაო?
დაოლნა, გერმანიო! ძალა აღარ აქვ შუესაო,
ცოტა ხან მაინც მადროე, ქალღლ მივსწერა ძმებსაო.
15 რა ხან არ მაუკითხავ არბაჩხნელ-ჩარგალელსაო.

473. წვრილას

აბეჩავ, ჩემო ძმობილო! ნეტა, სადა-რა წვესაო?
რას ქვეყანაში გავიდა, ქალღლდებს საით გეწერსაო?
სა ჩაიკაფრე, მკვეხარო? მე იმელს ვიყავ შენსაო.
ველარცა ვნახე გასული თიბის საშშაბათს ღღესაო.
5 მოკლე ბერღენკა გასწირე, ჯანგ კვიღების წვერსაო.
მასწირენ სანადირონი, ვინა-ღ გაიღებს გზებსაო?
ვინა-ღ აწვალებს ჯიკეებსა მალლა საქარის წვერსაო?
შენ სანადიროთ, წვრილაო, ჩვენ ვეღარ მავხყრით კელსაო,
ვერ ვხვევებით სიმაგრეშია, – ჯიკეებ სულ-ფონა წვესაო.
10 ურჯულოს ეღე ძალზედა, ტერღას სთესებღი ჯერსაო.
ამბავი შამავარღების, ვინა-ღ დაუხვღას მტერსაო?

—

ამაგის მალექსებელი ამააფხაებს ცელსაო;
მქართა მძე ქისტისეული, მზე რა მავიღას, ელსაო.
მტერ კი რას გამამჩებოღა, ღროს თუ შამავხვღი ჩემსაო?

474. სიკვდილი ფრონტზე

- ომ იქნა სათათრეშია, დილა ბინდ თენდებისაო.
არ გარჩეულა ლიშანი, ჭექა დგას ზარბაზნისაო,
მოციქულობენ ტყვიანი, ცეცხლს შლიან ბინდის პირსაო,
კუმბარათ მააქე ჭყმუტუნი. გულო, სძალ მეომრისაო!
- 5 „ქვე რა კა დილა თენდების!“ ბევრ ვაჟ აყოლებს გმინსაო.
ბევრი წევს სისხლის მორევში, გულს ნატყვიარი სჭირსაო.
საომრად თათრის შვილებსა ცდა ჯიშად მაუღისაო;
წამადგეს გრანიცაზედა თოფებითა და კმლითაო,
შამეხვიენეს რუსეთსა, თოფი სჭეხს, ტყვია წვიმსაო.
- 10 აფიცრებ ჯარებს ეძახან: „უშველეთ თავსა! ჭირსაო.“
რაც იყო რუსის ლაშქარი, სრუ უკენ ბრუნდებისაო.
მარტუა მანგიაშვილი თათრის სანგლებში ზისაო,
შაუკრა კარი თათრებსა, დაიდვა ფერი მგლისაო.
„ერთი დღე დაბადებისა, მეორე სიკვდილისაო;
- 15 მამკლან, თუ მამკლენ თათრები, სახელ ზო დარჩებისაო!
რაი-ღ ბერდიშვილ ვიქნები, თუ ჯაფრი ეჭამო მტრისაო?“
თოფს ისრეეს შილინდებურად, თათრებ ერთმანეთს თრისაო.
ყეფით ჩადიან ყორნები, ძღებიან სისხლის სმითაო,
შენს ნაკოცს, მანგიაშვილო, მინდორთ ითრევენ მწკლითაო.
- 20 პატრონა გაუთავდების, ახლა დაბრუნვა ჭირსაო.
ამანდით გამაბრუნვილმა მუკლი მაიბა მგლისაო.
მაზღევენ თათრის შვილები, ჭეხა დგას თოფებისაო.
ჯარს ეძახს თათრის უფროსი: „დახკარით! საქმე ჭირსაო, —
მარტუამ რუსის სალდათმა გაგვანახვერნა ცდითაო.
- 25 თაოდ დაბრუნდა ცოცხალი, ჩვენგან კი არა სჭირსაო.“
მაურთეს ფულიმიოტი, ტყვიას ტყვიაში სთხრისაო.
ქვა-კლდეთ ნათოზი წვრილასა ზე თავზე გადასდისაო.
ჭაუხთას გამაუფრინდა მინინო კივილითაო:
„ნუ მამდეეთ, თათრის შვილებო! მე გავე მშვიდობითაო.“
- 30 აფიცრებ ეუბნებიან: „ღირსი ხარ ჯვარ-მედლისაო.“

—
მეორე დილა მასთხოვა გრანიცა ავსტრიისაო.
თორმეტ დღე-ღამე იარა საომრად რკინის გზითაო.
იომა სამ დღე-ღამესა, ძღებოდა სისხლის სმითაო.
მეოთხე დილა თენდების. დავლათი აღარ ჭრისაო.

- 35 მტერმაც ვერ იცის, წერილად, მკოცელო ბევრასაო,
 ბრალ კია შენი სიკვდილი, სიმაგრევე არხოტისაო!
 შურის საძებრად იმედო თავისისა და სხვისაო!
 ნუ დაგცილდები[ს]თ, სწორებო, ნაცადი ვაშაკისაო!
 დალიეთ შამანდობარი, ჯარი რა დასხდათ სმისაო!
 40 მშვიდობით, არხოტიონო, შე ანგელოზო ცისაო,
 სწორთ მეტობაზე მამკედარო, არწივო სალის კლდისაო!

კობა ცისკარაული
 475.

- რუსეთით იწერებიან: „ზღვა ლელავს, იქნევს პირსაო,
 იბრუნებს პარახოტებსა, წყალი ივსების მკედრითაო,
 დაბუგვა გაუბედავის რუსეთის მიწა-წყლისაო.“
 იწყინა რუსთ კემწიფემა მიჯნას გადმოსვლა მტრისაო,
 5 გაგზავნა ტელეგრამაი, ჯარ მათხოვა მთისაო:
 „მიშველეთ, მშველ-კეესურნო, თუშნო, ნაქებნო კმლითაო!“
 ქალაქი მაუვლენავ ფუნჩათ დავითის შეილსაო.
 კობაი ცისკარაული აფიცრებს უყრის პირსაო:
 „ჩვენ კი რად გვინდა პრიკაზი, ბძანება კემწიფისაო?
 10 ან აპელანტრებ რად გვინდა? ჩვენ მოკვდათ, არა გვიშაო.
 ჯარს გამოძლოლილს ამბობენ გერმანელთ ნეფის შვილსაო.
 ან პლენათ გამოვიყვანათ, ან დავსცათ მეზი ცისაო!“

—

- თაოდ გაუძღვა ჯარებსა, ფეკჩი დაიძრა მიწაო.
 გარდუღის გრანიცაზედა ჯარი ქორ-შავარდნისაო.
 15 ამბობდა ცისკარაული: „მისვლა მეწადა კმლითაო.“
 ჯარიც არ ეტყვის უარსა, „ჭირიმე წინამძღვრისაო!“
 ათამაშებდა ფრანგულსა, ტანად ლერწამი ზღვისაო.
 ეფინებოდა ზღვის პირთა შუქი ნალესის კმლისაო.
 გარდადის კაცის თავ-ფეკნი, როგორც ფათოლი ტყისაო.
 20 მარტყეს გერმანელებმაც, ნაჭოჭ გაიღა ძვლისაო.
 ალვის ხესავით შამაწვა, არ ამავადებს გმინსაო.
 თელამ იმგვლია ქალაქმა, ბრიალ დგას აღმებისაო.
 დაგზავნეს ტელეგრამაი, სახელ-გვარ კობაისაო.
 იწყინეს კემწიფიანთა სიკვდილი ფალაენისაო.

- 25 მალოდინ ნულარ გეჭებისტ, ფუნჩანო, კობაისაო,
აღარ მაგივასთ კობაი, დარჩა გრანიციის პირსაო.
მაკითხვა აღარ მაგივა, ძმაო, ნაწერი ძმისაო.
ერთგან მოფარგლეს საფლავი თორმეტის აფიცრისაო.
ზედ გადახურეს სპილენძი, ნამიც ნუ ჩავა წყლისაო.
- 30 სიმირგვლივ შამაუელიეს გალავან ზარბაზნისაო.
ოცდა-მესამე დღეია კობაის ომობისაო.
ეჭირა სისხლჩი გასერილი კელჩი ნატეხი კმლისაო,
მარცხენას კელჩი ნაგანი, მამკლავი ბევრაისაო.
-

- 35 ზოგ რასამ გონთით გამავა, ქება ვერ ვიცი ძმისაო.
წინავაც კარგი კმა ხქონდა ფუნჩათ დავითის შვილსაო.
რო გრანიცაზედ გავიდა, ვერ იყო ოცის წლისაო.

476.

- რუსეთში რა ამბავია? ცოდო-ბრალი დგას ღითთაო.
ვინ კვდების გრანიცაზედა ვაშკაცი ოცის წლისაო?
ვის სჩების უპატრონოდა ჩინები აფიცრისაო?
ვინ იქნის ჯვარსა, მერდალსა, რო ვიანარღებ სტირსაო?
- 5 ვის უდგმენ ვერცხლის კუბოსა, ზედ რო რთვენ ოქროს ჯვრითაო?
იქნების ცისკარაული, ლალი არწივი მთისაო.
ბრალია, დავითიშვილო, მიწას გითხრიდან გრილსაო,
სამშობლოს ეთხოვებოდა, შე ფალავანო მთისაო!
თქვენ, გერმანიის ლაშქარნო, ძალი გავიწყრასთ ღთისაო!
- 10 თქვენ მაგივკალით კობაი, ნაპირ დაგვეცით ცისაო.
მინდა რო მეთქვა, — ვერ ვიტყვი, — საფერი კაის ყმისაო.
-

- მავიდა გერმანიი, მოდგა გრანიციის პირსაო,
ემუქარების რუსეთსა, ჯარ მძიმე მაუღისაო.
აქ რუსის ვიანარღები, ყამი არა აქეს მტრისაო.
- 15 დაუახლოვდეს ერთუცსა, ძალი აქსენეს ღთისაო,
შაინენს შუა-დღის დროსა, ჭეხა დგას ზარბაზნისაო.
ჯარებ ერთუცში მივიდა შტიკებითა და კმლითაო,
დახკრეს დუხრი მუზიკა, წესი ას რუსებისაო.
კმლით ომობს ცისკარაული, არწივი მაღლის მთისაო,

- 20 მამად მუდის სახელი, რაქე ლამაზად ცდისაო!
კამანდრობს თავის ლაშქართა, წინ მიუძღვების კმლითაო,
მიხკივის გერმანიელთა, ეგების ყონდი მკვდრისაო,
არ ღრიდებს მტერთა ტყვიასა, მგლებურ იბრუნებს პირსაო.
„მაყვეით, ჩემო ლაშქარო, ვისაც გული გაქთ ცდისაო!“
- 25 შამახვივა მირგვლივა ჯარი ნაკოცი მკვდრისაო.
არ ტყდების გერმანიია, ჯარ ჯარზე მუდისაო,
ყველენით ზარბაზნებს ისრევენ, თოფი სჭენს, ტყვია წვიმსაო.
იაკობ ცისკარაულსა ტყვია დაგვიკრეს გმირსაო.
ჭეხა დაიწყა ზეცამა, იტყვი — „გვეცემის ძირსაო,“
- 30 ატირდა ღელა-მიწაი, იხევის, ალებს პირსაო,
იწყინა მზემა, დაბნელდა, მასკვლაევი ჩამადისაო,
იგვლევენ გიანარლები, ჯარი სტირს აფიცრისაო,
გაიგეს თავადისშვილთა, ცრემლით იბანენ პირსაო.
ყველა მისტირის მოყმესა, ცოდო-ბრალი დგას ხოთითაო,
- 35 ყველაის საწყინარია სიკვდილი კაის ყმისაო,
ეგრე უღროვოდ დაკარგვა ოცის წლის აფიცრისაო.

—

- აწ მაკვდა მთელი არხვატი, მაღლა წვერები სტირსაო.
აღარ ხყავ ცისკარაული, სიმაგრე არხოტისაო.
ვინ გაგვიძღვების ლაშქართა, რა ძალ დაგეადგას მტრისაო?
40 გმირო, სად მიხლო, კობაო, ბრალ აღარ გაქვა ძმისაო?
ახლა დიმიტრიმ რაი ქნას, ვინ დაიყენას მკრითაო?
ვისა-ლ უამბას ამბავი: „ძმას იმედი აქვ ძმისაო?“
დამ რო გაიგა საწყალმა, ნაჭკან ჩამუდის თმისაო.
ღელ-მამან არას დაზღვევენ, არას ხყვარობდეს შვილსაო.

—

- 45 სულეთ შავიდა კობაი კელში შიშველა კმლითაო.
წინ დახვდა ჯარი დამსხდარი ის თავის ნაკოცისაო.
წამაეგება მოყმესა ვაჟები წინა-ჟმისაო,
ის ქირჩლა ბაბურაული ეხვევის, ზკოცნის პირსაო:
„აეგრ ვიციოდით წინათა, ეკოციდით ლაშქართა კმლითაო.“
- 50 სათავეს გადააკდინეს, ოქროს სკამს უღემენ გმირსაო.
ხკითხვენ ომობის საქმესა: „ამბავ გვიამბე ცდისაო!“

—

თუ მახკვედ, ღმერთმა გაცხონას, გულადად ბასრო ქვისაო!
წინ გაიძლოლე ჯარები, ჯავრი არ სჭამე მტრისაო.

- 55 შენ სახელ მუდამ იქნების, ტყვიათ ეომე კმლითაო.
მშვიდობით, ცისკარაულო, შე ანგელოზო ცისაო,
სახელისათვი მამკვლარო, გადგება სვეტი ზთისაო.

ამაგ სიტყვების მათქვამი ვიყავ გრანიცის პირსაო,
ვხედევდი ჩემი თვალითა, ჯარს რო მისთობდა კმლითაო.

477. მსოფლიო ომის დროს, 1914-15 წწ. დაკოცილი არხოტივნები

- ოკერო წუთისოფელო, მიზღიხარ ნელა-ნელაო.
ჯერ ისრევ ღამე ბნელია, ზარბაზანთ იწყეს კველაო.
კუმბარათ მათქეთ ჭყმუტუნი, ჯარს გვეძახს: „მაგასწვერაო;
5 ნუ მიმაგრდებით, ლაშქარნო, ბევრა სხვა გამითულაო,
მოვდივარ შეწუხებულნი, პაერში მოვიმღერაო,
ხანღხან ერთმანეთს შევხვდებით, რკინათ გაგვაქვის უღერაო.“
რად სტირი, ერთის დედაო? რად იცი გულის ძგერაო?
არ დაივიწყა შვილისა მალ-მალ მკლავების ზელაო.
სხვანიცა-ღ მაიგონნიდი! ტირის ბევრის კერაო.
10 ბერმ სამის შეილის დედამა კარ უკან გამაზღვენაო.
(*ეგ ომში ნაუბარია, ეხლა სხვან მავაბენაო*)
მეხუთეს წელში ფანდურსა ლარნ ქვე ძლივ ჩაუსხენაო.
დროებამ ჩამამიარა, გულს აღარ მიზღის ღხენაო;
ოროლ ჩვენც გვაკლავ ვაუკაცი.; უკაცურთ გემართებს მღერაო.
15 ძმარ თათუავ, სად დამრჩი? მემრ გიგივ, სვილის ფერაო?
ნაცადი მამ-პაპურადა თქვენი გრანიცას სწერაო.
მტრისად მიმყოლებს ვაუებსა სხვასაც ეგ მაუქელაო.
ოთხ თვეს იომე, თათუავ, ვალ არ შავირჩა ბევრაო;
„ღირსი ორ სიკვდილისაი“. — რო დახკერეს, ჩაიკველაო, —
20 „ჩემის ვინტოკის ტყვიამა მტერი ბევრ გამათულაო.“
გვერდს გელგა ნაროზაული, სხვა კერეინ მაგეშველაო.
არწიემ გათხარა საფლავი, სიზღერით ჩაგასვენაო.
რა მარჯვეი ას, ვაუებოთ, მკედრის ამხანიგის ცქერაო,
მემრ თავის კელით დამარხვა, საფლავეში გადაწვენაო!
25 „მშვიდობით, ძმარ!“ ეტყოდა, ცრემლმ იწყა ჩამადენაო.
„შენ კი დავმარხე, გაბურო, მე იქნებ დავრჩა ველაო.“

- მემრ მიუბრუნდა ლაშქართა, ვინტოვკა გააცხელაო.
ამლაში, მანგიაშვილო, ჭაუხებმ დაისვენაო.
ჯიკვთა, სიმაგრეს ნადგომთა, ველარცად მასწევრაო.
30 რად სწევხარ ავსტრიაშია? „მოვას“, – მოგელის ყველაო.
შენ გაგიტყუეს ოშშია, ურჯულომ მაგვიწვერაო.
ჩუნთიავ, კირჩლაის შვილო, გულ-რკინავ, მშაველის ფერაო,
შენ სიმამაცე, გრანჯაო, სათათრის ფრონტზე სწერაო.
თქვენებს საფლავეებს, ვაუებოთ, შზის შუქ სადა-რა ხვენაო!
35 შეგამკობსთ დილის ნიავი, ია-ვარდთ ამადენაო.
მამეტებულად წერილასა გულს დარდი აწევს ბევრაო.
ინატრის არხოტიონი: „სამს დღესამც გამამთელაო,
დამალაკეივა ქისტეთი, მემრ მამკლა, დამასვენაო!“
ნუ ასჩარდები, წერილაო, ხან არ გასულა ბევრაო.
40 შურის საქებრად მგლის ლეკვთა სველოდ უდგას ღრენაო.
შასწირეს ოროლ-სამ-სამი ღელღველი ჰირ-შიშველაო.
ვაშკაცს არ ხედების, ვაუებოთ, თემ-წყალში თავის ჩენაო,
სოფელში სიმამაცეი, ურქო ფურივით ბღევრაო.
ვინაც ას დედის გაზდილი, უყვარს წვერებზე მღერაო,
45 რჯულიან-ურჯულშია არ დავა თვე-შიშველაო.
შურის საქებრად მოყმემა გრანიცა გადახენაო,
წვერი-წვერ ჩაითამაშა, წრიაპებ ჩააჟღერაო.
თოფ დახკრა, ხანჯრით ჩავიდა, მტერს ეძახს: „წახვალ ვერაო!“
სისხლსა სომს, გამაბრუნდების, თავს ეტყვის: „დავითვერაო.“
50 მთიდიმთი შამაბონობს არწივი მქარ-ტიტველაო.
არ მალგონდების მღევარი, არ იცის უკენ ცქერაო.
ეგ თქვენის გამარჯვებისა, ვისაც რო მოგწონსთ ღხენაო.
ამხიარულებთ ერთ-სხვასა, გიყვარსთ ბერების სმენაო.
გამხიარულდით, სწორებოთ, დიდი და ცოტა, ყველაო!
55 დრო გაატარეთ, არაყი დალიეთ ნელა-ნელაო!
წუთისოფელში ვაშკაცსა დიდ-ხანს არ აქვის ღხენაო;
დრომ მარჯვედ იცის, მოვალის სისხლის ნიაღერის დენაო.
არ-გონებაში წაიღებს ვაშკაცს ბუდი და წერაო.

- ჭიმლაში ბესარიონი ამაგ ლექსაის მიქმელაო.
60 ვინ-გინდმ კვენაში ჩამიგდათ, ყველას სიმართლით ვსწერაო.
ჩებთა მამ-პაათ ჭირიმე! მიყვარს მე იმათ სმენაო.
სახელიანებს საფლავეებს გულ-დიდად გადავსცქერაო.

478. ომისაი და ცდისაი

- ლექსებ თუ გინდათ, მოხკითხეთ ძუგარას მშავლის შვილსაო!
უნდა მოვბეჭდო ლექსები ომისაი და ცდისაო.
პოლიცელების ამბავი, პრიკაზი მოგვიდისაო,
ქალღმერთი შეგვატყობიეს ამბავი რუსეთისაო.
- 5 შიგ დაგვიწერეს: „გვიჭერავ მიჯნაი გერმანისაო.
სრუ აიქ გადაგვაყენეს ჯარები ქვესურისაო.
დღეს კი ისრევ ორთ ცოცხლები, ხვალისა არ ვიცითაო.
ომ მაგვიკლების აგეთი, სისხლის წყალ გაივლისაო.“
- 10 ზოგს კი კმაიც კლავს სალდათსა თოფისა, ზარბაზნისაო.
ზოგს კი ვერა კლავს ტყვიანი, ალბად გულ უძე ქვისაო.
გვაშინებს გასაოკრები ერიპლავნები ცისაო.
ჰერზედ გაატარებენ, ბომბები გარმადისაო.
-
- თავ მავანებთ რუსეთსა, ვიამბათ ჩვენის მთისაო.
ოკერი ჩენი ადგილი სათავეს იყო წყლისაო.
- 15 სრუ ყველგნით გადმოსაკელი, ყველკან გზაია მტრისაო.
ახლა დათოვა წვერები, გაჩერდა ომი მთისაო.
ცოტახან მოკდა შაბაში ჩენი და ქისტებისაო
გაზაფხულისა მოგვივლენ ე ხალხი გრანიცისაო,
რუსეთი გადაფანტული, მალლა დაზდილი მთისაო.
-
- 20 ჩვენა წაგვისხეს კარები, გადავლა ღეულავ მთისაო.
შულამის დროზედ გაწირეს ჩვენის ადგილის მიჯნაო.
„სამშვიდობოს გავედითავ, ახლა აღარა გვიშაო.“
კმა გატყდა ნელა ხანჩია, ხანი ას შუადლისაო.
მზე დადგა შუას ცაზედა, წითლად გამოხფენს პირსაო.
- 25 შაჩქარდეს შავნი არწიენი, შავნი და შავის კლდისაო.
მთაზე შაკდეს, იძიეს, მოკელეს კვალი მტრისაო.
ქისტების გადაკვალული, გათუთრებული ქვიშაო.
გამაემართნეს კვალზედა, რო ლემადეი ცისაო.
თავის სალოცავ გამოხყვა, ჩამობოინდა ცითაო.
- 30 გადაიარეს წვერები ქოთითა, სიცილითაო.
მადის და მადის მდევარი, ოფლით მაიბანს პირსაო.

- მე წინ-წინაზე მეგონა: თბე დაიშალა კლდისაო.
 გულ მაკვდა, მუკლი მამეჭრა, უნდა დაებრუნდა გზითაო.
 არ შააშინათ, ძაღლებო, მდეკარი თოფის კლითაო,
 35 არ დააბრუნათ უკულმა შამქდარი წვერის ძირსაო!
 ბისნას გაკურდა კორწილი, ტომის კმა გამადისაო.
 აქით ჩვენ, იქით ქისტებმა, ბობინ დვას თოფებისაო.
 დაჯაერებულეებ ვაყები დაიბრუნებენ პირსაო.
 „ჩვენის საქონის გულისად ჩვენც მოვკვდათ, არა გვიშავო.
 40 მანამდე უნდა მივზღიათ, მანამ კვალია მტრისაო.
 ჩვენ ავათავათ ანდრეზი იმ წინას მამ-პაპისაო.
 ჩვენ თოფით როგორ ვერ მოვხკლავთ? იმათ უქოცავ კმლითაო.
 საესე ყოფილას ღიღღოი იმათ ნაკოცის მკედრითაო.“

—

- ეგ თქვენის გამარჯვებისა, თქვენის თოფისა, კმლისაო!
 45 თქვენ სახელ არ მაიწყინათ, გაჯაერებაი მტრისაო!
 მე ქება არ მამწყინდების, მე ვიცი ლექსის თქმისაო.

479. ნიკალას დაცემა

- დროება გამოიცვალა, კაცი სრუ ყველა ხკვირსაო,
 რუსეთით მოდის ამბავი: „ნიკალა დასცეს ძირსაო.“
 ბევრის ცოდვისა ამტანო, მშობელ გაგიწყრა ხთისაო!
 5 გეწია ცოდო ქართლისა, ცოდ ნაწოლი გყავ სხვისაო.
 ომი წააგე, დაგემქევა სამეფო ეშმაკისაო,
 ჩვენ რაღას გვემართლებოდი, კემწიფევე დიაცისაო?
 თუშნო, კეესურნო, ქართველნო, გავლა გამართებდეთ გზისაო,
 წავიდეთ ქალაქისაკენ, შევლა იქ უნდა ძმებსაო.
 უცხო რად გვინდა ბატონი ადგილსა ქართველისაო?
 10 პირ დგება გაზაფხულისა, შრომა არხოტის მთისაო,
 საზღვრით მუქარა მავიდა: ოსმალ აგროვებს ჯარსაო,
 რუსობა დამარცხებული მიუდის თავის კარსაო.
 არიქათ, კეესურთ შვილებო! თორ საქმე მარკე ჭირსაო,
 ამზადეთ თოფ-იარაღი, პატრონა ვარშავისაო.
 15 წინავაც გვიბრუნებია ლაშქარი მრავალ მტრისაო.
 სცოდნია ჩვენ მამა-პაპათ კმარება ხანჯრებისაო.

480. თვითმპყრობელობის დამკობა

გერმანელებ შამოებნეს ნიკალას მაგ რუსის შვილსა,
საომრები გამუგონეს, მანქანები ეშმაკისა.

მაღლა ჰაეროპლანები ცის ღრუბლებში მიღ-მოდისა,
ზღვაში სომალდებ ჩაუშვეს, მაგრამ თვალით არა ჩინსა,
5 ქალაქები გამოართვა, ციხე-სიმაგრეებს შლისა.

წინ მაკენზენ გაუძღვების, დიდო მუხავ, გითხრის ძირსა.
ცალ მკარეს კი მოგიტხარა, ვიცი, გვერდზე გადაგხრისა.
მემრე დაბლა დაეცეში, როცა ფესვებს დაგაჭრისა.

ათას კილოზედ მოგექცა, საომარში გამოგცდისა.

10 წინ მაიწვეს გერმანელებ, უკან აღარ ბრუნდებისა.
ჩარხ უკულმ გადაგიბრუნდა, თავზედ გადაგა რისხვა ღვთისა.
მაგრად ბორკილით ჩაგჭედეს ეგ მპყრობელი რუსეთისა,
მემრე ცოლ-შვილ დაგიტყვევეს, ცოლო გიწვეს ჩვენ ქვეყნისა.
შენ შენი სიაგაკეი სუ მუდამ წინ გიძღვებისა.

15 შენ' არც ტკბილ გეინდა, არც მწარე, ფიცი გვწამ და ბოლო ჩინსა.
გულ მოგვიკალ, მუკლი მოგვჭერ, სისხლი გამოგვიშრებისა.
ღმერთო, რად არ გაგვიცოცხლებ ერეკლეს, იმ წინას გმირსა?

ამოდევ, დიდო ბატონო, შენი საქმე კარგად ჩინსა,
ქართველთ გული, შენზედ წყლული, შენ გიგონებს, შენზე სტირისა.

20 სულ-კორცამდენ გაგვატყავეს შენნი ყმანი ერეკლისა,
ყორნების საჭმელად გავკვლით ყმანი მძლავრის არწივისა.
ეხლაც ქებით გიქსენიებთ ქვესურები, ხალხი მთისა.

ბ) სტუმარ-მასპინძლობა

481. ქოში წითელი

მასპინძელ კარგა მასპინძლობს გულითა მხიარულითა;
ქოში წითელი გაცვითა სუფრაზე სიარულითა.

482. ძლივ სამ

კმა მადის მასპინძლობისა, ძლივ სამ შავედით შინაო;
ასი სკამს ეჯდა სტუმარი, ორასი დაეწვინაო;
თავად სკამს იჯდა, ფეკს უცემს, ლომს არა მეეწვინაო.

483. წინად და ეხლა

მე აქა მასელა არა ეთქვი, მაძოვა ამ ბალახისა,
აეხლად წასვლა არ მწადის, გაწირვა ამ ქალაქისა.

484. რა იყოს და რა არა

მასელამც ქნა კათა სტუმართა, შინ წასვლა წესიმც არ იყვა!
ან დგომა შავის ლუდისა, გათაუებაიმც არ იყვა!
სიცოცხლე თქვენ-კვალისა, სიკვდილი წესიმც არ იყვა!

485. რაში რას

სასტუმრიელო მზეს ღვეიხართ, სამასპინძლოდა მთვარესა;
დასატიებლად მტრისადა ქვას ღვეიხართ მგორიალესა;
ადვილა გასაგერშავად მგელს ღვეიხართ მორიალესა.

486. სასტუმროდ და სამასპინძლოდ

თქვენ ჩვენად რამ ჩამოგყარნათ, არწივნო ლაღნო მთისანო?
სასტუმროდ ღვეიხართ მთვარესა, მასპინძლად შუქნო მზისანო.

487. სპილონი

დასხდებით, ანგელოზნი ხართ, ზედ შუქნი დაგადგებიანთ.
აზდგებით, ალვის ხეს ღვეიხართ, თვალნი ვერ ამოგწვდებიანთ.
სპილონი ხართ მკლავის ჯანითა, სწორნი თხლად დაგიდგებიანთ.

488. ზერდაგი

შინ წახოლოთ, კანო სტუმარნო, გაიპარებით დილითა,
თან გაიყოლებთ ზერდაგსა, ნაკეებსა თივა-ქვრითა.

489. უსტუმროდ

სტუმრებო, სტუმრების მზესა, უსტუმროდ არ-ა ლხინია.
უსტუმროდ პური, სასმელი მწარი ას, არ-ა ტკბილია.

490. ბარაქა

ვის მასწონს პური, სასმელი, უსტუმროდ ნუმც იამება!
სტუმარ რო მავა და წავა, სახლს კი ბარაქა დაშჩება.

491. ქორთა სადილი

ქორთა სადილზე შვედით, – ქორნი სხენ სადილზედაო;
დაურიგებაჲ კათხები, ღვინოს სმენ წადინზედაო;
პური საჭმელად არ აკლავთ, ცხვარს დახკვლენ სადილზედაო.

492. შაჩევა

ეს სახლი შაჩეულია შასმასა, შამღერნებასა;
ამ სახლის დიასახლისი – სტუმართა მასპინძლობასა;
ამ სახლის მამასახლისი – ლაშქართა წინამძღვრობასა.

493. ძველი ტალავარი

გეტყობისთ მამაცობაი, წარჩევთ ფალავანსაო;
სტუმარსა კარგა დახვდებით, შორაით მამავალსაო;
არ იცით ამპარტიენობა, ძველს იცომა ტალავარსაო.

494. ორსავე

ადულებს ბედიანაი ქერსა და სვესა, – ორსავე.
აქსენებს ბედიანაი ჯვარსა და ღმერთსა, – ორსავე.
აწვედა ბედიანაი მტერსა, მაკეთეს, – ორსავე.

495. მძიმენი

მძიმენ ხართ, მძიმედ დასხდებით, შუქ დაგადგებისთ შზისაო;
ტაბლა გაქვთ გაუცულები, ქორც გიგავთ ვაც-ვერძისაო;
თასსა აიქისკ გაიღებთ, საცა ჩემ-კვალა ზისაო;
აიქისკ ბიჯი დაგეძვრისთ, საც იძახებენ „ჭირსა“–ო.

496. შენ და ჩვენ

შასმა შენ გინდა ღვინისა, – შენ უფრო შახკრავ საგანსა.
ჩვენ პურის ჭამა რად გვინდა? მშვილდს ვერ დაუძრავთ საბამსა.

497. გძელი ღზინი

თქვენთან მეწადა, არწივრო, სმა-ჭამა, ღზინი გძელია.
რა დაღვას უღარობაი, დამაფარნიღით თბენია.

498. ლუღოვეთი

მე ლუღოვეთით გამავედ, აქ უფრო ბვერი მღვარაო;
უკეთ-უკეთე სტუმარი ყველა თქვენს სკამზე მსზღარაო;
გკოლნივთ კაი ნამუსი, ხალხი აიმიო მთვრალაო.

499. ჭაჭანაისძე

ღვინოვ შენ ჭაჭანაისძევ, უცეცხლოდ ამაზღულდები,
ჭკვიანთაი ხარ სასმელი, უჭკოთან ამაშულდდები.

500. პურ-ძვირი

ავეთისას კი ნუ მიხვალ, მასპინძელს გული სტკიოდეს;
სტუმრისა შასმულ-შაჭმულსა ცოლი ქმარს შამასჩიოდეს.

501. ძე

ცხვარი დავწველე მინდორში, სუ შავის ცხვრისა რძე არი.
თქვენიმც ძე ნუ დაიღვეის, სანამ ე ცა და მზე არი!

502. დიასახლისი

შავაქათ დიასახლისი ქუჯათ ნანაის ოღნადა!
ამაგის დამცხვარს საგძალნი შავ-წყალ დაფასნეს სამ ცხვრადა.

503. პურადი და მამაცო

არშის თავს ვეფხვი ღავკოდე, სამჯერ საომრად მეტია.
პურადი კაცი მამაცზე სამის გაფრენით მეტია.

504. პურადობა და მამაცობა

არა ას მამაცობაი, – შარას გზასავით გაცვდება.
„ერთის დღის ბარაქელაო, კარგა ზქენ, კელიმც შაგჩება!“
კარგი ას პურადობაი, უნჯია, შეილსაც დაშჩება.
პურადის კაცის ჭირიმე! შორითავ გაიცინებლა.

ბ) ნადირობა

505. მოყმეთ

მოყმეთ რად გეხალიზებისთ მალლა გამაველა მთებისა,
ჩაკოცა შუნ-ჯიკეებისა, გირჯა ჩაწყობა რქებისა?

ჯიკვს

506.

ჯიკვო, გუნებით მიიმეო, კლდიდამ რამ გამაგიყვანა?
ვაყკაცმა პირ-შიშველამა სათავე წამაგაიარა;
შშვილდმა მაგ შენი რქისამა ღაგჭუნა, ღაგათხრიალა;
ისარმა კილო-წითელმა ილღია გამაგაიარა;
5 გულს მაგხვდა, მუქლსა გიწივა, მუქლ ღადგა, ველარ იარა.

507.

ჯიკვო საჯიკვის გორზედა, გასწიე, თორე თენდება,
გზას გიზის მენადირეი, სიცივისაგან კერდება.
ჯერ ვერ ას გათენებული, ნისლის კოტორი დაგედვა,
მაგრიდეს ნისლის კოტორთა, ცეცხლის გირკალი მაგება.

508. ლაბერდის ეხი

ლაბერდის ეხო კლდის ფეკში, ჯიკეების სისხლით მასერილო,
მაგიედ მენადირეი, ჯიკეის ბარგმ ზურგი მატკივნო.
ორ მარკედ პურ-მამშეული, ახლა უნდ შავწვა მწვალები.
დადეგი-ლ, კორცო, შამფურზე! შენ რასა-ლ ცეცხლში ღვარდები?

509. საკარის მთა

ბეერამ ბიჭმ გარმაგაარა, საკარის მთაო მაღალო!
ჯიკეების მუქარაზედა ბეერმ ცის-პირ-ქერის დროს დაგვალო,
თოფის ემა გაყურებივა, კირიმის კვამლით დაგფარო.
ბეერამ ვაჟმ იანვარშია, ჯიკეო, მთით დაბლა ჩავთარო.

510. მენადირის თოფი

აბეჩავ ჩემო კირიმო, თოფო, ხარ მეტად კმიანი,
ბეერა გიკოცავ ჯიკეები, მანძილა რქა-ჯანგაინი!
ბეერკან კი ხყრიან შიბუსა, კირიმო, შენნი ტყეიანი!
ბეერაის ჯიკეის დამცემო, ხარ მუღამ სახელიანი.

511. კირიმოსანს

შენი ჭირიმე, შენისო! აბრაშუმს გიგავ წვეერიო;
მთაჩი გიკოცავ ნადირი, ჭალაის პირსა შევლიო;
კარგის დედაის შვილი ხარ, იმისი გაძე ფერიო;
ქელჩი გიჭურავ კირიმი, თავით ბოლომდე ჭრელიო.

512. თივის თრაზე

თივათ ვთრი ოროლობითა, დასვენებაიც მინდაო.
ჩაგზედავ, ჩემო სოფელო, ადგილო ნაპირისაო,
მირგვლივ ნახვეუო მთა-წვერო, რო გაღაევანო ქვისაო,
იწროო ჩვენო ჭალაო, ძლივ ჩასავალო წყლისაო,
სამძღვარო, სისხლით მოსვრილო ჩვენო და ქისტებისაო!
ბეერ მენადირე გინახავ მაეალ ცის-პირის-ქერისაო,
თოფიან-ღურბინიანი, მაგარ საბანდით, ჯღნითაო.

ვაჟი ნადირთკე წასული ბევრა შალვარდა მზირსაო;
ბევრამ მაილა სახელი, ჯარზე გულ-დიდა ზისაო;
10 ბევრაც მართევს ჯალაფთა, გულს ნატყვიარი სჭირსაო.
ნუ გაუცულებთ სახელსა, თასი-ლ მიეცით ზისაო!
ბევრამ გაწირა კირიმი, შეილს დასჩა, შეილიშვილსაო;
ბევრამ გააბა წრიაპი არწივის მალლის ჩდილსაო.
ჯიკვების გადალახულო შიბო და შიბო კლდისაო!

—

15 მეწყალი, მენადირეო, დამრჩალო წვერის ძირსაო;
ჯიკვების მუქარაზედა ღამეს ათენებ გრილსაო;
პურსა ვერა სჭამ მშიერი, — შიგ თვირთვილ გამადისაო.
ეხო, ნათხარო ტოტითა, სალოგინედა ქვიშაო!
ადგების, იქავ გაგწირავს, ნასადგურალო ყმისაო!
20 დილა გამასულს გნახვედა შავი ყორანი კლდისაო,
შორით დაგიწყებს ყეფასა, აგიველ-ჩაგიველის მქრითაო.
— „ნეტავი გამაღალღებდი, გამამღებდ სისხლის სმითაო!“

—

ვეწინდლებს ახლებსა ძველები ჯობდეს ცლითაო:
ამაგრებდიან ადგილსა, თოფით იჭერდეს, კმლითაო,
25 წვერებს ისევმდეს კელებსა, ქაენი სხდებოდეს ცვლითაო,
ბაკნებით ედგა წამალი, ძღებოდეს თოფის კლითაო.
სახელ სჩებოდა ვაჟებსა, ბევრას დაიტვეს მიწაო,
კელჩი ეჭირა თასები, შიგ ლუდი ედგა წმიდაო.

—

30 მაგის მეტს არას გილექსებთ, არა მაქვ ლექსობისაო:
საქონის საჭმელ გათავდა, თივა ნათიბი მთისაო.
ლექსო, არ დაიკარგები, ნათქვამო ომაისაო!

513. სათივოლ

ხუთშაბათ გათენებასა ურემ წავიდა მთისაო,
საგათენებოდ შამაქდა თხორუს თავ წვერის ძირაო.
დაეკონენ თორმეტნ თივანი ნაბაკურაის პირაო.
ზე ფიცხი, ძირში ყინული, სათრელი ეშმაკისაო.
5 ვაჟ უნდა გულზე მასული, არ გამაიგან ძირსაო.
ჩაგხვდავ, ჩემო შატილო, ადგილო ნაპირისაო,
წინიდგეს ნამუქარებო, ნაბბოლო შამილისაო!

ბევრა ვაჟია შატილსა, გულ უძე ხოხის ქვისაო.

—

- 10 თუ წახვა, მენადირეო, ნადირ ირჩიე სთვლისაო,
ტყავ-კორცი გაკეთებული, მასაკლავადა ღირსაო.
გაუდგიდ ბახალახკესავ ქარაფიანსა ჩრდილსაო,
გადახვალ ჩინაშია, ადგილი ქისტებისაო.
ფეკზე ფოლადის წრიაპი, ნათოს დალაღან კლდისაო.
კლდის თბისად მატოლებულო, ნიავ გაწუხებს მთისაო.
- 15 საგათუნებო შამაქდა ჯღრეი ნადირის რქისაო.
თავარს დაადებ ლიშანსა, ზედ დააყოლებ გმინსაო.
ჩაწითლებიან ქვიშანი, ხერგ ჩეეწყობა მკვედრისაო.
ჩაგიხალიზებს ჩასვლაი, ამათვლა ნაზარდისაო.
ჩახედნებ გაცინებული: „ხარი ვითაის წლისაო?“

514. ჯიკვზე ნადირობა

ამაქე, მთვარის ნალეო, ამანათე კლდესაო!
ჯიკვთ რო გაიგან მწვანელი, — დღისით სიმაგრეს წვესაო.
გზას უკრავს მენადირეი, ღამეს გაატანს ბნელსაო.
გათუნებისად შაუკრავს გადასაკედსა წვეერსაო.

—

- 5 ჯიკენი საწოლთკე წასვლასა იგებენ სისკრის შუქითა,
ქუჩს სძოვენ თვირთვილიანსა, მიდიან წენარის ბიჯითა.
როსაც წვეერს დაეჯრებიან, გული უცხრობს შიშითა:
„ვა, თუ გზას გვეჯდას მოყმეი, ქვიშა შავლებათ სისხლითა!“

—

- 10 გაძირვილდა დილის ნიავი, ჩამახეიყინებს კლდესაო.
შავიტყვა, მენადირეო, ჭყიტინებს, უცემს ფექსაო.
გასწივა სალის კლდისკენა, აღარ ენდობის წვეერსაო.
ყინვარში შენი შიშითა შშიერ აღამებს დღესაო.

—

- ჩახენა მენადირემა, შამაიჯენჯა გულია.
„სიცივისაგან გაკვერდი ჯიკვების მაცადურია.
15 რა დაეკლების? — ამბობდა, — სალს კლდეში გადასულია.“
ქელთ აქვის თოფ-იარაღი, რა კარგა დამზადულია!

—

ახლა მშვიდობით წამიხვე, ჯიკვო, კლო რაღა გგულაო?

- 20 გიშველა დილის ნიამა, ახლა ცალია ვბრუნავო.
კიდე ჩამაზოლ ლიხზედა, ეგრ კი ვერ წახოლ სრულაო.
გულ რო გახქონდას ტყვიასა, სულს ღლედა, ამაშქუნაო.

—

სისხლი(თ) ძღებოდან ყორნები, ხყეფდან სიკედილის კმაზედა.
პირ-იქით ვეთულებოდით სხვას მენადირეს გზაზედა,
მოყმესა პირ-მიშველასა მავხყევით თოფის კმაზედა.
ჯიკვო, ყინვარში ნაზარდო, შამაგყოლია კვალზედა.

—

- 25 საწყალო მენადირეო, ვის აქვ წვალება შენია?
შაკლმა გინდა (რას იქამ?), საცა ყინვრიან წვერია,
გამათხრა თავის საწოლსა, ღამე რო იყვას ბნელია,
კლდის ძირში გიგავ ლოგინი, კლდის ნაწვეთ ჩამაგდენია.

—

- 30 ძილს გიკრთობს ქვიშის წკრიალი, გულჩი დარდი გაქვ მტრისაო,
გვერდს გიწვეს შენი ბერდენკა, რკინას გულს იხვევ გრილსაო,
ქელი გიკიდავ ზატორსა, იმედ გაქვ როგორც ძმისაო.
ცალქ[ე] სიცივე გალონებს, გმინს გააყოლებ გმინსაო.

—

- 35 შულამემღი რო გეძინას, მემრ ღაძინება ძვირია,
დაგიყუფლების გვერდები, ჭაუხის ქვიშა გრილია.
საგათუნებლო მასკელავი გორის პირ გადახრილია,
მიზღვეს ქვიშაზე სარტყელი, ჯიკვების გადაჭრილია.

—

- 40 წადი, შასწუხდა დედაი, გმინს გააყოლა გმინია.
რაად სწუხდები, დედაო? თაოდაც უფერ ჭირია.
ომი რო ნახას თვალითა, პირში დაშჩების ღმინია.
ფეკი ვერ წავა ცოცხალი, მტერ გზაში შამაყრილია.
მელექსეს თუ რას იკითხავთ, გრანჯაის გამათქმულია.

515. მემჯობიენი

ლექს უნდა უთხრა ახალი, ვისადაც მესადარია.
მენადირებს ვალექსებ, მუკლად ჩაყარნეს გზანია.
ერთუცის მუქარაზედა წრიაპ არ უძლებს, ჯღანია,
ისრევ რბოლისგან ჯიკვებსა კლდეში ბჯენისგან რქანია.

- 5 დასხვდით, ახალგაზდანიო! რო დაისვენათ, ხანია.
 ავნია მახმადიანნი, თუ ვის შაგავდესთ თვალნია.
 მაში ძნელია, ვაუებო, თოფმ რა კლდეს უთხრას ბანია,
 კიდად ისხმოდან ტყვიანი, უღურბლო ჭეხდას დარია.
 ბევრას ანატრეს ვაშკაცსა მასატოლებლა ქვანია,
 10 ბევრა აბრუნეს ტოტითა, ბევრას ანატრეს წყალია;
 ბევრას კა დაშჩა მძებნელი, მაგრა გაბანდა ჯღანია;
 ერთაის მაკვლომაზელა ბევრამ შასწირა საშია.
 მაგრა რას იქამს ძებნაი? ვინ ამამდგარა მკვდარია?
 ეგ თქვენდ ას, ახალგაზდანიო, აწ წინავ ნაუბარია.
 15 წინათ უყვარდა კირიმი, ყონდაყზე სპილოს ძეალია;
 ბევრჯელ იძივნეს ტოტითა ნარღვევთ გორისას გზანია;
 ბევრამ კი შასვა დილითა კალატის წვერზე წყალია;
 ჭაუხნ აძლევდეს ნიავსა, ოფლი სღის გულ-მღულარია;
 ბევრჯერ ახყარეს ლაშქარი, საფარჩი ჩამამსხდარია.
 20 ჯერც იქავ ხქვიან სახელი საქარეს ნაომარია.
 ბევრკან კი სწერავ სალ კლდესა კირიმის ნატყვიარია.
 მინდიაჲ, ხომიზურაო, ღმერთმა გაცხონათ მკვდარნია!
 ერთუცის მემჯობიასა შეეკოცენით ძმანია.

516. მენადირის მარცხი

- თოლს დასთოვს ზენ-ბაცალიგოს, ქვენ-ბაცალიგოს შრებისა.
 თინიბექაურ ციხესა კუთხი მარჯვენა სქლებისა.
 თავსა ზის შავი ყვარანი, გველი ლიბუჩი ძვრებისა.
 კურდღელაიშვილ კვირიკა გულს-უწადინო კვლებისა.
 5 ლურჯაი კვირიკაისა სამბულჩი აღარ დგებისა.
 ცოლ ლამაზ კვირიკაისა ფარაგთით იხომებისა.
 დედაი კვირიკაისა ცვილის სანთლებურ დნებისა.

- ჯიკეთა ნუ მისდევ, კვირიკავ კურდღელაშვილო, კლდისათა!
 თორ ჩაგიტყუებს ჯიკეები, ფხას ჩაგაგლეჯენ კლდისათა.
 10 გაგიმალლებენ უშმაქსა, ნაქარს დაგცემენ მთისასა.
 თოფსა ტანაის ნუ სწირავ, მჭოცელს ბევრაის მტრისასა.
 ჯერ მტერთა გაუხარდების, მემრე ჯიკეთ ფადუხ-კლდისათა.
 გაიგებს მითხოვლები, ბევარს დაგყვრიან ცხვრისასა.

517. მენადირის ხიფართი

- ოკერო ჩვენო ტერლაო, მიჯნაო ქისტებისაო,
წინიღვე ძალით ნაჭერო ჩვენების ვაუებისაო!
შიბ-წვერო გასახელო, მაგლილო ჯიკვებისაო!
პირ-იქითისკე შავ-წყალო, ფერი გჷე სიმაგრისაო.
- 5 გარმადის არხოტიენები, სანადიროო სხვისაო.
შამაგიარეს, შავ-წყალო, ბოლოო გორებისაო.
გიგიამა და აღუამ ფერი დაიდვეს მგლისაო.
მქარზე სხავ ბერდენკაები, ჯარ უწყოვ გილდებისაო.
მაგაწიოკენესთ, ჯიკვებო, არ დაგიფერესთ სხვისაო.
- 10 ჩემსამც მუევა დამწყვესა ხიფართი ეშმაკისაო!
ამხანიგს თოფი მოუხვდა, ღღე დაღვა ცოლო-ბრლისაო.
მარტიათაი აღუა დასანანები მტრისაო.
ნადირ კი არ მაღგონდების, აგდებს გულისგან გმინსაო.
ოღინათასა გიგიას გული ზღებივო ქვისაო, —
- 15 იქჷე თოფეღა ნადირთა, ვითამ სრუ არა სჭირსაო.
მამრჩალან რა-კელს აღაგსა, შავ-წყალო, ი წვერის ძირსაო.
ზედ ესწრობოდა ღამეი, ხანია ბნელობისაო.
ეგრე ითრევენ ერთ-ურთსა, ღედა რო თავის შეილსაო.
მამრჩალან ველი-ვეღადა, ეზ' ვერ უპოვნავ კლდისაო.
- 20 გათუნებს ტალიკანაი, ღიღო ღამეო სთვლისაო.
ამაქე, ნულარ ღგვიანობ, სისკარო თენებისაო!
მაგივას ცის-პირ-ძერისადა, სოფელო ქისტებისაო.

—

- ამაგის მალექსებელი საბოსლოს კარჩი ზისაო,
ქელჩი უჭერავ ფანდური, ლექსებს აღვიღად თვლისაო.
- 25 სალექსო გამამიტანეთ თითო გილდ ხაზინისაო.

518. შვიდნი ძმანი და იმათი ბიძა

- ჩვენ, შვიდთა ძმათა თვარელთა, მთას ვეფხვი გადმოგვეკიდა,
შვიდთავ ვესროლეთ შვიდ-შვიდი, ვეფხვს ერთიც არ მაეკიდა.
ბერმა ესრია ბიძამა, ყიათა ჩამაეკიდა.
- ერთიც ვერ დავეფერენით, თუსლი არც-რა სხვა გვეკიდა.
- 5 ეს ჩვენებ იარაღები ჭალას მურყანთამც დახკიდა!
ჩვენამც ქალნი გვექა ლამაზნი, საქმარედ ცული აგვეკიდა!

- ანამც ვინ ბარის ზუცესნი, ყელს მახალაკი დაგვეკიდა!
 ანამც ვინ თეთრნი ღურბელნი, მთის ყურენ ჩაგვათოვი[კ]ნა!
 ანამც ვინ ვეშა წყარო გექნა, გულან ბელლის კარ გვაღინა!
 10 ქალ-რძაღლნი ჭინჭარაულთა პირისაბანად აღინა!
 ანამც გექნა არწივნი ლაღნი, კაკმატ ჯვარის კარ გვაღინა!
 ანამც ვინ კიცვნი რემანი, ბალხეთის ზეარნი გვაგლიენა!

519. მოყმე და ვეფხვი

(ბველი სიმღერე, ახლად გადაკეთებული და გავრცობილი)

I

- მოყმემა პირ-შიშველამა შიბნ გაიარნა კლღისანი,
 მონადირნა, დალაკნა ბილიგნი ჭიუხისანი.
 შამაკლეს კილღის თავზედა ზორონი ჯიკვებისანი.
 5 ჯიკესა თოფ დახკრა ბეკენსა, ჭალას ჯაკნ იქნეს რქისანი.
 შუა გზას შამაალამდა, დრონ იყენეს შულამისანი.
 გზას ვეფხვი შამეყარა, თვალნი არისხნა ღეთისანი.
 შიიბნეს ვეფხვი, მოყმეი, მამინ დაიძრნეს მიწანი.
 კლღეები ჩამონგრია, შტონ დაიღუნეს ტყისანი.
 დრონ აღარ დასჩეს მოყმესა, ვადან ეწითლნეს კმღისანი.
 10 ფარს უფარობს და ვერ ასწრობს, ვეფხვნი ჩქარნა კლღისანი.
 გაზით გაართვნა კალთანი ჯაჭვისა, ჯავმანისანი.
 მოყმემაც კელში იყარნა ვადანი თავის კმღისანი.
 ნელ-ნელა გაჭრა ფრანგულმა, დრონ იყენეს წაქცევისანი.
 ვეფხვი კლღეთ გარდაკიდა, ჩამაწითლნა ქვიშანი.
 15 თაოდ კლღის თავზედ შამოწვა მოყმე სულ-ამამღინარი.
 ვინ ეტყვის მაგის დედასა, — კარს უსხენ ქადაგ-მისანნი,
 უერთოდ არ დაინარჯნეს ჩვენის აფხაზის ისარნი.

II

- იარებოდა დედაი ტირილით თვალ-ცრემლიანი:
 „ჩემს შვილს გზას ვეფხვი შახყრიოს გაჯავრებული, ტიალი.
 20 ჩემს შვილს კმღით, იმას ტოტითა დღე დაუბნელდა მზიანი.“

¹ პირველ ნაწილში ახლად დამატებული დახრიოთა აწყობილი. ხოლო მეორე ნაწილი მთლად ახალია.

- არც ვეფხვი იყო ჯაბანი, არც ჩემ შვილ დახვდა ჭკვიანი.
მათ დაუკოცავ ერთუცი, არ დარჩეს სირცხვილიანნი.“
ტირილით წყრულებს უხვევდა ვეფხვის დაჭრილსა კლანჭითა.
„შვილო, არ მახკვდი, შენ გძინავ, დაქანცული ხარ ჯაფითა,
25 ი შენი ჯაჭვის კალთები ოკერმა როგორ დაფითა?!
შენც იმის საფერ ყოფილხარ, კმალი ქნევაში გაგიცვდა,
არც იმან მაგცა ბევრა დრო, აღარც შენ დააცალა,
ვეღარცა-ღ შენ დაიფარე შენ კელთ ნაქონი ფარია.
ვეღარცა-ღ ვეფხვმა ტოტები, კმალმა დაკუნა ძვალთა.
30 მაგის მეტს აღარ გიტირებ, შენ არ ხარ სატირალთა:
ლაშქარში, მეკოპარშია არ იყავ საწუნარია.
აქამდი მაინც გაგზარდე ვეფხვებსთან მეომარია.
მშვიდობით, ჯვარი გეწეროს! ეგიც სამარის კარია.“
ხან ვეფხვი, ხან თავის შვილი ელანდებოდის მძინარსა,
35 ხან ვითამ ვეფხვი იმის შვილს ახყრის ტანზეთ რკინასა,
ხან ვითამ იმის შვილმ ძლივის, გარდააელივის ყირასა.
აიმაგ სიზმრებს ხედავდა, გამაელვიძის მტირალსა.
ხან იფიქრებდა: „უდუდოდ გაზდა ვინა თქვა შვილისა?
იქნება ვეფხვის დედაი ჩემებრ დღე-ღამე ტირისა?
40 წაეიდ, მეც აიქ მივიდა, სამძიმარ უთხრა ჭირისა.
ისიც მიამბობს ამბავსა, მეც უთხრა თავის შვილისა.
იმასაც ბრალი-ღ' ექნების უწყალოდ კმლით დაჭრილისა.“

დ) სიკვდილი

520. სიკვდილთან გაბაასება

- ლექსს გეტყვით სიკვდილისასა, დავა ეშმაკის კვალზედა,
კაცის დანახვა არ აქვის, თუნდა აკოცა თვალზედა.
თუნდა ასმიათ, აჭმიათ, ზედ დააყარათ თავზედა,
თუნდა ჩაუდვა საგმალთ, თან გაატანა გზაზედა,
5 იქავ მშიერა დარჩების, სხვა რა მიუდგას კარზედა.
კა კი არ მოგდის, სიკვდილო, მე დაგწყევ სამართალზედა:
ფეკნიმც დაგნაყნა წინ-წინა, ვერ გაივლიდი გზაზედა!
ველთამც დაგაგდა, სიკვდილო, იმ მონას თოვა-ქარზედა!
შუასა იანვარჩია დაშმა არხოტის თავზედა!

- 10 ფეკებომც მოგაზრობია, ტყავი ზე გახევა ჯღანზედა!
 თვალნიმც დათხარნა, ოკერო, კაცს ვერ ღნახევი ზანზედა!
 შენ კი არცაი მოგჩების, გინდა გავიდას ზღვაზედა.
 უკაცურსა და ბეჩავსა ნუმც მიუდგები კარზედა!
 სუ შენგან პირ-დამწვარია, ნუმ ჩამოსჯდები სკამზედა!
- 15 თუ არ გეშინის, ოკერო, პირდაპირ მოდი გზაზედა!
 მე არცა გამიგონიხარ გადაჩენილი ჯარზედა.
 ან მიხოლ ბნელის პირასა, ან მიხოლ თენებაზედა.
 მისვლაჩი მიიპარები, კმას გასტეხ წამოსვლაზედა.
 თვალითამც სწინდი, ოკერო, გამოგეყობოდი კვალზედა!
- 20 ძმასა რო ძმაი ზე დაშჩას, მკარს აგართვემდა სხვაზედა,
 თოფს დაგკრავს, გულსა ვერ მოხფქავს, კმლით მოვილოდა მკვდარზედა.
 დედაი ერთის შვილისა თავს გაგიუქვდა ქვაზედა.
 ბობოქარობდა მამაი: „აბჯარნიმც მამცნა ტანზედა!“
 ამაგათ ცოდო-ბრალთი ჩაგაგდებს შუა ზღვაზედა.
- 25 წერილნი ტიროდან ყმაწვილნი, ცოდო ხო შენ გქე თავზედა?!

—

- სიკვდილმ თქვა: „აგრა რად დამწყვეთ? განა ჩემსა ორ ჭკვაზედა?
 ლთისგან ორ გამოგზაენილი, მაგის ორ ბძანებაზედა.
 მე რო არ ვიყო, სიკვდილი, ზოგნი ხო წაელენ ცაზედა?
 დიჩინთა, ამპარტიონთა ვინ ამასხამს ჭკვაზედა?“
- 30 ვინა-ღ ჩაუყრის საგონსა, გული რო დაშჩას სხვაზედა?
 მეც ვიცი, არვის უნდიორ, — ვინ მეგებების გზაზედა?
 მანამდი სოფელჩი მიოლ, ტირიან ჩემსა თავზედა.
 დავჯდები, მეც ავტირდები, როგორც რო ქალნი ძმაზედა.
 ხანდისხან გამოეშუშპრდები, როგორც რო ხვადი ნალზედა.
- 35 ქრთამ კი არ მიყვარს სიკვდილსა, თვნი დგან დღე-წერაზედა.
 დღე-წერა მკარს თუ არა მჭერს, ვერ მიოლ ყვერფ-კერაზედა.
 არც ქოლდ მარტუაი ორ მავალი ქოყანაზედა, —
 კიდე მყავ ამხანიგები, ნაკურთხებ ჩემსა ტყავზედა.
 ჯერ ტალავარზედ ვიცნობით, მემრ გამამობილს თავზედა.
- 40 ფერა(დ) შავს ვლგეორთ ყორანსა, მალლა მავალსა ცაზედა.
 ეშმაკებს გაველობილე, ეგენ წაველაღენ მთაზედა.
 ქანდარეები გააბეს დილის ლემადის ქარზედა.
 დააქანებენ ნაქარსა, ბვერ-ბვერას დასცეს თავზედა.
 ზოგებმ ფერკისა ჩააბეს აღიდებულსა წყალზედა.

- 45 დაძვრალსა, გალაღებულსა დაუხვედებიან გზაზედა.
იქისკე გახპატიჯებენ: „შენც ითამაშე წყალზედა!“
ყველაი უნდა მოვნახათ საქონელზედა, ცხვარზედა,
დაუგვიანდას წყემსები, ვერ მოუარას ხანზედა,
უწუნებოდან ჯალაფნი, გამოხედევდან გზაზედა.
-
- 50 ახლა კახეთი ჩავიდათ შირაქის მოედანზედა.
ჩამოვლენ თუშის შვილები, დალას ეტყვიან მკვდარზედა.
ფშავლები ლეგ-ლეგები მკვდარს არ გასწირვენ გზაზედა.
თავადებს ამოუარა, შავი დავაცვა ტანზედა;
ჩამამავლობა არ აძლევს, ცრემლ არ იციან თვალზედა.
- 55 დროობა გამეცეკალა, ჟამნი მაიქენეს სხვაზედა,
გამოგვიცვალეს თოფები, კირიმს ვინა-ლ ცნობს კმაზედა?
ვინა-ლ ჩახხედაეს ფრანგულსა, ვინა-ლ დაშინჯავს ფხაზედა?
სამკლავეთ ვინა-ლ დაიკრავს, ჯაჭვს ვინ ჩაიცვამს ტანზედა?
სამკლავ-საფუქართ ვინ ღნახავს, ხალხი რო ისხდას სმაზედა?
- 60 ქურდობ-ბოზობის მოქმელსა იქავ დაისმენ ჯარზედა.
ალარც ვინ მოსჭრის კალთასა, არც ვინ გაუა ბანძედა.
ვაჭრობენ სკლატ-აბრამუმსა, ქალებ აკერებს ძალზედა.
როგორ ლამაზა უქლების ვაშკაცის ტალავარზედა
მძივ-ძვალისლილა, ნაკრავი როგორც რო ქალსა თმაზედა!“
-
- 65 მაჩივარ ნუ ვინ იქნებით ამა ლექსისა თქმაზედა.
ქურდობ-ბოზობა არ მიყვარს, არც კაცი მაგის ქნაზედა.
არ მინდა ამპარტივნობა, კვება არ მამწონს ქალზედა.
ამავ ლექსაის მათქვამი საკუთარ ვზიორ სკამზედა.
ჩამამეყარა საგონი, ძილ არ მოვიდა თვალზედა,
- 70 გძელ ოქშობითგე შაუღევ, გადაეში თენებაზედა.

521. სიკვდილი ახალ-უნებებისა

- სიკვდილ წამავას ქენითა მკოცელი ახლებისაო;
უსტამალაეს შამაქდა, სათავეი ას წყლისაო.
ბაჭყურა არას ნაუღლობს, ფერ არ შაშალა მგლისაო.
გიორგის შვილი თოთია, — შუქ ჩააბანა მზისაო.
- 5 წინ-წინა სულეთ შასულსა კოში-ლ დაუდგით რველისაო.
კირჩლაის შვილი ყულია, — მასწილა მასკვლავ ცისაო.

- არას ნაუღლობს კირჩლაი, მარტუა სკაშუე ზისაო.
შინშ მოკლედ გადააყოლა, – იქ მჭერელ უნდა მკრისაო.
იველიეთ, ატაბიონნო, ციხე დაგექცათ ქვისაო.
- 10 შამახედვედის კადუსა მაგ აღიასი შვილთაო.
„ახალ-ზალ მაუყვანავა, ჭირად მაუქცეე ლხინსაო,
ტომ-ფანდურს გაუჩუმებდი, ზალს დაუზინებ ძილსაო.“
გამახედვედა სამესა: „გადავლა მინდა მთისაო.“
გადაეს ბაცალიგოსა მეხი ჩაღრია მთისაო,
- 15 ჩაკოცა ქორ-შაეარდნები, წილ დარჩა ბევრაისაო.
მადის გუდანიტ ტირილი ქალისაი და ზლისაო.
თოთიას ნასთველევათასა ლეკვი მახპარა მგლისაო;
დახკრავს მძინარას ისარსა მაგ მამუკაის შვილსაო,
შამაწუნენ ვაშკაცსა, – ირემ უღრანის ტყისაო.
- 20 გამოხედვედა ჭიესა, მაგ უთურგაის შვილსაო.
შინამდე რად არ მაუტეე, შაკერა რად გინდა გზისაო?
ამანდი გამაბრუნდების, ახოთას გამარბისაო.
ხიშალით ჩამახედვედა, ლულში ჯავრი აქე ვისაო.
ლულით ამადის ტირილი, ცრემლი წყალივით დისაო.
- 25 გიგას ციხე დაექცა, ნაგები ბასრის ქვისაო.
გიგია არას ნაუღლობს, ფერ არ შამალა მგლისაო.
ამბობენ ბაბილის შვილნი: „ჩასაყოლიმც ქნა კმლითაო!“
სიდიდე, გუდანის ჯვარო, მლოცვილი გაქე ხოთთაო.
ჩამაემველე-ლ საყმოსა! თორემ ძალიან ჭირსაო.
-
- 30 ლექს აეგ დაუბარებავ მაგ ვეფხვიასი შვილსაო.

522. დარიშკანით მომკედარი და სხვა ახალგაზდები

- სად იძახან მატირალსა? სად იყრების ქალ-ზალია?
ხუთშაბათს აღარ მავიდა, მოეარე გუშინ წუხრ ჩამქდარია:
ზეცისაკე წაიყვანეს ქალი დაბალ-დაბალია.
მალლა-მალლა, თაიო, სადაც ახალ-გაზდანი!
5 ზემო თავში გარდაქდიეს, კელში მისცეს არგანი.
„გარდმავიდეღს მოთამაშე!“ აარჩიეს სამ-საშნია;
წინ-წინაზე გარმაქდების დარიშკანით მამკედარია.
გადმახყეე, ბაჩიათაო! ბალათურავ, სად ხარია?

10 შენ სადა-ლ ხარ, ბიბურაო? კიდეუ გვირსა თავს შარია?
ვისაც თქვენ სიკვდილ უხარის, თქვენის წყლისამც მამტანია!

523. ჩათიბვა სიკვდილის მიერ

სიკვდილმ თქვა: „ზღვა-ზღვა წამოვედ, ზღვა ჩქეფთი შამოვიარე.
შაკმაზე ლურჯი აქლემი, კმელეთი შამოვიარე.
ფშავისკე გადავიხედე, - ყოლდენ ვარდნი, იანი.
ჩაველირე და ვერ ჩავედ: ხატი ხყოლიყო ძრიალი,
5 წვერის ძირს შამამეგება გიორგი პირ-ოფლიანი,
ფშავისკე აღარ გამიშვა, ყოფილა დაულათიანი.
კევსურეთისაკ მასწავლა, გზანია კიბურჭიანნი.
გადაუხედენ კევსურთა, თუოდენ როგორც ჭიანი.
ჩავედ და ისე ჩავთიბე, როგორც ნალევმა თივანი;
10 ბევრის თოფ გავატიალე, შიგ ისხნენ ორნი ტყვიანი;
ბევრი გაეწირე ოკრადა სიათა პირ-კვამლიანი;
ბევრის კალათა შავსკიდე კირჩხაზე ჩხირ-წინდიანი;
ბევრის იარაღ შავსკიდე აშურმა-ყაწიმიანი;
ბევრისა კმალი შავსკიდე, ფრანგული ფხა-სისხლიანი;
15 ბევრისა ძროხა გაეუშვი მინდორზე ოკერ-ტიალი;
ბევრის ნამგალი დაეგადე, სამკლავე-სათითიანი;
ბევრისა კარი დაეჯარე; ბევრისა ისივ მღე არი;
ბევრი კი გამოვაბრუნე მტირალი, თვალ-ცრემლიანი;
ბევრი ვაჟკაცი მოეშალე, ვაჟკაცი ცოლ-შვილიანი.“

524. ნარჩევი ვაჟების ჩაკოცა არხოტში

სიკვდილმ თქვა: „არ დავიჯერებ, ნაბძანებს ვიქამ ზთისასა,
სათავით ჩამაეხყებოდი, ბოლოს გამავალ წყლისასა,
ჩავსკოციდი არხოტიენებსა, ნარჩევს ვაჟებსა მთისასა:
გაბურთ აღუდაურსა, შავსა ლურბელსა ცისასა,
5 საავდროდ დამზადებულსა მაღლის არხოტის მთისასა,
მინდას თურაულისძეს, წელ-შუ მუშასა სმისასა,
მარტიას შუქიაურსა, კმლით მჭერელს ადგილისასა,
ახიელს მავაგლეჯიებ ნაწურსა გრილის მთისასა,
ბაღათ მუკლავე ბაღასა, კულასა ბასრის ქვისასა,

- 10 კადელსა ღერენათსა, ყარაულს ზენ-უბნისასა,
 უშიშას ოჩიაურსა, მგელსა, მჭამელსა მტრისასა,
 აქუათ ქასას მავხკლევი, თესლს დაველვე არწივისასა,
 ალიათ ბაბლის მავხკლევი, შშინეს ბევრაის მტრისასა,
 ამღას ბერდიას მავხკლევი, გმირსა წინაის ყმისასა,
 15 ახლებში თამარისძესა, ეფუხეს მავხკლავ სალის კლდისასა,
 ჩინგლათს ბაჩაყაურსა, მთვარესა ხუთმეტისასა,
 თოთიას კალოთანელსა, მკოცელსა ოროლისასა,
 ხირსილსა ზეიადათსა, მშინესა მითხოველისასა.“
 სიკვდილმ თქვა: „სულეთ ჯარს დაესხამ ნარჩევის ვაჟებისასა,
 20 წინითი ჩხუტსა ჩამუღვამ, კოშს ჩამურიგებ რელისასა.“

525. ქალების სიკვდილი ბარისაკოს

- სიკვდილმ თქვა სატიალემ: „შავილი ჭალისასა,
 შაკელები ბარისაკოსა, თესლს დაველვე ქალებისასა:
 ბეწუეკლთ მავხკლავ ძილასა, მასკვლავს მოვსწილავ ცისასა;
 ემა ბეწათ დედიკას, ცისკარსა თენებისასა;
 5 ბაბუათასა ლელასა, მთვარესა ხუთმეტისასა;
 შხევინართასა დედიკას, ჭკევა-გონსა ქალებისასა;
 ბაძიათასა ნანუას, სწორესა სოფლებისასა;
 მაიას არას მავხკლავი, დღეთა შავსწევი სხვისასა, –
 თითიწვერაის მავალსა, მწიგნარსა ტალავრისასა.“

526. სიკვდილი და ობოლი

- სიკვდილმა ჩამაიარა, ბერკაცი დახვდა შინაო;
 შაუჭახუნა ბერკაცმა, სიკვდილი შააშინაო.
 იმას გამასცდა სიკვდილი, ობოლი შახვდა წინაო.
 – „მე მამკალ, ჩემო სიკვდილო! ობლობა მამეწყინაო.“
 5 – „შენ არას მოგკლავ, ობოლო, შენი პატრონი ვინაო?
 არცა გაქვ სანთელ-საკმელი, არც სუდარაი შინაო.“

527. სოფლის უფროსი

სოფელს ატირდეს დედანი: „სოფლის უფროსი კვდებაო;
 ნუ მოხკლავ, დამბადებლო! სოფლობა წაგვიკვდებაო.“

528. ჭირის პატრონს

მეწყალი, ჭირის პატრონო! ჭირის გონობა ძნელია.
ჭირი არ წავას უჭიროდ, თუ ჭირის დედა მთელია.
მკვდარ შინით დაემარხების, სოფელი ღონიერია.

529. კმელეთის თვალი

5 ღმერთო, რა დიდი ბრალია! ნაპირი მასტყდა ცისაო,
დაეცა სტეფანწმინდასა მაგ სვიმონაის შვილსაო.
სანდროიმც ნუ მაგიკვდება! თვალია კმელეთისაო.
მუკლზე გაზარდა როსტომი, ფას იყო კმელეთისაო.
საყმოსა შამაუარე, ცისკარო თუნებისაო!

—

იორლა გამამიგზავნე, იორდან, სამის წლისაო!
ჩოკაი, იაგორაო, წესია მოლექსისაო!
ვინ იყო შენი ღუმშანი, ქორ აღმეებში ქრისაო?
ჩამააქვ მტრისა კელები, ფოთოლასავით თრისაო.

530. რეკათ ჯამრული

აწ მოკვდა რეკათ ჯამრული, დაწვა და დაიძინაო.
მზეი ჩაუდგა ბეჭებში, ღრუბელმა ჩაუჩდილაო.
ყორნები ჩავიდ საჭმელად, არწივებმ ჩაუშქინაო.

531. ჯიკუა მაკინცაური

ჯიკუავ მაკინცაურო, ჯერანო მალღის მთისაო,
შენსა ვინ იტყვის სიკვდილსა? ვინ გარმაავლევს პირსაო?
შენის კელ-შკარის ჭირიმე, ფიცხლა მქნეველო კმლისაო!

532. მარტია შუქიაური

ციხე სტირის შუქიაურთა, უკმობს კვიტიკირის კარია.
სიკვდილსა შუქიასას იწყენს წყალ-შუის ჯვარია:
„ორივ დამეკვა ბელელი, დრომას შამიწყდა ზარია, —
პატრონ მარტია მამიკვდა, მტერმ შამამართვა თვალია.“

533. მეგრელათ ფუნჩია

- რად არ ამოხვალ, ღრუბელო, ამეხვევი ცასაო?
ნისლო, ჭალაში ნუ ჩახვალ, ნურას წასთოვლი გზასაო!
ფექზე ნაცვამთა კუჩათა, ნუ ჩაუყინავ ჯღანთაო!
შავო, ნუ მახკლავ, სიკვდილო, მეგრელათ ფუნჩიასაო!
- 5 დედა უკედება ტირილსა, დანი იღებენ თავსაო.
ბაკმი ნადგომსა ცხვარ-წყემსსა ვინა-ღ გაუღებს კარსაო?
ნადირთა გადამდინართა ვინა-ღ გადუჭრის კვალსაო?
სატერელოო ლაშქართა ვინა-ღ შაუყრის თავთაო?
ნადირთად ატირებული კლდეს ჩამეჭრა ფხასაო.
- 10 შავო, რას დახვალ, ყორანო, რაღას იმრუდებ მქართაო?!
ქვე-ყურეს რას ეთელები, რასღა ეძახდი სხვათაო?

—

- ეგ ლექს დამიბარებაც სამხლეშიგურსა ქალსაო;
შავხედავ სპეროზიათა ჩემის ერთგულის ძვალთაო.
გადამავალო ყორანო, გადამიყოლე მთასაო;
ჩაწითლებულთა ქეიშათა ჩამოვაწრედი თვალთაო;
ჩამოვეკრეფ ჩიქილაშია ჩამობნეულთა თმათაო;
დავდებ, დაეიწყებ ტირილსა, ცრემლით დავიბან თვალთაო;
რაადღა-ღ ვიყო ცოცხალი, რად არ მოვიკლავ თავსაო?
- 15

534. სუხუშია

- აბეჩავ, სუხუშიაო! ნეტარ, სადა-რა ზისაო?
არ ასა აღელლებული ი გული ფოლადისაო?
საადროდ დამზადებული შავი ღურბელი ცისაო,
ყველაის საიმედოი, თავისისა და სხვისაო?
- 5 არ გონობსაე სიტყვასა, არ აყოლებსა გმინსაო?
უკულმ რად ბრუნავს ბორბალი სრუ ჩემის სიცოცხლისაო?
არი-არეზე მავალსა თავის ჭკვისაგან სჭირსაო.
კაც როგორ დაიბადების, იმაზე დადგებისაო:
რო გაასწორას ოსტატმა, ფიცარ კი არ ას ზისაო!
- 10 ცოცხალმ ხქენ მასაგონოი იმ თავის სწორებისაო.
თუ მახკვე, ღმერთმა გაცხონას! გულ არ აცინე მტრისაო.
ვერ გაზრდის შენისთანასა დედა ქვესურის შეილსაო.
გზაზე უწერავ წერილი ნაცადი კაის ყმისაო.

ხარ, ბორტვო, წითლა მასვრილი, ეს წყალი წითლად დისაო.

—

15 მაგის მეტს არას იამბობს მელექსე ამავისაო.

535. წყალში ჩავარდნა და სიკვდილი

რომენ წამახვე გუროთა? ორმავ დაგწერა ჯვარია.
მესამემაც რო დაგწერა, ევაც გუროულთ ქალია.
წყალში ჩაღვარდი, წიქაო. ღმერთო, რა დიდი ბრალია!
ცხენმ გიღალატა რემამა, მაცილმა აგკრა მქარია.
5 კაცო, გასწირე შატილი, თორმეტ ქვიტკირის კარია,
ხალხისა მაურევალი სამი საწყემსო ცხეარია,
პატრონის კელ-მაუყრელი სუ იარალი, რვალია.
სულეთ შავიდა წიქაი, კელით შაღა კარია.
სწორებმ გაიცნა ერთუცი, დასხდა ქორების ჯარია.
10 სამგვლევაროთ იმღერეს, ამოდ შამახკრეს ზარია.
ჩუამ სიმღერა იძახა, ჩალხიამ მისცა ბანია.
ვაჟებმა შატილიენებმა სულეთ გაბედეს ძალია.
სრუ გაამტვრიეს კარები სამზეოს გასავალია.
იმით შამასწყრა უფალი: „აქით არ დიან სხვანია.“

—

15 ამავის მალექსებელი ომათ სუხია ვარია.
ნუმც გაჩენილხარ, ჭაღაო, მემრ მანადენი წყალია!
ორნიე კელშით წამართვა: ჯერ ძმა და მერე ზალია.
ამაში უგონთ გასული ჯერაც ისევ მთვრალ ვარია.

536. ალაღებულ წყალში დაღუპვა

ჩემო ბებერო ფანდურო, ჩავიდევ ახალ ძალიო.
ღუქუთ დაკეტა მთავრობამ კაზარმეების კარო,
ველარ დადიან კარზედა, შიგ დარჩა მძიმე ჯარო.
ამანდ სტანაეის ადამი, უღგას კულაის ტანო.
5 მიბრუნდ-მობრუნდა ჯარშია, ეგრ რო ბულაი კარო;
აფრიანტლებმა ნდობითა ვერ მამშორნეს თვალნია.
შინისკ წამოოს ადამი, გამოიმართნა გზანია.
დასაწყიელსა ეშმასა ორივ დაუღგას თვალნია!

- პირქვამც დაიდგმის, ვაუებო, ე გუბრიანთი კარია!
- 10 მაგან დალუპა ადამი: ალაღებულას წყალია.
ივანემა და გაბუშამ ერთ-სხვას უჭირეს მკარია:
შამაიყარნეს წყალჩია, ვეფხვებმ დახიეს წყალია,
გამაიტანეს ადამი, შამააწვინეს მკედარია.
ეგ რო გაიგა უფალმა, ზეცას დარეკა ზარია.
- 15 გაუგონებავ ყველასა, ჩამეღინა ჩქამია.
დედის ცოლო-ბრალს გახკვირან, ცრემლ მოდის ვერ რო წყალია.
ამბობენ, ძალიან ტიროდა ეგ ბუჭკიათ ქალია.
ადამო, რათ დაზღვები, რო იჯდას ბატარძალია?
შენი ეხვიოს ტალავარ, ჩვენ' იყვას ქალიღ' ზალია?
- 20 შენი სამყოფო, ადამო, ციხის სათავის თვალა.
დააკარ აპელანტარი, ზედ დაჯედ ნიაე-ქარია!

537. საფლავის დაძვრის შედეგი

- ლექსს მოგაცხენებ, ოუებო, შავ-გვრემლის კეესურისასა.
„ბათაკან დავალეინათ!“ ჯარი შაუყრავ პრიშტავსა.
გუროთა მოდის ნიავი, ვერ ჩამოსცილდეს კისტანსა.
აფშინა დაუბარებდა: „ა დელას მტრისას, პრიშტავსა!
- 5 გუროს ჩამეედ, პრიშტავო, ძროხათ რადა ხეოც სხვისათა?
თავისანი მყავ ძროხანი, ქოჩთ მოოძუებ მთისათა.
ზუთნი მყოვ შვილ-ძმისწულები, მზეს ფიცვენ ერთუცისასა;
ბევრი აქე ტყვია-წამალი, დლით სამჯერ დაზღვმენ ლიშანსა;
თუ დააცდინეს, იწყენენ, ფერს დაიღებენ მგლისასა.
- 10 ჩამეედ, გაყურებინებ ემას ჩემის ბუჩაისასა,
ეტლოლებოდა ბექ-ბუქთა, თავზე გაყრიდას ქვიშათა!“
ამბობენ ჩამოვლეეასა ბებრისა არწივისასა,
თან ჩამოყოლას ამბობენ თავ-თავის ხთისშვილისასა.
ზელიზედ დგების რუსები: „ჩვენ გვანახვიე ხთის მადლსა!“
- 15 ღმერთმა გაცხონას, აფშინაე! ხანს იყავ სიკვდილისასა.
გუროსავ მოგჩეს მგლის ლეკვნი, ჯავრს კი არ ჭამენ მტრისასა.

—

ამავის მოლექსებელი ჩამოოლ ახუნისასა,
თოფი მამთრეკოვ მაშლილი, ჭახრაკს უკეთებ ხისასა.
სალექსოდ გენუკებოდი ხანჯარსა შავხალისასა, —

20 იმით მინდოდა ხანჯარი, ნაპირს ორ ადგილისასა.
თუ არ გამამიგზავნიდით, არც-რა იმედს ორ სხვისასა.

538. ტანად დაბალა ვაშკაცი

სიკვდილო გასაოკრებო, ნუ ხარ ვაშკაცის მტერია!
ნუ მოხკლავ სულხანაურსა! ციხეს მოაბას წვერია.
ტანად დაბალა ვაშკაცსა არ გაულაღა მტერია!
ბევრა გალალდა დუშმანი, გულზედ გაისევა კელია.
5 უჭკუან რამ შამასწყვიენა? ეგ უფრო საკვირელია!
სამ-სამ მოუკვდა ვაშკაცი, რო მარიალე მგელია.
ბევრჯელ დალაქა სულხანამ ურჯულოს თა და ველია;
აჭეზა არშავიანი, შაწება ხანჯრის წვერია.
სანამდენ იყო ცოცხალი, ჯაერი არ ჭამა ბევრია,
10 აწვალა ქისტისშვილები, ზიდნა მარჯვენა კელია.
ფეკით სიარულ უყვარდა, ვაშკაცს არ უყვარს ცხენია.

—
მაგის მეტს აღარ ვიამბობ, — ლექსი არ მიყვარს გძელია.

539. დავით წიკლაური

ამლას დაიქცა ციხეი, ჩარდახი ჩამადისაო.
ღმერთო, იწყინე, ბრალთა სიკვდილი კაის ყმისაო,
უდროვოდ სწორთა ჩაკობა ოცის წლის ვაშკაცისაო!
ცოდება ას, ჩინგლაისძეო, მიწას ეჭირა გრილსაო,
5 მზეზე არ იარებოდა, ლაღო არწივო მთისაო!
გულ-რკინავ გაუტეხელო, მაგრა მჭერელო მკრისაო,
სწორად თვალ-გულის მძლეველო თავისისა და სხვისაო,
თემ-წყალში გაუჯავრებო, მტერსთან ღურბელო ცისაო!
უიარაღო არწივო, ზედ კი შავიგდეს მზირთაო;
10 შამაგეხვიენეს ცხრა-ათნი, ხანი არ მაგცეს ცდისაო.
რო ნახა ქისტის ლაშქარი, ვეფხვი კი ძაგარს შლისაო.
„ვა დედას დავითისასა!“ აგდებს გულისგან გმინსაო;
ინატრის არშავიანსა, თვალთ სისხლი გარმაზღისაო.
„ანამც კელთ მამცა ხანჯარი ოსმალის ფოლაღისაო!“
15 ეუბნებიან ქისტები, რაც ჭკვაში მაუღისაო, —
უთხრეს: „გამაგვევ ნებთა, ვაშკაცო ოცის წლისაო.“

- ბრალ არ გიტანავ, დავითო, ჯავრი გვაქვ სხვა-და-სხვისაო;
უნდ ჩაგიყვანათ ღილღოსა, საქსარ ავილათ ტყვისაო.“
ცხრათ შუა ჩაუყენებავ, კელებს უჭერენ გმირსაო.
- 20 გაჯავრდა, ჩინგლაისძემა ფერი დაიღო მგლისაო.
„ტყვედ რა გამაგყვათ, ძაღლებოთ? ძალი მრისხევდას ღვთისაო!
ვაიძე ჩემო ხანჯარო, ვხედავ, რო საქმე ჭირსაო.
მარტო ჩამიგდეს ცხრა-ათთა, მჭერელ აღარ მყავ მქრისაო.“
- 25 სოფელს ცეპი აქვ მარტყმული, ჭეხა დგას თოფებისაო.
შამაუგინა ლაშქარსა საფლავი მახმადისაო.
„კელთა-ღ მამეცით ხანჯარი, გულ სცანით დავითისაო!“
იწყინა ქისტის შვილებმა პირში ქსენება მკვდრისაო;
გადაუწყვეტავ რჯულ-ძაღლთა სიკვდილი ვაშკაცისაო;
დაუცემავის რქაზედა, ჯიკვი რო ჭაუხისაო.
- 30 პირში ღმინი აქვ ღამრჩალი, ჯავრ ჩახყოლია მტრისაო.
სულეთ შავიდა დავითი, ქმა-მაღლა კივილითაო.
გზას მიუნათებს მოყმესა წინ შუქი კელაპტრისაო;
ციხის სათავეს შამქდარა, ტოშის ქმა გამადისაო;
დალენა ციხის კარ-კელი, ნამტვრევებ გარდადისაო;
- 35 წამაეგება ჯარები ნარჩევი ქალ-ვაჟისაო.
უთხრეს: „შშვილობა, დავითო, ვა ბრალი ერთისაო!“
პირ-უკულმ დადგა ჯარები, ცრემლით იბანენ პირსაო.
მამამ გაიგა დავითმა, სულეთ კარივით ხყვირსაო,
ველარ იჭერენ მეშველნი მაგ მარაისძის შვილსაო:
- 40 „სამზეოს უნდა გავიდა, ჩემი აქ ყოფნა ჭირსაო.“
იწყინა სულეთის ღმერთმა არევა ჯარებისაო.
„სამზეოს გასვლა, — ამბობდა, — ანდრეზად არ მადისაო.“
მამა ეხვევის დავითსა, ცრემლები ჩამუდისაო.
„აქ რა გინდოდა? რა მიყავ? ნაპირ რად დამეც ცისაო?
45 დედას რა უყავ ბებერსა? ჯავრ სად წაიღი მტრისაო?“
არ გასტყდა, მაისტლის ქალო, დედაო კაის ყმისაო!
სამზეო ცოტა ხანია, ყველას იქ გვინდა მისვლაო.
ნუ გენანების დავითი, — ხალხის სათავეს ზისაო.
ას ყველას გამეტებული, ულუფა მაზდის ღვთისაო.
- 50 ნუ გეჩქარება, თოთაო, დრო მალე მოვა მტრისაო.
ვალ კი არ დაიკარგების ამლას ჩინგლაისძისაო.
შენაც ხარ დასანანები, გოგოვ თერამეტის წლისაო,
თვალ-ჭრელო, მეტად ტურპაო, სისკარო თენებისაო,

გონებთ თოფის ამლეო, გადგა ცით სვეტი ღვთისაო.

—

- 55 ამაგის მალექსებელი სოფლის სათავეს ზისაო.
ლექსი ვერა ვთქვი, ვაყებოთ, საფერი დავითისაო.

ე) თქმულმბანი

540. ციხის ნაშალი

ციხის გამათქვი ნაშალო: რა დრო გაქვ გამავლილიო?
ან ვისგან ანაგები ხარ, ან ვისგან ჩამაშლილიო?
ქვესურეთ ვინ გინახვედა, შენზე ვის ედგეს ჭირნიო?

—

- 5 ციხემ თქვა ერთი სიტყვაი, ძალიან გასაკვირიო:
„შალვაის ანაგები ორ, სინის ჩამიდეა ძირიო.
ღლეს-ღამეს მყარაულობდეს, მშვილდს აჩქამებდეს გმირნიო.
კმლის ქნევა, ფარის ფარება რამოდენ გამამივილია!
ჩემი კალთა და ფერდები სრუ სისხლით ჩამოსვრილია.
მტერ მყვანდა დაუთვალავი, მახმათ ვინდაც ი გმირიო.
10 მეძოდა, ვერას მჩებოდა ზურაბ ერისთვის შვილიო.
შიგით დამიტყდეს ვეშაგნი, ჯერაც იმაზე ეტირიო.
-
- პატარან იყენეს ქვესურნი, მაგრამ არ იყენეს ცუდანი, —
უწინ არ ხქონდა თოფები, ჭყიოდეს მშვილდნი რქისანი.
ჩამაზდიოდეს ციხესა ნაგლეჯნი მაკრატლისანი.
15 მშვილდს საბამ აღარ უძლებდა, ვადან ცვლებოდეს კმლისანი.
სისხლის სმა იხალიზებდა, გალონ იბძოდეს გმირთანი.
ხანდიხან წავიმარჯვიდი, ელიენიდი ჯარნი მტრისანი.
ქანვედა სისხლი მინდორთა, რუენ ივსებოდეს წყლისანი.
აივსნეს ეკალდამანი, მკვდართ არ სწვდებიან მიწანი.
20 ვეფხო, შენ ნუ დაღბერდები, ამბაენ იაბბენ ცდისანი.
აის დრო როსა-ღ მოგივა, გლაჯნ იქნან შენის მწყლისანი?

—

დაბერდა გუდანის ჯვარი, ყმან შაიცვალნა ვითანი!
იქავ შაჯდება ლურჯასა, სხაპნ იქნან მათრაკისანი.

- 25 კობალამ კარატიონმა ქოთან რა უყვება ქვისანი?
დაოქროვილნი კოჭობნი, დავსვილნი ნავთის წყლისანი?
რად მაგერივნეს დავლათნი ქოჩრიანთ კემწიფისანი?
მარივის კარზედ შასკედით, თვალნ იხილენით ხთისანი.

—

- თქვენ' მოძმე ბაგრატიონი, ე ჩვენი ნანუფარია.
არ იბარებსა კევსურთა, საყმოს მათელას თვალთა?
30 არ დავა ქალუნდაური, ბეგენ-გორ მეომარია?
ან კირჩლა ბაბურაული, კევსურთა წინამძღვარია?
ვისა-ღ ექვიენა თორღვაი, კემწიფის ნაბიჭვარია?
მარტონ ეგენიც არ იყვნეს, ბეგენ სახელობდეს სხვანია.
ბევრჯელ ჩავიდეს მითხოსა, ადინეს სისხლის წყალთა,
35 ნალესის ფრანგულებისა ცას მიდიოდა ალთა.
ბევრჯელ გატეხეს მითხოი, რამდენჯერ ბელანქარია.
თავის სიცოცხლე ვაშკაცმა რომ ვერ დაცადას, ბრალთა.

541. შურის ციხე

- კვირაე გათენებადა მთას გადავიდეს მზენია,
გაწირეს შურის ციხეი, საცა სიმაგრე ძველია,
ქმალას რო მდგარან ციხენი, ცას მიზღენია წვერთა.
ციხე ყოფილას ცხრა-თვალთი, დახედულ შშვენინერთა,
5 გვერდებზედ ხქონდეს ჩარდახნი, კუთხებზე სათოფენია,
მიწი-მიწ ხქონდა დარანი წყაროზე ჩასასვლელია.
ღთის კარზედ საკვეხურადა ზღვომიან ალვის ხენია.
წვერზედ ხქონია მომბული ცხრა-კეცად შიბი გძელია.
ზედ ისხდეს ანგელოზები, მკართ ებნეს ოქროს თბენია.
10 ისენ წვრილი კმით გალობენ, ყურება სანატრელია.
ამ ციხის აგებაშია მათუნდა ოცი წელია,
ორმოც მოუნდა ქანალი, სამოც — ქვის სამტერევე კვერთა.
იტყვიან: წინად ბერძენთა კელ ხქონდა საკვირელია.
რო მასსრულეს ციხეი, კარი შააბეს ზგელია,
15 კევის-ბერთ აკურთხებიეს (მაშინ არ იყვა მღვდელია).
მოულოციან: „ციხეო, ნუმც მაგერევის მტერთა!
ნუმც გაგიტყდების ილბალი! ეგრ დადევ, როგორც კლდენთა!“
რამდენ ურჯულო ებრძოდა, უმტკრიენა კარ-კლიტენთა!
ვერც შენ გაგტეხეს, ციხეო, ვერც ხეს დაახლეს კელია.

- 20 ალბად თუ გშველდა, ოკერო, კმალი ბედნიერია.
იმის პირდაპირ არსება დაცარაფებულ კლდენია.
ბელელჩი ესხდეს უფროსნი, ვინც უწინდელნი ბერნია.
სალაშქროს დრომას ზკაზმევედეს ბჭენი და კევის-ბერნია.
ამ დროს მოვიდა ლაშქარიც, მთა დაიჭირა, ველია.
- 25 ერთიც ეტანა ღულელი, არიშაული ბერია.
სახელს სუმელჯას ეტყოდეს, ანდრეზში ეგრე სწერია.
ანგელოზთ ეცხადებოდა, გასთეთრებიყო წვერია.
ალბათ დაქრთამეს ლაშქართა, დაქრთამეს, შაუცდენია.
აავსეს საჩუქრებითა, ოქრო და ვერცხლი ბევრია.
- 30 ერთ საკედარიც აჩუქეს ბაგაზე დასამბელია,
ერთიც აჩუქეს თემლაკი კმლის ვადას შამამბელია.
ალბად ასწავლა სულელმა ალვის ხეთ დასაჭრელია:
„თქვენ მიიყვანეთ კატაი ხეთ ძირში დასაკვლელია!“
ხენი დანათლნეს სისხლითა, ეგ უფრო საკვირველია.
- 35 ალვის ხე გადააქციეს, ძირ არ გაწირეს, წვერია.
შიბ გაწყდა, ცისკე წავიდა, წიოდა როგორც გველია.
შენაც გაგტეხეს, ციხეო, გაგცერებიან თბენია.
სრუ ამასწავიტიეს ჩვენ ჯარი, ახალ არ დარჩა, ბერია.
ვინაც რო დარჩეს, სუმელჯის უქსენეს მამის ყელია,
- 40 ცოლ-შვილით გაანადგურეს, ცას გაადინეს მტვერია.
არ დასჩა კაცი პატრონი, სახელის დამდებელია.
სახელ დაუდევ უსიპო! ბიძა ყოფილა შენია.
შენაც აიმას შალგვიზარ, დაბრჯლნილი გასხავ წვერია.

—

პატარა კევსურიშვილი ამაგ ლექსაის მთქმელია.

542. იაკსარი

- ხვთის კარზე შავიყარნით ანგელოზები თავნია.
გარმოდგეს სასწორ-ჩარეჭი, კვირაჲ, დაუგი თვალია!
ეზიდებიან იმასა, ვინაც რო ძალიანია.
ქვე-ქვე ბოლოსკე მე ვზივარ, ყველას ჩემზე აქვ თვალია.
- 5 ერთმანეცს ეუბნებიან: „აიღებს იაკსარია.“
ავეწიე საწონ-ჩარექსა, — ღმერთო, შენგან-ა ძალია.
ხუთი მავსთხოვე კვირასა, გარმამიმეტა სამია.

სამოც ლიტრასა რკინასა ძირს გაუყარენ ქარნია.
10 დევებს ზქონია ქორწილი, უჩქეფეავ სიმურ წყალი.
ცხრათავ ხყვანია დედაი. ცხრა შეილთ გამზღელი ქალია.
სალუდე ქვაბი თავს ეცვა, აიბან შამდვა ზარია.
დავბრუნდი უკან. ამბობდეს: „შამინდა იაკსარია.“
მამინ კი გადაუფრინდი, გამაუცვალე ჟამია.
15 ლახტი ვესრიე საკმიდან, ზედ გამავხურე ბანია.
ერთ კიდევ გამამივარდა, არ მიუბრუნე თავია.
საგმირო წამავიმაღლე, კლდეს მააფარა ტანია.
კლდე ოთხად დაეანაფოტე, დევს წამავსთხარე თვალია.
კარგად სცოდნიან მაგასა აბუდელაურ ტბანია.
წავიდა-ღ' იქ ჩამეხვეწა, თან ჩავხყევ იაკსარია.
20 იქიდან ველარ ამავე, სისხლმა გამიბნა მქარნია.
ეძებნეს ჩემთა მოყმეთა ოთხ-რქა, ოთხ-ყურა ცხვარია,
მაიყვანეს და შიგ დაკლეს: ღმერთო, დასწერე ჯვარია!
შამავჯე ბროლის ქვაზედა, შამავიბერტყენ მქარნია.
ჩავხენე ჩემ ნაჯდომშია, ჭრელად მამრჩალან ქვანია.
25 ამანდით კარატემდინა შიბ-თოკზე გასავალია.
ეგ აგრე გამავიარე, არვინ მამკიდას თვალია.
ავისგორ ციხეს აგებენ ჩვენს ძირა ცხრანი ძმანია.
ცხრანიე ქვას ეზიდებიან, კარავს ვერ შასდვეს თავია.
მე კი მარტუამ ავიღე, შაუდევ კარის თავია.
30 ერთმანეცს ეუბნებიან: „ეს ჩვენზე ძალიანია.“
შაიყრებიან დევები, საცა ღიდ მედანია,
გაარიგებენ იმასა: „ერთუც უჭირათ მქარია.
ხთიშვილთ კოპალა მაუკლათ, თავში დაუცნათ ქვანია!“
შვიდის წლის ბალლი მავიდა, ეგ შავ-გვრემალა არია,
35 კელში უჭურავ მათრაკი შვიდ-კეცად შვიდი მქარია.
მემრე შვიდის წლის გოგოი, ეგ თამარ დედუფალია.
ქიჩილა გადაიხურა, გადააყენნა ზღვანია.
შუა ზღვას ჩადგა სამანი, არ გარმეყარდეს ცვარია.
ლაშარის გორზე დაბძანდა ლალი ლაშარის ჯვარია.
40 პირ-და-პირ ჩამაუჯდების ქალ თამარ დედუფალია.

—

ამაგის მალექსებელი ალვანში თუმის ქალია.
სალექსოდ გამამიგზავნეთ კვამლად შიშავი ცხვარია.

- ჯერ რო გადმამცა ყმაზედა, მიყვარდის ულვაშინი.
ფანდურს დამიკარ, ბერკუნლო, მიყვარდის სამ-ძალიანი.
ნუ შამიდგები ძალზედა, თუ არ ხარ იმედიანი.
მორიგემ შამამილოცა საგმირო ას-ლიტრიანი.
- 5 ხუთ კიდევ დავადებინე, მკლავჩი ვარ იმედიანი.
სამლოთოსაც კარგა უნდოდა, არ იყვა იმედიანი.
მე მოძმე აიქ მეტანა შუბნური მათრაკიანი.
კელთ ხქონდა ოქროს კოჭობნი სავსენი ნავთის წყლიანი.
ნისლის ფერაიც იქ ხყვანდა ფაფარო-მასკელავეიანი.
- 10 ვეშაგურთის გორს ვესტუმრე, წყემსი ვარ თექაიანი.
მიქა სახლს აგებინებდა, ხურო იქ ეღვა ღვთიანი.
„წილი ჩამიდევ, მიქაო, წყემსი მეცა ვარ ცხერიანი.“
ჩამიდვა წილი მიქამა, წყემსი ვეგონე ცხერიანი.
ერთი ქვა მიაც შაუდევ, მკლავჩი ვარ იმედიანი.
- 15 წყალზე გამლალა მიქამა, კელთ მამცა ვეშრაპიანი.
წყლის პირზე ამოვილოდი, ირემი ვიქენ რქიანი.
თუმებმ მესროლეს ისარი, ფოცხ-მაკრატელა ფთიანი.
სიმურში გადავიჩქეფე, რქის წვერთ გაიღეს ძგრიალი.
გორის ძირს შამამიჩინდა გიორგი დავლათიანი.
- 20 კობალავ, საით მასულხარ დაღალულ პირ-ოფლიანი?
სად წახვალ, თან წამიყვანე, ენა მაქვს ლაქარდიანი.

544.

კობალავ მშვენიერო, მიშველე, მქარ-თეთრო, გოზა-ფართოო!
არც მამინ შამინდებია, ბორბალს რო შეემართო?
— „არ შამინდება კობალა, თუ ლახტი მაიმართაო.“

545. დევების კორწილი

წამავალ სანადიროდა, ჯიქებს დაუწყებ ჭერასა;
შამავხვდი დევებისასა ვაი-ვაგლახსა, მღერასა.
ახალ-ხალ მუყვანავის, აქორწილებდეს ბერასა.

- მიაც იქ დამიბატიჯეს. უყურეთ ბედის წერას!
- 5 „უმახეთ ახალ-უხლებსა, ნუ ვის გასწირავთ, ყველასა!
ნუ აწევთ ბოდაკეველებსა, – ითრევენ ძაღლის ენასა.“
მავიდა ახალ-უხლები, ზოგ მე დამიწყებს ბღვერასა.
„ეს საითა-ღ ვინ მასთარეთ, ჩვენებსავით რომ ვერ ასა?“
მასპინძელ გაუჯავრდების: „ქორწილ უხარის ყველასა.“
- 10 ერთ რაიმ რქიან მავიდა, კუდი ღბავ როგორც მელასა.
თვალ უზის შუა შუბლშია, საცრის ოდენ კი ვერ ასა,
მეორე – კუჭულაშია, უკენისკენაც ხენასა.
იქ რაიც ჭურჭლებ ჩამადგეს, აქ მე ვერ ვათქმევ ენასა.
„ღი-ღიდებ ყანწებ მაგვართვი!“ ეძახდეს მამასწვერასა.
- 15 „შაუნდნას ჩამავლეული, ვინც რომ დააკლდა ბერასა!
მიილით სამამკეთროი, ვერ ხკმარობს მამლაყვერასა.“
ერთ ჯიკვის რქა კი გადასვა, ვხედავ: გუნებას ვერ ასა.
გადაიწურნა ჭურჭელნი, დაცაღნა, დახკრა კერასა;
შამახკრა ჭიბიხოელმა: „ეხლა გიტირებ ყველასა!“
- 20 „დახკარით!“ მყოლებ იძახან, „ჭერნ აუყუღნათ ბერასა!“
მე რო მაგათ შულღს შავესწარ, მაგათ ფარ-კმლების ჯღღერასა,
ერთუცისაკე ზიდიღსა, მაგათ ქურების ბერვასა!
ერთ რაიმ ნიგუზს იბრუნებს, სხვა ეზიდიღის კერასა.
„რაიც რო შასვით, შამჭამეთ, ცეცხლად მაგიქცევთ ყველასა.“
- 25 დადგა ქალების წკმუტუნნი, ვერ ვიჭერთ მამასწვერასა.
ერთ რამამ საქნის მილა, ჩადვა ჭაქეში, ღბერავსა;
სხვამ დასცა წიხლი იმ დროსა, თავ შაუგლივა კერასა.
წამამხტარმ წამაიყოლა, გამანთებულ კი ვერ ასა.
ლაშთა ზდვა გაბრუნებული, ცეცხლი მადევა ენასა.
- 30 ხანჯალთ დაიწყეს პრიალი, ბებერსაც გვიკვლენ პელასა.
მე კი საკვმისას გამავძვერ, – დევებს ვეკვლევი ვერასა.

—

ეგ თქვენის გამარჯვებისა! სრუ მართალს ვამბობთ ყველასა.

546. დევების ამომწყვეტი

ყური-ღ დამიგდით, ვაჟებო, ახალ თუ გინდათ ლექსია.
აქამდენ სხვები ვალექსე, ერთსა-ღ იმედას ვეცქყვია.
უნდა ძაღლიან შავაქო დევების ამომწყვეტია.

- ერთხან წელ-ზაფხულ დათოფნა, აღარ აყენებს კლდეშია.
- 5 ერთმანეც ეუბნებიან: „ხიტალეს გარდაერვია, ამანდით ჩამამართულსა არცა შაუკრან გზებია.“
შაშინდა აშლოყინაი, პირ-აღმ მიძვრების ტყეშია.
„რამ შაგაშინა, ბეჩაო? სულთ ამაუსხამ კელჩია.“
ღვეებს ეჭიკა ყელშია, იმედას ხანჯარ ექნია.
- 10 წვერით სკრა ბაჭიჭაურსა, ფართი-ფართ გაეგდებია.
დაეცა ბაჭიჭაური, ტოტით ბლუნევა კევეშია.
ღვეებს წკმუტუნა დაუღვა: „კელ-გამაუტან შჩებია.
უძებნელს არ გაგწირეღელს, – შვიდი-რვანი გყვან ძმანო.“
შულღ იქნა სახიტალოსა, ხალხ ერთმანეთში სცემია.
- 15 წაგვლალნეს კაც-შუაკაცი, წაგვაყვანიეს ვერძია.
რიგს აგებ დაიყენებენ, მამკლავ-მამკვდრობის წესია.
„ჩვენის გულისად იწვალე“, მე შამამზადეს ერთია.
მივედით შაწუხებულნი, ნარევთ ღვზებია ცეცხლია.
მკვდარს თავითი აქვ თულუხი, ზედ ეკრა სანთლის ფეკია.
- 20 მამა ხყვანიყვა ბებერი, სახელს ეტყვიან კეველია.
ბეწიწურ გარდაიკდინა, მარჯვნივ დაისვა გვერდია.
„მადლობელი ორ“, – ის უთხრა, – „შენ თუ აქ მამიხველია.
ჩვენის გულისად იწვალე, კას სიტყვას გვეუბნებიო.“
ჩამოკლა თავ-დოლაბაი, არცრუ არ აგვატეხია.
- 25 ექვსიოდ-შვიდი ჭურჭელი დაბლა ჩამოღვა ყვერფშიო.
გარმაიტანა ყანწები, ღი-ღიდებ ჯიკვის რქებიო.
ავსტეხეთ სასაუბროი, თუ როგორ შასახვეწიო.
ქუღებ დავცივით ხვეწნასა, მგონევ არ შამჩო ბეწვიო.
გამასადეგებ სიტყვები ღვეებს ბოლოს ძლივ ეთქმიო.
- 30 კაცს იმედასთან მიღლაღვენ: „ცხენ შამამზადე ცხენშიო,
ამზადე თავის ჯერანი, მსხვილად დამღგარი მკერდშიო.
ძალს ვაქწევთ ორწყალშიითა, უფრებ მოუღის გზებიო.
კილდიურ(თ) თვალ-საცერაი ცხენთა ხყავ წინამღვეიო.“
ეტყვიან აშლოყინასა: „შენ უნდა იყვა მგებრიო.“
- 35 საირმიაში შავ-ყვერი ხყავ ტაბლის გამოძლებიო.

—

ამავ პოეტის მათქვამი ღვეების ძმობილ ვკლებიო.
მარტუა არა გვეონასთ, – ამზანიგებ მყავ სხვებიო.

547. გაბურთ ეშმა

თითო ყანწ იმას შაუნდნას, ვინაც იჭერდა ეშმასა!
გაბურ შუამთას წამავა, თივას თიბს, ცელს კი ლესავსა.
ათას ნაირად მაექცა. რას მათყუებს ეშმასა?
ამბობდა გულში გაბური: „ეშმაგ, გიტირებ დელასა.“
დაჯდა, დაიხვევს ალერდსა, ეშმაც იკონავს ფეკათა.
გაბურმ კი ფეკებ დაიქნა, დახტა ეშმაი კვეცასა.
გაიქცა, აღარ გაუშვა, ეშმა მიაჯდა ეშმასა.

5

548. სალოცავები

თეთრი კლდია ბეთლეში, ზედ ოქროთ გადალესული;
მარიამს ქრისტეს დელასა თოკვი აქვ გაკიდებული;
ალავერდს წმიდა გიორგი ხატებს ას გამეტებული;
გიორგი კაკმატის ჯვარი ქაჯებს ას აკიდებული;
ქაჯუეთს რად იარები, გიორგიე ქარის ფერაო?
– ვალი მიკიდავ, ვალსა ვსთხოვ. რას მკითხავ. ქრისტეს დელაო?

5

549. მამახურას

რომენი ხარ? რომთამც გახოლ!
შვიდ მამასამც ნულარ მახოლ!

550. გულის კერძება

ვინ იცის, კიცვო რემაო, შენის თექალთოს კეცება?
ავერევ, ჯვარო ხთიშვილო, მემრ შენის გულის კერძება?

551. ალვა

ჩვენის ხთიშვილის კარზედა ხე ალვა ამასულაო,
წვერად მუსხამ ყურბენი, საჭმელად ჩამასულაო.
მაგის უჭმელი ქალ-ვათი უდროოდ დაშაულაო.

552. ნაბღებურ

დიდის ხთიშვილის გამძღონ ხართ, ჭკვაც დიდი მაგეკელებათ.
დიდი ას თქენი ხთიშვილი, ცის კიდელ-კიდელთ დადგება.
ვისაც შამცოდეს მაიგდებს, ნაბღებურ გამასთულევდა.

553. გვლევნა

ჩვენს ბატონს გვლევნა რად უნდა, – განთ შვილნი ეკოცებიან?
ქარნიცა ხყონდა, ფურნიცა, მსახურნიც ეშობიან.

554. მედროშაეს

ბეწინას მედროშაესა მშვილდს უმზადებენ, ისარსა;
მკართ მშვილდსა ჩამახკიდებენ ჯიქვში ნარჩევის რქისასა.

555. იშრიშობა

ჩიტი შამაჯდა ლობესა, იძახდა იშრიშობასა.
ბევრსამც აემ ღროს ილოცაეთ წელწაღსა, ქრისტეშობასა!

556. ახალი წელი

გამაგვეცვალა, სწორებო, დაგვიდგა ახალ-წელია.
დაგლოცნასთ ჯვარმა ყველანი, არ მაგერიოსთ მტერია!
ყველკანამც გაგიმარჯვებისთ, ქისტებს აღინოთ მტვერია!

557. აღების ღამე

გლესსა ვინ მისცემს საწყალსა აღების ღამეს ღვინოსა?
პური ჭამას და წყალი სვას, დაწვას და დაიძინოსა!

558. აკესების შაბათს

აკესებისა შაბათსაო მკვდარნი ჩავლენ ტაბაკსაო;
ვინც რო მალედ პური ჭამას, სწყვეენ იმის ჯალაფსაო.

559. მარიანობის მარხვა

პატრონის დედას ვიტირებ მარიანობის მარხვაო:
ქვესურაი ორ ძირადა, კარგად ვერ შევინახაო.

560. სულეთი

- რა იცის წუთისოფელმა, სულეთს რა სამართალია?
სულეთს კარი კნავს ცალა-რქა, ბარაქა მესტუმრეთია.
შავეთში სულთქმის ციხე ღვა, წვერ ცამდე მიმდინარია;
5 შიგ სხედან მოსამართლენი, რომლებიც მართლის მთქმლებია.
კელჩი მაკრატლებ უჭურავ, ბეწვის ოროლა მჭრებია.
ქალ-ვაჟთა უსჯოთ დამსჯეთა მასჭრიან ენის წვერია.
— „რაად ამბობდი მაგასა? ენა დაგიხვდა მტერია.“
ცეცხზე ღვა სინის ქობები, თავზე გადმადის პერია.
კელითა ცოდვის მაქმელსა შიგ მაუხარშეს კელია,
10 ამახკრეს, შახვრეტინეს: „ნახე რა გემრიელია!“
ღედას ობლების დამყრელსა უბეს ჩაუსხნეს გველნია,
ჯოჯოხეთისკე გაღმართეს, ჯოჯოხეთის კარ ბნელია,
ემშაკი გამაყოლეს, რომელიც უფრო ძნელია.
სამან-სამძღვრისა ამრევსა ზურგზე მახკიდეს კლდენია.
15 „რად შეეცოდე მიწასა? ნაწოვ-ნადავი ჩვენია.
სულეთში ეშა წყაროა, სასმელად გემრიელია;
ცხენებ სმენ დაქცეულები, მკედრები მწყურივლებია.
ნისლი დაიდვა მინდვრებზე, ეგ ქერიე-ობლების ცრემლია.
შუქი დაადვა კედლებსა, ეგ უბედურთა ბედია.
20 სულეთს ილთოდა ბალები ღელ-მამის უცნაურია,
ამდინარ-ჩამდინარებსა კალთებზე ემბოდიანო.
„ჩვენ თქვენებ ღედებ არა ვართ“, წიხლს ზკერენ, აგორებდიანო.
კუპრზე ძე ბეწვის კიდაი. შავეთში ამბობდიანო:
„ცოდვიანნა გადიყრებიან, მაღლიანნა გამოდიანო.“

3) ბალმესება

თოხლების დაკოცა აბას მიერ 561.

ბათირათო მარტიაჲ, წინ ცოლო შამოგეყარა.
ბერა მაგიკლაჲ მელაი ნარღვეჲთ, ეშმაის კლდესთანა.
ონჩხრით მასხმულეჲთ თოხლები საცხვრიდან გამოგეყარა,
ცირცლოვანაში გალაღეს, უნდა ბალახი ეჭამა.

- 5 შამაზღვდეს მღვდელ-ღარასტანი, ერთი სტრაჟნიკიც ეტანა.
თუ სად შამოვხვდი აბასა, მე ხო ლანძღს მივსცემ ერთხანა.
გან-თუ-რად იყვა ჯიკვები, იქ რო ბერდენკა ეკალა?!
კვირობდეს მართლის სროლასა: ტყვია ტყვიაში ეთხარა.

562.

- ბეჩავს ბათირათ მარტიას, სუყველა მაგას ხპარავსა!
ღვდელიც შიგ ნატანებია, სისხლ ეცხა ანაფორასა.
მაკევეებიმც შაგყარნათ კარკუნასა და ყვარასა!
აისენ შაგიფერებდესთ ყაჩაღებს მაგისთანასა.
- 5 ერთს გცემდესთ სამ-სამ-ოთხ-ოთხნი, დაიბრუნებდეს გარასა.
ღარასტას ნაროზაულსა წელთ შამა[ხ]ქსნიდეს დანასა,
შინისკე გამაქცევდეს გიგაურს ალვისტანასა,
ორთავ დათ აუტირებდეს, სანდუსა და ნანასა.

563. აბასაგან მინდიასა და უშიშას¹ (პასუხი)

- აბეჩავ არხოტიენებო! ბევრას ამახებთ ალასა.
სიცეტემ დაუახლოვა გიგაურს ალვისტანასა.
ჯარჯ-ჯირკლიანებმ მიბარეს: „თავ გაანებე კალამსა.“
ბძანებას მალედ გისრულებთ, რახანც თქვენ მიგიქარავთა.
- 5 დიჩინ მაგაშლეგს, ომაო, ამლას ლექსების თვალვასა.
მალ-მალედ ჩაგამწუხვიებ ღამურასავეით თვალათა.
შაეო, შაევი გაქვ კისერი, შალგვიზარ ლეგათ მყვარათა.
პეტრუავ, გათურებიებ ჩხიკვივით მწვეტათ თვალათა.
კოს ღვეიზარ ნახამთრევასა, ფეკ-დაკეცილას ცხვარასა.
- 10 ნეტარ, არ გათურდებოდა, რო ნაცარ-თვალში ვბანათა?
თამბაქოს წვენ კი აჯობნებს, ტილებ რო ჩამახყარასა.
კელს ვერ მიიწვდენს კარგადა, მინდიამ ჩამახუნანასა.
მე ყველკან გამაცდილი ვარ, კარკუნასა და ყვარასა,

¹სამივე პირი ჩვეულებრივო სახელებითაც არიან ცნობილი ლექსებში და თიკუნებითაც (ფსევდონიმებითაც): აბას თიკუნია დიჩინი, უშიშასი პეტრო (ანუ პეტრუა), მინდიასი კი ომა და მერცხალი.

- მეკვე ვერ მამეწვეის, რომ ქიტქიტ გაიყარასა.
 15 დამალულს ვერ მამეკლევედით, თვალბ რომ დაითხარათა,
 რა დამცხას, ზედ გადავხტები სამი-ოთხს თქვენისთანასა.
 ძალიან არ ვებრალეები სანდუასა და ნანასა:
 იმედ აქვ, არ შავაკვლები, ყველას მივართომ სალამსა.
 ვერ მცემენ მოკევეები, ვირს სცემენ თქვენისთანასა.
 20 გირჩევისთ, თავ დანებეთ ცულ-ალარც-რაის თვალვასა.
 მაგრემ იმთვენ ჭკვა სადა-ლ გაქეთ? ქარ-თოვამ გაგაცალათ;
 ტანიეს სმენაობამა სრულ გონ-წართ გადაგყარათა;
 შიტუთ ბარგების ზიდვამა ზურგზე ტყავ გაგაცალათ.
 პერანგები გშველსთ კიდევა, შალს იცვამთ ფარჩის კვალადა.
 25 ღმერთმ იმოდენ ჭკვა არ მაგცათ, სმაში რო პურიც შჭამათ,
 გონება გამაგაცალათ, ჩალა-ბზე ჩაიყარათა.
 ერთმანეც წამაუღვებით, სრუ მთელ-მკვლარს მაუბზარავთ.
 სუდიანი ას ომაი, დარასტა დაიტანასა,
 წაბმანდეს ფაიტონითა, სტრაჟნიკებ წაიყვანასა.
 30 თოფის კმა ეყურებოდა, დარასტამ დაუთვალასა.
 რამთვენ ვესრიე, იცოდეს, გულისხმას გაიყვანასა.
 სამ მანათ სტრაფად წამართვეს, ეგიც კი გამაგზავნასა.
 ტყვია-წამალიც ამზადე, მარტიას დაუბარასა.
 35 თორემ თავ-პირზე დავალეწ მაჩვების მქოცველს გარასა.
 შავკვლები ჩემსა ჯერანსა, ფეტვ მიდგას მასამკალადა.
 ბევრა კი იტყვის: „გენაცვლე, ნეტავინ შენისთანასა!“
 ომას არ მაიგონებენ, არც პეტროს მაჩვის ცალასა.
 ლექსებს გონება არ მინდა, სიტყვა წინ უსწრებს კალამსა.
 ქალჩი მკეხებო ვაყუებო, კისერ არ მაშიხარათა!

564. უშიშასაგან აბას (პასუხი)

- მოუწერავის სტრაჟნიკსა წიგნი, წერილი ჩემთანა.
 მადლობელი ორ, კნიაზო, მოკითხვა შამაგეთვალა,
 დიდობებ ჩინებ მიგელა, თიანეთ გნაზე ერთხანა.
 გშეენოდეს ვერცხლის მასრანი მერდლებსთანა და ჯვრებსთანა,
 5 თუთრ ქუქუნაკა ჩაგეცვა, დილით საყრელი წელთანა.
 მინდიას რად არ მასწერე, რა მიზეზ იყო ჩემთანა?

- მიაც მავისგან ვილანძღე, მაგასაც ბევრ მიექარა.
 ვერ გაიგია, მესვლეო, პეტრო მელექსე არ ასა?
 თვალთ რო გნახავ, შინში ხარ, ჩესტს გაგიკეთებ, სალამსა.
- 10 სიმირგვლივ დაიარები, თვალმაჯას ღვეიხარ, დალალსა.
 მე ისევ გნახე მოსული, ჯორს უჯენჯევედი მანასა.
 რო გითქომ, ვერ გადახტების შენ-ფერა ჩემისთანასა.
 მთელ არხოტიენებ ვერ მხტების, მღევარ რო წავალთ ჭალასა,
 არ დამიწევაე უკენა, ბევრჯელ ჩავსულორ ძალადა,
- 15 მარტუას საკარის წვერი ბევრჯელ გაღმივლაე ჩქარადა.
 შინშო, მთას იქითს მაშორდი, თორ გიპირობენ დარიღსა,
 მე შენ, შენ ცოლ-შვილ მაჯავრებს, მე ამიტირებ არვისა.
 შენ ჩემს თავს, უჭკოს, უჯერე, თორ სად ხვრეტ ნიორ-მარიღსა!

565. მინდიასაგან აბას

- ბევრაი ამბობს ლექსებსა, ჩემისთანა ხო ძვირია.
 ვიგაურ გადამეკიდა, თავს გადაიდვა ჭირია.
 ბლოი და საიქიოი ერთუცში გადაჩრილია,
 შუაზე უღვას სამანი, ბლო ცალკე გამაჭრილია.
- 5 აბა ზის გრანიცაზედა, კოშკს გადაუსვა კირია.
 ერთხან ვთქვი: „ისრე გავლანძღათ, სრუ გარმოვუგდათ ძირია.“
 მეგრე ვთქვი: „არ შავაგინებ, — კაი კვესურის შეილია.
 ჩინოენიკებში ეთვლების მშაე-კვესურეთის გზირია.“
- 10 ძნან ვიღვან იანვარშია, იმით გამოდის ტკბილია,
 ქატოს ვერა ჭრის წისქვილი, ქალაქით მოტანილია.
 ბლოში რო ერთი ტბაი ას, ზღვამდი მიუღის ძირია,
 მიდი და ყური მიუგდე, კაცო, თუ არ ხარ ვირია.

566. აბასაგან მინდიასა და უშიშას

- მინდიაო და უშიშავ, სიტყვა იცით განსაცდელი.
 დაგობარეთ ქართულადა სიტყვა გულით განსუყრელი.
 კვესურეთულ დამავიწყდა, კახის სიტყვამ შამჭრა ყელი.
 ათას-გინდა მაიფიქრეთ, თქვენ ხართ კვესურეთის ბრძენნი.
- 5 ცოცხალიე გყავთ ნისლაური, მექადაგე კვეის-ბერი,
 შამალეწა დაღისტანი, ჩაჩანს გაადინა მტვერი,

- იაპონიაში მიდის, ერთ ღლეს გადაუსვა კელი,
 მახანდების ფაიტენითა მაიორი კისერ-ზგელი.
 ხალიჩაებ დაუფინეთ, დასეით როგორც სმატრიტელი.
 10 მე კი ნულარ შამაგინებთ, თუ გწამსთ მაცხოვარი ჩვენი.
 აღარ მცალის სალექსოდა, პრიკაზ მაძივდა ძნელი.
 საქალაქოდ ვემზადები, ჯერანს თოფრით მივეც ქერი,
 ნისლის კოტორთ დაეფერა, გზაზე გაიყოლა მტკერი.
 ვითამ ღიარანალი ვარ, მიაც მავილერე ყელი.
 15 გუნებით კი ევესური ორ, ბაჭიჭებ აღარ მცეკვ ჭრელი.

—
 მელექსეს თუ ვერ გაიგებთ, ღიჩინია თქვენი მტერი.

567. მინდიასაგან მარტიას

- ბათირათაო მარტიავ, დაგიდგა თვალი, ყურია!
 არ წამოგელა წამლები, ეგ ჩემთვი გამასულია.
 ეგ ქვე რას წამამიტანდა? არა აქე მაზა გულია.
 5 ერთხან ღედასა მოშორდა ომისკე მამზადულია.
 ხაფანგ აქე წამწამივითა, თოფი აქე გამართულია.
 ნარღვევნი, ჭიმღის ჭალანი სულ სისხლი მახასრულია.
 მაგის მოკლული მელაი ორი ათას კი სრულია.
 რამთვენ წასვლივა დაჭრილი, ას რამთვენ დაკარგულია!
 ჩიმის მინდორში მავიდა ძაუგით წამოსულია.
 10 თხის ტყავენ ყაჩაღებმ წაართვეს, არ დაშჩა მოსახურია.
 ფულ კი ვერ ამოეცალა. სად ხქონდა შენახულია?
 დაწოლილიყვა გულ-აღმა, როგორც პირქე დამარხულია.
 გიორგის ვერ ამავაკობ, — მაგასთან დახარჯულია.
 არ უნდა გაცვარცულიყვა, ძალია მახათრულია.
 15 საგძალნი გიორგისანი, ამავეტანა პურია.
 ყაჩაღებს გახარდომიყვა მაგის ხუთ მანათ ფულია.
 საითაც ცოცხლებ გადარჩით, ეგ თქვენთვი დათაფლულია.
- ამავის მალექსებელსა არ მიბერდების გულია.
 კარგ ვიყავ სიახლემშია, სულით კი არ ვარ კრულია.
 20 მარტო ვხყორობდი ქალებსა ევესურეთ გადასულია.
 ბევრა გადავსვი მინაი, პირზე მირღლ-გადამბულია.

ნადგომი შვიდ კვირაესა, ჩემ წილა შანახულია.
ბევრამ მამართვა ქალამა წეკევი დაშაქრულია.
ბევრ კევსურის ქალ წაეილა ომაის გაგაზულია.

568. მარტიასაგან მინდიას (პასუხი)

- ლექს გავიგონი, მერცხალო, ის შენგან გამათქმულიო.
ნახევარ საქებ არა ვარ, შენ კი ვითქმია სრულიო.
არაყიან ქინთ გერგების პირამდი გაცამცმულიო,
საითაც კაცა ჩამავდი სიბერის დაჩავრულიო.
- 5 ბოსელთკე შეეფარები ჯორივი შაკაზმულიო;
სულ მუდამ შიტუს გდებასა კული გაქე განაბდულიო.
აეხლა შენაც გეყოფის, კარგა ხან მწყიე, მქრულიო.
მაგოდენ რა შეგაწყინე? არ მაქსონს, – დმერთი, რჯულიო!

569. მინდიასაგან ახიელლებს

- მალექსეს ახიელლებმა, ამაულივარ ძირითა.
ჩამადან-მძივიანებო, არსად მომაჭრათ ღირმითა!
ქალს იჩხრკეთ დიდ-დიდ ჯამჩია, დაზღილნო ცოდვა-ჭირითა.
როსაც დაზძლებით, იცინით, რახან მოვშევდასთ, სტირითა.
- 5 სისკარათ იონეურო, ცოლ-შვილთ ინახავ რკინითა,
ერთ საქნის გამიკეთიდი, სრუ ამახქონდას ძირითა, –
ტერდას საქნავად წამოვალ, შენს წილსაც მოვხქნავ იმითა.

–
ამაგ ლექსს დაგიბარებდათ მინდია ტერლის ჩდილითა.

570. ახიელლებისაგან მინდიას (პასუხად)

- გათქვა კუკიამდინა ეგ ნისლაურის ცხენიო, –
სადაც რო დოღვი განდება, წინ გარბის როგორც მგელიო.
შვილი მერცხალა ამბობდა: „თავი მაქე დასაცდელიო;
ნეტავი გზაჩი შამყარა, ქისტებიმც მყვანდა მტერიო!“
- 5 ეეწ მაგპარეს ლურჯაი. ვაი თუ ვერა ხქენიო?!

სერნაობ სირცხვილიანი, გასცვითუ ბანის წვერიო.
კიდეე გჯობ მამაცობითა შუქია დედა-შენიო.
ან საჩეჩელა დაიდგი, ან ჩამაიქსი ქსელიო.
არ გვქონდა სირცხვილიანი ჩვენ ჩამადანი ჭრელიო.

571. მინდიასაგან აფშინას

წოვათ ქორიას ვეხვეწე, არშავით მორთვევინე.
ცოტაად მემოკლებოდა, სიგრძესა მომბევინე.
ორი ცოლი გყავ, აფშინავ, უნცროს მე მამაკვლევინე.

572. გ. არაბულისაგან უშიშასა და მინდიას

პეტრუასა და მერცხალსა კაცი არეინ ჯობ ბიჭებსა:
აღმა-ჩაღმ დაითრევენ საზვებ ცხენივი ტიკებსა.
მთაში კი ველარ აღიან, დასდევენ ბარის ფსიტებსა.

573. მინდიასაგან გ. არაბულს (პასუხი)

ტიკებ ქვე რასა-ლ გექვინა, შენ კარტოხაის ციცაო?
ღამი კარტოხას იპარავ, დღისი გამახოლ, ხფიცაო.
ჯუთელნი იმას იძახან: „მაჩვებ დაგვეჩვიე მთისაო.“
თუ საქდელა გაგიქდათ, ამხანივი გყავთ მიხაო.

ჯუთელთ 574.

დიდება ჩემ სალოცავსა! გადამეკიდა ჯუთელა.
ამაგას თავას მაგიგლეჯ, ჯორჯა გაზღვევდას უკენა.

575.

სუყველა კაი კაცია, ვინაც მე ვიცან ჯუთელი.
აბიკათასა გიორგის ზურგს გაკრული აქვ მუცელი.

ქმოსტელთ უსწავლავ რუსული ოსიმდისიატ პიატი.
 ღმერთი გაგიწყრათ, ქმოსტელნო, სრუ დაგილიათ კიაპი!

577. არახიჯელისაგან უშიშას

- დინჯი ხარ, პეტრო ჩამლელი, ვიცი, რაც გაგაფიცხებსა.
 სუ მთვრალი დაიარები, ერთხან ვერ გნახვენ ფხიზელსა.
 ლექს უნდა გითხრა საფერი, მქვისელ გენაცვლას მქვისელსა!
 თან კი გულში დარდი მაქვ: ვაი პეტროს გადამკიდესა!
- 5 პეტრომ თუ პირი წამამყვა, ხატ-ღმერთი ველარ მიშველსა.
 მე კი ძალიან მიყვარხარ, ღმერთს გეფიცები, ქრისტესა.
 აიმას მეუბნებიან: „შარშან ეშმაკებმ ტკიცესა.“
 ნეტარ, რაი-რა იფიქრე, პეტრო, რო წახვე ტყისკესა?
 ეშმათ მალჭერ თელაი, ერჩიყვა ყარსის ციხესა.
- 10 აიბ თელასთან ეშმანი სრუ მუღამ ლაშქარს ყრიდესა.
 საღღეობოლაც იქ ხქონდა, საკლავებს თავებს სჭრიდესა,
 ჯორებს და ვირებს დახკოცდეს, სუ სისხლით გადასვრიდესა.
 თელასთან საკლავებს კოცდეს, იქით აშალსა შლიდესა.
 წამოგეხვიენეს, პეტროვო, ზედ ღვიძლზედ დაგაბიჯესა.
- 15 ზოგნი ფექთ გეზიდებიან, ზოგნი თავესა და კისერსა.
 ზოგთ გაგიმრუდეს ლაშ-პირი, ზოგნი კი თვალებს გთხრიდესა.
 წინავ კი დაბლა იყავ, მაშინ გაგწიეს სიგძესა.
 ვერცა-რა იმით გააწყვეს, წავლენ, ხაზინის ხკითხესა.
 თორმეტ დღე-ღამეს იარეს, კემწიფის კარზე მიდგესა,
- 20 თელაის მაჭრა შაშივილეს, წესიერ სალამ მისცესა.
 წამოღგა, ბრაცუნ დაიწყა, – საწყენს სუყველა იწყენსა.
 მაღლა დაიწყა ყვირილი: „ვაი თქვენს ოჩოპინტრესა!
 განა კი თქვენაც არ იცით, რაიც რო რჯული გვიძესა?“
 თბილს აბაროში გაბანეთ, დაბლა გასწიეთ წყლისკესა.
- 25 თვალ-პირზე გაალამაზეთ, ლოკ კაწრით ჩამაფხიკეთა.
 შავსა და დაუბანელსა ხოშექა გვერდზე იწვენსა.

მელექსეს თუ რას იკითხავთ, მეძახან არახიჯელსა.

578. ოსიკასაგან მანგიას

მინიორაზე გასულსა გამაქე სიცივი(თ) კანკალი.
ნეტარ, არ გამათობობდააათ ქალის ბარკალი?
მანგიავ, ქალებს გილექსებ, დავხყეები ერთი პირითა.

579. გიგიტელისაგან ოსიკას (პასუხად)

ოსიკას ვულექსებივარ. ნაცვალო, შენსა დედას!
ვინ გიხედევდა, ოსიკავ, ჩვენს გინებასა, ქებასა?
საოკერკეოდ წამოვედ, დავხყეები ნება-ნებასა.

580. ხთისოსაგან გიგიტელს

ხთისო ვარ ატაბურათი, ღელის ქვე ვხერხავ ფიცარსა.
რად არ ჩამოქსნით ბაღლასა, ამ ჩემის საფერისასა?
ნეტარ, არ დამაკოცნიებს თვალებს უფროსის დისასა?

581. გიგიტელისაგან ხთისოს (პასუხად)

გიგიტელი ვარ ბურღული, ჯავრსა არა ვჭამ მტრისასა.
ამ ქვესურასა-ღ შახენეთ, – თვალებშია ღვაგ ციცასა.
ორისავ თვალებს დავიკოცნ: ცოლისასა და დისასა.

582. გასპარასაგან ლიქოკელთ

აბეჩავ, ჩემო ფანდურო, ჟრიალ იცი, ჟერაიო.
ჯერ ლექსების საუბარი, მემრ ქაღალდში წერაიო.
დამიბერდა კინდოლაი, აღარ მყავის ცხენაიო.
ლიქოკისკე წამოვედი, მითხრეს: ქალებ ბევრაიო.

5

აღარა სთქვათ, ლიქოკელნო, დააყენეთ ენაიო,
თორე ჯამბარაობა და კახეთს გინდათ დენაიო.

583. გასპარას

(პასუხად)

- გენაცვალე, გასპარაო, ძმობილი ვარ შენაიო.
შენ ლექსობაც მამადინა, შენ ფანდურის ჟერაიო.
დღის-თაოდ მაქე მოლოდინი, როს მომივა ქერაიო.
მომიტანე ბუზიკაი, ახლოს გაქვის თულავიო.
- 5
ფეკი გავლას აღარ ხკადრობ, – იორლა გყავ ცხენაიო.
არ გიტევენ ლიქოკელნი, გემტერების ყველაიო.
მაშინ რა ხქენ, გასპარაო, შეგეყარა მგელიო,
მგელიკათა დათვიანი, ბეწიკუა შტერაიო?
გარმაქნეულ გარმაჩინდა კმალი ფხა-შიშველაიო.
- 10
სამაია ჩაგამბიეს, იქნა სივირგალაიო.
სიმირგვალად მაგაელიეს გიგაურის ველაიო.
გალმა გამოღვარდი წყალზე, ეგონეო მელაიო.
სალოცავებს ეხვეწები: „ რად მომგვარე წერაიო?“
შენთან დამწოლებ ქალები ვირმ დალიტას ყველაიო!
- 15
მინაის გამომტანები, შილეტკაის მკერავიო!
წაიყვანე ბებერაი ე მინდიას ზგელაიო,
აღარ უნდა კეესურებსა, ყველამ ხყარა კელაიო.

—

ამაგის მალექსებელი ის არა სთქვა, ვერაიო,
დათვისელა კოტორელი, ბევრის გამომთელავიო.

584. გასპარასგან ხახონაურთ

- დაგიკარ, ჩემო ფანდურო, ალყებმ გაილა ჟრიალი.
კიღენ გამოსთქვამს ლექსებსა გასპარა ერისთვიანი.
-
- მამასწერეს ხახონაურთა, იდგა თურების პრიალი,
წამამახვიეს ჯოხები, ვადამ გაილა ჟღრიალი.
- 5
მაცალეთ, ხახონაურნო, განა სრუ თქვენი დღი არი?
ამაშინ თქვენი დრო იყვა, კელი ჩავარდა კმლიანი.
არ გაჭრა დავითფერულმა ჯაჭვი ჩაჩქანი ტიალი,
არც გაჭრა შავხლის ხანჯარმა სამკლავე საფუქრიანი.
გასპარა გამამაქციეს, წყალჩი გავილი შხრიალი.
- 10
მესამეს გაფრენაზელა რიყე გათავდა წყლიანი.
აბეჩავ ხახონაურნო, ვარდნი აყვავდით, იანი.

გაიზარებენ ქვიტკირნი, სოფელი პირი-მზიანი.
არ მინდა თქვენი ლელაი, თვალ-ჭრელი, ყვითელ-თმიანი.
[ძალიან გაგკვირებით, ცათ რო დახკიდეთ ფსლიანი].

დედიდაებს 585.

ჩაუკარ, ჩემო ფანდურო, ანგელოზივი კმიანო.
ლექსებს რაგორ აღარ გეტყვი, მე ხო პეტრუა მქვიანო?
შავაქებ დედიდაებსა, – მიწაზე აღარ დიანო;
მთვარეს ჰგონ ცაზე მავალსა, ვაუების გულსა გლიანო.
5 ღმერთმა გამთელას, ლელაო, ქოჩორაჟ, გიშლის თმიანო.
სალექსო რას-რა მიკეთებ, ქალო, ძალიან ჭკვიანო?
მე კი მამწყინდა, ფანდურო, შენ კი არ დასდე, ტიალო!

586.

რა ალლოი აქვ არაყსა, კაც რო მაიქცევს ენასა!
მაშინ დავნატრი ქალებსა ყანწების გარდადენასა.
მიქებენ დედიდაებსა: ნინოს ქალას და ლელასა.
ამჯობინებენ ნინოსა, მაგრამ ვერა ჯობ ლელასა.

587. ჯიკვის ტყავები

ტანიეს ხუტუნიშვილი სათავეს იჯდა წყლისასა.
რა დიდი თოვლი დათოვა! ზოვებ დის ჭლაისასა.
რას უხაიროს ამბობენ მაგ თათარაის ბიჭასა:
საქონნ დალიენა შიმშილსა, აღარ უზიდავს თივათა;
5 დილა რო კარში გამოვა, ქუშს გახენებდა მთისასა.
მაუღავ ბერდენკუი, ვითამ საკვირველს იქაშსა.
გაზაფხულისა ნიკოი ჯარსა ჩააწყობს რქისასა.
„რად არ წაიღებ ტყავებსა?“ დაუბარებდა წიქასა.
რას მავებაში ჩასულა, ქვესურს უყურე ციცასა!

588. მამიდაშვილს

კახეთ მთვრალაის ფანდური იძახებს, როგორც ზარია.
ბარში გათავდა საქნავი, ახლა ლექსობის ხანია.

- გათქვა ცისკარაული, შორა გავიდეს კმანია.
 გინდოდეს, მამიდაშვილო, ერეკლესავი ყბანია,
 5 რო გეკრას აპელატრები, წელზე რო გერტყას კმალთა,
 მიუძღვებოდი ჯარებსა, წინ ედგა აფიცარია.
 არ შეგიტლების, კეესურო, მერდალ რად გინდა, ვევარია?
 ან ბერდენკაი რად გინდა კელმწიფის ნაჩუქარია?
 ფული გაქეს იმოღენაი, არაგვ არ ზიდავს, მტკევარია:
 10 ერთ მილიონ გაქეს პანკშია, სხვა კიდევ შესატანია.
 გიყიდავ კარგი სახლები, გოროდის შესადარია,
 მიგიცავ ათას თუმანი, არც აიტანე ვალია.
 ბანკოზე გამოსერნავდი, ალის ხეს გიგავ ტანია,
 წელზე სეველიან ზანჯარი, მასრათ არ ემბის თვალთა.

—

- 15 ამაგის მალექსებელი თქვენი ნათლული ვარია.
 სალექსო გამომიგზავნე ამაგის შესადარია.
 ლიურველ აგებ მიყიდა, მტერმ დამატანა ძალია.
 მიყიდე არშავიანი, ტყვიას ვერ იჭერს ძვალთა.

589. გიგასაგან ბალიაურს

როდის მოიშლის გიგაი თვალვასა ლექსებისასა?
 ორმოცი ლექსი გამაუთქვი, კიდევაც ვიტყვი ვითასა!
 აის შავაქათ, ვაჟებო, წინ თავში საქებ ვინც ასა.

—

- აქებენ ბალიაურსა, გაზდილსა ჩენის მდღლისასა.
 5 ხანდახან იტყვის: „გიგა ვარ“, სახელს იქვინებს ვისასა?!
 ეგ თავა კარგი ვაჟია, სახელს მე აღარ მტკიდასა.
 კელმწიფე ჯამაგირს აძლევს, მალ-მალ გაუვსებს ჯიბასა.
 ახლა თიანეთს იბარებს, ნეფობა უნდა მისცასა.
 ურჯულო კარგა დაშიშა, არცა-რას რუსებს ხკითხავსა.
 10 გიორგავ, შენსა სახლ-კარსა იტყვიან წინი ჟმისასა:
 ახლა შენ ჰყვიხარ პატრონი ნამყოფსა წინა გმირთასა.
 მტერი და მაკეთე ღრიღებს ჯანს შენის მკლავებისასა.
 ახსორებ ხთისშვილივითა, ვერც-რას ვინ გეტყვის სიტყვასა.
 ხალხი და ხთისშვილ წყინუნობს სიკვდილსა შენი ძმისასა,
 15 ზვავსა არ ჩამოგვდაა, გასაოკრებსა მთისასა!

—

- საღმკობრო კი ერგების მათქვამსა ამაგისასა.
 გამაუგზანეთ, ქვეც უნდა, თითო თუმანი გიგასა.
 იმით იყიდის ზაფანგსა, სამბელსა ქაღებისასა.
 თქვენ მასწავლიდით აისი, რომნისას დიან გზისასა.
 20 რომენს კარგს ქაღსა დაიჭერს, ყრას კი დაიწყებთ წილთასა.
 ქისტებ გეკოცათ, გეტყოდით თოფისასა და კმლისასა.

590. ხუტუნისშვილისაგან აკვაიშვილს

- ამღამი აკვაიშვილო, დედა ოცხონე შენია!
 წამახვე საახილო, ძალიან დაითვერია.
 მამავალს წამგეგება ეგ სულის მამა მღღელია.
 ჩათუში და ჩაფრები, სუყველა შენი მტერია.
 5 ჩაგარტყეს მაგარ-მაგარი, ვერ შევიცვალეს ფერია.
 ბრალია, იონაშვილო, არ ექტეოდას კელია!
 არ ისერებოდას სისხლითა ეგ შენის ხანჯრის წვერია!
 მაგ შენებს მეჯაბრებსა თუ გზაში მასწვერია.
 დასწურე ცხარი არაყი, რაკი არ გიძე ქერია!
 10 თუნდა ძალიან ეცადას, ერთ კი ვერ შაგჭამს მგელია.

ლექსისად ხუტუნისშვილსა გასარული აქვ ყელია:
 ეგრე მოგვიდის ლექსები, ვერ რო წისქვილის ჯერია.

591. აპარეკულს

- იმას ვერ იტყვი, აკურავ, აპარეკული არ აქი.
 ყურ დამიგდ, აპარეკულო, მეც მოგაკსენავ არაკი:
 ძმობილო აპარეკულო, ბევრმ გაგიბედა ღალატი.
 იმ შენს სახლს, აპარეკულო, მითხარ, რითა სჯობ ქალაქი?
 5 ლიტრობით წმინდა ერბოს ხყიდ, ფუთობით გაგაქვ კარაქი.
 მაგიტომ მამწონ თამარა, კაი კელ იცის ჯარათი, —
 ისეთი ქსელი მაქსოვა, როგორც ქალაქის ხალათი.
 შენნი იარაღნი მამწონანი, მაგ შენის ჩაჩქნის ზარაღი.
 კირიმ თოფი გაქვ, ძმობილო, ტყვიას არ ჩასდებ კარაჩი.
 10 დათვისად იქენ ღეთის მტერი, აღარ გაუტივ ქარაფრი.
 შენს ხანჯარს, აპარეკულო, წმინდა მიუდის მარაგი,
 მოჯაბრესა ხკარ წვერითა, აპარეკულო, არა გი!

592. ბაბილთ ლელა

ღახედენ, ცოთუშუაი მამაძალლობას შერებისა:
გაიერდგულა ლელაი, საძილუსთან წეებისა.

—

- 5 — ეინ იყავ, ეინ გვაშაირენ? კეზ გაგერეკას კერასა!
შენ დელა, კეესურიშვილო, შენსა სამარხეს ფქვედასა!
ამაგას გამამჩნებოლით ლულჩი ბაბილთა ლელასა.
ვერას მამლევენ ჯალაფნი მა ბუზიკანტზე მღერასა.

—

- 10 ეხლა ვიამბათ საქები, საგინებ არაფერია.
ლულჩი სასტუმროდ წამოვედ, ყველა გამიქლა მტერია.
ვაგინე დელიდეები, კარგადაც ვერა ექენია.
ბაბილის ქალი ლელაი ანგელოზების ფერია.
ყველაიმც შეენაცვლების ლულჩი: ახალი, ბერია!
მიძახა იმედას ქალმა: „შვილობით მოსელა შენია!“
ამბავ კი არც მაგან მკითხა. ხამაზდმ ჩასტყრუშას ყელაი!

593. გიგიას

აბეჩავ ჩვენო სოფელო! აწ ლექსობის დრო დამდგარა.
ლექსებ გიუბნავ, გიგიავ, ზოგ ქებით ცაში შამქლარა.
ვერც-რა გიუბნავ სწორადა, შენ' საიქიო წამქლარა.
შენებ ნაქებებ ოუები ნეტავი გზაში შამყარა!

- 5 კმალს კი წელზელით შავსქსნილი, მე თუ ძალიან შამშალა.
ერთუცთან კარგა ყოფაი არცად შავნანდასთ თან-თანა.
მე კი გავიტან ბოლოსა, რომენიც ჩემკეს დამდგარა.
თუნდა კევსურეთ იკითხეთ, როს გაძაგენით სხვასთანა?
სიტყვა შასარცხენელ არ მითქომ, სწორებო, მანდლიანთანა.
10 ღმერთმ გიყოსთ თავის გულისა თავის ქალსთანა, ზალსთანა!

—

მაგის მეტს აღარ ვიამბობთ: ფანდურის ალყა გამწყდარა.
თუ რას მოლექსეს იკითხავთ, ქვე-ქვეუბნელამ დათვალა.

594. ცაში შაკლენა

მე მესაზანდრე ვერა მჯობ, ვერც ბოლორნელი ბერია:
მუცელ სრუ ლექსით სავსე მაქვ, სრუ წიხლით გამიტენია.

5 ცარი შაგაქდენ ქებითა, მასკვლავს მოხკიდა კელია.
იქითა ჩამოგიყვანდი, მიწას აღინა მტვერია.
წინ-წინ შენ მოგაკვლევიანა შენზე მასული მტვერია,
ახყარა იარაღები, საპირისწამლე ჭრელია.

595. კაკმატელთ ახალ-ვაჟები

ვინ გვიშაირე ქალ-ზალი? გაძეხ კაკმატელთ ჭირითა!
კაკმატელთ ახალ-ვაჟები კმალს გიბოძებენ პირითა:
ძიკიათ აპარეკაი ცოლსა გამოგვერის შინითა;
5 ფიცხელათაი ლაგაზი გზანი შავხედება, გმირ იყვა;
მგელათა ნათელისძესა ქვის გული ეღვა, რკინისა;
კვირიკას ქება რად უნდა? მამის შვილია, იმითა;
შალიკათაი ნადირა ქურთუმულია სინისა;
ბოსელათაი ბაიკა ქორი მთებზედა კივისა;
10 ალუდათაი მგელაი ამოგაგებდა ჭირითა;
სუმელჯათამა ბოსელამ ქვით ამოდენა ტვინისა.

ამაგ ლექსაის მოთქვამი ტრელა ვაშკაცა ვინ იყვა?
ქალების გამჩვენეობას სარკეს გავხედავ დილითა.

596. დათვიას

შუაიშვილო დათვიავ, ნუ დაზღვე საღირასაო!
შენ კახეთს სიარულითა ვერ დაზღვებ ხაზინასაო.
ან ზეავს სად დაგალევიებს, ან წყალსა ჩამდინარსაო.
ან ლეინოს მოგაკვლეინებს, ან ლეინის ნაძირალსაო.

597. მაკითხვა ძმობილს

გამაგიგზავნი, ძმობილო, მაკითხვა მაგივ ჩემია,
ნამღვილა მაკითხული ხარ, თუნდ მააწერე კელია.
აქამდე შენ სთქვი ლექსები, აეხლა ჩემი ჯერია,
5 ავერ მავაწყობ ლექსებსა, როგორც კურთხევას მღვდელია.
კარგია ჩვენი ადგილი, რამოდენ მაღის ქერია!
ქალაქს ღვაგ აეს უბანი, ბევრაის გამძღებელია.
დაბევრებულან დუშმანნი, ხალხია რამოდენია!

10 კაცს ბუზვად არ მგონდებიან, ჩემ მტერ ხო არაფერია.
 წელთ ვიბომ ქისტისეულსა, აღმასს შაუგავ წვერია,
 გასჭრის კი ლეკის ნაჭელი, თუ სა გავიკარ კელია,
 იბასრებოდას სისხლითა ე ჩემი ხანჯრის წვერია.
 მტერს აევრ მავითაროცებ, უფერ რო მანენებელია.
 სახლის-კაცი მყავ ეგეთი, მაგარ რო რკინის კვერია,
 15 თავ-უცნაურის ვაყისა ყინვარზე შამგდებელია,
 უთხოვავ სტრაჟნიკობაი, მაუწერავის კელია,
 კორშა-გუდელას ჩამოვა, იორლაი ხყავ ცხენია.
 თაოდ ორ აისეთაი, ღვარძლას შეძახან, სენია,
 ბევრისად გამისწორებავ ზიარი, სარგებელია.
 არცა დამეცნა ბევრანი, არ მომიხარა ყელია.

598. დავითათ ბერდიას

ლექს გულზე შამამეყარა, გამავითანე ფანდური.
 უთხარით დავითათასა ბერდიას ჩემი ქართული:
 „რომენიც შენ დუშმანია, იმან დაძაბას თავ-სული!
 5 საში ადგილი კელთა გაქვ, სამკან არ დგება შენ გული:
 კაწალ-ქევს, ზორნაულთასა, კოკენჩავს გაქვის მოკნული.
 რამოდენი გყავ კარ-ფური, აღარ გიწვდება სამბური!
 ცოლ გიზის ქალ-ბატონადა, ტყავ-ქათიბებში ჩასმული.
 შენს დას სცვავ ოქრო-ქსოვილი, წელთ ვერცხლის ქამარ-მოკრული;
 10 ქაზდარზედ მიბრუნ-მობრუნავს, ქალი არა სჯობ სხვაკნური.
 თათუკას დუქან გიბარავ, ჩოთქის მივით უდგა წკაპუნი;
 იქ დახლში მიბრუნ-მობრუნავს, ჩექმეებს გააქვ ბრაგუნი.
 წყალთ არა კადრობს დავითა, ჩაინებს უდგა ხრატუნი;
 სტაქანჩი ურევს კოვზითა, შიგ შაქარს ედგა რახუნი;
 15 სარაიაზე მიმოვა, ჩაქმეებს გააქვ ბრაგუნი;
 ზორნაულებსა ეძახდა: „თქვენი არ ჩამღის ტრაკუნი.“

599. მწარიას

როგორ მოგიკდა, მწარეო, რად გააცინე ქვეყანა?
 საყან-ნახვევარ გაზდილხარ, ჭკვა უკან გამოგეპარა.
 ნეტარ, რა გედვა ქალაქში, რაი-რა ძალა გეტანა?
 რა უყავ თექვსმეტ მანათი, ფული შაკრული შენგანა?

- 5 კელი ჩაიყავ ჯიბეში, ფულ უნდა ამოგეტანა, –
 ჯიბეგირებმ ამოგაცალეს, სუ შარცხენილი ხარ ყველყანა.
 ბულკის ფქვილ უნდა გეყიდა, შინ უნდა წამოგეტანა.
 შენ მაგის ღირსი არა ხარ, – ღოღო გიჭამავ ჭკეარა.
 ვიყიდდი არტემასთანა, სუ მანდა ვაჭრობს ქვეყანა.
 10 საწყინოდ არა მიიღო, უკაცრავად ვარ შენთანა.

600. ჩემს მეშაირეს

წამავალ სამთაშიგოდა, დილის ამავკრეფ ნამთაო.
 შე ჩემო მეშაირეო, ეშმაკიმც მაგთხრის თვალსაო!
 ჩემის ლექსობის კვალადა გირჩევ იბანდა თავსაო,
 კიკიმოშიგით იყრევდა, ქალ, ქიქილაის ჯარსაო.

601. მჩეჩელნი ბისოს

- ლექსი ლექსსა მამაგონებს, მელექსისა წეს თუ ასა.
 „ერთხან დასთან დამაწვინე“, დაუბარე აღუასა.
 მაგასთან ქვე ვინ დაწვების? რა აღიღებს ნათუასა?!
 მინდიათ ქალას უთხარით, გიგიაის და თუ ასა:
 5 „კიდევაც სად შევეყრები გორგის ქალსა სანდუასა.“
 ჩემის ნათქმობით უთხარით ჭრელათ მგელას მარტუასა:
 „ეხლა უპატრონე ქალებს, ეგ ლექსობა კა თუ ასა;
 სხვა სხვაზედ არვინ ვიამბოს, არვინ შამოგატყუასა.“
 მაგის მეტ კი არ მიუბნავ გინდა ხკითხე ბაბუასა.

602. გაგასაგან გამახელისძეხს

ბერდიათ გაგამ ვიბარა, გამახელისძევე, ქართული:
 „ე გული კელით დაბღუჯე, მაგრა ჩაუდევ სამბური,
 დაისხი სახლისკაცები თოფ-იარაღში დართული,
 თავად შუაში ჩაუჯე, ბატონობა გაქვ ათქმული.“

603. მშავლისა და ქევსურის გაბაასება

- მშ. მშავლებჩი არ წამოხოლა, ღულელთ ბაბილის ნიაო?
 არ გინდა, მშაურ ხინკალი ღუმაზედ დაგიხვიაო?

- კ. რას მაიგონებ, მშაველო! კინალაც დამათხიო.
 მე მინდა მწარე არაყი, მალ-მალ მაქნიას ხიო.
 მშაველ ხარ უნამუსოი, ნიფხაეთ მიწაზედ სთრიაო.
 მითხოს გადაედ, მშაველო, თქვენებ მკედრებ იქვე ხყრიაო.
- მშ. მე იქ არ წაოლ, ძმობილო, განა მე არ მკერეტს ტყვიაო?

ზ) ნარეკვი

604. ზელიმ-ხანზე დაცემა და მისი ძმის მოკვლა

- ჩოთემო, ურჯულოშია დრო-ხანი მიგიდისაო.
 შორს დასხნი, ჩემო ფანდურო, ნაქნარო სპილენძისაო.
 წყალე ქოთით ჩამონადენო, ნამო ნაწურო მთისაო,
 შორს არის შენი პატრონი, სამზღვარსა ლეკებისაო.
- 5 ვერვინ იცნობთა ყაჩაღსა ძელიმ-ხანს ქისტისეილსაო?
 აიკლა თერგის ობლესტი, ხალხი ტყვედ მიუდისაო.
 ჩვენც მაგას დაგვადევნებენ, არ გვაძინებენ ძილსაო.
 მოვიდა ზეკუციაი პლატინი ყაზახისაო.
 თან მოხყვა კამისიაი, პაჩინკა გვინდა გზისაო.
- 10 ვეზირისაკენ წავიდეს, ხალხიც იქ მიუდისაო.
 თან ჩახყვეს ლეკის შვილები, ტკბილად ეტყვიან ღზინსაო.
 ვეზირით კაცი მოვიდა, ომ იქნა, ჭეზა ცისაო.
 ერთ აღარ დარჩა ცოცხალი თორმეტის აფიცრისაო.
 ინჯილელ თან გაიყოლა, ფულით სავესე აქვს ქისაო.
- 15 ფურგუნით ლეკებ მოუდის, ნაკოცი ძელიმ-ხნისაო.
 თავითი ალმებ უყუდავ სამგლოვიარო მკედრისაო.
 იწყინეს დაღისტნელებმა ზარალი თავის წყლისაო.
 ცხენებს დაუწყეს კმაზვაი, თვალებს ცრემლ ჩამოსდისაო.
 მკართ ორზე პატრონტაშები, ჯღრიალ დგას თოფებისაო.
- 20 ოკრულში ნაჩალიკ ჯავრობს, კბილზედ აჩქამებს კბილსაო.
 „ვისაც გაგიჭრისთ ილბალი, მე ვიცი წყალობისაო!
 ჩემ ტელიგრამა მოგივათ, მადლობა კელმწიფისაო,
 ჯამაგირ გაგიმწესდებისთ, პაგონი აფიცრისაო.

- 25 ვეზირისაკე წაედით, ახლოსაკე იქნებისაო.
წავიდეს უპრიკაზოდა, გზას ჩაენასკენეს წვრილსაო.
მორჩა გზა-და-გზა ცხენები, ქაფი მოადგა პირსაო.
ვერ მიხვევს რუსიშვილები ფეკით კვესურის შვილსაო.
მაუფიქრებლა შეუკრეს ნაპირი მახკეთისაო.
საყურში გარდაუსხედით უღრანს უღაბნოს ჩდილსაო.
- 30 შემოეყარა მალულსა ჩამსხდარსა ლეკის მზირსაო.
ზალბ მისცეს დალისტნელებმა, ზედი-ზედ გამოდისაო.
ისრე აშლიდეს ტყვიასა, რო ზორხოშია ცისაო.
იძახეს: „მოკვდა ყაჩაღი, ნაპირიც მოსტყვდა ცისაო.“
მეორე დილა გათენდა, არც მკედარ ას, არც სისხლ დისაო.
- 35 ოთხ ცხენ იმათვე მოუკლა, მკედარ ერთ აღარ ჩინსაო.
წავიდა ცხენის მჭამელი, კვალ ვერ მოკელეს მგლისაო.
ერთ საათს გამოიარა გზა ოთხის სუტკაისაო.
დაიკვეხნებდა დედაი გამზდელი ძელიმ-ხნისაო.
ყაჩაღს ყარაჩოველსა ტყვია ვერ აბომს პირსაო.
- 40 მოგიკლავთ ბეწიკუაი, ძმა იყო ძელიმ-ხნისაო,
ახალ-წვერ-შემომავალი, ვაჟა თექვსმეტის წლისაო.
ტანთ ეცვა ლურჯი ჩოკაი, მართული მასრაითაო.
ოთხას პატრონა ტანთ ერტყა, საკლეელი კუდაისაო.
არ იყო დასააზრები, ანგელოზ იყვა ცისაო.
- 45 მოვიდეს ჩაჩნელთ დედანი, ჩამაიკაწერენ პირსაო.
ითხოვეს: „გვატირებიეთ, ციხე დაგვექცა ქვისაო.“
ქეთინებს ბერი, ახალი, ღარღად დგას ძაღლებისაო.
„ინალე, – და იძახს თამაში, – ლოღინი მამეწყინაო,
დავსწუხდი, გარმონ ღაჩუმდა, გედვა სრუ მთა-წვერთ ბინაო.
- 50 ინალს სისხლი სცხავ მასრათა, ცან კი არ დაგვცნას ვინაო.“

—

- ამავის მალექსებელსა ღამით კაბინეთ სძინაო,
ჩოთეშას კალამ უჭერავ, უძე ქაღალდი წინაო.
მშვიდობით, ლექსო, წერილო! ჯუთას გაგზანეი შინაო.
შანდობა მაინც უთხარით, დადგით კვესურულ მინაო.
- 55 მეც მალედ ამანდ მაგიოლოთ, აქ ყოფა მამეწყინაო.
რჯულანთაკე დავსწუხდი, ურჯულომ შამამინაო.

605. სისხლის აღება

- თავ დამანებას, უთხარით ფშავ-ქვესურეთის პრიშტავსა.
საქმე თუ სროლაზედ მიდგა, ჯავრს კი არ შეეშვა მტრისასა.
მაქვს ჟემტის აბონაი, ტყეიას ვლებ არშავისასა.
ფხიტუს შემოვქედ მთაზედა, ვეზლს ვხედავ ღუშეთისასა.
- 5 ჩოხელათ მუქარაზედა სანგალს ვიკეთებ ქვისასა.
მოვიდა შუადლის დროი, ორ კაც მოვიდა მთისასა.
– „სადაურნი ხართ, მშობილნო, რო მოსდით იწრო გზისასა?“
– „ლუთხუმელნი ვართ, – იქ მითხრეს, – რას კითხულობდი ვისასა?“
– „ჩოხელათ ამბავს ვკითხულობ, მაგათ ბინისას, ცხერისასა.“
- 10 – „ჩვენა ვართ ჩოხელათ წყემსნი, ყამსაც არა ვართ მტრისასა.
თქვენ დაიქსენით ქამრები, ბილეთს დაგიწერთ გზისასა,
თორ მთისას არ გაგიშობენთ, არც გზა გაქეთ ჭალისასა.“
აბჯავ, ნინიაშვილო! პირს გაიბრუნებს მგლისასა.
არ შემოიქნა ქამარი, ტარს შინჯავს ლიურლისასა.
- 15 ჩქარ არ აჩქამდა ზატორი, ხანს აღარ მისცემს ცდისასა.
დასძგერნა არშავიანმა, მიზა დახკაწრავს მიწასა.
ელყოდა უნცროსობასა ბურეკურელის ყმისასა.
„ვეუიათასა მამუკას იწროდამ უბანდავ ქულჩასა!
თქვენ მოაკვლიეთ ყაჩაღი, მავალი თავის გზისასა.“
- 20 საეხლაჲვოდ ევ არის, საკვლაჲვოდ ღნახავთ ვითასა.“

606. ზიანი

- რა მონა წელი მოვიდა! ღურბელ ჩამოდგა ცვრიანი.
აგვრამც ნუ ვის მოუა, მოსვლია თათარს ზიანი!
ამბობენ დედის ერთასა, წუსხად-ა ნაჭრევიანი.
სულეთში შამოიყვანეს ვაშკაცა ნაწილიანი.
- 5 სულეთით წერილ მოვიდა: „შუქი სამოთხეს ეძივარი.“
ბრალია თათარისადა, შვილ რო დახკარგას მქრიანი!
პირდაპირ ჩამომავალსა უყვეს ჩდილშივით ზიანი.
გაჭირდა, ველარ იქმარე ბერდენკა ხუთ-ძროხიანი,
კელჩი არ ხქონდა ამ დროსა, მასრას არ ედგა ძგრიალი.
- 10 დედა გასწირე ბებერი, ბეჩავა, გული მტკივანი.
-

ამამე ლექსის მათქვამი მარტო საბოსლოს ვივიარო.
სალექსოდ გამამიგზაენე ბოთლა არაყით ცამცამი,
ძმობილის შასანდობარი გადავსო ოროლ-სამსამი.

607. ხავიწურა

- მითხოს გადადგა ჯარები მა ჩენის კამისრისაო.
ჭიჭიკან იზიდებიან, მჭურელ არვინ ხყავ მკრისაო.
უნდა წავიდან მითხოსა, გული აქვ საშოვრისაო.
შაუკაზმებავ შავრაი, ბარგ უნდ მაიდან რელისაო.
- 5 ჯარევას სოფლად ჩავიდეს, ხანი არ ექნა ცდისაო.
ეხვეწებოდეს ბაგისა: „თავი ხარ მითხოს წყლისაო.
აქით მშვიდობით გაგვასხენ, სამანი ჩავდგათ ქვისაო.“
მამდინართ გზამი ჩაუედ, ერთ ტყავ მახჭონდა ცხერისაო.
გასთავებიყვა ცოხარი, ფერ აღარ ედვა მთლისაო.
- 10 ძლიე სადამ გონზე მეესხნეს მაგ მარაისძის შვილსაო.
მეფიცებოდა: „შაჭამეს ორთ სამის ნასამლისაო.
აღარ გაწირეს ჭაჭანი ერთ ჭურჭლის არაყისაო.
მთერალთ ხავიწურა მალგონდა, ჭირიმ თქვეს ჩენის ჯერისაო.
„რო მიოლთ, დავკლათ საკლავი, კარი ვილოცათ მისაო.“
- 15 რა უქნავ კამისურასა, დიდის ფაშის შვილსაო!
კინალ დალივა ჭაჭანი ახიელ თათრებისაო.
შენ მიხყევ დიაკნობასა, არვინ გჯირს სხვა-და-სხვისაო.
ხან-გრადუს მიგვიფრინდების, კიბე აქვ ეშმაკისაო.
მე გნახე ჩამავარდნილი, დაბლა მიწაზე ეგდო.
- 20 ქერივად მაგჩების ცოლები: ფშავლის ქალ, ქევსურისაო.
ნუ გაიყოლებ გულითა, – მე ვიცი ქერივებისაო.

—

ცალ-ქელაია პოეტი მათქვამი ამავისაო.

608. ქისტების დაცემა მთიბელ-მამკლისად

წავიდა მთიბელ-მამკალი, ზედა კვირაედ არია,
ამაუჭამეს ხთისოსა კალ-ურბოიან ჯამია.
შამაგვეხვიენეს მარცხნივა ქისტისშვილების ჯარია.
„შინ ველარ წახვალთ ცოცხლები“, გამადის ნაუბარია.

- 5 – „ჩვენ შინ არ წავეალთ ცოცხლები, არ გვაქვ ავეთა გვარია.“
გამადის იტონკაები, ტყვიას მოხქონდა ჩქამია.
გუგუაის შვილს ბადასა არ მისდის ნაუბარია.
დასცილებია თიბაი, უკულმ დალაღნა ქვანია.
ქურსიკას გაუსარავის ლეკურად საუბარია,
10 თოფს ისრევს გაჩერებითა, თავზე გადასდის ალია.

609. მობილიზაცია

- ლექსი თქვი, კევსურის ქალო, თვალ-ჭრელო, ყვითელ-თმიანო!
საკერავ გარმოვიტანე, დლეო, დაგკელიე, მზიანო.
გაგხედავ პირდაპირადა, ჩვენო ადგილო ტყიანო!
ნეტავი შჩინდი თვალითა, ჭკაის გზო ტიალო!
- 5 ეხლად მეუბნებიან: „სისკარომ შემოიარო,
შეკრიფა ზაპასნოები, საომრად მიუდიანო.“
ზოგნ თუ წამივლენ ძმობილნი, ზოგნი აქ დამჩებიანო.
აბეჩავ, ჩუჩაყეურნო! ბოინით ჩამოდიანო.
ბეწუკელთამა მგელიკამ სუ მღერით ჩამაიარო.
- 10 ჩამავლენ ორ-წყალაშია, სამშავლოს მამებიანო.
გზაზედ მგზავრს აღარ უშობენ, ცხენს ართმენ, სამბურს ჭრიანო.
თავ-კან ცხენებზე გადასხდეს, ბეჩვენ ქვეითად დიანო.
გერმანის გრანიცაზედა გავიდეს, თავსა ცდიანო.
აიქით იპარებიან, ქალის ტალავრით დიანო.
- 15 აიქით გამაპარულსა რაღა ვაჟობა ხქვიანო?
შენ სად ხარ, საგალმოელო, ბაჭყურა რომენს გქვიანო?
თემებში დაიარები, დიაცის ტალავრიანო!
ან შენა, ბუჩუკურელო, შენ წითელ-ბილეთიანო?
სწორებში გახოლ, ჩიხაო, სათქმელად ილეთიანო!
- 20 აბეჩავ, ჩემო ძმობილო, ციხეო ჩარდახიანო!
ბუზიკა მომიტანიდი, უქმ-უქმში შევაჟურიალო.
არ მინდან წყალს-იქითელნი, – ჭკაის ბოინში სთვლიანო.
ნეტარ, ვინ უფრო შევაქო, ვინ უფრო გავადლიანო?
სამნათ ბეწინათ ბერდიავ, ნეტავი გაგაძმიანო!
- 25 ჩვენს გვარზე დაეწერენით, ბერდიავ ალექსიანო!
ბერდიაი და ალექსა მალღად ჰაერზე დიანო.
არ ჩამოხვალთა ჩვენთანა, მალღათ ნადგომრო იანო?

თქვენთან ნაღვომებ ქალები ემასაც არ გაგვცემდნანო.
ჰველა დაწვების თქვენთანა, ვისაც ჩოკვის-შველნ სცვიანო.

30

ამაგის მალექსებელნი ორნ ქლან მურყანს ხყრინანო,
გიგაურთის ველს ბოლოსა მიდიან, გზაზე თვლიანო.

610. თოფის სროლა ორ-წყალში

ვინ იყავ საღამოზედა ორ-წყალში თოფის მსროლელი?
გველეთში გაუგონებავ, ჯავრობს კუკუათ თორელი:
ქელ მამჭრა შატლილიონმა, სისხლის დაბრუნდეს მორვენი.
მე კი ველარა დავხკარი, ას ჩვენის ჯვარის მყოლელი.
5 ძმობილუბ მიაც დავკეჭნე: უძილაური, კომელი.
მედუქნეს რას ემართლებით? ას ერბობის მწონელი,
სკლატ-აბრაშუმის გამყიდი, ფარჩების გადამზომელი.
ერთ ბაცალიგველ ჯავრობდა: „ბაჭყიაი ვარ გორელი.“

10

ამაგის მალექსებელსა რას გამამჩრებით რომენი?
თუნდაც ქვეც შამეყარენით ბევრას ქალებსთან მწოლელი!

611. შულლობას მონადინებული

შულლობას მამაწადინა ლევუათ შულლიასაო,
კომის ძირ თამაშობასა, შაფარებულსა ფარსაო.
ბაჩია გარმეეტანა: „ვაი შენს იმელასაო!
5 კარგა ჭრის სამართებული თიანელაის თავსაო.
არ მასხავ იარაღები, ვადა მომიტყუდა ემალსაო.
შენს დელას, თიანელაო, წვერი-ღა მოკერა მქარსაო.“

612. ომი კელის წყალზედ

ომ იქნა კელის წყალზედა, ტყვია წვიმს, ზედა დარია.
ბარაკალ გუროველებო! კარგად გექნიათ ემალაი.
მემრე შენ, შატლილიონო, ხარ თოფის ქამანდარია.
ანაბრივ, გორგალაშვილო, არ გექნა ომის ხანია.
ომში თუ გადასულიყავ, აღბრუნდებ როგორც ტარია.

613. ჩუას სიკვდილი

შატელ შე ჩუას ციხეო, გაილამაზე ტანია!
შიგა ვაჟნი სხენ ლამაზნი, გვერდი დაისვეს ქალია.
შუაჩი ეჯდა ბებერი ლექსების მოუბარია.
ბაბლიათ ჩუას სიკვდილო, ციხეე, დაგეძრა ტანია.
5 მონა ყოფილა სიკვდილი! ოროლენ დაგბრუნვენ დანია.
სკლატი ჩააცვით ჩუასა, ჩოკა მადუდის არია.
თათარის შვილმა საღირამ გამოაბზანა ჯვარია.
„დალიენ გოგოთურანი! მაგათგნიე აესთა ვარია.“

614. ჯარჯო

რად სტირი, ჯარჯოს დედაო? ტანზე რად იცომ შავსაო?
შვილს ვტირი თავის ჯარჯოსა, ჯიქვებისაგან მკვდარსაო.
ჯიქენი მიყვარდეს ტიალნი, მეც მაგათ მიყვეს ზიანი.
ქელშიით დამადებიეს ვინტოკა პირ-კვამლიანი.

615. ოჯახი

შენ დალოცვილო ოჯახო, სამ კერქად აშენებულო,
ბევრო ნაწველო სატანო, შენ ერბოე გაძველებულო,
დაკალულებო ქვაბებო, ქირჭოზე შაშვენებულო,
5 ქანდარაე მალლა ნადებო, ფლას-ფარდაგ გაჯარებულო,
დაჭიქულებო ჭურჭლებო, შიგ არაყ-ჩაყენებულო.
შენ დაჯე, ჩემო ბერ-დედაე, ძალიან დაბერებულო,
მემრ შენა, აპარეკულო, საგონის გაკერებულო,
ქალებისაე ხარ, ნაკოცნო, კბილების გაჭრელებულო.

616. წყევლა

სოფელში აე-ენა კაცი მალ-მალ ავადამც გაქდება!
ქარს და გუთანს რო გაღმართავს, ბარაქა სოფელს დაშჩება.
ვინაც მამისთვინ ავია, გამოქცეულიმც დარჩება!
5 სწორები იქმენ სახელსა, სახელობასამც დასცდება!
ვაჟკაცი ცოლის დამწუნე უარესადამც დარჩება!
წინის გულისიმც მოუვა, შვილებიმც დაუობლდება!
ქალი ქმრის დამწუნებელი ბეზირგნის ჯარსამც გახყვება!

10

ავ რძალი ღელამთილისად გველთა შუაშიმც დაწვება!
 გველებ დაუწყებს კბენასა, სულიმც ეშმაკებს დაშრება!
 სტუმართად ცუდი დიაცი დაქუახზელამც დარჩება!
 სხვაკან რო სიცხის მზე იდგეს, იქ ნიაღვარიმც ასტყდება!
 ღათვი საქარეს მძოვარი იმის ლეშითამც გაძლება!

617. კარი ნიკორა

5

შენი ჭირიმე, ნიკორავ, ჭირიმე შენის ძალისა,
 შენდ მაუცაეის უფალსა ძალ-ღონე ამირანისა.
 გამსწორეი ხარ, ნიკორავ, მალლა მთა, დაბლა ბარისა,
 ერთგულადა სწევ უღელსა, უდარდელი ხარ ჯავრისა.
 უხარის შენსა პატრონსა, კვალს გადააწყობ კვალზედა.
 ბიბინით გახოლ-გამახოლ გვერდო და მოედანზედა.
 ექესი ღლე შრომობ გულ-და-გულ, მეშვიდეს სწევხარ რქაზედა.
 ღვთისაგან კურთხეული ხარ, გადგება სვეტი თავზედა.
 შენი ჭირიმე, ნიკორავ, ჭირიმე შენი ძალისა,
 შენდ მაუცემავე უფალსა ძალ-ღონე ამირანისა.

10

618. ცხენი

5

ცხენო, კარგი ხარ, მალეო, ნიავე-ქარივით მკრიანო,
 ქერს გაჭმევს იმით პატრონი, გაჭირდას, გამეკმიანო,
 ლაშქარში, მეკოპარშია, უკენ არ დამატრიადლო,
 მეც მიმიყვანა მალედა, საცა სწორები ცდიანო,
 სწორთან მაქნია სახელი, საც კმლები ელვედიანო,
 ბრუნევიდან სისხლის მორეენი, შიგ კი ვაყები დიანო.

619. ნისლის ფერი

5

წამავედ საღილლოოდა, შავხკაზე ნისლის ფერიო,
 ჩამაუყენე ჭლასა, ჩამაუქნეი კელიო,
 ხამხის ძირ პოსტში ჩამავედ, ამადიოდეს მზენიო,
 წამამეგებნეს ღილღვლები, ზოგთ გამამართვეს კელიო,
 ზოგნ იმას მეუბნებიან: „ლურჯა გაყიდე ცხენიო!“
 „რას ამბობთ, ცხენის მჭამლებო? გაყიდე რაის ფერიო?
 განა თქვენდ ვკვებე ლურჯაი, ვაჭმეი თივა-ქერიო?“

- 10 თაოდ მჭირდების კელშია, მთებ გადაშრების ჩვენით,
ნაღნი რიყეზე წიოდან, არ იყოს დასაჭერიო.
აკლიან ნისლის ფერასა გასაფრინდომლა თბენით,
რად მინდა თქვენი ფულები? თაოდ გამიღავ ბევრიო.
ფული რად უნდა ვაშკაცსა? კარგ უნდა სყვანდას ცხენით,
მკართ თოფი არშევიანი, წელზე ხანჯარი მჭრელიო,
ვერ უდგებოდას ახლოსა, შორა დგებოდას მტერიო.“

620. წითლას გაყიდვის შემდეგ

- შენ რა ხქენ, ხუტუნიშვილო, ჯავრისგან ბოროტიანო?
გაუჭკოებას აპირობ, შენ არამ დაგაჭკვიანო.
რაად გაგყიდე, წითლაო? ქვეითამ რაკელ ვიარო?
5 ის კი არ მგონავ, ოკერო, სხვას ცხენსაც ფეკნი ღბიანო.
უნდა გაგსხლიტნათ, საქონნო, ცხენო, გიყიდა ტიალო,
ოთხითავ უნდა დაგჭედა, ნალ-უსმარ დააძგრიალო.
უნდა ტახტაზე დაგკიდა, ხურჯინო არაყიანო,
წელზედაც უნდა შაგირტყა, რუსულ ფრანგულო ფხიანო,
დაგიქნევ წარა-მარადა, არავენ დააზიანო.
10 კორშაში უნდა ჩახვიდა, ხუტუნათ შავ-წვერ-ყბიანო,
ქვესურის ქალებ ამბობდან: „შულლიამ ჩამაიარო,
ბერას ქვესურას წამახკრა, სიმირგელივ დაატრიალო.“

621. ხალხელაურის ცხენი

ვიწროი გუდამაყარი, განა კახეთის ველია?
სამ კოკა ღვინოს ზიდევდის ხალხელაურის ცხენია.

622. ბერი ცხენი

შენ გინდა თივა და ქერი, შე ბერო ღიდის ხნისაო:
არ გბულდა აღმა-ჩაღმაი, საყუე იცოლი გზისაო.

623. ჯორა

ჩემა დაბალა ჯორაი თორმეტი ძროხის გვერდია.
შამაუჭირე ქორაკი, შავკაზმე, გადაეჯეღია.

მამაუყენე არაგვსა, გაკეი-გამაკელა.

კელთ არყის საკრიაი მაქვ, მათრაკზე კიდევ მეტია.

მივიყვან დალაღულასა, ბაგაზე მივაბემლია.

მე ლელუასთან დაეწვიდი, მკერდს დაეკირილით მკერდია.

624. სეტყვა კევსურეთში

იუდამ ზღვან ამარქვიფნა, ბეგარ დაგედვა ცაშიითა;

მაგან ლურბელ გამოსახა, ცას გაებო ხავსიეთა;

მაგან კორკოტა გარმუშო დიდის რიყის ღორღიეთა.

სრუ დასეტყვა კევსურეთი, მიწათა ჩხვლეკს ჯოხიეთა.

5 მაოლ და მამიხარან, – ყანა მიდგას ქოჩიეთა.

ბევრი ყარფუშეები მამაქვ, ხურჯინ მიწყოვ შოთიეთა.

დააფიცხა კევსურები, თოფ გამოდის ტომიეთა.

მეც ფიცხი მყავ მასპინძელი, აღ არ გასხლტა თოფშიეთა.

ერთი საიდანამ დამკრო, კელ ჩავარდო შოლტიეთა.

10 ჩემი ძმა არას ნაულლობს, მალბიჯეედა ყონდიეთა.

წამლის ჭაჭან დაულევა, გაჩქენვილა ბოტიეთა.

ლელუმი რომ მამაქედი, გონი ამკლა ლოთიეთა.

გარდაეხენე აჭიონთა, – მიღ-მადიან ოესიეთა.

დაუსეტყვავის აჭვი, გაუწმედავ ცოცხიეთა.

625. საქონის ჭირი

საქონის ჭირ გაასუქეს ხორნაულთა მუჯაითა,

გამაგზავნეს როშკისკენა ცხენაითა ლურჯაითა.

626. წყლის აღიდება

ერთწოთა გამოვემართე, მოუმატნია წყალსაო.

ჩაუხედნე და ჩახქონდა სამი საცალო მტკვარსაო.

ზეთი ვირი, ძირჩი მია, წიხლი მუცელი დამცაო.

დედა-ჩემ წამომდგარიყო, თავჩი იცემდა ქვასაო:

5 „შენ უშველე, ხთიშობელო, მენს ცოტინიკას ყმასაო!“

ანაბრივ ჩამამეშველა (აღიღება იმის ძალსაო!), –

მოუცურდი და გამოველ, როგორც კალმახი წყალსაო.

627. ურჯულიო რჯული

- რა მონა სთველი დაგვიდგა! ხანა გავიდა სამკალი.
თეირთვილმ დაგვიზრა კელები, ევლარ ავილი ნამგალი.
ქურდ ნისლად გადაქცეულა, სრუ დაიჭირა მალრანი,
ციხევე მალრანში ნადგომო, ლიბუ დაგიძრა მაგარი.
- 5 ას ცოლო სუმბატაისად, მიწას ეჭირას მამკვლარი!
მაუდის ჩოკა ჩალკების, ჩაიშლებიან მასრანი.
იარად ჩაიყანგების სუმბატაისად ნასხამი.
მალრანის გორზე შაყრილთა კევსურთ ვერა თქვეს მართალი.
თან გამაგყვების, კევსურნო, რჯული ურჯულიოდ ნათქვამი.
- 10 თორ განა საკვირეელია ერთი მალალა საქნარი.

—

ამაგის მალექსებელი აკოელი ვარ თათარი.

უშიმა წიკლაური (პეტრო)

628.

მაილით, დამალევიეთ, თუ ღმარხავთ ქალიერასა.
სმა-ჭამით ბაჭყის შევლგევიარ, გუგუათ განიერასა.

629.

პატარაი ას პეტროი, არვინ გასწიას სიგძესა!
ეს კი არავინ მალგლიჯას გაბუურების სიძესა!

630.

- ჩემივით არვინ იქნების, ბევრკან ბევრია თითოი:
ღმერთმა არ მამცა ძე შვილი, ერთ მიზის ქალის ციციოი,
ცას ბეწვით ჩამამბული ორ, ჭერში რო ხკიდაე ქირჭოი,
ველარც ვაკეთებ საქმესა, ღაებერდი, არ მაქე ფილფოი,
- 5 არცვინ მყავ ძმა-სახლისკაცი, რო კა ვინ მითხრას სიტყვიოი,
არვინ-ა ჩემის გვარისა, მე ძმა ვერავინ ვიშოი.
განა სრუ ცოცხალ ვიქნები? ერთხან მაკვდების ბიჭოი.

ატაბეს ვიყავ კორწილში, ყველამ გამიგა ძირშია.
მე მალლით გადაუქნიე, დაბლა მომიხვდა მწყვილშია.
ფექ დარჩა შამასახრელი, ქალებ იძახან: „შიშია.“
ბალიაურის ნათქვამი აეხლა მამხვდა ცხვირშია.

632. ნიკო ოჩიაური

საველის ვაკეს წამავე, წამავეყვანდი ცხენსაო.
რას იცქვიტები, ლურჯაო, რას თოლი(თ) იჭერ გზასაო?
ხალხის საყაორო გზანია, ბევრამ იღინა დღესაო.

—

5 მავიდა შუადღის დროი, ამტკივებიყვა წელიო.
ა დელას შენსა, ნიკოვო, არც მოგიმკავის წერიო,
აღარცა მყავის დიაცი, აღარც დელაი მთელიო.

633. კურტენაიშვილი

ბეჩავ კურტენაიშვილო, მალეო ცხენივითაო,
იგი გაქვ აკეაკიანი საყინერეს ჩხერივითაო,
სუყველაისად მაცოდნი სოლომონ ბრძენივითაო;
5 წვერ-ყბა გაქვ გამოშობილი იობას მღდელივითაო;
თავ-შუბლი გაქვ დაღვერილი მარაისძეს თხემლივითაო;
კუტისაკე მამაცი ხარ, დახფრინდები შევლივითაო;
ფაჩარში ფხრიალს დაიწყებს დოლათქელურს ცელივითაო.

634. ახალგაზღვებს

დაგიკრავ, ჩემო ფანდურო, დალატიან ხარ, ძნელიო.
ვინ იყავ, რომენმ იამბე: „მააწერიეს კელიო?“
კაი ვაყობას დამშვრალო, შენი ჭირიმე, შენია!
საომრა ძელიმხანასა არ გაუძლებენ კლდენია.
5 ის მსწონს გიზალიასა, ხანჯარს გაისოს კელია,
უქდების სპილოს-ტრიანი, შაცვარული აქვ ყელია.
ევ თუ თოთიამ გაიგა, დუშმნისად იყოს, მტერია!

იმას ამბობდა მიხაი: „კეეხა ზო არაფერია, —
შულღ მამწონს აისითაი, სისხლი შუ-ღა-შუ ჭრელია.“

—

- 10 ამაგის მალექსებელსა არა მაქვ თივის მტვერია,
რათ დახკებავს ძროხებსა ბენავე დედანჩემია?
წამავა მთვრალაის შვილი, არაად უნდა სხეებია.
სუსტი ხყავ ღალმისტიური, დაუვარდების ცხენია.
მახყების ღალმისტიურსა ნალების მინაჟურია.
- 15 შუქი ცეცხლივი ნათობდა მიწაზე მინაბჯენია.

635. მაჩუყო და მგელა

- აენია კალოთანელნი, მაჩუყოს გაამბენაო,
ელამარძაის გაზდილსა ბაგაზე დაამბენაო.
ღიღღველმ რა გიყვა მაჩუყომ, კალოთანელო მგელაო?
გამოგიყარა ჯარები, ჯერც არ გაიგავე შენაო?
- 5 ნეთხის კარ ჩამაეწიე, შაორდენი ხარ მკრიანი.
შენის თოფის კმა არ გასწყდა, თუ ქობში ბიჭუნის ტყრიალი.
ერთი ესროლე ღუქესა, ერთუც გახუელა კლდემაო.
მაჩუყომ ჩამოგაკალა, ხუთ ისყია რო ხქენაო.

636. ბატონი ძირეს

თუშნო, წავიდა თქვენი დრო: თქვენი ბატონი ძირესა.
ერეკლე ჩენი ბატონი გრანიცას გააცილესა.

637. კულა გლდანელი

- უნდ დაიკვენხანს, კულაო, ბიჭამა შენისთანამა!
გამახვე საჭილაოდა, ძალმა გიშველა ზთისამა.
დაიწყვი ჭიდაობაი, კეცა დაიწყა მიწამა.
თორმეტი მსხვილი გალლაკე, წერილმა იდინა ვითამა!
- 5 სულ საქმელეთომ გაიგა, ხალხმა იმ შენის მკრისამა.
აქათ კუთხზე გაიგეს გოგოებმ ქისტებისამა.
შემაუარე, კულაო, როგორც ჯარაი ტყისაო,
მალ მეექცევი ზეთია, როგორც კალმახი წყლისაო.

638. ირო

მე-ღ' ირომ ერთურთს დავარტყით, ბან-კარმ დაიწყო ზანზარი,
გიგუამ ველარ გვიშველა, მეშელობაი ქნა გიგამა,
თავში ქვან დამცნა მაჭარმა, ბებერმა დედის ბიძამა,
5 ქელჩი ქვან დამცნა ირომა, პატივ არ დამდევა ციცამა.
თამარა იმას მეძახდა: „გაგლიტა ჩემმა გიგამა!“
ნაცვალი, მამასახლისი ორნივ ჩაჩიქნას მიწამა!
ლევენამ ყური არ გვიგდო, კელ არ მაგვთხოვა ბრინჯამა.

639. ახალ-წული

თოთიამა და კრუამა ერთმანეთს პასუხ უგესა.
„ახლის ძმისწულის გაჩენა არ გაგებხარდა?“ უთხრესა.
ახალ-წულ შამაიყვანეს, მაშიავ ხინკალ უქნესა.
წინითი უდგას ჭურჭელი, სამ-სამ-ოთხ-ოთხი სტყურუშესა.
5 თოთია წყევას დაუწყებს: „ჭირს ნუ გადასჩი უფერსა!“
ზექუას წყევა-კრულეითა კისრის ძვალ გაუმრუდესა.
ერთ ქალ საძროხეს დააგდეს, უფრა მაუვა უფერსა.
ნამშეებლან გადაფარა, ვირ რო გადასორის ბუდეთა.
მამიზეზეს კრუმაი, სახლის სანათლავ უთხრესა.
10 „სახლის სანათლავ ვგია“, კრუმა ცერს ამაუჩენსა.
უფროსა ქალა ძილაი კრუმას ცერს კელით იჭერსა.
აწვენენ აკავანჩია, ზედ შამახურვენ გუნდერსა.

640. მარტია და მარვი

მარტიას ზაფანგ მიხჭონდა, ძლივ კი ეკიდნეს წიპანი.
იქავ ტოტოხთა სდგომიყო, ტყრაშნ იქნეს ზაფანგისანი.
უფრო ბეწინა გაიქცა, მქარზე გაისხნა ფიწალნი.
მარტია ღმერთმა დასწყევლას, მაგასავ ეკრნეს ლიპანი.
5 მარვი' მარტია შაიბნეს, მაშინ დაიძრნეს მიწანი,
ხალხნია გაკვირებულნი: „რაკელ იჭერენ ციცანი?“

სალექსოდ გამამიგზავნენ, მარტია, მარვის კისანი, —
სატალ-აბღენ აღარ მქონ, სანახვენ ტალ-კვეისანი.

641. კურდღლის ბაცაცა

- კურდღლის ბაცაცა მოვიდა, შიბ-შიბსა დახვეა კლდისასა.
ზოგებ იძახან: „თხაია“, ზოგებ ეძახდეს თიკანსა.
ბოკეთ გიგია ეძახდა: „ვა დედას ჩვენის მტრისასა!“
რვას კი ზედიზედ ესროდა პატრონას ხაზინისასა.
- 5 მინდიათაი ხთისოი ქართულას თოფას ზიდნავსა.
უჭკუათ სულხანური დაბლით უწვევრავს ლიშანსა.
„თოფ რამა[მ] გადამიხიბლა, უნდა წავართვა მკითხავსა.“
ხაშიათაი თათარი არ დაგიფერებს სხვისასა.
ნასრევი თათარისაი თავზე აშლიდა მიწასა.
- 10 ე ჯიღალთ ქალის გაზდილი არ დაგიფერებს სხვისასა.
მაგრედ დაგადებს ლიშანსა, დაგიმტკრევს გულის ფიცარსა.
„მე ეგეთ არა მინახავ!“ აფშინათ აბა ფიცავსა, –
„კორცი ლალოჩინს მივხედათ, ტყავ შაუნახათ პიშტავსა.“

642. მარკე ყოფილა

- ლექსებს გიამბობსთ მოვრალაი, იცის ფანდურას კელია.
ორხალათ გამამინაგვეს, კინალ მამტეხეს კელია.
ჩემი ძმობილი ლილღველი ეგეთ, როგორც მგელია.
ჩავედით ნაომარჩია, პირს აგვეხვია ბოლია.
- 5 მარკე ყოფილა, ვაჟებო, ტყვია რო მადის ცხელია!
სამჯერ იყვ სატუსალოჩი, სამჯერ მახპარსეს წვერია.
მეორედ გამაირჩია, ცხენი რო უნდოდ შტერია.
აღმია ამოვიარეთ, ჩამოვიარეთ სერია,
მარკე ყოფილა მაღალი ქორიალამოს წვერია.
- 10 იმ წუხრას ვიყავ ძმობილთან, ქისტურა ვხვრიტე წვერია.
ბევრა ცხენ გავაქალაქე, გავას გაუსვი კელია.
სოფლელენ მყვან აჯაბრებულნი, არცა გამამჭრან ყელია.
ავამე ჩემო ჯალაფნო, თუ მავიდოდი მთელია!
ეგრე ვერ მამკლავთ, რუსებო, არ გამავილა კელია.
- 15 ბევრჯელ მამივა ისევა გაზაფხული და სთველია!

643. ბათირა

ლექსს იტყვის ითირიშვილი, გართა ფანდურის ლარიო.
აძრახდი, გაუეკაურო, შენცა მაყოლე ბანიო!

მარტო ვერ ვიტყვი ლექსებსა, თუ არ მიჭირე მკარო.
რამოდენ ჩადის უქნარსა, არ გიკვირანა სხვანო?
5 ერთმანეთს აღარ ინდობენ ბიძაშვილნი და ძმანი.
თოფს სროლენ, აღარ სწყალობენ, ანტლას დაყარეს მკვდარიო.

—
მოწმავას რა ამბავია? დგას დიდი ცოდო-ბრალიო.
ატირდა ღელა-მიწაი, მალლა მთა, დაბლა ბარიო.
მზეს დაეხვია ღურბელი, დაბლა დაუშვა წყალიო.
10 მითხრეს: დაშალნეს ციხენი, ნაგებნი ბასრის ქვანო,
მამი-ძმის საიმედონი. ლომთ ქვე ვინ ხყვანდა ცალიო?
მანამდე იყენეს ცოცხალნი, ვის შაარჩინეს ვალიო?
ბერს კი მოხჯადეს სირცხვილი, გწყემსობდეს ვგ(რ) რო ცხვარიო.
მოწმაველთ ახალგაზდათა რაად ვის გინდათ კმალიო?
15 საკმლედ ვერ სწონდით გზაჩია, თითოს გაჯობებსთ ქალიო. [←]
სთქვით, რო „დაეკოცნათ თოფითა, შამაუახვითა ჯარიო!“
მაშინაც ბათირუასა თქვენდამც შეეგდა თვალიო!
დაღისტანს დაიბრუნებდა, არ სჭირდებოდეს სხვანო.
სულეთ შეეიდა ბათირა, შახყვირნა ვგ(რ) რო კარიო:
20 „ისევ გამიშვით სამზეოს, აგებ გამიღათ კარიო!
ღალატით მომკლეს სოფლელთა, არ მექნა ომის ხანო.
განა უბრალოდ ვებრძოდი? ვსთხოვე, არ მამცეს ვალიო.
წინ-წინ მესროლეს შინშებმა, აღარ მიჭირეს მკარო.
შვილ მანც აღარ მოეკლა, ყმაწვილი უმეტარიო.
25 ოცის წლისაიმც ქმნილიყო ვგ ვეფხვის ნატეშარიო!
მოწმავას აადაგვლევედა, როგორც ყანათი ქარიო.“
ბათირაისად ბრალია, მიწას ეჭირას ტანიო!
ვითა არ დაგრათ აგეთი? ბერ ცოცხალს გჯობისთ მკვდარიო.

—
ამა შაირის მათქვამი ბოროტისაგან მთვრალიო.
30 გული მაქე შაწუხებულე, აებრუნდი ვგ(რ) რო ტარიო.
სამს წელს ყაჩაღად ვიარე, მოვეკლე მთა და ბარიო.

644. ყროლი ზამთარი

დაგიკრავ, ჩემო ფანდურო, თურქის ზარივი კმანო.
რა კა რაიმ ხარ, ზაფხულო! როს-რა მოგვიხვალ ტილო?
რა ყროლ რამა ხარ, ზამთარიო! თოლსა თოვს, ქარნი ხქრიანო.

- ჩათოვნა ლულის ჭკლანი, ქალები ვეღარ დიანო.
5 რა ამბავია კევსურეთს? კევსურებ რას ჩადიანო?
ზოგნ თოფით კოცენ მამასა, ზოგნ ხანჯრით ყელებს სჭრიანო.

645. კევსური კახეთში

- ჩემ ძმობილისას ამბობენ: კახეთს მთავლო ფარგალი,
კახის სანებვე აულავ ვენაკში გამოსატანი.
კახის სანებვემ ჯინამა მოგქელიტა ზურგის ბაწარი.
ერთ სადულარა ქოთან, შიგ ლებიოს წვენ ჩამდგარი.
5 ვერ იცის სადულარამა, ფერ დაგდვა როგორც ნაცარი.
მიზჯლიდი ბუნრის პირშია, მაახიე მაგარ-მაგარი.
შიმთ გასქდა ბარის დიაცი: „შავ ჭირი, მარკედ გამტანი!“
– „ნუ ზჯავრობ, ბარის დიაცო, თუთრი მაქე ამოსატანი.
თელაეჩი უნდა ჩავიდე, ვაქნიო ქამარ-ხანჯარი.
10 ბუსურბნის უბის მასრანი, ზედ სატალაბდის ბაწარი,
კევსურეთ გადმოვიარო, შამომხენაველეს ქალ-ზალი.“

646. სამის შასმა

- ორშაბათ გათენებადა ფანდურს ჩაუდევ ლარია.
რას ფიქრობს ქალუნდაური ბეგენ-გორ მეომარიო?
ბეგენ-გორ ქალუნდაურმა სამნა ჩაყარნა ქვანიო.
ცოდვან ახკიდნა კმლისანი, ვინაც არ შასვას სამიო.
5 ვინც არაყ გამაგაცილას, ზედ გადახკიდა ფარიო;
მეთორმეტეს რომ შამახკრა, დადვა, ჩააგა კმალიო.

647. ვარამი

- გულსა მამაწვა ვარამი, რო ნაგუბარი წყალიო,
რა მალე შეეწუხებულვარ! გუნება მიძე მყრალიო,
გამაგრდი, გულო, გუნებაჲ როგორც მყინვარი სალიო!
ნუ შასწუხდები მაშინაც, კარზე რო გეწვას მკედარიო!
5 თორ მალე მავა სიკვდილი, ტუქსი, არ-მოცინარიო;
სუ დამაცილებს ჯავრებსა, იმნაირი აქე ზარიო,
უნდა მაკდიოს ნიაღე, რაც მისი მკიდავ ვალიო.
გავექცა? სად უნ წავიდა, ცხენიც რო მყვანდეს ჩქარიო?

- 10 შავება? არ დააშინებს ჩემი ფრანგული კმალიო;
ვიტირა? არ შამიბრალებს, არ იცის ცოდვა-ბრალიო;
ვეზვეწა? არ გაიგონებს, უნდა იქმაროს ძალიო.
არც მაინ მიშობს, არც მაინ, ჩემთვი ას დამაშვრალიო.
ხო ვიცი, სჯობის ვილხინო, სანამ ცოცხალი ვარო.
ვისა აქე მეტი სიცოცხლე, უფლისგან ნაჩუქარო?

648. არხვატს

- არხვატო, ჩემო სამშობლოვ, ჯიკვ-არწივების ბინაო,
მიამც კი შენს მტერს შამაკლა, შენს მკერდზე დამაწინაო!
მაკვდას, თუ მაკვდა ოშკაცი არხვატის გულისთინაო!
დედა ვაცხონე ვაჟისა, ვინაც თავ მაიწყინაო!
5 მტერ დარჩა სისხლის მორევეში, თავიც კი იქ შასწირაო.
დაიძალების ცუდი ყმა, მევეჩები, წაოლ შინაო.
გამაქცეულის მასელასა არ-მასელაი ჟგობ შინაო.
მაინც არ გასტყდა, არხვატო, ბასრო ფოლადის რკინაო!

649. არხოტი და არხოტივენებო

- ახალ ლექს უნდა ვიამბა, ახალ დაგვიდგა წელია.
უნდა ვალექსა არხვატი, არხვატის მთა და ველია,
მემრ ხალხი არხოტიონი, არხვატჩი მცხოვრებელია.
სიმირგელიე გალავეანივით სანადირონი კლდენია.
5 რახან გათოვას ცრიაფი, რა გასავალად ძნელია!
ბევრა ვაჟმ შამაუარა მანძილა ჯიკვებს წვერია,
ქელჩი ბერდენკა ეჭირა, საშტრაფო ეწყვა ბევრია.
ვეფხენი ხართ, არხოტივენებო, თქვენ' მტერ ცხვარ-ბატკნის ფერია,
მტრის კოცა ვგრე მოვიდის, როგორც წისქვილის ჯერია.
10 თქვენ მიაყენეთ ურჯულო, გააწირვიეთ ველია,
ებლადაც ხყაეის ქისტებსა უძებარ რამოდენია!
მაგრა აღარას ჯაერობენ, სრუ აიტანეს ქელია.
ბუნტ იყო, არეულობა გამბით ხუთი-ექვს წელია.
ქისტს არხოტს არ დაუბიჯნავ, არც მოუპარავ ცხენია.
15 თქვენს იჭი-აქათ ბევრასა დღე დააყენეს ცხელია,
სულთ სარჩო გამააცალეს, არ გაუწირეს მტვერია,
თქვენთან კი ვერას ჩადიან: ლომსთან რას იქამს მგელია?!

- შორად გავიდა ვაჟობა, არხოტიენებო, თქვენია.
 თქვენი ქისტებსთან ნაცადი ბევრკან კნილაჩი სწერია.
 20 უნდ ეწერენით ყაზახად, უნდ გყვანდეს აფიცურია.
 ცალკე ხართ, არხოტიენებო, სხვა თქვენ რად გინდათ ერია?
 სრუ ყველა თავისი გყავთ დიაკონი და მღვდელია.
 გინედავთ, მამასახლისო, რო არზა დაადგენია,
 გაღვ ზაენა მთავრობაჩიგა ყოჩალობაი თქვენია,
 25 იარალ გამაიწერე, არხვატის შესაფერია,
 მტერს შორად მიაყენებენ, გილდ უნდა უკლებელია.
 გზაიც ქისტებზე მიუდის, ძაუგჩი ჩასასვლელია.
 შარშაც დაუდგეს მზირადა ქისტიშვილები ბევრია,
 იარალ უნდა დაერთო, ჯავრ ღვონდებოდა ძველია.
 30 თოთიამა და გიორგიმ დაიდგეს სინის ფერია.
 თოფისად ახალგაზდათა გასარული აქე კელია.
 თვალი ლიშანიჩი გააგდეს, ლოყა ყონდაყზე ღბჯენია.
 ეუბნებოდეს: „ქისტებო, დათავდეს თქვენი ღღენია.“
 უკულმ წავიდა ქისტები, ყბა აუცხ[რ]ოვა, წვერია.
 35 ეგრ სცემდა ქისტის კბილები, წისქვილს რო სარეკელია.
 ვაჟობა უნდა აგეთი მტრის ზარის შამღებელია!
 ბევრა ვაჟი ას არხოტა ხთის რისხვის ნაწინწელია.

—

ამაგის მალექსებელი ნისლაურთ მაისტელია.
 თითო პატრონა მიბოძეთ სალექსოს მაგიერია.

650. ბარისაკოს

- მაშწონხარ, ბარისაკოვო, — გაქვის სათავე ტყიანი,
 მემრ თქვენა, ახალგაზდანო, ხართ ყველა ილეითანი.
 საცა გაჭირდას, იძახან, ზეად(ბ)მ გაიღან გრიალი.
 მკარზედ კირიმებ თოფები, ტალ უძეს ოსმალნიანი.
 5 ზოგებს კაზიონ ბერდენკა, ზატორებს გააქვ ძგრიალი.

—

მელექსეს თუ რას იკითხავთ, გამბობსთ ზამაზღიანი,
 მადიან, მოეჩრებიან დოსმასნი ჩოკვის-ძვლიანნი.
 იქითიგ, ქევსურის ქალო! არ ორ შენთანა ზიარი.
 დაბრუნდა წყვევ-კრულვითა: „შინამც მიხვ სახვიელნიანი!“

651. კინალ

- მთაზეთ მადის ძახილი: „თოფ მამაგებეთ ჩქარაო!“
ძელიმ-ხან ამავეილოდა, მუკლებს აღარ აქვს ძალაო.
წამავას სოფლის უფროსი, ჯოხ წელში გაეტანაო.
კირჩლასა ქადაგისშვილსა ფარიც იქ წაეტანაო.
- 5 მამუკათაი გიგური ცულიან აეფარაო.
მაბრუნდა სოფლის უფროსი, ჯალაფთავ შეეტანაო,
ხოშექას ეუბნებოდა: „ერბომც მოგეტანაო,
ჩვენი ბაძია ვაჟაი დათეს კინალ შეეჭამაო.“

652. დიაცის შულლი

- მე რო ლექსი მამაგონდა, ნეტარ, რაღას მეჭირება?
ამოდენა ლექსობაში მე მუცელი მეტკივნება.
ეს ხო შამშლის, გადამლაკავს, მწუხრ რო დიაცს ეძინება.
იმას კ'უარე რაღა ას, კაცს რო დიაც ეცინება?
- 5 საშულლარად გამაუა, ქათამივით ეფრინება.
შულლი რად უნდა დიაცსა? ასწავლას, რა ეჭირება?
ნასწავლებს არ გაიგონებს, შინის გზას რა ეკირება?

653. დედაკაცი

თითო-თითო დედაკაცი დაიდება ძელივითა,
დედამთილსა, მამამთილსა წამოუშქენს გველივითა,
რაზან ქმარი მოუვიდას, კულს მოუქნევს მელივითა.

654. ქმარ-უნდაური

- იჯდა, უკრავდა ფანდურსა ქირვა ხოშიძეთ ქალიო,
ღმერთს იმას ეხეწებოდა: „მაღე მამიკალ ქმარიო!“
გადმოვიარე გუღანი, დედულეთისა კარიო,
როშქას ჩაეხედენ ციხესა, შვიდ-რიგად ევლო ქავიო.
- 5 დავჯე, დავიწყე ტირილი: „შიგ რად არ ვიჯე ქალიო?
ასრე არ დავღონდებოდი, ვერ წამიყვანდა ქმარიო.“

655. ჯალაფთ დამჯერე

ამ ზამთარ ვემებზე ვიყავ, საგრეხელებ ვაჭრელი;
შირაქში წაველ სადოლოდ, ხუთი-ექვს ველარ მოვკელე!
დავჯე, დავიწყე ტირილი. დაიქცეს ჯალაფთ დამჯერე!

656. ძაგება

გორ-გურს მოსულო მაქაცო, საკენეტო თხა-ვაცისაო,
ხეო მოჭრილო გზის პირსა, მოთხრილო ქარებისაო.
ჩვენს ძირა კილო ნადებო, გაქნილო ქარავნისაო,
ზედ ჩემო გამონავალო, ნაჭვრეთო წრიაპისაო.

657. გაძლება

არიშკას ვზივარ წვერის ძირს, ხვალ წელიწადი თენდება;
მოველი გათენებასა, ჩემთვინ უფროცა ბნელდება:
მოველი თვალთა ახმასა, მაგრამ უფროცა ზომდება.
ლხინსა ვემებდი, ვერ ვპოვე, ჭირი ჩემზედა ბევრდება.
5 ბჭეს ვსკითხე, მითხრა: „გაიძელ, შენ სხვა არაი გერგება.“

658. ძველების მოგონება

რა ამბავია კევსურეთ? რა წყრომაი დგა ხთისაო?
არც გადიოდა ლაშქარი, არცა-ღ მეკოპარ დისაო,
ნაჩალნიკ-მოურაეები უშვერად შამოღისაო.
5 ჯერ აგვიგებენ სკოლასა, მემრე მაგვთხოვენ შვილსაო,
მარტიამც ამაყენა, პირიმც ამულა გმირსაო,
ან კირჩლა ბაბურაული, ვეშაგ მითხოველთ ცხვრისაო!
ხოშურაული შავაქათ (აუგი რად ითქმისაო!),
მამკლავი თათრის ხანისა, სათაოდ ამლე კმლისაო.

659. ნაცვალ-სუღია

ავი ღროება დაგვიდგა, ავად გაგიქდას მტერია!
ნაცვალ-სუღია დაგვიდგა, სიტყვა არ გაღის ჩვენია.
სოფელში მიღ-მოდიოდეს მორივლად არყის მტერნია.

- წამავლენ ჭისაკისაკე, აღმა მაუდის ცერია.
- 5 სოფელჩი იქნა ყრილობა, საუბარ მახკლა ძნელია:
 „კურდღელათ ზეთ ვინ იყო? ეგ ბიჭი დასარბევია.“
 ამბტერდა მამასახლისი: „რად იყავ მართლის მთქმელია?“
 ჯერა გამაწნა სილაი, მემრა მათრაკით მცემია.
 ერთორ მჯილ მიაც გავადევ, უფრო მივლანძღე ბევრია.
- 10 წამართვეს ქვაბი, თულუხი, შინა დედა მყავ მწყევია.
 თიანეთისაკ წამავე, ჩალმა მიმიდის ცერია.
 უამბე ჩვენს ნაჩალიკსა, იმანა მკითხა ბევრია:
 „წამართვეს ქვაბი, თულუხი, შინა დედა მყავ მწყევია.“
 „მიეციტ გირაუები, თორო მე ვიცი თქვენია!“
- 15 დამეკსენ, მამასახლისო, ჯავრი ნურა გაქე ჩემია,
 თორო ვიშოენე ხანჯარი, ზურგში გაგჩინდა წვერია.
 ჩვენ მაგის მეტი არ ვიციტ, იკითხე ბიძას-ჩემია.

660. თაგვები წისქვილში

- ორშაბათ დილა გათენდა, დედა წისქვილსა ფქვედაო,
 გამეექცივა თაგვებსა, შინ რო მაიდა, შქენდაო,
 გავექე წისქვილისაკა, ხანჯარა წელზე მებაო.
 ციცუა გამამდგომიყო, მაილესავედა აწყლებსაო;
 5 ცხრუება დააწყებინა, რო მივე კარებზედაო.
 ერთი თაგვების უფროსი კრილის პირჩია წვესაო;
 გადაუფრინდა, დააჯდა, მალლა შახენა ჭურსაო.

661. თაგვების ქორწილი

- აღარ დაუფქავ წისქვილსა. განა შიმშილით მოკვდები?
 კიდე კი მოვა ზაფხული, კიდის ყურს კიდე გავკლები,
 შერიანი სამთხულივითა წისქვილის კარზე გავკმები.
 ჩვენს წისქვილში რო თაგვებ, გაკვირებულა დარჩები.
 5 ერთხელ მოვასწარ ქორწილჩი, დავაფენიე ფლასები.
 საკვირვლა სიცილ სცოდნიყვა, შორი დაირთხეს ლაშები,
 საჩქარო გადაიწურეს, დი-დიღებ ხქონდა თასები.
 ერთ-სხვაში გადაერიენეს, ეგრ რო თხაშიი ვაცები.
 ერთმანეთს ეუბნებიან: „მეც მეშველ ვიყავ, რად მცემლი?“

- 10 პირდაპირ რად არ მამიხვე? გაიგებდ, რასაც მოგცემდი!
 კაც კი ორ დაბერებული, შენ კი პასუხსა გაგცემდი!“
 ერთმანეთს შამაყვედრეს: „წისქვილის ჯერით რად სჩები?
 კაც რო მაიღებს საუქავსა, მაშევ კუმბურას ეცემი.“
 მაიჭიერ, აპარეკულო! თავთ სასაცილოდ რად ხკლები?
- 15 ქონ-ღუმა გამაგიჭამეს, ეროიანებ კასრები.
 თუ მახკლავ თავვის დედასა, თასსა პატივა მაგცემდი.
 თუ ჯოხით ვერას დააკლებ, დაიჭერ, რად არ დახკლებდი?

662. კატის ომი თავკებთან

- თავკებმ ციხე ააშენეს, წვერი ცასა ხედა მისა;
 მაუელიეს გალავანი ფიჩხისა და მუხის ხისა.
 ციცა დედას ეუბნების: „ე სიზმარი რამ იცისა?
 წუსულ მოსულიყო თავვი, ძაფით მიზომავდა ცხვირსა.“
- 5 – „თავთ კემწიფე გეომება, ეგ სიზმარი მან იცისა.“
 დაჯდა, დაწერა წიგნები, გაუგზავნა თეთრი ციცა.
 უპასუხოდ გამობრუნდა ე საწყალი თეთრი ციცა.
 გზაზე მოსწია წიგნები, წასაკითხი უართქმისა.
 ციცამ შაყარა ლაშქარი: ცხენოსანი, ქვეითისა,
- 10 შამუარეს გალავანსა, გუგუნ დადგა ზარბაზნისა.
 დატრიალდა თეთრი ციცა, როგორც ეღვა იყო ცისა,
 თავთ კემწიფე გადმაიღეს, ლაფში გაუსვრიდენ ცხვირსა.

663. თავვი და ღულელი

წინ თავვი, უკენ ღულელი, ამადიოდა კუნელი;
 ვერ მეეწივა ღულელი, არც თავვი დახვდა ბურნელი.

664. გირწყილების ქორწილი

გირწყილებმა ქორწილი ქნეს, ჩალა-ბურდო აღრიესო;
 ერთი წიხლი მიაც დამცეს, ქვე-ხოყანას ჩამრიესო;
 კაცეულეს დააცხვესო, იმით ნაყრსა წამრიესო;
 პირ-ჩაღმისკე გამამიგდეს, უკვენ სარებ დამრიესო.

665. არხოტჩიგი

არხოტჩიგი წამაველით, ეშმაკიგი, ქაჯჩიგითა,
ჭომლით ლუდი ჩამაგვართვეს, ერთა თასა ჯვარჩიგითა.
მა ბოსელათ აღიასა ფეკნ დახყინა ჯღანჩიგითა.
ისიც რამლა მამაგონა? ჩირალ დაეწვით ბარჯჩიგითა.
5 ტალ-აბელიც ამაველი, ძვანძი მასრაებჩიგითა.

666. უთურგით ქავ-ციხის პატრონი

- არხოტ დაცემაი-ღგულავ, ამბობენ, ქისტის ლაშქარსა.
ნახევარნ ტყუილს ამბობენ. ჩვენ რას ვინ გვეტყვის მართალსა?
პატრონს მე რაად მემინის უთურგით ქავ-ციხისასა?
5 საკემისას ვერვინ შამავა, არ შამაუტევე კართასა,
ცოლს ტყვედ არ წავაყვანიებ, ქალს მა ეშმაის მტყნავთასა.
მემრ დაუბარებ მამულთა, სიტყვას იცნობენ მართალსა.
დაემზადების ქორები. გადაიკვართვენ კალთათა.
ეშმაის კლდესთან ჩამავლენ, მკითხეთ, მე გეტყვით მართალსა.
მაგაში ერთი ზალი ხყავ, ზაფხულად უქცევს ზამთარსა.
10 ევ უქმობს ნახევართხანა, ბეთან რო ხფენენ საფქავთა.
ქმრეულთ საფარველს გადაზღებს, ქისტებ ვერ ღნახვენ ჭაჭანსა.
ხანდხან წინ მეჩეჩენების, წაიყვანს უგზო გზათასა.
უკენ ყმან მიქიელისან ფხას აწითებენ კმლისასა.
ჩავიდეს თათულის კარა, მაშინ გახენეს ღიმანსა.
15 შაუკრავ მაღალ სახვევი მლოცავთ სანების ჯვრისათა.
ჩქარ-ჩქარა გამადიოდა, ყონდს აკეთებდეს მკვდრისასა.
მშვილდს მაღავს სანების ჯვარი, ჩქარ-ჩქარა ისრევს ისარსა.

—
თქვენც იცნობთ ჰეტრო ჩამღელსა მელექესს ამაგისასა.

667. ხუცობა

- დავიწყებ მკითხობასა, პირა გამბობ მკვდარსთანა.
რამთვენ დამჩების საწირი, ვინ წავა ხოშექასთანა?
ახლა კმით ტირილს ავიტეხ, თემებში წაოლ ხანდხანა.
საკმიმატირლოს მამცემენ, საჭმელა მიოლ მზასთანა.
5 ახლა ხუცობას დავიწყებ, კელოსნად მიოლ ჯვარსთანა.

- რაკი ხუცობა ვერ ვიცი! რა წასვლა მინდა სხვასთანა? ბულაურობით კარს უნდა, პირის საბანზე ცხვარსთანა. რქა-ჯანგიანზედ ვერძს უნდა, კიკინ-მაღალზე თხასთანა. თასთ უნდა ჭიქა-ბარზიმზე, სეფეზე სასანთლესთანა.
- 10 ზამთრის მელულენ მამივლენ, ჩხუტას მამიღგემენ კართანა. გარეთი აღარ გამაოლ, შიგით უძახებ: „არ მდგარა.“ „თხლიანან მანც ჩაგვისხენ! ზოგ კელ-დაუცდელ დამჩალა. ზოგებ შინ მიდის დამწყურლები, ზოგებ მადიან თან-თანა. ზოგებ ჭკალათ მავიღეს, ცალკე უთურგი გამშრალა.

668. სამრელოს ყორის ქვანი სახლში

- უშაირებაე ქმრეულთა გუშინ მოსული ზალია. ნაფეტვარაში მცხოვრებმა თავზე წაიკრა მჩვარია. გამოსერნავდი შატილსა, გაქვ ატაუიან ბანია. გამაუშლავის ყორეი, ხუროდ კირილე ხყვანია.
- 5 შაუსხნა კეზის ბოლოსა სამრელოს ყორის ქვანია. ამას იფიქრებს ხელაი: „სახლში მიბზანავ ჯვარიავ“

ამაგის მალექსებელი განმა კანეშას ქალია. გამიგონებენ ქმრეულნი, ჩემს ენა-პირზე ქვანიაე.

669. საკიდლიანნი

- ქისტებსა, არხოტიენებსა დღე-შუ სისხლის წყალ უღისა. კვესურთ დიდი ხყაე ბატონი, ღმერთსთან დგას, ვინაც იცისა. ხთის კარზე გასერნავდების, მკართ ლენტი ოქროს შიბისა. სრუ დღე-შუ დაიარების, სხვა ხთიშვილ ვერა მიდისა.
- 5 კარზე ხყონ საკიდლიანნი, მტრისად მიმცემნი რისხვისა. შამასძახნებენ ვეშაგნი, დრო რა მავიდას ბინდისა. ცის კიდელთ შამაივლიან, ხან რო არ იყოს მისვლისა.

670. გავიარე და ვკიბეცა

ლექსებ არ გამამელა, კაც გავიზარდე, ვბერდები. ზოგმა კვესურის შვილებმა ცოლებს უხვეტან ნეხეები, უუბნებოდან ცოლებსა: „იჯე, თორ გაირეხეები.“

თავ დაეანებათ ქვესურეთ(ს), ქისტებზელა ვთქვათ ლექსები.

- 5 როგორ მაგექეც, ჩოთუშო? საბლით გიკონე წყემსები.
ყინულთ ბოლოზე შავლაღე, ჩოთუშო, მენებ ვერძები,
გამოვსხი საღამოზედა. სთვლის ღამ, რა მალე სთენდები!
კვალ თავ-შაღმისკენ მიმიდის, შენ თავ-გაღმისკენ ეძებდი.
სხვადაც თუ არ დაიჯერებთ, ცხვარში დაძიეთ ქეჩები.
- 10 არა გინდა რა, ჩოთუშო, კიდეე სა გავიგერშები.
ჯერაც მიკიდავ ჭერშია თქვენი ვაც-ვერძის მკერდები.
ძაღუ არ დაგვაჭერინა, — შაგვიწუხდება ღედები.
თავ-ქელ-შარტოკა კაცი ვარ, ჩემ საქმე გასაკეთებრ,
წვერ-პირში, ჩემ ამხანიგო, კუკუათ თორელს ზვერდები.
- 15 ქისტების დამლონებელო, ღელასამც დაუბერდები!

- ცუდი მინახავ სიზმარი: ვხედავ სასულო კიბესა.
სოფლებლებ მეუბნებიან: „ეხლა უჩივლავ ქისტებსა.“
გაიასშვილსა მეძახან, ვერვინ მანახვებს ციხესა.
ბევრ მახე გამიკილავის, ბევრსაც გავხკილავ კიდეცა.
- 20 სადაც ყინვარზე შავვარდი, გავიარე და ვკიბეცა.

- ქალს არ მამცემდი, ჩოთუშო? არ გამიკლია სიძესა?
კაცი ხარ ჯილაგანი, გამეტებული ქისტებსა.
აგები მავიმატებდი სიმაღლესა და სისქესა,
თავ-აღმისკენ წავიდოდ, როგორც ფიჭვები ცისკესა.
- 25 ლადიკავკაეში წამავალ, მანდ მაქევები ჰკვირდესა
ქურ-ქურად ქვესურთ დენასა, ახალგაზღვებ ბიჭებსა.
სადაც ღუქანში შავიდეგს, ყველა დაიჯდა ჯიბესა.
კანიაკს აღარ კადრობენ, ჩხერო დაზიდავს სპირტებსა.
თოთია მამასახლისი ბოთლებს დაამტერევს, ისრევსა.

- 30 ბევრ მახე გამიკილავის, ბევრსაც გავხკილავ კიდეცა.
სადაც ყინვარზე შავვარდი, გავიარე და ვკიბეცა.

671. სინდიურისძე

არ ეშობიან ღურბელნი მაღლის ჭოუხის წვერსაო.
ჭოუხის კუჭულაზედა სინდიურისძე წვესაო,

- ჯიკვების მუქარაზედა ღამეს ათენებს ბნელსაო.
 ჯიკვთა რაი ქნეს შამდგართა, ან იმ ვეფხვს რა იჭერსაო?
 5 ჯიკენი ჩივიან ჭიუხში: „ველარ შეუღით კლდესაო,
 ჩვენ გარდასავალს სარტყელში ვეფხვი მწკლიანი წვესაო.“
 ჯიკენ შაშივიან ჭიუხთა, ჭიუხნი კალმის წვერსაო.
 კალამი დასწერს ქაღალდსა, მისცემს არაგვი ევესაო.
 შიბუთ მაუა პასუხი, წყალი შამაყრის პერსაო.
 10 კაცს იკლებს სინდიურისძე ნაკოცის ჩამამთელელსაო,
 თუქსმეტ ჯიკეშით ნარჩევსა, კლდეზეთ ჩამომწვედელსაო.

—

- ამაგ სიძღერის მათქვამი ჯვართ-ქორკაის თავ წვესაო.
 წინ აძღვედიან პატივსა კარგის სიძღერის მთქმელსაო,
 ეხლა აძღვევენ პატივსა წინ ყანწის გარდამსმელსაო.
 15 წინ აწვედიან სტუმარსა, კელს უკიდებდეს კელსაო,
 ეხლა ეტყვიან ქალებსა: „წადი, წამოლ თქვენსაო.“
 ამაგის მალექსებელმა უთხარ ფანდურის ყელსაო.

672. ჭოლიკაურს

- ნეტარ, ვინ უნდა ვალექსა? ვის უფრო შაუკდებისა?
 ვალექსებ მენადირებებს, შინ რომ აღარა დგებისა.
 ჯღუნია კიბალაური ნადირთვე გაცოფდებისა,
 თოფით ვერა ხეოც, ჯღუნაო, კელით არ ღაიჭერისა.
 5 ნიშანში გაუმართები, არ იცი, სად-რა სცდებისა.
 ბისნის მალაღზე თოფ გადის, ბერდენკეები ტყდებისა.
 თოფ თითო გამოვარდება, ჯიკვი ორ-ორი კვდებისა.
 ზოგ-ზოგა მიდის დაჭრილი, ყვარნის საჭმელად კდებისა.
 მაგოდენ სიარულშია ქისტებ სად შამაგხვდებისა,
 10 აფიცრისეულ ღურბინდი მაშინ არ გამოდგებისა.
 თუ დაგცდა წინა ნასროლი, მემრ სადა-ღ გაგიძვრებისა?
 კაცია ფეკით მავალი, განა მკრით გაგიხტებისა?

—

კაც ვინაც იქამს სახელსა, გრანჯამ იცოდა ქებისა.
 აბუჩაგ, ჭოლიკაურო! ჩააგი ყონდი რქებისა.

673. იღია

- იღიამ გამააცხადა: „ყაჩაღად გავეგარდებია,“
დათვისლებს შამაუარა, ყველკან შაუკრა გზებია.
„ბაჭყურაი ვარ, – ეძახდა, – ტყვიაში გამავეცხვებია,
თუნდა საკმლელაც მადეთ, ამაშიც გამავლგებია.
5 რაკელ ბაჭყურა ვიქნები, რო გაზიდვინათ მკვლრებია!
სახილეთაკე წამავალ, ვალი მაქე ასალებია.
არ მაძლევენა დრამასა? ისი მაქე გასაგებია.“
ულელ კარ წამაიყარნა, ხატში მიუდის ზღვნებია.
საქერეთ-წვერულს დაუკლავ, თუ მოძმედ გამიკლებია.
10 თუ მტერთან გამამალგები, ხატებ არ მინდა სხვებია.
ჩემო ძმობილო იღია, გამომიგზავნე რქებია.
არ მაქვის ყანწის ჭაჭანი, არაყს რო ჩავასხედლია.
დავილოცავ და გადავხკრავ, სადღეგებლო ვთქვა შენია.
დელა ვაცხოწნე ვაჟისი! ლამაზა დავითვრებია.
15 ან რაად ღუპავ სოფლელთა, ან თვითონ რაზედ ხკვლებია?
რად არ გაამბვე გუთანსა, ცოდომი რაზე ზღვებია?
არა გინდა-რა, დალიენ! არ შავგარჩინეს ქვებია.
ერთ წისქვილ მენაც დამპარეს, ეხლა შიმშილით კკვლებია.

674. რუსეთ-იაპონიის ომი

მერცხალიშვილის ფანდურსა დასძველებია ლარია,
დაუკრავ, აჟიჟინდება, როგორც ლემადის ქარია.

- იანვრის ტელეგრამამა გამაიჩინა ძალია.
მუქარა დაუბარებავ იაპონელებს ძალიან.
5 გაიგა ჩვენ კემწიფემა, წელზედ შაიბა კმალია,
სრუ ფეკზე წამააყენა მთელი რუსეთის ჯარია.
მიდის და მიახლოვდება, ჩექმებს მიხჭონდა ჩქამია,
გადადგა ზღვის პირებზედა, ელვენ სიწმინდის ცანია.
გადის და გადის თოფები, ნელ-ნელა ზარბაზანია.
10 სრუ ძირით გადააბრუნეს, მშრალზე გაიღწეს ზღვანია.
იმთვენა წყალიც არ მიდის, რო სისხლის ალაზანია.
ჯერ კიდევ არ გამასულა ჩვენ კავკასიის ჯარია.

- ბევრ-ბევრა ბრუნავს მთიელა, რო ნაველარში კარია.
 ხანია, კევსურთ შვილებო, რკინა ტანს გეცვას სალია,
 15 კმლებ ზუმფარაით დალესეთ, თოფს გამუცვალეთ ტალია,
 ცხენთ გადასხედით რემათა, ფეკზე ფოლადი ნალია.
 ოშშია-ღ' შულღში დაკოცა ახალგაზდათა ბრალია,
 მაგრემ ბუნება ვაჟისი ღუნიათ გადამწვდარია.
 გულ მიქაღს, ფეკიც მიღება, კელში შიშველი კმალია.
 20 ჩაკაფათ მკლავის ჯანითა მტრისა რბილი და ძვალაია.
 არ ღგვიხართ ბარის ყვითლებსა, ცალკე ქრის მთიელთ ქარია,
 არც გინდათ ახლად რჩევაი, გაძღვესთ წინაპართ გვარია.
 ოშში კი არ გამოვდგები? მეც წამომართვით ფარია.
 ფშავლებიც გამოიყოლეთ, აქ თუშნ მოგვივლენ ძმანია.
 25 შასწუხდა ჩემი ჯერანი, არ შაირჩინა ნალია.
 სიმირგვლივ შამობრუნდება, როგორც სახრელში ტარია.
 ბევრჯელ კი გადავატარენ მაღალნ ქისტეთის მთანია.
 ეხლა ველარა დავდივარ, ყინვრიანნი მქონ გზანია.
 წელზედაც ტყუილად მბავე ერისთვისშვილის კმალია,
 30 ზურაბის სიკვდილიდგესა სისხლ არ უნახავ ცვარია.

675. იმპერატორს

- მინდათ ახალაი ორ, კევსურ ვერა მჯობ ერთია.
 დავჯე, ლექსობა დავიწყი, ფანდურ ავილი კელშია.
 ქალსა ვსთხოვ კემწიფიანთა, ბაბილთ ნია მყავ ელჩია.
 გამომიგზავნე, ბატონო, თორ ცოლ-შვილობას ვსცდებია.
 5 შენ თუ ქალს მამცემ, ბატონო, ამამინ გიშველს ღმერთია:
 დავიჭერ კაცის მკვლელებსა, ქურდებს ზედ გადავჯდებია.
 შენ თუ ხარ იმპერატორი, ბაბო მეც მყვანდა, ბერდია.
 წაგიყვან საიქიოსა, ჩამავსომ იმის გვერდია.
 შენ თუ გაქვ მაღაზიები, ორ კოდ მეც მიღვა ცვერცია.
 10 მანდ თუ ვერ სცხოვრობ, ბატონო, აქა-ღ წამოდი ჩვენშია,
 ცხენი-ღა შამიკაზმიდი, რახან წავიდა თემშია.
 სვილის სამკალა წაგიყვან, ნამგალს მოგაწვდი კელშია,
 დავაკრეფებ თავთვებსა, დავაძვრენ თავვის კერელშია,
 სათიბისაკე წაგიყვან, სამს შაურს მოვცემ დღეშია.
 15 შენ იმას არ ხარ შემსწვრალი, სახლში ფურ არცა გზვებია.
 საძროხეს გადაგავლევი, გათხვეფულ გარმოკლებია.

676. მითირი

- დაგიკარ, ჩემო ფანდურო, გამოთხრილი ხარ ბაღია.
სიკვდილი მითირისაი, ღმერთო, იწყინე, ბრაღია.
შაბოთის კორკში დამრჩალმა ცას შემოაულნა თვალნია.
უსაფეროსგან მომკვდარა, ას ვაშკაცისად ბრაღია!
- 5
ქმა გატყდა ზენა მითხოსა: „ქვეით დაგვეცნეს ცანია.“
ზე დასტიროდეს მითირსა, ხუთნი ხყვანიან დანია.
შაბოთს ხკრეს ტელიგრამაი, ფოშტამ წაილა ჩქამია.
მეორე დილა გათენდა, თულავს ჩაყარნა ქმანია.
მაცეს მითართევს ამბავი: „აგიღვა ცოლო-ბრაღია.“
- 10
გათენებისად მაცემა ცხენსა დაკვერნა ნაღნია.
საჩქარო შემოიარნა გძელნი კახეთის გზანია.
ჩქარა ჩავიდა მითხოსა, ბევრ არ დაღია ზანია.
შაბოთის კორკში ჩამოვა, ჩამობუბუნდა კარია.
ჩემის მითირის მომკლაო, ისევ ცოცხალივ ხარია?
- 15
გვერდს ედგეს ბიძაშვილები, მაგრად უჭირეს მქარია.
ნავთი სასახლეს დაასხეს, ცამდის გაუშეეს აღია.
ტყვერების ტყუპ-ტყუპა თოფები, ჩაჩნელთ თქვეს: „რუსის ჯარია.“
ხუთნ გამოწყვიტნეს ჯალაფნი, გამოუჯარეს კარია.
ძმასა ძმა უნდა ისეთი, მითირს რო მაცე ხყვანია!

677. ბაკათ ბაკა

- შიტუს ზის ბაკათ ბაკაი, დამჭერი ადგილისაო.
ადგა, ჩაიდვა საგძალი, მაზვერვა სწადის მთისაო,
შამახყვა ჭიუხიანსა, ჯიკვების სადენს კლდესაო,
ღვირბინით ჭერა დაიწყა, თვალი შააგდა მზირთაო.
- 5
ჩავა და ჩაეპარების, საყურ დახვდების კლდისაო.
მშვილდ-ისრებულად დაღრივა, მასრა ბზედ გადმადისაო.
მემრ ნელა ნახა ბაკამა: დაჭრილი ქვიშას თხრისაო.
ერთი კი იმას ჩაღრივა: „უნცროსიმცა ხარ მკვდრისაო!“
რაი-რა ღმერთი გაუწყრა? თვალი შააგდეს მზირთაო.
- 10
ზალბ მისცა ქისტის ლაშქარმა, თავს მტვერი გადასდისაო.
ვეგრ გაიქცა ბაკაი, ნადირ რო დამთხვებისაო,
ამამართა პირ-ალმა, წვერის პირს შამახყვისაო,
შიტუს მათვა დედასა, ნასახელარი ზისაო.

- 15 შუტყვა სისზორიგეი, დედაი ხკითხავს შვილსაო.
უკადრისია ბაკი, რას გარმავლევს პირსაო?
ბარში გეგვა მკითხავსა: „რაით გადაშჩით ჭირსაო?“
ნინო ქმარს გაუჯავრდების: „ნუ გამამივლევ შვილსაო.“
– „დაკოცე სამეშვლოები, დარდ თუ გაქე შვილებისაო.“

- 20 მელექსეს თუ რას იკითხავთ, ბაბოს ბერდაის შვილსაო,
სალექსოდ გამამიგზავნეთ თითო გილდ ხაზინისაო.

678. ხოლმე და მეთქი

- სალექსოდ, ჯურჯიაულო, გამამიჩინდეს ზენნია.
დღე-მუდამ ნაჭრევიანო, ღმერთმ გაგაყოლნას დღენია!
მასწირენ შვილის წლისამა თავის სამშობლოს კლდენია,
ციხენი სიპერდიანნი, არხვატის სიმაგრენია,
5 სახლნი ქვიტკირად ნაგებნი, ეყარნეს არყის ხენია,
სრუ კვამლად არშავიანნი, ყმაწვილნიც ომის მქნელნია,
მკართა სძეს შავებ რკინები, კორცს ჭამენ, სისხლის მსმელნია,
მკარზე ნაქონნი წრიაბნი, ისენიც ნადირთ მტერნია.
მე კი ჩამავე კახეთა, კლდეთ მაგიერა ხენია.
10 აქ სახელ-სირცხვილს რა უნდა? წინიღვე კახის ძენია.
„ხოლმე“ და „მეთქი“ სიტყვანი სათქმელად საკვირელნია.
ზოგს ზფარავ, ზოგსა არ ზფარავ ფართლის პერანგის ძველია.
აქაც მახკდების დიდ ომი, ეფრემერტებში სწერია.
ეწ დამალულმ ჩაიცენას დიაცის ჩოკვის-ძველნია.
15 გარმოგვესივა სომეხი ჩვენ ოფლის წყალში მყრელია.
თავადებ გვეუბნებიან: „თქვენ ადგილებ ხო ჩვენია.“

679. ტყუილით გატენა

- წამავე საზულაოდა, გაბარგული ვარ ხიანი,
ჯერ ვკრიფე მთიბელთ ნათიბი, მემრ ქვიშათ ედგა წკრიალი.
„ჯიკე დავჭურ, – ხელა დამყვირის, – იყო ცალა-რქა ტიალი.“
არ არის სისხლის წირტაი, არც ქვიშათ უდგას წკრიალი.
5 „ნეტარ, სადი-რა მოკედების, სად-რა შამჭამენ ჭიანი?“
ხელამ ტყუილით გამტენა, როგორც სასაგძლე სხლიანი.

680. ფანდური და წისქვილი

ფანდურის კელ ვერ გავეიგი, როგორ გეემართებისა.
წისქვილს აგრე გაგიმართებთ, ჭეხა-ქუხილ დაღებებისა.
გონთ ნამყოფ რო შიგ შაეიდას, გაკვირებულ დარჩებისა.
გამასავალს ვერ გაიგებს, საღორისას გაძერებისა.

681. თრევა ძაღლის კუდივით

- გიორგის ვერძე ჩავხპარე, ავდეგ, მითხოსკედ გავსწიე,
ჩავედი თრეეთეგოსა, რაკელ ძვირფასად ვაძლიე.
ფული იმოდენ შავყარე, ხაზინას წამოვეწიე.
სახლან მქონ კორცით სავსენი, სტუმრებ შინისკედ ვაწიე!
- 5 ეგრ მაითვალეს სტუმრებმა, ვითამ თავისა ვაჭმეი.
რკინის ქვაბმ დულილს არ გასძლა, რვლისას ძირ გამოვაცვლიე.
რაკლად მაგექეც, გიორგი, ძაღლის კუდივით გათრიე.
ქალაქში სასამართლოსა დუქნის კარებზე დაგჩვიე.
აის ვაჟა ვარ, გიორგი, შენ რო უსიკა მაძლიე.
- 10 არცა ღნახია, მზიარ, ვაცუნა შამავაქციე.
იმაზედ ყურიც არ გიგდი, სუ წარა-შარა გიქციე.
სვიტი მყავ აღუკანტი, ზეჰე თავზღებად გაძლიე.

682. მეშეშე

- ჭინიჭალას მეშეშესა მომივიდა ავდარია.
ბევრა ხეებ ჩამოეყარე ქვიტკირისად ნაჭარია.
ამანდ იყენეს ქალაები, სხავა ოროლ-სამ-სამია.
აგრე მომეხვიენინანა, ჭუჭულას რო ქათამია.
- 5 დილას ბინდზე დაწოლილმა მზეს აეხედენ, რა ხანია?
ოფლში გავქანულიყავი გაყინული, გამზრალაია.
ე ჩალხის ქალ რა ქალია? ქოოდ ძაღლის სასვარია,
კლო მაგასთან არ დავწვები, ვიყო თრიაქ-ნაჭამია.
აბაბაი, რა ქალია აპარეკათ ლელაია!
- 10 ერთხან ვიწვე მაგასთანა, მაშინ ვიყავ დამთვრალაია.
მე კი არა დამაქსონდა ჩანადენი, ნაქნარია.

683. ფიცრობად

- ჭალას წამავე ფიცრობა, საბაგე ფიცარ გაეთალე.
მეორე კვირას წამავე, ელარ მაკეკლე ჭაჭანი.
ეგი დლე ძეკას მამიცდა, ჭალა სულ ფეკ-ძირ დავგალე.
ვინც მაიპარე, ვინც არა, ვაი თუ კარგა დალმალე!
- 5 ჩემდა მაპარეის კვალადა თავისი რად არ გასთალე?
მასულმ ვახარე მამასა: „საბაგე ფიცარ დავხკარგე.“
შეიშალ-გადაილაკა: „თავადაც ცოდვი გასთალე.“
არ სჭარბავ ჩემისთანასა, მეც სხვათა ბევრა შევჭამე,
მას უკვენ წავედ უკულმა, ნადიროს ვაც რო მავხპარე.

684. არწივ-ჯიკვებს

- თვალებს გაყოლებ, არწიო, ჰაერის მონადირეო,
ლალო, გუნებით მძიმეო, შაკრულო, ტანად მცირეო,
შენთა საზრდოთა ელდაო, ცის კიდელთ მონადირეო,
დახკივლებ მთებსა, დარაჯობ, წვერებზე მოსადილეო.
- 5 ყინვარს კალთაზე ჯიკვები უწევს, ვით დედას ბაღლია.
ასიამონებს ჭიუხნი, როგორც ბულბულებს ბაღია.
დროთ თვლად მნიშვნელად რქათაზე ნაზარდი აქვ და დაღია.
ჯიკო ყინვარში ნაზარდო, მუდამ უვალოდ მტრიანო,
ნიაგ გიზიდავს ამბავსა, თავი არ დააზიანო.
- 10 ე შენი ტილიგრამანი ყველაის მკრისკე დიანო.
არხვატის იწრო კევებო, შელებილებო სისხლითა.
წინიდგე ძალით ნაჭერო თოფით, კმლითა და ისრითა.
სრუ ჩვენ რაად გეძებს უღელი, გარდაუტანი კისრითა?
ჩვენს ჭირად დაფარულია, როგორც ქვეყანა ნისლითა.

685. ყორნებს

კარგად ვერ სჩადით, ყორნებო, — ტირილ არ იცით მკვდარზედა.
რაზან საჭმელად წახვიდათ, ცრემლ არ მოგივათ თვალზედა.

686. ჩიტებს

დასხედით, ჩიტნო ქერანო, ნუ ეთულებით ნართაო!
დაგეტევებათ მინინო, შამოგანარცხებსო ქვათაო.

687. ძმანი და რძალნი

ფანდური კარგა იძახებს, თუ ძალნი შაუქლებიან.
ძმათა რა გახყრის ცალკ-ცალკე, თუ რძალნი შაუქლებიან?

688. მოკეთებები

ან უნდა ძმასა ძმა ხყვანდეს, ან კაი შეილი მამასა,
ან უნდა ბიძას ძმისწული, – ეგეც მაუქნავს ყანასა.

689. ბევრნი ძმანი

ძმათა დავლნატრი ბევრათა, – მზე ცხრაკნით აშუქლებისა:
ცოლს ვერვინ უტკეცს, დედასა, შინ ვერვინ გადუქლებისა;
ორგული, მტერი, ღუშმანი, წინ ვერვინ დაუხვებისა.

ბერი კაცი

690.

ბერო, ბერობას ნუ შჩივი, მოკლებას თვალებისასა,
ეცადე ჭკვა-გონებასა, რიგებას თემ-სოფლისასა.
ბედენად ნუ გაუჯავრდილ თავისასა და სხვისასა.
ჯერ ბოლოს გაიკეთებდი, მემრ გზას სულეთისასა.

691.

შენ ბერო კაცო, წვერ-თეთრო, ალავერდ გინდა შედგომა,
კარგის თქმა, კარგის გონება, სულისად გინდა მიდგომა.

692.

დავებრდი, დაენაჩანაკდი, წვერი გამიკლა ჭალარა.
შინ ჯალაფთ მოვსტულებიორ, კარულთ უნდიორ აღარა.

693. დარდიან მთვრალი

დავითვერ, ნისლმა დამათვრა აბანოთ ამამდინარმა.
არცა-რა ნისლმა დამათვრა, – ჯავრმა და გულის ყინვარმა.

694. მომცდარ ყანა

იმ დალეულსა ყანასა რად უნდა ჩაზედულობა?
წამკა უნდა და წამამკა, ნამგალთა მალესულობა.

695. პატივი მუშას

ბატონო, შენი სასახლე შადგავ ქალაქის ქუჩასა.
შენც კარგად მაგეკსუნების, პატივი უნდა მუშასა.

696. მამკალნ ქალნი

მზე მივიდა გორის პირსა, ქალნი მარჩეს ყანის პირა.
„ეს ყანა თუ არ მავმევეით, დედა არ მიგვიშობს შინა.“

697. სწორების სიყვარული

სწორებო, თქვენი ნდომითა მთას ფიფქნი გარმავექაშენა,
პირდაპირულნი ქვიშანი სრუ ცრემლით ჩამავხარშენა.

698. შეენება

ცხვარო, გაშვენებს ვაც-ვერძი; ვაც-ვერძო — თავ-რქიანობა.
სახლო, გაშვენებს ჭურჭელი; ჭურჭელო — ყანწიანობა;
ქალო და ზალო — ჭკვა-გონი, ძმა-ზაღში გემნიერობა.

699. ჯალაფობა

ფანდურის დაკვრა ვინ იცი? ფანდურს ხუთთავ თითთ ცველა უნდა.
აეგრევე ჯალაფობასა ფანდურებულას რთვა უნდა.

700. ტყუებით წამოყვანილი

ჯერ იმას არა მერჩიყვა, არ გავსჩენიყავ დედასა.
ტყუებით წამომიყვანეს, გამომაცილეს ნეთხასა.
აეხლა მეუბნებიან: „ცუდნი ხალხნია ტერლასა.“

701. შენ რადა-ღ?

ცეცხლო, თუ დამწვავ, წესი ას; შენ რადა-ღ, ნედლო შემაო?
ქალო, თუ დამწყვე, წესი ას; შენ რადა-ღ, ქალის დედაო?
ქმალო, თუ გამჭრი, წესი ას; შენ რადა-ღ, კაცთა ენაო?

702. სტუმართ უნდაური ღიაცი

თუ მეზობელნი გშურობენ, კარ ღილით გაუტივიდი.
სტუმართ უნდაურ ღიაცსა სახჩი ნუ შაუტივიდი.

703. ადრე და ნელად

თუ რას აგმტერდეს სოფელი, კარ ჭერხოს შაუტივიდი.
ადრე გააბი გუთანი, წუხრ ნელა გაუტივიდი.

704. გაგონება

აქეთ-იქითკენ დაეკსენ, აქეთ მაშიგდე ყურია.
კაცს მალე გაუგონიდი, თორო იტყვიან: „ყრუეია.“

705. რად მინდოდი?

სოფლის უფროსად მინდოდი, ატანად ძალ-ამბავისა;
მტრის სამუქაროდ მინდოდი შორივლის, განთ ახლოვისა?
მშვილდის საზიდრად მინდოდი, მაგრისა, განთ ამლისა?

წუთისოფელი

706.

ოქერო წუთისოფელო, დაგცადე ათასფერადა.
კორცო, გასუქე, გალაღე; სულო, გაგიკე მტერადა.
არცა-რა კარგი იმან ქნა, ვინც ოქრო დაღვა კერადა.

707.

წუთისოფელის სტუმრები ვართ, ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება.
რაც ერთურთს არ გაეახარებთ, იმის მეტი რა შეგვიჩება?

708. ფიცის კარს

არვიცაი და ვიცაი ფიცის კარს მიუღიანო.
არვიცა შინავ დაბრუნდა, ვიცას აფიცებდიანა.

709. კაი კაცი

რა კარგია კაი კაცი, კარგ საქმეზედ აგებული!
ქვეყანა ხყავ მაღრიელი, სწორის გული მოგებული.

710. რკინის ქალმანი

ქალ, ქისტეთს გაგათხოვებენ, ქალმანი გინდა რკინისა.
მოგაგონდება ახმეტა, სურვილი დაგლევს ღვინისა.

711. გულის ტკივილი

ციდამ მოვიდა არწივი, ბოლომ მაილო წივილი.
ვაი რა ძნელი ყოფილა უჩენლად გულის ტკივილი?!

712. დილის ნიავს

დალალო, დილის ნიאו, მე შენთვი მიტირნიაო.
– „ჩემდა ქვე რაად სტიროდი, მე შენთვი რა მირგიაო?“

713. კევსურული ნანა

„ეე, ნანა“ ვეტყოდითო, თვალთა ძილი ესხმოდისო.
მტრედები უღულუნებდის, ანგელოზებ ასწევდისო.

714. წყლის მარსიტო

დაიცა, წყლისა მარსიტო, ვერ მიგაყენო კილოსა!
ღიალა ნუ ასჩქარდები, მე ველი თავის კილოსა.

715. რა სჯობ?

ჯორი სჯობ საქონელშია, – შინ მოვას აკიდებული;
მემრე კარი სჯობ ბულაი პტყელს მამულს გაკიდებული;
მაგაზედ ქერი მასული თავ-თავზედ გადადებული;
მაგის სამკალად ქალი სჯობ საქმაროდ მამზადებული.

716. ქალისად და ვაჟისად

ქალის საქმარედ ცუდი სჯობ, უკვდავი, უბერებელი,
ვაჟისად კმალი ფოლადი, გამჭრელი, დამჯერებელი.

717. გატეხა-გაუტეხლობა კმლისა და ვაჟისა

გატეხით, გამაგრებითა კმაღმა ბედენად არ გაჭრა.
გატეხილისა ვაჟისა კორცი ყვარნებმაც არ ჭამა,
გაუტეხისა ვაჟისა წინ-წინ მკლავები დაჭამა.

718. ქული

ვაჟკაცსა უნდა ეხუროს ცოცხალსა ქული თავზედა.
როცა მაკვლების, გაქრების ბელის მასკვლავი ცაზედა.

719. კევსური

კევსურაი ორ ძირადა.
იარაღთ ვზიდავ კშირადა.

720. ხეჭეჭა

ადეგ, ადეგ, ხეჭეჭაო,
ხისა გიგდავ ბეჭადაო.

721. მითხოვლის ქალი

არას დაგიდევეს დავითი დაკოცას საქონისასა.
ეეხლა მადის ზაფხული, აღვირს ჩაუღებს ნიშასა.

5 არა გინდა რა, დავითო, ქალს მაგვეკრი მითხოვლისასა,
ქიჩილას წამაიხურავს, წითელს ჩაიცომს ნიფხავსა.
ხოდღა მეფიცებოდას: „ხუთს მირჩევ კევსურისასა.“
ხოდღა რასა-ღ მიუდგამს საგერებიან წიწანსა?
ეწევე ვიგებ სურვილსა შვიდის წლის ყმაწვილისასა.

722. ლაშქარშიით დაბრუნებული

შენკე წამავედ, ქალო, შავღვარდი გველის ჯარსაო.
სუყველამ დაძრა ენაი: „შენფერ სხვას ირჩევს ყმასაო.“
ვთქვი მაშინ გული-გულშია: „რად არ შავიბამ კმალსაო?“
5 ყველასამც ეგრე მაუა, ქალ ვინც დაენდოს ქმარსაო,
კოხტასა, გადიდებულსა, წვერ-უხვეველსა ყმასაო!
მავიდა ლაშქარშიითა მთვრალი შულამის ხანსაო.
კარზეით შამამიძრაზა: „არ გამიღება კარსაო?“
ავდეგ, ავანთი სანთელი, დავიცვი ლერწმის ტანსაო,
ჩქარად გაული კარები თვალ-წამი-ერთის ხანსაო,
10 ოქროს მივართვი ჩიკაი: „ქნიაზ, დაბმანდი სკამსაო!“
მე საკოცნელად მამინდა, იმან კელი მკრა ყბასაო,
თვისად დაიჯუმჯუმა: „ძაღლო, ჩაღბარდი ძმასაო!“
შავი შავკაზზე შავრაი, შავთ შავაწყვიტე გზათაო,
თავ რაიმ შამავებრუნე, მათგელვების კმალსაო.
15 დავჯე, დავიწყე ტირილი: „ნუ მომკლავ ხორას ქალსაო!“
– „არ ვიცი ხორამ-ხურამთა, გაგასრევიებ თავსაო.“
გარდამავალო ყორანო, ჩემთა გაბარებ ბრალთაო:
გარდაეს გადაუძახე შალვას, ივანეს, ძმათაო:
„დასა გიჭირიან, გიკაფუენ, წყალში გიყრიან მკვდარსაო,
20 გააკვრენ ხორაის გულსა, გააქანებენ ზღვასაო.“

723. ქალის წყევლა მეშაირეს

ხუთშაბათ გათენებდა მაგრა ჩავიცვამ ჯღანსაო.
მე რო ლექსობას დავიწყებ, არვინ მიჭერთა მკარსაო?
მეორ-მესამე წელია, ვერ უპატრონე თავსაო.
კევსურეთ აბზავ გასულა, გულ უცინებავ სხვათაო.
5 შენ ჩემო მეშაირო, რას მიგონებდი ჯავრსაო?

- ქალმ მალექს, უძმოს დაგაგდებ, ძმით მიღნატრიდა სხვათაო.
 ვაჟმ მალექს, ეეწ იყურე, შენს რაკელს ვიტყვი კასაო!
 ნანატრის გაცხადებითა, ამინ სწერიხარ ქვასაო,
 მთით გატეხილსა ნაქარსა, იმ დიდის ფერდის ზევესაო,
 10 ან აიბ ალაღებულსა ჩვენის ძირულსა წყალსაო.
 გაგიტანს ზღვის ნაპირადა, თეგზე გამახრავს ძვალსაო.
 მალლით ჩამავა ყვარნები, წინ-წინ დაგთხრიან თვალსაო.
 მამას დაგიგდებ ოკერსა, იკვირაებდან სხვანიო.
 ლურჯასა შენდ ნაკურთხევსა მკედარს ურჩევენ სხვასაო.
 15 შინ წაგილაღვენ ღიაცსა, უკულმ დასჯრიან კარსაო.
 გადისწორებენ მამულთა, სამანს გაღუღგმენ მთათაო.
 რო მახკვლებ, საიქიოსა უნცროს მექნები ქალსაო.
 მსახურად დაგიყენებდი, დაგაზიდვინებ წყალსაო.
 მე კი ციხის თავ შავკლები, იქით გისრევე[დი] ქვასაო.
 20 ამაგას გამამჩებოდი ამაგის მალექსარსაო.

724. ძილა

- მანამღი ვარ, ძილაი ვარ, მუზიკანტას ვაჟერება,
 მანამღია ჩემი ყოფა, მანამ ღუშმანთ ვაბევრება.
 ბედნიერას გავაჯავრებ, ბეჩავს კარგად ვაყენება.
 ზალხის მაგისთანეების ძილამ იცის შაფერება.
 5 გზაჩი არვის შევეყრები, ცერად არ გადავხენება.
 ძილა ლექსობას არ მოშლის, ჭრელის გარმონის ჟრიალსო,
 კიდის ყურს სერნაობასა, ჩუსტზე ნაღების ძგრიალსო.
 უღუმლად გამამაგებენ, ვერას იტყვიან გზიანსო.
 ვინძლივ რა მითხრან პირადა, — რაკელს მომკვლევენ ჭკვიანსო!
 —
 10 ეს ლექსი დაუბარებავ მზის-პირას, ზინზილიანსო.

725. ჩახერგვა

დალოცვილი სთველ მოვიდა, თოლ ჩამოდის ცაშიგითა.
 გაღმოვიღებ ფანდურასა, ლაშთ ავირთხამ შაშიგითა.
 სიტყვა წარა-მარა ვიცი შამაი[ის] თათიგითა.
 ხან-ღა-ხან კევსურაი ვარ, ხან გავეკლები კახიგითა.

- 5 ქალო, რახან მამაგონდე, მამელები ნავთივითა.
რახან ერთად შავიყარნეთ, ჩავიხერგნათ დათვივითა.

726. ფიჩხობაზე

აკუშოს ქვიტიკირ ავაგე, ლაფ გაუსვი კირივითა.
„აკუშოში ვერ ვიქნები“, ჩემ ცოლ დარბის ტირილითა.
ილღიაში წალდი მჩრავის ქარაშხაის სტვირივითა.
ფიჩხის კონამ ზურგ მამღვერა ჩალანდრების ვირივითა.

727. ფშაურად გადანათლული

- კვირაე დაღამებადა გარდაიკრიფნეს მზენია.
გაბრუნდა ლექსის ბორბალი, აჩქამდა კალმის წვერია,
მარტო აჩქამდა ბაჩლელი, მის ამაკალულ ყელია.
დან ვარ შეწუხებული, თქვენ შეგიწუხდასთ მტერია!
5 ნეტავ გველეთში ჩამაგდა! სოფელ რას ჩადის ჩვენია?
შვესწუხდი სოფლელთაკედა, დამცილდა დედის სერია.
ან[ა] ვანოა როგორ ას? მეგობარია ჩემია.
ატეხით ისე გავლალდი, ვითამ სახლ ვნახე შენია.
ვითამ კერაში ეყუდე, კელთ ზინზილანი გჭერია.
10 კერაში ნადგომს ჭურჭელსა მალ-მალედ სტაცა კელია,
წამძრა-წამამძრა ვანომა: „აღარ მიდგასა ბეერია.“
ეუბნებოდა დედაი: „ვანოვან, დაითვერია.“
მუკლებს ზვერედა ვანოი, მაგრად დგას გორგით მგელია.
მომიკითხილით, ვაჟებო, რა ვისად შემიწყენია.
15 მე კი არა ვარ კევსური, იმედ ნუ გაქვისთ ჩემია.
სულ გალაღებულ გექნებათ ჩემ იმედს დამრჩალ მტერია.
ფშაურად გადავინათლე, ფშაურ ავილი კელია.
მამაძაღლებსა ფშავლებსა წესი აქვს რაის ფერია?
ქალებსთან თვითონ დადიან, ეგ რაღა ჩასადენია?
20 მეც იმას მუბნებიან: „წეს დაიჭირე ჩვენია!
დასწაწლდი ფშავლის გოგოსა, იცოდე, სანატრელია.“
დაღამდას, გადვიკარგები, როგორც ცხვრისაკე მგელია.
მე საჭონ არას მაჯავრებს, სხვათ თუ აჯავრებს ჩემია.

- 25 საბძელში ფშავლის გოგოსა ძირს უგავ ჩაღის მტვერია.
 მივალ და მივექაღლები, ვითომ სულ არაფერია.
 მეუბნებოდა ქალაი: „ვინ ხარ? ვერა გცნობ, ბნელია.“
 გულ-ღა-გულ გაეცინება, კმა რა გაივას ჩემია.
 კარგი ას ფართლის სამოსი, შალი არ ვარგა კმელია.
 მერე საგულე საცმელი, სულ ღუგმით შესაყრელია.
- 30 ჩაკსნაში არ დასჭირდება ერთ კელს მეორე კელია.
 ასრევ შეყრაში არ უნდა კეესურულ ნემს-ნაჭერია.
 არვის გეგონასთ მართალი, ტყუილის ნაცრის კვერია.
 მართალს ვერავინ ვერ მათქმევს, ვერც ახსარებას მღღელია.

728. მედიდურს

ქალო, მინდოდი, გინდოდი, თავს ისრევ შენავ სდილობდი.
 დილას რო კარში გამოვე, შარაზედ ამოხვიდოდი.
 რა გიჭირდ აძრაზლობასა, შინ თუ არ შამახვიდოდი?

729. მელანიას

ლექსებს რად არ დამიბარებ, ჩემო დაო მელანია?
 შენ ქვე რადა-ღ გეშინია? შენ მამულნი ბეერანია.
 უშიშიაი და მერცხალა, ის ვინა თქვა: „ვერანია“?
 ახან ეგენ ერთ-სხვას ახყვან, მოვლენ ტომის ძვერანია.

730. საღალატოდ

- სადუცეს ეხში ნამყოფი სიცივემ შამაშინაო.
 პური მომშივედა მარკედა, მასპინძელმ შამარცხვინაო.
 ზვიადი წვესა ქალსთანა, სახელად ხქვიან თინაო.
 მიაც კი მგულავ ღალატი. ზვიადს თუ დაეძინაო.
- 5 მკარ-გვერდზე შამაწოლილმა ფეკ ჩავიმძღვალე წინაო.
 თოფ გამივარდა კარზედა, ცხენივით შამაშჭყვილაო.
 ზეთას თვლით ჩამოდიოდა კოკოშიაის გმინვაო.
 არ ვიც, თოფ მოხვდა გულზედა, არ ვიც, ქალმ დაიჭირაო.

731. გულადობა

დაიელნის, დახკრისაო, დახკრის, დაანათისაო;
დაიელნის, დახკრისაო, მე ქვე ვერა მნახისაო;
ბექის ძირში ვეკრიდიდი, ტომრის ძველა მეკრისაო.

732. მოწმავის სკოლა

- კვირავ დაღამებადა მზე მთა-წვერთ გადასულია.
შენ დედას, ქაჩალ-გორელო, რამ შეგიწუხა გულია?
რამ დაგავიწყა მცოდნეი ფიქრები აქაურია?
კვესურეთ მოსწავლებელი მთავრობით წამოსულია.
- 5 სწავლა და კარგის გაგება ბრიყვთათვი სანატურია.
სახლი კაზიონ არ დახვდა, ქირა გაილა, ფულია,
მგელაისთანა ისურა დუღაბით აგებულია.
ყოფილა საკადრისაი: ლამ-კირით გაღესულია,
შიგაით პოლი, ლამფაი სრუ ხერხით დახერხულია,
- 10 გარეთზე ბალკომიანსა მირგვლით ფანჯარა უღია.
შიგა ზის მოსწავლებელი, სკამ უდგას დაგებულია,
სანათად ფარნის ლამფაი, ფერ უდგას სასითბულია.
მგელიკა სკოლის პატრონი მწიგნობრად მიღებულია.
ჩასა და სახარინასა ადრიდგეს მიჩვეულია.
- 15 ზაპასში წილ-დებულია, არ აკლავ ბულკის პურია.
ანოყიერებს მსმენელთა კურდღლის მწვადების სულია.
ნინიჩკა მოსწავლეებელმა არ იცის მთიელთ რჯულია,
სახლის ანგელოზს აგიყრის, სრუყველას გადასულია,
სრუ მუდამ კელ-გაუქსნელი, არც ერთხან განათლულია.
- 20 მგელავ, მეცოდარ გვეგონე, ყოფილხარ დაკელთულია.
რატომ არ ზკითხე მამასა, ჭკვა თუ გაქვ დაფანტულია?

—

ამაგის მალექსობელი გვარად ვარ არაბულია,
კელჩი მიჭერავ კალამი, მელანში ჩაწებულია,
წინით მიძე ქალაღდი სტრექონზე დაბეჭდულია.

733. სკოლაში

დაურიგეს ყმაწვილებსა ფანქრები და რვეულები.
მოწმავოში გამოდიან შინით გამოპარულები.

ბაკომზედა სერნაობენ გამოკლებას ჩვეულები.
მოსწავლებელს გაუკვირდა: „როგორ სწავლენ წყეულები?“

მ) მთიბლური

734. თიბად გასვლა

თიბა გაეიდეს [ამა] ჩარგალელნი[ოოოო].
ვაიმე [აი] ჩემო[ოო აი] სიბერეო[ოოო],
ნეტავენამც მამცნა[ოოო აი] შშვილდ-ისარნი[ოოო]!

735. ბროლია ცელი

[აი] თიბის სამშაბათსამც მათიბიუაო
იმ ჩემით ბროლიაით [აი] ცელითა[ოოოო]!
თივა გაფიცხდა[ოოო ამა] საფარცხველო[ოოო]!

736. თიანელი

ბებერო, ნუ დასწყევ [ამა] თიანელსა[ოოო],
ჩენია [აი] თიანელიო[ოოოო].
[აი] ჩვენ კი შეგვინახნა[ოოოო]
ცელო, გასჭერი, [აი] ჩემო[ოო] ნალეო[ოოოო]!

737. ცელი და ცოლი

ცელი ვლესე და ვერ გავლესე. –
გადალესული ყოფილიყვა.
ცოლი ვწურთე და ვერ გავწურთენე
თავში უწურთნი ყოფილიყვა.

738. მთიბელი მთიბელს

კოჭნი არ დამჭრნა, საძაგელო,
ნალევი დამაფხაბიე.
ქონნი ჩამამცდეს წკმუტუნითაო,
ცელის ნალევის დატუქსვილნიო.

739. ბერდია

- აის დრო არ გერჩიყვისაე,
ტანზე იარალს ისხემდიდი?
„მადე!“ მტერს ეუბნებოდიდი,
„ბერდიაი ორ“, იძახდიდი,
5 შე ლუყო ცისკარაულაო.
მიწამ ქვე რაქელ დავიჭირა?
ადე! ქვე რასა-ღ უწევხარა?
ცოლოა შენი მანდ წოლაი!

740. ბეჟიტაიშვილი

- ნეტაეი, კმალო, აგაძრახალო,
ენამც ჩაგიღვა პატრონისიი!
აჩაგ ბეჟიტაიშვილოო,
5 გათქმულო ფრანგულ კმალივითაო!
აის დრო არ გერჩიყვისაეე,
საკარის მაღალ რო ომობდიდიოო?

741. გველი

- უქმი იძახა დათვიაშა:
„მარიენობა შამაეიდაოო.“
დასალებსა ყმაწვილებსაა
5 გველი წყალშია შეეყოლაოო.
თორმეტის სულის ჯალაფისიი
ერთ ყმაწვილ დარჩა აკაენსაოო.

742. ქოქომონი

მაგჩეს ოკრადა, ცოლის დაოო,
წითელ-ყვითელნი ქოქომონიო!
მე შენდა გამახედენაშიაო
ცელი ჩორჩში[ი] გავამტვრიეოო.

743. ირემი საფქავზე

ვაიმე ჩემო სიბერეო!
ირემს საფქავნი დამიშაღნაო.
ნეტავი მამცნა მშვილდ-ისარნიი,
ერთ-ორიმც დამაზინებიაო!
5 ჩემი საფქავთა დამქაქავი
მიწათა დამატყერებიაო!

744. დვირბინი

მთიბელო, ჯვარის სასოესაო
თოფმა ბუნამა ჩამაგზუელაო,
დაგაწვეტინა კაფიანიი,
5 ნამკრეენი სისხლით დაგასვრინაო.
ნამკრევთ სათავეს დაგჩა ცელიი,
ნამკრევთ ბოლოში სალესეელიო.
ფასიორათამც დაღლეეს ღმერთი!
მისცეს დვირბინი გუროელსაო.
მალრანის წვერით გამაზნაო,
10 იცნა მთიბელი სასოესაო.
ბუნასეულს ქვე რას გვაკეზებთა?
კირიმის ბარტყი ჩენიც ნახეთაო.
გუდელას იწვა კლდის ეზშია,
გმინსა და გმინსა აყოლებდაო.

745. სისხლიანი წყალი

გუდელას მუშა აირივაო:
წყალი მოვიდა სისხლიანიო.
ბურჟკურ-უკვენაკოვლებსაო
ვაჟებს ერთუცი უჩეგრიაო.
5 ღორო, ღორი ხარ, ბურჟკურო,
ღორმა ღორობა არ მოშალეო.
ჯერ სალა-ქორქა გამამართვიო,

- 10 ეხლად შუა-ცხვირს მეკიდებო.
არყის ბოჯოლთა დაიმოწმანო,
გიგაის წვერთა ჭალრიანთაო,
რაც რო შენ გექნას ბუჩუკურსაო.
არ იჯერებენ ბუჩუკურნიო:
„გიგა არ გვინდა კაცებშიგაო, —
ქრთამი შეჭამა აკოვლისაო,
15 დედი-ძმათაკე მოიწიაო.“

746. შარვანაული

- 5 შარვანაულო შავარდენო,
მუშანი გიხარიან-ლაეო?
უბან მამკალნი ქერ-იფქლზედაო
წყაროს კარ გიხვევიან-ლაეო?
სტუმარს უძღვები ქორულადა,
რძეში დუმასა ხარშავ-ლაე?
აქო ჩემია აკოვლისი,
ლიფოდა — გორზამაულისი.
10 შუაში ერთის დღისაია
ძაღლისა თლორშიაურისი.
ფხიტუს მალალო, გადამიშვი,
ნისლის კოტორო, გადამრიდე!
ერთხანა-ღ კიდევ გადავხენებ,
ციხენ სად უდგან თანდილასაო.
15 შარვანაული მიდგას წინაო,
თავ უძე ცხენის ტახდაზედაო.
„შენ ღრონ წავიდეს, თანგულაო,“
ციხე ატირდა, ციხის კარიო,
ჩარდახნ ზეთა-თვლით ბუთუნებენო:
20 „ერთხელ გვიშველა ხთის ძალამაო, —
ლაშქარი ტბაში ჩაილუპაო.
შენი ჭირიმე, ტბათანაო,
ლაშქარი ჩაგიბრუნებიაო.“

747. არწივის მალალი

არხოტივენებო, გაგიოკრდათ!
არწივის მალალ სად გიქეიანთ?
შვილნი ამაგან ჩამიკოცნა:
სულხანაური-ღ' მარტიანი.

748. სულა და კურდღელა (მამის ტირილი)

შვილნი დავგზავნენ სათიბრადა.
ახუნო, არცად გინახავა?
— „შენს შვილებს ახუნს რა უნდოდა?
ჩარგლის კარს იწვენენ ვეძაზედა.
5 სულას გულზე სჭირს ნაისრალი,
კურდღელას მქარი მოკვეთილი.“
— „სულავ, ამადევ, მამილასა,
ირმებმ სრავალი გადაშალესა.“
სულა ძაღლს ეძახს ბარიასა,
10 ახუნს ირმებსა ჩახყოლია.

749. მშაველი თუ ჩარგალელი?

კითხვა:

ქალო, რომენი გირჩევ ქმარი:
გირჩევ მშაველი, ჩარგალელი?
მშაველი გაჭმევს იფქლის პურსა,
ნადირს მაგიკლავს ჩარგალელი.

პასუხი:

5 ჩარგალს ვეძანი საირმენი
მამის მამულთა მირჩვენია,
სადილ-სამხარსა მიმზადებენ
მებატონესა კაცივითა.

750. საჩივარი

- ქალი დედასა უჩიოდა,
გამადიოდა საჩივარი:
„დედავ, არ მინდა ბაჩანაი,
მინდა გიგაი გიგაური.
5 უბის თავს თობდა ბაჩანაი,
თობდა და ვერას ახანებდა,
ცელის ტარზედა ელღვეოდა.“

751. ხოხორი

ლაშარს მშავლები ახოხორდა,
გიგა არ სჯერდა თავისასა.
— „გიგავ, დასჯერდი, და გენაცვლოს!
ერთა ხოხორი ცუდი არი.“

752. დროშა

- ქვეთრის დროშაი არ მოვიდა,
ბურსაჭილ დაგვიანებულა.
ნეტარ, ქვეთარსა რა მასკლავდა?
5 შიბი ცხრა-კეცი ედვა ყელსა
ლაშარის ჯვარის ჩადებული.

753. რექა

წყალო, რექასა რად გაირევ,
ბურსაჭილურსა მზორიანსა?

754. ახუნი

ახუნმა მამკლა, დამაბერა,
ახუნმა დამაქარიანა,
ჩარგალში თივათ ყენებამა.

755. სასიპის ღელე

ქალმა ჩავცვიოთენ ჯღან-წინდანი
სასიპის ღელეს სიარულსა.
სასიპის ღელეს ჩამოგზედენ,
უღელას გიცან მთიბლებშია.
5 მთიბლებში შენ არ ერეოდი
ლეგ-ლუგეებში ლურჯოსანი.
კმალი წელზეით არ შაგეცნა,
ჩაჩქანი თავზე გიელობდა,
10 ორსაუ კელს გეკრნეს სამკლავენი,
მთიბლებისა თავს დაჰხვიოდი.

756. ხვეწნა

მთიბელთ თავითა გეხვეწები,
ღედაშენისა მანდილითა:
„ნამკრევსა ტოტსა ნუ მამიჭრი,
ნუ დამაბრუნებ ტირილითა.
5 ბაღლი ვარ, დამაკლდება გულსა,
შინ ვეღარ მივალ სირცხვილითა.“

757. დათვია

სადილობამდინ დათვიამა
სამი ნამკრევი აიტანა.
სადილობიდე დათვიამა
კეერსა ნაკლეჩი დაატანა,
5 რო დაცხა, დაღბა დათვიაი
უსაპირო ცელივითა.

758. ცელ-ცუდა და ცოლ-ცუდა

ცელ-ცუდაო და ცოლ-ცუდაო,
მთიბელო ვეღარაისაო.
ცელ-ლამაზო და ცოლ-ლამაზო,
მთიბელჩი ნამკრევ-მშვენიერო.

759. უსაჯურისძე

5 გძელთა გორ-კეკელის გორი,
ფიცხელაურო, ვერ შახკლები.
რო შახკლე გორ-კეკელის გორსა,
უსაჯურისძეს ვერ ღახვლები.
თუ ღახვლი უსაჯურისძესა,
ქალის საქმარედ შახფერლები.

760. სათითიანნი

გძელთა გორ-კეკელის გორი,
ფიცხელაურო, ვერ შახკლები.
სათითიანნი მოვლენ ქალნი,
საკელ-გაფხენილნი გიგაურნი.

761. ამანათი

არა ჭრის ამანათის ცელი,
ამანათობა მასწყენიყო;
აისრე ამანათის ცოლსა,
მაგას ღელათა ფერობაი.

762. მირეშა

ქარო, გაგინე, მირეშაო.
შენ გაღამიქან უღელანი.

763. მოწმაელ-ღათვისელი

ღახპარე ჭირი, ღედის ღაო,
მამასწვერასა მოწმაელსა!
მზეი არ მისცა ღათვისელმა,
არცა საფქავი აფენინა.

5 წყალი არ მისცა დათვისელმა,
წისქვილ არ გააბრუნებინა.
ქაჩეს დაშალნა დათვისელმა, –
მამასწვერის ნაგებიანო.

764. თოთიაური

ნუ მამკლავთ ბაკურ-ქევის თავსა,
თოთიაური არ გეგონოთ.
თოთიაური მტრიან იყო,
უჯაჭო გზაზე არ ვილოდის.

765. ჯიბჯიმი

ჯიბჯიმი თიბდა საზარელი,
ჯალაფთა გაჯავრებულია.
ცოტინიკაი დაეჭვიე
თიბასა გულამაყრელჩია.

766. მისრიანი

ქარო ირემო, ნუ ჩაივლიო
ჩარგალ მისრიათ კარისასაო,
თორ ისარს დაგკერენ მისრიანიო
გამოხვეწილსა მშაველისასაო.

767. სკლატის საკელნი

ყანა მკეე, დედის მშენიერო,
საკელნ არ მკიან სკლატისანიო.
უბნით ბუბაი გამოგხენებსო,
ობლისკალოთა – შარინდაიო.
5 ქალანი ორნიე კარგანიო,
ორნიე ქმრებისა მწუნობარნიო.

768. მთიბლების სამღერაღს

- გიტირებ, ჩემო მამიღო,
კუკუმაურო ჯიშიანო,
ჯვარში კეღოსანთ ასატეხო,
მთაში მთიბღების სამღერაღო,
5 ნამკრეღში საკაფიარო.
მე-ღ' შენ ავეჯაბრღათ, სამძიმარო,
იმ კარგსა ვაშკაცებურასაო.
ე გვარი ღავეაკეღხათ გვარსაო.
ჩუჩაყეური ზგაღის კარსაო:
10 უძეს ბინაი ორ-წყაღშიგაო,
ტანიის ღელით იქამს ჩქამსაო.
ფხიტუთ მაცნეი გარმოკღებაო,
ოკერ-ქევეღი აძღევს ბანსაო.
ვამზაღღებ თინიბეკაურსაო,
15 მა წყაღს-იქითღის საქმარეღსაო.

თ) ღამატეზანი¹

769. ღარაკიშიძე

- ღარაკიშიძე წაუღღა, ერეკღეს ეუბნებისა:
„ღაშინებულხარ, ბატონო. მაგ შიშით რა იქნებისა?
თამაშს ვიქამ კმღისასა, მტერ მაღით შაძვირღებისა“.
სიციღს ღაიწყებს ერეკღე, არცა რა შამასწყრებისა:
5 „კარგივ [კარგივ], იყოსაჯ კეღსურნო, [თოფივ] წინ-წინ ჩემ გავარღებისაჯ“.
გავარღისაჯ ერეკღღის თოფი, კეღსურებ გაღმოზყეღებისაჯ.
კმღით სციან კეღსურთ შვიღღებმა, სისხღღის გუბ-გუბი ღგებისა.

770. ხოროშნელი ტყვე

შაინახიღით უფროსი ხოროშნელ თათრის ტყვეღითა.
თორ წავეა, გაიპარება ღღეს გუშინღელსა ღღეღითა.

¹ შეზღღომი ღეღესები (№№ 769-788), როგორც ღაღოუკიღებელი ტექსტები, გაღმოტანიღია ღამატეღითი კომენტარებიღან ა. შანიღისეული ნუღერაციით [რღღ.].

771. თესლი

თესლი თქვენი სჯობ, არწივნო, ფრინველთ თქვენ უნდით ფერებად;
დაგიჭერიათ კოკობი, ბატონთან მიგყავს ჩვენებად;
რდილი გიბოძათ ბატონმა, ყელზედ ჩავიდვით თქერებად.

772. ვეფხენი და ლომნი

მამასა შენს(ა) ხევანდიან ვეფხენი და ლომნი ნადირად.
იბისი შვილი შენა ხარ, ირმებს მოიყვან წადინად.
მოეწეოდი, მოხკლავდი, რა მალე უზამ, ადვილად!

773. ლუდი

რად არ იმღერი, შავ ლუდო, სვეი გაკლავ[ის] თუ ქერია?
– არც სვეი მაკლავ[ის], არც ქერი, უდუდილ ვიყვი[დი], თხელია.

774. კარგნი გასაჭირნი

თქვენი ჭირიმეთ პირჩია! კარგნი ხართ გასაჭირჩია.
ბუდობენ ქორ-შავარდენნი თქვენის თვალ-წარბის ჩდილჩია.

775. მკარ-გძლივ

ლომნი ხართ, აკოულებო, – მკარ-გძლივ მაიქნევთ კმალსაო.
ურჯულოს დოლბანდიანსა თქვენავ შაუქცევთ ძალსაო.
თბე-წერილს დაღლაღაეთ ისარსა, დააყოლებდით შხამსაო.
ფართალსა დააყრევენებთ, კვესურს უსწორებთ გზასაო.

776. ტირილი და გვლევნა

ტირილითა და გვლევნითა მტერნი არ შავგინანებენ.
ჩვენ(ნ) გაიგებენ ღუშმანნი, მუქარას დაგვიბარებენ.
რა გზაში შამოგვეყარნა(ნ), კმლით გვცემენ, არც დაგვინანებენ.

777. ქისტების მზირი კაკმატში

კაკმატის პირდაპირ მზირი სხავ, ქალმა მავხკილე თვალთა.
შინ არ ას კაკმატელები, ქალ მაგით წუხად ვარია.
ბევრა ქისტ მაკლეს ვაჟებმა, დანათვლინნეს მთანია.
ბევრას ქისტს შამაეწივნეს, არ დაანებნეს გზანია.

5 თოფს უთხრეს ბერთა კვესურთა: „სვი სისხლი, კენიტი ძვალთა“.

—

ამაგ ლექსაის მთქვამი მეც თვალ-ცრემლიან ვარია, —
მკედარ-მალთა ღილღვლის შვილებმა მეც დამიჯოცნეს ძმანია.

778. წოვა-თუშების დაცემა ქისტების ცხვარზე

დავლნატრი დაბადება(სა) თუშ წოვათ როსტომისასა.
ჩაივლის ღურანტისასა, ცხვარს ჩახკვლევს ქისტებისასა.
კოხიო(ს) შინ წამოლაღავს, მუკლ(ს) შაიბამდა მგლისასა.
კოხიო მალე მიუვა, შუქს მიიყოლებს მზისასა.

5 უკენ ჯარს მიიყოლებდა ნარჩევის თუშებისასა.
შაიბნეს ლეკნი და თუშნი დილა ამავს მზისასა.

ომ იქნა შუადღის დროს(ა), ჩამოტეხნას ღვაჯ ცისასა.
ლეკნი ივლევენ სანგალსა გორუს ნაკოცის მკედრისასა,
შუბის ტრით ზომენ ნაფრენსა დილაზედ ანთისასა.

10 გახკვირან თუშის შვილები გაჭრას თავებერის კმლისასა:
კაცს ორად აგლეჯიებდა, წვერი გამო(ხ)კრის მიწასა.
შალვა პეტრესძე მზეს ფიცავს თავის კბილაის კმლისასა:
„გამიჭირდება, გამიჭრის, ჯავრს არ მაჭმევდა მტრისასა“.
მიუვა მახარობელი ნებიერაის მიქასა:

15 „ჭვრიტ მოვა ნასახლარი, ხანსა ქვე გყვანდა ცდისასა.
სამის მარჯვენა მო(ხ)ქონდა, კუთხ(ს) დაუკართ ქვისასა.
ჭვრიტ(ი) იმასავ ჩიოდა: არ-გაჭრას ფრანგულისასა!
სხვაი უყიდე, მამაო, ფარას გაუცვლი ცხვრისასა“.

20 ბევრ თუშ მოვ ნაჭრევიანი, ბევრ მავწითებს ქვიშასა.
ნარჩომ(ნ) შამოკლეს მთაზედა, „მოვშჩით“, მალღს ლოცვენ ღვთისასა.

—

ამაგ სიმღერის მოთქვამი სწორნი ქედს ისხდეს მთისასა.
აიქამც გტანებიყავი(თ), დენას გიშველდი(თ) ცხვრისასა.

თორ თქვენთან ვერას გავსძლებდით ზიღნასა ბარგ-ბაზღისასა.
კიდეუ სა გაგაგონებდით: [„ძალღებო,] კელთ მოგცემთ თქვენის ჭკვისასა“.

779. წყლიან აკოფში

- ყური დაუგდით, ვაჟებო, სიმართლით ნაუბარია.
სუყველა იბძვის, ერთუც(ი)ს რაის-რა შენათვალთა.
ქვეყანა გადატრიალდა, გამაიცვალა ჟამთა.
5 დაზნანდენ ბრძოლის ველზედა ომში მიღლი(ლ)ნი ყმანთა,
სიცხე-სიცივის დაწულნი, არ აქვ სახლი და კარია.
წყლიანს აკოფში დგომითა ყველას გამ(ჩ)ინდეს ქარნთა.
სუყველა შამაიარეთ მელანქარი და ჭარია,
გავედით ავსტრიაშია, ნემცებს მოვაველეთ თვალთა.
სამოც-ფუთიანს გვესერთან, იჩ(ქ)ვიფებთან ზღვანთა.
10 მინდორ დაიწყებს კანკალსა, ჰაერზე მია(ქ)ე ჩქამთა.
გაბრუნდენ გერმანელები, მიხყება რუსის ჯართა.

—

- ოცდაცხრა თობათვითა, საწყინო მეტყვის მქარია.
სტანისლაეს დაუახლოვდით, მუკლებში ჩადგა ქარია.
გეოი ამილახვარი ჩვენ? პოლკის კამანდარია.
15 წინ მიგვიძღვების ლომივით გულ-მძიმე, ომში ჩქარია.
ჯერ გვიკამანდრა ზალბები, მერე პიკი და კმალია.
დაღისტნის პოლკის ვაჟებსა ერთმანეცზე აქვს თვალთა.
წინ ჩასვლა იმას უხარის, ლურჯა ვისაც ხყავ მძღავრთა.
დახქროლა ცხენოსან ჯარმა, დაიძრა მთა და ბარია.
20 სრუ მტვრად აქციეს მინდვრები, როგორც ნისლიან მთანთა.
ლეგად ჩაცმულებ მ(კ)ედრები, იარაღნთა საღნთა.
ჩავიდენ შაუპოვრად, კუწვედეს როგორც მხალთა.
არც თავის ზარალს ნანობენ, გინდა არ დარჩეს სამთა.
მე კი თავის თავ დაესწყევლე, ყველაზე ცოდო-ბრალთა.
25 არა მყავ თავის მქრისაი, ქართულად მაუბარია.
ვინ მაქცევს ყურადღებასა? მგლებში რას იქამს ცხვარია?
მაშინ ვინატრენ მთიელნი, გმირულად მეომარნთა:
„გვერდზედამც ჩამამიყენა ფშაველ-ქვესურნი ძმანთა!
ანა და თუმიშვილები, ლაშქართად წინამძღვარია!“

- 30 იმოღადა არვინ გამითვლის, რაც რო დამადგა ძალია.
ცხენმ მილალატა ოკერმა, დაწყდა აღვირის ტარია.
აკოფზე გადამიფრინდა, ცხრანი გარმამაყ(ვ)ენენ სხვანია.
გამიტყდნენ ამხანიგები, დაყარეს საომარია.
„ძაღლებო, ტყვეში ნუ წახვალთ, დღეს გამარჯვების ხანია.
- 35 ქუდ რად გინდოდათ თავზედა? თმიან გაჯობებსთ ქალია.
მე ბლოელ გიგაური ვარ, მარტუა მეომარია.
მოვეკვდები, ტყვედ კი არ წავალ, რომ არ შამირცხვეს გვარია“.
გაქრას შენ’ გამეკეთებელი! რა დროს გამიტყდა კმალია?!
დამოკლდა, შტიყთან ვერ სწვდება, აღარც მკლავებში ჯანია.
- 40 აღარც მაქე ცხენის იმედი, სრუ მირგელი(ვ) ნაშტიკარია.
წითელ ქაფს ისრეეს პირითა, სისხლით გამებნეს თვალ(ნ)ია.
შუაზე მომწვედული ვარ, ბეწვ წყდება, ისეთ ხანია.
მიშველეს პულიმეტითა, მიფანტ-მოფანტეს ჯარია,
გზა გაქსნეს, კვალზე მი(ვ)ხყეები, საცა ჩვენ’ ცხენოსანია.
- 45 ამხანიგების ნაბძოლსა შამავაყოლე თვალა.
რა ლამაზ სანახავია ცხენოსანთ დანაკვალა,
ერთუცში დარეულები როგორც ბატკანი, ცხვარია!
სისხლში მოსვრილებ მკედრები, წითლა შაღებილ კმაღნია.
ჩაღეწილ-ჩაკუწილია იარაღი და ტანია.
- 50 სქდება ბომბი და ყუმბარა, პირზე ეხვევა აღია.
ბეერი წევს, ველარ ადგება, საშინელ ცოდო-ბრალა!
ტიროდა ამილახვარი: „გამინახვერეს ჯარია“.
დაუწყციით ფურგუნებზედა ხუთასი ცხენოსანია.

—

- ცოდო თ(ქ)ევენ გედოსთ, მეფენო, სრუ დაღუპენით ჯარია.
- 55 დალატობს ვიანარლები, გაყიდეს მიწა-წყალია,
თაოდ ჯიბაებს ივსებენ. გლეხებო, თქვენი ბრალა!
ძმისწულიც ოშში მამიკლეს, არა გვემართა ვალია.
მე ხო მშიერა დავდივარ რას მიშველს ჯვარ-შენდალია?
შინ მივალ დახიჩაული, საქონ არა მყავ, ცხვარია.
- 60 პენცია არ გაიმეტეს, ტემლაკ მაჩუქეს, კმალია.
„რა მაიტანე სახელით? — გამიცინებენ სხვანია, —
ბაღლივით მოსატყუები, ტემლაკი, ჯვარ-შენდალია“.
უყურებ ცალე კედლებსა, პურ ვის მოვ(ს)თხოვო, წყალია?

780. მომარკება

- მამა გოგოთურო, ბადა მამყავ ხახაბოელი.
სანახავი გყავს, ქალი მოუკვდა.
- გაგა?
- 5 – გაგა კი არა ბადა, ბადა ხახაბოელი.
სანახავი გყავს, ქალი მოუკვდა.
წამევეუდა მოხუცი, ვგრე უთოთოდა ცხოველი,
წამაკუზული წელჩია, ვით დანაკარგის მპოველი.
-
- გოგ.: ბრალია შენი, ბადაო, რომ გული გიწუნდებოდა!
ჩემ-კვალი სიტყვას გეტყოდას, მემრ მზეზე იარებოდა!
- 10 ჩემ-კვალის კაცის პასუხი შენ არც კი გეკადრებოდა:
ქვესურეთ ქვეისხერ იყავ, თასი, დროშია გცდებოდა.
- ბადა.: სიცოცხლე თქვენ-კვალისა! სიკვდილი ჩვენი ღზინია, –
სიკვდილით მაინც აგვცდების შიმშილ-წყურილი, ჭირია.
ცოცხალნიც თქვენგან ვიყვენით, მოგკვლებით – თქვენიც ჭირია.
- 15 ჩვენ მაგის ღირსნიც არა ვართ, რომ იტყვიან თქვენი პირია.
- გოგ.: მა შენ რას შჩადი, ბადაო? ხომ არ მოგაკვდა თვალებსა?
ციფრიც ხომ არ იხუთები? ან ხომ არა ღგრძნობ ქარებსა?
- ბადა.: [ეე.] უწინდელი დრო სხვა იყო, – ის იყო ხალხთა მტკიცება.
რამთვენსაც დროი წაეიღო, ხალხთა ქნეს გარდაჯიშება.
- 20 დასტოეს იარაღები, მტერთა აღარ აქვ შიშება.
- აიმ ციხესა გახენე, უწინ რომ ხალხი ხკოცია.
პატარა შუკუნები აქვ. ისრების შესატყორცნია.
ამაგის გაკეთებაში ძროხა წასულას ოცია.
სრუ მულამ სადილ-სადილად ერბო ყოფილა, კორცია.

781. ძმანი სულეთში

მე რო ძმანი მყვან სულეთა სამზეოს დასაფიცარნი,
ნეტავენ, ჩემო დედაო, ბეჭნ მანახენა ძმისანი!
ქვე დაიჭურდა ქვიშია? ქვე დაშლიდესა მიწანი?
დაეხვიენ მანდლის პირშია თმანი უნცროსის ძმისანი.

- 5 გზანი მასწავლენ, დედაო, გზანი (ი) სულეთისანი.
ნეტავინ დამალებინა კარნი სულეთის მკერისანი!
ნეტავინ კიდევ მენახნეს თვალნი უფროსის ძმისანი!

782. თიანეთის მაზრის უფროსს

- კნიაზო ყარალაშვილო, ჩამოგიარე კარზედა.
ჩემ მოიკსენე პასუხი, ქუდი თუ გზურავ თავზედა.
თქვენ კელით მონათლული ვარ, რატომ გამცვალე სხვაზედა?
სტრაჟნიკებ რატომ და(ლ)გზავენე აკოს ჩემს მუქარაზედა?
- 5 ნეტამც ღმერთ(ს) გა(ლ)მარჯვებიყო, მე შეეხვედრიყავ გზაზედა!
დავაყრიებდი ჩინებსა, აპელანტრებსა მქარზედა.
იქიდან გაქცეულები ნიფხეებს დაღრეცხდეს წყალზედა.
ქვესურეთ ნულარ დამეძებ, – გავალ ლეკეთის მთაზედა,
ქართველს კი არას წაუქდენ, ფიცს მოგცემ აიმაზედა.

783. ხინკლები ტყავზე

მიმდინრებსა მგზავრებსა ტყავზე დაუწყვოვ ხინკლები.
სამივე ყანწი ზედ ედგა, წვერიოთა ჩანახველიტები.
გარდაიფურთხის მოხუცი, თასნიავ ჩადის წკინკლები.
ქელჩი უჭერავ ყანწები, არაყი ტიკჭორებჩია.
სჩანს, რომ ეგენიც მიდიან კისტანჩი დელის ძმებჩია.

784. დახასიათებანი

- გვერდზე გაუცურებავის ქუდა ყაზახურაიო.
უშიშათა გიორგი[ი] რაქე სვლიბი კურაიო!
ერთხან ჭამას არა ხკმაობს ჭედილაის დუმაიო.
გუდანელა ხორხლიაი ჩემი მტერიმ ნურაიო!
- 5 სადიდებელს არ გაუტევს, ჭურჭლის ძირში თუ რაიო,
სულ-უქცევრად გარდაუსომ ბედლის-კრულა სურაიო.
დაუბერა საბერველსა, მოუგლიჯა ქურაიო.
მჭედელთ გაგამ აიკიდა ჩალხიანის ბინაიო,
საძაუგოდ წამაილა, არ მასთხოვა ქირაიო.

- 10 კობიოთა ყუდიამა ანდრეზ იცის წინაიო.
 იასაულ მიხიელი რაკელ აბრაცუნაიო!
 სკლატის ჩოკის ჩაცმა იცის, გვერდზე ქედის ხურვაიო.
 ბურდიულთა ბაბუაი ქოოდ ცალე გულაიო,
 ჩემსამ მტერს შემოეყრების ორ-სამ გადასმულაიო!
- 15 ნებიერთა გიორგიმა ბევრ შაჭამა ღუმაიო.
 ქორიათა ბერდიკაი ნიფხავ-ჩაჩოჩვილაიო.
 ამაგის შვილ ბერდიკაი რაკელ ჩამოსხმულაიო!
 ჭრელა აბაბუქნელაი ბათხა ბატატურაიო.
 ბუბიკაი რაკელ სატოშურაიო!
- 20 ზენ-უბნელთა ოდინაი, ტუნძულთ უჯმაჯურაია,
 მთის ჯვრის ტყეში არ გაუშო, ყუნჭურეებ თუ რაია.
 ხომიზურთა კუკუაი ციხის შამომბრუნავია.
 ტუნძულთაი ბაბუაი კოჭა-ღარადულაია.
 ახლა ნაცვლად დააყენეს, მერღალ-ჩამომბულაია.
- 25 აღიათა ქორიაი ჯვარჩი ბატატურაია,
 სადიდებელს არ გაუშობს, ჭურჭლის ძირჩი თუ რაია.
 ვაჟიათა გიგიაი ყველას გარდასულაია.
 სისკარათ ონეური მორწუხთ გამომბულაია.
 კაგათაი ჩაჩაური პეტრეს გამომბულაია.
- 30 ბერდეღიათ უშიშაი ლოკნა-ერაწუნაია.
 გიორგათა ბაღიაი დაზგა-შლაშინაია.

785. მოჯაბრეებს

- ხუთშაბათ გათენებდა ღურბელი აიშალაო.
 დაწუმდა ჩემი გარმონი, თითებშიგ მაიშალაო.
 დაუტყდა ღრუეინებები, თითები ჩაიშალაო,
 ჩემები მოჯაბრეები სულ ერთად შაიყარაო.
- 5 ჩემ სიკახპავე ასტეხეს, ყურობ ხარ, მის(მ)ა ჭკ(კ)ამაო.
 ჩემდა აუგის მათქმელი ზამთრის დაგლია ზეავმაო!
 გაზაფხულ – ალაღებულ(მ)ა ერთად შაყრილმა წყალმაო!
 შენის თავ-ტვინის ნათოსი გვერდზე ჩაიცხა ქვამაო!
 ქალ თუ ხარ, თმათამც დაიჭრი, გაგატიალა ძმამაო!
- 10 თქვენ სიკახპავე(მ) მალრია, არა მალრია სხვამაო,
 ქალების ფასით ყიდულმა, ცოლების ელჩობამაო.

15

წინავე სწორ-ფერში უღვომო, აღარ გიკედების, არაო.
 თავის ლოგინში დაეგდი, ორიდგეს სამის მამაო.
 ქალაქში წასულ(ს) ამბობენ, რაი-რა მაიტანაო?
 ქეე თუ ეგონა მელაი, საჩვევან დაუყარაო?
 აყვაფდეს ვარდნი, იანი, ბექ-ბუქიანში მყრალაო.
 ჩემის ძმობილის გაწირვა გა(გ)ზარდომია, ქალაო.
 ახლა შენ(დ) დამინებებაჲ, მე კი კელ ამიტანაო.

—

ამავის მალექსებელი ფერქისულაზე ვთვალაო.
 არა ვარ მარტუკუაი, — ანგელოზები მტანაო.

786. ბეწინას

დაგიბარა იოსებმა, შენ ბალიათ ბეწინაო:
 შენის ცოლის გაქურდება მე ძალიან მეწყინაო.
 თუ დელაკაც გიქურდობდა, უნდა გეთქვა ჩემთვისაო.
 ქურდ-ბოზების გამწურთნაებს აქ ეძინა ჩემ წინაო.

787. არაყიანი ქინთი

5

კაფია გამოგილალე, ზენა-მკრელო ვიგიაო.
 თქვენს ქალ-ზალში ვიცინდრიკე თქვენის სოფლის ძირჩიაო.
 ის შვილს მოხპარე არაყიან ქინთიაო.
 თვითან ბარგჩი დაიმაღლე, ველარ გაღმასჩინდიაო.
 კიდევ მოგიბარულებდი, ხათრი შენის დისიაო.
 შენს დაიას ჩაეეტოლე ნანქარივით პირჩიაო.

788. აბაბაი რო!

აპარეკაის ლელაი მე არ მაძლევსა ძილოსა?
 აბაბაი რო მინდოდა! ვინ მომცემს სასაცილოსა?
 კორკოტასავით დაეყარი, მივლგვრი ტირილის კილოსა.
 ამანდით წამოვიყვანდი, გამავაცილებ(დ) ინოსა.
 სუყველყან დავაბრუნებდი, საც ვნახავ(დ) თხილის გრილოთა.

შენიშვნები და
ვანობანიები

1. ერისთობა ქვესურეთში

დაბეჭდილია სის მიხედვით (ივერია, 1888, №238). — არის ორი ვერსია ვარიანტებისა: ხვესურულ-ფშაური და მოხეურ-მთიულურ-გუდამაყრული. ძირითადი განსხვავება მათ შორის ის არის, თუ როგორი მიმდევრობით იკითხება ერისთობა და ქვეითობა მეორე-მეორე ნახევარში: ჯერ ერისთობა და მერმე ქვეითობა, თუ პირუკუ. U ეკუთვნის პირველს ვერსიას. მისი ვარიანტებია: Rფ 97v (ორი: ¹ და ²) და ჭონქ.

1 ქვესურეთშია] ქვესურეთია Rფ¹, ჭონქ., იმერეთია Rფ²; ზურაბი] ბატონო Rფ, ძმობილო ჭონქ.; ვერ იქამ] ვერ იზამ Rფ, ჭონქ.; 2 ვერ შესძლებ] ვერ შასძლებ Rფ, ჭონქ.

ბ.

მთიულეთია, ბატონო, ვერ გააძლებ ქვეითობასო;
გაგიწვრილდება კისერი, ვერ იქამ ერისთობასო.

(Sh გულ., გაგონილი ბუჭკია ჩოხელისაგან
ს. თათიურთ-კარში 20. 6. 1913).

ამისი ვარიანტებია: კალმის-წვეერას ჩანაწერი (ივერია, 1902, №124), M („მთიულეთი“, ტფილ. 1930, გვ. 30, რომელიც უცვლელად გადმობეჭდილი უნდა იყოს კალმის-წვეერადან) და Sh მოხ. იმავე კალმის-წვეერასაგან (= ა. კობაიძისაგან) გაგონილი 31. 7. 913 ს. სიონში. განსხვავებანი:

1 ვერ გააძლებ] ვერ შასძლებ Sh მოხ., ვერ იზამთ კალმ.-წვე, M; 2 გაგიწვრილდება] დაგიწვრილდებათ კალმ.-წვე, M.

ამგვარად, ზურაბი მარტოოდენ ერთს (U) ვარიანტშია მოხსენებულნი, ამიტომ ძნელია იმისი მტკიცება, რომ ეს ლექსი მართლაც ზურაბზე იყოს პირველად ნათქვამი. როგორც ბუჭკია ჩოხელმა ამიხსნა, ლექსი მიმართულია მთიულეთის მოხელისადმი, რომელიც ბარში („ქვეითობას“) ვერ გასძლებდა და ვერ შესძლებდა იქ ერისთობას, რაკი თავიდანვე მთიულეთში იქნებოდა დაჩვეული, მაგრამ ასეთი გაგება უთუოდ მცდარია. ქვეითობა აქ უთუოდ ფეხით სიარულს ნიშნავს და არა ბარში ცხოვრებას. კალმის-წვეერა (ა. კობაიძე) კი აღნიშნავს (და ამას Mც იმეორებს), რომ ლექსი მიეწერება ჯიმშერ ერისთავს († 1756), რომელიც დამარცხებულია მთიულ-მოხვევებთან ბრძოლაში. [ნ. კიდევ დამატება. რედ.]

2. ზურაბის გალაშქრება კვესურეთზე

ზეესურთა გადმოცემის თანახმად, „ზურაბს რატიშვილს სამჯერ დაულაშქრავ კვესურეთი მეშვიდ-მეშვიდეს წელს და ვერ გაუტეხავ კვესურეთი“ (BC). რა წლებში ხდებოდა ეს ლაშქრობანი, არ ვიცით. არც ის ვიცით, თუ რამდენად მართალია, რომ ინტერვალი ომებს შორის შვიდ-შვიდი წელი იყო. ცხადი კია, რომ ზევსურების აწიოკება ზურაბის მიერ რამოდენიმეჯერ მომხდარა 1620 წლის ახლო (ზურაბის მოკვლა სიმამრის მიერ, რომელზედაც მოგვითხობს „სიმღერე“ №20, 1629 წელს მოხდაო¹).

ა.

ეს ვარიანტი მოყვანილია ღულელის მიხედვით ქისტაურის ნაამბობის მიხედვით (ჩაწერილია Sh II. 8. 1913. თვალისში, ფშავის ქობაში). ვარიანტები იმავე მოაზრისა: 12 საკამატეილოს წამოდგეს] წამოდგეს კამატეილოსა; 16 ვინ იჯე ღორღლოვანასა] ღორღლოვანასა ვინ იჯე; 21 ქეულანო] ქეულ გზანიო; 22 გადმოდგა] მოგდევდა.

ბ.

აჭეს ატირდეს დედანი, აჭეს ჩაბაკის ქალიო.

ჩაბაკის ივანეური ბანზე გაბრუნდა კარიო:

„ახლოს მადეთ, მისრულნო, შორს არ მაქე ყოლის ჯანიო.

ერთი მეც მამაქნევიეთ, ბებერმ გაველსე კმალიო.“

5 შამოქდა ბაცის კოდურ, გაანახევრა კარიო.

ბირნელის ღელეს გაეარდა, ეფხს გახყო ნაკანჭარიო.

(ეს ნაწყვეტები მოიგონა ერთმა ლიქოკელმა კვესურმა 1930 წლის ზაფხულში ჩემთან ტფილისში ქუჩაზე შეხვედრისას).

გ.

ღუეუთ იყრების ლაშქარი, არ სწვდების წვიმის ცვარიო.

არ ეყენეს შესასმელადა ბაზალეთული ტბანიო,

ცხენთა საძოვრად არ ეყენეს თრიალეთურნი მთანიო.

არაკვზე შამადიოდა, არ ერგებიან გზანიო,

5 კვესურეთისკე ლამინობს სრუ არგნიანი ჯარიო.

ქეითნი დადგეს ღულის თავ, ნაკარვეს ცხენიანიო.

¹ ქართლის ცხოვრება, II (ჩუბინაშვილის გამოცემა, ს. პეტერბ., 1854, გვ. 120).

- ჩვენ დღეს მოვიძალენით სამოცნი ფარიანიო.
 სამოცსა ფარიანიჩა სამთა ძლივ შაგვეყა კმალიო.
 ზენ-უბნით ჩამეებართნეს ქიზბარაულნი ძმანიო.
- 10 ბაცეს მიუვლენ სუმბატას: „სუმბატავ, შინა ზარიო?“
 — „შინა ორთ ბიძა-ძმისწულნი, ორნი გეტანიან სხვანიო,
 ბევრი გოქვ ტყვია-წამალი, კოდებით გვიდგას წყალიო,
 ბევრაი გვაქვის ისარი, თითოი ჯორის ცალიო.
 ვადაქვილოს გორ ციხესა არ დამიგლიჯნავ ქვანიო.
- 15 ქალნი დარანიჩი ჩავეარენ: შუქო, თამარო დანიო.“
 წამადგეს კამატულოსა ძიბლაის ძენი რვანიო,
 კვათუს ჩაყარეს ისარნი, დილას რო ცამა ნამიო,
 კიდეს ჩაწურეს ლაშქარი, რო საკალმახე წყალიო.
 ვინ იჯე ღორღლოვანიჩა? მამა წაგიწყმდა, გვარიო!
- 20 ჩაგუბებულთა ლაშქართა ვინ გაგვისწავლენ გზანიო?
 გუდეღას დაჯდა ბატონი, შამახვივა ჯარიო.
 დააკლდეს სათვალავჩია სამოცნი მეომარიო.
 კიდევ სა ჩანათდებიან კვესურთ შიშველა კმალიო.
 კიდევ სა ჩაწითდებიან კეოს ბირ ქცეულანიო.

(Sh. მიამბო ბ ა ბ უ ა მგელიკას ძე ქ ე თ ე ლ ა უ რ მ ა
 1911 წ. ზაფხულში).

დ.

- დუჟეთ იყრების ლაშქარი, არ სწედების წვიმის ცვარია,
 არ ეყენან შესასმელადა ბაზალეთური ტბანია,
 ცხენთა საძორად არ ეყენან თრიალეთური მთანია.
 არაგვზე შამადიოდეს, არ ერგებიან გზანია.
- 5 დულის თავ დადგა ქვეითი, ნაკარევ ცხენოსანია,
 ლიქოკის დელეს გადადის თა-უჩინარი ჯარია,
 ბაცეს სუმბატას მიუდგეს: „სუმბატავ, შინა ზარიო?“
 — „შინა ვართ ბიძა-ძმისწულნი, ორნი გეტანიან სხვანია,
 ბევრა დახვეწეთ ისარი, კოდებით გვიდგას წყალია,
- 10 ქალნი დარანში ჩავეარენ: შუქო, თამარა დანია.
 ლაშქარო ზურაბისაო, არ მაუკელა კარია!“
 წამადგეს კამატულოსა კიბლაისძენი რვანია,
 კვათუს ჩაყარეს ისარი, დილა რო ცამა ნამია,
 კიბეს დაწურეს ლაშქარი, რო საკალმახე წყალია.

- 15 ჩაბაკის იონეური ბანზე გაბრუნდა კარია:
 „ახლოს მადეით, მიგრულნო, ბებერმ გაველესე კმალია,
 ერთ მიაც მამაქნევიეთ! მკლავთ აღარ მაქვა ჯანია?“
 ვინ იჯედ ღორღლოვანასა? მამა წაგიწყმდას მკედარიო!
 ჩაგუბებულსა ლაშქარსა შენ ჩაასწავლენ გზანია,
 20 თორ კიდევ ჩაწითდებოდეს კეოს-ძირულნი წყალნია.
 გუღელას დაჯდა ზურაბი, ატირდა, როგორც ქალია:
 „რად ვიყავ აგეთ უკლოი, რო მიზარალდეს ყმანია?
 მსახურთა სათვალავშია სამოცს შახსნიოს კმალია.“
- (G, 234)

შ.

- დუჟეთ იერების ლაშქარი, არ სწედების წვიმის ცვარიო,
 არ ეყვნან შასასმელადა ბაზალეთური ტბანიო,
 ცხენთა არ ეყვნან საძოვრა(დ) თრიალეთური მთანიო.
 საკეესურეთოდ წამოვა, რო ნაგუბარი წყალიო.
 5 არაგვზე შამოდოდა, არ ერგებიან გზანიო.
 ღუღის თავ დადგა ქვეითი, ნაკარევე ცხენიანიო.
 ჩვენ ღელეს მოვიმალენით სამოცი ფარიანიო.
 სამოცსა ფარიანშია სამსა ძლივ გვერტყა კმალიო.
 ბაცას სუმბატას მიუდგეს: „სუმბატავ, შინა ხარიო?“
 10 – „(შ)ინა ორთ ბიძა-ძმისწულნი, ორნი გეტანიან სხვანიო.
 ბერი დავხვეწეთ ისარი, იქნების ჯორის ცალიო,
 ბერი გვაქვ ტყვია-წამალი, კოდებში გვიდგას წყალიო.
 ჩაბაკის ივანეური ბანზე გაბრუნდა კარია:
 „ახლოს მოდევით, მიგრულნო, მუქლებს აღარ მაქვ ჯანია.
 15 მიაცა-ღ მამაქნევიეთ, ბებერმ გაველესე კმალიო.
 მადაქვილოს გორ ციხესა კუთხს არ დაღვლიჯნათ ქვანიო.
 ქალნი დარანში ჩაყარენ: შუქო, თამარ(ო) დანიო.
 არ გამამისხნათ შიგითა, არ მუეკელათ კარიო!“
 ჭალა(ს) ატირდეს დედანი, აჭეს ჩაბაკის ქალნიო:
 20 „ჩაბაკის ივანეურო, ღმერთმა გაცხონას მკედარიო!“
 კამატუროს გორ წამოდგეს ძიმაისძენი ცხრანიო,
 კვათუს ჩაყარეს ისარი, დილა რო ცამა ნაბიო,
 კიბეს ჩაწურეს ლაშქარი, რო საკალმაზე წყალიო.
 ვინ იჯედ ღორღლოვანასა? მამა წაგიწყმ(დ)ას მკედარიო!

- 25 ჩაგუბებულსა ლაშქარსა შენ ჩაგვისწავლენ გზანიო.
თორ კიდევ ჩაწითდებოდეს კოს ქცუულნი გზანიო.
გუდელას დაჯდა ზურაბი, შამაიხიენა ყმანიო,
დააკლდა სათვალავშია სამოცი მეომარიო.

(Bc).

აქ მოხსენებულის ჩაბაკის ივანეურის შესახებ Bc შენიშნავს: „მადაქეილოს ციხეს რო ზურაბის ჯარი მისდგომია, ივანეურს ციხის დარანში ქალნი ჩაუყრია, თაო გამო-სულა.“

3.

- ზურაბმ შეყარა ლაშქარი, ერისთვის შეიღმა ჯარიო,
შემოუყენა არაგვსა, არ გადასწვდება თვალისო.
სასმელად წყალი არ ეყო ალაზანი და მტკვარიო,
სადოვარადა ბალახი, თრიალეთისა მთანიო.
- 5 ლულში დააყენ ქვეითი, ნაყარობს ცხენიანიო.
აჭეს მივიდა სოფლის კარს: „სუშმატავ, შინა ხარიო?“
„შინა ვართ ბიძა-ძმისწულნი, ორნ კარგნი გეტანავ სხვანიო,
ტყვია-წამალი ბვერი გვაქვ, თოფის გვიკიდავ ჯარიო.
ისარნიც ბვერი დავხვეწეთ, ჯორის გამოგვიც ცალიო;
- 10 ციხე გვაქვ ზუროთ ნაგები, კუთხს არ გვიწადთ ქვანიო;
ქავს გვიდგას ყოჩნი და ვაცნი, არ შეგვიფთხენით თხანიო;
დარბაზს ჩავეზავნეთ ქალები: თამარ, შუქია დანიო,
კარი არ დაურახუნოთ, არ შეგვიშინოთ ქალნიო!
თვარ გაჭმევთ მწარე სადილსა, მალ მოვლენ კეკსურთ ყმანიო.“
- 15 ბობჩილოს ქედზედ გადმოდგეს ტიბაის ძენი ცხრანიო,
კვათუს ჩაყარეს ისარნი, როგორც ნაგვალმ ცამ ცვარნიო;
კიბეს ჩაწურნეს ლაშქარნი, გაწითდებიან წყალნიო.
ვინ ზიხარ ღორღუნანას? მამამც წაგიწყმდეს მკედარიო!
რად შასწავლე ლაშქარსა სააკვანი გზანიო?
- 20 თორ კიდევ ჩაწითდებოდენ ქვეით წამდინარ წყალნიო.

(Ro, მოამბე, 1895, № 2).

ტ ე ქ ს ტ ი ს ა თ ვ ი ს : 5 ნაყარობს] შეტომა უნდა იყოს „ნაკარეებს“ ფორმის ნაცვლად; 9 დავხვეწეთ] დავხვეჭეთ Ro; 10 კუთხს არ გვიწადთ] კუთხეს არ გვიწადთ Ro; 16 კვათუს] მკვართეთ Ro (რომელიც, Roის აზრით, ამას ნიშნავს: „მავრა, ძალიან“); 17 კიბეს ჩაწურნეს] ტიბვის ჩაჭურნეს Ro.

ზ.

- დუკეთ იყრება ლაშქარი, არ სწვდების წვიმის ცვარია, ცხენთა არ ეყვის საძოვრად თრიალეთური მთანია, მკედართ არ ეყვის სასმელად ბაზალეთური ტბანია. საკეესურეთოდ დაიძრა, არ ერგებიან გზანია.
- 5 გაიგა კეესურთ შვილებმა, მაშინ გაღესეს კმაღნია, გადაწყეს ტყვია-წამალნი, თოფს გამუცვალეს ტალია, შუკრეს ჟინვანის კიდი, არ დაანებეს გზანია. ლაბით თუ გასჭრეს რუსებმა, გამოღის სისხლის წყალია. დილას ასტეხეს სროლაი, თოფებს გადასდის ალიო.
- 10 გამაგრდით, კეესურთ შვილებო, მოგივით ფშავლის ჯარიო. მესამე დილას მოვიდა ფშავით არწივის ჯარიო. წინ უღვას ბეკურაული, შაყვირნებს, როგორც კარიო: „ჩვენ ვერ გავივით ხანზედა, კეესურნო, თქვენი ბრალიო!“ „ეხლა თქვენ იცით, ფშაველებო!“ ბრძანებს ლაშარის ჯვარიო.

(T).

როგორც ვხედავთ, აქ მხოლოდ დასაწყისი (1-4) უდგება სხვა ვარიანტებს, თორემ ბოლოში (5-14) სულ სხვაა რაღაც. Ts ლექსი ხევესურულებში აქვს შეტანილი, მაგრამ ჩანს კი, რომ ლექსის მეორე ნაწილი (თუ იგი მართლაც ზურაბის ლაშქრობას ეხება და არა სხვა რამეს, როგორც ამას რუსების ხსენება გვაფიქრებინებს მე-8 ტაქტში), ფშაურია წარმოშობით, რადგანაც ფშაური თვალსაზრისია შიგ გატარებული.

მ.

- ზურაბმან ჯარი შეყარა, ერისთვიანი ყმანიო. სადგომლად მაგათ არ ეყოფოდათ შირაქის მოედანიო, სასმელად მაგათ არ ეყოფოდათ მტკვარ-იორ-ალაზანიო, საძოვრად მაგათ არ ეყოფოდათ ლალ თრიალეთის მთანიო.
- 5 ახლ მიჰმართეს არაგვისაკენ, აღმ შეაბრუნეს წყალნიო. აჭასა მივიდენ ციხისა ძირსა: „შინამ ხარ, ივანეუროო?“ — „შინა ვართ ბიძა-მმისწულნი, ერთი სხვაც გეტანავ კარგიო. ჯერა ჩვენ გაჭმეეთ მწარე სადილსა, მერე მოგივლენ კეესურთ ყმანიო. ისარიც ბევრი დაეხოწეთ, — ჯორის გამოგვიე ცალიო.
- 10 ტყვია-წამალიც ბევრი გვაქვს, თოფიც გვიკიდავს ჯარიო. ასეთი საქმე არ გვიყოთ, ბაშტით არ დაგვიფთხინოთ თხანიო. ისეთი საქმეც არ გვიყოთ, ციხით არ გამოგვისხათ დანიო. ციხე გვედგ ხუროთ ნაგები, კუთხით არ მოგვიწადოთ ქვანიო.“

- ქალო, ვინამ ზიხარ ღორღოუნასა? მამა წაგიწყმდებ მკვდარიო!
15 ლაშქართა რად ჩაასწავლე საახაონი გზანიო?
ლაშქარი საახოს ვერას ჩავიდოდ, გზა პქონდ სახვევრიანიო.
კიდენა, ქალო, ჩაწითლდებოდა თავქვე ჩამდინარ წყალნიო.

(AI, კვალი 1879, №20).

ეს გახლავს თუშური ვარიანტი. როგორც ვხედავთ, მშვენიერად გამართული ხე-სურული ლექსი თუშეთში გადასვლისას (რომ არაფერი ვთქვათ საკუთარი სახელების შესახებ) ტექნიკური მხრივაც ძალიან დაზიანებულა.

15 საახაონი (= სააკაონი) საახაონი AI, – კორექტურული შეცოთმა უნდა იყოს;
16 „საახოს“ შემდგომი განვითარება შეცდომისა.

თ.

- ღუშეთში დგება ლაშქარი, არ სწვდება წვიმის ცვარია.
ცხენთა სასმელად არ ეყენეს ბაზალეთისა ტბანია,
სამოუნელადა ბალახი, თრიალეთისა მთანია.
არაგვზე შამოდოდენ, არ პნებდებიან გზანია.
- 5 ქვეითნი ღელის თავს დადგენენ, ნაკარვებ ცხენოსანნია.
ჩვენ ღელეს მოვიმალენით სამოცი ფაროსანნია.
სამოცსა ფაროსანშია სამს კიდევ გვიჭრის კმალია.
ნაკვეთამ უთხრა ლაშქარსა: „ამბეზრულს მივსცათ მქარია,
აჭეს გაღვიდეთ ჩქარადა, ეხლა მან(დ) ენახნეთ ყმანია.“
- 10 ბაცას სუმბატას მიუხდენ: „სუმბატავ, შინა ხარია?“
„შინა ვართ ბიძა-ძმისწულნი, სამნიცა სხვანი გეტანია.
ბევრი მოვხვეტეთ ისარი, გვექნება ჯორის ცალია.
პური საჭმელად არ გვაკლავ, კოდებში გვიდგა წყალია.
ეწ ჩვენ გაჭმევთ სადილსა, მემრ მოვლენ ქვესურთ ყმანია.“
- 15 სახლნი მიდგან ხუროს ნაგები, კუთხს არ დაგლოუნათ ქვანია!
ქვეთა თვალს დარან ჩაყვარენ შუქო, თამარა დანია.
არ ამამისხნათ, ხვთის მაღლმა, ლამაზნი ჩემნი დანია!“
აჭეს ატირდენ ღედანი, ივანეურის ქალია.
ჩაბაკის ივანეური ბანზე დაბრუნდა კარია:
- 20 „ახლოს მოდექით, ძაღლებო, მუქლში არა მამქ ძალია,
ერთი მეც მამაქნევიეთ, ბებერმ გავლესე კმალია.“
ამოდგეს კამატულოსა ლიბოს თავს ცხრანი ძმანია,
კვეთეს ჩაყარეს ლაშქარი, დიღამ რო დადვა ნამია.
კიბეს ჩაწურეს ლაშქარი, რო საკალმაზე წყალია.

- 25 ვინ იყე ღორღლოვანშია? მამა წაგიწყმდეს მკედარია!
 გასაღუპავსა ლაშქარსა რად გაასწავლე გზანია?
 თორო კი ჩაწითდებოდენ კეოს ქცეულნი გზანია.
 გუდელას დაჯდა ზურაბი, შამაიხვიენა ყმანია,
 კითხულობს დაკოცილებსა, ატირდა, როგორც ქალია:
- 30 „ღამაკლდენ სათვალავშია სამოცნი მშვილდოსანნი.
 დანდობილობა წავიდა. — ისარს მასცხიან შხამია.“

(Lr).

3. ომი ღულის თავს

ჩაწერილია Shის მიერ ღუღუღის მიწის ქისტურის ნაამბობის მიხედვით 11. 8. 913 თვალეში.

ტექსტის თვის: 9 არ მოგვეკვლივა] ჩაწერილი მაქვს: „არ მოგვეკვლივა“ და ახლა მგონია, რომ ეს უფრო სწორიც უნდა იყოს.

აქ რომ მე-7 სტრ.ში ღარაქიშთ ნანაისძე გვხვდება, თითქო მასვე ეხება ორსტრიქონიანი ნაწყვეტი, ჩაწერილი ბაჩანას მიერ (ივერია, 1898, №216):

01.

ღარაქიშთ ნანაისძეი გალაენის პირას ზისაო.

„საომრად არის მოსული?“ ერეკლე იცინისაო.

ამ ნანაისძის გამო ბაჩანა შენიშნავს: „ბებერა, ბეჩავა კაცი ყოფილა. ტფილისის გალაენის პირას ისიც სხვებშია მჯდარა ბატონის დაძახებაზედ. ერეკლეს რო უნახავ, გასცინებია: „ესაც საომრად მოსულაო!“

ორში ერთი: ან ეს ნანაისძე სხვაა, ვიდრე ის, რომელიც ზურაბის ბრძოლაში იღებდა მონაწილეობას და ბრძოლაში დაღუპულა („ღმერთმა გაცხონას მკედარო“), ან არა და არეგ-დარეულია ლექსები: ერეკლე აქ არაფერ შუაში უნდა იყოს. მართლაც, ნანაისძე რომ ზურაბის ომში ცოცხალი გადარჩენილიყო, კიდევ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ღრმა მოხუცებულობის ყამს (მეჩვიდმეტე საუკუნის მიწურულში) ერეკლე პირველის (ნაზარ-ალი-ხანის) დროს მოღვაწეობდაო. ამ შემთხვევაში „ყმაწვილად“ (3,6) ნანაისძე უნდა გვევლისხმად, მაგრამ საქმე ის არის, რომ ეგვევ ღარაქიშთ ნანაისძე ბებერად იხსენიება ზურაბისავე დროს (12 ბ, 11).

4. წყლიანი ლოგინი

ჩაწერილია Bds მიერ. როგორც ახლა ირკვევა ჩემთვის, ამავე ლექსის ნაწილი უნდა იყოს 5,5-11 („კალთ გორს ჩამამდინართა“ და სხვა), როგორც ეს შემდეგი ვარიანტიდანაც ჩანს, სადაც ზურაბი ზაალად არის ქცეული.

ბ.

- აბაო ჭინჭარაულო, კაცი მოსტყუვდი ჭკვიანი:
 კეესურებ არ გამაუშვენ, დართულებ, ცხენ-აბჯრიანნი.
 საშოვარ არ თუ გინდოდა, ცხენ-ჯორ დგას საკიდვრიანი.
 ჩვენ ვან-კეეაბდის მივსდიეთ, მშვილდი ვაჭებთ რქიანი.
- 5 ჩარგლის კართ ზაალ ჩატირის, როგორცა ქალი თმიანი.
 ჩაეუბნება მსახური: „ზაალ, ვერ იყავ ჭკვიანი.
 აკუშოს რად მიხვიდოდი? ხატი ჰყავ დობილიანი.
 ახლოს „ქუდ-ნისლა“ მოჰკიდავ საძახებელი ტიალი.
 წინ-წინ ლიქოკით მოუვლენ ქორ-შეარდენნი მკრიანნი.
- 10 ვაყები ლიქოკელები კლდის ვეფხვებია ბწყლიანნი.
 მშვილდს ზიდვენ იანვარშია, ისართ დასცივთნეს ყიანი.“

—

- დულის თავს კელად იჭერენ, ვისაც ფუნჩია ჰქვიანო.
 „გამიშეთ, უნდა წავიდე, სადაც აკუშო ჰქვიანო.
 მე მაინც არ დავიჯერებ, ფრანგულსა სისხლი ჰშიანო.“
- 15 დროშაზედ გადმოფრინდება: „დროშა რა ჩემს ყ...ს ჰქვიანო?“

(Lb).

8 ახლოს ქუდ-ნისლა მოჰკიდავ = 4,4 ახლის ხვიდავის ქუდ-ნისლა; 11 „მშვილდს ზიდვენ იანვარშია, ისართ დასცივთნეს ყიანი.“ ეს სტრიქონი, მონია, ორი სხვა-და-სხვა სტრიქონისაგან უნდა იყოს წარმომდგარი: პირველ ნაწილში უნდა გექონდეს 7,10-ის დამახინჯება: „იანვარ წოწოლაური, მშვილდ, ძალზე გეზიდების“, ხოლო მეორე = 5,5².

ბ.

- ზურაბ ჩატირის ჩარგლის კართ, როგორც გოგოი თმიანი.
 მსახურებ ჩაეუბნების: „ზურაბ, ვერ იყავ ჭკვიანი.
 აკუშოს რად მიხვიდოდი? ჯვარი ჰყავ ლალატიანი.
 ახლოს მაჰკიდავ ქუდ-ნისლა, შატვებს, შასძახნებს ტიალი.
- 5 ჩალხურან, ნებიერელნი კლდის ვეფხვნი ჰყვანან პწყლიანნი.
 მოგდიეს ვან-კეეაბდინა, მოგყუფდეს მშვილდნი რქიანნი.
 მოგაწუხებდეს, მოგყუფდეს ფრანგულნი კმალნი ფხიანნი.“

(T).

5. ომი აკუშოს

ჩაწერილია Bcs მიერ. აქედან ე.ბალიაურის გადმონაწერში მცირეოდენი განსხვავებანია: 2 ნასხლომთ ახალთა] ნასხლომ ვაყებსა B; 4 კართ უღელ] კარ-უღელ

B: „მო“ პრეერბს B „მა“-დ აკეთებს 10-11: მაგდიეს, მასჭუხდეს (= მოჭუხდეს Bc), მაგდევდეს, მაგაწუხუბდეს, მაწკუდეს.

როგორც №4, ისე №5 აკუშოს ომს ეხება. ზურაბის ჯარი ამ ომში, როგორც ჩანს, დამარცხებულა და გამოქცეულა, გამარჯვებულები ვან-კეეამდი ჩამოსდევნიბან. ამის გამო Bc შენიშნავს: „ზურაბს რომ ვერ გაუტეხავ კეესურეთი, იმის შემდეგ გაუნებება თეი. მას იქი აღარ მოსულა ჯარი. მემ(რ)ე თრუსოს დაუბარებინან. მემ(რ)ე საფურ-ცლეს თუშთ მაურავს მაუკლა(ე)ის, ჯარდოლას და ყვარჩიბარჩისძეს.“

შედგენილობით ეს ლექსი მთლიანი არაა. პირველი მისი ნაწილი (1-4) ნაწყვეტია მე-7 №-ისა, ხოლო მეორე ნაწილი (5-11) გაგრძელება უნდა იყოს მე-4 №-ისა. ამ მეორე ნაწილის ვარიანტები ნ. ზემოთ მე-4 №-თან.

6. აზნაურების კოცა

მოყვანილია Bს მიხედვით. ორი სტრიქონი ამ ლექსისა (4-5) Sს აქვს შეტანილი თავის გამოკვლევაში („ისტორიული კვალი სახალხო პოეზიისა“: ივერია, 1888, №238). ამას გარდა მოიპოვება რამოდენიმე ვარიანტი:

ბ.

ბედინაამც დაჯდება ლიქოკს ლიქოკელთ ჯარზედა!
თეში უსხედან უფროსნი, აძრახდებინან ჭკეაზედა,
ქემოთით ახალ-უხლები, კელი მიუდის კმალზედა.

5

ერთმანეთს ეუბნებინან: „გავიდეთ დასწრობაზედა,
ჩაეკოცოთ აზნაურები ქემო აკუშოს წყალზედა!“
უკიდოდ არ გაივალის სისხლისა ალაზანზედა:
ცხენმა დახია მკერდითა, მკედარს სწვდა ავჟანტაზედა.

(A, აკაკის „კრებული“, 1900, №3-4).

A სამართლიანად შენიშნავს, რომ აზნაურებად აქ (5) ზურაბ ერისთავი და მისი მხლებლები იგულისხმებინან.

ბ.

ბედნიერაამც დაჯდება ლიქოკს ლიქოკელთ ჯარზედა!
ზემოთით უსხედს უფროსნი, აძრახდებინან ჭკეაზედა,
ქემოთით ახალ-უხლები, კელს დაიდებენ კმალზედა.

(Bო, ს. შარა-კეეში ჩაწერილი. ივერია, 1899, №55).

ამას შემდეგ მოსდევს ოთხი სტრიქონი, სადაც საუბარია იმაზე, თუ როგორია სიკვდილი შეილებისა, ძმებისა, დედ-მამისა და ცოლისა („შვილთა დაკოცვა თავლია“ და სხვა), მაგრამ არც შინაარსით უდგება იგი ამ ლექსს და არც რითმით.

დ.

ბედნიერაიმც დაჯდება ლიქოკ ლიქოკის ჯარზედა!
სათავესა სხმენ უფროსთა, აძრახდებიან ჭკვაზედა,
ბოლოს სხავ ახალ ვაეები, გული მიუღით ცდაზედა.
უქოცავ აზნაურები დაბლა აკუმოს წყალზედა.
დაუქანდების ფეკები იმ სისხლის აღაზანზედა.

(R, 123).

ე.

დაჯდება ბედინანი ნიქოკლ ნიქოკლის ჯარზედა!
ზემო მქრით უფროს-უფროსნი აჭკვაუდებიან ჭკვაზედა,
ქემო მქრით უმცროს-უმცროსებს კელი მიუღის კმალზედა.

—

ქელო, გაუჭერ, კმალოცა! გულო, ნუ შეუშინდები!
სისხლისა აღაზანშია, ფეკო, ნუ მოუტურდები!

(Sh. ესტატე ბაბოს ძე თავბერიძისაგან
გაგონილი თუშეთში, ს. ომალოში, 8. 9. 913).

თუშურ ვარიანტში ბოლო (3-4) რაღაც სხვა ლექსის ნაშთი უნდა იყოს. ამას
გარდა ლექსი ძალიან დაზიანებულია. [ნ. კიდევ დამატება. რედ].

7. ომი ორ-წყალში

დაბეჭდილია სის მიხედვით (ივერია, 1891, № 90). ჩაუწერინებია გიორგი
თათარას ძე არაბულს (ს. წინ-კადუ). მე-5 სტრიქონის შესახებ („ქართ უღელ
დაედებისა“) ს შენიშნავს: „ზურაბმა აჯობა, უღელი დაადოვო.“

რამოდენიმე სტრიქონი ამ ლექსისა (1-3, 8-12) სს შეტანილი აქვს თავის გამოკ-
ლევაში ზურაბის ხვესურეთზე გალაშქრების შესახებ („ისტ. კვალი სახალხო პოეზი-
ისა“: ივერია, 1888, № 238), ხოლო ნაწყვეტი ვარიანტისა (BCს ჩანაწერი) შესულია
მე-5 №-ში.

ორი უკანასკნელი სტრიქონი ნაწყვეტი უნდა იყოს სხვა ლექსისა.

ბ.

ჯარსა ჰყრის ერისთვიშვილი, კეჭის გორს წამოდგებისა.
„აქუმოს მოვალ“, მოქაღდა, არაგვზედ შამოდგებისა.
ერისთვიშვილის ქადილისა კმა ლიქოკს ჩავარდებისა.
ახალთ, ციხის კართ ნასხლომებს, ქარი მუკლებს ჩაუდგებისა.

- 5 სომეხასა და მინდოდას წინ ვერვინ დაუდგებისა. კვაბულოს ამოდოდენ. ფარი შუა არ ედებისა; აკუშოს ღელეს შამოკდეს, კართ ულელი დეედებისა. კალოთ გორს ჩამოდოდენ, ვაჩე შუა დაუდგებისა. „ამოდ ვიართ, - ვაჩემ თქვა, - დღე დიდია, არ ღამდებისა.
- 10 ჩავიდეთ ფშავის ორ-წყალში, ომი აიქ დაგვჭირდებისა. მანდ მოვლენ ფშაველ-ქვესურნი, ზაალიც იქ მოშავდებისა.“ ელიზბარ გოდერძაული, მშვილდო, ძალზუდ გეზიდებისა. იანვარ წოწკურაული, კმალო, „გაჭერ“, გეუბნებისა.

(Lb).

4 ახალთ, ციხის კართ ნასხდომებს] ახალციხის კართ ნასხდომებს Lb.

8. წერონი

დაბეჭდილია ჩემი ვარიანტი (Sh). მიამბო გაგათეთრიაულმა, რომელიც ლექსებში ნისლაურთ მაისტიელობით არის ცნობილი, 1913 წ. ზაფხულში. ტექსტისათვის: 2 შუენ ჩამუტიენა მზისანი] ე.ი. შუქი ჩამოუშვა მზისა: „ლამაზი თუ იყო“; 5 ნარჩონ ორთ შენის კმლისანი] ბევრი გაგვიწყვიტეთ და ჩვენ-ღა გადაერჩით შენს ხმალსაო.

ბ.

- ფხიტუთ მავიდეს წერონი, მაშერალნი შორის გზისანი. როშკას აწიწდეს ციხენი, ბლოს ბანნი ქვიტიკირისანი. ეშინის: „დაგვეცემიან ნაზლობნი საქელისანი.“
- 5 ზურაბ როშკის გორ ჩამაჯდა, შუენ ჩამუტიენა მზისანი. სანეს შაგროვდეს ქვესურნი: „ვართ პატრონ ადგილისანი.“ მავლენ მთას იქითითა ნაპირის ადგილისანი. მამუკას ქალუნდაურსა თან მახყვეს შუქნი მზისანი. ბეკენ-გორ ჩამაეწია, ჭრნა ლაშქარნ ზურაბისანი. ამანდით ამბრუნილმა სამან ჩახყუნდა ქვისანი:
- 10 „ვაჟამ ქნას ყველამ აესრა, ვინც ლაქნას აეს ქვიმანი! ვინც ამას გადასცილდების, ცოდვან ეკიდნან კმლისანი!“

(G 158, 160).

მამუკა ქალუნდაურის შესახებ G დაწერილობით მოგვითხრობს („ზურაბის ლაშქარი ქვესურეთში და მამუკა ქალუნდაური“: წელიწადული, 158-160) და, სხვათა შორის, შემდეგი თქმულება მოჰყავს (გვ. 159): როცა მამუკა ქალუნდაური დასწევია ზურაბის ლაშქარს ბეგენთ გორის ძირში, სცემა მას ხმლით წყალში, მოუკლავს ერთი, ორი,

სამი... ისე რომ თორმეტი კაცი ერთბაშად დაუხოცავს. მეორემეტე რომ მოუკლავს, იგი ფეხ-აღმა დაეყუდებულა წყალში. ამის დანახვაზე მამუკას ხმალი ჩაუვია, რაღვანაც ხე-სურეთში ძეულად გეომრების „რჯული“ ისეთი ყოფილა, რომ თუ ხმლით შუღლში მოკლულ კაცი ფეხ-აღმა დაეყუდებოდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ შუღლი უნდა შეწყვეტილიყო: ცოდვა „ღმერთს შამწვდარი ას.“ შემდეგ აბრუნებულა და ნაომარში, გზის პირში, სამანი ჩაუგდია და უთქვამს: ვინაც ჩემი სიკვდილის შემდეგ ამაზე მგზავრად აიელ-ჩაივლის და ვინაც ამ სამანთან სამს ყანწს, არაყიანს, არ დალოცავს, ამ ჩემის ხმლის ცოდვა ეკიდოსო.

ამ სამის მისმაზა საუბარი 646 ნომერში, ქალუნდაურის ლეგენდასთან დაკავშირებით.

6. ურბნელი (U) კი აღნიშნავს, რომ „ბეგენ-გორი ხალხს ეხლაც წმინდა ადგილად მიაჩნია. აქ, ამ წმინდა ადგილას, დიდს ლოდს ქვეშ, მარხია გამოჩენილი ვაკეკაცი და გმირი მამუკა ქალუნდაური. როცა ხევსური, – და ხშირად ფშაველიც, – ბეგენ-გორზედ აივლის, უთუოდ ცხენიდან ჩამოსტება, მოწიწებით მივა და თავყანსა სცემს ხოლმე ქალუნდაურის საფლავს, იმ დიდს ლოდს, რომელსაც თავისუფლების წმინდა ძეგლად მხადიან. ბეგრჯელ კიდევ ლოცულობენ ქალუნდაურის საფლავს, სანთელს უნთებენ იმისის საფლავის ქვას. რათა? – ქალუნდაური ღვთის კაცია, თავისის ვაკეკაციობითა და მხნეობით ხევსურეთი დაიხსნა მტარვალობისაგან, ზურაბის ჯარი დაამარცხა და ჩვენც თავისუფლება შეგვიანახაო“ („ისტ. კვალი სახალხო პოეზიისა“: ივერია, 1888, № 238).

3.

წერონ მაიედეს ფხიტუთა, მაშერალნი შორის გზისანი.

როშკას ატირდეს ციხენი, ბლოს სახნი ქვითკირისანი:

„ზედ რაით დაგვეცემიან ნაძლობნი საქელისანი.“

როშკის კორკს ზურაბ ჩამაჯდა, შუქნ ჩამაუშენა მზისანი.

5 სანეს დაგროვდეს ქევსურნი: „მატრონ ორთ ადგილისანი.

ზურაბო, დაჯე, დაგვექსენ, ნარჩომნ ორთ შენის კმლისანი,

თორ ჩვენაც შამოგეცდებით, ხოჯევენ კარ გვიღვან ღთისანი.

მაგვივლენ მთას-იქითელნი, ნაპირის ადგილისანი.“

თან მოხყევს ქალუნდაურსა მამუკას შუქნი მზისანი.

10 ბეგენ-გორს ჩამაეწია, ჯარნი ჭრნა ზურაბისანი.

ამანდით ამობრუნდების, სამან ჩახყულნა ქვისანი:

„ამას ვინც გადაძიცილას, ცოდვან ასკიდა კმლისანი;

ვაუ ვინაც იყოს, ესრე ქნას, გუდანს ვინც ლაქნა(ს) ქვიშანი!“

ღულის ძირ წისქვილნ დაბრუნდეს ზურაბის სისხლის წყლისანი.

15 ორ-წყალში ფშაველები დახვდეს, წყეპან ამოდის კმლისანი.

(U, ივერია, 1891, №90. გაგონილი გ ი ო რ გ ი
ა რ ა ბ უ ლ ი ს ა გ ა ნ).

ორი სტრიქონის გამოკლებით (ესენია 1 და 3) ეს ლექსი გამოყენებული ჰქონდა ოს უფრო ადრე თავისი წერილისათვის („ისტ. კვალი“: ივერია, 1888, № 238).

ს აქ კვლავ იმეორებს მამუკას საფლავის აზვას: „მამუკა გზის პირად მარხია, ს. გუდანის ახლო. დიდი ლოდი აძევს და იმის საფლავს ხევსურები ლოცულობენ, თაყვანს სცემენ. იმ ადგილს, სადაც მარხია, ბეგენ-გორი ჰქვია.“

მეცხრე და მეთათ სტრიქონს შუა სის ვარიანტში მოყოლილია ორი სტრიქონი სხვა ლექსიდან, ისევ ქალუნდაურის შესახებ:

02.

მავალის, მაკითხულობდა: „ჩემი სად იყო გვარიო?“

– „ბეგენ-გორს, ქალუნდაურო, ომსა ღზავ შენი გვარიო.“

ღ.

სანეს დაგროვდეს კეესურნი: „პატრონნ ორთ ადგილისანი.

დაჯე, დაგვეკსენ, ზურაბო, ნარჩომნ ორთ შენის კმლისანი,

თორ ჩვენაც კელს შემოგიქტევედით, ზოჯეგნ კარს გვიდგან ღთისანი.

მოგვივლენ მთას იქითითა ნაპირის ადგილისანი.

5 თან მოხყვეს ქალუნდაურსა მამუკას შუქნი მზისანი.

ბეგენ-გორ ჩამოეწია, ჯარნ ჩაჭრა ზურაბისანი.

ამანდით ამბარუნვილმა სამანნ ჩახყუდნა ქვისანი:

„ვინც ესენ გადმომიყარნას, ცოდვან მოხკიდნა კმლისანი.

ვაჟმა ესრე ქნას ყველამა, ვინაცა ლაკნას ქვიშანი.“

–

10 ბეგენ-გორ ქალუნდაური ყორნის გრილოთა ხყეებოდა.

შანდობა ქალუნდაურსა, ცუდაიც შეეცდებოდა.

მამუკა ქალუნდაური კეესურთ გულისად კვდებოდა.

ამლას უსხენან ცოლ-შვილნი. მაგას რა წაუკვდებოდა?

(C, გოგოთურ ჭინჭარაული საგან
გაგონილი ბარისაკოს 17.7.1925).

ოთხი უკანასკნელი სტრიქონი, რომელიც თითქო ნაწყვეტია რომელიღაც სხვა ლექსისა, წარმოადგენს ვარიანტს 11, 12-14-ისას. სხვა ვარიანტი, ორი სტრიქონისაგან შემდგარი, მოეპოვება Bc1:

ბეგენ-გორ ქალუნდაური ყორნის გრილოებს ხყეებისა.

შაუგმობს ქალუნდაური, ცუდებიც შეეცდებისა.

მ.

- ფხიტურს მოიდენ წერონი, მაშვრალნი დიდის გზისანი.
როშკას ატირდენ დედანი, ბლოს სახნი ქეიტკირისანი.
„ჩვენ რაით დაგვეცემიან ნამზვლევნი საქელისანი.“
როშკის თავს დაჯდა ზურაბი, შუქნი ჩამუშენა მზისანი.
- 5 „დადევ, დაგვექსენ, ზურაბო, ნარჩომნ ორთ შენის კმლისანი.
თორ ჩვენაც შამოგემბებით, ხოჯვენ თან გექონან კმლისანი.“
მაგვიელენ მთას-იქითელნი, ნაპირის ადგილისანი.
მამუკამ ქალუნდაურმა ჯაერნი არ ჭამის მტრისანი.
ქარკოს გორს ჩამეეწია, ჯარნ ჩაჭრნა ზურაბისანი.
- 10 ამანდით ამბარუნველმა სამან ჩადვ ხოხის ქვისანი.
„ვინც ამას გადმომიცილდას, ცოდვან ახკიდნა კმლისანი.“
(R, 71).

პ.

- ფხიტუთ მოვიდეს წერილნი (!) მაშვრალნი შორის გზისანი.
როშკას შასწუხდენ ციხენი, ბლოს სახლნი ქეიტკირისანი.
ზედ რაით დაგვეცემიან ნაზლობნი საქელისანი.
დაჯე, დაგვექსენ, ზურაბო, ნარჩომნ ვართ შენის კმლისანი.
- 5 თორემ ჩვენც გაჯჯაერდებოდით, ხოჯვენ გარს გვიდვან მთისანი.
მაგვიელენ პირიქითთა ნაპირის ადგილისანი.
თან მაჰყენენ ქალუნდაურსა მამუკას შუქნი მზისანი.
ბეგენ-გორს გამეეწია, ჩამაწითლნა ქეიშანი.
ჩადგნა მამუკამ სამანნი ბეგენ-გორს ხოხის ქვისანი:
- 10 „ვინც ამას გადმამიცილდას, ცოდვან მოვიდენ კმლისანი.“
(T).

ჟ.

- როშკას ატირდენ დედანი, ბლოს სახლნი ქეიტკირისანი:
ზურაბ, ნუ დაველევ ღვთის მადლსა! ნარჩომ ვართ შენის კმლისანი.
ქელს კი ჩვენც შემოგიქცევდით, ვალნ კარს არ გვედვენ ხთისანი.
მოგვიელენ პირიქითთა არწიენი მალლის მთისანი.
- 5 ამლით მამუკა მოვიდა, შუქნი თან მაჰყვენ მზისანი.
ჩამოგეწიენეს ბეგენ-გორს, გაწითებინეს ქეიშანი.
მობრუნდეს, ჩადგეს სამანი ბეგენ-გორს ხოხის ქვისანი,
ყველამ ესრე ქნის ეაყკაცმა, ვინც ლაქნეს ესე ქეიშანი,
ღულის ძირს წისქვილნ დაბრუნდეს ზურაბის სისხლის წყლისანი.
- 10 ორ-წყალში ფშავლებ დაგხვდება, წყეპან ამოდის კმლისანი.
(Q).

8.

- წერონ მოვიდეს ფხითუესა, მაშერალნი შორის გზისანი.
ლაჯე, ღაგეკესენ, ზურაბო, ნატეშენ ვართ შენის კმლისანი.
კელს კი ჩვენც შამოგიქტეველით, გვისხენ ზოჯეგნი კლდისანი.
როშკას ატირდეს ციხენი, ბლოში სახლენ ქვითკირისანი.
- 5 სანეს შაგროვდეს კვესურნი, პატრონენ ვართ ადგილისანი.
მოგვივლენ მთას-იქითელნი ნაპირის ადგილისანი.
თან მოკყენეს ქალუნდაურსა მამუკას შუქნი მზისანი.
ბეგენ-გორს ჩამოეწია, ჩამოაწითნა ქვიშანი.
- 10 ლულის ძირს წისქვილ დაბრუნდა ზურაბის სისხლის წყლისანი.
ამანდით შამობრუნვილმა სამან ჩაყარნა ქვისანი.
ვინც ესენ ამომიყარნეს, ცოდვან მოკიდნა კმლისანი.
ორ-წყალში დაქხედენ ფშაველები, წკეპან ამოდის კმლისანი.

(Lb).

9.

ამანდით ამობრუნვილმა სამან ჩადგ ხოხის ქვისანი.
რომენიც გადაღრიაკდეს, ცოდვან ახკიდნა კმლისანი.

(Sh. მინდია ქისტაურისაგან
გაგონილი 11. 8. 1913).

ეს ორი სტრიქონი მინდიამ მიაყოლა მე-9 ნომერს. „გადაღრიაკდეს“, მისი ახსნით, ამას ნიშნავს: „გადასცილდეს.“ აზრი ეს არისო: ნუ გასცდებით ისე, რომ შენდობა არ მოთხრათო.

9. უტი

Sh. ჩამაწერინა მინდია ქისტაურმა თვალღვიში 11. 8. 1913. ამ ლექსს მან მოაბა კიდევ ორი სტრიქონი („ამანდით ამობრუნვილმა“ და სხვა), რომელიც მე-8 ნომრის (თ) ვარიანტად დაიბეჭდა ამავე გვერდზე.

2 უტია] უკჩნა (ვარიანტი იმავე მინდიასი).

ბ.

აგარდა ბატონიშვილი, ქვეყანა არ გაუტყია,
ჯარი შაყარა მძიმეი, კვესურეთს შამაუტყია,
ჭოეს დაიცა კარავი, გულანში თარეშ უტყია.

- აკი გითხარი, ზურაბო: „კვესური კაცი უტია!“
5 ახლა გაახედენ ბეკენ-გორს: ფუტკარს ღვაჟ, გამაუტევა.
ქალუნდაურის ფრანგულმა ქარქაშით ამაიწივა.
კმლითა სცეს ჭორმეშივნებმა, სისხლმა სიმუნსა უწია.
ემანდით გამოგაქციეს, საფურცლეს ვერ ჩაუწივა.
ღულს დაგჩეს ქამარ-ხანჯარი. მალე სულ ამაუტევა.
(R, 31).

ბ.

- ზურაბმა ცხენი რემაი იალახზედა უტია,
გადაჯდა გახელებულსა, კვესურეთს შამაუტია.
წინავე გითხარ, ზურაბო: „კვესური კაცი უტია.“
5 ეხლა ბეკენ-გორს გაახედენ: ფუტკარს ღვაჟ, გამაუტია.
ქალუნდაურის ფრანგულმა ქარქაშით ამაუტევა.
მანდით გაიქცა ზურაბი, შინამდე ვერ მიუწივა.
საფურცლეს მოკლეს ზურაბი, სულ ნელა ამაუტია.,
(R, 31).

ღ.

მავიდა ქალუნდაური, კმა მალლა ამოუტია.
ქალუნდაურის ფრანგულმა შუქი მთას გადაუტია.
(Bc).

ეს ორი სტრიქონი უშუალოდ მისდევს აქ 10 ბ-ს.

ჟ.

მე ბევრჯელ გითხარ, ზურაბო: „კვესური კაცი უტია.“
აგერ ბეკენ-გორს გახენე: ფუტკარმ რო გამაუტია.
ქალუნდაურის ფრანგულმა ქარქაშით ამაუტია.
(C).

[ნ. კიდეე დამატება. რედ.]

10. ქიჩბარაული

დაბეჭდილია R-ის მიხედვით (137). ამ ლექსის 10-11 სტრიქონებს ძალიან მოგვაგონებს
439, 1-2.

ბ.

ჯარი მოვიდა გულანა, ჭიე კარავმა შაფარა,
ლურჯამა გალალებულმა თავი სასოფლოდ დახარა,
ამაგის ლაღმა მკედარმა გული საომრა დაყარა.
უნცროსმა ქიჩბარაულმა ლაშქარი წყალში შაყარა.

(Bc).

ბ.

გულანს მოვიდა ლაშქარი, ჭიე კარებმა შაფარა.
უნცროსმა ქიჩბარაულმა ჯარი სულ წყალში ჩაყარა.
ქალმა ზენ-უბან გაიგო, მანდილი გვერდზედ შახარა:
„გაქებენ, ქიჩბარაულო, ჩემსამც საქმარეს შაგყარა!
თუ შენ ვერ დაგიხვდებოდა, შინ მთელიმც ნულარ მომგვარა!“

(Lb).

11. ჭრელა ნადირიშვილი

დაბეჭდილია Gის მიხედვით. უკანასკნელი სამი სტრიქონის ვარიანტები ზემოთ არის მოყვანილი C და Bcს მიხედვით (8 დ).

აქ მოხსენებული ქალუნდაურის შესახებ ბ. გაბური მწერდა 25. 3. 1928: „მე წიგნში მიწერია, რომელიც თქვენ დაბეჭდეთ, რომ ქალუნდაურმა ბეკენტოგორ რომ თორმეტი კაცი მოკლა ზურაბის ლაშქართა, მას მემრ აღარ უტოცხლია დიდი ხანო (ნ. წელიწადეული, გვ. 160), მაგრამ მაშინ ვერ მცოდნიყო ქალუნდაურის ამბავი კარგად. ეხლა ქვესურებმა მიამბეს, რომ მეორედ კიდე ყოფილა იმ ომის შემდეგ ზურაბის ლაშქართაში საომრად ქალუნდაური და მემრ კი მაუკლავ თუშებს შალვას და ივანეს.“

ამ სიმღერეში მოთხრობილი ამბის შესახებ G ასეთ განმარტებას იძლევა (მომყავს შემოკლებით): თქმულების თანახმად, ზურაბს ორ-პირად წამოუყვანია ჯარები: ერთი გულდაყრიდან ფხიტუს უღელტეხილზე და მეორე ფშავზე, ორ-წყალში გამოვლით. ისინი კარკოსთან უნდა შეერთებულიყვნენ. პირველ გუნდს რომააზე უნდა გაეკლო და, რომ აქ ჭრელას წინააღმდეგობა არ გაეწია და გზა არ შეეკრა, მოუნდომებია მისი „დაბალითება“, შენს რომკას ჩვენ არას ვერჩით, შენც ჩვენ შემოგვიერთდი, რომელი ცხენიც და აბჯარიც მოგეწონება, შენი საჩუქარი იყოს, სხვა ხვესურებზე გავილაშქროთ და დავლაც ზიარი იყოსო. მაგრამ ჭრელა არ მოტყუებულა, ციხიდან სროლა აუტეხია და ზურაბის „მეახლე“ მოუკლავს. ჭრელას ზურაბი ჰგონებია, მაგრამ ზურაბი ჯართ შუაში იმალებოდა, რომ არ მიტანანო. როცა ზურაბის ჯარები შეერთდენ, ზურაბმა ხვესურებს შემოუთვალა, რომ კვამლზე ოროლი ცხვარი მომეცით და ამ გზობაზე

აღიარებს ვიზამთო. მაგრამ მამუკა ქალუნდაურს ბეგარის მიცემაზე უარი უთქმევინებდა და დაპირებულ ზურაბის ჯარებს. „ქალუნდაური ერთ მქაროს ვცა ელდასავით და დაღვედრა ზურაბის ჯართ: „დაგცილდათ განა ქალუნდაურის კმლის სული, რომ ქარკოს წყალში ზოგი ფეკ-აღმ ცეუღებოლით წყალში? მე ისევ ქალუნდაური ვარ.“ მაშინ უტოცავ ქალუნდაურსაც მეორედ ზურაბის ლაშქარი და მომკვდარას კიდევ იმ წელს. ზურაბის ლაშქარი დამარცხებული დაბრუნდა, დახკარა ბევრი მეომარი კვესურთ კელით.“

ბ.

აეარდა ბატონიშვილი ერეკლე ნათათრალია,
შემოიარა არაგვი, ფხიტყუს დალაქნა მთანია.
ოსაურ ჩაგროვდებოდა თეთრი ურჯულსო ჯარია.

—

- ოსაურ გადმომდინარსა საუბრად გაუქდებისა:
5 „როშკის გორს თეთრი ციხე დგას, ძალზღდა შეგვიდგებისა,
შეგვიდგა, შეგვიდგებოდა, მაგით რა წაგვიქდებისა?
ენა ესკრათ საბალითები, მთის კაცი ვერ მიხვდებისა.“
მიუხვდა ნადირიშვილი, ციხეში შეუდგებისა.
როშკისას არ გამოუშენა, — „ჩემს როშკას არ შეხვდებისა.“
10 წელთა კმალია გამჭრელი, თოფს ტყვია მოუქდებისა.
კმლითა სცა კვესურთ შვილებმა, სისხლი სიმურსა სწვდებისა.

(Bu, მოაზბე, 1896, №10).

აქ გადარეულია ერთმანეთში ორი სხვა-და-სხვა ლექსი: პირველი ორი სტრიქონი 48 №-ისა არის, ხოლო მესამე სტრიქონი შინაარსით რამოდენადმე კი უდგება დანარჩენებს, მაგრამ რითმის მიხედვით პირველ ორთან არის.

12. მიგრის ტყავი

დაბეჭდილია R-ის მიხედვით (გვ. 119). — 6 ნადგომქ ნადგომ R; 8 ჯერე ჩვენ...] „ერთომ ჯერ ჩვენ შავებრძოლებითო, მალე ხვესურებიც დაგკერნო“ R. ასეთი ფრაზა სხვაგანაც გვხვდება, მაგალ. 2 მ. 8, 2 თ. 14; 10 ხეაღებქ ხეაღებ R.

ბ.

ქალი მეც ვიტყვი სიტყვასა, თუნდ ძმათა მამჭრან თავია.
საძელეს გარმამდინარი მთას უჩდილებდა ჯარია.
როშკის გორ თეთრთა ციხეთა დაიცვეს მიგრის ტყავია.

- 5 შიგ მადგან კეესურთ შვილები, შიიდან საომარია.
 შთის მადლს, გამაგრდი, ციხეო! კუთხს არ დაგვლიჯნან ქვანია!
 შიგით არ გამაგვისხნან ხახიკაურნი ძმანია!
 ქეეთას თვალს დარანწი ჩავეყარენ, მორჩეს შუქია, თამარი დანია.
 ამავათ ცოდო-ბრალითა მიწა იწეების მყარია.
 როშკის გორ დაჯდა ზურაბი, კეესურთა შასდვა ზარია.
- 10 „რაად ილევით, კეესურნო? კვამლად მამეცით ცხვარია!“
 ღარაქიშთ ნანაისძესა ბერს გაულესავ ქმალთა:
 „ვერ მავრიგდებით, ზურაბო, ერთუცსთან გვიდგას სისხლის წყალია,
 შვილნი ნუ მამჩა(ნ) მზეზე(და), თუ შენნი იქმნა(ნ) ყმანია!
 ურჩევ(ავ) ბატონ-ყმობასა, ზურგთ აიკიდნან ქვანია.“

(H).

როგორც პირველი სტრიქონიდან ჩანს, ეს ლექსი ქალის ნათქვამი უნდა იყოს. ბ ვარიანტში მე-7 სტ. ძალიან მოგვეგონებს ამას: 2 გ, 15 და სათანადო ადგილებს სხვა ვარიანტებიდან (დ 10; ე 17; ვ 12; თ 16). მიუხედავად იმისა, რომ ბ ვარიანტი არ არის ტექნიკურად გამართული (რაცა ჩამწერის ბრალია), იგი შინაარსით ძალიან საყურადღებოა.

13. ქერაულ-ქიჩბარაულნი (G, 235)

14. ზურაბის ჯავრი

Sh. ჩამაწერინა გიგია გოგოჭურმა, ჭორმეშიონმა, 21. 8. 1913. ს. კაქმატში.
 მცირედენი განსხვავებანი Hისა: 1 ზურაბს ჯავრი კლავს] ჯავრი კლავს ზურაბს H;
 ფშავისა] მშავისა H; 3 მღვომლის] მღვომის H.

აქ მოხსენებულ მარტიაზე ნ. კიდევ №№15 და 29.

ბ.

ზურაბს ჯავრი კლავს ორისა: ზენ მთისა, ქვემოთ ბარისა,
 კეესურეთს ჭორმეშა(ვ)ისა, ფშავში ლაშარის ჯვარისა,
 თიანეთს ჭავჭავაძისა, გაუმძღარის ღორისა.

(X, ივერია, 1887, №140=14).

პირველი ორი სტრიქონი ამ ვარიანტისა უს შეტანილი აქვს თავის გამოკვლევაში ზურაბის ხვესურეთზე გალაშქრების შესახებ („ისტ. კვალი“: ივერია 1888, №241), ხოლო მესამე სტრიქონი, რომელიც იგივეა, რაც 262,3, შეიძლება სრულებითაც არ ეკუთვნოდეს ამ ლექსს. [ნ. კიდევ დამატება. რედ.]

15. მისურაული

დაბეჭდილია Bcs ჩანაწერის მიხედვით. — 2 მიზამს] შზას Bc. ე. ბ ა ლ ი ა უ რ ი ს ჩანაწერი (თუ გადანაწერი) მხოლოდ რიგით განსხვავდება: 4 ალაველ... მას მეორე ადგილზე აქვს გადმოსმული, მაშასადამე იქ ასეთი მიყოლებით იკითხება: 1, 4, 2, 3.

ბ.

ჯარებ კევსურეთს მოვიდა, ბილიკებს მოსდევს წყლიანსა.
მარტია მისურაული სერებს გაჰყვება კლდიანსა.
გულში დარდი აქვ ზურაბსა: „ევ რაით გვიქამს ზიანსა.
ოქროს ვერ შევაპარებთა ვაუკაცსა ამლათიანსა?“

(Lb)

16. შშაველა

დაბეჭდილია Bcs მიხედვით. მოიპოვება Bის გადანაწერი. 1 არ მოგცემ ზავსაო] არ მაგცემ გზასაო B.

17. ზურაბის წადილი საარხვატოდ გალაშქრებისა

Sh. ჩამაწერინა იო ნ ე უ რ ო ჩ ი ა უ რ მ ა 6. 8. 1913. ს. ახიელს. — ამ ლექსიდან ჩანს, რომ ზურაბს მოუნდომებია არხოტს გადასვლაც, მაგრამ სურვილი ვერ შეუსრულდება. აქ ჩამოთვლილი პირები ყველა ახიელელნი ყოფილან, გარდა ავტორისა, რომელიც ჭიმღელი იყო. ტ ე ქ ს ტ ი ს ა თ ვ ი ს: სტრიქონებს რომ ბოლოში ონები უსხედს (ჯარიო, ქვანო და სხვ.), ჩემი დართულია; 10 თავ ზიზანს ვერ დაონებე, თვალთ მიჩინდეს გზანიო] ე.ი. ზიზანში ვარ, მაგრამ თვალი მაინც გზისაკენ მიჭირავსო.

ძველ სიმღერებში ავტორის ვინაობა საზოგადოდ დავიწყებულია. მაგრამ ეს ლექსი გამონაკლისია: „მოთქვამი“ ყოფილა შიშნია ბალახურისძე, ჭიმღიონი.

18. ღალატით დაკოცა კევსურებისა

ა.

Sh. ჩამაწერინა ღულელმა მინდია ქისტაურმა 11. 8. 1913. ს. თვალღვიში. — 18 ჩოფინავ, რასა ღბედაო?] ე.ი., რატომ არ სჩქარობ დახოცასაო.

ბ.

ზურაბმ აიფრო ქვეყანა, ბეერს ვაჟს უტირა ღელაო.
ბეერს ქალს გაუქსნა საკინძი, უჭკიმა ტუბუზელაო.

(X, ივერია, 1887, № 40=10).

ბ.

აღუდი აღექსაური, ზურაბ, რა მონად მოგექცა?
პირის მელვინე მოგიკლა, თაოდ ცოცხალიე გაგექცა.
ღმერთსამც ვინ გაღმარჯვებიყო, ერთიც შენდამც ვინ დეეკრა!
აღუდის გაღმოქნულსა კმაღ-ღაშნას წვერიმც მეეკრა!
გულ-ღა-გულ გაღმოგიქნია, გზაჩი მსახური შეეჭრა.

(C. გოგოთურ ჯინჭარაულის აგან
გაგონილი 10.7.1925).

ღ.

აღუდი კურღელაისძე, ზურაბო, რაკელ მაგექცა?
მაგიკლა პირის მელვინე, თაოდ ცოცხალიე გაგექცა.

(G, 235).

ქ.

- ზურაბ შახყრიდა ლაშქარსა, თრუსოს სადილზე ჯღებისა.
„ბევრ-ბევრ გაეტეხე ზოყანა, კევსურთ კი არა ხჯღებისა,“
ხკითხედა ნეზირ-ოზირთა: „რა კარგა მოგვიკლებისა?“
5 „— ღალატით გვირჩევ, ზურაბო, კევსურ თუ დაგვენლობისა.“
ხკითხედა ღუღუშაურსა: „სიტყვაი შენი ჯღებისა.“
— „კაცი წავლალათ კევსურეთ, კევსური ვერ ჩახჯღებისა.
კევსურებ ჩამაგვივიდენ, ვინც ომში გამოდგებისა:
მშაველა ჯინჭარაული ნიაღე ნუ დადგებისა,
სამნაიც გამაიყოლას, უმისოდ არ იქნებისა.“
10 „საშნა ნუ წაყას, — კევსურთ თქვეს, — მჭედელ ას, დაგვაკლდებისა.“
არ დაიჯერა საშნამა, „ნათვალ ორ, არ მიკლებისა.“

გახუა კეთუშაური, კევსურნო, კას გეუბნებისთა:

„ქმლებს ნუ დავიქსნით, კევსურნო, — ძალლი არ დაინდობისა.“

- აღუდა აღექსაური, ზურაბო, როგორ მოგექცა?
15 მოგიკლა პირის მელვინე, თაოდ ცოცხალიე გაგექცა.

(Bc).

BC ამ ლექსში აწერილი ამბების გამო შენიშნავს: ა) „ზურაბს რატიშვილს სამკერ დაულაშქრავ კეესურეთი მეშვიდ-მეშვიდეს წელს და ვერ გაუტეხავ კეესურეთი. და მეგრე თრუსოს დაუბარებიან კეესურნი, სამოცი კაცი. უთქვამ, რო ზავი ექნათავ. მუტანავ ღვინო, უსმევე ზურაბს კეესურთად, დაუთვრია, აუყრავ იარაღი. უთქვამ გახუას კეთუშურს, რო კმლებს ნუ დაიქსნითავ, – არამც გვილაღატასავ. კეესურთ არ დაუჯერებავის, დაუქსნავის კმლები. აღუდს არ შუექსნავ დაშნაი, დაუმაღავის. ვერ გაუგავის. რომ დამთვრალან კეესურნი, დაუვლავ კმლებისად კელები ზურაბის მსახურთ და გაუჭრავის თავები კეესურთად სრუ. აღუდს დაშნაისად დაუკრავის კელი, შასტანეიას ზურაბს კარავში, მოუქნევეის ზურაბისად. იმ დროს მსახური გადასდგომის და მსახური მოუკლავის. თაო კი გამოქცეულ, მოსულ შინ. სხვებისად სრუ თავ გაუჭრავის.“ ბ) „მაშინ ზურაბს მოკევე ხყვანია ყმა ღუღუშური. თან ხყვანია და გაუთვადებავის, ზურაბს თვადობა მიუცავის. როგორც ერეკლეს კეესურნი ხყვანიან, ეგრ ზურაბს: ოსი და მოკევე ზურაბის ყმა ყოფილა.“

ეს ვარიანტი Bსაც მოეპოვება, მაგრამ იქ მცირეოდენი განსხვავებანია: 1 ზურაბ შახყრიდა ლაშქარსა] ზურაბმ ასყარა ლაშქარი B; 2 ბევრ-ბევრ] ბევრა B; 3 ნეზირ-ოზირთა] ნაზირ-ოზირთა B; რა კარგა] კარგა რა B; 6 წაელაღათ] გავეზავნათ B; 7 ჩამოგვივიდენ] ჩამოგვივიდან B; მჭედელ ას] აქა მჭე; 12 კეესურნო] ხალხნო B; 14 აღექსაური] კურდღელაისძე.

3.

- ზურაბმ აიკლა ქეეყანა, ბევრს ვაეს უტირა დედაო.
 უბარებს ღუღუშურსა, კაცს მოსწევს ზელი-ზედაო:
 „კეესურნი გამამიგზავნე, ვინც ომში გამადგებაო;
 კელეშური გახუა ნიადავ ნუ დადგებაო;
 5 სამნაი გამაყვალე, ომში გვერდს დაუდგებაო.“
 „კეესურნო, სამნა ნუ წავა, მჭედელი დაგოკლდებაო.“
 დასხდეს, დარიგდეს კეესურნი, თავს ზურაბ დაადგებაო.
 – „კეესურნო, კმალს ნუ დაიქსნით: ზურაბ არ დაინდობაო.“
 კეესურთ უარი გარდათქვს: „პურ-მარილს უნდა ნდობაო.“
 10 ერთბაშად დასჭრა თავები, მარტო გახუაჲ გარდარჩა.
 კელეშური გახუაჲ, ზურაბ, რა ავად მოგექცა!
 მოგიკლა პირის მეღვინე, თითონ უჭირველი გეგექცა.

(Sh. მოხ., გაგონილი იასე ხუელელისაგან
 ს. თოთში 28. 7. 1913).

ზ.

ზურაბმ თქვა: „ჩამამივიდენ, ვინც ომში გამადგებისა.
 მშაველა ჯინჭარაული ნიადავ ნუ დადგებისა;

- სამნაი ჩამაიყოლას, მჭედელი – გამადგებისა.“
- 5 – „სამნა ნუ წავა, კევსურნო, – მჭედელი დაგვაკლდებისა; თოფებს სჭედს კირიბებს სამნაი, ქურთუმულ დაუსქდებისა.“
გახუა ქეთუშაური კევსურთ კას ეუბნებისა:
– „კევსურნ, მოგიკლავთ ზურაბსა, თქვენდაც კაად კი ხკდებისა.“
არ დაუჯერეს კევსურთა, ზურაბის დავლათ ღრევდისა.
დასხდეს, დარიგდეს კევსურნი, თავს ზურაბ დაადგებისა.
-
- 10 ფოფინეს დასჭეხს ზურაბი: „ფოფინე, რასა ღბედლო?“
ფოფინეს კელი კმალზედა, კევსურთ სისხლ თრუსოს რწყევდლო.
-
- 15 ქემც დაგლევს, ერისთვისევილო ზურაბო, სისხლის წყალიო!
დაიბალითენ კევსურნი, დანლობით გასჭურ თავიო.
რად არ სწორ-სწორად გაუმევენ კევსურნ და შენნი ყმანიო?
კელთ რად არ მიეც ფარ-კმლები, დააცდევინე თავიო?
ომს კევსურნ განახვიებდენ ფარს ქვეთ ნაწურთნი ყმანიო!
-
- თრუსოს ნაკოცთა კევსურთა მშაველა სჯობ ჯინჭარაული,
ამადით დახვეწილებსა ალუდ სჯობ ალექსაური.
-
- 20 ალუდა ქეთულაური, ზურაბ, რა მონედ მოგექცა!
პირის მეღვინე მოგიკლა, თავად ცოცხალი გაგექცა.
ღმერთსამც ვინ გაღმარჯვებიყო, შენდ კმალ-ღაშნის წვერ მაეკრა!

(R, 13).

რის მოწმობით, „ეს ლექსი ბ ა ჩ ა ნ ა ს ჩაწერილია.“ – ტ ე ქ ს ტ ი ს ა თ ვ ი ს : 7
კევსურნ მოგიკლავთ ზურაბსა...“ „ზურაბს კლდიან გზებზედ და საცალფეხო ხიდებზე
ვერ უვლია და ამ გახუას ზურგით უტარებია. გახუას უთქვამ კევსურებისთვის: თუ
გინდათ კლდეზე სადმე გადავადგებო, მაგრამ კევსურებს არ უქნიათ“ R.

„მეორე ვარიანტი ამავე ლექსისა ამაზედ დიდი ხნის წინათ ჩაწერილი“ (R არ
აღნიშნავს, თუ ვინ იყო ამის ჩამწერი: ისევ ბ ა ჩ ა ნ ა, თუ თვითონ თ ე ლ ო):

0.

ზურაბმ ქვეყანა აიფრო, კევსურებს ვერა ხკდებისა.
„ჩამამივიდან კევსურნი, ვინც ომჩი გამადგებისა:
მარტია მისურაული ნიაღე ნუ დადგებისა.“
თრუსოს ჩავიდენ კევსურნი, თავს ავი დარე დაეცა.

5 სადილზე დასხდენ კევსურნი. ზურაბ მეღვინედ დგებისა.
გახუა ქეთუშაური კევსურთ კარგს ეუბნებისა:
„კმლებს ნუ დაიქსნით, კევსურნო, ზურაბ არ დაინდობისა.“

—

ზურაბი ეტყვის მსახურებს: — „მსახურნო, რასა ღებდავთა?“
ომთინემ შამაუქცია: „ომსა ძრვილსა ვებღაო,
10 თავს მოვსჯრი თორმეტს კევსურსა, სისხლი რო თრუსოს რწყევდესო.“

—

ფშაველას ჯინჭარაულსა ტანს სისვი სკლატი ჩაეცვა,
ბეჭებს აასხეს ისარი, ბრალია ჯაჭვი არ ეცვა!
აღულა ალექსაური, ზურაბო, როგორ მოგექცა?
15 პირის მეღვინე მაგიკლა, თავად ცოცხალივ გაგექცა.
ზურაბ, შენდ იყო მაქნეულ, შენი მსახური შეეჭრა.
ღმერთსამც კი გაღმარჯვებიყო, კმალ-დანას წვერი მაეკრა!

—

აქ ვინც მოიდენ კევსურნი, აღულ სჯობ ალექსაური.
და ვინაც მარჩეს აიქა, ფშაველ სჯობ ჯინჭარაული.

(R, 15).

თ.

კევსურეთ კაცი მავიდა, ეგ ხო არ გამადგებაო:
„ნარჩევ-ნარჩევი ბიჭები ერთიც ნუ ვინ ღაღებაო,
კირჩლაი ბაბურაული-ღ' მარტია ნუ ღაღებაო!“
5 „არაჲ“, — თქვეს კევსურთ შვილებმა, — „მჭედელრ, დაგეჭირდებაო.“
„ნათვალ ორ, — მანგიამა თქვა, — მე ჩემი გაღამქლებაო.“
თრუსოს ჩავიდეს კევსურნი, ზურაბ სადილზე ჯდებაო.
კევსურთ მისვლითა ზურაბსა მზე ცხრაკნივ ამუქლებაო.
მანგია მისურაული კევსურებს ეუბნებაო:
— „კმლებს ნუ დაიქსნით, კევსურნო, ზურაბ არ დაინდობაო.“
10 არ დაიჯერეს კევსურთა: „ზურაბი გაჯავრდებაო.“
— „თქვენის თქვენ იცით, კევსურნო, მე ჩემი გაღამქლებაო.“
დასხდენ, დაჯარდენ კევსურნი, ზურაბ მეღვინედ დგებაო.
დაასხამს წითელს ღვინოსა, ვერცხლის თასებშივ დგებაო.
„ადღეით, აიშაღენით!“ ზურაბ თავს ღაღებდაო.
15 ნასხდომ კევსურებს კმლებით სცეს, სისხლი გუბ-გუბად დგებაო.
მარტია მისურაული, ზურაბო, როგორ მაგექცა?
ორი მავიკლა, ზურაბო, ცოცხალი შინავ გაგექცა.

ერთი შენც გადმაგიქნია, მსახური შენი შეეჭრა.
ღმერთსამც კი გაღმარჯვებიყო, ქმალ-ღაშნას პირი მაეკრა!

(R, 17, 1889 წ. ჩაწერილი).

ტ ე ქ ს ტ ი ს ა თ ვ ი ს : 4 მჭედელი] „ხვესურს თუ უნდა გამოსთქვას „მჭედელიაო“, შემოკლებით იტყვიან „მჭედელი“, ბოლო ხმოვანზე ხმას უწევს და ამაგრებს“ R; 7 მზე ცხრაკნივ ამუკლებაო] „ისე გაუხარდაო“ R.

0.

ზურაბმ აიფრო ქვეყანა, ბევრს ვაჟს უტირნა ღედანი;
ბევრისა კარი დაჯარა, ბევრისა ისივ მღე არი;
ბევრისა ღელა ატირა, ბევრისა ცოლი თმიანი.

(R ფ, 235).

0ა.

- ზურაბმ მოიფრო ქვეყანა, ბევრს ვაჟს უტირა ღელაო,
ბევრს ქალს გაუხსნა საკინძი, უკბინა ტუშუხედაო.
„სხვა კი სულ ყველა გავტეხე. ქვესურთ არაფერ ქდებაო.“
5 კაც უგზავნი ღუღუშაურსა: „სიტყვა შენი უფრო ჯდებაო.
ქვესურებ გამამიწვიე, ომში ვინც გამოდგებაო.
ფშაველა ჭინჭარაული ნიაღვრ ნუ დადგებაო.
სამნა თან გამაიყოლოს, ეგეც მაგას შაუქდებაო.“
თრუსოს ქვესურებ ჩავიდენ, ზურაბი სადილზე ჯდებაო.
10 ქვესურთ ჩამოსვლით ზურაბსა ცხრაკნი მზე ამუკდებაო.
დაისხა ღვინის სმაზედა, ზურაბ მეღვინედ ღდებაო.
დაასხამს წითელ ღვინოსა, ვერცხლის კათხები ღდებაო.
გახუა კეთუშური ქვესურთ კარგს ეუბნებაო:
„კმლებს ნუ დაიქსნით, ქვესურნო, — ზურაბ არ დაინდობაო.
15 თქვენ თქვენი იცით, ქვესურნო, მე ჩემი გადამქდებაო.“
არ დაიჯერეს, შაიქსნეს, ეტლი ზურაბის რევდაო.
ზურაბი თავის მსახურსა ჩუმ-ჩუმად ეუბნებაო:
„ეხლა დაითერნეს ქვესურნი, ნეტარ შენ რაღას ჰბედაო?“
— გაღესილი მაქვს ფრანგული, მზასა ვარ, ვერა მხედაო?
სუ თავებს გავსჭრი ქვესურთა, ცოცხალ ვერვინ გადამჩებაო.
-
- 20 თრუსოს ნამყოფებს ქვესურებს რა მონა ღარი დაეცა!
ფშაველას ჭინჭარაულსა ტანთ სისვი სკლატი ჩაეცვა!

- 25 გვერდზედ აასხეს ისრები. ბრალია, ჯაჭვი არ ეცვა!
ხახონას ბერდიულსა მკართ თეთრი შშვილდი გარდეცვა.
ნასროლი ფოცხ-მაკრატელი, ზურაბო, შენდამც დეეკრა!
აღუდა აღექსაური, ზურაბ, რა კერკად მოგექცა:
მოგიკლა პირის ფარეში, თვითონ ცოცხალივ გაგექცა.
ღმერთსამც კი გამმარევებიყო, კმალ-დაშნას წვერი მეეკრა!
(L.r 1-17, Lb 18-27)

19.

დაბეჭდილია Rის მიხედვით. მისი ვარიანტია 18ზ, 12-16 და 19ა.

19a.

დაბეჭდილია Tის მიხედვით. იგი ვარიანტია მე-19 №-ისა. სხვა ვარიანტებია კიდევ:

ბ.

სვედამც გეცემის, ზურაბო! დაგლევედამცა სისხლის წყალია!
დაიბალითენ კეესურნი, დანდობით გასჭერ თავია.

—

- 5 დაგწყევედი, ერისთვისშვილო, ზურაბო, ეგრემც მოგივა:
ძმასამც დათუნას თვალთ დასთხრი, ზაალის მოხმემც მოგივა!
თვითონ სარუსოღამც გაქედები, ცოლიმც ურუმთას წაგივა!

—

კეესურნი ჩაყარენ თრუსოსა, ღალატით დასჭერ თავიო.
რად არ გაუშვენ სწორადა კეესურნი და შენნი ყმანიო?
შენ შორად რად არ დაუდეგ, იქით უჭირე თვალიო?
მაშინის გამოჩნდებოდა, რომენთი სჭრიდა კმალიო!

(Lb).

აქ რიგი გადარეული ჩანს: 1-2-ს უნდა მისდევდეს, თითქო, 6-9.

ბ.

დაგწყევედი, ერისთვისშვილო, ზურაბო, ეგრამც მაგივა:
ძმასამც დათურას თვალთ დასთხრი, ზაალის მოხმემც მოგივა!
შენამც კეესურებ დაგხანჯვრე(ნ), ცოლიმც ურუმში წაგივა!
ბევრაის ცოღვის მაქმელო, ქეეენის გულისიმც მოგივა!

(H)

20. ზურაბის მოკვლა

დაბეჭდილია სის მიხედვით, რომელსაც იგი გიორგი არაბული საგან გაუგონია (ივერია, 1891, №90). რამოდენიმე სტრიქონი (5-20) წინადაკვლად გამოყენებული მასვე („ისტ. კვალი“: ივერია, 1888, №241). – 10 მოჩანგებები მოჩანგენი ს.

ბ.

- საფურცლეს ზურაბ მოვიდა, ლერწამი ზღვის პირისაო.
გაუშალეს ხალიჩები, ზურაბ ზედ დაბანდისაო.
აუყვავებენ სუფრასა: „ზურაბ, შაექე ზილსაო!“
გიღალატებენ, ზურაბო, ელიან შენსა ძილსაო.
- 5 კმლითა სცემს ბარამ ბატონი: „დაჰკარით კ...ის შეილსაო!“
ხანჯარი თუშთ მურაგმა მარცხენა ძუძუს ძირსაო.
მუხრანით მოდის ტირილი ს...ის ერისთვისაო:
– „ვინ მოგკლა, შეილო ზურაბო? ვინ შეგსხნა კელნი გმირსაო?
ვინ ჩამოგყარა თაობა ქართლისა, არაგვისაო?“
- 10 აღარვინ მეგულებოდა მამრევი ზურაბისაო.“
ზურაბის ცოლი ტიროდა: „ვაამე უდროოდ ქერივსაო!“
ზურაბის ცოლი დედას სწყევს: „ჩემიმც დღე დაგადგებაო!
ამ ჩემის ღალატისადა თუმურაზ მოგიკვდებაო!“
ელუშო თოდუმიშვილო, ვეფხვი ხარ, ველის კანჯარი!
- 15 შენ მაჰკალ ერისთვის შეილი, ზურაბს შენ დაეც ხანჯარი.
გაგ ზავნეთ მახარობელი, ფშავ-ქევსურეთში ჩაფარი:
ფშავ-ქევსურეთის ქალ-რძალმა ძილ დაიძინოს მაგარი.
ზურაბის სიკვდილს ამბობენ, – აღარ მოგვივა ლაშქარი.
მიგრი მოხვიეთ ბატონსა, ზურაბის წამოსასხამი.
- 20 შეარტყით ჩოლყაშვილსა ზურაბის ქამარ-ხანჯარი.
ზურაბმ ჭირთ გაცოფებულმა კმალსა დაჰგლიჯნა ვადანი.
ვაი თქვენს ზურაბს, ფშავლებო! ძაფ დაუხვევა მაგარი.

(X, ივერია, 1887, №140=11 და 5).

რამოდენიმე სტრიქონი ამ ლექსისა (რომელიც Xს ორად აქვს დაბეჭდილი) სს გადაბეჭდილი აქვს თავის წერილში, სახელდობრ: 8-10, 12-15, 21-22 „ისტ. კვალი“: ივერია, 1888, №241).

ბ.

ზურაბო, თან გახლდეს ლაშქარნი, რაც ხან კი დაიბადეო,
ისპანამდე გაითქვი, ყვენთან გაიზარდეო.

- სადაც კი წახვედ საომრად, სუველგან გაიმარჯვეო.
 აქებენ სოსლანის შვილსა, წახვედ, ისიცა პნახეო,
 5 სოსლანის შვილის ლურჯაი შინ სიმამრს გაუგზავნეო.
 გიბარებს თავის სიმამრი: „მოდი, საფურცლეს მნახეო,
 მიმწეი ჩემის შვილისა თვალითა დამანახეო.“
 ღალატი გიყვარდა, ზურაბო, ღალატი ჩემიცა ნახეო!
-
- საფურცლესა ზურაბი მოვიდა, ლერწამი ზღვის პირისაო.
 10 შამეხევიენეს კახები: „გმირო, მობრძანდი უბისაო!“
 დაუდგეს ოქროს ტახტები, ზედაც ზურაბ დაბძანდისაო.
 აუყვავებენ სუფრასა, წითელ-ყვითელად ხილსაო,
 დაუდგენ სურას ღვინიანს, დათაფლულსა და ტკბილსაო.
 15 გაღალატებენ, ზურაბო, ელიან შენსა ძილსაო,
 გვერდს გიდგან მოღალატენი, მარჯვენა ყურის პირსაო.
 ფალარატი ქნა ზურაბმა, მალევე დეენდო ძილსაო.
 კმალი ჰკრა ბარამ ბატონმა: „დაპკარით კახის შვილსაო!“
 ხანჯარი თუშთ მოურავემა მარჯვენა ტუბუს ძირსაო.
-
- 20 ზურაბის მოკვლას ამბობენ, მაგრამ დაწონ კაც სად არი?
 კმალი ჰკრა ბარამ ბატონმა, თუშთ მოურავემა ხანჯარი.
 ზურაბმა, ჭირთ გაცოფებულმა, კმალსა დაპგლიენა ვადანი:
 „ეაი დედას თქვენს, კახებო! ძაფი დაგიხვევათ მაგარი.“
 შახედება ბარამ ბატონსა ზურაბის ცხენი საღარი,
 25 თუშთ მოურავესაც კიდევა ზურაბის ქამარ-ხანჯარი.
 ტყავ-კაბა საგინისძესა, ზედ ოთაღანი მალაღი.
 გაგზავნეს ფშაე-ქვესურეთსა სამახარობლოდ ჩაფარი.
 ფშაე-ქვესურეთში ქალ-რძალმა ძილ დაიძინონ მაგარი:
 საფურცლეს მოკლეს ზურაბი, აღარ მოგივათ ლაშქარი.
 30 სიტყვა უთხარით ქალ-რძალსა, ძილი დაიძინონ მაგარი.

(Lb).

ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს Lb-ს ეს ლექსი (და ზოგი სხვა) გადმოეწეროს ვისიმე (ხევსურის?) ჩანაწერისაგანაო: 7 მიმწეი] აქ პირველად თავისუფალი ადგილი დაუგდია (აღბათ, თუ ვერ ამოიკითხა კარგად) და შემდეგ შეუქსია. გადმოწერას გვაფიქრებინებს ზედმეტი ხმოვნებიც, მაგ. 9 საფურცლეს(ა) ზურაბ(ი) მოვიდა და მისთ.

დ.

ზურაბს მაართევს ყურძენი: „სიბე, შეეკე ხილსაო!“
 ზურაბს უშლიან ლოგინსა, ტკბილს აძინებენ ძილსაო.
 ბარამ ბატონმა კმალი ხკრა: „დახკარით კახპის შვილსაო!“
 თუშთ მოუროვმა ხანჯალი, – კაცს ყველებურად სჭრისაო.
 5 მუხრანით მოღის ტირილით რძალი ზურაბის ღისაო:
 „ვაამე, თუ მოკლეს ზურაბი, თუ კელი ხკადრეს გმირსაო.
 ვინღა დარჩება ობოლი გამჯავრებელი ძირსაო?“

–

ელუმო ღუხუმიშვილო, კეფხი ხარ, ველის კანჯარი!
 შენ მოკალ ერისთვისშვილი, ზურაბს შენ დაეც ხანჯალი.
 10 მახარობელი გავგ ზანათ, ფშავ-კეესურეთში ჩაფარი,
 ფშავ-კეესურეთის ქალ-რძალმა ძილ დაიძინას მაგარი:
 ზურაბის სიკვდილს ამბობენ, აღარ მოგივათ ლაშქარი.
 შევარტყავთ ჩოლოყას შვილსა ზურაბის ქამარ-ხანჯალი.
 მაგრა მოგხვივათ ბატონსა ზურაბის წამოსასხამი.

(D, ივანე გელიაიძის აგან გაგონილი)

ძალიან მისდევს მეორე ნაწილი ამ ვარიანტისა Xს. ამიტომ შეიძლება ვიკითხოთ: ნაბეჭდი წყაროს საშუალებით ზომ არ აქვს შეთვისებული იგი ი. გელიაიძეს ან მის მასწავლებელს?

ე.

მტრისა მიწვენა-მისელასა დაწონა უნდა, გან ძალი?
 დედამც იმისი ცხონდება, ვინც ზურაბს დაკრა ხანჯარი!
 – „ეჰ დედას თქვენსა, ფშავლებო! ალყა გიხვევათ მაგარი.“
 გაუნიანდა ზურაბი, კმალს დააგლიჯნა ვადანი.

(Rფ, 232).

1 დაწონა უნდა, გან ძალი] „ზურაბის მოსაკლავად ისე ძალი არ იყო საჭირო, როგორც გაბედუა“ R; 3 ალყა გიხვევათ მაგარი] „ხმალს დაახვიეს თურმე, რომ ვერ ამოელო“ R. [6. კიდევ დამატება. რედ.]

21. ზურაბის დაწვევლა (G, 235)

ბ.

ზურაბო ერისთვის შვილო, შვიდსამც წელსა ხარ სნეული!
 გულსამც მოგხედების ისარი, ფშავლების გამოსრეული!

(Rფ, 231).

22. ზურაბის სიკვდილი (G, 235)

23. ადგომამც იყვა (R, 16)

24. კეესურები ბახტრიონის ომში

Sh. ჩამაწერინა ღულელმა მინდია ქისტაურმა 11. 8. 1913. თვალთვ. — ტექსტისთვის: 8 მუქარა იყვას...] ეი. აბა ენახოთ, ვინ აჯობებს; 10 მშავლებ... მეგუდელ სყანდიანო] ეი. ფშაელები კეესურებს გუდით საგძალს უზიდავდენო.

ამ ლექსის დასაწყისი (1-3 სტრ.) ძალიან ჰგავს 243 ნომრისას (1, 2, 4). აქ მოხსენებული ზომურაული თათრის ხანის მომკლავადაა წარმოდგენილი 658,7-8, რისთვისაც მას ხმალი უნდა აეღოს სათაოდ.

ბ.

ახლა სადა ხართ, თუშებო, კეესურნ რო კარავთ სჭრიანო?
ნადირაის კმლის ნატეხნი კარავის ბოძსთან ზყრიანო.
ქმალ ზომურაულს გაუტყდა, კეესურნ სხვას გამუცკლიანო.

(G, 164).

ეს ნაწყვეტი, რომელიც ვარიანტია 12-13-ისა, Gს ერეკლეს ამბებში აქვს შეტანილი, კრწანისის ომთან დაკავშირებით (6. №06).

ბ.

თუშებო, მშაველ-კეესურნო, ლაშქრობა გავაზიარათ,
ერთმანეთს ნუ უღალატებთ, მტერი სხვა დავაზიანათ.
წინ თუშნი, უკვენ კეესურნი, მშაველებ ნელ-ნელად დიანო.
მაგათ გონება არა ჯობ, ბინაებს უღებიანო.

- 5 „ტყუილად იკლაე, ზეზეაო, სახელზედ, თუშო, თავსაო:
კეესურმ ნადირამ გაჯობნა, ნეოფზე ამტერევეს კმალსაო.“
— „თუში ორ, მაგრამ კარგი ორ, კიდევ ვჯობიორ სხვასაო.
ქელთ დაესცემ, გადაფრინდები ბახტრიე(ნ)ის გალავანსაო.
ცხრას მოვხკლავ . ერთი ვერ დამკრავს კმალსაო.“

(H).

ტექსტისათვის: 6 ნეიფზე] ნეიფაზე H, მგრამ რადგანაც Hს მეტი ანების ხმარება ახასიათებს (მაგ. კალადის=კლდის, ცეცახალაზუდა=ცეცხლზედა, ამატავარე-ვას ხამალასაო = ამტერევეს კმალსაო), ამიტომ იგი თითქო სხვაგვარად არ წაიკითხება; 9 ცხრას მოვხკლავ] აქ აკლია რაღაც სიტყვა (ან სიტყვები) ხუთი მარცვლისაგან

შემდგარი. — 5 ტყუილად იკლავ...] ამას წინ უწერია: „ქალის გაკირცხვა“ H, ე. ი. თითქო ამ სიტყვებს ქალი ეუბნება, რასაც ზეზვას პასუხი მოსდევს.

პირველი ორი სტრიქონი Vსაც მოჰყავს (თხზულ. III, 455). განსხვავება: 1 თუშუბო, მშაველ-ხევსურნო] თუშნო, ფშაველნო, ხევსურნო V; ნუ უღალატებთ] მკარი უჭიროთ V; მტერი სხვა] მტერი კი V.

დ.

თუშთა გავიდა ლაშქარი, ნაქერალ გროვლებიანო.

კეესურეთს კაცი გაგზავნეს, კეესურნი მოიწიანო,

ბელადი ზოშურაული. თანაკმან გაკლებიანო.

უარს ეტყოდენ ფშაველები: „ჩვენ რა გვაქვ თქვენთან ზიარი?“

5 წინ თუშნი, უკან კეესურნი, ფშაველებ ნელ-ნელა დიანო.

სიტყობდის გაფრინდაული: „კეესურნი ნუ მოდიანო.“

იტყოდა ზოშურაული: „თუშთად რა გვიქნავ რიალი?

როგორც რო ამბობს ზეზვაი, ეგრე ჩვენ არ გეწადიანო,

10 თუშნ თუ არ გაგვიყოლებენ, ჩვენც ვიცით, საც მიდიანო.“

არ ქმნილა შუაღამეი, კეესურებ დაპარულანო,

არ ქმნილა თუნების ხანი, პანკისის ჭლანი ხანდებიანო.

დილას ამოსვლას მზისასა კეესურებ ბახტრიონს გროვლებიანო.

ბახტრიონს კარავის ბოძებს კეესურებ კმლითა სჭრიანო.

—

მოვიდოდ თუში ზეზვაი, ჯოგი მოხყეება მგლისაო:

15 „ან თქვენ გადადით ვალავანს, ან გადამიშვით მიაო.

თუ შვიდ ვერ მოვკლა კმალ-და-კმალ, გამცვალეთ თათრის ქალზედა.“

გადავა, გადაფრინდება ბახტრიონს ვალავანზედა.

—

აღვანს მინდორი აავსო ღოჯაის თათრის ლეშითა.

მგელსა დასცვითა კბილები, ტურას ღოჯეაი ჭამითა.

(Sh. თ. პ. ა ზ ი კ უ რ ი ძ ი ს ა გ ა ნ გ ა გ ო ნ ი ლ ი, 4. 9. 1913).

უკანასკნელი სტრიქონები ვარიანტს წარმოადგენს 25-ისა და 27 ნომრისას.

ე.

ბახტრიონს ერთსა თათარსა ენას უბნობენ ძნელსაო:

„ახმეტას გავსჭრი ვენაქსა, შიგ დავასახლებ ელსაო.“

არცა ჰკითხავდა თუშებსა, არცა ზეზვაის ცხენსაო.

თუშთ ნაქერლები ცხენები ალაზანს გროვლებიანო.

- 5 „არ მოგვივიდა ზეზვაი“, წინამძღოლს ღონდებიანო.
 ზეზვამ თქვა გაფრინდაულმა: „ქვესურნი ნუ მოვლიანო.“
 ზოგთა თქვეს: „თან გაეიყოლოთ, გაჭირდეს, გამოდგებიანო.“
 დათხოვნილ იყვნენ ფშაველები: „პურ-ჭამას ვერ რჩებიანო.“

(Bu, №31).

აქ ორი სხვა-და-სხვა ლექსია შეერთებული. პირველი სამი სტრიქონის ვარიანტი და გაგრძელებაც დაბეჭდილია დროებაში 1884, №34 (ფშავეში შეკრებილთაგანიათ). მაგრამ მას უშუალო კავშირი ჩვენს ვარიანტთან არა აქვს.

3.

- იყრება თათრის ლაშქარი, ალაზანს გროვდებიანო,
 არაეინა ჰყავ ბელადი, ბელადსა ღონდებიანო.
 – „შენ წადი, ბათურიშვილო, ლურჯას შენ გიქებდიანო.“
 წინ თუშნი, უკვენ ქვესურნი, ფშაველნი ნელ-ნელა დიანო.
 5 ჯავრობენ თუშიშვილები: „ქვესურნი არ გვინდიანო.“
 – „რას ამბობთ, თუშიშვილებო? წასვლა ჩვენც ქვე გვწადიანო.“
 ფშაველნი, უკვენ ქვესურნი ბახტრიონს გადადიანო,
 დალიეს თათრის ლაშქარი, თავებს უკვენა ჰყრიანო.
 მეორე დილა გათენდა, თუშებიც ჩამოდიანო.
 10 – „სად ეყარენით, თუშებო, სადიაცენო, თმინანო?“

(X, ივერია, 1887, №144=53).

იგივეა არსებითად Vს ვარიანტი (თხზულ. III, 454): „პანკისს იყრება ლაშქარი, ბელადსა ღონდებიანო. ზეზვაე გაფრინდაულო, ლურჯას შენ გიქებდიანო, ჯავრობენ თუშიშვილები“ და სხვ.

ზ.

- იყრება თათრის ლაშქარი, ალაზანს გროვდებიანო,
 არაეინა ჰყავთ უფროსად, ბელადსა ღონდებიანო.
 შენ ჩადი, მათურის შვილო, ლურჯასა გიქებდიანო.
 წინ თუშნი, უკან ქვესურნი, ფშაველნი ორად დიანო.
 5 გაჯავრდეს თუშის შვილები: „ქვესურნი რად გვინდიანო?“
 – „რას ამბობთ, თუშის შვილებო? წასვლა ქვე ჩვენც გვწადიანო.“
 წინ ფშაველ, უკან ქვესურნი ბახტრიონს გადადიანო.
 დაწყვიტეს თათრის ლაშქარი, თავებს უკულმა ჰყრიანო.
 მეორე დილა გათენდა, თუშები შემოდიანო.
 10 „სად ეყარენით, თუშებო? სადიაცენო, თმინანო?“

(D).

საზოგადოდ მოსალოდნელია, რომ აქა-იქ შეგვხვდეს ნაბეჭდი წიგნისა თუ ჟურნალ-გაზეთის საშუალებით გავრცელებული ნიმუშები ხალხური პოეზიისა და სწორედ ასეთი უნდა იყოს ეს ვარიანტიც, ჩაწერილი D-ის მიერ ხევში ივანე გელიაძის მიხედვით. ეს ვარიანტი ისე ახლოს დგას ზემორე მოყვანილს X-ის ვარიანტთან, რომ არა მგონია შეეცდეთ, თუ ვიფიქრებთ, რომ მისი წყარო X-ია. — ორსავე ვარიანტში მე-4 სტრიქონი: „წინ თუშნი...] მოგვაგონებს 179 №-ის მეოთხე სტრიქონს.

მ.

- სად არი გაფრინდაული? ქვესურნ კარავსა ჭრიანო.
ლეგ-ლუგა ფშაელიშვილები გალაგანს გადადიანო.
თუშთ ნაქერლები ცხენები ალაზნის თავსა გროვდება.
ხანია შუალამისა, პანკისის ჭალა ხანდება.
- 5 თუშები თეჟიანები გადიან ალაზანზედა.
ორშაბათს თენების ხანსა ბახტრიონს ციხე შავდება.
კარზე გამოდი, სულთანო, შენს სახლ-კარს ცეცხლი ედება.

(X, ივერია, 1887, №144=56).

ორივე ვარიანტი X-ისა (ვ და მ) გამოყენებული აქვს S-ს თავის წერილში ბახტრიონის ალების გამო (ივერია, 1888, №228). [ნ. კიდეც დამატება. რედ.]

25.

ჩაწერილია S-ის მიერ მინდია ქისტაურისაგან, რომელმაც იგი 25 ნომერს უშუალოდ მოაბა.

ბ.

მეტნი ხართ, საღირიშვილნო, ვიჭვრეტენთ ტალავარზედა.
ბახტრიონთ სულთქმის ციხესა გადახვალთ გალაგანზედა.
კმლითა სცემთ ხანის კარავსა, ზედ მიხვალთ ფალავანზედა.

(R, 111).

ბ.

მეტი ვარ საღირიშვილი, ნუ მიმზერთ ტალავარზედა.
გადავალ, გადაფრინდები ბახტრიონს გალაგანზედა.
შვიდი არ მოვკლა კმალ-და-კმალ, გამცვალეთ თათრის ქალზედა.

(Bu).

ეს ნაწყვეტი ნაწილად შედის ბახტრიონის აღების ერთ ლექსში, რომელიც ასე იწყება: „ბახტრიონს სხედან თათრები, სიტყვას ამბობენ ძნელსაო“ და სხვ. (დაბეჭდა БИМА აკაკის კრებულში, 1900, №11, გადაბეჭდა ხალხ. სიტყვ. №30), რომელიც არსებითად განსხვავდება მეორე მის მიერვე დაბეჭდილი ვარიანტიდან, რომელსაც იგივე დასაწყისი აქვს (აქ: 24 ე).

ბახტრიონს გალაჟანზედ წინ-წინ გადაფრენა ფშაველსაც მიეწერება, როგორც შემდგომი ვარიანტი კმოწმობს:

დ.

ბიჭი ვარ გოგოლაური. ნუ მშინჯავთ ტალავარზედა.
წინ-წინ მე გადაფრინდები ბახტრიონს გალაჟანზედა.
თოფსა ვპკრავ ჯიმშელ ბატონსა, ზედ მივალ ფალავანზედა.

(X).

Xმა იგი დაბეჭდა ივერიაში (1888, №144) და გადაბეჭდა ცალკე წიგნში (გვ. 55). ამ ნაწყვეტის პირველი ორი სტრიქონი სმაც შეიტანა თავის წერილში ბახტრიონის აღების გამო (ივერია, 1888, №228). — 3 ჯიმშელ ბატონსა] ჯიმშელთ ბატონსა X.

Vსაც მოჰყავს იგი (თხზულ. III, 454); ოლონდ: 1 ნუ მშინჯავთ] რას მყურობ V; 3 თოფსა ვპკრავ ჯიმშელ ბატონსა] კმლითა ვცემ თათრის ბელადსა V.

მ.

ფშავეში ხარ, ბიჭად ვარგისხარ, არავინ გიცქერს ტანზედა.
ფეხს დაპკრავ და გადახტები ტრანტიტონ გალაჟანზედა.

(Rქ, №63).

ეს ერთი ნიმუშია იმისი, თუ რაოდნად შეიძლება გადაკეთდეს და გადასხვაფერდეს ხალხური ლექსი, განსაკუთრებით უცხო მხარეში.

პ.

ბიჭი ვარ გოგოლაური, რას მიცქერ ტარაველშია?
მოძალეს ძალას მივაყრი, მას ჩავეუდგები კვალშია.
ფექს დავპკრავ, გადაფრინდები ბახტრიონ გალაჟანშია.
მივიტან ჩემსა ალაშსა, დავეურჭობ ციხის კარშია.

(Q, ივერია, 1885, №8=49).

ზ.

თუში ვარ, მაგრამ კაცი ვარ, კიდევ ვჯობივარ ფშაველსა.
ფეხს დავკრავ, გადავერევი ბახტრიონს გალაჟანზედა;

- 5 ასი მომიკლავს ბელადი, ზედ მიწერია ზმალზედა.
თუ მომკვლენ, არას ვინაღელი. სისხლს დაღვრიან, განა რძესა,
მაგრამ კიდე იმედი მაქვს ჩემი სიათა თოფისა:
შიგ მიძვეს ტყვია იმედად მტრის გულზედ დასასობელად.
(ივერია, 1889, №236).

ჩაუწერია მარტყოფის მიდამოებში იქაურ მასწავლებელს.

6.

თუმი ვარ, მაგრამ კარგი ვარ, კიდევ ვეჯობივარ კახსაო.
ასი ვერ მოვკლა კმალ-და-კმალ, გამცვალე კახის ქალსაო.

(Sh. თუშეთში გაგონილი).

[გასწორებულია ა. შანიძის ხელით ნ. დამატებაში. რედ].

7.

დაეკრამ ფეკს, გადაეერევი ბახტრიონ გალავანზედა.
თუ ათი ლეკი ვერ მოვკლა, გამცვალე კახის ქალზედა.

(შაქრო, ივერია 1887, №21).

[ვარ. ი, ია ნ. დამატებაში. რედ].

26. ზეზვა გაფრინდაული (R, 93)

ბ.

ჭირსამც მახხარავ ზეზვასა, გაფრინდაულის შვილსაო!
საც ოშში დაეტანების, მარცხენ-მარჯვენა ჭრისაო.
სადაც არ სტანავ ზეზვაი, ლაშქარი ცუდად დისაო.

(G, 240).

27.

დაბეჭდილია R-ის მიხედვით (გვ. 91). ოღონდ მას იქ უშუალოდ მოსდევს ვარიანტი 28 ნომრისა. — ორი სტრიქონი ერთი თუშური ვარიანტისა ზემოთ დაიბეჭდა (24 დ, 18-19).

ბ.

კმალს ზვერავეს გაფრინდაული: „თორმეტი მოვკალ ამითა.
დოდი ალვანის მინდორი ავაესე თათრის ძვალითა.
მგელსა დავსცვითუ კვილები, ტურას ლოყები ჭამითა.“

(Sh).

ჩამიწერა 3.8.1908 წ. ს. კორკში (ჟინვანს ზემო 8-9 კლოპეტრი იქნება) კ ა ც ი ლ ა
ს უ ა რ ი შ ვ ი ლ მ ა . – 3 კვილები ასე იკითხება მის ჩაწერილში.

იგივეა არსებითად X (ივერია, 1887, №144, გადაბეჭდილი ცალკე წიგნში, გვ. 54,
და აგრეთვე სის მიერ ივერიაში, 1888, №228) და V (თხზულებანი, III, 454), სადაც
მხოლოდ: 1 თორმეტი მოკალა თათრები ეკოცე.

ოღნავ განსხვავდება „ლაზარე ბექაურის ნათქვამი“ (მოგზაური, 1901,
№16 და 7): 1 ზერავს ქვერავს; 3 დავსცვით დასცვიდა.

28. ზეზვას დაჭერა

დაბეჭდილია სის მიხედვით მას იგი გაუგონია გიორგი არაბულისაგან
(ივერია, 1888, №79; გადაბეჭდილია სის მიერვე ივერიაში 1888, №228).

ბ.

ამ ზამთარს ზეზვის ცხენმა ბაგა გამახრა კბილით.

თოფ დაქრეს გაფრინდაულსა, თორღე დარჩა ოქტრივით.

თორღეს წვეს გაფრინდაული, გამაგრდა ქვიტიკისავეით.

წამაიყვანეს ზეზვი, ბაგეს მაიხრავს კბილით.

5 გადმაველიეს გომბორი ნალარაითა, სტიერიითა,

ქალაქში შამაიყვანეს თამაშობითა, ლხინითა.

ზედი-ზედ შადგა თათრები: „ზეზვა გვაჩვენეთ!“ – იმითა.

ზეზვას ნუ სცინით, თათრებო, კიდევ აგავსებთ ჭირითა,

მაგდევდესთ, მაგაწუხებდესთ, მაგჩხელეკდესთ შუბის წვერითა.

(R, 91).

აქ იგი უშუალო გაგრძელებაა 27 ნომრისა.

ბ.

თორღეაშია ზის ზეზვი, ამაგრებს ქვიტიკისავეით,
თორღეაში ქართვლის ზიზანსა დაურბენს გოგოსავეით.

–

ზეზვაო გაფრინდაულო, ცოტა მოკლეო ენითა,

გაჭვირება რო შვიქნეს, ამოსარჩევო კელითა.

5 კარად არ გამოგიყვანონ, დააბალითონ ენითა.

გამოიყვანეს ზეზვი, დააბალითეს ენითა.

ციე-გომბორ გადაველიან თუა-შედლებილ ცხენითა,

ქალაქში ჩაიყვანიან დაფა-ზურნითა, ლხინითა.

- ჩამოსმენ ქარვასლაშია, ბავთ იღეჭავს კბილითა.
10 მოდიან თათრის ალღარნი: „ზეზვა გვაჩვენეთ თვალითა.“
„ზეზვა რად გინდათ, ძაღლებო? მკედარია თქვენის კელითა.
უნდა გენახათ ბახტრიონს, ბრუნავდა ლურჯის ცხენითა.
უკენ მოგდევდათ ზეზვაი, გჩხვერევდათ შუბის წვერითა.“

(Sh თ).

პაკვლე აზიკურიძისაგან გაგონილი 4. 9. 1913 წ. ს. ფარსმას. — ვარიან-
ტები მისგანვე გაგონილი: 10 ზეზვა გვაჩვენეთ] ზეზვაი ვნახოთ; 11 ზეზვა რად გინდათ]
რა ნახვა უნდა; 12 უნდა გენახათ ბახტრიონს] მაშინის რად არ ღნახილით.

დ.

- თორღვაი გაფრინდაული ამაგრებს ქვიტკირისავეითა,
კარზედ მოსულსა მოძალეს აბრუნებს ნახირსავეითა,
გულსა უმაგრებს ხიზანსა: „დაგირბევ გოგოსავეითა.“
არ მოგატყუონ, ზეზვაო, დაგიბალითონ ენითა!
- 5 ზეზვაი მოატყუესა, დაიბალითეს ენითა,
გძელ-ყანა ჩამოატარეს დაფა-ზურნითა, შტიერითა,
ციე-გომბორს გადაგავლიეს ძუა-შედებილ ცხენითა,
ქალაქს ჩამოგსვეს შუ-უბან, ბაგებსა მოსჭამ კბილითა,
უწყლობით შეწუხებული ნაშისა მოლოკავ დილითა.
- 10 მოდიან თათრის ქალები: „ზეზვაი ვნახოთ თვალითა.“
— თქვენ ნახვა, ძაღლო, რად მინდა? მოკლულ ვარ თქვენის კელითა.
მაშინ გენახათ ზეზვაი, ბახტრიონს რო ტრიალებდა,
უკან მოგდევდათ ზეზვაი, მოგჩხველტდათ კმლისა წვერითა.

—

- 15 ალვანში ციხეს აგებენ ქვიტკირის, ავურისაო,
შუაში გალოს ატანენ ნაჭერი ფრანგულისაო.
ალვანი თუმებს ღარჩება, ღმერთმაც მისცა და მფეემაცაო.

(ივერია, 1888, №220).

ჩაუწერია ა. ხანანაშვილს ბაბო (ვიორგი) თურქოძის ნამბობის მიხედვით
სოფ. ბასკიანში (!). ხანანაშვილი ყველგან თორღას წერს თორღვას ნაცვლად. ამას
გარდა პირველ სტრიქონში მოსალოდნელია: თორღუსა.

ე.

შენ, ზეზვაე გაფრინდაულო, მოკლე ხარ, თუშო, ენითა.
თუმებს რო გაუჭირდებათ, შენ დაგარჩევენ კელითა.

- ცივ-გომბორს გადაგიყვანენ ძუა-შაღებულ ცხენითა.
 ღაგსვეს ქალაქის მოედანს, ბაგეს ილერღამ კბილითა.
 5 მოდიან თათრის ქალები: „ზეზვა გვაჩვენეთ თვალითა.“
 ზეზვას ნახვა რად უნდა? მოკლული თქვენის კელითა.
 რატო არ ღნახეთ მაშინა, ბახტრიონს რომ ბრუნავდ ღურჯა ცხენითა,
 გალაკანს გურგლივ ურბენდა გამაღლებული შუბითა?
 ალვანის მინდორ ავესო ღოჯაი თათრის ძვალითა.
 10 მოგდევედათ, მოგაწუხებდათ, მოგჩხვლექდათ შუბის წვერითა,
 მგელსა დასცვითა კბილები, ტურას ღოყნ კორცის ჭამითა.

(Go).

3.

- კახეთში ზეზვაის ცხენმა ბაგა გამოხრა კბილითა.
 „ვაიმე, ჩემო პატრონო! ღამეს ათენებ ჭირითა.
 გომბორზე ჩამოგავლიეს სანთლითა და მაშხალითა.
 მოგდევენ თათრის შვილები: „ზეზვა გვაჩვენეთ თვალითა!“
 5 – „ზეზვა რა სანახავია, მოკლული თქვენის კმალითა?
 ზეზვა მაშინის გენახათ, როცა მოგდედისთ ცხენითა,
 მოგდედისთ, მოგაწუხებდისთ, მოგჩხვლექდისთ შუბის წვერითა.“

(X, ივერია, 1887, №193=190).

ზ.

ზეზვა რა სანახავია, თათრებო, თქვენის კელითა?
 ზეზვა გენახათ მაშინა, როცა მოგდევედათ ცხენითა.
 მოგდევედათ, მოგაწუხებდათ, მოგჩხვლექდათ შუბის წვერითა.

(V, თხზულ. III, 454).

29. მარტია მისურაული

ეს ის მარტია მისურაულია, რომელზედაც მე-15 ნომერშია საუბარი. ესეც გ ი გ ი ა
 გ ო გ ო ჭ უ რ მ ა ჩამაწერინა 21. 8. 1913. ს. კაკმატში. – 3 შინ რაით აღარ მოგვივა]
 ე.ი. ვაი თუ აღარ მოგვივიდესო; 4 მითხოს საკიდელს ჩამახკნისის, სანეს საკარგ-ყმოდ
 მოგვივა] სანე აღგილია, სადაც გუდანის ეჯარია. იქ საღუდემში მოიპოვება საკიდელი,
 რომელსაც მარტიას მოტანილს ამბობენ.

ბ.

ჭორმეშა(ვ)ს ტირის ქალები: „ქმოსტსა წვიმს, აქაც მოგვივა. ეხლა მოგვივა ზაფხული, მარტია ველად გაგვივა. სახ[ე]ლის მოყვარულია, ქისტეთს სალაშქროდ წაგვივა. ჭერთით საციდელს მოიტანს, სანეს ხატშიაც მოგვივა.“

(Lb).

საკიდლის ჩამოსხნას ერისთვიანების კოცასაც უკავშირებენ:

03.

მარტიას გამაუვლიან გარე-კახეთის მთანია, ერისთვიანებ უკოცავ, ცეცხლზედ დაუსხამ წყალია, საკიდელ ჩამაუვლეჯავ, სახლის უმტვრევევ კარია.

(H).

30. მამუკა ქალუნდაურის მოკვლა

დაბეჭდილია Rის მიხედვით (გვ. 138). – 1 შახფარავს გიორგ-წმინდასა თუშთა ელვარე ფარია] „გიორგ-წმინდაში გადმოვიდა თუშთ ლაშქარი“ R; 8 აქით გამიმშით, ქალებო] „მეშველად მომეტებულად დედაკაცი დგება, არ უშვებენ საომრად“ R.

ბ.

ქმლით არ მიგიშვეს, მამუკავ, შორით მაგკიდეს თვალია. თოფის ჭერემის ტყვიამა შორით დაგიძრა ტანია.

–

5 კელსა ნუ მამჭრით მარჯვენას: მარცხენა კელ ხო თქვენია. ჯაჭვსა ნუ წამყრით ტანზეით: ქვა-ქვიშათ-მიწათ ფერია. თოფსა ნუ ამკდით მქარზეით: ჭაუხში ნადირთ მტერია. კმალსა ნუ შამქსნით წელზეით: კევსურთად კაის მქნელია.

(G, 161).

ბ.

ტერელოს კმაი გავარდა: „თუშთა აიღეს ცხვარია. წერილოვანასა ჩაჰფინეს ბათირის ცხვარი თეთრია.“ ევა შეიტყო ბათირმა, მაღლა მიჰქონდა ცხენსა თავია.

- შუა გზიდან დაბრუნდებოდა, ლურჯამ დაქარგა ნალია.
- 5 წინ ცოლი მიეგებება, თვალად ლამაზი ქალია:
 „ბათირ, რა უყავ ცოლისი ძმაი, ან სამ ფარა რომ გეღვა ცხვარია?“
 – „არცა მინახავს ცოლისი ძმაი, ვერც თუშებს მოვკარ თვალაი.“
 – „ოკრად დავირჩეს ლურჯაი! მუკლად ვერ გყოლი ჩქარია.“
 ახლა შაიტყო ქალუნდაურმა, წელს შამირტყა კმალია.
- 10 ცხენი შაკმაზა ქალუნდაურმა, ქალთ დაულოცეს გზანია.
 წამოსწვდებოდა წყაროვანასა, შორით შესძახა კმანია.
 – „ნუ მოგვდე, ქალუნდაურო! ნოტოს დაგისხლეტო ყორ-ვაცისასა.“
- (AI, კვალი, 1897, №14).

დ.

- ცოლის ძმა ნაწიდარს გაეწირე დაჭრილი, როგორც მხალია,
 თავთა დაუბი საღარი ცხენი, ლაგამთ დასდიოდა ცრემლია.
- „ნოტო-ნუტოსი არა ვიცი რა. თუშნო, დაყარეთ ცხვარია!
 ან ცხვარსა თავი ანებეთ, ან მობრუნდით მეთოფარნია!“
- 5 დაბრუნდებოდა მექობაური: „თუშნო, გეჭირით თვალაი!“
 დაბრუნებულმა მექობაურმა შექხვია თოფის ალშია.
 – „იარალს ნუ ამყრი, მექობაურო, – სახელი მაინც შენია.
 მკრითა კირიმსა ნუ ამყრი, – კრიახში შუნ-ჯიკვის მტერია.
 წელთა ფრანგულსა ნუ ამყრი, – კეესურეთს კაის მქნელია.
 ტანიდან ჯაჭვსა ნუ გამქლი, – ჭალაში ქვიშის ფერია.“
- (AI, კვალი, 1897, №14).

ამ ვარიანტში რომ მე-3 სტრ.-ში ნოტო-ნუტოზეა საუბარი, იგი პასუხია მექობაურისა თუშებისადმი, რომელთაც თავის დანებების გულისათვის ნოტო შეუძღვევიათ ქრთამად (წინა ვარიანტის უკანასკნელ სტრიქონში). საყურადღებოა დ. ალბანელი ს შენიშვნა: „ამ სიმღერას დაბოლოება აკლია. მთქელმა ასე გადმომცა: ერთხელაც კიდენ გამაცოცხლა, მექობაურო! თუ მაშინაც მომკლავდი, მოგვდე და ნულა გამაცოცხლო!“ მაშასადამე, დ. ალბანელის მოამბე გულისხმობდა ა ვარიანტის ოთხ უკანასკნელ სტრიქონს.

31. ბერღია (R, 233)

თითქო აჯობებდა, რომ ეს ნაწყვეტი ნადირობის ამბებში გადამეტანა, რადგანაც ბლოელი ბერღია (რომელზედაც მომდევნო ნომერშია საუბარი) სრულებითაც არ უნდა იგულისხმებოდეს აქ. ამისი ვარიანტი უნდა იყოს №166.

32. ბერდია და კირჩლა სანეს (T)

ბ.

- ბერდია და კირჩლაი სანეს შაყრილან სმაზედა.
ქართული ჩამოღვარდნია წინასა მტერობაზედა.
ბერდიამ უთხრა კირჩლასა: „ვერცა შამოგხედი გზაზედა,
ჩემი მოკლია ფრანგული ვერ ვაპრიალე შენზედა.“
- 5 – „დღეს კი ლუდი ვსვათ, ბერდიავე, სანეს ჩემს ვსხვორთ სკამზედა.
მაგისა მაშინ ვიამბათ, სასწოროს შეგხვდათ გზაზედა.“
კვესურნო, გაარიგენით, ნუ გახყრით მტერობაზედა.
სხვათც ბევრ გაგირიგებავ გულანის ვჯვარის სკამზედა.
-
- ბერდიასა და კირჩლასა ტაბლა დაუდგეს ზიარი.
- 10 წინითი ჩხუტი ჩაუდგეს, შიგ ლუდი უდგას სეიანი.
ჩაუდგეს მეფანდურენი ყმაწვილნი ილეითიანი.

(C).

ეს უამბნია Cისთვის გოგოთურ ჯინჭარაულს ბარისაკოში 10.7.1925 წელს და თან შეუნიშნავს: „როსაც ხალხს სუფრა აქვს გაშლილი, მაშინ „ფეკზე ორ კაც უნდა იდგას და იმღერდას.“

ბ.

- ბლოელ ბერდია-დ' კირჩლაი სანეს შაყრილან სმაზედა,
ჩამაპვარდნიყო ამავეი უწინდელს მტერობაზედა.
ბერდიამ უთხრა კირჩლასა: „ვერცა შამოგხედი გზაზედა.
ეს ჩემი მოკლე ფრანგული ვერ ვაპრიალე შენზედა.“
- 5 – „ბერდიავე, – უთხრა კირჩლაამა, – ეხლა ლუდი ვსვათ ტკეაზედა.
ეგ მაშინ გაეარიგოდეთ, რო შავიყრებით გზაზედა.
ბევრს კი ვერ უპრიალებავ მოკლეს კირჩლაის ტანზედა.
ვერც აუყრავის აბჯარი, ვერც კმალ შამუქსნავ წელზედა.“

(Rფ, 173).

R შენიშნავს: „რადგან ეს ლექსი მე ხევსურულად მიმანჩია, ამიტომ სხოლიოს აღარ უკეთებ და ვისაც სურს ხირჩლას ვინაობა გაიგოს, ხევსურულ ლექსებში ექებოს“-ო (მხედველობაში აქვს 38 ნომრის შენიშვნა). – 4 ეს ჩემი მოკლე ფრანგული ვერ ვაპრიალე შენზედა], „ორივე კაი ბიჭები იყვნენ და ერთმანეთს სახელს ეცილებოდნენ“ R; 7 მოკლეს კირჩლაის ტანზედა]. – „მოკლია კირჩლა – ტანად დაბალი ყოფილა“ R.

დ.

ბლოს ბერდიაი და კირჩლაი სანეს შაყრილან სმაზედა.

ჩამოღევარდნით კამათი აღრინდელ მტერობაზედა.

ბერდიამ უთხრა კირჩლასა: „ვერ შაგეყარე გზაზედა,

ეს ჩემი მოკლე ფრანგული ვერ ვატრიალე შენზედა.“

5 „ბევრს კი არ უტრიალებავ მოკლე კირჩლაის ტანზედა.“

გაეარიგოდეთ, სოფელო, ნუ გავეყრით მტერობაზედა.

ბევრი კი გაგირიგებავ სანეს შაყრილნი ჯარზედა.

—

ბერდიასა და კირჩლასა ტაბლა დაუდგით ზიარი,

მას ზედა ჩხუტნი დაუდგით, შიგ ლუდნი იდგეს სვიანი.

(D, შიო კობაიძისაგან გაგონილი).

ერთი ვარიანტი ამ ლექსისა ჩაუწერია ანნა კაპანაძესაც ქართლში, სოფ. კლდე-კანებში (საისტ. და საეთნ. საზოგ. ხელნაწერი, № 2449, გვ. 17): „ვლოს ბერდია ზინჩლაი სანეს შეყრილან სმაზედა“ და სხვა.

33.

დაბედჭილია Rის მიხედვით (გვ. 131). R ასეთ შენიშვნას უკეთებს: „ზირჩლა ბაბურაული და ბერდია ჭორმეშიონი ორივე სოფ. ბლოდანა ყოფილან. ბერდიას სურდა შასცილებოდა სახელს ზირჩლას, მაგრამ, როგორც ხვესურები ამბობენ, „კირჩლა ძალიან ყოფილა.“ იმისი ხმალი ეხლაცა აქეთ იმის ჩამომავლებს.“ აქ რაღაც გაუგებრობის ბრალია ბერდიას ჭორმეშიონად გამოცხადება. ბერდია პირდაპირ ლექსშია ბლოელად დასახელებული („ჭორმეშიონი“ ხვესურული ფორმაა და ს. ჭორმეშავს მცხოვრებელს აღნიშნავს). — რაც შეეხება თვით ლექსს, მისთვის Rს სათაურად გაუკეთებია: „ბერდია ეტრაბახება კირჩლას.“

34.

ესეც Rის ჩანაწერია (გვ. 131). თითქო იგი პასუხიან ბერდიას კვეხნისა, რომელიც 33 ნომრადა წარმოდგენილი.

ბ.

კირჩლამ თქვა ბაბურაულმა: „დაკვრა ვისწავლე სტვირისი.

ყორისა წყალზედ ჩამოვედ, ბინდი არ იყო დილისი.

ქალ-ზალსა მოქვეეთასა ხანი არ მივე ძილისი.

შიოლას ლუდუშაურსა დილა გაუთენ ჭირისი.“

(C, გოგოთურ ჯინჭარაული საგან გაგონილი).

35. კირჩლა ბაბურაული

დაიბეჭდა Rის მიხედვით (გვ. 131). — 1 ტიტულის კიდურ გაკერიტეს მითხოვლთ ქალებმ ცქერითა) „კირჩლა რომ ქისტებზე იყო გადაკიდებული“ R.

36.

დაიბეჭდა Rის მიხედვით (გვ. 109). ვარიანტები:

ბ.

საძელის წვერზედ ვინ შახკედ? ვინ შასძარ ჯაჭვის საკელი?
იქნების ბაბურაული: კირჩლას უყვარდა სახელი.

(Sh).

ჩამაწერინა ს. ჯუთაში ა ხ ა ლ ა (დავით) უთურგასძე ი თ ი ლ ი შ ვ ი ლ შ ა (არაბულმა) 3. 8. 1913. — ვარიანტი მისგანვე გაგონილი: 2 კირჩლას უყვარდა სახელი] გაუს ბევრკან უქნავ სახელი.

გ.

კირჩლავე, გიძრახვენ კევსურნი: „ლურჯამ აქნივა სახელი.“
— „ახლა თქვენ მოგცემთ ლურჯასა, თუ ადვილია საქნელი.“

(Rფ, 173).

დ.

ვინ შაკდა საძელეში, ვინ შაძრა ჯაჭვის საკელი?
უთოოდ კირჩლა იქნება, ვაჟკაცს უყვარდა სახელი.

—

კევსურნი გიძრახვენ, კირჩლაო: „ლურჯამ გაქნივა სახელი.
— ეხლა თქვენი იყოს, კევსურნო, თუ ადვილია საქნელი.“

(Lb).

[ე ვარ. ნ. დამატებაში. რედ].

37. ლაშქრობა დაუგვიანდა

დაიბეჭდა Rის მიხედვით (გვ. 105). — 3 მჭედელ გვიკითხე ჯვარსაო] „მჭედელა (სახელია) ხევისბერი იყო და ლაშქრობის წინათ ჯვარს შეეკითხებოდნენ (ხატს, სალოცავს): გავიმარჯვებთ, თუ ვერაო. ამ მჭედელა ხევისბერს უნდა ეკითხნა ჯვარისთვის: გაიმარჯვებდნენ, თუ ვერა“ R.

ბ.

ჩასძახნეთ თემროზაულთა: ლურჯა დაბით მზასაო.
მკედარსა ლურჯაისასა საქმეს ნუ უყრით სხვასაო.
ზედ მასვით გამახელაი, სისხლიანს იბაშს კმალსაო.

(Sh).

ჩამაწერინა ჯუთაში ახალა თილილაშვილმა 3. 8. 1913. ამას მან უშუალოდ მოაყოლა: „საძელის წვერზედ ვინ შახედ...“ (36 ბ).

ბ.

თქვა ვინა: აღარ გაუდის ლალსა გუდანის ჯვარსაო?
კირჩლასა ბაბურაულსა, მაგის მოკლიას კმალსაო?
ეტყვიან მამესწვერასა: რად არ ავიბამ ზარსაო?
აწველა სახლის კაცებსა, შინით ფუნჩიას ძმასაო.
5 თემროზაულთას ჩასძახდეს: ლურჯა დაბით მზასაო.
მკედარი ლურჯაისათ საქმეს ნუ უყრის თავსაო,
შიშა გამახელიძე ცხვრებულ გავიჭრის თავსაო.
აბაი ლომნიაძე დიდღვლებს არ გაძლევთ ზავსაო.

(T, ბერდია არაბული საგან გაგონილი).

38. კირჩლას სიკვდილი

დაიბეჭდა R-ის მიხედვით (გვ. 107). – ტექსტისათვის: 10 წვერსა უსინჯვენ, ულვაშსა, ვეფხვისას ვეფერბოდა] „კირჩლას წვერ-ულვაშში ვეფხვისას უგვანდაო. ხევსურებს მოსწონთ ულვაშ-ამლილი, აჯაგრული ულვაში“ R; 12 მითხოს შემეტედ ჯდებოდა] „შემეტეს სხვა პატივისცემა ჰქონდა“ R.

კირჩლას შესახებ R შენიშნავს: „ხირჩლა შესანიშნავი გმირია ხევსურეთისა და ბევრი მშვენიერი ლექსიც არის იმაზედ გამოთქმული. ამას ისე შეშინებული ჰყოლია ქისტები, რომ სოფელზედ ბეგრად უძღვევით თითო ცხვარი და თითო ციკანი. ამათ უნდა თვითონ მიეყვანათ და ხირჩლას ხატში დაეკლათ ხორცს თემნი გაისწორებდნენ ერთმანეთში. შეიძლება ეს ბეგარი კომლურადაც ეხადნათ, ეს მორიგებაზედ იყო დამოკიდებული. ხირჩლამდე თოფები ყოფილა, მაგრამ უჩახმახო, უკვესო. თურმე მოკიდებულ აბელს დაადებდნენ და ისე ისროდნენ. ამისთანა თოფებს „მაშა“ რქმევია. ამისსეილი სუიკა ქისტი ყოფილა, მჭედელი. გადმოცემა ამბობს, ჩახმახი ზღვის პირზედ ეპონა, თავის თოფისთვის დაეკრა და გული დიდი ჰქონდა: აღარც ხირჩლასი ეშინოდა და აღარც სხვა მტრისა. ამიტომ, როცა ხირჩლა ბეგრის ასაღებად მისულა ამათ სოფელში, თურმე სუიკამ ნება არ მისცა. მაშინ იმის მოსაკლავად წასულა ხმლით ხირჩლა.

სუიკა თურმე ხნავდა და დაუძახა: ხირჩლაჲ, ნუ მოხვალ, თორემ მოგაკლავო. ხირჩლას ყურადღება არ მიუქცევია. — სადა გაქვს შენი მამა, შე რჯულ-ძალღოვო? მაშინ სუიკას გადმოუღია თავისი ტალ-კვესიანი სიათა, უსროლია და მოუკლავს. ქისტებს არა სჯეროდათ თურმე ხირჩლას სიკვდილი და უბრალო მოჩვენება ეგონათ მერე კი გაითქვა სახელი სუიკამ. ხირჩლას საკარგ-ყმოს კი დღესაც სდგამენ გუდანის ჯვარში ხვეისბრები და როცა ჯარი დაჯარდება, ლუღით სავსე კათხით პირველად ხირჩლას შესანდობარს ჩამატარებენ.“

ბ.

- ატირდის კირჩლაის ცოლი ლილიან-პერანგიანი:
„ვეუბენ: „მითხოს ნუ დახოლ, — გზაი გაქვ საკირკლიანი.“
არ დაიჯერა, წავიდა, გლეხი გადიდდა ცხვრიანი.“
მითხოში ამიშვილთა თოფი აქვ ჩახმახიანი.
5 თოფი სუიკამ დაცეცხლა, კირჩლა დაეცა კმლიანი.

—

დაეცა ბაბურაული, სრუ ჩაიშალა ჯარო.
მითხოში ამისშვილთა საღმერთოდ დაკლეს კარო:
„მავეკალით ბაბურაული, მითხოს მაცსხლიტეთ ღვარო,
კაკმატ იმედა მავკალით, სრუ ლაშქრის წინამძღვარიო.“

(B).

ბ.

- კირჩლაის ცოლი ატირდა ლილიან-პერანგიანი:
„მითხოს ნუ წახვალ, კირჩლაო, სახლ გიდგას საქონიანი.“
კირჩლამა არ დაიჯერა, — გლეხ გამოდიდდა ცხვრიანი.
5 სუიკას ამიშვილსა თოფი აქვ ჩახმახიანი.
გესრევდათ, არ დაგაცდენდათ, — გამართული აქვ ტიალი!

—

კირჩლა მოუკლავ სუიკას, არწივებ ეთელებოდა.
წვერსა უშინჯვენ, უღვაშსა: „ვეფხვისას გვეფერებოდა.
ტანად ცოტინა ყოფილხარ, დავლად თუ გვეჩვენებოდა.“

—

- ზეზე-გორ ამიშვილთა საღმერთოდ დაკლეს კარო:
10 „ჩვენა მოკვალით კირჩლაი, მითხოს მოვსხლიტეთ ღვარო,
ბაჩაყი, ჭორმეშიონი, ლაშქრისა წინამძღვარიო.“

(C, გოგოთურ ჯინჭარაული საგან (?) გაგონილი).

ატირდა კირჩლას ცოლი ლილიან-პერანგიანი:
 „მითხოს ნუ წახვალ, იცოდე, გზანი გქონ სახვევიანი.“
 არ დაიშალა კირჩლაძე, გლეხები გამოქდა ცხვრიანი.
 „დუტილს კნენ ამათ შვილები, თოფები აქე ჩახმახიანი.
 იცოდე, მოგკლვენ, კირჩლაო, დავრჩები ოკერ-ტიალი.“

(Lb).

39. კირჩლას ქალი ტყვედ

დაბეჭდილია Rის მიხედვით (გვ. 121). R შენიშნავს: „ხვესურის ქალები და მათ შორის ხირჩლას ქალიც ლეკებს წაუსხამ ტყვედ. ქალები თურმე არ მისდევდნენ. ამისთვის ერთი ქალი მოკლეს თურმე კიდეც. ხირჩლას ქალმა უთხრა ამხანაგებს: ქალებო, გავყვეთო, თორემ შატილელები გაიგებენ, მდევარი გამოგვეყვება და ვაი თუ ლეკებმა მოკლან ვინმე და მაშინ იმათი ცოდვა ჩვენ დაგვედებო. ხვესურს ძვირად უღირს სიცოცხლე თვითუღი წვერისა და ამიტომ აქებს ხირჩლას ქალის საქციელს. წასულან პატრონები და გამოუსყიდნიათ ის ქალები სისხლის დაუღვრელად.“

40. შიოლა ღუღუშაური

დაბეჭდილია Sის მიხედვით (ივერია, 1888, №84). გაუგონია ბ ა დ ი ა ბ ა ლ ი ა უ - რ ი ს ა გ ა ნ . - ტ ე ქ ს ტ ი ს ა თ ვ ი ს : 8 ო რ ი გაწოვის დედამა, არა გაგწირა ერთზედა] „ერთს არ დაგაჯერა, ორივე ძუძუთი გაგზარდა დედამაო. ვაჟაკებზე იტყვიან“ U.

41.

დაბეჭდილია Rის მიხედვით (გვ. 117)

42. შიოლა და მთრეხელი

დაბეჭდილია Gის მიხედვით. მას იგი გაუგონია მოხვეის ბ ი ჭ ა ღ უ ღ უ შ ა უ - რ ი ს ა გ ა ნ 8. 7. 1925 სოფ. სნოში. ბიჭა ამ დროს, ბესარიონის ცნობით, 94 წლისა ყოფილა. ბიჭას ნაამბობის თანახმად, შიოლა, სხვათა შორის, „არ იღებდა ბევრად დაკლულ კარის მარცხენა მკარს, თუ მარჯვენას არ მიუტანდა კარის პატრონი.“ იგი იმდენად ზნე-დაცემული ყოფილა, რომ ძველი ხალხური ლექსი ასე მიჰმართავსო:

არც ქალს უშობდი, არც რძალსა, არც ბაღლსა შვიდის წლისასა.

„შიოლას ბეგარ უზიღნავ გუდამაყრით, მთიულეთით, ოსეთით მარტო გუდამაყარში ჯალაბაურს არ მიუცავ ბეგარი, ძალ შამაუთელავ შიოლაისად. მისულ კაცისად უთქომ, რომ შიოლას ეგრე მითქვიდე: თვითონ გარმობრძანდი და ჯალაბაური მოგცემს ბეგარს, როგორც შენ გინდაო.“ გაჯავრებული შიოლა ამდგარა და წამოსულა ჯალაბაურის დასარბევად, მაგრამ გზაში შეხვედრია არხოტელ ხევსურს მთრეხელს, რომელიც ათნეგნობის გამო გათხოვილ დასთან მიდიოდა სტუმრად სოფ. სიონს. შიოლას მოუნდომებია არა მარტო ცხენის წართმევა, არამედ მშვილდ-ისრისაც. მთრეხელს არ დაუნებებია და შემოჰკვდომია შიოლა. ამის შემდეგ მთრეხელი წასულა და, ბიჭას სიტყვის თანახმად: წყეულს ციხესთანით არ შემოუძახნიაო: „აბაო, სწოველებოო, შიოლა მოგიკალითო!“ გაცეცხლებული ღუღუშაურებისაგან თავის დასაცავად მთრეხელს სოფ. ახალციხის ყოვლადწმინდის ეკლესიაში მოუნდომებია თავის შუფარება, მაგრამ იგი დაკეტილი დაჰხვედრია. „კლიტე ვერ გაუტეხავ, მშვილდიც იმ კლიტის ისრის დაკერის დროს გასტეხვი, გადამხტარ და პირდაპირ შიოლაის დის ბანზე შამქდარ. ქალს ვერ ტირილ დაუწყავ, რომ ძმის მამკლავ უნახავ. მემრ იქავ დაღანანებივ, შაუნახავ სახლში მთრეხელი. მოსულან ღუღუშაურნიც. ქალ კარზე დაზღგომივ: სტუმარივ, ნუ მახკლავთავ. მღევართ არ დაუშლავ. მთრეხელს რო შუტყოვ, მკვლენავ, გარმახტომივას წინ ლაშქართ, უთქომ: აბა, თუ თქვენ ხალხი და ვაშაკეცი ხართ, უიარალოს კი ნუ მკლავთ, ერთი მშვილდ-ისარი მამეციოთ კელში და მემრ გაიგებთ, თუ ერთი გადამჩებით.. რაილ გავაგრძელა? დახკერეს ისარი მთრეხელს. ქალმა მამულნი მისწყვიენა: სახლში სტუმარი მახკალით, დაიცათ, წყეულნო! არ შეგარჩენთ! ერთხან ხო იქნების, მომივას ქმარიც შინ. ქალმ სოფელი შაყარ, აიღეს მთრეხელი, წამოიღეს არხვატს. შიოლას დამ, ქერეეთ ზალმა, დაუყენ წინ მკვდარს მთრეხელს ქორა თავის კარი, სამთრეხლოს მთამდი მახყვ, მთაზეთი დაბრუნდ. უთხრ მთრეხელს: ღმერთმა გაცხონას, მთრეხელო, სტუმარო, ჩემს სახლში დახარჯულო! მალე კი ამავიყრი ჩემ მამულთ ჯავარს.“ ამ ქალის ქმარი, ქერა, ამ დროს სანადიროდ ყოფილა. დაბრუნებულს მოკლული ვაცი მიუტანია. ცოლს ამბავი დაუხვედრებია და დაუვალებია თავისი ძმის მოკვლა. — ცოლის ძმას აბა როგორ მოვკლავო? უპასუხნია ქმარს. — არ მოჰკლავ და მე შენთან ცოცხალი ვერ ვიქნებო. ცოლის დაჟინებული მოთხოვნის თანახმად, ქმარი წასული სნოს და დაბრუნებულს ცოლი მოუტყუებია: ვერ ვნახუო. ცოლი არ მოშვებია. ქმარს მეორედაც ისევ უქნია. მაშინ ცოლს მკაცრად განუცხადებია: „რჯულის დაკარგვას, ხალხში უქედოს სიარულს იქავ ძმის სიკვდილი მიჩრე, ქერეეთ გვარს ხალხში აღარ გაეგვალისთ, ხალხ ვეტყვისთ: სტუმარი სახლში მაგიკლესთ და ვერაი ხქენით. მაუკლავად არა გვეშველების. დაღონებული ქერა ადგა მესამედ და მოკლა ისრით ცოლის ძმა სნოში.“ ახლა ამან გამოიწვია ღუღუშაურთ მხრით სისხლის ძიება, რასაც შედეგად სამ-სამი მკვდარი მოჰყვა: სამი ქერეეთი და სამიც ღუღუშაურთი. „ეს ამთვენ ჯოცა სრუ სტუმრის მოკვლამ მაიყოლა... ეს ქალის ძმა, რომელიც ქერამ მაკლ, იყო მთრეხელის ისრის დამკრავი და მამკლავი, შიოლას ალალი ძმა.“

- შიოლაე ღუღუშაურო! სკამს იჯექ ერისთვისას.
 ახლა რა ღმერთი გაგიწყრა? მონასა გეგხარ ღვთისასა?
 არ გაგიშვია მორეხელი, კეცს მიმავალი ღისასა.
 ცხენი სთხოვე და დაგიტმა, შეილღს რაღას ართმევე რქისასა?
- 5 შეილღი არ დაეთმიება, — ადგილს ღვას ნაპირისასა.
 დაგიჭირა და გულსა გკრა ბატონსა აჩხოტისასა.
 „აქამდე სჭამე აჩხოტი, ახლა მე გაჭმევე ქვიშასა.“
 ტანზედით ახეჯარს ვინ ამყრის? ვამ ღვდას შავის ყმისასა!
 ცხენზედით ვინ ჩამომკლნეს შავ-ბიჭსა მორეხელისასა?
- 10 მიგმართავ ყოვლად წმიდასა, შეწვენას ვითხოვ მისასა.
 კარები ღია არ დაძხვდა, კარები ძღვთის შობლისსაცა.
 „ნეტავ, არ შეიხვეწიებს ძმისა მომკვლეელი ღისასა?“
 — „როგორ არ შეიხვეწიებს? ვამ დასა შავის ძმისასა!“
 მოსდევდენ ღუღუშაურნი, რისხვასა გვანდენ ღვთისასა.
- 15 „ნუ მახვალთ, ჩემო მამულნო, ნაწნავს ნუ მომჭრით თმისასა!“
 კარებით არვის გაუშვებს. საკომით უკრვენ ისარსა.

—

უბნობენ წამოქცევასა იმ ახალ-ციხის კლდისასა,
 შიგ მომწყვდევესაც ამბობენ ბებერის ჩაბადისასა.

(კალმის - წვერა, ივერია, 1902, №124).

კალმის-წვერას (ა. კობაიძეს) ამ ნომერში მოთავსებული აქვს ფელეტონი შიოლა ღუღუშაურის შესახებ, სადაც ზოგიერთი დეტალი არ ეთანხმება ბეს. გაბურის ცნობას. სახელდობრ, მისი ცნობით, თითქო მოხვევებს გადაეწვევით მოძალადე შიოლას მოკვლა და შეესყიდოს ერთი შიოლასთან დაახლოებული ხევსური, მორეხელი, რომელსაც ფიცი ჰქონდა ნათქვამი შიოლას გათხოვილ დასთან. თემის შესყიდულ მორეხელს აუღუღებია ღული და ძღვენი წაუღია შიოლასთან. ღალატის ამბავი შიოლას გაუგია და როდესაც, აჩხოტს სანადიროდ მიმავალი, გზაში მორეხელს შეკხვედრია, უკითხავს: სა მიგაქვს ძღვენიო. მორეხელს უპასუხნია: თქვენს დასთანაო. — პო ვიცი, რაც ძღვენი მოგაქვსო, უთქვამს შიოლას და მხლებელთათვის უბრძანებია, ცხენი წაერთმიათ მორეხელისთვის. ამის შემდეგ მშვილდ-ისრის ჩამორთმევაც მოუნდომებია. — ტ ე ქ ს ტ ი ს ა თ ვ ი ს : I სკამს იჯექ ერისთვისასა! „ერისთვიანთ ურუქებით სკამი სახსოვრად, ანუ ჯილღოდ განსაჯობისათვის და მხნეობისათვის და ამ სკამს დიდი სახელი ჰქონდა მოაოებელი ღუღუშაურთა გვარში და მთლად გვარეულობა თურმე იჩემებდა აზნაურობას“ (კალმის-წვერა). —

ცოტა ქვემოთ, იმავე წერილში ორი უკანასკნელი სტრიქონი გამოორებულია სხვაგვარად:

ამბობენ წამოქცევასა იმ ახალ-ციხის კლდისასა.

შიგ მოტანასაც უბნობენ ბებერის ჩაბადისასა.

იგივე ლექსი ა. კობაიძემ მეც ჩამაწერინა სიონში 31.7.1913. — მომყავს ეა-რიანტები: სკამს იჯექი შკამს ზიხარ; 10 ყოვლად წმიდასა] ყველა-წმინდასა; შეწვენას] შეველასა; 12 ნეტავე] ნეტარ; მომკვლელი] მომკლავი; 14 მოსდევენ] მოსდევდეს; გვანდენ] გვანდეს; 15 ნუ მოხვალთ] ნუ მახოლთ; 18 შიგ მომწყვდევასაც] შიგ მოტანასაც.

ბ.

ნეტამც შენ, ღუღუშაურო! შკამს ზიხარ ერისთვისასა.
არ გაგიშვია მთრეხელი კეცს მიმავალი ღისასა.

—

„მოეხკლავ და მოეხკლავ ბატონსა, ბატონსა აჩხოტისასა.
აქამდე ჭამა აჩხოტი, ეხლა მე ვაჭმევ ქვიშასა.“
5 მაცივიდეს ღუღუშაურნი, რისხვასა ღგვანდეს ხთვისასა.
იარაღს კელი გაიკრეს, ელვა დადგება ცისაცა.

(Sh. მოხ.).

ეს ნაწყვეტები მოიგონა ი ა გ ო რ ღ უ ღ უ შ ა უ რ მ ა ს. სტეფან-წმინდაში 14.7.1913.

ღ.

შიოლა ღუღუშაურო, სკამს იჯე ერისთვისასა.

არ გაგიშვია მთრეხელი კეცს მიმავალი ღისასა.

ერთი გადაჰკრა მთრეხელმა ბატონსა აჩხოტისასა.

„აქამდის სჭამე აჩხოტი, ეხლა მე ვაჭმევ ქვიშასა.“

5 დაბრუნდა, უკენ გაიქცა ქერ-ბელელაისძისასა.

„ნეტარ, არ შეიხვეწება ძმისა მომკვლელი ღისასა?“

„შამოდი, შაიხვეწება ძმისა მომკვლელი ღისასა.“

მისდევენ ღუღუშაურნი, რისხვასა ჰგვანან ღთვისასა.

წინ დაი გერდეელობა: „ნაწნავთ ნუ მამჭრით თმისასა.“

10 კარით მან აღარ გაუშო, საკომლით უკერენ ისარასა.

(D, გაგონილი გახუტა ხეთაგური საგან).

ჟ.

აქამდე, ღუღუშაურო, სკამს იჯე ერისთვისასა,

ეხლა რა დამართებია? მსახურსა ღგვიხარ სხვისასა.

არ გაუტეიე მთრეხელი კეცს მიმავალი ღისასა.

ცხენი მასთხოვე, შენ მაგცა, მშვილდს რადა-ღ სთხოვიდი რქისასა?

- 5 მშვილდ თავად უნდა მორეხელსა, ნაპირის ადგილისასა.
დაიკრიფა და გულს დაგკრა ბატონსა აჩხვატისასა:
– „აქამდე სჭამე აჩხვატი, ეხლა მე გაჭმევ ქვიშასა.“
ამანდით გამობრუნვილი დაელნებას ღვაე ცისასა.
მასდევენ ღუღუშაური, გარისხებას ღვეან ღთისასა.
- 10 მიღმართა ყოლოწმინდასა, ღედას, მშობელსა ღეთისასა.
კარნ არ დაუხედეს ღიანი ნაგებსა თლილის ქვისასა.
გაუშვი, შაიხვეწების ძმისა მამკლავი ღისასა.
„ნუ მახკლავთ, ჩემო მამულნო, ნაჭანს ნუ მამჭრით თმისასა!“
კარისას არ შაუტენა, საკმით დაუკვრენ ისარსა.
-
- 15 ამბობენ ჩამოქცევასა ახალციხურის კლდისასა,
შიგ ჩაჭერასა ამბობენ ქერ-ბელელაისძისასა.

(T).

3.

- შიოლა ღუღუშაურო, ბატონო აჩხოტისაო.
ჯორი წაართვი მორეხელსა, მშვილდს რადა სთხოვდა რქისასა?
მშვილდს არ გაიღებს მორეხელი: ნაპირს ღვას ალაგისასა.
დაიბრუნა და გულს დაკრა ბატონსა აჩხოტისასა:
- 5 „აქამდე სჭამე აჩხოტი, ახლა მე გაჭმევ ქვიშასა.“
მადევენ ღუღუშაური, რისხეასა გვანან ხეთისასა.
მიმართა ეკლესიასა, ნაგებსა ბასრის ქვისასა.
კარნი არ დახედენ ღიანი, „ვამ ღედას მორეხელისასა!
ნეტარ, არ შაიხვეწებსა ძმისა მამკლავი ღისასა?“
- 10 „შამოდი, შამოგიხვეწებ შენის მოკლულის ძმის მზემა!
დაბრუნდით, ჩემო მამულნო, ნაწნავს ნუ მამჭრით თმისასა.“
კარიღან აღარ შაუშო, საკმიდან დაკვრენ ისარსა.

(Sh. გუდ.).

ჩამაწერინეს ს. ღუმაცხოში 16.6.1913. ამას დასძინეს: „როცა მოსულა შინ ქმარი (შიოლას სიძე): რად მომიკლეს სტუმარი და რად მომჭრეს თავიო, უთქომ და მოუკლავს ერთი ცოლეურთო.“

4.

აქამდე, ღუღუშაურო, სკამს იუე ერისთვისასა.
ახლა კი დარუყებულხარ, მსახურს გაფერე სხვისასა.

(Rფ, 229).

- შიოლა ღუღუშაურო, სკამს დასჯე ერისთვისასა,
 აზნაურობას ხფიქრობდი, ბატონობას მოკებისასა,
 მომმეთ მონობას ხფიქრობდი, გარიყვას ნამუხისასა.
 შენ არ იცოდი, მოკენი ყმობას არ იზმენ ცხვისასა:
- 5 სისხლის მწოველსა ბატონსა მსწავლებს ჩვენ უზღენით ჭკვისასა,
 აზნაურობის ძებნაჲ გზას მაგცემთ სამარისასა.
 კარკუჩით მოდის მთრეხელი ღუღუშაურის ძისასა,
 ცხენსა ზის, როგორც ფრინველი, არწივს შედგევანდა ცისასა,
 მილოლაკს, როგორც ნაგრილი, მინდორსა აჩხოტისასა.
- 10 მალ მიახლოვდა აჩხოტსა, სადგურსა დეგ-გმირისასა.
 ბანით დახკივლა შიოლაჲ: „შენ შურს იძიებ ვისასა?
 აქ მოდი, მომე პასუხი, გულს მე ჩაგიდებ თხისასა.“
 – „მოვალ და კიდაც მოვისპობ ბატონობას წუთის ხნისასა.“
 მალ მიაბრუნა მერანი მტერთან პირდაპირ ცდისასა.
- 15 ბანით ასროლა შიოლაჲ, ცხენს მოჰხვდა თოლის ქისასა,
 წვერი ტვინამდი შევიდა, – ძალა აქე ორბის ისარსა.
 ცხენით გამაქდა ჭაბუკი, სწრაფად მააძრობს ისარსა.
 ვაჟმაც მალეღვე შესტყორცნა, უარ არ იყო მისასა.
 გულ-მკერდი გააკერეტინა, კისერს უწია ყმისასა.
- 20 ბანიდან გადმიაარა: „ბატონს ეგ უნდა მთისასა.“
 უკენ მაბრუნდა მთრეხელი, სისხლს აღარ ნდომობს ცხვისასა.
 მივიდა ახალ-ციხეჲ. ახლა შევიდეს ვისასა?
 მიღმართა ყველა-წმინდასა, დედა მშობლისა ხთვისასა.
 კარნი არ დახვდა ღიანი ნაგებსა თლილის ქვისასა.
- 25 მიღმართა ქელ-ბელეღეთა თავის მაკლულის დისასა.
 „ნეტარ, არ შიხვეწება ძმისა მამკლავი დისასა?“
 – „შემოდი, შეიხვეწება, სულს გეფიცები მისასა.“
 ისე უშიშრად შევიდა, როგორც რო თავის დისასა.
 დიაცმა კარი მიჯარა, კედას მიუგდებს ხისასა.
- 30 მასცი(ვ)აღეს ღუღუშაურნი, კარებს ქეებს სცემენ კლდისასა.
 „გააღე, თორო შენც მაგკლავთ, დღეს დავიბნელებთ მზისასა.“
 ეხვეწებოდა მამის ძმათ: „ნაწნავთ ნუ მაძკრით თმისასა.
 შაფარებული სტუმარი უნდა იფიქრათ ვისასა-ა.
 თუ არად ავდებთ სირცხვილსა, რას ხფიქრობთ ჩემის ქმრისასა?“
- 35 ის არ შეგარჩნეთ სტუმრის თავს, წესს არ დაარღვევს მთისასა.“

საკომლით უკრეს ისარი, სისხლის პატრონი ავია.

- თორმეტი მოხვდა მთრეხელსა, დაკრიტეს როგორც ცხავია.
მეტად შესწუხდა დარეჯან, კედელს აგალა თავია,
სდიოდა ცრემლის ნაკადი, სიტყო გულთ გამამზრავია.
- 40 თმებს იგლეჯს გამწარებული, მოსწყდა დარალის კავია.
მივიდა, კვნესით გააღა კარი ოჯახის მცავია.
გამაუარდა ცულ-აფთრით ქალი ეფხივით ავია.

—

- მოვიდა ქელ-ბედელაი, ის მონადირე მთისაო.
ზურგთა ხეილია ნადირი, ჯიკვია ათის წლისაო.
- 45 ცოლს უთხრა: „ქალო, რას შერები, ვის ემუქრები, ვისაო?“
— „სნოვლებსა გასაწყვეტლებსა მადლი გაუწყრეს ხთისაო!
სტუმარი მაკლეს ჩემს სახლჩი, ას-კეცი ჭირი მჭირსაო.
წადი და ერთი მაუკაღ, ჯიკვი დააგდე ძირსაო.“
გადაგდა და წავიდა, ირემსვით მარდად ბტისაო,
- 50 მალ მიეწია სნოვლებსა, იქვე სნოს ციხის ძირსაო.
შორით დახკიელა: „დადევით, თავზე ნუ იხვევთ ჭირსაო.
რად ხელავდით სტუმარს ჩემს სახლჩი? მოდიო, მითხარით პირსაო.“
სნოვლები ციხეს მიდიან, ერიდებიან გმირსაო.
შორით ასროლა ისარი, ერთი დაგორდა ძირსაო.
- 55 წავიდა. მილამ შინ მივა, გულჩიგა ისრიე ხეკირსაო:
„ნეტარ, რად მაკლეს სტუმარი? ვის სახლჩი ხელავდეს ვისაო?“
სახლჩი მივიდა. დიაცსა წყაროსვით ცრემლი სდისაო.
მაში შეხკითხა: „რად მაკლეს, თავს რად იდებდეს ჭირსაო?“
დიაცმა ვერ თქო პასუხი, გულ-კვნესით ამასტირსაო.
- 60 მეზობელთ უთხრეს ამბავი, მაში დამშვიდდა ისაო.
„რად არ იცოდეს უბედურთ, ვის შეეფარა, ვისაო?
ჩემს სახლჩი შურის ძიება არ დაუღევდა ჭირსაო.
უთხარით: შური ვიძიე, დადუმდეს, ნულარ სტირსაო.“
რა დააუწრებს უბედურს, ჭირი ესართვის ჭირსაო.

ივანე ფიცხელაური (D).

როგორც ჩანს, ეს ლექსი ახლად გაკეთებულია ძველი თქმულების ნიადაგზე. მოლექსეს ნაწილობრივ გამოუყენებია ნაწყვეტები ძველი ლექსიდან, რომელიც ამავე საგანს შეეხება და რომელიც რამოდენიმე ვარიანტადაა მოყვანილი. შეიძლება ითქვას, რომ ამისი ავტორი თითქო ლიტერატურულ ძეგლებს იცნობს და მათი გავლენის ქვეშ იმყოფებაო („მერანი“ 14, „ჭაბუკი“ 17).

ეგვეე ამბავი პოემად აქვს გადაკეთებული ბ ე ს ა რ ი ო ნ გ ა ბ უ რ ს („მოილა და მთრეხელი“). რომ დიდი არ იყოს (387 სტრიქონია, რაიცა დაახლოებით ცხრა გვერდს დაიჭრდა), აქვე მოვიყვანდი.

43. ვაჟუსძის მოკვლა თორღვას მიერ

დაბეჭდილია ჩემი ვარიანტი (Sh), რომელიც ჩამაწერინა მინდია ქისტაურმა 11. 8. 1913 თვალისში. — მინდიას სიტყვით, თორღვა კონსტანტინე ბაგრატიონის ნაბიჭვარი იყო.

10 ქმლი თავითი დაგიღვა, ნაბად გაგხურა (ცვიანი.) ვაჟუსძეს, მართალია, პირველად ხმალი წაურთმევია თორღვასთვის, მაგრამ თორღვა ხელ-და-ხელ სცემია და ლექისთვის დანა დაუტრავს. შემდეგ ხვესურს თორღვას აღარ მოუსურვებია თავისი ხმლის დაბრუნება, რადგანაც წანართმევი იყო მტრის მიერ. ის კი არა, ნაბადიც გადაუხურავს გულადი მოწინააღმდეგის პატივისცემის ნიშნად; 12 ირემი თეირთვილიანი] ვითომ: ოფლი რთვილად შეაყარაო; 15 აქ მეორე ნაწილი ლექისისა აკლია, — მოამბემ არ იცოდა; 21 ძალიან ნუ გაზდილდები...] ეს სტრიქონი მოამბემ მე-17-სა და მე-18-ს შორის მოაკეთა.

ბ.

დაჯე, დაგვექსენ, ვაჟუსძე, თუშეთს იქმარე რიალი, ქევსურეთ ნულარ გარმახოლ, გზანი გქონ საქრიქიანი. არ დაიჯერებ, გარმახოლ, არ იყავ დავლათიანი:

- 5 შამაგვეყრება თორღვაი დილაზედ თეირთვილიანი, მარცხნივ მქარ გამოგვიარა, მარჯვნივ მქარ გიყო ზიანი, გულს დაგცა ქომა ხანჯარი, მიწა გაჭმია მტვრიანი, დგნალონის ჩდილში გაგწირა, ნაბად გაგხურა ცვიანი, თავითი ყორანნ მაგისხნა: „გალო გახარით წენიანი!“
- 10 თაოდ არჭილოს გავარდა თორღვაი მარჯვეებიანი. არჭილოს ქალნი ულოცვენ: „სად იყავ მქლაე-სისხლიანი? — „ვაჟუს ძემ ქმლი წამართო, შინ მოოლ სირცხვილიანი.“

— ვაჟუს ძის გარდამღებელო, თორღ[ვ]ს, რა გქონდა ფარადა?

— „სამქლაევენ მიფარებიან, დაშნა მქონიყო ქმალადა!“

თორღვას უბარებს ბატონი: „თორღვა, ჩამოედ ბარადა!

- 15 ცხენსა ჩემს მოგცემ, თორღვაო, ერთიც ვერ სჯობდეს თვალადა.“

ამაგ სიმღერის მათქვამი არჭილოს ქალ ვარ თმიანი.

ცოლადა წამაგვივიდოდ, მაგრამ ვარ კვეთილიანი.

სალექისოდ გამამილალე საყური ზინზილიანი.

ქებასა არ მაგიშლიდი, თუ კიდევ სად ხქენ ზიანი.

(U, ივერია, 1888, №121).

უს იგი ვაუგონია ბათაკა არაბულისაგან. ამ ლექსში შემავალი სტრიქონები 12-15 წარმოადგენს 45 ნომრის ვარიანტს.

ბ.

- დაჯე, დაგვექსენ, ვაჟისძე, თუშეთს იკმარე ზიანი!
ახლა კეცსურეთ გადახვე, ადგილი ღნახე კლდიანი,
ჯოჯინის ღელე შაუკარ, გზა არის საყელიანი.
მაგივა თუთქიაური, ირემ მალბიჯავს რქიანი.
- 5 თოფი ესროლე, ვერ დახკარ, დაგიხვდა დაულათიანი.
შამაგივიდა კელადა ენითაც ილეთიანი,
კმალი შენ მოგცა, ვაჟისძე, დანა დამალა ფხიანი,
მარჯენითქე ჩამაგიარა, მარცხნისქე გიყვა ზიანი,
გულს დაგცა მჭრელი ხანჯარი, მიწა გაჭმია მტერიანი,
- 10 გაგწირა ღგნალოენის ჩდილ, ნაბად გაგხურა ცვრიანი,
თავით დაგისხა ყვარნები: „გალო გახარით წწინანი!
ვაჟისძე შაინახილით!“ ზედ სხვანიც მავლენ მქრიანი.
თავად არჭილოს გაეარდა თორღვაი თვირთვილიანი.
არდოტს მშვიდობას ხკითხვიდეს: „სით მოხველ სახელიანი?“
- 15 – „რად მკითხავთ, არდოტელუბო? მე მავალ სირცხვილიანი,
კმალი წამართვა ვაჟისძემ, დანა დავმალე ფხიანი.“
– „გეტყობის საუბარზედა, თორღვაგ, გიქნავის რიალი,
ვაჟისძე ღალატით მახკალ, სად გასწირ სისხლ-ტიგრიანი?“
-
- ემგე შაირის მათქომი ქალ გომეწრელ ორ თმიანი,
20 შაიტყვე, გამამიღალე საყურე კადუმიანი.
ცოლადაც დაგიჯდებოდი, არ ვიყვა კვეთილიანი.
შაგაქი, ნუ გასდიდდები, მამა მეცა მყავ კმლიანი,
სამთ შახკრავს შენისთანათა ჯაჭვიანთ პერანგიანი.

(R, 84).

20 კადუმიანი] სხვა ვარ: ზინზილიანი R. – უკანასკნელი სტრიქონი ამას მოვეგაონებს: 321, 3-4.

ვაჟისძე „თუში ყოფილა, ხეცსურეთში უთარეშნია, უწიოკებია და უცარცვია ხალხი. ეს ღალატით მოკლა თორღვამ. მაგრამ თორღვამ უარესი ღლე დააყენა ზალხსა, სანამ ჩონთას ისარმა გული არ გაუგმირა ამ სისხლის მსმელსა“ R.

დ.

არ დასდევ, ოზუზიარ, თუშებშია კქენ ზიანი.
ახლა კეცსურეთს წამოხვე, მთა მოგცეს საყელიანი.
შამოგეყარა თორღვაი, შენკ უფრო სახელიანი.
კმალი შენ მოგცა, უზუზი, დანა დამალა ფხიანი,

- 5 მარჯვენისას წამოგვიარა, მარცხნისას გიყვებოდა ზიანი, დგნალოვანს წამოგაქცია, ნაბად წაგხურა ცვრიანი. თავად ბაკურზე წავიდა მანძილა რქა-ჯანგვიანი.

(Tფ).

2.

- არ დაქდევე, ზაზულიაო, თუშეთს ბევრი ჰქენ ზიანი. წამოხველ ქვესურეთისაკ, გზა დაგხვდა საყელიანი. წინ თორღვა შამოგვეყარა, ლეთისაგან სახელიანი, ქმალ მოგცა, დაგადალატა, დანა დამალა ფხიანი,
- 5 მარცხნისაკ ჩამოგვიარა, მარჯვენისაკ გიყვებოდა ზიანი. დგნალოვანს შამოგაწვინა, ნაბად გაგხურა ცვრიანი, თავით დაგისვა ყორანი: „გალო გამოხარ წვინანი!“ თავად არჭილოს გავარდა მანძილა რქა-ჯანგვიანი. მუცუს მუღლის თორღვაი დილაზე მკლავ-სისხლიანი.
- 10 სახელს ულოცვენ ქვესურნი: „მოხველა სახელიანი?“ – „ქმალი ზაზულიმ წამართვა, ვერ მოველ სახელიანი.“ ქმალს ნუ იკვებხი, თორღვაო, მამა მეცა მყავ ქმლიანი: წავალის, აიქ დაჯდება, სადაც სამტერო ტყე არი, სამთ შაქრავს შენისთანათა ჯაჭვიანთ პერანგვიანი.
-
- 15 ემაგის მოლექსებელი თუშთა ქალი ვარ თმიანი. სალექსოდ გამამიგზავნე ტყავ-კაბა ნაოჭიანი. თუ არ იქნება ტყავ-კაბა, – კალათა ორ-შიბიანი.

(Rთ, პაპა მარტიანის ვილი სავან გაგონილი).

ამ ლექსში მოქმედი პირების შესახებ R შენიშნავს: „ეს ზაზულიაც და თორღვაც ორივე საზიზღარი მტარვალეხი ყოფილან. თორღვამ ლალატით მოკლა ზაზულია და ახლა თვითონ დაიჭირა იმის ხელობა, სანამ ფშავლის ჩონთას ისარმა გული არ გაუგმირა“; 16 სალექსოდ გამამიგზავნე...] „ჩვეულებად ჰქონდათ, მოლექსისათვის გამარჯვებულს უნდა გავგზავნა ნადავლიდან: თუ კაცი იყო, – ან ხმალი, თოფი, ხანჯალი, ჭედლია ცხვარი; თუ ქალი იყო და, – საყურე, ტყავი, ტყავ-კაბა, კალათა, ან სხვა რამე საქალო სამკაული“ R.

3.

არ დასდევ, ვაფისძიო, ჩვენში ბევრი ჰქენ ზიანი. ფშავ-ქვესურეთში წამოხველ, გზა დაგხვდა საყელიანი.

- შამოგვეყრება თორღვაი, ღვთისაგან ნაწილიანი.
მარჯუნისას ჩამოგვიარა, მარცხნივ კი მოგცა ზიანი:
- 5 გულის პირს დაგცა ხანჯარი, სისხლმა გადილო შრიალი,
ღვანლოვანს შამოგაწვინა, ნაბად დაგხურა ცვრიანი,
თავით დავისვა ყორანი: „გალო გამოხარ წვინანი!“
გავარდა არჭილოსშია კარი მანძილა რქიანი,
მუცუს მივიდა თორღვაი დილაზედ თვირთვილიანი.
- 10 ამბავსა კითხვენ არღოტსა: „სად იყავ მკლავ-სისხლიანი?“
– „ვაყიძემ კმალი წამართვა, შინ მოველ სირცხვილიანი.“
ქვესურნ ულოცვენ სახელსა: „არა ხარ სირცხვილიანი.“

—

- მაგა ლექსაის მოთქოში ქვესურის ქალი თმინი.
მოგივიდოდი, თორღვაო, არ ვიყო კეთილიანი.
- 15 სალექსოდ გამამიგზუნე საყური გუგუშიანი.
გულ ნურას გაგიდიდდება, — მამა მეცა მყავ კმლიანი.
წავალის, გზებსა შაუკრავს, სადაც გზა იცის მტრიანი,
ერთის ნასროლით ორთ დაკოცს, შინ მოვა სახელიანი.

(X ივერია, 1887, №154=62).

12 ქვესურნ] ქვესურთ X, რაიცა გაუგებრობაა. ამ სტრიქონს შემდეგ იქ იკითხება კიდევ ერთი სტრიქონი: „სახელს ულოცვენ თორღვასა: არა ხარ სირცხვილიანი“, რაიცა, ცხადია, ვარიანტია და სხვა არაფერი.

ზ.

- მოდი, ვაზუზი, დაგვექსენ; თუშეთის გეყო ზიანი.
ახლა ქვესურეთს გადადი, კმალი დაგხედება ფხიანი.
გზათ თორღვა შემოგვეყარა, ღვთისაგან ღოვლათიანი,
ფარი და კმალი შენ მოგცა, დაშნა დამალა ფხიანი.
- 5 მარჯუნიდგან წამოგიბრინა, მარცხნიდან დაგკრა ზიანი,
გულის პირს დაგცა დაშნაი, ბორტვი დაკმიჩე მტვრიანი,
ჩაგიტან დაგლოვანასა, ნაბად დაგხურა ცვრიანი,
თავით დავისხა ყორნები, ტვალ ახრეენა წვინანი.

—

- თორღვაე, ვაზუზის მომკლაო, ნეტარ რა გქონდა ფარადა?
- 10 კახეთს გიბარებს ბატონი: „ერთხელ ჩამოდი ბარადა!“
ტანთ გამოგიცვლის ხალათსა ქვესურთ ბიჭების ჯავრადა,
ცხენსა გიბობებს ისეთსა, შინ წაგიყვანოს ჩქარადა.

—

ემაგის მოშაირეი ქალ გომეწრელთ ვარ თმიანი.

შეიტყო, გამომიგზავნე საყურე გუგუმიანი.

- 15 საცოლელ არას მიკადრებ, — აზნაური ხარ ყმიანი.
ჩემის ქებით თავს ნუ გაიდებ, თორღვაო, — მამა მეც მყვანდა კმლიანი.
ჭარბელაქნიდან მოუღიოდა ყოჩი, ვაცები რქიანი.
იკითხავდიოთა გომეწარშია, ვერხოვანს ქავთარ მქვიანი.

(Bu).

პირველად დაბეჭდა აკაკის თეიურ კრებულში (1900, №11), შემდეგ გადაბეჭდა ხალხურ სიტყვიერებაში, №22. — 16 თავს ნუ გაიდებ] თავს ნუ გაიდიდებ (აკაკის კრებ.).

ტ ე ქ ს ტ ი ს ა თ ვ ი ს : რადგანაც ლექსის ენა ლიტერატურულ გემოზეა გადმოკეთებული, ამიტომ მე-ნ სტრიქონში ეს სიტყვები „ბორტვი დაკმიჩე მტერიანი“ არ იცი კაცმა, როგორ გაიგო: ბრძანებად, თუ თხრობად (ზედმიწვენილობის დაცვის დროს თუშური კილო გამოაჩენდა ბრძანებითი კილოსათვის „დაკმიჩე“ ფორმას, ხოლო თხრობითისათვის ამას: „დახკმიჩე.“

ამ ლექსის შესახებ Bu შენიშნავს: „გადმოცემა მოვეითხრობს, რომ თორღვა იყო ბაგრატიონთ ნაბიჭვარი, ცხოვრობდა სოფელ მუცოში, რომელიც მდებარეობს პირიქით ხევსურეთში, მდინარე არგუნის სათავეში. მთაში მძინარეს თავს დასდგომია თორღვას ქისტების გამოჩენილი ბელადი ვაზუზი, რომელიც შიშის ზარსა სცემდა მთელ მთაბარს, და დაუტყვევებია. როდესაც ერთ კლდის პირას ბილიკზე მიდენილან, უცბად უძერია თორღვას საცვეთიდან ხანჯალი, დაუცია ვაზუზისათვის გულში, გადამხტარა კლდეზე და თავისთვის უშველია. ფშაველებს და ხევსურებს ხარჯი უძლევიათ თორღვა-სათვის და ერთხელ ხარჯის აღების დროს ფშაველს მოუკლავს იგი ისრით. ეს ჩანს ფშაურის ლექსიდან, რომელიც მოყვანილი აქვს ხიზანაშვილს ფშაურ ლექსებში.“

8.

მოდი, ვაზუზი, დაგვექსენ! თუშებსა გვეყო ზიანი.

ახლა ქევსურეთს გადადი! კმალნი იქ დგანან ფხიანნი.

წინ თორღვა შემოგეყრება ღვთისაგან დაელათიანი.

კმალსა ჰლესავდა თორღვაი, ხანჯალ წელთ ება ფხიანი.

- 5 გიფარა თორღომ, მიგაწვინ, ნაბად დაგხურა ცვრიანი,
თავით დაგისხა ყორნები, ძვალ ახრევიანა წვნიანი.

თორღვაო, ვაზუზის მკვლელო, ნეტა რა გქონდა ფარადა?

ქალაქს გიბარებს ბატონი: ერთხელ ჩამოდი ბარადა!

ხალათს გამოგიცვლი, თორღვაო, ქევსურთ ბიჭების უჯვარადა.

10 ცხენსა ავეთსა გიბოძებ, შინ მიგიყვანოს ჩქარადა.“

—

ემავის მოშორევი გომეწარს ქალ ვარ თმიანი.
შეიტყო, გამომიგზავნე საყურე გუგუმიანი.
თუ იმას ვერ გაიძებტებ, — ტყაყ-კაბა ნაოჭიანი.
საცოლედ არას მიკადრებ: აზნაური ხარ კმლიანი.
15 ქებით კი თავს ნუ ილიდებ, მამა მეც მყევანდა ზნიანი.
ჭარიდან მოუდიოდა ყოჩნი და ვერძნი რქიანნი.

(Ro თ, მოამბე, 1895, №3).

07.

მთა-მთას რას გვივლი, ვაზოძე? ბარის არ გეყო, ლეკო, ზიანი?
გარდახველ კევსურეთშია, კმალნიც მანდ წყვენან ფხიანნი.
გზას თორღვა შემოგვეყრება, ღვთით არის ღველათიანი.
თოფ-ქმალს, ვაზოძე, გაჩუქებდის, დანას ღვედილია ფხიანსა,
5 გულს ღვეცემდა ქამარ-ხანჯალსა, მიწას გაჭმევდა მტვრიანსა.
სატირლად ქალებ არას მოგივალის, — ყორნისა ღვეისხლება შევი ვარია.
მანდითა, თორღვაე, მობრუნდებოდი პირ-სისხლიანი მგელითა.
გზას ქალებ მიეგებებიან: „ბიჭო, საით მოხველ სახელიანი?“
— „თოფილ' კმა(ლი) წამართვა ვაზოძემა, შინ მოუდივარ სირცხვილიანი.“
10 ვაზოიძის გამღებულა, რაიდ „იფარე ფარია?“
მთავრობა შენა გიბარებს ქალაქსა, ტანზე გამოგიცვლის ხალათსა,
კარგზე შევსვამდა ცხენზედა, შინ რო მოგიყვანდეს წამზედა.

—

მაგ შირის მოშორევი ქალი ვარ გომეწარელია.
შეიტყოღ, თორღვაე, გამომიგზავნიდი საყურ-ბეჭედი გუგუმიანი;
15 თუ ისიც არ გეშოვებოდეს, ან ტყაყ-კაბა ნაოჭიანი.
საცოლედ არას მოგივალ, — ქალი ვარ კვეთილიანი.
გერგებოდ, თორღვაე, არას შემირთავ, აზნაური ხარ ყმიანი.
ნურც თავსა, თორღვაე, გაგვიდიდებდე, მამა მეც მყევანდა კმლიანი.
თუ გინდა, კითხოდე გომეწარელებსა, ქეთარ მქეიანიდ არისა.
20 მარტოდ ჩაეილოდ ჭარის თავსა, ნოტოებ მოუდიოდ ცხერისა.

(Al, კვალი, 1897, №13).

4 თოფ-ქმალს გაჩუქებდის] „ხალხის თქმით, ვაზოძე მძინარე თორღვას წაადგა და აქყარა იარაღი“ Al.

44. თორღვა.

დაბეჭდილია ჩემი ვარიანტი (Sh). მიამბო მინდია ქისტაურმა 11. 8. 1913. თვალყვით. ტექსტისათვის: 2 ამავე ამაყოლა ნათი და ნაკვერცხალიო] ეი. ფიციხე ყოფილა მეტად; 3 ამიჩქეიფა] ეი. ტანი დაიბანა; შორით ვინ უგა თვალიო] აქ საეჭოა, რომ კითხვა იყოს, უფრო ამას უნდა ნიშნავდეს; შორით ვილამაც თვალი მოპკრა; 4 ბეჭებს უნახეს ჯგარიო] როცა იორში ბანაობდა, ვილაც კაცს თვალი შეუსწვრია და დაუნახავს, რომ ზურგზე ჯგარი ჰქონდა გამოხატულიო; 8 რო თუძაური ჯგარიო] ვარიანტი იმავე მინდიასი: როგორც მანძილა კარიო; 10 ნაცრიანი ტომარა იმისთვის მოუთხოვია, რომ თოვლიან გზაზე უნდა დაეყარო და გაეაშროვო; 11 არწივის მკარი საისრედ ჰნდომებია; 15 „ნატყვიარი“ როგორღაც ვერ უღებება; 22 გიზაველქ ვერ დაგიზვე] შერიგება მსურდა შენი და ვერ შეგირიგდით; ბაგრატივნობის გამო მინდიამ გადმომცა, რომ თორღვა კონსტანტინე ბაგრატივნის ნაბიჭვარი იყო. მაგრამ ამ შემთხვევაში „მაგანის გვარი“ (1), ან „მაგან(თ) გვარი“, ან კიდევ „მაგნის გვარი“, როგორც ვარიანტებში იკითხება, დედის მხრივ ხომ არ აღნიშნავს ჩამომავლობას?

თქმულება მცურავი ჯაჭვის შესახებ მამუკა ქალუნდაურზედაც არსებობს (G, წელიწადული, 161, 19). მაგრამ რადგანაც მის ჩუქებას ძმობილს მიაწერენ (რომელიც ხშირად ვეშადა არის ნაგულისხმევი), ამიტომ ბუნებრივად მექობაურის ამავი გვაგონდება (№93), სადაც, თქმულების თანახმად, ვეშაძი სხვა-და-სხვა იარაღს აძლევს საჩუქრად მექობაურსა და მის ამხანაგებს, რომელთაც მას მეორე ვეშაძთან ბრძოლაში უშველეს. [5. კიდევ დამატებაში. რედ.]

ბ.

ანდაკით ამალიოდეს მენადირენი რენიო.

შამაძუგბეჭებს თორღვაი, ვერ რო თუძაურთ ჯგარიო.

ფშაველებს მოსთხოვის თორღვაამა კვამლად შიშავი ცხვარიო.

„სამეტოდ შამიკრიფილით ლაღის არწივის მკარიო.“

5 ჩოთლას ტემ ამიწყადა ისარი მჭვარტლიანიო.

ამოიკრიფა, გულს დახკრა: „ეგ ნახე შხამიანიო!

შვიდ წელს ვიყავი ნაცივარ, მშვილდს ველარ ვუყავ ძალიო.

ეგ ნახე, მუცუს გაზდილო, გაგორდი გამცივარიო!“

—

10 — „ჯაჭვი რა უყავ, თორღვაო, ძმობილის ნაჩუქარიო?“

— „იელოვანში გაეწირე, გაცურდა, როგორც წყალიო;

ჩაუღგეს აზნაურები, ველარ მოქელეს კვალიო.“

კოშკი ღვა იელოვანში თორღვას ნაბურთვალიო,

ყვარნის თბით გადაურთილით, არ ჩაუვიდეს წყალიო,

- 15 მშვილდი საბმითა დაუბით, არ დაუშლიდეს ქარიო,
ზედ ფარი ჩამუკიდილით, თორღვას საომარიო!
ხალისად ომი მაულის, დაიძერის, დაღბერს ქარიო.

(U, ივერია, 1888, №120).

უს იგი გაუგონია ბათაკა არაბულისაგან. — მე-9 და მე-10 სტრიქონს შუა აქ ჩართულია ოთხი სტრიქონი, რომელიც ცალკე გამოეყავ და 46 ნომრად დავბეჭდე. თორღვას შესახებ სც აღნიშნავს, რომ „ბატონიშვილის ბაგრატიონის“ ნაბიჭვარი ყოფილა, დედად ხვესურის ქალი ჰყოლია და აღზრდილა სოფ. მუტოში.

ფარის ჩამოკიდება პატრონის სიკვდილის შემდეგ (რომელზედაც აქ საუბარია უკანასკნელ სტრიქონში), ომის ხალისის მოსვლის მიზნით, მოთხრობილია აგრეთვე ბალათურას შესახებაც (№73).

ბ.

- ობლობით ამიზარდა თორღვაი ძაგან გვარიო.
ამეეს ამიყოლა ნეთი და ნაკვერცხალიო.
ფშაელებს მასთხოვა ბეგარი სრუ კვამლად თითო ცხვარიო.
„თემ-თემად შამიკრიფილით თითო არწივის მქარიო.“
- 5 ანდაგით ამემართნეს მენადირენი რეანო.
„თორღვაე, თუ მაგცათ ბეგარი, მამა წაგვიწყვდას, გვარიო!“
ჩამაბუბუნებს თორღვაი, რო ნაჯოგარი კარიო.
ამიიტანა ჩოთლამა ისარი მჭვარტლიანო.
„შენ თუ ხარ მიცუს გაზდილი, ჩოთლა ვარ ნაბიჭვარიო.“
- 10 წყალს აქათ მშვილდმა დაშჭეხნა, წყალს იქითა ქნა ჩქამიო,
გულს დახკრა დაზინებული: „გავორდი გამსივარიო!
თორღვაე, ნუ დამემღურები, — ბოძალს ვერ უყავ ძალიო:
ცხრას წელს ორ ლოგინს ნაწოლი, შვიდის წლის ნაცივარიო.“
ჯაჭვი რა უყავ? მინდოდა ძმობილის ნაწუქარიო.
- 15 — ალავერდ ვიბანებოდი, გაქანდა, როგორც წყალიო.

(B).

დ.

- ობლობით იყო გაზდილი თორღვაი ძაგნის გვარიო.
ამეეს ამიყოლა ნეთი და ნაკვერცხალიო.
გამიგონავის კირჩლაი, ბლოელ ბერდია, კარიო,
გაგაიც გამიგონავის, ღილღველთ რო შასდვა ზარიო.
- 5 ვაყკაცნი ეგეთანი თორღვასა ხყვანდის ყმანიო.

- სანადიროში თორღვასა ეგონა საშოვარიო.
 სანადიროში თორღვამა თუთს ჯიკვს მახკიდა თვალიო,
 ფეკი გაუსხლტა თორღვასა, მყინვარმ გაულა კარიო.
 ვეშაპ მყინვარში ნამყოფი გაუკლა მეგობარიო, –
- 10 თორღვასა ჩასაცმელადა აჩუქა სამანქანიო.
 –
- თუშეთისაკე გადავიდა, გადაღის ნადირთ კვალიო.
 ყორანს თოფ დახკრა თორღვამა, მასტეხ მარცხენა მკარიო;
 თავქვე ჩავარდა ყორანი, თორღვამ ჩააყოლნ თვალნიო;
 ემანდ აბანო მაქელა, გაღმართა გალაგანიო.
- 15 გაღმეჩქვია კახეთსა: „თვადთ მიმართუთ ვალიო!“
 ძენაკორაზე შამოქდა, თუთა ბეგრ ჭამა, ბალიო.
 ვინ იყავ, მონადირეო. შორით ვინ უგე თვალიო?
 იორში გადაიჩქვიფა, ბეჭში უნახეს ჯვარიო;
 მარჯვენა ბეჭზე მზე სწერავ, მარცხენას – მთვარის ნავიო.
- 20 ანდაკზე შამოდირდენ მონადირენი რვანიო,
 ზედაც ეტყობის თორღვასა, მოვალის ნატირალიო.
 – ჯაჭვი რა უყავ, თორღვაო, მშობილის ნაჩუქარიო?
 – გაუეშვი იაღნოზედა, გაცურდა, როგორც წყალიო.
 გამაუყენე მღვეარი, ვერ მაუქელეს კვალიო.

(R, 100).

24 იაღნოზედა] „ზოგი არჭილოში იტყვის, ზოგი დგლოვანზე. ფშაურ ვარიანტში იელოვანზეა, აქ კიდე – იაღნოზე. იაღნო კახეთშია, იორზედ“ R.

მ.

- ობლობით ამიზარდა თორღვაი ძაგანთ გვარიო.
 ამაის ამიყოლა ნათი და ნაკეერჩხალიო.
 იორჩი ამიჩქვიფა, შორით ვინ უგე თვალიო?
 ბეჭჩი სწერავის თორღვასა მზეი და მთვარე მცხრალიო.
- 5 ანდაკში ამადიოდენ მონადირენი რვანიო.
 ამოძუნძულეხს თორღვაი, რო ნაჯოგარი კარიო.
 ფშავლებს მასთხოვა ბეგარი, კვამლად შიშავი ცხვარიო.
 ამიტიანა ჩოთამა ისარი მჭვარტლიანიო:
- 10 „ვინაც შენ მოგცას ბეგარი, მამა წაუწყედეს მკვდარიო!“
 მაუბრუნა და გულს დახკრა ისარი შხამიანიო.
 „გაგორდი, მიცის გაზდილო, დილაზედ გამცივარიო!

სისუსტი არ დამიწუნო, – შვიდ წელ ვარ ნაცივარო,
გრილ დილა გათენებულა, მშვილდს ვერ უხარენ რქანიო.“

(R, 102-103).

6 რო ნავოგარი კაროი] „აქ კარ-ირემთან არის შედარებული. სხვა ვარიანტებში
„ყვირილობის კარია“ R; 13 მშვილდს ვერ უხარენ რქანიო] „ცივი დილა ყოფილა.
ჩოთას (სახელია ფშავლისა. ფშავლები იტყვიან „ჩონთას“) მშვილდი რქისა ჰქონია და
ცივი რქა ძნელად მოსაწევია. რქა რამდენიც თბება, იმდენი ღებება“ R.

3.

- ობლობით ამიზარდა ეგ თორღვა ძაგან გვარია;
გამახყვა დაბადების დღეს მარჯვენა სისხლიანია;
ამოზღას ამიყოლა ცეცხლი და ნაღვერდალია;
თუშეთში გადაეჩვია, ჯიკვთ საღვურ სადაც არია;
5 აბანოს გორსა გამართა ქაეი და გაღავანია.
შავს კლდესა ყეფდა ყორანი, თეთრი უჩინდა მქარია.
აბრაშუმისა თოკეთა ყელს ეღვა ოქროს ზარია.
დაქუეხს შაკდა თორღვაი, მაგ ყორნის მაცადურია.
დასხლტა, გაქანდა ვაჟკაცი, მყინვარ დაუხვდა სალია.
10 ემანდით გამოქანულმა დიდ ნახა საშოვარია:
ტანზე ჩააცვა ვეშაპმა ჯაჭვი და სამანქანია.
კახეთში ჩამასჩვევიყვა, როგორც მარილზე ცხვარია.
გამიგონიან კეესურნი, თორღვას რო ხყვანდენ ყმანია.
თორღვა იკვლევდა ადგილსა, ბატონის ნაბიჭვარია.
15 ძეგნაკორაზე შამოკლა, თუთა ჭმა და ბალია.
ვინ იყავ? მონადირემა შორით ვინ უგე თვალია?
იორში ამიჩქევიფა, ბეჭში უნახე(ს) ჯვარია.
მარჯვენ ბეჭს მზეი ეწერა, მარცხენ ბეჭს – მთვარის ნავია.
იელოვანზე შამოკლა, მანდ დაღვა მაგის ჯარია.
20 – „ჯაჭვი რა უყავ, თორღვაო, ძმობილის ნაჩუქარია?“
– „იელოვანზე გაეუშვი, მანდ დაუანებე თავია.
ეგრე გაიქცა ოკერი, ველარ მოვხვიდე თვალია.
გაეუღვებ, ვერ მივეწვიე, მიწამ გაულო კარია.
თან ჩახყვა თეთრი ყორანი, თეთრ ჩაიეღვა მქარია.“
25 ჩამოჩნდენ ანდაკისასა მონადირენი რეანია.
თორღვაიც ემანდ ჩამუა, რო ყვირილობის კარია.
ამბავსა ხკითხვენ თორღვასა: „რად მოხვალ ნატირალია?“
– „დავკარგე ჩემი სიცოცხლე, რა ჩემი ღხინი არია?!“

(R, 161).

6 ყორანი, თეთრი უჩინდა მქარია] „ყორნის თეთრი ფთა ვისაც ექნება, ვითომ გველის თვალი ჰქონია“ R (აქ Rს „გველის“ გაურკვეველად უწერია. შეიძლება ასეც წაეკითხოთ: „მგელის“); 14 ბატონის ნაბიჭვარია] „ბაგრატიონთ ნაბიჭვარი იყო თორღვაო. ბატონმა თქვაო: კვესურეთში ერთ ძაღლში (ვითომ კვესურის ქაღშიო) თეს(ლ)ი დამრჩა და ვიცი, ის მე არ მამასვენებსო, რომელი იყო ეს ბატონი, ალახმა უწყის, იქნება ერეკლე I?“ R; 20 ძმობილის ნაჩუქარო] „ვითომ, ვეშაპის...“ R.

ზ.

- ჩამოდიოდენ ანდაკსა მონადირენი რვანია.
თორღვაიც ამანდ ჩამახყვა, რო ყვირილობის კარია.
ბეჩავდ რასამ მალბიჯავს, ემჩნევის ნატირალია.
„ჯაჭვი რა უყავ, თორღვაო, ძმობილის ნაჩუქარია?“
- 5 – „სანადიროჩი გადაველ, ნადირთ მოვავლე თვალია;
ჩავედი არჭილოშია, მოვეკელე თბილი წყალია.
მე ჩავედ საბანაოდა, ჯაჭვს გაეანებე თავია.
მამინ დავკარგე ტიალი, ველარ მოვხციდე თვალია.
ეგრე გაცურდა ე ჯაჭვი, როგორც მდინარე წყალია.
- 10 გამაუყენე მდევარი, ვერ მაუქელეს კვალია.
წამოვედ, რაღას ვიქმოდნი? იმით ვარ ნატირალია.“

(R, 152).

6 თბილი წყალია] „თორღუში თბილი წყალია და თორღვას წყაროს ეძახიან. ციხე-სიმაგრეც არის, მაგრამ მე მგონი, რომ ამ თორღვასი კი არ უნდა იყოს, არამედ ისტორიული კახეთის ერისთვის თორღუსი“ R; 9 ეგრე გაცურდა ე ჯაჭვი] „გარდმოცემა მოგვითხრობს: თორღვა სანადიროდ ყოფილა, ერთ ალაგას ყინულში ჩავარდნილა, იქ ვეშაპი წოლილა და იმას დასცემია. თურმე სიცვიითა და სიმშბილით კვდებოდა თორღვა. შეეცოდება ვეშაპს, ამოიღებს თვალს, ალოკებს, გააძღობს და გაათბობს. გაუმშობილდება. იმ ვეშაპს მიუცია ჯაჭვი, – ბეგთარი, – ტანზე ჩასაცემელი. თურმე ისეთი თვისება ჰქონდა იმ ჯაჭვს, სადაც ხმალს დაარტყამდენ, ან ტყვია და ისარი მოხვდებოდა, სულ იქ მიიხვეტებოდა თურმე და ველარაფერს აკლებდა იარაღი. ბოლოს გაჰფრენია ის ჯაჭვი და უჯაჭოდ ხომ ისრით მოკლა ფშაველმა ჩოთამ. თორღვას მარჯვენა წითლად ჰქონია შეღებილი.“ R.

ბ (05).

თოვლიან-ყინულიანნი ჩანან ლეკეთის მთანია,
სად იყო აბანოს კევი თორღვაის ნაციხვარია.
თორღვა ყოფილ ას კვესური, ლევანის ნაბიჭვარია,

მშველებს რო დასდვა ბეგარი თითო შიშავი ცხვარია,
თითო ნაცრიან ტომარა, — ამშრალეზინა წყალია.

სამუცო გამოზიოლეუთ თითო არწივის მქარია.

„ეინცა შენ მოგცეს ბეგარა, წაუწყვეს მამა მკვდარია!“

ამიტიანა ჩოთლამა ისარი მჭვარტლიანია,

დასწია, დახკრა გულზედა, ცხროვობს მიწაზედ მკვდარია.

(Th, 69).

ეს იმდენად ვარიანტი არაა, რამდენადაც რაღაც სხვა ლექსი, რომელშიაც თორღვას შესახები ძველი მუხლებია ჩართული.

თორღვას ციხის შესახებ Ths შემდეგი აღწერილობა მოეპოვება: სოფ. „მუცუ საყურადღებოა მით, რომ იქ თეთუული ხვესურის ბინა გაშენებულია კლდის ნაპარალოვან გამოქვაბულში ისე, რომ ერთ-ერთ კელად გამოყენებულია ბუნებრივი კლდე, დანარჩენი კი კაცის ხელით არის ნაშენი. სოფელს, როგორც დასავლეთით, ისე აღმოსავლეთით, საზღვრავს მიუვალი დაკიდული კარჩხლები, რომლებზედაც, გარდა ჩიტისა, ვერაფერი ვერ იკიდებს ფეხს და შესუდრულია განსაკუთრებული ჯიშის ხავსით. სოფლის თავი ოდნავ დაივაკებს. ამ პატარა ვაკეზე ვეებერთელა სიპი დგას,¹ სიპზედ აგებულია მეტად მჭიდროდ ნაშენი ციხე-ნიში, რომელსაც ხალხი ჩოლოყაანთ ციხეს უწოდებს. მას კაცი ვერ უდგება, ისეა წამოსკუული პიტალო სიპის კუნძულზე. ხსენებული ვაკის ფეხი ისევ გრძელდება მაღალი მთით, რომლის მწვერვალიც ამაყად გადმოჰყურებს მუცუს და რომლის ძირში რვა დიდი აკლამაა ჩამწყვიებული... მუცუში ამაყად აღარავინ ცხოვრობს, სოფელი მხოლოდ ცარიელ კედლებს წარმოადგენს. მისი მცხოვრებნი ყველა კახეთში გადასახლებულან. ახლა გადასახლებულთაგანი ბევრი ბრუნდება ისევ მუცუში. ისინი ძველ ნასახლარში არ სახლებიან, არამედ იქვე ახლო სახლებს იშენებენ. გადასახლების მიზეზი ყოფილა ქისტების განუწყვეტლივი თავდასხმა, განსაკუთრებით რუსეთის დიდი რევოლუციის პირველ დღეებში. ძველ მუცუში ცხოვრობს ერთად-ერთი ქისტი თავის ცოლ-შვილით, სახელად სუხია, გვარად კი, ქართული გამოთქმით, ბორჩაძე... სამხრეთით მუცუს ისევ მაღალი მთები უყურებს, რომლის ფერდობებზეც ხვესურებს თავის სარჩო მოჰყავთ. დასავლეთის მხარეზე მუცუს ამშვენებს თორღვას ციხე, რომელიც არწივის ბუდესავით მიუვალ კლდეზეა აგებული და რომლის უნძრევი კედლებიც ჯერ კიდევ ამაყად იყურებიან.

ამ თორღვაზე სხვა-და-სხვა ლეგენდები არსებობს ხალხში: ზოგი ამბობს, ვითომ ის თუში ყოფილა, ზოგიც თავალობას აკუთვნებს, ე.ი. ბუში ყოფილა ვიღაც თავადისა, და ზოგი კი ნამდვილად გარწმუნებთ, რომ იგი გაქცეული აღექსანდრე ბატონიშვილის ნაბიჭვარი იყო. ხალხის გადმოცემით, თორღვა განთქმული გმირი ყოფილა, მას

¹ სიპი აქ ალბათ გურული მნიშვნელობითაა ნახმარი: მაგარი დიდი ქვა, ვოხი (ა.შ.).

მტერი იშვიათად ამარცხებდა... ამ ლეგენდარული პირის ფიზიკური ზომა ციხესთან არის აღნიშნული დიდ სიპზე, რომლის ნახვაც მიუვალობის გამო მეტად საძნელოა. თორღვას ისეთი ჯაჭვის პერანგი ეცვა თურმე, რომ მას თოფიდან გასროლილი ტყვია არ ეკარებოდა. ტყვიის შეხების დროს პერანგი ისე შეიკუმშებოდა, რომ თოფიდან გამოტყორცნილ ტყვიას უკანვე აბრუნებდა. როგორც ხალხი ამბობს, ეს ჯაჭვის პერანგი მას ნაჩუქარი ჰქონია ძმობილისაგან და მას იგი არ იშორებდა არც დღე, არც ღამით. ხალხის გადმოცემით, მას მტერი ვერას დროს ვერ დაამარცხებდა, რომ ერთ უბედურ შემთხვევას არ ეღალატნა. ერთხელ ის თურმე ტანს იბანდა მდინარეში. ტანის დაბანის დროს ეს ჯაჭვის პერანგი მისთვის წყალს წაურთმევია, რის შემდეგაც მას მისივე პირადი მტერი ჰკლავს“ (Th, 65-70). იქვე მოყვანილია თორღვას ციხის სურათი (გვ. 69).

თ.

არჭილოშით მოვიდეს მონადირენი რვანიო.

შემოყურება თორღვაი, ქორ-შავარდენი ჩქარო.

- „სადარა იყავ, თორღვაო, საითრა მოხვალ მგზავრიო?“
- „სოფელს დაეადეუ ბეგარი, კომლზედ ოროლი ცხვარიო.“
- 5 – „აბჯარ რა უყავ, თორღვაო, ძმობილის ნაჩუქარიო?“
- „იელოვანზედ გაუშვი, გაქანდა, როგორც წყალიო, გამაუყენენ ვეზირნი, ვეღარც კი მაქერეს თვალიო.“
- „სამჯერ გეხეწე, თორღვაო, სამჯერ დაგიკალ ცხვარიო. მეოთხედ გავიფიცენით, – თეთრი ქორაი კარიო.
- 10 არ დაიჯერე, თორღვაო, ისრიე შამუშვი ჯარიო. ძმობილის მოღალატესა ღმერთმ გიყვას სამართალიო!“ ჩამოგადევნა ჩოთამა ისარი მჭვარტლიანიო, სუკსა გკრა, გულსა გეწია, გაბოძებინა მქარნიო.
- „თორღვაე, ნუ დამემდურები, ძალისა მოგე ძალიო.
- 15 შვიდ წელს ვარ ნაავადარი, სამსა კი – ნაცივარიო. მუკლით მოეზიდენ ბოძალდსა, – ქელში არა მაქე ჯანიო. შიგი-შიე შავატანიე: ჯაჭვი, პერანგი, ძვალიო.“

(X, ივერია, 1887, №154=64)

ი.

ერთგულის მოღალატესა ღმერთმ გიყვას სამართალიო!
 სამჯერ გეხეწე, თორღვაო, სამჯერ დაგიკალ ცხვარიო.
 მეოთხე შესვეწნაზედა – თეთრი ქორაი კარიო.
 არ დაიჯერე, თორღვაო, ფშაველს არ მამეც ზავიო.

- 5 მარჯვენისას ჩამოვიარე, მარცხნისას მოვეც ძალიო.
გატირე ორის თვალითა, როგორც ქმარ-შეკლარი ქალიო.
გაბოძებინე მუკლები, მშვილდი, ბოძალდის ტარიო.
თორღვაე, ნუ დამემღურები, – ბოძალდს ვერ მივეც ძალიო.
ვარ შეიღს წელს ნაავადარი, სამსა კი – ნაცივარიო.

(X, ივერია, 1887, №174 = 148)

იბ.

- ანდაკით ამოემართნეს მონადირენი ორნიო.
მობუბუნებდა თორღვაი, როგორც მანძილა კარიო.
– „სადა-რა იყავ, თორღვაო, სად-რა აუშვი ალიო?“
– „მანდ სამ ვიყავ მუტუსა, ბეგარას მუმატეო.“
- 5 თქვენც უნდა მამცეთ, ფშავლებო, თითო შიშაქი ცხვარიო,
თითო ტომარა ნაცარი, თითო ბორაის მკარიო.“
– „სამჯერ გეხევეწი, თორღვაო, სამჯერ დავიკალ ცხვარიო,
მეოთხედ შემოგეხევეწი – თეთრი ქორაი კარიო.
ვინც ხუთჯერ მოგცეს ბეგარი, მამა უძალდღეს მკედარიო!“
- 10 გადმაჩინნა თოთამა ისარი მჭვარტლიანნიო,
წყალს გაღმით მშვილდსა მასწია, წყალს გამოღმ იქნეს ჩქამნიო.
კელიმც შაგრჩება, მსროლელეო, რა კარგი მივეც ძალიო!
ერთის ნასროლით გაკერიტე ჩოკა, პერანგი, ჯაჭვიო!
– „გავორდი, მუტუს გაზდილო, თორღვაო, გამცივარიო!
- 15 გატირეს ორის თვალითა, როგორც ქმარ-შეკლარი ქალიო.
თორღვაე, ნუ დამემღურები, – ბოძალდს ვერ მივეც ძალიო:
შეიღს წელს ვარ ნაავადარი, სამსა კი – ნაცივარიო.“
„ჯაჭვი რა უყავ, თორღვაო, ძმობილის ნაჩუქარიო?“
– „იელოვანზედ გავწირე, გაქანდა, როგორც წყალიო.“
- 20 – „ძმობილის მოლალატესა ღმერთმ გიყვას სამართალიო!“

(X, ივერია, 1887, №172 = 87).

ივ.

- ანდაკზე ამოდიოდენ მონადირენი რვანია.
წინ თორღვამ ამაუარა, მარჯვნივ აართვა მქარია:
„უნდა დაიდვათ ფშავლებო, თითო შიშაგი ცხვარია,
თითო ნაცირიან ტომარა, თითო არწივის მქარია.“
- 5 ჩოთუშამ ამაიწვადა ისარი მჭვარტლიანია:

- „ვინც ბეგარ მოგცას, თორღვაო, მამა წაუწყმდეს მკედარია!“
 გამეესროლა ჩოთამა ისარი მჭვარტლიანია.
 გამოღმათით ნასროლმა გაღმით გაიღო ჩქამია.
 „თორღვაე, ნუ დამემღურები, – კარგა ვერ მივეც ძალია:
 10 შვილის წლის ნაავადარი, მერვეს წელს ნაცივარია.“
 კელი და მქარიმც შაგრჩება! კარგა მიგიცავ ძალია.
 ყველა თან წააღებინე: ჩოკა, ჯაჭვი და ძვალია.
 წაიღეთ, მუცუელეზო, თორღვაი გამტლიკვარია!
 „ჯაჭვ რაღა უყავ, თორღვაო, ძმობილის ნაჩუქარია?“
 15 – „გავწირე არჭილოშია, გაქანდა, როგორც წყალია.“
 ძმობილის მოღალატესა მამა წაიწყმდეს მკედარია!
 სამჯერ მამიხველ, თორღვაო, სამჯერ დაგიკალ ცხვარია.
 რო მოხვე მეოთხედაცა, – თეთრი ქორაი კარია.

(Tფ).

იზ.

- მობუბუნებდა თორღვაი, როგორც მანძილა კარია.
 „საითრა იყავ, თორღვაო? საითრა მოხვალ მგ ზავერიო?“
 – „აქეთ სამ ვიყავ მუცუსა, იქით მოვდივარ მგ ზავერიო.
 სოფელს დავადეე ბეგარი, კომლზედ ოროლი ცხვარიო,
 5 თვითო ტომარა ნაცარი, თვითო ბორაის მქარიო.
 თქვენც უნდა მომცეთ ბეგარი, კომლზედ ოროლი ცხვარიო.“
 „სამჯერ გეხვეწე, თორღვაო, სამჯერ დაგიკალ ცხვარიო,
 მეოთხედ შემოგეხვეწე, დაგიკალ ქორა კარია.
 ვინც ხუთჯერ მოგცეს ბეგარა, მამა უძალდღეს მკედარიაო!“
 10 ვადმოგაყოლა ჩოთამა ისარი მჭვარტლიანიაო,
 სუკსა გკრა, გულსა გეწია, გაბოძებინა კმალიო,
 გატირა ორივ თვალითა, როგორც ქმარ-მკედარი ქალიო,
 წყალ-გაღმა მშვილდსა მასწია, წყალ-გამოღმით ქნა ჩქამიო.
 ორივ შიგ ჩაატანინა: ჯაჭვის პერანგი, ძვალიო.
 15 ნუ დამემღურებ, თორღვაო! ბოძალს ვერ მივეც ძალიო:
 შვიდი წლის ნაავადარი ვარ, ოთხის კი ნაცივარიო.

(Sh).

ჩამაწერინეს სოფ. კორკში 3. 6. 1908. – 5: ნაცარი აედარში გზის გასაშრობად
 3ნდომებია და ბორაის მქრის ფრთები – ისრისთვის; 13 მშვილდსა] ჩამიწერია: შვილსა,
 14 ჯაჭვის პერანგი, ძვალიო] ჯაჭვის პერანგის ძვალიო (ასე მიწერია); 16 შვიდი]
 შემდეგ გადამასწორებინა ასე: სამი.

იღ.

ჩამოხუბუნებს თორღვაი, როგორც მანძილა ქარია.

– „თორღვაო, ჯაჭვი რა უყავ ძმობილის ნაჩუქარია?“

გაეწირე მუჭის ღელესა, წითლის არაყით მთერალია;

თავით დავურჭვე დროში, აქლრიალებდა ქარია;

5 გვერდით დავუბი ღურჯაი, ტიროდა, როგორც ქალია.
ტოტით აყრიდა მიწასა, ბრუნავდა ცოდვა-ბრაღია.

(Mr).

Mrს იგი გაუგონია ჩარგალში 16 წლის დავით პირქუშაშვილისაგან. მაგრამ აქ თორღვას ლექსის ორ სტრიქონზე თინიბეგის ლექსია მიბმული, როგორც ამას Mrის მიერ ჩაწერილი ვარიანტიც გვიჩვენებს:

06.

რა უყავ, მამამთილაო, თინიბეგ ჩემი ქმარია?

გაეწირე მუჭის ღელესა... და სხვა.

ეს თინიბეგი თუმი ყოფილა და ფშავში ლაშქრობისას დაღუპულა, როგორც ჩემ მიერ ჩაწერილი ერთი ფშავური ლექსიდან ჩანს (მისივე ვარიანტია X, ივერია, 1887, №144=35-37). Mrის ჩანაწერი წარმოადგენს ნაწყვეტს იმ ლექსისას.

45.

ა ვარიანტი დაბეჭდილია Rის მიხედვით (გვ. 99).

ბ.

თორღვაუ, გიბარებს ბატონი: „კახეთს ჩამოდი ბარადა!

ცხენსა მოგცემდი ისეთსა, შინ მიგიყვანდა ჩქარადა;

ქმალსა მაგცემდი ისეთსა, ვერვინ ჩამოგყრის ძალადა.“

ვაფისძის გადამღებელო, თორღვაუ, რა გქონდა ფარადა?

5 – „სამკლავენ მიფარებთან, დანა მქონია ქალადა.“

(R, 165).

გ.

ყამი მივია, მოვია მუცოს თორღვაის კარადა.

თორღვაუ, გიბარებს ბატონი: „კახეთს ჩამოდი ბარადა!

ოზუზის გადამღებელო, თორღვაუ, რა გქონდა ფარადა?“

– „წელთ კმალი, თავზე ჩაჩქანი, სამკლავე საბუქარადა.
მიუჯე მუხათ პირშია, სტო გავიხარე ფარადა.“

(Tფ).

ამთ გარდა, ამისივე ვარიანტებია: U 43 ბ, 12-15, Bu 43 ზ, 9-12 და Ro 43 ტ, 7-10.

46. თორღვას მოკვლა

დაბეჭდილია სის მიხედვით (ივერია, 1888, №120). ლექსი ამოღებულია 44 ბ-დან, სადაც იგი მე-9 და მე-10 სტრიქონს შუაა მოქცეული.

47. ნარჩევი ხალხი

დაბეჭდილია ჩემი ვარიანტი (Sh). მაგბო მინდია ქისტაურმა 11 8. 1913 თვალისში.

ბ.

- მითხოვლებს აღდიზძეი ჯობ, მშავლებს ჯობ კუკუმაური,
თუმებს ჯობ გაფრინდაული, კევსურებს ხოშურაული.
გუდამაყრელებს დიდება, მაკევეთ ღუღუშაური.
მთლის ნახვად, მკედრისა დამარხვად დოლა ჯობ თაჩუაური,
5 ლაშქართა საწინამძღვაროდ – იმედა მანანაური,
კმლის ქნევად, ფარის ფარებად – მარტია მისურაული.
ზურაბის ლაშქართ ვინ ჩახყვა? – ჩააცვეთს ბაბურაული.
საბაკეს წინ-წინ ვინ ჩავა? – გამახელთ თემროზაული.
ოსეთს ვინ დაზღებს ბეგარსა? – ბერდია მამუკაური.
10 დილღველთ და კევსურთ ვინ იჭერს? – გაბუერთ ალუდაური.

(G, 252).

ბ.

- მითხოვლებს ალუდიძე ჯობს, ფშავლებს ჯობ კუკუმაური.
გუდამაყრელთ ჯობ დიდება, მოკევეთ ღუღუშაური.
თუმებს ჯობ გაფრინდაული, კევსურებს ხოშურაული.
მემრ ლაშქართ საწინამძღვროდ ჯობ იმედა მანანაური.
5 კმლის ქნევით, ფარის ფარებით ჯობ მარტია მისურაული.
ზურაბის ლაშქართ ვინ ჩახყვის? – ჩააცვეთს ბაბურაული.
წინ-წინ საბაკეს ვინ ჩავა? – გამახელთ თემროზაული.

- 10 მთლის ნახვა(ღ), მკვდრის(ა) დამარხვად დოლა ჯობ თაჩუაური.
ოსეთს ვინ სდებდის ბეგარსა? – ბერდია მამუკაური.
ცაბურთ მთაზე ვინ ოზობდ? – თორაულთ იონეური.
კიშაოს ჭალას ვინ ჭყივის? – გიორგათ სუნხანაური.
დილღველთა, კევსურთ ვინ იჭერდ? – გაბურთა ალღაური.

(Gs).

6 ჩააცვეთს] ცაცვეთს Gs; 10 ცაბურთ] ჩაბურთ; 11 ჭყივის] წყივის Gs.

დ.

მითხოს აღდი სჯობ მამაცად, თუშეთში ლუის ლუხუმი.
გუღამაყრელთ სჯობ დიდება, მაკევეთ ლუღუშაური.
ფშავლებს სჯობ კუკუშაური, კევსურეთს ხოშურაული.
მთლის შანახუ, მკვდრისა დამარხვა(ღ) ღოვღად სჯობ გაიღაური.

(R, 106).

ე.

- 5 ქისტეთს აღდი სჯობს მამაცად, ფშავის კეეს კუკუშაური.
თუშებს სჯობ ლუის ლუხუმი, კევსურებს ხოშურაული.
კმლის ქნევით, ფარის ფარებით – მარტია მისურაული.
გუღამაყრელთა – დიდება, მოკევეთ ლუღუშაური.
მთლის ნახვად, მკვდრის სამარხვად მინღოღა სომეხაური.
ქალი ვინა სჯობ კევსურეთ? – ბუბა სჯობ ხიშშირაული.

(R, 135).

ვ.

მითხოს აღდი სჯობ ჯიშაღა, ფშავში სჯობ რაზიკაული.
თუშებში ლუის ლუხუმი, კევსურეთს ხოშურაული.
გუღამაყარში დიდება, კეეში სჯობ ლუღუშაური.
წინ-წინ მტრის დასატეველად – კირჩღაი ბაბურაული.
ცოცხალ-მკვდრის გასაგებრაღა – ბერდია მისურაული.

(R, 156).

ზ.

მითხოს აღდი სჯობ მამაცად, კევსურეთს ხოშურაული.
თუშებში ხოიშის შვილი, ფშავლებში კუკუშაური.

გულამაყრელთა დიდება, მოკვეთ ღუღუშაური.

კმლის ქნევით, ფარის ფარებით ბერდია მამუკაური.

5 მტერსა ვინ დასწონს საჩქაროდ? – ჩააცვეთს ბაბურაული.

ან კაცს რა გასჭრის ორადა? – აბაის ბაწარეული.

პირდაპირ მტერზე ვინ მივა? – მარტია მისურაული.

ჩაზევრავს ცხვარსა და ცხერის მწვემსსა? – ახალა შუქიაური.

ცხვარზე ვინ ჩავა წინ-წინა? – გამახელთ თემროზაული.

(Lr).

48. ქვესურები გორის ბრძოლაში

ა ვარიანტი ჩემია (Sh). იგი ჩამაწერინა მინდია ქისტაურმა 10. 8. 1913 თვალღვიში. – 11 არ დაიჯერეს არ დაიშალეს (ვარ. იმავე მინდიასი); 15: ამ სიტყვებს ერეკლე ამბობს; 18: ამ სიტყვებს კი ხვესურები ეუბნებიან ერთი-მეორესაო.

ეს სიმღერე ერთი საუკეთესოთაგანია. იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გამო, რომ (ისე, როგორც №49) ჩამოთვლის, თუ ვინ იღებდა ხვესურთაგან მონაწილეობას ომში. ასე გვეგონებათ, საგანგებო სიაა შედგენილი ომში მონაწილეებისაო.

რომელი ომია აქ აღწერილი? რა თქმა უნდა, არა კრწანისისა, როგორც შეცთომითა დაბეჭდილი. რადგანაც, ლექსის თანახმად, ომი ურუმების წინააღმდეგაა მიმართული, თანაც გორი და სურამია მოხსენებული, ხოლო ერთ ვარიანტში (გ, 14) კიდევ ამილახვარიც იხსენიება (ალბათ, გივი), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქ თითქო უსუფუფამას ქართლში შემოსევა იყოს ნაგულისხმევი 1744 წ. ამ მოსაზრებას კიდევ ის აძლიერებს, რომ ერეკლეს, რომელიც გამოცხადებულია ბატონიშვილად (იგი ასე ასპინძის ომშიაც იხსენიება: 49,4), ნათათრალი ეწოდება. მინდიაშვილი „ნათათრალი“ ასე ამბობს: „ტყვედ ყოფილ თათარში“ო, ე.ი. უნდა იგულისხმებოდეს, რომ ერეკლე ახალ-დაბრუნებულია საქართველოში სპარსეთიდან, სადაც იგი მძევლად იყო ნადირ-შაჰთან და მონაწილეობას იღებდა მის ომებში ავღანისტანსა და ინდოეთში.

კრწანისის ომი კი პირდაპირ დასახელებულია ქვემოთ მოყვანილს ლექსში, რომელშიაც გადარეულია სხვა ლექსის ნაწილებიც მე-17 საუკუნის გმირებითურთ: კირჩლა ბაბურაული, ბერდია მამუკაური, ნადირა ხომურაული (ბახტრიონის გმირი) და სხვ.:

07.

ერეკლე დაუბარებდა არაგვის მურავსაო:

„ცხენს შაჯედ, ქაიხოსროვო, გამიგებე ყმათაო:

კირჩლას იმ ბაბურაულსა, საძელეს მეომარსაო,

მეორეს ხომურაულსა, მთელ ქვესურეთის თავსაო,

- 5 ბერდიას მამუკაურსა, მოკლიას ირტყამს კმალსაო,
ამლას ბერდიათ გაგასა, სამის თუმობის კარსაო,
ყარაულს ალუდაურსა, ვეფხვიით მეომარსაო,
მარტოდ შიბუმი ნამყოფსა, ურჯულოს უჭერს თავსაო.
აჩქარდან შშავლის შვილები, ბეგრს ნუ დალღევენ ხანსაო,
10 თუშეთ უთხრიდი თუშებსა, ზეზვას დაუდგან მქარსაო.“

—

- „მიშველეთ, ჩემნო კეესურნო! უნჯნი ყმანი ხართ ჩემნია.
ფულს მაგცემთ მაგოდენასა, რო არ ზიდევდას ცხენია.“
„თავს ვერ გაგიხრით კეესურნი, უნჯნი ყმანი ვართ შენნია.
თუთარს ვინც აიღებს კეესური, ვინაც მახკიდას კელია,
15 გაუწყრას, ნეფეე ერეკლეე, ის სალოცავი ჩენია!
დეემზადენით, კეესურნო, ჩაჩქნებ დაიდგით თავზედა!
თათრების მალოდინი გოქე, განთ ვსხევეართ ლუღის სმაზედა?
გაგვიძველ, ნეფეე ერეკლეე, წაედგათ კრწანისის გზაზედა!“

—

- ერეკლეს ცხენი ჩაიქცა, ყმანი სხვას მიღგვიდიანო,
20 ცხენზე შასვიან მსახურთა, აყვანტას უჭერდიანო.

—

„ახლა სადა ხართ, თუშებო, კეესურნ რო კარავთ სჭირიანო?
ნადირაის ქმლის ნატეხნი კარავის ბოძსთან ხყრიანო.
კმალ ხოშურაულს გაუტყდა, კეესურნ სხვას გამუცელიანო.“

(G, 192-164).

სამი უკანასკნელი მუხლი ბახტრიონის ლექსიდანაა (ნ. 24 ბ).

ბ.

- ავარდა ბატონიშვილი, ერეკლე ნათათრალიო,
შამაიარა არაგვი, ფხიტუს დალაქნა მთანიო,
სანეს დაიცა კარავი, კეესურნ დაიხვიენ ყმანიო.
იმედას ეუბნებიან: „გავგილი ბელლის კარიო,
5 გამოგვიბძანენ დროშანი, სამ-სამ შავები ზარიო,
კეესურებ დაგვიმწყალობნე, წალმათებრ გეყავის ჯვარიო!“
არაგვზედ ჩადის კეესურებ, წვიმის არ სწელების ცვარიო;
თვალივის ბოლოს ჩაგროვდეს, მთა დააშვენეს, ბარიო.
ურუბებს მაუჭერიან საქალაქონი გზანიო.
10 გორ გარდიარეს კეესურთა, შარან გარდავლენეს, გზანიო,

- ჩავიდეს გორის ბოლოში, ურუმთ საცა დგა ჯარიო,
 ცხენნი მაიღნეს ურუმთა ისე, რო ნიაე-ქარიო.
 თათარამ ბაჩინაგურმა თოფს დაუპირა ტალიო,
 ურუმთ მემეტეს დაუკრა: „ჩემიმც უმცროსი ხარიო!
 15 მარტო ვერ შოლდ სულეთსა, წინ შენ გამიღე კარიო!“
 ღვედრება მალლად ამოდის: „ღუღულ მანგია ვარიო,
 სახელ ნუ დაიკარგება, თუ სად ვინ კევსურ ხარიო.“
 კელთ ხქონდა ლომნის მათრაკი, ვიას ლაგმისა ტარიო;
 დეზთ იკრავს ნაეგურაი: „ჩალხურას ძეი ვარიო.
 20 ცხენო, წავიდათ, წერილაო, დავხით ქართლის წყალიო;
 თბილეთის ქალაქ წავიდათ, მანდ მავა კევსურთ მგზავრიო;
 იქ მოვაქსენოთ ერთადა, როგორაც გვადგიე ძალიო:
 შავყარეს კიღის ყურზედა, ცხვრებულად დავგვტრეს თავიო.
 შინ წასულთ კევსურთ იამბათ, დარბაზს რა გვადგა ძალიო.“
 25 ამანდ დამრჩლებ კევსურებმ იმედას დასდვეს ბრალიო:
 „იმედა, რად წამაგვასხი, თუ არ წადინობდ ჯვარიო?“
 აღარც ხვიოდეს დროშანი, აღარც უქცევდა ხარიო.
 იმედა აღარა გვეყანდა, ბატონის გამძლობარიო.
 ციხეთა ბაცალიგურთა მალალთ მახარონ თავიო.
 30 ლაგაზა აღარ მათა, ლამაზ აქვან ვის ტანიო.

(U, ივერია, 1888, №136).

სისთვის უამბნია ა ლ უ დ ა ზ ვ ი ა დ ა უ რ ს. – 17 სახელ ნუ დაიკარგება] „რად-
 განაც სხვა ურუმთ მე მოკალიო“ U; ამანდ დამრჩლებ კევსურებმ] ამან დამრჩლებ
 კევსურებ U; 30 ტანიო] ორში ერთი: ან აქვან ტანნიო, ან აქვის ტანიო.

ბ.

- ავარდა აღექსანდრეი, ერეკლე ნათათრალიო,
 შამაიარა არაგვი, ფხიტუს დალაქნა მთანიო,
 სანეს დაიცა კარავი, შამაიხვიენა ყმანიო.
 იმედას ეუბნებიან: „გავგიღი ბელლის კარიო!
 5 დროშიაც გამაგვიბძანე, სამი აგვიბი ხარიო!
 კევსურებ ჩავვიმწყალობლენ, უკულმ არ ჩახყოს ჯვარიო!“
 გამაბძანეს დროში, სამივ აბეს ხარიო.
 კევსურნ ჩადიან მინდვრად, წაღმ უდგა თავის ჯვარიო,
 ჩავიდეს ქალაქის პირთა, ქალაქსაც შაზდვეს ხარიო.
 10 გახკვირდეს მექალაქენი: „სად მიღის კევსურთ ჯვარიო?“

- ცხენო მოკლივ, წავიდათ, დაეხიოთ ქართლის წყალიო!
 აიქ უამბათ კევსურთა, რაიც ჩენ გვადგა ძალიო:
 დაგვექცა ცხენიანები, ქვეითთ დაგვადგა ძალიო.
 ამილახვარიც გაგვექცა, ცალი მაგეტეხა მკარიო.
 15 ლეედრება ამალიოდა: „ლულელ მანგია ვარო.“
 მაგას მიხყეების მოკლედ: „ლიქოკ ჩალხის ძე ვარო.
 სახელ ნუ დაიკარგების, თუ ქართველობა ვინ ხარო.“
- (B).

დ.

- ავარდა ბატონიშვილი ერეკლე ნათათრალიო,
 არაგვი შამაბტვრია, ფხიტუს დალაქნა მთანიო.
 სანეს ერეკლე კითხულობს: „კევსურ, ვინ გვანდა თავიო?“
 იმედას მიუვიდიან: „ბედლის გაგვიდი კარო,
 5 ახლები დაგვიწყალობნე, წყრომით არ გახყევს ჯვარიო!“
 დარბაზს ვისხეთ კევსურნი, დიდ გვედგა საუბარიო.
 სათავეს გვევჯდა იმედა, არ მოუიდა ჯვარიო.
 იმედას ვემდურადითა: „იმედავ, შენი ბრალიო.
 აქ რადა ჩამოგვეყარენით, თუ არ ბძანებდა ჯვარიო?“
 10 ზოგნი შინ წადით, მოყმენო, ზოგმ ჩენთან დასომით თავიო.
 სამი გვეტანა მკედარი, ცხენებზე ხქონდა თვალიო:
 ბიას კელთა აქე მათრაქი, ლომნისა – ლაგმის ტარიო,
 დეზო იკრავს ნაოგურაი: „ლიქოკს ჩალხურთი ვარო.“
 15 ლეედრება ამალიოდა: „ლულელ მანგია ვარო.
 სახელ ნუ დაიძალების, თუ სადმე ქართველ არიო.
 ურჩოდ ორ ნაჭრევიანი, ოროლ გვერდს მიწევს მკედარიო.“
- (Sh).

გაგონილი უკენ-ახოელის ბაბო ჭინჭარაული საგან 1911 წ. ივლისში,
 სოფ. ბარის-აკოში. – 13 ჩალხურთი ჩალხისძე (ვარიანტი მისივე).

ე.

ავარდა ბატონიშვილი ერეკლე ნათათრალია,
 საკევსურეთოდ წამავა, ფხიტურს დალაქნა მთანია,
 გარმაქდა ფხიტურის ლელეს, პირ-წალმ ილოცა ჯვარია.
 მასეეს მაკითხულობდა: „კევსურებს ვინ ხყავ თავია?“

- 5 სანეს დაცვა კარავი, შამაიხვიენა ყმანია.
იმედას ეუბნებიან: „გაგვილი ბელლის კარია,
დროში გამოგვიბძანე, სამივ შაგვიბი ზარია,
ეაუბი დაგვიმწყალობნე, წყრომით არ გახყევას ჯვარია!“
ქართლში ჩავიდათ, კევსურნო, ქალაქს ვინ შასდვა ზარია?
- 10 არაგვზე ჩამადიოდა კევსურთ შვილების ჯარია.
გავიღეს ქალაქისაკა, ქალაქს შასდვიან ზარია.
გორისას გადაიარეს, უგზოსას დასხნეს გზანია.
მინდვრად გავიდათ, კევსურნო, სანგლად მავივლათ მკვდარია!
ია, წავიდათ, მოკლიავ, ურუმთ სად უდგა ცხვარია!
- 15 ეგ კი შაგვიტყვეს ურუმთა, მააწყვეს ალმის ჯარია.
ბიჩინაგის თათრამ თოფს გამუცვალა ტალია,
თოფ დახკრა ურუმთ მელამეს, შამოგვაბედეს თავია.
ომ იქნა გორის ბოლოსა, სისხლი სწვიმს, მადლა დარია.
ცხენიან თავად გაგვიყვეს, ქვეითთ დაგვიკრეს გზანია.
- 20 არიქათ, ცხენიანებო, ქვეითთ გვადგა ძალია!
ზოგ შინ წედიოთ, კევსურნო, ზოგთ ჩვენთან დასთმით თავია;
ეგ თქვით შინ წასულებმა: „ქართლში სხავ კევსურთ ჯარია,
სათავეს უზის იმედა, არ ევალეზა ჯვარია.
სამნი სტანიან მკედარნი, ცხენებზედა აქეთ თვალთა:
- 25 ლომნის კელთა აქე მათრაკი, ბიასა – ლაგმის ტარია;
დეზთ იკრავს ნაოგურაი: „ლიქოკს ჩალხურსმე ვარია.
სახელ ნუ დაიმაღლების, წყალში გადადის მკვდარია.“
ამანდ დაკოცილთ კევსურთა იმედას დასდევს ბრალია:
– იმედავ, რად წამოგვასხენ, თუ ეგრ ბძანებდა ჯვარია?
- 30 ცხენო, მოკლიავ, წავიდათ, დაეზიენათ ქართლის წყალნია,
ქალაქში აგებ შავიდათ, იქ მავა კევსურთ ჯარია,
ვიჩივლათ თავ-თავისადა, რაიც გვადგიყო ძალია.
ბევრნ დაძლენ მელან-ტურანი, ბევრან ყორანნი შანია,
ბევრაის ცოდვის მაქმედ ას ტიალი ქართლის წყალია!

(R, 19).

3.

ავარდა ბატონისშვილი ერეკლე ნათათრალია,
არაგვის პირზედ შამოდის, ფხითყუს გადმოვლნა მთანია.

(Lr).

ნაწყვეტი ერთი ვარიანტისა ნ. კიდევ 11 ბ. [ვარ. ზ ნ. დამატებაში, რედ.]

49. კევსურები აწყურთან

დაბეჭდილია Rის მიხედვით (გვ. 22). სათურიც მისივეა. აქ აწერილია ასპინძის ომი (1770 წ.). იარაღა, რომელიც კევის მთაზე გადმოდის და რომელიც შემდეგ აწყურთან ბრუნდება (მ. 20), უნდა იყოს რუსის (გ)იარაღი (ანუ იანარაღი) ტ ო ტ ლ ე - ბ ე ნ ი, რომელიც რუსის ჯარებიტურთ გამობრუნდა აწყურიდან და ერეკლე მარტო მიატოვა. ო მ ა ნ მ დ ი ე ა ნ - ბ ე გ ი ასპინძის ომის შესახებ, სხვათა შორის, მოგვითხრობს: „ოდეს იხილნა მეფემან ირაკლი ეს ჯარები მიწვენილი, მაშინვე თვით გამობრუნდა რაოდენითაჲ ჩინებულთა და შინა-ყმითა თვისითა და შეიღითა ხევსურითა, განასწირა თავი თვისი და ეკვეთა ფიცხელად, ვიდრე სიკვდილადმდე და იყენენ ყოველნი მეფისათანა მყოფნი ქართველ-კახნი მხნედ და უმეტეს შეიღნი იგი ხევსურნი. თუმცა თავადნი მრავალნი სახელოვნად გაისარჯნენ. გარნა განვრცელებსათვის დავიდუმე... იქმნა ბრძოლა ძლიერი და თვით მეფემან მოჰკლა დაღისტინის წარჩინებული და მხნე ბელადი კოხტა და მყისვე ივლტოდენ ოსმალ-ლეკნი“ (ქართლ. ცხოვრ., II, 492). ვინ იყენენ ეს შეიღნი ხევსურნი? ომან-ბეგი ამის შესახებ ღუმს, მაგრამ ხალხურმა ლექსმა შემოგვიანასა მათი სახელები. ესენი ყოფილან: 1. სუმბატა ლოხაურის შვილი (მ. 24, ან ლოხაურისძე, რომლის ძმაც, ბულეჯანი, იხსენიება 169 №-ში. ბულეჯანი ტირის: „ძმაი ურუმებმ მამიკლესო“), 2. სუმბატა გუგუაიშვილი (25), 3. ჯამბათა ივანეური (35), რომელიც ჯანშათა ივანეურადაც იხსენიება №169-ში, 4. ჯამშაისძე, გუდანელი, რომელიც დედის-ერთა ყოფილა და მომკვდარა (27), 5. ბიტურაის აბა, ბლოელი, ავტორის შვილი (32; 43), 6. ლერენა გუგუაის შვილი (33-34) და 7. ლომნი გაგაის შვილი (36).

ამ ომში, როგორც ჩანს, ფშაველებიც ყოფილან: მამუკა წოწყურაული (40) და საღირათ ელიზბარა (41).

შ ე ს წ ო რ ე ბ ა : 32 ბატურაისა] მართალია, Rს ასე უწერია, მაგრამ უნდა იკითხებოდეს ბიტურაისა, როგორც 42 და 43 მუხლშია. [ვარ ბ. ნ. დამატებაში, გვ. 774. რედ.]

50. კევსურები თუშეთში ლეკების წინააღმდეგ

ა ვარიანტი ჩემია (Sh). ჩამაწერინა ლულელმა მინდია ქისტაურმა 10.8.1913. თვლივში. — 14 თითო შავსწირათ ოროლსა...] ლეკებს იმაზე წინად ბევრი ლულელი დაესოცათ ღულის სიმაგრეში და: იმდენი ლეკი მოკლათ ახლა, რომ თითო მანც მოუდიოდეს მაშინ დახოცილ ორ ლულელსაო.

ამ ლექსის ორი მუხლი, ბლოველი მოლოდინას შესახებ, შესულია 254 ნომერში. ამ ლექსის ზოგიერთი მუხლი 101 ნომრის ვარიანტშიც ურევია.

ბ.

ჯარს ეძახს ბატონიშვილი ერეკლე თავის ყმათაო:

„პირ ქენით, ფშაველ-კევსურნო, თუშებ აქ მიღვას მზასაო.“

- ალაზნის თავზე ჩადიან, კმლების ჩალესვენ ფხასაო,
 გავიდეს ნაყავეჩოსა, მაღალს თუშეთის მთასაო,
 5 ამოსაქედებს იჭერენ, ლეკთა მოსავალ გზასაო.
 იმედს სდებს ფშავლიშვილები: „თოფის დაგიხვევთ კვამლსაო.“
 ფარსმას სიმაგრეს მიუდგეს, ამსხვრევენ ქავის კარსაო.
 კელი აბამა მაიკრა თოთიათამა კმალსაო,
 განათდა ბაწარაული, სიათა უცემს თვალსაო.
 10 გვერდს ედგა სახლის კაცები, ფშაველა უჭერს მქარსაო.
 შიგ სტანავ ღულელთ შვილები, ერთი ეძახდა სხვასაო:
 „თითოსა ჩვენაც შეესწირავთ მაგათ ნაკოსსა მკედარსაო.“
 ბლოელი მოლოდინაი მგელი მოგვიკრფეს ცხვარსაო.
 არ დაიჯერებს თითოსა, ოროლს შასწირავს ძმასაო.

(T).

ეს იგი ჩაუწერია ბერდი ა რ ა ბ უ ლ ი ს ა გ ა ნ . – 14 არ დაიჯერებს თითოსა] არ დაიჯერებთ თითოსა T.

ზ.

- ჯარს ეძახს ბატონიშვილი ერეკლე თავის ყმათაო:
 „მზად იყავთ, ფშაველ-ქევსურნო, იქ თუში მყავის მზათაო.“
 აღგეს, წავიდეს ქევსურნი ერთ-ურთის მუქარაზედა,
 გავიდეს ნაყავეჩოსა, მაღალ თუშეთის მთათაო,
 5 იჭერენ გადმოსაქედსა, ლეკ რომელ მოვა გზასაო,
 ხუთშაბათ გასათენებლად გადმოდის ლეკი მთასაო.
 ფარსმას დაეცნენ ციხესა, აღებენ ქავის კარსაო.
 ამბობდა ფშაველ-ქევსურნი: „დაგხვევდით თოფის ალსაო.“
 კელი გაიკრა აბამა თოთიათამა კმალსაო,
 10 განათდა ბაწარაული, ცა წმინდად უცემს თვალსაო,
 გვერდს უდგას სახლის-კაცები, ფშაველი უჭერს მქარსაო,
 პირიქით პოხილაური ჩაათამაშებს კმალსაო,
 თითო გამოფრინდომასა ხუთ-ხუთ ლეკს მოსჭრის თავსაო.

(Bu, მოამბე 1896, №11).

12 პოხილაური] პორილაური Bu (ალბათ ბეჭდვითი შეცდომა).

51. სათრუსოოდ

დაბეჭდილია სის მიხედვით (ივერია, 1891, №90). მას იგი გაუგონია ბაღია ბაღიანური ს ა გ ა ნ . – 2 სათრუსოოდა გადბედავს] სათრუსოო და გაჰბედავს U.

ესეც იმავე ბაღია ბაღია ურისაგან გაუგონია სს (ივერია, 1891, №90) — შეიძლება ამ ორ (51 და 52) ნომერში იგულისხმებოდეს ერეკლეს გადასვლა თურგის ხეობაში 1753 წელს, როდესაც მან „მოიყვანა ჩერქეზ-ოესნი ჯარად და მთის კაცნიც მოიყვანა“ (ო მ ა ნ მ დ ი ვ ა ნ - ბ ე გ ი, ისტორია). [ნ. კიდევ დამატება. რედ.]

53. აბდულა

დაბეჭდილია Rის მიხედვით (გვ. 8). — აქ წარმოდგენილია ერეკლე მეფის ბრძოლა აბდულა-ბეგის წინააღმდეგ 1748 წელს, რომელიც აბდულას დამარცხებით გათავდა (ო მ ა ნ მ დ ი ვ ა ნ - ბ ე გ ი ს ისტორია, ქართლის ცხოვრ. II, 481-2).

54. გაბრიელ

დაბეჭდილია Sის მიხედვით (ივერია, 1891, №90). მას იგი გაუგონია გიორგი არაბულისაგან. — ეს ის გაბრიელ ჩოფიკაშვილი უნდა იყოს, „რომელმაც 1800 წლებში რუსეთის მხედრობას დიდი შემწეობა აღმოუჩინა ძმათა ერისთვიანებთან ერთად დარიალის შემოსავალს ვიწრო გზებში და მიიღო მათორის ჩინი, რომელმაც ბოლოს დენერლობაც დაიმსახურა“ (კ ა ლ მ ი ს - წ ე ვ რ ა: საქართველო, 1916, № 161).

ამისა და 59 ნომრის მუხლები ერთმანეთშია გადაარეული, რაიცა იმის ბრალიცაა, რომ ორივეს ერთნაირი რითმა მოუდის. ამიტომ 59 ნომრის ვარიანტთაგან ზოგი რამ შეიძლება ამ ლექსს ეკუთვნოდეს და პირუკუ.

ამ გაბრიელ ჩოფიკაშვილს (ყაზბეგს) ეხება ერთი ლექსი, ნათქვამი ს უ ა რ თ ა მ ი ნ ა ს მიერ (მოამბე, 1897, №11).

55. წინის უმის გმირი

დაბეჭდა Bის მიხედვით (მოამბე, 1896, №10). — წინის] წინა Bu.

56. პატარა კახი

დაბეჭდა Bის მიხედვით (მოამბე, 1896, №10).

ბ.

ერეკლე ბატონიშვილი განა უბრალო კახია?
საგურამოში ლეკისა ჯარ მარტომ შუა ვახია.

(X, ივერია, 1887, №174=137).

გადამეჭდა ა. ხ ა ხ ა ნ ა შ ე ი ლ მ ა ქ. სიტყვიერების ისტორიაში, მეორე გამოც., 1913, გვ. 55.

ბ.

ჩვენი ბატონი ერეკლე ერთი პატარა კახია.
ჭარის ბოლოში ლეკების ჯარი შუაზე გახია.
ეგ იყო ნეფე ერეკლე. ბელალო, ვერა ჰნახია?
ჩამოგახივნა ჩოკანი, სადილიც მწარე გაჭმია.

(T ფ, ნ ი კ ო მ ჭ ე დ ლ უ რ ი ს ა გ ა ნ გ ა გ ო ნ ი ლ ი).

დ.

ერეკლე ჩვენი ბატონი ერთი პატარა კახია.
ჩაიცვა ჯაჭვის პერანგი, გაჰკრა ხელი და გახია.

(Rქ, №12)

57. თურექმანი ტფილისში

ეს ლექსი მოყვანილია Rის მიხედვით (გვ. 1). აქ თითქო ალა-მაჰმად-ხანის მიერ ტფილისის აოხრებაზე (1795 წ.) უნდა იყოს საუბარი.

58. რკინის კარის შექსნა

დაბეჭდილია Rის ხელნაწერის მიხედვით (გვ. 10). პირველად იგი მან დაბეჭდა კვალში (1893, № 23), სადაც ლექსს გაგრძელება მოეპოვება, რომელიც 59 ნომრის ვარიანტია. კვალში დაბეჭდილს აწერია „ხალხური ლექსი“ო, მაგრამ არ არის ნათქვამი, რომ იგი ხვესურულია. — კვალში ცოტაოდენი გა ნ ს ხ ე ა ე ე ბ ა ნ ი ც მოიპოვება: 1 ვერ გაიგეთა] ვერ გაიგითა (რაიცა უფრო სწორი ფორმაა ხვესურულისათვის); 3 ბაირახები] ბაირალები; ჭესს] ჭექს; 5 შიგა დგას ოქროს ლოგინი] იქა დგა ოქროს ჭიქა; 6 შიგა დგას კუბო ოქროსი] იქვე დგას ოქროს კუბო; 7 ჩაუწვენიათ ბაგრატიონთა] ჩაუწვენავის ბაგრატიონისა; 8 დაწერა კამალაზედა ქართული] დასწერა კამალაზედა სიტყვა; 9, 10, 11 ნუ გაჰკადოდეთ] ნუ გაჰკადოდით; 13 ნახამი] ნარტყამი.

ბ.

ქართველებ, ვერ გაიგეთა? რკინის შაგექსნათ კარია.
აღარ გყავთ ნეფე ერეკლე, არც მაგის საომარია,
დამდგარა ბაირალები, აღარ სჭესს ზარბაზანია.

- ლმერთსა შასტირეს თავადთა: „ლმერთო, გვიკერენ ბრალნია!“
- 5 აქ ტყვერება დელა-მიწაი, ზე ავი გვადგას დარია.
ცხეთას დგას ოქროს კუბოი, შიგ ნათობს კელაპტარიი,
შიგა წვეს ნეფე ერეკლე, ბაგრატივნისა გვარია.
ჩიოდა ერეკლეს ცოლი, იმერელთ ნეფის ქალია:
„ნეფის ერეკლეს სიკედილი ვინა თქვა? რა სათქმელია?“
- 10 ზეცას წავიდა ლმერთთანა, ქრისტესთან წილ-ნაყარია.“
შვილთ გაუწირა ბევთარი, ფხა-სისხლიანი კმალაი,
მანამდის იყო, ცხენს იჯდა; მიძრა და მოძრა ზღვანია,
ეხლა შვილთ შინახიდით ქალაქის შეიდანია!

(R, 9).

4 გვიკერენ] კვიკერენ R; 10 ქრისტესთან წილ-ნაყარია] „ხალხსა სწამს, მეფე ერეკლე და თამარ-ნეფე ცოცხლები არიან ლმერთთან და როცა გაუჭირდება საქართველოს, მოეშველებიანო. – მირონი ნეფე ერეკლეს ძელებს ჩამოჰდისო. – ერეკლემ ხმალი წინ დაიდვის და ისევ თავის-თავად შემოერტყისო. – ერეკლე ლოცვაზე დადგებოდა, ხმალს შვის შუქზე დაჰკიდებდა ხოლმეო და ლოცვას როცა გაათავებდა, ი სხივიდგან ისე აიღებდა კმალსო“ R.

შ.

- კეესურნო, ვერ გაიგითა? შაგეკსნათ რკინის კაროი,
აღარ გყავთ ნეფე ერეკლე, ბაგრატიონთა გვაროი.
დამდგარან ბაირახები, აღარც ჭეხს ზარბაზანიო.
ცხეთას დგას თეთრი საყდარი, შიგ ნათობს კელაპტარიო.
- 5 შიგ იდგა ოქროს კუბოი, გამოხატული ჯვარიო.
შიგ იწვა ნეფე ერეკლე, ბაგრატიონთა გვარიო.
ზეცას წავიდა ერეკლე, ქრისტესთან წილ-ნაყაროი.
„მანამდი ვიყავ, ცხენს ვიჯე, წაუძრნი-წამოეძრინდი ზღვანიო,
ეხლა თქვენ დაგჩათ, შვილებო, ქალაქის მიედანიო.“
-
- 10 ამგე ქართულის მათქვამი თავად ერეკლე ვაროი.
დავსწერე კამალაზედა ჩემნი სიტყვანი სამნიო.

(Bc).

დ.

ვერ გაიგითა, ქართველნო, შაგეკსნათ რკინის კარია?
აღარ გყავთ მეფე ერეკლე ბაგრატიონთა გვარია.

- დამდგარა ბაირაღები, აღარ ჭეხს ზარბაზანია.
 მეფე ერეკლეს სიკვდილი ვინა თქვა, რა სათქვამია?
 5 ზეცას წავიდა ერეკლე, ქრისტესთან წილ-ნაყარია.
 ცხეთას დგას თეთრი საყდარი, შიგ ნათობს კელაპტარია,
 იქა წევს მეფე ერეკლე, ფეკთ უძე თავის კმალია.
 თავს ადგან ანგელოზები, გამოხატული ჯვარია.
 „მანამდის ვიყავ ცხენს ვიჯე, მიემარ და მოემარ ზღვანია.
 10 ეხლა თქვენ შინახიდით ქალაქის მოედანია.
 სათათრედ ნუ გაჰქალოდით იმერელთ მეფის ქალია.
 სახალხოოდ ნუ გაჰქალოდით ჩემდ ნაცომ სამაღქანია.“

—

ამა ქართულის მათჟომი თავად ერეკლე ვარია.
 დაესწერენ კაბალაზედა ჩემნი სიტყვანი საზნია.

(T).

6 საყდარი] სუდარი T.

ჟ.

- ვერ გაიგითა, ქართველნო, შაგექსნათ რკინის კარია?
 მეფე აღარ გყავთ ერეკლე ბაგრატიონთა გვარია.
 აღარ გყავთ ბაირახები, აღარ სჭეხს ზარბაზანია.
 დაშავებულან კარავნი, შემეხვივნეს ყმანია.
 5 ღმერთს შესტირიან თავადნი: „რად შეგვიკერნენ ბრალნია?
 შავი დავიცვით ტანზედა, გავსწირეთ საწირავია.“
 დედოფალი ატირდება იმერელთ მეფის ქალია:
 „მეფის ერეკლის სიკვდილი ვინა თქვა, რა სათქმელია?
 მეფე ერეკლე ზეცას არს, ღმერთთან არს წილ-ნაყარია.“
 10 მცხეთაში ოქროს კუბო დგას, შიგ ნათობს კელაპტარია.
 შიგა წევს მეფე ერეკლე ბაგრატიონთა გვარია.
 „შვილებს დაუგდი ბეგთარი, სისხლში ნაწთობი კმალია.
 მანამდი ვიყავ, ცხენს ვიჯე, მივსძრენ და მოვსძრენ ზღვანია.
 ეხლა კი თქვენ გაგიწირეთ ფხა-სისხლიანი კმალია.
 15 შეინახიდით, შვილებო, ქალაქის მეიდანია.
 „ერთმანეთს ნუ უღალატებთ, მტერმა არ გთხაროსთ თვალია.“

(Um).

პირველად დაიბეჭდა 1872 წელს, კრებულში, № 8. შემდეგ გადაბეჭდეს ივერიაში 1898 წ., 22 თებერვალს, ერეკლეს გარდაცვალების ასი წლის თავზე (№39). — ამისი

ვარიანტებია: აღარ გყავთ] აღარ გაქვთ; 5 თავდანი] ქართველნი; რად შეგვიკერნენ ბრალნია] რად შეგვიკერნენ ბრალთა; 7 იმერელთ მეფის] იმერთ მეფისა; 12 ნაწთობი] ნაწლობი (1872), ნაწლომი (1898).

3.

ღმერთო, რა დიდი ბრალთა არევა ქალაქისაო!
ნეფის ერეკლის სიკვდილი ვინ თქვა, რა სათქვამიო?
ერეკლე ზეცას ავიდა, აწ ღმერთთან წილ-ნაყარია.
მცხეთას დგას კუბო ოქროსი, ნათობდა კელექტარია,
5 შიგ იწუა ნეფე ერეკლე ბაგრატიონთა გვარია,
შვილთ გაუწირა ბეგთარი, ფსა-სისხლიანი კმალია,
„სანამდინ ვიყავ, ცხენს ვიჯე, მივძრენ-მოვძრენი ზღვანია.
ეხლა თქვენ იცით, შვილებო, ჩემი კი ნულარ ბრალთა;
შაინახილთ ლამაზად ქალაქის მოედანთა,
10 ერთმანეთს ნუ ეჯიბრებით, ერთურთს არა ხკრათ მქარია.“

(Bu, მოაბუე, 1896, №11).

პირველი სტრიქონი 59 ნომრისა არის.

ზ.

ვერ შაიტყეთა, ქართველნო, რკინის შაგეკსნათ კმალიო?
მოგიკვდათ მეფე ერეკლე ბაგრატიონთა გვარო.
ცოლსამ ვინ ეტყვის, დედოფალს? იმერეთ მეფის ქალია.
ატირდა ერეკლეს ცოლი: „ვაი, შვილებ, თქვენი ბრალთა!
წაგერთვათ საქართველოი, მამის თქვენისა ყმანიო.“

(Bu თ, № 28).

ბ.

ქალაქს დედაკაც ატირდა იმერეთ მეფის ქალია:
„ვერ გაიგეთა, ქართველნო, ჩამოგვეყარნესთ მქარნია?
მოგიკვდათ ნეფე ერეკლე, შაგეკსნათ რკინის კარია;
მანამდე იყო, ცხენს იჯდა, მიძრნა და მოძრნა ზღვანია.
5 ეხლა იმათა სცხვენოდეს, ვის ღარჩა იმის კმალია.“
ცხეთას კუბოა ბროლისა, შიგ ნათობს კელაპტარია.
შიგა წევს ნეფე ერეკლე ბაგრატიონთა გვარია.
აღარცად ზარი წერილდებს, არცა ჭეხს ზარბაზანთა.

(Tფ, ნიკო მჭედელური საგან გაგონილი).

თ.

- საწყალსა საქართველოსა შამქსნია რკინის კარია:
 სადა ჰყავ მეფე ერეკლე, ან იმის მეომარია?
 დამდგარა ბაირახები, არცა სჭექს ზარბაზანია.
 მცხეთას რო თეთრი ტაძარი, გვერდზე ჩამოდის მტკვარია,
 5 იქ არის ოქროს კუბოცა, ზედ დახატული ჯვარია.
 „ამ კუბოში ჩამამბამანეს ბაგრატიონთა გვარია.
 ვინც მოხვალთ საქართველოდან, ამინთეთ კელაპტარია.“
 კუბოსა ზედა სწერავის სიტყვები ორი-სამია:
 „ერეკლე გადავიცვალე, შვილებს დავსწერე ჯვარია.
 10 უფროს გიორგიმ შაირტყას ჩემი ნარტყამი კმალა!
 სანამდე ვიყავ, ცხენსა ვეჯე, მიემარ და მოემარ ზღვანია.
 ეხლა თქვენ შეინახენით ქალაქის მეიდანია!
 ჩემ შვილებს დარჩა ბეგთარი, პირ-სისხლიანი კმალა.
 მაგას ნუ დამიოტავებთ, მუხრანში დამრჩა ცხვარია.
 15 სხვასა არ წააყვანინოთ იმერელ მეფის ქალაი!“

(Sh ფ).

გაგონილი კ ა მ ი ს ი ა ბ ა დ რ ი შ ვ ი ლ ი ს ა გ ა ნ 11. 7. 1911 ს. შუაფხოში.

ი.

- ვერ გაიგეთა, ქართველნი? შეგვექსნა რკინის კარია,
 მზე გაგვიბრუნდა უკულმა, ჩაეარდა შუა ზღვაშია.
 მოვარე დაბნელდა, გაშავდა, აღარ გეინათებს ცაშია.
 ატირდენ წვრილნი ვარსკვლავნი, ცამაც დაშალა ნამია.
 5 აღარ გვყავ ნეფე ერეკლე, არც იმის საომარია,
 არ გვიფრიალობს დროშები, არცა სჭეხს ზარბაზანია.
 ერეკლის სიკვდილ ვინა თქვა? გაუქმეს ენის ტარია!
 არ მოკვდა, ღმერთთან წავიდა, ძმა არი წილ-ნაყარია.
 შვილებს დაუგდო ბეგთარი, ფხა-სისხლიანი კმალა.
 10 „მანამდე ვიყავ, ცხენს ვიჯექ, მივძრენ და მოვძრენ ზღვანია,
 დასავლეთ ეკოცენ ოსმალნი, აღმოსავლეთით სპარსნია.
 ნაკოცის მტრების სისხლითა წითლადა ვღებენ მთანია.
 ახლა თქვენ გაიმაგროდით ქალაქის მეიდანია.“
 ატირდა ბატონის ცოლი, იმერელთ ნეფის ქალაი:
 15 „მცხეთას რო ვერცხლის კუბო დგა, უნათობს კელაპტარია.
 შიგა წვეს ნეფე ერეკლე ბაგრატიონის გვარია.
 ნეფე გიორგის ცოცხალსა ერეკლე სჯობის მკვდარია.“
 (დროება, 1884, №34).

სათაურად აწერია: „ფშაველი შეკრებილთაგანი.“ ამისი ახლო მდგომი ვარიანტი, ისევე ფშაური, აქვეა მოყვანილი:

იბ.

- ვერ გაიგეთა, ქართველნო? შაგეკსნათ რკინის კარო,
მზე ჩაგვივიდა უკულა, ჩაეარდა შუა ზღვაშიო.
ატირდნენ წერილნი ვარსკვლავნი, ცამაც დაშალა ნამიო.
აღარ გეყავს ნეფე ერეკლე, არც იმის საომარიო,
5 არ გიფრიალებთ დროშები, არცა სჭეხს ზარბაზანიო.
ერეკლეს სიკვდილ ვინა თქვა? გაუქმეს ენის ტარია!
არ მოკვდა, ღმერთთან წავიდა, ძმა არის განაყარია.
შვილებს დაუგდო ბევთარი, ფხა-სისხლიანი კმალია.
10 „სანამღე ვიყავ, ცხენს ვიჯე, მიეძრენ და მოეძრენ ზღვანია.
ახლა თქვენ გაიმაგროდით ქალაქი, მეიდანია.
მცხეთას რომ ვერცხლის კუბო დგა, უნთია კელეპტარო.
შიგა წვეს ნეფე ერეკლე ბაგრატიონის გვარიო.
ატირდა ერეკლეს ცოლი, იმერთ ნეფის ქალიო;
15 „ეს ჩემნი თვალნი რასა ჰგეან? – მოღრუბლულსია ცანიო,
მალი-მალ ისე დასწვიმენ, როგორც ნაღვარნი წყალნიო.
ეს ჩემი გული რასა ჰგავ? – ცხენთა ნაგალი ნალია.
ვერ გაიგეთა, ქართველნო, შეგეკსნათ რკინის კარია?
იმისა სანეფოზუდა იცილებიან სხვანია.
20 ვაუიმც მქნა, ქალი არ ვიყო, თავზედ არ მესხან თმანია!
ტანზე ჩამაცვა ბევთარი, საჭირო საომარია!
მაშინის გაიგებოდა, ვისიც გასჭრიდა კმალია!
რა მალე ვინადირებდი, შორით გეჭირა თვალთა!“

(X, ივერია, 1888, №239).

იბ.

- მცხეთას დგას ოქროს კუბოი, შიგ ნათობს კელეპტარია.
შიგა წვეს მეფე ერეკლე ბაგრატიონთა გვარია.
გმირს დაუხუჭეს თვალები, მაგრამ არ არის მკვდარია.
შვილებს გადუგდო ბევთარი, ფხა-სისხლიანი კმალია.
5 „სანამღის ვიყავ, კარგ ვიყავ, მიეძარ-მოეძარი ზღვანია.
ეხლა თქვენდ ჩამიბარებავ ქართველთ მთა და ტაძარია.“

(ივერია, 1902, №157).

აწერია: „ხალხში გაგონილი და შეკრებილი“ო, მაგრამ არა ჩანს, სად და ვის მიერ. – კუბოი] (აკვანი) კუბოი (ივერ.). 6 თქვენდ] თქვენთ (ივერ.). – იგივეა თითქმის K 58, ოლონდ პირე. მუხლში მარტო აკვანია დატოვებული და 3 დაუხუჭქს] დაუხუჭავს K.

იზ.

არ გვეჯერებათ, ქართველნო, შაგექსნა რკინის კარია?
აღარ გვყავს ნეფე ერეკლე ბაგრატიონთა გვარია.

(Q).

ეს ნაწევრები ორჯერ გვხვდება ა. ყ ა ზ ბ ე გ ი ს ხელნაწერებში. ერთგან სათაურად აქვს: „არ გვეჯერებათ (მიბაძეა სახალხო სიმღერისა)“, ხოლო მეორეგან: „მეფე ერეკლეს გლოვა.“

უკანასკნელ უნდა შეენიშნო, რომ ამისი ერთი ვარიანტი შედის, როგორც ნაწილი, ალექსანდრე ბაგრატიონზე გამოთქმულ ლექსში (Rგ 234).

59. ქალაქის არევა

ა ვარიანტი ჩემია (Sh). ჩამაწერინა ბ ა კ ა თამარის ძემ ო ჩ ი ა უ რ მ ა 6. 8. 1913 ახიელში. მოაბზე არსოტიონია და შეიძლება ამიტომ მე-7 მუხლში მეორე მბობის დროს, ხოლო მე-14-ში პირველი მბობის დროს „ქვესურთ შეილება“ის ნაცვლად „არსოტიონები“ თქვა. – 15 სულხანაურის] გაიდაურის (ვარ.); 17 მაგას ვინ ეტყვის მამასა] ვინ ეტყვის გაიდაურსა (ვარ.), – გაიდაური თოთიას ბიძა იყოო.

ბ.

- ღმერთო, რა დიდი ბრალთა არევა ქალაქისაო,
ნეფის ერეკლის სიკვდილი, ქართველთა კელმწიფისაო!
ქალაქით დაუბარებავ ჩვენის ბატონის შეილსაო:
„ქვესურებ ჩამომივიდენ, თორ ქალაქ წამერთმისაო.“
- 5 ადგეს, წავიდეს კვესურნი, დართულნი ცხენ-აბჯრითაო;
მუხრან მიუვლენ ბატონსა, მზე ეფინების პირსაო;
ჭეხით მიართევს სალაში გიორგის, ნეფის შეილსაო:
„შენი ჭირიძე, ერეკლე, შენისა უღვამისაო,
კვესურებს ნუ გაუწყრები, ბრალთა უნჯის ყმისაო!
- 10 იქად გაუძელ კვესურთა, ერეკლე, სადაც ჭირსაო;
ვერას გარგებენ თოფითა, კვესურთ იციან კმლითაო.“

(ივერია, 1888, №238).

ფიგურა ვასილ კობონაშვილს ტოლათსოფელში (ერწოში) უშიშა
ბურღული საგან.

ბ.

შენი ჭირივე, ერეკლე, შენ(ის) წვერ-ულამისაო!
ქვესურთა ნუ გაუწყრიდი, ბრალია უნჯის ყმისაო!
ქალნი ქალაქში მოვიდეს, თვალები უგო მწყერსაო.
თუშურს იკითხვე(ნ)...

(Bc).

ამის წინ Bcს შენიშვნა აქვს: „ერეკლეს რომ წინწინა(?) ომი ხქონია, მაშინ
ქვესურნი დაუბარებია, ომი მოკლომა.“

დ.

დმერთო, რა დიდი ბრალია არევა ქალაქისაო,
დალევა ბაგრატიონთა, დაქცევა კმელეთისაო!
გავარდა აღექსანდრეი, „ჯარ მინდა დადისტინისაო,“
5 ქვესურეთ კაცი გაგდა, „თავი დამჭირდა ყმისაო.“
ქვესურებ ნახალიზრები ერთმანეც არ უცდისაო,
არაგეზე ჩამადიოდა ჯარი ქორ-შაგარდნისაო.
ერთუცის დადგა პირდაპირ ჯარი ორისა ძმისაო,
შუაზე ჩაფრებ უდიან, არას აძლევენ პირსაო.
10 შაიბნეს სადამ ვაყები, ელევა დგას თოფებისაო,
ნეფე გიორგი ბატონი შაიბძოლების ღთითაო.
თუშებმ დაჭიკეს ცხენები, კოცა არ უკვირს მტრისაო.
აჩქარდა ქვესურთ შვილები, ელევა დგას ჩაჩქნებისაო.
ის კირჩლა ბაბურაული ზეზვას მიხყეების მკრითაო,
კირჩლაიმც ენაცვალების გაფრინდაულის შვილსაო!
15 სახელის მოყვარული ას, თავს არ არიდებს ჭირსაო.
თოთიას ამწუხარებენ სუნხანაურის შვილსაო,
თვზე ნახურსა ჩაჩქანსა ჯამს ნატყვიარი სჭირსაო.
მაგას ვეშაგურს ვინ ეტყვის, ვინ გარმაავლევს პირსაო?
კურდღელიძეთა თოთიას ნაჭრევე აღონებს მკრისაო.

(G 203).

18 მაგას ვეშაგურს ვინ ეტყვის] „ვითომ თოთიას დაჭრას მის ძმას ვეშაგურს ვინ
ეტყვისო, ვინ გაუბედავსო, რომ შენი ძმა დაიჭრავ“ G [მაგრამ აშკარად არა ჩანს, თუ
რომელ თოთიაზეა საუბარი: სუნხანაურის შვილზე (16), თუ კურდღელიძეთაზე (19)].

თუ უკანასკნელზეა, მაშინ „ვინ გარმავლევს პირსაო“ შემდეგ (მ. 18) კითხვითი ნიშანი კი არა, არამედ ორი წერტილი უნდა დაისვას].

2.

- მაშინ გაიქცა დავითი: „ურჯულოს მივსცემ პირსაო.“
კვესურეთს კაცი მოვიდა: „თავი დამჭირდა ყმისაო,
კვესურებ აქ ჩამოვიდენ, თორ ქალაქ წამერთმისაო!“
არაგვზე ჩამოდიოდა ლაშქარი შავარდნისაო.
- 5 ჭეხით მხართვეს სალაში ნეფის ერეკლის შეილსაო.
გასცინებია ბატონსა, მზე ეფინების პირსაო.
ლეკებ ას-ასად მოვიდა, ლაშქარი დავითისაო.
საპირდაპიროდ დამდგარა ჯარი ორისა ძმისაო.
შუაზედ ლეკებ დაუდის, რუს აღარ აძლევს პირსაო.
- 10 რიგება ვის გაუგონავ რუსისა-დ' ლეკებისაო?
ომ მოკდა შუადლის დროსა, გუგუნ დგას ზარბაზნისაო.
მაშინ გაიქცა ლეკები, ზღვასავით იქნევს პირსაო.
ჯარში გარევას ამბობენ მარტუა მგელაისაო.
ჯარში შასულა მგელაი, ლეკებს თავს სადამ სჭირსაო.
- 15 მარტია მისურაული სანგალზე თავსა ცდისაო.

(R 11).

იგივე ვარიანტი Rმა დაბეჭდა უკვე კვალში 1893 წ. (№23), როგორც გაგრძელება 58 ნომრის ა ვარიანტისა. ხელნაწერთან შედარებით კვალში დაბეჭდილი მცირეოდენ განსხვავებას გვიჩვენებს: 5 ჭეხით] ჭირით; 8 საპირდაპიროდ] მოპირდაპირედ; 9 შუაზედ... 10 რიგება...] ეს ორი მუხლი არ არის კვალში; 12 გაიქცა] გაიჭრა; 13 მარტუა] მარტია.

3.

- ქართველთა-დ' ლეკთა რიგება ანდრეზად არ მადისაო.
ერთურთის დადგა პირდაპირ ჯარი ორისა ძმისაო.
შუაზე ჩაფრებ უდიოდ, რუსებ არ აძლევს პირსაო.
ომ იქნა შუადლის დროსა, გუგუნ დგას ზარბაზნისაო.
- 5 მანამ მისდიეს კვესურთა, მანამ ლიშანი ჩინსაო,
კვესურებ მაშინ დაბრუნდენ, ცნობა აღარ იყვა მკვდრისაო.
თოთიას ამწუხარებენ, გაიდაურის შეილსაო.
თავზე ნახურსა ჩაჩქანსა ნაკმლევი ჯამზე სჭირსაო.
ვაყებო, საწყინარია დარჩომა ბორაყისაო,
- 10 აღარ ხვიოდას დროშია ლალის გუდანის ჯვრისაო.

(R 26).

ეს ნაწყვეტი Rს 49 ნომრის ნაგლეჯად მიაჩნია. – 7 თოთიას ამწუხარებენ] „სულს ლეედა და თვალებს უხუჭავდენ და ასწორებდენო“ R.

ზ.

- კაცი წაღალა კევსურეთს: „თავი დამჭირდა ყმისაო; კევსურებ ჩამამივიდან, თორ ქალაქ წამერთმისაო.“ არაგვზე ჩამადიოდა ჯარი ლევისა მგლისაო. არაგვზედ ჩამამდინართა ყორან დახყეფდა ცისაო.
- 5 ჭეხით მიართვეს სალამი ღუშეთს ბატონის შვილსაო. დადგა ერთურთის პირდაპირ ჯარი ორისა ძმისაო. შუაზედ უდის ელჩები, რუსი არ აძლევს პირსაო. კევსურთა, ლეთა რიგება ანდრეზად არა თქმისაო. ომ იქმნა შუა დღის დროსა, გუგუნ დგას ზარბაზნისაო.
- 10 თუშნი გარდასხდეს ცხენებსა, გრიალ დგას ხეადებისაო. გაიქცა ურჯულოს ჯარი, ბრძანება იქნა ხთვისაო. „სანამ მივდიოთ, – კევსურთ თქვეს, – სანამ ლიშანში ჩინსაო, უკენ ჩასდიეს კევსურთა, წყეპა ამაღის კმლისაო; ერეკლე ბატონიშვილი თავ უფრო ეცდებისაო; კმლითა სცემს კოხტა ბელადსა, „გლეხი არ შეკადრისაო“;
- 15 – შეილი თან გამოიყოლა: „მსახურად შემეფერისაო.“ დაბრუნდეს დალაშობილდეს, ცნობა აღარ აქვ მკედრისაო. ყველაის საწყინარია დარჩობა დროშისაო. აღარ ხუოდას დროშაი ლალის კარატის ჯერისაო, ყმაწვილსა ჯანიკაურსა კუბო აუგით რელისაო;
- 20 შიგ შაწვინეთ შიშია, ანგელოზია ღთისაო; ცხრა დაყენეთ ხუცესი, ცოდო მახკადოს მკედრისაო: კურდღელის ძესა მგელასა ნაჭრევ აღონებს მკრისაო. თოთიას ამწუხარებენ სულხანაურის შვილსაო, თავზედ ნახურსა ჩაჩქნის ჯამს ნატყვიარაი სჭირსაო.
- 25 მაგას ვინ ეტყვის ვეშაგურს? – ვინ გარმაავლებს პირსაო?

–

ამაგ სიმღერის მათქვამსა ნღობა მეც მქონდა კმლისაო. წამართვეს ბაგრატიონთა, ცოდვა ეკიდოს მკედრისაო! შაბებს თავის თავადსა, ყურალაღაის შვილსაო.

(U, ივერია, 1891, № 90).

წინააღმდეგ თავისი კარგი ჩვეულებისა, Pს აქ არ აღუნიშნავს, თუ ვისგან აქვს გაგონილი. სამაგიეროდ S აღნიშნავს, რომ აქ ასპინძის ომია აწერილი. – 9 ომ იქნა] ომი ქნას; 16 დალაშობილდეს] დალაშობით დგეს U; 28 ყურალაღაის] ყურა ლაღაის U.

6.

- ალექსანდრემ თქვა: „ომს ვიზამ, ჯარი მყავს დაღისტინისა.“
გიორგი ბატონიშვილი ახლა შეიბძვის ხეთითაო.
კაცი მაღალა ქვესურეთ: „თავ დამჭირდების ყმისაო.“
ქვესურებ ნახალიზებარ ერთმანეთს არ უცდისაო,
5 ჩამამტრია არავვი, ყორანი დახყეფს ცისაო.
ჯერით მიართვეს სალაში დავითს ბატონიშვილსაო.
ერთ-ურთს დაუდგა პირდაპირ ორივე ძმისა ჯაროო.
შუაში ჩაფრებ დაუდისთ, რუსნი აძლევენ პირსაო.
ლექთა და ქართველთ რიგება ფიქრად არ მოუდისაო.
10 ომ იქნა შუადღის დროსა, დარია, ტყვია წვიმსაო,
თუშები ცხენ-და-ცხენობდეს, ჯოცვა არ უკვირსთ მტრისაო.
დიდი ურჯულო გაიქცა, ბრძანება იქმნა ლეთისაო,
გაუდგნენ ქვესურთ ვაჟები, წყეპა გაუდისთ კმლისაო.
დაღამებამდინ მიზდიეს, მანამ ლიშანი ჩინსაო,
15 დაღამიდანვე დაბრუნდნენ, ცნობა არ იყო მკვდრისაო.
(Bu, მოამბე, 1896, №11).

7.

- ამბავ მოვიდა ბარითა: „დაიძრა პირი ზღვისაო.“
კაცი მოლაღა ბატონმა: „თავი დამჭირდა ყმისაო.
ქვესურებ ჩამამვიდენ, თორ ქალაქ წამერთმისაო.“
ქვესურნ სანეს შაიყარნიან ნარჩენი თემ-თემისაო.
5 ადგეს, წავიდეს ქვესურნი, ერთმანეთს არ უცდისაო,
არავგზე ჩამოდოღდეს, ყორან ჩამოხყეფს ცისაო.
არავგზე ჩამააწყვიან ჯარ თეთრის კირიმისაო,
ჩავიდეს ქუდ-საკელვასა, ელვა დგას ჩაჩქნებისაო.
ჭუხით მიართვეს სალაში ერეკლეს ნეფის შვილსაო.
10 ერეკლემ ხკითხა მშვილობა, მზე ეფინების პირსაო.
გახკვირდეს კა თავადები, ერთ ქვესურ კარგ(ა) ცდისაო.
„(ე)გ ნათელისძე იქნების“, ერეკლე იცინისაო.
პირდაპირ ერთუცს დაუდგა ჯარი ორისა ძმისაო.
შუაზე უდის ელჩები, რუსი არ აქცევს პი(რ)საო.
15 ლექთა, ქართველთა რიგება ანდრეზ(ა)დ არ მოდისაო.
ძალიან ამწუხარებენ სულხანაურის შვილსაო.

თა(ვ)ზე ნახურსა ჩაჩქანსა ნატყვიარ ჯამზე სჭირსაო.
მინდიათასა მგელასა ნაჭრევ აღონებს (მ)კრისაო.

(Bc).

0.

- ქევსურეთ ამავე მოვიდა: „დაიძრა პირი ზღვისაო.“
კაცი მოლალა ერეკლემ: „თავი დამჭირდა ყმისაო.
ქევსურებ ჩამამივიდან, თორ ქალაქ წამერთმისაო.“
სანეს შაგროვდეს ქევსურნი ნარჩენი თემ-თემისაო.
- 5 წილი ჩაყარეს ახლებმა, – ბერებ იქ ვერა დისაო.
გულ აუჩქარდა ბერებსაც, ახლებ ქარივით ქრისაო.
ფშავის არაგვზე ჩადიან, ერთმანეთს არ უცდისაო.
ჭეხით ჩაართვეს სალაში დავითს ბატონიშვილსაო.
წამოდგა, სკითხა შშვილობა, მზე ეფინება პირსაო.
- 10 „მოსულხართ, ლაღნო ქევსურნო, თავ კი დამჭირდა ყმისაო.
ლექთა, ქართველთა რიგება ანდერძად არ მადისაო.“
შუაზე უზის ელჩები, რუსი არ აქცევს პირსაო.
არ ქნილა შუადლის ხანი, გუგუნ დგას ზარბაზნისაო.
შაიბნეს ლეკნი, ქართველნი, ჭეხა დგას მალა ცისაო.
- 15 თოთიას ამწუხარებენ სულხანაურის შვილსაო,
თავზე ნახურავს ჩაჩქანსა ნატყვიარ ჯამზე სჭირსაო.
მგელასა მინდიათასა ნაჭრევ აღონებს მკრისაო.

(T).

მას გაუგონია მგელიკა ლიქოკელისაგან. – ნ გულ აუჩქარდა ბერებსაც, ახლებ ქარივით ქრისაო] შდრ. 173,6.

0ა.

- ამავეი მოვიდა ქვენითა: „პირი დაიძრა ზღვისაო.“
კაცი მოგზავნა დავითმა: „თავი დამჭირდა ყმისაო,
ქევსურები ჩამომივიდეს, თორო ქალაქი წამერთმისაო.“
სანეს შაგროვდეს ქევსურნი ნარჩენი თემ-თემისაო.
- 5 ბებრებს გული ასჩქარებია, ახლებს
„ჩვენავ წავიდეთ ახლები, – ბერები იქ ვერა დისაო.“
არაგვზე ჩამოდოვდეს, ერთმანეთს არ უცდისაო.
ჯერით მიართვეს სალაში დავითს ბატონისშვილსაო.
ქევსურთ იქ მისვლით დავითსა ცხრაენით მზე აშუქდისაო.

- 10 „მოხვედით, ლაღრო კეესურნო, თავი დამჭირდა ყმისაო.“
ერთურთს დაუდგა პირდაპირ ჯარი ორისავ ძმისაო.
შუაზედ ღადის ელჩები, რუსი არ აქცევს პირსაო.
არ იქნა შუადღის ხანი, გუგუნი დგას ზარბაზნისაო.
ორისა ძმისა ომობა ანდრეზად არ მოღისაო.
- 15 თოთიას ამწუხარებენ სულხანაურის შვილსაო.
თავზედ ნახურსა ჩაჩქანსა ჯამზედ ნატყვიარ სჭირსაო.
მგელასა მინდოდათასა ნაჭრევე აწუსებეს მკრისაო.
- (Lb).

იბ.

- ღმერთო, რა ღიდი ბრალია არევა ქალაქისაო!
სიკდილი ნეფე ერეკლის საწყინარია ღვთისაო.
გავარდნილ ბატონისშვილი, ჯარი ჰყავს ბუსურმნისაო.
გიორგი ნეფისა შვილი შეებრძოლება ღვთითაო.
- 5 კაცი გაგზავნა კეესურეთს: „თავ მე დამჭირდა ყმისაო.“
ეგ რომ კეესურებთ შეიტყვებს, ჯაჭვი ჩაიტყვებს ტანზეა,
არაგვის ჭალას გადმოღის, ჯარია ღევა მგლისა.
ჩამოდგებ საერისთვოსა, თვალი ადგება ღვთისა.
მახარობელი წაუვა გიორგი ნეფის შვილსა.
- 10 გამოჰკითხაველა ამბავებს, მზეი პირს ეფინებისა.
პირდაპირ დაგვიდგებიან ჯარები ორის ძმისა.
შუაზედ ჩაფარი უღის, რუსი არ ატანს პირსა.
არ ქმნის შუადღის ხანი, გუგუნ დგას ზარბაზნისაი.
ღიდი გაიქცა ურჯულო, ბრძანება იქნა ღვთისაი.
- 15 არ ჩაუშენესა კეესურნი, წკეპა ამოდის კმლისაი.
ღაბრუნდნენ საღამო ხანზედ, ცნობა არ ჰქონდა მკვდრისაი.
ღმერთო, რა ღიდი ბრალია მანდ დამჩჩად ბურაყისაი!
ყმაწვილსა ჯანიგაურსა კუბო აუგეთ ხისაი,
შიგ დააწვინეთ შიშია, ანგელოზია ღვთისაი,
- 20 გულზედ მიეცით მიღები, შუქი ჩაუდგეს მზისაი,
ხუთი დაადგეს ხუცესი, ცოდვა მოქაღონ მტრისაი.
- (Go).

მომყავს G-ის ხელნაწერის მიხედვით. იგივე ლექსი მან დაბეჭდა კვალში 1897 წ. (№29). – განსხვავებანი: 3 ბატონისშვილი] ბატონიშვილსა; 5 თავ მე] თავი; 8 საერისთვოსა] საერისთავოს; 10 ამბავებს] ამბავსა; 10 მზეი პირს ეფინებისა] მზე

ეფინება პირსაო; 7 არ ქმნის] არ ქნილ. 20. გულზედ მიეციო მილები, შუქი ჩაუღვეს შზისაი] შდრ. 155, 20.

იზ.

- კევსურეთს კაცი მოვიდა: „თავი დაგვეჭირდა ყმისაო. მოვიდეს ფშაველ-კევსურნი, თორო ქალაქი წაგვეერთმისაო.“ არაგვის ჭალას ჩამოჩნდა ლაშქარი შავარდნისაო. ჭირით მუართვეს სალამი მეფე ერეკლეს შეილსაო.
- 5 გამცინებია ბატონსა, მზე ეფინება პირსაო. ომ მაქდა შუადლისასა, გუგუნ დგა ზარბაზნისაო. ჯარში შავარდნას აპირობს მარტია მგელაისაო. თავ მაქე ბიჭობაზედა, სანგალზე თავსა ცდისაო.

(Sh ფ).

მიამბო კ ა მ ი ს ი ა ბ ა დ რ ი შ ვ ი ლ მ ა ს. შუაფხოში 11.7.1911. – 2 მოვიდენ ფშაველ-კევსურნი] აქ ჩამოვიდენ კევსურნი (ვარ. მისივე).

60. ბორაყის წაღება (R 33).

61. ხახათ მწარია (R 33).

„აღექსანდრე ბატონიშვილი რომ ფშაველ-ხევსურეთში იმალებოდა, იქ ხახაშვილების ქალი დაარსულა და წასვლისას იმათი ვაჟიც თან წაიყვანა დედ-მამის უნებურად. ამ მარჯო თანდილაშვილს გაუპარებია. იმ ნაბიჭურის ჩამომავლები დღესაც არიან ფშაველში და ძალიან ლამაზი ხალხია“ R. (5 კიდევ შმშ. 95 № ისა).

62. ლევანი (R 2)

1 პირველად ლმერთი ვაკსენათ] „ასე იწყობენ ხოლმე, როცა ფშაველში „ფერხისას“ მღერიათ“ R; 25 მელიცი] მელიცი? R.

63.

დაბეჭდილია R-ის მიხედვით (გვ. 27). – 15 სიკვდილი ლევანისაო] ერეკლე მეორის უფროსი ვაჟი ლევანი გარდაიცვალა 1781 წელს.

ბ.

ქმალი სჭრის ბაგრატიონისა ნეფისა ერეკლისაო: შამაამტერია სათათრო, ნაპირი დაღისტნისაო.

ნეტავინ გამაცნობინა, ლევანს უქებენ შვილსაო!
ეხლავ ავობნა მამასა, მანამ იცვლიდა კბილსაო.

(Tფ).

ბ.

1-2=ა 1-2.

- 3 ავობა თავის მამასა, სანამ იცვლიდა კბილსაო.
ურჯულო გამამტვრია, როგორც ნაპირი ტყისაო.
- 5 თუ ლევან იქით მიბრუნდა, საქმე ჭირს დაღისტნისაო.

(X, ივერია, 1887, № 140=ც. წ. 17).

აქედან გადაუბეჭდავს, როგორც ჩანს, ს. გორგაძეს ეს ლექსი თავის წიგნში
„ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია“, ქუთ. 1915, გვ. 234).

64. დათუნა (R 29)

64ა (G 241)

65. მუცალი (R 4)

13 ლევან ბატონი] „ლევან ბატონიშვილი, ერეკლეს ძე“ R; 20 ბატონი] „თუშები
ეუბნებიან ლევანს“ R; 25 ყმა ლურჯის პერანგითაო] „ანდარეზა იყო“ R. —

ბ.

- გირავს ჩამადგა მუცალი, ეგრ რო ნაგუბარ წყალია;
თუშთ მაციქულებ ასკიდა, ბეგრად მასთხოვა ქალია,
ქალების გარდა საკვამლოდ თითო მანძილა კარია.
ბერებმ თქვეს: „მივსცათ ბეგარი, — მტერმა შაგვიკრა კარია.“
- 5 ახლებმ თქვეს: „ვერას მივსცემდით, მარკე ას, ქალის ბრალია!“
ქალმა კესელოს გაიგა, დასწყვიენა მამა-ძმანია:
„ან მიპატრონეთ, მამულნო, ან ქალს შამარტყით კმალაია.“
ჩარდახთით გამაუფრინდა, კლდეთ გარმახფინნა თმანია.
ქალის საქმარემ გაიგა, მაღლა შაირტყა კმალაია;
- 10 შახკაზმა მამის ყურ-თეთრი, შამაახანნა მთანია;
იარნა სამ დღე-ღამესა, სამტრონ-საშიშონ გზანია;
ჩაყარნა უხანო ხანთა თელავში თუშმა კმანია;
შუალამის დროს გააღა თელავ ლევანის კარია.
გაწყრა, გაჯავრდა ლევანი: „რა დროს სტუმრობის ხანია?“

- 15 – „რა მოგაქენათ, ბატონო, მტერმა შაგვიკრა კარია: გირავს ჩამოდგა მუცალი, ბეგრად მაგვთხოვა ქალია. აეწ თუ მაგვეშეელები, ვიქნებით შენი ყმანია.“ „აუშვით ანდარეზაი, ბოზვის ქალაის ქმარია!“ ციხით კი გამაიყვანეს ანდარეზაი კარია;
- 20 სახლ(თ)-ხუცის ცხენი მასთხოვა, ნაკუდაური კმალია. გავარდა გირავის წყალსა, სახლ(თ)-ხუცის ორქაფითაო; შამაუარა კარავთა ყმამ ღურჯი პერანგითაო; კარავში ჩაჭრა მუცალი ნაკუდაური კმლითაო; ასტაცა ოქროს სუფრაი, დაბრუნდა სიცილითაო;
- 25 ჯართ შუა ჩამაიარა, გავიდა მშვიდობითაო. გაიქცა მუცალის ჯარი, ფარსმის თავ გადადისაო. უკან ჩაუდგეს თუშები, წკეპა ამადის კმლისაო.

(G).

G აღნიშნავს, რომ მას ეს სიმღერე „ნაცოდნი აქეს თუშებისაგან, რომლებმაც უამბეს ღუშეთში კენჭობის დროს 1910 წელს.“ –

6 ქალმა კესელოს გაიგა) ე.ი. გაიგო, რომ იგი ბეგრად უნდა მისცენ ლეკებს; 8... კლდეთ გარმახფინნა თმანია) „გარმახტა ციხით და კლდეთაზე ჩამაევიდა მკვლარი“ G; 17 ვიქნებით შენი ყმანია) „მანამდე თუში ყმად არ ყოფილან და ახლა ყმობაც აღუთქვა“ G; 18 აუშვით ანდარეზაი, ბოზვის ქალაის ქმარია) ბ. გ ა ბ უ რ ი ს მიხედვით, ანდარეზა დაჭერილი პყლია ლევანს ქალის მოტაცების თაობაზე. ქალის მშობლები უკმაყოფილონი ყოფილან და ქალსაც ამის გამო უარი უთქვამს, მაგრამ ანდარეზას თავი არ დაუნებებია. ქალის დედ-მამას ამაზე ლევანთან უჩივლიათ და მას ანდარეზა ერთი წლით დაუტუსაღებია. ანდარეზას ციხეში ერთი თვეც გათავებული არ პქონია, რომ მუცალი თუშეთს დასცემია. თუშებს ანდარეზას განთავისუფლება უთხოვიათ. ციხიდან გამოსულ ანდარეზას მოუთხოვია სახლთ-ხუცის ღურჯა და ნაკუდაური ხმალი, რომლითაც მოუკლავს მუცალი თავის კარავში. რაკი ანდარეზამ ამ ომში თავი ისახელა, ამიტომ ციხიდანაც გაათავისუფლეს და ის ქალიც შეპირეთსო.

ბ.

- გირავში დადგა მუცალი, რო ნაგუბარში წყალიო,
დადგა, დაიდგა კარავი, შამაივიღვა ჯარიო,
თუშთ მაციქული ახკიდა, ბეგრა(დ) მასთხოვა ქალიო.
ზოგებმ თქვეს: „ქვე თუ მივსცემლით, – მტერმ დაგვატანა ძალიო.“
- 5 ზოგებმ ქვე გაიმარქიან: „ცოლშვილისადაც ბრალიო!“
იწყინა კიბილოვლმა, თუშმ დაირეკნა მთანიო,
საჩქაროდ გადაიარნა საკახეთონი გზანიო,

- გააღა შუღამის ღროსა თულავ სამართლის კარიო.
 იწყინა ლევან ბატონმა: „რაღა სტუმრობის ხანო?“
- 10 – „ნუ გამიწყრები, ლევანო, – მტერმ დავკატანა ძალიო.
 თუ ანღარეზას გაუშობთ, თქვენი ვიქნებით ყმანიო.“
 კაცი გაავღა ლევანმა: „მძიმე დამჭირღა ჯარიო.“
 გაივსა თენებისაღა თულავ გაღაენის კარიო.
 ანღარეზაიკ აუშვეს, კახაის ქაღის ქმარიო.
- 15 გაუშვეს ანღარეზაი ხოითა და ხოისშობლითაო.
 გავარღა გირავის წყაღსა ყმა ლურჯი ჰერანგითაო;
 კარავში დატრა მუცალი ნაკუღაურის ქმლითაო.
 გაიქკა მუცაღის ჯარი, ფარსმის თავ გაღადღისაო.

(B).

ნის მიხედვით, „ანღარეზას ლევანის ქალი შუეყვარებია, ბიჭი გამოსჩენია და ამაზე ლევანს დაუჭერი.“

ღ.

- მუცალმ შაყარა ლაშქარი, არ სწედება წვიმის ცვარია,
 ფარსმის თავს ჩამამღგარიყო, ვერ რო ნაგუბარ წყაღია,
 ახკიღა მოციქულები, ბევრად მასთხოვა ქაღია:
 „თი-თითო ქალი მამეციო, თითო არწივის მქარია.“
- 5 თუშებ შავროვდენ მირგვღაღა, დიღი დგას საუბარია.
 ზოგთა თქვეს: „მივსცეთ, რა გაქღა? მტერმა შავიეკრა კარია.“
 ზოგთა თქვეს: „ვერაკღად მივსცემთ, შვიღისა დიღი ბრალია.“
 ქაღმა გაიგო კერეღოს, დასწყიენა თავის ძმანია;
 გამაუფრინღა ციხითა, კღღეს გაღახფინნა თმანია.
- 10 დათუნა ბატონიშვიღმა შაკაზმა თავის ჩქარია,
 გრძელ-ყანით გამასეღესა ცხენმა დაუგღა ნაღია,
 ერთ ლამეს გაღაიარნა საში დღე-ღამის გზანია,
 გააღა გათენებისას თულავს გაღაენის კარია.
 შამასწყერ თულავის ბატონი: „რაღა სტუმრობის ხანია?“
- 15 ვყოფიღევარ საოცარშია, უნჯნ მებღეოღეს ყმანია.“
 – „გახღავართ, – უთხრა, – ბატონო, მტერმა შავიეკრა კარია.
 ეხღა თუ გვეშვეღებოღა, გაეკღებით შენნი ყმანია.“
 კაცი წაღაღა ქაღაქში: „ღამჭირღა დიღი ჯარია.“
 აივსო გათენებისად თულავ გაღაენის კარია.
- 20 გაუძღვე თულავის ბატონი, ჯარმ გაღიარნა მთანია.
 თუშთ ანღარეზა მასთხოვეს, შვიღის წღღის პატიმარია,

- „აუშვი ანდარეზაი ღოთა და ღოთშვილობითა!“
 აუშვა ანდარეზაი ღოთა და ხოთშვილობითა.
 გავარდა გირავის წყალსა ლურჯითა პერანგითა,
 დახივა მუცალის ჯარი სამხუცის ორქაფითაო,
 კარაეში მუცალ დაკაფა ნაკუდაურას კმლითაო.
 დაუც კელ ოქროს ტაბაკსა, წაეიდა მშვიდობითაო.
 ვეუბენ, არ დამიჯერა, ქალამ ვაჭარბე ჭკვითაო:
 „მუცალ, ნუ წახვალ თუშეთა, თორემ იციან კმლითაო.“

(1)

შ.

- ქარუსა თავსა გადმოდის დიდის ნუცალის ჯარიო,
 ჩამოდგა გირევის ვაკეს, როგორც ნაგუბარ წყალოო.
 წოვა დედარის ანთაი ნუცალს მიუა კარზედა.
 დაუდგეს ოქროს ტაბაკი, ზედ კვიცის კორცი აწყვიდა.
 დანა ზედ უძვეს ჯავარი, გიშრისა ტარი აგია.
 სჭამდის და ვერა ძღებოდის, ღვთისგან მოელოდ შეველასა.
 შეიტყო ითაბანულმა, ლურჯას დააკრა ნალები,
 საგაფენებლოდ ჩავალის გრემს ბატონისა კარზედა.
 – „ლევანო, ჩვენო კემწიფეე, ჩვენა გვიბოძე ყმანო.“
 ლევანმა ჯარი შეყარა, ათასი მჟომარო,
 ანთო მამხალეები, ღამით გაიხნო გზანო,
 გადადის ნაყავეჩოსა. ღმერთო, დასწერე ჯვარიო!
 ითაბანულის ლურჯაი ნაყავეჩს გდია მკედარია.
 გვერთ უზის თავის პატრონი, დასტიროდ როგორც ქალიო.
 ვინ გახვალთ გირევის წყალსა, ვინ გაიმეტებთ თავსაო?
 ვინ გავიდ გირევის წყალსა ვაჟი ლურჯ-პერანგინი?
 იქნებოდ საგინაშვილი, ვისაც ანდარეზ ჰქვიანი.
 ჩაეიდა, ჩამოერია სახლთ-ხუცის მარქაფითაო,
 ნუცალს ჩაუჭრა კარავი ნაკუდაურთის კმლითაო.
 ცოლი ნუცალის ტიროდა: „ნეტარ, ნუცალი რა იქნა?“
 – ნუცალი ანდერაზმ მოკლა, ყორნებს ჩაჰქონდა ბრჭყალითა.

(Bu თ, №43).

აქ ამას უშუალოდ მოსდევს: „ლეკთა ტირიან ქალები: აღარ მოგვივლენ ქმარები“, რომელიც ვარიანტია 274 ნომრის მეორე ნაწილისა (ნ. №274 დ). ამ ლექსში შემავალი ორი მუხლი (4-5) მოგვაგონებს 127 ნომერს.

სულ სხვა ცნობებს გვაწვდის Bu ანდარეზას (ანუ ანდერაზის) შესახებ: „თუშების გადმოცემით ანდერაზ საგინაშვილი იყო კახეთის თავადიშვილი. რაღაცა მძიმე დანაშაულობისათვის მეფე ლევანმა ჩასო ანდერაზი საპყრობილეში და როდესაც ქართველი ჯარი მიდიოდა თუშეთში, საგინაშვილმა სთხოვა მეფეს, რომ მისთვისაც მიეცა ნება წასულიყო თუშეთში. მეფემ დართო ნება. საგინაშვილი გაჰყვა ჯარს სახლთ-ხუცესის მარქაფით (ცხენით). მტერი შეკვხვდა ერთმანეთს სოფ. გირევის ვაკეზე, პირიქით თუშეთში. ბრძოლის წინ გამოასკუპა ცხენი ლეკების მომეტემ მურთაზმა და გამოიხზო საბრძოლველად ქართველების მომეტე. გავიდა საგინაშვილი. მურთაზმა მისცა საგინაშვილს წინადადება, რომ შებრძოლებოდნენ ერთმანეთს შიგ პირიქით თუშეთის ალაზანში, რომელიც გირევის ბოლოში ნამეტნავად შფოთავს და ღრიალებს, როგორც დაჭრილი მხეცი. საგინაშვილი დასთანხმდა. თავის ცხენს გამოუცვალა მოსართავი, ტყავის მოსართავის მაგივრად შემოუჭირა აბრეშუმისა, რომ წყალში უფრო გამაგრებულიყო. ტყავისა ხომ დაბოშდებოდა და უნაგირი გვერდზე მოექცეოდა. ორივე მომეტემ ჩაყარა ცხენები წყალში. შუბებით ეკვეთნენ ერთმანეთს. საგინაშვილმა გააკრა შუბი, ლეკს უნაგირი გვერდზე მოექცა. მურთაზი წყალში ჩავარდა და დაიხრჩო.“

3.

„ჭერხოში დედან ატირდეს, ქალმა შასწყიენა ძმანო:
„ან უპატრონეთ მამულსა, ან ქალს შემარტყით კმალიო;
ჩემსა უთხარით საქმროსა, ბარემ მოიკლას თავიო.
კახეთში მაინც ჩავიდეს, იქით მორეკოს ჯარიო.“

5 საშველად ეგებ მოვიდეს ჭეხსურეთი და ფშავიო.“

„გვიშველე, ჩვენო ლევანო, გექნებით უნჯნი ყმანო.
მოვიდა ძალი მუცალი, ბევრად მოგეთხოვა ქალიო.“
ორ-ყანას ჩამოგროვილ ჯარს არ სწვდება წვიმის ცვარიო.
„გაუშვით ანდარეზაი, ვეფხვია მემოშარიო.“

10 გაუშვეს ანდარეზაი ღვთითა და ღვთისმშობლითაო,
გავიდა გირავის წყალსა ყმა ლურჯის პერანგითაო,
ჯარს სამჯერ შამაუარა სახლთ-ხუცის ლურჯათაო,
მუცალ კარავში აკაფა ნაკუდაურის კმლითაო.

15 თანა ჰყავ ფშავლიშვილები, წყეპა ამოდის კმლისაო.
ასე აკაფეს მუცალი, ყორნებს აქონდა ბწყლითაო.
გაიქცა მუცალის ჯარი, ქალურად მიტირისაო.
მუცალის ცოლი ჰკითხავდა: „მუცალმა რაღა ქნისაო?“

— „მუცალმა ვეღარაი ქნის, ტირილი დაიწყისაო, —
აკაფა ანდარეზამა, ყორნებს აქონდა ბწყლითაო,

- 20 ვასტაცა ოქროს ტაბაკი, სიცილით გაიქცისაო.“
– „გირჩევ, ნუ წახვალ!“ ვეუბენ, მე ქალმ ვაჯობე ჭკვითაო.

(X, ივერია, 1887, №144=ტ. წ. 38).

ივერიაში ეს ერთ ლექსად არის წარმოდგენილი, მაშინ როდესაც ცალკე წიგნად რომ გამოვიდა ლ. ხ ი ზ ა ნ ი შ ე ი ლ ი ს ფშაური ლექსები, იქ ორადღა გაყოფილი: I. მმ. 1-5, II. მმ. 6-21.

ზ.

- იყრება ურჯულს ჯარი, დიდო და დაღესტანია.
თუშეთში კაცი გაგზავნეს: „ბეგრად მოგვეცით ქალია!“
გაიგო ფაქილოს ქალმა, შასწყვიენა თავის ძმანია:
„ან მიპატრონეთ, მოძმენო, ან მეც შამარტყით კმალია!“
- 5 ეგ რო ჯაბანომ გაიგო, გაღესა თავის კმალია,
აღგა, წავიდა კახეთსა, ლევანსა სთხოვა ჯარია.
სადილად შამაქხვევიყენენ ლევანსა თავის ყმანია.
ბატონმ იმახა ლევანმა: „ცხენ ვის გინდ, იარაღია?“
– „ზალმიზის მინდა ლურჯაი, ნაკოდაური კმალია.“
- 10 ამუშვით ანდარეზაი, თქვენი ტყვე-პატიმარია.“
აუშვა ანდარეზაი, ღთისა ამაყვა თვალია.
შავს ლამეს შავი დაბრუნდა, დაძრა დაღისტნის ჯარია.
აკაფის ანდარეზამა მუცალი თავის კმლითაო,
ნაკაფი წყალში ჩაყარის, გაქონდის იხვიითაო.
- 15 ვინ გახვე გირაენის წყალსა ყმა ლურჯის პერანგითაო?
ტანი გამოგყვა აღვისა, თავს ქუდი ოთოგნისაო.

(T ფ).

მ.

- თუშეთში წყალი მოიდა, ვით ნაგუბარი ღვარია.
თუშებს დაადვეს ბეგარა სოფლად ნარჩევი ქალია.
ზოგთა თქვეს თუშთა: „მივსცოდეთ, – მტერმ დაგვატანა ძალია.“
ზოგთა თქვეს: „მოდი, ნუ მივსცემთ, ჩვენც გავლესოდეთ კმალია.“
- 5 ხაზონის ქალმა ნანამა დასწყვიენა თავის ძმანია,
ციხეზე გადმაუფრინდა, გადმაუფინნა თმანია:
„თუ მაგათ წამაყვანინოთ, ლაგაზს მაუკედეს თავია!
ან მიპატრონეთ, თუშებო, ან ქალს შამარტყით კმალია!“
იბისმა ძმამა ლაგაზმა გძლად შამაირტყა კმალია,

- 10 შაკაზმა თავი შავ-ცხენი, ზედ თავად შაჯღა კარია.
საყორნე ჩამიარეს, შუალამისა ხანია.
სათუნებოდ გაელო თულავს გალავნის კარია.
წინ ლევან შამეგება: „რა დროს სტუმრობის ხანია?“
— „მა, რა ექნათ, ჩვენო ბატონო? მტერმ დავგიჭირა კარია.“
- 15 გაუშვით ანდარეზაი, ვეფხვია მეომარია.
შვატყობინებთ ქიზიყსაც დ' ეგებ გვიჭიროს მქარია.“
გაუშვეს ანდარეზაი, წელთ შამაარტყეს კმალია.
შვიდა ანდარეზაი, გაალო ციხის კარია.
თან შაპყვა თუშისშვილები, კმლისა გამოდის ჩქამია.
- 20 გაიტყა ლეკის ლაშქარი, ჩატირის, როგორც ქალია.

(R ფ 184).

66-69. აბაშა (R 94-95)

70. ანჯარ (R 135)

1 ანჯარ] ამ სიტყვის შემდეგ R კითხვით ნიშანს სვამს ფრჩხილებში.

71. ბაბუხური (Gs)

Gs აღნიშნავს, რომ ძაღვს საქისტო გზით მიმავალი არხოტიენები, რომელთა შორისაც ყოფილა ბაბუხურ წიკლაური, ღამით დამდგარან ერთი სოფლის ასლო. ხვესურებს დაუბინიათ, გარდა ბაბუხურისა, რომელიც ფხიზლად ყოფილა, რადგანაც სცოდნია, რომ ერთი ქისტი ცხენის მოპარვას ემუქრებოდა. ნაშუალამევს ბაბუხურს შეუნიშნავს, რომ მის ცხენთან ვილაც კაცი მივიდა, გაჭრა თოკი და ცხენი წაიყვანა. ბაბუხურს უსვრია და ქისტი ბლავილით დაცემულა. გათენებისას ბაბუხური მისულა და მიწიდან სისხლიანი ტყვია ამოუღია. ხვესურები დაბრუნებულან. მათ დასწევია პარტალას ბიძა და უკითხავს: „წინ ვინები წავიდესავ? ძმის-წული მამიკლესავ.“ მათ უპასუხნიათ: ჩვენ არა ვიცით რაო და წამოსულან. მას „შემდეგ იქნების ასე 70 წელი“ო, დასძენს Gs (მღრ. № 203).

72. ბალათერა ჯაბუშანური

ა ვარიანტი ჩემია (Sh). იგი ჩავიწერე გ ა გ ა თ ე თ რ ა უ ლ ი ს ს ი ტ ყ ვ ი თ ს. ახი-ელში 6. 8. 1913. ლექსის შინაარსი ისაა, რომ ობლად დარჩენილი ბალათერა, არხოტელი, როცა წამოზრდილა, დედი-ძმათას გადასულა ს. კარკურას, სადაც მამის მიერ მიბარებული იარაღი ჰქონებიათ. წამოსვლისას ბალათერას უთხოვნია თავისი იარაღი, მაგრამ დედი-ძმას არ მიუცია: ჯერ ბაღლი ხარ, აბა რად გინდაო? ამიტომაც ლექსში

ნათქვამი: „დედი-ძმათ გაჯავრებული ქვა-რკინას ამტვრევს კბილით“ო. გზაში, ჯუთის ზემოთ, ქისტების მზირს შესჩეხებია და დაუჭრიათ.

ბ.

- კარკუჩით გამეშართა ბალათურაი დილითა.
ჩაუსხდეს გზის თავს, გზის ძირსა, შამოსილები რკინითა.
აივსო ქოთანთის ბეჭი ახალ-ციხლების მზირითა.
მოვიდა, ბალათურამა კმალე იქნევა პირითა,
5 ზოგნი ჭრნა, ზოგნი დაკოცნა, ზოგნი გაეღწივნენ ჭირითა.
ემანდით დაქცეულებმა სისხლ ამოყარეს პირითა.
მამინის ბალათურამა მთა გადიარის გმინვითა.
ვაჟი მიუვა დედასა გაცინებულის პირითა,
გადაუშალა ქოჩორი, გადაპოხილი ტვინითა.
10 „ბიძამ არ მამცა ჩაჩქანი, აწ გაძლეს ჩემის ჭირითა!“
ბალათურაის დედამა დაიჭრა თმები ძირითა:
„რაისად წახველ სამზირსა, რად გაგიშვი შინითა?“

(R 173).

ბ.

- კარკუჩით გამეშართა ბალათურაი დილითა.
ბიძაის გაჯავრებული ქვა-რკინას მახკნეტს კბილითა.
დაივსნეს ქოთანთის ბეჭნი ქომალ-ციხურით მზირითა.
ცოტინამ ბალათურამა კმალ დაიქნევა პირითა.
5 ზოგნი ჭრნა, ზოგნი ჩაკოცნა, ზოგნი გაუშვნა ჭირითა.
თავადაც ბალათურამა გზან გაიარნა ჭირითა.
გადაუჩინდა დედასა გაცინებულის პირითა,
გადაუშალნა ქოჩორნი გადაპოხილნი ტვინითა.
„ბიძამ არ მოგვა ჩაჩქანი, აწ გაძლას შენი ჭირითა!“

(B).

დ.

- კარკუჩით გამეშართა ბალათურაი დილითა.
აივსნეს ქოთანის ბეჭნი ქვემო-ციხურის მზირითა.
ჩაუსხდეს გზის თავ, გზის ძირსა გადალესილნი რკინითა.
ცოტინამ ბალათურამა კმალე გაიქნია პირითა,
5 ზოგნი დაჭრნა, ზოგნი დაკოცნა, ზოგნი წაუვიდეს ჭირითა.

- ამანდით წამასულები სისხლს ამხყრიან პირითა.
მარტუა ბალათურაი მთაზე გარმოკლა გმინვითა,
გადაუჩინდა დედასა გაცინებულის პირითა,
გადაუშალა ქოჩორი გადაპოხილი ტვინითა.
- 10 „ვაიმე, ბალათურაო, რაად გავიმვი შინითა?
დედამ არ ვიქნენ საგძალნი, დედა-დან ორნივ ვტირითა.“
– „ჩაჩქან არ მამცა ბიძამა, არ გაძლეს ჩემის ჭირითა!“

(T).

2.

- კარკუჩით გამოემზადა ბალათურაი დილითა.
დელის-ძმათ გაჯაერებული ქვა-რკინას ამტერევეს კბილითა.
აესილა ქოთანის ბევი ქომო-ციხლების მზირითა.
მარტუამ ბალათურამა კმალი იბრუნა პირითა.
- 5 ზოგნი კი გაუწყვეტია, ზოგნი წასვლიან ჭირითა.
თავადაც ბალათურამა მთა აიარა გმინვითა,
გადაუვიდა დედასა გაუცინარის პირითა,
გარდაუშალნა ქოჩორნი გადაპოხილნი ტვინითა.
„ბიძამ არ მოგცა ჩაჩქანი, ის გაძლეს შენი ჭირითა!“

(Sh მოხ.).

ჩავიწერე იასე ხულებლის ნამბობის მიხედვით ს. თოთში 28.7.1913. –
იასემ ამ ლექსში გაურია (მე-4 და მე-5 მუხლს შუა) ნაწყვეტი ნაროზ ბლოელის
ლექსიდან (№ 177), სამი სტრიქონისაგან შემდგარი:

აუდგეს გზის თავ, გზის ძირა, შუაჩი ჩაიგდიანო.
ერთი შამოპკრა ტიმლელსა, ნაწყვეტნი გზის პირს ჰყრიანო.
მეორე მექაფსოელსა, თითნი ვადაზე სჭრიანო.

ეგვე ვარიანტი ბალათურას ლექსისა, მცირეოდენი განსხვავებით, ჩაწერილი ეუნახე
ანდრია კობაიძეს 30. 7. 1913 ს. სიონში.

3.

- კარკუჩით გამაემართა ბალათურაი დილითა,
მთა ხქონდა გადასავალი, მთასა შაუდგა დილითა.
დედულჩი გაჯაერებული რკინას ამტერევედა კბილითა.
გადაუალის თვის დედას გაცინებულის პირითა.
- 5 დედა დაღბარცხნის ქოჩორსა გადაპოხილსა ტვინითა.

„დაძებნით, ქომო-ციხლებო, ბალათურაის სისხლითა!
ვამ დედას შენსას, ბალათურ, გაზრდილო ცოდვა-ჭირითა!“

(D, შიო კობაიძის აგან გავონილი).

ზ.

არხოტის თავით წამუა ბალათურაი დილითა.
არხოტის ჭალა აესილა ბალათურაის მზირითა.
მოსისხლენ გადმუკვიცდენ, პირი აუესეს სისხლითა.
შინავ მაკვარეს დედასა ბალათურ მკრთალის პირითა.
5 დედა გადაპხანს ქოჩორთა გადაპოხილთა ტვინითა.
„ვამ დედა-შენსა, ბალათურ, გაუშაძლარო ღვინითა!
გმურობდენ შენნი სწორები, ეხლა დაგიძლენ ჭირითა!“

(Rფ 164).

ზ.

პატარამ ბალათურამა მთა გადიარა გმინვითა,
მიუვა თავის დედასა გაციხებულის პირითა.
დედა გადაპხანს ქოჩორთა გადაპოხილთა ტვინითა.

(Rფ 165).

73. ბალათურას ფარი (Sh)

მიამბო ივანეურ ოჩიაურმა 6.8.1913 ს. ახიელში. – 3 სწორებში ივანეურ-
მა: სწორებ.“

აქ რომ საუბარია ფარის შეკიდებაზე, რათა პატრონის ნაცვლად, მისი სიკვდილის
შემდეგ, ქარმა შეძრას-შემოძრას, გავრცელებული მოტივია მთის ხალხურ პოეზიაში:
იგი გატარებულია თორღვას ლექსშიც (44 ბ, 16-17) და, ამას გარდა, გვხვდება ა. ყ ა ზ -
ბ ე გ ი ს მიერ დაბეჭდილს ერთ პატარა ნაწყვეტში:

08.

ბეთლემის კარზედ ჰკიდია ვოჟა ჯურქაის ფარიო.
მოუვლის ომის წადილი, ხანდისხან შესძრავს ქარიო.

(Q, ივერია, 1885, № 8=ც. წ. 37).

74. იოსება (Sh)

ჩამაწერინა გაგა თეთრაულმა 6. 8. 1913 ს. ახიელში.

ბ.

- კეში ზის იოსებაი. ბულვა ბუბუნებს კარია,
ქალაქ გაწვიტნა სომეხნი, გულამყარს უყვ ძალია,
ქმოსტ-როშკას გარმასწვევია, როგორც მარილზე ცხვარია,
წამავა საარხვატოდა, საწყინარ ეტყვის მკარია,
5 გარმავა ცირცლოვანშია, საწყინარ ეტყვის მკარია.
ჩამაჯღა ეხის კარშია, ჩამაიყულა ფარია.
გამაუღების ცხვრის წყემსსა, ვერ დაიჭირა ქალია.
ქალმა ისრიენა მანდელნი, არხვატ ჩაყარნა ქანია.
ვაუებს ციხის კარ ნასხლომებს მუკლებს შაუჯღა ქარია.
10 გამაღმეტლების ობოლი, გამიიმეტა თავია.
მაზღევდა იოსებასა, შუ არ ჩაუოს ფარია.
ხკითხევდა იოსებაი: „ყმაწვილო, ვისა ხარია?“
– „რას მკითხავ, იოსებაო, დამბრუნავ არა ვარია.
დისწულ ორ იონეურთა, ბალახურისძე გვარია.
15 შენ რო მაზღევდი ქალასა, იმის საქმარე ვარია.“
იოსებამ და ობოლმა სამ-სამჯერ სცადეს თავია.
იცილებს მტრისა ნაქნევსა ბალახურისძის ფარია.
ობოლმაც ჩქარა მასწვრა, ბევრ არ დალიო ხანია.
შამახკრა იოსებასა, შამააწვინა მკვდარია.

(G 179-182).

გის სიტყვით, ეს ამბავი „ერეკლე ნეფის დროს“ მომხდარა. ბალახურისძე ლექსში ქალის საქმარედ არის გამოყვანილი, გის თქმით კი ის ქალი მისი ცოლი ყოფილა. ამ ქალს ცხვარი ჰყოლია საძობლად ვერძის ტყის გორის თავს და იოსებას იქ მოუსწვრია. — გის მეორე ჩანაწერში მცირეოდენი განსხვავებანია: 5 გარმავა...] ეს სულ აკლია; 15 შენ რო მაზღევდი ქალასა] გუმინ რო ქალას მაზღევდი. ამას გარდა ბოლო აქ სხვაგვარად თავდება: საჩქაროზედა ყმაწვილმა ამამღერა ქმალისა, შამახკრა იოსებასა, შამააწვინა მკვდარია. „ეგ გინდა, მექვეის შვილო! ძალლებმ გამავხრან მკვდარია!“

ბ.

მოკევე იოსებაი ბუბუნებს, როგორც კარიო,
ქმოსტ-როშკას გადმოსწვევიო, როგორც მარილზე ცხვარიო.

- ახლა არხოტსაც გადიდა, ცირცლოუანს დასხნა გზანიო.
მემზახლეს არხოტიონსა დანდობით დასჭრა თავიო.
- 5 წინ ქალსა, უკვენ იოსებ(ს) მუკლებ(ს) შაუუდა ქარიო.
ქალმა დაშალნა მანდილნი, არხოტს ჩაყარნა კმანიო:
– „იოსებ გამოგვერია, ძმა-შინშთ დამიჭრა თავიო.
ვინც მახკლავთ იოსებასა, იმის საცოლუ ვარიო.“
საფიხნოშით ვაეებსა მუხლებ(ს) შაუუდის ქარიო.
- 10 იოსებს მღევარ აუტყდა, გაუდგა დიდი ჯარია.
გამოღმეტდების მღევარსა ყმაწვილი უმეცარიო,
ჯუთის კორქს გადასეესა იოსებს მახკრა თვალიო.
„დამაცა, იოსებაო, დამბრუნაე აღარ ვარიო.“
ხეითხავდა იოსებაი: „ყმაწვილო, ვისი ხარიო?“
- 15 „რას მკითხავ, მოკევის შეილო? საომრად მკიდაე ფარიო.
შენ რო ქალ გამოგვეცივა, იმის საქმარე ვარიო.“
ქმლითა სცის იოსებასა, ფეკ ქვეშ გაიგის მკვდარიო,

–
ამგ სიმღერის მათქვამი კვეთილიანი ვარიო.

(R 127).

რს ამ ლექსის ზოგიერთი ადგილისათვის ვარიანტები მოყავს: 1 მოკვეე იოსებაი] კევსა ზის იოსებაი; 4 მემზახლეს] ამ სიტყვას R კითხვით ნიშანს უსვამს და შენიშნავს: „სხვა ვარიანტში მემხლეა – მხლის მკერფაეებს.“

09.

ქალმა დაყარნა მანდილნი, არხოტს ჩაყარნა კმანიცა.
„ქალსა რო გამასდგომიან, მე ორა იმის ქმარიცა.
აწ ან დაეკონათ ერთ-ურთი, ან სოფელს მიეს[კათ თავიცა.“

(R 177).

ეს სამი სტრიქონი მობმული აქვს, როგორც უშუალო გაგრძელება, ქალ-უაგის გაბასებას, რომელიც 376 ნომრად დაიბეჭდა ამ წიგნში. Rც შენიშნავს: „მგონი ამას ქვემოთ სხვა ლექსილამ უნდა იყოს.“

დ.

ქვეს ვინლაც ივასებაი ბულა ბუბუნებს კარია,
აღარ კადრულობს დაბალზუდ. მაღალზუდ დაქნა გზანია,
ქალაქს დაშიშნა სომეხნი, გუდამაყარს ქნა ძალია.
ქვესურეთს გადაეჩვია, ცხორ-ძროხას უყო ძალია.

- 5 ხესთანას ჩამომავალსა ქალმა შაასწრო თოლია, დაყარა თავის ჩიქილა, არხოტს შააგდა კმანია. არხოტიონსა ვაყებსა მუქლჩი შაუჯდა ქარია. მთლად გამაუღდა მღევარი, გადაიარეს მთანია. ქალის ქმარიც დაედევნა, თოფს დაუპირა ტალია,
- 10 მალ დაუარა წინაი, მიწროდ შაუქრნა გზანია. „სად მიხოდ, ივასებო, საით მიგიქრის ქარია?“ ივასებაი ჰკითხავდა: „ვაჟავ, შენ ვისი ხარია?“ – „რას მკითხავ, ივასებო? გამბრუნებ აღარ ვარია. დისწულ ვარ ივანეურთი, ბუბუნაურთა გვარია.“
- 15 გუშინ რომ ქალას მოზღვედი, მე ვარ იმ ქალის ქმარია.“ გადაუქნია მოკევემ, მოსჭრა მარჯვენა მქარია. ეგრე ჩაკუწეს ერთ-ერთი, როგორც ჭუკარი მხალია. საწყალი ივასებაი გზის თავს შემოწვა მკედარია.

(Sh მოხ., ან დ რ ი ა კ ო ბ ა ი ძ ი ს ა გ ა ნ გ ა გ ო ნ ი ლ ი
30. 7. 1913 ს. სიონში).

2.

- მოკევემ იოსებაი, ბუღამ ბუბუნებს კარო, სულ ამააგდა ჯოყანა, კეესურეთს მისცა ძალიო. არ იარების დაბალზეო, მთა-წვეერზე დაქნა გზანო. ჩამაქდა ვაჟი ცირცლოვანს, ჩამაივოკა გზანო.
- 5 ხეთანას ჩამამავალსა ქალმა შაასწრა თვალიო, ქალმ იქვ გაწირა ჩიქილა, არხოტს ჩაყარა კმანო. ფეხონჩი მსხდომსა ვაყებსა მუქჩი შაუჯდა ქარო. მღევარს დაშორდა ყმაწვილიო, მარცხნივ გადიგდა ფარიო. ჰკითხავდა იოსებაი: „ყმაწვილო, ვისი ხარო?“
- 10 – „რას მკითხავ, იოსებო, დამბრუნნი აღარ ვარო. დისწულმა იონაურჩი, მზე-ბალახური გორიო. კელით რომ წამოგივიდა, მე ვარ იმისი ქმარიო.“ იქვე დაკუწეს ერთ-ერთი, როგორც ჭინჭარა მხალიო. საწყალი იოსებაი გზის თავ შამაწვა მკედარო.

(D, შ ი ო კ ო ბ ა ი ძ ი ს ა გ ა ნ გ ა გ ო ნ ი ლ ი ს. სიონს).

3.

ქევსა თქვეს იოსებაი, ბუღა ბუბუნებს კარია. ჩამეჩვივის ქმოსტშია, ნამარილვეს რო ცხვარია.

- ქალმ აიყარან მანდილნი, არხოტს ჩაყარანა კმანია:
 „ვინც მაქლავს იოსებასა, საკარგემოდ ჩემი თავია.“
- 5 არხოტში არხოტიენებსა მუკში შაუჯდა ქარია.
 შამაყვის გორის პირზედა ყმაწვილი უმეტარია.
 უძახის იოსებაჲ: „ბაღლაჲ, რომენი ხარია?“
 – „ნუ მკითხავ, იოსებაო, დამბრუნავ აღარ ვარია.
 დისწულ ვარ აკიაური, ახიალელი გვარია.“
- 10 გუშინ რო გამოგქციეიყენენ, მე ვარ იმ ქალის ქმარია.“

(Rფ 216, ათია წოწკურაულისაგან გაგონილი).

R შენიშნავს: „ეს ვარიანტი ხეესურულად მაქვს კარგად ჩაწერილი“ – „ლექსშია, რომ უმეტარმა ბაღლმა მოკლავ, აქვე კი ნათქვამია, რომ მე ვარ იმ ქალის ქმარი. უნდა ვიცოდეთ, რომ ხეესურები ხშირად იქვე აკანში ნიშნავენ ბავშვებს.“ – „ეს ლექსი ხეესურულია და ფშავში გავრცელებულია. არც ბოლო უჩანს, გვარებიც გადა-რეულია. საზოგადოდ თუ ძალიან გამოჩენილი კაცის სახელი ან გვარი არ არის, ხშირად ავიწყდება ნამდვილი გვარი და სახელი ხალხს, აგრეთვე სოფლისაც.“

ზ.

- ქვეთა ზის იოსებაი, ბულა ბუბუნებს ქარია.
 ქვესურეთს ჩამეჩვია, როგორც მარილზე ცხვარია.
 ქალმ გადაყარანა მანდილნი, არხოტს ჩაყარანა კმანია:
 „ვინც მაქლავთ იოსებასა, საკარგემოდ ჩემი თავია.“
- 5 ჩამოგეწია თორღვაი, ყმაწვილი უმეტარია.
 ჰკითხავდა იოსებაი: „ბაღლო, შენ ვინა ხარია?“
 – „შენ რო გუშინის გეწვალა, იმ ქალისი ვარ ქმარია.“
 მოგარტყა, იოსებაო, მანძილაჲ, დასხენ რქანია!

(Tფ).

მ.

- ბუბუნებს იოსებაი, როგორცა ბულა ქარია,
 ქმოსტ-როშკას გადმოეტანა, წასხა ქარი და ცხვარია.
 ქალმა მოწირნა მანდილნი, არხოტს ჩაყარანა კმანია.
 ქავის კართ ნასხლოშს ვაუებსა მუკლში შაულდა ქარია.
- 5 გამომეტღების ვაჟაი, ქალის საქმარე არია.
 ჰკითხვედის იოსებაი: „ვაჟავ, ვისაი ხარია?“
 – „ნუ მკითხავ, იოსებაო, დამბრუნავ აღარ ვარია.
 დისწულ ვარ ივანეურთი, ბალახაურ მაქვ გვარია.“

სიტყვა ვერ არ დეუთავა, გადაუქნია კმალია.
გაგორდა იოსებაი, მანძილამ დასხნა რქანია.

(Lb).

75. ბექა (R 97)

ბ.

გორდიგორ რომენ ჩამოხვალ ბიჭი მიქაი ფრენითა?
ნეტაეი, ძმაო მიქაო, შვილი გქნა დეღის-ჩემისა!
ანამც სატყვეოს ჩაგაგდო, საფრენი მოგცა ცხენითა!

(R 185).

ბ.

ქალი ვარ წოვა თუშისა, სიტყვას ვერ ვამბობ, მცხვენისა, —
დამთერალან თუშის შვილები, ერთურთს ითრევენ კელითა.
გორდიგორ რომენ ჩამოხვალ? ვაჟო, ვინა ხარ ცხენითა?
ნეტაეი, ძმაო მიქაო, შვილი გქნა დედი-ჩემისა!
ანამც სატყვეოს ჩაგაგდო, საფრენი მოგცა ცხენითა!

(R 198).

დ.

ქალი ვარ თუშთა წოვათი, სიტყვას ვერ ვამბობ, — მცხვენისა:
წამამიყვანეს ლეკებმა, მიწა ვასველე ცრემლითა.
თავ მივიბრუნე, მოგვდევედა ზეზუაი თავის ცხენითა.
მიკაფ-მოკაფა ლეკები, როგორც ბალახი ცელითა.
წამამიყვანა ზეზუამა, თვითონ მავლია ცხენითა.
ნეტაეინ, თუშო ზეზუაო, შვილი გქნა მამა-ჩემისა!
დავიფიცაედი შენს მზესა, რომ იქნებოდი ჩემი ძმა.
— შეც ბეერჯელ დამინატრებაუ: „ნეტაეინა გქნა ჩემი და!
ტანზე ჩამაცვა პერანგი, ნაკერი შენის კელითა!“

(Tფ, მ ა რ ი ა მ ბ უ ჩ უ კ უ რ ი ს ა გ ა ნ გაგონილი).

მ.

თუშთა ქალი ვარ წოვათი. სიტყვას ვერ ვამბობ, — მცხვენისა:
წამამიყვანეს ლეკებმა, გზანი მავლიენეს ცრემლითა.

- დამთვრალემ თუმიშვილებმა ერთურთ აღვიძეს კელითა.
გაუხედენ, – ჩამოდიოდა თუმი მიქაი ფრენითა.
5 თავი სჭრა ლეკიშვილებსა, კალთა ამისო კელითა.
ნეტაეი, თუშო მიქაო, შვილი გქნა მამის-ჩემისა!
ლეკებ რო დაგატყვევებდენ, გიქსნიდი მამის ცხენითა.
თუ ცხენით ვერ დაგიქსნიდი, – საყურ-ბეჭდითა ჩემითა.

(Tფ).

3.

- თუშები ოშში წავიდნენ, ერთურთი თარეს კელითა.
შეეხედე და მორბიოდა ვაჟი მიქაი ფრენითა,
თაეები დასჭრა ლეკებსა, კალთა ამისო კელითა.
ერთი ჩემს ძმასაც შესწირა: „წყალს მოუტანდნენ ჯერითა!“
5 ნეტაეი, ვაჟე მიქაო, შვილი გქნა მამი-ჩემისა!
თუ ვინმე დაგატყვევებდა, გიქსნიდი მამის ცხენითა,
გიქსნიდი, გამოგიქსნიდი საყურ-ბეჭდით ჩემითა.
ნეტაეი შენ კელში მომკლა, დამმარხა შენის ცრემლითა!
დაეჯდები, ძმაო მიქაო, ლექსს გამოვითქვამ ენითა.
10 მიქაო, ვინც გაგაჯავრებს, სულ ამოვიღებ წყველითა.
მიქაი ქალს ეუბნება: „დაო, ნუ წახვალ წყენითა.“
თუ სადმე ვნახავ ლეკებსა, სულ ამოვწყვეტავ ცემითა.
კმალსაც კი აღარ ვიკმარებ, გავთობავ ჩემის ცელითა.“
აღვა ქალი, წამოვიდა სიცილითა და მღერითა.

(ივერია, 1899, № 27, გაგონილი და ჩაწერილი
ს. ბაზალეთში დ. მოლოდინაშვილის მიერ).

76. ბუკულიშვილი (R 164)

ბ.

- მთას ბუკულიშვილ გადმოკლა, ირემმ გადმაიდ რქანიო,
ბოლოთ მოუღდა ლაშქართა, როგორ შამასდვა ზარიო!
ეგრე დაფანტა ლაშქარი, როგორც მგელმ ფანტას ცხვარიო.
დაბრუნდა ტოშის ყმაწვილი, „ვაიუაერგ ვარიო.“
5 თოფ დახკრა ბუკულიშვილსა, არწივს მასტეხა მკარიო:
„შენ რო მამიკალ უნცროსი, იმისიმც უნცროს ხარიო!“

(R 76).

77. თავისი ქალების დაკოცა

დაბეჭდილია Rის მიხედვით (გვ. 120). — როგორც ჰგავს, ეს ლექსი და ლექსი № 254 (ორი უკანასკნელი სტრიქონის გამოკლებით) ერთსა და იმავე საგანს შეეხება, რითმაც ერთი აქტო და წარმოშობითაც ერთისა და იმავე ლექსის ნაწილები უნდა იყვნენ. ერთი და იგივე მუხლი ორივეგან შედის (77,1 = 254,5). ამიტომ ნახეთ 254-თან მოთავსებული ვარიანტები და თანაც შეადარეთ №242.

78. გაგა ბერდიშვილი

დაბეჭდილია Gის მიხედვით (გვ. 238). — მის მიერვე ხელ-ახლად ჩაწერილ ვარიანტში: 1 არხოტიენებო] არხოტიენებოთ; 3 ღილღველთ ნაკოცი მკედარია] ღილღველთ ნაზიდნი რეალია.

79.

დაბეჭდილია Sის მიხედვით (ივერია, 1888, № 135), სადაც მას უშუალოდ მოსდევს, როგორც ნაწილი, № 81. ეს იგი გაუგონია ბ ა დ ი ა ბ ა ლ ი ა უ რ ი ს ა გ ა ნ .

ბ.

აზნავეს დედან ატირდეს, ცრემლით იბანენ პირსაო:
„ეეჰუ თქვენ, ჩვენნო მამანო! ველარ გახკით ჩდილსაო!
ველარ მოხკალით გაგაი, ჩორეხის ჩდილში ზისაო.
ადეგით, შეხვეწენით გაგასა ბერდიშვილსაო:
თავ დაგვანებე, გაგაო, დაგვეუ ბეგარი ცხვრითაო!“

(G 238).

ბ.

აზნაკს ატირდეს დედანი, ცრემლით იბანენ პირსაო:
„რად არვინ შეხვეწებით ამლას ბერდიას შვილსაო?
დაგვექსენ, ნუ გვკოც, გაგაო, ბეგარი დაგვეუ ცხვრისაო.
ავავსეთ აკალდამაი შენი ნაკოცი მკედრითაო.“

(R 140).

დ.

ჩილოს ატირდეს დედანი, ცრემლით იბანენ პირსაო:
„რაი ქნეს ჩვენთა მამულთა? ველარ გასცილდეს ჩდილსაო?“

- ვერცვის მუკლავ გაგაი, ეგ არ დაგვილევს ჭირსაო.
დაგვექსენ გაგაიო, ჩვენშიგ ნუ აღენ მზირსაო!
- 5 ან წაგვიყვანენ ცოლადა, ან დაგვდეგ ბეგარ ცხერისაო.
სრულ შავით-შავად ვერ მივლით, მოგვწყინდა გლოვა მკედრისაო.
დავისახებით ქალადა, ფარავს ავისხამთ ღილსაო.
აივსო ეკალდამაი შენის ნაკოცის მკედრითაო,
ეკალდამაის კარები – ქალის ნაჭაპნის თმითაო.“

(ბ ა ჩ ა ნ ა, ივერია, 1898, № 217).

ეგვე ვარიანტი მოეპოვება Rსაც (გვ. 122). თითქო იგი ბაჩანდანა გადმოწერი-
ლიო. ორიოდე განსხვავება: 2 ჩდილსაო] ჩდილთაო R; 3 ეგ არ დაგვილევს] არ
დაგვილევდა; 5 ან წაგვიყვანენ] დ' ან წაგვიყვანე R.

მ.

აკალდამები შევაესეთ თქვენის ნაკოცის მკედრითაო,
აკალდამისა კარები – ქალთა ნაგლეჯის თმითაო.

(Th 76).

80.

ა ვარიანტი მოყვანილია Bის მიხედვით.

ბ.

- ღილღოს იყრება ლაშქარი, არავინ იცის რაზედა.
საარხოტიენოდ წამავე გაგაის მუქარაზედა.
ეზოს მოკლეს გაგაი, ვეფხვს სძინებოყო პწკალზედა.
მაშინის გამეღვიძა, კელნ რო შუკრეს მქარზედა.
- 5 „ევი თქვენს დედას, ქისტებო, ხანჯარ არ შამჩა ტანზედა!“
ერთს ქისტს ასწეადა ხანჯარი, იმასავ დასცა გულზედა,
მეორეს გადმაუქნია, მკედარ გადააგდო მკედარზედა.
იძახა მამაობითა: „კარი გამიღე ხანზედა!“
მარტო შარუმა ომობდა, ერთის ქვიტკირის კარზედა.
- 10 თოფს ისრის გაგაის მამა, მკედარი იყრების მკედარზედა.

(R 133).

8 იძახა მამაობითა] „მამას დაუძახა“ R.

ტერლის თავს უღვას ლოგინი გაგას მაგ ბერდისშვილსაო.
მძინარეს არსად შესცვივდეთ ნაწოლს ჭიუხის ძირსაო.

—

შეყრილან ღლიღველთ ვაჟები გაგაის მუქარაზედა.
წამოვიყვანოთ გაგაი, თავ უნდა მოესჭრათ გზაზედა.

— „თქვენ გაგას ვერ წამოვიყვანოთ, ვერც მასჭრით თავსა გზაზედა.“

(X, ივერია, 1887, № 154 = ც. წ. 74).

პირველი ორი მუხლი სხვა ლექსის ნაწყვეტი უნდა იყოს.

დ.

ღიღღოს შაყრილა ლაშქარი ერთის ღიღღველის კარზედა.
წამოვლენ არხოტისაკა გაგაის მუქარაზედა.

„წამოვიყვანოთ გაგაი, ჩვენ თავი მოესჭრათ გზაზედა.“

სენას მოასწვრეს გაგასა, ცოლი რომ ეწვა მკლავეზედა.

5 ბერდიაობით იძახდის: „კარი გამიღე ხანზედა!“

ბერი ბერდია თოფს ისრის, ღიღღველებსა კკოცს ძალზედა.
მარტო...

ოროლთა დატუსვილათა მკედარი შაყარეს მკედარზედა.

ტერლის კართ კალოთანლები ვეფხვები დაუწვა მკლავეზედა.

(Lb).

7 მარტო] ამის შემდეგ სტრაქონი ცარიელია დაგდებული. აქ შარუმას შესახები
ამბავია მოსალოდნელი (ა 17, ბ ?).

81. კადელი ღერენათა

დაბეჭდილია Pის მიხედვით (ივერია, 1888, № 135). ეს ნაწყვეტი, რომელიც
Pისათვის ბ ა დ ი ა ბ ა ლ ი ა უ რ ს უაზნია, იქ 79 ნომრის უშუალო გაგრძელებად
დაბეჭდილი.

82-83. გორგი

დაბეჭდილია Rის მიხედვით (გვ. 141 და 68). — „ეს გორგი გამოჩენილი ვაჟკაცი
ყოფილა თუშეთში, ლეკების სულთამბუთავი. თილისძე იყო გვარად“ R; 82, 4 თითო
საქსარი ტყვისაო] „ვითომ ტყვეში რო მიაცენ ის თოფი, ტყვეს დაიხსნისო“ R.

აქ რომ ყორანი ყორანს გასძახის, გაეჰყვეთ ველობას წასული გორგის კვალსაო,
ასეთი რამ სხვაგანაც გვხვდება, მაგ. № 106.

როგორც ერთი ჩემ მიერ ჩაწერილი ფშაური ლექსიდან ჩანს (მისი ვარიანტია X 78), გორგი ქისტებს მოუკლავთ: „გორგიმაც ვერე ქნისაო.“

84. თუშები ლექების წინააღმდეგ (R 7)

85. გულუხვიშვილნი

დაიბეჭდა Rის ჩანაწერი (გვ. 167). – 1 სეიანი „ჭარბად მისცეს სვია ლულს, რომ უფრო გაეჭრა“ R.

ამისი ფშაური ვარიანტებია: A, აკაკის თვიური კრებული, 1900, № 3-4 და X, ივერია 1887, 144 = ც. წ. გვ. 26.

86. ზეზვა და თათულიკა (R 93)

ბ.

ქარი ქრის საქარაენოში, ღურბელნი ღბერევიანა.
გოთაი-ღ' ომალიკაი ერთმანერტს სთელევიანა.

(R 95).

ბ.

ქარი ქრის საქარაენესა, ღურბელნი ელავედიანო.
ციბლაი-ღ' თათულიკაი ერთურთსა ზერავედიანო,
დატეხეს კმლები ცემითა, ხანჯრებით სჩხვერავდიანო.

(R ფ 226, გოგოთურ ჯაფარიძისაგან გაგონილი).

ღ.

თოვლი თოვს ბოროლაზედა, ღურბელნი გელევიანო.
ძიბლაი-ღ' თათულიკაი ერთურთსა სძელევიანო.
ვერ დეეტეხა ერთურთი, ხანჯრებით სჩხვერევიანო.

(Tფ, ზალიკო მგელიაშვილის ნამუბობი).

[5. კიდევ დამატება. რედ.]

87. ივა (R 220)

88. თამარისძის დატირება

დაბეჭდილია Oს მიხედვით – გასწორდეს ბეჭდვის შეცთობა: 3 ყარწიკი-ანთაო) ყარწიკიანთაო. – აქ ნაგულისხმევ აბზავს კავშირი აქვს 176 ნომერში მოთხრო-

ბილთან. ოის ცნობით, გუდანელებს დაუპირებიათ არხოტს გალაშქრება. საბაბი ის ყოფილა, რომ „არხვატიენებს ძნა დაულევეე გუდანელებისად“ (ე.ი. არხოტელებს ძნა გაუფუჭებიათ გუდანელებისათვის). გუდანში ერთი არხოტელი ქალი ყოფილა გათხოვილი, რომელსაც არ ურჩევია არხოტს გალაშქრება: „ნუ წახოლთავ, თორე მკვდრებს მაიტანთავ.“ ამას შედეგად ის მოჰყოლია, რაც 176 ნომერშია მოთხრობილი. მოკლული თამარისძე გადმოუსვენებიათ ხვესურებს და მაშინ დაუტირებია როგორც ხვესურ დედაკაცს, ისე იმ არხოტელ ქალს, რომელიც გუდანს იყო გამოთხოვილი. ცის თანახმად კი ვისაც დასტიროდენ, ქისტებისაგან ყოფილა მოკლული. დამტირებელი კი ყოფილა „არხოტიონთ ქალი ნათულა.“ მოვიყვანოთ ცის ვარიანტიც:

ბ.

- ტირილ რად უნდა კეესურებსაო,
საცხერის ყურეში ნაქოცებსაო?
ტირილი უნდა არხოტიონებსაო,
საკარის მაღალ მეომრებსაო,
5 მალ-მალე ქისტეთ ჩამავლებსაო,
შინ სახელიან მამავლებსაო,
ურჯულოს ზარის შამღებლებსაო,
შინ მარჯვენების მამღებლებსაო,
გაუტეხლებსა გულ-ბასრებსაო,
10 სახელისათვი ნაქოცებსაო.

(G 230).

ხვესურები ამის გაგონებაზე გაჯავრებულან, მაგრამ ვერა უთქვამთ რა ქმრის ხათრით არხოტიონთ ქალს, ოის მიხედვით, თითქო კიდევ ეთქვას მაშინ ერთი ლექსი: „ქადაგობს გაიდაური...“ (№ 176).

ტირილის დროს სათქმელი სიტყვები რომ სხვაგვარი წყობისაა, ვიდრე ჩვეულებრივი სიმღერები ან ფანდურული ლექსები, ამას აქვე შესადარებლად მოყვანილი ერთი ნიმუშიც ადასტურებს:

011.

- რა კარგა ვაშკაცი იყავ,
შალვა, ჩემო მზეო.
მოხკვედ და მოგივიდა მადლი.
ახია შენის თავისადა!
5 გინდა ეგი უარესი.
მაგჩა ცოლ-შვილი შარაშიაო,
შენ' სახლ-კარი, მთა-ბარი გაოკრებულიო.

(Msh).

ასე დაუტირნია სოფ. ბარისაკოში ძილა არაბულს კომპოზიტორი შალვა მშველიძე, რომელსაც მიზნად ჰქონდა დიკტოფონის საშუალებით ფირფიტაზე გადაელო ხვესურული ტირილი. რაკი მუსიკოსს ვერაფრის გზით ვერ მოუხერხებია, რომ ხვესურის ქალი აუტირებინა და „თვალვა“ დაეწყებინებინა, უთხოვია ბოლოს, მე მიტირეო. მაშინ ძილა დათანხმებულა, მაგრამ დაუძენია: გიტირებ, მაგრამ გულით არაო. მაგრამ ტირილზე სოფლელები გამოცვივნულან: რა იყო, რა მოხდაო და მოტირალი გაუჩუმებიათ.

89. ახია

დაბეჭდილია ისევ Oის მიხედვით. ეს ლექსი ვითომ ერთს ფშაველს ეთქვას იმავე თამარისძის სიკვდილის გამო, რომელზედაც წინა ნომერშია საუბარი.

90. კისტნელი იმედა (R 160)

ბ.

- ვედარ წავსულორ კისტანა, ვერცა მილოცა(ვ) ჯვარიო,
ვერცა-ლ შუქ(ი) ახლები, იმით მიტანა(ვ) ბრალიო.
აიქ მზის სადენს იმედა, საც ვერ მიდიან სხვანიო.
აწიენა ხირსილაურნი, კელით არჩიენა ყმანიო.
- 5 ტყუებით ჩაიარიან, ნაბადში ხვიენეს კმალნიო.
ჩავიდეს, აწითებიენეს აკვით ჭლანი, გზანიო.
მარეშათ ღამბოლოთაი დაკაფეს, ეგ(რ) რო კარიო.
აუტყდა მძიმე მდევარი, ეცოტაების მკედარიო.
ერთის გულისად როგორ გავალათ (ა)კალღამაის კარიო?
- 10 ორნ გამოღმეტდეს მდევართა: „დავლათ გვაქ(ვ) ძალიანიო.“
ძალიან დავლათ ხქონია, ა(ი)სრემც სწყალობს ჯვარიო!
ნასხდომთ ზე მიხუდებიყენეს. ქოოდ თუ იყენეს ბრმანიო?
ჯართულამა და იმედამ ერთუცს უჭირეს მქარიო.
ერთუცის მემჯობიაზე ლაშიი ახვიეს ალიო.
- 15 კისრისას ამოზდიოდა კბილი და კბილის ძვალიო.

(Bc).

13 ჯართულამა] აქ „თ“ ასო გაურკვეველადა დაწერილი. შეიძლება სხვა რამე იკითხებოდეს, მაგ. „ღ.“

91. ლუხუმი

დაბეჭდილია Rის მიხედვით (გვ. 158). – 1 მზირი შყარილა მზირზედა თუშისა, ლექებისა] „ერთმანერთს წაპწყდომიან მოთარეშე თუშები და ლექები“ R; 2 დეექცა

ამხანიგები] „ლუხუმსა“ R; 7 წესიც არ იყო მთლისაო] „წესი არ იყო, რომ ცოცხალი კაცისთვის მარჯვენა მაეჭრასთო“ R; 11... უკურნისაო] „უკანონოდ დაჩაგრულს ისევ ბუნებამ აღმოუჩინა შემწეობა: წყლული გველმა განუკურნა, ხოლო იმის შესაჭმელად წამოსული დათვი მდინარემ დანთქა“ R; 12 ლუხუმს მუკლ ექნა მგლისაო] „მაურჩაო“ R.

თქმულება იმის შესახებ, რომ ლუხუმს ჭრილობა გველმა განუკურნა, გამოყენებული აქვს ვ ა უ ა - ფ შ ა ე ე ლ ა ს თავის „ბასტრიონში.“ მაგრამ მისი ლუხუმი და ჩვენი სიმღერის ლუხუმი ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ბ.

- ეშმაკიმც დაიწყეელების, მამცდენი ოშაკისაო!
კლდეთ ლუხუმ გამამფრინდალა, მუკლ მუტეხავ მგლისაო.
ლუხუმის ამხანიგებსა თას ჩამახყარეთ რელისაო!
გაკეჩა თოფის ყონდაყი, მუკლი შაიკრა ხითაო.
5 გარმაუჩინდეს ლეკები, თორმეტი, დაღისტნისაო,
არ შამინდების ლუხუმი, ფერი დაიდო მგლისაო.
„არ გინდ, ლუხუმო, არ მოგკლავთ, ბრალია კის ყმისაო!“
თოფი წართვეს კირიმი, კარა გადუგდეს სხვისაო.
აქიმაღ დააყენიან დიაცი ღუსურბნისაო.

(C 240).

ბ.

- ეშმაკიმც დაიწყეელება, მაცდენი ვაჟკაცისაო!
ლუხუმს კლდეს გამამფრინდალსა მუკლ მუტეხავ მგლისაო.
ჩაჩეხა თოფის კონტახი, შაიკრა მუხის ხითაო,
ლუხუმის ამხანიგებსა ქიჩილამც ხურავთ ქალებისაო!
5 თოფი თავისა წართვეს, კელთ კარა მისცეს სხვისაო;
შვიდ დღეს, შვიდ ღამეს ლუხუმი სულ ერთ ალაგზედ ზისაო;
შამეეჩვია გველები, ნაჭრევს ლოკს, უკურნისაო.
რა პური მაგშივებოდეს, ჭამე ბუნსაი მთისაო,
რა წყალი მაგწყურდებოდეს, მაკრიფე ნამი მთისაო!
10 წამავას მეშვიდეს დღესა, ნახა ნაქნაეი ჭარელისაო.
ლუხუმს დათვ შამეეყარა დიდის უღრანის ტყისაო.
ღმერთსა შასტირნა ლუხუმმა: „კელი მაღირსე მტრისაო!
კელში თოფი მაქე მაშლილი, არც ღონეი მაქე კმლისაო.“
დათვი წყალმ გამაიტაცა, ბძანება იქნა ღეთისაო.

- 15 შამეყარნენ ლეკები, სამოცი, ჭარელისაო.
– „ნუ გეშინიან, ლუხუმო, ჩვენც ვიცით დაქსნა ტყვისაო.“
აქიმაღ წაიყვანიან დიაცი ღუსულბნისაო.

(R 115).

დ.

- ღმერთმა დასწყევლოს ეშმაკი, მცდენელი ვაჟაკისაო!
კლდეთ გაღმუარდა ლუხუმში, ფეკ მაიტეხა მგლისაო.
ღარეხა თოფის კონტახი, შიკრა არტახითაო.
ლუხუმს მეკობარ შამეარდა ურჯულო დაღისტნისაო.
- 5 პირდაპირ დათვი ჩამუა ბაბრი მღარანის ტყისაო.
„მაგის საჭმელად ნუ გამქლი! კელი მღირსე მტრისაო!“
დათვი პირ-აღმა შაბრუნდა, ბძანება იქნა ღთისაო.
ექიმაღ დაუყენებავ დიაცი ბუსურბნისაო.
- 10 დაასაფლავეს ლუხუმში, კუბო დაადგეს რელისაო,
შიგ ოქროს ლულეებ ჩაუშვეს, შუქი ჩავიდეს მზისაო.

(Rფ 204).

92. მარიამულისძე (R 121)

93. მექობაური

ღაბეჭდილია ტის მიხედვით. მისთვის უამბნია ხვესურს გიგიას. აჯობებდა, რომ ეს ლექსი თქმულებათა შორის მომეთავსებინა.

ბ.

- თუშებსა სანადიროში რა საჭმე დაადგისაო?
ღაცცილდა, მექობაურო, ამოსაკელი მზისაო.
ვეშაპის ნავალს ჩამოკყვენ, ნაქან ფონა ხისაო.
ვეშაპი კიღად გაიდვა, ზედ თუშებ გამოღისაო.
- 5 ვეშაპი ვეშაპს შეება, ბძანება იყო ხეთისაო.
მექობაურის ფრანგული ვეშაპს შუაზე სჭრისაო.

(Sh გულ., ქოთია ჩოხელი საგან გაგონილი
ს. თოთაურთ კარში 19. 6. 1913.)

ქოთიას თანახმად, გადმოცემა ამას მოგვითხრობს: მონადირე თუშებს, მექობაურის მეთაურობით, გზა აპრევიათ ტყეში. უნახავთ რაღაც დანათრევი. ჰგონებიათ ხის

ჩამონათრევი, უფიქრიათ, აქ სადმე სოფელი იქნებაო. მიჰყვლიან ნათრეგს და მისდგომიან ვეშაპს, რომელმაც „ღღარც საით გაუშო, აღარც საით მისცა გზა.“ მექობაურს უთქვამს ამხანაგებისათვის, რომ, რადგანაც ეს ვეშაპი გზას არ გვაძლევს, გავყვეთო. გაჰყვლიან. ვეშაპი წასულა და მისდგომია ერთ დიდ წყალს, „რომენიც იქნებოდა არაგვის ოდენა“ და ზედ ხიდად გადებულა. გასულან ზედ თუშები და ისევ გაჰყვლიან ვეშაპს, რომელიც მისდგომია ერთ დიდ კლდეს. იქიდან მეორე ვეშაპი გამოსულა და შებმულან. კლდიდან გამოსული ვეშაპი თურმე სჯობნიდა. მექობაურს უთქვამს: ვუშველოთ, თორემ თუ ეს მოკლა, ჩვენც დაგვჭამსო. ამოუღიათ ხმლები, დაუკრავთ მეორე ვეშაპისათვის და ამათი დახმარებით პირველ ვეშაპს მეორე მოუკლავს. გამარჯვებულს ვეშაპს თითქოს პირიდან ამოეგდოს მცურავი ჯაჭვი და ერუქებიანოს მექობაურისათვის ძმობილობის ნიშნად.

ბ.

- ომალოს თუმიშვილებსა არა გეეგო გზისაო.
დაგცილდა, მექობაურო, ამოსაყალი მზისაო.
ვეშაპის ნავალს შამაჰყენენ, ნაქან ეგონა ხისაო.
გარს შამეერტყა ვეშაპი, თუშებ თან მოუღისაო.
5 ვეშაპიდ' ვეშაპ შაიბნენ, იქნა დაქცევა ცისაო.
„დაჰკარით, თუმიშვილებო! გული ვისა გაქე ცღისაო?“
მექობაურის ფრანგული ვეშაპს მორულად სჭრისაო.
ვეშაპის ნაჭერ დაგორდა, ჭალაში ჩამოღისაო.
ვეშაპ გაიდვა კიდადა, იქნა ბრძანება ღეთისაო.
გაუძღვა მექობაური, ზედ თუშებ გამოღისაო.

(Tფ).

ამ ვერსიით, ვეშაპის ხიდად გადება მეორე ვეშაპის მოკლის შემდეგ ხდება. — 7 მორულად შეიძლება ასეც იქნეს წაკითხული: „გორულად“ („მ“ და „გ“ Tისა მოხაზულობით ძალიან ჰგავს ერთმანეთს).

ღ.

- დაგცილდა, მექობაურო, ამოსაქლომი მზისაო.
შამხვდი ვეშაპების ნავალსა, ნათრეე გეგონა ხისაო.
თქვენი ბრალია, თუშებო, — ტკბილს რად იძინებთ ძილსაო?
გარს გველი შამეეხვია, თავი ბოლოსამ წვეღისაო.
5 მეორე დილა გათუნდა, სოროსაკ მიუღისაო,
მილანსა სოროს კარზედა, იქ სხვა გველ დაუხვდისაო.
გველებს გაუქდა ჩხუბადა, ქუხილ გვეგონა ცისაო.

ჩამაქრის მექობაურმა, ნაკოდალ ჩამადისაო.
გველი გაიდვა კიდადა, ზედ თუშებ გამოდისაო.
გველზე ძნელ გასასვლელ იყო, ბძანება იქნა ხეთისაო.

(Shფ, მიხა ხიზანიშვილისაგან გაგონილი
ს. არტანში, 26. 9. 1913).

მ.

- თუშებ ჩაფრილოს წაივდენ, ვერა გაიგეს გზისაო.
დაგცილდა, მექობაურო, ამოსავლეთი მზისაო.
ვეშაპის ნაელს შამაძხვდნენ, ნათარ ეგონა ხისაო.
წამაურბინა ვეშაპმა. თუშებ თან მუდისაო.
- 5 გარს შამეერტყა ვეშაპი, აღარა გაუდისაო.
ვეშაპი ვეშაპს შამაძხვდა, დაქცევა მაქლა ცისაო.
„დაქართო, თუშიშვილებო! დღე გაგითენდათ ცდისაო.“
მექობაურის ფრანგული ვეშაპს ორაზე სჭრისაო,
გადააზმანის, გადაქრის, ნაკოდლებ გავადისაო.
- 10 ვეშაპს რა-რიგად მაქლავედენ? – ბძანება იყო ლთისაო.

(Rფ 183).

3 ნათარ ეგონა ხისაო] „ასე ეგონათ, ხე უთრევიათო, ისე იყო მიწა დაღარული“ R.
– Rის მიხედვით, გადმოცემა ასეთია: „მონადირე თუშებს ვეშაპი (დიდი უზარმაზარი გველი) შეპხვედრიათ, შემოპხვევია გარს და წაუსხამს თან. თუშებს შეპმინებთა. ვეშაპს უთქვამს: ნუ შეგეპმინებთ, თან გამომყეთო. გაჰყოლიან. ერთ ალაგას მისულან. იქ მეორე ვეშაპი ყოფილა, პირველის მტერი. დაუწყიათ ვეშაპებს ბრძოლა. დაუტყვიათ თუშებს, რომ მეორე ვეშაპი უპირებს დაძლევას. მიშველებიან პირველ ვეშაპს და ის მეორე მოუკლავთ. გამარჯვებულ ვეშაპს წაუსხამს თუშები და აუარებელი იარაღი მიუცია და სამიჯ თოფი „ბურად“ წოდებული.

სამინელი ძალისა თურმე იყო და ისეთი სქელი, რომ შიგ მუშტი ჩავიდოდაო. ის თოფები ლექსებში იხსენიება.“

მ.

- ჭაბრილოს ჭალას თუშებმა ვერა გაიგეს გზისაო.
დასცილდა მექობაურსა ამასაკელი მზისაო.
დადგეს, დაიდგეს ბინაი, დაწვეს, დაენდვნეს ძილსაო.
შორით მოვიდა ვეშაპი, ხანია შულამისაო.
- 5 შამაეხვია მირგვლივა თორმეტის თუშის მზირსაო.
გათენდა, ნახეს თუშებმა, აქსენეს ძალი ღვთისაო.

- ამბობდა მექობაური: „თუშნო, უნდა ვსცათ კმლითაო.“
 ვეშაი გაიღვა კიდალა, ზედ თუშის შვილებ დისაო.
 ელაქუცების ვეშაი, მოლოდინი აქე მტრისაო.
- 10 ალიშნებს თუშის შვილებსა, ჭერა მჭირდება მკრისაო.
 იქ სხვა ყოფილა ვეშაი, მუქარა ვეშაისაო.
 ტბით გამოვარდა ვეშაი, როგორც ჭანდარი ტყისაო,
 პირით ცეცხლს ისრევს, მოქანავს, როგორც რო ზვაი ტყისაო.
 შორით ეტყობა წყეულსა, ყამი არ აქვის მტრისაო.
- 15 მოვიდა, მოხვდა ვეშაპსა, პირიდან დორბლებს ყრისაო.
 შაიბა ორი ვეშაი, ჩამატეხა დგა ცისაო.
 კმალს სინჯავს მექობაური, არწივი ჭაუხისაო,
 ეტყოდა: „თუშიშვილებო, ვეშაას დახკარით კმლითაო!“
 თერთმეტი თუში ვეშაპსა ვერას შჩებიან ცდითაო.
- 20 მექობაურის ფრანგული ვეშაას ოროლად ჭრისაო.

(G)

ეს გახლავს ბესარიონის მიერ ახლად გაკეთებული ლექსი ძველი თქმულების ნიადაგზე. მაგრამ შიგ ბესარიონს ზოგი რამ ძველი ლექსიდან შემოუტანია. ესენია, — როგორც თვითონაც აღნიშნავს, — მმ. 1, 2, 20: ბესარიონის ვერსია თქმულებისა სხვანაირია (მომყავს შემოკლებით): თორმეტი თუში, მექობაურის მეთაურობით, სამზირლად წასულა ლეკეთში. რამდენიმე დღე-ღამის შემდეგ ისეთ ადგილს მიაღდგნენ თურმე, რომ ვერა გაიგეს რა გზისა. დადგნენ „ერთ საკვირელ ნალეწიან ტყეში და თან ჭაობიანში, ტაფობა აღაგმი.“ შუალამისას მძინარე თუშებს „ერთი ჭანდრის ოდენი გველეშაი“ შამოჰხვევია, „რომენსაც თავი ბოლოზე უძეს.“ ვეშაას რომ თუშებისათვის შეწუხება დაუტყვია, დაუწვია ლაქუცობა, ენით ფეხების ლოკა, მოხსნილა და ცოტა იქით დაწოლილა. თუშებს გაჰხარებიათ, რომ ვეშაი მათ არ შეება. ვეშაპმა თუშებს თავის აღებით ანიშნაო, რომ მომყევითო. იარეს. „თუშებმა თუ შაიფეკეს (შჩერდნენ ცოტა ხანს), გველაშაიცი დადგების.“ მიადგნენ ერთ დიდ წყალს, „რო ვეფხვი ვერ დაეკარების.“ ვეშაპმა აიღო თავი და წყლის გაღმა ნაპირზე დადვა, ბოლო კი გამოღმა ქონდა. გაიღვა ხიდად და თუშებს ანიშნა, ჩემზე გამოიარეთო. მექობაური შედგა ვეშაპის ბოლოზე და ისევ გადმოვიდა, — თქვა, რბილიაო. მეორედ რომ ავიდა, ცოტად გამაგრებულიყო და ისევ გადმოვიდა. მესამედ რომ ასულა, ძალიან გამაგრებულიყო და მაშინ კი დაუძახა ამხანაგებს: მომყევითო. გავიდნენ წყალს გაღმა. იქ ერთ ტაფობში ტბა მდგარა, რომელშიც სხვა ვეშაი ბუდობდაო და გამველ-გამომველს შეუჭმელს არ უშვებდაო. „ერთბამად ტბა აინდგრევა, აინძრა, ტბაშიგით ერთი გორის ოდენი გველაშაი გამოვარდა, რომენსაც ნახევარ ტანი მიწაზე აღარ უძე, ისრ მალლა უჭერავ თავი, მადის ისარივით ჩქარა წივილით. ეს ვეშაი კიდე მაუბრუნდა და თუშებს შეეღვა სთხოვა და ისიც აძაგრა, აიღო მალლა თავი და წავიდა მტრისკე. მიხყვეს უკენ თუშებიც, მოხ-

ვდეს ერთუცს ვეშაპნი, იბძვიან თავ-განწირულები სასიკედლოდ. ტბიდან მოსული ვეშაპი ჯალდავს (ერევა, ამარცხებს) ამ მეორე ვეშაპს. უთუოდ მოხკლავს, – ერევის. თუშებს მექობაურმ უთხრ: არიქათ, თუშებოთ, ამ ჩვენს ვეშაპს უჭირს, ნუ მოვაკლევთ, კმლით ვსცათ. დაისვეს თუშებმა კმლებს კელები და სცეს ტბიდან მოსულს ვეშაპს, ბოლო მოსჭრეს და დაერივა ცოტა ვეშაპიც და მოკლეს დიდი ვეშაპი.“ შემდეგ გამარჯვებულმა ვეშაპმა ანიშნა თუშებს, მომყევითო. წავიდენ და მივიდენ ერთ დიდ სოროსთან, სადაც დიდ ვეშაპს შეილები ჰყოლოდა. კატარა ვეშაპმა გაუწყვიტა შვილებიც. „მაშინ იქით, იმ სოროშიგით, გამაილა ვეშაპმა თოფი ბუჩა, კმალი ფრანგული და სხვა-დასხვა აბჯარი, მისცა თუშებს“, გამოუძღვა და გზაზე დააყენა. „ეს გველაშაპის გამატანილი სოროდან ბუჩა ახლა მთას იქით გუროში არის. ის კმალიც ფრანგული ქალუნდაურს ხქონივა. მეგრ ისევ თუშებს წაუღავ, ქალუნდაური რო მაუკლავ.“

94. სესელა (R 154)

95. ფერაულნი

მოყვანილია R-ის მიხედვით. – 7 დათვის ჯვარ] თავის ჯვარ R; 12 ბერდია ეუბნებოდა] „ეს ბლოელ ბერდია როდია“ R; 20 დაგვექსენ, ჩოლაყაშვილო] „ეს ჩოლაყაშვილი ფშაურ ლექსებშიაც იხსენიება. ნახე ალექსანდრე ბატონიშვილზე“ R. მართლაც, ფშაური ლექსი, რომელზედაც R მიგვითითებს (Rფ 234), ასე იწყება:

012.

ჩვენს ბატონს გაჰჭირებია, წითლად ჩაუკლენ შუენია.

გიორგი ჩოლაყაშვილო, ეგეც ნაქნარი შენია.

შე ქვეყნის მოღალატეო, მოგედვას ცეცხლის გენია!

თავის სისხლ-ქორცი გაჰყიდე, იუდის საქმე ჰქენია.

5 კახაზე გამამიყენე, დღე დამაყენეს ძნელია.

გადაველ ქვესურეთშია, დამე ვიარე ბნელია.

შვილი მოვსტაცე ხახასა, რჯულის დაგდება ძნელია და სხვა.

„ამ ხახანთ ქალს ნაბუშარიც შაუქნა ალექსანდრემ, იმის ჩამომავალი ჩარგალში-აც არის გათხოილი, ლამაზი ხალხია ძალიან“ R. (ნ. კიდევ № 61 და მისი შენიშვნა).

96. მინდია ბერდიშვილი (B)

97. მჭედლური და წიქა (R 172)

98. ნაკუდა გამაროზა (R 96)

ეს ნაკუდა მოხსენებულია გამარიძელ ერთ თუშურ ლექსში. იგი თოფით მოუკლავთ (Buot, № 25).

99. ნასკვაურისძე (R 166)

2 თუ თავი გეზუბუქება] „ალბათ თავში იწვედა“ R; 9-10 არსა] ასა R. („არს“ ფორმატ შეიძლება იყოს, სახელდობრ შატილ-მიღმაქევი. ამიტომ 8-9-ის მსგავსად აქაც „არსა“ გავუშვი).

ბ.

- ცხენს ხკაზმებს ნასკვაურიზე რომაით გაზდილსა, საღარსა.
უქებენ ბოსლის კარ ყანას, დავაგდებინებ ნაღარსა.
სათუნებლოდ იძახეს: „ნასკვაურიზე სად არსო?“
- 5 – „ნასკვაურიზე ომშია, ჯერ გამოსვლაი გრძლად არსო.
ლექსა კოცს, კელსა არა სჭრის, – კევსურეთ წესად არ არსო.
– კელ მოსჭერ, ნასკვაურიზე: უკელოდ სახელ არ არსო.

–

- ცხენო, გატყობად' გეშინის: ბექს ველარ ხფრინავ მაღალსა.
რას ფექთა მაარახუნებ, როგორც ბერი-კაც არგანთა?
გაფრინდაულის ნიკორმა არშის მთა გადაიარა,
- 10 არშას ჩავიდა ციხის კარ, კუნელმან აიარაო.
უშინჯვენ ძუა-ფაფაროს: „ეს აქ რამ მიყვანაო?“
– რად გიკვირო, არშაელებო? გზა ეხლა შეისწავლაო.
ხუნჯირს უძ ორის მარჯვენა, სატირლად მიიტანაო.

(Sh თ).

მიამბო ს ა ბ ე ლ ო როსტომ კეციოძის ასულმა ს ი ს ვ ა უ რ ი ს ა მ (დადიკურთიდან)
ს. ომალოში 7. 9. 1913.

ბ.

- ცხენს ჰკმანზავს ნასკვაურიძე, რომკას გაზდილსა, საღარსა.
ამბობს თუშთ შეყრილ ლაშქარი: იქ აგებ გავერივნეთა.
აქებენ გაფრინდაულსა, ეგებ ვაჯობოთ იძასა.
ცხენო, ფექს მაარახუნებ, როგორც ბერიკა დაფასა.
- 5 ცხენო, გეტყობა, გეშინის, – ბექს ველარ ხტები მაღალსა.
ბოსლის კარს ყანას აქებენ, დავაგდებინებ ნაღარსა.
გათუნებისას იძახეს: „ნასკვაურიძე სად არსა?“
– ომშია ნასკვაურიძე, ჯერ გამოსვლის ხან გძლად არსა.
ლექსა კოცს, კელსა არა სჭრის, – კევსურის წესად არ არსა.
- 10 – კელ მოსჭერ, ნასკვაურიძე, უკელოდ სახელ არ არსა.

(Ge 5).

დ.

ჩაეალის, ჩაეუბნების ლაჭიანაი საღარსა:

„ცხენო, გეტყობა, კმინდები, გულს მე ჩავიღებ მაგარსა.
რა ფეკებს მიარახუნებ, როგორც ბებერი არგანსა?

5

თავი თუ გეშუბუქება, მძიმეს დაგვიღებ ლაგამსა,
გადგიყვან საქარაენოსა, შუქი გადმოგვეყვას მთვარისა,
ჩავიღებ გორ-გურიანსა, ბექს არ გაჟურინდე მაღალსა,
გათუნებისას დაგაბამ მიქემლოს ჭოჩის ბაგასა,
კიდურს აქებენ ქერებსა, დაგადებინებ ნაღარსა,
შენც იქ გაგვიღებ, ლურჯაო, თავსაც იქ დაეღებ ჭღარსა.“

(Rფ 211).

ე.

ჩაეალის, ჩაეუბნება ტუნკით ივანე საღარსა:

„ლურჯავ, გეშინის, გეტყობა, გულს მე ჩავიღებ მაგარსა.

მითხოს აქებენ ქერებსა, ჩავატანინებ ნაღარსა,

შენაც იქ მოგკლავ, ლურჯაო, თავსაც ზედ დაეღებ ჭღარსა.“

(Tფ).

მეორე ფშაური ვარიანტი Tისა ამასთან შედარებით ასეთ განსხვავებას გვიჩვენებს:
2 ლურჯავ] ცხენო; 3 მითხოს აქებენ ყანებსა] მითხოს ყანებზე ჩავაველევ; შენაც იქ
მოგკლავ, ლურჯაო, თავსაც ზედ] გაგასი კარძე დაგაბამ, თავსაც იქ...

ვ.

ჩაეალის, ჩაეუბნება ტუნკით ივანე საღარსა:

„ცხენო, გეტყობის, გეშინის, გულს მე ჩავიღებ მაგარსა,

ჩავაველევ თურეთლე გორსო, ჩავატანინებ ნაღარსა,

შენაც იქ მაგკლავ, ტიალო, თავსაც იქ დაეღებ ჭღარსა.“

(Mr).

ზ.

ჩაეალის, ჩაეუბნება ტუნკით ივანე საღარსა:

„გეტყობა, ცხენო, გეშინის, გულს მე ჩავიღებ მაგარსა.

ჩავაველევ თურეთევოსა, ჩავათულებინებ ნაღარსა.

თუ ვერ ჩასწონე, მაშინა ამოგკრავ მაგარ-მაგარსა.

შენაც იქ მოგკლავ, იცოდე, თავსაც ჩემს იქ დაეღებ ჭღარსა.“

(Lb).

100. უთურგის გიორგი (R 132)

101. სახელობა (U)

დაბეჭდილია ივერიაში, 1888, № 59. სისათვის უამზნია მამის წვერა არა-ბულს. — 1 ბევრა] ბევრსა U.

როგორც ჩანს, ეს უნდა იყოს ნაწყვეტი დიდი ლექსისა, სადაც ყველა ხევესურთ სოფლები თუ არა, უმეტესობა მაინც იქნებოდა მოხსენებული. აქ მოხსენებულია „სახელობა“ მხოლოდ ზოგიერთებისა: არდოტელებისა, ლიქოკელებისა, გუდანელ-ჭორმე-შივნებისა, კაკმატელებისა, ბაცალიგელებისა და კადუელებისა.

ბ.

- სახელობდა ბევრი კევესური, ბევრამ გაბანდის ვღანო:
გაბერტყეს არდოტელებმა დილით ადრიან ნამიო.
უთურგათ გორგიმ გაწირა ქერიგოს ღელეშიგა მკედარიო.
კოცდეს წლითავ კაკმატელები, მტერს მაგით შესდვიანავ ზარიო.
- 5 დაკონინანავ ლიქოკელებმა არლოთ მომდინარნი მგზავრნიო.
დაფერნინანავ ბაცალიგველთა ბუყარეშოში კმალნიო,
ამანდ ატირნეს დედანი, ჯვარის სოფელში ქალნიო.
ჩაყარნესავ კადუელებმა უხნოდ შუ ღილღოს კმანიო.
„შენავ, მარეშათ ღამბოლიანო, არ მოგცეს, ქისტო, ომის ხანიო“.
- 10 შაუკრნესავ წყალს-იქითელთა ბალხის ბათირას გზანიო.
გასტეხიდი ქმოსტი, როშკაი, წავვისხ, ბათირავ, კარავანიო.

—

- გავიდესავ საყავეროსა, მალალს ხუშეთის მთასაო.
ქელი გაიკრისავ აბამა ჩალხურის შვილმა კმალსაო.
განათდისავ ბაწარაული, ცა-წმინდა დაუცემდა თვალსაო.
- 15 ჩიოდისავ ნებიერული გატეხას ფრანგულისასაო.
ნუ შჩივი, ნებიერულო, — აბა გიმოვებს მტრისასაო.

ჩაწერილია ხთისო გოგოჭურის მიერ (გადმომცა ნ. 3. 1931). — აქ ორი სხვა-და-სხვა ლექსია შეერთებული: მუხლები 12-16 ვარიანტია 50 №-ისა.

102. მინდია (შიშნია) ბალახურისძე

გადმობეჭდილია სიდან (ივერია 1888, № 44). სისათვის უამზნია ბაღია ბალიურს. ამ მინდიას (ანუ შიშნიას) შესახებ ბესარიონი შემდეგს მოგვითხრობს (გვ. 182-185): „ერეკლე ნეფის დროს“ ბარის ღილღვლებში, აკვათას, სტუმრად ყოფილა მინდია. იქ აკვათ უთქვამს, რომ თქვენ, არხოტიენები, სხვა ქისტებზე ხართ დაწვეული,

თორემ ჩვენთან თქვენ ვერას გააზღვებთო. მინდიას ეს სასაცილოდ არა აყოფნია. აკვით უთქვამს: მაშ კარგი, ახლა შენ ჩვენი სტუმარი ხარ და შინ რო მიხვალ, სოფლებს გააგებო, რომ ამ დღეებში ჩვენ თქვენზე სალაშქროდ წამოვალთ და მზად იყვნითო. მინდიას შეუქცევია, რომ სოფლებების შეწუხება რად მინდა? მარტო მეც გაგიმკლავდითო. შინ მოსულ მინდიას არავეისთვის არა უთქვამს რა, ოღონდ ნაშუაღამევს, წასვლის წინ, მამისთვის გაუნდვია ამბავი. მამა გასწყყრობია: აკვით და ჩვენ შორის ზავია დიდი ხნიდან და რად აგეშალო? ამის შემდეგ თითქო მინდია მარტო წასულიყოს, ჩასჯდომოდეს აკვით და სამუქაროდ წამოსულ ლაშქართაგან ზოგი დაეხოცოს და ზოგიც უკან გაებრუნებინოს.

ბესარიონის მოთხრობაში ჩართულია ლექსებიც, რომელთაგანაც ზოგი ძველი უნდა იყოს, ზოგი კი, თითქო, ბესარიონის გამოთქმული. ესენია:

ბ (013).

მამა გემდურის, მინდიავე: „შვილო, უჯეროდ ხარია.
აკვათა, არხოტიონთა შენ აუშაღე ზავია.
დაჯავრებულთა აკვათა მძიმე შაუყრავ ჯარია.“

ღელა.

- 5 ლურჯას რად ხეაზმებ, მინდიავე, ხარ საისე მიმავალი?
რად ისხამ იარაღებსა? – არცვის მიგვიდევს ვალია.
მამად არ გეაკსონს ანდრეზი, არეინ გეყავ უძებარია,
არც-რა სხვაფროვ გეძე სირცხვილი, რო დაგეცინოდან სხვანია.

მინდია.

- 10 უნდა წავიდა, ღელაო, შამამეყარა ჯაერია.
გუშინ მაყვედრა მამამა: „შვილო, უჯეროდ ხარია,“
ვითამ ჩემ სიტყვით აკვათა მძიმე შაყარეს ჯარია.
უნდა ჩავიდა ჭალასა, ლაშქარს შაუკრნა გზანია.

ღელა.

- 15 მშვიდობით, ჯვარი გეწერას! სახელიანიმც ხარია!
არ მოიტანა სირცხვილი, რო დაგეცინოდან სხვანია,
მასთხარა თავის ვაჟობა, მეძრ კი ბალახურთ გვარია.
-
- 15 საძრომთ მინდია ჩავიდა, საც ადგილი ას მაგარი,
ლურჯა საძოვზე მიუშეა, თაოდ მაივლა სანგალი.
ლაშქრის მასვლის ხან მავიდა, ეაუმ მამზადა აბჯარი.
მავიდა ნისლი ორთქლისა, თან მახყვა აკვით ლაშქარი.

ცხენი რო ნახნა მასულნი, დამალა ვეფხემა ძაგარი.

—

- 20 სამრომთ მინდია დავიხვდათ, ბალახურისძე გვარადა.
„არ შამაგიშობთ, აკვანო, არხვატს შავებში კარადა.“
ცეცხლი ხკრა პირის წამალთა, ტყვიავ, დაგლალავს ჩქარადა.
ცეცხლი გამადის ეხშივით, ღვედრის: მინდია ვარია.“
ზოგებს მაჭრის მარჯვენა, კლდეზე გადადის მკედარია.

103. ალუდაური

გადმობეჭდილია სიდან (ივერია, 1888, № 57). იგი მას გაუგონია ბადია ბაღიაურისაგან. აქ მოხსენებული ალუდაური იყო შვილი აბაისძისა (№№ 252, 328). № 250 კი მოგვითხრობს სხვა ალუდაურის შესახებ, რომელიც უფრო ადრე ცხოვრობდა.

ბ.

ჭიმლას დაიქცა ქვიტკირი, კუთხი გამოსქდა ქვისაო:
მინდიამ გაბურის ძემა შუქი ჩაკრიფა მზისაო.
ჯარაის წყარო შეაკრა გოშტიკაურის მზირთაო.
ბრალი ას მინდიასად, ტანი დაეძრას გმირსაო!
ზედ დაშჩის ალუდაური, შავი ღურბელი ცისაო.“

(G 179).

ბესარიონის ცნობით, ახალა ჯაბუშანურს ორი შვილი დაუხოცავს აქლოლა გოშტიკაურისთვის და უკანასკნელს სისხლის ასაღებად მზირი წამოუყვანია საარხვატოდ და ჩაუსხამს არხოტის ჭალაში, ჯარაის წყაროსთან, რომელზედაც არხოტივნებს საბოსლო ტანიეს გზა აქვთ ამ დროს ს. ჭიმილიდან ალუდაური და მინდია, ძმები, ხეებს საჭრელად წასულან ჯარაის წყაროზე. თუმცა ისინი აქლოლას მესისხლენი არ ყოფილან, მაგრამ აქლოლას უთქვამ: „სულ ერთია, მე რა ვისა მემართა, რომ შვილნი გამიწყვიტნეს“ო და დაუხლიათ თოფები. მოჰხვედრია მინდიას და წაქცეულა. ძმა ალუდაური კი გადამხტარა „სუთ საყან წყალზე“ და დასდევნებია ქისტებს და მოუკლავს „ძმის მეკელე“ (ძმის მომკლავი) აქლოლა. თვითონაც მოჰხვედრია ტყვია, მაგრამ საპირისწამლეს გადაურჩენია. დაბრუნებულ ალუდაურს მინდია კიდევ ცოცხალი დაძვდომია. ამასობაში არხოტში ხმა გამტყდარა და მღვეარი წასულა, რომელიც სისხლის კვალს დაჭრილ აქლოლამდი მიუყვანია. ალუდაურს ყური მოუთლია აქლოლასთვის და თავისი ძმის უმცროსობა უთქვამს. ხალხს შემდეგ თოფები დაუყრია ქისტისათვის და მოუკლავთ, მიუხედავად ალუდაურის ხვეწნისა: „უსაკადრეოდ ნუ გახკლითავ, უსაკადრეოდ გაკლილი არ მინდავ ძმის უნცროსადავ.“ ამაზე ყოფილა ნათქვამი:

არხოტის ჭალას ყორნები მკვდარზე ჩადიან ქოთითა.
დაგლოცვენ, ალუდაურო, გაბურისძევე, თოფითა:
მმას წაულალე უნცროსი, რომელიც ღილღოს სჯობისა.

(G 178).

104.

დავბეჭდე Gs-ის ჩანაწერის მიხედვით. – 7 აბორიტესა] აბზორიტესა Gs. – Gs-ის ცნობით ეს ამბავი უნდა მომხდარიყოს დაახლოებით 90 წლის წინად (G 1914 წერდა, 60 წლის ამბავი). Gs გვატყობინებს: „ალუდაური გარდაიცვალა სიბერით 1896 წელს.“ (სხვა ალუდაურის შესახებ ნ. № 250).

აქ რომ ბოლოში მათქვამობაა (მმ. 9-12), ეს არსებითად იგივეა, რაც წინა ნომრისა (მმ. 17-20). რადგანაც რითმის მიხედვით იგი წინა ნომრის უდგება და არა ამას, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, აქ შემთხვევითაა გადმოტანილი.

ბ.

- ჯარაის წყაროს ომ იქნა დილა ამავს შზისასა,
აუღვა მზირი გაბურთა, ჩამატეხას ღვაე ცისასა.
ბრალი ას მინდიასად, ბეჭნი მიანდენას ქვიშასა!
ზედ დაშჩის ალუდაური, დეელნებას ღვაე ცისასა,
5 აქლოლას ჩამახკიოდა: „კელთ მაგცემ შენის ჭკვისასა!
გამექცა, ვერცად წამიხოლ, ტყვიას გკრავ კირიმისასა.“
თოფო, დაგაყრის წამალსა, ტყვიავ, დაგარტყამს ისარსა.
ბარაქელ, ალუდაურო, კენესას არ ხყურობ ძმისასა!
გალფრინდი გაუფრინდომსა ჯარაის წყაროს სხვისასა!
10 აქლოლა გოშტიკაური ტოტით სადამ თხრის ქვიშათა.
ჩაუღევ, ალუდაურო, ნათოზსა გულ-ღვიძლისასა,
მახკელავ ამფორიტესა საფერსა შენის ძმისასა,
აქლოლას გოშტიკაურსა, უკულმ მლოცველსა ღთისასა.
დაბრუნდი, ალუდაურო, ნაპირს ამახყევ წყლისასა!
15 ქება ნიაღვე შაკვლების იმავ ღღეს მბებნელს ძმისასა!“

(G 178).

ბ.

ბარაქელ, ალუდაურო, უქნელს შენ სჩადი სხვისასა!
გახფრინდი არხოტის წყალსა გაუფრინდალსა სხვისასა.

თოფსა კქმარობდი ოროლსა: თავისას, თავის ძმისასა.
გავარდა შენი კირიმი, გამტერევეს გულის ფიტარსა.
კვალს მიხევე, ალუდაურო, ნათოსსა გულ-ღვიძლისასა.

(R 77).

105. მარტია კირჩლაიშვილი

გადმოებეჭდე *სიდან* (ივერია 1888, № 43). იგი *სს გაუგონია ბაღია ბაღია უ-
რისაგა* 6. – 11 თოფ სახელს მეკიდებოდა] „თოფი სახელს მეცილებოა“ *ს*; 12
წამედ] წაამედ *ს*; 14 ვაჟს რაიმ ეცინებოდა] ვაჟს რაი მეცინებოდა *ს*.
ეს ლექსი იმავე ამბავს ეხება, რასაც № 193.

ბ.

ჭიუხში ვეფხვი ნადირობს, ჯიკეებსა ეპარებოდა.
ესროდეს გოშტიკაურნი, მარტიას არ მოხედებოდა.
ნასრევი მარტიასი ძვალზედა აჩქამდებოდა,
მომეტე გოშტიკაურთი ყორნის საჭმელად კდებოდა.
5 მარტია თოფსა კყოცნიდა: „სახელსა მეცილებოდა.“
მაგას ნუ სჩივი, მარტიავე, – სახელი შენ დაგრჩებოდა.
წამოხვედ საშინაოდა, სახელ წინ დაგიდგებოდა.
სწორნი გილოცვენ სახელსა, მამას პირს ეცინებოდა.

(Lb).

106. უშიშა ოჩიაური (Sh)

ჩამაწერინა ბაკა ოჩიაურმა 4.8.1913 ს. ახიელში. – მეორე ნაწილი (მმ. 5-
6), რომელიც თითქო სხვა ლექსისა არის, *სსაც მოეპოვება* (გვ. 237), მხოლოდ: 6
ბევრი] ბევრა *ს*; 5-6 ბევრი მოვიკლავს... წყენა არ იცი ჭირისა] ე.ი. შენ ბევრი
დავიხოცავს, შენთვის კი არავინ მოუკლავთო.

აქ რომ ყორნები ერთმანეთს უძახის, ასეთი რამ სხვაგანაც გვხვდება: *ჯერ აქ, №*
83, 5-6 და *მერმე კიდევ ჯის ფშაურ ლექსებში* (გვ. 86):

საგურამოში ყორნები ერთი ეძახის სხვასაო და სხვ.

107. უშიშა წიკლაური (Sh)

ჩამაწერინა ალექსი ოჩიაურმა 4. 8. 1913 ს. ახიელში. – 5 უყვიან არგონე-
ბული...] ეს კიდევ გვხვდება ცოტა ქვემოთ, მ. 17; 21 თათათ ოღინიასა დეღამც
ცხოვრებისაო] ჭირსამც მოვხპარავ ოღინას, იმ თათიას შვილსაო (მისივე ვარ.).

ალექსის გადმოცემით, შინაარსი ეს არის: ქისტები ღაზი მხლებლებითურთ ჩაასაფრებია თავის მოსისხლეს აძლელ აბისძეს. ამ დროს შეჰფეთებინა მონადირენი უშიშა და ოდინა. უშიშა დაუჭრიათ, მაგრამ ოდინას არ დაუნებებია დაჭრილი: წყალში დასველებული თოფი ქისტებისათვის დაუჭერია და უშიშამღი არ მიუშვია. უშიშას მხოლოდ ერთხელ მოუსწერია თოფის გასროლა. თოფის ხმა უცენია უშიშას ძმას, თამარისძეს, რომელსაც სწრაფად შეუყრია აშხანაგები, გადაუღობავს გზა ქისტებისათვის, მოუკლავს სამი და დაჭრილი ძმისთვის კიდევ ცოცხლისთვის მიუსწერია.

შეცთობით ეს ნომერი წინასთან გამოერთიანება ერთი სათაურის ქვეშ. მართალია, აქაც უშიშა არის, მაგრამ ეს უშიშა წიკლაურია, და არა ოჩიაური. ამიტომ გასწორდეს და თავისი სათაური გაუკეთდეს: უშიშა წიკლაური.

ბ.

ტერლის წვერ გაუგონებავ ბისნას დაქცევა კლდისაო.

ეტყოდის თამარისძეი: „უშიშას უჭირდისაო, –

ქირიმი უშიშაისი ნელ-ნელა გამოდისაო.“

სადღუე ჩამოიარეს არწივებმ კივილითაო.

5 იწროდ შაუკრეს სახვევი, სადით მასავალ იყვის მტრისაო.
ორთავ ესროლეს ოროლი, ქისტები ერთუც თრისაო.

(Gs)

Gs-ის თანახმად, „წავიდეს სა მ ზ ი რ ა დ: მინდია, თამარისძე და უშიშა. თამარისძე და უშიშა ძმანი იყვნეს და მინდია კი – ბიძაშვილი იმათი. შინში მინდია და თამარისძე წავიდეს ტერლის წვერს და უშიშამ კი შეუყრა ბისნის ჭალა. თუ იმაზე მაგიღოდეს ქისტები, უშიშა დახვდებოდა, და თუ ტერლის წვერ, – მაშინ დახვდებოდეს მინდია და თამარისძე, შინში. უშიშა ჯობდა მათ და იმით დაეიღოდა მარტო. ქისტის ჯარი მავიდა, საც იყვა უშიშა. ქისტებს ესროლა უშიშამა და ისენიც ესროდეს და დახკრეს. უშიშას ერთი კი ესროლა. მინდიაამ და თამარისძემ გაიგონეს თოფების ხმა, უშიშაის თოფისა იცნეს, უთხრეს ერთუც, რომ მოკლესა, – ერთის მეტი არ გამაყარდაც უშიშაის თოფივ. დაიქნეს ჭალაისკენ და შაუკრეს გზა. მავიდა ქისტები მღერით და ლხინით. ის უხარიან, რომ უშიშა მოკლეს. გზაში ჩასაფრებულთ დაუძახეს: ვინები ხართავ? ქისტები აირ-დაირივნეს. გასცქირა თამარისძემ და ნახა მის ძმის უშიშაის სასავძლე და თოფის ბუდე იცნა ძმისა. უთხრა მინდიას: აგერა, ჩემი ძმის გულა მიაქვსა(ვ), მაუკლავსა(ვ). უთხრა მინდიამ: მე კი იმას ვესრვივ, ვისაც მიაქვსა(ვ) და შენ მეორეს ესროლევ. ესროლეს ვართავ (ორთავ). მინდიამ რომენსაც ესროლა, მოკლა და თამარისძემ კი ააცილა მეორე ქისტს ტყვია. კიდევ გატენეს თოფები მეორ-მეორე, ესროლეს. კიდევ მოკლა მეორეც მინდიამ. თამარისძემ ისევ ააცილია ტყვია. მივიდეს მკვდრებ ქისტებსთან და ის გულა წაიღეს. წავიდეს უშიშასთან და ხის ძირში იპოვნეს დაჭრილი მძიმედ. და რამთვენიმე დღის შემდეგ გადაიცვალა უშიშა. ის კი ყველა უამბეს, რაც

ქისტები მოკლეს და მის გუდაც მოართვეს სისხლიანი, ქისტის სისხლით გასერილი. მაშინ უშიშამ მინდიას თოლებში აკოც. უშიშას ქისტი მაკვლული ჰყვანდა 20 მეტობით უშიშა იფ წიკლაური, სოფ. აბლაში მცხ., რაც გადაიცვალა, იქნება 60 წელი.“
ამავე უშიშა წიკლაურს ეხება №124.

ბ.

- ტერლის წვერს მონადირეთა თოფის კმა იცნეს ძმისაო.
მინდოდა ეუბნებოდა: „თუ კვლად დაგვიკრეს ვისაო!“
მეორედ აღარ მოიდა თოფის კმა ჩვენის ძმისაო.“
წამოვლენ საჭალაოდა არწიენი კივილითაო.
- 5 ტერლის კარს მაუტაცებავ საყარი ორის გზისაო.
მაუვა შუადლის დროსა, ჯარ მოვა ღლიღვლებისაო.
ერთმანერთს ეუბნებიან: „გერშ მოვიდ ჩვენის ძმისაო.“
საცმელა უშიშისა ღლიღველს მქარს შახკდებისაო.
თოფები დააყარიან, ჩამოტეხაა ცისაო.
- 10 ორი შახწირეს უშიშას თავი კარგისა ყმისაო.
დაძვირდა ტყვია-წამალი, ნდობა ვერ მოკლეს ცდისაო.
(R 145).

8 საცმელა უშიშისი ღლიღველს ტანს შახკდებისაო მინდოდას ძმა უშიშა მაუკლეს ქისტებმა და იმისი ტანისამოსი ერთ ქისტს ჩაეცვა, ამათ რო გზა შაუკრეს ქისტებს“ R; 11 ნდობა ვერ მოკლეს ცდისაო) „ბრძოლის უინი ვერ მოიკლეს“ R.

ღ.

- ტერლის წვერს მონადირეთა თოფის კმა იცნეს ძმისაო.
ერთმანეთს ეუბნებიან: „უშიშას უჭირდისაო, –
მეორე აღარ გავარდა, თუ-კლად დაგვიკრეს გმირსაო.“
სადუცე ჩამაიარეს არწიეთა კივილითაო,
- 5 შაუკრეს მოსავალი გზა გამარჯვებულთა მზირთაო.
შახენეს: მოდიან ქისტები, თოფ მათე იმათ ძმისაო.
ჯერ იცნეს თოფის ბუდეი, ძვალ თოფის ყონდაყისაო.
ჩეესაფრენს, ჩაუსხდეს კეესურნი, ძალი აქსენეს ხთისაო.
იმ დროს ნახნეს ქისტებმა: გული ძნელია მტრისაო.
- 10 კეესურთ ესრიეს თოფები, ქისტები დასცეს ძირსაო.
მემრ კმლებს მოივლენს კელები, სრუ დაკოცნეს კმლითაო.
წავიდეს უშიშასთანა, იქაც აზრი აქე მკედრისაო.
უშიშა ცოცხალივ ყოფილა, ნახვა გაუხარდ ძმისაო.
ენით კი ველარ ამბობს უშიშა, ნატყვიარ ბევრი სჭირსაო.

15 კელით აღიშნა მოკლული, „ერთ რომ ვესროლე, მითაო.
ჩემ თოფ წაგირთომთ ისრევე, თქვენსამ წავიღებ ჭირსაო!“
ჩამიწერა გიორგი ჯაბუშანურმა 6. 8. 1913 ს. ახიელში.
ერთი ვარიანტი ძირითად ტექსტთან წავიდა: ეს არის № 108.

108.

დაბეჭდილია სის მიხედვით (ივერია, 1888, №43). მისთვის უამბნია აღუდა
ზვიადაურს.

ეს გახლავს ვარიანტი 107 ნომრისა და შეცთომით ძირითად ტექსტში მოხდა (ან
და, პირუკუ, ეს თუ დარჩებოდა ძირითადში, მაშინ 107 ნომრად მოთავსებული ლექსი
ვარიანტებში უნდა წასულიყო).

109.

ჩამიწერა გიორგი ჯაბუშანურმა 6. 8. 1913 ს. ახიელში. – 1 თორემა
კაცი) თორემ კაც (აკლია ორი მარცვალი).

110. ღამბერდი და შაკანა (R 66)

3 მესველნ მანდეს ცხრანო] „ხვესურებისკენ გამოიწია ღამბერდამ და ცხრა
კაცი მძლიე იმაგრებდა, არ უშებდნენო“ R; 14 ღამბერდის ნაკანჭარო] „ვითომ
ღამბერდი არწივი იყო და კანჭი გამოსდო შაკანასო“ R.

მეორე ვარიანტში მგელა ბაშლაჯაურია შაკანას ნაცვლად:

ბ.

როშკის თავს ლელღველ თამაშობს, კელში უჭირავ კძალიო.
გამოვლენ კევსურთ შვილები, – „ერთად არ მეყო ცხრანო.“
მგელასა ბაშლაჯაურსა გაუღესაეის კძალიო,
კელითა სცა ქისტთა ბელადსა, ფეჭი გაილა მკედარიო.
(R 140).

4 ფეხჩი გაილა მკედარიო] „გათელაო“ R.

111. შალვათ ხახონი (Sh)

მიამბო მინდია ქისტაურმა 11. 8. 1913 თვალეში. – 7 ნიაეი უჭრის მთი-
საო] ეი. შიშის გამო ცახცახებენო; 10 შინ ველარ წახოლ ცოცხალი] ქისტო, დასწები
გაშაია (ვარ).

დაბეჭდილია Rის მიხედვით (გვ. 175). – „ეს შალვა ხახონი გათქმული ქვესური ყოფილა, 19 ქისტის მომკვლელი. ამისი ეპალი დღესაც წმინდად მიაჩნიათ. ხვესურებმა მითხრეს, „ნაწილ-დავლათიანიაო.“ მელოგინეს თუ გაუჭირდა, ჩაპრეცხავენ ხახონის კმალს, დააღვინებენ მელოგინეს, უეჭველად უშველისო“ R.

113. შუქიაური (R 96)

თუ არ ვცდები, ეს ის მარტია შუქიაური უნდა იყოს, რომლის სიკვდილსაც № 532 გვატყობინებს.

114. ჭორმეშა (R 123)

115. ხუის ანთა (R 75)

2 მარცხენა-მარჯვენაზედა] „მარჯვენაზედაც გაუკეთებია“ R.

116 (R 175)

117. ძაღლიკა ხიმიკაური (R 134)

„ამ ხვესურისათვის მეფე ერეკლეს თიანეთის მხარეზე მთელი რამდენიმე სოფელი მიუცია, მაგრამ ვადა გაატარა და ეხლა ის წყალობის წერილი ისე უგდიათ თურმე“ R.

ამ სათაურითვე ვაჟა-ფშაველას პოემა აქვს დაწერილი, რომელიც მის თხზულებათა მეოთხე ტომში უნდა შევიდეს.

118. ფუნჩა და მანგია (R 136)

უკანასკნელი სტრიქონის მეორე ნახევარს ერთი მარცვალი აკლია. „სისხლიანი“ ს ნაცვლად მოსალოდნელი იყო: პირ-სისხლიანი, ან სისხლ-ტიგრიანი, ან რაღაც სხვა ამგვარი.

119. ფუნჩათ ჯამრული (R 152)

ამისი ფშაური ვარიანტი Xს აქვს დაბეჭდილი (ივერია, 1887, № 140=ტ. წ. 3), ხოლო თუშური – ერთი Bul (№81) და მეორე Ros (მოამბე, 1887, №2). – ბორბალ არ გამოვიდა] ე.ი. „არ გაშრა თოვლიო?“ R.

ამ ლექსის ორი მუხლი მოხვედრილა ჭიმღელი ივანეურის ლექსის ფშაურ კარი-
ანტში, რომელიც Rს ჩაუწერია (Rფ 167v).

120. ველგუჯა ხუშიიშვილი (Sh)

ჩამაწერინა აბა გიგაურმა 16. 8. 1916.

ბ.

ყორანო, ჭალის ბოლოსა რად არ ჩაავლე თვალია?
ამირანისა სახლ-კარის თუ არსად ჩანდა კვალია?
გმირისა დამრჩო ვერ ჰნახე, ან იმის ლომა კარია?
— ვნახე და ველარ დავსწონე, — არწივს ეფარა მქარია.

(Q, ივერია, 1885, № 8 = ც. წ. 53).

ზ.

ყორანო, ჭარის ბოლოსა ვერ მაავლია თვალია?
ელგუჯა ვერა ჰნახია, გუშერიშვილი კარია?
— ვნახე და კარგიც ყოფილა, კარვის დავმოზა ბრალია.
ჩასვლა მინდოდა, ვერ ჩაველ, არწივს ეხურნენ მქარნია.
გაძთავებიყო წამალი, გაწითლებიყვენ გზანია.

(R ფ 205).

დ.

ჭარის ბოლოსა, ყორანო, არ დაავლია თვალია?
ელგუჯა ვერა ჰნახია, ყელ-ლილიანის ქმარია?
— ვნახე, კარგიცა ყოფილა, კარვის დავმოზა ბრალია.
გასთავებიყო საეძალი, ასდიდებიყო წყალია.
მინდოდა ლეშიც მეჭამა, — არწივს ეფარნეს მქარნია.

(Tფ).

ყელ-ლილიანის ქმრად ერთ ლექსში გარა თურმანაულიც არის მოხსენებული (№
015, 5) და მჭედლური ჭრელუაც (№ 184 კ. 13).

ე.

ფანდურო, ცოლი მითხოვე ყელ-ლილიანი ქალია,
მარტო ჩამოჯდეს კერასა, ჩამოიჭანნეს თმანია.
— ყორანო, ჭარის ბოლოსა არ დაავლე თვალია?

- ელგუჯა ვერა ქნახეა, ყელ-ლილიანის ქმარია?
 5 ენახე და სისხლი ვერა ვსვი, – არწივს ეფარნენ მქარნია.
 – ეპ, თუ სტყუოდე, წყეულო, მიხვედ, დასთხარენ თვალნია!

(A, კვალი, 1893, № 13).

1 მარტო ჩამოვდეს კერასა, ჩამოიჭანნეს თმანია] „დიდი სირცხვილია, თუ ფშავე-ლი დედაკაცი თავ-მოხდილი, თავ-შიშველა მამაკაცს დაენახეა, მეტადრე მეზობელს და უფრო შორეულს, უცხოს. ამიტომაც დედაკაცი მუდამ ცდილობს, მარტოკამ და მოფარებით დაიბანოს თავი. უფრო მეტად მონადირე უფრთხის თავ-მოხდილის დედაკაცის ხილვას... ეს ჩვეულება უასაკოთ არ შეეხება“ A.

ძის მიერ ჩაწერილი ერთი მოხუერი ლექსიც იწყება ამის მსგავსად („ყვარანო, ჭარის ბოლოსა მთას არ ჩაავლე თალიო? დავითი თუ არცა ღნახე, დავითი ჩემი ქმარო?“ და სხვ.), მაგრამ შემდეგ სულ სხვა მოსდევს.

121. თქმების მექალაქე (R 65)

122. ბაის ციხე (R 165)

123. სალუქის ქავთან (R 172)

124. ისყია (Gs)

ეს ის უშიშა წიკლაურია, რომელზედაც მოგვითხრობს №№ 107-109.

125. კევსა თქვეს (R 135)

სინტაქსურად არ იყო გამართული და შევასწორე: 1 კევსურნი] კევსურებ R; 3 ნასრეენი ისარნი] ნასრეებ ისარნი R.

ვაჟა - ფ შ ა ვ ე ლ ა ს (როგორც გადმომცა მისმა ძმამ სანდრო რაზიკა - შვილმა) თურმე ძალიან მოაწონდა ეს ლექსი და ხშირადაც ამბობდა ხოლმე.

ჩემთვის ერთი არაა ნათელი: მართალი ამბავია აქ, თუ დაცინვაა მოხვევებზე ხევსურების მხრით.

ბ.

კევს მოკვეენი ხარობენ: „კევსურნი გავაქციენით, მაგათ ნასროლნი ისარნი მაგათვე შავაქციენით, წითელ-ყვითელნი დროშანი საძელეს მოვაყრიენით.“

(Sh მოხ., ი ა ს ე ხ უ ლ ე ლ ი ს ა გ ა ნ გ ა ვ ო ნ ი ლ ი
 28. 7. 1913 ს. თოთში).

ბ.

ქვეს მოქვენი იტყვიან: „ქვესური გავაქციებით, თავის ნასრევი ისარნი უკენეე შავაქციებით, წითელ-ყვითელი დროშანი გორებზე შავაყრიებით.“

(D, გახუტა ხეთაგურისაგან გაგონილი).

დ.

ქვეს მოქვენი ხარობენ: „ქვესურებ დავაქციებით, წითელ-ყვითელი დროშანი სამელეს დავაყრიებით, ჩვენდ ჩამოსროლილ ისარნი ჩვენ იქავ შვესრიებით, წაყართით სალესველები, დაელუპეთ, დავაქციებით.“

(Tფ).

ჟ.

ქვესა თქვეს მოქვეებმა: „ქვესურეთ გავატილოთ, წითელ-ყვითელან დროშანი საბაკეს დავაფრილოთ.“

(Rფ 216).

ჰ.

ქვეს მოქვენი უბნობენ: „ქვესური გავაქციებით, წითელ-ყვითელი დროშანი სამელეს დავაყრიებით, თავის ნასროლნი ისარნი თითონეე შავაქციებით.“

(ივერია, 1885, № 2: „მთაში შვერებილთაგანი“).

126. ფხოველი და შავანელი (R 112)

„მე ამათი ვერა გავიგე რა: ვინ იყო შავანელი, ან სადაური. ამისი ვარიანტი ფშაურ ლექსებში მაქვს. იქ ასე იწყება: „ერთი პატარა ფხოველი შავ მთას სამზირლად დაჯდება“ R. — 3 მეშველი აღარ შაშაო] „რაკი მეშველი შევა გასაშველებლად, უნდა გაშველდენ, არ შეიძლება“ R; 5 მაგათ ვაგლაზი დასცაო] „ვითომ ვაგლაზი დაყარა, რაზედ ამოხოცეთ ერთმანეთიო“ R. [ვარ. ბ ნ. დამატებაში, რედ.]

127. შავი ვარ (Gs)

გავრცელებული ლექსია, სულ სხვა-და-სხვა გვარად გადაკეთებული მთასა და ბარში. ასეთი სიტყვები ტყვე-ქალს მიეწერება (X 231; Rფ 159, ორი, და 162; Rქ №18

24, 907, 1348, Rj №2). შორეული მსგავსება აქვს ერთს კარაღეთში ვ. ბიბილა - შვილის მიერ ჩაწერილ ლექსსაც (ივერია, 1890, № 6). კვიციის ხორცი და ჯეგარი დანა ამ წიგნშიც არის მოხსენებული ერთგან (№ 65 ე, 4-5), კვიციის ხორცი და გიშრის ტარიანი დანა კი ნანას ტყვეობის ერთს თუშურს ვარიანტში გვხვდება (AI, კვალი, 1897, № 15).

128. გუროვლები სამეკობროდ (U)

დაბეჭდა ივერიაში, 1887, № 264. სისთეის უამბნია ალ უ და ზ ვ ი ა დ ა უ რ ს. - 1 გუროს] გურს U; 2 ამაგათ] ა, მაგათ U; 7 თენებისაო] თენდებისაო U, თუმცა შეიძლება, თითქო, „დ“ დარჩენილიყო, მაგრამ მაშინ ასე უნდა გაგვეყო: ხანია (ისეთი, რომ უკვე) თენდებისაო; 12 არიქათ] არიქად U; 13 ჭირსაო] საჭირო U (ალბათ ბეჭდვითი შეცდომაა აქედან წარმომდგარი: სჭირსაო); 16 ძმასზეთი (გაყოფილი შეცთობითა, უნდა შეეერთდეს]) „თოფი მოკლულზედ გასდო და ისე ისროდაო“ U; 18 გამოსულია ზღვითაო] „ზღვა - დიდი, მკაცრი ომი“ U; 21 მზიდავი თან ხევებ წყლისაო] „საიქიოს მოკლული ურჯულო წყალს უზიდაეს მომკვლელს ხევესურსა“ U; 26 ვხედავდი] ვზიდავდი U.

იგივე ამბავი გალექსილია როგორც მომდევნო (129) ნომერში, ისე 249-შიც. უკანასკნელს იგივე რითმა აქვს, როგორც ამას, მაგრამ სულ სხვაგვარად აგებულია და მათქვამობაც სხვანაირი აქვს.

129.

ჩაწერილია Oის მიერ.

130. მითხოვლების დასხმა არდოტლის ცხვარზე (G)

ბესარიონის ცნობით ქისტები, ციკტათ ძობის მეთაურობით, სალაშქროდ წამოსულან არდოტში. არდოტის ხორხში რომ გადმოსულან, უნახავთ ფარა ცხვრისა და კარ-ცხენი. მწუმსები ჯამრული და ლაგაზიშვილი, წინააღმდეგობის გაწევის გამო, დაუზოცათ (სხვა მწუმსები ბავშვები იყვნენ) და გაურეკაეთ ცხვარ-საქონი და კარ-ცხენი. გამტყადარა ხმა და დასდევნებია მღევარი, რომელთა შორისაც ყოფილან ძმები ივანე და ზოლოგა. მიპშეველებიათ აგრეთვე სანადიროდ წასული ძმები, სისკარას შეიღები, რომელთაც თოფის ხმა გაეგონათ, და ამგვარად ქისტები დაუმარცხებიათ. - 26-27 მოვიცდათ არდოტელებო... ნუ სწირავთ თოფ-იარაღსა...] „მაშინ მეკარავნებეს, როცა ჯოგი გაშალეს, თოფები ქოხებში მაეწირათ, ჯამრულს და ლაგაზიშვილს. ქისტები, ანუ მითხოვლები თუმც დაამარცხეს, მაგრამ სიმღერის მოქმელმა ისევ საყვედური მისცა, ფარეხებში თოფები რად დასტოვესო“ G.

131. ძელის სამანი (G)

ნის მოწმობით, ეს ლექსი ნათქვამია უშიშა წიკლაურის მიერ, რომელიც უფრო პეტროს (ანუ პეტრუას) სახელით არის ცნობილი ლექსებში.

„როგორც ძველები მოგვითხრობენ, ძველად ერთხან მოსული ლაშქარი მოკლეს არხოტს (ს. აძლას) 140 სული ქისტნი, არხოტიენების მკრით ყოფილა მკედარი 60 სული“ G. ეს ის ამბავია, რომელზედაც მოგვითხრობს ნაწვევტი № 247 (წითულათანა).

132. ტყვეების დაყრევენება (R 118)

4 ლექო, ვიკეხნავ ლექეთა: თუშეთსა შვეისწავლიო] რბევა-ტაცების მიზნით წასვლა „შესწავლად“ არის მოხსენებული აგრეთვე ერთს ქართლში ჩაწერილ ლექსში: „ჭარში ლექმა დაიკეხა: წავალ, კახეთს შვეისწავლი“ (Rქ № 1297).

133. ლექების დასხმა (T)

იგი ყოფილა „ვიგიაის ნამბობი“ T.

134. ფაცხვერი და ალუდი (Sh)

ჩამიწერა გიორგი ჯაბუშანურმა 6. 8. 1913 ს. ახილში.

ბ.

რად არ გარდმახოლ, ფშაველო, რად-ღ მასუქებ ნადირსა?

ალუდ ორ კურდღელის ძეი, მწარეს გიმზადებ სადილსა.

თოფი მაქე ავის პირისა, თუნდა ტერლს ხეითხე ნადირსა.

– ეგრ ვერა მამკლავ, ალუდო, შენ რომ ჯიკვს მახკლავ კლდისასა.

5 ვერცა ეგრ დამიბარებდი, იმედს ხარ კევსურისასა.

საკლავს დაუკლავ კევსურსა, გზასა გამავსთხოვ მთისასა,

მბიძეს შაგიყრი ლაშქარსა, გარმაოლ ტანიისასა.

შვიდკან ჩავისხამ მალულთა, არ ავიჩქამებ ქვიშასა,

თოფის ქარს დაგიშლევები ანაგებს ბაკისასა.

10 – ცოლად შეერთოს დედაი მუბარს მაგაისასა!

არხვატი როს კლოვ ყოფილა იმედს კევსურის ქმლისასა?

(U, ივერია, 1891, №90).

სისთვის უამბნია მამის წვერა არაბულს: – 1 რადა-ღ მასუქებ] რად აღმისუქებ U; 3 ავის პირისა] ავის პირასა U.

ბ.

- გადილდა არხოტიონი, ფშაველებს უბარებს ქადილსა:
„გამოდიოთ, ფშაველის შვილებო, ნუღარ მასუქებთ ნადირსა.
აღუდ ვარ კურდღელიკათი, მწარეს გიმზადებთ სადილსა.
თოფი მაქვ ავის პირისა, გინდ ტერლის ხკითხეთ ნადირსა.“
- 5 — „მე ისრ ვერ მამკლავ, კევსურო, როგორც ჯიქვს მასკლავ კლდისასა.
სანეს კარს მივღგერი კევსურთა, გზას გამოვართომ მთისასა.
სერობას დაგროვებულსა ჯარს შავხერი ფშაველებისასა,
კალოთანაზე გადმოვალ, ჩამოვალ ცირცლოვნისასა;
ირბულად მოგეპარები, არ ავაჩქამებ ქვიშასა;
- 10 ტერლის მოგიჩენს გარაი ბაჭიჭთა ძელაისათა.
ციხეს დაგიშლი, კევსურო, თვალთაც გარისხებ ღთისათა.
ცირცლოვნით გაყურებიანებთ ტირილსა განძაისასა.“

—

- ფოცხვერაჲ მაკინცაურო, გავლა გეწადის გზისაო.
ხახაბოს ჩასვლა გეწადის, უერება დროშაისაო;
15 წვერის ჩამოშლა გეწადის ციხისა ვაჟაისაო;
გეწადის გამოყვანაი ქალისა განძაისაო.
ვერ გამაიყვან, ფოცხვერაჲ, — აქვის იმედი ძმისაო.
თოთას შვილები მანდ არი, სულ მაგათ მასღით მგლისაო.
მალუდავ მოგეწვეიან ცირცლოვანს წვერის ძირსაო.
- 20 გესროდეს თათრისეულსა, ჭეხა გეგონას ცისაო.
ტანთ ეცვას ჯიგრაულაი, ვადა უმშვენოს კმლისაო.
„ცირცლოვანს გზათა კლდიანთა დავლებავ თქვენის წვნითაო.“
- (R 150).

ღ.

ეგრე ვერ მამკლავ, აღუდავ, როგორც ვაცს მასკლავ კლდისასა.
წვერის ძირისას მოგივალ, არ ავიჩქამებ ქვიშასა.
თოფის სროლასა გაყურებ ამ ჩემის ვაჟებისასა.

(R 78).

მ.

აღუდი:

გაქებენ, ბაკინცაურო, სრუ შენ კმა ჩვენში მადისა.
აღუდ ორ კურდღელაისძე, მწარეს გიმზადებ სადილსა.

ფაცხვერი:

- აეგრ ვერ მამკლავ, ალუდო, შენ რომ ჯიკეს მახკლავ კლდისასა, —
ახლუას მაგეპარები, მაგივლი ტანისასა,
5 ჩაგისხამ მალულ-მალულთა, არ დაგიჩქამებ ქვიშათა.
ვერც აეგრ დამიბარებდი, იმედს ხარ კევსურისასა.

ალუდი:

- ვირმა შაგიცას ცოლ-დედას მაუბარს ამაგისასა!
როს კლოვ ყოფილა არხვატი იმედს კევსურის კმლისასა?
როს დახედეს კევსურთ შვილები წინ მტერსა არხოტისასა?
10 როს ჩამაგვიდგეს გვერდიგა ნაპირსა გრანიცისასა?
უდგეოთ არხოტიონნი ტყვიასა ურჯულოსასა.
შენ მეუბნები, მშაველო: „იმედს ხარ კევსურისასა,“
მე ამხანიგებ არ მინდა, შენც მარტო მაღი მთისასა!

ფაცხვერი:

- ფაცხვერ ორ ბაქინცაური, გავლა მწადიან მთისაო,
15 ახიელის ძირ ჩამასვლა, ჟერება დროშაისაო,
გატეხა გაუტეხლისა იმ ბაკათ ქვიტიკირისაო,
გამაყვანა და წაყვანა ქალისა განძაისაო,
ამატანა და წატანა ჯიგრაულაის კმლისაო;
გვერდს მედგას ამხანიგები, ლაშქარი მშაველებისაო.

ალუდი:

- ლაშქრით დაგვექსენ, ფაცხვერავ! ერთხან გამუძველ მზირთაო.
20 მახკლავ არხოტიონსა ცირცლოვან კლდისა პირსაო,
სხვა ამხანიგებ არ უნდა, იმედ აქვ ქასაისაო.
შამაგეწვევის მღვეარი შავ-ქვიშას, წვერის ძირსაო,
მაგდედას თათრისეული, ჭეხა გეგონას ცისაო.
25 შამახკლა პირ-სისხლიანი არხოტის წვერის ძირსაო,
სწყევდა, მშაველო, გაძჩენსა, ხან აღარ გქონდას ცდისაო,
დაგექცნან მშაველის შვილები, მჭერელ არ გყვანდას მქრისაო.

(G 235).

გვევე ლექსი Gს მეორედაც აქვს ჩაწერილი, მაგრამ შემოკლებით, მმ. 14-24. იწყება მესამე პირის ფორმით: „ფაცხვერას ბაქინცაურსა გავლა სწადიან მთისაო“; 17 გამაყვანა და წაყვანა] სწადიან გამაყვანაი; 19 გვერდს მედგას...] ეს ერთი სტრიქონი სულ აკლია; 21 არხოტიონსა] თოთაის შვილსა.

ერთი-ორი მუხლი შეიძლება ბესარიონს ჰქონდეს დამატებული. — ალუდ კურ-
დღელაისძე, ბ ე ს ა რ ი ო ნ ი ს თანახმად, ჯაბუშანური ყოფილა, არხოტიონი, ხოლო
ფაცხვერა ბაკინცაური — ფშაველი.

3.

- ფოცხვერას მაკინცაურსა ჩავლა სწადიან გზისაო,
ჩავლა სწადიან მითხოსა, უღერება დროშაისაო,
ცოლად წაყვანა სწადიან ქალისა განძაისაო,
წელზედ შემორტყმა სწადიან ჯიგრაულაის კმლისაო.
5 — ლაშქრით ნუ მექადინები, ჩამოუძლოდი მზირსაო.
ცხვარ-ძროხან არსად წამისხნე ცირცლოვანს კილდის ძირსაო,
არსად ჩამისვა მალული დეკიანს წვერის პირსაო.
მოგდევდეს თითაიშვილი ქარსლაი პერანგითაო,
გესრიდეს თათრისეულსა, ჭეხა გეგონოს ცისაო,
10 წელთ ერტყას ჯიგრაულაი, ფიქრ არა ჰქონდეს მტრისაო.

(X, ივერია, 1887, № 144 = ც. წ. 28).

2 მითხო აქ შეცთომითაა. სად მითხო და სად ახიელი?! 6 ცხვარ-ძროხან] ცხვარ-
ძროხათ X; დეკიანს] დეკიანს X.

ზ.

- ალუდ ვარ კურდღელიკათი, მწარეს გიმზადებთ სადილსა.
რად არ ჩამოხვალთ, ფშაველებო, რადლა მასუქებთ ნადირსა?
ფოცხვერას მაკინცაურსა გავლა სწადიან გზისაო,
ახიელს ჩასვლა სწადიან, უღერება დროშაისაო,
5 ცოლად მოყვანა სწადიან ქალისა განძაისაო.

—
ჯარით რას მემუქარები? აბა, ჩამუძვედ მზირსაო!
ჩამოგეწიოს მდევარი ცირცლოვნის წვერის ძირსაო,
გესროდენ ჩალხათეულსა, ჭეხა გეგონოს ცისაო,
წაღება აღარ მოგგონდეს ჩემის ნაკოცის მკედრისაო.

(Tფ).

ბ.

ფაცხვერა მაკინცაურსა ჩავლა ეწადა გზისაო.
ჩასვლა ახიელშია, ამომღერება კმლისაო.

—

- შენ ისრ ვერ მოშკლავ, ალუდო, ჯიკებსა რო ჰკოც კლდისასა.
დავარჩევ ფშავლის შვილებსა, მოგივლი ცირცლოუნისასა.
- 5 ირმულად მოგეპარები, არ ავარჩამებ ქეიშასა,
საგათუნებოდ მოგიჩენ თეთრ ბაჭიჭებსა ქსლისასა.
გესროდე თათრისეულსა, ჭხასა ჰგევანდეს ცისასა.
ცირცლოვნით გაყურებინებ ტირილსა განძისასა.

(Lb).

აქ შუაზე, მეორე მუხლსა და მესამეს შუა, გარა თურმანაულის ლექსის ნაწყვეტია ჩართული:

015.

- შატილში ფშავლის შვილები ირმებულ ხევენ წყალსაო.
გადის-გამოდის ფშავლები ვარდანათ ციხის კარსაო.
„კარჩი გამოდი, ვარდანო, ნუ მოიძთერალებ თავსაო.“
- 5 – „გამუა(ლ), ალუდის მზემა, გამოვიყოლებ კმალსაო.
საკაცით წაგაღებინებთ ყელ-ლილიანის ქმარსაო.
თუ თას გიჭერავ კელშია, გადაულოცე სხვასაო.
ან თუ გიჭერავ ფანდური, ძმას მიეც გელიასაო.

(Lb).

5 ყელ-ლილიანის ქმარსაო] „გარას“ Lb (ყელ-ლილიანას ქმრად ელგუჯა გუშე-
რიშვილიც იხსენიება (120 დ. 2) და მჭედლურთ ჭრელუაც (184 ვ. 13).

თ.

- ფოცხვერას მაკინცაურსა გავლა ეწადა გზისაო,
ახიელს ჩასვლა სწადიან, ჟერება დროშისაო,
ცოლად წაყვანა სწადიან ქალისა განძისაო.
- 5 – შენ ვერ წაიყვან განძასა, იმედ აქვ თავის ძმისაო, –
შინ არი თოთათ გიორგი, სულ მაზდის ლეგა მგლისაო.
უდროოდ წამოგეწეათ თერთეგოს წვერის ძირსაო,
მოგდედეღეს თათრისეული, ჭხა გეგონოს ცისაო.

–

- შენ ვერ ვერ მამკლავ, კევსურო, როგორც ჯიკეს მაკლავ მთისასა.
აცა, გაზაფხულ მოიღეს, ჯარს შავყრი ფშავლებისასა,
- 10 სანეს კარს მიგვერი კევსურთა, გზას დაეინებებ მთისასა,
გამოვიყოლებ გარასა, მანძილას ჭოუხისასა,

წამოვალ ცირცლოვანზედა, მოგივალ წუბროენისასა,
ირმულად მოგეპარები, არ ავაჩქამებ ქეიშასა,
გაყურებინებ გორვასა მაგ შენის ციხის ქვისასა.

(Shგ).

მაგბო ხთისო ბარწო შვილმა 3. 7. 1911 ს. კომარაში (თვითონ გოგოლაურ-
თიდან არის). — გარა თურმანულზე, რომელიც გოგოლაურთიდან ყოფილა, აქაც არის
საუბარი. — 14 გაყურებინებ გორვასა მაგ შენის ციხის ქვისასა] ე.ი. ციხეს დაგიშლიო.

135. ქისტების ლაშქრობა არხოტზე (O)

ეს ლექსი „ნათქვამია თარუა ბალიურისა.“ — აქ აწერილი ამბავი მომხდარა
შემოდგომაზე, ენკენისთვეში, როცა უმეტესობა არხოტელებისა სამგზაუროდ ყოფილა
ტფილისში, კაკაეში თუ სხვაგან (ერბოების გასაყიდად და თავისთვის რისამე საყიდ-
ლად). გამოწვეული ყოფილა იმით, რომ ამღელვებს ქისტების ცხვარი გადმოერეკათ
(და, როგორც ამ ლექსიდან ჩანს, მწყემსიც მოეკლათ) იმაზე წინად და ქისტებს
სამაგიეროს გადახდა მოენდომებიათ. რომ უფრო ადვილად გაეტანათ თავისი, ქისტებს
თავისი თავი მთავრობის ხალხად გამოუცხადებით და ასე მოტყუებით შესულან სოფ-
ლებში: ჭიმღაში, ახიელში და ამღაში, დაუტყვევებით ხალხი, გაურეკიათ თავისი
ცხვარი, მიუყოლებიათ არხოტელების საქონელი და ნივთებიც (ფარდაები, ვერცხ-
ლეულა და სხვ.), ამღას მოუკლავთ ოთხი პირი (ორი კაცი და ორი ქალი) და
წასულან. მაგრამ ნამდვილ მთავრობას, სასწრაფოდ მიღებული ენერგიული ზომების
წყალობით, მშვიდობიანობა მალე აღუდგენია.

5 ერავნელები] ე.ი. ერანელები (ხალხური როსტომიანიდან), იგულისხმებიან ჭიმ-
ღელები, რომლებიც არხოტის სათავეში არიან.

136.

ნათქვამია ამღელის ობოლა წიკლაურისა, ჩაწერილია Bის მიერ.

აქ რომ ახიელლებზეა საუბარი (მ. 33 „მაველით ახიელელთა...“ და სხვ.), თითქო
ეს (თუ, არ ვიცი, სხვა რაღაც) საწყენად დაპრჩენიათ ახიელლებს, რის გამოც მიწდია
ოჩიაურს, ახიელელს, უთქვამს ლექსი, რომელშიაც გაბრიელ ნაროზაულის
გადმოცემით ეს ყოფილა:

016.

ობოლამ გვითხრას ლექსები, ნურას გვეტყვიან სხვანია.

ჩვენ თუ მივედით ქელადა, ეგენ შინ იყვნეს თხანია.

ამაზე თითქოს ობოლას ძმას აბიკას პასუხად ეთქვას:

- პოეტი ხარ, მინდიაო. ლექს რო გვითხარ, გაქესაე?
 ენა მაგიგძელეზაის. სთვლინდელ აღარ გაქსონსაე?
 თხის ტყავან რო შამაგაცენეს, ჩოკა დაგანატრესაე?
 ჩამაზძახდი დიაცება: „ნიფხავნ არვის მაშჩესაე?“
 5 ყაზბეგში რო ჩამახვედი, დუშეთს ზარებს არ სცესაე?
 მთაში თავადს რა უნდოდა? სადილ მოგიშხადესაე?
 კაი პურის ჭამა უნდა, ფულეზ არ დახარჯესაე?
 (O).

137.

ესეც ობოლა წიკლაურს ეკუთვნისო, ხოლო ჩაწერილია Bის მიერ. – 4 კელდება
 თითქო „ხელდება“ უფრო სწორი იქნება, მაგრამ ასე უწერია Bს.

138. კმლითა თუშთ, ხანჯრით ლეკებმა (R 154)

139. დილღელების დასხმა ლაგაზიანთ ცხვარსა
 და კაროვანზე (R 142)

2 მარიგებენ გზაზედა] „გზაზე აწყობენ, არიგებენ, როგორ მოვიქცეთო“ R; 3
 კარაევანზედა] კარაევანზედა R; 7 სარგის] გაურკვეველადა დაწერილი პირველი ასო:
 შეიძლება წავიკითხოთ აგრეთვე: ხარგის, ან ზარგის; 8 ბიტურ] ბიტურთ(?); 21 ტყვია
 ცვიოდა ფარზედა] „ისე დახურდნენ თოფები“ R; 30 ორნი შაუსხდენ მქარზედა] „ორნი
 შაუსხდნენ მხრებში დაჭრილ ქისტსაო“ R.

ბ.

- დილღელები ყრიდეს ლაშქარსა, ჩვენ ვერ გავიგეთ რაზედა,
 ლამინობს არხოტობასა, გავიდეს არხოტის მთაზედა.
 გამაიშალა ცხვარ-წყემსი, მზე რო მაიდა ცაზედა.
 ნახვეარ ცხვარ-წყემსს დაეცა, ნახვეარ – კაროვანზედა.
 5 ისინ დაკოცეს წყემსები, ვინც რო შაუდგა ძალზედა.
 ჭკვით და გონებით აჯობეს, ვინც რო გაუდგეს განზედა.
 არხოტს დაიწყეს ძახილი: „მოგვეშველენით ხანზედა!“
 აჩქარდა არხოტიენები, ერთმანერთს უძახს ძალზედა.
 ოროლ პირ მასრებ აისხეს, თოფებ უხარიით მქარზედა.
 10 არხოტის ჭალას მღევარი ერთმანერთს სწირავს გზაზედა.
 თავ-კანი მაშინ ვიცნენით, მეწვერენ ენახენ მთაზედა.

- თავ-კან პირდაპირ წავიდეს, სხვანი უგზოსა სხვაზედა.
ამათაც კარგა აქერქეს, რო გადასწერეს მთაზედა.
ჩვენ მთაზედ აღარ აგვიშვეს, მეწვერენ დადგეს ძალზედა.
- 15 დასქდეს, დაკურდეს სტამბოლნი, ვერ გასძლეს კირიმებსთანა.
მაჟარნი ტყვიას აღარ უტევენ, მაჟარნი დაკურდეს თან-თანა.
სიათან დაჯავრებულნი სჭეხდიან ამაყ კმაზედა.
თან-თან დაფიცხდეს კირიმნი, კვამლს იხვევდიან თავზედა.
ჩარმა რამდენიც გავარდის, დახყუდის მკვლარი თავზედა.
- 20 ხუთი-ექვს ჩვენაც მოგვიკლეს, მკვლარ შაგვიყარეს მკვლარზედა.
მეწვერენ გავათავენით, ჩვენაც შაგველით მთაზედა.
ახლა ღიღღოსკე ჩავხენეთ, კმალნ ელვენ ღიღღვის წყალზედა.
გამოდის წყალი წითელი, წყალმ ჯებირი ქნის წყლისაო.
ახალამ შუქიურმა გაქცეულს გაასწორისაო.
- 25 კმლით სცეე, ჩაახვეია, წინავ ეგრ უქნავ სხვისაო.
ორნი წყალ-და-წყალ დაგვექენეს, ცურვა სცოდნიყვით წყლისაო.
ველარ მისწონეს კევსურთა, წონა არ ხქონდათ წყლისაო.
თოფიც ესრივეს ბევრად, ვერ მააბემდეს პირსაო.
მალლა შამოქდენ მთაზედა, აბჯარ ასწორეს მტრისაო.
- 30 თოფ გაასწორეს ღიღღველთი, კაც-კაცად ოთხ-ოთხ გაერგისაო.
„ხანზედ ვერ მოგვეშველენით“, ჩვენ არ გვიდებდენ წილსაო.
ჩქარა ვერ მივეშველენით, – მანძილ დიდ გვექონდა გზისაო.

(R 61).

სათაურად ამისთვის Rს გაუკეთებია: „თარეში.“ – 3 ცხვარ-წყემსი] „ხევსურებისა“ R; 6 ჭკვით და გონებით აჯობეს...] „ისინი გონივრად მოიქცნენ, ვინც განზე დადგა და არ გაუძალოვანდაო“ R; 21 მეწვერენ გავათავენით] „სულ ამოვწყვიტეთო R; 24 გაქცეულს გაასწორისაო] „გაქცეულს დაეწიაო, კიდევაც გაასწოროვო“ R; 29 აბჯარ ასწორეს] „გაყვეს“ R; 30 კაც-კაცად ოთხ-ოთხ გაერგისაო] „კაცის თავს ოთხ-ოთხი თოფი ერგოვო“ R; 31 ხანზედ] „დროზედ“ R.

140. თუშთ მოურავი (R 124)

ბ.

- თუშეთში თუშთ მოურავმა სრუ დაიარა ცხენითა,
შაყარა თუშის ლაშქარი, წვერ გაიარა კლდიანი.
არნაბულ ჩამადიან, დილაი თვირთვილიანი.
ჩავიდეს სარტლოვანზედა, ნისლი დაიბა ცვრიანი.
- 5 შასწუხდა თუშთ მოურავი: „გზა ვერ გავიგი ტიალი!
არიქა, თუშის შვილებო, ვინ უფრო ხართა კმლიანი?“

- თამაშობს ჯიმშელის ცხენი, ლაგამ ოქვ ოქროიანი.
თავ-ბერაის ლურჯამა ბორტე წკიპა მარახლიანი.
ოთაის ჩალის ფერამა ბაკზე დაიწყავ ფხვრიადლი.
- 10 სამივ საბაკე აილა, წყემსი ვერ დახვდა კელიანი.
ესრიავე, გამაგორა ე წყემსი თუქიანი.
კარგა დაბრუნდა კევსური იღუა სახელანი.
ქმალ კარგა გიჭრის, იღუავ, კელ როგორ გიძლებს კელიანი?
კელი კალთაით მოგქონდა, ციხე გოქვ ჩარდახიანი.
- 15 შინ მოსვლა გიღირს, იღუავ, ქალნ მოგვეგუნან თმიანი.
უთხარი თუშთ მოურავსა: „წყალობა მიყავ ხეთიანი.“

—

ამთ სიმღერეთ მათქვამსა მამა მეც მყვანდა კელიანი.

(Sh).

მიამბო ნათელი სქე ალუდაურმა ს. კაკატში 26. 7. 1913. — 8 ბორტე წკიპა მარახლიანი] ბორტევი დაგლოჯა ცერიანი (ვარ.); 14 კელი] sc. ქისტისა; მოგქონდა] მოგაქვის (ვარ.).

შ.

- თუშეთს ზის თუშთ მაურავი, სუ დაიარა ცხენითა,
ლაშქარი გამაიყვანა, გამარჩინა კელითა.
წინ თავად დაუდგებოდა, გზანი აღინა კელიანი.
ართლოვანაზე ჩავიდეს, ნისლი დახვდება ცერიანი.
- 5 ჩიოდა თუშთ მაურავი: „გზა ამრეკია ტიალი!“
ჩილილაის ცხენს ტიალსა ლაგამ აქე ოქროიანი.
ზედ თავად გადაუდგებოდა, აბჯარმ გადილო ურიადლი.
გოთაის ჩალისფერამა მინდორ გაწკიპა ცერიანი;
სამი საბაკე აილო, ერთი ვერ დახვდა კელიანი.
- 10 გაეარდა გოთაის თოფი, წყემს გორავს თუქიანი.
არშიულ ცხენო ტიალო, ოთხივემც გაგიშაუდება!
ჩამოსვლა ბაკის პირზედა ძალიან გაგიხარდება.

(R 124).

ღ.

თუშნ საქმეს არ აკეთებენ, — „ლაშქრობა მოვეცილებისა.“
გაეარდა თუშთ მაურავი, სრუ დაიარა ცხენითა,
აწივა თუშის შვილები, სრუ ჩაარჩივა კელითა.

(G 242).

ამგვარადვე იწყება ერთი ფშაური ლექსი: „თუმბე არ წაველენ სათიბსა, – ლაშქრობა მოგვინდებათ“ (Rფ 183), მაგრამ მერმე სხვაა.

141. თუმბების დაცემა კოშარაზე მიცქის ბელადობით (R 125)

1 ჯოყარ გამაქსარ ნარისა] „მაში საზოგადოდ ზამთარში საქონლის საჭმელი ძალიან ნაკლებად არის და შშიერი საქონელი ნარსაც შესჭამს და ნეკერსაც“ R; 12 კაცმა კოშარით იძახა] „კუკუშაურმა იძახა“ R; კაცთ] „კაცთაგან“ R; 14 თუმნ გორვენ ჩითაიანნი] „სუმელჯი მიეშველა“ R.

ამისი ფშაური ვარიანტი ნ. X 41 (=ივერია, 1887, № 144).

142. ღაზი და ლუის ლუხუმი (R 64)

4 ღაზის კელ ხვიდავ მქარზედა] „წინათ მტერს რო მოჰკლავდნენ, გამარჯვების ნიშნად მარჯვენას მოსჭრიდნენ და წაპოილებდნენ“ R. – მეოთხე მუხლი წესით თითქო ბოლოს უნდა იყოს მოქცეული, და არა იქ, სადაც ახლა არის.

143. ლუის ლუხუმი (R 114)

1 გაისტველქელა ზაფხულმა] „შემოდგომამ ძალიან დარობით გაიარა, თოვლი არ მოვიდა. ეს გასთველხმელება ხელ-საყრელი არ იყო თუმბებისთვის, რადგან ლეკებს შეეძლოთ დაუბრკოლებლად გადმოსვლა მთაზედ და, თუ თოვლს ჩამოჰყრიდა, მაშინ გზა შეიკვროდა და ლეკებიც ვეღარ გადმოვიდოდნენ“ R; 3 გაუღეს... ბოსლის კარიო] „ლეკები შეპარულან ლუხუმის ბოსელში“ R; 7 ვერ დაიჭირეს] „ვერ დაიმორჩილესო“ R; 8 წინ დაუყენეს ცხვარიო] „სასიკედლოდ გასწირეს, ცხვარივით უნდა დაკლან“ R; 12 მიხყიდეს ჭირის პატრონსა] „ჭირისუფალსა, ვისაც ლუხუმმა მოუკლა ძმა, ან შეილი, ან მამა, ვისიც სისხლი ემართა“, R; სრუ გამოართვეს რვალიო] „ლუხუმში სულ სპილენძი აიღესო ფასად“ R; 13 შამაკდინეს საფლავზედ...] „უმაღლესი ხარისხი შურისძიებისა, ან უკეთ სისხლის აღებისა ეს იყო, რომ თუ მკვლელს ჩაიდებდნენ ხელში, ცოცხალი მოკლულის საფლავზედ უნდა დაეკლათ და თან იტყოდნენ: „შენი მსახურიმც იქნება, მატანინე წყალო!“ ასე იქცეოდნენ ყველა მთიელები, როგორც ქრისტიანები, ისე მამადიანები. ლუხუმშიც ლეკის საფლავზედ დააყენეს, უნდა დაეკლათ ზედა“ R; 14 თუმის ქალბ იცნა] „ეს თუმის ქალი ტყვე ყოფილა“ R; 16 საფლავზედ გამათამაშდა] „ლუხუმი“ R.

საფლავზე სისხლის აღების ამბავი ვაჟა-ფშაველას გამოყენებული აქვს თავის „ისტუმარ-მასპინძელ“ში, სადაც შენიშნავს: „სისხლის აღება, მკვლელობისათვის მოკვლა ყველა მთიელებსა აქვს წესად, მაგრამ საფლავზე დაკვლა და ამგვარად „შეწირვა“

მაჰმადიან მთიელების ადათია. ქრისტიანი მთიელები ამას ერიდებიან. თუ ვისაც სწირავენ და საფლავზე ჰკლავენ, არ შედრკა, მკედრისათვის „შაწირულად“ არ ჩათვლება“ (თხზულ. III, 256).

ბ.

- გაისთველქმელა ზაფხულმა თუშის რომელის ჭირადა?
საბოსლოს არის ლუხუმი, მარტუა თავის ჭირადა.
დაუგულებავ ლუხუმი, ლეკებს დაუკრავ თვალია,
არ ქნილა შუა-ღამეი, ჩუმად შუდღეს კარია,
- 5 შამაუარეს ბოსელსა, ნაწოლ მოკელეს კარია,
დასხდეს, ვერ იმაგრებენ ლუის ლუხუმსა ცხარანია.
მძლივ სადამ დაიმორჩილეს, ამბობს: „რა მოშლით ვარო?“
ხანჯარი მაინც მქონიყო, ამესხა სისხლის ცვარიო.“
გამაიყვანეს ლუხუმი, წინ დაუყენეს ცხვარიო.
- 10 ქაეთარის მთას გადასევსა თუშეთს დასწერა ჯვარიო:
„მშვიდობით, ჩემო თუშეთო, მომაგალ აღარ ვარო.“
ჩავიდეს დიდოთ სოფელში, შამაუხვია ჯარიო:
„შენ ხარა ლუის ლუხუმი, ლეკეთის ნიაე-ღვარიო?“
იყიდა ჭირის პატრონმა, სულ გაიტანა რვალიო,
- 15 საფლავზედ შამაქდინეს, რომ ნაკურთხვეი კარო.
ბაგოს ატირდა სოფლადა ტყვედ ნამყოფ თუშის ქალიო:
– „ღმერთო, ნუ მახკლავ ლუხუმსა, გაუკითხენი ბრალნიო!
ქელნ გაუქსენით ლუხუმსა, მებრე მიეცით ქმალიო.“
– „ნუ სტირი, თუშის გაზდილო, ჩემ სიკვდილ არა ბრალიო:
- 20 ბევრჯელ უტირენ დედანი, ცხვარ-წყემსთ გაუჭერ თავიო.“
ლუხუმის დედას უთხარით, მთა-წყვრთ ნულარ აქვ თვალიო,
აღარ მოგივა ლუხუმი, ომალოს გევირალ კარიო.
მაგრამ მანდ დაშა ბიძასა ძმისწული მეომარიო.
ხვედეგმ გაწყვიტნა ჯალაფნი, ცეცხლთ მიულვარა წყალიო,
- 25 თავად მშვიდობით წავიდა, გამაუჯარა კარიო.

(ბაჩანა, ივერია, 1898, №217).

ამისა და რამოდენიმე სხვა ლექსისათვის ბაჩანას სათაურად გაუკეთებია: „საე-პოსო მასალა, ხვესურეთში გაგონილი.“ – 1 გაისთველქმელა) „გაისთველქმელაო, იტყვიან, შემოდგომაზედ რომ თოვლის მოსელა დაიგვიანებს“ (ბ.); 7 სადამ) სადამე (ბ.); 24 ხვედეგმ გაწყვიტნა ჯალაფნი) „ხვედეგი ძმისწული ყოფილა ლუხუმისა. სამაგიერო იმას გადაუხდია ლეკებისათვის, სისხლი უზღვევავ ასე: ლუხუმი ლეკებს მძინარე შეუ-პყრით და ტყვედ წაუყვანიათ დაღესტანში ის მიცვალებულის პატრონს უყიდნია.

წაუყვანიათ ლუხუმი და იმ მკვდრის საფლავზედ დაუკლავთ. გასულა მას შემდეგ კარგა ხანი. ლეკებს კიდევ დაჰვიწყებით ეს ამბავი, მაგრამ ზევდეგს რა დაავიწყებდა? როცა დრო უხელთებია, ორი სხვა ამხანაგით იმ სოფელში მისულა, სადაც იმისი ბიძა დაუკლავთ ჰცოდნია, ვინც იყო იმის ბიძის დამკლავი „ჭირის პატრონი“, ჰცოდნია მის კოშკიც. ღამე მისდგომია ვახშამს უკან. ასვლა კოშკზედ ნიადაგ ძნელი იქნებოდა. ზევდეგს ხის სოლები ჰქონია დათლილი, კედელში ურჭვია ეს სოლები, საფეხურები გაუკეთებია და ასულა კოშკზედ. „როცა ავალ და შიგითურბას დაეთავლიოებ, განიშნებთ და თქვენც ამოდიოთ“, ამხანაგებისთვის უთქვამს. მაგრამ როცა ჩაუხედნია და ნახსდომი ჯალაბობა უნახავ, თავი ვეღარ შეუკავებია, ჩაპხტომია მარტოკა და დაპრევია. არ დაუნდვია არც დიდი და არც პატარა, არც ქალი და არც ვაჟი. ხუთი ძმა-ბიძაშვილი, მათი ცოლ-შვილი, თუ სხვა ვინმე იქ მყოფი, ყველა იმის ხმლის მსხვერპლი გამხდარა. თითონ კი ამხანაგებიანად ისევ მშვიდობიანიად დაბრუნებულა შინა. დახცილების მარჯვენა ხელეხსაც ნიადაგ წამოიღებდა თავისის კოშკისა და ქვე-ციხის შესამკობად“ (ბ ა ჩ ა ნ ა).

ბ.

- დაისტველქმელა ზამთარმა ნეტარ ვის თუშის ჭირადა?
 ბოსელთას არს ლუის ლუხუმი, ავათ თუ მაგის ჭირადა.
 მთით ლეკის მონადირემა ლუხუმს მოჰკიდა თვალია,
 შეუღეს შუაღამის ხანს ლუხუმსა ბოსლის კარია.
- 5 გამაიძიეს ბოსელი, ლუხუმ მოქელეს ვაჟია.
 „ვაი დედას ლუხუმისასა! თოფმ დამიმტვრია ტალია.
 აღარც გადმომყვა ხანჯალი, მედინა სისხლის ღვარია.“
 გამაიყვანეს ლუხუმი, ვიწროდ შეუქრეს მქარია,
 გამართეს სალეკეთოდა, წინ დაუყენეს ცხვარია,
- 10 ჩამაიყვანეს ლეკეთში, შამაეხვევა ჯარია.
 „ეს თუ იყო ლუის ლუხუმი, ეს ჩვენი ნიაგ-ღვარია?“
 იყიდა ჭირის პატრონმან, სულ გაიტანა (რვალია).
 საფლავზედ შემაკდინეს, როგორც ნაკურთხი კარია.
 შექდა, შეშუპრდა ლუხუმი: „წელთამც შემარტყა ქმალია!“
- 15 ქალმა შეხედა, ატირდა, — „ლუხუმს ნუ მოჰკლამთ, ბრალია!“
 — „ქალო, შენც თუში, მეც თუში, ჩემ სიკვდილი არა ყამია.
 კიდენ დარჩება თუშეთში, მალღ შემოირტყას ქმალია,
 შორად წაიღოს საგძალი, მტრისა არ ჭამოს ჯაერია.“

(Ro თ).

მომყავს Rონის ხელნაწერის მიხედვით, რომელიც სტამბაში მიუციათ დასაბეჭდად (მოამბე, 1897, №3), აქა-იქ შეუსწორებით და ერთი მუხლი (მე-12) სულ გამოუტოვე-ბიათ, ალბათ იმიტომ, რომ ბოლოს რაღაც აკლდა, რომელიც მე შევეცხე ბ ვარიანტის

მიხედვით. — 4 შეუღლეს] შეუღლეს R0; 18 შორად წაიღოს საგძალი] შორად საგძლის წაღება, ე.ი. შორს წასვლა სალაშქროდ და სამკობროდ დიდი სახელი ყოფილა, როგორც ეს ჩანს №319-იდან.

სამი ლექსი ამავე ლუის ლუხუშის შესახებ მოჰყავს Bus (№№ 64, 65, 66), რომელთაგანაც ერთი (№66) უდგება აქ მოთავსებულთ, ორი კი არა.

144. თარეშიდან მოსული შეილები (R 112)

„ეს ლექსი ფშაურად სრული ვარიანტი მაქვს. თილისძის უფროსობით თუშებმა გაილაშქრეს ფშავის ხევში, მაგრამ ისე დამარცხდნენ, რომ თითქმის აღარავინ დაბრუნებულა თუშეთში ცოცხალი. — 1 დიოდა] „მოდიოდა, ისმოდა“ R; 7 ყმა მზირთად გადმოხვეწილი] „მე მგონია, აქედან სრულებით სხვა ლექსია მობმული, ამიტომ რომ ამ ქვემოთ ლექსის ვარიანტი ბევრია ქართლშიაც და კახეთშიაც, მაგრამ რაკი რითმა ერთნაირი აქვს, ამიტომ მიქმელს ეს ორი სხვა-და-სხვა ლექსი ერთი ჰგონებია. ეს ტაეპი მომაგონებს „ვეფხვის ტყაოსნიდან“ ფრიდონის დაჭრის ამბავს“ R. მართლაც, ამ ნაწილის ვარიანტები ამ წიგნშიაც არის მოთავსებული (№260, თავისი ვარიანტებით). — 8 გულს ეშტო] გულს ებჭო R.

145. აპარეკა (R 97)

146. ხოგაის მინდი (R 87)

„ეს მინდი შესანიშნავი გმირია ხვესურებისა. ეს ლექსი მრავალ ვარიანტებად არის გავრცელებული თუ ფშავეში, თუ ქვესურეთში. ეს ერთი ვარიანტია ამ მშვენიერი პოემისა“ R — 7 თერეთერლო, ხოლო 8 თერეთერგო.

ბ.

- ქვესურნ მიდიან ქისტეთსა, გადაარნეს მთანიო.
რორცა მივიდეს ქისტეთსა, გადაერიენეს გზანიო.
დაუხვდეს ქისტის შეილები, გაუღეს ციხის კარიო.
მითხოში კაცი გაგზავნეს: „თქვენაც გვიჭირეთ მკარიო.“
- 5 მოვიდეს აქვარებულნი სულხან, ბათაკა, — მძანიო,
მოლაღეს ქისტის შეილები. გარ შემოარტყეს ჯარიო.
„ხოგაის მინდი გვიჩვენეთ, ბერი გვიმართებს ვალიო.“
ყველა იძახის იმასა ქისტის ქალი და რძალიო.
„მინდი რა სანახავია? წულთ აღარ არტყავ კმალიო.“
- 10 ბეწინამ ნანაისძემა ფეკზე ჩაიცვნა ჯღანნიო.
საკმისას გამაუარდა, ვერც კი ვინ მაკრა თვალიო.

- შვიდი-რვა მოკლა ომითა, გავარდა ნიავ-ქარიო.
 ხოგაის მინდომ უძახა: „აბა, მიჭირეთ თვალიო!
 ძაღნო, მიღგებართ კარზედა, გინდოდათ ჩემი თავიო.“
- 15 საკმისას გამაუვარდა, გამაიყოლა კმალიო,
 თორმეტი მოკლა ომითა, გავარდა ნიავ-ქარიო.
 ვერავინ დასწვდა საკმლელა, ვერც კი ვინ მაჰკრა თვალიო.
 ამბობდეს ქისტის შვილები: „ხომ არ შეესხნეს მკარნიო?“
 როცა კვესურეთს მივიდნენ, შაყარეს ქალი-ღ'რძალიო.
- 20 „უნდა გიაგბოთ, ქალ-რძალო, ჩვენი ცოდვა და ბრალიო:
 მირზოში ქალმ მაგვატყუა, შინ არა ჰყევანდა ქმარიო.
 ჯერ ხომ შინ შაგვიპატიუნა, მემრე შაყარა ჯარიო.
 მირზოში ციხე გავტებეთ, ვერც კი ვინ მაჰკრა თვალიო.“

(Sh ფ).

მიამბო ივანე მისრიაშვილმა (მაშინ 18 წლისამ) ს. მისრიათ-კარში
 5. 7. 1911. – სულხან ანდაკ (ვარ).

ეს ვარიანტი ისე ძალიან მისდევს Xის ჩანაწერს (ივერია, 1887, № 172=ტ.წ. 90),
 რომ შეიძლება ეჭვი დაიბადოს: ჩემს მოამბეს (ან მის მასწავლებელს) წიგნის საშუ-
 ალებით ხომ არ აქვს იგი შეთვისებულიო. მოვიყვანოთ წერილ-წერილი განსხვავებანი:

ბ.

1 კვესურნ მიდიან ქისტეთსა] კვესურებ ქისტეთს წავიდეს X; 2 რორცა] როსცა X
 (ეს ალბათ უფრო რედაქციის გადანასწორები იქნება); 3 ქისტის შვილები] ქისტის
 ქალები X; 4 კაცი გაგზავნეს] კაცებ დაგზავნეს X; 5 აჩქარებულნი] აჩქარებითა X;
 ანდაკ] სულხან X; 8 ყველა იძახის იმასა ქისტის ქალი და რძალიო] ამას იძახდა
 ყველაი ქისტის კაცი და ქალიო X; 11 ვერც კი ვინ მაჰკრა თვალიო] შუა გახივა
 ჯარიო X; 17 ვერც კი ვინ მაჰკრა თვალიო] ვერც მაუკელიეს კვალიო X; 19 როცა
 კვესურეთს მივიდნენ] კვესურეთს როცა მოვიდეს X; 20 უთხრეს: თქვენ უნდა გიაგბოთ
 ეს ჩვენი ცოდვა-ბრალიო X; 21 მირზოში] მიზოში X; 22 ჯერ ხომ შინ] წინ-წინ შინ
 X; შემდეგ იკითხება:

23 გაგვიშენა უიარალო, წელზედ შამოგვექსნა კმალიო,

24 ქისტეთში ციხე გავტებეთ, ველარც კი მოგვეკრეს თვალიო.

ღ.

არხოტით მზირი წავიდა, გაწყრომით გაჰყვა ჯვარია,
 ჩაცვივდეს ჯარეგაშია მონადირენი რვანია.
 გამეეგება ერთ ქალი: „მოსულან ჩემნი ძმანია,“
 გაუძღვა, ციხეს შაყარნა, გამაუჯარა კარია.

- 5 ტერელოს კაცი გაგზავნეს: „ეხლა გვიჭირეთ მქარია, –
 აქ გვყან: ხოგაის მინდი, თქვენი მქოცელნი მგელნია.“
 საგათუნებოდ მოცვიდენ სულხან, ბათაკა, ძმანია.
 „გვაჩვენეთ ხოგაის მინდი, ძველი გვიკიდავ ვალია.“
 – „რად გინდათ ხოგაის მინდი? წელთ არ არტყავის კმალია,
- 10 მინდის მიეცით აბჯარი, დაუღუინეთ თავია.
 მინდის რო თავის კმალ მისცეს, თორმეტოცს მასჭრა თავია.
 ბატარამ ნანაისძემა ვიწროდ გაბანდა ჯღანია.
 ციხიდან გამაუვარდა, შუა ჩახნია ჯარია.
 გაფრინდა მერცხალივითა, გაეკილება თვალთა.
- 15 არხოტში გადაიარე, მინდის რაც აღდა დარია.
 უნდა ატირდენ ცრემლადა არხოტის ქალიღ' რძალია.

(T ფ).

11 თორმეტ-ოცს] თორმეტ-ოცს(?) T. [ვარ. ე ნ. დამატებაში. რედ].

147. მოლოდინში (R 92)

148. მშავლების ლაშქრობა შატილზე გარას მეთაურობით (R 82)

6 მანძილა ქორ-ბუდიანი] „გარა ხარ-ირემს არის შედარებული“ R; ჩემო ბატონო] „ლაშარის ჯეარო“ R; 9 ლაშარის გორზე...] „ვითომ ქისტეთიდან გადმორეკილი ხა-
 რები ლაშარის ჯერისთვის შამიწირაო“ R.

მომეპოება ამისი ფშაური ვარიანტებიც (Sh, T, Lb), მაგრამ ისინი მეორე ტომში წვა.

149. მშავლები ტერელოს (R 80)

150. გუროვლები სამაისტოდ (R 79)

11 არ მწაის თავისისაო] „ქება არ მწაღიან ჩემი ნათესავისაო“ R.

151. შატილის გატეხა (R 78)

1 შატილს რადა სდით, მშავლებო...] „წინათ ფშავლები ხვესურეთშიაც დაიარებოდ-
 ნენ თარეშით, აგრეთვე ხვესურები ფშავში, გულამაყარში, თუშეთში“ R.
 ამისი ფშაური ვარიანტი ნ. X 24 (=ივერია, 1887, № 144).

152. მშავლები ქვა-კიდს (R 77)

ეს ნაწყვეტია რაღაც ლექსისა.

153. გარა თურმანული (R 77)

154. ჩანთელი და აფთარაული (R 75)

მსგავსად იწყება ერთი ჩემ მიერ ჩაწერილი ფშაური ლექსი: „ვაყისძემ-ღ' ფილიპიო
მაიყარნიან კარები; აღარ დაუხვდა მეშველი, დაანაფოტეს ფარები.“

მმ, 3-4 ჩემი დართულია, აზრის გასამართავად, Rისავე მეორე ვარიანტიდან, სადაც
იკითხება:

ბ.

ქმლით ჩანთელს აფთარაულმა ზედ მიანაყა ტარია.
ზვავს ქვეშ ჩავარდა ჩანთელი, ჩამასდის ზოვის წყალია.
ზოვს ქვეშით ამეეღინა ჩანთელის თოფის კმანია.
„თუ მაგხვდა, აფთარაულო, ღმერთმა გაცხონოს მკვდარია!
თუ დაგვდა, აფთარაულო, ღიდხანს ცოცხალიმც ხარია!“

(R 155).

155. ლექების დაცემა კისტანზე (U)

დაიბეჭდა ივერიაში (1887, № 264). სისთვის იგი უამბნია ა ლ უ დ ა ზ ე ვ ი ა დ ა -
უ რ ს. — 7 ეტლ მოხყვა გიორგისაო] ასე უნდა გავიგოთ: მოხყვა ეტლი გიორგისა, —
ხანმატში სალოცავია გიორგის სახელზე; 10 წინა-ქადუელებმ] წინა-ქადუელებს U (და
შეიძლება ეს უფრო სწორიც იყოს; მაშინ წინ ორი წერტილის დასმა, რომელიც
სიდან მოდის, გამართლებული იქნება); 11 გუნდი ლიქოკით გამასტყვერა ქორისა,
შავარდნისაო] შდრ. №162, 12; 19 შინ U] შეცთომა მგონია, აჯობებდა „შიგ“; 23
მგელიათ] მგელიანთ U.

აქ რომ მე-20 მუხლში მზის შუქის ჩადგომაზეა ლაპარაკი, ამისი პარალელი
ნახეთ № 59ია, 20. [ნ. კიდევ დამატებაში. რედ.]

ბ.

კისტან მოვიდა ლაშქარი ქისტისი აქვაისაო,
აბულეთაურთ ციხესა კარი არ შახსენათ ხისაო!
მწუნხარეი ას ხოლიგა, ურჩოდ ნაჭრეეებ სჭირსაო.
გაიგეს ქვესურთ შვილებმა, დათვის ჯვარ გადადისაო.
5 აუგით სიხოს ვაზდილსა ეკალდამაი რელისაო,
უთურგი შამაწვინეთ, ანგელოზია ხთისაო,
ოქროს ჩაუდგით საკვამი, შუქ რო ჩაადგეს მზისაო.
გვერდს ლეკი შამოუწვინეთ მკოცელი ოროლისაო.
ლეკო, ოროლის მკოცელო, დედა გაგიწყრა ხთისაო!

- 10 მგელიათ ბუნომ მოვაბა წვერ თეთრი სიათისაო,
ურჯუკამ ქავთარიშვილმა შაშარ ჩამოკერა კმლისაო,
დოლაბთა გაიდაური მანძილა დასცეს ტყისაო.
მაგას არ დაშა პატრონი, მძებნელ რო იყვას მკვდრისაო.

(Sh, მიიღია ქისტურისაგან გაგონილი
11. 8. 1913 თვალღეში) [ნ. კიდევ დამატება. რედ.]

156-9. ქისტებმა გზა შეუკრეს თუშეთს მიმავალ კარატის ჯვარიონთ (BC)

მომეპოვება ამისი პირიც, ე. ბალიაურის გადანაწერი.

ერთი სათაურის ქვეშ გაერთიანებული ოთხი ლექსი ყველა ერთ ამბავს შეეხება:
„მშვილდ-ისრობა ყოფილას, რო კარატის ჯვარიონთ თუშეთ უდენავის. ერთხან გზა
შაუკრავის ქისტის ჯარს, სამოცი კაცი ყოფილა ქისტი, თორმეტი ლიქოკელი. უსრო-
ლაე ისარი ერთმანეთისა(დ). სამი ლიქოკელი მამკვდარა, სამოცისა სამ ქისტი წასულა(ს)“
(BC). BC-ის მიერ ესენი ყველა ერთადაა დაწერილი, მე კი გავყავ და სხვა-და-სხვა
ნომრები მივეც, რადგანაც სხვა-და-სხვა რითმები მოუდის.

157 ბ.

ქორკის თავ მარიემული პირს დაბრუნებს მგლისასა.
ბორბალ აგებენ ციხესა ბროლ-მარილას ქვისასა,
ლიბუჩი უსხმენ ვადათა ხახით ხახონის კმლისასა,
ფარსა შამბენ კარადა ბებრისა ჯაკნაისასა,
5 ხეედ დაუსხმენ გალოთა თავ-თავის ქისტებისასა,
ელეშად ფერცხალთ აყრიან სამოცის ფხოწეხლისასა.

—

ბორბალ შაიბნეს ვაც-ვერძნი, რქათას ისარი გასდისა.
ვაც-ვერძნი არა ყოფილან, მაგას კოპალა ჩადისა.

(R 72).

ნაროენისავე ომს (№159) უნდა შეეხებოდეს შემდეგი ნაწყვეტიც:

018.

შუღლი ქნეს ხახიკაურთა, ჭერა მადლია თვალისა.
შვილთა სცეს ძალლიკაურსა, ნაფოტ ამოდის ფარისა.

(Rფ 205).

აქ გადარეული უნდა იყოს: მოსალოდნელია „ძალიკაური“ კი არა, არამედ „ძალიკა“ (მაგ. ასე: „შვიდთა სცეს ერთსა ძალიკას“ ან სხვა რამ ამნაირი). — უკანასკნელი სიტყვების შესახებ R შენიშნავს: „ფარები დასჭრეს, ნაფოტებად აქციეს.“

160. ქისტის ისთაბარი (R 43)

მეორე სტრიქონში აქ მითითებულია სწორედ ოთხ წინა ნომერში მოთხრობილ ამბებზე. ამით აიხსნება მისი აქ მოთავსება. — R შენიშნავს: „ამ ლექსის გავრძელება ვეღარ ვიპოვე. ძალიან დიდი ლექსია და წელიწადში ერთხელ იმღერება, ისიც ახალწელიწად ღღესაო.“

161. თადიაურნი (Bd)

მომეპოვება Bის გადანაწერიც, რომელიც გამოყენებულია აგრეთვე. — 1 თადიაურნი B] თადიაურნი Bd; 3 ბაკან] შეტომამა, „ბაკალან“ უნდა: Bds „ბახალან“ უწერია, Bს კი „ბაკალან“; წამვლენ B] ეშაღებთან Bd; იმედ აქ B] აქ იმედ Bd; კარზუდა ქაქმატ] ქაქმატა კარზე B; 8 ალაგზეღ] ადგილზე B; 10 გაიღნა ქმანიო] გაიღა ჩქამიო B.

162. ლექის ლაშქარი კეცსურეთში (Ba)

მომეპოვება Bის გადანაწერი პირიც. — ავტორად დასახელებულია კეცსურიშვილი, რომელიც შეიძლება თიკუნიც იყოს, მაგრამ მგონია, რომ იგი უბრალოდ კეცსურს უნდა აღნიშნავდეს. ალბათ მას მოსდევდა სხვა სტრიქონები, რომლებიც უფრო ზედმიწევნით განსაზღვრავდა ავტორის ვინაობას. „სიმღერეს“ უსათუოდ აკლია. დაცემა მომხდარა საძელოს მხრიდან, ასე რომ ეს „ლექები“ (მ. 17) შეიძლება ლილვლებიც ან სხვები ყოფილიყვნენ. ამ ლექსის მე-12 მუხლი არსებითად იგივეა, რაც №155,11.

163. ნანა თორღვაის ქალი (U)

დაბეჭდა ივერიაში, 1888, №32. უსისთვის უამბნია ბათაკა არაბულს.

ეს ლექსი ძალიან გავრცელებულია მთაში ყველგან და მრავალ ვარიანტადაა წარმოდგენილი. ზოგი დაბეჭდილია, ზოგიც დაუბეჭდავი. აქ მოვიყვანე მხოლოდ ხეცსურულ ვარიანტებს:

ბ.

ტუტილს წისქვილში ატირდა ნანა თორღვაის ქალიო:
„შენ მამას-ჩემო თორღვაო, ნუმც შავიბამის ქმალიო,

- ნუმც გიკოცავის ლეკები, ნუმც გიზიდავის კელიო!
 შამიკრეს გამასავალი ლეკებმ წისქვილის კარიო,
 5 დამიკონინან ძმა-შინში, მიბრუნვენ სისხლის ტბანიო.
 კელნ დასჭრეს, უბეს ჩამიწყნეს, იმით დაეიჭრენ თმანიო.
 ჩავტეხე საყურ-ბეჭედი, იმით ჩავნიშენ გზანიო.
 ლეკის მთას გარმამავლიეს, უკულმ მაბრუნებს ქარიო.
 არცა-რა ეგეთ ქარია, ქალის ას ცოდო-ბრალიო.
 10 უთხრიდი ჩილოვლებსა: ხახონს უჭირეთ მქარიო;
 იმედამ ხახონის შვილმა თოფს გაუპირას ტალიო;
 ჩემმა საქმარემ ზიწვამა მალლა შაირტყას კმალიო.
 თუ სოფლად ვერ ჩამასწონენ, მთას უჭრან კარავანიო.
 თუ იქაც ვერ მაიწონენ, იმის თავ უდგა ცხვარიო.
 15 საქსარს კი ნუ ღონდებიან, – სათუშო აღარ ვარიო.
 რეჯულიან(თ) კელ-უკადრები საურჯულოოს ვარიო.

(B).

ბ (019).

- დილა ადრიან ნანამა ჩაიცვა ლერწმის ტანზედა.
 ახლუას სქონდა წისქვილი, თან მილილინებს გზაზედა.
 თავ მასწონს თუშის გოგოსა, გათქმულს თუშეთის წყალზედა.
 ის ქვე რას მალგონდებოდა: მისხენ ლეკები გზაზედა?!
- 5 ტუტილ ატირდა წისქვილა ნანა თორღეის ქალია.
 მთვარემა ხუთმეტისამა ცრემლი დაღვარა მწარია.
 თქვა: „გკრულავ თავში, მამაო: ნუმც შაგირტყამის კმალია!
 ნუმც გიკოცავის ლეკები, ნუმც გიზიდავის კელია!
 ნუმც გიკაზმება, მამაო, ლეკეთისაკე ცხენია!
- 10 წისქვილის კარში გამავე, ქალას დამეცნეს ცანია.
 მეგონა თუშის შვილები, ლეკებმ მააწყვეს ჯგარიო.
 მათ ჩამიკონენს ძმა-შინში, სისხლის მიბრუნვენ ტბანია.
 კელნ დასჭრნეს, უბეს ჩამისხნეს, იმით დაეიჭრენ თმანიო.
 ფეკ-შიშველს გადამატარნეს თვირთეილიანი მონია.
 15 ქართლის მთას გადამავალსა უკულმ მაბრუნებს ქარია.
 ჩვენაყე საყურ-ბეჭედი, მამულთ ულიშენ გზანია,
 ზალტენ ჩავყარენ გზის ძირა, აგებ დაძიონ კვალთა,
 უთხარით ჩილოველებსა: ხახონს უჭირან მქარია.
 ჩემმა საქმარემ ზიწვამა მალლა შაირტყას კმალია.
 20 არცა ვეგონა სხვაკანა, – გოგო საბოსლოს ვარია.“

- ლეკეთში ტირის, ნანამა ცრემლი დაღვარა მწარეო:
„ვიაზე, ჩემო თუშეთო, თუშეთის არე-მარეო!
თუშეთ გათქმულმა გოგომა თუშეთი დავიარეო.
სადა ხართ, თუშიშვილებოთ, ან ზიწვაე, ჩემ საქმარეო?“
- 25 თუშეთ ღიჩინო ზიწვაო, ფარ-ქმალი-ღ აიტანეო,
მკარი უჭირე ხახონსა, შენს ნანას დამეკმარეო.“

-
- ცხენს ხკაზმებს თუში ზიწვაი, ვაჟი ქორივით კივისა.
წელზე ნარტყამი ფრანგული ქარქაშით იწვეს, წივისა.
ფექს უცემს ზიწვას მერანი, როგორ კმა-მაღლა ჭყივისა!
- 30 ლეკეთში თორღვაის ქალი ლეკთან ტყვეობას ჩივისა:
„არ მამივიდეს თუშები“, მალ-მალ მათთ შამახყუისა.

-
- ბუა-შაკრულებ ზვადები ცეკვაობს ქართლის მოაზედა.
ჯერ ოკშობის ხან არ ქნილა, ჩავლენ ლეკეთის წყალზედა.
მოვიდა შულამის დროი, სოფლებს უვლიან განზედა.
- 35 „ნეტარ, სადა ხარ, ნანაო, ზიხარ ვისა-რა სკამზედა?
სახლიმც ასწავლა ლომ-ვეფხთა, მალ მოვიდოდეს კარზედა!“
დადიან გაბოროტილნი, აბჯარ უელავს ტანზედა.
სრუ გადაშინჯეს სახლ-კარი, შაკლეს ყველაის ბანზედა.

-
- ლეკებმ თქვეს: „მარტოს გაწირვა ნანასი არ იქნებისა.“
- 40 თორმეტი ლეკი ნანასა საყარაულოდ დგებისა.
ავიდი, თუშიშვილებოთ! ტანზე აბჯარი ხკლებისა.
მიუსხდეს ციხის კარზედა, თოფები გაიყრებისა.
მემრ ჩაეტანნეს კმლებითა, სისხლის გუბ-გუბი დგებისა.
თორმეტის ლეკის თავები ქაზდარზე დაგორდებისა.
- 45 თაოდაც თუში ზიწვაი ლეკთაგან დაიჭრებისა.

(G).

ეს არის ძველი ლექსი თქმულების თანახმად გავრცობილი ბესარიონის მიერ. როგორც იგი აღნიშნავს, მმ. 5-20 ძველია, დანარჩენი კი მისი დამატებულია. ნანას ლეკეთში ტყვეობის ამბავი ბესარიონისთვის უთქვამს სოფ. გირავში მცხოვრებელ თუშს რევაზ ქელეხიძეს ქ. ადესაში 1910 წ. (საღლდათობაში). ეს ამბავი ბესარიონს ჩაუწერია 1928 წ. და ზემორე მოყვანილი ლექსები, გაგონილი, თუ მის მიერ შედგენილი, შიგ გაურეკია. ამ მოთხრობის თანახმად, თითქოს თორღვას ქალი ნანა ტყვეობიდან გამოეტაცნოს ნანას ბიძაშვილს ხახონს და საქმარეს ზიწვას, რომელიც ამ დროს თითქოს დაჭრილა კიდევ.

ნანას ტყეობიდან გამოტაცების აბაგი ზოგ ვარიანტში მართლაც არის (მაგ. Bu № 7; Rფ 210; დ. მ ო ლ ო დ ი ნ ა შ ვ ი ლ ი: ივერია, 1898, № 280). [6. კიდევ დამატებაში. რედ.]

ხევისურულ ვარიანტებში ნანა ატირებულა „ტუტილ წისქვილში“, მაშინ როდესაც სხვა ვარიანტებში სხვაგვარად იკითხება: „თუთილთ წისქვილზე“ (A, აკაის თვიური კრებული, 1900, № 3-4), „თუთა ატირდა წისქვილსა განა თორღანის ქალია“ (ან ნ ა კ ა პ ა ნ ა ძ ი ს მიერ ქართლში, სოფ. ვარჯანში, ჩაწერილი: ხელნაწერი №2449 საისტ. და საეთნ. საზოგ. ფონდიდან), „ტუტარიკს წისქვილს ასტირდა“ (Bu, №8), „ტუტარიკ წისქვილს ატირდა ნანო... (Ge), „თუშეთს წისქვილში ატირდა“ (Ro, მოამბე, 1897, № 3), „ჩილოს წისქვილში ატირდა“ (Bu № 7; Rფ 210), „ჭიბლოს ატირდა წისქვილში“ (D), „კისტანს ატირდა ქალი“ (Tფ¹), „ფარსნა სოფელში ატირდა“ (Mr, ერთ ვარიანტში; მეორეში ადგილი არაა დასახელებული); „ანდარეზაზე მოტირის“ (Tფ²), „წისქვილის კარზე ატირდა“ (Tფ³), „დაღმართ წისქვილში ავტირდი დედუნ თინაძის ქალია“ (დ. მ ო ლ ო დ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს მიერ ს. ბაზალეთში ჩაწერილი: ივერია, 1898, № 280). „უთურის წისქვილს ქალი ატირდა: თორღეაის ნათელ ვარიო“ (AL, კვალი 1897, № 15).

მარტო დასაწყისი რომ ამდენ განსხვავებულობას გვიჩვენებს, თვით შინაარსი აბა რამდენად იქნება! [6. კიდევ დამატება. რედ.]

164. ბერდიშვილები (B)

„ნათქვამია კუკუა ცისკარაულისა.“ 16 არც-რა ეშინის] არც-რას ეშინის B; 31 კავშირი=კავშირით; 41 მიენატრი] მოსალოდნელი იყო: მიენატრი.

165.

ჩაწერილია Bds მიერ. ბოლოს მიწერილია: „საკნავზედ ვიყავ, კარი კინად გამოგ-ორდა. ს უ მ ბ ა ტ ა ა რ ა ბ უ ლ ი.“ როგორც ბ ვარიანტზეა მიწერილი, ეს ლექსი გრანჯა წიკლაურისა უნდა იყოს.

ბ.

რას ხფიქრობთ, ბერდიშვილებო? ველად გავიდა თხანია.

გადაკრიფნეს ღრუბელნი, დადგა სიწმიდის ღარია.

ამზადეთ ტყვია-წამალი, მაგრა გაბანდეთ უღანია.

გადავიარათ ბისნაი, ჩორეხს დავევლათ თვალია.

5 სრუყველა კარგად გავიგათ, ქისტებს სად უდგა ცხვარია.

ეხლადაც თუ ვერას ვიქამთ, გაგვიცინებენ სხვანია.

ბისნის წვერ ქვიშის ლოგინი მესამ-მეოთხედ ვთხარეა.

სამ დღე ალაგზე დაველიეთ, წყლისა ვერ ვნახეთ ცვარია.

- 10 გვეომელების წერილი მანგიათ ალვის ტანია, თვალს უცემს წელზე ნარტყამი აბონაის ჯარია, ჩორების ჩდილში ჩავედით, წუხრა ბნელობის ხანია. ნუმც გაუზლიორ დედასა, თუ შაგარჩინათ ვალია! კიჩულამ გვითხრა: „დახკართ, არ დაგვედების ბრალია.“
- 15 ჯერ არ ას გათნებული, აქუხლეს ბერდენკანია. თავის ფარების კარზედა ორ ქისტ გაეწირეთ მკედარია. აიქისაკე გავსწიეთ, საცა თოვლიან მთანია. გამაგვიდგების მღევარი, ველარ მაქელეს კვალა.

გრანჯა წიკლაურისა (B).

ბ.

- გადაკრიფნეს ღრუბელნი, დარჩა სიწმიდის დარია. რას ხფიქრობთ ბერდისშვილებო? – გვაქე შური საძებარია. გადაწყით ტყვია-წამალი, ბისნას დავეულათ თვალა. ბისნის წვერ ქვიშის ლოგინო, მეორ-მესამედ გთხარია.
- 5 ეხლადაც რო ვერა(ი) ვქნათ, გაგვიცინებენ სხვანია. გვეომელება წერილია, უშიშათ ალვის ტანია. თვალს უცემს წელთად ნახვევი აბონაის ჯარია. შულამის ღრო რო მაეიდა, თოფს ება წვერშიგ ალია. გამაგვიდგება მღევარი, რახან მოკელან კვალა.
- 10 ჩვენ აიქისკე წავედით, საცა თოვლიან მთანია. წავიდათ სულშივ, ვიჩივლათ: ბისნას დაგვიცნეს ცანია. შაწუხლენ მაგათ დედები, ტირიან როგორც ცანია, წვიმას დაშლიდა კ(ა)ერი, მერე მაგათი თვალა.

(Bb).

1 ხფიქრობთ] ფიქრობთ Bb; მესამესა და მეოთხე სტრიქონს შუა იკითხება: „გვეომელება წერილია...“ რომელიც ქვემოთაც მეორდება; აქ ამოვიღე და ქვემოთ (სტრ. 6) დაეტოვე.

166. ქოლიკიშვილი (R 202)

ეს უნდა იყოს ვარიანტი № 31-ისა.

167. კეკესურების გალაშქრება მითხოს (R 168)

1, 2 ბერამ] ბერმა R; 9 შატილს სამ დასვეს ქადაგი] Rის აზრით, აქ „სამ“ ამას ნიშნავს: „სადმე, თურმე“; შვიძლება აგრეც იყოს, მაგრამ უფრო კი მგონია, რომ აქ

„სამ“ რიცხვის აღმნიშვნელია. მაშასადამე, ასე თუ გავივებთ, მაშინ გვექნება: შატილს სამი ქადაგი დასვეს. მართლაც, ერთგან მოიპოვება ასეთი რამაც: „სამი დასვიან ქადაგი, არ ულამინებს ჯვარით“ (48, 10); რაღა შორს წაიღეთ? აქვე, ბ და გ ვარიანტში ცხადად ჩანს, რომ ქადაგი სამი ყოფილა. 21 კარავანია] კაროვანია R (ასეთი ფორმაც არსებობს); 45 იქად] იქით R.

ამ ლექსს R-ის ხელნაწერში სათაურად აქვს: „წაგებული თარეში კვესურებისა“ და მართლაც წაუგიათ, ძალიან წაუგიათ. მიუხედავად ამისა, ლექსი გამოუთქვამთ და კარგი ლექსიც, რომელიც რამდენიმე ვარიანტადაა ცნობილი:

ბ.

- ბევრამ კვესურმ(ა) გაბანდა კარის გაევის ჯღანით.
ბევრმ კვესურის ქალმ გაკება სათარეშოდა ქმარიო.
შვიდს დღეს, შვიდს ღამეს ეშხანდეს, იყვა სიწმინდის დარითო.
ველ-კეთილ გარდმადიოდა, ეგრ რო მარილზე ცხვარიო.
5 სალაშქროს ჭალას ხვადებმ(ა) ჩანაყეს ნალ-უსმარიო.
ქულ-საკლელად ჩაგროვდ(ა) თეთრის სიათის ჯარიო.
სამ დასვეს ქადაგ(ი), არც ერთს მუვიდ ჯვარიო.
არ დაიჯერეს კვესურებმ: „აქით არ ბრუნავს ჯარიო.“
ჯარევა გამამტერიეს, ქავი და ქავის კარიო.
10 გაითარეშეს მითხოს(ა), ცხენთ შარან დასხნეს, გზანიო.
ქისტებმ(ა) ქმა(ი) გააგდეს: „კელში გვეყვ კვესურთ ყმანიო.“
საიმედოდ აქეთ ჭანთეთი: აქ მოგვაშველეთ ჯარიო.
ჭანთეთით ცხენნი მავიდეს, ახერიტეს მითხოს წყალიო.
„ჯერ ჩვენ გაჭმევთ სადილსა, მემრ კიდე მოვლენ სხვანიო.“
15 ოშია არლოს ჭალას(ა), ტყვია წვიმს, ზეთი დარია.
ცხენს წაატოლა ბევრამა ყაწიმიანი ტანიო.
ღვედრება ამადიოდა: „სოსანთ გელია ვარიო,
სახელ ნუ დაიმაღების, მარცხენით მოვკალ სამიო.“
ბევრმ დასთმა გაუხლათავად ახალ სანეფო თვიო.
20 ქისტმ ბაჩაყ წამაგვიყარნ(ა), კვესურნ გვარბოლა რვანიო.

—

ამაგ სიმღერის მოთქვამმა დაეხიე არლოს წყალიო,
ამაგ კვესურეთ მავილი, არლოსავ დარჩა ჯარიო.
სირცხვილით რაით ვიამბა? ცოლ მევანდა ახლ-ზალიო.

(Sh).

მიამბო ჩ ა ლ ხ ი ა ა ლ უ და უ რ მ ა 26. 7. 1913 ს. ქაქმატში. იმავე ჩ ა ლ ხ ი ა ს ვარიანტებია: 3 იყვა სიწმინდის დარითო] ელვენ სიწმინდის ცანიო; 5 ხვადებმ(ა)]

ცხენებმ(ა); 8 არ დაიჯერეს] არ დაიშალეს; 9 ჯარევა გამამტვრიეს] შეიძლება ასეც გავიგოთ: ჯარევა(ს) გამამტვრიეს ქაეი და ქაეის კარიო; 11 ქისტებმ(ა) კმა(ი)] ჭნთუთ კაც(ი); 13 ჭნთუთით] დილაზე; 15 ომია] ომ იქნა; 19 ბევრმ დასთმა გაუხლათავად] იქ დასთმა ბევრმა კვესურმა; 22 სირცხვილით რაით ვიამბა] ამბაეი რაით ვიამბა, ან კიდევ: კვესურეთ ვით გამაეჩინდა?

ტ ე ქ ს ტ ი ს ა თ ვ ი ს : 1 კარის გავის ჯღანო] საუკეთესო ადგილია ჯღნისთვი-სო; 7 არც ერთს მაუვიდ ჯვარიო] ქადაგებმა ვერ უთხრეს, გაიმარჯვებდენ, თუ არა; 8 აქით არ ბრუნავს ჯვარიო] ე.ი. აქედან ვერ დავბრუნდებითო; 13 ახვრიტეს მითხოს წყა-ლიო] ე.ი. მრავლად ჩააგდეს ცხენები მდინარეში და წყალი დააგუბეს, დააშრესო; 14 ჯერ ჩვენ გაჭმევთ სადილსა] ე.ი. ჯერ ჩვენ გაყურებინებთ სეირსაო.

აქ რომ ზოგიერთ სიტყვას ბოლოში ხმოვნები უსხედს ფრჩხილებში, ჩემი დართულია.

ბ.

- კვესურებ ბედავს ლაშქარსა, ბრძანებს გუღანის ჯვარიო.
ემზადნეს შვიდ დღე-ღამესა, სიწმინდის ელკენ ცანიო,
ველ-კეთილ დაგროვდებოდის, წვიმის არ სწვდების ცვარიო;
სამი დასვიან ქადაგი, ერთს არ მოუვა ჯვარიო.
- 5 კვესურებმ არ დაიჯერეს, — „მითხოს მით დავსცნათ ცანიო.“
დათვის ჯვარ გადადიოდა, როგორც ნაგუბარ წყალი;
ქულ-საკელელასა ჩადიან, ჩააწყვეს თოფის ჯვარიო.
დაწყვეს, დადაგეს შუ მითხო, ცას გაადინეს ალიო,
ჯარევა შამამტვრიეს, ქაეი და ქაეის კარიო;
- 10 ციხესა აქაისასა თოფის ახვიეს კვამლიო;
სტუმარი აქაისაი კუბოს შაწვინეს მკედარიო.
კაცი წალადეს აკვაში: „აქ მოგვიჭირეთ მქარიო“;
ცხენს შასხდეს აკვათ შვილები, მაქრიან როგორც ქარიო.
არლოს ჩაგვეყარეს კვესურებ, ღმერთო, რა დიდი ბრალიო!
- 15 დავითო მარაიშვილო, რა ტურფა გიდგა ტანიო!
მაგწვიმდა ტყვია-ისარი, როგორც თბე-ბორბალს წყალიო;
იკითხე, გამოიკითხე, „მემეტე რომენ ხარიო?“
გულს დახკარ თეთრი ისარი, პირქვე დაფშვინიტა მკედარიო.
აქამც მოგვისხნა ლიქოკელნ, ქორ-შავარდენის ჯვარიო!
- 20 ანამცა ჩამოგვიჩინა თემროზაულნი ძმანიო!
აგებ მახკლედეს ბაჩაყსა, ფეკში გვდებიყო მკედარიო.

(U).

დაობეჭდა ივერიაში (1887, № 264). სს იგი ჩაუწერია ბ ა დ ი ა ბ ა ლ ი ა უ რ ი ს ა -
გ ა ნ : — 1 ბრძანებს გუღანის ჯვარიო] ეგვეე სიტყვები გვხვდება № 176-შიც; 11

შაწვინეს] მოსალოდნელია: შაწვინეს; 12 მოგვიჭირეთ] მოგვიჭირენ; 13 აკვათ] ახვად; მაქრიან] მაქრინ; 14 არლოს] არლოს.

დ.

- ქვესურებ ბედვენ ლაშქარსა, ბრძანებს გუდანის ჯვარია.
ემზადნეს შვიდ დღე-ღამესა, დაკლეს ძროხა და კარია.
ველ-კეთილ გადაიარეს, მთა დააშენეს, ბარია;
კისტნის ჭალაზე ჩააწვეეს ჩარმა-სიათის ჯარია;
- 5 დაწვეს, დადაგეს შუ მითხო, თავს დასცეს დიდი ზარია;
ამანდი შამბრუნელითა ქენა გორს დასცნეს ცანია;
აქაიშვილის ციხესა დახვიეს თოფის აღია.
კაცი გააგდეს მითხოელთ: „აქ ვართ, გვიჭირეთ მქარია!“
ცხენთ შასხდეს აკვათ შვილები, მახქრიან როგორც ქარია.
- 10 არლოს ჩაგვეყარნეს ქვესურნი, ღმერთო, რა დიდი ბრალაია!
დავითო მარაისშვილო, რა ტურფა გედგა ტანია!
გამათხოვე ბელადი: „მემეტე რომენ ხარია?“
ქისტმთე გაჭარბა სიმქისტო, ვერ გჭრის აკვათს კმალია.
შიშიათამა შიშიამ სანეფო დასთმა თავია.

—

- 15 ამგ სიმღერის მათქვამმა დაეხიე არლოს წყალა,
წყლის პირზე შამამავალსა ტყვია მამწიეს ჩქარია.

(B).

ე.

- ამა სიმღერის მათქვაში მიაც შიგ ნამყოფ ვარია.
ნეტაინ არ წავსულიყავ! დიდი იყე ცოდო-ბრალაია.
არლოს წყალს ქვესურთ შვილები რიყედ გახქონდა მკედარია.
ვეგრე გამავე არლოს წყალს, რიყე მეგონა მშრალაია.
- 5 სამას იქ დარჩა ქვესური, შინ წამავედით ცხრა(ნია).
ჩვენც ბაჩაყმ წამაგვიყარან, მარტომ გვარბოლნა ცხრანია.
არც (გე)ქონდა ტყვია-წამალი, არც(ა) მუქლებში ჯანია.

(H).

ეს მხოლოდ მათქვამობაა, მაგაზე მეტი Hს არ მოეპოვება. [6. კიდევ დამატება.
რედ.]

ვ.

თვ-თავად მოკლა ლაშქრობა, თვ-თავად დასხდა ჯარია.
შასძახეს თვ-თავადა: „ფუნჩიას ახყვა ჯვარია.“

- „არ გაქვის გამარჯვებაი, დაბრუნდი(თ) ჩემნი ყმანია, სამის წლის ვადით შამექსნა ფხა-სისხლიანი კმალთა.“
- 5 – „შიშით ქდავობს! ფუნწიაჲ, არ გაქადაგებს ჯვარია.“
- „აბა თუ შიშით ვქადაგობ, გექნებით წინამძღვარია. თქვენ თუ მშვიდობით იღინათ, მე კი მომჭირილთ თავია.“
- „ამაშინ მავსჭრით კალთასა, ღარბაზს რო დასხდას ჯვარია.“

- 10 კეესურთა საშულამოდა შუ-შითხოს დასცნეს ცანია, ჩაწეეს, ჩაღაგეს მითხოი, ცას გააღინეს ალია, ატირეს დიაც-ყმაწვილი, კალოდ გალეწეს მკედარია. ამაიბრუნეს კარ-ცხენი, ტყვიას მიუღის ჯვარია. დავითავ მარაიშვილო, მშვენიერ გიღვას ტანია:
- 15 ვერე აღბრუნდი ტუტილში, როგორც კალოზედ კარია, ვერე გქედბოდეს აბჯარნი, როგორც მანძილას რქანია. გამაიკითხე აკვაი: „მემეტე რომენ ხარია?“ წამაგაგების აკვამა ქემხათ ნაკერი ტყავია, ერთ კელით ტყავი მააქვის, მეორე კელით ფარია. ფარს დახკარ, კაცსა გაღვარდა, მიწაზე ცხროვობს ტანია.
- 20 შენსა ნასრევსა, დავითავ, ეზიდებიან ცხრანია.

ამაგის მალექსებელი მეც შიგ ნატანებ ვარია.
აიქით გამომაქციეს, არლოს დავხიე წყალთა.

(Th 199).

ეს ვარიანტი ძალიან საინტერესოა თავისი შესავლით, სადაც გადმოცემულია სალაშქროდ გამზადებული ხალხის შეკითხვა ჯარისადმი. „ფუნწიას ახყვა ჯვარია“ (2), – აღბათ, საამისოდ დაწესებული რიტუალის თანახმად, ფუნწიას შეჰხვდა ქდავობა. ფუნწია ჯვარის სახელით ეუბნება ხალხს: დაბრუნდით, ნუ მისდინართ სალაშქროდ, რადგანაც სამის წლის ვადით შესხნილი მაქვს ფხა-სისხლიანი ხმალიო და ამიტომ ვერ გაიმარჯვებთო, მაგრამ ხვესურები შიშს აბრალებენ ფუნწიას. ფუნწია კი გაჯავრებული გაიძახის: აბა თუ შიში მალაპარაკებს, მე თვითონ გაგიძღვებიო და, თუ თქვენ გაიმარჯვოთ, თავი მომჭირითო. თავი არაო და, როცა გამარჯვებულნი დავბრუნდებით და ღარბაზს დავსხდებით, კალთას მოვჭრითო. [ვარ. ზ ნ. დამატებაში. რედ.]

168. ჩაგვირილა (Sh)

ნამბობია ბ ა ბ უ კ ი ა რ ა ბ უ ლ ი ს მიერ ს. ჯუთაში 3. 8. 1913. – თითქო ეს ლაშქრობა იგივეა, რაც 183 ნომერშია აწერილი; სხვათა შორის ორგანვე იხსენიებიან თათარისა თათარა და ვეფხვია. – 3 მარტია ბებრი მგლისასა] შდრ. № 182 ე, ნ:

მარტია ბერი მგლისაო; 6 ვეფხვი] მართალია, ეს სიტყვა ჩვეულებრივ ვაჟაყვის ეპითეტად იხმარება, მაგრამ აქ საკუთარი სახელი უნდა იყოს; 8 ცხრაას კლდეთ] აგრე მაქეს ჩაწერილი, მაგრამ ახლა ეჭვი შეპარება: „ცხრაას“ ხომ არ უნდა იყოს?

169. ევესურები საურუმოში (Sh)

ჩამაწერინა მინდია ქისტაურმა 11. 8. 1913 თვალეში. — 6 ენა არ მიჭრის ტიალი] ყველა ხართ ხალათიანი (ვარ); 8 არაჟინ დახვლით ჭკვიანი] ე.ი. ყველამ იოზო; 9 სიტყვა არ მოსდის ჭკვიანი] ე.ი. ვერ შვიდდება, ცხარობს; 10 ქმოსტელი ყარდანაული] სახელად ნანაისძეო.

თითქო ეს ლექსი იმავე ომს შეეხება, რომელიც 49 ნომერშია აწერილი: ლომნი გაგაისშვილი (ბაცალიგველი იყოვო) ორგანვე იხსენიება. ამას გარდა, აქ რომ ბულეჯან ლოხაურისძე ჩივის, „ძმაი ურუმებმ მაძიკლესო“, ეს უნდა იყოს ლოხაურიშვილი სუმბატა, რომელიც კაცთ უძღვებოდა კმლიანი (49, 24). საურუმო სად არის-მეთქი, რომ ეპითხე მინდია ქისტაურს, მან მიპასუხა: „აიქისკე ეძახან, ოვსეთისკე.“

ამ ლექსის რამდენიმე მუხლი ერთმა მოამბემ ნაროზ ბლოელის ლექსში გაურია (ნ. შმბ. № 177 თან). [ნ. კიდევ დამატება. რედ.]

ბ.

- ევესურთა საურუმოში დღე დაადამეს მზიანი.
ოროლთა ხახიკაურთა თავს თაოდ უყვეს ზიანი;
ლოხაურიძე დაბრუნდა ბულეჯან გულ-ჯავრიანი:
„ძმაი მაძიკლეს ურუმთა, დამაგდეს ოკერ-ტიალი!“
- 5 — „მაგას ნუ ჯავრობ, ბულეჯან, — მაგიკვდა სახელიანი;
ევესურთა სანამეტნაოდ კმალ მაიქნია ფხიანი;
წინ-წინ შავიდა ომშია, გამოვა ნაჭკრევიანი.“
ჯანშათა ივანეური კილდის ვეფხვია მწკელიანი;
თათარა ატაბიონი რკინაა საპირიანი;
- 10 ქმოსტელი ყარდანაული ბასრი კმალთა ფხიანი;
საჩქაროდ გადაიხურა ჩაჩქანი ზარადიანი;
ურუმთა ჩამოსტყვიოდა: „მაჟარ მაქე იმელიანი.“
ვერ გაქებ წინ-კალოელსა: ფრანგულმ გაილა პრიალი,
სანგალზედ გადაგვივიდა, თოფის ტყვია ხერეს ტიალი!
- 15 ლომნისა გაგაიშვილსა სიტყვა არ მასდის გზიანი.
ახნაურები ამბობდა: „გლეს ლომნ უნდ იყვას ყმიანი!“
თავ-თაოდ ვერავის გაქებთ, — ყველა ხართ ხალათიანი,
წინ-წინ მასულთა ურუმთა ერთი ვერ დახვლით ჭკვიანი.

(U, ივერია, 1888, № 79).

სისთვის უამბნია გ ი ო რ გ ი ა რ ა ბ უ ლ ს. – 15 სიტყვა არ მასდის გზიანი
„ომით გახელებულია“ U.

ბ.

- კეესურებმ საურუმოში დღე დააღამეს მზიანი.
ოროლთა ხახიკაურთა თავს თავად უყვეს ზიანი.
ლოხაურიძე დაბრუნდა გულეჯან გულ-ჯანგინი:
„ძმაი მომიკლეს ურუმთა, შინ მოვედ სირცხვილიანი.“
- 5 – „აბა რად სჯავრობ, გულეჯან? – მოგიკვდა სახელიანი.
კეესურთა სანამეტნაო(დ) კმალ მაიქნია ფხიანი.“
ჯანშათა ივანეური ვეფხვია კლდისა პწყლიანი:
ომში უშიშრად შავალის, გამოვა ნაჭრევიანი.
ლომნისა გაგაისძესა სიტყვა არ მასდის გზიანი.
- 10 თავადებ ერთურთს ეტყოდეს: ლომნ უნდა იყოს ყმინი.
ვერ ვაქებ წინ-კადოელსა: ფრანგულ(მ) გაიღო პრიალი,
თავ-თავად ქებას ვერ გეტყვით, ხართ ყველა სახელიანი.
ურუმთა წინ-წინ მოსულთა ვერვინ ვერ დახვდა ჭკვიანი.

(T).

სისთვის უამბნია ბ ე რ დ ი ა ა რ ა ბ უ ლ ს. – 3 ლოხაურიძე] ლოსაურიძე T,
მაგრამ ეს გადაწერის დროს დაშვებული შეცოთა იქნება; 7 ჯანშათა ივანეური] ასე
იკითხება ბ ვარიანტშიც, მაგრამ თითქო იგივე ივანეური უნდა იყოს 49 ნომერშიც,
მაგრამ იქ (მ. 26) ჯამბათა ივანეურად იწოდება. შეიძლება არეული იყოს ჯამშაი-
ძესთან, რომელიც იქვე იხსენიება (49, 26).

170. კეესურების გალაშქრება არშასა და სნოს (Sh)

ღამაწერინა გაგა ა რ ა ბ უ ლ მ ა 13. 7. 1911 ს. ბარისაკოს. – 3 ჩუჩაყურსა (ვარ.);
4 გროობდიანო] გროვდებიანო (ვარ.); 5 ხვადნ] ხვად Sh; 11 ჭაუნხნი ბანს ეტყვიანო]
ჭაუნხ ბანს ეტყვიანო (ვარ.); 15 ლალევიდინო] ლალევიდინო Sh; 17 ყვარანნი]
მეორე ხვესურმა მითხრა: ყორნები, მესამემ: ყვარნები.

ბ.

კეეით მოვიდეს ვეშაგნი, საჩქაროს იტყვიანა.
გულან ხკაზმევედეს დროშასა, სალაშქროდ აბემდიანა,
შაისხემდეს ჩუჩაყურსა, შალევისა შახკლებიანა.
ვაეუბი წყალს-იქითლები რომის თავს გროვდებიანა.

- 5 ელოდდეს კაქმატელებსა: ხვადნ ხვარსად მოჭყვიანა?
იმ ენკენიას დილასა საძელეს გადადიანა,
ჯუთას ჩადიან ჯვართანა, სიმღერეს ჩაეტყვიანა.
„წალმ დახყევ, ჯუთის გიორგი! საკარყმოს გითქემდიანა.
მოკევით შვილებს ხკვირობდეს: „ლადნ კევსურნ სად მიდიანა?“
- 10 – არშას მიდიან კევსურნი, სადილად სნოს გადაიანა.
ცხენ(6) არშით დაბრუნეილიყენეს, სადილად სნოს მაგლიანა.
თავ-კან აჩხოტის მინდორთა კარ-ცხენებს ღლაღვედიანა.
ომი მაუქდათ ძლიერი, კმალ სისხლში დაფერნიანა.
ზოგებ შავიდეს ოშშია, ზოგნ თვალით იჭერდიანა.
- 15 აიმათ თვალის მჭერლები, ნეტარ, შინ რას იტყვიანა?
ჯალაფთ კი მათყუებენ, იქ ნამყოფთ რას ეტყვიანა?
ბარაქალ, კევსურთ შვილებო! მამა-თქვენთ ეგერ ქნიანა.
არშით ასყარნეს ყვარნები, საძელეს ბუღობდიანა.
დაღლოცავდიან კევსურთა: „ქვე ლეშით დაგვაძლიანა.“
- 20 კმალნი საძელეს ნაცადნი ლესნეს, ისევეც ჭრიანა.

(T).

7 აბემდიანა] აბამდიანა T; 3 შახკლებიანა] შახდებიანა T; 11 მაგლიანა] მაპგლიანა T; 14 ზოგებ შავიდეს ოშშია, ზოგნ თვალთ იჭერდიანა] აქ, ალბათ, მოხვევები იგულისხმებიან, რაიცა შემდგომი სტრიქონიდან უფრო ნათელია; 20 ლესნეს] ღლესნეს T. – აქ რომ ჯალაფთ მოტყუებაზეა საუბარი (მ. 16), მსგავსი რამ თუშების სააქორაოდ გალაშქრებაშიაც მოიპოვება (243, 15).

ბ.

- კევით მოვიდეს ვეშანი, საჩქაროს იტყვიდიანა.
ახლები კევსურთ შვილები როშკის გორს გროვდებიანა.
კევსურნ უცდიან ერთ-ურთსა: ხვადნ არცად მოჭყვიანა?
ენკენიას დილასა საძელეს გადავლიანა.
- 5 ჯუთას ჩადიან ჯვართანა, სიმღერეს ჩაიტყვიანა.
წალმ ჩახყევ, ჯუთის გიორგიე, საკარყმოს გითქემდიანა.
ჯუთას ატირდეს ტირიფნი, ჭაუხნი ბანს ეტყვიანა.
კვირობდეს მოკვევები: „კევსურნი სად მიდიანა?“
- არშას მიდიან კევსურნი, სადილად სნოს მიდიანა.
- 10 ცხენ(6) არშით მობრუნეილიყენეს, სადილად სნოს მაგლიანა.
ომი მოუქდათ ძლიერი, კმალნ სისხლში ჩაწვღვედიანა.
ზოგნი შავიდეს ოშშია, (ზოგნ თვალთ იჭერდიანა).

ბარაქელ, კეესურთ შვილებო! მამათა ეგრე ქნიანა.
კმალნი ნაცადნი ომშია დალეს(ნ)ეს, ისევე ჭრიანა.

(T).

თისთვის უამბნია ბისოელს ბაბუა ქეთელაურს. – 7 ჭაუნნი ჭიუნნი T, რაიცა ფშაური ფორმა; 12² ჩუმი დამატებულია ბ ვარიანტის მიხედვით, Ts წერტილები უსხედს.

დ.

- გულან აბმდეს დროშასა, სალაშქროდ ხკაზმებდიანო,
შასხიან ჩუჩაყურსა: „შალეავ, შენ შაკელებიანო.“
წყალს-იქითელებ ვაეები როშკის გორს გროვებდიანო.
კაკმატელთ მელლოდიან: ხედან არსად მაჭყვიანო?
- 5 ლიქოკელთ ახალ-ვაეები ღელეში გარმადიანო.
ენკენიასა დილასა საძელეს გადადიანო.
ჯუთას ჩადიან ჯვარშია, სიმღერეს ჩაიტყვიანო.
წაღმ დახყევ, ჯუთოს გიორგივ, საკარგემოს გითქვემდიანო!
ჯუთას ატირდეს ტირიფნი, ჭაუნ ბანს ეტყოდიანო.
- 10 მოკეეებები ხკვირობდეს: „კეესურებ სად მიდიანო?“
არშას გაიედეს კეესურნი, სადილად სნოს მოდიანო.
თავ-კან აჩხოტის მინდორში დაბრუნდეს, კარ-ცხენს ღლაღვედიანო.
ამანდ ნამყოფებ კეესურებ საძელს ბურთობდიანო.
ყორნებ წამოვას არშის მითთ, საძელეს ბუღობდიანო,
- 15 კელ-შკარს ლოცავდეს კეესურთას: „ლეშითა მოგვაძლიანო.“
ბარაქელ, კეესურთ შვილებო! წინათა ეგრე ქნიანო.
კმალნი ნაცადნი წინანი, ფრანგულებ უფრო ჭრიანო!

(R 129).

8 გითქვემდიანო] გითქმევდიანო R; 9 ჭაუნ ბანს ეტყოდიანო] „მეორე ვარ.: ჭაუნს სეტყვასა ჭყრიანო“ R.

171. უხათზე დაცემა (Sh)

მიამბო წიქა ჯინჭარაულმა, გუდანელმა, ს. კაკმატში 22. 8. 1913.

172. ომი ბეგრის მიუცემლობის გამო (Sh)

მიამბო მიხა ჯინჭარაულმა შატილში 29. 8. 1913. – 7 სანამდი] პირველად თქვა: მანამდი; 10 არც ქალი წაყვანია...] იგულისხმება: თავისი ცოლი.

შატილივინებს ჯალაით ბეგარი სდებია (ერთი ცხვარიო, ლექსში ნათქვამია და ისედაც მიწერია, მაგრამ ახლა კი აღარ მახსოვს: სოფელს, თუ თვითუფლ კომლს, ალბათ თვითუფლს), მაგრამ აღარ მიუციათ. ამიტომ ჯალაიანი (გვარია ქისტეთში) დასცემიან. მელექსე შატილივინებს „ბრალს სდებს“ ვითომ: თქვენი ბრალია, დახყარეთ ბეგარიო, ე.ი. ბეგარი არ მიეციოთ.

173. ქორთუა (Sh)

მაგბო იმავე მიხა ჯინჭარაულმა შატილში 29. 8. 1913. – 16 აუგ რად იქნებ, ვაუებო, შაქება თავის ძმისაო] ლექსის მოქმელი ძმა ყოფილა წიქასი.

ამ ლექსში იგივე ამბავი უნდა იყოს მოთხრობილი, რაც მომღვენოში.

174. ჭირი არ შეარჩინეს (U)

დაიბეჭდა ივერიაში (1888, № 27), სისთვის უამნია მამის წვერა არაბულს. – შინაარსით შეადარეთ წინა ნომერს. თითქო ორივე ერთსა და იმავე საგანს უნდა ეხებოდეს.

175. ღიღღველთ დაცემა ჯუთაზე (Sh)

გაგონილი მაქვს ბაბუკი არაბულისაგან 3. 8. 1913. ს. ჯუთაში. – სიმღერის საერთო რითმაა ააო, რაიცა დარღვეულია თავში. ამიტომ მეორე სტრიქონის პირვანდელი ვერსია „ყიბილა გამაუძღვების, სამეტოდ მოსთხოვს კარსაო“ უფრო სწორია; 3 ჯუთისკე ლამევედიანო] პირველად თქვა: ჯუთისკე ქმას იგდებდიანო; II შშაველა ძმა იყო უთუათ ქაღებისა; 37 გუ მარტო არ მოვიდოდა, ორთ მაიყოლებს სხვათაო] გამოდის, რომ სამნი წასულან, მაგრამ ბაბუკის სიტყვით ხუთნი გადარჩენილან სულ.

ბ.

- I ღიღღლოს იყრების ლაშქარი, ღონღების წინამძღვარსაო. ყიბილა გამაუძღვების, მასთხოვს სამეტოდ კარსაო. დიდი ას არხოტის ჯვარი, იბომს სისხლიანს ქმალსაო, გამამართულსა ლაშქარსა ბადეს გახურავს თავსაო,
- 5 არ გამოუმობს არხოტა, სხვაკე აურევს გზასაო.

–

- II იძახეს უხანოს ხანთა: „ჯუთას დაეცნეს ბანთაო.“ შასწერეს სიმაგრეშია, ამტვრევენ ბოსლის კარსაო.

- ეგ ქურსიკაის ნაგები ცეცხლის მაივლებს აღსაო.
 ჭიტიკირი მამუკაისა, ტყვიავ, დაგისრევს მწვეასაო.
- 10 ზენ-უბან რა ამბავი ას? უთუათ უთხრეს ბანთაო.
 ცდის ხან არ მისცეს, – ბრალი ას, – უთუათ მშვეელასაო.
 ზედ დასჩის კიბალაური. კმალზე ცდის მკლავის ჯანსაო.
 რომენიც მაეწონების, იმას შასწირავს ძმასაო.
-
- III კაცი გაადღეს ართხმოსა: „რად არ გევიჭერდით მქარსაო?“
 15 ართხმით წამავე ჯურკაი, ცხენ უგავ ნიავე-ქარსაო.
 ძვეითში გილათ კვირიკა შავარდენსა ღვავე ჩქარსაო,
 აივლის ფადუხის წვეერსა, შახკრავს სამორეხლოს მთასაო.
-
- IV ჯვართ კორკ იონა შაბრუნდა, გაბურისძე კარია.
 წელთ ასხავ ჩაწყულაები, – ოზნა არ უყვარს ჭრელია.
 20 წვეერის ძირ შამაეწივა, ჭალას გამუღის მკედარია.
 ნაკოცსა იონაიასს რად სახელობდით სხვანია?
 არ უქდებოდა სახელი? ჭიმღას არ უვლავ ქავია?
-
- V თოთელ წაიყრის პერანგსა: „აწ ეგ ჩაიცივი, ქალაო!
 ნუ სტირი, ნუ გედარდების, გვადგას მტრისაგნივ ძალაო.“
 25 ქალმა ჩაიცვა პერანგი, ცრემლები გადმოყარაო.
 თოთელმ ჩოკაზედ ისარტყლა, მტრისაკედ მკრები შალაო.
 სისხლის კვალ მიზდევს ქისტებსა, გზები სრუ გაისვარაო.
 არხოტის მთაზედ, ამბობენ, არწივებ შაიყარაო.
 თუთრაულთ იონეურმა გულს დარდი აიშალაო.
 30 ლაშქრისკე გამაემართა, ქორებულ მკრები შალაო.
 სამორეხლოს ძირში, ღილღველო, მკედარ ჭალას ჩავიტანაო.
-
- VI შამარბის გაგაის ცხენი, ოთხთავ ანათებს ნალთაო.
 მალვედრის მაგის პატრონი: „დაონახევრებ ჯართაო.“
 მერცხალიშვილის კირიმი არხოტში ჩახყრის კმათაო,
 35 გაგაის ქომო ხანჯარსა დაუმტკრევს სპილოს ტარსაო.
-
- VII წინ ფუნჩაიძე დაუდგა, ჩამიყვანა ლაშქარი.
 გარდუკიდებავ მქარზედა, მამაქე ქისტების აბჯარი.
 ამბობდა: „უნდა დაგიდგათ, ქისტებო, ძალღის სასვარი.“
-
- VIII ბერები ქომო-ციხლები ამახედვედეს მათაო.

40 „მოვიდა წყალი წითელი“, — შინჯვენ არხოტის წყალსაო, —
გაგვიგვიანდა ლაშქარი, არხოტ თუ სჭრიან თავსაო.“

(G).

ბესარიონს ეს გრძელი ლექსი ნაწყვეტ-ნაწყვეტებად აქვს შეტანილი თავის მოთხრობაში ამ სათაურით: „ქისტის ლაშქარი არხოტში“ (გვ. 164-170). ამ მოთხრობის თანახმად, შეყრილან ქისტები იარდაში (ადგილი, სადაც ისინი სალაშქრო საქმეს გაარიგებნენ) და ორი ბელადის მეთაურობით ორ წყებად წამოსულან არხოტზე დასაცემად: ყიბილას წამოუყვანია შიბუ-ღელისას და დოლას კი კდის თავისას. მაგრამ არხოტის გზა აპრევით და ჯუთას მისდგომიან. ჯუთულთ ქისტების დაცემის ამბავი შეუტყობინებიათ ერთი მხრივ ართხმოელთათვის და მეორე მხრივ არხოტელთათვის. ქისტებს დაურბევითა ჯუთა და, სხვათა შორის, იქიდან გაუტაცნიათ ორი ქალი, თინა და მარიემი, რომელთაგანაც ერთი, თინა, გზაში მოუკლავთ მღვეართან შეტაკების დროს, ხოლო მეორისათვის, რომელიც თავისიანებისაკენ გამოქცეულა, გულზე ფარავი აუჭრიათ თოთელს (ჯუთული ყოფილა), რომელმაც ხმლით იმსხვერპლა თინას მოქლავე, წაუყრია თავისი ბერანგი და მარიემისთვის გადაუღვია: აჰა, ჩაიცვი და ტიტველი გულმკერდი დაიფარეო, თვითონ კი ტიტველ ტანზე ჩოხა ჩაუცვამს და ზედ სარტყელი შეურტყამს. შეერთებულ ძალებს ხვესურებისას დაუძლევიათ ქისტები.

აქ მოყვანილი ნაწყვეტების უმეტესობა უთუოდ ერთი ლექსის ნაწილებია (ასეთებია I, II, III, VI და VIII), ხოლო დანარჩენები სხვა ლექსების ნაწყვეტები უნდა იყოს. ორი მათგანის შესახებ (მე-IV-ისა და მე-V-ის შესახებ) ბესარიონი აღნიშნავს: „მაშინ ნათქვამიაო“, ე.ი. ძველი ნაწყვეტებიაო, ორის შესახებ (მე-VI-ისა და მე-VII-ისა) არაფერი აქვს აღნიშნული, მაგრამ ესენიც ძველი მგონია.

მე-IV ნაწყვეტის ვარიანტი მოეპოვება Gs-საც:

ჯორთ კორკ იონა შებრუნდა, გაბურის ძეი ქარია.

წელთ ასხავ ჩაწყულაები, ვეზნა არ უყორს ჭრელია.

ნაქოცსა იონისას რად სახელობდით სხვანია?

ამაზე Gs შენიშნავს: „იონას ქისტები ბევრი უქოცია, მაგრამა თითონ არ აცხადებდა, რადგანაც არ უყვარდა კვება.“ ამასთანავე Gs იგონებს თეთრაულთ იონაის სიმღერეს:

020. თეთრაულთ იონა

ჭიმლის კლდეთ არწივ ბოინობს, არ წირავს თავის მკვდარსაო:

„ჩვენ ბერობაზე უყურებთ თეთრაულთ იონასაო.

ეგი არ ყოფილ ბებერი, არჩევდა ფალავანსაო.

(Gs).

შემდეგ იქნება 200 წელი.“ — 3 არჩევდა] არცედა Gs.

ეს ნაწყვეტი შეტანილი აქვს ბ ე ს ა რ ი ო ნ ს თვის პოემაში („ქისტების ლაშქრობა არხოტში“: წელიწადეული, 211-220), სადაც შეტანილი აქვს აგრეთვე სხვა ნაწყვეტები ამ ლაშქრობისა, სახელდობრ: II, III, IV (მე-20 სტრიქონის გამოკლებით), VI, VII და მე-VIII. თითო-ოროლა განსხვავებანი, მართალია, მოიპოვება იქაც, მაგრამ არა ღირს, მათზე შევჩერდეთ. ვიტყვი მხოლოდ, რომ ძველადგან მოღწეული ნაწყვეტები შევსებულია, ერთი-მეორეზე გადაბმული და ამგვარად წარმოდგენილია მთლიანი სურათი ლაშქრობისა.

176. ქვესურების გალაშქრება არხოტზე (Sh).

მაამო გიორგი ჯაბუშანურმა 5. 8. 1913 ახიელში—2 სამის ბატონის ყმანი] ე.ი. გუდანის ჯვრისა, ბცალიგოს ჯვრისა და კაქმატის ჯვრისა; 8 შავხენე კვირი-წმინდასა] ამას იონეური ამბობსო; სოფლადაც შამადიანო] ე.ი. ახიელს; 13 მაწმინდარს გეტყოდიანო] თუ „იწმინდებოდა“: დასტური იყო, ან კელოსანი.

შინაარსი ეს არის: პირ-აქათელი ქვესურები სალაშქროდ წასულან არხოტს. არხოტივნები ციხეებს შეჰფარებიან. ბელადი თამარისძე შესულა იონეურის სახლში, ბაკნიდან ფაფა ამოუჭამია და დაუძახნია ციხეში მყოფის იონეურისათვის: აი, რა გიყავიო. — არ მესმის კარგად, ცოტა წამოჩინდი, რო კარგად დაგინახოვო. დაუჭქენია ბურას, მოჭხვეღრია დერიფნის „სანაპიროს“ და კაციც გაუტანია.

აქ მოკლული თამარიძე ის თამარიძეა, რომლის დატირებაც არის 88 ნომერში.

ბ.

ქადაგობს გაიდაური: „ბძანებს გუდანის ჯვარიო:

ჩემს კარზე შაიყარენით სამი ბატონის ყმანიო.

სამი ამბით დროშია, სამსავ შაბით ზარიო.“

გაიგა არხოტის ჯვარმა, წელთ შამაირტყა კმალიო:

5 „სხვაენით ამიღაც ბეგარი. დამპალო, სად მიხვალიო?

ბეგარს კი ვერას წაიღებ, სამი წაიღი მკვდარიო.“

—

შავხენე კვირიწმიდასა, — ყროლანი გამადიანა.

აქა ნუ მაზდი(თ), ყროლანო, — გულს სისხლნი გადაძდიანა.

არ დაიჯერეს ყროლათა, სოფლადაც შამადიანა.

10 ციხით დასჭხნა ბურამა, ყაწიმნი ლამში ხყრიანა.

ამადეგ, თამარისძეო, ლულუან გელევიანა.

ჩამაკედ, ივანეურო, ყმაწვილას გაქებდიანა.

(O).

Оის თანახმად, არხოტის გასაბეგრავად მთას გადასული ხეესურები სოფ. ახიელს მისდგომიან. სოფლის სათავეში ერთი ციხე დგას და იქ შეხიზნულან ახიელები. ერთს 15 წლის ყმაწვილს, ივანურს, ბურა თოფი ჰქონია, რომლითაც შორს მანძილზე მოუკლავს ბელადი თამარისძე. მიუხედავად ამისა ხეესურები შესულან სოფელში და დაპრევიან სახლებში. ერთ სახლში ფაფა დაპრჩობიათ ნადუღარი. გამოსულა ერთი ხეესური და დაუძახნია: „ფაფა ქვე ამაგიჭამეთაო ბაკანშიგავ, შიგ ჩაეჯედივ.“ – „ვერ გავიგონევ, ძმობილო, – უძახებავ ციხეშით, – წამაჩინდიო, რას იძახივ.“ ცოტად წამაჩენილ კეესური. სანაპირონი ხუარებიონ. უსრეეავ ციხეშით (დ)ა აი სანაპირონიც გადაუტეხიან (დ)ა კაცსაც მახეღრივ, მამკდარ.“ ამის შემდეგ დაშინებულან ხეესურები და წამოსულან. „ერთ დიაც ყოფილა, სრუ ზურგით გადმაცვილებიან თითობით გამასაფარებშიაძღე კეესურები, იმით რო ზურგზე როსაც კაც ეკიდ, იმ დიაცის ხათრით თოფს ხო ვერ ესრეედეს.“ ამის შემდეგ თითქო გზაში ჩასაფრებოდეს უშიშა ოჩიაური და ერთი ხეესური მოეკლას.

177. ნაროზ ბლოელი (Sh)

მიამბო გაგა თეთრაულმა, ჭიბლემა, ნ. 8. 1913. ს. ახიელში, შემდეგ შემასწორებინა ბლოელმა აბა გიგაურმა კაქმატში 21. 8. 1913 (ეს აბა იმ აფშინას შვილია, რომლის ნაამბობიც სმა დაბეჭდა ივერიაში და აქვე ბ ვარიანტადაა წარმოდგენილი). აბას დამატებული მუხლებია: 2 უწოვავ..., 5 შუშარობით..., 8 ჯერე იომა..., 9 მემრ კმალი..., 15 ფარი..., ხოლო გაგას ვარიანტია: 3 ადგა, შახკაზმა ზერდაგი, ზედ თაო შაჯდა მკრიანი და 16 ლურჯა საძელეს ჩამოვა, ქალ ჩამატარის თმინი. მანვე (გაგამ) სულ ბოლოს დაურთო: „აბრუნდა ლოხაურისძე ბულეჯან გულჯავრიანი: ძმი მამიკლეს ურუმთა, შინ მავედ სირცხვილიანი.“ ეს ბულეჯან, გაგას სიტყვით, ვითომ ძმა იყო ნაროზისა, მაგრამ არა, ეს სიტყვები 199 ნომრისა არის (მუხლები 2-4) და იქიდანვე უნდა იყოს გადმოყოლილი მეხუთე მუხლიც (აქ მეცხრამეტე): „ხეესურთა სანამეტნაოდ კმალ მაიქნია ფხიანი.“ ამ მუხლს აბა არ შეეხო, მაგრამ მისი მამის ვარიანტში (და არც მისაში) იგი არ მოიპოვება.

სამი მუხლი ამ ლექსისა იასე ხულელმა ბადაურას ლექსში გაურია (ნ. № 72 ე).

უწოვავ ქრისტის დედაი, გან კორციელისა რძიანი? ასეთი შედარება ახალა მგელაიშვილის ლექსშიც გვხვდება (შდრ. № 235, 2).

ბ.

ბლოში გაზდილა მინინო, ქორი ზარებულ მკივანი;
დედა უწოვავ ქრისტისა, გან კორციელისა რძიანი?
ადგა, შახკაზმა ზერდაგი, ზედ თაო შაჯდა მკრიანი,
ბლო-ლელე გარდმაველია, საძელე მწვანელიანი,

- 5 შუშრობით ჩამავლივა ქვათანა ბექ-ბუქიანი.
 ე ტიმლღებ-ნექაფსოვლები ჯუთას სამზირლად დიანო;
 აუდგეს გზის თავ, გზის ძირით, შუე ნავროზ ჩაიგდიანო.
 ჯერ ზომ იომა ცხენ-და-ცხენ, მემრ მშვილდ აყეფა რქიანი,
 მემრ კმალი ამამღერა ვადათით მელანქრიანი;
- 10 ერთი წამოხერა ტიმღელსა, ნაწყვეტნ გზის იქით ხერიანი;
 მეორე ნექაფსოვლსა, კელ-მუკლზედ ჩამასვიანი;
 მესამე ჩამაყოლა, სისხლის წყაროებ დიანი.
 კელ დახერა ღურჯას, დაღვედრა: „შინ წეედ ოკერ-ტიალი,“
 თავს დააკეცა ლაგამი, მათრაკი ოკროიანი.
- 15 ღურჯა მატირის ბლო-ღელეს, ვითამ ქალია თმიანი:
 „პატრონ მამიკლეს ჯუთაში, შინ მაოლ ოკერ-ტიალი.“
 ნავროზ, გვიკლებენ კეესურნი, ღაშქარ ხარ იმედიანი,
 შენი კელი და კელ-კვერი, მარჯვენა მარჯვებანი.

(U).

დაბეჭდა ივერიაში (1888, № 43). სს იგი გაუგონია აფ შინა გიგაურის ა-
 გან. – 2 ქრისტისა] ქისტისა U (ალბათ კორექტ. შეცთობა); 10 ნაწყვეტნ] ნაწყვეტ
 U; 13 წეედ] წადი U; 16 მაოლ] მაველ U.

ბ.

- ბლოში მინინო მავიდა, ქორ-შავარდენი მქრიანი,
 მქართ თუთრი მშვილდი გარდიცვა, ისარი ორბის ფრთიანი.
 სრუ რბოლით გადაიარა საქმელე მწვანელიანი,
 ხტომით(ა) ჩამათავნა ქოთანა ბექ-ბუქიანი.
- 5 ტიმღელნი, ნექაფსოვლნი ჯუთას სამზირლად დიანო.
 ჩაუსხდეს გზის ძირ, გზის თავა, შუ ვეფხვი შიგდიანო.
 წინ-წინ შამახერის ტიმღელსა, ნაგლეჯნი გზის ძირ ხერიანო,
 მეორე ნექაფსოვლსა, სისხლის წყარონი დიანო.
 ცხენზე შაადღის მათრაკი: „ღურჯავ, შინ წადი, ტიალო!“
- 10 ღურჯა ქოთანას შამასტირს, ვითამ ქალიც ას თმიანი:
 პატრონ ქოთანას მამიკლეს, შინ მიოლ ოკერ-ტიალი.

(B).

178. სამითხოოდ აპირებენ გალაშქრებას (U)

დაბეჭდა ივერიაში (1891, № 90), სისთვის უამბნია ბადია ბალიაურს.

179. პირობის შეკვრა (U)

დაიბეჭდა ივერიაში (1888, № 41), სისთვის უამბნია ბაღია ბაღიაურს. — 3 ჭლებს დროშაზე ხყარიან] „დროშაზედ დაჭლებვა ფიცია“ U; 5 გარმაძიანი] „გამ-წყრივეს“ U.

მეოთხე მუხლი „წინ თუშნი, უკან კევსურნი, შშაველნ ნელ-ნელად ჩახყვიან“ თითქმის სიტყვა-სიტყვით მეორდება ბახტრიონის ალების ლექსში (№ 24გ, 3; გ 4; ზ, 4). როგორც ბ ვარიანტიდან ირკვევა, ამისი ნაწილი უნდა იყოს № 200.

ბ.

ამას წინ ფშაველ-კევსურთა ლამარს პირობა ქნიანა:
„ნუ უღალატებთ ერთურთსა!“ დროშებზედ ჭლებებს ჰყრიან.
შატილში ჩამასულიყენენ, ამის ძირს მითხო ჰქეიანა.

- 5 „შენთან მოედვიართ სტუმრადა. მითომ მითხოთა გთქვიანა?“
ცხვარანი სად გიდგან, ღადუმავ? საბაკეს გიქებდინა?
ყმაწვილებ დაპარულიყენენ, ქოხს რაით დაგიშლიანა.
შენთა საწოლთა, ღადუმავ, ჩარდახთით გადმოჰყრიანა.
ცხვარანი წაგისხნეს, ღადუმო, მითხოთა თავს შამაბიანა.
რად არ გაყევიბი მღევრადა? მთას რაით გადაჰყრიანა.
- 10 შატილში გადმოსულიყენენ, აღლუმ-აღლუმად ჰყრიანა.
ქადაგსა და მედროშავეს სამეტოს აძლევდინა.

(მ. ხ.).

ეს ლექსი მოთავსებულია Lის კრებულში.

ბ.

ამბობენ თუშნი და ფშაველები: „აკეაში ჩასვლა გეწადიანო.
კევსურებს ნუ გამაურევთ, — ხათაბალასა შერებიანო.“
— „არა უშავ, გამოურიოთ: გაჭირდეს, გამოდგებიანო.“
გავიდეს აკეაის თავსა, ცხენები კლანჭებზედ დგებიანო.

5 წინ თუშნი, უკან კევსურნი, ფშაველებ ნელ-ნელა ჩადიანო.
ორ ძმათა გულქანის ძეთა ლაშქართ ოდენა სცადიანო;
ჩაგის ჩავიდეს სულ წინა, ამოსვლით უკან დგებიანო;
ორისა გორის მღვეარი მარტუათ დააბრუნიანო.

(Lb).

აქ მოცემული დახასიათება ხევსურებისა („გაჭირდეს, გამოდგებიანო“) ბახტრიონის ომის ვარიანტიც გვხვდება (№ 24ე, 7).

180. მშავლების ლაშქრობა ქმოსტზე (R 83)

R შენიშნავს: „ფშავლები დამარცხდნენ აქაც. – 1 ჯორო ხიზანას ცხვირ-თეთრო] „ასე უნდა გავიგოთ: ხიზანას ცხვირ-თეთრო ჯორო“ R; 2 ქმოსტი ძეს საქონიანი] „ქმოსტში ბევრი საქონელიაო“ R; 5 კოკლუცაური] „ქმოსტელი ხევსური ყოფილა, ყარდანული გვარად“ R.

ბ.

- ჯორო ხიზანას ცხვირ-თეთრო, პატრონ გყავ ილეოთიანი;
ლაშარს შავიყრის ფშავლებსა: „ქმოსტი ძე საქონიანი.“
ქმოსტი არ გაიტეხება, – განა კოკაა წყლიანი?
ფშავლებო, ოკერ-ქევის გორს მწარე დღე გადგათ მზიანი.
- 5 მოგდევდათ კოკლუცაური, მოგდევდათ მშვილდი რქიანი.
საკაცით წავაღებინესთ ბეკურა ფარ-შუბიანი;
დაგიკრეს დედის ერთასა, გიჭმიესთ მიწა მტკრიანი.
ქმალცი ბევრია კიდევ ფშავს, ფრანგული ფხა-სისხლიანი;
თოფიც ბევრია კიდევ ფშავს, სიათა პირ-კომლიანი;
- 10 ვაჟებიც კიდევ არიან, ჯავრისგან გულ-ლორღიანი.

(ივერია, 1889, № 278).

დაიბეჭდა ხელ-მოუწერლად. ბოლოს შენიშვნა მოსდევს: „ეს ლექსი ქმოსტში რომ იმღეროთ, ხევსურები მაშინვე ხმლებს დაიწვიდიან და დაუჭრელი არ გადარჩებიო.“

ბ.

- ხიზანას ჯორო ცხვირ-თეთრო, პატრონ გყავ ილეოთიანი;
დაარჩევს ფშავლის შვილებსა, ვინაც მზას არის კმლიანი,
ქმოსტისაკ გამაუბღება: „ქმოსტი თქვეს საქონიანი.“
ქმოსტი ეგრე რად გატყდებოდა? გან კოკა იყო წყლიანი?
- 5 ვაჟი ბევრია ხელათგორს მტრისთვის მზა, გულ-ჯავრიანი;
თოფი ბევრია ხელათ გორს, ქირიმებ პირ-კომლიანი;
ქმალცი ბევრია ხელათგორს, ფრანგულვებ პირ-სისხლიანი.

(Lb).

181. ოჩიაურნი (U)

დაიბეჭდა ივერიაში (1888, № 32). სისთვის უამბნია ა ლ უ და ზ ვ ი ა დ ა უ რ ს .
– 2 არ დაგებარათ გზიანი] „მუქარა შემოგიოთვალათო“ U; ქორიალამოს] ქორი ალამოს

U; 7 ირემა რქა-ჯანგინი] „ხვესური კარეს ვაჟკაცს ირეშსაც ადარებს“ U; 9 იქნებომც ალუდაისა] „საიქიოს ალუდას მოსამსახურე იქნებო“ U; 12 ნეტავი მგათ დედასა! ჯარ დასხდეს სახელიანი] „საქორწილო ნადიმობა; ვაჟკაცის დედას დიდ პატივსა სცემენ და საპატიო თასს სასმელით მიართმევენ“ U.

ბ.

- რად გავიხარდათ, ქისტებო, არხოტიენების ზიანი?
უშიშამ ოჩიაურმა არ დაგიბარათ გზიანი.
მიუვას ალუდიკასა: „შინშო, ორთ სირცხვილიანი:
„ამლას მაგვიკლეს დისწული, აბათ კურდღელა კმლიანი.“
- 5 ადგეს, ჩაიდევს საგძალი, წვერ გაიარეს კლდიანი,
ჩაიდევს კორიელასა, დილა ას თვირთვილიანი.
მაუვას ჩხორაგოელი მანძილა რქა-ჯანგინი.
ჩამაეხვიენეს. თოფებსა, მაურებს გახქონდა ძგრაილი.
„კურდღელაისადამც იქნები! მანდ დაწვე გულს-ნატყვიარი!“
- 10 ჩორეს ჩახყეფენ ყორნები: „ვინ იყავ, ვინ ხქენ ზიანი?“
– იქნების ოჩიაური, ბევჯელ დაგაძლნათ მშიერნი.

–

ამაგ სიმღერის მათქვამი ზენ-უბან ბანზე ვზივარი.
საამხანიგოდ რად გძულდით? განთა ქალ ვიყავ თმიანი?

(G 232)

182. გაგაის ძოძი (U)

დაიბეჭდა ივერიაში (1888, № 27). სისტვის უამბნია ბათაკა არაბულს. – 1 გაგაის ძოძივ] ბაგაის ძოძივ U (ალბათ კორექტ. შეცდომა).

კირჩლა ბაბურაული ზურაბის ომების დროის გმირია. ცის მოწმობით (158 გვ.), „ზურაბისად ბერს ვერა უქცევაგ – ძალიან მეომარ ყოფილას. მარტო, კვესურეთ მარტია მისურაული, ბერდია მამუკაური, კირჩლა ბაბურაული და ხოშურაული ყოფილან ზურაბისა და იმის ლაშქართ კელის შამქცენი, სხვას ვერვის უწონავ.“ ამათ, რა თქმა უნდა, მამუკა ქალუნდაურიც უნდა მიემატოს.

BC გვიამბობს: „სანეს უკითხავთ კვესურთ კირჩლაისად: ვის მოგილოცათავ სახელივ, ვინ გეტანავ, კირჩლაო, ზურაბის ომშიავ? წინ-წინ სცაე კმლი(თ)ავ? კირჩლას უთქვამ ბაბურაულს: თვალაჯაისძევი ღულელი.

თვალაჯაისძემ ღულელმა ჩამაშიარა მკრითაო.
„ღულელ ორ თვალაჯაისძე“, ღვედრება ამოდისაო.“

ასე რომ თვალაჯაისძის ქებას კირჩლა ბაბურაულის მიერ ვხვდებით ზურაბის ომებთან დაკავშირებითაც, როგორც ამას შემდგომი ვარიანტიც ემოწმობს:

ბ.

ღულელი თოლაჯაისძე მარტო ზის მუხის ძირსაო,
ჩაუხეწიან ისარნი ზურაბის მალოდინსაო.

—

„საკარგმო ვის მივსცეთ, კირჩლაო? ცემით ვინა გჯობ კმლითაო?“
— „ღულელმა თოლაჯაისძემ ჩამამიარა მკრითაო,
მანამდი შე მივიდიდი, სამოც ეკაფა კმლითაო.“

(Sh მოხ., ი ა ს ე ხ უ ლ ე ლ ი ს ა გ ა ნ გ ა ო ნ ი ლ ი 28. 7. 1913).

ბ.

გაგაის ძობივ, გერჩიყვო, ლილლო გეჭამა ჭკეითაო,
ყანა გეკნ, კარი გელალა, ჯოხი მოგეჭრა ტყისაო.
საკეესურეთოდ წამოხვე თავის მორთულის ყმითაო.
საძელეს დაგხედეს ვეშაგნი დალესულუბის კმლითაო:

- 5 თვალ უზის თურმანაულსა ჯურკასა შავარდნისაო;
აბამა ბასილაურმა აყეფა მშვილდი რქისაო.
ჩამაბრუნეს ძობიი, მანძილა დასცეს ტყისაო.
კეესურეთ ამბავ ჩავარდა, უხნოდ ას, არ ას ხნითაო.
გუდანს გაიგა ინამ(ა) ხითთა და ხთიშობლითაო;
- 10 კირჩლამ საფერკე შახკაზმა, ორბი ზედ შავდა მკრითაო,
ბლოღელე გადაავლია, საძელე კინკილითაო.
ქოთანას ჩამეწიენეს, ჯუთა აივსო მკედრითაო.

—

კირჩლას საკარგემო მიართევს: „კეესურ ვინ გჯობდა ცდითაო?“
— „ღულელმა თვალაჯაიძემ ჩამამიარა მკრითაო.
15 შე ის არ მამგონდებოდა, ცემას დამისწრობს კმლითაო.“

(Sh)

მიაზო მინდია ქისტაურმა 11. 8. 1913 ს. თვალეში. — 4 საძელეს დაგხედეს ვეშაგნი] „მი დროში ყარაულს ვეშავს ძახილან“ (მინდიაშ); 8 უხნოდ ას, არ ას ხნითაო] „წუხრ თუ იყვა“ (მინდ.); 13 კირჩლას საკარგემო მიართევს...] კირჩლა ბაბურაულს, ზეისტეჩოელს, უარი უთქვამს საკარგემოს მიღებაზე, — თვალაჯაისძეს ერგებაო.

დ.

- გაგაის ძოძივ, გერჩივნა, ღიღლო გეჭამა ჭკვითაო,
ყანა გეკნ, კარი გელალა, ჯოზი გაგეჭრა კმლითაო.
ქვესურეთ რად მახვილოდი მართული თავის ყმითა?
საძელეს დაგხვდეს ქვესურნი დალეხილები კმლითაო.
- 5 კმა გაგიტეხეს ქვესურთა, უხნოა, არ-ა ხნითაო.
გუდანს გაიგა ინამა ღითთა და ღთიშობლითაო.
ქირჩლამ შაკაზმა ზურდაგი, ზედ ქორი შეგდა კმლითაო,
ბლო-ღელე გადაიარა, საძელე კინკილითაო,
ქოთანთას ჩამეწია თავის ფრანგულის კმლითაო.
- 10 კახოს უთურგიმ დასჭუნა: „ქვესურნი ვერ ხართ ცდითაო.“
გაჯავრებულთა ქვესურთა ჯუთა ავსეს მკედრითაო.
ქმლის შუქი ბეთიტასი მოკევის ნახეს მზირთაო.
ყვარის წყალს ჩავს ღიღლველი, ჩავას, ჩატირის კმითაო:
„გაგაის ძოძიმ გვატყუა: „სავსეს მოგიყვანთ ტყვიითაო.“
- 15 აწიღვეს აღარ წამოვალ, შვილს დაესწყევ, შვილიშვილსაო.“

(T)

თისთვის უამბნია ბისოელს ბ ა ბ უ ა ქ ე თ ე ლ ა უ რ ს. – ნ გუდანს] გუგანს T; 12 მოკევის] მოკევეს T; 15 წამოვალ] წამუალ T.

ე.

- გაგაის ძოძივ, გერჩიყო, ღიღლო გეჭამა ჭკვითაო.
მიწა გეკნა და გეთუსა, საკრე მოგეჭრა ტყისაო.
ქვესურეთს რად მოხვილოდი თავის ნარჩევის ყმითაო?
საძელე შამაირე, არვინ დაგიხვდა კმლითაო.
- 5 თვალი აქვ თურმანაულსა ჯურკასა შავარდნისაო,
მუკლი აქვ ჩუჩაყაურსა მარტიას ბერის მელისაო.
წინ-წინ მოვალის იმაი ღეთთთა და ღეთისშობლითაო.
მავას ღერენა მოაყვება არწივი სინსილითაო.
ღერენას ხიტალიონსა მამა უტირის კმითაო:
- 10 „შვილო, ნუ წახვალ ლაშქართა, – ვერ დაპბრუნდები გზითაო:
სახელის მოყვარული ხარ, შიგ შეერევი კმლითაო.“
აის ვინ იყო, აბაო, ჩამოგიარა მკრითაო?
თვალაჯაის ძე ღულელი, რომ დაგამეტა კმლითაო?
აბამა ბასილაურმა მშვილდი აჭეხა რქისაო,
- 15 ჯაჭვესა ჰკრა, დააფხრეწინა როგორცა გულა თხისაო.

ქმლის შუქი ბეჭიტასა უკვირს მოკვეთთ მზირსაო.
ყვარის წყლის პირში ღიღღველი ერთი ქალებურ ტირსაო:
„დაგვლივნა თურმანაულმა ჯურქამა ვეფხვებ(რ) ბწკლითაო.“
ძოძი მკვდარი გადაიტანეს გზის თავში გზის ძირითაო.

(Lb)

6 მარტიას ბერის მგლისაო] შდრ. მარტია ბებრი მგლისასა (№ 168, 3).

183. ლექების დაცემა ღულსა და სნოზე (Sh)

მაგზო ღულელმა მინდია ქისტაურმა 10. 8. 1913. თვალვში. — 9 თოთე-
ლიშვილი (ფიცხელა) ქორი არისო; 10 ხახკაურს სახელად ძაღლიკას ეძახდენო; 11
ტყვია-მტკივანი] ე.ი. ტყვიას რომ ესროდა, აატკივნებდაო; 12 სვეტი-ა...] ე.ი. ჯუმალა
მგელიშვილი სინათლიანი სვეტი არისო; 24 მთაწვერზე მიღ-მოდიოდა] იგულისხმება
ლექებიო, მაგრამ არა მგონია: ეს ისევ კვსურებს უნდა შეეხებოდეს, ზოლო შემდგომი
მუხლის მეორე ნახევარი „ქევის მთას გადადიოდა“ ეს კი უეჭველად ლექებს შეეხება;
27 მკვდრები ჩამადიოდა, ე.ი. ცხენებიდან ძირს ეცემოდნენ; 28 უსუფა ლეკის ბელადი
იყოო.

აქ ჩამოთვლილი პირები ყველა ღულელი ყოფილა, გარდა ჯაბანის პაპისა, რომელიც
სნოველი იყოო.

აქ აწერილია ჩაგვირილას ლაშქრობა, რომელსაც ეხება აგრეთვე ლექსი № 168.

ბ.

ღულის კლდით ღულელთ შვილებსა სიმღერე გამოდიოდა:
„ქორწილ გოქვ ვეფხვიასა“, სისხლ პერად მოუდიოდა.
კოდნ უდგან ღულდით სავსენი, უწევ სტუმარი მოუდიოდა.
ქირიმი ვეფხვიასა ზედიზე გამოდიოდა.

5 შუ-შუ ლეკი, შუ-შუ ღულელი, სიმაგრით გარდმოდიოდა.
ღულის ძირ წყალი დაწურეს, ორ-წყალში აღარ დიოდა.

(Ba)

ბ.

ღულის თავ ცხენნი მავიდეს, აღაშს გაქონდა ბრიალი.
ნეტავი, ღულელთ შვილებო, დღე გაგითენდათ მზიანი!
წამახვალთ სიმაგრეთაქე, ვითამ ჯიქენი ხართ რქიანნი.
თათარაისა თათარა ვეფხვი ას ქიბოშიანი.

- 5 ღულის კლდით ღულელთ შვილებსა სიმღერე გამუღისაო.
ქორწილ აქე ვეფხვიასა, უწეე შინ გაღუღისაო.
კოღნ უღგან, ღუღი(თ) ას სავსენი, სისხლ პერად გაღუღისაო.
იღუღისა კირიმი ნელ-ნელა გამაღისაო.
„ვეფხვიასამც იქნები!“ ვეფხვიას ყურთ მისღისაო.
- 10 ღულის ძირ წყალი დაწურა, ორ-წყალშიგ აღარ ღისაო.
ჩივიღით ღულელთ შვილები სულეთშიგ შამაღისაო:
„მქარ არ გვიჭირეს კეესურებმ, ჩვენგნივაც არ გაღისაო.“
- (Bb)

ღ.

- როშკის გორ იჯღა ჩაგვირიღათ, კმა ჭებით გამუღიღაღა:
„სად იყენეს) კეესურთ შვილები? მუქარა აქ მამღიღაღა.“
ღუღის კლდით ღულელთ შვილებსა სიმღერე გამუღიღაღა:
ქორწილ აქე ვეფხვიასა, ნაწეე შინ შამუღიღაღა.
- 5 კოღნ ეღგეს ღუღით სავსენი, სისხლ პერად მუღიღაღა.
ღუღის კლდით ღულელთ შვილებსა თოფის კმა გამუღიღაღა.
ღულელთ შვილებ(ი)ს ნაკოც(ი) მკეღარი კლდეთ გარმუღიღაღა.
წყალი ღუღის ძირ დაწურა, ორ-წყალში აღარ ღიღაღა.
სულეთში ღულელთ შვილები ჩივიღით შამუღიღაღა:
- 10 „კეესურთ მქარ აღარ გვიჭირეს, მარტოთა არ გაღიღაღა.“
- (Bc)

ამისი ჩამწერი შენიშნავს: „ღეკიანობა რო ყოფიღას, მაშინ როშკაი და კმოსტი სამჯერ დაულეღავის. ბოღოს რო როშკას დასცემა ჩაგვირიღათ ღამქარი და სრუ მთელ წაუსხამ ტყეღებ, აღარავინ დამზღალას. ბოღოს ერთ დიაცი ღეკეთით ტყეე გამაზარულას. ის დიაცი უღონო უმრეცხლო ქნიღას. იმ დიაცს ვაჟი გაუჩენია. როშკა ეხღა იმაზ(ე)ღ არი გათუსღებუღი. როშკას აღარავინ არ(ი) და გაუწირავის. გირაულთას მოუსწერავის) ხიზნისად, სხვა ყეღლა დაუჭერავის, ერთ ქალ წყალში გახფირინდომიას, წყალს დაულე-ღავის. ერთ კაც სტანებას, ერთ კელ(ი) მ(ო)ჭრიღი ხქ(ო)ნიას. (ი)მ ღროს მოუსწერავის, წყალში შასულან, წყალს უნდა გავიღენ. იმ კაცს კმღისად კელ მოუღღავის, მოუქნე-ღვის, უწყეღავის ღეკისად. მორეს ღეკს თოფი დაუკრავის იმ კაცისად. ის კაციც წყალს წაულავის, სხვა ხიზან წამაუსხამის, როშკის გორ შუეღღენიან. სულხანიღ-ღ ბათაკ ხყვანიან მეუფროსენი, იმათ(თ)ან მიუსხზიან ის ტყეეღი. მემრ ღულს დასცემიან“ (Bc).

ჟ.

ჩივიღით ღულელთ შვილები სულეთჩი შამაღიღაღა:
„მქარ არ გვიჭირეს კეესურთა, მარტოთა არ გაღიღაღა.“

ქორწილ აქვ ვეფხვიასი, მაკეთე მადლიოდა.

კოღნ ეღგეს ლუღით სავსენი, პერ ზედით გაღმუღიოდა.

- 5 ლულელთ შვილების ნაკოცი მკედარ კლღეთა გარმოღიოდა, ლუღის ძირ წყალი დაწურა, ორ-წყალში აღარ ღიოდა. მშვეღის შვილები კვირობენ: „ის წყალნ საისკა-ღ ღინა?“

(R 62)

[ვარ. ვ ნ. დამატებაში. რედ.]

184. ივანეური (Bd)

1 როს რა] კორექტ. შეტომაა, უნდა: რას-რა; 7 მუჯის] შეტომაა ბეჭღვისა, გასწორღეს ასე: მუჭის.

ბ.

გამავღ კერძის ტყის გორა, ჭიმაღ, მაგავღებ თვალსაო.

კარგი ხარ, ჩემო ადგიღო, აეხღა დაგწერ ჯეარსაო.

ჩაეხუმრების წყემსებსა, არ კოცს, არ ხკადრებს თვსაო.

ხითხეღდა იონეური: „მშვეში ვინ იღგებს, კმასაო?“

- 5 საწუხროღ ჩაწეღდა ცაბაურთ მთიბღის ჯარსაო. კმღითა სცა ყარტიუღისძეს, ფეკ-ძირ გაიღებს მკედარსაო.

ამაჟიანღი, მერცხაღო, პირ-შემღ მადღეღ წყალსაო!

ჯერ მიხოღ კეესურეთშია, მემრ თეთრაუღის კარსაო.

მამას მიღღიას მითქვიღი: ნუ შაექეევი თავსაო,

- 10 ნუ გამიღღებ ლურჯასა, თოფს ნუ შემიჭმეღ ჯანგსაო. მშვეში ზის იონეური, ათამაშებღა კმალსაო.

(G 186-7)

ეს ნაწყვეტები შეტანიღი აქვს Gს თავის „იონეურ თეთრაუღის ამბავში“ (გვ. 185-187), რომელიც, როგორც ბვერი სხვა ძვეღი ამბავი, ხვესურთა ჩვეუღებრივი და-თარიღების მიხეღვით, „ერეკღე ნეფის ღროს“ მომხღარა. იონეურს „ჯეარისაღ რაიღ შაუწყენავ თავის სიამაყით და ჯეარი გასწეროშივა და გაუყრეევა წვერი და ამ იონე-ურს ძალიან უუკადროებავ ეს, რომ მე ახღა ხალხში როგორა-ღ ვიარავ.“ აუსხამ იარაღი, შემეღღარა ცხენზე და გამომართულა ფშვეისკენ, რომ მოკღას ვინმე სახეღო-ვანი ვაყი და თვიც იქ გაწიროს. მწყემსებისაგან გაუგია, რომ ცაბაურთ მთიბელში რეულა განთქმული მეომარი ყარტიუღისძე, რომღისკენაც გაქანებულა იონეური და მოუკღავს. შემეღე გაქეულა და სახატო საქეაბეში შვეარღნიღა. ფშვეღებს ვერ გაუბეღავთ საქეაბეში შესვღა და დაუბარებიათ ერთი მეომარი, სახეღად მექობაური,

რომელსაც ტანზე ისეთი ჯაჭვი სცმია, რომ დაკრული არ ეკარება. მექობაურს შეუღია საქებაის კარი და იქ ერთი-მეორე დაუხოცავთ, შემდეგ თეთრულთ წაუღიათ იონეური და თავის მიწა-წყალში დაუმარხავთ.

ამ ვარიანტს გარდა მექობაური არსად გვხვდება, – ყველგან ზოშურაულია.

ბ.

- ჭობლაში ივანეური რას-რა შატყობს თავსაო?
გამოვა წინგარდაზედა, ღმართებდა სიათასაო.
ფშაობა გაუბედავის, ვაჟი გაღლესავს კმალსაო.
ღედა დაუცხობს საეძალთა, მამა უბანდაეს ჯღანთაო.
- 5 ცირკლოვანს ჩამვიღოდა, მაგელებდა ფარსაო.
როშკას მამიდას მუვეა, თეთრულაის ქალსაო.
მამიდა წამეეგება, ტირილს დაითხრის თვალთაო.
გამაისტუმრებს მამიდა, ფუნჩა დასწერდა ჯეკარსაო:
- 10 „წალმა დაყვე, წმინდა გიორგი, შენს პატიმარსა ყმასაო!“
აჭის თავს გამოვიღოდა, გამახანებს გზასაო.
გავიდა გუგასჯერის ღელეს, ათამაშებდა კმალსაო.
„ღმერთო, ჯუთუას შამყარე, ან ყარტაულას კარსაო!“
მკელულსა ჯუთუაისას ღმერთ აღარ დასდებს ბრალსაო.
- 15 ამანდით ჩამეემართა, კითხულობს ფშავლის გზათაო.
მემრ მუჯის ღელეს გამოვა, ფშაო, მოგავლებს თვალსაო.
ამასხარავებს წყემსებსა, კოცას არ ხკადრებს თავსაო.
ეუბნებოდა წყემსებსა: „ფშავლებ სად თიბენ მთასაო?“
ამანდით ჩამეემართა, მისახლეულებს ფარსაო.
- 20 ჩამეეს ჩამეეწია ცაბურთ მთიბლის ჯარსაო.
კმლითა სცემს ყარტაულასა, ფეკ ქემშ გავიღებს მკედარსაო.
სამსა-ოდ გაფრინდომასა სამს გასწირავდა მკედარსაო.
შევარდა საქობეშა, წელთით დახკეტაეს კარსაო.
მაუვა ზოშურაული, მანთებს კელატარსაო.
- 25 – „გამეედ, ივანეურო, ნუ შამაცოდვებ ჯეკარსაო!“
მარჯენით კმალს მაიყოლებდა, მარცხნით – კელატარსაო.
გამოვა ივანეური, გაუქრობს კელატარსაო.
წინ-წინა ეგოე მუქნეეს, მსჭრის მარცხენა მკარსაო.
ზოშურაულმაც შამახკრა, სისხლმა შეესხა ქვასაო.
- 30 შაუშინებავ ფშავლები, ვეღარა დიან კარსაო.
ვეღარც აწვედეს სტუმართა, ვისაც წელთ ღნახვენ კმალსაო.

- ივანეურის ფრანგულსა ქალაქს უშინჯვენ ფხასაო:
 „ქვე მოკვდა შენი მჭედელი? ველარ გასჭედსა სხვასაო?“
 35 ბასრი ყოფილხარ ფოლადი, განაღამც სჭრიდი ძვალსაო!
 —
 ამაუეკუკადი, მერცხალო, პირ-შაღმ შაუდეგ წყალსაო!
 ჯერ კვესურეთში შახკლიდი, მემრ თურთაულათ კარსაო.
 ჩემ ჯალაფთ ეგრე მითქვიდი: კარგა მიჭმიან ცხენსაო,
 გამიკვებიდით ზამთარსა, თივას ნუ მიკლებთ, ქერსაო!
 40 დედასა ეგრე მითქვიდი: ქალ ნუ დაიჭრის თმათაო.
 ობოლიც კარგა გაზარდეო, ნუ მიმიბარებთ სხვათაო.
 მამას მინდიას მითქვიდი: ნურას შაიდებს თავსაო:
 ფშავს იჯდა ივანეური, ამაამღერებს კმალსაო.

(T).

უამბნია დავით ლიქოკელს ბარისაკოში—9 ფუნჩა დასწერდა ჯვარსაო] ფუნჩა ივანეურის მამიდის ქმარი თუ იყო, რომელსაც შეიძლება ზევისბრობა ჰქონდა (ეს იმ შემთხვევაში, თუ რომ „ფუნჩა“ შეცთომით არ არის წაყითხული „ყინჩა“ს მაგივრად, გადმოწერის დროს; „ყინჩა(დ)“ კი ამას ნიშნავს: „ღამაზად, კარგად“); 10 ივანეური ხატის პატიმრად რომ იხსენიება, შდრ. ცის შენიშვნა ამის შესახებ (ზემოთ, ბ ვარიანტთან); 16 მუჯის] პო, ასე აქვს Ts; 16, 27, 28 გამოვს] გამოვა T; 35 ყოფილხარ] ყყოფილხარ T; განაღამც] განამღაც T; 37 შაკლიდი] შაკლიდი T; 41 ნუ მიმიბარებთ] თითქო ხელნაწერშია: ნუ მიმიბაძებთ.

ღ.

- ჭიძლაში ივანეური რას-რა შატყობს თავსაო?
 ფშავობა გაუბედავის, დღე-შუ ლესევედის კმალსაო.
 გამოვას წინგარდაზედა, მართებდა სიათსაო.
 დედა დაუცხობს საგძალთა, მამა უბანდავს ვლანთაო.
 5 ფშავისაკ გამამართა, მახანებდის გზათაო.
 როშკას მამიდას მათეა, თურთაულათა ქალსაო.
 მამიდა მოეგებება, ტირილს ითხრიდა თვალთაო.
 ფშავისაკ გამაისტუმრა, ყინჩად დასწერდის ჯვარსაო:
 „წალმ დაწყევ, ჭიძლის გიორგიე, შენს პატიმარსა ყმასაო.“
 10 გამოვას მუჭის ლელესა, ათამამებდის კმალსაო.
 „ღმერთო, ჯუთუას შამყარე, ან ყლარტიულას კარსაო!
 მოკლულსა ჯუთუაისას ღმერთ აღარ დამდებს ბრალსაო.“
 ამასხარავებს წყემსებსა, კოცას არ ჰკადრებს თავსაო.
 ფეკით წაიყრის ჩითათა, ამობაწრავს ვლანთაო.

- 15 შეკითხვის წყმსება: „ფშაველებ სად სიბენ მთასაო?“
ემანდით ჩამეშართა, კითხულობს ფშავის გზათაო.
ჩამეს ჩამოსწევიო ცაბურთ მთიბლის ჯარსაო.
ქმლითა სცემს ყლარტიუ(ლ)ასა, ფექთ ქვეშ გაიგდებს მკედარსაო.
ჩამოვას საქობეშია, წელთით დაკეტავს კარსაო.
- 20 ზოშურაული მაუა, მუნთებს კელატარსაო.
„გამედ, ივანეურო, ნუ შამაცოდებს ჯვარსაო!“
რო იცნობს ივანეური, მაშივ გაულებს კარსაო.
წინ-წინ ეგვივ მაუქნევს, მასჭრის მარცხენა მკარსაო.
ზოშურაულმაც შამოქკრა, სისხლნიც შასხნის ქვათაო.

—

- 25 ივანეურის ფრანგულსა ქალაქ უშინევენ ფხასაო.
„სად-რა ას შენი მჭედელი? აღარ გასჭედსა სხვასაო?
ბასრი ჰყოფილხარ ფოლადი, განაღამც სჭირიდი ძვალსაო!“

—

- „ამაუქუქუკდი, მერცხალო, თავ-აღმ შაუდეგ წყალთაო,
ჯერ კვესურეთში შახვიდი, მემრ თეთრულათ კარსაო.
- 30 დელას მითქვიდი ეგვი: ქალ ნუ დაიჭრის თმათაო;
მამას მინდიას მითქვიდით, ნურას შიიდებს თავსაო;
ფშავს ივდა ივანეური, ამამღერებს კმალსაო.“

(მ.ხ.).

ამოღებულია Lის კრებულიდან. თუმცა ფორმები ფშურადაა გადაკეთებული, მაგრამ ცხადია მაინც, რომ ამ ლექსის მოამბე ხვესური ყოფილა.

მ.

- ჭიბლაში ივანეური დღე-მუე გალესავს კმალსაო.
დელა დაუცხობს საგძალთა, მამა უბანდავს ჯღანთაო.
ფშავისაკ გამეშართა, მამიდაი სწერს ჯვარსაო:
„წალმ ჩამევე, ჭიბლის ბატონო, ლთის პატომარსა ყმასაო!“
- 5 შამოქკა მუჭის დელესა, ფშაო, დაგავლებს თვალსაო.
მივა ბალღებთან, დაჯდება, კოცას არ ჰკადრებს თავსაო.
ცლითა ჰკითხავდა საწყლებსა: „მთიბლად ეინა სჯობ მთასაო?“
— „აქებენ ყარტაულასა, მაგ თვედორიას კარსაო.“
- 10 ჩამეწია ღუნ-ქვესა ცაბურთ მთიბლის ჯარსაო,
იკითხავს ყარტაულასა, მაგ თვედორიას კარსაო.
კმალ დაქკრა ყარტაულასა, ფექთ ქვეშ გაიგდებს მკედარსაო.
მთიბლებიც კარგა დაუხვდენ, მიარტყმენ თითო ქვასაო.

- შეარდა სალუდეშია, წელთით დაჰკეტავს კარსაო.
 სუ შიყრება სოფელი, გაჰკიდებს ლოლოფქარსაო.
- 15 ივანეკის დახანჯვრა ვერეინ შიიღვა თავსაო.
 წამოდგა ხოშურაული, გულ ძვირა უძე ყმასაო.
 ცალ ქელში ფრანგულს დაჰჭერს, ცალ ქელში – კელაპტარსაო.
 – „გამოდი, ივანეურო, ნუ შამაცოდევბ ჯვარსაო!“
 – „გაბრუნდი, ხოშურაულო, ნუ შამამაკლავ თავსაო!“
- 20 – „გამუალ, გამო(ვ)იმძღვარებ ჩემსა ფრანგულსა კმალსაო.“
 შავიდა ხოშურაული, შანთებს კელაპტარსაო,
 მუქნევს ივანეური, გაუქრობს კელაპტარსაო.
 მუქნევს ხოშურაული, გაავდებინებს თავსაო,
 თავს მასჭრის ბატკანივითა, მირევს ხატ(ს), ხატის კარსაო.

(Tფ).

29 ხატ(ს), ხატის კარსაო] ხატ-ხატის კარსაო T.

3.

- ჭომღას თქვეს ივანეური, დღე-შუა ლესავს კმალსაო,
 დედა უცხოზოდა საგძალსა, მამა უბანდავს ჯღანთაო,
 და უკერავდა ჩითათა, მამიდაი სწერს ჯვარსაო:
 „წალმ გაჰყევ, ჭომღის გიორგი, შენს ნაპატივარს ყმასაო!“
- 5 იკითხავს ბორბლის ამბავსა, გადასავალსა გზასაო:
 „ვერ გადავა ღურჯაი, ვერ მაჰკიდებდა ნალსაო?“
 შაკლება მუჭის ღელესა, ფშაო, დაგავლებს თვალსაო.
 დაჯდება თაწმინდის ძირსა, მწუხრისად შაჰკრავს გზასაო.
 ფეკზით ჩითათ წაიყრის, ვიწროდ ჩაიცომს ჯღანთაო.
- 10 გარდითა ჰკითხავს მწყემსებსა: „მთიბელნ სად ვითბბსთ მთასაო?“
 ჩამეწვევა ღუნ-ქევსა ცაბურთ მთიბლის ჯარსაო.
 კმლითა სცემს ყარტაულასა, კალოდ გალენწავს მკვდარსაო.
 „მჭედლურთ ჭრელუს ამბობენ ყელ-ლილიანაის ქმარსაო.
 ანამც ჩიტუსა შამყარა, ან თევდორიას კარსაო!“
- 15 შავალის სალუდეშია, წელთით დაჰკეტავს კარსაო.
 გაიგებს ხოშურაული, წელთ შამაირტყამს კმალსაო.
 მარცხნით შაიტანს სანთელსა, მარჯვნით შიშველა კმალსაო.
 თავს მაჰჭრის ბატკანივითა, შაჰრევს ჯვარ(ს), ჯვარის კარსაო.

(Rფ 167v).

ორი მუხლი აქ (5-6) ფუნჩათ ჯამრულის ლექსიდან გადმოსულა (№119, 2-3) –
 4 ნაპატივარი პატიმრიდანაა გადამხინჯებული; 13 ყელ-ლილიანაის ქმარსაო] ეს ეპი-

თეტი გაერცელებულია: მჭედლურთ ჭრელუას გარდა ასეთად იხსენიება მაგ. ელეგუჯა გუშერიშვილი (120 დ, 2) და გარა თურმანული (015,5); 17 მარცხნით შიტიანს სანთელსა] „მარცხენა ხელით სანთელი შიტიანა, რომ სალუდე არ წაებლწოვო“ R; 18 ჯვარ(ს), ჯვარის კარსაო] ჯვარ-ჯვარის კარსაო R.

ზ.

- ჭიძლაში ივანეური დღე-შუ გალესაეს კმალსაო.
ღელა უმზადებს საგძალსა, მამა უბანდაეს ჯღანსაო.
შუაღამისას მათა მოწმოს მამიდასაო.
- 5 გამაყეა მამიდაშვილი, ასწავლის ფშაეის გზასაო.
უკეენ მამიდა მაყეება, პირ-წალმ მასწერდა ჯვარსაო:
„წალმ გაყევე, თეთრო გიორგი, ფშაეს მიმავალსა მგზავრსაო!“
შამოკდა მუჭის ღელესა, ფშაეო, დაგაელებს თეალსაო.
ეთამაშება წყემსებსა, ჯოცას არ ჰკადრებს თავსაო.
„ყარტაულასამც შამყარა, ვიყირიდი იმის ჯავრსაო!“
- 10 მწუხრის ხანს ჩამოეწია ცაბურთ მთიბლის ჯარსაო.
კმლითა სცემს ყარტაულასა, გამააგორებს მკედარსაო.
შავალის სალუდეშია, წელთით დაჰკეტავს კარსაო.
გაიგო ხოშურაულმა, აღარა ზოგავს თავსაო,
მივალის სალუდეშია, წუთზე შეამტერევეს კარსაო,
- 15 მარცხენით სანთელს შიტიანს, მარჯენით – შიშეველა კმალსაო.
მაუქნევეს ივანეური, გაუქრობს კელაატარსაო.
მაუქნევეს ხოშურაული, გააგდებინებს თავსაო.

—

- აღევ და წადი, მერცხალო, შაუდეგ შავსა გზასაო,
ჯერ მიხვალ კევსურეთშია, მემრ ჭიძლას ჩემსა კარსაო.
- 20 უთხარი მამუას ჩემსა: ნუ შამაიყრის ჯავრსაო.
ღამაკელმოკლეს ფშავლებმა, ველარ გადმოვედ მთასაო.
ნუ დამიბოლებს შვილებსა, ნუ მიმიბარებს სხვასაო.
თოფაიც გამიწმინდოდენ, ნუ შამიჭმევენ ჟანგსაო.
წამოდგებოდეს ბანზედა, წამაიხვეედეს ტყავსაო.

—

- 25 ივანეურის ფრანგულსა ქალაქს უშინჯევენ ფხასაო:
ბასრი ჰყოფილხარ, ტიალო! იმით თუ სჭრიდი ძვალსაო.
სად არის შენი მჭედელი? ველარ იქამსა სხვასაო?

(X, ივერია, 1887, № 154 = ც.წ. 58).

მ.

- ამლამი ივანეური დღე-შუე გაპლესავს კმალსაო.
დელა უცხოზბდა საგძალსა, მამა უზანდავს ჯღანთაო.
მამიდა გამაისტუმრებს, ლამაზა დასწერს ჯვარსაო:
„წალმ ჩაჰყეე, წმინდაე გიორგი, თავის წულს, თავის ყმასაო!“
- 5 მალედაე ჩამეწეია ლაშარის ჯვარის ყმათაო.
კმლითა სცა ყლარტიულთა, ფეკით მაჰლაქავს მკედარსაო,
მასდედა პირ-შიშველაი, ცხერებულა სჭრიდა თავსაო,
შავარდა სალუდეშია, წელთით დაჰკეტავს კარსაო.
მივიდა ხოშარეული, შუაზე გასტეხს კარსაო,
- 10 მარცხნით კელაპტარს შაიტანს, მარჯვნით – შიშველა კმალსაო.
მაუქნევს ივანეური, გაუქრობს კელაპტარსაო.
მაუქნევს ხოშარეული, გაადებინებს თავსაო.
ივანეურის სახელი ნავით გავიდა ზღვასაო.
ივანეურის ფრანგულსა ქალაქს უსინჯვენ ფხასაო:
- 15 „ბასრი ჰყოფილხარ, ტიალო! იმით თუ ჰკენეტლი ძვალსაო.“

(V №29)

თუ რომ სხვა ვარიანტების „ხოშარეული“ აქ „ხოშარეულ“ადაა გადაკეთებული (8, 12) ერთ ფშავის სოფლის სახელთან დაკავშირებით, მაშინ უფრო სწორი იქნება: კოშარეული.

ორი უკანასკნელი მუხლი Mrსაც მოჰყავს, ოღონდ ასეთი განსხვავებით: 15 ჰკენეტლი] ჰქექავდი.

თ.

- ჭიმლოში ივანაური დღეთ-შუე გაღლესავს კმალსაო.
დელა უცხოზბდა საგძალსა, მამა უზანდავს ჯღანთაო.
შუალამისას მოუვა მოწმარს მამის დასაო,
გამოჰყვებ მამიდაშვილი, ფშავის ასწავლის გზასაო.
- 5 თავის მამიდა გამოჰყვა, პირ-წალმ დასწერდა ჯვარსაო.
შამოკლა მუჭის დელესა, ფშაო, დაგავლებს თვალსაო,
ფეკთით დაიტღის ჩითებსა, ვიწროს ჩაიცვამს ჯღანსაო,
ჩეთამამებ მწყემსებსა, კოცად არ ჰკადრებს თავსაო.
გარდით კითხულობს ამბავსა: „მთიბლებ სად სთიბენ მთასაო?“
- 10 შამყარა ყარტაულასა, – ლაფიტოპია კარსაო!“
კმალსა სცემს ყარტაულასა, გამაქანებს მკედარსაო,
შავალის სალუდეშია, შეეხვეწება ჯვარსაო.

- მაიტყობს ზოშურაული, წელზედ შერიტყამს კმალსაო.
მარცხნივ დაიტყრს სანთელსა, მარჯვნივ – შიშველა კმალსაო.
15 მოუქნევს ივანაური, გაუქრობს კელაქტარსაო.
შამოქკრავს ზოშურაული, გააგდებინებს თავსაო.

—

- „ყორანო გადამავალო, გადიხვენ ჩემნი კმანია:
ჯერ მიდი ქვესურეთშია, მემრ ჭიმლის ჩვენსა კარსაო.
მამას მითქვიდი მინდიას: „ნუ შეეჭმევი თმასაო;
20 ნუ დამიშიშვლებ ობლებსა, ნუ მიმიბარებ ცხვარსაო;
მინამ ცოცხალ ხარ, მინდიაჲ, ცოლს ნუ მიმიცემ ცხვასაო;
ეგებ გასწმინდო მალ-მალე, თოფს ნუ შემიჭმევე ჟანგსაო.“

(Go)

19 ნუ შეეჭმევი თმასაო] ხვესურები მკედარზე თმას და წვერს მოუშობენ ზოლმე,
ვიდრე სათაემასაარსავო არ მოვა (ერთი წლის თავზე).

0.

ქალაქში კმლისა მჭედლები ერთი გასდახის სხვასაო:
„ეინ იყო ამის ოსტატი? ნეტარ, აღარ სჭედდ სხვასაო?
ბასრი ყოფილა ფოლადი, მით გემით სჭამდა ძვალსაო.“

(Bu თ, №12)

ეს ნაწყვეტი სხვა ნაწყვეტებთან არის გაერთიანებული ამ სათაურის ქვეშ: „თუშის
კმალი.“ მაგრამ ამის რითმა არ უდგება სხვებისას და ცხადია, ივანეურის ლექსიდან
უნდა იყოს ჩაკერებული.

თითქო ამავე ივანეურს ეხება ერთი ფშაური ნაწყვეტიც:

021.

კმალს უთხრა ივანეურმა: კმალო, გამიჭერ, ტიალო!
მტერი მამადგა კარზედა, იქ უნდა გაგაპრიალო.
ან მოვეკლავ ან მე მოვეკდები, ცოცხალმ არ უნდა ვიარო.“

(Rფ 216)

185. კაკმატელთ მზირი ქისტეთში (U)

დაბეჭდილია ივერიაში (1887, №264). სისთვის უამბნია ალ უ და ზ ვ ი ა და უ რ ს.

– 5 ლიზან დაუდგა ცდისაო] „შულლის ნიშანი, მტერს შევეყრებიო“ U.

დაბეჭდილია Bcს მიხედვით.

187. მანგიათ ოსისფერაი (R 73)

ბ.

მანგიათ სვილის ფერაო, გამოსეირდი ბანზედა.
 არც იცი დიდურობაი, არც საკელთ იყრი მქარზედა.
 არც იცომ ახალ-ახლებსა, დაისარტყლები ტყავზედა.
 წამავა მეძაუგეი, აუღვა მზირი გზაზედა.
 გამეტლა ამხანიგებსა, ქისტი დახყულა თავზედა.

(Bd)

ვილაცამ (აღარ მახსოვს, ვინ) ეს ლექსი დაუკავშირა წვრილა წიკლაურს (რომელიც მსოფლიო ომის დროს მოკლეს ავსტრიის ფრონტზე): წვრილას ნათქამაო.

188. ბერიძე მჭედლურიშვილი (R 71)

იგივე ლექსი Rს ფშაურ კრებულშიც აქვს შეტანილი (Rფ 220). – განსხვავება: 1 შადგეს სამტერო გზაზედა] დაღგეს სამტეროს გზაზედა; 2 ნასახერები] ნასახე-ლარნი.

არ ვიცი, რა კავშირი აქვს აქ მოხსენებულს ალი მამადს იმ ალი მაჰმადთან, რომელიც Xის ერთ ფშაურ ლექსშია დასახელებული (ც. წ. გვ. 95).

189. ფულიკა (R 70)

1 აფულიკაის] შეიძლება ასეც წაეიკითხოთ: აველიკაის.

190. მინდია (Sh)

სამწუხაროდ, ჩაწერის დროსვე არ აღმინიშნავს, თუ ვისგან მაქვს გაგონილი და ახლა აბა რაღას მოვიგონებ. – 3 მინდის ბერი ხყავ ძმისაო] ე.ი. მინდიას წინათ (ძველად) ძმა მოუკლეს და იმისი სისხლი უნდა აიღოსო.

ბ.

გავვიძე, ბერო მინდიაჲ, მუკელი მაიბი მგლისაო.
 გაიყოლიე უმცროსნი, ვისაც თავი აქვს ცდისაო.

(ი. ჭავჭავაძე, კრებული, 1872, №8).

ბ.

ჩაგვიძელ, ბერო მინდიაჲ, მუკლი მაიბი მგლისაო.
ჩაგვიყოლიე უნცროსნი, ვისაც თავი აქვს ცდისაო.

(Q 39)

Qის ერთ ხელნაწერ ვარიანტში: 1 მოიბი] მოიბი; 2 ჩაგვიყოლიე] ჩაგვიყოლიენე.
Qისავე მეორე ხელნაწერ ვარიანტში: 1 ჩაგვიძელ, ბერო მინდიაჲ] ბერო მინდიაჲ, გა-
გვიძელ; 2 ჩაგვიყოლიე] ჩაგვიყოლიენე; [ცდისაო] კლისაო. [ნ. კიდევ დამატებაში. რედ.]

191. მამუკა გელდიაური (Sh)

ჩამაწერინა აბა გიგაურმა 21. 8. 1913 ს. კაქმატში. — ვარიანტები
მისგანვე გაგონილი: 2 წინა-წინასა] ძველსა, წინასა; 3 ჯერ ჭკვას გამურჩევს მამუკა,
არ-გამგონისად — რკინასა] ურჩევდა გელდიაური ჯერ ჭკვასა, შემრე რკინასა (ვარ.).
ე.ი. მტერს ჯერ ჭკუა უნდა ასწავლოვო და თუ არ გაიგონა, მაშინ ხმლის ძალა უნდა
უჩვენოვო.

192. გორგასლამ (Dj)

თუ აქ მოხსენებული გორგასლამ მეხუთე საუკუნის გორგასალია (ანუ გორგასა-
რი), მაშინ ეს ნაწყვეტი ერთი უძველესი ლექსის ნაშთად უნდა ჩავთვალოთ და იგი
ქართული მეტრიკის ისტორიისათვის ძვირფასი მონაპოვარი იქნება.

193. მტრის ვალი (O)

სათაურად აქვს: „ძველი სიმღერე“, ბოლოში კი მიწერილია: „გაგონილი.“
ეს სიმღერე თითქო იმავე ამბავს შეეხება, რასაც № 105.

ამ სიმღერის ნაწყვეტი უნდა იყოს შემდეგი ორი მუხლი, ჩაწერილი Rის მიერ:

ბ.

ცეტნი ხართ, არზოტიონნო, ბერსა გჭირსო თავის ჭკვისაო.
თუ მე რას დამიჯერებლით, ქავ მაიელივეთ ქვისაო.

(R 96)

ყმაწვილის მოკვლა ჭორმეშავს

194.

დაბეჭდილია Rის მიხედვით. — 2 ჭორმეშავის ძირ] ჭორმეშავის ძის R; 4 პირი
წახყვიან ლხინობას, რო ამაიედეს მთაზედა] „ქისტებმა თამაშობა დაიწყეს, მთაზედ რო

ავიღენნო“ R; 5 მათეა სახლის კაცებსა] დარღვეულია რითმა; პირველად ალბათ რაღაც ამგვარი იქნებოდა: მივა სახლის კაცთ კარზედა.

195.

დაბეჭდილია BCს მიხედვით. თავში ამას დაეკავებ ერთი მუხლი [„ყმაწვილ მაუკლავ ქისტე(ბ)სა ჭორმეშავის ძირ წყალზედა“], რომელიც წინა ნომრის ლექსის კუთვნილებაა. ამას სხვა რითმა მოუღის. — 1 კაქმატს ვერ გამოსცილდების] კაქმატ ვერ გამოსცილდების BC; 3 ჩამოჯიგჯიგებს] ჩამოჯიგჯიგებს BC; 4 გახნავთ ჩრდილსაო] გახნა ჩრდილსა BC.

ამ ლექსის შემდეგ ჩამწერს მიუწერია თავისი სახელი და გვარი: ბ ა ბ ო ლ ი ქ ო - კ ე ლ ო .

196. ჯოჯოლიკათა ივანე (U)

დაბეჭდილია ივერიაში (1888, №78). სისთვის უამბნია ხ ო ლ ი გ ა რ ა ბ უ ლ ს . — 7 დაბადებიდგე სრუ ბერი] „შიგ მჯდომი მოხუცი, რომელსაც ვაყკაცობა აღარ შეუძლიანო“, ასე განმარტავს U, მაგრამ დამკამაყოფილებელი ვერაა. „დაბადებიდგე სრუ ბერი“ ჩვენებურად ამას ნიშნავს: „დაბადებიდან სულ ბერი.“ როგორ შეიძლება კაცი დაბადებიდან იყოს მოხუცი? ორში ერთი: ამისი მათქვამი ან დაბადებიდანვე დახუთული ყოფილა და ბერი-კაცივით სულ შინ მჯდარა, ან არა და მას ს ა ხ ე ლ ა დ პრქმევია „ბერი“, ოღონდ ამ ლექსის თქმის დროს იგი მოხუცი ყოფილა და გადაკერით ხმარობს ორ-აზროვან სიტყვას: დაბადებიდანვე ვარ ბერიო. მე უფრო მეორე ახსნა მიზის ჭკუაში.

ამისი მათქვამი შეიძლება იგივე იყოს, რაც 194 ნომრისა.

197. სისხლი იძიეს (R 174)

5 ქორელაშურზე] ამ სიტყვას R კითხვით ნიშანს უსვამს. მე-ნ მუხლში დარღვეულია რითმა.

198. თამარისძის სისხლი აიღეს (R 156)

7 თამნაურსა] „ამ თამნაურს (გუდამაყრელი ყოფილა) ორმოცი ხევსური ჰყოლია მოკლული“ R; 9 ჩვენდ იყავ კაის მაქმედი, ახლა შენც მაგიწვდინაო] „ერთომ, ჩვენ ბევრი ზიანი მოგვეცი და ახლა კი გადაგიხადეთო“ R; 14 თამარისძესა მძებნელ დაშწ არავინაო] თამნაურს თამარიძე მოუკლავს, თურმე არხეინად იყო, — იმას ნათესავი არ დაპრჩა, რომ სისხლი აიღოსო. ამ თამარიძის სისხლი ბერაიშვილსა და ბალააურას აუღლიათ“ R.

199. ჭრელას სისხლი იძიეს (U)

დაიბეჭდა ივერიაში (1888, №80). სისთვის უამბნია ბადია ბალიურს. – 7 დაკრნეს] სს აქეს „დაკრნეს“, მაგრამ წარყენილი უნდა იყოს. არც „დაკრნეს“ არის უკეთესი, შეიძლება „დავლნეს“, ან „დაძრნეს“ ვივარაუდოთ. – 9 შუ უდის სისხლის წყალიო] „დიდი ხნის მტრობა აქეთო“ ს.

200. ლადუმი (Sh)

ჩამაწერინა ყ უ ღ ა ჯ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ მ ა, უკენ-აკოელმა, ფუძის ანგელოზში 17. 8. 1913.

როდესაც ეს ლექსი აბა გიგაურს წაუეკითხე, მან მითხრა: „ეგ ჩვენი არ არი“ო, ე.ი. ხევსურული არ არისო.

ეს ლექსი ნაწყვეტი უნდა იყოს №179-ისა, როგორც არკვევს ერთი მისი ვარიანტი (179 ბ).

201. თათრების დასხმა ფშაველთ ჯოგზე

დაბეჭდილია Tის მიხედვით. იგი უამბნია მისთვის ბერდია არაბულს. ლექსი წარმოშობით ფშაურია, როგორც ვარიანტებიც კმოწმობს:

ბ.

- ამბობენ ბორჩალოშია, ვეჭობ, იყრება ლაშქარი,
არჩევენ კაი ბიჭებსა, ან კაი ცხენებ სად არი.
შინაც შაჭამეს სადილი, თანაც ჩაიდვეს საგძალი.
მიდიან კითხვა-კითხვითა: „ივანეს ბინა სად არი.
5 არ ექნებაა სტუმრები, არ იქნებაა დამთვრალი?“
ივანემ უთხრა ჩოხნებსა: „ბიჭო, ჩვენ ცხენებ სად არი?“
ადგა, წავიდა ივანე, წელზე გააყვება ხანჯარი.
ის რომ ცხენებსთან მივიდა, გადმოჩნდა თათრის ლაშქარი,
„ახლა კი დაგერჩი კელადა!“ იქით ეძახის თათარი.
10 – „მობძანდით, თათრის შეილებო, ივანე უფრო მზათ არი.“
ივანემ ცხენებ დააფთხვა, ბინაში მოდგა ყათარი,
მოდგა და მაყვა კიდეცა თათრის ურჯულოს ლაშქარი.
საცხენის კარზე ჩაუდგა, რკინა ყოფილა მაგარი.
ივანე აქიმიშვილი ვეფხვია, ველის კანჯარი.
15 კელ-ლა-კელ შამაუარდა ერთი რჯულ-ძაღლი თათარი,

- კმალ პირით შამაუქნია, დაუჭრნა უბის მასრანი.
 ივანეს კმალი არ შარჩა, წვერ-წალმ იქმარა ხანჯარი.
 ნაწლევს დაიჭერს კელითა, პირქე წაიქცევა თათარი.
 ომია გაძლიერებული, ბინამ დაიწყო ღგანღგარი.
- 20 „მოდი, გაგებრუნდეთ, წავიდეთ“, – ურჩევს ერთ ბებერ თათარი, –
 „ჩვენ მაგას ვერას წავართომთ: კაცი სჩან ერთზე დამღვარი.“
 გაბრუნდეს, გამაისტუმრნა, მწარე ჩაუღვა საგძალი.

-
- ემაგ ლექსს გამოგიგზავნის ღედიძისშვილი ქავთარი.
 ნურც შენ შაირცხენი, ივანე, შენაც მიყიდე ხანჯარი.
- 25 სახელიც არი, მადლიცა, – ღარიბ კაცი ვარ, საწყალი.

(Shi).

მიამბო ხ თ ი ს ო კ ა რ ა ტ ი ე ლ მ ა, უკენა-ფშაველმა, 4.7.1911 ლაშარში. – ამ
 ლექსში მოხსენებული ივანე გვარად გაბიდაური ყოფილა, რომელიც მამისშვილობით
 აქიმიშვილად არის წოდებული; 17 ივანეს კმალი არ შარჩა] ცხენებთან რომ წასულა,
 არ ჰქონია თან; 21 ერთზე დამღვარი] გაუტეხელი, გულადი, მამაცი; 22 მწარე ჩაუღვა
 საგძალი ე.ი. კაცი მოუკლა; 24 ნურც შენ შაირცხენი sc. თავს.

ბ.

- წამოდიოდა გულ-და-გულ ათი-ხუთმეტი თათარი.
 შინ ცოლებს აბაგ დაუგდეს: „კარგ დაგვახვედრეთ ვახშამი.“
 კარ-და-კარ. კითხულობდიან: „ივანეს ბინა სად არი?
 ანამ არ ექნებ ღვინოი, ანამ არ იქნებ დამთერალი?“
- 5 ივანე ბაღსა ეტყოდა: „ბაღლო, ცხენები სად არი?
 ივანემ ცხენებს დაურბინ, ბაკის კარ მოღვა ყათარი.
 ეუბნებ ამხანაგებსა ერთი მოხუცი თათარი:
 „მოდი, დავექსნეთ ივანეს, – რკინა ყოფილა მაგარი!
 წუხელ რომ სიზმარი ვნახე, ფინთად მოვევიოდ ხაბარი.“
- 10 არ დაიშალა რჯულ-ძაღლმა, იფიქრა: „არ მყავს ყადარი.“
 კმალი დაუქნი ივანეს, დაასხეპინა მასრანი.
 ივანეს კმალი არ შერჩა, წვერ-წალმ იქმარა ხანჯალი.
 ორ იქვე წამოაქცია, მესამეს გაჰყვა ნაჭარი.
 რად არა ჰფიქრობთ, ფშაველებო, ამთენ თოფის კმა სად არი?
- 15 რად გინდათ ვერცხლის ხანჯლები? ცოლებს დაჰპარსეთ ფაჩარი!

–

მაგ ლექსის მოლექსებელი შენ ღედის-მმა ვარ ქავთარი,
 სალექსოდ გამოგიგზავნე შენ მოკლულ თათრის ხანჯალი.

თუ იმას არ გაიმეტებ, შიშაკს ასხლიტე ბატკანი.

მე ყველა დამეჭირება, – ბეჩაეი ვარ და საწყალი.

20 არც კი ისეთი საწყალ ვარ, რომ არ მომეკლას თათარი.

(გ. ბოჭორიძე).

ჩაწერილი ყოფილა ს. ქუმელაურთაში 1902 წ., 15 მკათათვეს (ნ. „თუშური ლექსები შეკრებილი 1902 წელს“: საისტ. და საეთნოგრ. საზოგ. ხელნაწერი №2008). – 14 რად არა] რადარამ (ბოჭ).

202. ქურდობა არ შეარჩინეს (Gs)

1 ჩამოტეხნას ღგაე] ცამოტეხნას ჰგავ Gs. – ჩამწერის თანახმად, „ეს არის იმაზე, რომ ქისტებს ქურდობის დროს დახვდეს გზაში და დაჯოცეს ორი კაცი, ქისტი, იმ ბაბუნურის შვილმა თათარამ და მე(ო)რე მეზობელმა ბაბუა ბეეიტაშვილმა (ახლა ის(ე)ები ორივე მკვდარია). ბაბუა ბეეიტას ძე წიკლაური გადაიკვალა, იქნება 30 წელი. თათარა ბაბუნურის ძე ჭოლიკაური ანუ წიკლაური გადაიკვალა 1917 წელს. ხყვანდა მას მაკლული ქისტი 4-5 კაცი.“

203. დაავიწყეს ცხენის მოპარვა (Gs)

1 ბრძანებათ აქე] ბრძანება იაქე Gs. – „ეს ქისტი იყო გათქმული ყაჩაღი, წამაივდა საარხვატოდ. იქ ერთი კაი ცხენი იცოდა, ლურჯა, არხოტში. ისი ცხენი უნდა მოეპარა, ის იყო მის მიზანი და რო მავიდა ქისტი თავისისა და არხოტის მიჯნაზე, შახვდა იქ ერთი არხოტიონი (მან ისიც იცოდა, რომ ის ქისტი მიდიოდ იმ ცხენის მასაპარავად). იმ არხოტიონმა, როგორც დაინახა ქისტი, მოსცხა თოფი და ქისტი დაეცა ძირს. თვითან კი წაეიდა სახლში. ვერეინ გაიგ, ვინ მოკლა. ეს გახლდათ, რომენიც ზეეით ავღნიშნე ბაბუნური, ჭოლიკაური“ Gs (მდრ. №71).

204. ქისტების დასხმა ფშავლების ცხვარზე ანდარუყოს მეთაურობით

დაბეჭდა „საქართველო“ში (1916, №240) ა რ ხ ო ტ ი ო ნ მ ა (მ. შ ა მ ა ნ ა უ - რ მ ა?). მისი სიტყვების თანახმად: „ერთხელ ზაფხულში, როდესაც კალოთანის ახლო-მახლო მთებში ფშავლების ცხვარი სძოვდა, კალოთანაში მოვიდა ქისტების ყაჩაღთა ბრბო, ვინმე ანდარუყოს მეთაურობით, და მოსთხოვა გიორგისა და კვირიკა ქიბიშაურებს ესწავლებინა მათთვის ცხვრის ბინა და თითონაც დახმარებიყვენენ ცხვრების მოტაცებაში. მართლაც ქისტებმა ძალად წაიყვანეს ძმანი ქიბიშაურნი საყაჩაღოდ, მაგრამ გზაზედ ძებმა ჩახოცეს ყაჩაღები, რის შემდეგ მთელი სოფელი იძულებული

იყო აყრილიყო თავიანთ ადგილებიდან, მამა-პაპის ადგილისა და ძელებისათვის თავი დაენებებინათ და ბარად ერჩინათ თავი, რადგანაც დახოცილთა ნათესაუებისაგან სისხლის ძიებისა ეშინოდათ. აი ამ კალოთანის გმირებზედ არის ნათქვამი ორი ლექსი“ (№№ 204, 206). – 1 ბარით] საქ.ში დაბეჭდილია: ბარათ; 4 უბეს ჩაიცვა სუდარი] შეცთობაა კორექტურული, „საქართველო“დან აქ გადმოყოლილი, უნდა: უბეს ჩაიდვა სუდარი.

ლექსის მათქვამი ხატის მსახური ყოფილა: ხუცესი ან დასტური („ბეღელს გავაწყვენი ქვანია“). ჯიკვის რქებს რომ ითხოვს სალექსოდ, იგი ბეღელზე დასაკრავად უნდა, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა მთაში.

ამისი ვარიანტია მომღვენო №205.

205.

დაბეჭდილია Bის მიხედვით. – 5 დიჩიმ] ასე აქვს Bს; იგი ამას უდრის: დიჩინე, დიჩინო; 13 ბვერი აქვ] ბვერ იაქვ B.

Bის მოწმობით, ეს ლექსი ნათქვამია მინდია წიკლაურის მიერ.

ეს ლექსი ვარიანტია წინა ნომრისა და შეცთომით ძირითად ფონდში მოხვდა. სხვა ვარიანტი კიდევ:

ბ.

წამოვა ბარით დიღლელები, დიდი დგა საუბარია;
მოდიან, მოკითხულობენ: „ფშაელებს სად უდგა ცხვარია?“
შამოკდენ კალოთანაში, თვალ-შუალამის ხანია;
წამეეგებნეს ხირსილნი, მარტიაიშვილნი ძმანია.

- 5 დიღლურად ხკითხეს ამბავი, ერთ-ურთს დაუცეს თვალაი;
მაუვლენ დედის ერთასა: „შენაც გვიჭირე მკარია.“
ემზადა დედის ერთაი, ვეფხვმა შაისხა პწკალია.
უერთოდ არ დაბრუნდების ობლის გაღესილ კმალაი.
ღვედრება ამოდოდა: „ქიბიშაურთა ვარია.“
- 10 გიორგიმ ანდარუყოსა არ მისცა ომის ხანია...
კმა გატყდა საურჯულოსა: „ნეთხას შაქენსა კარია:
დახკარგეს ანდარუყოი, ვეღარ მაქელეს მკედარია.“

—

- ემა ქართულის მოთქომმა ბეღელს დაეასხენ რქანია,
დავაკარ ბეღლის კუთხესა, შორით მავბას თვალაი.
- 15 არ მაეშლი შენსა ქებასა, საცა დასხდების ჯარია.

(T, დ ა ვ ი თ ლ ი ქ ო კ ე ლ ი ს ა გ ა ნ გ ა გ ო ნ ი ლ ი).

დაბეჭდილია არხოტიონის (მ. შამანაურის?) მიხედვით (საქართვე. 1916, №240). 3 კრაველან] „გიორგი და კვირიკას ხუჭუჭი კრაველივით თმა პკონიათ და ეძახდენ კრაველიანს“ (არხ.); 4 ოქმში წინ, ოქმში უკენა] საქ.ში დაბეჭდილია: ოხშამი წინ, ოხშამი უკან (შეიძლება ასეც შეგვესწორებინა: ოქშამთ წინ, ოქშამთ უკენა, როგორც გვარიანტშია); 15 კარნი უღელში ღბანა] „იგულისხმებიან კვირიკა და გიორგი“ (არხ.); 18 ბაბილის ნიამა] საქ.ში დაბეჭდილია: ბაბილოს ნიამა (!!!).

ლექსის ტენიკის თვალსაზრისით საუკეთესოდ გამართული ნაწარმოებია.
გ ა ს წ ო რ დ ე ს ბ ეჭვვის შეტომა: №12 მგელაი] უნდა: მგელაის.

ბ.

- მამაძაღლები ქისტები სრუ საქურდალად დიანა.
წამაველენ კალოთანის კორკ, ბინაზედ დადებინანა.
უნდ დარეგენან წყეშები, ცხერისათვინ დაერიენანო.
კვირიკამ თაე-კრაველიანმა თოფიც არ დააგვიანა,
5 დაუკოციან ოროლნი, როგორ დაკერიტნა ტყვიამა?
მარტიათამა გიორგიმ საჩქაროდ წამაიარა.
ქელით თოფ წამაიყოლა, ჩაუსვა, ჩაატიალა.
არ სწყალობს მგელაის თოფსა: ნამტვრევემ გადაიარა.
მესამემ მშავლის გაზღიღმა ბერდენკა მოუწყრიალა.
10 დაგვიკრა ანდარუყოსა, სიმიტველივ დაატრიალა;
ცხვარს ნარდად ევაჭრებიან, სრუ იმან დააზიანა;
ზოგნი ფულს ანგარიშობენ, ზოგნი იარაღს ხყრიანა.
ზოგნი ამბობენ: დავდმარხნათ, ზოგნი ტოტით ქვიშას თხრიანა.
ველარ დაქელნას პატრონმა, ამ ზაფხულ დაუქნას ჭიამა.
—
- 15 ეგ ლექსი გამოგიგზავნათ ღულით ბაბილის ნიამა.
გაიგა თქვენი ნაქნარი, აღარც-რა დააგვიანა.
გარმაიტანა ფანდური, ჩახკრა და ჩააურიალა.
გამამიგზავნეთ ხანჯარი, კევსურებს მოვეურიალა.
შორად სიარულ არ მინდა, — სრუ ჩვენს ჭვალაზედ დიანა.

(Sh).

ჩამაწერინა სიმონ გაბურმა 3.5.1913. — Gs-ის სიტყვით, გიორგის ჯგერი სჭირდა ქისტებისა: გიორგის ქისტური კარგად სცოდნია და შეეტყო გამოკითხვით, რომ მის ბიძაშვილისთვის, მგელასთვის, თოფი ანდარუყოს დაეკრა, რის გამოც მგელას

ხელი ჰქონდა გაფუჭებული. ამ მგელაის თოფი ჰქონდა თან იმ დროს გიორგის, როცა ქისტები ფშავლის ბინაზე მოსულან ვითომ ცხურის საყიდლად, მაგრამ ნამდვილად თითქო დასაცემად.

ბ.

- ცდა უნდა აეგითასა, რო კრავლიანნი ცდიანო!
ოკშამთ წინ, ოკშამთ უკენა საბაკეს სისხლით სვრიანო.
გიორგიმ კრავლიანათამ აღარა დააგვიანო,
დაგვიკრა ანდარუყოსა, ტარივით აატრიალო.
- 5 უყურეთ ფშავლის გაზდილსა: ბერდენკა შააწყრიალო,
დაგვიკრა ანდარუყოსა, ტარივით აატრიალო.
ერთი ნასრევით ოროლნი საით დაკვრიტნა ტყვიამა?
აეგ ლექს გამაგიგ ზავნათ ღულით ბაბილის ნიამა.
სალექსოდ შავხლის ხანჯარი, კეესურებს ჩაუპრიალა.

(Bd).

დ.

- ქისტეთით ქისტებ წამოვლენ, საგძალ ჩაიდვეს ზიარა,
გადმოვლენ საფშავლოშია, საქურდნელადა დიანა;
კალოთანაის კორქია ფშავლის ბინაზე ჰყრიანა.
ქისტმა თქვა ანდარუყამა: „ცხვარს უნდა დაუვრიალა.“
- 5 გიორგიმ კრავლიანათამ აღარა დაუგვიანა:
ორ ქისტ გაკვრიტა კელადა ერთხელ ნასროლმა ტყვიამა.
ჯღღუგამაც უძილაურმა პატრონა ჩააწყრიალა.
თოფ დაკრა ანდარუყასა, წალმ-უკულმ დაატრიალა.
ზოგთა თქვეს: „ზოგში ჩავჰყარნეთ, ზოგნი მიწასა სთხრიანა.“
- 10 ზოგნი ფულს ანგარიშობენ, ზოგნი იარაღსა ჰყრიანა.

—

ეგ ლექსი გამოგიგზავნათ ღულით ბაბილის ნიამა.
თქვენგან ქისტების დაკოცა, ღმერთმა იცოდას, მიამა.
ერთ ხანჯარ გამომიგზავნეთ, რო ქისტებ დავაზიანა.
აე-ჩაესა მუასწრობ, ჩვენის ჭკლისას დიანა.

(Shg).

მიაბზო ხ ვ თ ი ს ო ქ ი ს ტ ა უ რ მ ა მ აღაროს-კარში 3.10.1913. — 8 დაჰკრა]
მოამბემ უფრო ასე გამოთქვა: დაჰკრა.

207. კავა ნაროზაული

დაბეჭდა საქართველოში (1916, №240) არ ხო ტ იონ მა (მ. შამანაურმა?), რომელმაც ასეთი შენიშვნა წაუძღვარა: „ს. ახმეტის ახლო კვერნაძეულში ცხოვრობს ერთი ღრმად მოხუცებული 90 წლის ხევსური, კავა ნაროზაული, ქისტების წყალობით არხოტიდამ გადმოსახლებული. აი ამ კავაზულ გამოთქმული ლექსი, როდესაც მან ქისტებს თავისი საქონელი დააყრევინა.“

208. სულხანაური

ჩაწერილია პავლე შანიძის მიერ 1922 წელს. ბოლოს აწერია: მ გ ე ლ ა ლ ი ქო კ ე ლ ი, რომელიც უფრო მოაბე უნდა იყოს, ვიდრე მათქვამი. პავლე სიციცხლეშივე ეს ლექსი გადმოვიწერე მისგან. მანვე ჩამართვეინა ორი მუხლი (8 ნათქომი არის... და 9 წყლის სამ...), რომელიც მის ჩანაწერში არ იყო, მაგრამ ზეპირად ახსოვდა; „ნეტარ ვინ ეტყვის აბავსა“] ეს სიტყვები (მ. 28) ქალაღის განაკეცზე მოხვედრილიყო და, ჯიბეში ტარების გამო, გადალეულიყო; აღდგენილია პავლეს მეხსიერების თანახმად. — ბეჭდვით შეცთომათა შე ს წ ო რ ე ბ ა: 9 გაბანდავს] გალბანდავს; 15 ჩამალაღეღეს] ჩამალაღეღეს; 22 ვინა რა] ვინარა; 35 ცოცხლისად] ცოცხლოად.

სულხანაური შვილი იყო გოგოჭურ ჯინჭარაულისა, რომელსაც ყველა იცნობდა, ვისაც ბარისაზოში მოუხდებოდა მისელა: ყველას იზიდავდა მისი სტუმართმოყვარეობა. სულხანაური მოკლეს 1921 წ. ზაფხულში.

6 მოლაის სისხლით ნაღებსა ხანჯარს გაუწმენდს ფხასაო] სისხლის აღების მიზნით სულხანაური მითხოს გადასულა, მოლა მოუკლავს, მოუჭრია თავი (ჩვეულებრივ მარჯვენა ხელს სჭრიან ხოლმე) და გადმოუტანია. მაგრამ რადგანაც მოლა სხვა გვარისა აღმოჩენილა, ვიდრე მესისხლე იყო, ამიტომ ხელმეორედ გამოზავრებულია შურის საძიებლად და შატილს ქვემოთ შეცთომით ხევსურისათვის დაუკრავს თოფი; 15 ბუსურბნის ტალავარასო] სულხანაური აბას ტანისამოსს შეუცთვნია: ჩაცმულობაზე მას ქისტი ჰგონებია და ხევსური კი შემოკედლობია; 26 დაგთოფეს კისტნის ჭალასა] სულხანაურს შატილივინების მღევარი გამოუდგა, გზა მოუჭრეს და კისტნის ჭალაში მოკლეს; 29 ნათულას აბავს ნუ ეტყვიო, თორო მოიკლავს თავსაო] სულხანაურის სიკვდილი ვერ აიტანა მისმა ბიძაშვილმა ქალმა, ნათულამ, და თავი მოიკლა; 33 მეღიცის აფიცარასო] სულხანაური მილიციის უფროსად იყო იმ ხანებში ხევსურეთში.

სულხანაურის შესახებ ნ. კიდევ №.№209, 264, 538.

ბ.

გაგმართებ, ჩემო ფანდურო, ახალს ჩაგიდებ ლარსაო.
რას ფიქრობს სულხანაური, რო ბედავს ველობასაო?
წამავას სამითხოვოდა, ქისტებს მათვლებს თვალსაო.

- ანატორაში ჩავიდეს თვალ-შუალამის ხანსაო.
- 5 მავიდეს შატილიენები, ჩამოლლალევედეს ცხვარსაო.
ნუ იცვამ, გიგიაშვილო, ქისტების ტალავარსაო,
შაგხედების სულხანაური, გაფერებს ქისტის ყმასაო,
დაგლიშნებს, არ დაგარიდებს, გაიღებს თოფი კმასაო.
„შვილო, ვინა გკლავს, აბაო, ვინა-რა მხურავს ცასაო?
10 მამა-შვილობით ვიყრებით, რას მამობინებ თვალთაო.“
მემრე მა შატილიენებსა ბევრად ვერა ვზღებ ბრალსაო.
შაგიკერენ, სულხანაურო, მალლა მთას, დაბლა ბარსაო,
დაგთოფვენ კისტინის ჭალასა მზე-ამადენის ხანსაო.
თოფ დაგკრეს, მთისა არწივო, შამაიჭუჭკა(ვ) მქართაო,
15 ვინ-რა მიართომს აზბავსა შენსა დედასა, დათაო?
ფერ ახკდა, სულხანაურო, შენსა სახლსა და კარსაო,
ციხეს ლამ-კირით ნაგებსა, ქვაზედ ნადებსა ქვასაო.
აღარ დაუდის სტუმარი დედა-შენს თამიასაო,
აღარცა მელიციენები მელიცის აფიცარსაო.
- 20 მე წინა(ვ) გითხარ, სულხანო, ღრიდე სისხლიანს გზასაო.
ძველთაგან მოდის ანდრეზად: „კოკა სრუ არ ზიდს წყალსაო,
წყლისა ზიდენაში გატყდების, დეერეკების ქვასაო.“
ქვესურ ღთისიკა გეტანა, ერთ მშაველ გჭურდა მქარსაო.

(C).

სს გაუგონია ში შია ქერაული საგან 11.7.1925. — 15 ახკდა] აქლა C.

209.

გადმობეჭდილია Thიდან (გვ. 198). — 31 გუდელას დამწა ციხეი] ეს ციხე ახალ-
აგებული ჰქონდა სულხანას.

210. ფუტკრის ქურდი (Sh)

მათქვამი („ღულჩი ქვესურის შვილი“) შეიძლება იყოს ბაბილთ ნია.

ამავე საგანს უნდა ეხებოდეს №№213, 214.

[„მიამბო მგელიკა აპარეკას ძე ქისტაურმა ფუძის ანგელოზში 17. 8. 1913.“
მიწერილია ა. შანიძის ხელით. რედ.]

211. ქისტების დასხმა თუშების ცხვარზე (Sh)

ჩამაწერინა ბათაკა ჯინჭარაულმა 17. 6. 1911 ს. ბარისაკოში. — 4 გულ-
კადარ იყავ ბელადი] ასე მაქვს ჩაწერილი, მაგრამ, როგორც ახლა მგონია, ასე უნდა

იკითხებოდეს: გულკადარი ხყავ ბელადი: ალბათ, მოამბემ უკანასკნელი ხმოვანი პირე. სიტყვისა შემდგომ სიტყვასთან დაკავშირებით თქვა, ხმის გაძლიერებით, როგორც ეს ჩვეულებრივია ხევსურულში (შდრ. ამის შესახებ ჩემი შენიშვნა ბ ე ს . გ ა ბ უ რ ი ს მიერ ჩაწერილი ტექსტების შესახებ („წელიწადული“, გვ 336); 25 დაღისტანს შადღევს ზარია] ზოგ ცალში კორექტ. შეცთობა გაიპარა, უნდა: დაღისტანს შაზღევს ზარია.

ბ.

- ვინ იყავ, რომენმ იამბე, ჩათმამი თუშის ცხვარიო?
დალაღეს მოციქულები „ჩათმას დაავლი(თ) თვალიო.“
მავიდეს დახარებულნი: „დიდია საშოვარიო.“
შულამის ხან რომ მავიდა, ჩათმას დახურნეს ცანიო.
- 5 გიორგიმ უთხრა გიგასა: „მზო, წაგვისხეს ცხვარიო.
რა ვქნა, ხარ ბატარაიო, – ეა, თუ ვერ მიჭირ მქარიო!
მიუღის ჩვენებ ქეჩები, ვეფენებს გააქვის ჩქამიო,
ყუყუნით მიზღვეს ძაღლები, სრუ იძერის მთა და ბარიო.“
ცხენს შასხდეს უთურის შვილნი, ლაღნი არწიენი ჩქარნიო.
- 10 თავს წამახყარეს ლაგმები, მიანებნიან გზანიო.
ჩობანახისას წავიდეს, მარცხნივ აართვეს მქარიო.
გათუნდა, გაჩნდა თუშეთი, შორ-ახლოთ უყვეს ძალიო.
ომ იქნა ღვეკის წყალზედა, სისხლსა წვიმს, ზეთი დარაიო.
მაღე დაგვიკრეს გიგასა, გიორგის მასტყდა მქარიო.
- 15 გიორგიმ უთხრა გიგასა: „მზო, მწეურიელ ზარიო.“
ზუთნი შასწირნა გიგასა: „მაუტანიდი წყალიო.“
ზუთნი თავის თავს შასწირნა: „იყენიდი(თ) ჩემნი ყმანიო.“
მემრ კი გიორგის დაგვიკრეს, მანძილა დასცეს კარიო;
უთურიშვილის ლურჯაო, დიდხან ცოცხალიმც ზარიო!
- 20 მეღანქრი(თ) გამოქცეულმა თუშეთ ჩახყარენ კმანიო;
მარტუამ ამაიარენ გძელნი ქიზიყის მთანიო;
პირით მაგქონდა ლაგამი, გიხანდებოდეს გზანიო.

–

ამაგის მალექსებელი აღვანში თუშის ქალიო.
სალექსო(დ) შამიკრიფილით კვამლა(დ) შიშაქი ცხვარიო.
(O).

ბ.

ვინა თქვა, ენა ვის გაქმა: „ჩათმაჩი ბევრი ცხვარიო?“
დალაღეს ყარაულები: „ჩათმას მავალით თვალიო.“

- მეიდეს დალაღებულნი: „ბერი ას საშოვარიო.“
 იყრების ბელანქარჩია მძიმე ურჯულოს ჯარიო.
- 5 მქარსა სჭურს ჭარულთ შვილები, ეგიც ბელანქრის მქარიო.
 ლეკებს არა ხყავ ბელადი, აღაზანს გამომქდარიო.
 ხუთშაბათ გათუნებადა ჩათმას დახურნეს ცანიო.
 გამაბბრუნეს ლეკებმა თოთხმეტი ფარა ცხვარიო.
 ჩაულის ჩვენებ ქეჩები, ეყვენებს ჩააქვის ჩქამიო.
- 10 ყუილით ჩახყვა ძაღლები, ღმერთს შასწედა ცოლო-ბრაღიო.
 „არ მიგვესვლების თუშეთა, წელზედ რად გვინდა კმაღიო?
 დაგვეკეთების სამძახი, არ მოგვეცემის ქალიო.“
 თაოდ შახკაზმა ლურჯაი, ზედ შაჯდა ნიაე-ქარიო.
 „მატარაი ხარ, გიგაო, თუ ვერ მიჭირე მქარიო.“
- 15 – „მქარ ვერ გიჭირა, გიორგი, დამარქვი კახის ქალიო.“
 ჩამადახისას წაყიდეს, მარცხნი უქციეს მქარიო,
 ცხენებს დახყარნეს ლაგმები, გამაანებეს თავიო.
 შუას ჩათმაჩი მასწრეს, არ დაანებნეს გზანიო.
 ომობენ უთურგიშვილნი, დაღისტანს შაზღვეს ზარიო.
- 20 გათენდა, იქნეს თუშები, შორ-ახლოს უყვეს ძალიო.
 ბელანქრის ბოლ'მდე მიზდიეს, მკვდარზე შახყარეს მკვდარიო.
 თოფი დაუკრეს გიგასა, გიორგის მასტყდა მქარიო.
 „ვაიმე, ძმაო გიგაო, მწყურთილაიც ხარიო!“
 დახკრა, შასწირა გიგასა: „მაუტანიდი წყალიო!“
- 25 ორნი თავის თავს შასწირნა: „სულეთში მყვანდით ყმანიო!“
 ორნი შასწირნა ბინასა: „ხვეტეთ ფარეხის კარიო!
 თანაც გახყვიდით წყემსებსა, მაუბრუნდით ცხვარიო!
 ჩაუსვარიდით ძაღლებსა, ჭადზე დაუსხით წყალიო!“
 გიორგის ბალთა-ყაწიმთა აასხეს სისხლის ცვარიო.
- 30 დახკრეს და არ დააჯერეს: „მანძილაე, დასხენ რქანიო!“
 ცხენო გიორგის საღარო, დიდხან ცოცხალიმც ხარიო!
 მარტუამ შამაიარენ გძელნი ქიზიყნის გზანიო,
 პირით მოგქონდა ლაგამი, გიხანდებოდეს გზანიო.
 კმაი გასტეხეს თუშეთა: „ჩათმაში დასცნეს ცანიო,
- 35 გაჩინდეს ბელანქარჩია გიგაის ვაცის რქანიო.“
 უხარის ლეკის ქალებსა: „მოლაღეს თუშის ცხვარიო.“
 ნუ გიხარიათ, ძაღლებო! თქვენც მონა გადგასთ დარიო, –
 ბევრაის დედა სტიროდათ, ბევრა გახქერიდათ ქალიო.

- 40 ამაგის მალექსებელი ალვანჩი თუშის ქალიო.
არც მე ორ გალაღებული, – მეც იქ მამიკლეს ქმარიო.
კელჩი მიჭერავ წინდაი, ჩამამდის ცრემლის ცვარიო.
გიორგაი და გიგაი ბიძაშვილ იყენეს, ძმანოო.

(C).

გაგონილი ში ში ი ა ქ ე რ ა უ ლ ი ს ა გ ა ნ 14.7.1925. – 21 ბოლ'შდე] ასე აქვს Cს;
29 ბალთა-ყაწიმთა] ბალთა-ყაწინთა C.

ასეთი დაწყება ლექსისა (ენის დაწყევით) სხვაგანაც გვხვდება, მაგ. „ვინა თქვა, –
ენამც გაკმება! – ტერელოს ბევრი ცხვარია?“ (Tფ). რადგანაც წყველა მარტო Cს
გარიანტში არის, ამიტომ შესაძლებელია იგი სხვა ლექსიდან იყოს გადმოსული.

დ.

- იყრება ბელანქარშია მძიმე ურჯულოს ჯარია.
დალაღეს მაციქულები: „ჩაქმას დაველეთ თვალია.“
დალაღებულვებ მოდიან: „ბევრია საშოვარია.“
ჩამამჯდარიყო ჩაქმანჩი ფარა-ფარაი ცხვარია.
- 5 შუალამის დროს დასციან შუა ჩაქმანჩი ცანიო.
გაქერჩეს მაგათ ქერები, ეყვნებმ გაიღეს ჩქამია.
გიორგიმ უთხრა გიგასა: „მშაო, წაგვისხეს ცხვარია.
მქარსაც ვერ მიჭერ, გიგაო, ბატარიკაიც ხარია.“
– „მქარ თუ ვერ გიჭირ, გივარგი, დაძქევიწით კახის ქალია!
- 10 შახკაზმა ნისლის ფერაი, ზედ შაჯდა ნიაე-ქარია.
„გაბედე, ჩემვ ღურჯაო, თუ გიქრის საომარია!
აგებ დამწია უკენა, საც მოდის ჩემი ცხვარია.“
წავიღეს გრანჯაისასა, მარცხნივ აართვეს მქარია.
ომობენ უთურგიშვილნი, გიგა, გიორგი ძმანია.
- 15 ომი ქნეს ბელანქარშია, კალოდ გარიყეს მკედარია.
თოფი დაგვიკრეს გიგასა, არწიეს მასტეხეს მქარია.
„აიძე, ჩემო გიგაო, მწყურთილაიც ხარია!
სამი შასწირა გიგასა: „სულეთ მართვით წყალია!“
ერთა შასწირა ძაღლებსა: „მჭადზე დაუსხი წყალია!“
- 20 ერთი შასწირა წყემსებსა: „უხვეტე ბინის კარია!“
ხუთი თავის თავს შასწირა: „სულეთ მეც მინდან ყმანია.“
ეხლა გიორგის დაგვიკრეს, მანძილამ დასხნა რქანია.
უხარის ლეკის ქაღებსა: „მასხეს თუშის ცხვარია.“
რად გიხარიანთ, ქაღებო? ბევრა დახჭერივდით ქალია,

—

ამაებისა მათქომი ალვანჩი თუშის ქალია.

(T).

8 გიგაო] გიორგი T; 13 გრანჯაისასა] ალბათ იყო „გრანჯაისასა“ და იქიდან გადმოკეთდა (იმის გამო, რომ გრანჯა კაცის სახელია ხვესურეთში); 21 ხუთი] თუთი T.

მოიპოვება კიდევ სხვა ვარიანტებიც: ორი ჩაწერილი დ. მოლოდინაშვილის მიერ ს. ბაზალეთში და დაბეჭდილი ივერიაში 1899 წ. (№131: „თათრებში ჩამოსულიყო შვიდი ბელადის ჯარია“; №154: „თუშები თათბურში იდგნენ, იქ დაეყენათ ცხვარია“) და სამიც თუშური, რომელთაგან ორი დაბეჭდილია (Al კვალი, 1897, № 49; Bu №74) და ერთი დაუბეჭდავი (R თ, 255).

212. ყაზიბეგიანთ ცხვარზე დასხმა (R 148)

ორ უკანასკნელ მუხლში (რომელიც ხაზით უნდა იყოს დაცვილებული სხვებისაგან) მათქვამი ბულეჯანს სალექსოდ ხანჯარს სთხოვს, ან ჩოხას.

213. ცხენების წასხმა ზენა-მკრიდან (R 81)

5 სად მიხვალ, ქისტის გოგოო] „აქ ქისტს ეძახის გოგოს“ R.

ეს ლექსი შეცთომით დაიბეჭდა ძირითად ფონდში: იგი იგივეა, რაც შემდგომი ნომერი და ვარიანტებში უნდა ჩამოსულიყო.

214.

დაბეჭდილია Bds მიხედვით. ამისი ვარიანტია Rის ჩანაწერი (გვ. 81), რომელიც წინა ნომრად დაიბეჭდა. — 7 გიორგიმ არცად გაგიგასთ] ეს გიორგი უნდა იყოს წინილაშვილი, რომელზედაც ზემოთ სხვა ლექსიც არის (№ 210).

ორივე ვარიანტი ამ ლექსისა წაუუეთხე 27. 4. 1931 ხანმატელ ხვესურს ბერდია ალუღაურს, რომელმაც პირველი (№ 213) დაიწუნა და მეორე (№ 214) მოიწონა. იმავე ბერდიამ გადმოცა, რომ მაშინ ქისტს მარჯვენა ხელი რომ მოსჭრესო (მაჯაში იყო მოჭრილიო), იგი აბულეთის ქვიტიკირს ეკრაო და ორი-სამი წლის წინად ჩამოვარდაო.

ამავე ამბავს ეხება სხვა ლექსი, ფშაური წარმოშობისა („ქისტეთით ქისტებ წამოვლენ, ეშადებთან ფშაეშია“ და სხვ.), რომელიც ფშაველისაგანაც მაქვს გაგონილი და ხვესურისაგანაც, მაგრამ იგი მეორე ტომში დაიბეჭდება.

215. კვირია და ცხენის ქურდი (Sh)

ჩამაწერინა გორულში (ბაკურ-ქევი) მინდია ფიცხელაურმა 22.6.1913. – 12 ეუბნა მემცხვარებსა] Sc. რომელთაც ენახათ ქურდი; მარცხენას მქარზე სჭირსაო] sc. ნატყვიარი; 15 მკედრისაო] პირველად თქვა: მტრისაო.

216. აბა გიგაური (Gi)

16 იშულლეს] იშუხლეს Gi. – მათქვამი ამ ლექსისა ომა ყოფილა, როგორც ჩართულია ბოლოში.

მუხლი 24 („თორმეტ პატრონა დაუწვავ.“) თავისი რითმით არ უდგება დანარჩენებს, იგი შემდგომი ნომრიდან უნდა იყოს გადმოსული (შდრ. № 217, 24).

ამ ლექსის ერთი ვარიანტი შემდგომი ნომრის ვარიანტზეა გადაბმული (ნ. №217 გ).

217.

ესეც Giს მიხედვით არის დაბეჭდილი. – 1 ცხენის მჭამლებსა] მამაძალღებსა Gi (დასაწყისში მოდიოდა და გადასწორებულია №175,28-ის მიხედვით; ნ. ვევეე ეპითეტი: №248, 13); 4 მსახურებმ] მსახურემ Gi.

ამ ლექსს წინ მიუძღვის Giს მერ წარწერილი „უშიშა“, რაიცა არ ვიცი, რას უნდა ნიშნავდეს. ბესარიონის რვეულიდან ჩანს, რომ ლექსი მისია, ბესარიონისა. [ნ. კიდევ დამატებაში. რედ.]

ბ.

- ქისტებსა მამაძალღებსა რა ცუდ რაიმ აქვ რჯულია!
სრუ ქურდობისას გონობენ, კაცმ რო დაუგდას ყურია.
წამაელენ საარაგოდა, ცხენის მაარავა სწყურია.
ჩაეს ჩაზვერეს სავალი, აქვ კარგად ჩასაზრულია.
- 5 ჩავიდეს თიანეთშია, ჭამეს სტუმრულად პურია.
მანდით გარეკეს ცხენები, მითხომი ჩასვლა დგულია.
ნაჩალნიკ კარზე სერნაობს, მქართ შინელ-წამასხმულია.
იმ დროს იმახა მსახურმა: „ცხენები დაკარგულია.“
ნაჩალიკ აბას იბარებს, – მღვერობა იცის მგლურია.
- 10 „ადევ, გაუღე ქისტებსა, გზა იცი მაგნებურია.“
აბეჩავ, აფშინაშვილო! აჩქარდა, უცემს გულია.
წევა რად უნდა სხვისაგან? სრუ ომის მონატურია.
„მტრისად გაყოლა, ბატონო, ევ ადვილ სამსახურია.“
მზადდების, ისხამს აბჯარსა, ლურჯა დგას შაკაზმულია.

- 15 ამბობენ თიანელები: „საისკე მამზადულია? რად აქვის პატრონტაშები მკარ-ილლივ გადაცმულია?“ ლურჯა არაგვზე შამარბის, აქვ ტუა შანასკულია. მუჯავრდების მკედარი, მტრის ჯავრით გაბასრულია. მაშინჯავს ქურდების კვალსა, აქვ ლამფა განთებულია.
- 20 შამაგათავა, არაგვო, ცისპირიც შამაძრულია, საგათუნებო ვარსკვლავი გორის პირ ამასულია. დაუგ ზავნავის სხივები ქაერში დაქსაქსულია. გადაიარა ბორბალი, პერანგზე დასარტყლულია, ყინვარა წყალზე ჩავიდა, ლამი ჩანს ჩაკვალულია.
- 25 შორითავ ნახა ღილღველი, ცხენ მიხყავ მაპარულია. ბარაქალ, აფშინაშვილო! რა ფიქრებს მისცა გულია! „ღალატით მოვკლა ღილღველი, – ფიქრობს, – რა ვაშკაცურია?“ უბახა: „ქისტო, ნუ მიხოლ, მე შენთან შუღლი მწყურია. მეღ' შენ სწორ-და-სწორ ვიშულლათ, ღმერთი ვაკსენათ, რჯულია.“
- 30 თავს ადგა მონა ავდარი, ცით სეტყვა ჩამასულია. თოფის კმა, ჭეხა-ქუხილი ერთუცზე გადამბულია. ქისტო, დაგაწყდა ტყვიანი, გაგინათოზა ტვინია. სანამღი დაეფშენიტების, დახკრა მეორე პულია. პირ-ჩაღმ დიწვეს ღილღველი, ახლა წყლის შასმა სწყურია.
- 35 ველარც წყალს დასწვდა დაჭრილი, – იწვეს და ხკდების სულია.

—

ბარაქალ, აფშინაშვილო! რკინის გდებივა გულია! ვაჟამ ქნას ყველამ აევრა, ვინც ომის მოყვარულია! საღექსოდ არაყიანი ბოთლაი შანახულია გიბარა ბესარიონმა ქარ-ბუქეში გამათქმულია.

(G).

ქემ აწერია: „ჩავკირილა ბალახურისძე გაბური. ნათქვამი 1913 წელს, ვსწერ 1927 წელს, 25 დეკემბერს.“

ბ.

ქისტეთით ქისტებ წამოვლენ, სტუმრულად ჭამეს პურია. ჩამოვლენ თიანეთშია, მაგათ ქურდობა ღგულია. ამ დროს იბახეს მსახურთა: „ცხენია დაკარგულია.“ ნაჩლიკ გამოსეარნავდა, მკართ პალტო-წამოსხმულია.

—

- 5 ნაწალიკმ აბას უბძანა: „იმელი მქონდა შენია.
 აბავ, შახკაზმე ლურჯაი, ზე შავედ ქორის ფერია.“
 აბამ შახკაზმა ლურჯაი, ზე თაოდ შევდა მეგლია.
-
- გახკირდეს თიანელები: „საისკე მომზადებულია?
 მაგთვენ პატრონა რად უნდა მქარ-ილლიე გადასხმულია?“
- 10 ქისტებს გამუდგა კვალზედა, გზავრობა იცის მგლურია.
-
- მინათებდა ლამფასა, ზე ღამე დახვდა ბნელია.
 მოვა, მოფიქრობს გულშივა: „ვაი თუ ვერა კქენია!“
 გათენებისა(ს) დაწირნა ფშავ-ქვესურეთის ტყენია.
 დარჩა და დარჩა ლურჯაი, თორმეტ თუშნიან ცხენია.
- 15 „არ დაშა, ჩემო ლურჯაო, ბევრჯელ გაჭმე ქერია.“
 მაინც დარჩომას აპირებს, აღარ ას გადამკვლელია.
 ცხენ რომენმ გამაუცვალე, რა კა სიკეთე ხქენია!
 გადაიარა ბორბალი, ცხენ არ ას დასატყერია;
 ქცეულად ჩამაუბრუნდა, ჩამაათაეა ცერია.
- 20 ღილღველსა ორ-წყალაშივა მონა დაეცა ფერია.
 ნახა, დახკივლა აბამა: „ძაღლო, გაწირე ცხენია!“
 პირდაპირ ომი მოუტდა, საყურად ექნეს კლდენია.
 თოფის კმა, ელვა-ქუხილი აღარ ას გასაყრელია.
 ღილღველი პირ-სისხლიანი გზავრობას დასცდა მეგლია.
- 25 თაოდ დაბრუნდა არწივი, შამაიჭუჭკნა თბენია.
 მავას, მაგონობს გულშივა: „მაქე გილდი დასათვლელია.
 თორმეტ იმისად მისრევა, ას კიდევ დანარჩენია.“
-
- ბლოელო აფშინას შვილო. დედა ვაცხონე შენია!
 ლექს კი ვერ გითხარ საფერი, შენ კი ვაეობა ხქენია.
- 30 ამაგის მალექსებელი ომა მქარ-გვერდზედ სვენია,
 კელჩი უჭურავ ფანდური, თავით-ბოლომდე ჭრელია.

(C).

გაგონილია გ ი ო რ გ ი ჯ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი ს ა გ ა ნ (?) 18. 7. 1925 ბარისაკოს — 30 ომა] თომა C.

აქ არეულია ერთმანეთში ბესარიონისა და ომას ლექსი ერთისა და იმავე საგნის შესახებ. ბესარიონისაა დასაწყისი (მმ. 1-4) და ერთი ნაწყვეტი შუაზე (მმ. 8-10), დანარჩენები კი ომასია.

218.

დაბეჭდილია GiS მიხედვით – 9 პატრონა უწყევავ] პატრონა უწყევავ Gi; 19 ქისტებმ] ქისტემ Gi; 30 ქისტებმა] ქისტემა Gi. [ვარიანტი ბ ნ. დამატებაში. რედ.]

219.

ესეც GiS მიხედვით არის დაბეჭდილი. – 4 ქისტებმ] ქისტემ Gi; 6 სახრიხლიანს] ასე წერს Gi, თუმცა სხვა შემთხვევებში იგი კარს ხმარობს (მაგ. შაკლა, იქვე, მ. 8). ამ სიტყვაში, როგორც სხვების ჩანაწერებიდან ჩანს, კარები უნდა (საკრიკლიანი); [ვარიანტი ბ ნ. დამატებაში. რედ.]

220. მამუკა და სადარა (Gs)

14 სცდებისა] სწდებისა Gs; 17 დამჭერი] დამწერი Gs. – ამისი მათქვამი არის გასაპარა მგელას ძე ქიბიშაური.

მამუკა და სადარა ყაჩაღებად იყვნენ გაეარდნილები. სადარა დაიჭირეს და ციხეში მოკვდა, მამუკა ამის შემდეგ მარტო დარჩა და შემდეგ ისიც მოკლეს ბალთაში.

221. სადარა (G)

ნათქვამია ბესარიონის მიერ 1916 წელს. – 3 აქოს შამაკედეს სოფლადა] სადარა ბარის-აკოელი იყო; 16 სრულება მინდა, მოყმეო, კემწიფის ბრძანებასაო] ასე აქვს Gs, მაგრამ მოსალოდნელია ან: სრულება უნდა... ბრძანებასაო, ან კიდევ: სრულება მინდა... ბრძანებისაო. რითმის მიხედვით აჯობებს: „სრულება უნდა... ბრძანებასაო.“

222. ზეკუცია არხოტს (Sh)

ეგზეკუცია, ზევსურებისაგან შემდგარი, არხოტს ჩადგა, რადგანაც იქ დამალული ეგულებოდათ ყაჩაღად გაეარდნილი მამუკა გოგოჭური, რომელსაც რამოდენიმე კაცი ჰყავდა მოკლული. – 10 შაბურაშვილს ეგ უთხარიო] შაბურათ აფშინა იმ ხანებში მამასახლისად იყო ზევსურეთში და სამსახურის გამო იძულებული იყო ეგზეკუციას გასძღოლოდა არხოტში; 11 ხუტუნისშვილს ვერ აწვალებს] იგულისხმება გიგია ოჩიაური, ახიელელი.

მათქვამად აქ ღილღველი ასლაყაიშვილია გამოყვანილი, მაგრამ ნამდვილად არის ახიელელი გარსია ოჩიაური, რომელმაც თვითონ მიაბბო ეს ლექსი 5. 8. 1913 ს. ახიელში.

223. მამუკა გოგოჭური (Gs)

39 სჭირსაო] სწირსაო Gs; 44 გემდური, გუდამაყრელო] ამბობენ, გუდამაყრელი მემცხვარე გაჯავრებული იყო მამუკაზე თითქო ცხვრის წართმევის თაობაზე, თუ არ ვიცი რაზე და ამიტომ გასცაო.

ეს ლექსი უთქვამს დიმიტრი ცისკარაულს 1912 წ.

ბ.

- ზენაით იწერებიან: „ვეფხვი დაზეზდა მთისაო,
არაინ დაგაზიანნასო, არეინ დაგზინნასო მწკლითაო.“
საძელის წვერზე შამოკდა მინინო კივილითაო,
ჩრდილოეთისკენ დაბრუნდა, გავლა სწადიან გზისაო.
- 5 „უნდო დავლაკა, – ამბობდა, – მთა-ბარი დაღისტნისაო,
შამოვხვდა თავის ამფასა ძელიმ-კარს ქისტისშვილსაო.
ჩამოვა, ჩამობოინობს ლალი არწივი მთისაო.
ჩამოკვევს ნისლის კოტორნი, შავი ღურბელი ზღვისაო;
დაუტყდეს ამხანიგები, მჭერელ აღარ ჰყავ მკრისაო.
- 10 არას ნაუღლობს ობოლი, თავი არ უჭირს სხვისაო:
წელთა ღბავ თავის შეხხალი, ერთგული პატრონისაო.
შამეყვარა წყეშსები, ნაცნობი დიდის ხნისაო;
ღალატით ხკითხეს ამბავი, სალაში მისცეს გზისაო;
არ მალგონდების მამუკას, თუ „ჩამისხემდეს მზირსაო.“
- 15 მარტუას შამეყვარა, ჯარი დგა ყაზახისაო.
ნაბადი გვერდზე გადიგდა, ძალი აქსენა ხთისაო;
„აბა, ორპირო რკინაო, საქმე ეხლა-ღა ჭირსაო.“
ემადრივლების ხანჯარსა, – რავორ გემოზე ჭრისაო!
თვალ-წამითის ხანზედა, მინდორ აივსო მკედრითაო.
- 20 მოვიდეს ჩერქეზთ ქალები, ცრემლით იბანენ პირსაო.
„შენ გლეხი არა ყოფილხარ, აზნაური ხარ მთისაო.“
გემდური, გუდამაყრელო, პატრონო ფარის ცხვრისაო.
ღალატით მოგიკვლევავის, ჭკვაზე კი ვერა ხქენაო.
ქიჩილა დაიხურიდი, კაბაი დიაცისაო;
- 25 აიღენ ტარ-ნამტენანი, ჩამოჯე კერის პირსაო.

–

ამავის მალექსობელი ძაუვის პირსა ზისაო,
ქელში მიჭერავ სტაქანი, შასანდობარი მკედრისაო.

(Sh)

ბ.

- ქენათ იწერებთან: „ვეფხვი დაზეზდა მთისაო.
არაინ დაგაზიანას, არეინ დაგზიენათ მწკლითაო.“
შამაკდა საქელეზედა მინინო კივილითაო.
ჩამავას ბაკურ-ქევშია სტუმარი ერთის დღისაო.
- 5 ქელ-ფექ გექნება მომზრალი, ტყავ გაყოლილი ჯღნისაო.
ბალთას შამახედა მწერელი, მაუკოცნიდა პირსაო.
დაელა კაზარმაები თურგისა ყაზახისაო.
„თუ კი ყაჩალი არა ხარ, ბილეთ გექნება გზისაო.“
კარტიჭკა გადმაურქენეს, პირ შამახეარეს პირსაო.
- 10 „ნანდვილად მამუკა(ი) ხარ, მამკლავი სამ-სამისაო.
ნაბად იქცივა გვერდზედა, ძალი აქსენა ხთისაო.
„ჩემო ბატარავ ხანჯარო, საქმე ეესლად ჭირსაო.“
ურჯულოს გადაუქნივა, შიშით დაეცა ძირსაო.
ცოტათი ხნიდგეს მამუკამ რიყე გაავსე(ა) მკედრითაო.

(Bb).

დ.

- ზენათ იბარებთან: „ვეფხვი დაზეზდა კლდისაო.
იფთხილეთ, ჭალავლელებო, არეინ დაგგლიჯათ ბრჭყლითაო.“
საზელე გამოიარა მიმინომ კივილითაო.
ჩამობოინობს არწივი, არწივნი ლაღის მთისაო.
- 5 უკან მოჰყვება კოტორი, ნისლები შავი ზღვისაო.
ჩრდილოეთისკენ დაბრუნდა, გასვლა სწადიან გზისაო.
ჩამოვა ბაკურ-ქევშია სტუმარი თავის დისაო.

(Mr).

გაუგონია 16 წლის დავით პირქუშაშვილისაგან ს. ჩარგალში.

მ.

ზენათ იბარებთან: „ვეფხვი დაზეზდა კლდისაო.
არაინ დაგაზიან(ნ)ასთ, არეინ დაგზიენასთ მწკლითაო.“
საძელე გადაიარა მინინომ კივილითაო.

- ჩდილოეთისკე დაბრუნდა, გავლა ეწადა გზისაო.
- 5 ჩამოვა, ჩამობოინობს ლალი არწივი მთისაო.
ჩამაეწივა წყეშსებსა, ნაცნობ ხყავ დიდის ხნისაო.
ღალატით ხკითხეს ამბავი, სალამ მიართევს გზისაო:
„სად მიხვალ, ჩენო მამუკავ? აგრემც დაგპარავთ ჭირთაო!“
ღამე იარე, მამუკავ, დანდობა ნუ გაქვ დღისაო.
- 10 ეგ რა ეგონა მამუკას, თუ ჩამისხემდეს მზისთაო?
ჩოხელათ, გუღამაყრელთა, დედა გაუწყრეს ღეთისაო!
მაგათ უამბეს ამბავი გათქმულის ყარაღისაო.
ბალთაში ჩამამავალსა მეხი დაგეტა ცითაო.
უნადრიკ გაღმაგეღობა, ბილეთ მოგთხოვა გზისაო.
- 15 „თუ ბილეთ არ გაქვ, ვაშყაცო, შენი შინ წასვლა ჭირსაო.“
ამიტანა, აჩვენა ფაშფორთი დიდის ხნისაო.
გულჩი დარდი აქვ ვაშყაცსა, პირად არ წირავს ღმინსაო.
„ნამდვილად მამუკაი ხარ, მომკვლეღი საღღათისაო,
ოვისისა აბეშყისა, ქისტისა მურთაზისაო.“
- 20 — „იკით წადეგით, რუსებო, მე თქვენი არა მკიღავო.
არც თქვენის მამის მამკლავ ორ, არც კიღვ თქვენის ძმისაო.
თუ მაინც არ დაიჯერებთ, ერთორ უნცროსიმც მინდაო.“
აიკრა კელი ხანჯარსა, ფერი დაიდვა მგლისაო,
პატარა ხქონდა ხანჯარი, იმედ არ ხქონდა კმლისაო.
- 25 დახკრა და გადაუქნია უნადრიკს ქისტის შვიღსაო.
მქრის უღელ გააწყვეტინა, ურჯულო დასცა ძირსაო.
მეორე წყერით გაუშვა, სუყელა მაგას ხკვირსაო.
კელმა უწვღინა ნაწღვეთა, [ხანჯარს] სიბოკლე არ ერჩისაო.
მესამეს გადაუყოღა: „შენ ჩემ უნცროსი იყავო!“
- 30 დატყვრების არშავიანი, მუქლი მოგტეხეს მგლისაო.
სანამღი მეცხრე არ დახკრეს, მოკლულ ვერა თქვეს რვითაო.
ბალთას დაგიღგნეს ლოგინნი, გზის თავ მაგ სოფღლის პირსაო.
მოვიღეს ქისტის ქალეღი, ღანღალ ღგას ძაღღლებისაო.
ზატორ ივსების ცრემღღითა, ჯავერი კლავს რუსებისაო!“
- 35 „ჟამემ, ჩემო პატრონო, ჭირიმე კარგის ყმისაო!“
ცოღ-შვიღს ნუ სჯავრობ, მამუკავ, შინ ლეკენი დაგჩეს მგლისაო.

—

თუ რას მოღეკეს იკითხავთ, ნათქმელი ბურბათისაო.

(C).

ევ რა ევონა] ეგრე ევონა C; 28 ხანჯარს] ახსნაა ჩამატებული; 32 მაგ] მაქვს C; 36 შინ] შენ C.

აქ გადარეულია ერთმანეთში დ. ცისკარაულისა და გულბათის ლექსის მუხლები: თავი ცისკარაულისა და ბოლო კი – უმთავრესად გულბათისა (მდრ. №225). გადარე-ვას ხელი იმან შეუწყო, ალბათ, რომ ორივე ერთსა და იმავე საგანს შეეხება და რითმაც ერთნაირი აქვთ.

224.

დაბეჭდილია ჩემი ვარიანტი (Sh), რომელიც მიამბო ახალა არაბულმა ეჯუთამი 3. 8. 1913. მომეპოვება იგივე ლექსი, ჩაწერილი თვით ავტორის მიერ (ბესარიონ გაბურის მიერ; შემოკლებით G). საინტერესოა შევადაროთ ისინი ერთმანეთს, რომ ნათელი იყოს, თუ რაოდნად ახლო მიჰყვება, ზოგიერთ შემთხვევაში, პირვანდელ წყაროს სხვების მიერ დასწავლილი და გამეორებული:

ბ.

2 ვერას] ვერც-რას G; 6 ვაჟიას შვილო] ბუჩუკურელო G (მამუკას მამას ვაჟია ერქვა, ხოლო სოფელს – ბუჩუკურთა); 8 ცასა ჩამაზღის] და ცას ჩამასღის G; 9 მიწას ეჭირას ტანია] მიწას ეჭირა მკედარია G; 10 არ დახვიდოდა მთა-წვერთა არწივი მემარია] არ დახვიდოდა მზეზედა შევარდენით ჩქარია G; შემდეგ ხუთი მუხლი (11 სანამდე იყავ ცოცხალი... 15 პატრონაების ჯარია] აკლია G; 17 გავიდა] გაილა G; 25 არ გგონდებისა სულეთში] არ გგონდებისა G; 19 არვინ გყავაე მამქრეი] არვინ გყავისა ამქრები G; 4 არ იტყვისაე] არ ამბობსაე G; 22 გევენთ-გორ] ბეკენთ-გორ G; 23 მარტო რომ ჩახყვა ლაშქართა] მარტომ რომ ჩახყვა ლაშქართა Sh (მოამბემ მარტომ ფორმა მეორე ზმნას დაუკავშირა ალბათ: მარტომ... კოცა); ჩააგა] ჩაიგა G; ამის შემდეგ G უმატებს:

ამანდით ამბრუნეილმა გზის ძირ ჩახყუნა ქვანია.

ცოდვან მოხკიდნა კმლისანი, ვინაც გაიელის მგზავრია.

ვინც ამას გადასცილდების, ვინც არ დალოცოს სამია.

სამაგიეროდ Gს აკლია 25-ე მუხლი: „არ გგონდებისა აღქიმი (ვარ. ახჯარი) თუშების წანატანია; 27 ბორბალას] ბორბალა G; 27 სისხლი(თ)] წითლად G; 28 გასწყდა] მასწყდა G; შემდეგ Gს აკლია სამი მუხლი (30-32: ერთ კაობს... მასთხარა გვარია). მერმე კიდევ აკლია Gს ორი მუხლი (35-36: „შემეგეხვივა... დაგიძრეს ტანია“). აკლია აგრეთვე მ. 37 („თაოდ თუ მახკედ...“), ხოლო 37-ე მუხლს 39-ე უსწრებს ოღნავი ცვლილებით:

ველარ ვინ გაზღის შენფერსა შვილად კევსურის ქალია.

მიმართვა გოგოჭურებისადმი (მმ. 40-48) სრულებით არ მოეპოვება ცხ, სამაგიეროდ აქ ლექსი ასე თავდება:

ვერა ვიამბე სიტყვები, გმირო, შენ შემადარია.

საყვედური მკედრის გაწირვის შესახებ (მ. 45) იმით აიხსნება, რომ, ხვესურების შეხედულების თანახმად, მკედარი თავის მიწა-წყალში უნდა დაიმარხოს. თუ ვინცინობაა უცხო მხარეს გარდაიცვალა ვინმე ხვესური, თუ რაიმე საშუალება კი არის წაღებისა, აუცილებლად წაიღებენ ხოლმე. მაგ. 1931 წ. მარტში ტფილისში გარდაიცვალა ერთი ხვესური, გვარად გოგოჭური, და ხვესურეთში წაასვენეს.

ამ ლექსში რომ ქალუნდაურის შესახებაა საუბარი, იგი შეიცავს მე-8 ნომრის სიტყვებს, რამოდენამდე გადაკეთებულს.

ამავე საგანს ბ ე ს ა რ ი ო ნ მ ა მეორე ლექსიც უძღვნა (№ 229).

225.

ჩაწერილია ჩემ მიერ (Sli) ს ა დ ა რ ა ჯ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი ს ნ ა ა მ ბ ო ბ ი ს მიხედვით 23. 6. 1913. ს. გორულში (ბაკურ-კევეს). — 8 მთვარევე ზუთმეტი დღისათვის იგულისხმება მამუკა; 13 ციხეო ბასრის ქვისათვის აქაც მამუკა იგულისხმება; 22 კევესურებზე არხოტს დაიწყეს ჭამაი საქონლისათვის იგულისხმება „ზეუკუციის“ დროს მომხდარი ამბები (ნ. №222); 26 გაზაფხულისა(დ) მაგჩების ე.ი. საგაზაფხულოდ მოგიჩრება; 36 მამუკავი სალდათისათვის სალდათი შემოპკდომოდა მამუკას და სადარას, როცა ისინი თოფის წართმევას უპირებდნენო.

ბ.

ასლად ავიღე, ჩონგურო, ხანია ლექსობისათვის,
საშობის ლარებ ავასხი, გული ავაკარ ხისათვის.
დაგიკარ, ისრე იძახე, მეგონე საილოს ძვლისათვის.

—

- არეულ ნისლებ ამოდის, არხოტში გადადისათვის.
5 შენ ფხიტურ გადაგივლავის, არწივო მალღის მთისათვის.
გადადი ბაკურ-კევესშია, სტუმარო თავის დისათვის.
ქელ-ფუკ გექნება დამძრალი, ჭარ-ატანილი ჯღნისათვის.
გადადი ზელიმ-ხანთანა, მჭერელ გექნება მკრისათვის.
ღამე იარე. კევესურო, დანდობა ნუ გაქვ გზისათვის.
10 შამოგვხვდებიან ყაზახნი, მსახურნი კემწიფისათვის:
„კევესურო, ბილეთ გვიჩვენე, თუ გავლა გინდა გზისათვის.“
იმანაც გადააწვალა ნაწერი დიდის ხნისათვის.
„თუ სხვა არა გაქვ, კევესურო, შენი გაშვება ჭირსათვის.“

- 15 პირდაპირ მამუკაი ხარ, მამკლავი სალდათისაო, ოსისა აბეშკისა, ქისტისა მურთაზისაო.“
„ჟამიშვით, – ეუბნებოდა, – მე თქვენ არაი შვიდაო: არცა ვარ თქვენი მამკლავი, არც კიდე თქვენი ძმისაო.“
– „არ შაიძლება გაშვება შენ-ფერა ბუსურბნისაო.“
- 20 წელთა რტყავ ქისტურ ხანჯარი. ტარი აქვ სპილოს ძელისაო. წინ-წინ ურადნიკს ჩამაჰკრა, ნათოზებ ჩამოღისაო. მეორეს გადაუქნია, – სიმოკლე არ უშლისაო. მესამეს გადააწვავდა, ნახე, როგორა ჭრისაო! მერმე გაიქცა პირ-ალმა, მუქლი აქვ ნიაფ-ქრისაო.
- 25 მაგრამ დასწიეს მალევა ტყვიით ვარშავისაო. ოკერო ვარშავიანო, ვაჟკაცს პირს მოღვერი ღმინსაო!

—

ემაგის მოლექსებელი მალლა ჭერხოჩი ზისაო.
ემტერებიან რუსები, მუქარა მაუღისაო.

(*თუ, ლ უ კ ა მ ა ჩ ხ ო შ ვ ი ლ ი ს ა გ ა ნ გაგონილი*).

ერთი ვარიანტი კიდეც დ. ც ი ს კ ა რ ა უ ლ ი ს მიერ გამოთქმულ ლექსზეა მობმული (ნ. № 223ე).

226.

დაბეჭდილია ცნის მიხედვით. მისი მოწმობით, ნათქვამია დაბალ გიგას (გიგაურის) მიერ, რომელიც კვირიწმინდიდან კახეთს გადმოსახლდა და ს. საკვერეში ცხოვრობს. ამ ლექსის გამოთქმის დროს (1910 წ). მამუკა ჯერ კიდეც ცოცხალი იყო.

ეგვევ ლექსი ცნს მფორედაც აქვს ჩაწერილი. დაბეჭდილ ვარიანტთან შედარებით იგი ასეთ განსხვავებას გვიჩვენებს: მე-ნ მუხლად, ნაცვლად დაბეჭდილისა (ქვესურებს მამაძალღებსა...), ამას გვაძლევს:

მაზხელ(ა) გარამდინარებს(ა) ბევრას მაეზრნეს ფეკანი.

ხოლო მე-13 და მე-14-ს შუა უმატებს ამას:

ამ ჩემს(ა) დაბადებაში არც ღმერთ ყოფილა, არც ჯვარი.

ამას გარდა: 2 სულ ოროლნი] სულ ოროლ-ოროლნი; 13 მე ბეჩავ შვილი] მე კი ბეჩავ შვილი; 14 როგორც] ეგ(რ) რო. ორსავე ჩანაწერში მე-14 სტრიქონის უკანასკნელი სიტყვა ასე აქვს გამოყვანილი: ცანდარი, რომელიც მე ცნის თავისებური გამოთქმის გამო (სისინა და შიშინა ბგერების გაურკვეველობა, რაიცა წერაზედაც მოქმედობს) „ჩანდრად“ მივიღე და ჯანდრად გადავასწორე და დავებეჭდე კიდეც, მაგრამ თითქო

ტყუილად: „ცანდარი“ ციხეაო, მითხრა მან. თუ ეს ახსნა სწორია, მაშინ ეგების ეს სიტყვა ამა თუ იმ გზით სპარს. ზინდანამდე აღიოდეს (ზინდანი — საყრობილე).

227.

დაბეჭდილია Gის მიხედვით, რომლის ცნობის თანახმადაც, „ამის მათქვამი არის მოხვეე, სოფ. სნოს მცხოვრები გუგუა ღუღუშაური.“

მამუკა მოუკლავთ ბალთაში 1. 6. 1912. — გასწორდეს: 2 ზელი-მხანს] უნდა: ზელიმ-ხანს.

ბ.

სადარა-მამუკიამა პირობა შაკრეს მაგარი.

ციხით გამოდის თოფები, კოშკებმ დაიწყეს ზანზარი.

ემანდ ყაზახებ მოსულან ყაჩადის დასაჭერლად.

„აქ მოდით, კახის ქალებო, ორნი ვართ, განა ლაშქარი?“

—

5 მამუკამ ნახა სიზმარი, ზელიმ-ხანს უყვა თვალია.

ადგა და გამეუმართა, გადაიარანა მთანია.

არხოტის გადმოსავალში უკულმ აბრუნებს ქარია.

ჩავიდა რეხვის წყალზედა, გამინჯა მთა და ბარია.

ბალთისაკ გამეუმართა, საომარ ეტყვის მქარია.

10 ბალთაში როცა ჩავიდა, დახვდა ყაზახის ჯარია.

დაჰკითხეს სახელ-გვარია.

— „რად გინდათ ჩემი ბილეთი? რად ამიტეხეთ შარია?

მე თუ ყაჩაღი გგონივართ, სადა მაქვს თოფი-ღ' კმალაია?

თქვენც უნდა გებრალეობოდესთ შაწუხებული მგზავრია.“

15 მამუკას ცეპი დაარტყეს, ერთის ნიშუტის ხანია.

მამუკამ ზანჯარ გაიძვრა, მგერა უჭერავ ტარია.

გამეურია ყაზახთა, დადგა ერთ ცოდვა-ბრალაია.

მამუკა პირ-აღმ გაიქცა, მუკლი მიწასთან მერთალაია.

მამუკას ტყვია მარტყეს, პირთავექვე ჰგდავის მკედარია.

20 ხუთ სასროლიანს ნატრულობს, აღარც მალდების ხანია.

—

ამაგის მალექსებელი ბალთაში მუშა ვარია.

უხანუნებდი კანუას, კარგად წავიდეს წყალაია.

სალექსოდ გამომიგზავნეთ ერთი შიშაგი ცხვარია.

(Tფ, ივ. თანდილაშვილისაგან გაგონილი).

პირველი ოთხი მუხლი თავისი რითმით ძალიან უახლოვდება დაბალ გიგას ლექსს (№ 226) და შეიძლება მისი ნაწილიც იყოს.

228.

ჩამაწერინა როშკაში გარბანელმა თათარა წიკლაურმა (რომელიც მაშინ 10 წლისა იყო) 20.7.1911. 1 შახედებისაო] შეცდომაა ბეჭდვისა, უნდა გასწორდეს ასე: შახედებისაო; 4 გაველა] მიწერია: გავედრა; 15 გძელიმ-ხნისაო] გააზრიანებულია და ამიტომ აჯობებდა, რომ ასე დამებეჭდა: გძელი-მხნისაო; 24-ე მუხლის ნაცვლად (ქელი დაიკრა ხანჯარსა...), მეორე მოყოლის დროს იმავე მოაბმეფ ეს თქვა:

წვერით იქმარა ხანჯარი, ყამი არ ხქონდა მტრისაო.

30 გაიქცა] გაიგდა (ვარ.); 36 მაუა] მიულავ (ვარ.); 37 ისი თქვა] იძახა; 41 დაჯდა, უამბა] იმათ შაშივილა (ვარ.); ქელში] მიწერია „ქელჩი“ და ასე შესწორდეს.

229 (G 220).

ეს მეორე ლექსია ბესარიონისა მამუკა ბურჯუერელის შესახებ, მისი სხვა ლექსი 6. ზემოთ (№224).

ბ.

ყური დამიგდეთ, ვაჟებო, სიტყვა რო გითხრათ მართალი:

მამუკა ბურჯუერელი განა მართლად ას მამკედარი?!

სახელს სრუ მუდამ ისი ჯობ, მაგის ბალთაში ნაქნარი.

მაუა ჩაჩანჩიგითა ძელიმ-ხნის შემონათვალი:

5 „ჩამეედ, მოისა არწივო, ვლაკათ დაღისტნის მთა-ბარი!“

საჩანჩოდ დაემზადების, ვაქმ დააფხავა ხანჯარი,

საჩქაროდ გადაიარა საქელის მთაი მაღალი,

ჩამოვა კევის ჭალასა, შუადღეია დამცხარი.

ჩოხელათ გუდამაყრელსა ღმერთი გაუწყრას მაღალი!

10 მაგათ უამბეს ამბავი, გზაჩი ჩაუსხეს ლაშქარი.

ბალთაში ჩამამაველსა გარმეულობა ჩაფარი.

ქისტო, გიცხონდას გამზღელი! გულ შენ გღებია მაგარი.

შენს მეტმ ვერავინ დასწონა, ზედ მიხვედ შორით გამხტარი.

ქელ-უკულმ გარმაქნულმა დაგლიჯნა უბის მასრანი.

15 გულზეით გარმანადენმა სისხლმ შეგიღებნა კალთანი.

(C).

ბ.

მამუკა ბურჯუკურელი მთელია, განა მომკვლარი?!
ჯერითაც არ ღოგვიწყებია ბაღთას მამუკას ნაჭნარი.
არ მოკვდა სირცხვილიანი, ეხლაც კი სტირის ქალ-რძალი.
მამუკას აშბოვ მამუკა ზელიმ-ხნის შამონათვალი:

- 5 „ჩამოდი, მთისა არწივო, გავლამქრათ ლეკის მთა-ბარი!“
საომრად გამაიწია, ვეფხვმა გალესა ხანჯალი.
გადმოვა ვეშა-წყაროთა, შუადლე იყო დამცხარი.
ჩოხელათ გუდამაყრელთა ღმერთი გაუწყრეს მაღალი!
ყაზახებს შატყობინეს, წინ ეელობა ჩაფარი.
აღარ გაუშვეს გზაზედა, ვეფხვმა დამალა ჯავარი.
„ქიშტო, გიცხონდეს გამზრდელი! გული (გ)ქონია მაგარი.
ხანჯალი წამოგიქნიე, დაგაჭერ უბის მასრანი.“
იქითით სისხლმა ნაღენმა წითლად შეღება კალთანი.

(D, ივანე გელიაიძის საგან გაგონილი).

230. ძმის სისხლის აღების მოლოდინში (G 237)

231. აბა ბაკალაური (G 237)

232. ფადიაური (G 238)

ბ.

„სად იყავ, თადიაურო? ნამი ნაბადზე გდებია.“
– „მთას ვიყავ, შური ვეძიე, ნამაშვრალს დამძინებია.
ავაწიოკენ ცხვარ-წყემსნი, ძილი არ მაპკიდებია.
ქელში ეჭირათ თოფები, ბინას არ მაპშორებია.“

(Rფ 198).

ბ.

„სად იყავ, თადიაურო? ნამი ნაბადთ(ა) გდებია.“
– „მთას ვიყავ, შური ვეძიე, ნამაშვარს დამძინებია.
ავაწიოკე ძაღლები, ჯერ წყემსებს არ დასძინებია.“

—

- უძახა ბათირმაზამა ჩოფანას თავის ძმასაო:
5 „მგელი ხვარ შამოგივარდა, თავში რა გიბთხოვს ცხვარსაო?“
– „ვეფხვს რაღაც ჰგავს, ვერ ვარჩევ, შორით იბრუნებს თავსაო.“

(Lb)

მეორე ნაწილი სულ სხვა ლექსი უნდა იყოს. იგი Rსაც აქვს ჩაწერილი ფშავში:

(022).

ეძახის ბათირმარზაი ჩოფანას თავის ძმასაო:
„მგელ ხო არ შამოგერია, ბიჭო, რა გიფთხობს ცხვარსაო?
გუშინ მანდ იყო თორღვაი, არწივი შლიდა მკარათა.“

(Dფ 178).

დ (023).

- ყმაწვილი დედის ერთი სულ აირჩია ორ თემზე.
ცალ-კელსა ფადიაურსა დედა არ გასცელის ორ-კელზე.
ერთმა ყმაწვილმა ჭაბუკმა შური მაიგა სოფელზე:
მთელს ოჯახს გასჭრა თავები, დიდს ჯალაბთ, გაუყოფელზე.
5 მამრე მიმართა კარებსა ჩირაღის მანათობელზე.
კარები დარჩა კლიტული, სულ შაიცვალა ცხო ფერზე.
მემრე მიმართა საკომსა, სჩხრეკს თავის გასაყოფელზე.
საკომით გაძვრა, წავიდა, მუქლ მაგრა მიდის სოფელზე.

—

- „სად იყავ, ფადიაურო, ნაბადთ რო ცორი გდებია?“
10 — „ქვეს ვიყავ, შური ავიღე, კენას მთას დაძმინებია.“
შემეეხვინეს ყორნები, ჭამა არ დაუწონია.

(D, ივ. ფიცხელაური საგანგაონილი).

233. სამი მზე (G 237)

ბ.

ნეტავ თქვენ, ქურაზის შვილნო! სამი მზე მავა თქვენზედა.
ერთი მზე მამაცობისა, მტერ ვერ დაგიდგასთ ძალზედა.
მეორე ნადირობისა, ჯიკენ ვერ გაგივლენთ მთაზედა.
მესამე პურადობისა, სუ სტუმარ გისხავთ სკამზედა.

(O).

მეორის ნაცვლად Oს მესამე უწერია, მესამის ნაცვლად კი — მეოთხე.

234. ახალა (G 238)

დაბადების დღეს რომ რაიმე იარაღი გამოჰყვეს (აქ, მ. 2, საომარი პერანგია, ჩვეულებრივ ჯაჭვის პერანგად წოდებული), ასეთი ფიგურალური გამოთქმა სხვაგანაც

გვხვდება: „დაბადების დღეს გამოგვყა მკართ თოფი, კელში ხანჯარი“ (226, 9). ასეთივე არსებითად: „გამახყვა დაბადების დღეს მარჯვენა სისხლიანია“ (44, 2).

235.

დაბეჭდილია ნის მიხედვით (გვ. 238). – 2 უწოვავ ქრისტის დედაი, არ თუ კორციელთ ქლლია] ასეთივე შედარება მოიპოვება ნაროზ ბლოელის ლექსშიც (№ 177, 2).

236.

ესეც ნის მიხედვითა დაბეჭდილი (გვ. 238).

237. თორმეტის შურის მძებნელი (G 239)

ბ.

თავი რად მახკალ, მინდია? სიათა ყინჩა ტირსაო.
თორმეტის შურის მძებნელო, კელად მამყვანო ტყვისაო.
ლილღვლები ქომოციხლები გაიყინჩებენ ძილსაო:
„ვინა-ღ შაგვიყრის ლაშქართა? ვინა-ღ აუსხამს პირსაო?
კიშოს ჭალა დაგვენბდა, ვინა-ღ ჩაგვისხამს მზირსაო?“

(O).

Оის თანახმად, ასეთი გადმოცემა არსებობს: ახიელში ობლად დარჩენილა მინდია ოჩიაური, კირჩლაის შვილი, რომლისთვისაც ქისტებს მამა მოუკლავთ. მინდია რომ წამოზდილა, მას „იოგის თავზე უძებნავ მამაი“, მოუკლავ თორმეტი ქისტი და მეცამეტე ტყვედ მოუყვანია. მეთოთხმეტედ რომ წასულა, ხმა გაუტეხიათ ლილღოს და მღვეარი გამოსდგომია. მაშინ აღუთქვამს გორულის ჯვარისთვის (რომელიც საკუთრივ ოჩიაურთა სალოცავია) ქორა ხარის დაკვლა. დეკიანში ჩამალულა და ქისტებს ვერ უპოვნიათ შინ რომ მოსულა, ცოლს ხარი არ დაუკვლიენებია, – მე სად მყავს იმდენი ხარი, რამდენჯერაც შენ ლილღოს წახვალო?! ამის შემდეგ მინდიას გასჩენია რალაც სატიკივარი, რომელიც ხატისთვის დაუბრალებია, აღთქმის შეუსრულებლობის გამო, და შეწუხებულს თოფი დაუკრავს და თავი მოუკლავს. სიკვდილის წინ დაუბარებია: ჩემს დას ნანას ნუ მოუშვებთო, ქება-ღიდებით ტირილი იცისო, არ მინდაო, მაგრამ აბა ვინ დაუშლიდა? თითქო ნანა მოსულიყოს და დაეტიროს, როგორც ზემოთა მოყვანილი.

238-239. მინდია თეთრაულისძე (G 239)

240. უთურგიანი (G 239)

241. ხალიაისძე (G 241)

გის მიხედვით, ხალიაისძე თუში ყოფილა, მაგრამ მომეპოვება ერთი გუდამაყარში ჩაწერილი ლექსი („ხალიაისძე იტირა თავის ბეჩავმა დედამა“), რომლის მოამბესაც, ბუჭკია ჩოხელს, ხალიაისძე ფშავლად, მათურლად, ჰყავს წარმოდგენილი. თუ ეს ხალიაისძე და გუდამაყარში გაგონილი ლექსისა ერთი-და-იგივე პირია, მაშინ ირკვევა, რომ ხალიაისძე ქისტებს მოუკლავთ და, ხელი რომ არ მოეჭრათ მისთვის, მის მომხრეს ქვეთარ წითულაურს მისთვის იარაღი აუყრია და მკვდარი კლდეზე გადაუგდია.

რითაც ხალიაისძე ფშაველი ჩანს (Rფ 192).

242. მიქელა (G 240)

ამ ლექსს კავშირი აქვს №77 და №254-თან. სულეთის წახდენის მიზეზად აქ ლექსების გაწვევტა დასახელებული, მაშინ როდესაც №77-ში იგივე ამბავი საკუთარი ქალების დახოცით არის ახსნილი. ამისი ვარიანტები ნ. 254 ნომერთან.

243. თუშები სააქორაოდ (G 242)

ამისი დასაწყისი 24 ნომრისას მოგვაგონებს. ამას გარდა შინაურების მოტყუებაზე რომა საუბარი, ვითომ ომში ასე და ასე ვისახელეთ თავიო, აქ (მ. 15) ლექებზეა გამოყვანილი, მაშინ როდესაც თუშურ ვარიანტში (Bu, აკაკის თვიური კრებული, 1900, №11 = ქართ. სიტყვ. №67) იგი ფშავლებს მიეწერება, რომლებიც ვითომც ომს შორიდან ადევნებდნ თვალ-ყურს. შინაურების ასეთ მოტყუებას სხვაგანაც ვხვდებით: №170ბ, 16.

244. ლექები და თუშები (G 242)

245. დანდობით გაწვევტინება არხოტიენებისა (G 243)

ხაძაის ხაბირიკა, გის თანახმად, ქისტი ყოფილა.

246. კადუელები (G 246)

ბ.

ნისლი ძეს ტუტილის კიდურ. არილს გაიგვებდ მზისასა.
შოგ არის კადუელები, ფერს იღებდიან მგლისასა.
ელიან გათუნებასა, მითხოთ გამოსვლას ცხვრისასა.

- ცხვარ მითხოთ ნელად გამოვას, დილა ამაეს მზისასა.
 5 უწყალოდ ხერენ დუმას(ა) მითხოვლთ ცხვარ-ვერძისასა.
 სანება ხკაზმებს ლურჯას(ა), საწყალს(ა) სამის წლისასა.
 და(ა)დგამს მართულობას(ა) საჩრდილობელს(ა) მზისასა,
 და(ა)ხვევს მასართავეს(ა) წითლის(ა) ატლასისასა.
 10 „ღმერთო, მოგვისხენ მშვიდობით, კარს იღვენ სანებისასა!
 მაშინ ვიქმოდით სახოხსა(ა), კარისასა და ცხერისასა.“

—

მამაცად კადუელი ჯობ, — ამასაქედს ზის მზისასა.
 მასპინძლად არდოტელი ჯობ, — ახლოს ას მითხოს გზისასა.

(Gog).

1 არილს გაიგდებდ მზისასა] არილს გაიგდებდავ მზისასაო Gog: II კადუელი] კადულებ გოგ. — ამას გარდა Gogის ნაწერში ყოველ მუხლს ბოლოში სხვათა სიტყვის ო უზის, რაიცა ჩვეულებრივია ზოლმე ლექსების მშობის დროს: მზისასაო, მგლისასაო, ცხერისასაო და შემდგომი.

247. წითელათანა (G 244)

ამის შესახებ ნ. შენიშვნა № 131-თან. — ცის მეორე ჩანაწერში ვკითხულობთ: 2 არხოტიენებო] არხოტიენებოთ; დახკვლენ] კოცენ.

ბ.

არხოტის ჭალა გაიესა ქისტიშვილების მკვდრითაო.
 ბარაქალ, არხოტიენებო! კელ-უკულ(მ) დახკვლენ კმლითაო.

(Sh).

248. ჯაბირი წყალზე (G 232)

ცის მოწმობით, ამ ლექსის მოქმელი არის კევსურის ქალი მზექალა.

249. გუროვლები სამეკობროდ (Sh)

გაიგონე კირჩლა წიკლაურისაგან 21.7.1911 ს. გარბანს. — დათ თუ ვინ გააგებობს] პირველად დამიწერია: დათ ვინ გააგებობს? — ნაჭან] მოსალოდნელია: ნაჭაპანს, ან ნაჭაპანთ.

ეს ლექსი იმავე საგანს შეეხება, რასაც №№128, 129.

ბ.

- ამბავ რა იქნა გუროსა, წყრომა რა იღვა ხთისაო?
ჩამოდის წვრილი მასკვლავი, მთვარე შავს იქნევს პირსაო:
ველობა გაუბედავის ულუკაურის შვილთაო.
მიუვლენ აპარეკასა: „აადე, გაგვიძებ მზირთაო!“
- 5 გაუძღვა აპარეკაი, მართვეი შავარდნისაო,
გადაველივა ჭალაი, ჯავრი აქვ ქისტებისაო.
დაბრიყვებულა წყემსები, ცხვარი გამოდის ჩრდილსაო.
თოფი ხერეს, შიგ შეარჩიეს, მანძილა დასცეს ტყისაო.
ცოცხალა მამას შესწირეს: „ბანდა უნდა ჯღნისაო..“
- 10 მომცდარან სიყმაწვილითა: კიდი მოშალეს წყლისაო.
წყალსა გამოვა თორმეტი ნარჩევის მითხოველისაო.
სათოფრად ეეკიდიან [ერთურთს], ძალი აქსენეს ხთისაო.
წინ-წინ ხოლიგას დაგვიკერეს, მუკლი მოსტეხეს მგლისაო.
ყელ-ჭრელი იდუმაისა ნელ-ნელა გამოდისაო.
- 15 ბეერი აქვ ტყვია-წამალი, სატოლ აღარ აქვ კლდისაო.
ეგ უფრო საკვირველია: საყურად დება ძმისაო!
„შინ წაედ, აპარეკაო, შინ წასულა წესი მთლისაო.
წაედ, წაიღე ამბავი, ჩვენ-დ' ქისტების ცდისაო.
უამბე ჩვენსა დედასა, ბერია-დ' იქამს ლხინსაო.
- 20 დათ ვინაღ გაგვიგებობეს, ნაჭან დაიჭრან თმისაო?“

(ვაჟიკა არაბული, ივერია, 1900, №12).

ბ.

- რა ამბავ იყვა გუროსა? რა წყრომა დაღვა ხთისაო?
ჩამოდიოდა წვრილი მასკვლავი, მთვარე შავს ივლევდის პირსაო.
ველობა გაუბედავის [აიმ] ულაკაურის შვილსაო.
მიუვიდოდეს აპარეკასა, გამტან არ ურჩიყო გზისაო.
- 5 „გაგვიძღვიდი, აპარეკავო, მცოდნე იყავი [მითხოს] გზისაო!“
აისხიანავ იარაღები, თითო საქსარ იყვ[ა] ტყვისაო,
ბოსოზ ჩაუსხლეს გზაშიგა. თქვეს, [რო] ნანატრ[ი] ცხადლებისაო.
ბოსოხელთ[ა] წყემსი მოუკლეს, [მათ] მუკლ მოიბიან მგლისაო.
კიდნიც ჩა[უ]ყარნეს წყალშიგა, დარდ[ი] აღარ ხქონდა მტრისაო.
- 10 ქისტებს ხყვანიყვის[ა] მცურავი, ისევ წყალს[ა] გამოდისაო.
საჩქაროდ[ა] შემოეწივნეს[ა], დადგ[ა] გუგუნ[ი] თოფებისაო.
თოფი[ი] დაუკრიან ხოლიგას[ა], მოსტეხიან[ავე] მუკლ[ი] მგლისაო.
იღუა[ი] ჩამობრუნდების[ა], როგორც[ა] ღურბელი ცისაო.

- ძმაი ღადღვის[ა] სანგლადა, [ძმაი] ძმაზუღით ისრევეღისაო.
- 15 [ანს] იღუაისა ყელ-ჭრელი და(ა)ნგრევეღა მზის პირით[ა] ჩღიღსაო. თითოსა გამოვარღნასა ქისტებ[ი] სამ-სამს მკვღარს[ა] თრისაო. შენ კი წახვეღი, აპარეკავო, [შენ მო]ქიქმარე მუქლი მგღღისაო. ამბავ[ი] მიართვიღ[ღი] იტუას[ა] ჩვენი დ[ა] ბოსოხვეღთ[ა] ცღღისაო. „ღადრ მოგევას [„უთხრიღივ,] იღუა[ი], ახ(ა)ღ-შემბ(მ)ეღღი [გყვანღღის] კმღღისაო.“
- 20 არ გავიზარღდასთ, ქისტებო, დაზარაღღება მტრისაო! არც[ა] გუროთ[ა] გამოსხლ(ტ)ებოღღის[ა მერე] ნოღთი ლეღვის მგღღისაო. ზუღ ღამრჩო[ი] საყურაი ხყავ[ა], ღღღხანს არ ივეღღვეღ[ა] ჭირსაო.
- (Gog).

აქ საყურაღღებოა ხმარება ზეღმეტი მარცღღებისა და გღღოსებისა, რომღღებიც კავებშია ჩასმული. ფრჩხიღღებში კი ჩამწერის დაკღღებული ასოღღბია ჩემ მიერ ღართუღღი. ამით მოღღად მინც არ გაიმართა ლექსი. სამაგიეროღღ სხვა ჩამწერის კაღღმის ქვეშ ან სხვა მოაღღბის პირში ეს ლექსიც გაიმართება, როგორც კოღღალი.

250. ყარაული შიბუს ჭაღღაში (G 174)

შიბუს ჭაღღის ყარაულად აქ აღუღღაურია წოღღებუღღი. აღუღღაური სახელიც არის და გვარიც: არხოტში იგი სახელია, ხოლო კაქმატში – გვარი. ამ ლექსში აღუღღაური სახელია, მისი გვარი კი გაბური ყოფიღღა. მაგრამ გაბურებში ორი აღუღღაურია ცნობიღღი: უფროსი (ბესარიონით: წინა აღუღღაური), და უმცროსი, რომელზეღღაც საუბარია 103 და 104 ლექსში.

წინა აღუღღაურის სახელთან დაკავშირებით ბესარიონს ძაღღიან საინტერესო ამბავი მოჰყავს შინ შემოხვეწიღღი მტრის შესახებ: აღუღღაურს ძმა ჰყოღღია, სახელად იონა, რომელიც ქისტს ხაღღფიას (ვითომ გაპატიუებო და) გაუტყუოღღებია არხოტიღღდან და ჩასაფრებულ მზირთად შეუგღღია. იონასთვის თოფები დაუხღღიათ, მაგრამ ასცღღენია და შინ მშვიღღობით მოსუღღა. ამის შემღღევ ხაღღფია ღღღ საგონებელში ჩავარღღნიღღა შიშის გამო და თავის გაღღასარჩენად წამოსუღღა და აღუღღაურის სოფღღის პირში შამბში ჩამაღღლუღა. როცა დაუნახავს, რომ აღუღღაური და იონა ბანზე სხვეღღან, წამოვარღღნიღღა, გაქანებულა ბანისაკენ და დაუძახნია: მიშვეღღე. აღუღღაურო, შინ შემოხვეწიღღი მტერი ვარო. იონა მოსაკღღავად დაზიღღლუღა, მაგრამ აღუღღაურს ძმა არ მიუშვიღღა და მოსისხღღღენი შერიგებულან.

251. ნისღღაურისძე (G 189)

ეს კირჩღა ნისღღაურისძე არხოტიონია, აღღღიონი. ცის ცნობით, იგი განთქმული იყო თავის ნაღღირობით, გულაღღობით. 1915 წელს იგი ცოცხაღღი ყოფიღღა.

252. გაბურთ დაღვევა (G 162)

ბესარიონის თანახმად, ყოფილან სამნი ძმანი გაბურნი, ანუ გაბურნი: ბერ-
ღია, იონა და ხომიზურა, რომლებიც სანადიროდ წასულან და ღამით ღაბერდის ეხში
ღამდგარან. აქ დაძინებულთ თავს წასდგომიანთ ქისტები, დაუტყვევებით, ჩაუყვანიათ
თავის სოფელში და დაუხოცათ ხომიზურას დაძრჩენია სამი თვის ვაჟი, რომელიც
დედასთან ერთად (ბაკათ ქალი ყოფილა, ჯაბუშანურთ) დედი-ძმებს წაუყვანიათ ახი-
ელს. დედი-ძმების რჩევით ნანუკს თავისი სამი თვის ყმაწვილი, სახელად აბაისძე
წაუყვანია ქისტებში, სადაც ქმარი და მაზლები დაუხოცეს, და იქ დაუგდია: ქმარი და
მაზლები თქვენ მომიკალით და ბარემ ესეც მოკალითო და გამობრუნებულა. ქისტის
ქალებს აუყვანიათ ბავშვი და გაუზრდიათ. ოცის წლისა რომ გამხდარა ეს აბაისძე,
ქისტებს წამოუყვანიათ და დედისთვის ჩაუბარებიათ არხოტში. აბაისძეს დაუბრუნებია
ხალხის მიერ ამასობაში დატაცებული მამული („აბაისძემ შიიღვა დროშა მქარზედ და
ისე დაუარა ადგილს, დაბრუნა თავის მამული, რაც დედამ ასწავლა“). ამის შემდეგ
აბაისძე დადიოდა თურმე ქისტეთში და სისხლს იძევდა „იოგის თავად.“ ამ აბაისძის
ჩამომავლობა არის დღეს, რაც გაბურები არიან.

ეს აბაისძე იყო მამა უმცროსი ალუდაურისა №№103, 104). მას ეხება კიდევ
№328.

253. შატილის დაწვა

ჩაუწერია ნიკო მაკალათიას, გადმომცა ქრისტინე შარაშიძემ. —
იყრების დიდი ლაშქარი რუსის იყრების ლაშქარი (მაკ.); 16 ცვილის სანთლები
ცვილი სანთლები (მაკ.).

აქ თითქო უნდა იგულისხმებოდეს რუსის ჯარის მოქმედება მეცხრამეტე საუკუნის
დასაწყისში იმასთან დაკავშირებით, რომ შატილში 1813 წელს ალექსანდრე ბატონი-
შვილი იყო შეფარებული. [ნ. კიდევ დამატება. რედ.]

254. მშაველ-ქვესურთ მიშველება თუშეთში (Bc)

სამციხელების სამიხელების Bc. — ამ ლექსს ასეთი შესავალი მიუძღვის: „თუშეთს
რომ ლეკის ჯარი დასცემა და იქ მიშველებიან ქვესურნი, სიმღერა არის“, ხოლო მე-7
მუხლის შემდეგ მოსდევს: „მამინ თუშეთს ლეკის ჯარი შამოხვევია, აქით ხვესურნ
მისულან და დარჩვიან კმლებით შიგ ლეკის ჯარს და გაუჭრავ თავები. გაქცეულან.
მ(თ)ას იქითაც გადახყოლიან.“ ამას მოსდევს ორი მუხლი ბლოელი მოლოდინას შესა-
ხებ, რომელიც №50-შიც იხსენიება, რადგანაც ორივე ლექსი (№50 და 254) ერთსა და
იმავე ამბავს უნდა შეეხებოდეს.

ეს ლექსი (მოლოდინას შესახები ორი მუხლის გამოკლებით, რომელიც, რითმის მიხედვით, მე-50 ლექსის ნაგლეჯი უნდა იყოს) და ლექსი № 77 ერთისა და იმავე სიმღერის ნაწილები ჩანს. ამავე ლექსის ნაწყვეტი უნდა იყოს მეორე ნახევარი 242 ნომრისა.

ბ.

ბის მიერ ჩანაწერი ვარიანტი იმით განსხვავდება ა ვარიანტისაგან, რომ აკლია: მე-5 მუხლი („სამციხელების თოფებმა...“) და მმ. 8-9 მოლოდინას შესახებ. ამას გარდა: 2 [შამოხვიენაო] შამახვიენაო B; 4 ჩამოხვიენაო] ჩამახვიენაო B; 7 [დაალობია] დაალობივა B; დაუგრილაო] გაუგრილაო B.

ბ.

ელოს ატირდეს დედანი: „ჩვენ მტერმა შავაშინაო:
კარძე მოდიან სტუმრულა, ძალზე შამავლენ შინაო.
შაყრილამც ფშაველ-ქევსურნი, ელოს ჩდილს ჩამოხვიენაო!
დინინებ ქევსურთ შვილებსა ყაწიმებ დაუბდღვინაო!
5 ფშაველები ლეგ-ლეგაები თოფებსამც ჩამაქკვიენაო!
ჩვენებსა მეთოფებსა თოფებიმც დაუგრილაო!
პირიმც წყლით დაგვილობინა, ძილიმც კი დაგვიძინაო!
მიქელა რუსას გაზდილი რად არ ვინ დაიჭირაო?
ქალნი ჩაქოცნა თავისან, სულეთნი წაიქდინ(ნ)აო.
10 ეგრემც მათუა ყველასა, ვინც მიქელს გაუცინაო!“

(T).

დ.

ელოს ატირდენ ქალები: „ურჯულომ შეგვაწუხაო.
სტუმრულად კარზედ მოდიან, ძალით შემოვლენ შინაო.
არჩეულ ფშაველ-ქევსურნი აქაც ვინმ შემოაჩინა!
სულ-დიდ, გულ-დიდებ თუშებსა ყაწიმებ დაუბდღვინაო!“
5 ქავთარამ იუკიძემა ქორულად შემოქკვიელაო.
სამციხელების თოფებმა ელოს ძირს შემოქკვიელაო.
მიქელი ურაზიშვილი რად არ ვინ დაიჭირაო?
ქალნი დაქოცა თავისი, სულეთი წაიქდინაო.
იმ ვაჟსამც ღმერთი რისხავდეს, ვინც მიქელს გაუცინაო!

(Ge 28).

2.

- ტერლოს ატირდენ დედანი: „მტერმა კი შავგაშინაო.
სტუმრულა მოვლენ კარზედა, ძალით შამოვლენ შინაო.
ლეგ-ლუგა ფშავლიშვილები აქამც ვინ მოგვიჩინაო!
ამ ჩვენებს მეთოფეებსა თოფები(მ)ც დაუგრილაო!
5 პირიმც წყლით დაალობინა, ძილიმცა დააძინაო,
მაღლა დაუდგა ჩაფები, ქვეშ ნიავ გაუდინაო!“

(Tფ).

3.

- ელოს ატირდენ დედანი: „მტერმა ჩვენ შავგაშინაო.
სტუმრულად მოვლენ კარზედა, ძალად შამოვლენ შინაო.
ნეტამც ჩვენს მეთოფეებსა თოფებიც დაუგრილაო!
პირიმც წყლით გაალობინა, ძილიმც ვის დააძინაო!
5 ანამცა ფშაველ-ქევსურნი აქამც სამ მააჩინაო!
ლეგ-ლუგა ფშავლიშვილების თოფებიც შამაპკვივლაო!
ქევსურებ დიქიმ-დიქიმა ყაწიმებ შამუბდღვინაო!“

(Rფ 177).

3 ნეტამც ჩვენს მეთოფეებსა თოფებიც დაუგრილაო] „სროლით დახურებული თოფები ჰქონიათ“ R; 4 პირიმც წყლით გაალობინა] „იმდენი ვერ მოუცლიათ, წყალი დაელიათ“ R; 6 ლეგ-ლუგა] „ლეგად დართული“ R.

ზ.

- ჩილოს ატირდეს დედანი: „ჩვენ მტერმა შეგვაშინაო!
შაყრილნი ფშაველ-ქევსურნი აქამც ჩამოგვიჩინაო!
ლეგ-ლუგა ფშავლიშვილები თოფებსამც წამუწვინაო!
ნუმც დაუბნელა ლიშანი, ლამაზად გაუჩინაო!
5 გულ-დიდებს ქევსურთ შვილებსა ყაწიმებ გადუბდღვინაო!
ამ ჩვენებს მეთოფეებსა ძილიმც ვის დააძინაო!
პირიმც წყლით გაალობინა, თოფები გაუგრილაო!“

(X, ივერია, 1887, №154 = ც. წ; 57).

8.

ქელოში დედან ატირდენ: „ჩვენ მტერმან შეგვაშინაო.
კარზედ მოგვდიანთ ძალითა, სტუმრულად დიან შინაო.

- ნეტავ ჩვენსა მეთოფებს ძილით ვინმ დააძინაო!
 პირიმც წყლით გაალობინა, თოფებიმც დაუგრილაო!
- 5 სამციხელების თოფებმა პელოსამც შამაიხულაო!"
 ქავთარმა ლუხუმის ძემა კმა-წვრილად შამაიკივლაო:
 „ის ჩენი ფშაველ-ქევსურნი აქამც ჩამააჩინაო!
 ქევსურთ ფარ-ქმალი, ყაწიში პელოს თავს ჩამააბდღვინაო!"
 მიქელმა ზურაბის ძემა რა საქმე მოაქდინაო:
- 10 თვითონ დაკოცა ცოლ-შვილი, სულეთი წაიქდინაო.
 დღენიცა ერგოს იგეთი, ვინც მიქელს გაუცინაო!
- (Bu თ, 166).

თ.

- პელოს ატირდა დედანი: „მტერმან ჩვენ შეგვაშინაო.
 კარზედ მოგვდიან სტუმარნი, ძალით მოდიან შინაო.
 ამა ჩვენს მეთოფებსა ძილიმც ვინ დააძინაო!
- პირიმც წყლით გაალობინა, თოფებიმც დაუგრილაო!
- 5 ნეტავინ ფშაველ-ქევსურნი აქამც ვინ შემოჰჩინაო!
 ქევსურთა ფარ-ქმალ-ყაწიშნი ელოს თავს შემობდღვინაო!
 გულ-მძიმე წოვათ შვილები თოფებით ჩემოწვინაო!"
 სამციხელების თოფებმა ელოს ძირს შემოქვივლაო.
 ქავთარმან ზურაბის ძემან კმა-წვრილად შემოქვივლაო.
- 10 მიქელამ ზურაბის ძემან რა საქმე მაიქდინაო:
 დაკოცა თავის ცოლ-შვილი, სულეთიც წაიქდინაო.
 დღენიმც მიერგეს ეგეთი, ვინც მიქელს გაუცინაო!
- (Ro თ).

5 აქამც ვინ] აქამო ვინ Ro. — ამას გარდა Ro მუხლების ბოლოკიდური ონების წინ ხან ვინებს სხამს (შეგვაშინაო, შინაო, დააძინაო და მისთ), ხან კი არა (შემოშჩინაო, შემობდღვინაო და მისთ). ერთგვარობის გულისთვის ვინები ყველგან ამოვიღე.

ი.

- შენაქოს თუშთა ქალები ცრემლით იბანენ პირსაო:
 „სტუმრულად მოგვივლენ ლეკები, ძალით შემოვლენ შინაო.
 ნეტავი ჩვენსა მეთოფებს თოფები დაუგრილაო!
 ან წყალი დაალევინა, ან ცოტა დააძინაო!
- 5 ან მაგ მთიულთა ბიჭებსა ყაწიში დაუწინაო!
 ანუ ლეგ-ლუგა ფშაველები აქ ვინმემ ჩამოგვიჩინაო!

სამციხელების თოფებმა შანაქოს ჩამოაკვივლაო.
თათარამ ფშავლის გაზდილმა ქორებრივ ჩამოაკვივლაო.

(AI, კვალი, 1897, №14).

„ლექსს დაბოლოება აკლია“ო. შენიშნავს AI. – ამას გარდა: 3 ნეტავი... თოფები დაუგრილაო] „ბევრი სროლისაგან თოფი ცხელდება და მრუდედ ისვრის“ AI.

იბ.

სამციხელების თოფებმა ელოს ძირს შამაპკვივლაო.
მიქელი, სურას გაზდილი, რად არ ვინ დაიჭირაო?
ქალნი დაკოცნა თავისი, სულეთი წაიქდინაო.
მოძალე ადგა კარზედა, თავ იმით მიიწყინაო.
დღენიმე ადგიან იმისა, ვინც მიქელს გაუცინაო!

(ბ ა ჩ ა ნ ა, ივერია, 1898, №217).

„ეს ამბავი ასე ყოფილა: მტერი მოსდგომია სოფ. ელოს, შამოსეგია შიგ. მიქელისთვის მის ქალიშვილებს შეუტირნით: ნუ დაგვაწბილებენ, შენის ხელით დაგვხოცე, გვირჩენიაო. იმასაც აუსრულებია მათი თხოვნა და დაუხოცია. მერე თითონაც გადარეულა და ისიც მომკვდარა ბრძოლაში. ამაზე არის ნათქვამი: თავ იმით მიიწყინაო“ (ბ ა ჩ ა ნ ა).

255. ტყვეობიდან გამოქცეული (Sh)

მიამბო თათარა წიკლაურმა (მაშინ 10 წლის ბავშვმა) 20. 7. 1911.

ბ.

- შვიდს წელს ტყვე ვიყავ, დედაო, არ მინახიან ქვიშანი.
ბრმაი ვეგონე, კოჭლაი, კარში ვერ გამამავალი.
გამოვედ მეშვიდეს წელსა, შუქნი მე ენახე(ნ) მზისანი.
ავილი ორი არგანი, არ ვიყავ გამომავალი.
- 5 გამოვედ მეშვიდეს წელსა, ქალ-ვაჟი ენახე მრავალი.
პირდაპირ ჩამამიფინეს თვალ-მარგალიტი(ს) სრევალი.
გავიარე და მივეუჯე, ვარჩიე მთავარ-მთავარი.
ვარჩიე, ჯიბეს ვიყარე, ბევრ იქა დამჩა, მრავალი.
აგეთზე გამოუფრინდი, არ იყო ჩამოსავალი;
- 10 ქაჯთ მოყმე გამამიყენეს ახალ-წვერშამამავალი.
ვიდინეთ, ვერ მამეწივა, – მუკლით მე ვჯობდი მავალი.
ისარი წამამაწივა თბე-წერილი, შორად მავალი.

სუქსა მკრა, გულსა მიწივა, მუკლი მომკეთა მავალი.

—

- ზე ბნელი ღამე ღამეცა, შიბნ ვერ გავიგე კლდისანი.
15 არწინი ბუღობილიყვ(ნ)ეს, ქუშნ იყენეს, ჩვენის მკრისანი.
მაძიკლეს შუნის თიკანი, ჩამამიწითნეს ქვიშანი.
თაოდაც ჭამეს. მეც ვჭამე, ბრალნი სცოდნიყვ(ნ)ეს ტყვისანი.
მემრ გზანი ჩამამსწავლ(ნ)ეს ნადენ(ნ)ი შუნ-ჯიკვისანი.
გზას ვეფხვი შამამეყარა, თვალნი მარისხნა ხოისანი.
20 გაზით გამართ(ვ)ენა კალთანი ჯაჭვისა, ჯავშანისანი.
სამი თვე წყლის პირ დავლიე, კიდნი ვერ ვნახე(ნ) წყლისანი.
ე გზანიმც აყვაედუბიან მემცხვარისანი, ცხვრისანი!
წყალს მაგათ გამამიყვანეს, კიდნი ჩამისხნეს სხლისანი.
მაგათ არ გამოვეყვანე, თევზნი ჩამთქვედეს წყლისანი.
25 თევზთაც არ ღამანებუდეს ვეშანი ზღვის პირისანი.

ეს ლექსი ჩაუწერია გ. ლომთათიძეს რომელიღაც ხევსურის სიტყვით ტფილისში და გადაუცია ვ. კოტეტიშვილისათვის. უკანასკნელმა მე გადმომცა. — 1 არ მინახიან არ მინახნია (ლომთ.); 3,5 გამოველ გამოველ (ლომთ.); 20 გაზით გამართენა გაზიდ-გამართნა (ლომთ.); ჩაწერი ამის შესახებ შენიშნავს: „ვეფხვი დაჭრილი ყოფილა: ფეხში ქვა ხქონია შერჭობილი. კალთანი ტყვისა იმიტომ გაუზიდავ, რომა ანიშნა: შეელა მჭირიაო... ტყვეს ფეხიდანა ქვა ამოულია და ფეხი შაუხვევია ვეფხვისთვისა. ვეფხვს სიკეთე იმითი გადაუხდია, რომა ასულა მაღლა კლდეზე და იქიდან ჯიხვები გადმოუყრია ტყვისთვისა. ტყვეს ჯიხვის ხორცი უჭამავ ცომად და ასე გაუტანია თავი“ (გ. ლომთ.); 24 ჩამთქვედეს ჩამთქვედენ (ლომთ.).

ვეფხვთან შეყრის ამბის გამო შღრ. №519, რომელსაც ორიოდე მუხლი საერთო აქვს ამასთან.

ბევლი ამავე იმის შესახებ, რომ მონადირემ დახმარება აღმოუჩინა დაჭრილ ვეფხვს, გალექსილი აქვს ვაჟა-ფშაველას („დაჭრილი ვეფხვი“, თხზულებანი, ტ. III, ტფ. 1930). მონადირედ თვარელია დასახელებული.

ბ.

- შვიდ წელს ტყვედ ვიყავ. დედაო, შინით კარს გამოუვალი.
შვიდ წელს მემრ გამომიყვანეს, კოჭლი ვეგონე, უვალი.
ისთუხედ გადაეფურინდიდი, საც არ იყვ გადასავალი.
თან მოყმე გამომაყოლეს ახლად წვერ-ამომავალი.
5 ვირბინ მე, ირბინ იმანა, მუკლად მე ეჯობდი მავალი.
ისარი გამომაყოლა ფთე-წერილი, ჩქარად მავალი.
ბეჭტ მომხვდა, სუქსა უწია, მუკლი მომიღო მავალი.

კლდესა მივაღექ ასეთსა, არსათიჳ ქჳონდა სავალი.

—

- 10 იქ არწივს ბუღე ქჳონოდა, ბუღეი ბუმბულისანი.
შვილი შეჳყეფდა დელასა: „სუნ შომღის კორციეღისანი.“

—

- „ცოტა ხანაც მოიცადეთ, კორც გაჭამ შუნ-ჯიკვისი.“
გზანიმცა აყვავდებიან ცხვრისა და მემცხვარისანი!
წყალს იმათ გამომიყვანეს, კიღნი გამიდევს ხისანი.
თვარ წყალში ჩავეარდებოდი, თევზნი შემჭამდნენ წყლისანი.
15 თუ თევზნი ვერას შემჭამდნენ, ვეშან ხო ზღვის პირისანი.

—

- ახლ დაეჯექ მუხის ძირადა, შტო დავითარე ფარადა.
დაეჯექი, წიგნი დავწერე, მტრელსა შევაბი მკარადა.
ეს ჩემსა დელას წაუღე, სახლსა-ღ შეუგღე კარადა.
არცა-რა მტერი შეუვა, არცა-რა მოძალეიო.
20 მითქვიღით ჩემსა დელასა: იყიდოს ჩემი თმაიო.
არცა-რა მაგრე გქელია, შვილ-კეცი შვილი მკარიო.

(Ge).

უკანასკნელი ნაწყვეტი (მმ. 16-21) თითქო სხვა ლექსის ნაწილიაო. ამ ნაწყვეტის ბოლო რამოდენადმე მოგვაგონებს 722 ნომრის თუშურ ვარიანტს, (ჩემ მიერ ჩაწერილს). [ნ. კიდევ შენიშვნა №722-თან (გვ. 758) და დამატება. რედ.]

ღ.

- შვიდ წელს ტყვე ვიყავ, დეღაო, არ მილაკიან ქვიშანი.
საკმისას ჩამოშვებულნი შუქნი ენახნოდი მზისანი.
კოჭლი ვეგონე, უფექო, კარში არ გამამავალი.
გამამიყვანეს, გამშინჯეს, ქალ-რძალი მოღვა მრავალი.
5 პირდაპირ გადმამიფინეს თვალ-მარგალიტის სრავალი.
დაეჯე და ბვერი ვარჩიე, ჯიბეს ვიყარე მრავალი.
იქისას გადმოვეფრინდი, საცა არ იყო სავალი.
თან მოყმე გადმამაყოლეს ახალ-წვერშამამავალი.
მე ის ვერ მამეწევოდა, მუქლად მე ვეჯობდი მავალი.
10 გადმამაყოლა ისრები ფთუ-წერილი, შორა მავალი,
სუქსა მკრა, გულსა მეწივა, მუქლი მამიღო მავალი.
ასეთსა კლდესა მოვაღექ, ვეფხვნი ვერ გავლენ ბწკლიანნი.
არწივნი ბუღებუღიყვენეს, არწივნი ჩვენის მთისანი.
წავიდეს სანადიროდა, ჩამოაწითლნეს ქვიშანი.

- 15 ჭამეს და მეცა მაჭმიეს, ბრალნი ჰქონიყვენს ტყვისანი.
გზანიმცა აყოვებულან ცხვრისა და მემცხვარისანი!
წყალს იმათ გამამაკლინეს, კილნი დამისხნეს ზისანი,
თორემ წყალთ ჩავეარდებოდი, თევზნი შამჭამდეს წყლისანი.
თევზთ აღარ დაჰაჯერებდეს დილნი ვეშაპნი ზღვისანი.

(X, ივერია, 1887, №144 = ც. წ. 22).

მ.

- შვიდს წელს ტყვედ ვიყავ დედაო, არ მილაკიან ქვიშანი,
საკმისას ჩამამავალნი შუქნი ვნახნოდი მზისანი.
კუტი ვეგონე, უფეკო, კარჩი ვერ გამამავალი.
გამუე, გამამიყვანეს, ქალ-რძალი მოდგა მრავალი.
5 იქისაკ გადაუფრინდი, სადაც არ იყო სავალი.
თან მოყმე გადმომაყოლეს ახალ წვერ-შამამავალი.
თან ისარ გადმამყოლა, წვერ-წვრილი, მარდა მავალი;
მკარს მამხვდა, გულსა მეწია, მუკლი მამელო მავალი.
ასეთას კლდეზე გადაველ, შუქნი ვერ ჩაველენ მზისანი.
10 არწიენი ბუდებუღიყვენს, არწიენი მალღის მთისანი,
დეექლა შველთა თიკანი, ეწითლებინნეს ქვიშანი,
ჭამეს და მენაც მაჭმიეს, ბრალნი სტოღნიყვენს ტყვისანი.
გზანიმცა (ა)ყოვდებიან ცხვრისანი, მემცხვარისანი!
წყემსებმა გამამაკლინეს, კილნი გამისხნეს სხლისანი.
15 იმათ არ გამუეკლინე, თევზნი შამჭამდენ წყლისანი.

(Tფ).

მ ა რ ი ა მ ბ უ ჩ უ კ უ რ ი ს ა გ ა ნ გაგონილი ს. ზენა-მკარში.

მ.

- შვიდ წელს ტყვე ვიყავ, დედაო, შინათ კარს გამოუვალი.
შვიდის წლის გამომიყვანეს, ქალ-რძალი მოდგა მრავალი.
შუაში ჩამომიყარეს მარგალიტისა სრავალი.
კოჭლი ვეგონე, უფეკო, აღარსად წამამავალი.
5 ასეთს კი გადაუფრინდი, აღარსად ჰქონდა სავალი.
ჯერ ბიჭი გამამიყენეს ახალ წვერ-შემომავალი.
ვირბინე, ვერ მომეწი(ვ)ა, — მუკლად მე ვჯობდი მავალი.
მემრ ცხენი გამომიყენეს წინ-და-წინ ღოღში მავალი.
ვირბი(ნ)ე, ვერ მომეწივა, გზა მქონდა სახვევიანი.
10 მემრისას გამომაყოლეს თბე-წვრილი, შორად მავალი.
ზურგთა მკრეს, ბეჭთა მიწია, მუკლი მამიხვენს მავალი.

- წყალთა აგეთსა მივადექ, არსადა ჰქონდა სავალი.
 გზანიცამ დაილოცება ცხვრისანი, მეცხვარისანი!
 წყალს იმათ გამომიყვანეს, კიდნი დამისხნეს ზისანი.
- 15 ხოსანი, არცა ზისანი, ნელლისა ჭიჭყოტისანი.
 აგეთსა მთასა მოვადექ, ყორან დაჰყეფდის მთისანი.
 იმის ძირს ჩუჩილაობდნენ ქუჩნი არწივნი ცისანი.
 დედამ შვილს გადაუძრახა: „სულ მამდის კორციელისანი.“
 – „ტყვეია, დედავ, ბეჩავი, შიმშილით შეწუხებული.
- 20 ცოტა ხანს შემოიტადოს, შუნის მივართმევ ციკანსა,
 გზასაც მე გადავასწავლი მას თავის ადგილისასა.“
 პატას ნუ ჩახვალ, მთვარეო, ნუ ჩამიბნელებ გზათაო!
 შიგ აგვე ჩაუვიდოდე ჩემ თვალ-ცრემლიან დათაო.

(Ro თ, მოამბე, 1895, №3).

3 შუაში...] შუაში ჩამომიყენეს მარგალიტისა მრავალი Ro; 10 თბე-წერილი] ამას მოსდევს ახსნა: ისარი; 11 მუკლი მამიხენეს მავალი] მოსალოდნელია: ან მუკლი მამილეს მავალი, ან კიდევ: მუკლნი მამიხენეს მავალნი; 16 ყორან დაჰყეფდის მთისანი] მოსალოდნელი იყო: ყორან დაჰყეფდეს მთისანი.

ზ.

- მე რო ტყვედ დამიჭირესო,
 პირდაპირ ჩამამიფინეს მარგალიტისა სრავალი.
 მივე და ბევრი ვარჩივე, ჯიბეს ვიყარე მრავალი.
 მემრ გადმოვფრინდი, წამოველ, საცა გზა ენახე სავალი.
- 5 გაიგეს, გამამიყენეს კაცი მუკლ-გამამავალი.
 მამღივა, ვერ მამეწივა, – მუკლად მე ვეჯობდი მავალი.
 დადგა და შვილდი მესროლა, ისარ გზა-გამამავალი.
 გზანიმცა აყვავდებიან ცხვრისა და მემცხორისანი!
 წყალზედა გამამიყვანეს, კიდნი გამიღვეს მსხლისანი.
- 10 მათ რო არ გამოვეყვანე, თევზნი შემჭამდეს ზღვისანი.
 ან ზღვისა თევზნი შემჭამდეს, ან ვეშანი ზღვის პირისანი.

(D, შიო კობაიძის აგან გაგონილი)

256. ხარხელაურნი (C)

გაგონილია გოგოთურ ჯინჭარაული საგან 16.7.1925. – 1 მოზლით] მოზით C; 12 დაყუდა] მოსალოდნელი იყო: დახყუდა.

- დაპირდა ორი ვაჟკაცი ერთი ქვიტირის კარზედა.
 გ ი ვ მ ა გამართა მაჟარი, გადაიკიდა მქარზედა;
 ნადირამ ქმალი გაღესა, შაირტყა მარცხენაზედა.
 წაეიდეს საქალაქოდა, დაღგეს ლეკების გზაზედა.
- 5 გივმ უთხრა ამხანიგებსა: „ქელ გქონდეს ქმლის ხე-ტარზედა.
 გულ-ტყუად ნუ დეეთრევით, გულ ნუ გაქეთ გაქცევაზედა.“
 გაღმეშალა ლეკები აიშის საუბარზედა.
 დეექცა ამხანიგები, ორნი-ლა დარჩენ ცდაზედა.
 წინ მოსულს გივმა მიარტყა, მკედარ დაჰყუდა თავზედა.
- 10 მეორეს ნადირამ დაჰკრა, გაუქდათ გასწრობაზედა.
 გივ კი აიქვე მოკლიან, ნადირა მოკლეს გზაზედა.

(Rფ 222).

ამ ვარიანტით ისე გამოდის, რომ გივი და ნადირა ორივე მოუკლავთ, მაშინ როდესაც ა ვარიანტით გივი დაუტყვევებიათ, ნადირა კი მოუკლავთ.

257. გუდანის ჯვარს (Sh)

ჩამაწერინა ბ ა თ ა კ ა ჯ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ მ ა 13. 7. 1911.

258. ბატატი

დაბეჭდილია უცნობი პირის მიერ ჩაწერილის მიხედვით (Bის კრებულიდან). — აჯობებდა, რომ ეს ლექსი ნარევეში მოხვედრილიყო. აქ მოხსენებული ქალი ნერვებ-ამლილი, თუ რაღაც ამგვარი უნდა ყოფილიყო. ჩემს ხეცსურეთში ყოფნის დროს (1913 წ.) კი მითხრეს: ერთი ქალი არისო¹ (არ ვიცი დათვისში, თუ მოწმარში), რომელსაც ახლო ნათესავები გაუწყვიტეს, სისხლის მამიებელი არავინ დარჩა და თვითონ აიღო თოფი და სისხლის აღებას აპირებსო. მოწინააღმდეგე ბანაკის ხალხი ვერაფერს უშვებოდა, რადგანაც დედაკაცი იყო და დედაკაცზე იარაღის ზმარება სირცხვილია. არ ვიცი, ეს დედაკაცი იგულისხმება აქ, თუ სხვა. ბაჩლელ ლელასთან შედარებული რომ არის, ეს ის ლელაა, რომელიც ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა ს ბახტრიონის გმირადაა წარმოდგენილი. არ ვიცი მხოლოდ. ხეცსურული ლექსის ავტორი ბაჩლელ ლელას ვაჟას ბახტრიონით იცნობს, თუ ხალხური გადმოცემის მიხედვით. ბაჩლელ გმირ ქალთან შედარება ბატა-ტისა მოცემულია კიდევ 727 ნომერში (მ. 3).

¹ [აქ ა. შანიძის მინაწერი: „შდრ. №643“. რედ.]

ბ.

- გარმოვიტანე ფანდური, ჩავათამაშე კელიო.
ქვესურეთ ბატატ გაითქვა, რომ წინას დროში ლელიო.
სხვა არეინ გამიგონავეის ბაჩალ ლელაის ფერიო.
ახლა გაითქვა ბატატი, ქალა ვაეების მტერიო.
- 5 ქვესურეთ შამოიარო, მაწერიო კელიო,
თოთხმეტ შაკრიფო ყაზახი, ეგ იმათ აფიცერიო.
აიშას ამბობს ბატატი: „თოლის გაშრომას ველიო.
უნდა გარდვიდო ქისტეთში, გარმოვიყვანო ცხენია.“
წავიდო საქისტეთოდა, ქალამ ჩაწიკო ცხენია.
- 10 ტახტის თავითი უკიდავ ახჯარი ასასხმელიო:
ხანჯარი სპილოს ტრიანი, თავი-ბოლომდე ჭრელიო,
ვინტონკა არშავიანი, თავი-ბოლომდე ძველიო,
ნაგან, სხვას გვერდზე მაუზერ...
მქარილლიე პატრონტაშები...

(Ba).

აქ ზოგიერთი თავისებური ფორმა გვხვდება: შამაიარო, მაწერიო, შაკრიფო, ჩაწიკო.
ნ. ამის შესახებ შენიშვნა 509 ნომერთან.

259. ორბელნი (O)

ეს ნაწყვეტი Tხსაც მოჰყავს (გვ. 80), რომელიც აღნიშნავს, რომ ახიელისა და კალოთანის წყლის შესართავთან მოჩანს მაღალ კლდეზე ქვის შენობათა ნანგრევები, სადაც ოდესღაც სოფელი ყოფილა. არზოტიენები დანამდვილებით ამბობენო, რომ ეს ნანგრევები ორბელიანთა (ასეა!!! ა. შ.) ნასახლარიაო. ისინი გვარწმუნებდნენო, თითქო ორბელიანები ამ ადგილიდან გადასახლბულიყვნენ, რადგანაც მათ თოვლი არ ასვენებდათო.

260. შალვა (O)

2 ყიათა] ყიათას O.

ერთი ამის ვარიანტი (დავარქვათ ბ) 144 ნომერშია შესული (მმ. 7-12).

ბ.

შალვა შურისა მძებნელი მთას ქორებულა კიოდა.

მე მონადირე მეგონა, შალვას თუ გული სტკიოდა.

(ივერია 1890, №148, კოშარაში ჩაწერილი) [ნ. კიდევ დამატებაში. რედ.]

დ.

შალვა შურისა მძებნელი მთას ქორებულად კიოდა.
მე მონადირე მეგონა, იმას თუ გული სტკიოდა.
წაიგლო ვიწროს კევშია, მთა-ბარი სულ ზედ დაჰხვიოდა.
გულს ერჭვა თეთრი ისარი, კილოზე სისხლი სდიოდა.
თავის თავს არა ჯაერობდა, თავის სწორებსა ჩიოდა.

(Rფ 220, პეტრე უამიაშვილის ნასწავლები).

ე.

შალვა მტრის გადმოხვეწილი გეზელ ქორივით კიოდა.
თავს ჰქონდა ხმალი ნაცემი, გულს სისხლი ჩამოსდიოდა.
ზედა და ზედა აყრიდა გულ-დაღეული ვადასა.
„სისხლში მოსვრილი პერანგი ვერ გაგირეცხე, ვაჰ, დასა!“

(Rქ, № 1238).

4 ვერ გაგირეცხე ვერ გაგირეცხე R (ასე აქვს ხელნაწერშიაც). — Rს ეს ლექსი ხალხური ვეფხვის ტყაოსნის ნაწვეტად მიაჩნია.

ვ.

მთით კაცი გადმოხვეწილი, გეზელ ქორულეზრ კიოდა.
თავს კმალი ჰქონდა ნაკრავი, გულს სისხლი ჩამოსდიოდა.

(Um, ივერია, 1901, № 252).

აწერია: „მთიული ლექსი“-ო, რაიცა საზოგადოდ მთაში ჩაწერილს უნდა ნიშნავდეს (ფშაურს, ხევსურულს... და კერძოდ მთიულურსაც).

ზ.

მთიდან მოსული ვაჟკაცი გეზელ ქორივით კიოდა.
თავი ხმლით ჰქონდა დაჭრილი, გულს სისხლი გადმოსდიოდა.

(Rქ, № 76).

თ.

დილას რო გარეთ გამოველ, ქალ ქორებულად კიოდა.
მე მონადირე მეგონა, იმას კი წყლული სტკიოდა.
გულს ესვა თეთრი ისარი, სისხლი ყიადამ სდიოდა.
სისხლი ყიადამ ნადენი კაბის ბოლოზედ სდიოდა.

5 კაბის ბოლოზედ ნადენი ბორტეს გველებურ[ად] ძვრებოდა.
ბორტ(ვ)ს გველებურად ნამროში ჭალას ლიხნად დგებოდა.

(Go).

თ.

მტრისაგან დაღონებული მთაც ქარებულას ჭყიოდა.

მე მონადირე მეგონა, თურმე მას გული სტკიოდა.

(ივერია, 1885, № 2. მთაში შეკრებილთაგანიო).

ი.

თუში ორასის მომკვლელი უომრობასა ჩიოდა.

თავს ჰქონდა კმალი ნაცემი, გულს სისხლი ჩამოსდიოდა.

მე მონადირე მეგონა, თურმე დაჭრილი სტკიოდა.

(ნ. ხუციშვილი, ივერია, 1889, № 204.

ჩაწერილი ს. ახალქალაქის მიდამოებში).

იბ.

ასი ოსმალის მომკვლელი უომრობასა ჩიოდა.

თავს ჰქონდა ხმალი ნაცემი, გულს სისხლი ჩამოსდიოდა.

(ივერია, 1891, № 200)

ჩაწერილი სოფ. კარალეთში ვ. ბ. ი. ლ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი. ს. მიერ.

იბ.

ორასი თურქის მომკვლელი უომრობასა ჩიოდა.

თავს ჰქონდა ხმალი ნაცემი, გულს სისხლი ჩამოსდიოდა.

(Rქ, № 77).

იბ.

მთაში ვაჟკაცი გაჰკივის, დაჭრილს წყლულები სტკიოდა.

მოეკლა სამოცი ლეკი, უვაჟკაცობას ჩიოდა.

(K 35).

261. მიქანი (R 98)

262. თურმან ფაფარენელი (Sh)

ჩამაწერინეს ფაფარენაში 23.7. 1911. თურმანი გვარად წიკლაური იყოვო.

უკანასკნელი მუხლი თიანელ ჭავჭავაძის შესახებ ზურაბის ერთ ლექსშიც არის შეტანილი (№ 14 ბ, გვ. 314).

წარმოშობით ეს ლექსი არ უნდა იყოს ხევსურული, რადგანაც რითმები დარღვეულია: პირველ მუხლში „გორისა“ არის მოსალოდნელი „ორისა“ და „ლორისა“-ს პირისპირ.

263. კილავის გადამღებელი (Sh)

ჩაწერილი მაქვს აფ შინა გოგოჭურისაგან 1911 წ. ივლისში, ხევსურეთში.

264. წინას ვალზედ მიყოლა (Dj)

აქ მოხსენებულმა სულხანაურმა ხელის მოჭრა არ აკმარა მოლას, არამედ თავიც მოკვეთა და წამოიღო, რისთვისაც სახსარი გადმოუტანეს ქისტებმა, მაგრამ მაინც არ დაუბრუნაო, მითხრეს. ეს მოლა არ გამოდგა იმისი მოსისხლე და შეორედ რომ გაემგზავრა სისხლის ასაღებად, შეცთომით, ქისტის ნაცვლად, ხევსურს ესროლა და თვითონაც მსხვერპლი გახდა თავისი შეცთომისა (ამის შესახებ ნ. ჩხიკვაძე 208, 209, 538).

265. ბჭობა არხოტისა და ღილღოს შესარიგებლად (Sh)

ჩამაწერინა გიორგი ჯაბუშანურმა 6. 8. 1913 ს. ახიელში. — 2 წინა] იგულისხმება: ფანდური.

არხოტიენები და ღილღელები შევირილან (ეს იყო ათიოდე წლის წინადო, მითხრეს 1913 წელს) ტერლის კარს (სადაც მიჯნა არხოტიენებისა და ქისტების მიწა-წყლისა), და ბჭობა ჰქონიათ სამუდამო ზავზე. ქისტებს არხოტიონთ მიერ დახოცილი ზაღზის სისხლში გასაბრელად სამ-სამი ცხვარი მოუთხოვიათ კომლურად, მაგრამ არხოტიენები არ დასთანხმებიან და უშედეგოდ გაყრილან. თათბირის მონაწილეთაგან ლექსში პირადად მოხსენებულნი არიან: ა) ქისტების მხრივ მაჯღივა (მ. 6), ჭეგაიშვილი (მ. 12) და ფარეშაშვილი (მ. 8), ბ) არხოტელთაგან კი: სისკარათ იონეური (ახიელელი, მ. 16), ფიცხელა ნაროზაული (ისიც ახიელელი, მ. 17) და თათარა (ამლიონი, ქისტების მომკლავი, მ. 19).

ბ.

ჩვენ-ღილღელებ შავიყარენით, საცა ტერლის კარს ვეტყვითო. სამკან დაკანთეთ ცეცხლები, თხებიც დაეკალით, ცხვრებიცო. მოვიდა ღილღელის შვილები, ძაგძაგ გახქონდა ყბებისო. ჭიმილი(თ) თათარა მოვიდა, იქისკე იზიდებისო.

5 კელჩი ბერდენკა უჭირავს, ფიჭვის ძირებზე ძვრებისო. ველარ იჭრენ ხუთ-ხუთნი, კალმახივითა სტებისო.

- ავა და ჩავა მაჯლიგა, ყვარნის სულ აღარ დგებისო.
 სრუ თქვენ ველარ გაძღებთ, ძალღებო, ვითას(ც) მოგშვიდებისო.
 სისკარათ ივანეური ქალღღმში რასამ სწერდისო.
- 10 სამ-სამ ცხეარ გაუთავება(ვ), ან მიმცემ ვინ-ა ერთისო?
 მე თიჯნის ყურსაც არ მივსცემ, ზოგებ მკედარს იწირებისო.
 ფარეშიშვილ მოვიდა, დურბინდით იცქირებისო,
 არ გამოვიდა გაურთა, ხალხის შუაში დგებისო.
 დამავრდით, არხოტელებო! დატეხით რა იქნებისო?
- 15 ვინაც მოკვდება, და(ლ)მარხეთ, კიდეც სხვა გაიზრდებისო.
 ტერლის კარს ქავი გა(ლ)მართეთ, ქორი არ გადახტებისო.
 შიგა დგას მეთოფეები, ბერდენკეები ტყვრებისო.

(ნ. ჭო ნ ქ ა ძ ე)

266. არხოტივენებს (B)

ლექსი ნათქვამია აბიკა წიკლაურის მიერო.

267. სწორ-სწორად შაქება (Sh)

ჩამაწერინა ავტორმა ბათაკა ჯინჭარაულმა ს. ბარისაკოში 13. 7. 1911 – 2 სახელ-
 ვზედებ ერისთვისასა] მოსაწონებლად არის ნათქვამი; 8 სკამს სხეხართ ნათლულისასა]
 ე.ი. ნათლიის სკამზეო, ამიხსნა; 9 ათხრევედი] ე.ი. ათხრევენიბედი; 14 ძალა გაძღევენ
 ლიშანსა] ე.ი. ძალად გაძღევენ სამსახურსო; 21 უჩინ] ბნელი (ვარ).

268. რა უნდა ვაჟას (U)

დაბეჭდა ივერიაში (1891, № 90). სისთვის უამბნია ა ფ შ ი ნ ა გ ი გ ა უ რ ს. [6.
 კიდეც დამატებაში. რედ].

269. რა უნდა იცოდეს ბეწიკუამაც კი (R 52)

270. დაბარება ველს წასულს (R 53)

5 ლიბუს] ლიბოს R; 6 გაგატანინებს] „გაგაყიდვინებს“ R. – ხმლის შესახები
 მუხლები ცალკეც გვხვდება ხოლმე:

ბ.

ქმალს ნუ ენდობი, ვაშკაცო, – ქმალი მშვიერი მგელია.
 გაგიჭრის, გაგიხალიზებს, ბოლოს დროს ლიბუს მთხრელია.

(O).

ბ.

კმალს ნუ დაენდობ, ოშკაცო, — კმალი შშიერი მგელია.
გაგიჭრის, გაგიხალიზებს, ბოლოს კი ლიბუთ მოხრელია.

(G 245).

დ.

კმალს ნუ ჩაჰხედავ, მოყბეო, — კმალი შშიერა მგელია.
გაგიჭრის, გაგიხალიზებს, ბოლოს საფლაგის მოხრელია.

(V, ივერია, 1886, № 141).

იგივეა Xც (ც. წ. გვ 198), ოლონდ: 1 შშიერა] შშიერი X; 2 გაგიხალიზებს] გაგიხალისებს X.

ხმლის ასეთი დახასიათება იმიტომ არის მოცემული, რომ დაჭრასა და მოკვლას სისხლის ძიება მოსდევს ხოლმე, რაიცა ხშირად მთელს გვარეულობას აჩანავებს. [ვარ. ე ნ. დამატებაში. რედ.]

271. ალაზანს (R 175)

272. ახლები ომჩი (R 90)

3 ლემადეს] ლამადეს R.

273. მეტობის ქნა (R 186)

ბ.

შენ ქვე რა გიქნავ, ვაჟო? სახელ რა მაგიტანია?
კაცი როს მახკალ ჭარელი? კელი როს მაგიტანია?
ქალი კვეთილში ნაჯდომი ცოლად ვინ წაგიყვანია?

(G 134).

274. ზეავი (R 219)

10 ნალ-უსმარები] ნალ-უსმანები R; 12 ზოგებმ] ზოგებ R.

აქ თითქო ორი სხვა-და-სხვა ლექსია შეერთებული ერთისა და იმავე ამბის შესახებ. პირველი ნაწილი ბ ა ჩ ა ნ ა მ დაბეჭდა (ივერია, 1898, № 217) მცირეოდენი გ ა ნ - ს ხ ვ ა ე ე ბ ი თ, სახელდობრ: 4 ჩაბერტყა ქოჩორი] ჩაბერტყნა ქოჩორნი; 6 გაფრინდა-ღ' ვერ გაეხვეწა] გაფრინდა, ვერ გაუწივა; 7 რად არ დაგვლივნა მტრის ძალმა] თქვა:

რად არ მტერმა დაგვლიენა; 8 რად ჩამოგვყარნა ამანა ერთ უდაბურმა მთამაო] სად ჩამოგვყარნა ტიალმა ამ ერთმ უდაბურმ მთამაო.

პირველი ნაწილი (შეიძლება მეორეც) წარმოშობით თუშური უნდა იყოს („გაეხვეწა“: მ. 6).

თითქო აქ მოთხრობილ ამბავსავე უნდა შეეხებოდეს ეს ორი მუხლი, ჩაწერილი ფშავში, სოფ. კოშარაში:

024.

თუშო, გაგიცვლა ველობა, — ზოვი გაგისქდა მთისაო.
გაპფრინდი, ვერ გაუწიე, ვადამ მოგიკრა კმლისაო.

(ივერია, 1890, № 148).

დალუპულები ყოფილან თუშები და ერთი დიდოც ქრევია. ეს დიდო, ალბათ, გზის მსწავლე იყო.

მეორე ნაწილი უფრო გავრცელებულია ხალხში და მრავალ ვარიანტად არის ცნობილი:

ბ.

ატირდეს თუშის ქალები: „არცად ას ჩვენებ ქმარები.
შაწუხებულებმ ცხენებმა არ შაირჩინა ნალები.“
ზოგთა თქვეს: „უკულმ დავხკაზმათ, ზედ შავსხდათ თუშის ქალები.“
ზოგმა თქო: „ბოსელთ შავყარათ, უკულმ დავუჯარათ კარები.“
ზოგებმ თქო: „მინდორთ ჩავლაღათ, იქ ნაყას ნალ-უსმარები.“

(O).

გ.

ლეკთა ტირიან ქალები: „აღარ მოგივლენ ქმარები.
ცხენებთ რა უყოთ ტიალთა? დაწვევითეს ლავამთ ტარები.“
ზოგთა თქვეს: „ბაშტებს შეგყაროთ, მაგრა დავგულოთ კარები.“
ზოგთა თქვეს: „მთაზე გაუშვათ, თავზე წაჰყაროთ ლავამები.“
5 ზოგთა თქვეს: „უგულმ შეეკაზმოთ, ზედ თავად შევსხდეთ ქალები.
გავღიდეთ თუშეთისაკენ, იქავ შევიროთო ქმარები.“

(Bu, №43, ბოლო).

აქ ეს ლექსი მობმული აქვს, როგორც ნაწილი, მუცალის ლექსის თუშურ ვარიანტს.

დ.

ტირიან თუშის ქალები: „არ მოგვივიდენ ქმარები.
ვა თუ ლეკებმა წაასხეს, დააყრვეინეს თავები!“

(თეატრი, 1887, № 3).

ე.

ტირიან თუშის ქალები: „არ მოგვივიდნენ ქმარები.
ვაი თუ ლეკნი დაუხვდნენ, დაგვიყრვეინეს თავები!“

(ივერია, 1889, № 204).

ჩაუწერია სოფ. ახალ-ქალაქის მიდამოში ნ. ხუციშვილს.

ვ.

ტირიან თუშის ქალები: „არ მოგვივიდნენ ქმარები.
იქნება დაიხვდნენ ლეკები, დააყრვეინეს თავები.
ზოგსა მოჰქონდა ქიშმიში, ზოგსა თეფშებით ბალები.“

მოჰყავს დ. არაყიშვილს („ქართ. ეროვნული ორ-ხმოვანი სიმღერები“, მოსკოვი, 1909), როგორც ნაწილი ამ სიმღერისა: „თუშო, ნუ მიხვალ ჯოშარას, ჯოშარა ეკლიანია“ და სხვ.). — 3 დაიხვდნენ სიტყვები ფშაველისაგანა გაგონილი და კომპოზიტორს, ცხადია, „მ“ ნაცვლად ი დაუწერია: „დაიხვდნენ.“ ფშაური გამოთქმით იქნება: „დაიხვდნენ“, რაიცა სალიტერატურო ენაზე ამას უდრის: „დაიხვდნენ.“

275. კაი ყმა

დაბეჭდილია კომბინაციური წესით: პირველი ნაწილი ცის მიხედვით (გვ. 244), მეორე კი ვაჟიკა არაბულის მიხედვით (მოამბე, 1895, № 5). უკანასკნელს პირველი ნაწილიც მოეპოვება, მაგრამ ენის სისწორის გამო ცს მივეცი უპირატესობა. არსებითი განსხვავება პირველ ნაწილში: 3 მთის ყურეს ნადირობასა] მთის ყურეთ თამაშობასა (ვ. არაბ.).

სამაგიეროდ ცსაც მოეპოვება მეორე ნაწილის შესაფერისი მუხლები, რომელიც აქ 291 ნომრად არის გადმობეჭდილი.

ბ.

კაი ყმა, მგელი, არწივი არც ერთ არ გაიწურთნების:
მგელი არ მოშლის მგლობასა, კაი ყმა — მამაცობასა;

არწივი ბერი, ყუჯაი — მთის ყურეს ნადირობასა.
ღაიგრუზების არწივი. მთით ბარად ჩამოვარდების.
ღაიჭერს შუნის თიკანსა, ქორცი ყორანთა დაშვების.

(Sh).

ჩამიწერია როშკაში 1911 წელს, მაგრამ არ აღმინიშნავს, თუ ვისგან.

ბ.

კა ვაჟი, მგელი, არწივი — არც ერთ არ გაიწურთნება.
მგელი არ მაჰშლის მგლობასა, კა ვაჟი მამაცობასა.
ბერი არ მაჰშლის არწივი მთის ყურეთ ნადირობასა.
კ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, სცენა მთაში (ხეესურების ცხოვრებიდამ): იფერია, 1889, № 9.

ღ.

კაი ყმა, ბერი არწივი, ერთუცის მუქარანია:
კაი ყმა ოშში მოკვდების სწორების მჯობინობასა.
არ მოშლის ბერი არწივი მთის ყურეს ნადირობასა.

(C).

მეორე მუხლი 284 ნომრის ნაგლეჯია.

ქ.

მგელი არ მაშლის მგლობასა, კარგი ყმა მამაცობასა.
ბერი არწივი ყუჯაი — ჭიუხჩი ნადირობასა.

(Tფ).

ჰ.

კაი ყმა, მგელი, არწივი, არც ერთ არ გაიწურთნება.
მგელი არ მაჰშლის მგლობასა, არწივი ნადირობასა.
კარგი ყმა მამაცობასა.

—

5 მგელი გაივლის მთის წვერთა, ნამი ნაბერტყი დარჩება.
ღაიხულუნუნებს არწივი, მთით ბარად ჩამუარდება.
შზად უნდა იყოს კარგი ყმა, რა ამბავ შამუარდება.

(Rფ 188).

ზ.

მთას იხუილა არწივმა, მთით ბარად ჩამუარდება,
ტყეს ჩამაილის არწივი, ტყე დაბეგრილი დარჩება,
შუნსა მასტაცებს ციკანსა, სადილად სადმე დაჯდება,
გულს და ღვიძლს შასტამს თვითონა, ლეში ყორნებსა დაჰრჩება.

(Rთ 256).

მ.

მგელი არ მოშლის მგლობასა, ლალი ყმა – მამაცობასა.
არც მოშლის ბერი არწივი წვერის ძირს ნადირობასა.

(„მთაში შეკრებილი“: ივერია 1885, № 2).

[ვარ. თ ნ. დამატებაში. რედ.]

276.

დაბეჭდილია ვ ა ყ ი კ ა ა რ ა ბ უ ლ ი ს მიხედვით (მოამბე 1895, № 5).

ბ.

მაშინ კარგია კაი ყმა, რა დილა-ბინდი დგებოდეს,
იცვაბდეს გრილსა რკინასა, „ომს ვიქაშ“, ემზადებოდეს;
ხვადი რო მხრადდეს ლაგამსა, წალმა-უკულმა დგებოდეს,
ათოთქროვებდეს მკედარი, ტყვია ტანზედა ხვდებოდეს.

(Rფ 191).

277 (R 245).

278 (R 54).

ბ.

კარგ ყმას აშურდა სოფელი: ჯარს არ გ(ვ)იყენებს ჯარზედა.
იმთვენ კი ველარ იციან, გაჭირდეს – გამოგვადგება.
დაიაპტიჯეს ცუდაი, ჯარში თავ-დაბლა დაჯდება.
არც არი ამპარტაყანი, არც დაიკვენებს ქალზედა.

(Tფ).

ბ.

კარგ ყმასა კმურობს სოფელი, – ყველას წინ წამოდგებო.
ის არ იციან ხაწყლებმა: გაჭირდეს, გამოდგებო.

(Rფ 140).

დ.

კარგ ყმას არ იპატიჯებენ, – ხალხს არ გვიყენებს ჯარზედა.
არც იცის ამპარტაუნობა, არც დაკვეხება სხვაზედა.
იმას კი აღარ ამბობენ, გაჭირდეს, გამოგვადგება.

(Rფ 144).

ამ ვარიანტის პირველი ორი მუხლი დაიბეჭდა ივერიაში 1890 წ. (№ 148) კოშარაში შეკრებილ ლექსებს შორის. – განსხვავებანი: 1 არ იპატიჯებენ] არ იპატიჟებენ; ხალხს] ჯარს; 2 არც დაკვეხება] არც დაკვეხნება. [ნ. კიდევ დამატებაში. რედ.]

279 (G 245).

ბ.

კარგისა ყმისა ცოლობა ნუ გიხარიან, ქალაო:
წავა და ლაშქარს მოკვდება, დაძრჩები ცარიელაო.

(Rო, ივერია, 1879, № 1).

იგივე გარე-კახური ვარიანტი, ჩაწერილი ს. პატარაძეულში ზ. ბილანიშვილის მიერ (ხალხ. სიტყვიერება, გვ. 116) და აგრეთვე ფშაური ვარიანტიც, Rის მიერ ჩაწერილი (Rფ 38), ოღონდ: 2 დაძრჩები] დამრჩები R.

280. ცული ყმა (B)

[ბ ვარ. ნ. დამატებაში. რედ.]

281 (B).

282. ყმა კაი და ცული

დაბეჭდილია ვაჟიკა არაბულის მიხედვით (მოამბე, 1895, № 5). ხუთი წლის შემდეგ ხელმოკრედ დაბეჭდილში კი იკითხება: „ტიროდა კაის ყმის ცოლი“ და სხვა (მოამბე, 1900, № 12).

თითქმის იგივეა ცის ვარიანტი, მაგრამ უფრო გამართული ენის მხრივ: „კაი ყმის ცოლი ტიროდა... გამაიქვევის... ჯობ...“

ბ.

კარგის ყმის ცოლი ტიროდა: „აღარ მამივა შინაო.“
იცინის ცუდაის ცოლი: „გამაიქცევა წინაო.“
გამოქცეულის მოსვლასა არ მოსვლა სჯობის შინაო.

(Rფ 188).

ამისგან Tის ფშავში ჩანაწერი იმით განსხვავდება, რომ: 1 ტიროდა: აღარ მომივა] ჩიოდა: არ მომივიდა T; 3 სჯობის] სჯობავ T. [ნ. კიდევ დამატებაში. რედ.]

283 (G 202).

4 არც რა] უნდა: არც-რა. — Gსის ვარიანტის განსხვავებანი: 2-4 შამალვარ-
ღების] შემალვარდება Gs; გაუკვას ნადირი] გაუკულენ ნადირნი Gs; 3 დედაო] ბჭავსა Gs;
მზის დაცხოამდე] მზის დაცხოზამდე Gs.

ბ.

ვაუკაცსა დილა ადრიან საუზმო უნდა, სადილი, —
ან მტერი შემოღვარდება, ან მთად გაუა ნადირი.

(Q 34).

ბ.

კარგს ყმას თუ ჰყევხარ, დედაო, აღრე აჭმიე სადილი, —
ან მტერი შამუარდება, ან მთას გადულის ნადირი.

(Rფ 188).

დ.

დილა ადრიან, დედაო, კას ყმასა უნდა სადილი:
ან მტერი შემოღვარდება, ან მთას გაუვა ნადირი.

(ივერია, 1885, № 2).

„მთაში შეკრებილი“, აწერია ამას და რამოდენიმე სხვას. — „შემოღვარდება“
ფორმის მიხედვით კი შეიძლება უფრო ზედმიწევნითობით ითქვას, სადაურია: იგი არაა
არც ფშავური და არც მთიულურ-გუდამაყრული, შეიძლება იყოს: ან ხეესურული, ან
მოხეური, და ან თუშური. — 1. კას ყმასა] კაის ყმას (ივერია).

მ.

ადრიან ადექ. დელო, ადრე გვიმზადე სადილი:
ან ომში დაგვიბახებენ, ან ტყით გამოვა ნადირი.

(ივერია, 1889, № 204).

ჩაწერილია ს. ახალ-ქალაქის მიდამოში ნ. ხუციშვილის მიერ.

284 (G 201).

ბ.

კაი ყმა ლაშქარს მოკვდება სწორების მჯობინობასა.
ისრევ დარჩება ცუდაი ქალებზი ლოგინობასა.

(ვაჟიკა არაბული, მოამბე, 1900, № 12).

ბ.

კარგი ყმა ლაშქრად მოკვდება სწორების მჯობინობასა;
გონჯაი — ბოსლის კარებზედ ქალების ლოღინობასა.

(Q, ივერია, 1885, № 9=ც. წ. 38).

დ.

კარგი ყმა ლაშქარს მოკვდება სწორების მჯობინობასა;
ცუდაი — ბოსლის ყურესა ქალებთან ლოგინობასა.

(Rფ 144).

იგივე დაიბეჭდა ივერიაში (1890, № 148), კოშარაში შეკრებილ ლექსებს შორის.
ამას გარდა, ამისი ერთი მუხლი 275 ნომრის გ ვარიანტშიც არის შესული.

285 (G 245).

ღვინის ხსენება ხევსურულ ლექსში ცოტა გვაეჭვიანებს, რადგანაც ღვინო ხე-
სურეთში არ იცის. სხვა ვარიანტებში სამაგიეროდ ლულზეა საუბარი, რაიცა უფრო
ბუნებრივია მთისათვის.

ბ.

კარგი ყმა მაშინ გატყდება, ლულ როცა გაძვირდება.
ცუდაი მაშინ გატყდება, საქმე რო გაჭირდება.

(R 50).

ბ.

კაი ყმა მაშინ გატყდება, ნახან ლულ გაბევრდება.
ცულაი მაშინ გატყდება, ომი რომ გაკშირდება.

(კოშარაში შეკრებილთაგანი: ივერია, 1890, № 148).

286 (G 244).

იგივეა არსებითად სის მიერაც ჩაწერილი მამის წვერა არაბულის სიტყვით (ივერია, 1891, № 90). — განსხვავება: 2 უბესა] ფარავსა ს; შამიხვევს] მამიხვევს ს. [ნ. კიდეც დამატებაში. რედ.]

ბ.

კაი ყმა კმალსა ჩაახედავს: გამიჭრისა, თუ არაო.
ცულაი ქალის უბესა: გამიხვევს, თუ არაო.

(ვაჟიკა არაბული: მოამბე, 1900, № 12).

ზ.

კარგი ყმა კმალსა ჩაახედავს: გამიჭრისუა, თუ არა?
ცულაი — ქალსა ლამაზსა: შამიხვევსუა, თუ არა?

(R 144).

შამიხვევსუა] „თავს მომცემსო“ R.

დ.

კარგი ყმა კმალსა ჩასძახის; „კმალსო, გამიჭრი, თუ არა?“
შინ მოვა, ლამაზ გოგოსა: „გოგოვ, ჩამიხვევ, თუ არა?“

(Q, ივერია, 1885, № 8=ც.წ. 14).

287. ვაშკაცი

მოყვანილია სის მიხედვით (ივერია, 1888, № 23). კაცი იფიქრებდა, სს იგი ღიდან აქვს გადაბეჭდილიო, მაგრამ ღისაში (გვ. 210) „გულ-მკერდის“ ნაცვლად „მუხლები“ იკითხება, რაიცა ს. გორგაძის გადაბეჭდილშიც გვხვდება („ჩენი ძეული მწერლობა და ხალხ. პოეზია“. ქუთ. 1915, გვ. 233).

შევარდნის მუხლი ბევრი ვერაფერია, მაგრამ შღრ. მაინც დღა ვ ვარიანტი.

ბ.

ვაჟაკსა გული რკინისა, ქვეშ მუკლი უნდა მგლისაო.
თვალნი ქორებულ შექმნილნი, ზედ მქარი შავარდნისაო.

(ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს მიერ „მთიულისაგან გაგონილი“:
კრებული, 1872, № 8).

ამ მთიულში უფრო მთის კაცი, მთიელი უნდა იგულისხმებოდეს საზოგადოდ
(მამასადამე, ფშაველიც, ზევსურიც, მოხვევეც და სხვაც), ვიდრე ერთი ტომის კაცი,
მცხოვრები მღვთე-ფასანაურს შორის, მით უფრო, რომ იქვე ამ ვარიანტს მეორე
უპირისპირდება: „ბარში გაგონილი.“

ბ.

ვაჟაკსა გული რკინისა, აბჯარი უნდა ხისაო.
თვალი ქორულეზ მჭვრეტელი, სიმარღე შავარდნისაო.
ხარი, კამეჩი თავისი, ცოლი უყვარღეს სხვისაო.

(ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს მიერ ბარში გაგონილი:
კრებული 1872, № 8).

დ.

ვაჟაკ(ს) გულ უნდა რკინისა, აბჯარი უნდა ხისაო,
თვალნი ქორებულად მხედვარნი, მუკლნი უნდანი შავარდნისაო.

(Tფ).

ე.

ვაჟაკსა გული რკინისა, აბჯარი უნდა ხისაო,
თვალნი – ქორებლივ შეყრილნი, სიმარღე – შევარდნისაო.

(Q).

ვ.

ვაჟაკ(სა) გული რკინისა, აბჯარნი უნდა ხისანი,
თვალნი ქორებულნი მხედველნი, ზედ მუკლნი შავარდნისანი.

(Q).

ზ.

ვაჟკაცსა გული რკინისა, აბჯარი გინდა ხისაო.
ხარი, კამეჩი თავისი, ცოლი რად გინდა სხვისაო?

(ზ. ბილანიშვილი, ხალხ. სიტყვ. გვ. 131).

თ.

ვაჟკაცო, გულო ჯამარლო. აბჯარი გინდა ხისაო.
ხარი, კამეჩი თავისი, ცოლი რად გინდა სხვისაო?

(Rქ, № 174).

თ.

ვაჟკაცო, გული რკინისა, ხანჯალი თუნდა ხისაო.
მტრებსა უწყვეტდეს სანსილას, მოყვრებს უწყვედეს ლხინსაო.

(მეთვალყურე, ივერია, 1893, № 208).

[ი ვარ. ნ. დამატებაში. რედ.]

288 (O).

ამისი პირველი ორი მუხლი Gსაც მოჰყავს (გვ. 245). მაგრამ: 1 რას] არ G; 2 ბანებზე მიღგომ-მოღგომა] მიღგომ-მოღგომა ბანზედა G.

ბ.

ახლა თქვენია ბიჭობა, სოფელს შევნება თავისა.
ხმალს უნდა აჭრევინებდე, იმედი გქონდეს მკლავისა.

(Rქ, № 72).

შ.

ვაჟკაცს რას გამოადგება სოფელს შევნება თავისა?
ხმალს უნდა აჭრევინებდეს, იმედი ჰქონდეს მკლავისა.

(ი. ჭავჭავაძე, კრებული, 1872, № 8).

იგივეა თითქმის Rის მიერ ქართლში ჩაწერილი (Rქ № 209), ოღონდ: 1 რას გამოადგება] არ გამოადგება R. ხოლო ივერიაში 1893 წელს (№212) მეთვალყურის მიერ დაბეჭდილ ვარიანტში მეორე მუხლი ასე იწყება: „უნდა მას ხრმალი უჭრიდეს.“

ამაზე ადრე ნ. ხუციშვილის მიერ სოფ. ახალ-ქალაქის მიდამოში ჩაწერილ ვარიანტში კი იმავე ადგილას იკითხება: „უნდა რო ხმალი უჭრიდეს“ (ივერია 1889, № 204).

289 (Sh).

მიამბო ახალა არაბულმა 3. 8. 1913 ჯუთაში. – Oს და Rს მოეპოვება მარტო პირველი ორი მუხლი და ასე იწყება: „რა კან რანიმ ხართ, ვაშკაცნო“ (O), „კარგი რაიმ ხართ, ვაშკაცნო“ (R 128); სხვა იგივეა, რაც Sh, ოღონდ: გამაგაწვევენტ Sh, O] „გამოგაწვევენტ“ R.

290 (O).

ბ.

ვაშკაცნო, მშვილდნო მშვენარნო, გოზა-წითელნო, ფალთონო, არც მაშინ დაშინდებითა, ომში რო იყენათ მარტონო?

(C).

ეს წყაროს მიხედვით, ამ სიტყვებს სტუმარი „შალმღერნებს (მასპინძლის) სოფლებს.“

ბ.

რქის მშვილდნო, გოზა-მჭუხარნო, თქვე გოზა-თეთრნო, ფართონო, არც მაშინ შაშინდებითა, ომში რო შახვალთ მარტონო?

(R 166).

291 (G 251).

ეს ლექსი თითქო ნაწყვეტი უნდა იყოს 275 ნომრისა.

292. თქვენისთანა (R 163)

293 (O).

ბ.

არ ვიცი, მოხვალთ მამათი, არ ვიც, მოგიღნათ ქარმაო.
გაზარდას თქვენისთანაი ვაჟა კევსურის ქალმაო!

(R 220).

294 (R 49).

2 ნაბამი] ნაბანი R.

295 (R 132).

296 (R 164).

297 (R 78).

2 ღვეხარ] ჰვეხარ R.

298. ერთგულსა და ორგულს (O).

ბ.

ნეტაჲი შენსა ღედასა, შენ გაეზრდები შეილათ!
არ გინდა პირის დაბანა, არც წარბის ღება ხშირათ.

(თეატრი, 1886, № 35).

ს. რუისში ი. ღაკითაშვილის საგან გაგონილიო (ე. ი. ღაკითაშვილის მიერ გაგონილი).

ბ.

ნეტაჲი შენსა ღედასა, რომ გაუზღიხარ შეილათ!
არ გინდა პირის დაბანა, არც უმარილი ხშირათ.

(Rქ, № 547).

ღ.

ნეტაჲი შენსა ღედასა, შენ გვეზღები შეილადა!
არც გინდა პირის დაბანა, არც უმარილი ხშირადა.

(Rქ, № 47).

ჟ.

ნეტაი, გოგო, ღედა-შენს, შენ გოუზღიხარ შეილათ!
არც გინდა პირის დაბანა, არც უმარილი ხშირათ.

(ს. გაჩეჩილაძე, VI, № 3).

[ვ ვარ. ნ. ღამატებაშ. რედ.]

ბ.

ქალი არ ორგა ქურდ-ბოზვი, ვაჟი სოფელში მკვებარი.
რომ გაუჭირდას, შესდგების, როგორც უღელში მჭლე კარი.
(Gs)

ბ.

არ ვარგა ქალი მეჭორე, სოფლად ვაჟკაცი მკვებარი.
გაუჭირდება, შესდგება, როგორც უღელში მჭლე კარი.
(Q, ივერია, 1885, № 11=ც. წ. 26).

6. კიდევ ვარიანტი და შენიშვნა 320 ნომერთან.

300. ომის კარ დამჭეხნებელი (G 245)

301. ჯაჭვი (R 235)

დაბეჭდილია Rის ხელნაწერის მიხედვით (გვ. 235). იგივე ლექსი მას დაბეჭდილი აქვს ჯეჯილში (1893, № 4), სადაც ნათქვამია, ხალხურიად, მაგრამ არაა აღნიშნული, თუ სადაურია სახელდობრ.

302. მშვილდოსანთ (R 148)

3 ვისიცა-რა ხართ] ვისიც არა ხართ R.

303. ვის რა ალაღებს (B)

Bს მესამე მუხლიც მოჰყავს:

მთიულო, ქადის კვერები, გული თუ უძე სქელიო,

მაგრამ მე იგი ძირითად ტექსტში არ შევიტანე, მიუხედავად იმისა, რომ იგი მეც გამოგონია გუდამაყარში („მთიულო, ქადის კვერაი, თუ გული უძე სქელიო“). Cსაც მარტო ორი მუხლი მოჰყავს, მაგრამ ვპხვდებით ისეთ ვარიანტსაც, რომელსაც სხვა-ნაირი გაგრძელება მოეპოვება:

ბ.

ქვესურო, კმალი გალაღებს, ფშაველო – ენა გძელიო,
გუდამაყარელო – მაჟარი, ტყვია გამადის ცხელიო.

- კევსურო, ჯოცე ერთურთი, სხვა არაი გაქვ კელიო.
ფშავით აღინე ძროხები, თუშეთით – ბევრი ცხენიო.
5 აღევ, შაყარე ჯარები, რუსი მყავ დასაცდელიო.
შენი ჯარებით აავსი თვალღივის ყელი გძელიო.

(ნიკო მაკალათია).

5 აღევ] აზღევ (6. მაკ.). [6. კიღევ დამატებაში. რედ.]

304. ომში უკრძალაენი (R 17)

305. კმალი (R 246)

ბ.

კმალმა თქვა ფხა-სისხლიანმა: „ფრანგეთში ფრანგმა დამფერა.
ამამამღერა ბატრონმა, ჩამაგო, ჯვარი დამწერა.“

(Rფ 216).

ბ.

ხმალო, ფრანგისა ნაჭულო, ვაჟმა გაგლეხა, დაგფერა.
ერეკლემ ჩვენმა ბატონმა საომრად ჯვარი დავწერა.

(Rქ, № 1171).

ღ.

კმალმა თქვა განჯას ნაჭუდმა: „ფრანგში ოსტატმა დამჭუდა.
რამთენმაც კელში ამილო, სულ ყველამ ჯვარი დამწერა.
კაის ყმის დაჭრა, დაკუნვა, სხვა ღმერთმა არა დამწერა.
ღედის-ურთაის სიკვდილი ნეტავ ღმერთმ არა დამწერა!“

(Bu თ, № 12).

ამას კიღევ მოსდევს სხვა მუხლები. რომლებიც ამისი ნაწილი არ უნდა იყოს.

ჟ.

კმალო განჯაში ნაჭულო, ქალაქს ფრანგისა ნაფერო,
კაის ყმის დაჭრა-სიკვდილი, სხვა თუ ღმერთმ არა დავწერა?
ღედის-ურთაის დაჭრა და სიკვდილი რადლა დავწერა?

(Bu თ, № 13).

ეს იქ ნაწილად შედის სხვა ლექსში, მაგრამ რითმის მიხედვით მასთან კავშირი არა აქვს.

3.

ხმალმა სთქვა ფრანგეთს ნაჭედმა: ფრანგეთში ფრანგმა გამჭედა.
ჩემმა მოქმედმა მჭედელმა ზელ სამი სიტყვა დამწერა:
ნეტამც ისეთ ყმას შემყარა, რომ ომში სისხლში გამფურა!
ამაის – ამომამღერა, ჩამაგის – ჯვარი დამწერა!

(K 38).

[ნ. კიდევ დამატებაში. რედ].

306. მოკლე კმალი და მდაბალი ვაშკაცი (Sh)

მიამბო აბა გიგაურმა კაკმატში 22. 8. 1913. – 2 მაღლა დადგების] გაიზარდების (ვარიანტი მისივე).

ბ.

კმალსა სიმოკლე არ ერჩის, ბიჯი წადგი და წაგძება.
ვაშკაცსა – სიმდაბალეი, ომის კარ გაიზარდება.

(C).

გ.

კმლისა რას გიშლის სიმოკლე? ფეკი წინ წადგი, დასწვდება.
ვაშკაცს რას უშლის სიდაბლე? ომის დროს გამოგვადდება.

(Rფ 216).

დ.

კმალსა სიმოკლე არ უშლის, – ფეკს როცა წახდგამ, წაგძება.
მეომარს სიდაბალავე, – ომის კარ გაიზარდება.

(Lb).

307. შატილიონი და კმალი (O)

ნის ვარიანტში (გვ. 246) მეორე მუხლი ასე იკითხება: „სადაც ვინ შამაგეყრების, სუყველა შენი მტერია.“

308. ნიკოს კმალი (Gs)

ნათქვამია ნიკო ოჩიაურის მიერ.

309. ახალგაზღვას (O)

310. ბეწინიკას (O)

311. ბუჩა (R 93)

312. რა მამწონს (G 245)

რისა (გვ. 129) და ბაჩანას ვარიანტში („საეპოსო მასალა, ხევესურეთში გაგონილი და ჩაწერილი“: ივერია, 1898, № 217) განსხვავებაა მეორ-მეორე ნახევარში: 1 იცის გველივით წივილი] გველივით (გველებურ R) შამოწივილი; 2 ქორებულ] ქორივით.

313. ლურჯაის ნატოტარები (Sh)

შეცდომით მოხდა ამ ტომში. იგი ფშავლისაგან მაქვს გაგონილი კოშარაში 3. 7. 1911. მიაბბო გიორგი გუტიასძე ხუციშვილმა, მათურელმა.
არ ვიცი, ამისი ვარიანტი, თუ სხვაა შემდგომი ნაწყვეტი:

025.

ეტყობა გადანავალი, ვეფხო, შენ ნატოტარია.
დაუნამავის ლურბელსა, დამდგარა ნაგუბარია.
საკრეფლად წამოსულიყო წმინდა მარიამ ქალია.

(Mr).

გაგონილი ჰქონია თამარ მოილინაშვილისაგან. — 1 გადანავალი] გადამავალი
Mr.

314. დიდი იმედი (G 246)

ბ.

შენ ჩვენო დილო იმედო, კოშკო ნაგებო კირითა;
ისარო ოსეთს ნახვეწო, ქალაქს ნალებო ინითა;
კაბაო ხავერდისაო, ცხრაკან საყრელო რლილითა;
უკვდაების(ა) წყარო ხარ, აღმოსდი ოქროს მილითა.

(ა. ზისერმანი, Кавказ, 1851, №22).

ზისერმანმა ეს ლექსი რუსულადაც თარგმნა იქვე.

ფშაური ვარიანტები (Rფ 288, V № 48, X 167) უფრო ვრცელია და მეორე ტომში დაიბეჭდება (Xიდან ა. ხა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ შ ა გა და ბ ე ჯ ლ ა, ქართ სიტყვ ისტორია², 59).

315. ობოლი ველად (R 95)

იგივე ლექსი Rს ფშაურებშიც აქვს შეტანილი (Rფ 223). ამას გარდა იგი ივერიაშიც დაბეჭდეს 1890 წ. (№ 148) კოშარაში შეკრებილ ლექსებს შორის.

316. სამაისტლო ვაჟები (G 252)

ბ.

სამაისტვლებს ბიჭებსა ბაკნით ასმიეთ ლუდიო.

დიდია მაისტის თავი, ყმა იქ ვერ ჩავა ცუდიო.

გან იქაც ქალებია, გადაიმრუდონ ქუდიო?

გამოვლენ ქისტის შვილები, ხანჯრით იციან ჩხუბიო.

(Shფ).

გაეიგონე ხთისო ბარწო შვილისა გან 3. 7. 1911 კოშარაში (თვითონ ხთისო გოგოლაურიდიან არის). — 1 სამაისტვლებს] სამაისტლებს (ვარიანტი მისივე); 4 გამოვლენ] იქ არის (მისივე ვარ.).

გ.

სამაისტუებს ვაჟებსა ბაკნით ასმიეთ ლუდია.

დიდია მაისტის თავი, ყმა იქ ვერ ჩავა ცუდია.

გან იქაც ქალები არი, გადაიმრუდონ ქუდია?

გზაში სხედს ქისტის შვილები, ტყვია გამოდის ლურჯია.

(Rფ 197).

დ.

სამაისტლუებს ბიჭებსა ბაკნით გვისმიეთ ლუდია.

გძელია მაისტის თავი, ყმა იქ ვერ ჩავა ცუდია.

გან იქაც ქალებია, გადაიმრუდოთ ქუდია?

იქ არი ქისტიშვილები, ხანჯრით იციან ჩხუბია.

(Tფ).

გვისმიეთ] შეიძლება აგრეც წავიკითხოთ: გვასმით. მაგრამ მაშინ შესამე სტრიქონ-ში „გადამრუდოთ“ პირველ სუბ. პირად უნდა გავიგოთ: გადა(ვ)იმრუდოთ.

მ.

სამაისტინელებს ვაუებსა ბაკნით გვისმიეთ ლუღია.
გძელია მაისტინის ჭალა, ყმა იქ ვერ ჩავა ცუღია.
გან იქაც ლაშარის გორია, გადამრუდოთ ქუღია?
იქ არი ქისტის შვილები, ხანჯრით იციან ჩხუბია.

(Lb).

317. შაპატიევა (Sh)

გავიგონე ბ ა ბ უ ა ქ ე თ ე ლ ა უ რ ი ს ა გ ა ნ 1911 წ. ივლისში. – მაისტის თავი] აქ ბ ა ბ უ ა მ ა ხ ს ნ ა დაურთო: „სარბოლი.“

ბ.

ქალო, ქმარს შაუპატიე, ქმა ლაშქრობის(ა) ვარდება.
შორს არი ჭარ-ბელა(ქ)ანი, ქ(მ)არი ცუღი (გ)ყავ დაგივარდება.
სწორებ დაუწყებს კორცხვასა, ქალს გული გაგიავდება.

(H).

[გ ვარ. ნ. დამატებაში. რედ.]

318. ოროლთ გამდარებელი (R 149)

ბ.

ქმალ განა ყველა ერთია გამჭრელი. დამჯერებელი?
უნდა გაზარდოს დედამა ერთი ორთ გამდარებელი.
ასი არ უნდა დედასა, ერთი სჯობ დაღურბლებული.

(Rფ 151).

3 დაღურბლებული] „ღრუბელივით პირქუშიო“ R. ოროლთ გადარება სხვა სიტყვებით გამოთქმული მოხეურშიც გვხვდება (Q, ივერია, 1885, № 8=ც.წ. 19) და ფშაურშიც (ივერია, 1890, № 148, კოშარაში შეკრებილებს შორის).

319. ნატვრა თუშის ქალისა (U)

დაიბეჭდა ივერიაში (1891, № 90). სისთვის უამბნია ბ ა თ ა კ ა ა რ ა ბ უ ლ ს. –

ბ.

ქალმა თქო: „ქმარსა წაუეკალ ბასრის კმლის ამამლებელსა, შორა მძებნელსა შურისას, სახელის წამომლებელსა.“

(O).

ბ.

ქალმა თქვა: „ქმარსა გაეხეცები ბასრის კმლის ამამლებელსა, საგზლისა შორად წამლებსა, სახელის შინ მამლებელსა.“

(R 54).

დ.

თუშის ქალმა თქვა: „წაუეკალ ბასრის კმლის ამამლებელსა, საგძალთა შორა წამლებსა, სახელის შინ მომლებელსა.“

(C).

ჟ.

თუშის ქალმა თქვა: „შევირთავ ბასრის კმლის ამომლებელსა. სულ უწინ ომში ჩამსვლელსა, სახელის შინ მომტანელსა.“

(Bu თ, № 3).

ბუმა უწინ იგი დაბეჭდა აკაკის თვიურ კრებულში (1900, № 11).

320. ლუდი, ძალლი და ყმა (G 248)

ბ.

ღვინო კი მათრობელი სჯობ, ძალლი თოზედ მყეფარი.

ვაჟკაცი წყნარი სჯობია, რო გაჭირდება – მჭეხარი.

არც ვარგა ქალთა მიმყოლი, ჩალად არა ღირს მკეეხარი,

რო გაჭირდება, შადგება, როგორც უღელში მჭვლე ქარი.

(Rფ 205).

იგივე მოჰყავს Xსაც (გვ. 209), ოღონდ უკანასკნელ მუხლს აკლებს.

ეს ვარიანტი გვაფიქრებინებს, რომ № 299 და № 320 ერთისა და იმავე ლექსის ნაწილები უნდა იყოს.

321. ხუთთა მცემელი (G 249)

უკანასკნელ მუხლებს შდრ. № 43გ, 23.

322. შეუპოვარი (U)

მოპყავს სს ზურაბის ლაშქრობასთან დაკავშირებით („ისტ. კვალი სახალხო პოეზიისა“: ივერია, 1888, № 238). შეიძლება მას იგი ჯიდან ჰქონდეს გადაბეჭდილი (ივერია, 1887, № 174=ც. წ. 121).

ბ.

გულო, არ მიგცემ საგონთა, თავო, არ დაგაშავება.
მტერო, შენ ზავსა არ მოგცემ, ფრანგულო, დაგაფხავება.

(ვაჟიკა არაბული, მოამბე, 1900, № 12).

ბ.

გულო, არ მოგცემ საგონსა, თავო, არ დაგაშავებო.
მტერო, არ დაგიშინდები, კმალო, შენ გაგაფხავებო.

(ი. ბ (ოძა) შვილის მიერ ს. შარა-კეში
ჩაწერილი: ივერია, 1899, № 55)

323. ბესარიონს (G 230)

ამის მათქვამად ბესარიონს დასახელებული ჰყავს „მგზავრი კვესურის ქალი თამარა“ (მგზავრობის გამო შდრ. მ. 16).

324 (G 231).

აწერია: „კვესურის ქალის ლექსი“ო, რაცა მათქვამად უნდა გავიგოთ მგონია უნდა იგულისხმებოდეს იგივე თამარა, რომელსაც წინა ნომერი ეკუთვნის.

325 (G 178).

რის თანახმად, „ქისტის ქალს უყვარდა ზვესური ზოლიგათ თათარა, გავიყვებული იყო იმისთვის, მაგრამ მამამ სხვაზე გაათხოვა, „ურჯულოს“ არ მისცა. ზვესურმაც თავი ვერ გამოიღო, ან მოეტაცნა, ან ურბეთი დაეხარბებინა. ამას უსაყვედურებს ქალი.“ — 8 არ გადმოვკლები მთასაო] „მთას არ გადმოვალ, არ ვიძალავებო“ R; 9 არ წაგი-
ლაღავე] „არ წაგართმევ“ R; გამახელაის ქალსაო] „ცოლია ზოლიგასი“ R; 10 კიდევ ვინ მისცემს ურბეთსა] აქ „ვინ“ „ვინმე“ს მნიშვნელობით არის ნახმარი, ასე რომ აზრი

ასეთია: შენს გარდა კიდევ გამოჩნდება ვინმე, რომ ურბეთი მისცეს ჩემიანებსაო. 12 ცხვარი მყავს...] „თვითონ იმ ქისტის პრიგაოს ქალსა“ R.

Rს მოჰყავს სხვა ვარიანტიც და შენიშნავს: „თუ რამდენად არის დამოკიდებული ლექსის სიგვარზე მთქმელზე (იგულისხმება მოამბე, ა.შ.), ეს მაგალითიც საკმარისია“:

ბ.

უთხარით ჩემი ნათქომი ზოლიგათ თათარასაო:

„გენაცვლე, გუროელაო, სასლა გაზდილო ტანსაო!
აისხამ იარაღებსა, მაირთვი ჩაფრულასაო.

- 5 დაგეთქვა ჭორი, საძრახი, ნუ ჩამაიღებ თავსაო.
ბეჭედი გამამიგზავნე მაგის მათქომსა ქალსაო.“

—

ემაგის მალექსებელი მიკილს შავხედავ მთასაო.

(R 180).

ბ.

ქალი ორ საწყემსოჩია, კევ-კუეთ ვაძოებ ცხვარსაო,
შინავ მოვიხომ საგძალსა საწყემსოს წანატანსაო.

თოთრ-ჩოკამ გარმაიარა, მასრან უცემდეს თვალსაო,
ვაფერე ჩემსა ნაძმობსა ზოლიგათ თათარასაო.

- 5 მე მონადირე მეგონა, ვიყურებ თოფის ჩქამსაო.
დავლნატრი გუროს ციხესა, ქვაზედ ნაღებსა ქვასაო,
შიგათი ნაჯდომს ვაეკაცსა ზოლიგათ თათარასაო.

ჩემი ნათქომი უთხრიდით იმ ჩემის სულის სწორსაო:

„ნუ(ც) შენ შაირთავ დიაცსა, არც მე შვირთავ ქმარსაო.

- 10 ბეჭედა გადმომიგზავნე, მეც შამიქდება ქალსაო.
გან შინით წაგალაღვინებ გამახელაის ქალსაო?“

(Th 134).

ერთი ვარიანტი Mrსაც მოეპოვება, სადაც იკითხება: „გაზრდილო სანსლის ტანსაო“ (ახსნაც აქვს: „ყინჩად გაზრდილო“).

326. კვირიკას (Sh)

მაამბო ფიციხელა აღუღაურმა 26. 9. 1913 წ. ს. არტანუბი. — 1 მინდი = მინდოდი (ხვესურულში იგი ჯერაც ნ. უწყვეტლის ფორმაა).

327. ალექსის (O)

328. აბაისძეს (Gs)

ეს ის აბაისძეა, რომელიც მგლის ლეკვად არის მოხსენებული 252 ნომერში.

329. ძილას (B)

ეს ყოფილა „ქეესურის ქალის ლელას ნათქვამი“ B.

330. ეთერს (Sh)

მიამბო ფიციხელა ალუღაურმა 26. 9. 1913. ავტორად ქეთელაურია დასახელებული თვით ლექსში.

331. თინას (O)

332. გაშორშორება (O)

სათაურად აწერია: „ქალის ლექსი ახალგაზღვებს.“

333. ალიათ ხორას (O)

334. ლალე (O)

ნათქვამი (და დაწერილიც) გარსია (გიორგი) ოჩიაურის მიერ (გადმომცა ალექსი ოჩიაურმა).

335. ქაჯია და ქერქა (O)

ეს ყოფილა „არხოტში გამოთქმული ლექსი პირ-აქეთულ ქალებზე“ (O).

ბ.

ჩაგიკრავ, გაუეკაურო, რახან აგილა კელშია,
ყველას გიამბობ მართალსა, რაიც თავს გადამქედია.
ადგა, გაიქცა ქალაი ჩემთან ნაწოლი გვერდია.
ბეჩავს რა მიარბოლებდა, თუ კი მე დავიწვენდია?!
ქაჯიაი და ქერქაი, მითხრეს, ერთუცის მკერებია,
გაბედეს ბუნტოჩიკობა, მიძრეს და მოძრეს ზღვებია.

- ნეტარ რაით-რა ომობენ, რაი-რა აქვისთ კელჩია?
აღბათ უწყვევის ჯიბაჩი პატარა რიეოლერებია.
ქაჯიავ, ჩემო ძმობილო, არხოტად გარმაქედია,
ერთ ლამე მთაზე ათენე, დილაზე გამასცხვებია.

(M 21).

7 რაი-რა აქვისთ] რა არაჲ აქეთ M.

336. ჩალხაის მარიემას (O)

ჩაწერილია დ ა თ ი კ ო ც ი ს კ ა რ ა უ ლ ი ს მიერ (გადმომცა ა ლ ე ქ ს ი ო ჩ ი ა -
უ რ მ ა). მის მიერვე მეორედ ჩაწერილში მესამე და მეოთხე მუხლს შუა ჩართულია:
რამთვენ დაგიდის სტუმარი, რამთვენსთან ჩაიხერგები.

სხვა განსხვავებანი: 6 ქალ-ბატონებში] ქალ-ბატონ(ბ)სა; 10 თუნდა ზევითა]
თუნდა ზედ ვიყო.

337. ოსმანს (G)

ნათქვამია ბესარიონის მიერ 1908 წ. – გ ა ს წ ო რ ღ ე ს ბეჭდვის შეცდომა, რო-
მელიც ზოგიერთ ცალში წაიღია და რომელიც ძალიან ამახინჯებს აზრს: 8 კაცს] უნდა: კაც.

338. გაცინებულს (G)

ნათქვამია ბესარიონის მიერ 1908 წ.

339. სათითე (G)

ნათქვამია ბესარიონის მიერ 1908 წ.

340. საუკნიაზოდ (Sh)

ჩამაწერინა გ. ო ჩ ი ა უ რ მ ა 4. 8. 1913 ს. ახიელში.

ბ.

ქალს რა უძევს გულჩია, ცნობადამცა ქნა გაგება!
ქალი რო კაცთან დაწვება, საუკნიაზოდ შადგება.
კაცი კელ(ს) გააჩაწუნებს, შაიშლებ-გარდილაქება.

- 5 „ავდგები“, — ჩაიფიცების, ზოგს ნახვერობა გაზღნება.
მეექვსე ტკბილის ენითა, თანდათან ახლოს მოწვება.
რახან დილის ხან მაგიდას, მაშინ ლოგინი დატკება:
ადგომა აღარ სწადიან, მკარს წამოიგდებს, დაწვება.

(M 17).

6 ლოგინი] Ms უბეჭდია „ლოგირი“, მაგრამ ორში ერთი: ან „ლოგინი“, ან „ლოგინჩი.“

ბ.

ქალი რო ბიჭთან დაწვება, უკმიახობას მაყვება.
კელი რო გააჩაუნო, შაიშლებ-გადილაკება.
თუ ცოტა ხანი დასცალდა, თაფლ-ერბოსავით დატკება.

(Rფ 106).

3 თაფლ-ერბოსავით] „თაფლში ერბოს ქდებენ და ისე სჭამენ“ R. [დ ვარ. 6. დამატებაში. რედ.]

341. ვაშკაცის მაუწყინარი (Sh)

ჩამაწერინა კისტნელმა ჩონქარა ჯინჭარაულმა 4. 10. 1913 მაღაროს-კარში. ჩემი ნათქვაამიო, მითხრა. მაშინ დაუუკერე და ეხლა კი მეეჭვება. პირველი მოყოლის დროს მე-7 მ. („კელზე საფუქრებ...“) გადასვა და მე-9 ადგილი მიუჩინა. — 2 წყალიც დადგება მდინარი] მდინარეც კი დადგება და შენ კი სუ მუდამ ჟღრიალებო; 9 ჯღანზე ფეკ-წრიაპიანი] პირველად ასე დამაწყებინა: ჯღანზე, შემდეგ განმაგრობინა: ფეკზე ჯღან-წრიაპიანი და უკანასკნელ ისე გადამასწორებინა: ჯღანზე ფეკ-წრიაპიანი. ასე აქვს ვაჟა - ფ შ ა ვ ე ლ ა ს ა ც ფ შ ა უ რ ვ ა რ ი ა ნ ტ შ ი, რომელიც ამას ძალიან ახლო უდგება (V, № 43).

ბ.

- არ დადგებიან ქალები, თუ წყალ დადგების მდინარი.
არაფერია ქალები, გამამაღვიძეს მძინარი.
ქალა რო შინავ წალაღას, ისით ოშკაც კი ვინ არი?
სხო რა იქნების, ნეტარა, ოშკაცის მაუწყინარი?
- 5 თოფი და კმალი, ვაყებო, მაგას ხეყარობდეს წინანი.
აისხას იარაღები, კელზე ჩაისხნას რკინანი.

(O).

342. ბერის დროს გამამცვლელი (O)

ეს ყოფილა „ალექსი ოჩიურზე გამოთქმული (კეესურის) ქალის ლექსი გასაჯავრები მეორე ქალისა.“

სამი პირველი მუხლი ამ ლექსისა Oს ცალკეც მოჰყავს და იქ მე-3 მუხლის მეორე ნახევარი ასე იკითხება: „ჩვენთან მოსული ჩვენია.“

ეგვე სამი მუხლი Thსაც მოჰყავს (გვ. 135), ოღონდ მესამე მუხლი ასე თავდება: „პირად მოსული ჩვენია.“

343. სიზმარში სანახველი (O)

ეს ყოფილა „ლექსი ქალისა ვაჟისად“, ნათქვამი ჩალხათ მარიემის მიერ.

344. ძმობილის გაწირვა (Th)

ბ.

ხუთშაბათ გათუნებადა თვალზე მდიოდა ცრემლიო.
გამაწირინეს ძმობილი, მომაწერინეს კელიო.
გული ვერ გამომიცვალეს, ჯავრით იამბეს ბევრიო.
თქვენ იყვას ბათირისშვილი! ძმობილი აღარ ჩემიო.
5 გაგწირავ, შუა-უბნელო, უნდა ავიღა კელიო.
გულად ჩავიდა ნდომი, თან-თან ამკადა ფერიო.
აწიღვე აღარ მოგიქდეს, ვაჟავ, ვინება ჩემიო!

—

ამაგის ლექსობაჩია ამოსულიყვენეს შზენიო.
სოფლის თავს გადმოვიარე, კელჩი მეჭირა ცხენიო.
10 შენ იყავ გაჯავრებული, სიტყვა მიძახე სენიო.
ერთმანეთს თავ გაევანებათ, აწ ნება იყვას შენიო.

ჩაუწერია ნ. ჭო ნ ქ ა ძ ე ს, დაბეჭდა Mმ, 20. — 1 გათუნებადა] გათენდებოდა M; 4, 11 იყვას] იყვეს (ჭ. M); 7 აწიღვე] აწღვე (ჭ. M).

345. პატარა ამბავი (Th 138)

26 მამაო] ე. ი. „მადლმაო“ Th; 31 დუშმანთა შენმა ჭკვამაო] ასიმილაცია უნდა ვიგულოთ და ასე გავიგოთ: დუშმანთ (დ)ა შენმა ჭკვამაო.

346. წილის გაყრა (Th 135)

347. ძელიმხანას (B)

ეს სათური მე გაუკეთე. მის ხელნაწერში კი სათურად ეს აქვს: უნცრუა
ჯაბუშანურს. მის თანახმად ეს ლექსი ყოფილა „ხევსურის ქალის თამარას
ნათქვამი.“ – 9 ოქროს ვარაყით] ოქროს ვარაყათით B.

ბ.

- აბრაჲ, ჩემო გარმონო, ნაოჭის თავო ცვრიანო!
ღუშმანთ კარებზე მაღალებს ძმობილის ცხენის ღვრიადილო.
ცხენ უნდა გეყანდეს, ძმობილო, იორლა გულთი მქრიანო,
ზედ ედგას კმაზულობაი ჭრელი, სრუ ნასევდიანო.
- 5 ზედ თაოდ შეეგე, შულლიავ, კევსურასავით მტრიანო,
ფეკები უზანგაჩია, ტრახტებს გა(ხ)ქონდას წყრიადილო.
წელზე გბავ ქისტისაული ჭრელი, სრუ ნასევდიანო.
ნალესი ზუმფარაზედა, სამსალასავით ფხიანო,
ოქროს არაყჩი ნალები, ხანჯარი ნასევდიანო.
- 10 ომს ეგრე მოგაწადინებს, მთერალს რომ ფშურად ღრიადილო.
რაქე კარგია ვაჟკაცი, ღუშმანიანი, მტრიანო,
ხან გაიგონას ქებაი, ხან სიტყვა გინებთანო!
ბევრას კევსურას შემოქკარ, ვაჟას ბევრს უყავ ზიანო,
ქმარება ბევრსა დასცილდა, წელს დანა ება ფხიანო.
-
- 15 ამაგის მალექსობელი გვარად ვარ გოდერძიანო,
ზიარ სარგებლის (მ)სწორე, ღუშმანთად ხამაზდიანო.

(6. ჭონქაძე)

ჭონქაძეს გაუგონია ლელა საღირას ასულის არაბულისაგან 9. 3.
1924. დაბეჭდა Mმ (გვ. 22).

გომიაშვილს ჩაუწერია „ქალ-ვაჟიანი მთაში“, სადაც ვაჟის მინაწერს ქალის
პასუხი მოსდევს:

026.

- ვაჟი: წიგნი დაწერა ზეზეამა, ზედ კელი მაწერასა.
გაგზენა საჩქაროზედა, ძმობილებს მოაკსენასა.
ქალებ არ მაშლის სოფელში ერთურთის თვალის ჭერასა.
მაიღეს უფერ აღლოი, ითრევენ ძაღლის ენასა.

- 5 ერთი ერთს იტყვის. სხვა – სხვასა, აასხმენ ღარადელვასა.
ჩემი ძმობილი გოგოი ღმერთმა ნუ დააფერასა!
ქალებს ნიადე თავს უვლის, ვაჟის ბევრის გულს თულავსა.
მზესავით გამაანათებს, ღილა რა გამახენასა.

ბ.

- ქალი: ჩემს ძმობილს დაუბარებავ, სიტყვა უთქვამის გზიანი.
მადლობას მიაც გადუქდი, რაადა-ღ უნდა გვიანი?
ღუშმანთ კარებზე მომწონდა ძმობილის ცხენის დგრიალი.
ცხენ უნდა გყვანდეს, ძმობილო, იორღა გულთი მკრიანი.
- 5 ზედ გედვას კმაზულობაი, ჭრელ-ჭრელად ნასევიდანი.
ზედ თავად იჯდე, შულლიავ, ქვესურასავით მტრიანი.
ფექ გედვას უზანგაზედა, (ტ)რახტებს გა(ხ)ქონდას წკრიალი.
წელთ გერტყას ლეკის ნაჭედი, გამჭრელი, სპილოს ტრიანი.
ბევრას ქვესურას შამოკარ, ბევრას ვაჟს უყავ ზიანი.
- 10 ბევრას კმარება დასცილდა, წელთ ხანჯარ ერტყა ფზიანი.
შულღშით გამოუვალი, ხარ გულთ ბოროტიანი.

—

ამაგის მალექსებელი ვარ ძირად გოდერძიანი.
ზიარ სარგებლის მსწორეი, ღუშმანთა(ღ) ხამაზღიანი.

(ა. გ. ო. მ. ი. ა. შ. ვ. ი. ღ. ი.).

348. სუყველაის გაწირული (Th 136)

349. მოძულეებულ ძმობილს (O)

ზედ აწერია: „ძმობილი (სატრფო) მოიძულა ქალმა და თქო“ O.

ბ.

პირიქითულა ოჟაო, ჩემთვი რა დაგებარაო?
ქალებისათვი გეუბნა: „სათითე გამიცვალაო,
ბოთლავი არაყიანი ლოგინში მომიტანაო.“
რა-ქელ სათითეს გაგიცვლი, რა გზანი შაგეყარაო!
ბოზი ხარ, უნამუსოი, კმასა ვტებ, აღარ ვმალაო.

(Sh).

მიამბეს გორულში (ბაკურ-ქვეში) 23. 6. 1913.

ბ.

- წაილა წინ-კადუს გორი კორკოტამა და ღვარამაო;
სამრელო ჩამამინგრევა ჩამამდინარმა წყალმაო.
გაიგონე და გაიგი: აღარ მინდიხარ, არაო!
ქურდ-ბოზ ხარ, უნამუსოი, — კმასა ვტეხ, აღარ ვმალაო, —
5 ძაღლი ხარ მეწისქვილეი, მავალი ღამი-ღამაო.
სოფელჩი ვინაც კარგია, იმასამც აგაფარაო!
წაგილა ჩვენის ძირულმა ალაღებულმა წყალმაო!
ქალაქის ბოლოს გაგილა, ველარ გიტირას დამაო!

(Sh).

ეს დაურთო გიორგი ჯაბუშანურმა ზემორე მოყვანილს ხუთ მუხლს, როცა მე იგი მას წავეუკითხე და უსრულობის გამო არ მოიწონა (23. 6. 1913. ს. ახი-ელში).

ღ.

- წაილა წინ-კადუს თავი კორკოტამა და ღვარამაო,
სამრელო ჩამამიშალა ჩამომდინარმა წყალმაო.
პირ-იქითელა ვაყაო, შენ რაიმ დაგებარაო,
6 გეკვებნა ქალაებშია: „სათითე გამიცვალაო,
ბოთლაი არაყიანი ღოგინჩი მომიტანაო.“
რაკელ სათითეს გაგიცვლი, რა გზანი შაგვეარაო!
წაგილა ჩვენის ძირულმა ალაღებულმა წყალმაო!
გიძია (მ)თელმა სოფელმა, ველარ მოგეკელა ჯვარამაო.
10 ქალაქის ბოლოს გაგილა, ველარ გიტირა დამაო.
გაიგონე და გაიგი: აღარ მინდიხარ, არაო!
ბოზი ხარ, უნამუსოი, კმას ვიტეხ, აღარ ვმალაო.
ძაღლი ხარ მეწისქვილეი, მავალი ღამი-ღამაო.
ვინაც კარგია სოფელჩი, იმასამც აგაფარაო!
თვალი-ლა არა გნახევდეს, ზედ რამემც დაგაფარაო!

(6. ჭონქაძე).

6. ჭონქაძეს იგი გაუგონია ნათელა ოჩიაურის აგან 26. 2. 1924, ზოლო დაბეჭდა Mმ (გვ. 18). — წაილა წინ-კადუს თავი წაილო წინა ხადოს თავი ჭ. M; 3 რაიმ] მოსალოდნელი იყო რაი, — კითხვა იქნებოდა და გამოთქმას ძალა მოემატებოდა; 6 შეგვეარაო] შეგვეარეო ჭ. M; 10 გაიგი] გაიგე ჭ. M; მე-II და მე-12 მუხლი Mს გამოცე-
მაში არ მოიპოვება; 11 ბოზი] ღედანშია: რუსი; 12 მეწისქვილეი] მეწისქვილევი ჭ; 14 თვალი-ლა არა გნახევდეს] თვალიმ ღა არა გნახადეს ჭ. M.

350. როგორი უნდა ქალი (C)

გ ა ს წ ო რ დ ე ს პირველ მუხლში ბეჭდვის შეცთომა: მამეწადინა] უნდა: მამაწა-
დინა; ვიუბნებ] უნდა: ვიბრუნებ. — 9 ქალ უნდა აისეთაი, ღამით შინ მაიკელასა] სწორ-
ფრობის დროს ქალი ვაჟისას მიდის ღამით და იმაზეა ნათქვამი.

351. როგორი უნდა ვაჟი (Th 133)

მე-7 მუხლს მეორე ნახევარი აკლია; 12 ხახის] ბეჭდვის შეცდომა Thიდან აქ
გაღმოყოლილი, უნდა: ხალხის.

352. როგორ ვაჟს უნდა ქება (C)

353. სასაღდათოს (C)

ც ს ე ს ლექსი ჩაუწერია შატილელის ნანაისძე ჯინჭარაულისაგან,
რომელიც მაშინ 15 წლისა ყოფილა. — 6 გამაჟაქედლე] გამაჟაქედე C.

ამისი ვარიანტი დაბეჭდილი აქვს Mს (გვ. 21) იმ განსხვავებით, რომ სამი
უკანასკნელი მუხლი (9-11) Mს აკლია. სამაგიეროდ მე-7 მუხლად მას ეს აქვს: „ქვე
მიგვიხვალა, გიჟაო, ქვე გვანებება თავსაო?“ მერმე მისდევს: 8 ყოფილხარ სასაღდა-
თოი, და გენაცვალოს ტანსაო (=C 7), 9 ქვე გვიწირავა დიაცსა, ლამაზს ბერდიშვილს
(ბერდიამვილს M) ქალსაო (=C 8).

354. საღდათში მიმავალს (O)

ეს ლექსი გამოთქმული ყოფილა ქალის მიერ ა ლ ე ქ ს ი ო ჩ ი ა უ რ ი ს თ ვ ი ს
საღდათში წასვლის დროს.

355. ქმრის დაწუნება (Sh)

ჩამიწერია 13. 7. 1911 ბარისაკოში. — 4 წაუვალის] წაუვლის Sh; 6 მთისასა]
ცხერისასა Sh.

ბ.

ვაპირობ გაკახებასა, დაწუნებასა ქმრისასა,
მშავლის ქალობას ვაპირობ, გადაშობასა თმისასა.
წაუვალ გუდამყრელსა, პატრონს ბევრაის ცხერისასა,
გამაგიგზავნით სიძესა, შამთურებელსა მთისასა.

(G 250).

2 გადაშობასა თმისასა] ხვესურის ქალები არ იყენებენ თმას, — შემოიკრეჭენ ხოლმე; წაუვალ გუდამაყრელსა] ხვესურეთში ცხვრები ჰყავთ, მაგრამ შინაური საჭიროებისათვის, სამრეწველო მიზნებისათვის კი ცხვარი სხვა მთიელებსა ჰყავს (გუდამაყრელებს, ფშაველებს, თუშებს, მოხვეეებს).

356. წყემსობად (Sh)

ეს ლექსი „ლიფოდელ ქალს თამარუას უთქვამს“, როგორც გადმოშცა ნ ა დ ი რ ა რ ა ბ უ ლ მ ა, რომელმაც იგი მიაგმო 17. 6. 1911 ჩირდილში. — ჩიხა სვემდა] „ჩიხა“ დაბალი ტანის კაცს ჰქვია საზოგადოდ. აქ ფსევდონიმად არის ნახმარი. ნამდვილად უთურგა ერქვაო; 6 მიაც უთხარ] მიაცა ვთქვი (მისივე ვარიანტი); 10 გავირვეენ ცხენსაო] ჩემს სიკვდილზე დოღეში მიგაღებინებენ მონაწილეობასაო.

აქ რომ მუხლის ბოლოებში ოროლი ხმოვნებია ხმარებული, ეს არის ხმოვნის გაგრძელების გადმოსაცემად. გრძლად გამოთქმული ხმოვანი კი ორის მაგივრობას სწევს ლექსში.

357. მწუხიარე ძმობილს (Sh)

მიაგმო მამ უკა ქეთელა ურმა, სახილეში მცხოვრებმა, 1911 წ. იენისში, ს. ბარისაკოში.

358. საყვედური (Sh)

გავიგონე ბათაკა ჯინჭარაული სიგან 1911 წ., იენისში. — 7 ე სთველი და ზაფხულიო] რად დაგავიწყდი ისე, რომ არც ზამთარში, არც ზაფხულში არ მნახეო; 8 სიკვდილთად გამაპარულიო] სიკვდილმა არ მოგკლაო; 11 ქალად შენზე მოსულიო] გირივლე და უწყება მოგივიდა, სასამართლოში დაბარებული ხარო.

359. დღე თუ ღამე (C)

12 ეშმათანასა] ე.ი. ეშმათთანასა, ეშმაკებისთანასა; კახეთით სალამქანასა] კახეთის სალამქანასა C (ალბათ გაიგონა: კახეთი(თ) სალამქანასა და მომღვენო სიტყვის სანი წინა სიტყვის ბოლოსაც გამოიყენა).

ბ.

დღეი სჯობავ, თუ ღამეი? ხალხნო, მე გკითხავ ამასა.

ღამე ნიადე კარგია, დღეი სინათით სძალავსა.

კმელეთზე მანათობელი მზეი მაუდის თანაცა,

- მაშრობს ღილის ცვარ-ნამსა, მწყერ ყანას ეტყვის სალაშსა.
- 5 ცხვარ-ძროხა მათეფინება, მალლა მთას, დაბლა ჭალასა.
მაგრამ რო ღამე არ იყოს, ისი ღმერთმ დაიფარასა!
ნამეტნავ ქურდებისადა, – ვერ დაიწყებდეს პარეასა.
ნათქვამსა ქვეყანაზედა რამდენს სიუფრეს მალავსა!
რა დადგეს ღამის წყვილი, ბევრსა უხარის ქალასა.
- 10 ძმობილთან წასვლა ღგულავის, ძნელა რო დაეშალასა.
ვაუსაც მოლოდინი აქვ, არ უცდის პურის ჭამასა,
წავა, გაიგებს ლოგინსა, გაიბუნბულებს ჩალასა.
გულშია გულის მისნადა, თანა კი ფიქრობს ამასა:
„კი რო არა მამივიდას, რომ რაით დაიშალასა?“
- 15 ქალი მიდის წყნარი ბიჯით, არ აჩურუნებს ჩალასა,
ამოიტოლებს ბოთლასა, ჯალაფთად მანაპარავსა.
„რა ყინჩად დამძინებია!“ მოყმე დაიწყებს ზარეასა.
ქალ მალე გამაღვიძებს, არც ალევებს ხანასა.
ყბა რო ყბას გამეეტოლას, მკერდი მკერდს შააკალასა.
- 20 უწინდელ ნაცნაურია, ნაღობს აღარას მალავსა, –
მემრ დაიწყებენ კოცნასა, პირიდან ნერწყვის პარეასა.
სამადლო საქმეს ვინ იქამს ქალ-ვაჟთად ელჩისთანასა?
ელჩო, გულ ნუ გაგიტყდების, ქალი მით გეტყვის არასა.
რა ორთავ ეცინებოდას, მკარს კელ წახკიდე ქალასა.
-
- 25 ეგ ლექსი დაუბარებავ კახეთით ალამქარასა.

(Th 139).

ბ.

ბევრა დახვეება პოეტი ლექსებსა წარა-მარასა,
მართალს ვერავენ გიამბობს, ფანდურო, ჩემისთანასა.

-
- დღე თუ ღამ, რომენი ჯობნის? ხალხნო, მე გკითხავ ამასა.
- 5 ტურფა ქვეყანა თვალი(თ) ჩინს, სიკეთი(თ) დღეივ მალავსა,
მუშაის სამუშავებლად, სარჩოს შინ მოსატანადა.
ცხვარ-ძროხა მათეფინების, სძოვს მთასა და ბარადა,
მანათობელი ქვეყნისა მზეი ამუა თანაცა,
გააშრობს ღილის ცვარ-ნამსა, მწყერ ყანას ეტყვის ნანასა.
მაგრამ რო ღამე არ იყვას, ეგ ღმერთმაც დაიფარასა!
- 10 ნაქნარსა ქვეყანაზედა სიუფრეს რამდენს მალავსა!

- ნამეტნავ ქურდებისადა, – ვერ დაიწყებდეს პარვასა.
 რა დადგას ღამის წყვდიადი, ბევრას უხარის ქალასა, –
 ძმობილთან წასვლას აპირობს, ძნელად რო დაიშალასა,
 ამაამარჯვებს ბოთლასა, ჯალაფთად მონაპარავსა.
- 15 ვაფიც მოელის სწორ-ფერსა, არ უცდის პურის ჭამასა,
 წაფა, ლოგინჩი დაწვების, გააბუმბულებს ჩაღასა.
 უცბად გაუკლის გონჩია, თან მაიფიქრებს ამასა:
 „ვთუ არ მამივიდას, ან რაი(თ) დაეშალასა?!“
 ქალ მიდის წყნარი ბიჯითა, არ დააჩქამებს ჩაღასა.
- 20 ვაუკაც თავს მაიმძინარებს, „მძინავ“, ატყუებს ქალასა.
 ქალ მაინც გამააღვიძებს, ბევრს არას დაღლევს ხანასა.
 „მაგარიც დამძინებია“, მოყმე დაიწყებს ზარვასა.
 სამადლოს საქმეს ვინ იზამთ ქალ-ვაფთად ელჩისთანასა?
 ელჩო, გულ ნუ გაგიტყდების, ქალ მაინც იტყვის არასა.
- 25 კაცსაც რო უთხრა, ისიც კი დაგიწყებს წარა-მარასა.
 ორთავ თუ ეცინებოდას, მკარს კელ გახკიდელ ქალასა.

–
 ავგ ლექს დაუბარებავ კახეთით ალაშქარასა.

(M 16).

2 ვერავინ] ვერვინ M; 3 რომენი] რომელნი M; 7 მანათობელი] მნათობელი M; მზეი
 აშუა] მზეი და აშუა M; 9 დაიფარასა] დაიფაროსა M (არ უდგება რითმა); 11 ქურდები-
 სადა, – ვერ დაიწყებდეს] ქურდებისა და ვერ დაიწყებდის M; 13 დაიშალასა] დაიშა-
 ლოსა M; 14 ჯალაფთად] ჯალაფად M; 16 გააბუმბულებს] გააბიმბულებს M; 21 დაღ-
 ლევს] დაღლევს M; 22 დამძინებია] დამძინების M; ზარვასა] ზახვასა M; 23 ქალ-ვაფთად]
 ქალ-ვაფად M; 27 კახეთით] კახთთა M.

დ.

- დღე-ღამე რომენი სჯობის? ბიჭო, მე გკითხავ მაგასა.
 დღეს რო არ ხქონდეს ღამეი, ეგეც ღმერთმ დაიფარასა!
 რა დადგის ღამის წყვდიადი, ბევრას უხარის ქალასა.
 ძმობილთან წასვლას აპირობს, ძნელად რო დაიშალასა.
- 5 ბიჭი დააგებს ჭრელ ზალიჩასა, დააჩუნრულებს ჩაღასა.
 ქალი მივა წყნარი ბიჯით, არ გააჩქამებს ჩაღასა.
 უბეში ბოთლას ჩაიდგამს, ჯალაფთა(დ) მონაპარავსა.
 ბიჭი წვეს და შვრინავს, „მძინავ“, – ატყუებს ქალასა.
 ქალ მაინც გამააღვიძებს, არ ალევინებს ხანასა,

10 ყბა რო ყბას გამოაქადლოს, მკერდი მკერდს დაეკალასა.
ერთად იწყებენ ჭუკჭუკსა, პირიდან ნერწყვის პარკასა.

(M16).

1 რომენი] რომელი M; მე გკითხავ] მეკითხა M; 2 ღმერთმ დაიფარასა] ღმერთ
დაიფაროსო; მძინავ. – ატყუებს] ძინავ ატყუებ M; 10 გამოაქადლოს] გამოაქადნოს M;
მკერდი მკერდს დაეკალასა] კერდი კერდს დაეხალოსა M.

360. რა უნდა სიყვარულს (T)

ბ.

ჩემნი და შენნი ენანი დადიან ჩაფარავითა.

ნუ აეშურდებით ერთურთსა, ვიყნოდეთ შაქარივითა!

(Rფ 301).

ბ.

სიყვარულსა მალვა უნდა, როგორც ცხენსა ნაპარკესა.

თუ გამაჩნდა, გლოვა უნდა, როგორც გულის საყვარელსა.

(X 173).

361. მთას იქითელა ვაჟას (Sh)

გავიგონე ფიცხელა აღუღაური საგან 27. 9. 913 ს. არტანუი.

362. შენაც გარმადი (R 187)

ბ.

მთაზე გადმაცხენენ ღრუბელნი, თოვნათა გადმაჰყრიანო.

გადმოდი, კევსურის შვილო, კევსურებ გადმოდიანო.

გადმაიყოლე ლურჯაი, შორით თვალნ ემბიანო.

(Mr).

363. ძმობილის ამტერება (O)

სათაურად აქვს: „ქალის ლექსი ძმობილისად.“

364. სიკეთე წყალში (B)

ქალის ნანაის ნათქვამიაო. — 9 დავახვრეტიებ] დავახვრეტიებ B.

365. გადარყვნა (B)

ნათქვამი ყოფილა „ბუბაისა, კვესური ქალისა.“ — 10 გახქნის] გაქნის B.

366. ჩემთან ჩემი, სხვასთან სხვისი (B)

ეს ყოფილა „კვესურის ქალის მუშტარას ნათქვამი.“

367. მკედარი დობილი (O)

7 კელ-მუცლი] შეცთობა, უნდა: კელ-მუკლი; 10 ცრემლი=ცრემლით.

ბ.

წამოველ მინდორჩითა, ლურჯა მომყვნდა ჩქარო.

ნადობს უყიდე გარმონი, მანათ გავიღე სამიო.

ნადობის კარჩი შამოვექე, კართაზე დამჩა თვალიო.

ნადეღობ წამამეგება, თვალ-ცრემლიანი არიო.

5 მკითხა მშვიდობა-ამბავი: „სად, როგორა გყავს ცხვარიო?“

— „ცხვარან კი კარგად გავიღენ. ნადობი როგორ არიო?“

— „შენ ნადობ როგორ იქნების? სამის კვირაის მკედარიო.“

ჩამამეკოცა მქარ-მუკლი, დამედო ოფლის ნამიო.

გულმა ცხროობა დამიწყა, ცრემლ მომედინა ცხარიო.

10 „ეგემც არ გეთქვა, ბებერო, გეთქვა-მ, რომ სხვაკან არიო!

მლოოდინ მაინც მექნებოდ, მოვა სადაცა-ღ არიო.

შენ ვისალ მიგცე, ოკერო? ქვე(მ)ც ჩამოგლაღვენ სხვანიო!“

—

ამავის ლექსობაჩია გადამღვევიყო ხანიო.

გავხენე, გადაშლილიყო სხვა შვიდის მწყემსის ცხვარიო.

15 ნეტავი ზევეი(მ)ც მომკლაედა, რომ შელხვებიან მთანო!

დამღვედა გაზაფხულზედა ალაღებული წყალიო!

(ნ. ჭონქაძე).

გაგონილი ნათელა ოჩიაურისაგან 26. 2. 1924. — ფორმების მიხედვით ეს ლექსი ხევსურულია. მაგრამ რადგანაც შიგ ცხერის ფარაზეა საუბარი (სათაურადაც

5. ჭონქაძეს „მეცხვარის სიმღერა“ გაუკეთებია), შეიძლება იგი წარმოშობით ფშაური იყოს. ან სხვა რომელიმე კუთხიდან მთაში. ამით თუ აიხსნება, რომ ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა მ ი გ ი ფ შ ა უ რ ლ ექსებში მოაქცია (გვ. 9). – 3 შამოვქე] შამოვხენ M; 7 კვირას] კვირეის ჭ კვირვის M (ალბ. კორექტ. შეცთობა); 6 ცხროობა] ცხრობა ჭ. M; 15 მომკლავდა] მომკლავდა ჭ. M.

368. მკვდარი ძმობილი (O)

369. უკულმ სირბილი (Sh)

მიამბო ავტორმა, აბა გიგაურმა, რომელიც თიკუნად დიჩინს ირქმევს, კაკმატში 21. 8. 1913. – 5 უკულმ იციან სირბილი] რომ ნაკვალევზე არ შეიტყონ მიმართულება; 7 ჩამავიშილა მიწაში, გადაგკეცია ცხვირ-პირი] მიწამ ჩამოვიშილოს უძილობისაგან გადაკეცილი ცხვირ-პირიო.

შღრ. ამას № 372.

370. ნეტან გამაგებვიცა (O)

371. მიბრუნებული (O)

ეს ყოფილა „გიგია ოჩიაურის ლექსი.“

372. შუალამეთ მდინრებს (O)

ამას „ქალების გაჯაერებული ვაშკაცი ამბობს“ (O). დაბეჯითებით ვერ ვიტყვი. მაგრამ მგონია კი, რომ ეს ლექსი ვარიანტი უნდა იყოს 369 ნომრისა.

373. ქალი წყალზედ (T)

ეს უამბნია Tისთვის ს ა მ უ კ ა ჯ ი ნ ჭ რ ა უ ლ ს. ლექსი წარმოშობით ფშაური უნდა იყოს.

374. დედის ერთას (R 182)

375. მაშინ და ეეხლა (Sh)

ჩამაწერინა 5. 11. 1914. წინ-ქადულმა ბ ა ძ ი ა ქ ე რ ა უ ლ მ ა, გაგაის შვილმა, რომელიც მსოფლიო ომში დაჭრილიყო და ერთ-ერთს პეტროგრადის საავადმყოფოში იწვა (Фонтанка, 132).

აქ რომ საყვედურია ქალისადმი, გამოთქმული მე-3 და მე-4 მუხლში, ამას რამოდენადმე მოგვაგონებს ეს ნაწყვეტი, ჩაწერილი ნიკო მაკალათიას მიერ:

027.

მაშინ კა ვიყავ, ძუენაო, როცა ლულ-არყით მათრობდი.
ჭანჭახიანში გეძივა ჩემი ლურჯაის ნახტომი.

376. ჯობილობით (R 147)

2 შენითა ჯობილობითა] „ყველას რაკი სჯობლიო“ R.

377. თეთრს ცხენოსანს (R 186)

ნ. ჭონქაძისა და ანის ჩანაწერის მიხედვით ეს შედის ქალ-ვაჟის კითხვა-მიგებაში. ქალის ლექსს ვაჟისადმი მოსდევს ვაჟის პასუხი, რომლის ერთი ვარიანტიც ამ წიგნშიც არის დაბეჭდილი (№ 380).

ბ.

ქალი: ჭკლაზედ რომ(ენ) შამოხვალ, ლალო, ლადითა ცხენითა?
თავს რად არ ამოიბრუნებ, ყანას რად მამკვე ცრემლითა?
ცხენიც აქ წამაიყვანე, გაგიძლებ მთურის ქერითა,
ქერითა, რაკლი ქერითა! – თვალ-მარგალიტის სრეველითა.

—

ვაჟი: აის ვაჟი ვარ, ქალაო, გუშინ რომ მედიღებოდი,
შენსა მამასა, დედასა ქედ-შუქლით უგოგლებოდი,
შენსა კარსა და საკვამსა ქარივით ვეცვითებოდი,
შენ ახლოს არ მიღებოდი, ბატკანსავითა ხტებოდი.
10 ისრ კი გაგაკედევ სურვილსა, ნეეს(ს) კუდად აეგებოდე.
ჩახქონდე დილის ნიავსა, უსულოდ ჩაელღვეოდე.
მთის ჩიტას ნაგურიასა თვალჩი ფხად დაეხეოდე.

(ნ. ჭონქაძე).

მეორე ნაწილში ნ. ჭონქაძის ხელნაწერში მუხლებს ბოლოებში სხვათა სიტყვის ონები უსხედს: მედიღებოდიო, უგოგლებოდიო და სხვ ამას გარდა: 2 მამკვე] მამკვენ (ჭონქ.); 4 რაკლი] რახლე (ჭ.); 7 ვეცვითებოდი] ვეცვეთებოდი (ჭ.); 10 აეგებოდე] აეგებოდი (ჭ.)

მეორე ნაწილი (ვაყის პასუხი) ვარიანტია ამ წიგნში 380 ნომრად დაბეჭდილის
ლექსისა.

ბ.

ქალი: ჭალაზე რომენ შამოხვალ, ლაღო, ლაღისა ცხენითა?
თავს რად არ გამოიბრუნებ, ყანას რად მაშკვე ცრემლითა?

—

ვაყი: აის ვაყი ვარ, ქალაო, გუშინ რომ არ(ა) გინდოდი,
შენს დედასა და მამასა საკლავით ვეხვეწებოდი.
5 შენ ეგ არ მოგგონდებოდა, თხა-წალებურა ხტებოდი.
ასე გაგაკდევ სურვილსა, ნემსს კუდად აეგებოდე,
პატარას ნარის ჩიტასა თვალს ლოქად ჩაედებოდე.

(A, კვალი, 1893, № 13).

1 რომენ] რომ შენ A.

378. ტივლად (R 185)

1 ვთქვიდი] ვთქვოდი R (ფშაური ფორმა).

379. კვეთილიანი ქალი ვაჟს (R 181)

380. სხვათა ენათა მიმყოლს (R 181)

ეს არის ვაყის პასუხი ქალის მიმართვაზე, რომელიც 377 ნომრად დაბეჭდა.
ვარიანტიები იქ ნახეთ.

381. ცრემლები (Th 134)

Thით ამას ვითომ ვაყი ამბობს, რასაც მოსდევს ქალის პასუხი (№ 382).

382. პირის უტეხლობა (Th 134)

ეს ვითომ ქალის პასუხია წინა ნომრად დაბეჭდილ ვაყის სიტყვაზე.

383. გაფოთებული (Th 134)

ესეც კიდევ ვაყის პასუხია ქალის სიტყვებზეო (№382).

384. ცოლის წართმევა (O)

გავრცელებული ლექსია, რომელიც წარმოშობით ფშაური უნდა იყოს. მოიპოვება ვარიანტები ფ შ ა უ რ ი (Shq. Rფ 280, V № 49, Mr. T), თ უ შ უ რ ი (Shთ) და ხ ე ვ ს უ - რ უ ლ ი (ჭონქ). აქ მოვიყვან მარტო ხევესურულს, დანარჩენები მეორე ტომში წავა.

ბ.

- ქალი წალაღეს წყალზედა ველისას, განა ტყისასო?
მევა, მიბნევეს ცრემლებსა, ხორხოშელას ღვაგ ცისასო.
კელჩი ჩხირ-წინდა უჭირავ მიახვევს ყაჭის შიბასო.
გზას ბიჭი შამოყარა, ნაწილსა ღვეანდა ხთისასო.
- 5 „არ მინდა ცოლი შენს მეტი“, შეეფიცება მზისასო.
— „არც მე წაუვალ შენს მეტსა, მეც დავიფიცავ ძმისასო.“
— „კელს მოგხვევ, გადაგიფოლებ, სახელს მეტყვიან წიქასო.
მე რო მეზღება ცხენაი, ნიავსა ღვეანდა მთისასო.
გარდავალ ურჯულოშია, ჯარს შეხეყრი დუსულბნისასო,
- 10 მოვასხამდი და დავსცემდი სახლს შენის საქმარისასო,
კელს მოვსჭრი, ციხეს დავაკრავ მარჯვენას შენის ქმრისასო,
ღნებოდას, ჩამოდოდას, ლიბუს შილაუდას ქვისასო.
სიზმარჩი ენახე: ასთავდი ჩემსა ჩოქასა წმინდასო.“
— „ბეჩავ, რად იტყვი, ვაჟო, თავის სირვეენის სიტყვასო?
- 15 ის არაეისთან გეთქმის „ე ქალ ძალიან მიყვარსო.“
შენ ცოლს ქვე საით წაართომ, ღარიბო კაცო, მდიდარსო?
ამბობენ კვესურის შვილნი: გახედავს თოფის ლიშანსო,
მინდორჩი დაგასრევინებს ნათოსსა გულ-ღვიძლისასო,
თავს მოგჭრის ქათამივითა, თავა შინ წავა სხვისასო.“

(ნ. ჭონქაძე)

385. საყელო (Sh)

ჩამაწერინეს ახიელში 4. 8. 1913. ეს ლექსი წარმოშობით ფშაურია. მომეპოვა ფშაური ვარიანტებიც (Shთ, Rფ, T), მაგრამ აქ მოვიყვან მხოლოდ ხევესურულს:

ბ.

წინ-წინ რო დავწვევ ქალთანა, მაშივ მოვწიე საყელო.
შიშალ-გადაილაქა: „რას სჩა, შე ვირის ნაშენო?
კაწრით რად ჩამამიტანე სირმით შაკრული საყელო?“

- დელას რა მავატყუო, ბნელაში რადა ვკერავო.
5 მემრე გამავალ, ვიძახებ, მთელს ქვეყანაზე მოგფენო.“
– ნუ იტყვი, ჩემო ქალაო, ნემს-ნატურს შეაც მაგცემო.

(ნიკო მაკალათია)

დაბეჭდა ს. მაკალათიამ (M 18). – 1 მაშვე] მაშინ (ნ. მაკ., M); 2 რას სჩა] რა
სჩა (ნ. მაკ., M); 3 რად] რა (ნ. მაკ., M).

386. ფარავის ამბები (R 195)

387. მოლოდინში (R 191)

388. მეფარავეს (M 17)

Ms დაუბეჭდავს ნ. ჭონქაძის ჩანაწერის მიხედვით; ჭონქაძეს კი გაუგონია
ხო შექა ქორიას ასულის არაბული საგან. Mდან რომ გადმოუბეჭდეს, მაშინ
ხელთ არ მქონდა ნ. ჭონქაძის რეეული, მაგრამ კიდევაც რომ მქონოდა, ხელნაწე-
რიც ვერას მიშველიდა ერთი გარყენილი ადგილის გაგებაში, რადგანაც იქაც (მე-5 მუ-
ხლში) „მესუყეფურთუ“ სწერია. როგორც არხოტელის ვახტანგ ბალიაურის
დახმარებით გამოვარკვიე, აქ უნდა იკითხებოდეს: „მერუყე ფურ თუ“, მამასადამე, მთე-
ლი მუხლი ასე უნდა იქნეს აღდგენილი:

შენ ხომ არ ინდობ ქალებსო, მერუყე ფურ თუ ყანასო,

ე.ი. შენ ხომ ისე არ ინდობ ქალებს, როგორც მერუყე ფური ყანასო. გაეასწოროთ კი-
დევე შეცთომა, ამ შემთხვევაში ბეჭდვისა: 6 თაისა] უნდა იყოს: თაიასა.

სხვა შენიშვნები ტექსტის შესახებ: 1 ქალასო] ქალსაო ჭ. M; 2 დაგიგვალავსო]
დაგიგვალამსო ჭ. დაგიგვალამსო M; აღარვინ] აღარავინ M; დაგიფარავსო] დაგი-
ფარავსაო ჭ. M; 4 არავინ] არვინ არ ჭ. M; 6 თალასო] თალასაო ჭ. M; 7 ამბობენ] ამბობენ
ჭ. ქალასო] ქალასაო ჭ. ქალსაო M; 8 ფარავსა] ფარაქსაო ჭ. ფარაქსა M; ანაბანასო]
ანაბანასაო ჭ. ანაბანასო M; 9 ხათაბალასო] ხათაბალასაო ჭ. M; 10 წახკიდებ] წახკიდევ
M; წარამარასო] წარამარასაო ჭ. M; 11 გეწყინას] გეწყინოთ ჭ. M; შენისთანასო] შენ-
ისთანასაო ჭ. M.

389. ციფირად დაწერებული (M 17)

Ms დაუბეჭდავს ნ. ჭონქაძის ჩანაწერის მიხედვით. ოღონდ ჭონქაძეს
მუხლების ბოლოებში სხვათა სიტყვის ონები უსხედს: შახერებულიო, დაყენებულიო,
დაწერებულიო და სხვ. – შადედებული] შადიდებულიო ჭ. შადიდებული M; 3 აქე] აქ ჭ.

M; 4 საქსენებელი] ახსენებელიო ჭ ახსენებელი M; 5 იყვას] იყვეს ჭ M; ლგაუ] გავს ჭ M; ქურდ-ბოზთან წილი არ უძე] ქურდ-ბოზთან წილ არ უძეს; აქე] აქ ჭ M.

390. დილის ქსნას დაჩვეულს (M 18)

Mს დაუბეჭდავს ნ. ჭონქაძის ჩანაწერის მიხედვით. იმას კი გაუგონია ნ ა ნ უ კ ა თოთიას ასულის არ ა ბ უ ლ ი ს ა გ ა ნ 9. 4. 1924. — აიმა] აი იმ ჭ M; 4 გაგიგღას] ასე აქვს ჭონქაძესაც, მაგრამ თითქო აჯობებდა, რომ ყოფილიყო: გაგედღას; მეხუთესა და მეექვსე მუხლს შუა ჭს მოეპოება კიდევ:

ჭალაჩი დაგივეჭებდი, მთისას მოეძებდი გზასაო.

7 ჩუსტებსა] ჩუშტებსა ჭ; ჯღანსაო] ჟღანსაო ჭ; 9 წაუვალ აისეთასა, წყლის კვალა სვემდას ჩასაო] წაუვალ აი ისეთასა, წყლის კვალსას სვემდეს ჩასაო ჭ M; 12 თემლაკს] თემლაკ ჭ M; ქმალსაო] ხმალსაო ჭ, ხმალიო M; 8 მკონებებ] მოანებებ ჭ M.

391. ზრიალ-გრიალი (M 18)

1 გათენებადა ცრემლმა მილო] გათენებადაც ცრემლა მილიო M; 2 ლარმა გაილა] ლაემ გაილო M; 3 ანდრეზად] ანდერზად M; 9 გაუწილებავ] გაუწილებია M; 12 ამა სიტყვების მათქვამი] ამას სიტყვების ნათქვამი M.

392. ელიზბარა (M 19)

1 საშობის] საშობეს M; 3 წყალს იქით] წყალ იქით M.

393. კერაჩი შატანება (M 19)

Mს დაუბეჭდავს თავისი ძმის ნიკოს ჩანაწერის მიხედვით.

394. შაპირებული (M 19)

1 დაღამებდა] დაღამება M; 2 არცაით] არცაით M; 3 აღარცა მიშობს დედაი] აღარცა მიშობს დედა M; 5 ნღობა აქე] ნღობაი აქუ M.

395. ურიგო წოლა (M 19)

3 ვინ-რა გასწავლა, ქალო? წოლაი არა გგულაო?] ვინ რა გასწავლა, ქალო, წოლაი არაგულაო M; 4 ღბრუნავო] ბრუნავო M; 5 ა მაში(6)] ამაში M.

396. გულზედ მოსული (M 20)

მს დაუბეჭდავს ნ. ჭონქაძის ჩანაწერის მიხედვით. — 1 ზაფხულსაც მოსალოდნელია: ზაფხულსამც.

397. არქიელა (M 21)

ესეც ნ. ჭონქაძის ჩანაწერის მიხედვით ყოფილა დაბეჭდილი. ნ. ჭონქაძეს გაგონილი ჰქონია ნანუკა თოთიას ასულის არაბულისაგან 9. 4. 1924. — 2 ვალაფთ] ვალაბ ჭ M; წყემსობად] მწემსობათ ჭ M; 4 ღურჯა] ღურჯა ჭ M; 10 ქალი იყვას] ქალიყვეს ჭ M; 11 ღვეიხარ] გვიხარ ჭ M; 15 მაქქე] მაქ ჭ M; 16 ძმობილებ] ასე აქვს ჭონქაძესაც, მაგრამ აჯობებდა: ძმობილებს.

398. მუქარის დათხოვა (M 22)

მს დაუბეჭდავს ნ. ჭონქაძის ჩანაწერის მიხედვით. ნ. ჭონქაძისთვის ეს ლექსი ნამაზობი ყოფილა(?) „თია გიგიას ასულის გოგოჭურის მიერ“ 12. 4. 1924. — 2 ქალებმ] ქალებ ჭ M; 6 ძმობილებს] ძმობილებსა ჭ M; 8 ღვეანდა] გვეანდა ჭ M; 9 დაანებილით] დაანებილით ჭ M; 10 ენახა] ელნახა ჭ M (ორში ერთი: ან „ენახა“, პირველ სუბ. პირი, ან „ელნახა“, მეორე სუბ. პირი. ღანის არსებობა მაფიქრებინებს, რომ უფრო მეორე სუბ. პირის ფორმა უნდა იყოს. მაგრამ უნდა შესწორდეს აგრეთვე მომდევნო სიტყვები და მთელი მუხლი ასე წავიკითხოთ:

რო ღნახა ჩემი ძმობილი, მაშიე დაუცემ თვალსაო.

ამას გარდა აღსანიშნავია, რომ ნ. ჭონქაძის ჩანაწერში (და აქედან მს გამოცემაში) მეოთხე მუხლი („თქვენაც გამწირეთ...“) გამოეორებულია მეორესა და მესამე მუხლს შუა.

399. გროშად (M 22)

ესეც ნ. ჭონქაძის ჩანაწერის მიხედვით ყოფილა დაბეჭდილი. ნ. ჭონქაძეს კი გაგონილი ჰქონია იმავე თია გოგოჭურისაგან (ნ. № 398). — 7 თესლიო] თესლიაო ჭ M; 8 ყელჩიო] ყელჩიაო ჭ M.

ნ. ჭონქაძის ჩანაწერში მათქვამობაც მოიპოვება, რომელიც მს არ დაუბეჭდავს:

(ა)მაგის მალექსობელი ჭალაშიე თივა(თ) ექენცლიო.

10 ამოვაფხავებ ნამვალსა, პრისოკ მიჭირავ ელშიო.

9 თივა(თ) ექენცლიო] თივა ხვენცლიაო ჭ; 10 მიჭირავ ელშიო] მიჭირავს ხელშიაო ჭ

400. დასავით წამება (R 52)

I რა დაიარები] ასე აქვს R ს, მაგრამ, ცხადია, უნდა „რას“ (შდრ. პასუხი მეორე მუხლში); 5 მიგაფერე] მიგაფერე R.

ამას რამოდენადმე მოგვაგონებს ერთი ფშაური ლექსი, რომელსაც X წაწლობის ლექსს უწოდებს:

028.

ენა ჭაკჭიკ მერცხალს გიგავ, ინლოთით გამოსულსა;
ტანი ლერწამ-ჩალას გიგავ, ზღვის პირს ნერგად ამოსულსა.
შემინახე, როგორც ძამა, შეგაფიცებ ფშავლის რჯულსა!
— თუ დასავით ვერ დაგინდო, ღმერთიმც ამომართმევს სულსა!
გავკლე თოფის ანაწერი, კმალს შავეჭრა გაღესულსა!

(X, ივერია, 1887, № 174=ც. წ. 146).

401. ილო და სანათა (Sh)

ჩამაწერინა ივანე წიკლაურმა ს. გარბანში 21. 7. 1911. პოემის ავტორია ვეფხვია ბენიას ძე (არაბული?), სახილემი მცხოვრები, ამჟამად (1911 წელს) იორზე, ბაჩალში, გადასულიო.

იცნობის იმის ერთა] ასე ამიხსნეს: იმის სერთაო, ე.ი. იმის სახითაო, მაგრამ მეგონა, ცდებიან-მეთქი და იერ'თან დაკავშირებით (რომელიც ერ'ადაც გვაქვს ელ-ფერ'ში, 'იერ-ფერ'იდან) სანი ჩამოვაკეცე წინ, რადგანაც იგი წინამავალი სიტყვის ბოლოკიდურად მიეიჩნე და დაბეჭდვითაც ისე დაბეჭდვ, როგორც 1911 წელს მქონდა ჩაწერილი. ახლა კი, როცა ამ სტრიქონებსა ვწერ, ვფიქრობ: მე თვითონ ხომ არ შევცდი-მეთქი? ასე ვფიქრობ იმიტომ, რომ მაგონდება ერთი ადგილი ხევსურული ლექსიდან, სადაც დადასტურებულია „სერი“: „სერ-ფერ წასვლიყო ჭიმლასა“ (№ 323, 17). ამიტომ, მეგონია, შეიძლება აღვადგინოთ ს და „ერთა“ს ნაცვლად „სერთა“ წავიკითხოთ. 37 იტიერთანდა] გასწორდეს ბეჭდვის შეცთომა, უნდა: იტიერთანდა.

ეს გახლავს ცდა პოემის დაწერისა. სამწუხაროდ, ლექსს ბოლო აკლია (მოამბემ არ იცოდა), რომ მისი ავ-კარგინაობა უფრო ნათელი იყოს. ახლაც ცხადი კია, რომ პოემა დაწერილია ლიტერატურული ძეგლების გავლენით ამისი ავტორი ოდნავ მაინც უნდა იცნობდეს ლიტერატურას, თორემ „ბუმბულის კმა“ (მუხლი 53) ხევსურულ ლექსში არა მეგონია, რომ გაჩენილიყო.

აქ მოხსენებული ლუხუშათ სოფელი მოგონებული სახელია, „მოქერკებულია აგრე“ო, მითხრეს.

402. ქალის მოტაცება (O)

მიუხედავად იმისა, რომ მათქვამად ყაჩაღები იხსენიება, ეს ლექსი თვითონ ალექსი ოჩაურის გამოთქმული უნდა იყოს: ჯერ თვითონ ლექსში პირველ პირად ჩანს ალექსი („თავისად რაიღ გამიყონს“, „ერთმ რო მეც შამიბრაღასა“ და სხვ.) და, ამას გარდა, ალექსის იგი მოუქცევია იმ რვეულში, სადაც მისი საკუთარი ლექსებია. – ეს ლექსი გამოთქმული ყოფილა „ალექსის ცოლის მოყვანის დროს, როცა სოფლელი ქალი მოიტაცა და არ იყო იმისი ნება.“

თეთრ ქალი (მ. 4) ცოლის დაა ლექსოსი, ამირბარა (მ. 15) ძმაა ლექსოსი, ნეთხიჩო კი (მ. 9) ადგილია.

403. ობოლივით ატირება (O)

ბ.

ქალებს უცვავე წითელ კაბა, ბულულაით ნაყიდები,
ყელზე თეთრებ შიბებ უძე, ყელის ძირში საკინძები.
მაგათ უფროსობამც მამცა, რა მალი-მალ დაეშინჯებდი!

(Rფ 107).

გ.

ქალებს ჩითის კაბებ გვიცვავე, ბულულაით ნაყიდები.
წაწალ რო წინ შამეყრება, უმძრახივით გავცილდები.
შორით გავაყოლებ თვალთა, ობოლივით ავტირდები.

(Tფ).

404. საკინძი (O)

იგივე მოჰყავს Gსაც (გვ. 240) იმ განსხვავებით, რომ: 1 შენეულ საკინძი] მე შენი საკინძი G.

405. ბაბაღეს (O)

406. ჯინჭარაულთ ქალი (R 194).

407. ქალ-ვაჟის სიტყვა-პასუხი (R 194)

408 (C).

როგორც Cs ჩაუწერია, ამისთანა ლექსებს ქალ-ვაჟი ერთმანეთს მაშინ ეუბნებიან, თუ რომ ერთმანეთი ჭკუაში არ მოუღის სწორფრობის წესით ერთად წოლის შემდეგ.

ბ.

წყალი ქვაზედ გადაივლის, გადახერიდა სანსალასა.
მე შენფერას არა ვყვარობ, ცუდასა და ხანშალასა.

(R 182).

ბ.

კლდეზედ წყალი რო გადმოდის, გადმოჰყრის სანსალასაო.
არ წაუჰყვე შენისთანასა ცრუესა და კანტალასაო.

(Sh მთ).

მიამბო 5. 7. 1913. ბენიანში მ ა რ ი ა მ მ ა, შონჩოელმა ქალმა.

409. ფარაგ-ჩამოწყვეტილი (R 183)

ბ.

ზანდუკში წვიმა მოვიდა, კიტოსში – წვიმა ჰყვეპილი.
თორელი ...ზე კელს იცემს: „შენგან ვარ ამოწყვეტილი.
მე ოკერო და ტიალო, სულ რად ხარ ამობრექილი?“

(Sh გულ).

ჩამაწერინა ს. ზანდუკში გ ი ო რ გ ი პ ა პ ი ს ძემ წ ი კ ლ ა უ რ მ ა 17. 6. 1913.

ბ.

წილკანში წვიმა მოვიდა, ნატახტარს – წვიმა წყვეტილი.
„შენ ჩემო ...ო ოხერო. შენგან ვარ ამოწყვეტილი.
სამი თუმანი გადამხდა სუდიას გადაწყვეტილი.
არც ეხლა დაგავიწყდება მათუნას გამოხერეტილი?“

გადმომცა ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ მ ა 1913 წ. მარტში და დასძინა: ზალხურიყო.

410. თუ მინდა (R 184)

411. კოტანი (R 184)

2 ვაჟასა შენისთანასა ჩალადაც არ ჩახყრიანო] შეუფერებლობაა ენის მხრივ.
მოსალოდნელია ან „ვაჟაი შენისთანაი ჩალად არ ჩააგდიანო“, ან კიდევ „ვაჟათა
თქვენისთანათა (ან არა და: ვაჟებსა თქვენისთანებსა) ჩალადაც არ ჩახყრიანო.“

ბ.

მათურას ძირას წისქვილნი მარილის გულებს სცრიანო.
შიგ ქალნი სხედან ლამაზნი, ვაჟკაცის გულსა ჰგლიანო.
გამოვლენ, კელ-პირს იბანენ, შუქნი მათთ გადადიანო.
ვაჟასა შენისთანასა წელზეთ კმალსა კსნიანო.
სწადიან – ღაატყვევებენ, სწადიან – დაიქსნიანო.

(Rფ 28).

412. ბანზედ ტრიალება (R 186)

413. ვინაც შენთან (R 183)

414. ვირთ შაფერება (R 184)

აქ მეორე სტრიქონში შეცვლილი უნდა იყოს ბოლო, – რითმა არ უდგება კარგად.
არ მეფერებოვს ნაკვლად მოსალოდნელია: არ მეფასებო, რომელიც „თასებიო“ს
შესაფერისი იქნებოდა.

415. გოშია (R 184)

ქართლური ვარიანტიდან ჩანს, რომ ეს სიტყვები ქალის პასუხია ვაჟის მიმართაზე. მართლაც:

ბ.

ვაჟი: წუხელისა სიზმარშია ხეივანს ქვეშ წამეძინა.
ქვეშ მეგო ლალი ორხუა, ზედ გილანური მეხურა.
გვერდთ მიწვა ქალი ლამაზი, მკლავი მკლავს გადაგვეხვიანა.

–

ქალი: ბიჭო, რას სტყუი, რას სტყუი? საღორის კარსა გეძინა.
ქვეშ მეგო ჩალა-ჩულანი, ზედ ნაბღის ჩულა გეხურა.
გვერდთ გიწვა შავი ლაგაზი, ტოტი-ტოტ გადაგვეხვიანა.

(Rქ, № 856).

416. მაინც არ (R 183)

ბ.

ციხით ნარცხან გადმოვღვარენ, ძირში დარჩენ თორანიო.
სხვა ყველანი დაიკოცნენ, ჩვენ კი დაურჩეთ სწორანიო!

(Rფ 292).

417. კასთან (R 183)

ბ.

წყალსა არ შვეალ იორსა; თუ შვეალ, — ფონსა ავარჩევ
არ ვეძებ შენისთანასა; თუ ვეძებ, — კარგსა ავარჩევ.

(A, კვალი, 1893, № 13).

რის მიერ ფშავში ჩანაწერი ვარიანტი ამისაგან მხოლოდ დასაწყისში განსხვავდებოდა: „ჯერ კი არ შვეალ იორში, თუ შვეალ...“ და სხვ. (Rფ 288).

418. ვაჟის ნატვრა (R 198)

ბ.

ტურფა ბალი და წალკოტი ეკლითა ვინმე შესარა!
რკინისა კარი შეაბა, კლიტე მე მომცა, შენ არა!
სიკვდილსა შენსა სანაცვლოდ თავსა მე მივცემ, შენ არა.
ვაჰ, თუ ზედ ისიც დამერთოს, მე მიყვარდე და შენ არა!

(Rქ, № 803).

ბ.

ტურფა ბალი და წალკოტი ეკლითა ვინმე შექნარა!
რკინის კარები შეაბა, კლიტე მე მომცა, შენ არა!
სიკვდილსა ჭირის სანაცვლოდ თავსა მე მივცემ, შენ არა.
ვა, თუ ეს დამემართოს: მე კი მიყვარდე, შენ — არა!

(მოამბე, 1897, № 8).

ჩაუწერია თ ს ა ხ ო კ ი ა ს ს ო ფ. ბერშუეთს (ქართლში) ზ ა ქ ა რ ი ა კ ვ ი წ ი ნ ა -
ძ ი ს ა გ ა ნ.

ასეთი დასაწყისი ბაგრატიის ლექსის ერთ ვარიანტშიც გვხვდება:

ტურფა ბალი და წალკოტი ეკლითა ვილა შენარა?
ნეტავი, შვილო ბაგრატო, გველი მეშობნა, შენ არა!

(Rქ, № 32).

მაგრამ ამავე ბაგრატიის ლექსის იმ ვარიანტს, რომელიც ვ. ბ ი ბ ი ლ ა შ ვ ი ლ ს
ჩაუწერია კარაღეთში, აკლია ის მუხლი, სადაც ბალ-წალკოტის შესახებ არის საუბარი
(ივერია, 1891, № 195).

რადგანაც ა ვარიანტში ეკლით შენარვა იალბუზსა და წ ე ლ კ უ დ ს ე ხ ე ბ ა, ხოლო
ბ და გ ვარიანტში (და აგრეთვე ბაგრატიის ლექსშიც) ბაღსა და წ ა ლ კ ო ტ ს, ამიტომ

უადგილო არ იქნება, კითხვა დავსვათ ამ ორი სიტყვის ურთიერთობის შესახებ. წელ-
კუდის სახელით ა ვარიანტში თითქო მთა უნდა ვიგულისხმოთ, რადგანაც იგი იაღბუზს
უდგას გვერდით: „იაღბუზი და წელკუდი.“ მე ასეთი მთა არ ვიცი. „არ ვიცი“ კიდევ არ
ნიშნავს, რომ არ იყოს სადმე. არის თუ არ არის, ეს ლექსისათვის სულ ერთია, აქ
ორსავე შემთხვევაში „წელკუდი“ წალკოტისაგან უნდა იყოს გადაკეთებული. თუ ასეთი
მთა არის, მაშინ გადაკეთება გაუგებარი წალკოტის გააზრიანება იქნებოდა. იაღბუზს კი
რაღა უნდა? მგონია, რომ იგიც გადაკეთების ნაყოფი უნდა იყოს. მის პროტოტიპს კი
„ია-ვარდისა“ უნდა წარმოადგენდეს. მაშასადამე, პირვანდელი ფორმა, რომელმაც „იაღბუზი
და წელკუდი“ მოგვცა, თითქო ეს უნდა ყოფილიყო: „ია-ვარდისა წალკოტი.“

419 (G 248)

Gs-ის ვარიანტში: 1 ყანები] ყანაიმც Gs; 2 შიგ სამარგელა მალრევა] დაღრევა
სამარგელაი Gs.

ბ.

ნეტავი, ქალო, მე და შენ ყანა სამ მოგვცა ზიარი!
შიგ სამარგელაიმც გაპრია ფათალა-მხვეერაიანი!
გველიენა სამარგელავადა, ნაპირი მისცა ტყიანი!

(Rg 275).

ბ.

ნეტავი, ქალო, მე და შენ ყანა ვინ მოგვცა ზიარი!
ერთგა(ნ) მოემკიდით, პურს ვჭამდით, რო აღარ მეველო მშიარი!

(Q).

დ.

მია და შენა, ქალო, ყანაიმც მოგვცა ზიარი!
შიგამც ურია ნარ-ეკალ, ნაპირიმც მისცა ტყიანი!

(Sh o).

მიამბეს ქებო ალვანში 23. 9. 1913.

ჟ.

ნეტავ, მე და შენ, ქალო, ყანებიც მოგვცა ზიარი!
შიგან სამარგელა გაურივ, ნაპირიც მისცა ტყიანი!

მამც ბიჭი მქნა აგეთი, ამოცემული, კმიანი!
შენამც ქმარ მოგცა აგეთი, უვიმ ჩამოი ჭვიანი!
რა მალ-მალ მოგასვენებდი, ნაპირ თუ ჰქონდეს ტყიანი!

(Go).

4 უვიმ ჩამოი ჭვიანი] ასე აქვს G0ს. ასხნასაც ურთავს: „არაფრის მც(ოდნე) ვირი-
ვით“ო, მაგრამ უნდა შევნიშნო, რომ ესეც არ გვეუელის, რადგანაც ტექსტი შერყვნილი
უნდა იყოს. თუ „ჭვიანი“ შეცთომით „ჭკვიან“ის ნაცვლადა დაწერილი, მაშინ შეიძლე-
ბოდა გვეფიქრა, ხომ არ უნდა წავიკითხოთ ასეო: „უვიმჩამოი, ჭკვიანი“, მაგრამ არ
ვიცი, არსებობს თუ არა თუშურში (ან სხვაგან სადმე) პირველი სიტყვა („უვიმჩამო“).
კიდევ უფრო მიუღებელია: „უვიმჩამო, იჭვიანი.“

3.

ნეტავი, ქალო, მე და შენ ყანები მოგცვა ზიარი!
შიგ სამარგალო მოპრია, გარს დიდი წარაფიანი!

(თუატრი, 1886, № 45).

ჩაუწერია ს. საგარეჯოში ი. მჭ-შვილს.

ზ.

ნეტავი, ქალო, მე და შენ ყანები მოგცვა ზიარი!
შიგ ნარი სამარგლარევი, ნაპირი ჰქონდეს ტყიანი!

(ივერია, 1890, №6)

ჩაუწერია ს. კარალეთში ვ. ბიბილაშვილს.

420. გიორგის (Th 133)

421. ქალების ნდომა (Gs)

[ნდობითა] ნდობითა Gs (და ეს უფრო ჩვეულებრივიც არის ხეცსურულში. აჯობებ-
და, რომ უცვლელად დამეტოვებინა).

422. სურვილს მოკვლევინებული (Gs)

[1 თეთრი] ბეჭდვის შეცთომა და გასწორდეს, უნდა: თეთრის; 2 დედაჩემს Gs]
ჩვეულებრივი ხეცსურული ფორმა: დედას-ჩემს, ასიმილაციით: დედაშემს.

ბ.

ჩაგხედენ, წყალსა ჩაჰქონდა თუთრი მაკალო ნასეტყვი.
სურვილს რო მამაკლეინო, ქალო, დედაჩემს რას ეტყვი?
ჭირიმე შენის გულისა! შენთან წამუალ. რას მეტყვი?

(Rფ 292).

სხვა ფშაურ ვარიანტებში (X 205, T, Mr) მოიპოვება მხოლოდ პირველი ორი მუხლი. — გ ა ნ ს ხ ვ ა ე ბ ა ნ ი: 1 ჩაგხედენ] ჩაგხედე T; 2 სურვილს რო] რო სურვილს X; მამაკლეინო] მამაკლეინო X, მამაკლეინე Mr; დედაჩემს] დედას ჩემს X.

ბ.

ჰა, ქალავ, ვაშლი, რა ვაშლი! უბეს ნადები, ნასეტყვი.
კაცი რო გამოგიგზავნე, პასუხს რაისთვი არ მეტყვი?

(Q 11).

დ.

ჰა, ქალო, ვაშლი, რა ვაშლი! უბეს ნადები, ნასეტყვი.
სიტყვა რო შემოგიტოვალე, გიყვარვარ და რად არას მეტყვი?

(R ქ, № 643).

[ე და ვ ვარ. ნ. დამატებაში. რედ.]

423. მემროსე ძალს (R 182)

424. წყემს (Gs)

ბ.

მთას მარახული მაჰკიდა; წყემსო, აჰყარე ცხვარია.
არ მოგწყინდაა მთაშია, არ მოგინდაა ბარია?
ლამაზი გოგოს ჩახვეენა, იმასთან საუბარია?

(Sh ფ).

ჩამაწერინა კ ა მ ი ს ი ა ბ ა დ რ ი შ ვ ი ლ მ ა 11. 7. 1911 ს. შუაფხოში. — 3 ლამაზი გოგოს ჩახვეენა] ლამაზ გოგოსთან ჭოქჭოქი (ვარიანტი იმავე კამისიასი.)

პირველი ორი მუხლი შეტანილი აქვს ი. ჭყონიას თავის „სიტყვის კონა“ში (ს. პეტერბ., 1910) მარახულ სიტყვასთან ფშაური სიტყვის დასამოწმებლად, თ. რ ა ზ ი - კ ა შ ვ ი ლ ი ს მიხედვით. სხვა ფშაური ვარიანტები კი (X 247, T) ჩემ მიერ ჩაწერილი-საგან ამით განსხვავდება მხოლოდ: 1 აჰყარე] ჩარეკე T; 2 მთაშია] მთას ყოფნა X,T; 3 ლამაზი გოგოს ჩახვეენა] ლამაზის ქალის მოხვეენა X, კარგას ქალასთან ჩახვეენა T.

ბ.

მთასა მოჰკიდა თირთვილი, მწყემსო, აჰყარე ცხვარია.
რათ არ მოგწყინდა მთას ყოფნა, რათ არ მოგინდა ბარია?
ლამაზ გოგოსთან ჩაწვალა, მასთანაც საუბარია?

(D).

425. ლამაზს (O)

ეს ლექსი ოს სტუმარ-მასპინძლის ლექსებში აქვს მოქცეული: იგი მასპინძლისად-
მი მიმართული სიტყვებიაო. მე კი სატრფიალოებში გადმოვიტანე „ლამაზ“ სიტყვის
ხმარების გამო. მაგრამ არ ვიცი, თუ რამდენად საკმაო საბუთია ეს სიტყვა ასეთი
გაგებისათვის. მგონია აჯობებდა, რომ ოს კანდობოდი და ლექსი სტუმარ-მასპინძლის
ციკლში დამეტოვებინა.

426. სიცილ-ხახანი (Dj)

427. ქოჩორეები (M 19)

428. ყვითელ-თმიანს (M 19)

ბ.

გადმოგიხედენ, ჯიჯუეთო, ველიანო და ტყიანო.
სადა ხარ, ჩემო ნადობო, თვალ-ჭრელო, ყვითელ-თმიანო?

(T ფ).

ასევე აქვს აგრეთვე Lachსაც შეტანილი, № 120, ოღონდ: I გადმოგიხედენ]
გადმოგიხედე.

ბ.

გადმოგიხედენ, იორო, ველიანო და ტყიანო.
გადმოკე, ქალო, მაკოცე, თვალ-ჭრელო, ყვითელ-თმიანო.

(Rფ).

429. აიმას (R 177)

430. დასტური (Sh)

ეს გაგონილი მაქვს 16. 7. 1913. ს. სტეფანწმიდაში მოხევისაგან (მგონია ი ა გ ო რ
ლ უ დ უ შ ა უ რ ი ს ა გ ა ნ, — არ აღმინიშნავს მაშინვე), რომელმაც ხევსურულად მო-

უქცია. ლექსი თითქო ეთქვას ჯუთულს აკურა (მაბუკა) არაბულს, რომელსაც დასტურობა პრგებია. — 1 უნდა] ზღომა (ვარ.); 3 არც აბედენებს ქალ-ზალსა] ქალი და რძალი არა სწამ (ვარიანტი მისივე).

431. სამაგიერო (R 190)

ბ.

მემცხვარის ცოლსა ეტყოდა შინაურაის ჯალაბი:

„ქმარი წაგსვლია თრიალეთს, ქართველის გაუაღ(ი)ს ქალაქი, მოსწონებიან ქალები, უძლიავ ხუთ-ხუთ მანათი.“

- 5 — „ეგ თუ იმან ჩაიდინა, ახლ ნახოს ჩემი დალატი!
მის მოღებულ ყველ არ მინდა, შინ მაქვა ერბო-კარაქი.
ფქვილიან გოდრებიც მიდგა, ქერის გამოვკად არაყი.
ვინც მინდა, დავიპატიოებ, მოყმეც ბევრია ლამაზი.“

(Go).

432. ჩახურვა (Sh)

მიამბო ა ბ ა გ ი გ ა უ რ მ ა 22. 8. 1913 ს. კაკმატში. — 1 ნიავ მაულის საპურე] ანიავებდა პურსო.

433. შენის შიშით (R 178)

ცხადია, მორიდების მიზნით აქ „ქვა“ (მ.1) არის ნახმარი სხვა სიტყვის ნაცვლად. ბ ვარიანტში კი რუსული სიტყვაა ხმარებული. R ამ ლექსის გამო შენიშნავს: „ქვესურეთშია, როგორც ფშავში, ძალიან არის გავრცელებული წაწლობა. მხოლოდ თუ ფშავში ვაფი დაიარება, ხევსურეთში თვითონ ქალი მიდის ვაუთან, თუნდ სამი-ოთხ ვერსზე იყოს.“

ბ.

ნეტავი, ხუო, მოგგლიჯა, დაგდა დაქუახს იქითა!
ქალთან დაწოლა მეწადა, ვერ დავწევ შენი შიშითა.
არ ვიქამ დაუწოლრადა, თუნდა გამგზავნონ ციმბირსა.
კაი დრუებას ვატარებ, არ დავდეე ცოლვა-სირცხვილსა.

(Shგ).

ჩამაწერინა მ ა ხ ა რ ე მ ჭ ე დ ლ უ რ მ ა 26. 9. 1913 ს. არტანში.

434. წაწლები (R 189)

R შენიშნავს: „ფშველებს დასცინის“ო და მართლაც: ვაჟი ქალისას ფშვეში და-
იარება და არა ხევესურეთში, სადაც, პირიქით, ქალი დადის ვაჟისას.

435. ტრფიალება (G 248)

ბ.

კა რაიმ ას ქალთან წოლა, უბიაჩი კელანო!
ცოტ-ცოტინან ძუძუანი, ვაშლის ოდ-ოდენანო!
იმის გვერდი(თ) ოშკაცაი, წარბის კვალა წვერანო!

(Sh).

ჩამაწერინეს ახიელაში 4. 8. 1913 – 2 ვაშლის ოდ-ოდენანო! მთაში საზოგადოდ
ვაშლი წვერილია ძალიან; 3 წარბის კვალა წვერანო! „წვერი“ ხევესურულად უღვაშს
ჰქვია. მამასადამე, „წარბის კვალა წვერანო“ ამას ნიშნავს: წარბის ოღენა უღვაშებ
რომ ჰქონდესო.

გ.

რა კარგია ქალთან წოლა, უბიაში კელანია!
ბატარიკან ძუძუანი, ვაშლის ოდ-ოდენანია!
ბატარია ვაჟკაცაი, წარბის კვალან წვერანია!
ზემო თავში ლოგინაი, საცა უფრო ბნელანია!

(Tფ).

გ ი ო რ გ ი ქ ა ვ თ ა რ ა ძ ი ს მიერ ნამბობი ს. გუდრუსში.

დ.

რა კარგია ქალთან წოლა, უბიაში კელანია!
ბატატარან ძუძუანი, ვაშლის ოდ-ოდენანია!
ყურიაში ლოგინაი, სადაც უფრო ბნელანია!

(Rფ 102).

ე.

რა კარგია წაწალთან წოლა, უბიაში კელანია!
პატატარა ძუძუანი, ვაშლის ოდ-ოდენანია!
პირ-შიშველა ვაჟკაცაი, წარბის კვალა წვერანია!

(Mფ 7).

1 კელანია] ხელამია M; 3 წვერანია] წვერია M.

3.

რა კარგია ქალთან წოლა, უბიაში კელანო!
ბატატარა ბუბუანი, ჩასატოლებელანო!
ზემთ ყურეს ლოგინაი, საცა უფრო ბნელანო!
დაქარგულნი საყელონი, ჩასატოლებელანო!

(Mr).

436. ცოლები ქმრებზე (G 248)

იგივეა თითქმის Cის ვარიანტიც, განსხვავება: 1 თქვა] თქო C; 2 სხვამ უთხრა] სხვამა თქვა C.

437. უქმრო და უცოლო (G 249)

438. რაზე შეეტყობა (G 249)

ბ.

ვაქსა რა ცოლი მაუნდეს, ფანდურსა დაუამდება.
ქალსა რა ქმარი მაუნდეს, შინ ჯალაფთ გაუაუდება.

(Rფ 143).

439. საქმარეები (G 249)

ამისი პირველი ორი მუხლი ამას მოგვაგონებს: № 10, 10-11.

440. კახური ტილი (R 98)

3 გაუფხიკიდი] გაუფხიკოდი R (რაიცა ფმაური ფორმაა და არა ხვესურული).

441. გუნების ქმარი (Th 123)

4 სიტყვის] სიტყვას Th (თუ Thის ჩანაწერს ხელ-უხლებლად დავტოვებდით, მაშინ მძიმის დასმა დაგვიკვირდებოდა: სიტყვას მაველი, თქმასაო).

442. გასათხოვარ ქალი კევესურისა (G 249)

5 კარადა] კარგადა G – აქ გატარებულია შედარება ხვესურებსა და არხოტიონთ შორის. ფართო გაგებით ხვესურეთში არხოტიც შემოდის, მაგრამ არხოტიელები თავის თავს ხშირად თავ-ხვესურეთის მცხოვრებლებს უპირისპირებენ.

443. ნიატ (Sh)

ჩამაწერინა მიხა მგელას ძე ჯინჭარაულმა, უკენ-აკოელმა, 20. 8. 1913. კაქმატში. – ყვავთა-ყორანთამც მიაქო] ე.ი. ყვავთ (ღა) ყორანთამც მიაქო.

444. სამი დღე-ღამე (Sh)

ჩამაწერინეს ს. გორულში (ბაკურ-კევეში) 23. 6. 1913. – გომეწარი ფშავშიაც არის და თუშეთშიაც, მაგრამ აქ ფშავისა უნდა იგულისხმებოდეს. ლექსიც, მამასადამე, ფშავური უნდა იყოს წარმოშობით.

445. შუაჩი (Sh)

ესეც ს. გორულში ჩამაწერინეს 23. 6. 1913.

446. ნაობრანცს (G 231)

447. სალდათში მიმავალი (G 226)

ბესარიონის ხელნაწერში ეს ლექსი ასეა ხელ-მოწერილი: ჩაკვირილა. რადგანაც „ჩაკვირილა“ ერთ-ერთი თიკუნია ბესარიონისა, ამიტომ ლექსი მისი ნათქვამი უნდა იყოს.

448. თეთრ-ქუდაები სარუსეთოდ (G)

„ლექსი ბესარიონ გაბურისა, ნათქვამი არის ნავობრანცობის დროს ქ. ღუშეთში 1909 წ. 10 გიორგობისთვეს.“ – 22 წადი და აიქ იძიე, ვისაც მიგიდევს ვალია] „ვისაც სისხლი გიმართებსო, – ეს იმაზე იყო: იმ დროს კობელი ოსი მოკლეს კევესურებმა და ის ოსი სტრაჟნიკი მე გადამეშარა როგორც კევესურს“ G

ბ.

ღუშეთ მთარობამ შეყარა ახალ სალდათის ჯარიო.
აბეჩან, ნაობრანცებო! არ გაქვისთ კაცის ყამიო.

- თითო ას ავთაგეთი, ალვის ხეს უგავ ტანით.
დაღებებს დუქნები, ძალა(დ) უმტვირის კარით.
- 5 თეთრა(დ) გაივლის ღამეი, მავიდა დილის ხანით.
„ხოლ დილა წავალთ რუსეთა“, გვიცხადებს კომანდარით.
ემზადნეს თუნებაზედა, ხთისა აქსენეს ძალიო.
წავიდა სარუსეთოდა თეთრ-ქუდაების ჯარით.

—

- 10 დავსტყლიშე ოსის სტრაჟნიკსა, აბრუნდა როგორც ტარით.
წამოდგა გაჯავრებული, შემამიქნია კმალიო.
კელთ შემრჩა იმის ხანჯარი, კი ეკრა სპილოს ტარით.
მეება წარბის თავზედა, საწყინარ ეტყვის მქარით.
მიჩვილა ნაჩალიკსთანა, ყვიროდა როგორც კარით.

(Gs).

449. სალდათში მიმავალ ძმასა და სწორ-ფერს (R 220)

6 წამიყვანილით] წამიყვანოლით R; 7 თქვენს წინ ქალაღლი გავიგა] „ეითომ წიგნი წავიკითხოვო“ R.

450. სალდათად დაბარებული (O)

451. დელვა ზღვაზე (O)

ესეც ლექსოს ნათქვამი ლექსია.

452. მეცხვარე სალდათი აფიცერზე (G)

ეს ლექსი უთქვამს იოსებ ჯვიელაურს, უკენა-ფშავეში მცხოვრებს, სალდათად ყოფნის დროს ოღესაში 1910 წელს. ბესარიონიც ამ დროს სალდათად იყო ოღესაში. ლექსი, მაშასადამე, წარმოშობით ფშაურია.

453. გადათხეული (Gs)

ეს ლექსი აფშინათ აბას მიერ ნათქვამი ყოფილა. ეს აბა, გვარად გიგაური და ძირად ბლოელი, ამჟამად იორზეა ჩამოსული, ს. ფიჭვიანში.

454. სპირნაზე (O)

ეს არის ალექსი ოჩიაურის მიერ ნათქვამი ლექსი, თითო წერილად მიწერილი წერილასადმი. ეს წერილა, ამლიონი, გვარად წიკლაური, შემდეგ ავსტრიის ფრონტზე მოკლეს.

455. სალდათის დანაბარევი (O)

„გიგა იყვ. ამლიონი, თიკუნს იქვიენებდა ნაკშირაულს. კი ყოჩად ოშკაც იყვ. რო არხოტ ცალ არ ხყვანდ. 1905-ში წაიყვანეს სალდათში, ვერ აიტან იქაურ პაერი, დანსეულდ. ეს ლექსი იქით მაწერილი, როსაც ცოტად კარგად შავარდ. გემრ შინ მაგიდ, გათავისუფლებულ ავადობითა. გაკდ აოდა, არცა-ღ გადაშრ,- როგორც ლექსში ამბობს, - მოკვდ მეორედ გაკილილი. ეს ლექსი მე მქონდ გაგონილი, სინამდვილით დავსწერი“ O,- 17 სასიკვდილო რო მიქნიე) „ხანჯარი უქნია“ O.

456-459. ვაენი გოსპიტელში

ამ სათაურით ოთხი ლექსია გაერთიანებული, რომელთაგანაც სამი ალექსი ოჩიაურისა არის და მისგანვე ჩემთვის გადაწერილი, მეოთხე კი, № 459, ვეფხისტყაოსნურად გაკეთებული, სხვა პირის გამოთქმული უნდა იყოს. იგი ოის მიერ გადმოცემულ მასალებს მოჰყვა, მაგრამ უცნობი პირის ხელითა დაწერილი. ეს ლექსი შემოკლებულად არის აქ დაბეჭდილი: გამოვუსვი (მე-16 მუხლის შემდეგ) შვიდი ოთხეული (28 მუხლი), სადაც „ურჯულო“ სთან (ქისტებთან) ბრძოლის უინია გავიყვებული.

460. შინისკე მზადება (O)

გამოთქმულია ალექსი ოჩიაურის მიერ. - 41 მოვასწრობა, თუ მამასწრობს] ეი. მე მოვასწრებ შინ, თუ წერილი, ფოსტით გაგზავნილიო.

461. მაკითხვა (O)

ესეც ალექსი ოჩიაურის ლექსია.

462. სალდათის წადილი (Sh)

მოპოვიდა 5. II. 1914 პეტერბურგში ბაძია გაგაის ძის ქერაულისაგან პეტერგოფიდან, სადაც იგი გადაყვანილი იყო პეტერბურგში გამორჩენის შემდეგ. ავტორიც თვი-

თან უნდა იყოს. — დახკებენ] გასწორდეს ბეჭდვის შეცთომა, უნდა: დახკებენ(6). ბაძიას ამ სიტყვის შემდეგ კიდევ უწერია: „ხორებენ“, რომელიც, როგორც ჩანს, მის მაგივრად გამოუყვანია. ასე რომ მორე ვარიანტი ასე წაიკითხება: „კარგად ხორებენ ცხენებსა“; 4 აქვის] აქვს (ბაძია); 6 შლიდას] შლიდა (ბაძია). თმებსაო] თმებს (ბ.); 7 ყელსაო] ყელს (ბ.)

463. საახალწლო მილოცვა სწორებს (G)

ნათქვამია ბესარიონის მიერ 1910 წელს, 1 იანვარს, ოდესაში, სადაც სალდათად იყო.

464. სალდათის სიკვდილი (G)

ნათქვამია ბესარიონის მიერ 1910 წელს, ადესაში. — 14 მკოცელო ქისტებისაო] „ამირა გოცირიძეს ჰყავდა მოკლული ოთხი ქისტი, როგორც თუშუმბა მილაარაკეს, მემცხვარობის დროს“ G

465. ომი გუმბრზედ (Sh)

მიამბო ნადირა არაბულმა 17. 7. 1911 ს. ჩირდილში. ნადირას სიტყვით, ლექსი უთქვამს ბაბუა ჯინჭარაულს, გოგოთურის ძმას, ბარისაკოელს. — 5 აღარ გოქვ გასავალიო] ე. ი. შეკრულია გზები მტრის მიერო; 19 ბარაქელ, სუმბატურაო! გუნება გედვა ჩქარიო] სუმბატა თავისი ნებით წასულა ოშში; 25 შორით ემბოდა თვალიო] ე.ი. შორიდანვე ვიცანიო; 28 რომაქიშვილი, ნაჩალიკი, კახელი იყოო; 29 ერთ ჩემსაც მოსჭრეს თავიო] sc. ძალად; 30 ქვბ ჩემით გამაიტანეს] sc. ძალად, ზეკუციის წესით; 31 თოთათა ბერდია მამასახლისის შვილი ყოფილა; 32 შვინდაი] ფური იგულისხმება; 33 აშლა საომარიო] გაჯავრდაო; 37 ერთუცს ეუქსენეთ მკვდარიო] იგულისხმება: ძროხების დახოცის გამო; მმ. 44 („ვაფი აზიზა...“) და 45 („ქება-გინებას...“) მოამბემ გადასვა ერთიმეორის ალაგას.

ლექსის პირველ ნაწილში (მმ. 1-22) აწერილია რუსეთოსმაღეთის ომი 1877-78 წლისა, რომელშიაც ქართველი ტომებიც იღებდენ მონაწილეობას. მე-13 მუხლში მოხსენებული უზურგეთი ოზურგეთია. ოზურგეთის ომის შესახებ ერთი თუშური ლექსიც მოვეითხრობს (Bu. № 84), მაგრამ იქ აწერილი ომი Bus 1854 წლის ომად მიაჩნია.

Bas მოჰყავს ამ ლექსის დასაწყისი (მმ. 1-6). განსხვავებანი: 4 თითოს ენა აქვ ევეთო] თითოს ევეთი ენა აქვ Ba; 5 იბახან] ამბობენ Ba; აღარ გოქვ] აღარა Ba; 6 შამანდგლივინა ზღვანიო] შამ... Ba (აქ წყდება).

- ზეცაზედ დაქმენ ღურბელნი, დედაძინაზედ წყალნია.
 ბოზობა არი, ქურდობა, დანდობა აღარ არია.
 ძმამა ძმა აღარ დაინდო, აღარც ქალი და რძალია.
 აღარც მოსავალ მოვიდა, დაბრუნდა ცოდევა-ბრალია.
- 5 ზოგსა ასეთი ენა აქეს, თავს მასჭირის როგორც კმალია.

- იქით ამბობენ ხონთქარსა, შამაბრუნა ზღვანია.
 იქილამ რუსთ ქეწიფესა, მიდის, მოედის ჯარია.
 მიდის სუ უწყვეტელასა, როგორც ზაფხულის ცხვარია.
 ომი მოუქდა გუმბრზედა, არ არის გასავალია.
- 10 სულ იდგა ტყვია-წაპლისა, რიყედ იყრება მკვდარია.
 ქვესურეთს იწერებთან: „მანდით გვიჭირეთ მქარია,
 თითო კაც მამასახლისზედ, ვინც კაი მეომარია.
 ბიჭ იყოს გამოხადეგი, კაი თოფი და კმალია,
 წელში დაბაჩა ეტანოს, ჩახმხხ ოსმალოს ტალია.“
- 15 ნეტარ ვის-რარა ვარგინოთ? ვის-რა დავხუროთ ცანია?
 ჩვენში თოთიას მიერგო, არ არის წამავალია.
 ცოლი ჰყავ ტანად ხვევითა, გაუთავდება წყალია.
 არცვინ მათუტანს შეშასა, კარზედ არ უძევ გალია.
 არ გონებულად მოვიდა ფშავლის შვილების ჯარია.
- 20 თითოს ასეთი ცხენი ჰყავ, მუკლი აქეს ნიავ-ქარია.
 შუაში ნაჩალიკ უდგას, შორით მეფების თვალა.
 ნაჩალიკ რომაქისშვილი ჭკვიანად მოუბარია.
 უბრძანა ფშავლის შვილებსა: „ვახშმად დაკალით სამია!“
 ერთთი ბენაც წამართვეს ნაშიშაქარი ცხვარია.
- 25 ქობაიც გამატანინეს, გამამოჯარეს კარია.
 ისე შაჭამეს მგლურადა, არ მანახვინეს ძვალა.

ემბე ლექსაის მოთქოში შეიდ თვეს შზე-უნახავია.
 მუდამ მოველი სიკედლილსა. მამბულდა თავის თავია.
 ეხლა წყალობას უბოძებ, ვისიცა მქონდა ჯავრია.

(Bo).

ლექსი ყოფილა „ფ რ უ შ კ ი ჩ ო ხ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ს მიერ სიტყვიერად გადმოცემული“ (6. „ფშავური ლექსები ს. შარა-ქვეში ჩაწერილები იოსებ ბოძაშვილის მიერ“: საისტ. და საფონ. საზოგ. მუზეუმის ხელნაწ. № 1968). [გ ვარ ნ. დამატებაში. რედ.]

466. მობილიზაცია (G 227)

52 მელექსეს ვერას გაიგებთ, საერთოდ ნაუბარია] „ეს ლექსი არის ნათქვამი საერთოდ ბეს. გაბურისა, თოთია ოჩიაურისა, წვრილა წიკლაურისა, ივანე არაბულისა და აბა გიგაურისა 1914 წელს, 21 ივლისს“ G

467. ბრძოლის ველზე (G 221)

ეს არის „ბრძოლის ველზე ნათქვამი დაჭრილ ბესარიონ გაბურისა.“

468. წელწად-წუხრა გრანიცაზედ (G 225)

ნათქვამია ბესარიონის მიერ 31 დეკემბერს 1914 წ. – 18 შინ ბოთლა უდგას ცამცამი] „ქვესურის ქალებმა ხშირად იციან ბიჭისთვი არაყიან ბოთლის შანახვა და, როცა მოუვა ნათესავი ან მოკეთე, მაშინ დააღვებენ. ეს ბოთლა არის“ G; 20 ხართ გულანურში ჩამძვრალი] „აგრეთვე ქალი ლოგინშიაც მიუტანს ბოთლას არაყიანს და ბიჭს ჩუმად დააღვინებს“ G

მომეპოვება ამ ლექსის ვარიანტი, გადმოცემული 17. 2. 1931 ვ. კოტეტიშვილის მიერ (მისთვის თანეთიდან მოუწვდიათ). განსხვავებანი: 1 წელწადშამაეს წუხრასა] გათენდა წელწად დილაი; 3 ლუდი-არაყით] ლუდით და არყით; 4 ჩვენდ ქვე სად არის] ჩვენთვის რად არის; 6 ბევრ ვაჟ ას] ბევრ... (შემდეგ ცარიელი ადგილია დატოვებული. როგორც ჩანს, გადამწერს ვერ გაურჩევია დაწერილი); 8 ორთ რარიგს დროებაშია? წელ გვითენდების ახალი] ოჰ, რა-რიგს დროებაში წელ გაგვითენდა ახალი; 16 უნდ დაუბარათ] უნდა უბარათ; 18 შინ ბოთლა უდგას] შინ ბოთ დაუდგა; 23 არავინ გეკადრათ] არვინ გეკადრათ.

469. სუალკაზედ (C)

ნამბობია გიგია ჯინჭარაულის მიერ ბარისაკოში. – გიორგობისთვე] გიორგობისთვე C; 4 ტყემა] ტყემა C; 22 ერთ] ერ C.

41 ამ დროს მიაც მამარტყეს ტყვია, რუსულად პულია] როგორც დავით ლიქოკელმა 1931 წ. გადმოცა, ხახონა ლიქოკელს, რომელიც ლექსებში გულბათის სახელით არის ცნობილი, ერთ-ერთ გაზეთში ლექსი დაუბეჭდეს ომის შესახებო და დედანში რომ ქჷონდა „ტყვია რუსულად პულია“, რედაქციაში გადაესწორებინათ და ასე დაუბეჭდათ: „ტყვია ცეცხლ-მოდებულია.“ არ ვიცი, რომელ ლექსს გულისხმობდა დავითი და სად არის იგი დაბეჭდილი. თუ ის ლექსი და ეს ერთი და იგივეა, მაშინ კალატოზაიშვილად გულბათი უნდა ვიცნათ, ანუ ხახონა ლიქოკელი.

470. ეშმაკის მოგონილი (T)

ეს ყოფილა „ბეთიტა ქერაულის ლექსი“, ნამბობი ჩაღბი ალუდაურის მიერ.

ბ.

- გერმანმ უთხრა: „გამარჯვება! მე მგზავრი ვარ შორის გზისა.
ჯერე ლმერთი გეწოდას, მემრე დღენი ადამისა!“
გერმანია ავსტრიასა, ვიც, რო დეეშველებისა,
თურქიე მაგათ მქარე გაქლა, — სივიზია სამის ძმისა.
5 გაქლა სამიე მქარეები მტერი ჩვენის კემწიფისა.
გერმანიამ დაუბარა: „ვარშავის პლან ჩვენკე ჭრისა.
არ მამცემ, — ძალით წაგართმევ, ნაქონია მამ-პაპისა.“
რუსთ კემწიფემ უპასუხა: „აქ მე დაბეკითხენითა!
მე ვარ რუსის გოსუდარი, ჭკვათ მამყვანი ამაყისა.
10 დაუბარებ, ჩამამივლენ შავი ხალხი თუთრის წყლისა.
კევსურთ შეილებ არ გინახავ, ომ იციან ამლათისა.
შენ კი მოგკლენ, მამაძადლო, ვერ მასჩები ვერცხლის ღილთა.
გერმანიაგ, იმათაგან დიდი გამთხილება გინდა.“
პულიმეტი გამიკვირდა, მოგონილი ეშმაკისა:
15 ერთი მინუტის ხანზედა ათას პატრონეებს ცლისა!
ძირსა ბოთლი გაგვიხეთქეს, დედა-მიწაც ტყვიას ცრისა.
მიწაც ბევრი გაგვიქაღეს, ჩვენი გადარჩომა ჭირსა.

—

თუ რას მელექსეს იკითხავ, ნათქვამია საღდათისა.

(C).

471. სისხლის წვიმა

გადმოვბეჭდე საქართველოდან (1918, №5). ქვემ აწერია: ზეთისო გიგაური, რომელიც ალბათ ავტორია. — საქართველოში ლექსი შეცთომებითაა დაბეჭდილი, რომლებიც შევასწორე, მაგრამ ერთი შეცთომა მეც გამპარვია: მე-8 მუხელში დაბეჭდილია: დამზადებულია, უნდა კი: დამზადებულია; 2 რომენმ რომელ (საქართ.); 4, 14 სრუ] სულ (საქ.); 12 ქართველთ ზე-მისვლა] ქართველ ზემისვლა; 21 აეხლა იქავ] ეხლა ისავე (საქ.); 28 ჩქარობდას] ჩქარობდის (საქ.); 29 სანების] სონების (საქ.).

472. მსოფლიო ომში დაჭრილი (Sh)

ჩამაწერინა ომში დაჭრილმა ბაძია ქერაულმა 5. 11. 1914 პეტროგრადში, სადაც ის იწვა ერთ-ერთ საავადმყოფოში (ФОНТАНКА, 132).

473. წერილას (O)

სათურად აქვს „გრანჯა და წერილა“, მაგრამ, როგორც მეორე ვარიანტიდან ჩანს, გრანჯა ავტორი უნდა იყოს.

ბ.

- აბუჩან, ჩემო ძმობილო! ნეტარ, სადა-რა წევსაო?
რას ქვეყანაში გავიდა, ქალაღს სადა-რა სწერსაო?
შენ, დიღო ჩემო იმედო, სად ჩაიკაფრე წელსაო?
ვეღარცა გნახე თოლითა თიბის საშშაბათს დღესაო.
- 5 ურჯულოს ედებ ძალზედა, ტერღას სთესევი ქერსაო.
კმა რომ რა შამაორღების, ვინა-ღ დახვღების მტერსაო?
შენ სანადიროთ, წერილაო, ჩვენ ვერვინ მავხყრით კელსაო.
კელმწიფე ნებას არ აძღვეს, მთა წვერთ რო აღარ გღისაო.
ვეღარცად თოფნა ვაჟამა, ჯიკვებ სულ-ფონა დისაო.

- 10 მეღეკეს თუ რას იკითხავთ, ნათქვამი გრანჯაღისაო.

(Gs).

474. სიკვდილი ფრონტზე (G)

ნათქვამია ბესარიონის მიერ 1917 წელს. — 7 ჳიშად] ასე უწერია ბესარიონს და მგონია ლაფსუსი უნდა იყოს (=ჯიშად?).

აქ მოთხრობილია წერილა წიკლაურის შესახებ, რომელიც ავსტრიის ფრონტზე დაღღუა.

475. კობა ცისკარაული (C)

ნამბობია შიშია ქერაუღის მიერ, კადღელისა. — 34 ქება ვერ ვიცი ძმისაო] ნათქვამი უნდა იყოს დიმიტრის მიერ, რომელიც მომღვენო ნომერშია დასახეღებღული (476, 41).

476 (G 223)

ნათქვამია ბესარიონის მიერ. — 15 დაუახლოვეღს] დაუახლოვეს G; 44 დღღ-შამან არას დაზღვევენ, არას ხყვარობღეს შვიღსაო] „ეს სხვაფერიღ ნათქვამია: ვითომ დღღ-შამანი უფრო ძაღიან მისტირიან თავის შვიღს“ G.

477 (G).

ნათქვამია ბესარიონის მიერ ორ ხელად: პირველი ნაწილი (მმ. 1-10) ომში, 1914 წელს, დანარჩენი კი 1917 წ. – 7 დედის ერთად] „ერთად ერთის შვილის დედა“ G; 14 უკაცურთ გემართებს მღერაო] „ვითომ უკაცურთ ჭირისუფლობა გემართებს, და არა მღერაო“ G; 22 სიმღერით ჩაგასვენაო] „ვითომ ტირილით ჩაგასვენაო“ G; 23 რა მარჯვეი ას, ვაუბროთ, მკედრის ამხანაგის ცქერაო] „ვითომ ძლიერ ძნელი არისო მკედრის ამხანაგის ცქერაო“ G; ჩუთია (მ. 32) და გრანჯა (მ. 33) ერთი და ოგივე პირია; 37 ინატრის არხოტიონი... და სხვ...] „წერილას ომში ყოფნის დროს მოუკლეს მმა ქისტებმა. წერილა მოკლეს ომში, გალიციაში, ლოდზის ალების დროს, ავსტრიაში“ G (აქ Gს გეოგრაფიული მდებარეობა სწორად ვერ აქვს წარმოდგენილი, მაგრამ ეგ, მისივე სიტყვები რომ გაეიმეოროთ, ნინეო-არაფერია); 45 თავ-შიშველა] „სირცხვილიანი რითომ“ G

478. ომისაი და ცდისაი (C)

ნაამბობია ში ში ა ქერა ულის მიერ 14. 7. 1925. მათქვამად აქ ჭუგარა არის გამოყვანილი, ვითომც ფშაველი, მაგრამ ლექსის შინაარსის მიხედვით ავტორი ხევსური უნდა იყოს.

479. ნიკალას დაცემა

გადმობეჭდილია საქართველოდან (1918, № 21). ქვეშ აწერია ღვთისო გიგაური, რომელიც ავტორად უნდა ვიგულისხმოთ – 1 სრუ ყველა ხვირსაო] სულ ყველა ჰვირობსო (საქ.); 4 ცოლ ნაწოლი გყავ სხვისაო] მხედველობაში აქვს რასპუტინის ამბები; 10 შრობა] ბეჭდვის შეტომბა, უნდა: შრომა (რაიცა ოგიეა, რაც შრობა); 13 მარკე] მარხი (საქ).

480. თვითმპყრობელობის დამკობა

ესეც საქართველოდანაა გადმობეჭდილი (1918, № 17). ქვეშ აწერია: მგელა ლიქოკელი, რომელიც ალბათ ავტორი უნდა იყოს.

481. ქოში წითელი (Sh)

ჩამაწერინა ფიცხელა აღუღაურმა 27. 9. 1913 ს. არტანუში. მან ამას უშუალოდ მოაბა შემდგომი ნომრის ლექსი (№ 482). ეს არის სტუმრის მიერ მასპინძლისადმი მიმართული სიტყვები.

ცის ვარიანტში: 2 ქოში წითელი გაცვითა] ქოში გაცვითა წითელი C. [გ ვარ. ნ. კიდევ დამატებაში. რედ.]

ბ.

გაველ სმითა და ჭამითა, ვერ გაველ სიყვარულითა.
მასპინძელ კარგა გვექცევა გულითა მზიარულითა,
წითელი ქოში გაცვითა სუფრაზე სიარულითა.

(Rფ 60).

482. ძლივ სამ

დაბეჭდილია კომბინაციურის წესით: პირველი ორი მუხლი აღებულია შიდან, ხოლო მესამე – ჩემი ჩანაწერიდან (Sh), რომელიც ფიცხელა აღუდაურისაგან მაქეს გაგონილი 27. 9. 1913 არტანში. ფიცხელას ნაამბობში მეორე მუხლიც არის, მაგრამ: იჯდა] ეჯდა Sh; დაეწვინაო] დეეწვინაო Sh.

როგორც O, ისე ფიცხელა, ამასა და წინა ნომრის ლექსს ერთად თვლის. მე თუ გაუთიშე, იმიტომ, რომ სხვა-და-სხვა რითმა მოუღის.

რიგი მუხლებისა ასეთია: ა) ფიცხელასაგან გაგონილი Shის მიერ: № 481, 1-2, № 482, 3-4; ბ) Oის მიხედვით: № 482, 1-2, № 481, 1-2.

ამას Oის რვეულში მოსდევს სხვა ლექსი, მასპინძლისადმივე მიმართული, რომელიც მე სატრფიალოებში გადავიტანე (№ 425).

ბ.

შავედით მასპინძლისასა, კმა სადამ მაედინაო.
ასი სკამს ეჯდა სტუმარი, ორასი დაეწვინაო.
თაოდ იჯდა და ფექს უცემს, ლომს არა მეეწვინაო.

(C).

ბ.

კმა მოღის მასპინძლობისა, ეხლა შავედით შინაო.
ასი სკამს ეჯდა სტუმარი, ორასი დაეწვინაო.
მასპინძელ სკამს ზის, ფექს უცემს, ლომს არა მეეწვინაო.

(R 57).

დ.

კმა მოღის მასპინძლობისა, შავედით სადამ შინაო.
ასი სკამს ეჯდა სტუმარი, ორასი დაეწვინაო.
იჯდა, უკრავდა ფანდურსა, ლმერთმანი მაეწვინაო.

(Rფ 60).

483. წინად და ეხლა (O)

Oის მიხედვით, სტუმრის მიერ მასპინძლისადმი მიმართული სიტყვებია, მაგრამ ამისი მთიულური ვარიანტი ქერივს მიეწერება.

ბ.

ჯერ აქ მასვლა არ მინდოდა, აქ მაძონა ბალახისა,
ახლა წასვლა აღარ მინდა, დაყრა ტურფა ქალ-ვაჟისა.

(Sh მთ).

ჩამაწერინეს ბენიანში 5. 7. 1913. დასძინეს: ეს სიტყვები „ქერივს უთქომ“ო.

484. რა იყოს და რა არა (Sh)

მიამბო ფიცხელა აღუღაურმა 27. 9. 1913. არტანში. მისი გადმოცემით, ეს სიტყვები პასუხია მასპინძლისა სტუმრის მიმართვაზე (№№ 481, 482).

ბ.

მასვლამც თქვა კარგის სტუმრისა! წავიდეს, წესიმც არ იყოს!
ღგამცა ქნა შავის ლუდისა! გათავდეს, წესიმც არ იყოს!
სიკვდილი ჩემ-კვალაისა! სიცოცხლე თქვენ-ფერაისა!

(Rფ 60).

485. რაში რას (Sh)

ჩაეწერე უკან-აკოელის ბაბო ჯინჭარაული საგან ფუძის ანგელოზში ხატობის დროს 17. 8. 1913.

ბ.

სასტუმრიელოდ მზეს ღვეზარ, სამასპინძლოდა მთვარესა.
კაცისა საპირდაპიროდ ქვას ღვეზარ მგორიალესა.
ამლათა გასაგერშავად მგელს ღვეზარ მარიალესა.

(V).

ღაბეჭდილია ივერიაში 1889, №9 („სცენა მთაში. ხევესურების ცხოვრებიდამ“). — 1,2,3 ღვეზარ] ღვეზარ V. Rის ხევესურული ვარიანტი (R 56) ძალიან მისდევს ამას.

განსხვავება: 1 სამასპინძლოდა] სამასპინძლოდ R; 2 მგორიალესა] მგორვიალესა R. [6. კოდევ დამატებაში. რედ.]

486. სასტუმროდ და სამასპინძლოდ (Sh)

მიამბო ბ ა ბ ო ჯ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ მ ა ფუძის ანგელოზში ხატობის დროს 17. 8. 1913.

ბ.

თქვენ ჩვენად რამ ჩამოგყარნათ, არწივნო ქუშნო მთისანო?
სასტუმროდ საყვარელნი ხართ, მასპინძლა შუქნო მზისანო.

(O).

487. სპილონი (Sh)

მიამბო ა ბ ა გ ი გ ა უ რ მ ა კაკმატში 22. 8. 1913. —

Rის ერთ ლექსს მსგავსი დასაწყისი აქვს, მაგრამ იგი უფრო 495 ნომრის ვარიანტია.

ბ.

ბ ა ბ ო ჯ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ მ ა (ფუძის ანგელოზში, 17. 8. 1913) არია რითმები:
„დასხდებით, ანგელოზს ღვეიხართ (შემდეგ გადაასწორა: ანგელოზნი ხართ), შუქ
დაგადგებათ მზისაო; აზღვებით, ალვის ხეს ღვეიხართ, თვალნი არ ამაგწელებიანო“
(მესამე მუხლი არ უთქვამს).

488. ზერდაგი (O)

ბ.

თქვენ მახლოთ, კანო სტუმარნო, გაიპარებით დილითა,
ქელს გამაიბომთ ზერდაგსა ნაკვებსა თივა-ქერითა.

(G).

ბ.

მახველით, კარგნო სტუმარნო, გაიპარებით დილითა,
თან გაიყოლებთ ზერდაგსა, ნაკვებსა თივა-ქერითა.

(R 56).

489. უსტუმროდ (G 247)

ბესარიონის ორს ჩანაწერში ეს და მომდევნო ნომერი ერთადაა მოქცეული. მაგრამ რითმების სხვადასხვაობის გამო მე გაეყავ, მით უმეტეს, რომ R ს მარტო ორი მუხლი მოეპოვება. Cის მეორე ჩანაწერში მ. 1² ასე იკითხება: „არც-რა უსტუმროდ ლხინია.“

ბ.

სტუმარო, სტუმრისა მზემა, უსტუმროდ არა ლხინია.
მზეიმც ნუ მოვა უსტუმროდ! მოვიდეს, არცა თბილია.

(R 57).

გ.

სტუმრებო, სტუმრების მზესა, არც-რა უსტუმროდ ლხინია.
მზეიმც ნუ მოვას უსტუმროდ! მოვიდას, ნუმცა დათბება!
პური და ღვინო უსტუმროდ ვის უაშს, ნუმც ეამება!

(C).

აქ მეორე მუხლის რითმა იცვლება და მესამისაზე გადადის, რის გამოც გარეგნული დაკავშირებაც ხერხდება მათ შორის.

490. ბარაქა (G 247)

როგორც ზემოთაც აღვნიშნე, Cის ორსავე ჩანაწერში ეს ორი მუხლი უშუალო გაგრძელებაა 489 ნომრისა. Cის მეორე ჩანაწერში მცირეოდენი განსხვავებაა აქაც: პირველი მუხლი ასე იკითხება: „უსტუმროდ პური, სასმელი ვის უაშს, ნუმც იამება!“ ამისი პირველი მუხლი წინა ნომრის Cის ვარიანტშიც მოიპოვება (N^o 489 გ, 3).

491. ქორთა სადილი (R 55)

492. შაჩვევა (R 55)

1 შაჩვეულია] პირველი ასო ხელნაწერში ისეა გამოყვანილი, რომ შეიძლება იგი შინადაც წაეიკითხოთ (შაჩვეულია) და ღონადაც (ღაჩვეულია). პირველად თითქო შინი დაუწერია და შემდეგ ღონად გადაუსწორებიაო.

493. ძველი ტალავარი (R 55)

3 ამპარტივნობა] ამპარტავნობა R.

494. ორსავე (G 132)

ბ.

ბელიანაიმც აღუღებს სვესა და ქერსა, — ორსავე!
ბელიანაიმც უძახებს ხატსა და ღმერთსა, — ორსავე!
ბელიანაიმც შაისმევს მტერსა-ღ' მოკეთეს, — ორსავე!

(R 57).

495. მძიმენი (Sh)

გაგონილი მატეს ახალა არაბული ისაგან ჯუთაში 3. 8. 1913. — 2 კორც გოგათ ვაც-ვერძისაო] ე. ი. ვაც-ვერძის ზორცი გაქეთ დაგებულო (სუფრაზე საჭმელად).

ბ.

დასხდებით, ანგელოზთ ღვეზართ, შუქ დაგადგებისთ მზისაო.
ქალნი შინ ვისხედსთ ღამაზნი, მთხოვარი მოვიდისაო.
თასს იქისაკე წაიღებთ, სადაც ბეჩაეი ზისაო.
ბიჯიც იქისაკ დაიძვრის, სადაც იძახან: „ჭირსაო.“

(R 98).

1 ღვეზართ] ჰვეზართ R; 4 ბიჯიც] ბიჭიც R. — ამაში შემავალი პირველი მუხლი რამოდენადმე 487 ნომრის დასაწყისს მოგვაგონებს, განსაკუთრებით ბაბო ვინჭარა-ული ისაგან მომდინარისას.

496. შენ და ჩვენ (R 56)

R შენიშნავს: ამ სიტყვებით „სტუმარს შეაქცევენ“ო.

497. გძელი ღზინი (G 251)

Cს წყაროს მიხედვით, ამ სიტყვებს „სტუმარი შაღმღერნებს სოფელელებს.“ Cის ვარიანტში მეორე მუხლი ასე იწყება: „რა უღარობა მავიდას.“

ბ.

თქვენთანა მწადის, არწინო, სმა-ჭამა, ღზინი გძელიო.
თუ უღარობა დაგვიდგას, დამაფარნიდით თბენიო.

(R 57).

2 დამაფარნილით თბენიო] დამაფარნოლით თუენიო R.

498. ლუდოვეთი (G 247)

ამგვარადვე იკითხება Gის მეორე ჩანაწერში. მხოლოდ: 1 გამაველ] გამავე.

499. ჭაჭანაისძე (G 247)

ბ.

ღვინოვ შე ჭაჭანაურო, უცეცხლოდ წამაძლუღები.
ჭკვიან კაცთანა ბრძენი ხარ, რეგვენთან წამაძსუღლები.

(Rფ 63).

წარმოშობით ეს ლექსი ალბათ ღვინის ქვეყნიდან არის, მაგ. კახეთიდან.

500. პურ-ძვირი (R 55)

501. ძე (R 56)

502. დიასახლისი (G 240)

503. პურადი და მამაცი (R 57)

504. პურადობა და მამაცობა (O)

505. მოყმეთ (Sh)

არ აღმინიშნავს, სამწუხაროდ, თუ სად და ვისგან მაქვს გაგონილი. რამდენადაც კი მასსოვს, ჯუთაში უნდა ჩამეწეროს.

506. ჯიქვს (B)

ბ.

ჯიქო, გუნება-მძიმეო, რამ გადმოგაგლო კლდიღვანა?
— ისარმა კილო-წითელმა. შშვილდმა ჩემისავე რქისამა,
გორზეით გორზე ნასროლმა პირ-შიშველაის ყმისამა.

(Rფ 90).

1 გადმოგაგლო] გამოგალო R

ბ.

ჯიკო გუნება-მძიმეო, რამ გადმოგაგლო კლდიღანა?
— ისარმა კილო-წითულმა, მშვილდმა გათლილმა რქისამა,
გორის პირს შამორბენამა შავ-გვრემალის ყმისამა.

(Rფ 90).

ღ.

ჯიკო გუნება-მძიმეო, კლდიღან რამ გამოგიყვანა?
— ისარმა კილო-წითულმა, მშვილდმა გათლილმა რქისამა,
გორის პირშიით ნასროლმა შავ-გვრემალის ყმისამა.

(ივ. ბ — შვილი, ივერია, 1899, №55).

ქ.

ჯიკო გუნება-მძიმეო, რამ გადმოგაგლო კლდიღამა?
— კილო-წითულმა ისარმა და მშვილდმა ჩემის რქისამა.

(X, ივერია, 1887 №174=ც. წ. 143).

ჰ.

ჯიკო გუნება-მძიმეო, კლდიღამ რამ გამოგიყვანა?
— შვილდმანა ჩემის რქისამა,
უწყალოდ შემოსროლამა პირ-ტიტველა ვაჟისამა.
ვაჟი ბევრია ავ-გული გუნება-გაჯავრებული.

(Go).

ჯ.

გაიძარ, ჯიკო, გაიძარ, გაიძარ, გაგიტუნდება.
თვალს დაგკრავს მონადირეი, თოფს დაგკრავს, დაგიშავდება.
ჯიკო გუნება-მძიმეო, კლდიღან რამ გამოგიყვანა?
— მოყმება მონადირემა სათავე შამამიარა,
ისარმა ყია-წითულმა ილლიას გამამიარა.

(Rთ 256).

პირველი ორი მუხლი შემდგომი ნომრის ვარიანტია (შღრ. №507).

ბ.

ჯიკო საჯიკვეს გორზედა, გასწიე, თორე თენდება.
მზას გიზის მენადირეი, გულ-ჯავრიანი დაგზვდება.

(G 251).

შღრ. კიდეე № 506 ზ.

508. ლაბერდის ეზი (G 195)

ეს და ორი მომდევნო ნომერი (№№ 509, 510) ბესარიონს შეტანილი აქვს თავის მოთხრობაში ამ სათაურით: „მენადირენი მინდია, აღუა და ივანე ბალახურისძე-ნი“ (გვ. 192-197). გარკვევით არ აქვს ეს აღნიშნული, თუ ვისია ეს ლექსი. თითქო ძველი უნდა იყოს უფრო. — აქ რომ მეორე მუხლის ბოლოს „მატიკენო“ იკითხება, ამ ფორმის შესახებ ნ. შნშ. შემდეგ ნომერთან.

509. საკარის მთა (G 193)

ესეც იმავე მოთხრობიდან არის ამოღებული, როგორც № 508. მის მოწმობით, ეს ყოფილა „ძველი სიმღერე.“ — აქ რომ ბოლოში მუხლებს (პირველის გარდა) ონები უსხედს (დაგგალო, დაგფარო, ჩავთარო, აგრეთვე: მატიკენო წინა ნომრიდან) წინად მე სხვათა სიტყვის ონებად მიმანდა (წელიწდეული, I-II, 193, შნშ.: დაგგალო=დაგგალო, ჩავთარო=ჩავთარაო და მისთ., მაგრამ ასეთი ფორმები სხვაგანაც გვხვდება (მაგ. 258 ბ) და უფრო მარტივი (თანაც მგონია უფრო სწორიც) იქნება, რომ აქ ონი ანის ბადლად მივიჩნიოთ: დაგგალო=დაგგალა, ჩავთარო=ჩავთარა და მისთ.

510. მენადირის თოფი (G 194)

ესეც იმავე მოთხრობიდან არის ამოღებული, საიდანაც ორი წინა ნომერი (№№ 508, 509). ამ სიტყვებს ბესარიონი აღუა ბალახურისძეს აღაპარაკებს თავის თოფზე, მაგრამ არა ჩანს, სადაურია იგი: ძველი, აღუასი, თუ ბესარიონისა.

511. კირიმოსანს (R 195)

[ნ. კიდეე დამატებაში. რედ.]

512. თივის თრაზე (Sh)

ჩამაწერინა გიგია ოდინას ძე ცისკარაულმა 4. 8. 1913 ს. ახიელში. — ვარიანტები იმავე მოაბისა: 2 ჩაგხედავ, ჩემო სოფელო, ადგილო ნაპირისაო]

ჩაგხედავ, ჩემო ამღაო, ნაპირის ადგილისსაო; 4 იწროო] იწრო ხარ; 23 ძველები
წინანი; 27 დაიტეკს] დაიტერს.

ბ.

(თავათ ვთრი ოროლობითა, დასვენებაიც მინდაო).
ჩაგხედავ, ჩემო ამღაო, ნაპირის ადგილისსაო.
მირგვალთ ნახვევო მთა-წვერო, რო გალაგანო ქვისაო.
ციხევე შუაში ნადგომო, სამუქაროო მტრისაო,
5 წინ-წინ ხარ მოგონებული კუნჩაღეთ აბასაო.
იწროო ჩვენო ჭალაო...

(Sh).

ეს ნაწყვეტი ჩავიწერე ტფილისში 1930 წ. (რამდენადაც მახსოვს, ხ ვ თ ი ს ო
ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი ს ა გ ა ნ).

ბ.

თავათ ვთრი ოროლობითა, დასვენებაიც მინდაო.
ჩაგხედავ, ჩემო სოფელო, ადგილო ნაპირისაო,
მირგულივ ნახვევო მთა-წვერო, რო გალაგანო ქვისაო.
იწროო ჩვენო ჭალაო, ძლივ ჩასავალო წყლისაო,
5 ბევრ მენადირე გინახავ მაეალი ცის პირ-ძერისაო,
თოფიან-ღურბინიანი, მაგარ საბანდი ჯღნისაო.

—

ვაჭი ნადირთკე წასული ბევრა შაღვარდა მზირსაო,
ბევრა მართვეს ჯაღაფთა, გულს ნატყვიარი სჭირსაო.
ბევრამ გაწირა კირიმი, შვილს დაშა, შვილის შვილსაო.
10 ბევრამ მაილა სახელი, ჯარზე გულ-ღიდად ზისაო.
ნუ გაუცუდებთ სახელსა, კოში მისციდით რელისაო!

—

საწყალო მენადირეო, დამჩალო წვერის ძირსაო,
ესო ნათხარო ტოტითა, სალოგინეო ქვიშაო,
ჯიკვების მუქარაზუდა ღამეს ათუნებ გრილსაო.
15 პურ რო გშიოდას, ვერა სჭამ, — შიგ თვირთვილ გამადისაო.
გიხარის გათუნებაი, კარ რო გაელას ცისაო.
დილა გამასულს გნახევდა შავი ყორანი კლდისაო.
მავა, დაგიწყებს ყუფასა, აგივლ-ჩაგივილის მქრითაო,
„აგება-ღ გამალაღებდი, გამაძლა სისხლის სმითაო!“

—

- 20 ჩვენ ხომ გვეგობდიან წინანი აწინდლებსა ცდითაო:
ამაგრებდიან ადგილსა, თოფით იჭერდეს, კმლითაო;
ულაშებს იბრუნებდიან, ქაეში სხდებოდეს ცვლითაო;
ბაკნებით ტყვია-წამალი, ძლებოდეს თოფის კლითაო;
მაწყულას ვჯვარ, ვჯვარის-კარი ნაზიდის ვიქვის რქითაო.
- 25 ყველაის სახელ შწებოდა, მაგრა დაიჭერს მიწაო.

—

ლექსო, არ დაიკარგები ნათქვამო ომისაო.

(B).

დ.

- თივით ვთრი ოროლობითა, დასვენებაიც მინდაო.
ჩამაგიხედავ, აძაო, ადგილო ნაპირისაო,
მირგვალთ ნახვეო მთა-წვერო, სრუ გალაყანო ქვისაო,
სისხლით ნასვარო მიჯნაო, ჩვენი და ლილვლებიისაო.
- 5 ჭალაე შე ქვე-ქუვიანო, ძლივ ჩასადენო წყლისაო.
ბევრა გინახე ვაჟაი, მაღლა არწივის ჩდილთაო,
თოფიან-ღურბინდინი, მაგრის საბანდის ვღნითაო.
კლდეო შე შიბ-შიბიანო, სადენო შუნ-ჯიქვისაო.
ბევრა ვაყკაცა შემახვდა მენადირეი მზირსაო.
- 10 ბევრა მართვეს დედათა, გულზე ნატყვივრებ სჭირსაო.
ბევრ მოვა ნასახელარი, ვარზე გულ-დიდად ზისაო.

—

მელექსეს ნურას იკითხავთ, — ნათქვამი მერცხალისაო.

(T, სამ შუკა ვინ ჭარა ულის აგან გავონილი)

8 შიბ-შიბიანო] შეფშეფიანო T.

მ.

- თივით ვთრი ოროლობითა, დასვენებაიც მინდაო.
ჩახხედავ, ჩემო სოფელო, ადგილო ნაპირისაო,
მირგვლივ ნახვეო მთა-წვერო, რო გალაყანო ქვისაო.
იწრო ხარ, ჩვენო ჭალაო, ძლი(ვ) ჩასავალო წყლისაო.
- 5 ბევრ მენადირე გინახე მავალი ცის პირ-მერისაო,
თოფიან-ღვირბინიანი, მაგარ საბანდი ვღნისაო.
ნუ გაუცუდებთ, ვაყებო! კოში მისციდით რელისაო!

- ნადირთ გუმანზე წასული ბევრ ვაჟ შემოხვდა მზირთაო,
 ბევრამ მოილა სახელი, ჯარზე გულ-დიდა ზისაო.
 10 ბევრიც მართვეს დედასა, გულ(ს) ნატყვიარი სჭირსაო.
 ბევრამ ქნა ისით სახელი, შვილს გახყვა, შვილიშვილსაო.
 ბევრამ გააბა წრიაპი საქარის მალლის ჩდილსაო.

(Gs).

8 ბევრ ვაჟ შემოხვდა] ბევრი ვაჟი შემხვდა Gs; 10 მართვეს] მართვეს Gs; 12 გააბა] გაბა Gs.

3.

- თივათ ვთრი ოროლობითა, დასვენებაიც მინდაო.
 ჩაგხედავ, ჩვენო ამაო, ადგილო ნაპირისაო.
 ამაშივ ბერო ციხეო, ნაგებო ბასრის ქვისაო,
 პირველზედ მოგონებულო ქუჩალეთ აბისაო.
 5 ძნელი ხარ სანახველადა, — ფიქრის მძლეველ ხარ მტრისაო.
 გიგრგვალთ ნავლევეო მთა-წვერო, რო გალაფანო ქვისაო.
 ვიწრო ხარ, ჩვენო ჭალო, ძლივ ჩასავალო წყლისაო.
 სისხლით მოსვრილო საზღვარო ჩვენო და ქისტებისაო.
 ჯიკვების გადაცვეთილო შიბო და შიბო კლდისაო.
-
- 10 მეწყალი. მენადირეო, დამრჩალო წვერის ძირსაო, —
 ჯიკვების მამლოდინეი ღამეთ ათენებ გრილსაო,
 პურს ვერ სჭამ სიყინულითა, — შივ თვირთვილ გამოდისაო.
 დილას გამახვალ კარზედა, გნახავს ყვარანი ცისაო,
 მალლად დაგიწყებს ყფასა, აგიველ-ჩაგიველის მქრითაო.
 15 „ნეტარ, ვერ გამალაღებავ, რო გაეძღე სისხლის სმითაო?“
 ბევრ მენადირე უნახავს დილას ცინ-პირის ძერისაო,
 თოფიან-დურბინდიანი, მაგრით საბანდით, ჯღნითაო.
 ბევრ-ბევრ(მ) გახკიდა წრიაპი არწივის მალლის ჩრდილსაო.
 წასული სანადიროდა ბევრი შადვარდა მზირსაო.
 20 ბევრ-ბევრ(მ) მაიდა სახელი, ჯარზე გულ-დიდად ზისაო.
 ბევრ-ბევრ მართვეს დედასა, გულზე წყლულები სჭირსაო.
 ნუ დაივიწყებთ, სწორებო, დალოცეთ კოში ზისაო!

—
 ეხლანდელებსა ახლებსა ბებრებ აჯობებს ცდითაო.
 მტერ სოფლად არ მაუშვიან, ქავში სხდებოდეს ცვლითაო,

- 25 ბაქნებით ედგა წამალი, ძღუბოდეს თოფის კლითაო.
ავსებდეს ჯვარს, საჯვარესა მოზრდილის ჯიკვის რქითაო.

—
მგონებ, არ დაიკარგები, სიტყვაო შერცხალისაო!

ჩაუწერია ა. გომია შვილს რომაში ივანე წიკლაურის ნაამბობის მიხედვით 1930 წელს, აგვისტოში. — 26 ავსებდეს ჯვარს, საჯვარესა] ავსებდენ ჯვარსა-ჯვარესა (გომ.).

ზ.

თივას ვთრი ოროლობითა, დასვენებაიც მინდაო.
ჩაგხედავ, ჩემო სოფელო, ადგილო ნაპირისაო,
შემოხვეულო მთა-წვერო, რო გალაგანო ქვისაო.
ჯიკეების გადანავალო შიბო და შიბო კლდისაო.

- 5 ბევრ მონადირე გავიდა დილა ცის-პირის ძვრისაო,
თოფიან-ღურბინდიანი, მავრის საბანდის ჯღნითაო,
ბევრამ გააბა წრიაპი მალღის ჭიუხის პირსაო.
ბეჩაო მონადირეო, დამრჩალო წვერის ძირსაო!
ტოტით ნათხარო ლოგინო, სათავითურო ქვისაო.
- 10 ნადირის გადაყოლილი ბევრი შა(ღ)ვარდა მზირსაო;
ბევრმა სახელი მაიღო, ჯარზე გულ-დიდად ზისაო;
ბევრი მართვეს დედასა, გულს ნათოფარი სჭირდაო.

- უწინდელეები გვეჯობდიან ეხლანდელეებსა ცლითაო:
ძალით იჭერდეს მამულსა თოფითა, შემდეგ კმლითაო;
- 15 შიგ დარჩეულეებ ვაუები ქაეში სხდებოდეს ცკლითაო;
ბაქნებით ედგის წამალი, ძღუბოდეს თოფის კლითაო.
სისხლით მორწყულო სამზღვარო ჩვენო და ქისტებისაო!

(Msh).

513. სათივოდ (C)

ეს ეს ლექსი ჩაუწერია ნანაის ძე ჯინჭარაული საგან, შატილიონისა, რომელიც ამის მბობის დროს (1925 წ.) 15 წლისა ყოფილა. ლექსის მათქვამი კი სამუკა ნიას ძე ჯინჭარაული არისო.

როგორც ჩანს, ნანაის ძეს უჭირდა „რ“ ბგერის გამოთქმა და მის ნაცვლად Cს ზოგჯერ „ლ“ ესმოდა. ალბათ ამით აიხსნება, რომ: 4 ძირში] ძიღში C; 5 ძირსაო]

ძილსა C. ჩემ შესწორებათ მხარს უჭერს მსგავსი ადგილები ამავე წიგნში: „ზე ფიცხი, ძირში ყინული“ (513, 4) შღრ. „ზედ ფიცხი, ფეკში ყინული“ (280, 4); „არ გამაიგან ძირსაო“ (513, 5) შღრ. „ყველამ გამიგა ძირშია“ (631, 1).

ეს ლექსი მშვენიერია როგორც ფორმით, ისე შინაარსით. მაგრამ ამას გარდა იგი საყურადღებოა, როგორც ნიმუში ერთი მათქვამის გაუღენისა მეორის შემოქმედებაზე. მე გგონია, რომ სამუკას ეს ლექსი ნათქვამი უნდა ჰქონდეს ომას ლექსის გაუღენით, რომელიც წინა ნომრად დაიბეჭდა (№ 512, თივის თრაზე).

ბ.

გორგი ჯინჭარაულმა ეგვე ლექსი რომ მიამბო (ტფილისში 1. 3. 1931), დაუმატა ორი მუხლი, ერთი მესამისა და მეორე მეშვიდის შემდეგ:

3ხ ჩამოუყენენ თავ-ჩალმა, ხათაბალაი, ჭირსაო.

7ხ კირით ნალესნო ქვიტკირნო, გვერდზე ქარაფო კლდისაო.

სხვა წერილ-წერილი განსხვავებანი: 3 პირაო] ჩილიაო; 7 შამილისაო] ქისტები-საო; 8 შატილსა] შატილა; 9 თუ წახვა] თუ წახვალ; 10 ტყავ-კორცი] ტყავ-კორციით; მმ. 11 და 12 გადასვა ერთი მეორის ადგილას; 14 მატოლებულო] მატოლებულსა; 15 საგათუნებო] საგათუნებოდ; 15 თავარს] მთავარს; 19 ხარი ვითაის] ხარ ვითაისა.

514. ჯიკვზე ნადირობა (B)

ეს მეორე ლექსია, რომ ვეფხის-ტყაოსნური ოთხეულით იყოს შედგენილი (შღრ. № 459). მელექსედ მოხსენებული გრანჯა ომში დაღუპულა (477, 33). იგი გვარად წიკლაური იყო.

515. მემჯობიენი (B)

ლექსი აბიკა წიკლაურისა არისო. — 9 ანატრეს] ანატრებს B.

516. მენადირის მარცხი (Sh)

ჩამაწერიენეს ბაცალიგოში 24.7.1911. — მოამბე მუხლებს ბოლოში ხშირად ონებს უმატებდა: შრებისაო, სქლებისაო და მისთ. — 3 თავსა ზის] შეიძლება ასეც გავიგოთ: თავს აზის.

მონადირის მარცხს ეხება აგრეთვე შემდეგი ლექსები: მგერულათ ფუნჩია (№ 553) და სინდიურისძე (№ 671).

ბ.

- ზენ ბაცალიგოს თოლსა თოვს, ქვენ ბაცალიგოს შრებოდა;
ახულეთაურთ ციხესა კუთხი მარჯვენა სქდებოდა;
თავსა ზის შავი ყორანი, გველი ლიბუში ძვრებოდა;
კვირიკა კურდღელაშვილი გულს-უნადინოდ კვდებოდა;
- 5 გაოკრებული ლურჯაი სამბურში არა დგებოდა;
დედას იმ კვირიკაისას მზეი გულს აღარ სთბებოდა;
ვგრევ ცოლს კვირიკაისას თვალებს ცრემლ აღარ სხლტებოდა.

- ჯიკვებს ნუ ჩასდევ, კვირიკავ, ჯიკვებს ფადუხის კლდისასა!
ჩაგივლენ ტანიაშია, ჯარს ჩაგიწყობენ რქისასა,
- 10 თანაც შენ ჩაგიყოლებენ, ჩხერს ჩაგაჭრიან კლდისასა,
გაგიმალლებენ ეშმაკსა, ნაქარს დაგცემენ მთისასა.
თოფსაც ტანიას ნუ სწირავ, მკოცელსა ჯიკვებისასა!
ჯერ ქისტებს გაუხარდება, მერე ჯიკვთ ფადუხ-კლდისასა.
გაიგებს მითხოველები, ბეგარს დაგვერიან ცხვრისასა.

- 15 თოფო, მაგიკვლა პატრონი, წვერის ვინ დაგსვა ლიშანი?
ვგრევა შენა, ტყვიאו, ვაუმა ვინ ჩაგკრა ისარი?

(U).

სმა დაბეჭდა ივერიაში (1891, № 90). მისთვის უაზნია ალუდა ზვიადაურს.

ბ.

- ზენ ბაცალიგოს თოვლი თოვს, ქვენ ბაცალიგოს შრებო.
კვირიკაისა ციხესა მარჯვენა გვერდი სქდებო.
თავს დაჰყეფს შავი ყორანი, ლიბუში გველი ძვრებო.
კვირიკა კურდღელაისა გულს-უნადინოდ კვდებო.
- 5 დედა უტირის ბეჩავსა, გულზე აღარა სთბებო.
დაი კი კვირიკაისა ფარაგით იხოშებო.
ცოლი კი კვირიკაისი სანთლებურადა დნებო.
ლურჯაი კვირიკაისი სამბურჩი აღარ დგებო.
მამა კი კვირიკაისი თმა-წვერით იხოშებო.
- 10 ფრანგული კვირიკაისი ქარქაშში აღარ დგებო.

(R 87)

დ.

- ჯიკეთა ნუ ჩაბდევე. კვირიკავ. კურდღელაშვილო, კლდისასა.
გავიმაღლებენ ეშმაკსა, ნაქარს დაგცემენ ცისასა.
თანაც შენ ჩაგიყოლებენ, ჯარს შაგიყრიან რქისასა.
თოფსა ნუ სწირავ, კვირიკავ. მწყენელსა ბევრის მტრისასა!
5 ჯერ მტერთა გაუხარდება, მემრ ჯიკეთა ბანდუნისასა.
გაიგებს მითხოელები, ბეგარს დაგვდებენ ცხერისასა.

(Rფ 89).

ჩაუწერია ბეწინა ცაბაურისაგან 1883 წ. – 1 კურდღელაშვილო] კურ-
დღელაშვილის R.

ე.

ზენ ბაცალიგოს თოვლი თოვს, ქვენ ბაცალიგოს შრებაო.
თინიბექე. შენსა ციხესა მარჯვენა კუთხე ჰსქდებაო.
თავს შემომჯდარა ყორანი, ლიბოში გველი ძერებაო.
შიგა წევს ალუდაური, კვდება, აღარა რჩებაო.
გვერდს უზის ცოლი ლამაზი, სანთულივითა დნებაო.

(X, ივერია, 1887, № 188=ც. წ. 156).

ვ.

- ზენ ბაცალიგოს თოვლი თოვს, ქვენ ბაცალიგოს შრებაო.
თინიბექაის ციხესა მარჯვენა გვერდი სქდებაო.
თავს აზის შავი ყორანი, ლიბოში გველი ძერებაო.
შიგა წევს თინიბექაი, კვდება, აღარა რჩებაო.
5 გვერდთ უწევს ცოლი თავისი, ჰინჭარებულა დნებაო.
კარძე უბავის ლურჯაი, ხვალი ტოტებზე დგებაო.

(Tფ).

3 ლიბოში გველი] ლობოში გველო T.

ზ.

ზე ბაცალიგოს თოვლი თოვს, ქვე ბაცალიგოს შრებაო.
თინიბეგაის ციხესა მარჯვენა გვერდი სკდებაო.
თავს დაჰყეფს შავი ყორანი, ლიბოში გველი ძერებაო.
შიგა წევს თინიბეგაი, მურდლად არც ისა კვდებაო.

(Q).

517. მენადირის ზიფართი (Sh)

ჩამაწერინეს ოდინათ გიგიამა და გიორგი ოჩიაურმა 4. 8. 1913. ახიელაში. — ვარიანტები: 1 ქისტებისაო] ღიღღღღღღღღღღ; 4 შავ-წყალი ადგილის სახელია; 5 სანადირო სხვისაო] ქისტების სანადიროა, მაგრამ არხოტიენებიც დადიან; 9 არ დაგიფერესთ სხვისაო] სხვებზე უფრო კარგად გინადირესო; 20 დიღო ღამეო სთელისაო] დეკემბერში მომხდარა; 22 მაგივას ცისპირ-ძერისადა, სოფელო ქისტებისაო] დამჭრელი ქისტებში მისულა და შველა უთხოვია: ამხანაგი დამეჭრა, მომეშველენითო.

ეს ლექსი გამოუთქვამს გრანჯა (ანუ ჩუნთია) წიკლაურს.

ბ.

- ტილო ჩენო ტერლო, მიჯნაო ქისტებისაო.
სრუ მუდამ ძალით ნაჭერო წინიდგეს ვაყებისაო!
შიბ-წყერო გასახედაო, მაგლილო ჯიკებისაო!
პირ-იქითისკე შავ-წყალო, ფერი გქე სიმაგრისაო.
5 გარმადის არხოტიენები, სანადირო ას სხვისაო.
აღუამა და გიგიამ ფერი დაიდგეს შგლისაო,
შამაგიარეს, შავ-წყალო, ბოლოვო გორებისაო,
მკართა სხავ ბერდენკაები, ჯარ უწყევავ გიღღღებისაო,
მაგაწიოქნესთ, ოკერნო, არ დაგიფერესთ სხვისაო.
10 მაუეამც ჩემსა დამწყევსა ზიფართი ეშმაკისაო!
ამხანაგს თოფი მაუხვდა, დრო დადგა ცოდო-ბრლისაო.
ოდინათასა გიგიას გული ზღებთყო ქვისაო:
ისრევ თოფედა ნადირთა, ვითამ სრუ არა სჭირსაო.
მარტიათი აღუა დასანანებ ას მტრისაო,
15 არ მალგონდების ნადირი, გულისაგან ავდებს გმინსაო.
მამრჩალან რაკელს აღაგსა, შავ-წყალ იმ წვერის ძირსაო,
ზედაც ესწრობის ღამეი, ხანია ბნელობისაო.
აუერ ითრევენ ერთუცსა, რო დედა თავის შვილსაო,
დამდგარან ველი-ველადა. კერც ეხ მაკელეს კლდისაო,
20 თავს ადგას ცული სიცივე, თვე დგების იანერისაო.
ამაკედ, ნულარ ღვეიანობ, სისკარო თენებისაო!
გათენებს პერანგიანი, დიღო ღამეო სთელისაო.
გათენებისად მაგივა, სოფელო ქისტებისაო.

—

ამავის მალექსებელი საბოსლოს კარზე ზისაო.

(G 198).

ბესარიონის თანახმად, 24. 12. 1909. სანადიროდ წასულან ხუთნი: ადუა გაბური, გიგია ცისკარაული, ჯღუნა წიკლაური, წერილა წიკლაური და გიგოლ ჯაბუშანური. სანადიროში რო ჩასულან, წილი უყრიათ: შავ-წყლის წვერების სანადირო პრგებია ადუასა და გიგიას, ტერლის წვერისა კი – ჯღუნას, წერილასა და გიგოლს. წასულან თვეთავის წილ-ხდომილ ადგილებში. ტერლის წვერელთ მალე მოეკლათ ნადირი და ბინაზე ჩამოსულიყვნენ, ადუა და გიგია კი შეპყლიან შავ-წყლის წვერს ისე, რომ დაღამებამდე ვერა უნახავთ. საღამოს პირს კი დაუწყიათ სროლა და ზოგი დაუჭრიათ, ზოგი კი მოუკლავთ. ამ სროლის დროს ჯიხვ-მოზვერი გადმოჩენილა იმ მხარეზე, სადაც გიგია მჯდარა. გადმოუბრუნებია თოფი ადუას, რომ ჯიხვს ესროლოს და საუბედუროდ გიგიას კი მოჰხვედრია. ადუა, რა თქმა უნდა, ძალიან შეწუხებულია ასეთი ხიფათის გამო. ფეხში დაჭრილი გიგია ადუას დიდის წვალების ჩამოუყვანია ტყის პირში, სადაც დაუნთია ცეცხლი, დაუხვევია ნატყვიარი, გაუძვრია ტყავი და ჩოხა და დაუხურავს ამხანაგისათვის, თვითონ კი პერანგის ამარა დარჩენილა და ღამე ისე გაუთენებია. რადგანაც არხოტი შორს ყოფილა, ამიტომ მეორე დღეს ადუა წასულა მახლობელ ქისტის სოფელში, ნეთხაში, და პირდაპირ ასმათის კარზე მისულა, რომელსაც ბევრი სისხლი ჰმართებია არხოტივებისა („ისრ ქისტებ არხოტივებს არ მოხკვლენ, რომ ეს ასმათ არ ეტანას“). ასმათი მოჰგებებია და მაშინვე უცენია, რომ ადუა არხოტელია, „მაგრამ კარზე მისულს სტუმარს როგორ მახკვლევ?!“ ხიფათი რომ გაუგია, ასმათს მაშინვე შეუყვანია ადუა თავის სახლში, გაუთბია, თვითონ გამოსულა და მეზობელი ქისტებისათვის შეუტყობინებია ამბავი, შეუყრია ექვსი კაცი და გამართულან, ადუას წინამძღოლობით, გიგიასკენ. რადგან ამასობაში საღამო ხანსაც მოუტანებია და არხოტს ვეღარ მიაღწევდენ, ასმათს ურჩევია: ამაღამ ჩემთან წამოდიოთ, კარგად მოგივლით და ხვალ კი არხოტს გაგაცივებთო. ესენიც დათანხმებულან. ასმათს წაუყვანია გიგია და ადუა ნეთხაში. იმ ღამეს იქ დამრჩალან არხოტივები. მეორე დღეს ასმათს მიუცია თავისი ცხენი და წამოუყვანია გიგია არხოტში. ერთი ქისტი დაუწინაურებიათ, რომ არხოტში ამბავი შეეტყობინებინა და ხალხი მიჰგებებოდა. წასულან არხოტივები და შეჰხვედრიან გზაში გიგიას და მასთან ერთად ადუასა და ქისტებს. არხოტელებს ქისტებისათვის მადლობა უთქვამთ დახმარების აღმოჩენის გამო და წამოუყვანიათ გიგია. შემდეგ ადუას დაუყენებია აქიმი, რომელსაც მოურჩენია გიგია და თავიანთი სამართლის წესით ორმოცი ძროხაც გადაუხდია.

ამ ამბის ის ნაწილი, სადაც გადმოცემულია მოსისხლე მტრის კარზე მისული სტუმრის შევლა გაჭირების დროს, მშვენიერი და წარმატაი სურათია სტუმარ-მასპინძლობის წესებისა, რომლებიც დღესაც კი ძალაშია მთაში.

518. შვიდნი ძმანი და იმათი ბიძა (R 103)

ბ.

შიდ ძმათა თვარელიანთა ვეფხვი კლდით გადმოგვეკიდა.

შიდთავ ვესროლეთ შვიდ-შიდნი, ვეფხვს ერთიც არ შეეკიდა.

მერვემ ესროლა ბიძამა, ვეფხვი მწყლით ჩამეკიდა.

შიდნივემც ქალად გვაქციენა, ყროლ კაცს საქმარედ აგვეკიდა!

5 ეს ჩენი თოფ-იარაღი ჭალას მურყანზე დაქიდა!

(Sh ფ).

ჩამაწერინა კ ა ც რ ი ე ლ ა რ ჩ ე მ ა შ ვ ი ლ მ ა, თუთრა-კველემა, 28. 9. 1913. ს. ჯაბლეში. — პირველად სხვაგვარად მიამბო ბოლო, — მესამე მუხლს ეს მოაყოლა:

შიდნიმც გვაქციენა (ხუცადა), ყელზე ოლარი დაგვეკიდა!

5 ეს ჩენი იარაღები ჭალას მურყანზე შაქიდა!

ჩენნამც გვაქცია ქალადა, ყროლ კაცს საქმარედ აგვეკიდა!

პირვანდელ ვარიანტში მეოთხე მუხლში ფრჩხილებში ჩასმული სიტყვის ნაცვლად კ ა ც რ ი ე ლ მ ა ეს თქვა: „ქალადა“, მაგრამ ოლარს იგი არ უდგება და, ამას გარდა, „ქალი“ შემდეგაც არის მოხსენებული (მ. 6). — ვ ა რ ი ა ნ ტ ე ბ ი: 1 შვიდ ძმათა თვარელიანთა] შვიდ ძმათა, მერვეს ბიძასა; 3 მერვემ ესროლა ბიძამა] ესროლა ბებერ ბიძამა.

ბ.

შიდს ძმათა, მერვეს ბიძასა მთას ვეფხვი გადმოგვეკიდა.

შიდთავ ვესროლეთ შვიდ-შიდი. ვეფხვს ერთიც არ მოეკიდა.

ესროლა ბერმა ბიძამა, — ვეფხვი ბწყლით ჩამოეკიდა.

ნეტამც ჩენ თოფ-იარაღნი ჭალას მურყანზე დაქიდა!

5 ანამც გვაქცია ქალადა, უნდაურ ქმრებიც აგვეკიდა!

ანამც გვაქცია ხუცადა, გულზე ოლრებიმც დაგვეკიდა!

(V, № 46).

არსებითად იგივეა, პირველი სამი მუხლის ფარგალში, X (ივერია, 1887, № 144=ც. წ. 50) და T. — გ ა ნ ს ხ ვ ა ე ბ ა ნ ი: 1 შვიდს] შვიდთ X, T; მთას ვეფხვი] ვეფხვი მთით X, კლდით ვეფხვი T; 2 არ] ვერ X; 3 ესროლა ბერმა] მერვემ ესროლა X, ესროლა ბებერ T; ჩამოეკიდა] გადმოეკიდა T; შემდეგ კი:

დ.

- 5 შვიდნივამც ქალად გვაქცივნა, ცუდამც ქმარად აგვეკიდა!
ეს ჩვენი თოფიარალი ჭალას მურყანზედ დაჰკიდა!
ანამც ხუცესად გვაქცივა, ყელზედ ოლრები ჩაგვეკიდა!
(X).

ე.

- 5 ეს ჩვენი იარაღები ჭალას მურყანსამც დაჰკიდა!
ჩვენ ბარის ხუცად გვაქცია, ყელზე ოლრები დაგვეკიდა!
ანამც გვაქცია ქალადა, ყროლიმც საქმარე აგვეკიდა!
(Tფ).

ვ.

ჩვენ, შვიდთა ძმათა მთვარელთა, მთას ვეფხვი გამოგვეკიდა.
შვიდთაც ვესროლეთ თოფები, მას ერთი არ მოეკიდა.
ესროლა ბერმა ბიძამა, — ვეფხვი კლდეს გადმოეკიდა.
(თეატრი, 1886, № 38).

ჩაწერილი ყოფილა ს. საქაშეთში (ქართლში) გიგო დიასამიძის მიერ.

შვიდი გურჯანელის სიმღერის დასაწყისი რამოდენადმე მთვარელთა ლექსს
მოგვაგონებს (ნ. მაგალითად Lach, №№ 29, 54, 77, 100).

519. მოყმე და ვეფხვი (Sh)

ჩამაწერინა ახიელელმა უნცრუა (ლუკა) ჯაბუშანურმა 15. 3. 1925.
ტფილისში.

პირველი ნაწილი ამ ლექსისა ნაწილობრივ ძველია და ნაწილობრივ ახალი. ახალი
დაბეჭდილია წერილი შრიფტით. მეორე ნაწილი სულ მთლად ახალია. გადაკეთება-
გაერცობა ძველი სიმღერისა გიორგი უთურგას ძე ჯაბუშანურს ეკუთვნისო.

პირველ ნაწილში წერილი შრიფტით (პეტიტით) გამოყოფილია ის მუხლები, რომ-
ლებიც, უნცრუას სიტყვით, ახლად დამატებულია. [ნ. აგრეთვე დამატებაში. რედ.]

ძველ ნაწილში ამბავი აქ მესამე პირის ფორმითაა გადმოცემული, მაშინ როდესაც
ზოგიერთ ვარიანტში იგი პირველი პირითაა მოთხრობილი.

ვეფხვი რომ ჩვენშიც გვხვდება, ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ 5. 12. 1922.
ლელობის მახლობლად, საკოდრისის ხეში (ტფილისიდან ჩრდ. დასავლეთით, 28-ოდე
კილომეტრის დაშორებით) ლელობის მცხოვრებელმა გლეხებმა: სიმონ ბექაურმა

(60 წ.), აღექსი წიკლაურმა (26 წ.) და იოსებ ბექაურმა (24 წ.) მოკლეს იშვიათი ზომისა და წონის ხვადი ვეფხვი: ტანის სიგრძე 190 cm., კულისა 104 cm. (სულ 294 cm.), წონა (გამოზიგნვის შემდეგ): 9 ფუთი და 22 გირვანქა (ი. ჩხიკვიძის ვილი, ლელობის მახლობლად მოკლული ვეფხვი: საქართველოს მუზეუმის მოამბე, II, 1923-1925, გვ. 12 და შემდგ.).

ბ.

- მოყმემა პირ-შიშველამა შიბნ გაიარანა კლდისანი, გადაიარანა, — ავიდა, — ბილიგნი ჭოუხისანი. თოფ დახკრა ჯიკესა ბეკენსა, ჭალას ლაწნ იქნეს რქისანი. ზედ ლამებ უსწერა მოყმესა, გზან ვერ გაიღნა კლდისანი.
- 5 გზას ვეფხვი შამაყეარა, ხანნია შულაძისანი. შაიბნეს ვეფხვი, მოყმეი, მაშინ დაიბრნეს მიწანი. ფარის ფარებას ვერ ასწრობს, ვეფხენი ჩქარნია კლდისანი. გაზით გაართვენა კალთანი ჯაჭვისა, ჯავშანისანი.
- 10 მოყმემატ კელად იყარანა ხე-ტარნი თავის კმლისანი, იმ დროს გაუჭრა ჭარულმა, ხანნია წაქცევისანი. ვეფხვი კლდეთ გადაეკიდა, წითლად ჩაღებნა ქვიშანი. თაოდ კლდის თავზე შამაწვა მოყმე სულ-ამომდინარი. ვინ ეტყვის მაგის დედასა, — კარს უსხენ ქადაგ-მკითხავანი. — „უერთოდ არ დაიხარჯნეს შენის აფხაზის ისარნი?“

(G 241).

როგორც ჰგავს, ბესარიონს ძველ ლექსში თითო-ორილა მუხლი ახალიც გააპარვია.

ჩემ მიერ იმავე ბესარიონისაგან 1911 წ. ჩაწერილი ვარიანტი ამისაგან რამოდენადმე განსხვავდება: მეორე მუხლი აკლია, სამაგიეროდ იქ იკითხება: შამოკლეს კილდის თავზედა ზორონი ჯიკეებისანი; 4 ზედ] თან; 6 შაიბნეს...] ეს ერთი მუხლი აკლია ჩემს ჩანაწერში; 10 ჭარულმა, ხანნია] ფრანგულმა, დრონია; 14 შენის აფხაზის ისარნი] ის შენი შვილის ისარნი.

ბ.

- მოყმე ვარ პირ-შიშველაი, დავლაკენ პირნი კლდისანი, მშვილდ დავხკარ ჯიკესა ბეკენსა, ჭალას ჯაკნ იქნეს რქისანი. ზე ლამის ბნელი დამეცა, ვერ ვიცნენ შიბნი კლდისანი. წინ ვეფხვი შამაყეარა, ხანნია ვაქშობისანი.
- 5 მიმწურა კლდესა, მიმყულა, მანატრნ მამუელნი ყმისანი.

ნელიად გაჭრა ცალ-ყუემა. ხანნია წაქცევისანი.
წაქცა, ღმერთსაც უძახა, თვალნი მარისხნა ღვთისანი.
ჩემსა დელასა ბეჩავეს კარს უღვა ქადაგ-მისანი.
„უერთოდ არ დავხარჯენი ჩემი ვეფხომლის ისარნი.“

(R 201).

ღ.

ჭალაზე შამავილოდი, წინ ვეფხვი შამამეყარა.
გაპზიღნ, წამართუნა კალთანი ჯაჭვისა, ჯავშანისანი.
ერთი წაკვივლე, წაქცა, თვალნი მარისხნა ხთისანი.

(R 99).

ცხადია, აქ „გაპზიღნ, წამართუნა კალთანი“ აქედანაა გადაკეთებული: „გაპზით გამართუნა კალთანი.“

ქ.

გავრცობილ-გადაკეთებული ვარიანტი ჩაუწერია ჩ ი ტ ო (ქრისტინე) შ ა რ ა შ ი -
ძ ე ს ა ც 1924 წ. ტფილისში ჩამოსული ხეცსურებისაგან. მთავარი განსხვავებანი ჩემს
ჩაწერილთან შედარებით: ზოგი მუხლი აკლია. ამას გარდა: 16 მაგის დელასა] ჩემსა
დელასა; 17 ჩვენის აფხაზის] იმ მონადირის; 24 შენ გძინავ] ქვე გძინავ; 25 ი შენი
ჯაჭვის კალთები ოკერმა როგორ დაფითა] ი მამაძალის ოკერმა ე ჯაჭვი როგორ
დაფითა; 35 ახყრის ტანზეით] ტანზეით ჰყრიდა; 39 ჩემებრ დღე და ღამ] ჩემზე
უმეტეს; 41 ისიც მიამბობს აბბავსა, მეც უთხრა თავის შვილისა] მეც ვუთხრა ჩემი
აბბავი, იმანაც – თავის შვილისა.

შ.

- მოყმემ თქვა პირ-შიშველამა: შიბნ გავიარენ კლდისანი.
მოვინადირენ, დავლაკენ ბილიკნი ჭიუხისანი.
შამამხვლეს კლდისა თავზედა ხორონი ჯიკეებისანი.
ჯიკესა თოფ დავჰკარ ბერკენსა, ჭალას ჯაკნ იქნეს რქისანი.
5 შავეარდი ვეფხვსა ნაწოლსა, დრო(6) იყვნეს შულამისანი.
შაიბნეს ვეფხვი, მოყმეი, მაშინ დაიძრნეს მიწანი.
კლდეები ჩამანგრიეს, შტონ დაიღვეწნეს ტყისანი.
დრო აღარ დარჩა მოყმესა, ხანი რო ჰქონდეს ცდისანი.
ფარსა უფარებს, ვერ ჰფარავს, ვეფხვი ჩქარია კლდისანი.
10 გაპზით გაართუნა კალთანი ჯაჭვისა, ჯავშანისანი.
მოყმემაც კელში იყარნა ვადანი თავის კმლისანი.

მაშინ გაუჭრა ფრანგულმა, დრონ იყენეს წაქცევისანი.
ვეფხვი კლდეთ გადაეკიდა, ჩამაწითნა ქვიშანი.
ქვიშას მიღებაეს წითლადა სისხლი ზედ ჩამამდინარი.

15 ნუ ეტყვიოთ მაგის ღელასა, კარს უსხედს ქადაგ-ქითხავნი.
უერთოდ კი არ იხარჯნეს ჩვენ მონადირის ისარნი.

ჩაუწერია ვ. რ ა ზ ი კ ა შ ვ ი ლ ს. დაბეჭდა ვ. კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ შ ა მ სათაურით:
„ბაღადა, თუ როგორ შეაკედენ ერთი-მეორეს ვეფხვი და ვაჟკაცი“ (ქართული მწერლო-
ბა, 1927, № 3-4). როგორც მოყვანილი მუხლებიდან ჩანს, იგი გავრცობილია და
ძალიანაც მისდევს ჩემს ჩანაწერს, მაგრამ ძველ მუხლებში რომ ამბავი პირველი პირის
ფორმებით არის გადმოცემული, ამას აღარ უდგება ჩამატებულ მუხლებში შესამე პირ-
ზე გადასვლა.

მერმე კიდევ მოსდევს ახალ-დამატებული ბოლო: „იარებოდა ღელა“ და სხვა, რო-
მელიც ჩემ ჩანაწერთან შედარებით შემდეგ განსხვავებით გვიჩვენებს (აღვნიშნოთ უმთავრე-
სები): 20 დაუბნელდა| დაუღამდათ; 22 დახვდა| შახვდა; 23 ვეფხვის დაჭრილსა
კლანჭითა| ვეფხვის კლანჭებით დაჭრილსა; 25 ი შენი| ეს შენი; დაფითა| დაფლითა; 27
ბევრა დრო| მეტი დრო; 28 ვეღარცაღ შენ დაიფარე| ვეღარც შენ დაიფარიე; ნაქონი|
ნაჭერი; მმ. 31 და 32 აკლია; 36 ხან ვითამ იმის შვილმ ძლივის| ხან კიდენ იმისი შვი-
ლი; 39 ჩემბერ დღე და ღამ| ჩემზედ მეტადა; 40 წავიდ მეც აიქ| წავიდე, მეც იქ; 41
ამბავსა| ამბებსა; თავის| ჩემის; 42 ბრალიდ| ბრალი.

თითქმის სიტყვა-სიტყვით მეორდება ეგევე ვარიანტი Tის წიგნში ერთ ადგილას
(გვ. 78). ამიტომ უნდა ვფიქროთ, რომ Tის ან აქედან აქვს გადაბეჭდილიო, ან არადა
როგორც ვ. რ ა ზ ი კ ა შ ვ ი ლ ს, ისე Tის ლექსი ერთისა და იმავე პირისაგან აქვს
გაგონილიო. მეორე მოსაზრება უფრო საეჭოა, რადგანაც ძნელი დასაჯერებელია, რომ
ორ სხვა-და-სხვა პირს სხვა-და-სხვა დროს ერთნაირად ჩაეწეროს ლექსი თუნდაც
ერთისა და იმავე მოამბისაგან. ჩემს ჩანაწერ ლექსებში ბევრია იმის მაგალითი, რომ
ერთსა და იმავე მოამბეს სხვაგვარად გამოეყვანოს ლექსი მეორედ მბობის დროს.

მეორე ადგილას კი Tის წიგნში (გვ. 199) ამას კეთიხულობთ:

ზ.

მოყმემ თქვის პირ-შიშველამა: ქედნ გავიარენ კლდისანი,
გავიარენ და გავლაკენ ბილიკნი ჭიუხისანი.
ვეფხვსა შეღვარდი ნაწოლსა, თვალნ იყენეს შულამისანი.
ადგა და შამამეომა, თვალნი მარისხნა ხთვისანი,

5 კლდეთ ყურეს ჩამამიტანა, ჩავაწითენით ქვიშანი.
ქნევას მოვალე(ნ) მაჯანი. ვადან დავსკვიოთენ კმლისანი.
ნელ-ნელა გაჭრა ფრანგულმა, ხან(ნ) იქნეს წაქცევისანი.
ნადგვად გამართუნა კალთანი ჭაჭვისან, ბევთარისანი.

- მოვეკალ, ატირდებოდეს იანი ჭაუხისანი.
- 10 სულთ მადლოდეს ეშმაკნი დარალიანი კლდისანი.
ჩემსა დედასა უთხრიდით: არ გინდან ქადაგ-მისანი.
სწორებსა გამიგებოვას, შიბნი დაძიენან კლდისანი.
წყლის პირში ჩამასული ორ, ხავსნი მოვძოვენ წყლისანი.
დათაკ კი გამიგებიეთ, ნაჭაპან დაიჭრან თმისანი.
- 15 გზანიმც კი აყვავდებიან ცხერისანი, მემცხვარისანი!
წყალს იმათ გამომაქდინეს, კიდნი ჩამისხნეს სხლისანი.

(Th 199).

8 ნადგვად] არ ვიცი, რას ნიშნავს ეს სიტყვა. შეიძლება შერყვნილი იყოს, — სხვაგან ამ ადგილას იკითხება „გაზით“; 9 ჭაუხისანი] ასეა აქ, თუმცა ზემოთ (მ. 2) იკითხება „ჭოუხისანი“; 14 ნაჭაპან დაიჭრან] ნაჭაპანი დაჭრან Th.

უკანასკნელი მუხლები 255 ნომრიდან გადმოსულა. სამაგიეროდ ორიოდ მუხლი ამ სიმღერისა 255 ნომრის ბ ვარიანტშია შეტანილი.

მ.

- მოყმემ თქვა პირ-შიშველაძა: „შიბ გავიარე კლდისაო.
ჭაუხებს წვერებ უარე, ჩხრენ იყენეს ჯიკვებისაო.
ვეფხესა შავ(ლ)ვარდი ნაწოლსა, ღრონია შუალამისანი.
ვეფხვი ამოდგა, მეომა, თვალნი მარისხნა ღვთისანი.
- 5 კელი დავლაღე, დავცკითუნ ვადანი ფრანგულისანი.
მაშინ ძლივ გაჭრა ფრანგულმა, ღრონია წაქცევისანი.
ყურეს ჩამავდა აგეთსა, ჩავაწითენით ქვიშანი.
ვეფხ(მ მ)კლაეზე შამამიწვინა, ტოტით მაყარა მიწანი.
მოვეკალ, ატირდებოდეს იანი ჭაუხისანი.
- 10 თავზე დავებუის ყვარანი მამვრა(ლ)ნი შორის გზისანი,
ელთან სულთ ამოსვლათა დარალიანი კლდისანი.
უთხარი ჩემებ სწორებსა, შიბნ გაიარან კლდისანი.

(Msh).

ჩაუწერია ალოტელი ხევსურისგან და თ უ კ ა რ ა ბ უ ლ ი ს ა გ ა ნ, რომელსაც ეს სიმღერე ფანდურზე დაუმღერნია. — 3, 6 ღრონია] ღრონი ჰა Msh; 4 მარისხნა] მარისხვა Msh.

თ.

მოყმემ თქვა პირ-შიშველაძა: ცერნ გავიარენ კლდისანი.
შავღვარდი ვეფხესა ნაწოლსა, ხან(6) იყენეს შულამისანი.

- ადგა და ვეფხემა ომი ქნა, მარისხნა თვალნი ხთვისანი.
ნელ-ნელა გაჭრა ფრანგულმა, ხან(ნ) იქნეს წაქცევისანი.
5 ვეფხე მკლავზე შამოვიწვინე, ტოტით ვათხრიე ქვიშანი.
გაზით გამართენა კალთანი ჯაჭვისა, ჯავშანისანი.
საწყალსა ჩემსა დედასა კარს ედგეს ქადაგ-შისანი.

(Mr).

„შავლვარდი“ ფორმის მიხედვით (მ. 2) ეს ლექსი ხეცხურისაგან უნდა იყოს გაგონილი.

0.

- დრონ იყენეს შუადღისანი.
ვეფხევი რო წამამიფრინდა, თვალნი მარისხნა ღვთისანი.
ჩამავლიე ვიწროს ყურესა, მაწითუბინა ქვიშანი.
შაიბნეს ვეფხე და მოყფი, მაშინ შაიძრნეს მიწანი.
კლდეებიც ჩამაიშალა, ტოტებ დაღეწეს ხისანი.
5 ფარს კმარობს მოყმე, ვერ ისწრობს, — ჩქარნია ვეფხენი კლდისანი.
ბოლოს მოყმემაც იყარნა კელში ვადანი კმლისანი.
იმ დროს გაუჭრა ფრანგულმა, დრონ იყენეს წაქცევისანი.
ვეფხევი კლდეთ გადაეკიდა ტოტიდან სისხლებ-მდინარე.
მენაც კლდის ძირში შამოეწვე, მენაც სულ-ამაზდინარე.
10 ბეჩავს ჩემს დედას რად უნდა ქადაგი, ან და მისანი?
დაძებნონ ჩემსა სწორებმა ყურე-მარენი მთისანი.
აგებ ძვალ მაინც დაქელონ ლამაზის ვაჟკაცისანი.
ღებსაცა გამოეგებიეთ, ნაწნავ დაიჭრან თმისანი.
სწორებში ნულარ გამოვლენ მგლოვიარენი ძმისანი.

—

დედა ატირდა ბრაღადა: შვილო, აღარ მაქვ ძალია.
მშვიდობით! ჯვარი გეწერას, ვეგეც სამარის კარია.

ჩაუწერიათ ს. კაწალ-ქეში (რომელიც ფშავშია, მაგრამ ხეცხურები ცხოვრობენ).
გადმომცა ვ. კოტეტიშვილმა. ეს ნაწყვეტი გავრცობილი სახისაა.

0ა.

ბაღლ ვიყავ პირ-შიშველაი. წვერნ მოვიარენ მთისანი,
ჩამუედ საჯიკეშია, შიბნ დავიარენ კლდისანი.
თოფი ვესროლე ჯიკეებსა, ჭალას ჯაკნ იქნეს რქისანი.
ნაწოლსა ვეფხესა შავვარდი, ხანნ იყენეს შუა ღღისანი.

- 5 ხანჯრით მე, კუდით იმანა, გრილნ აკრიფუნეს მზისანი.
დალაშა, დამინარჩომა, დამრია, დამღვა ლიშანი.
პირველსავ ღამეს მოვიდეს მოლალატენი ზეთისანი.
საწყალს დედასჩემს უთხროდით: რად უნდან ქადაგნ-მეთხავანი?
შაყაროს ჩემებ სწორები, წვერნ დაიარნენ მთისანი,
- 10 იმ ალაგობრივ მამკელკენ, სადაც შიბნია მქრისანი.
იყუროს საწყალმ დედამა ყრანტალნი ყორნებისანი.

(Sh ფ).

ჩავწერე ჯაბლევეში ივანე გაბიდაურის სიტყვით 28. 9. 1913. (თვითონ ივანე ყვარიდანა).

იბ.

- ბაღღ ვიყავ პირ-შიშველაი, წვერნ გადავხარენ მთისანი,
გავიარენ და გავლაკენ ბილიკნი ჭიუხისანი.
შამამხედენ ბილიკებზედა ზრუები ჯიკვებისანი.
ჩამაუჯე და ვესროლე, ჭალას ჯაკნ იქნეს რქისანი.
- 5 ვეფხესა შავვარდი ნაწოლსა, ხანნ იყენეს შუადლისანი.
ამამიღვა და შამება, დამკოდა, დამკრა ისარი,
ჩამამახინა კალთანი ჯაჭვისნი, ჯავშანისანი.
ნელ-ნელა გაჭრა ხანჯარმა, ვაწითლებინენ ქვიშანი.
კლდეთა ჩავცვივდით ასეთთა, შუქნი არ ჩავლენ მზისანი.
- 10 ჩამამტიროდენ ნაზლობნი სპეროზიას მთისანი.
საწყალს დედას-ჩემს უთხარიოთ, — არ უნდა ქადაგ-მისანი, —
ადგეს, აილოს არგანი, შიბნ დაიარნეს კლდისანი.
კალთაში გამაიხვიენეს კორცნი ჩემ ძვალმუნისანი.

(Tფ).

იბ.

- ბაღღ ვიყავ პირ-შიშველაი, წვერნ მოვიარენ მთისანი,
შემოვესროლე ჯიკვებსა, ჭალას ჯაკნ იქნეს რქისანი.
შავვარდი ვეფხესა ნაწოლსა, ხანნ იყენეს შუადლისანი.
წამამიფრინდა ტიალი, დამკოდა, დამღვა ნიშანი.
- 5 ჭალას რომ თოფი გავარდა, კმან ვიცნენ სიათისანი.
საწყალს დედა-ჩემს უთხარიოთ: რად უნდა ქადაგ-მისანი?
შაყაროს ჩემებ სწორები, შიბნ დაიარნენ კლდისანი.
დამმარხონ მკვდარი საფლავეში, ზედ მამაყარონ ქვიშანი.

(X 199).

ბიჭი ვარ პირ-შიშველაი, ცერნი დავლაკენ მთისანი,
ჯიკებსა თოფი ვესროლე, ჭალას ჯაკნი ქნა რქისანი.
მეაწყდი შუადლის ხანზედ ვეფხვსა ნაწოლსა კლდისანი.
ძალას მე, ძალას ისინი, შუქნი დავიდნენ მზისანი.

5 იმათ მე დამიმორჩილეს, დამჭრეს, დამკოდეს ისარნი,
ჩამადედეს ისეთ ადგილას, შუქნი ვერ ჩავლენ მზისანი.
მოვიდნენ შუალამის ხანს მოღალატენი ღვთისანი.
ჩამამოვიდნენ საჭმელად სამნი ყორნები მთისანი.

10 ცილამ ჩამოვა ანგელოზ მქარ-გძელის არწივისანი.
მე ხომ ყორნები შემჭამდეს, — მქარნი მეფარნეს მისანი.
ჭალაში თოფი გავარდა, ემა ვიცან სიათისანი.
დედასა ჩემსა მითქვიდით: ნუ გინდა ქდაგ-მისანი.
ადექ, აიხვენ არგანნი, შიბნი იარენ კლდისანი,
იმის მარუჯუდა მეძებე, ყაწიმ ეყრება მქრისანი.

ჩაუწერია გ. ბოჭორიძეს ს. ჩიგლაურთაში 30. 7. 1902.

შეიძლება აქ მოყვანილის (მოყმისა და ვეფხვის) სიმღერის ძველ ნაწილში მოთხრობილ ამბავთან კავშირი ქქონდეს ერთს ჩემ მიერ გაგონილ თქმულებას, რომელიც ბარისაკოში ჩაიწერე ბათაკა ჯინჭარაულისაგან 1911 წელს: ერთ ადგილას კლდეში ვეფხვი გამოჩენილა და გააღილ-გამოვლილი ხალხი ყველა დაუხოცავს. ერთ კაცს, მგელა ყურაულისძეს, იმ გზაზე ჩავლა მოჰხდომია. ჩავლისას ვეფხვი მძინარი ყოფილა და მგელას არ უკადრნია მძინარი მხეცის მოკლა. ამოვლისას კი ტვირთი ჩამოუღია მხრიდან, დაუდევს და შეუძახნია: „შე ძაღლო, რას უგდხარ ამაში? მგელა მოვიდა, ადევო!“ ვეფხვი წამომხტარა. ტოტი დაუკრავს მგელასთვის თავში და „ტვირზეთი სრუ ძვალი მოუცლავ.“ მგელას სამაგიეროდ დაურტყამს ვეფხვისთვის ხმალი და ტოტი მოუჭრია. ვეფხვი იქვე მომკვდარა, მგელა კი შინ მისულა და იქ მომკვდარა. ამაზე ნათქვამიაო:

ტოტით ვეფხვმ, მგელამ ფრანგულით დღე დააღამეს მზიანი.

(Sh).

მუხლის პირველი ნახევარი ბათაკამ პირველად ასე მოთხრა: „კმლით მგელამ, ტოტით ვეფხვმ.“

520. სიკვდილთან გაბაასება (C)

ლექსი ნათქვამია გოგოთურ ჯინჭარაულის მიერ. Cს თვით ნათქვამისგან ჩაუწერია ბარისაკოში 16. 7. 1925 და ამიტომაც ვერც სრული. — 29 ღიჩინთა] ღიდ ჩინთა C; 40 ვლგეოროთ] ვგეოროთ C.

ძალიან საყურადღებოა ცნობა იმის შესახებ, თუ რამდენი დრო მოუნდა ავტორი ლექსის თქმას: ვძელი ვასწობიდან გათენებამდეო, ნათქვამია (მ. 70). თავის თავად ცხადია, რომ ლექსის „თქმას“ ამდენი კი არ მოუნდებოდა, არამედ წერას: სოფლის კაცი, წერა-ში ნაკლებ გავარჯიშებული. მიუღი დამე მოჰნდომებია ამ ლექსის ჩამოწერას, თორემ, როგორც ა. ო ჩ ი ა უ რ ი ამბობს, „ლექსის თქმას დიდ ხან რად უნდა?“ (450, 21).

ბ.

- შე ცოდვიანო სიკვდილო, ეშმაკის დახოლ კვალზედა.
შენამც ნუ მიხვალ, სიკვდილო, დედის ერთაის ბანზედა!
დედაი ერთოს შვილისა თავს გაგიკეჟადა ქვაზედა.
ბობოქარობდა მამაი: „აბჯარნიმც მამცნა ტანზედა!“
- 5 ძმას რო მეორე ძმა დაშწას, მქარს აგართმევედა მქარზედა,
თოფს დაგკრავს, გულს ვერ ისრულებს, კმლით ზე გარდმოვა მკვდარზედა.

—

- მე რო არ ვიყავ სიკვდილი, ვინ მოვიდოდა ჭკვაზედა?
ღიჩინნი, ამპარტიონნი გამოვიდოდეს მთაზედა.
სრუ ყველა უნდა მოვქებნა საქონელზედა, ცხვარზედა.
- 10 ხან თავადებში გადავალ, შავად შავლმოსავ ტანზედა,
არც-რა იციან ტირილი, ცრემლ არ ენახვის თვალზედა.
ხანდიხან შავთამაშლები, რო ზეადი ცხენი ნალზედა.

—

- დროება გამეცვალა, ჟამნი მაბრუნდეს სხვაზედა.
თოფებიც გამოგვიცვალეს, კირიმთ ვინ იცნობს კმაზედა?
- 15 ან სამკლავ-საფუქრიანი ვინა-ლ დაჯდების ჯარზედა?
იარაღს ვინა-ლ აისხამს? — ვაშკაც იცდების ჭრარზედა.
მძივ-შვალის ღილა მაიღეს, ქალებ აკერებს ძალზედა.
ახლის ღიაცის ნაკერი ვაშკაცს უქდების ტანზედა.

(Sh).

მიამბო ვ ი გ ი ა გ ო გ ო ჭ უ რ მ ა, ჭორმეშიონმა, 21.8.1913. ს. კაკმატში. — უკანასკნელ სტრიქონში დაცინვაა: ახალ-მოყვანილი ცოლის შენაკერი რომ ვინმე ჩაიცვას ხვესურეთში, დიდ სირცხვილად მიაჩნიათ.

ბ.

თოლნიმ დაგთხარა, სიკვდილო, დაგსო არხოტის მთაზედა!
კელ-შექნი დაგაძრებოდა, ტყავ გაჰყვებოდა ჯღანზედა.

(Sh გულ.).

დ.

ფეწიძე მოგაზრო, სიკვდილო, დაგაგლო შუა გზაზედა!
მოსვლით მაიპარები, კმას გასტეხ გამოსვლაზედა.

(T ფ).

521. სიკვდილი ახალ-უხლებისა (Dj)

„ეს ლექსი არის, რომენი გადაიცვალნეს 20 წლის ჯეილები და 1 ქალი 1919 წელში, იმათაზედ შედგენილი გიორგი არაბულისგნივ.“ – 3 ფერი პერ Dj (მდრ. მ. 26); 4 ჩაბბანა] ჩაბბანა Dj; 12 დაუზინებ] ეი. დაუძინებ; 13 სამესა] ხელნაწერში გარკვევით არის გამოყვანილი: სამესა. ალბათ ის ადგილი იგულისხმება, რომელიც ჩვეულებრივ „სანე“დ არის ცნობილი. „სანე“ „სამე“დან არის გადმოკეთებული, ეს კი თავის მხრივ „სამებ“ის შემოკლება უნდა იყოს; 19 შამაწვეწენ] შამაწვეწენ Dj; 24 ხიშალით] გარკვევით სწერია აგრე. ხ ი ტ ა ლ ე კ ი ვ ი ც ი, სოფელია, და ხ ი შ ა ლ ე არ გამოგონია.

522. დარიშკანით მომკვდარი და სხვა ახალგაზრდები (R 233)

1 სად იძახან მატირალსა] „საით უძახიან მოტირლებსა.“ R; 2 ხუთშაბათს აღარ მავიდა] „წაწალი წაწალთან უფრო ხუთშაბათობით და შაბათ საღამოს მიდის, ხვესურეთში ქალი, ფშავში – ვაჟი“ R; 4 მალლა-მალლა] „წადი მალლა“ R; 7 დარიშკანით მამკვდარია] „იმ ქალს დარიშკანით მოუკლავ თავი“ R.

როგორც ექიმი გ. თ ე დ ო რ ა ძ ე აღნიშნავს, ხვესურეთში ძალიან გავრცელებულია ქალების თავის მკვლელობა, განსაკუთრებით თვიურის დროს (Th 129-130). ქალების თავის მოკვლა ამ წიგნში დაბეჭდილ ლექსებშიც მოიპოვება: სულხანაურის სიკვდილის გამო თავს იკლავს მისი ბიძაშვილი ნათულა (208, 29), დ. წიკლაურის სიკვდილის გამო – მისი ცოლი (539, 52).

523. ჩათიბვა სიკვდილის მიერ (R 42)

ბ.

სიკვდილმ თქვა: ზღვიდამ წამოველ, ზღვა ჩქეფით შამოვიარე.
გადმაუხედენ ფშაველთა, ყოოდენ როგორც იანი.
ჩავეღირე და ვერ ჩაველ, – ხატი კყოლიყო ძრიალი:
შორს გზაზე ამომეგება, შავარდენ იყო მქრიანი.

- 5 გადმუხედენ ქვესურთა, — შავნ იყვენნ როგორც ჭიანი.
ჩაველ და ისე ჩავთბე, როგორც ნალეკმა თივანი.
ბევრისა კარი დავსჯარე, ბევრისა ისევ მლე არი.
ბევრისა დედა ვატირე, ბევრისა ცოლი თმიანი.
ბევრისა თოფი შავქიდე, სიათა პირ-კომლიანი.
- 10 ბევრისა კმალი დავაგდე, ფრანგული ფხა-სისხლიანი.
ბევრის ქალისა გავწირე კალათა ჩხირ-წინდიანი.

(V, ფშავლები: ივერია, 1886, № 36).

არსებითდ იგეგა Xის ვარიანტიც (ც. წ. გვ 240). განსხვავებანი: 1 ზღვიდამ ზღვა-ზღვა X; 4 ძრიალი] ძრიანი X; 5 გზაზე ამომგება, შავარდენ იყო] გზაზედ ამომგება შავარდენით X; 7 ჩავთბე] ჩავთბენ X; 8 ბევრისა კარი დავსჯარე] ბევრს კარი გამაუჯარე X.

524. ნარჩევი ვაჟების ჩაკოცა არხოტში (G 243)

ბ.

- სიკვდილმ თქო: „არ დავიჯერებ, ნაბძანებს ვიქამ ღვთისასა, —
ახიელს მვაგლეჯიებ ნაწურსა გრილის მთისასა,
მაუკლავ ბუზურაულსა, ყარაულს ზენ-უბნისასა,
დათვიათ კიბალაურსა, ფალავანს ბატონისასა,
- 5 კადელსა ღერენათასა, ქაეის კარს გამლეს გზისასა.
უშიშას ოჩიაურსა, მგლებურ მჭამელსა მტრისასა,
მაუკლავ ბაქათ ბაკასა, თესლს დავლლევ შავარდნისასა,
ბადათ აბაისძესა, კულას ჩამავშლი ქვისასა,
მარტიას შუქიაურსა, მარტოს მჭერს ადგილისასა,
- 10 შეღმათ ალუდაურსა, შავსა ღურბელსა ცისასა,
საადროდ დამზადებულსა მალის არხვატის მთისასა,
გაღმათ აბაისძესა, წელ-შუე მუშასა სმისასა,
ჩინგლათ ბაჩაყაურსა, მთვარესა ხუთმეტისასა,
ციათას მავხკლავ ნიასა, ჭალას ამამლეს კმლისასა.

ჩამიწერა გიორგი ჯაბუშანურმა 6. 8. 1913. ს. ახიელში. — 2 ახიელს მვაგლეჯიებ ნაწურსა გრილის მთისასა] ეს იმაზეა ნათქვამი, რომ ყინვარი დაქანებულა მთიდან და სოფლის ნაწილი მოუგლეჯია და ხალხი გაუწყვეტია; 7 თესლს დავლლევ შავარდნისასა] ე.ი. ამომწყდარა; 12 წელ-შუე მუშასა სმისასა] ე.ი. წელ-გამომგებით ნადიმის გამმართველსაო.

აქ ჩამოთვლილია მარტო ახიელლები, მაშინ როდესაც ა ვარიანტში გამოჩენილ არხოტელთა სიკვდილის ამბავია ზემო სოფლიდან მოყოლებული ქვემოდე, ე.ი. ჭიმილიდან კალოთანამდე („სათავით ჩამავხყებოდი, ბოლოს გამავალ წყლისასა“ო).

ბ.

სიკვდილმა თქვა: „არ დავიჯერებ, ნაწერობს ვიქამ ლეთისასა.
ჩავდები სოფლით-სოფელში, ღივს დავლევ ახლებისასა.“

(Rფ 128).

525. ქალების სიკვდილი ბარისაკოს (R 187)

526. სიკვდილი და ობოლი (R 234)

მეხუთე მუხლისა Rს მხოლოდ პირველი ნახევარი მოეპოვება: „შენ არას მო გ კ ლ ა ვ, ობოლო“, მეორე ნახევარი კი Aის ფშაური ვარიანტიდან შევუსე, სადაც იკითხება: „შენ არას გ ე რ ჩ ი, ობოლო, შენი პატრონი ვინაო.“ სხვაფეროვ ა ფ შ ი ნ ა შ ე ი ლ ი ს ფშაური ვარიანტი (თუ ენის ფორმებს არ მივიღებთ მხედველობაში: ჩამოიარა, შეუჭა-ხუნა, შეაშინაო, შეხვდა, მომკალ, გაქვს), იგივეა, რაც ხევესურული. ორი სხვა ფშაური ვარიანტი ეს არის:

ბ.

სიკვდილმა ჩამოიარა, არეინ დაუხვდა შინაო.

გამევეება ობოლი, სუფრა მართვა წინაო:

„მე წამიყვანე, სიკვდილო, — ობლობა მამეწყინაო.“

— „შენ ვერ წაგიყვან, ობოლო. შენ' მოტირალი ვინაო?

5 არცა გაქე სანთელ-საკმელი, არც სუფარ გიძე შინაო.

გამრავლებულან ცხრა ძმანი, უნდა გადუღვე წინაო.

თავ-თავად ლოგინ დაუგო, თავ-თავად მივსცე ბინაო.

(Rფ 126).

4 შენ' მოტირალი ვინაო] შინ მოტირალი ვინაო R. ეს ლექსი სხვისი ხელით არის ჩაწერილი თ. რ ა ზ ი კ ა შ ე ი ლ ი ს რვეულში და ალბათ იმისი ბრალი იქნება, იმიტომ რომ არ უდგება იმავე ხელით იქვე მიწერილი ახსნა: „შენი მოტირალი ვინ არის.“ ამავე პირის შეტომად მიმანია მე-რ მუხლის ბოლო: „უნდა გადუღვე შუაო“, რომელიც არც რითმით უდგება და არც ზმნის ფორმით, — ორში ერთი: ან „უნდა გადუღვე წინაო“ (როგორც შევასწორე და რითმა აღვადგინე), ან კიდევ „უნდა ჩ ა ვ უ ღ გ ე შუაო.“

ბ.

ჩამოიარა სიკვდილმა, არეინ დახვდა შინაო;

გამევეება ობოლი, სუფრა მართვა წინაო.

„მე წამიყვანე, სიკვდილო, ობლობა მამეწყინაო.“

– „ვერას წაგიყვან, ობოლო, შენი დამტირე ვინაო? არცა გაქვს სუღარ-სამარხი, სანთულ-საკემელი შინაო.“

(ივერია, 1890, №11).

ჩაუწერიათ კოშარაში.

დ.

სიკვდილმა ჩამაიარა, ობოლი დაკხვდა წინაო.

სიკვდილო, მე წამიყვანე, – ობლობა მომეწყინაო.

(თეატრი, 1886, №48).

ჩაუწერია კახეთში აბ. გოღერძიშვილს. [ე ვარ. ნ. დამატებაში. რედ.]

527. სოფლის უფროსი (B)

ბ.

ადგილის დედა ჩიოდა: „სოფლის უფროსი კვდებაო.

ნუ მოკლამ, დამბადებულო, – სოფლობა წაგვიკდებაო“

(ივერია, 1890, №148).

ჩაუწერიათ კოშარაში.

Rის ფშური ვარიანტი (Rფ 154) ამისაგან ოდნავ განსხვავდება: 1. სოფლის] თემის R; ნუ მოკლამ] ნუ მაკლავ R; სოფლობა] სოფელი R.

გ.

სოფელს ტირიან დედანი: „სოფელს კარგი ყმა კვდებაო.

ნუ მახკლავ, დამბადებულო, – სოფლობა წაგვიკდებაო.“

(D).

გაგონილი ლევან ხუციშვილისაგან გერგეტში.

528. ჭირის პატრონს (G 127)

გ. ჯ ა ბ უ შ ა ნ უ რ ი ს მიერ ნ. 8. 1913. ჩანაწერ ვარიანტს მესამე მუხლი აკლია. ამას გარდა: 1. გონობა] გონება (ჯაბ.); 2 არ წაუვას] არ წაუვა (ჯაბ.).

ჭირის წყენა, ანუ მომარკება, რომელიც ძალიან თავისებურია და დამახასიათებელი ხეესურების ყოფა-ცხოვრებისათვის, პროზადაც მაქვს ჩაწერილი და ლექსადაც (გამ-

ლექსეველს ჩონია ლიქოკელს ამობენ). ლექსი დამატებაში წავა. პროზის ერთი ნიმუში
Tისაც მოჰყავს (გვ. 63), მაგრამ იგი არაა სრული, სჯობია ვაჟა - ფ შ ა ვ ე ლ ა ს ი
(ივერია, 1886, № 200).

529. კმელეთის თვალი (R 134)

530. რეკათ ჯამრული (R 95)

531. ჯიკუა მაკინცაური (R 132)

R შენიშნავს, რომ ჯიკუა ფშაველი იყო. — 2 ვინ გარმავლებს პირსაო] „ვინ
ამოუშვებს პირიდანა“ R.

532. მარტია შუქიაური (G 237)

მარტია შუქიაურსავე უნდა ეხებოდეს ლექსი № 113.

533. მეგრელათ ფუნჩია (R 109)

5 დედა უკედება ტირილსა, დანი იღებენ თავსაო] დედა ტირილითა კედება, დანი
თავს იკლავენ, „თავი ჩამოიღო გლოვნითაო“ R; 9 ნადირთად ატირებული] ასე იკითხ-
ება ხელნაწერში, მაგრამ ხომ არ აჯობებდა, რომ გაგვესწორებინა: ნადირთად ამტერე-
ბული; სამხლემიგურსა ქალსაო] „სოფლის სახელს იხსენიებს, სამხლემიგური ვარო.
უნდა თუშის ქალი იყოს. რამდენად სწორედ არის სახელი, თუშებს ეკითხოს“ო, წერს
R, მაგრამ ეგების თუშების უკითხავდაც გამოვარკვიოთ საქმე: „სამხლემიგური“ მე
სამხლემი მყოფი მგონია, ე.ი. ლექსი გამოუთქვამს ქალს მხლის კრეფის დროს; 13
შეხედავ საქროზიათა] „პანკისშია ეს მთები (უფრო სწორი იქნება, რომ ვთქვათ:
პანკისის თავზეა, ან კიდევ: ივრის სათავეშიაო: ა.შ.), საზარელი სანახავია. იქ გადმო-
ვარდნილა კლდეზედ და იქ დამრჩალა იმისი ლემიც“ R.

მონადირის მარცხი აწერილია კიდევ შემდეგ ნომრებში: 516, 671.

ბ.

ნუ მაკლავ, დამბადებელო, მეგრელათ ფუნჩიასაო!

ჯიკეების პარებაშია კლდისას ჩაჭრია ფხასაო.

სად მიხვალ, შავო ყორანო, სად მიიხულავ მქარსაო?

ვაჟკაცს ნუ გააჯულურებ, წვერ-შამამდინარს ყმასაო!

5 მინდვრით მოსულო ღურბელო, ნუ დაუთოენი მთასაო!

ნუ გაუყინავ, მყინვარო, ფეკზე ნაცვამსა ჯღანსაო!
ნუ ჩაუქდები, მთვარეო, ნუ ჩაუბნელებ გზასაო!
ნუ აუტირებ დედასა, გასათხოვარსა დასაო!

(Rფ 89).

გაგონილი ყოფილა ბეწინა წოწკურაული საგან. ამ ვარიანტიისთვის Rს სათაურად გაუკუბია: „მეგრელათ ფუნჩია. ლოცვა.“

ბ.

შო სიკვილო, ნუ მაჰკლავ მეგრელათ ფუნჩიასაო!
შორით ნუ მოხვალ, ღურბელო, ნუ ჩაუთოენი მთასაო!
ნუ ჩაბძანდები, მთვარეო, ნუ ჩაუბნელებ გზათაო!
გადაპყლია ჯიკვებსა, ჩასჭრია კლდისა ფზასაო.
5 პეროზიაში ჩახედვენ იმის უღვაშთა, თმათაო.
ჩოკის კალთათ წავილებ დედის ერთის ძვალთაო.

(Tფ).

534. სუხუმია (B)

ღექსი ნათქვამი ყოფილა აბიკა წიკლაურის მიერ.

535. წყალში ჩავარდნა და სიკვიდილი (B)

ბ.

რომენ წამახვედ გუროთა, ორმა დაგწერა ჯვარიო;
მესამემ ჯვარი დაგწერა, ეგიც გუროველთ ქალიო.
ცხენმ გიღალატა რემამა, მაცილმ გიქცივა მკარიო.
წყალში ჩაღვარდი, წიქაო, ღმერთო, რა დიდი ბრალიო!
5 ჩაღვარდი, ცოლიც ჩამაგყვა, მზის შუქი, უფლის თვალიო.
ბრალია წიქაისადა, შატილ რო იწვას მკვდარიო!
შატილ დაგჩების ოკრადა თორმეტ ქვიტიკირის კარიო,
კაცთაგან დაუფასები სრუ იარადი, რვალიო.
ნუმც გაჩენილა სიკვიდილი, მემრე ჭალაზე წყალიო!
10 ერთს დას კელშიით დაართვნა თავის ძმაი და ზალიო.

(Th 60).

536. ალაღებულ წყალში დაღუპვა (Sh)

ჩამაწერინა მ გ ე ლ ა ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ მ ა ს. გორულში 23. 6. 1913. ლექსი გულამყარელზეა ნათქვამი, მაგრამ ხვესურის მიერ არის ნათქვამიო. აქ მოხსენებული ადამი გვარად ყოფილა ჩოხელი. — 9 პირქვამც დაიდგმის (შე მიწერია: პირქვამს დაიდგმის) — გადაიქცეს, დაიქცეს; გუბრიანთ კარია] ვარ.: ქუმლიანთ კარია (ჟინვანს ქვემოთ ყოფილა); II ივანე და გაბუშა ადამის მეზობლები ყოფილან; 12 ვეფხვებმ] მიწერია: ვეფხვებ, რაიცა აგრეც შეიძლება გავიგოთ: ვეფხვებრ; 17 ბუჭკიათ ქალია] ადამი ბუჭკიას ბიძაშვილი იყო.

537. საფლავის დაძვრის შედეგი (Sh)

ჩამაწერინა ნ ა დ ი რ ა ა რ ა ბ უ ლ მ ა ჩირდიღში 17. 7. 1911. ლექსი ფშავლის ნათქვამიანო, რაიცა მისი მათქვამობიდანაც ჩანს: „ამაგის მალექსებელი ჩამოღლ ახუნისასა (ვარ.: ახუნ გზისასა), თოფი მამთრეეოვ მოშლილი, ჭახრაკს უკეთებ ხისასა.“ თითქმის ამავე სიტყვებს იმეორებს (ალბათ იგივე ავტორი) მეორე ლექსში, რომელიც ხვესურ ქისტაურზეა ნათქვამი (V, № 26):

ემაგის მოლექსებელი ჩამოვალ ახუთისასა, (ჰო, ასეა!)
თოფი მაქე ჩაშლილ-მოშლილი, ჭახრაკს უკეთებ ხისასა.
ჩარგალელი ვარ, ვინ მიცნობს გამწყრალსა დელ-მამისასა.
ჩემი ამბავი ვიამბოთ, გულს გაჰხეთქს საღის კლდისასა.

5 გუროს ჩამედ, პრიშტაეო] პრისტავი ლებაის-კარში მდგარა მაშინ; II თავზე გაყრიდას ქეიშათა] ვარ.: კისერზე გაყრის ქეიშათა; 12 ბებრისა არწივისასა] იგულისხმება აფშინა.

ლექსი იმაზეა ნათქვამი, რომ გუროელ ხვესურს აფშინას ძმა მოუკლეს (მგონია, კელის წყალზედ რომ შეტაკება ჰქონდა გუროელებსა და შატილიენებს, მაშინ; ამ შეტაკებაზე ნათქვამია ლექსი № 612). მოსულა გამომძიებელი, მოპყოლია ექიმიც. უნდოდათ თურმე მოკლული ამოეღოთ საფლავიდან, მაგრამ აფშინა ძალზე დამდგარა და ნება არ მოუცია საფლავის დაძვრისა. ამიტომ იგი დაუჭერიათ, ციხეში ჩაუდგიათ და იქ მომკვდარა.

538. ტანად დაბალა ვაშკაცი (C)

გავონილი გ ი გ ი ა ჯ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი ს ა გ ა ნ ბარისაკოს. ეს ლექსი გამოთქმულია სულხანაურზე, რომელსაც ეხება №№ 208, 209 და ნაწილობრივ აგრეთვე № 264.

539. დავით წიკლაური (G)

ლექსი ბესარიონის მიერაა ნათქვამი ქისტების ლაშქრობის დროს (ნ. №№ – 135-137).

36 ვა ბრალი ერთისაო] დავითი დედის ერთა ყოფილა. სამი წლისა რომ გამხ-
დარა, დედა-მისი დაქვრივებულა და ობლობით გამოუზრდია; 52 შენაც ხარ დასანანები,
გოგოვ თვრამეტის წლისაო] დავითს ცოლი ჰყოლია, რომელსაც ქმრის სიკვდილის
შემდეგ თოფი დაუკრავს და თავი მოუკლავს.

540. ციხის ნაშალი (Bd)

გ ა ს წ ო რ დ ე ს ზოგიერთ ცალში წასული შეცთობა ბეჭდვისა: 15 ცვედბოდეს]
უნდა: ცვედბოდეს. – 11 ვეშაგნი] გეშაგნი Bd.

ე. ბ ა ლ ი ა უ რ ი ს გადანაწერში შემდეგი ცვლილებანია; 1 ციხის] ციხე; 9
ვინდაც ი] ვინდაცა; 11 ვეშაგნი] გეშაგნი (როგორც Bds ხელნაწერში); 12 პატარან]
კოტანი; 19 სწვდებიან] სწვდებოდეს; 21 გლაჯენ იქნან] გლაჯენი ქნან (Bds გაურკვე-
ლად აქვს დაწერილი: ისეც შეიძლება წაიკითხოთ და ასეც); 23 სხაპნ იქნან] სხაპნი
ქნან (Bds-საც ასე უწერია); 30 ბეკენ-გორ] ბეკენ-გორ; 36 რამდენჯერ] რამდენჯერ.

ბ.

მიამბე, ციხის ნაშალი: დრო რა გაქვ გამავლილიო?

ვისაგან ანაგები ხარ, ვისაგან ჩამაშლილიო?

ციხემ თქვა ერთი სიტყვაი ძალიან გასაკვირიო:

შალეიკოს აგებული ორ, რკინის ჩამიდვა ძირიო.

5 კმლის ქნევა, ფარის ფარება მე ბევრი გამოძვილიო.

ჩემი კალთა და ფერდები სრუ სისხლით ჩამასვრილიო.

შამობითვლიან ციხესა: „ნუმც მოგერევა მზირიო!“

ცოტინან იყენეს კევსურნი, მაგრამ არ იყენეს ცუდანნი.

ჩამოდოდეს ციხესა ნაგლეჯნი მაკრატლისანი.

10 სახმთომა გუდანის ჯვარმა ყმან შაიცვალნა ვითანი!

იქვე გადაჯდა ლურჯასა, შხაპნ იქნეს მათრაკისანი.

კოპალამ კარატიონმა ქოთან რა უყენა ქვისანი?

დაოქროილნი კოჭობნი, დავსილნი ნავთის წყლიანნი?

(Bd).

541. შურის ციხე (C)

5 სათოფენია] სათოხენია C; 14 ზგელია] სქელია C; 25 არიშაული] არეშაული C;

41 დამდებელია] დამდებელია C; 43 შალგევხარ] მოსალოდნელი იყო: შალგვიხარ. –

გ ა ს წ ო რ დ ე ს შეტომა ბეჭდვისა: 39-ე მუხლში მძიმე წაიშალოს სუმელჯის შემდეგ და იმის წინ დაისვას, ასე: „ვინაც რო დარჩეს, სუმელჯის უქსენეს მამის ყელია.“

ავტორად დასახელებულია პატარა ქვესურიშვილი, მაგრამ არ კი ვიცი, ვინ უნდა იყოს. ა ლ ე ქ ს ი ო ჩ ი ა უ რ ი კ ი არის ცნობილი პატარა ქვესურის სახელით, მაგრამ მის მიერ გადმოცემულ კრებულში ეს ლექსი არაა შეტანილი და არც უნდა იყოს მისი. B ა მ ლექსის შესახებ ამბობს, ძველებურიანო.

თქმულება იმის შესახებ, რომ ოქროს შიბი ება ალვის ხეს (მმ. 7-9), გავრცელებულია: იგი ლაშარის ჯვარზედაც გამოგონია ჯორქში 1908 წ. გ ი გ ი ა ხ უ ც უ რ ა უ ლ ი ს ა გ ა ნ და ლექსებიც მოიპოვება, სადაც ოღონდ მუხა არის ალვის ხის ნაცვლად (მაგ. X 13: „ბებერსა ლაშარის ჯვარსა კმელ-გორზედ ედგა ბერ-მუხა, წვერს ება შიბი ოქროსი, ზეცას წავიდექს კიბითა“ და სხვა). ხის მოჭრა, ოქროს შიბის ხელში ჩადგების მიზნით, აქ ლაშქარს მიეწერება (მაგრამ არაა ნათქვამი, თუ ვისი იყო). ფშაურ პარაღელში (ლაშარის მუხის შესახებ) სულ-კრული (ან სულ-ძაღლი) ერისთვის-შვილია მოხსენებული (ჩვეულებრივ ასლა ზურაბად გაგებული). ხევესურულ ლექსში თუ ხის მოჭრას დუღელი არიშაული ასწავლის, სამაგიეროდ ლაშარის მუხის მოჭრას, გ. ხ უ ც უ რ ა უ ლ ი ს სიტყვით, აფციაური ასწავლის: კატა მოიყვანეთ, ხელ-უკუღმა დაკალით, იმისი სისხლი ხეს მოსცხეთ და მაშინ-ღა მოიჭრებაო. მაგრამ, როგორც აქ, ისე ლაშარის ჯვრის თქმულებაში, ოქროს შიბი წაქცეულმა ხემ ვითომც ძირს კი ვერ ჩამოიტანა, არამედ ცისკენ წავიდა მსუილ-მსუილითაო.

B C ს ასეთი შენიშვნა მოეპოვება კმაღას შესახებ: „ბარისაქოს კმაღაში იდგა თამარ დედუფლის აშენებული საყდარი. იმ საყდრისაგან აშენდა ქვით: სკოლა, მღღლის სახლი, კანცარალია¹, ისრეც კმაღაში საყდარი². ალვის ხე მდგარა, ზონთქარს მოუჭრავ. პირდაპირ სამ ციხე მდგარა. იმ ალვის ხეს ერთი ციხე დაუშლავ. ფათოლი წყალს წაუტანავის, ქალაქში მიუღავ. იქით სომეხი წამოსულა: ეს ხე სად არისავ? მირივინან ქოთანნი შიგ შაუნხავ. თამარ დედუფალს წინავ მღღლებს მირიონი(ი) იქით უღავის. შურის ციხე ზონთქარს დაუშლავის. ციხე ქუღნოლას მდგარა. სამი ციხე ვერა მტერს ვერ გაუტეხავის, – მირგვალთ თხრილი მოზღენია. დღესაც მოუღის თხრილები. შიგ წყალი მდგარა. სოფელს უზიდავ წყალი, გაუვსავ თხრილები. ერთხან ღამით მისულა ჯარი. სრუ წყალში დაძრჩავლა. მესამედ დაიწვა.“

ბ.

კვირავ დაღამებადა მთას გადავიდეს მზენიო,
გაწირეს შურის ციხეი. სიმაგრე უწინდელიო,
უწინ რომ მდგარან ციხენი, ცას მიზღენია წვერიო.

¹ იგულისხმება ძველი სკოლა და კანცელარია და არა ის, რომელიც 1928/29 წელს ააგეს.

² ეს საყდარი ამჟამად სკოლადაა გადაკეთებული (მაშასადამე, კმაღა ის ადგილი ყოფილა, სადაც ახალი სკოლაა. ძველი სკოლა კი უკვე 1911 წელს დანგრეული დამხვდა).

- ვინ-რა აგაგა, ტიალო, ვინ-რა მაგაბა წვერიო?!
- 5 ამ ციხის აგებაშია თორმეტ მაუნდა წელიო.
თორმეტ მაუნდა ხუროი, ცამეტ ქვის სამტვრევ კვერიო.
რომ შაგასრულეს, ციხეო, რომე მაგაბეს წვერიო,
ქვეისბერს აკურთხებიეს (მაშინ არ იყვა მღვდელიო),
კარიც რკინისა შაგაბეს, დახედულ მშვენიერიო.
-
- 10 პირდაპირ არსებს კმალო, — სალოცავია ჩემიო.
ვერ დამდინარა ქალ-ზალი, მდგარან შიგ ალვის ხენიო.
ხეთ მაზდენია მირონი, ძირში ზღვომია ქვეერიო.
მიწი-მიწ ხქონდა დარანი, წყაროზედ ჩასასვლელიო.
წვერშიგი გადამაშობილი შიბი ცხრა-კეცი, გძელიო.
- 15 შიბი დაწყდა და წავიდა, წიოდა როგორც გველიო.
ხეს არ მაშორდა ნათოზი, ქრისტევე, ძალათა შენიო.
ერთი ეტანა ღულელი, ალიშაური ბერიო.
იმან ასწავლა წამალი, ალვისხის მოსაჭრელიო:
„თქვენ მაიყვანეთ კატაი, ხის ძირზედ დასაკვლელიო.“
- 20 ალვის ხენ სისხლით დანათლნეს, ეგ უფრო საკვირველია.
ალვის ხენ გადააქცივნეს, პირდაპირ დაძრნა კლდენიო.
ხენ ერთიანად წაილნეს, — ძირ არ გაწირეს, წვერიო.
სუმელჯის მისცეს თებლაკი, ვადაზედ შასამბელიო.
ჩვენთა ციხეთა სიმაგრეთ ამაშინ ასქდა ფერიო.

(Bd).

ბ.

- კვირაე დაღამებადა მთას გარდავიდეს მზენია,
გაწირეს შურის ციხეი, საცა სიმაგრე ძველია,
უწინ რომ მდგარან ციხენი, ცას მისდენია წვერია.
წვერში ხქონიან ჩარდახნი, გვერდებზე სათოფენიო,
- 5 ჩარდახთი(თ) გარდატეული შიბი ცხრა-კეცი გძელიო.
პირდაპირ კმალა ხქონია, სალოცავია ჩვენიო.
ვერ დამდინარა ქალ-ვაჟი, შიგ მდგარან მირვნის ხენიო.
ბევრჯელ დაღისტან მავიდა, ვერ გაძრა საძირკველიო;
ბევრჯელ მოვიდა ზურაბი, წავიდა ცალიერია.
- 10 ერთი ღულელიც ეტანა, ალიშაური ბერიო.
სახელს სუმელჯის ეტყვიან, ადრეზში ეგრე სწერია.
მაში(ნ) სუმელჯის ზურაბი ადვილა შაუცდენიო.

ზურაბმ საჩუქარ უბოძეა, ოქრო-ვერცხლ რამოდენით.
ერთი უბოძეა თემლაკი, ვადაზე მასამბელიო.

- 15 სუმელჯამ წამალ ასწავლა ალვისხის მოსაჭრელია:
„თქვენ მოიყვანეთ კატაი ხის ძირზედ დასაკვლელიო.“
ხენი დანათლენეს სისხლითა, ეგ უფრო საკურველია.
ცულმა ალვის ხე არ გაჭრა, ქრისტეც, ძალა თუ შენია.

(Ba).

ე. ბ ა ლ ი ა უ რ ი ც დ ი ლ ა, რომ ეს ორი ვარიანტი (ბ და გ) შეეერთებინა და ერთი რედაქცია მოეცა. გ 12 („მაში სუმელჯის ზურაბი ადვილა შაუცდენით“) აქ ასე იკითხება: „მაშინ სუმელჯა ზურაბსა“ და შემდგომი. ოღონდ არ ვიცი, საიდანაა მოტანილი სულ ბოლოს ეს მუხლი: „მაშინ დალუპეს ჩვენ ჯარი, ეგ უფრო სანატრელია.“

დ.

- კვირაე დაღამებდა მას გადავიდეს მზენია,
გაწირეს შურის ციხეი. სიმაგრე იყო ძველია.
ვისაგან აგებულყო, ანდრეზ არ არი ძველია.
ვგონებ ბერძენებული სქვიან, კელ სქონდა საკვირველია.
- 5 ამაგის აგებაშია თორმეტ მაუნდა წელია.
ოცი მაუნდა ქაჩალი, ორმოც ქვის სამტკრევე კვერია.
რო დაგასრულეს, ციხეო, კარი შაგაბეს სქელია.
კევის ბერს აკურთხებოეს (მაშინ არ იყო მღვდელია).
შამაგითვალეს: „ციხეო, ვერმც მოგერევის მტერია!“
- 10 ბევრამ გებრძოლა, ციხეო, ვერ დაძრა ლიბუ შენია.
ზურაბმა ერისთვიშვილმა ვერ შაგიცვალა ფერია,
ბევრჯერ მოლალა ჯარები, დაბრუნდა ცალიერია.
ქრისტიანობის წესზედა კარს ედგეს ალვის ხენია.
ციდან გადმოშობილი შობი ცხრა-კეცი გრძელია.
- 15 მაგას ჩამოსდის მირონი, ძირს უღვა დიდი ქვევრია.
სულ რო ალვის ხე არ მოსჭრა, ეგ უფრო საკვირველია.
ღულელი რაიმ ყოფილა, ალიშაური ბერია.
სუმელჯიმ წამალ ასწავლა, ალვის ხეთ მოსაჭრელია:
„თქვენ მაიყვანეთ ციცი ციხის ძირს დასაკვლელია.“
- 20 სუმელჯის თემლაკ აჩუქეს, კმლის ვადათ შესამბელია.
ერთი საკედარ აჩუქეს, ბაგაზე დასამბელია.
როსაც დანათლეს ალვის ხე, მაშინ ახკადეს ფერია.
რო წამაიტქეს ალვის ხე(ნ), ციხეს გაღლიჯეს წვერია.
შბ გაწყდა, ცისკე წაივდა, იწივლა როგორც გველია.

25 თან გაიყოლა ალვის ხე, ძირ არ გასწირა, წვერია.
ის ღულელს სულ ამოსწყვიტნა, წერილში ვერე სწერია.

(Th 201).

1 მთას] მთად Th; 9 ვერმც] ვინც Th; 15 უღვა] უნდა Th.

542. იაკსარი (Gi)

სიმღერე გავრცელებულია როგორც ხეესურეთში, ისე, განსაკუთრებით, ფშავეში. იაკსარი სალოტავია როგორც ხეესურებისა, ისე ფშაველებისა. იაკსრობა, რომელიც რამოდენიმე დღეს გრძელდება, უმთავრესად შუაფხოში იცინან. მე დავესწარ ამ დღესასწაულს 1911 წ. შუაფხოში. დაიწყო 7 ივლისს, ხუთშაბათს. ხატს თავისი მამულები ჰქონდა ბარში, რომელსაც ფშაველები ხნავდნენ და ღვინოც მოჰყავდათ. იმ დროსთვის მოეტანათ ხატის მამულიდან ერთი საპალნე ღვინო (საპალნე ფშავეში 31 ჩაფია). ქვევრი, რომელიც ერთ საპალნეს იტევესო, კლდეშია ამოჭრილი და ხატობამდე ხელ-უხლებელიაო, მითხრეს. წინათ საშობაოდაც მოჰქონდათ ღვინო, ახლა კი არაო, დასძინეს. მეორე დღეს, შუაფხოშივე, საყენო ღვინოს სვამდენ: აავსებდენ დიდ თასს ღვინით, ჩაადებდენ შიგ ფულს, ვისაც რამდენი უნდოდა, ადღებდებოდა ვისმე ან სულს მოიხსენიებდა იმისას, ვინც უნდოდა და შემდეგ დაეწაფებოდა ღვინოს. ზოგი ცოტას მოსვამდა, ზოგი კი, ვისაც შეეძლო, სულ შესვამდა. ხელშიც კი არ აიღებდა ზოგიერთი: დასწვდებოდა მიწაზე, ჩარგავდა თასში სახეს და ისე სვამდა. თანაც ამ დღეს დაბახი დადგეს და ვისაც თოფი და პატრონა ჰქონდა, ესროდა. ზოგმა მორატყა დაბახს. შედეგად ერთმა მანეთი აიღო, ერთმა კი ქალმან-წინდა. მეორე დღეს, ცხრა ივლისს, შუადღემდი ხალხი იქვე შეექცეოდა სმა-ჭამას და ქიფეს. ნაშუადღევს კი გაუმართა მარცხენა კარატიისაკენ (რომელიც არაგვის მარცხენა მხარეს იმყოფება, მთაზე). იქ ორი დაბალი სამრეკლოა, რომლებიც ძროხებს თავის ბინად გაეხადათ. ხალხი ბლომად იყო მოგროვილი. დააბეს ფერხული (ფერკისა). ესროდენ დაბახსაც. ვერაინ მორატყა. შემდეგ ხალხმა ერთად მოიყარა თავი, შუაზე დაასვენეს იაკსრის ხატი,¹ გამართეს ფერკისა და ცეკვა-თამაში. რომ ითამაშებდენ, შემდეგ იაკსრის სასარგებლოდ ვერცხლის თასში ფულს ავლებდენ. ამნაირად შეგროვდა 15 მან. 50 კ. ამ ფულს ეძახდენ შაბაშის ფულს. შაბაშის ფულს, ისე როგორც საკლავების შემოსავალს, სამ ნაწილად ყოფენო: ერთი ეკვისბრისაა, მეორე მღვდელ-ღიაკნისა, და მესამეც ეკლესიისაო. შაბაშის ფულს და საყენოს ყველგან კრეფენ ხატობაშიო, მითხრეს.

ერთი ნიში იაკსრისა ერწოელ ხეესურებსაც აქვთ ტოლათ-სოფელში.

ორი მუხლი ა ვარიანტისა (მ. 35 შვიდ-კეცი მათრაქისა და მ. 40 შუა ზღვას სამანის ჩადგმის შესახებ) მოიპოვება კოსმოგონიურ ლექსში, რომელიც უფრო ფშავეშია გავრცელებული (მაგ. Th 19 და A, აკაკის თეოური კრებული, 1900, № 2).

¹ გამოუცდლობის გამო დღიურში არაფერი მქონია შეტანილი ხატის აღწერილობის შესახებ.

- ხთის კარზედ შავიყარენით ხთიშვილნი ყველა მკრისაო.
გარმადგეს სასწორ-ჩარეჟი. „კვირაჲ, დაუგი თვალიო!“
ეუბნებოდეს ერთუცსა: „აიტიანს იაკსარიო.“
5 გარდავქედ, ღმერთსა შავსთხოვე: „ღმერთო, შენგან მაქვ ძალიო.“
მაშავე შორიგემ ღმერთმა გარმამიშეტა სამიო.
ავსწიე სასწორ-ჩარეჟსა, ძირს გავადინე ქარიო.

- შაიყრბოდის დევები, საცა ღიდ მიედანიო.
გაარიგებენ იმასა: „ერთუცს უჭირათ მქარიო,
ხთიშვილთ მუკლათ კოპალა, თავშიე დაუცნათ ქვანიო.“
10 ეგ რო გაიგეს ხთიშვილთა, წალაღეს იაკსარიო.
დევებს ხქონიყვა ქორწილი, ეჩქეიფა სიმურ წყალიო.
ცხრა-თავ ხყოლიყო დედაი, ცხრათ შვილთ გამშდელი ქალიო.
თავს ეღვა სალულე ქობი, მე იმან შამდვა ზარიო.
მაველი-ღ' იმას ამბობენ: „რას იქამს იაკსარიო?“
15 დამცხვენდა, ისევე დაებრუნდი, გამაუცვალე ფაბიო.
საქმისკრით ლახტი ჩავღრიე, ზედ გამავხურე ბანიო.
გამამივარდის ერთაი, რომენიც ძალიანიო.
საგმირო გამაეიმადლე, კლდეს მამიტოლა ტანიო.
კლდე ოთხად დაენაფოტე, დევეს წამავსთხარე თვალიო.
20 კარგად სცოდნიყენეს ვოქერსა აბულელაურ ტბანიო.
დევი ჩავიდა შორეეში, მე ჩავხყე იაკსარიო.
ჩავედა-ღ' ველარ ამავედ, – სისხლზედ ჩამებნეს მქარნიო.
ოთხს წელს იძიეს ჩემ ყმათა ოთხ-რქა, ოთხ-ყური ცხვარიოო.
მაიყვანეს და დამაკლეს: „იაკსარო, აქსნენ მქარნიო.“
25 შამავეჯედ ბროლის ქვაზედა, შამაეიჭუჭკენ თბენიო.
ჩავხენე ჩემსა ნაჯდომსა, იყენეს წითელნი ქვანიო.

–
აქით რომ კარატემდინა თოკე-შიბი გასავალიო,
მე ეგრე გავიარიდი, ვერ მაკიდიან თვალიო.

- ღივის გორ ციხეს აგებენ დევები ცხრანი მძანიო,
30 ეზიდებთან ერთ ქვასა, – „უნდ დავდვათ კარის თვიო.“
ავსწი, ავილი მარტომა, დაუდევ კარის თვიო.
ერთმანეთს ეუბნებიან: „ეს ჩვენზედ ძალიანიო.“

–
პირდაპირ ჩამამდგომიყვა თამარი დედუფალიო.

- 35 ამაგის მალექსებელი აღვანში თუშის ქალიო.
სალექსოდ გამამიგზაუნეთ კვამლის შიშაგი ცხვარიო.
(Dj).

4 შავსთხოე] შავსდხოე Dj; 8 გაარიგებენ] გარიგებენ Dj; 18 საგმირო] საგმისო Dj; 26 ნაჯღომსა] ნაღღომსა Dj; 28 მე ვერე] მევერე Dj.
მათქამობა, რომელიც მხოლოდ ორს (ა და ბ) ვარიანტშია, ახალ-დანართი უნდა იყოს.

ბ.

- ღთის კარზე შვიყარენით სამოც-და-სამი ხატია.
გამოჩნდა სასწორ-ჩარეჟი. „კვირაჲ, დაგვიგე თვალია!“
მაჲ და ეზიდებოდა, ვინც უფრო ძალიანია.
ხუთი მე უთხარ კვირასა, გარდამამიშეტა სამია.
- 5 სამოც ლიტრასა რკინასა ქვეშ გაუტარე ქარია.
ღვეებს ხქონიყვა ქორწილი, ეჩქიფა სიმურ წყალია.
ცხრა-თავი ღედა ხყოლიყო, ცხრა-თავ გამზღელი შვილთ იყო.
თავს ედგა სალულე ქობი, რა ძნელი სანახავია!
- 10 ანგელოზნ ეუბნებოდენ: „იაკსარმ რა ქნის ისია?“
მეებრუნდი, დაშინებულმა ლახტს გამუცვალე ჟამია,
ირმულად ჩამავეპარე, ზედ დავაქციე ბანია.
ერთი ისივაც გამექცა, აღარ უბრუნე თავია,
საგმირო წამაუქადლე, კლდეს მათფარა თავია.
- 15 კლდე სამად გავაგლეჯინე, ერთ გამოვსთხარე თვალია.
იმასაც კარგა სცოდნიყვა აბელაურის ტბანია.
მიველ და მეაც თან ჩავხყევ, მე, თვითონ იაკსარია,
ჩავედ და ვეღარ ამოვედ, — სისხლით დამებნეს მქარნია.
- 20 ჩემ ყმათაც კარგა იძივეს ოთხ-რქა, ოთხ-ყურა ცხვარია,
მაოყანეს და ჩამოკლეს, ღმერთო, დასწირე ჯვარია!
წინ-წინ რო კლდეზე შამაკე, შამოვიბერტყენ მქარნია.
პირ-წაღმა შამაუტრიალდი, გამასახვიყო ჯვარია.
„ღმერთო, შენ მამეც შაძლება, შენვე ამიქსენ მქარნია!“
მანდით კარატეს ამოვედ, მანდ დავაქუჩენ ყმანია.
- 25 ლახტ ზელა შამამიკიდეთ ჩემი ბატარა ზარია.
დავხკრა და აკადს წამოდგეს ჩემი პირქუშის ყმანია.

(R 38, გ ი ო რ გ ი ხ ი მ ი კ ა უ რ ი ს ა გ ა ნ გაგონილი).

5 ქვეშ გაუტარე ქარია „ვითომ აეწიო“ R; 6 სიმურ წყალია „დალისტანშა ეს მდინარე“ R; 8 სალუდე ქობი „სალუდე ქობი სპილენძისა, შაქრის თავივით მოყვანილი, ხოლო განიერი პირი ზევით არი და ძირი მწვეტია, რომ ალაო აღარ დაიკრას ძირზე, 2–3 არშინამდე სიმაღლე აქვს, 5 კოდზე მეტი იხარშება შიგა“ R; 10 იაქსარ რა ქნის ისია „ვითომ რად შეშინდაო“ R; 16 აბელაურის ტბანია „მე ეს ტბა არ ვიცი. ფშაურ ვარიანტში ბაზალეურნია“ R; 19 ოთხ-ყურა ცხვარია „რაკი წაბილწა დევების სისხლით, ახლა ოთხ-რქა, ოთხ-ყურა ცხვარი-ლა განათლაუდა“ R; 22 გამასახვიყო ჯვარია „ჩემს ნადგომზე ჯვრის სახე გამოიხატაო“ R.

დ.

- ხთის კარზედ შევიყარენით ხთის ნაბადებნი დილითა.
ბძანება გამოგვივიდა მამა უფლისა პირითა.
დაგვიდგა სასწორ-ჩარეკი, ჩვენ ცდა ეწადა იმითა.
რანიც არიან ხთის შვილნი, სულ ჩემზედ აქვის თვალიო.
- 5 მაგრამ ქვენათით გადმოვექედ საბრალო იაქსარიო.
„მაგას იაქსარ აიღებს, — ეგ უფრო ფალაუანია.“
მივედ, ავსწიო სასწორსა, „ღმერთო, მიჭირე მქარიო!“
თორმეტსა ლიტრას რკინასა ქვეშ გაუვლიე ქარიო.
-
- დევთა ჰქონიყო ქორწილი, ერქვიფა დიდი წყალიო.
10 მივედ და გამამბრუნეს, ფინთი ჰქონიყო ზავიო.
მოვედ. ამბობდეს ხთის შვილნი: „რას იქამს იაქსარიო?“
შამცხვა და ისეე გაებრუნდი, გამაუცვალე ჟამიო,
საკმისას ლახტი ვესროლე, თავს დაეაქციე ბანიო.
ცხრა-თავი დედა ჰყოლიყო, ცხრათ შვილთ გამოზღელი არიო.
- 15 ცხრანიე იმაში დაეკოცენ, ვადინე სისხლის წყალიო.
ერთი კი გადმომიფრინდა, კლდეს მამიფარა თავიო.
კლდე სამად დავანაფოტე, დეეს გამოვსთხარე თვალიო.
იმ დეესაც კარგა სცოდნიყო აბუზალეთის ტბანიო.
დევი იმაში ჩავიდა, თან ჩავყვე იაქსარიო.
- 20 ჩავედ და ვეღარ ამოვედ, სისხ(ლ)მ გამბიანა მქარიო.
ჩემი ყმან ატირდეს ცხარე ცრუმლითა:
„აქ რომ იაქსარ ჩავიდა, ღმერთო, დასწერე ჯვარიო!“
სამ სისკარს წალმა ვილოცე, დაემართენ შარა გზანიო.
ამოვედ, ამოვიწივე, ამოვიბურტყენ მქარიო.
- 25 აონ-გორს შემამიკიდეთ წმიდის გიორგის ზარიო.
დაეკრა, ქმა აკადს მივიდეს, პირს დაიწერონ ჯვარიო.

ჩამიწერა 2. 7. 1911. ს. აკადში ქერჩო (ელიზბარ) გოდერძაულმა, ქვეის-ბერმა. რომელმაც ამას სათაურიც კი გაუკეთა: „ნიშების ლექსი.“ – ქერჩო ხშირად ხმოვნებს არ წერს, მაგრამ აქ ხმოვნები სულ აღდგენილია, მაგალითად: ცდ ეწღ=ცდა ეწადა. მ. 3; აქეს=აქვის, მ. 4; მაგრმ ქვენთით გადმოვხდ საბრალო იახსრო=მაგრამ ქვენათით გადმოვქედ საბრალო იაქსარიო, მ. 5 (ქერჩო ამ სიტყვას ხანდახან კარითაც წერს: იაქსრ=იაქსარ, მ. 6); იმში ჩვიდა=იმამი ჩავიდა, მ. 19; ჩევედა-ჩავედ და, მ. 20; სმ სისკრს=სამ სისკარს, მ. 23; ღვეკრ ხმ ახღს=ღავეკრა, კმა აკადს, მ. 26 და მისთანანი. ამიტომ მის მიერ შეკფიოდ გამოყვანილი: „სიხმ გამიბანა მხარნიო“, მ. 20, თითქო შეცთომაა, ნაცვლად ამისა: „სისხმა გამიბნა (და არა: „გამიბანა“) მქარნიო“, როგორც სხვა ვარიანტებში იკითხება, მაგრამ აღარ ვახლე ხელი.

ხმოვნების აღდგენის დროს ზ უ რ ა ბ ზ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ს ა გ ა ნ გ ა გონილ ვარი-ანტსაც ვაქცევდი ყურადღებას.

იმვე აკადში იმავე დღეს ეგვე ლექსი ჩავიწერე ზ უ რ ა ბ ზ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ს ა გ ა ნ, რომელმაც თითქმის ისე მიაბზო, როგორც ქერჩო ხევისბერს ჰქონდა ჩანაწერი. მცირეოდენი განსხვავებანი: 1 შევიყარენით) შავიყარენით; 2 მამა უფლისა) დამბადებელის (პირველად ზელაშვილმაც „მამა უფლისა“ თქვა); 4 სულ ჩემზედ აქვის) სუ ჩემზედა აქვთ; 7 ავსწიო) ავსწიე; 9 ღიდი) სიმურ; 12 ისეც) იქავ; ცხრათ შვილთ გამზღელი არიო) ცხრათ შვილთა გამამზღელიო (ასე თქვა პირველად, შემდეგ ქერჩოსავით გადა-ასწორა); 16 გაღმომიფირინდა) გაღამიფირინდა; 19 ჩავიდა) ჩავარდა; 20 სისხლმ გამიბანა მქარნია) სისხლით გამებნეს მქარნიო; 23 წალმა) წალმე; 25 შემამიკიდეთ) შამამიკიდეს; ამას გარდა, ზ. ხ ე ლ ა შ ვ ი ლ მ ა მე-20 მუხლს შემდეგ ეს ჩაურთო:

მოიღეს, ჩამამაჯოცეს ოთხ-რქა, ოთხ-ყურა ცხვარიო.

მ.

(პირველად ღმერთი ვაკსენოთ), მეძრე ბატონი ჩვენია.

—

ღვთის კარზედა შავიყარენით 63 ხვთის შვილი,
გადმოღგ(ეს) სასწორ-ჩარექი,...
თორმეტ(სა) ლიტრა რკინა(სა...

- 5 მე ხუთი ვთხოვე იმასა,...
ავიღე, ისრე ავსწიე...
ხუთმეტსა ლიტრა რკინასა...

ღვეებსა ჰქონდა ქორწილი წვიმურ წყალიო.
ცხრა თა(ვი) დედა ჰყოლიყო, ცხრა(თ) შვილ(თ) გამზღელი (არიო).
10 და (გა)მომაბრუნეს, ისი დამღვეს ფერიო.
რომ მიველო, მე დამცინოდენ: „რას იქამსო იაქსარიო?“

და ისრიე დაებრუნდი, გამოუცვალე ჟამიო.

საკემისას ლახტი ვესროლე, თავს დაეპყციე (ბანიო).

ის ისრიე გამოძივარდა,

- 15 არალო და ვარალა(ლო), გამოვიდა რთოსაკინო.
კლდეს მამიფარა თავიო.

კლდე ოთხად გაეანაფოტე, დევს გამოვთხარე თვალაიო.

იმათაც კარგად ცოდნიყენეს აბუზალეთის ტბანიო.

გამეცქა და შიგ ჩაგვივარდა, თან ჩაყვეე იაკსარიო.

- 20 ჩაყვეე და ვერა ამოვკედ, სისხლის გამებნეს მქარნიო.
ჩემს ყმათაც კარგა ცოდნიყ.. ოთხ-(რქა, ოთხ-ყურა) ცხვარიო.
გაიყვანეს, სხვაგან ჩამოკლეს, „ღმერთო, დასწერე ჯვარიო.“
ქალი თამარი მეფე მობრძანდა, ისიც ქმალაიო.
შემოვკეო ბროლის ქვაზედა, შემოვიბერტყენ მქარნიო.

- 25 წამო(ე)ბრძანდი და დაეხედე, სულ ჭრელნი დარჩენ ქვანიო.
ავის გორზე შამომიკიდე(ს?) ჩემი ბატარა ზარიო.
რომ დაკრან, აკადს გაეარდეს, პირს დაიწერონ ჯვარიო.
ლოცვა-წირვა წინ(?) ჩემის პირ-ქუმის ყმანიო.

—

ამასა, ძმანო, გელასა, ჭიქა ეკიდის ყველასა.

- 30 გამოთქე(ამს), მაყურებელსა ჯვარი ეწეროს ყველასა!

—

გაუმარჯოს! გაუმარჯოს, გაუმარჯოს!

(Sh).

ეს „სიმღერე“ მე თამარ-ნუფის ხატობაში ჩაეწერე ფერკისის დროს 5. 7. 1911 (სამშაბათს). საქმე ასე იყო: ხალხური ლექსების ჩაწერის საქმე არ მიმდიოდა წინ. მე უკმაყოფილო ვიყავ და ხალხს შევსჩიეღე. თანაც დავსძინე: აი მე გეტყვით ლაშარის ლექსს და სირცხვილი თქვენი, რომ თქვენ არას მეუბნებით-მეთქი. წაეუკითხე ლეგენდა ლაშარის ოქროს შიბიანი მუხის მოჭრის შესახებ, რომელიც 1908 წელს მქონდა კორკში გ. ხ უ ც უ რ ა უ ლ ი ს ა გ ა ნ გაგონილი და შემდეგში გაღუქმილი. ისე მოეწონათ ეს ლექსი, რომლის შინაარსიც ყველამ კარგად იცოდა, რომ ერთბაშად ნდობა მოვიპოვე და ხევისბერმა დ ა რ ჩ ი ა მ ი ს რ ი ა შ ვ ი ლ მ ა¹ მიჰმართა იქ მყოფთ: „მოდით,

¹ ეს ის დარჩიანაა, რომელმაც თამარ-ნუფისა და ლაშარის ნიში ჩაიტანა იორზე, რის გამოც მლოცველები დააკლდა (და ამით შემოსაყალიბ შეუძლირდა) ამ სალოცავებს არაგვის ხეობაში. ამაზეა ნათქვამი:

ნუმ გასჩენიხარ დედასა, შე მისრიათ დარჩიანო!

თამარ-ნუფე და ლაშარი ჩაიტანე ბარჩიანო. და სხვა.

ფერქისა ეუძახოთ ამ იმერელს“¹ა. წამსვე ხალხი გაიპო ორ რიგად. მე ჩავდეგი შუაში, მოვიმარჯვე უბის წიგნი და ფანქარი და შევეუდეგი წერას. იწყებდა ერთი, ამბობდა სიტყვებს, სხვები კი ბანს ეუბნებოდნენ. როცა ერთ მუხლს გაათავებდნენ, მეორე რიგი შეენაცვლებოდა იმავე წესით და თუ პირველად სიტყვებს კარგად ვერ გავიგონებდი, მეორედ თქმის დროს შევასწორებდი. ამრიგად ჩავწერე მთელი ფერქისა, მაგრამ ზოგიერთი მუხლის ჩაწერა მაინც ვერ მოვასწარი. ამის გამო აქა-იქ ხარვეზებია და ცუდად ჩანაწერი ფორმებიც. სამწუხაროდ, არ ჩამიწერია თავის დროზე, თუ ვინ იყვნენ სიტყვების მოქმელები ორსავე გუნდში. აღვნიშნოთ მეთაური პირველი გუნდისა M ასოთი, მეორისა კი Nით – ვარიანტები Nისა: 1 ბატონი] გამჩენი N; 3 ლიტრა] ფუთ(სა?) N; 8 ქორწილი] ყრილობა N; 15 და ვარალა(ლო)] ჩვენო ბატონო N; 18 ახუხალეთის] ახულაღეთის N; 20 ვერა] ველარ N; 25 და დავხედე] გამოვექანე N; ავის გორზე] თავის(?) გორზე N.

ცხადია ჩაწერის პირობათა თავისებურობის გამო, შეცთომება დაშვებული, რომელთაც არ მოვერიდე და აქაც შემოვიტანე, აღვნიშნავ მხოლოდ, რომ: 8 წვიმურ] არა მგონია ეს ეთქვას ან Mს, ან Nს, – ალბათ „სიმურ“ იყო და მე „წვიმურ“ მომეჩვენა; 15 რთოსაკნო] რაღაც ამგვარი მიწერია უბის წიგნში, მაგრამ ამ წუთში არაფერი მომდის თავში ისეთი, რომ ცუდად ჩაწერილი ადგილი გადავასწორო; 26 ავის გორზე] მისაგან ასე გამოგონია: ავედ გორზე, Nისაგან კი: თავის (?); 27 აკადს] მიწერია: აქაც; 28 ლოცვა-წირვა წინ] ალბათ ასე თქვეს: ლოცვა-წირვაზე; 29 ამასა] ალბათ „ელასა“ თქვეს; ეკიდის ყველასა] ალბათ: „ყველასა“ უნდა.

15 რალო და ვარალალო...] ეს რეფერენია, რომელიც იშვიათად იყო ხმარებული ამ სიმღერებში. სამაგიეროდ ხუმარისა და ბიჭურის ლექსში, რომელიც კარატეში დაიძახეს 10.7.1911. რეფერენი უფრო ხშირი იყო. – თავში დასაწყისი სიტყვები (ფრჩხილებში რომაა ჩასმული) აღდგენილია Rის შენიშვნის მიხედვით: როგორც იგი ამბობს, ასე იწყებენ ფერქისას ფშავშიო (ნ. № 62, შნშ.; აგრეთვე Bu, № 11).

ეს შენიშვნები და შესწორებანი, რა თქმა უნდა, მთლად ვერ ამოსწურავს ტექსტის აღდგენის საკითხს. მაგრამ ამ სახითაც ეს მასალა მეტად ძვირფასია, რადგანაც იგი ჩაწერილია „სიმღერის“ ბუნებრივ პირობებში, როცა სიტყვებთან შეერთებული იყო გალობა და პლასტიკური მოძრაობანი.

3.

ხვთის კარზე შავიყარენით სამოცდასამი ხთისშვილი,
გადმოჰდგეს სასწორ-ჩარეკი, კვირავ, გვიჭირე თვალია.
ერთმანეთს ეუბნებიან: „ვინ უფრო ძალიანია?“

¹ იმერელი ზოგადი გაგებით, ე.ი. ლიხის მთას გადაღმევი.

ვერვინ შამბელა რკინასა, მიბძანდა იაკსარია.
5 სამოც-სამ ლიტრა რკინასა ძირს გაუტარა ქარია.

—

შაიყრებიან ღვეები, სადაც ღიდ მიედანია.
ცხრა-თავი ღელა პყოლიათ, ცხრა ღვეთ გამზღელი არია.
ერთმანეთს ეუბნებიან: „რას გვიზამს იაკსარია?“
ის რო იაკსარმ გაიგო, დაჩქვიფნა სიმურ წყალია.
10 რო მიველ, გამამბარუნეს, ფინთი პქონიყო ზავია.
მიველ ზეთის კარზე. ამბობენ: „რას სჩადის იაკსარია?“
დამრცხვა და ისივ მოვბრუნდი, გამოვუცვალე ჟამია.
საკმისას ლახტი ვესროლე, ზედ მივაქცივე ბანია.
ერთ კიღენ გამამივარდა, რომენიც მუკლად ჩქარია.
15 თან ლახტი გამუყოლე, კლდეს მამიფარა თავია.
კლდე ოთხად გაეანაფოტე, ღვეს გამოვსთხარე თვალა.
იმასაც კარგა სცოდნიყო აბუდალევის ტბანია.
გაიქცა, შიგ ჩამივარდა, თან ჩავკეე იაკსარია.
ჩაველ და ველარ ამუელ, — სისხლმა გამიბნა მქარნია.
20 ჩემ ყმანიც ბევრსა დაღონდნენ. ოთხ-რქა, ოთხ-ყურა ცხვარია
მაიყვანეს და ჩამოკლეს. მაშინ გამეკნა მქარნია.
შამოვკე ბროლის ქვაზედა, შამო(ვ)იბერტყე მქარნია.
იქ თამარ ნეფეც მიბძანდა, მიძრა და მოძრა მქარნია.
კარატით კარატემღენა გზა მქონდა გასავალია.
25 ავის გორს შამიკოდოდეთ ჩემი პატარა ზარია, —
დაპკრავს, კმა აკადს მივიღეს, იქ დაიწერონ ჯვარია.
ლოცვას-წირვაზე დამდგოდეთ ჩემის პირ-ქუშის ყმანია.

(Sh).

ჩავიწერე ზემო-თიანელის და ვითო გიანა შვილის აგან 8. 7. 1911. იაკს-
რობის მეორე ღღეს ს. შუაფხონში. დავითოს გაღმოცემით ყრილობა შაბათ საღამოს
მომხდარა. — 2 გაღმოქდგეს] და ვითოს გამოთქმით უფრო: გაღმოადგეს; 11 რას
სჩადის] გამოთქვა დაახლოებობით ასე: რამსჩადის; 17 კარგა სცოდნიყო] გამოთქვა
უფრო: კარგამ სცოდნიყო; 26 დაპკრავს] გამოთქვა უფრო: დამკრავს.

ზ.

ღეთის კარზე შავიყარენით სამოც-და-სამი ხატია.
დაგვიღდეს სასწორ-ჩარეტი, ოქროთ ნაჭედი ტახტია.
სამოცსა ფუთსა რკინასა ვერვინ შაუგლო ძალია.
ქვემოთით დავევე ტახტზედა, კვირას ჩემკე აქე თვალა.

- 5 „მაგას იაკსარ აიღებს, — არაგვის მკრისა არია.“
ავსწიე, ისე ავიღე, ქვეშ გაუტარე ქარია.
მარჯუა დაბზადებულმა მშვილდ-ლახტი საომარია.
შაიყრებიან დევეები, სადაც ღიღ მოედანია,
გაარიგებენ იმასა: „ერთურთს უჭიროთ მქარია.
- 10 ღვთიშვილთ მოუკლათ კოპალა, თავში დაუცნეთ ქვანია.“
ჩამეეტია კოპალა, ბატკნებურ გასჭრა თავია.
საყაჭეს წმინდა გიორგი ყველაზე მეომარია.
თუ დევებს ჩამეეტია, ვაი მაგათი ბრალაია!
ავის გორს სახლი ააგეს, შიგ დგანან ცხრანი ძმანია.
- 15 დედა ჰყოლიათ ცხრა-თავი, ცხრა ვაყის დედა-ქალია.
დევებს ჰქონიყო ქორწილი, სიმურნ ერქვიფნეს წყალნია.
თავს ედგათ სალუდე ქობი, მეც იმით მომცეს ზავია.
ფალაენად გამამიყვანეს ღვთიშვილთა იაკსარია.
მიველირე და ვერ მივედ, პირს დავიწერე ჯვარია.
- 20 იმას ამბობენ ღვთიშვილნი: „რას ჩადის იაკსარია?“
საქმისას ლახტი ვესროლე, თავს დაეაქციე ბანია.
ერთი-ღა გამომქცევიყო, გამოეარნეს კარნია.
კოჭლა გამექცა პირ-თავექვე, კლდეს მოაფარა თავია.
კლდე ოთხად გავანაფოტე, დევეს გამოსთხარე თვალთა.
- 25 წყეულს კარგადა სცოდნიყო ბაზალეთის ტბის გზანია.
გამექცა, შიგ ჩამივარდა, თან ჩავყევე იაკსარია.
ამოსვლით ვეღარ ამოვედ, — სისხლმა გამიბნა მქარნია.
ცხრა წელსა ძებნეს ჩემს ყმათა ოთხ-რქა, ოთხ-ყურა ცხვარია,
დაკლიან ტბისა პირზედა. ღმერთო, დასწერე ჯვარია!
- 30 შვექე ბროლისა ქვაზედა, შამოვიბერტყენ მქარნია.
დაკველიე ჩემსა ნაჯდომსა, რა ჭრელნი დარჩნეს ქვანია!

—

- შვიდის წლის ქალი თამარი მეფედ თქვეს, დედოფალია.
ზღვის პირზე შავიყარენით, შაგვექნა საომარია.
ზღვასა გადაჰკრა ჩიქილა, გადააქანნა წყალნია.
- 35 შუა ზღვას ჩადგა სამანი, არ გადმოსცილდეს ცვარია.
შიგ ააშენა სიონი, დაადგა ოქროს ჯვარია.
სახელი თამარ-მეფისა ზედ დააწერა, გვარია.
ურჯულთოთი და თათართი ყველას სარწმუნომც არია!

—

- კარატით კარატეს მამე თოკი, ზედ გასავალია.
- 40 ასე გავიღე თოკზედა, ვერვინ მომკიდოს თვალთა.

ავის გორს შამიკილოდით ჩემი პატარა ზარია.
დავკრა, კმა აქადს გავიდეს, გამოისახონ ჯვარია.
რომ დადგენ ლოცვა-წირვაზე ჩემის პირ-ქუშის ყმანია.
მიღუღეთ სალუღე ქობი, ყმანო, გეწეროსთ ჯვარია!

(A).

მოყვანილია გრ. ა ფ შ ი ნ ა შ ე ი ლ ი ს ხელნაწერის მიხედვით, რომელიც საისტ. და საეთნ. საზოგადოების მუზეუმის ქაღალდებში აღმოჩნდა და რომელიც 18. 12. 1893. მოამბის რედაქციაში ყოფილა გაგზავნილი. მცირეოდენი ცვლილებით იგივე ლექსი, გ. აფშინაშვილის ხელ-მოწერით, დაიბეჭდა აკაკის თეურ კრებულში (1900, № 1). ხელნაწერთან შედარებით ნაბეჭდი შემდეგ განსხვავებთ გვიჩვენებს: 3 ფუთსა] ლიტრა; 8 მოედანია] მეედანია; 14 ააგეს] აუგოთ; 16 დევებს] იმათ; სიმურნ] სიმურ; 17 ქობი] ქვაბი; მომცეს] მამცეს; 22 ერთი-ლა] ერთ კიდე; გამოეარნეს] გამოერბინეს; 24 გაგანაფოტე] დავანაფოტე; 25 წყეულს] იმას; 40 ისე] ასე; 41 ავის გორს შამიკილოდით ჩემი პატარა ზარია] მიტანილ გამამიგორდა ჩემი პატარა ზარია; 42 დავკრა, კმა აქადს გავიდეს, გამოისახონ ჯვარია] დავკარ, კმა აქადს გავარდა, გამიისახეთ ჯვარია; 43 რომ დადგენ ლოცვა-წირვაზე] ლოცვა-წირვაზე დადგოდენ.

ამ ლექსს თან ახლავს ანს შ ე ნ ი შ ე ნ ე ბ ი. რომლებიც ზოგჯერ სხვადასხვა ნაირად იკითხება ხელნაწერსა და ნაბეჭდში (ხელნ.=ხელნაწერში, ნაბ.=ნაბეჭდში). მომყავს ზოგი იქიდან და ზოგი აქედან, იმის მიხედვით, თუ სად უფრო ნათელია ახსნა-განმარტება. 2 დაგვიდგეს სასწორ-ჩარეჭი] „ფშაველსა სწამს, რომ, როცა კაცი ამიერ სოფლიდამ მიიცილება და საიქიოს მივა, იქ პირველად ღვთისა და მის წმინდანთა წინაშე წარსდგება, სადაც სასწორზე ასწონენ და ისე გაიგებენ მის კეთილსა და ბოროტს ჩანადინარს“ A (ხელნ.); 3 ვერვინ შაუგლო ძალია] „ე.ი. ვერვინ მოვიდა იმისი წონაო, ძალი და ღონე ვერავინ გაუსწორაო“ A (ხელნ.); 4 კვირას ჩემკე აქე თვალთა] „კვირა ფშავლის რწმენით ცალკე არსებაა, ზატია, რომელსაც ლოცულობს და ემსახურება, როგორც წმინდანს“ A (ხელნ.); 5 მაგას იაქსარ აიღებს] „იაქსარი ზატია. ამ ზატს თითქმის ყველა ფშაველი სცემს თავიანს, უფრო კი ქისტაურის თემის ზალხი, რომელთ ბატონად ითვლება, ზოლო ქისტაურები მის ყმებად“ A (ხელნ.); 10 ხეთიშვილთ კოპალა მოუკლათ] „ხეთიშვილთ ზატებს და წმიდა სულებს უწოდებს ფშაველი. კოპალა ზატია. ამ ზატსაც თითქმის ყველა ფშაველი ლოცულობს, განსაკუთრებით კი უძილაურების თემისა. ამ თემის ზალხის ბატონ-პატრონად ითვლება „გმირი კოპალა“ A (ხელნ.); 12 საყაჭეს წმინდა გიორგი] „საყაჭე მთის სახელია ფშავში. ამ მთაზე ორგან თუ სამგან არის წმინდა გიორგის ნიში“ A (ხელნ.) 14 ავის გორს სახლი ააგეს] „ავის გორი ადგილის სახელია სოფ. შუაფხოვს ახლო. აქ თურმე დევები სცხოვრობდენ. ესენი იაქსარს ამოუქლუტია და განუღვენია აქედამ“ A (ხელნ.; ნაბეჭდში კი: „ეს დევები იაქსარამ და კოპალამ თურმე ამოწყვიტეს და განდევნეს, მხოლოდ ერთი კოჭლი დევი-ლა გაექცა და კლდეს მოეფარა“ და სხვ.); 23 კოჭლა] „დევი ყოფილა“ A (ხელნ.); 23

დევს გამოვსთხარე თვალია) „ხალხის გადმოცემით, როცა კოჭლა გაექცა იაქსარს და კლდეს მოეფარა, მაშინ იაქსარის ლახტი კლდეს მოხვდა, კლდე ოთხად გაამსხვრია, ერთი ნატეხი მოხვდა დევს და ცალი თვალი გამოვსთხარა“ A (ხ.); 27 სისხლმა გამიბნა მკარნია) „იაქსარს, ფშველების წარმოდგენით, ფრინველივით მკერები აქვს“ (ნაბ.); 28 ცხრა წელსა ძებნეს ჩემს ყმათა) „როდესაც თვალ-გამოთხრილს კოჭლა დევს საშველი აღარ ჰქონდა, იაქსარის ლახტს გადაპრჩომოდა, მაშინ თურმე კოჭლამ ბაზალეთის ტბისკენ მოჰკურცხლა, უკან იაქსარი გაჰყვა, დევი ტბაში ჩახტა, იაქსარიც თან ჩაჰყვა, ტბის ბირში დევი მოკლა, მაგრამ იქილამ უკან ამოსვლა კი ვეღარ შესძლო, – „სისხლმა გამიბნა მკარნია.“ დაპრჩათ „ყმათ“ თავის „ბატონი“ ტბის ბირში. მაშინ იაქსარის ყმანი (ქისტაურები) ძალიან შესწუხდენ, დაფაცურდნენ თურმე, ბოლოს მიჰმართეს ქადაგ-მისანს, რომელმაც უთხრა: „თქვენ უნდა იზოვნოთ ისეთი ცხვარი, რომელსაც ოთხი რქა და ოთხი ყური ჰქონდესო, ის დაჰკლათ ტბის პირზე და იმისი სული გამოიხსნის, შეაძლებინებს ტბის უფსკრულიდამ ამოსვლასო.“ როგორც ლექსილამაცა ჩანს, იაქსარის „ყმათ“ ცხრა წლის ძებნის შემდეგ ძლივს იზოვნეს ოთხ-რქა, ოთხ-ყურა ცხვარი, დაკლეს ტბის პირზედ და ამით დაიხსნეს თავისი „ბატონი“ იაქსარი, რომელიც „შედგა ბროლისა ქვაზედა, შემოიბერტყნა მკარნია“ A (ხელნ.; ოთხ-რქა და ოთხ-ყურა ცხვრის გამო ნაბეჭდი დასძენს: „რწმუნაა, რომ ამგვარი მახინჯი ცხვრის სულს მარტო ეშმაკეული იწირავს“). 39 კარატით კარატეს] „ორი ნიშია, რომელნიც ერთმანეთს უპირდაპირებენ“ A (ხელნ.; „ნიშებია იაქსარისა“, ნაბ.); 43 ჩემის პირ-ქუმის ყმანია] „პირ-ქუმი აკადელების თემის ხატია“ A (ხელნ.); 44 მიდუღეთ სალუღე ქობი] „ე.ი. ლუღი აღუღეთ და მადიდეთო“ A (ხელნ.).

II.

- ლთის კარზე შავიყარენით ლთიშვილნ სამოც-და-ცხრანიო.
 ქვემოთ, ბოლოში ჩამოვჯექ მე, ხატი იაქსარიო.
 გადმოდგეს სასწორ-ჩარეკი: „კვირაჲ, გვიჭირე თვალიო!“
 ჩამიირიგეს ლთიშვილთა, ვერვინ გაუგლო ქარიო.
- 5 გადვკე, ერთი ავწიე: „ღმერთო, შენ მამე ძალიო!“
 სამოც ლიტრიანს რკინასა ქვეშ გაუელიე ქარიო.
 ავის გორს შამამიკიდეთ ჩემი პატარა ზარიო, –
 დაჰქრან, ემა აკადს მოვიდეს, იქ დაიწერონ ჯვარიო.
 დევს მუქნიე საგმირო, კლდეს მათფარა თვიო.
- 10 კლდე ოთხად გავანათოსე, დევს გამოვსთხარე თვალიო.
 წაწადას ტბაში ჩავარდა, მიძრნა და მოძრნა ტბანიო.
 ლთისგან ვიყავ შათელილი, თან ჩავეყე იაქსარიო.
 დევი მავიგდე ტბაშია, თავს დავამტვრიე ფარიო.
 ამოსვლით ვეღარ ამუელ, სისხლით შამიკრა წყალიო.

- 15 „ხატი დაგერჩება ტბაში“, – შაწუხდენ ჩემნი ყმანიო.
მაიყვანეს და ჩამოკლეს ოთხ-რქა, ოთხ-ყურა ცხვარიო.
ლთისაგან იქნა ბრძანება, მემრე გაიქსნა წყალიო,
შამოვეცი ბეღლის ქვაზედა, შამოვიბერტყენ მქარნო.

(V, ივერია, 1889, № 41).

შეტანილია მოთხრობაში ამ სათაურით: „კოპალა და იახსარი – დევების მებრძოლნი.“ ეგვევი მოთხრობა ლექსითურთ დაიბეჭდა აგრეთვე ვ ა ე ა - ფ შ ა ვ ე ლ ა ს თხზულებათა კრებულში (ტფ. 1889, გვ 430-437). აქ შემდეგი განსხვავებანია: 8 დაჰკარან] დაჰკარ; 17 წყალიო] წყალნიო.

თ.

- ლთის კარზე შვიყარენით სამოც-და-სამი ხატიო.
დაგვიდგეს სასწორ-ჩარეჟი. „კვირაჲ გვიჭირე თვალია!“
სამოც ლიტრასა რკინასა ვერვინ შუგდო ქარია.
ქვემოთით დავეცი ტახტზედა, ყველას ჩემზე აქვთ თვალია:
5 „მაგას იაქსარ აიღებს, – არაგვის მქრისა არია.“
ავწიე, ასე ავიღე, ქვეშ გაუტარე ქარია.
მაჩუქა დამბადებელმა მშვილდი და საომარია.
-
- შაიყრებიან დევები, სადაც ღიდ მეუდანია,
გაარიგებენ იმასა: „ერთურთს უჭიროთ მქარია.
10 ღლიშვილთ კოპალა მაუკლათ, თავში დაუცნეთ ქვანია!“
ჩამეეტია კოპალა, ცხვრებულა გასჭრა თავია!
შვიდი წლის ქალი თამარი ნეფე თქვეს, დედუფალია,
საყაჭეს წმინდა გიორგი ყველაზე მომარია.
თუ დევებს ჩამეეტია, ვაი მაგათი ბრალია!
-
- 15 ავის გორს სახს იშენებენ დევები ცხრანი ძმანია,
დედა ჰყოლიყოთ ცხრა-თავი, ცხრის ვაკის დედა-ქალია.
დევებსა ჰქონდა ქორწილი, სიმურ ერქვიფუნენ წყალნია.
თავს ედგა სალუდე ქობი, მეც იმათ მამცეს ზავია,
ფალავნად გამამიყვანეს ღთის შვილთა იაქსარია.
- 20 მიველირე და ვერ მიველ, პირს დავიწურე ჯვარია.
იმას ამბობენ ღთის შვილნი: „რას შვრება იაქსარია?“
საკმისას ლახტი ვესროლე, თავს დავაქციე ბანია...
ერთ კიდევ გამაჰქციეყო, გამეემტვრია კარია.

- კოჭლა გამექცა პირ-თავქვე. კლდეს მაფარა თავია.
 25 კლდე ოთხად გავანაფოტე, ღვეს გამოვთხარე თვალია.
 სულელს კარგადა სცოდნიყო ბაზალეთურნი ტბანია.
 გამექცა, შიგ ჩამივარდა, თან ჩავეყვ იაკსარია.
 ამოსვლით ვეღარ ამოველ, — სისხლმა გამიბა მქარნია.
 ცხრას წელს ეძებეს ჩემს ყმათა ოთხ-რქა, ოთხ-ყურა ცხვარო.
 30 დაკლიან ტბისა პირზედა: „ღმერთო, დასწერე ჯვარიო!“
 შამოვკე ბროლის ქვაზედა, შამოვიბერტყენ მქარნო.
 დავეკლიე ჩემსა ნაჯდომსა, რა ჭრელნი დარჩნენ ქვანო!

—

- შვიდი წლის ქალი თამარი ნეფე თქვეს, დედუფალიო.
 ზღვის პირზე შეიფარენით, შაგვექნა საუბარო.
 35 ზღვასა გადაჰკრა ლეჩაქი, გადაჰქანა ზღვანიო.
 შუა ზღვას ჩადგა სამანი, არ გადაჰცილდეს ცვარიო.
 კლდეზე გამართა ქალაქი, შაბა რკინის კარიო.
 შიგ ააშენა სიონი, დაადგა ოქროს ჯვარიო.
 ურჯულთი და თათართი ყველათ სარწმუნომც არიო!
 40 კარატით კარატეს მამცა თოკი ზედ გასაევალიო.
 ასე გავიდი თოკზედა, ვერვინ მამკიდის თვალიო.
 მიტანილ გამამიგორდა ჩემი პატარა ზარიო.
 დავეკარ, კმა აკადს გავარდა, იქ დაიწერონ ჯვარიო.
 ლოცვა-წირვაზე დადგოდენ ჩემნი პირქუშნი ყმანიო!
 45 ავის გორს შამიკიდოდით ჩემი პატარა ზარიო,
 მიდუღეთ სალუდე ქობი, ყმანო, გეწეროსთ ჯვარიო!

(Rფ 240).

ეს ვარიანტი ძალიან უახლოვდება Aისას (ზ). — 10 კობალა] „კობალა ძალიანი ხატია ფშავლებისა“ R; 12 შვიდი წლის ქალი თამარი...] „ესეც ხთიშვილებში ურევია“ R; 13 საყაჭეს] „ნიშია აქ წმ. გიორგისა“ R; 17 სიმურ] „სიმური მდინარეა პირიქით დალისტანში. სულ ეს წყალი იხსენება დევების საბანაოდ“ R; ეჩქეიფნენ] „ეტლიათ შიგ“ R; 26 სულელს] „(მ)ყრალს, სუნინს, და არა მართლა სულელს“ R; ბაზალეთურნი ტბანია] „ბაზალეთის ტბა. ზალხსა სწამს, რომ ძირი არა აქვსო, რომ შერთებულა“ R.

წ.

დეკებსა ჰქონდა ყრილობა, სადაც დიდ მიედანია.
 დეკებს ის გაურიგებავ: „ერთურთ უჭირთო მქარია!
 ხთიშვილთ მუკლათ კობალა, თავში დაუცნეთ ქვანია.“

- 5 გაიგო დაძაბებულმა, ჩაგზავნა იაქსარია.
წამაუარა ზემოთა, ცხვრებულა გაჰჭრა თავია.

—

- ქალი მოვიდა ცხრის წლისა, ეგ თამარ დედუფალია.
ზღვასა გადაჰკრა ჩიქილა, არ გადმუარდა ცვარია.
პირდაპირ ჩამაუეცდება ლალი ლაშარის ეჯვარია.
10 ქელში უჭერავ ლურჯაი, ფეკს უკრავ ოქროს ნაღნია.
მქარზე ჰკიდავის მათრაკი შეიდ ალლი, შეიდი მქარია.

(Rგ 218).

შემდეგ თარეშის ამბები მისდევს, რაც ამასთან შემთხვევითაა დაკავშირებული:
„წამაუარა საემოთა, შაყარა მძიმე ჯარია. ფარსნის თავს გადასევსა გადააბნელნეს
მთანია“ და სხვ.

იბ.

- ღვთის კარძე შავიყარენით ღთიშვილნ სამოცდაცხრანია.
გადმოდგეს სასწორ-ჩარეჟი. „ევირაფ გვიჭირე მქარია!“
ქვემოთით გადმომაკლინეს მე, ხატი იაქსარია.
ის უფრო ეზიდებოდა, ვინც უფრო ძალიანია.
5 გადაეკე, ერთხელ აესწიე. „ღმერთო, მამეცი ძალია!“
სამოცდასამ ფუთ სინასა ქვეშ გაუტარე ქარია.
ღვეს მაუქნიე საემირო, კლდეს მიაფარა თავია.
კლდე ოთხად გაენაფოტე, ღვეს გამოვსთხარე თვალია.
იმასაც კარგად სცოდნიყენეს ნაბუღალევის ტბანია.
10 ღვეი ჩავიდა ტბაშია, მიჩქიფ-მოჩქიფუნა ზღვანია.
ღვთისაგან იყო ბძანება, თან ჩაეყვე იაქსარია.
ღვეი მოვიგდე ზღვაშია, თავს დაეამტერე ფარია.
ჩავედ და ველარ ამოვედ, სისხლით შამეკრნეს გზანია.
„ხატი დაგვრჩება ტბაშია“, — დაღონდენ ჩემნი ძმანია.
15 ეძებეს, კიდევ მოკელეს ოთხ-რქა, ოთხ-ყურა ცხვარია.
მაიყვანეს და ჩამოკლეს: „ღმერთო, შენ მივე ძალია!“
ღვთისაგან იქნა ბძანება, გაიქსნეს სისხლის გზანია.
შამოეჯე ბელლის ქვაზედა, შამოვიბერტყენ მქარნია.
კარატეს დამიკიდოდით ჩემი პატარა ზარია, —
20 დაჰკრან, კმა აკადს მივიღეს, იქ დაიწურონ ეჯვარია.
კარატეთ-კარატემდინა შიბითა მქონან გზანია.

(Tფ, ლ უ კ ა მ ა ჩ ხ ო შ ე ი ლ ი ს ა გ ა ნ გაგონილი).

- შაიყრებიან ღვეები, სადაც ღიდ მეედანია.
გარიგებენ იმასა: „ერთურთს უჭირთ შკარია.
ღეთის შვილთ მაუკლათ კოპალა, თავში ღაუცნეთ ქვანია.“
- 5 გაიგეს ეს ღეთის შვილთა, ჩავზავნეს იაკსარიო.
ცხრა ღვეს რომ ღელა ჰყოლიყო, ცხრათვე გამზღელი არიო,
ცხრანვე იმაში ჩაკონა, თავს ღააქცია ბანიო.
მეათე თავ-ქვე გაიქცა, თან ჩაჰყვა იაკსარიო.
იმასაც კარგა სცოღნიყვნენ საბაზალეთო გზანიო.
უძირო ტბაში ჩავარღა, თან ჩაჰყვა იაკსარიო.
- 10 იზიღნა, ვერ ამოვიღა, სისხლით გაებნეს გზანიო,
იმის ყმათ ბვერი ეშებეს ოთხ-რქა, ოთხ-ყურა ცხვარიო.
მიყვანეს ღა ჩაუკლეს, ამოვა იაკსარიო.

(X 237).

ამისი სამი პირველი მუხლი Tსაც ჩაუწერია ფშავში მართა მახხოშვილის ნამბობის მიხედვით, განსხვავებანი: 1 სადაც ღიდ მეედანია] საცა ღიდ მეედანია T; 3 ხეთის შვილთ მაუკლათ კოპალა, თავში ღაუცნეთ ქვანია] ხეთის შვილთ კოპალა მაუკლათ, ფშაველთ – ღაშარის ჯვარია T.

543. კოპალა (R 34)

ვაჟა-ფშაველა („კოპალა ღა იახსარი – ღვეების მეებრძოღნი“: ივერია, 1889, № 41 = ოხზუღებანი, 1899, გვ 436), იახსარის ღვექსთან ღაკავშირებით, წერღა: „თუმცა კოპალაზღად გვიღწოღა ხალხური ღექსი, მაგრამ ხალხში კოპალაზღდ არაფერიან ნათქვამი“ო. ეს ღექსი კი ამტკიცებს, რომ კოპალას შესახებაც ყოფიღა ხალხური ღექსი.

კოპალა ერთ-ერთი აღვიღობრივი საღოცავია ქრისტიანობის წინა ღროიღან ღარ-ჩენიღი. იგი „ხთის შვიღებში“ ურევია. თქმუღების თანახმად ღვეების ყრიღობას თითქო მისი მოკვღა გაღაეწყვიტოს („ხთიშვილთ კოპალა მაუკლათ“ო, ამბობენ ღვეები ყრიღობაზე: 543,32). კოპალას ეპითეტია ბერი (ე.ი. მოხუცებული), მაგრამ რადგანაც ამ სიტყვით ქრისტიანების პრაქტიკაში ეკლესიის ერთ-ერთი მსახური აღნიშნება, ამიტომ სიტყვის ამ მეორე მნიშვნეღობასთან არევით უნღა იყოს გამოწვეული, რომ, როგორც ვაჟა-ფშაველა ამბობს იმავე წერიღში, კოპალა, ფშაურის ზეპირგარღამოცემით, ყოფიღა იხინგას (აღვიღია) ბერად.“ საყღარში მღოცვეღადღა წარმოღგენიღი კოპალა ვაჟასავე პოემაში („კოპალა“: ივერია, 1889, № 43; გაღმობუჭღიღია მის ოხზუღებათა კრებულში 1899 წ. ღა ოხზუღებათა მესამე ტომში 1930 წ).

ბ.

მეც მინაწილე, მიქაო, წყემსი ვარ თეჯიანი,
მეც მინაწილა მიქამა, წყემსი ვეგონე ცხერიანი.
წყალზე გამზაუნა მიქამა, კელ(თ) მომცა ვეშლაპიანი.
ჭალაზე შამამავალი ირემ ვეგონე რქიანი.

- 5 წამომაყარეს ისარი, ფოცხ-შაკრატელა, თბიანი.
სიმურში შამოვიჩქიფე, რქის წვერთ გაიღეს გრიალი.
შემომეყარა მომძეი პირ-ქეში, ნავთის წყლიანი.
„საიდან მოხვალ, გიორგი, დაღალულ-პირ-ოფლიანი?“

(M 20).

4 ჭალაზე ქალაზე M (კორექტურ. შეცთობა უნდა იყოს); 7 მოძმეი მოძმე M.
ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა ს ე ს ლექსი ხეესურული სწორ-ფრობის ციკლისა ჰგონებია და
თავის წიგნში შეუტანია!

ბ.

ფანდურს დაუკარ, ბერკუნდო, – გიყვარდა სამ-ძალიანი.
მარიგემ მე მამილოცა საგმირო შეიდ-ლიტრიანი.
უნდოდ, რომ სახშოთს ეელა, – ვერ იყვა იმელიანი.
მიაე ავილი, კობალამ, – მკლავ-თით(თ) ვარ იმელიანი.
5 ვეშაგურთის გორ ვესტუმრე, წყემსი ვარ თეჯიანი.
სახლს აგებებებს მიქაი, ზე ხურო უღვას ხთიანი.
„წილილ ჩამიდევ, მიქავო, წყემსი ვარ თეჯიანი.“
კარის თაე შამადებზივა საგმირო თეჯიანი.
წყალზედ წამლალა მიქამა, თუნგ მამცა ვეშრაპიანი.
10 ჭალაზედ შამამავალი ირემ ვეგონე რქიანი.
წამამაყარეს ისარი, ფოცხ-შაკრატელი, თბიანი.
სიმურშ(ი) გამავიჩქიფე, რქებმ(ა) გაილა ტერიალი.
ჩამამყოლიყვა მოძმე(ი) შუბნური მათრაქიანი.
კელში ეჭირნეს კოჭობნი დაესვილნი, ნავთის წყლიანნი.

(Bb).

1 ბერკუნდო] ისე აქვს დაწერილი Bbს, რომ თითქო უფრო „ბერსუნდო“ იკითხება,
ვიდრე „ბერსუნდო“; 4 მკლავ-თით(თ)] მკლავით Bb, რაცა გაუგებარია, „მკლავ-თითთ
ვარ იმელიანი“ კი შეიძლება ასე გაევიგოთ: მკლავ-თითების იმელი მატესო; 11 წამამაყარეს]
Bbს თითქმის ერთნაირად გამოჰყავს ქ და ყ ასო. აქ ისე აქვს გამოყვანილი, რომ თითქო
„წამომაქარეს“ უფრო უნდა იკითხებოდეს, ვიდრე „წამამაყარეს“; 13 მოძმე(ი)] მოძმე Bb.

მიმართვა კოპალისადმი: „არც მაშინ შაქმინდებია, ბორბალს რო შეემართო“ (მ. 2) გულისხმობს ალბათ იმ ამბებს, რომლებზედაც მოგვითხრობს №№ 156-159 (ქისტემა რომ გზა შეუკრეს თუშეთს მიმავალ კარატის ჯვარიონთ).

ბ.

კოპალას მშვილდო მშენებარო, გოზა-წითულო, ფართოო,
რა ლამაზ სასინჯავი ხარ, ბორბალს რომ დაემართოვო!
წინ კი ვერავინ დაგიდგა, ახან ლახტ მაიმართოვო.

(A, აკაკის თვ. კრებული, 1900, № 1).

3 მაიმართოვო] გაიმართოვო A (ბეჭდვის შეცომაა მგონია).

545. დევების კორწილი (B)

ე. ბ ა ლ ი ა უ რ ი ს ცნობით, ეს ლექსი ნათქვამია ობოლა წიკლაურის მიერ, ხოლო GSm იგი ბლოელ ბაბუა გიგაურს მიაწერა. GSm: ეს ბ ა ბ უ ა ოთხიოდე წლის წინად გარდაიცვალაო. ლექსს აკლია ზოგიერთი მუხლი, სადაც უწმანური სიტყვები იყოვო. ბ ა ბ უ ა მ ლექსი შეკრებილებაში წარმოთქვა და ხალხი „სიცილით იღუპებოდა“ო. მგონია, რომ GSm ამ ლექსთან არის სხვა ლექსი, რომელიც ამას ალბათ რამოდენადმე ჩამოჰგავდა შინაარსით.

ლექსი წარმოადგენს ფანტაზიას და საყურადღებოა იმით, თუ როგორი ცოცხალი სურათების დახატვა შეუძლია ხალხს დევების გარშემო არსებულ თქმულებათა ნიადაგზე.

1 ჯიკებს დაუწყებ ჭერასა] ჯიკებს დავიწყებ ჭერასა B.

ბ.

წამოვედ ნადირობისკე, ჯიკებს დაუწყებ ცქერასა.
დევების კორწილს შავესწვერ, ვაი-ვაგლახსა, მღერასა.
მოიღეს ჯიკის ყანწები, ჩამოურიგეს ყველასა.

5 ქალ-ზალში სამასპინძლოდა მიღლაღვენ მამესწვერასა.
„მაილით სანაკეთოი, — ვერ ვაძლებთ ტატლაყვერასა.“
მემრ დაიყუდნო კოკანი, დაცალნო, დახკრნა კერასა.
შამოზღო ჩანილოელმა, ეტყვის: „გიტირებ დედასა!“
სხვამა მოილო საკნისი. ქაქიწი ჩადვა, ღებრავსო.

10 გამწვანულ გამოისრია, ცეცხლ გააჩინო ყვ(ე)ლასა.
ერთ ნახეთქ ნეფეს დაგვიკრო, ბერა იტაცებს ენასა.
ერთ რაიმ შამოიყვანეს, კუდ ებო როგორც მელასა.

- 15 თვალ უზის შუა შუბლშია, საცრის ოდენ კი ვერ ასა. ერთხან კი მიაც დამკვლიო, კინალით გასქდა ბლევრასა. „ეს საითაღ-რა მოსთარეთ, ჩენისთანა რომ ვერ ასა?“ ერთა ჩემ სწორა ხყვანიო, სახელს ეტყვიან პეტრა(სა). „გემომობილები, მიჩუფო, არაყს მოგიტან სთვ(ე)ლშია.“ ოქროს ბეჭედა მოიღეს, ის უნდო ჩაგვეფხვებია. დეკანოზ შამოიყვანეს, კულას შაუგავ მქერბიო.
- 20 ორ მტკაველ ებო კუდადა, რქან უღვან როგორც ვერძიო. ფეკნ რაიმ ედგეს მრუდადა, თვალ უზის ყურის გ(ე)ერდლიო. ეგრე უმწკინავს თვალები, გველთ-სალოკა რომ მზემო. მოვიდა მატირალაი: „იტირე, ჩამაყედლიო.“

(Ba).

ბ.

- წამოვე ნადირობადავ, ჯიკვებს დაუწყებ ცქერასა. დეეების ქორწილს შამოვხვდი, მაგათ ღზინსა და მღერასა. დეეებს ზდგომია ლუღები, აქორწილებენ ბერასა. დიდიღებ ყანწებ მოიღეს, ვერ აძღებს მამლაყვერასა.
- 5 მიაც იქ წამიყვანესავ: „შენაც იქ წამედელიო.“ დამიწყესავ საუბარიო: „რა(ღ) მოითარე, შენავ აქავ? არც-რა ხარავ [შენავ ჩვენ-ფერივ.“ „სუთავ! – მასპინძელი გაუჯაერდა, – ქორწილიავ, უხარის ყველასავ.“ ერთ რაიმ შამოჩინდავ, კული ღბავ, როგორც მელასავ. ერთ თვალი შუას შუბლშია,...
- 10 მეორე კუჭულაშია, უკან ხედავსავ მეზავრსავ. ე დეეებივ შიგიში დეერიენესავ.. ერთმ რამამ საქნისი მოიღავ, ცეცხლჩი ჩადვავ და ღბერავსავ. სხვაჟავ თავშია წიხლ დასცავ: „ეხლადავ მაგის ჭედისა არ ასავ.“ „ ხალხ დეერიავ ერთ-სხვასავ.
- 15 ქალ-ზალმავ დაიწყავ წკმუტუნე, ვერ ვიჭერთავ მამესწვერასავ. მე კი საკმისას ამოვძვერივ, – რაზე ვეკვლევივ დეეებსავ?

(C).

სთვის უამბნია გიორგი ჯინჭარაულს, სულხანაურის შვილს (მამინათის წლისას).

ლექსი გადარეულია. მეტრიკის მოთხოვნილება ბევრგან არ არის დაცული. მე-4 მუხლს შემდეგ სს მიყოლებით უწერია, პროზასავით, მე კი, რამდენადაც შეიძლებოდა, მუხლებად დავაწყე.

- წამოვედ სანადიროდა. ჯიკვებს დაუნყებ ცქერასა.
 შამოვხვდი დეცებისასა ვაიუაგლასსა, მღერასა.
 მაგათ რძალ მაუყვანავის, აქორწილებენ ბერასა.
 მეაც იქისკე მანწიეს. უყურეთ ბელსა, წერასა!
- 5 „ვაწიოთ ახალ-უხლები! ნუ ვის გავსწირავთ, — ყველასა!
 ნუ ვიწვეთ ბოღა-კეველებსა, — ითრევენ ძაღლის ენასა!“
 მოვიდეს ახალ-უხლები, ზოგ მე დამიწყებს ბღვერასა.
 „ეს საითა-ღ ვინ მასთარეთ, ჩვენებით რო ვერ ასა?“
 მასპინძელ გაუჯავრდების: „ქორწილ უხარის ყველასა.“
- 10 ერთ რაიმ რქიან მოვიდა, კუდი ღბავ როგორც მელასა.
 თვალი აქე შუა შუბლჩია, საცრის ოდენ კი ვერ ასა.
 მეორე კუჭულაჩიით უკუნისკენა ხენავსა.
 იმოდენ ჭურჭლებ ჩამოდგეს, მე აქ ვერ ვათქმევ ენასა.
 „დი-დიღებ ყანწებ მოგვართვით!“ ემახან მამასწვერასა,
 კაი დასაკლონ დაგაკლდეს! რა უყოთ ბელსა, წერასა?
- 15 შაუ(ნ)დნას ჩამოვლული აირიასა, კერასა!
 ერთი მეც დამალევიეს, კლდეში კილდის ის-ფერასა.
 „მაილით სანაკვეთროი, ვერ (ხ)კმაობს მამლაყვერასა.“
 ჯიკვის რქა გადაასმიეს, თუ-კლალ გუნებას ვერ ასა.
- 20 ჭურჭელი გადაიყუნდა, დაცალა, დახკრა კერასა.
 შამახკრა ჭიბიხოელმა, უთხრა: „გიტირებ ყველასა!“
 „დახკარით!“ — მყოლებ იმახის, — „ჭერ აუყუნდნოთ ბერასა.“
 მე რო მაგათ ჩხუბს შავესწვერ, მაგათ ფარ-კმლების ჟღერასა!
 ერთ რაიმ ნიგუზს იბრუნებს, სხვა ეზიდების კერასა.
- 25 ერთ რამამ საქნის მაილა, ქაქესჩი ჩადვა, ღბერავსა.
 წიხლ რამამ დასცა ზურგჩია, ცხვირი ხკრა ყვერფის კერასა.
 როცა წამახტის, წამაიყვალ, გაშანთებულ კი ვერ ასა.
 პირსა სდვა მობრუნებული, ცეცხლი აჩინდა ენასა.
 „რაც რო შასვით, შესჭამეთ, სხამად მოგიქცეეთ ყველასა.“
- 30 ქალებს დაუღვა წიქუტუნეი, ვერ ვიჭერთ მამასწვერასა.

—

ეგ თქვენის გამარჯვებისა! მართალს გიამბობთ ყველასა.
 საკმიდან გამაუფრინდი, — დევებს ვეკელევი ვერასა.

ობოლა წიკლაური

ჩაუწერია ნიკო მაკალათიას, რომელიც ადასტურებს აგრეთვე, რომ ლექსის მთქმელია „ამდელი ობოლა წიკლაური, 25 წლისა.“ — 3 მაუყვანავის] მაუყვანია

(მაკ.); ბერა — „სახელი სასიძოსი“ (მაკ.); 6 ბოდა-კეკლებსა] „სახ. დევების სოფლისა“ (მაკ.); 16 კერასა] 6. მაკალათია კარს ხანდახან იქ ხმარობს, სადაც საჭირო არ არის და, პირუკუ, იქ არა ხმარობს, სადაც საჭიროა. ეს სიტყვა ამჟამად ჩემთვის არაა ცნობილი სხვა გზით და ამიტომ არც შემიძლია რაიმე ვთქვა იმის შესახებ, თუ რამდენად შეეფერება დაწერილობა გამოთქმას; 17 კილდის ის-ფერასა ე.ი. კლდის იის ფერს? (6. მაკალათიას ასე უწერია: კილდისის ფერასა); 22 მყოლებ] მეყოლებ (6. მაკ.); ჭერ აუყუდნოთ] მოსალოდნელი იყო: ჭერნ აუყუდნათ, ან: ჭერ აუყუდათ; 23 ჟღერასა] ჯღერასა (6. მაკ.).

546. დევების ამომწყვეტი (Ba)

2 აქამდენ სხვები ვალექსე] ამას კიდევ იმეორებს ცოტათი ცვლილებით: აქამდე სხვასხვებ ვალექსე; 13 ძმანიო] რითმა დარღვეულია, — პირველად იქნებოდა: ძმებო; 16 მამკალ-მამკვდრისა] შეცთომა ბეჭდვითი, — უნდა: მამკალ-მამკვდრობ(ი)ს; 20 კვედია] ასეთი ორთოგრაფია შეიძლება მაშინ იყოს გამართლებული, თუ იგი „კვედა“ სიტყვისაგან არის ნაწარმოები, თორემ როგორც აქ, ისე სხვა ვარიანტებში, ყველგან „ხვედია“ სწერია; 33 კილდიურ] ბ ვარიანტის „კილდიურთ“ ფორმა გვაფიქრებინებს, რომ აქ თ არ დაუწერიათ მომდევნო სიტყვის თავ-კილდურის გავლენით: კილდიურ(თ) თვალ-საცერაი.

მათქვამობა ისეა გამოყვანილი, თითქო ამისი ავტორი ერთი კი არა, არამედ რამოდენიმე პირი იყოს. რა თქმა უნდა, უდავოდ კოლექტიური შემოქმედების ნიმუშებიც მოიპოვება (მაგ. აქვე, № 466), მაგრამ ვერას ვიტყვი, თუ სწორი იქნება, რომ სიტყვა-სიტყვით გავივით მათქვამობის მეორე მუხლი.

ლექსი ზუმრული კილოთია შედგენილი ვიღაც ხიტალიონ იმედას შესახებ. ამას რომ წინა ნომრის ლექსი შევადაროთ, საერთოს მხოლოდ ერთ დევს აღმოვაჩენთ: ეს არის თვალ-საცერა (546,33), რომელსაც „თვალ უზის შუა შუბლშია, საცრის ოდენ კი ვერ ასა, მეორე — კუჭულაშია, უკენისკენაც ხენავსა“ (545, 11-12).

ბ.

ყური დამიგდით, ვაყებო, ახალ თუ გინდათ ლექსია.
აქამდენ სხვა-სხვე(ბ) ვალექსე, ერთს(ა) იმედას ვეტყვი(ა).
ძალიან უნდა შვეაქა დევებ(ის) ამამწყვეტია.
ერთხან წელ ზაფხულ დათოფნა, აღარ აყენებს კლდეშია.
5 დაფითებულე(ბ)მ დევე(ბ)მა ამააფხაეს კმლებია.
ერთმანეცს ეუბნებიან: „ხიტალეს გადაეჩეია.
ამანდით ჩამამართლსა აგებ შაუკრათ გზებია.“
შაშინდა აშლოყინაი, თავ-ალმ მიძერება ტყეშია.
„მაგოდნად რამ შავაშინა? სულთ ამავართომთ კელშია.“

- 10 ეტყოდა ბაჭყალი: „წინ-წინ კი მე მეხვედები.“
 ღვებს ეჭოკა ყელშია, იმედას ხანჯარ ექნია.
 წვერ(ი)თ ხკრა ბაჭყალურსა, ფართი-ფართ გვეგდებია.
 ღაეცა ბაჭყალური, რაკელ დაბლუნდა ქვეშია!
 ღვებს წკმუტუნა ღაუღა: „ქელ-გამაუტან შჩებია.“
- 15 უშებარს არას გაგწირვენ, – სამი-ოთხი ხყავ ძმებია.
 წაგველანეს კაც-შუა-კაცი, წაგვაყვანიეს ვერძია.
 აგებ რიგს ღაიყენებდეს, მამკლავ-მამკვდრ(ო)ვის წესია.
 მამა ხვანიყვა ბებერი, სახელს ეტყვიან ქვეღია.
 ბეწიწურ გაღაიკღინა, მარჯვნივ ღაისვა გვერღია.
- 20 „ჩვენის გულისად იწვაღე, რა კას გვეუბნებია.
 ჩამატღა თაე-ღოღაბაი, არცრუ არ აგვატეხია.
 ორიოდ-სამი ჭურჭელი დაბლად ჩამაღდა ყვერფშია.
 მაიღა სანაკვეთი ღი(ღ)-ღიღებ ჯიკვის რქებია.
 ერთა ჩემ სწორა ხყვანიყვა, სახელს ეტყვიან პეტრია.
- 25 „გეძობიღები, – მიჩუფნა, – არაყს მოგიტან სივეღშია.“
 ბეწიწურმ წამამისკღიტა: „ღვეთ რა კელი აქვ ჩვენშია?“
 კინაღ ერთმანეთ ჩავჭერიღ, ერთხან მეც წამავღვეღია.
 მაიღა მატირაღაი: „იტირე, ჩამაჯეღია.“
 ღეკანოზ შამაიყვანეს, კულას შაუგავ მკრებია.
- 30 კულ ება გასაკვიროი, თვალ ეჯღა ყურის გვერღია.
 გამასაღვეგებ სიტყვები ღვეგებს ბოლოს ძღიე ეთქმია.
 კაცს იმედასთან მიღლაღვენ: „ცხენ შამაზაღე ცხენშია.
 ამზაღე თავის ჯერან(ი) მსხვიღად ღამღგარი მკერღშია.
 ძაღს ვაქნეღთ ორ-წყალშიგითა, უფრებ ექნება გზებია.
- 35 სიარმიაჩიგ შავ-ყვერი ხყავ ტაბღის გაღმამღმეღია.
 კოღღიღურთ თვალ-საცერიი ცხენთა ხყავ წინამღვეღია.

—

ამაგის მალექსებელი ღვეგების ძმობიღ ვკღებია.
 მარტუკა არა გვეგონასთ, – ამხანიგი ხყავ ბევრია.

(Bb).

ბ.

ყური ღამიგღი(თ), ვაჟებო, ახალ თუ გინღათ ლექსია.
 აქამღი სხვა-სხგებ ვალექსე, ახლად იმედას ვეტყვია.
 ძალიან უნდა შავატა ღვეგების ამომწყვეტია,
 ერთხან გაზაფხულ ღათოფნა, აღარ აყენებს კღღენია.

- 5 ერთხან წინ შამეყყარნეს, წინგარდით გაშეესრია.
 ეგ რომ გაიგეს ღვევებმა, ამაფხაეს კმლებია.
 ერთმანეთს ეუბნებიან: „ხიტალეს გაღმეურია.
 ამანდით ჩამამავალსა უნდა შაუკრათ გზებია.“
 შაშინდა ვოშლოკინაი, თავ-ღალმ შეძერება ტყურია.
- 10 შაუგმ(ა) თავ-ღოლბამა: „არ გიღვას კაცის წესია.
 იმედა როგორ გაშინებს? სულთ ამოართომ ყელჩია.“
 ომ იქნა სახიტალოსა, ხალხ მოხედა ერთმანეთჩია.
 იმედას ხანჯარ უქნეეგ, ღვევა კელი ზკრა კელჩია.
 წვერ-წადმა დასცა ხანჯარი, ფართი-ფართ გააგდებია.
- 15 გაგორდა ბაჭიჭაური, ტოტით დაბლუნავს კვეჩია.
 ღვევებს დაუღდა წკმუტუნი: „კელ-გამოუტან ზკვდებია.“
 შულამე გადაიყარა, მეშელე ბლივ საღამ ზვედრია.
 უყურეთ კაცის დეულათსა! ცოცხალივ გამეტიცა!
 წაგვალღნეს კაცს-შუა-კაცი, წაგვაყვანიეს ვერძია.
- 20 „აგებ რიგს დაიყენებდით, – მამკლავ-მამკვდრობის წესია.
 ჩვენის გულისად დაწვალდი“, – მე შამამზადეს ერთია.
 ბეწიწურ გამამაყოლეს, უფრო ბევრად ზვედრია.
 დევთა სასტუმროს მივედით, ნარევთ (ღ)გზებია ცეცხლია.
 ბეწიწურ გადაიქდინა, მარჯენივ დაისვა გვერდია.
- 25 „მადლობელი ორ, – ის უთხრა, – შენ თუ აქ მოვეზიხველია.“
 ავსტეხეთ სასაუბროი, – კაც-შუა-კაცის წესია.
 გადაუყარეთ ქულები, ზვეწნას არ შაშა ბეწვია.
 გახტა თავ-ღოლბათი, არცსუ არ აგვატეხია.
 გაღმაიტანა ჭურჭლები, სამი-ოთხ დაღდა ყვერბჩია.
- 30 გაღმაყოლა ყანწები, ღი-ღიდებ ჯიკვის რქებია.
 ერთა ჩემ-სწორა ხეყანიყვა, სახელად ერქვა პეტრია.
 ის მითხრა: „გემობილები, არაყს მოგართომ რთველჩია.“
 ბეწიწურ(მ) გაღმამიბღვირა: „ღვევებს რა კელ აქე ჩვენჩია?“
 ფეხებზე მკიდავ ვაყებო, ღვევებთან ფიცი-ვერცხლია.“
- 35 კინალ ერთმანეთ ჩავეჭრით, ერთხან მეც წამოველია.
 მაიღეს ვერცხლის კოჭობი მობილთად ჩასაფხეყია.
 ღეკანოზ გაღმაკღინეს, კულას შაუგავ მქრებია.
 ფეკნ რაიმ ეღვეს მრუდადა, თვალნ ესხდეს ყურის ზეთია.
 აგრე (მ)წყინებდის ღეკანოზ, გველთ-ნალოკა რო მზენჩია.
- 40 სასიკეთუო სიტყვაი ბოლოს ღვევებსა ეთქმია.
 იმედას კაც წაულალე: „ცხენ მაიყვანე ცხენჩია!
 კა საღამ გყავის ჯერანი, განივრადა ღვას მკერდშია.“

- სატირალ გადმიიტანეს, მატირალ შამაეხვია.
 ის უთხრეს: „კმით მატირალო, იტირე, ჩამაუგეღია!“
- 45 დევის კმალ გადმაწვაღეს შვიდს წელს ნადები ჭურჩია.
 მკერდებს არსილა აკეალებს, ჭირის პატრონიც ეგია.
 ამბობენ: „თვალ-საცერაი მკედართა წინამდეგია.“
 ცხენს აქებს თვე-დოლაბაი: „ჩემ ცხენ ყველაზე მეტია.“
 ძალ უქნავ ორ-წყალშიგითა, მონა მაუდის გზებია.
- 50 საირმიანი შავ-წვერი ცხენ(თ) ტაბლის გამოძღებია.

—

ამაგის მალექსობელი დევების ძმობილ ეკლებია.
 მარტუამ არა ვიამბე, — ამხანიგებ მყავ ბევრია.

(Th 195).

3 შავაქა] შავება Th; 9, 10 „ო მ ლ ო კ ი ნ ა, თ ა ვ - დ ო ლ ა ბ ა დევის სახელებია“
 Th; 14 ფართო-ფართი ფართიფად Th; 17 მეშვლებ ძლივ სადამ ხვედრია] მეშვლები
 ძლივსა დამხვდრია Th; 21 დაწვალდი] თუ სწორად არის ჩაწერილი, მაშინ ბრძანები-
 თის ფორმა იქნება (თხრობითისა იქნებოდა: დასწვალდი). შამამზადეს] შამომზადეს; 22
 ბევრაად] ბევრაათ Th; 29 ყვერზია] ყვერზია Th; 38 ყურის] ყური Th; 39 გველთ-
 ნალოკა რო] გველთ ნალოკარი Th; 42 კა სადამ გყავის] კასადა მყავი Th; 44 კმით
 მატირალო] ძმით მატირალო Th; 45 გადმაწვაღეს] გადმაწვაღის Th; 46 არსილა] არ
 სილა Th; 47 წინამდეგია] წინამდეგია Th.

547. გაბურთ ეშმა (G 156)

ვის მოწმობით, ეს ამბავი ძველია, „სისხლის წვიმინდელი.“ ყოფილა ვითომც
 ვილაც გაბური, რომელიც სათიბზედ წასულა შუამთას (ჭიბღელების სათიბი მთაა).
 გაბურმა შენიშნა, რომ „იქით გვერდზე ეშმა მავიდ, უჭერავ ხის ცელი, დაუწყ მთას
 ქნევა ამ ხის ცელს, მაგრამ ხის ცელ რას მასთიბს? ეს იმით, რომ უქრევეს ამ გაბურს.
 გაიქც დასაჭერლად ეს გაბური, გაექც ეს ეშმა. მავიდ გაბური, ისევ შაადვ სათიბს,
 დაიწყ იქვე ეშმამაც თიბა. დაჯდ გაბური, დაჯდ ეშმა. დაიქველნ გაბურმ, დაიქველნ
 ეშმამაც. ერთი სიტყვით, რაკელც გაბურ იქამს, ეს ეშმაიც საჯავროდ ისრ იქამს. წავას
 დასაჭერლად ეს გაბური, ეს ეშმა მაშიე გაექცევის. მავას, შაადვების სათიბს, მოვას
 ეშმაიც, სათიბს შაადვების. ფიქრობს ეს გაბური: რა მათეკრეკავ? მეგრ ამ გაბურმ
 მაიგონ ესი: დაჯდ, დაიხვიე ფეკებს მაგრად ალერდი. დაჯდ ეს ეშმაიც, დაიხვიე ამანაც
 ფეკებს ალერდი. ამ დროს ამაიკრ გაბურმ ცელი თავის დახვეულ ალერდს, გაჭრ,
 გაიქსნ ფეკები. ამაიკრ ამ ეშმამაც ამ ალერდს თავის ხის ცელი და ვერ გაჭრ (ან რას
 გასჭრიდ ხის ცელი?). გაიქც მაშინ ეს გაბური, დაიჭირ ეშმა, უთხრ: აბა, რო მიქრე-
 ჯდი, დღეს რომ აღარ მამათიბვიე, ვერც აეხლად მაიკრეკია? აეხლა სად წამიხლო?“

ამ ამბის მოგონებაზე უთქვამს უშიშა წიკლაურს (პეტროს) ეს ლექსი ბესარიონ გაბურისას 1913 წელს („მარშო, წერდა ბესარიონი, 1914 წ.; უშიშა ბესარიონის სიძეა). არაყს ვსვამდიოთ, — ამბობს ბესარიონი, — მაშინ უშიშამ თქვა: „აბა, ბიჭებო, თითო-თითო გაბურთ ეშმაის შავსოთავ.“ წამოასხა ყანწები, ჯერ თვითონ შესვა, მერმე სხვებს დაალეენინა და ზედ ეს იძღერაო.

ამ ამბავზეა მითითება უშიშას ერთ ლექსში (№ 666. უთურგათ ქაეციხის პატრონი, მ. 5).

ბესარიონს მოჰყავს გადმოცემა ამ ეშმას შესახებ (წელიწდეული, 155-157): თითქო ამ ეშმაისთვის ფრჩხილები დაეჭრასთ და ხმლის ქარქაშში ჩაეყაროსთ. ამის შემდეგ იგი თითქო ძალიან სასარგებლო მსახური ყოფილიყოს. კარგა ხნის შემდეგ თითქოს ეშმას ბავში შეეცითნოს, ქარქაშიდან ფრჩხილები წამოეყრევინებინოს, დაეტაცნოს ხელი, გატყეულიყოს და თანაც დაეწყეველოს გაბურთ გვარი.

ეს ეშმას ამბავი მაკაროვის ქალსაც ჩაუწერია მოკლედ გაბრიელ ბალიაურის სიტყვით (Г. Демидов, В ушелях первоначной Грузии. М.-П. 1930, გვ 155). ამ ვარიანტით ეშმამ გაბურებს ენა-დაბმულობა უსურვა („так и до сих пор заикаются“).

548. სალოცავეები (R 44)

1 თეთრი კლდეა ბეთლემი იგულისხმება ალბათ ხევის ბეთლემი, მყინვარს ქვეშ რომ არის (რომელიც ი. ჭაეჭაეაძის „განდელი“ იდნაა ცნობილი); 2 მარიამს აქ რომელი იგულისხმება არ ვიცი, ვ ვარიანტი კი თელეთისას გულისხმობს; 5 ქაჯუეთს რად იარები, გიორგივ ქარის ფერაო ეს სიტყვები კაქმატის ჯვარს განეკუთვნება, მაშინ როდესაც იგივე სიტყვები ვ ვარიანტისა ლაშარის ჯვარს გულისხმობს.

ქაჯუეთს სიარულის შესახებ ბაბუა მეელიკას ძე ქეთელაურმა, ბისოელმა, შემდეგი მიაბბო 1911 წ.: „გიორგის მასწონს თუ ქაჯავეთში. წასულ იქ და გაუყოლებავ ერთ კაც, კორციელ. მთაზე სადამ კლდეჩი სულეზ ამაურიდებავ და თან გაუყოლებავ ქაჯავეთში. ი(ქ) ქაჯებსა საფეხნო ზქონივ გაკეთებულ. სინის მჭედელ ყოფილ. ჭელს თუ ი სინასა. შავიდ თუ წმიდა გიორგი ი სამჭედლოჩი და ი კაცის სულ თან შახყვა. მჭედლის საჭელი სინა მაუხიბლაე. გამაიდ თუ ი სინა და გრდემზე შავდა და კვერ დახკრა. ი სინა უნ გატყერას და ხალხ (იგულისხმება: ქაჯეები. ა.შ.) სრუ გალუპას. გიორგის ისე მაუხიბლაე ი სინა. გადად თუ ი სინა მჭედელმ, გამოვიდ კარზე, სოფელჩი წავიდ. იქ ერთ ქაჯე (პირველად თქვა: კაც) ეგულების. აქსნას ეს რა ამბავია. მეუფროსე იქნებოდის, რადა, მათი. მაიყვან თუ სამჭედლოჩი ი ქაჯი. ე სინა ამნაირად შერებისო, რა ამბავიო, თუ უთხრა. იმ ქაჯმ თუ უთხრა: ეს მე ვიცი, ეს გიორგი არის, ეს კაიძეო. მემრ გიორგიმ ჯანღებ თუ გააჩინ ი სამჭედლოჩი. მემრ თავის ძალა მაიქმარა და ე სამჭედლომ იქუხა სრუ-ერთანა და ნაგაბარ ცისკე გვედინ. იმ გრდემს მათრაკი თუ შამოხტრა და ცხენზე აიდ ი გრდემი, კვერიც თან ამაყოლ იმას. რაც იმ ქაჯებს საქონელ ხყვანდა, ის აქისკეს დალაღ. აქ თუ მარეკს ი საქონელი და აქ რა ეკლესია დგას, იქ

დააქუნეს. ერთი ძროხა ცალა-რქა მაყოლ იმაშიგ. აი ზევით სოფელჩი (ქაკმატზე მიმო-
თითა. ა.შ.) ორ დიაც თუ ას თავის ოთახჩი. ერთს გოგო ხყავის, სხვას — ბიჭი. ბიჭის
დედა კარებზე გამოსულ, რო გათენებულ. უნახავ ი ქაჯავეთით მასულ საქონელ. „ჟავამ,
ის რაიას?!“ თუ დაიძახა. იმ გოგოს დედამ თუ თავის ოთახშით უძახა: „ქაკმატის
წმიდა გიორგის ძალიას ეგო. იმ დროს თუ ი ბაღღებ აკაჯანჩი ატირდეს. დედებც თუ
ოთახებში შევიდეს. გოგოს დედამ აკაჯანშით ბიჭ ამაყენ, ბიჭის დედამ გოგო თუ
ამაყენ. იმ თქმაზე ას, რო იმ ხატს გაუცვლია, მაუქცევაჲ ის გოგო და ბიჭი.

ი ცალა-რქა ძროხა რო მოუყვანავ. იმისთვის რქაი მაუტეხავ. უთქვამ ი წმიდა
გიორგის. რო ჩემს ლულს რო მოხარშავთო, ამ ქაჯავეთური ფურის რქით აწყევით
სალუდე ფორიო. აი ეხლა მაშინდელ საწყავ გვიდგას, იმ ფურის რქის წყვი, ის რქაი
კი აი ციხეში დგას, ზევით აღარ იქნების ახლა, — დაღებოდა. აი ის გრდემიც მაშინ
ბოღებული ას, წმიდა გიორგის მოუღავ ი ქაჯების სამჭედლოდან. იქით მოუტანავ
კიდევ ოქროს ფანდური, ცხრა-ძალიანი, ოქროს საცერი, სამართებელი, სასრევი.“

უეჭველია, ქაჯუეთს მავალი გიორგი ხანმატისა ხევსურული ვარიანტია ქაშოეთის
გიორგისა, რომლის სახელზედაც საქართველოში ეკლესიებია რამოდენიმე ადგილას
და, სხვათა შორის, ტფილისშიც (Б. Д. Б а к р а д з е, Кавказ в древних памятниках
христианства. Тифлис, 1875).

ბ.

ქაჯუეთს რას იარები, გიორგი სვილის ფერაო?

— ვალი მიკიდავ, ვალსა ვსთხოვ რას მკითხავ, ქრისტეს დედაო?

(Rგ 239).

1 ქაჯუეთს] „ფშავლები ქისტეთს უძახიან, უფრო კი მკითხავ-ხევისბერები“ R;
გიორგი სვილის ფერაო] „ლაშარის ჯვარი. სვილი — ჭვაეი. ჭვაეი ლეგა ფერისა“ R.

ბ.

ალავერდს წმინდა გიორგი, თულეთში მარიამია.

ლომისის მთავარ-მოწამე, ფშავში ლაშარის ჯვარია.

(Rგ 244).

რითმის მიხედვით არ ჩანს, რომ ეს ნაწყვეტი იმავე ლექსის ნაწილი იყოს, მაგრამ
შინაარსით კი რამოდენადმე უღებია.

549. მამახურას (G 152)

ბ ე ს ა რ ი ო ნ ი გადმოგვცემს, რომ, ხევსურების რწმენის თანახმად, ღამით მძინა-
რე კაცს ან ქალს მიუღებია საკმის კარს „მამახურა“ და სახელს დაუძახებს ერთხელ,

ორხელ. თუ პასუხი გასცეს „რაიო“, მაშინ ვითომც მაძახურა ხმას კი არ გასცემს, არამედ ჩუმად დასწყევს: „ლაფი“ო. ამის საპასუხოდ ის კაცი (ან ქალი) მიაძახებს მაძახურას იმ სიტყვებსო. მაძახურა სამჯერ ვერ დაიძახებსო. ამიტომ ზევსური ღამით მხოლოდ მაშინ გასცემს ვისზე ხმას, როდესაც შესამედაც დაუძახებენო.

550. გულის კერძება (G 122)

551. ალვა (G 122)

უპირველეს ყოვლისა გასწორდეს ბეჭდვის შეცთომა სათაურის რიცხვში: ეს არის № 551 (და არა 515).

1 ხე ალვა ამოსულაო] ეს ორნაირად შეიძლება გავიგოთ: ხე ალვა(დ) ამოსულა, ან: ალვის ხე ამოსულა.

ეს ლექსი ჯვარიონთ საქებ სიმღერეთა რიცხვში შედის (ნ. ბესარ. გაბური, ღამის თევა ანუ ჯვარის სტუმრება შინ: წელიწადეული, 121).

ბ.

ჩენის ბატონის კარზედა ხე ალვად ამოსულაო.
წვერად მანსხამ ყურძენი, საჭმელად ჩამასულაო.
მაგის უჭმელი ქალ-უაჟი უდროოდ დაშაულაო.

(O)

Os მოკვავს ჯვარიონთ სიმღერები: 1) № 552 ბ და 2) ეს (№ 551 ბ) და შენიშნავს: „ამას უმღერენ ერთმანეთს ფეხზე და ასმევენ ლულს.“

ბ.

ჩენის ბატონის კარზედა ხე ალვად ამოსულაო.
წვერში დაუსხამ ყურძენი, საჭმელად შამოსულაო.

(V, ფშავლები: ივერია, 1886, № 39).

დ.

წმინდის სამების ძირსაო ხე ალვად ამასულაო.
მაგას შასხმია ხეხილი, საჭმელად დამწიფულაო.
სამების მაღლი გწყალობდეს აქ მოკრეფულთა სულაო!

(Sh მოხ.).

ჩამაწერინეს ელიობას, 20. 7. 1913, სამებაში, ხევში. — 2 შასხმია] ვარ. მოსხმია.

ხევში ეს იმღერება სმურის ხმაზე. სმური მოხეურად ქებაა, შესხმა. ვისი შასხმაც უნდათ, ხელში მისცემენ ავსებულ ჯიხვს (ე.ი. ჯიხვის ყანწს) და შეკმღერებენ, დასახვენ რომელიმე გმირად (მაგ. ამირანად, აფანდილად, ტარიელად) და საგმირო ლექსს უძღერენ.

ჟ.

ჩენის ბატონის კარზედა ხე ალვად ამოსულაო.
წვერში დასხმია ყურძენი, საჭმელად შამოსულაო.
იმის უჭმელი ჭაბუკი უდროოდ დაშულაო.

(Tფ).

Xის ვარიანტი (ც. წ., გვ. 176) ამისაგან მარტოოდენ უკანასკნელი სიტყვით განსხვავდება: დაშულაო] გადასულაო X.

ზ.

წმიდა გიორგის კარზედა ხე ალვად ამოსულია.
ზედა დაქსხმია ყურძენი, საჭმელად შემოსულია.
იმის ნახვევი ქალ-ვაჟი შავადა შემოსილია.

(Bu, № 11).

აქ ეს მუხლები მიბმული აქვს მთის სალოცავების ლექსს, ვითომც იმისი ნაწილი იყოს.

ზ.

ჩენი მასპინძლის კარზედა ხეივანი ამოსულიყო.
ზედ ბუდეშური დაქსხმოდა, საჭმელად შემოსულიყო.

(ზ. ბ ი ლ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, 120).

ძალიან საინტერესოა სიტყვის გადაკეთება: ხე ალვად: ხეივანი!

თ.

წმინდა გიორგის კარზედა ალვის ხე ამოსულიყო,
წვერზედ დაესხა ყურძენი, საჭმელად შამოსულიყო.

(ივერია, 1890, № 6).

გაუგონია და ჩაუწერია ვ ბ ი ბ ი ლ ა შ ვ ი ლ ს ს. კარალეთში.

თ.

წმიდა გიორგის კარზედა ალვის ხე ამოსულიყო.
დამწიფებული ყურძენი საჭმელად შემოსულიყო.

(Rქ, № 115).

552. ნაბღებურ (G 122)

ამ სიმღერეს ჯვარიონთ (სალოცავის მოსამსახურეთ) ეუბნებინანო.

ბ.

დიდის ბატონის გამძღონო, ჭკვა დიდი მაგეკელებათ.
დიდი ას თქენი ბატონი, ცის გიდეღ-გიდეღ დაღება.
ვისაც შამცოდვეს მაიგდებს, ნაბღებურ გამასთულებდა.

(O).

ნ. შენიშვნა წინა ნომრის ბ ვარიანტთან.

მეც (Sh) თითქმის აგრე ჩამიწერია ბ ა ბ უ კ ი ა რ ა ბ უ ლ ი ს სიტყვით ჯუთაში 3.
8. 1913. ოლონდ მესამე მუხლში ასე გადასვა ბაბუკიმ სიტყვები: ვისაც მოიგდებს
შამცოდვეს. ამას გარდა, „ნაბღებურ“ სიტყვის ნაცვლად პირველად „ბეღღებურ“ თქვა
და მეორედ კი „ნაბღებურ“ აღ გადააკეთა.

ბ.

ბატონის დიდის გაზდილო, ჭკვაც დიდი მოგებოვება.
შამცოდეს ვისაც მაიგდებ, ნაბღებურ გამოსთულებდა.

(R 52).

553. გელენა (O)

ესეც ჯვარიონთ სამღერი სიტყვებია.

554. მეღროშეს (G 122)

ამ სიმღერით საკუთრივ მეღროშაეს მიმპართავენ (ბ. გ ა ბ უ რ ი, ღამის თევა ანუ
ჯვარის სტუმრება შინ: წელიწდეული, გვ 122).

555. იშრიშობა (G 143)

ამ სიტყვებს მეკვლენი იმღერენ ჯვარში ახალწლის ღამეს (ბ. გ ა ბ უ რ ი, წელ-
წად-წუხრა არხოტში: წელიწდეული, 142 და შემდგ). ეს არის ქრისტიანობის გაეღე-
ნის ერთ-ერთი მაჩვენებელი ხეესურეთისათვის.

ცის მეორე ჩანაწერში: 1 იშრიშობასა] ისრის შობასა; 2 ქრისტეშობასა] ქრისტი-
შობასა.

ბ.

შემაჯდარიყო მერცხალი, იძახდა გიშლიშობასა.

ბევრსამც აღდგომას დაგასწერათ, წელწადს და ქრისტიშობასა.

(Rფ 23).

ეს ლექსი სხვა ხელით არის ჩაწერილი Rის რვეულში და მოქცეულია ბერიკაობაში სამღერ ლექსებს შორის. — წელწადსა] წელიწადსა R (ახსნაც აქვს: „ახალწელიწადი“).

ბ.

ჩიტი შამოჯდა ღობესა, იძახის გიშლიშობასა.

ბევრსამც ეემ დროს დაძხედებით: წელწადსა-დ' ქრისტიშობასა!

ა ფ შ ი ნ ა თ ნ ა დ ი რ ო ს ა გ ა ნ გაგონილი ქოშარაში (ივერია, 1890, № 148).

დ.

ჩიტი ღობეზე შამოჯდა, იძახის ქიშმაშობასა.

ღმერთმა მრავალ ღღეს დაგასწროს ახალ წელს, ქრისტეს შობასა!

(ს. გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე, VII, 5).

ამას აღიღოში გაღობენ შობის წინა ღამესო.

556. ახალი წელი (G 143)

ამას მეკვლენი მღერიახო (ნ. გ ა ბ უ რ ი, წელწად-წუხრა არხოტში, წელიწდეული, 143).

557. აღების ღამე (G)

აღების ღამე ხვესურეთში, Gის თანახმად, პარასკევ საღამოს მოდის, „ქორცის პირი რო იკვრის, დიდ-მარხვის ერთი კვირით წინ.“ ამ ღამეს ძალიან დროს ატარებენო. მეზობელი მეზობელს პატიყებს, ჯერ ერთგან სმენ და შემდეგ სხვაგანო. ამ პარასკევ ღამეს ზოგი თუთრადაც ათენებს ღამესო. შაბათს დილით კიდევ ლუდი აქვს სოფელს ჯვარშიო.

ეს ლექსი წარმოშობით, რა თქმა უნდა, არაა ხვესურული. იგი ბევრგანაა გავრცელებული.

ბ.

საწყალსა კაცსა ვინ მისცემს ალების ღამეს ღვინოსა?
მჭადი ჭამოს და წყალი სეას, დაწვეს და დაიძინოსა!

(ზ. ჩ ხ ი კ ვ ა ძ ე, სალაშქრი, ტფილ., 1896).

გაგონილი ყოფილა გურჯაანში. ზ. ჩ ხ ი კ ვ ა ძ ი ს სახალხო სიმღერების წიგნაკი-
დან, ფ. გ ო გ ი ჩ ა ი შ ვ ი ლ ი ს მითითებით, ეს სიმღერა Karl Blücherმაც შეიტანა თავის
ამ წიგნში: Arbeit und Rhythmus⁵, Lps. 1919, p. 302 (რუს. თარგმანი, მოსკოვი, 1923,
გვ. 203). [ნ. აგრეთვე დამატებაში. რედ.]

558. აკვსების შაბათს (G)

აკვსების შაბათს (ე.ი. აღვსების შაბათს, ანუ აღდგომის წინა დღეს) ხევსურეთში,
ბ ე ს ა რ ი ო ნ ი ს თანახმად, „პორნილობა“ სცოდნიათ: შუადღემდე პურის ჭამა ან
წყლის დალევა არ შეიძლება. თუ ვინმემ დაარღვია ეს წესი, მაშინო, ხევსურების
წარმოდგენით, ვინც იმ ოჯახში მკვდარია, იმისი სული საიქიოს დაიტანჯებაო და
იქიდან წყველას შემოუთვლისო. [ნ. აგრეთვე დამატებაში. რედ.]

559. მარიანობის მარხვა (Sh)

ხევსურეთში ქრისტიანობის გავლენა ისე სუსტი იყო, რომ არა თუ მარიამობის
მარხვას, არამედ დიდ-მარხვასაც არ ინახავდენ კარგად. როდესაც ერთ ხევსურს ვპკითხე:
მარხვა იცით, თუ არა-შეთქი, მან, — ვითომ ვერ გაიგო, რა მარხვაზე ვეკითხებოდი და,
— გადამიკრა: როგორ არა, ვიცითო: როცა მოკვდება ვინმე, დაემარხათო.

560. სულეთი (R 39)

ბ.

სულეთში ბეწვის კიდი ბე. გასავალადა ძნელია.
ბჭენი სხენ კიდის პირზედა, რომენიც მართლის მთქმელია.

—

ჯანაბეთს, ჯოჯოხეთშია კუპრის ამოდის ალები.

—

ქვაბებ შემოდგეს ცეცხლზედა, დულსა გადმოდულს ცხელია.
5 ცოდვის მთქმელს პირზედ დაასხეს: „ნახ, როგორ გემწიერია!
რად არა სწორადა სძრახდი? ენა დავიხვდა მტერია.“

—

ძმას ძმისა მოღალატესა ჭანჭახში უდგას ფეკია.
ობოლთ შვილთ დედას დამწირავს უბეს ჩაუსხნეს გველნია:
„შვილებ მოსწირე წერილები, ეგ რა-რიგ საყვანელია?“

—

- 10 ობლების ამტირებელსა საჯდომ ასწავლეს ბნელია.
„სამზეოს უსამართლოვო, საფერი მოგხვდა შენია.“
ობოლთა შვილთა დამზდელსა გზას მიაგებეს ცხენია.

—

სამან-სამზღერისა ამრევსა ზურგზე ახკიდეს კლდენია.
„ეგ გინდა, ჯერ ეგა ზინდე, მემრ ჯოჯოხეთი ბნელია.“

—

- 15 კარები ჯოჯოხეთისა გასაღებელად ძნელია.
ოთხი კუთხია ჯოჯოხეთ, სამყოფინარო ბნელია.

—

ბჭენი დამსხდარან კიდის ყურ, შუაში ეჯდა მღდელია.
— „რაი გაღბრჭკევით, ბჭებო? რაისანი ხართ მთქმელია?“
— ჯოჯოხეთისკენ წავლალეთ, რომენიც ცოდვის მქნელია.

- 20 ემშაკსა გავაყოლიდით, რომენიც უფრო შტერია.

—

თუთი ციხე დგა სულეთში, წვერი ცას მიმდინარია.
მაგანეთ ალვის ხეი დგას, ცაში მიუღის წვერია.
ბოლოზედ ვეშა-წყარო დის, სასმელად გემნიერია.
მადლიან(ნ) მივლენ, წყალსა სმენ, ცოდვიან(ნ) მწყურვილენია.

—

(სულ თავში, ციხის წვერის აივნებზედ, დახტიან უმანკო ბავშვები, მუხლამდე ბამბაში გახვეულნიო).

- 25 ზედ ილთვის წვრილი ყმაწვილი დედ-მამის მონატურია.
ზოგი იცნობდა დედასა, ზოგ მამის უცნაურია.

(U).

მოჰყავს უ რ ბ ნ ე ლ ს ერთერთს თავის ეთნოგრაფიულ წერილში ზევსურეთის შესახებ (ივერია, 1887, № 170). მუხლები აქ ისეთი რიგით მისდევს ერთმანეთს, როგორც ეს მოცემულია აღნიშნულ წერილში, სადაც სს თავისი შენიშვნები აქვს ჩართული შიგა და შიგ. ამ შენიშვნებისაგან აქ ერთია შემოტანილი, რომელიც საჭიროა ლექსის გაგებისათვის.

2,20 რომენიც| რომელნიც ს; 5 ცოდვის| ცოდვილს ს; 8 ობოლთ შვილთ დედას დამწირავს უბეს ჩაუსხნეს გველნია| „ჩვეულება არ აძლევს ქვრივს დიაცს, რომელსაც

ობლები დარჩა, მეტადრე ვაჟი-შვილები, მეორედ გათხოვდეს“ ს; 15 გაღბრჭვეითი გაპბრჭვეით ს; 22 მაგანეთ] „მოშორებით“ ს; 25 ილთვის] ილტვის ს.

ზ.

- ზეცას დარეკეს ზარები, სრუ ყველამ გაიგონასა.
ცოდვიან-მადლიან ხალხი სრუ ერთად შიყარასა.
სულეთში ძუის კიდი ძეს, ყველამ ზედ გაიარასა.
მადლიან კიდზე გავიდან, ცოდვიან გადიყარანასა.
- 5 კიდის ყურ სამნი ბჭენი სხენ, რომელნიც მართლის მოქმედნია.
თითოს იტყვიან სიტყვასა, შუაჩი ზუცობს ღდეღია.
ქელჩი მაკრატლებ უჭერავ, ბუწვის ოროლად მჭრელია.
ტყუილა ქალ-ვაჟ ვინცა თქვა, ენის მახკერიცეს წვერია.
ნისლ იდეა სულეთს მინდორთა, ეგ ცხენ-მკედართა ორთქლია.
- 10 მავიდეს, ცხენებ წყლით დაძღეს, მკედარნი მწყურიენია.
წერილი ღედ-მამის ყმაწვილი ღედ-მამის მანატურია;
ზოგებ იცნობენ ღედასა, ზოგნ იქავ უცნაურნია.
ქალა ქმრის მწუნობარო ბაზარგნის ჯარსამც გახყვების!
ვაჟამ ვინც ცოლ გაუტიას, სხვაიმც უარეს შახვდების!
- 15 ობოლ შვილთ მამყრელ ღედასა უბეს ჩაუსხნეს გვეღნია,
ჯონ მისცნეს საჯოჯოხეთონ, ჯოჯოხეთის კარ ბნელია.
სამან-სამზღვრისა შამრევსა ზურგზე მახკიდნეს კლდენია.
ვეშა-წყარო დის სულეთსა. უმამისახლოს ცრემღია.
„რად შეეცოდვე მიწათა? სამზეოს რაც შვერ, ჩვენია.“
- 20 ამაგის მალექსებელი მალალს მე ვიჯე სკამზედა.
აქიურ არა გეგონას, – სულეთ მიამბეს ჯარზედა.
იქ ვიჯე სამ-ოთხ კვირასა, ქელ ვერ დავიდე კმალზედა.

(Sh).

მიამბო ჩონქარა ჯინჭარა უღმა, კოსტნელმა, მღაროს-კარში 4. 10. 1913. –
8 ტყუილა ქალ-ვაჟ ვინცა თქვა] ე.ი. ვინც ქალ-ვაჟი ტყუილად გააჭორაო; 18 უმამისახ-
ლოს] sc. ქალის; 20 მალალს მე ვიჯე სკამზედა] ახიელს ვიჯე სკამზედა (ვარ. მისივე).
თითქო ეს სხვადასხვა ლექსისაგანაა შედგენილიო. შესავალი და მათქვამობა არ
უღგება დანარჩენს ნაწილს. ამას გარდა მმ. 13-14 (ქალა ქმრის მწუნობარო..., ვაჟამ
ვინც ცოლ გაუტიას...) ნაწყვეტია № 616-ისა.

ღ.

რა იცის წუთის-სოფელმა, შვეთს რა სამართალია?
შვეთს კარი ქნავს ცალა-რქა, ბარაქა მესტუმრისია.

- „შენ რომ ქრთამს ეშურებოდი, მეც აღარ მოგიშალია.“
 მოვიდეს ჩვენი შწერელნი, ჩვენ გვქონდა სამართალია.
- 5 შუაზედ ბეწვი გაწვიტეს, ეგ არი მაკრატელია.
 ვაი, ამ ბეწვის კიდზედა რა ძნელი გასავლელია!
 ქვეშ შავი წყალი გამოდის, ზედ მათუგლია პერია.
 მაგ ჯოჯოხეთის კუთხესა რა ძნელი შესასვლელია!
 ცოდვიანს შეაბრუნებენ, გზას ნარ-ეკალი ჰყენია.
- 10 შიგა დგა კუპრის ქვევრები, დულს და ამოდის ცხელია.
 გარშამო ეშმაკებს უდგა, ძირში ანთია გენია.
 კაცს კაცის მოღალატესა ჩაუყვეს ენის წვერია.
 მამამ შესჩივლა უფალსა, ეგ დიდის ცოდვის მქნელია.
 კელი ჰკრეს, ჩაგდეს შიგა, „მანდა ხარ შესაფერია.“
- 15 თან ეშმაკ გადააყოლეს, რომელიც უფრო შტერია.
 „კარგა მეექე, ეშმაკო, მაგისი სული შენია,
 მალ-მალ ჩაასხი პირშია ნადული კუპრი ცხელია.“
 კაცისა მკვლეელიც იქ არი, ნათლიის შემგმანელია.

(X 242).

561. თოხლების დაკოცა აბას მიერ (Sh)

ჩამაწერინა 1930 წ. სიმონ გაბურმა (Gs), რომელმაც ამას უშუალოდ მოაბა ექესი მუხლი შემდგომი ნომრისა.

საქმე ასე ყოფილა: ბათირათ მარტიას, კვირი-წმინდელს, გვარად გიგაურს, რომელიც ხშირად მელებს იჭერს ზფანგით ჭიმღის ბოლოში კლდესთან, რომელსაც სახელად ნარლევენი ჰქვია (შდრ. №640), ონჩხრის წესით ორი თოხლი უშოვია მემცხვარეებისაგან და საძოვრად გაუშვია კვირიწმინდის ზემოთ, ცირცლოვანაში. ეს ყოფილა შემოდგომაზე, როცა მემცხვარეებს, რომლებიც არხოტის მთებში უმთავრესად მოხვეენი ან გულამაყრელნი არიან, ცხვარი აყრილი ჰყოლიათ და ჩარეკილი ბარში. სამი კაცი: მღვდელი ბადია ბადიაური, დარასტა ფიცხელი (ფილიპე) ნაროზაული (ახიელლები) და ჩაფარი აბა გიგაური (ბლოელი) მიდიოდენ თურმე ცირცლოვანის გზაზე და თეთრი ცხვრები რო დაუნახათ, უფიქრით: ეს ალბათ მემცხვარეების ფარას მოსწყდა და შემთხვევით დარჩენილიაო (ხვესურეთშიო, Gsm, თეთრი ცხვარი არ იცის: იცის ან შავი, ან ლეგაო. ეხლადა მობევრდა თეთრი ცხვარი, თორემ წინად არ იყო) და გახარებულთ მოუნდომებიათ დაჭრა. მაგრამ, რაკი ვერ დაუჭრიათ (თოხლები „გაველებული“ ყოფილან), აბას თოფი დაუხლია.

2 ნარლევით] ამ სიტყვის შემდეგ მიიმე უნდა; 8 ტყვია ტყვიაში ეთხარა] დაცივით არის ნათქვამი, — ვითომ ყველა მოარტყაო.

ბ.

ბერავს ბათირათ მარტიას წინ ცოლვა შამაეყარა:
ონჩხრით ნაყიდი თოხლები შინიდან გამაეყარა.
ცირცლოვნისაკე წაეიდეს, ბალახი უნდა ეჭამა.
შამახვდეს ღვეღელ-ღარასტანი, ერთი სტრაჟნიკიც ეტანა.
5 გიგაურს ლანძღს კი მივსცემდი, თუ გზაში შამაეყარა.
გან-თურა იყვა ჯიკეები, იქ რო ბერდენკა ექალა?!
კაი სროლას კი გახკვირდეს: ტყვია ტყვიაში ეთხარა!

(Gi).

ჩამიწერა თვითონ ა ბ ა მ (თოხლები რომ დახოცა, იმან), რომლის თანახმადაც, ეს ლექსი ომას მიერაა ნათქვამი.

562. (Gi)

ეს მეორე ლექსია იმავე თოხლების დახოცის შესახებ, რომელიც ა ბ ა მ ჩამიწერა. ჩამწერის ცნობით, ეს ლექსი პეტრუას უთქვამს.

ბ.

თქვენ უნდო კეეში იყენით, სნოს, კარკურასა, ყვარასა.
თითოს რომ გცემდეს ხუთ-ხუთნი, ძლივ იბრუნებდან გარასა.
ეგენ შაგიფერებდენთ ყაჩაღსა თქვენისთანასა.
ფილიპეს ნაროზაულსა წელთ შამოხქსნიან დანასა.
5 შინისკე გამააქცევენ აფშინათ ალვისტანასა.
ორთავ დათ აუტირებენ: სანდუასა და ნანასა.

(Sh).

ჩამაწერინა Gsm, რომელმაც იგი უმუალოდ წინა ნომრის ლექსს მოაბა.

563. აბასაგან მინდიასა და უშიშას (Gi)

ეს არის საერთო პასუხი აბასი ორივე მოლექსისადმი. იგი თვით ავტორის მიერაა ჩაწერილი და ამიტომაც ეგრე სრული.

1 ბევრას აძახებთ ალასა! ე.ი. ქისტებს ბევრსა ჰკლავთ, რომლებიც სიკვდილის წინ ღეთის სახელს ახსენებენო (აღლაჰ, ალლაჰ!); 28 სულაი ბეჭდვის შეცთობაა, — უნდა: სუღია.

564. უშიშასაგან აბას (G 229)

ბ.

დაუბარებავ სტრაჟნიკსა წიგნი, წერილი ჩემთანა.
მადლობელი ვარ, ბატონო, მაკითხვა გამაგებზავანა.
ჩინონიკობა მიგელა, თიანეთ გნახე ერთხანა.

- 5 რუსულ ქუქუნაკ ჩაგეცვა, ღილით საყრელი წელთანა.
მინდიას რად არ უბარე? მიზეზ რა იყვა ჩემთანა?
მიაც მაგიზგან ვილანძლე, მაგას კი ბევრ მძღრენ ეჭამა.
ვერ სჩების ხვინტლის წმედასა, სალექსოდ როსა-ლ ეცალა?!

(Gi).

565. მინდიასაგან აბას (Sh)

მიამბო მგონი თვითონ აბამ 1913 წ.

566. აბასაგან მინდიასა და უშიშას (Gi)

567. მინდიასაგან მარტიას (Gs)

3 მაზა] = მასზე; 7 მოკლეული] მოკლეული Gs; 10 დაშჩა] დასცა Gs.

„ეს საქმე ასე იყვ, რომ მერცხალი (მინდიას თიკუნია. ა.შ.) იყო ავად (ღ)ა ამ დროს ბათირათ მარტია წავიდა ვლადიკავკავში. მაშინ კავკავში ცხოვრობდა ღიმიტრი ცისკარაული. ცისკარაულს ეთქვა მარტიასთვინ: «მე წამლები გამავიდიო, მერცხალს წაუტანეო» (მერცხალი ღიმიტრის შაკეთე იყო). მაშინ ეთქვა მარტიას: «წამლებს არ წაუტანაე». — «რატომავ?» — «იმიტომავ, რო ისივ მე მალექსებსავ. ნეტავინ მოკვდასავ!» ესი მოსწერა ღიმიტრიმ მერცხალს, რო «ასე თქვაე და ერთი ლექსი კიდევ უთხარიე». იმ დროს, იმ მგზავრობას მარტიას გზაში ქისტები დახვდეს და გაცვარცეს მარტია, — თხის ტყავინი წაართვენეს და კიდევ სცეს და მის ამხანაგიც გაცვარცეს, გიორგი. მაშინ თქვა მარტიამ, რომ «დავიძახე: აა, ყაზახებო! მაში მითხრესა: აი ჯაღლიაო». ჯ ა ლ ი ა მადლია ქისტურა. მაში გავივიჯ, ქისტები იყვენესავ“ Gs.

568. მარტიასაგან მინდიას (Gs)

ნ სულ მუდამ შიტუს გდებასა კუდი გაქვ განაბდულიო] „მერცხალს პქონდა ბოსელი მთაში. ზამთრის საქონს ადენდა, დროებით, რადგანაც იქ თივას თობდეს და ტვირთი(თ) ზიდევდა თავისთვინ ტანისამოსსა და ლოგინს“ Gs; 7 მკრულიო] მკვრულიო Gs (= მკრულიო).

Gs-ის თანახმად, ეს ლექსი უთქვამს არა თვითონ ბათორათ მარტიას, არამედ მის შვილს, დაბალ გივას, მამის მაგივრად. Gs შენიშნავს: „ეს ერთუცის ლექსობა განა კი სწყინდა? გულს ახარებდეს და იცინოდეს. ეს იყო იმათი გახარება.“ იმ დროს მინდია მამასახლისი ყოფილა, ხოლო საპასუხო ლექსის მათქვამი გიორგა გიგაური (დაბალ გიგა) კი – გზირი.

569. მინდიასაგან ახიელლებს (Sh)

ჩამაწერინეს ახიელში 1913. – მალექსეს ახიელლებმა] ესენი ყოფილან ნიკო ოჩიაური, თათარაშვილი, და გიგია ოჩიაური, ხუტუნაშვილი, ამთგან ნიკო კახეთს არის ჩამოსული, ასხაბარში; 2 ჩამადან-მძივიანებო] მხედველობაში უნდა ჰქონდეს სათამბაქოე ქისა, რომელშიაც ინახავენ ტალ-კვესს, აბელს, ასანოს; არსად მომაჭრათ ღირძითა] sc. penis; 5 ცოლ-შვილთ ინახავ რკინითა] სისკარათ იონეური მჭედელია.

მათქვამობაში აქ პირდაპირ მოლექსის სახელია გამოყვანილი (მინდია), მაშინ როდესაც იგივე პირი კიდევ სამი ფსევდონიმითაა ცნობილი: მერცხალი (ან მერცხალა), ომა, ტეტია.

ბ.

ჩამადან-ლილიანებო, არ ამაძილათ ძირითა!

კალს იჩხრეთ იწრო ჯამშია, დაზდილნი ხართ ცოდო-ჭირითა.
რახან კი დასძლათ, იცინით, რახან მოგშივლათ, სტირითა.

(Gs).

2 იჩხრეთ] იცხრეთ Gs.

570. ახიელლებისაგან მინდიას (Sh)

ეს არის ნიკო ოჩიაურის მიერ დანაბარევი. – 1 კუკიაძლინ] ვარ. გრანიცაძლინა; ნიკო ოჩიაური მამა იყო მინდიასი; 2 დოღვი გაჩნდება] ვარ. დოღვებ იქნების.

ბ.

გუშინ რო თქოე მერცხალმა: „ლილველიმც მამცა მტერია!“
ეხლა მაგარეს ლურჯაი, მერცხალო, ვერა ხქენია.
სერნაობ სირცხელიანი, გასციეთუ ბანის წვერია.
გაჭარბებს სიძამაცითა შუქია დედა-შენია.

(Gs).

4 გაჭარბებს] გაწარბებს Gs. — ნიკო ოჩიაური, ამისი მათქვამი, ახიელიდან კახეთს ჩასული, ასხაბარში, ცოცხალიაო, მითხრა Gsმ 1930 წ.

571. მინდიასაგან აფშინას (Gs)

3 მამაკვლეინე] აქ სხვა ზმნაა დედანში.

„არხოტში რომ ქვესურების ზეკუცია მავიდა მამუკაის დასაჭერლად აფშინაის ხელმძღვანელობით, იმ დროს იყო აფშინა, დროებით, მთავრობის მიერ ვაინის მამასახლისი. ქვესური რომ დაბრუნდა შინისკენ (ქვესურები იყო 700 კაცი), მაშინ აფშინამ თითიდა(ნ) გაიძვრა ვერცხლის ბეჭედა ანუ სათითო, უთხრა პოეტს მერცხალს: „ერთი კაი ლექსი გვითხრიდივ.“ უთხრა მერცხალმა: „ერთს ისიოს ლექსას გეტყვითავ, რომ სულ კვირობდასავ ქვეყანაივ.“ მაბრუნდა, ჩვენ ხალხს თვალი დაუცა და უთხრა: „აბა დაისწავლეთა, როგორ კაი ლექსას ვეტყვივ აფშინასავ.“ და ისი გაუხარდა აფშინას, — ეგონა, რომ შაქებდა. იმ დროს ორი ცოლი ჰყვანდა აფშინას. შემდეგ დაუბარა ლექსი. ესე გაიგა ხალხმა არხოტში და მერცხალს დიდი პატივი სცეს. ხალხი იმ სიტყოზე სულ სიცილს იჯოცებოდა. და შემდეგ გაიგა აფშინამ და თავადა უფრო დიდად იცინოდა და ამბობდა, რო „ახია ჩემზე, რომ მე ვერცხლის სათითო ვაჩუქე.“ შემდეგ ძალიან უყვარდა ერთუცი. ის აფშინა ძალიან კა კაცი იყო. შემდეგ აფშინაც გადაიცვალა“ Gs.

572. გ. არაბულისაგან უშიშასა და მინდიას (Gs)

573. მინდიასაგან გ. არაბულს (Gs)

ზეპირად მბობის დროს 11. 3. 1931 Gsს მოაგონდა კიდევ ორი მუხლი, რომლებიც დასაწყისია პასუხისა:

ეგ ჩემეულად უთხარით აბიკათ გიორგისაო:

ნუ იწყენ შაირობასა, აგრემც მოგპარავ ჭირსაო!

Gs შენიშნავს: „ამათ სამივეს (ეი. გ. არაბულს, უშიშასა და მინდიას) ერთუცი უყვარდა და ერთუცს ალექსებდეს. ხან კი ძალიან აქებდეს ერთუცს და ხან კი ასე ეხუმრებოდეს ერთმანეთს(ს). ესენი სამივე მხიანურები (sic) და მოლექსეები იყვნეს, ნამდვილი პოეტები.“

574-575. ჯუთელთ (O)

576. ქმოსტელთ (O)

577. არახიჯელისაგან უშიშას (Sh)

მაიპო ერწოში, ტოლათ-სოფელში, 29. 8. 1922. მ წ ა რ ი ა წ ი კ ლ ა უ რ მ ა, ძირად ამლიონმა, ერწოდან კახეთს (ტოლათ-სოფლიდან აშროშანს) გადასახლებულმა ხეესურმა...

ლექსი მიმართულია პეტრო ჩამღელისადმი, ე.ი. უშიშა წიკლაურისადმი, რომელიც ამდღეა, მაგრამ ლექსებში ჩამღელს უწოდებს თავის თავს (მაგ. 666,18). იგი ამჟამად მოხუცი კაცია, არხოტიდან კახეთს ჩამოსახლებული (სოფ. აშროშანში). ლექსის მთქმელი კი შედარებით ახალგაზრდა კაცია, ექვს წელს ტყვედ ნამყოფი გერმანიაში მსოფლიო ომის დროს. იგია გიორგი გიგაური (ლექსებში: არახოჯელი, გიგა, დაბალ გიგა), ისიც არხოტელი, კვირიწმინდიდან კახეთს (სოფ. საკერეში) ჩამოსახლებული. უშიშა და გიორგი მქვისლუბია (მ. 3), მაგრამ მათი ცოლები დები კი არ არიან, არამედ ბიძაშვილები. უშიშას ბესარიონ გაბურის და ჰყავს ცოლად.

მწარამ მიამბო: ლექსი იმაზეა ნათქვამი, რომ ერთ დღეს პეტრო ტყვეში იყო და თელას ჭრიდაო. ერთბაშად სახე გაუმრუდდა: ცალი თვალი ზევით წაუვიდა, ცალი ქვევით, პირიც განზე მოექცაო. მკითხავის რჩევით პეტრომ მოჭრილ თელასთან თიკანი დაკლაო (ხელ-უკულმა დაკლავდა და იტყოდა: „ეს თქვენ და მე კი გამათავისუფლეთ“). ამის შემდეგ სახე გაუსწორდაო.

17 წინაე კი დაბალა იყავ, მაშინ გაგწიეს სიგბესა] შდრ. ამას თვით პეტროს მიერ თავის თავზე ნათქვამი სიტყვები (№629, 1); 21 საწყენს სუყველა იწყენსა] თელის მოჭრა ყველასთვის საწყენი იყო და მით უმეტეს ხაზინისთვის, რომელიც ამის გამო გაწყრა; 22 ოჩოპინტრე (ანუ ოჩოპენტრე) მწარიას აზრით არის ეშმაკების ხატი, ე.ი. ეშმაკების სალოცავი. ვანო წიკლაურის სიტყვით (ერწოელი იყო, ტოლათ-სოფლელი, 1922 წ. 70 წლის მოხუცი) ოჩოპენტრე არის (არა ეშმაკების, არამედ ადამიანების) ხატი, რომელსაც კამეჩებს აუსახელებენ ხოლმეო. კამეჩი რომ დაუზარალებათ ან ავად გაუხდებათ, ყურს მოაჭრიან და იტყვიან: „ონჩოპენტრე, შენთვის აგვისახელებია, კამეჩი გაგვიბრაველიო“ (ან: „მოგვირჩინეო“, — იმის მიხედვით, თუ როგორია შემთხვევა). ასახელებული კამეჩის გაყიდვა არ შეიძლება, — ის უნდა დაბერდეს და შინ დაიკლას, უღელში კი აბმნო. 26 შავსა და დაუბანელსა ხოშეკა გვერდზე იწყენსა] პეტრო შავი კაციაო, ხოშეკა ცოლია პეტროსიო.

ამ ლექსის საპასუხოდ პეტროსაც დაუბარებია ლექსი, სადაც, ცნის სიტყვით, ასეთი მუხლი ყოფილა:

ეხსლა შენ მამეზიდე, იმათ კი ვერ მამგლიჯესა.

578. ოსიკასაგან მანგიას (Sh)

26. 6. 1930. ტფილისში შეეპხვიდ ოკერ-ქეველს ხეთისო ფიცხელაურს, რომელიც ის-ის იყო ავტომობილში ჯდებოდა და ფასანაურში მიდიოდა (იქიდან გულამაყრის ხეობით ოკერ-ქევს გადავიდოდა). მომაგონდა, რომ ოკერ-ქეველ ოსიკას ლექსი ეთქვა ქმოსტელ ბურღულუბზე, რომლის პასუხიც (ამ წიგნში №579) კაქმატში მითხრეს 20. 8. 1913. ვაკითხე ხეთისოს, ზომ არ იცი შენ, რა ლექსმა გამოიწვია გიგიტელის პასუხი მეთქი. მან ამაზე ეს ლექსი მიამბო, რომელსაც ბოლო ასეთი აქვს:

- უ...ის ქალი მ... უბეს გაივებს თხილითა.
 5 კარადის კარს გაეალებ, გამაუტენდი ტვინითა.
 ბ... თ... გატენილი გვათ ტილითა, –
 მაგასთან არ დაწვებოდი, გინდ კარ დამიკლათ შინითა.
 თველექათა ხთისია ცოლის ძმავა შინითა.
 კ...ის ქალი მ... კაცს დაიჭერდა კელითა.

579. გიგიტელისაგან ოსიკას (Sh)

- მაიამეს კაკმატში 20. 8. 1913. – რამოდენიმე მუხლი კიდევ აქვს:
 კ...თ გ...ს ქალი ჩემს ფრანგულს შამეეჭრასა!
 5 ქალსა ყ...ს რა უშავს, რო კუდი გამეებასა?
 უნდოდა ეგეთი, კაბ რო ღებ მუხის ვერქვანასა!
 შაწუხებულას კ...ი, კელით მამვარდა კვედასა,
 დამწია ძალისულითა, კვედა მოგლეჯას ბედასა.
 დავეკერი ჭ...ის ქალსა, ვერ მამიშორებს ლეგასა.
 10 ბ...ის ქალი ბ... შაღავს საძაღლეს გეჯასა;
 მე ზომ მაგასთან არ მივალ, გინდა გულ-აღმაც ეგდასა.
 მარქარებს ს...ი, მე ვხეყები ნება-ნებასა,
 შასწუხდა მეტის-მეტადა, დავაწყებიე ყფასა.
 12 ს...ი] მსხვილი ყოფილა ძალიან.

580. ხთისოსაგან გიგიტელს და 581. გიგიტელისაგან ხთისოს (Sh)

ჩამაწერინეს დართლოში (თუშეთში) 6. 9. 1913. – აჯობებდა რომ სათაურები ასე გადაკეთებულიყო: ხთისო გიგიტელს და გიგიტელი ხთისოს. ხთისო კაწალ-კვეელი კვესური იყო. როგორც Gsმ გადაამოცა 1930 წ., ხთისო მოუკლავს გაფშავებულ არხოტიონს ბაქინკაურს, ძირად ახიელელს. შემდგომ მისი მომკლავიც მოუკლავს ხთისოს ბიძაშვილს ცისკარაულს. გიგიტელი კი როშკელი იყო, გვარად ბურდული.

580, 1 ლელის ქვე ვხერხავ ფიცარსა] მაშინ საყდარს აშენებდენ როშკაში: 2 რად არ ჩამოქსნით ბაღასა] გიგიტელი მაშინ 13-14 წლისაზე მეტი არ იქნებოდაო; საფერისასა] ამის ნაცვლად ღედანში სხვა სიტყვაა, ნა პრეფიქსიანი; 3 დამაკოცინებს] ღედანში სხვა ზმნაა მო პრევერბით; თვალებს] აქაც სხვა სიტყვაა მხოლოდით რიცხვში, მანით იწყება.

581, 3 თვალებს] ღედანში მანით დაწყებული სიტყვაა, მხოლოდით რიცხვში; დაგიკოცინი] აქ კი მო პრევერბიანი ზმნა იმავე ფორმით.

რაც ხთისომ უთხრა, იგივე დაუბრუნა პატარა გიგიტელმა და უფრო ძლიერადაც. ამისთანა ლექსობაზე ჩვენში დაჭრიანო, მითხრა ს. გ ა ბ უ რ მ ა.

582. გასპარასაგან ლიქოკელთ (Sh)

მიამბო შამუკა ქეთელაურმა 1911 წ. – მეოთხე სტრიქონის შემდეგ გამოტოვებულია რამოდენიმე მუხლი:

- 5 ქალებ რომენ(მ) გვიშირე, მკედართამც გიძე მელაიო!
თოთიას ხყავ დედიკაი, ბიძურასა ლელაიო.
აბიკათა სამძიმარი აღი-ვარდის ფერაიო.
შეგლათი მარიეში ქალა რა კარგუნაიო!
შამუკათა ნათიასა აქებს, გახკვირს ყველაიო.
- 10 მაგას თუ-კლად არ უნახავს მხილ მათრაკით ცემაიო,
მაღლა ჩამობა ბაწრითა, სათიკრუნედ ზელაიო.
შეგლიკათა ძილუაი საცოლეა ჩემაიო.
თავ-კმელია ძალიანა, თავში უნდა ჭერაიო.
საკორკეს ლაგამს ჩაუღლებ, ჩემ თავს ხქონდას შევლევაიო!
- 15 თავქვაზე გარმოვიბრუნე გასპარაის რემაიო.

შემდეგ მიჰყვება: 16 „აღარა სთქვათ ლიქოკელნო“, 17 „თორე ჯამბარაობა.“ ამას გარდა: I აბეჩაე] კარგი ხარ (ვარ.); 4 ლიქოკისკე] სალიქოკოდ (ვარ.); II სათიკრუნედ] თიკრუნეით (ვარ.).

ჯამბარაობის შესახებ უნდა შევნიშნო, რომ ხევესურები ბარში (ქართლს და კახეთში), როგორც ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა ც აღნიშნავს (ივერია, 1886, №199), განთქმულნი არიან, როგორც ჯამბარის საუკეთესო მწვენილნი.

ბ.

- დავჯე, ლექსობა დაიწყვი, თან ქაღალდში წერაია.
ასხაბარელთ ყმაწვილი ორ, კერვინ იტყვის ვერაია.
ღამიბერდა კინდოლაი, აღარა შყავ ცხენაია.
სალიქოკო წამავედი, – ქალებ მითხრეს ბეერაია.
თოთიათა დედიკაი, ბიძურათა ლელაია.
- 5 მე კი ერთორს გამავარჩევ, – რად მინდოდა ყველაია?
თავ-კმელი ხყავ ძილუკაი, უნდა თავში ჭერაია.
საკორკეს ლაგამს ამავსდებ, ჩემ თავს ხქონდას შევლევაია!
სათაქვე]აოდ გამავიგდებ, – გასპარაის რემაია.
მხილ თუ იქნა, ვიცი კერკი, მათრაკ უნდა, ცემაია.
 - 10 არ იწყინოთ ლიქოკლებო, გზა შამიკრათ ზენაია.
თორე ჯამბარაობა და კახეთ გინდათ დენაია.
თუ სად ბუგრა შემეყარა, გვინდა თვალი(თ) ჭერაია.
არხოტ ქალებს რომენმ ხკადრეთ შაირობა, მღერაია?

- არხოტიონთ მელექსენო. მამკვდართ გიძესთ მელაია!
15 კვლა აღარა გაუიგონა, დააყენეთ ენაია.
ლექსი არვინ გაიკვირათ, ეგ საკვირველ ვერაია.

—

ამაგის მალექსებელი კალოთანელთ ქერაია.
გადმომცეს და თი კო ცი სკარა ულის მიერ ჩაწერილი 1931 წ. მარტში.

583. გასპარას (Sh)

ჩამაწერინეს 1913 წ. ხევსურეთში. მე-15 სტრიქონის შემდეგ გამოტოვებულია ორი მუხლი:

15 ხ წაიყვანე ბებერაი ე მინდიას ზგელიაო,
აღარ უნდა კევსურებსა, ყველამ ხყარა კელიაო.

15 ხ ბებერა] თიკუნია ქალისა. — დათვისელა კოტორელი, რომელიც მათქვამად არის გამოყვანილი, თიკუნიაო, იგი ყოფილა გაგა გიორგის ძე არაბული, გიორგით კოტორელად ცნობილი.

ბ.

არ მოვიდა გასპარაი, მშობილია ჩემაიო.
წამახვილი, გასპარაო, გზა მაგიდის ცერაიო.
ვერას იელი ქვეითაი, — შესკაზმიდი ცხენაიო.
შიგით ამაირჩევნიდი ძილუაი, ლელაიო.

5 აგებ კაცჩი ჩავვითვალნა დათვიაი, მგელაიო.
აცა, ქალა, დაიცადე! ეგ ლექსობა ვერაიო.
მაშინ რა ქნა გასპარამა, გარმოჩინდა მგელაიო,
სამაია ჩაამბია, იქნა სივირგელაიო?
მგელიკათა დათვიაი ბეწიკუა შტერაიო?

10 გარმაქნულ გარმაჩინდა კმალი ფხა-შიშველაიო.
წყალში შახედ, გასპარაო, ვერ შამაგყვა მგელაიო.
გალამწუკვილ გაითარე, როგორც ღეკის მელაიო.
ქალებ შენთან ნაწოლები ვირმ დაღლიტას ყველაიო!
შენდ მინაის შემნახავი, შილეტკაის მკერავიო!

—

(ა)მაგის მალექსებელი დათვის(ს) კოტორელაიო.
არ იწყინა, გასპარაო, გზა შემიკრა ქვენაიო!

ჩამაწერინა ხ თი სო ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ მ ა, ოკერ-ქველმა, 26. 6. 1930 ტფილისში.

584. გასპარასაგან ხაზონაურთ (Sh)

ჩამაწერინეს 1913 წ. ხევსურეთში. — გასპარა ერისთვიანი თიკუნია ქორია მგელას ძე ქიბიშაურისა, რომელიც კალთანიდან კახეთშია ჩამოსული, ასხაბარში (6. №204 შგშ.).

ლექსს ბოლოში აკლია ერთი მუხლი: 14 ძალიან გაგვირებიათ, ცათ რო დახკი-დეთ ფსლიანი.

ბ.

- კიდენაც იტყვის ლექსებსა გასპარა სირცხვილიანი.
მე რო ლიქოკლებ შამამხედეს, თურებმ მაილა პრიალი.
არცა-რა დიდი ზან იქნა, სისხლმა მაილა შრიალი.
შამრივლით, ხაზონაურნო, ლუდი ადუღეთ სვიანი.
- 5 კლოვ კი აღარცად მაგიკდასთ, ერთხან გეყოფისთ ზიანი.
გზა კი აღარსა შამიკრათ, ეგ კი რაღა ჩემ ყლი არი?

-
- არც კი ეყოფის აბასა ამ ზაფხულ ნადღვებ-ნაწველი.
შაუპატივეთ, ქალებო, არ გააღუბათ მაზვერი.
ბევრკან გაღმართა აბამა საბულრანო ბარდელი.
- 10 ბევრას ბუზიკა მართვა, ჩუსტ ფეკუდ ამოსაცმელი.
უყიდა ...თ ქალსა დოგმათ ჩამოსაყრელი.
თეთრ ქუქუნაკა მართვა წოლის დროს გამასაცვლელი.
ქალებმ რა ჩამოგაყარეს? სტრაჟენიკო, შამოგაფსენი!

ჩამაწერინა Gsm 1930 წ. ტფილისში. — 6 ყლი არი| გა ჯგუფი ხევსურულში ია'ს გვაძლევს (შეამა>შიამა და მისთ.). აქაც იგივე მოვლენაა.

მმ. 7-13, რომლებიც მოაზმებ უშუალოდ მოაბა წინა მუხლებს, დამოუკიდებელი ლექსი უნდა იყოს, თუმცა იმავე შემთხვევის გამო ნათქვამი. აბაზე გასპარა იმიტომ გაჯაერებულა, რომ თითქო (არ ვიცი, რამდენად მართალია) აბას, რომელიც მგელას მეგობარი იყო და ლელას გაღექსება იწყინაო, შეეტყობინებინოს მგელასთვის და დათვისთვის, გასპარამ აიარაო. ისინიც ჩაჰსხდომიან გზაში და უკან გამობრუნებული გასპარა დაუჭრიათ და გაუქცევიათ.

გაქცევა ომში შეტაკების დროს დიდი სირცხვილია ხევსურეთში. ამ ამბის შემდგომ მგელამ სახელი მოიხვეჭა და გასპარას კი სირცხვილი დაედო. სირცხვილის ჩამორეცხა ისევ საგმირო საქმის ჩადენით შეიძლება.

რამ გამოიწვია პირველად ლექსობა-შაირობა გასპარასა და ლიქოკლებს შორის, არ ვიცი. გამოიგონია კი, რომ გასპარას საზოგადოდ ბევრი ჰყავს გადაკიდებული ლექსობა-შაირობის გამოვო.

აქ მოხსენებული აბა კაი ვაჟია (პირდად ვიცივობ), ლექსობა არც იმან იცის გასპარაზე ნაკლები, მაგრამ სამწუხაროდ არ ვიცი, რა პასუხი გასცა გასპარას აქ მოყვანილ ლექსზე.

585. დედიდაებს (Gs)

ამის და მომდევნო ნომრის მათქვამი პეტრუა ყოფილა (ე.ი. უშიშა წიკლაური). დედიდათაგან აქ დასახელებულნი არიან ლ ე ლ ა (მ. 5) და ქ ა ლ ი (მ. 6), მაშინ როდესაც შემდგომ ნომერში ამათ შესამეც ემატება: ნინო.

586 (Gs).

5 ქალას] ქალსა Gs (შეიძლებოდა აგრეც დარჩენილიყო).

ბ.

რა აღლოი აქვ არაყსა, კაც რო მაიქცევს ენასა!
დავლნატრი, სადაც ქალნი სხენ ყანწების გარდადენასა.

(G 248).

587. ჯიკვის ტყავები (Gs)

Gსის თანახმად ეს ლექსი უთქვამს გიგა (ანუ გიგია) ხუტუნისშილს, ოჩიაურს, თავის ბიძაშილს ნიკოზე 60-ოდე წლის წინად. საქმე ასე ყოფილა: ნიკო თავხვე-სურეთის გადმოსულა ერთხელ შემოდგომაზედ და თოფი უთხოვინია წიქასაგან: კარგი მონადირე ვარ, ამ ზამთარ ჯიხვებს დაეხოცავ და ზაფხულში გადმოდი და ტყავები გავასწოროთო. წიქას თოფთან ერთად 100-ოდე პატრონა მიუცია. ნიკოს ეს ტყეები სულ ტყუილ-უბრალოდ დაუსარჯავს, ფრინველებზე თუ ნიშანში სროლით. ეს რომ მერცხალს (ე.ი. მინდია წიკლაურს) გაუგია, ხვესურებისთვის დაუბარებია წიქასთვის გადასაცემად: გადმოდი, ტყავები წაიღე, ნიკომ ბევრი ჯიხვი დახოცა ამ ზამთარშიო. წიქას ეს ამბავი მართალი ჰგონებია და არხოტს გადასულა ტყავების წამოსაღებად. ნიკოს თავი იმით უმართლებია, რომ თოფი არ ვარგებულა, სულ ჯიხვებს ვესროდი და ვერ მოვარტყიო. დაბრუნებულა წიქა ხელ-ცარიელი. ლექსის მათქვამი გიგია გადაცვლილა და ნიკო კი დღესაც ცოცხალიაო, მითხრა Gსმ 1930 წელს მარტში.

588. მამიდაშილს (Gs)

ნათქვამია გასპარას მიერ დ ი მ ი ტ რ ი ც ი ს კ ა რ ა უ ლ ზ ე ო .

4 ყბანია) არა მგონია Gs შევთომით დაეწეროს ყბანია'ს მაგიერ: ვბა ხვესურუ-
ლად წვერს აღნიშნავს და, მაშასადამე, „ერეკლესავით ყბანია“ ამას უნდა ნიშნავდეს:
ერეკლესავით წვერები; 17 ლიურველ აგებ] ლიურველი რაგებ Gs; 18 ტყვიას ვერ
იჭერს ძვალთა] ტყვიას ვერ იწერს ჯვალთა Gs.

589. გიგასაგან ბალიურს (Gs)

ნათქვამია დაბალ გიგა გიგაურის მიერო. — 9 არცა-რას] არც არას Gs; 14
წყინუნობს = წყინუნობს; 15 ზევესა არ ჩამოვედა] ზევეს არ ჩამოვედა Gs; 21 ქისტებ
გეზოცათ, გეტყოდით თოფისასა და კმლისასა, ე.ი. ქისტები რომ დაგეზოცათ, სალექ-
სოდ თოფისა და ხმლის გამოგზავნას გეტყოდითო.

590. ხუტუნეშვილისაგან აკვაიშვილს (Gs)

ეს ლექსი უთქვამს გიგია ოჩიაურს (რომელიც 1916 წელს გადაცვილია) ბეწინა
წიკლაურისათვის. ეს ბეწინა, ამლიონი, Gs-ის სიტყვით გათქმული და სახელო-
ვანი კაცი, გარდაცვილია 1900 წ.

2 საახილო] სახილო Gs; 4 ჩათუშა] Gs-ის თავისებური გამოთქმა ხანდახან წერაზე-
დაც აჩნევს თავის გავლენას, რის გამოც შეიძლება გვეფიქრა, რომ აქ „ჩათუშა“
„კათუშას“ მაგიერად არის გამოყვანილიო. მართლაც 592 ნომერში „კითოშუა“ იკითხება.
მაგრამ ჩინიანი ფორმა სხვაგანაც გვხვდება (ჩოთუშო: 604, 1, ჩოთუშას 604, 52, ჩოთუშო
670, 5, 21). ამიტომ თუ აქ რაიმე შევთომამა, იგი შეიძლება მხოლოდ ხმოვანს შეეხებოდეს.

აქ მოხსენებული ჩათუშა, ურიადნიკი, მითხოველი ქისტი ყოფილა, მღვდელი კი
რუსი (ახიელში მსახურებდა). ლექსი იმაზე ყოფილა ნათქვამი, რომ მათრახი დაუ-
რტყამთ ჩაფრებს ბეწინასთვის.

591. აპარეკულს (R 194)

ს. ვაბურმა გადმომცა, რომ აპარეკული ჯუთელი იყოვო, აყურა კი მისი
მეზობელიო. — აპარეკული არ აქი] „არ არის აქაო“, გვიხსნის R, მაგრამ შევთომამა:
„არ აქი“ ამას ნიშნავს ხვესურულად: „არ აქე“, ე.ი. არ გიქია, არ არის შენგან
შექებულიო; 6 თამარა] „აპარეკულის ცოლი“ R; 12 არა გი] „არა გიშავს რაო“ R.

592. ბაბილთ ლელა (Sh)

მიამბო ჩონქარა ჯინჭარაულმა, კისტნელმა, მადაროს-კარში 4. 10. 1913. ჩონ-
ქარამ მითხრა: ლექსი ისეა გამოყვანილი, თითქო ქალი და ვაჟი ელექსებოდნ

ერთმანეთს და ჩემი ნათქვამი კია თავიდან ბოლომდისო. — 1 ცოთეშუაი პირველად
მითხრა: ცათეშუაი.

593. გიგიას (Sh)

ჩამაწერინა გაგა არაბულმა 15. 7. 1911 ბარისაკოში. — 2 ზოგ ქებით ცაში
შამქდარა] ე.ი. ბევრი ცამდი ავიყვანია ქებითაო; 5 მე თუ ძალიან შამშალა] ე.ი. თუ ძალიან
გამაჯავრესო; 8 როს გაძაგენით სხვასთანა] ე.ი. მე როდის გაგლანძღე, რომ არ შემაქეო.

594. ცაში შაკდენა (Sh)

ჩამაწერინა თათარა არაბულმა, ჩირდილელმა, ბარისაკოში 15.7.1911.

ბ.

გწყალობდეს თელეთის მაღლი, იმისი მაღლი შენია!
მცხეთას გწყალობდეს საყდარი, შიგ რო ხატები ჰსვენია!
მუცელი ლექსით სავსე მაქვ, სულ წიხლით გამიტენია.
ცაში ავიყვან ქებითა, მასკვლავს მაჰკიდო კელია.

- 5 ჩამაქდე დედა-მიწაზედ, არ იყოს შენი ფერია.
წინ-წინ შენ მოგაკლევინოს შენზე მოსული მტერია.
აჰყარო იარაღები, საპირისწამლე ჭრელია.

(Rფ 19)

გ.

მე საზანდარი არა მჯობს, არც ბოდავენელი ბერია.
მუცელი ლექსით სავსე მაქვს, სულ წიხლით გამიტენია.
შენ ისე არა გეგონოს: „ლექსები ჩამოელია.“
ცაში შეგაკდენ ქებითა, მასკვლავთ მოჰკიდო კელია.

- 5 ჩამოხვალ დედა-მიწაზედ, შენი არას ფერია.
კელში გიჭირავს ყირიმი, თავით ბოლომდი ჭრელია.
წინ-წინ შენ მოგაკვლევინა შენზე მოსული მტერია.
აჰყარო იარაღები, გუდაში გისხა(ვ) კელია.
ვარგის დედ-მამის შვილი ხარ, იმათი გაძევს ფერია.
10 მთაში გიკოცავს ჯიკეები, დაბლა ჭალაში მშველბია.

ჩაწერილია უცნობი პირის მიერ (ვეგონებ ბესო წიკლაური სანუნდა იყოს).
ამოღებულია ჩემი მასალებიდან.

595. კაკმატელთ ახალ-ვაყები (Sh)

მაგბო ფიცხელა ალუდაურმა, კაკმატელმა, 27. 9. 1913 არტანში. ლექსი პასუხია რომელიღაც შაირისა ქალების შესახებ. — 10 ქვით ამოდენა ტვინისა] sc. იცის.

596. დათვიას (Sh)

მაგბო ფიცხელა ალუდაურმა 27. 9. 1913 არტანში. — ლექსი თავის თავზე უთქვამს დათვია შუაიშვილს, რომელიც თავის მეგობარს საღირას დაჰყვებოდა სანადიროდ მთებში. დათვია ქობულოელია, ლიქოკელი, მითხრა Gsm 1930 წ.

597. მაკითხვა ძმობილს (O)

სათურად აქვს: „ლექსი კვესურისა“, ხოლო ბოლოს აწერია: „გაგონილი“ო. შეიძლება ლექსი სატრფიალოთა ჯგუფს ეკუთვნოდეს. ალექსის იგი მოქცეული აქვს №634 და №343 ლექსებს შუა. — 19 არცა დამეცნა ბევრანი, არ მომიხარა ყელია] ასე სწერია დედანში, მაგრამ ზმნებს ბოლოებში ნ უნდა აკლდეს: არცა დამეცნა(6) ბევრანი, არ მომიხარა(6) ყელია.

598. დავითათ ბერდიას (R 198)

3 იმან დაძაბას თავ-სული] „მოკლეს, ტყავი გაჭიბოსო“ R.

აქ მოხსენებული ბერდია ხორნაული იყო, მითხრა Gsm, თათუკა კი — იმისი ბიძაშვილი. იგი (თათუკა) ამჟამად (1930 წ.) საჭურჭეში ჩამოსული, თიანეთს ახლოვო. იმავე Gsm, ლექსი ასე თავდებაო:

ბ.

ნეტაი გამაგებოვა, ვითაი ხყავის კარ-ფური!

სახლ უნდა გედგას, ბერდიაჲ, სულ ქათიმებით გართული.

მოგიდიოდას მოჩივარ ყოზიყური და თათრული.

მემრ ქალებ მოგიდიოდას ტყავ-ფაფანაგით დართული.

ცუდის მოქმედი ქალ-უაჲი თოკით უნდ გყვანდას დაბებული.

(Gs).

599. მწარიას (Sh)

ლექსი უთქვამს კოლიკე ბურდულს. ერწოელ ხევსურს, მწარია წიკლაურზე. რომელიც ფქვილის საყიდლად წამოსულიყო ქალაქში და ჯიბიერებს 16 მანეთი ამოცალათა ლექსი თვით მწარიამ მიაბზო ტოლათ-სოფელში (ერწოში) 26. 8. 1922. — 9 ვიციდლი არტემასთანა] არტემა მოვაჭრე იყო ერწოში (ღუღლელებში).

600. ჩემს მეშაირეს (Dj)

ლექსი მიმართულია ქალისადმი. რომელსაც (ვაჟი?) გაუშაირებია.

601. მჩეჩელნი ბისოს (Sh)

მიაბზო ფიცხელა ალუღაურმა 26. 9. 1913 არტანში, ნათქვამია ბისოელ სულხანაურის მიერო.

საქმე ასე ყოფილა: ბაბუა ქეთელაურს ბისოში „მჩეჩელნი“ ჰყოლიან (ე.ი. ქალები, რომლებიც ჩეჩაში ეხმარებოდნენ). იქ ყოფილა, სხვათა შორის, მოლექსე სულხანაურიც. ქალებს მიუმართავთ: თუ ლექსების თქმა იცი, აბა გვიჩვენე შენი ცოდნაო. სულხანაურს აუღია ფანდური ხელში და ეს ლექსი დაუმღერებია. ლექსში ჩამოთვლილი პირები ყველანი იქ ყოფილან იმ დროს.

2 ერთხან დასთან დამაწვინე, დაუბარე ადუასა] ადუა სულხანაურის ბიძაშვილი იყო, იმისი და ნათუა (მ. 3) ამპარტავნობდა და სულხანაურთან დაძმობის წესით არ წვებოდაო.

602. გაგასაგან გამახელისძქეს (Rf 137)

რს ეს ლექსი ფშურებში აქვს შეტანილი, თუმცადა შენიშნავს: „ეს ლექსი უნდა ხევსურული იყოს“ო. — 2 ე გული კელით დაბლუჯე] „მაგრა დააბი გული, ხელში დაბლუჯეო“ R.

603. მშავლისა და კევსურის გაბაასება (C)

ასეთი გაბაასება ჩვეულებრივია ფშავში და მრავალი ნიმუშიც მაქვს. ხევსურეთში კი არ გვხვდება. აქაც მოკამათავან ერთია ხევსური (ბაბილთ ნია), მეორე კი ფშაველი. ცხადია, შეკამათება ფშაურ წესზე მომხდარა.

გასწორდე ბეჭდვის შეცომა: ნ მითხროს] უნდა: მითხოს.

ბ.

- მშ. არ წამოხოლა შშაერია, ჩემო ბაბილის ნიאו?
შშაურ არ ხინკალი, დუმზე მოგიხვიაო?
- ქ. ეგ რალა მითხარ, შშაველო? კინალაც დამათხიაო.
რამთვენი გყავისთ უძებარ, შარშანდელ, მითხოშიაო?
- მშ. ახლა შენ წადი, ნიאו, სულეთის კარიც მლიაო.

(Sh).

ჩამაწერინა ცსმა 2. 5. 1931 – 3 კინალაც დამათხია] კინალამ პირიდან მალეზინაო (ბევრს რო სჭამენ, შეიძლება მოუვიდეს); 5 სულეთის კარიც მლიაო] ე.ი. შეხვალ და ვერ დააბრუნდებიო.

604. ზელიმ-ხანზე დაცემა და მისი ძმის მოკვლა (Gog)

მათქვამდ გამოყვანილი ჩოთეშა თიკუნი ყოფილა უნცრუა არაბულისა, ჯუთელისა, რომელიც ჩაფრად იყო და მონაწილეობას იღებდა ზელიმ-ხანზე დაცემაში. ამ დაცემის დროს ინალი მოეკლათ, ძმა ზელიმ-ხანისა, და ეგონათ თურმე, რომ ზელიმ-ხანი მოკვალითო.

605. სისხლის აღება (Gog)

ამის მათქვამი ყოფილა სულხანა ჯინჭარაული, რომელსაც მამუკა ბურჯუერელის სისხლი აულია გუდამაყრელისაგან (მამუკა ყაჩალი გუდამაყრელმა გასცაო: ნ. №223, 43-44).

606. ზიანი (Sh)

ჩამაწერინა გ ი ო რ გ ი ჯ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ მ ა 1. 3. 1931 ტფილისში. ლექსი ნათქვამია შატბილიონის გამახვლა (შემოკლებით: ხელა) ჯინჭარაულის მიერო.

2 მოსვლია თათარს ზიანი] თათარს შვილი მოუკლეს, ხთისო; 8 ბერდენკა ხუთ-ძროხიანი] ხუთი ძროხა იყო შიგ მიცემულიო.

607. ხავიწურა

ჩამიწურა გა ბ რ ი ე ლ ნ ა რ ო ზ ა უ ლ მ ა ე ა ხ ტ ა ნ გ ბ ა ლ ი ა უ რ ი ს ს ი ტყ ე თ 1. 3. 1931 ტფილისში. ლექსი უშიშა წიკლაურის მიერ არის ნათქვამიო.

11 ნასამალი 10-ოდე გირვანქა; საწყაეში (ფუთზე ცოტა მეტია) 4 ნასამალი ჩადის; 16 კინალ დღია ჭაჭანი ახიელ თათრებისაო] კამისრად მოხსენებული გიორგი (გიორგა) ჯ ა ბ უ შ ა ნ უ რ ი ა გვარად, ჯაბუშანურები კი ძირად თათრები არიანო; 20 ქერიად მავნების ქალები: ფშაელის ქალ, ქვესურისაო] გიორგის ორი ცოლი ჰყავდაო.

608. ქისტების დაცემა მთიბელ-მამკლისად (Sh)

ჩამაწერინა გ ი ო რ გ ი ჯ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ მ ა ტფილისში 1.3.1913. ლექსი ნათქვამია (გამა)ხელა ჯინჭარაულის მიერო. აქ მოთხრობილი დაცემა ქისტებისა დაახლოვებით 1915 წელს მოხდაო.

1 ზედა კვირად არია] გ ი ო რ გ ი მ ა ს ე მითხრა: „ზედა კვირად დარია“, მაგრამ იქვე მყოფმა ვ ა ხ ტ ა ნ გ ბ ა ლ ი ა უ რ მ ა ფორმა გაიკვირვა და ისე შემასწორებინა, როგორც დაბეჭდილია. არ ვიცი კი, ვინ უფრო მართალია: გიორგი, თუ ვახტანგი; 2 ამაუჭამეს ხთისოსა კალ-ურბოიან ჯამია] ხთისო ჯინჭარაულს, შატილელს, მუშები ჰყავდა, რომელთაც კალი და ერბო ჭამესო.

609. მობილიზაცია (Gog)

ლექსი ნათქვამია თიურა თარელის ასულის გოგოჭურის მიერო, სახილელისაო. — 5 სისკარომ შემოიარო] სისკარო(ვი) (ანუ ცისკაროვი, ცისკარიშვილი?) ჰრისტავად იყო მაშინ ფშაე-ხევსურეთშიო.

610. თოფის სროლა ორ-წყალში (Sh)

ჩამაწერინა Gogმა 1. 3. 1931. ტფილისში. ლექსი ნათქვამია ლებაისკრელის ზოლიგა ჯინჭარაულის მიერო.

611. შულლობას მოწადინებული (Sh)

ჩამაწერინა გ ი ო რ გ ი ჯ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ მ ა 1. 3. 1931. ტფილისში. ლექსი ნათქვამია (გამა)ხელა ჯინჭარაულის მიერო.

1 ლეგუათ შულლისაო] შულლია კაცის სახელიც არის, მაგრამ აქ საზოგადოდ მოჩხუბრის მნიშვნელობით არის ნახმარი; 3 ბ ა ჩ ი ა და ი მ ე ლ ა ერთი და იგივე პირიაო; 4 სამართებელი] ხმალი იგულისხმება.

612. ომი კელის წყალზედ (Sh)

მაამბო გ ი ო რ გ ი ჯ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ მ ა 1. 3. 1913. ტფილისში.

შეტაკების საბაზის უფილა, რომ გუროვლების ცხვრები გადასულან შატილელთ მთაში და შატილელთ გამოურეკათ. გორგალაშვილი (მ. 4, შატილელი იყო) მოუკლათ. ამ შეტაკების შესახებ ვ. წერეთელი წერდა ცნობის ფურცელში (№2774, 18. 3. 1905): „დიდი ხანი არ არის, რაც შატილელებსა და გუროვებს ჰქონდათ ერთმანეთთან საშინელი ხელ-ჩართული ბრძოლა, რომელმაც იმსხვერპლა ბევრი დაჭრილი და მოკლული. რადგან გუროვებს მეტი მოუკლეს, ამათ შატილელები მტრებად აღიარეს, უნდათ სისხლი დაიბრუნონ მათგან. ამიტომ შატილელებს შიშით გუროს ახლო არ შეუძლიანთ გაიარონ. შატილში კაცი ვერ ვიშოვე, ხახმატში გამყოლოდა, — ერიდებოდნენ გუროვლების შეხვედრას. გულსაკლავი რამ არის მათი საქმე. ბიძა დისწულს დასდევს მოსაკლავად, პაპა — შვილიშვილს, სიძე — ცოლის ძმას, რადგან ერთი სოფელი ემტერება მეორე სოფელს ნათესაობის განურჩევლად და განუკითხავად.“

613. ჩუას სიკედილი (Sh)

მაგბო გიორგი ჯინჭარაულმა 1. 3. 1931. ტფილისში. — 6 ჩოკა მუდის არია] გიორგიმ ასე მითხრა: ჩოკა მუდის სარია.

614. ჯარჯო

ჩამიწერა გაბრიელ ნაროზაულმა ვახტანგ ბალიაურის კარნახით 1. 3. 1931. ტფილისში.

ეს ჯარჯო იგივე პირი უნდა იყოს, რომელსაც ფშაურ სიმღერებში ჯარჯი ეწოდება და რომელიც ჯიკებზე ნადირობის დროს დაღუპულა (X 164).

გასწორდეს ბეჭდვის შეცომა: 2 ჯაროსა] უნდა: ჯარჯოსა.

615. ოჯახი (Sh)

ჩამაწერინა ჩონქარა ჯინჭარაულმა, კისტნელმა, მაღაროს-კარში 4. 10. 1913. მითხრა, ჩემი ნათქვამიაო. — 7 აპარეკული ჩემი ბიძაშვილიაო, ჩონქარამ.

616. წყველა (R 51)

გასწორდეს სათაურში დაშვებული კორექტურული შეცომა.

ბ.

სტუმართად უფერ დიაცი არხოტის მთასამც დარჩება!
დაუქრის ქაროელაი, სულიმც ეშმაკებს დაშრება!

- ამაგის ლეშით დათვები იანვარშიამც დაძღება!
სხვაგან რო იყოს სიცხის მზე, იქ იალბუშიმც ასტყდება!
5 ქალი ქმარის მწუნობარი უარესზედამც დარჩება!
ქელთ შვილი, ზურგთ აკავანი, მშველიმც აღარ შაშჩება!

(ს. ივერია, 1891, №90).

ბ ა დ ი ა ბ ა ლ ი ა უ რ ი ს ა გ ა ნ გაგონილი. — 5 უარესზედამც] უარი ზედამც ს;
ზურგთ აკავანი] უკან აკვანი ს.

ბ.

სტუმართად ავი დიაცი არხვატის თავსამც დარჩება!
ქელთ შვილი, ზურგთ აკავანი, მშველეღიმც ნუვინ შაშჩება!

(G 251).

ორი მუხლი (ერთი — ცოლის დამწუნე ქმრისა და მეორე — ქმრის მწუნობარი ცოლის შესახებ) შესულია ამაში: №560 გ, 13-14.

617. კარი ნიკორა (G)

ნათქვამია ბესარიონის მიერ.

ეს ლექსი მოგვგონებებს ამას: „ორშაბათობით გაშენდა ციხე-ქალაქი ქვაზედა, ადამიანის ცხოვრება ვერავინ იდვა თავზედა“ და სხვ. (ს ო ს ი კ ო ს მიერ ზემო იმერეთში ჩაწერილი: თეატრი, 1886, №8; ერთი ვარიანტი კიდევ ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი ს დ ე ლ ა ე ნ ა შ ი იყო შეტანილი, ერთიც ნ. Rფ 65).

618. ცხენი (G)

ნათქვამია ბესარიონის მიერ.

619. ნისლის ფერი (O)

ლექსი პატარა კვესურის (ა. ოჩიაურის) მიერაა ნათქვამი.

620. წითლას გაყიდვის შემდეგ (O)

Оის რვეულში ეს ლექსი მოსდევს № 371 ლექსს და სათურად აქვს: „ლექსი მეორე გიგიასი.“ Gნის მიხედვითაც იგი გიგია ზუტუნისვილის ნათქვამია.

ბ.

- ჩაუქარ, ჩემო ფანდურო, ანგელოზივი კმიანო!
ქელი რა ჩამოგიქნია, ლამაზა ჩაგაჟირიალო.
როგორ გაგყიდე, წითლაო? ქვეთამ რაით ვიარო?
უნდა გაგსხლიტნათ, საქონსო, ლურჯა(ვ), გიყილო ტიალო!
- 5 ის კი არ მგონავ, ოქერო, სხვას ცხენს(ა) ფექნი ღბიანო.
წამახვე საქვესურეთო, არცა-რა დააგვიან(ო).
ტახტაზე გადაგიკიდა, ზურჯინო არაყიანო.
აუღე აღმა-აღმას(ა), აღვირი ააჟირიალო.
არაგვზე ჩამამავალმა ნალ-უსმარ ჩააძვრიალო.
- 10 იძახდა ქვესურთ ქალები: „შულლიამ ჩამაიარო.“
კორშაში უნდა ჩახვიდა, ხუტუნათ შავ წვერ-ყბიანო.
გიყიდა, რუსულ ფრანგულო, მალ-მალე გაგაპრიალო,
დაგიქნევ წადმა-უკუღმა, არცად ვინ დააზიანო.
ბევრას ქვესურას შემახკრა, სიმირგვლივ დაატრიალო.

(Gs).

Gs ორ ერთნაირ კმოვანს არ წერს: დაგვიანო (6), აჟრიალო (8), ჩაძვრიალო (9), დაზიანო (13), დატრიალო (14); ამას გარდა: 7 ზურჯინო] ზურძინო Gs; 12 გაგაპრიალო] გაგაპრიალა Gs (ფორმა სწორია ზვესურულად, მაგრამ რითმა არ უდგება; 14 შემახკრა, სიმირგვლივ] შემხკარი სიმრგვლივ Gs.

621. ხალხელაურის ცხენი (R 156)

Rს სათაურად ეს აქვს: „ხალხელაური ბერის ცხენი.“ ბერი აქ საკუთარ სახელად უნდა გავიგოთ – I ვიწროი] Rს მახვილი უზის: „ვიწროი“ და თან შენიშნავს: „ვიწროაო.“

622. ბერი ცხენი (G 251)

623. ჯორა (T)

აწერია: „უცნ. ქვესურის ნათქოში. ნამაბობი დ. ბოძაშვილის მიერ“ო. ლექსი ფშავლისაგანაა ჩაწერილი და ამიტომ, სხვათა შორის, ნ დაეკირიდით] დაეკიროდით T.

624. სეტყვა ქვესურეთში (Ba)

ამას ბოლოში აკლია სამი მუხლი, რომლებიც შეიძლება ნაწილობრივ იქნეს წარმოდგენილი:

თითო

მას მეტყვის, დაი

თა.

იქვე დიდი თა

, ნუ გამოიღ

დაზიანება იმითა გამოწვეული, რომ ფურცელს ცალი მხარე აქვს ჩამოხეული ლექსის მოთავსების შემდეგ. Ba მუხლებს მიყოლებით წერს. ფურცლის ჩამოხეულ ნაწილს წერტილებით აღნიშნული ადგილები გაუტანია.

625. საქონის ჭირი (Sh)

გავიგონე ტოლათ-სოფელში (ერწოში) 4. 9. 1922. სამოციოდე წლის დედაკაცი-საგან, რომელსაც ძილუა ერქვა. იგი ქმოსტიდანაა ჩამოსახლებული. ლექსი იმაზედ ყოფილა ნათქვამი, რომ საქონლის ჭირი გაჩენილა ზორნაულთაში და იქიდან ის ჭირი რომაში გადასულა. ძილუას მარტო ეს ნაწყვეტი ახსოვდა. ლექსი ძილუამ ისე წარმოთქვა, როგორც ეს დამახასიათებელია ხევსურული სათვის: მეორე-მეორე მარცვალზე თავიდან მახვილსა სცემდა:

საქონის ჭირ | გაასუქეს | ზორნაულთა | მუჯაითა |
გამაგზავნეს | რომეისკესა | ცხენათა | ლურჯაითა.

626. წყლის აღიდება (Sh)

მაგბო თათარა არაბულმა ბარის-აკოში 1911 წ. — 2 მტკვარსაო პირველად თქვა: წყალსაო; 5 ცოტინიკას პირველად: პატარასა; 6 ანაბრივე პირველად თქვა: ალაბათ.

627. ურჯულო რჯული (B)

სათაური მე მეცხრე მუხლის მიხედვით გავუკეთე, მაშინ როდესაც დედანში ერას-ტის პირველად ასე გაუკეთებია: „ძალით თავის დადებაზე (მესისხლეთ დაჭურაზე“), ხოლო შემდეგ ასე გადაუსწორებია: „ლექსი უკანონო რჯულზე.“ ლექსი ნათქვამი ყოფილა თათარ ჯინჭარაულის მიერ.

628-631. უშიშა წიკლაური (პეტრო)

ბესარიონი შენიშნავს, რომ უშიშა შულღიას მე წიკლაური, რომელიც ლექსებში პეტროს (ანუ პეტრუას) სახელით არის ცნობილი, „თავ-გამარენილი მელექსეა აშლაში.“ იგი ამჟამად კახეთს არის ჩამოსული. აქ მოყვანილი ოთხი ლექსი ყველა მისი ნათქვამია.

628. ეს ნომერი Gs-ის მიხედვითაა დაბეჭდილი. „ესე იმდენი ქვიფის დროს პეტრო წიკლაურმა და ხალხი ილუპებოდ სიცილით“ Gs. – სმა-ჭამით სმა-ჭამი Gs.

629. ესეც Gs-ის მიხედვითაა დაბეჭდილი. – 2 ეს] აქ სხვა სიტყვა იგულისხმება, ერთ-მარცვლიანი; გაბურების სიძესა] პეტროს ბესარიონის და ჰყავს ცოლად. რაიცა შეეხება პეტროს სიპატარავეს, ანუ სიდაბლეს, ამაზე მიგვითითებს აგრეთვე 577,17.

ეს სიტყვები დაუძახნია უშიშას სმის დროს ხვესურეთში, როდესაც მისთვის შუღლის ატეხა სწაღდა თურმე ორ ხვესურს, რომელთაც რაღაც ჯავრი სჭირდათ უშიშასი და ღაჯიის დარტყმას უპირებდნო.

630 და 631 დაბეჭდულია Gs-ის მიხედვით (გვ. 228, 229).

632. ნიკო ოჩიაური (Gs)

„მათქვამი ნიკო ოჩიაური“ Gs; საველის] საველის Gs.

633. კურტენაიშვილი (Sh)

მიამბეს ახიელში 5.8.1913. კურტენაიშვილმა თვითონ თქვა თავის თავზე ეს ლექსი. – იგი] სხვა სიტყვა იგულისხმება, რომელიც სახელობითი ბრუნვის ნიშნის დართვით ორ-მარცვლიანადაა გაკეთებული ლექსისათვის.

634. ახალგაზღბებს (O)

ამას დედანში სათაურად აქვს: „ლ(ექსი) ქალისა ახალგაზღბებს.“ ლექსი ნათქვამია ა. ოჩიაურის მიერ. აქ მოხსენებული ძელიმხანა უნდა იყოს უნცრუა ჯაბუშა-ნურია.

635. მაჩუყო და მგელა (Gs)

„ეს მაჩუყო იყო ქისტი და მგელა კვესური, არხოტიონი. მაჩუყომ მგელას კარები დახპარა. მგელა გზაში დაეწია, და(ა)ყრია კარები. თოფეს ერთუცი ორივემ. შე(მ)დევ იქნება 50 წ. არის ორივე მკვდარი“ Gs. – Gs ორი თანაბარი ხმოვნის ერთად წერას გაურბის: გამბენაო (1), დამბენაო (2).

636. ბატონი ძირეს (Sh)

ჩამაწერინა გაგა ქისტაურმა, 72 წლის მოხუცმა, ღულელების სოფლიდან (ერწოშია), 4. 9. 1922, ტოლაო-სოფელში.

637. კულა გლდანელი (Gs)

7 მალ შექცევი] მალე შექცევი Gs; ამას გარდა, მე-5 სტრიქონს შემდეგ გამორჩენილია ერთი მუხლი:

აქათ კუთხეზე გაიგეს გოგობებ ქისტებისამა.

ლექსი იმით არის საყურადღებო, რომ იგი ნიმუშია იმისა, რომ ფიზიკურ ძალას ხეცური დიდად აფასებს.

638. იწო (T)

იწო ქისტური სახელია. [მინაწერი ა. შანიძის ხელით: „თუშურიც (მ. მაჩაბელი, 395)“. რედ.]

639. ახალ-წული (Sh)

ჩამაწერინა ივანე გარსიას ძე წიკლაურმა გარბანში 21.7.1911. — 1 თოთია და კრუმა ძმები არიანო; 6 ზეკუა კრუმას ცოლიაო; 7 ერთ ქალ] კრუმასიო; 10, 11 ცერს] დედანში სხვა სიტყვაა, იმავე ბრუნვის ფორმით; 12 აწვენენ აკავანჩია] იგულისხმება: ბაღლს.

640. მარტია და მაჩვი (Sh)

მიამბეს ასიელაში 4.8.1913. — 2 ძლივ კი ეკიდნეს] ვარ.: ძლივ უკიდიან (ე.ი. წიპით მოქონდაო); 3 ბეწინა] ბეწინა მარტიას ბიძაშვილიაო.

641. კურდღლის ბაცაცა (C)

აფშინათ აბას გარდა (მ. 12) აქ მოხსენებული პირები ყველა აკოვლებიაო, Gsm. — 13 კორცი ლალოჩინს მივხეიდათ, ტყავ შაუნახათ პიშტავსა] ხევსურები კურდღლის ზორცს არ ჭამენ. 23.7.1911 რომიქიდან ბაცალიგოს მივიდიოდით და გზაზე კურდღელმა გადაგვირბინა. მე შევეკითხე ჩემს მსლბებელს სვთისო ბურდულს: რად არ სჭამთ ხევსურები კურდღლის ზორცსა-შეთქი? მან მიპასუხა: იმად, რომ „ფეკები ძაღლისები აქვ, ყურები ვირისები“ო. შღრ. კიდევ 732, 16.

642. მარკე ყოფილა (T)

ნამბობი ყოფილა სამუკა ჯინჭარაულის მიერ. — 1 ფანდურას] ასეა დედანში; 9 ქორილაამოს] ქოხიალაგის T (გადაწერის დროს დაშვებულ შეცდომად მიმაჩნია; შღრ. ქორილაამოს გავიდეს 181, 6; ამის ბ გარანტში ეს ადგილი ქორიელად არის გამოყვანილი).

643. ბათირა (C)

გაგონილი ყოფილა ში ში ა ქერა უღის აგან. – 26 ყანათი] გაურკვევლადა დელანში, შეიძლება აგრეც იკითხებოდეს: ყანათა; 28 ვითა არ ღაგზათ] უარყოფა აქ უადგილოა, მაგრამ გარკვევით სწერია აგრე; 24 შვილ მაინც აღარ მოეკლა, ყმაწვილი უმეტარიო] როგორც ჩანს, გვარი სულ გაუწყვეტიათ, რომ სისხლის მძებნელი არვინ დაპრჩენოდა. თითქო ამ აზბავს უნდა შეეხებოდეს ჩემი ცნობა, მოთავსებული 258 ნომრის შენიშვნაში.

644. ყროლი ზამთარი (Sh)

ჩამაწერინა მგელიკა ქისტაურმა 17. 8. 1913 ფუძის ანგელოზში. ლექსი შემოკლებით არის მოყვანილი. თორმეტი მუხლი კიდევ არის:

- ზოგნ თოფი(თ) კოცენ მამასა, ზოგნ ზანჯრით ყელებს სჭრიანო.
ოროლნი ქოსაის შვილნი თავსა მამაზე ცდიანო.
ნემს-ნაჭერ გაასრევიეს, თათნი კერაჩი ხყრიანო.
- 10 „რომენს გვერების მაკლაი?“ ჭერზოჩი კენჭსა ყრიანო.
კაცი არაგვზე წალაღეს: „ლიქოკელნ რას ჩადიანო?“
ბლარიკათ ნანაისძესა ტყავნი წითელნი სცვიანო.
ათათა, ნანაისძეო! ტან არ ღაგიძრას ტყვიამა!
ჩამოგტყევივა ციხეი, ჩარდახებ ჩამოდიანა.
- 15 ჩონიაი და ბაბოი ორივე საქურდლა დიანა.
რად არ დაღმარხენ მამასა? სისხლნ გულზე გარმოდიანა.
მაგ ჩონიაის შიშითა სამრელოს ველარ დიანა.
ახყარეს სამრელოები, ცეცხლი ეზოჩი გზიანა.
ცუდად ლიქოკელთ ქალ-ზალი აესტეხა, არ მწაღიანა.

ლექსი იმაზე ყოფილა ნათქვამი, რომ ლიქოკეში შვილებს მამები დაუხოცავთ: ქოსა და ნანაისძე. – 12 ტყავნი წითელნი] იგულისხმება: სისხლისაგან; 15 ჩონიაი და ბაბოი] ნანაისძის შვილები; 17 სამრელოს ველარ დიანა] იგულისხმება: ქალები.

ამავე აზბავს ეხება Tის მიერ ორ ვარიანტად ჩაწერილი ლექსი: „ბაბო ვარ ტანად დაბალი, ბევრა საქმეებ გაესწიე“ და სხვ.

645. კევსური კახეთში (Sh)

ეს არის ფ შ ა ე ლ ის ნათქვამი ზევსურზე და ზევსურულად არის მოქცეული. ე.ი. ფშველი ცდილა, ზევსურული სიტყვები და ფორმები ენმარა, მაგრამ, რა თქმა უნდა, მიზნისთვის მთლად ვერ მიულწევია.

ბ.

- ზიამბო ივანე კოჭლაშვილი, კახეთის მოგზავე ფარგალი.
ქართლის დიაცის ჯინაბა მამლუკა კულის ბაწარი.
მივედლოდი ბუხრის პირშია, მავხივი მაგარ-მაგარი.
დამწყვიტის ქართლის დიაცმა: „შავ ჭირი, მარკე გამტანი!“
- 5 – ნუ დამწყვევ, ქართლის დიაცო, – თუთი მაქვ გამასატანი,
თელავი უნდა წაიდე, ვაქნო ქამარ-ხანჯარი,
უბის მასრანიც ვაქნო, ზედ სატალაბდის ბაწარი,
შაზიკულმ შამაქიარო, შამამხენავდეს ქალ-რძალი.
კიდევ იტყვიოთა მაშინა: „მგელათ ვაუიკა სად არი?“

(ტფ, ივ. ჩოხელაშვილის აგან გაგონილი).

646. სამის შასმა (Bd)

აქ მოგონებულია ქალუნდაურის ამბები (№8; შდრ. №224 ბ, შმშ.).

647. ვარამი (R 197)

უნ] უნდ R; 12 ჩემთვი] ჩემთვინ R.

კარგად არა ვარ დარწმუნებული და მკითხველმა თვითონ განსაჯოს: ამ ლექსის ვარიანტია, თუ დამოუკიდებელი ლექსია ეს სამი სტრიქონი, ჩაწერილი ს. კარაღეთში ვ. ბიბილაშვილის მიერ:

ბ.

სიკვდილო, ვერ დაგემალე, – კლდე გამოვკაფე სალია.
გაგეპე, ვერსად წაგიველ, – ცხენი არა მყავს მალია.
ქთამი გაძლიე, არ გინდა თვალ-მარგალიტი, ლალია.

(ივერია, 1891, №200).

648. არხვატს (O)

ეს არის ა. თხილაურის ლექსი, ე. ბალიაურის რვეულში საკუთარი ხელით ჩაწერილი. – მუხლები 6-7 ძველი სიმღერის გამოყენების ნიმუშია (შდრ. №282).

649. არზოტი და არზოტიენები (Sh)

მიამბო ალექსი ოჩიაურმა 4. 8. 1913 ახიელში, მაგრამ მესამე დღეს შემასწორებინა იქვე ავტორმა გაგა თეთრიაულმა. აქ წარმოდგენილი ლექსი, შეიძლება ითქვას. მთლად გაგას ნამბობის მიხედვითა დაბეჭდილი. ალექსის ვარიანტი უფრო მოკლეა და მუხლების რიგიც სხვანაირი. სახელდობრ ალექსიმ ასეთი თანამიმდევრობით მიამბო: 1, 2, 4, 6, 7, 8, 10, 13, 14, 15, 16, 17, 28+29² (ამ სახით: შარშაც ჩაუხედეს გზაშია, ჯავრ ღვინდებოდა ძველია), 30, 33, 34, 35, 37, 21, 23, 25, – აქ ალექსიმ ჩაურთო: რაკი ვერ გასჭრის წერილი, გაგაის დანაწერია! – 38, 39. რიგს გარდა ვარიანტები: 10 ურჯულო] ქისტები O; 21 ცალკე] მარტონ O; 22 სრუ ყველა] ყველაიც O; 39 თითო პატრონა მიბოძეთ] პატრონა მაინც მინდოდა O.

30 თოთიამა და გიორგიმ დაიდევს სინის ფერია] მათ გზა შეუკრეს ქისტებმა, მაგრამ თოფები ვერ წაართვეს (Gსის თანახმად, თოთია გვარად ოჩიაურია, გიორგი კი წიკლაური იყო, სხვანაირად გრანჯა ერქვა). Oის ვარიანტში არზის დამწერად მოხსენებული გიგაო, – ახიელში მითხრეს, – კვირი-წმინდელი არისო (ალბათ დაბალ გიგა იგულისხმება).

650. ბარისაკოს (Dj)

651. კინალ (Dj)

652. დიაცის შულლი (Sh)

ჩამაწერინა თათრა არაბულმა, ჩირდილელმა, ბარისაკოში 1911 წ. – მე] მეორედ თქმის დროს „მეც“ თქვა; 2 მეტკინება] გასწორდეს კორექტურული შეცოთმა, უნდა: მეტკინება; 3 ეს ზო შამშლის, გადამლაკაეს] შეცოთებით ამას დააკლდა მეორე ნახევარი: „მწუხრ რო დიაცს ეძინება; 7 ასწავლას] sc ქმარმა.

653. დედაკაცი (Sh)

ჩამაწერინა იმავე თათრა არაბულმა (ნ. შშ. № 652-თან).

654. ქმარ-უნდაური (R 198)

5 შიგ რად არ ვიჯე ქალიო] „რატომ ქმარი არ დავიწუნეო. ამის შემდეგ ქალი ველარ გათხოვდებოდა“ R. – სათაურად ამისთვის Rს ეს გაუკეთებია: „ქალის ვარამი“, მაშინ როდესაც ფშაური ლექსების კრებულში (Rგ 38), სადაც იგი უცვლელად მეორდება, სათაურად „ქმარ-უნდაური“ აქვს.

655. ჯალაფთ დამჯერე (R 190)

1 ამ ზამთარ ვეძებზე ვიყავ] „რაკი წინათ მარილი ძვირი იყო, ზამთარში მოცლის დროს ვეძის წყალს ადულებდნენ, აშრობდენ და მარილს იღებდენ“ R; 3 ჯალაფთ დამჯერე] „ვინც შინაურობის სიტყვა გაიგონოსო“ R. – Rის რვეულში ამას სათაურად აქვს: „ბუჯითი მწყემსი.“ ეს ლექსი წარმოშობით არ უნდა იყოს ხეცსურული, იგი უფრო ფშაურსა ჰგავს.

656. ძაგება (R 195)

4 ნაჭერეთო] ნაჭერეთო R. – ეგ ლექსი ამ სათაურით Rის რვეულში მოხდევს №511-ს, რომელსაც სათაურად აქვს „ქება.“

657. გაძლება (R 197)

658. ძველების მოგონება (Sh)

მაიბო ჩალ ხია აღუღაურმა ქაქმატში 20. 8. 1913. გასწორდეს შეცთობა ბეჭდვისა: 2 ლექსარი] უნდა: ლაშქარი.

ბ.

რა ამბავია (ქვესურეთს)? რა წყრომა არი ლეთისაო?

რუსები, ბოგოზენები უშიშრად შამოდისაო.

ჯერ გაგვიმართვენ შკოლასა, მერმე წაგვართმენ შვილსაო.

სულეთს ჩიოდეს სულები: „ძალი გვეტანა მტრისაო.

5 მანამ ვიყვენეთ ცოცხალნი, ადგილს ვიჭერდით კმლითაო.

თავიმც მარტიას ამუყვა, ჭორმეშაველსა გმირსაო!

ქელთ მისცა თავის ფრანგული, სწრაფ მჭრელი მბილის და ძელისაო!

ან კირჩლა ბაბურაულსა ცხვრებულ მკოცელსა მტრისაო!

ბერდიას მამუკაურსა მქონესა მოკლე კმლისაო!

10 ქვესურნი ვერ ეპატრონენით თავისა აღვანის წილსაო.

შაგაქებ ხოშურაულო.“

(Lb)

1 ქვესურეთს] აქ დედანში თავისუფალი ადგილია დაგდებული სიტყვის ჩასაწერად; 2 ბოგოზენები] შეიძლება ბაგვაზელები იგულისხმებოდეს, მაგრამ არ ვარ დარწმუნებული; 3 წაგვართმენ შვილსაო] იგულისხმება საღდათში გაწვევა; 10 ქვესურნი ვერ ეპატრონენით თავის აღვანის წილსაო] აქედან ირკვევა, რომ ბახტრიონის აღების გამო

ხვესურებსაც სდებიან წილი ალვანში, მაგრამ ფაქტიური მფლობელობა ვერ განუხორციელებიათ; 11 შავაქებ ხოშურაულ] მეორე ნახევარი ამ მუხლს აკლია და ლექსიც წყდება.

ბ.

ჩიოდა კვესურთ შვილები: „ჩვენ ძალი გვადგას მტრისაო, წლის თაოდ მოგვექადს ლაშქარი სულ-ძაღლის ზურაბისაო. მუდამა თავ-მანყენილნი ადგილებს ვიჭერთ კმლითაო. მარტიას თავიმც უცოცხლა, მისურაულსა გმირსაო! კმალი კელთ მისცა (ფრანგული), სისხლით უსერიდ(ა) პირსაო!“

(H)

2 სულ-ძაღლის] პირველად ასე დაუწერია, შემდეგ კი გადაუსწორებია: შამილის და.

659. ნაცვალ-სუღია (R 199)

1 დროება] დრუება R; 3 არყის] არაყის R; 4 ჭისაკისაკე] ხელნაწერში აგრეა, მაგრამ აქ თითქო „აჭისაკისკე“ უნდა (აჭე სოფელია ხვესურეთში, ჭა კი არაფერ შუაში უნდა იყოს აქ). 6 კურდღელათ ზეთ ვინ იყო] „ვითომ ზეიდან აჯდა წაქცეულ კაცსა და სცემდაო“ R; მე-10 მუხლი ქვემოთაც მეორდება, მ. 13, და იქ „შინა“ სწერია, ამის მიხედვით აქაც დენის „შინი“ შინა“დ გადავასწორე; 10 თიანეთისაკ წამავე] „აქ არის პოლიცია და სასამართლო“ R, ხვესურეთი თიანეთის მაზრაში შედიოდა; 26 ზურგში გაგჩინდა წვერია] „ზურგში გამოვა ხანჯრის წვერიო“ R.

660. თაგვები წისქვილში (T)

ეს ლექსი Ts მოთავსებული აქვს ამ წიგნში 623 ნომრად მოთავსებულ ლექსს შემდეგ („ჯორა“). ამას აწერია: მისივე, არ ვიცი, მათქმამს გულისხმობს, თუ მოამბეს, მაგრამ ფორმები „პირჩია“ (მ. 6), და „მახენა“ (მ. 7) ხვესურულ წარმოშობაზე მიგვიითხებს.

661. თაგვების ქორწილი (Sh)

მიამბო ბ ა ბ უ ა კავას ბ ე ბ უ რ დ უ ლ მ ა ქოსტში 23.7.1911. – 1 შიმშილით] ბაბუამ: შიმშილი; 16 თასსა] თას Sh; ბაბუამ: ამ სიტყვებს კაცი ამბობსო, რომელიც მე-14 მუხლში სხვა კაცს მიჰმართავსო.

662. კატის ომი თავგებთან (R 191)

663. თავკი და ღულელი (Sh)

მაგბო გიორგი ჯაბუშანურმა 5.8.1913. ს. ახიელში. მის ორ მუხლს მესამეც დაურთეს:

ჩამეწვია ღულელი, თავს გაადინა კუნელი.

664. გირწყილების ქორწილი (R 189)

665. არხოტჩიგი (T)

666. უთურგით ქაეციხის პატრონი

ჩამიწერა გაბრიელ ნაროზაულმა ვახტანგ ბალიაურის კარნახით 1. 3. 1931. ტფილისში. — 2 ნახევარ ტყუილს ამბობენ ხალხი ამბობდა: ქისტები დაცემას გვიპირებენო და პეტრო არ იჯერებდაო, ამბობდა: ტყუილიაო; 4 არ შამუტევე კართასა] Gსის თანახმად, პეტრო აქ თავის თავზე დაცინვით ამბობსო, რადგანაც კაი მეომარი ვერ იყოო; 5 ცოლს ტყვედ არ წავეყვანიებ, ქალს მა ეშმაის მტყნავთასა] პეტროს ცოლი გაბურთ ქალია, ბესარიონის და, — მხედველობაში აქვს გაბურთ ეშმას შესახებ არსებული თქმულება (6. შენიშვნა 547 ნომერთან); 8 ეშმაის კლდე] ნარღვევთან არის დიდი ქვაო; 10 ნახევართხანა] ეი. ნახევარჯერ; ბეთანი ადგილიო; 13 ყმან მიქიელისან] ახიელლები; 14 თათლის კარი წითელათანას ქვემოთ არისო; 15 სანების ჯვარი კალოთანის ჯვარიო.

667. ხუცობა

ჩამიწერა გაბრიელ ნაროზაულმა ვახტანგ ბალიაურის კარნახით 1. 3. 1931. ტფილისში. ნათქვამია აბიკა წიკლაურის მიერო; 2 ხომეკა მითხავი იყოო; 7 ბულაური ხარის სახელი არისო; 14 უთურგი] იგულისხმება ჭოლიკაური, ამდელიო.

668. სამრელოს ყორის ქვანი სახლში (Sh)

ჩამიწერინა გიორგი ჯინჭარაულმა 1. 3. 1931. ტფილისში. — გუშინ მოსული ზალია] ეი. ამისი მათქვამი განძა; 2 თავზე წაიკრა მწვარი] დაეკვნინილი იყო იმ დროსო; 4 კირილე] ექიმი ყოფილა, რომელსაც თავის გემოზე გადაუკეთებია ხვესურული სახლი, და ამიტომ ხალხი, სამრელოს ყორის ქვების შინ შეტანის გამო, შიშით ვეღარ მიდიოდა იქაო.

ამისი მათქვამი განძა გოგოჭურის ქალია, გუროდან შატილს გათხოვილიო.

669. საკიდლიანნი

ჩავაწერინე გაბრიელ ნაროზაულს ვახტანგ ბალიაურის კარნახით 1. 3. 1931. ტფილისში.

670. გავიარე და ვკიბეცა

ჩაუწერია ა. გომიაშვილს ჩაჩაურ ლიქოკელის სიტყვით 1. 8. 1930. ბარისაკოში. — 7 გამოცხები გამოცხი (გომ.); 8 სუნდები თუნდები (გომ.); 14 კუკუათ თორელს კუკუა თორელს (გომ.); 19 გავხკილავ აქ ზოგიერთ ცალში სამწუხაროდ ბეჭდვის შეტომა გიაპარა: გავხვილავ (გომიაშვილი აქაც და მ. 30: გავკილავ); 27 ყველა დაიჯდა ჯიბესა არ მომწონს ფორმა; „ყველა“ს ნაცულად გომ.-ს „ყველგა“ უწერია; 28 ჩხერო კაცის სახელიაო.

ბ.

გაიათ ბაბუაი ვარ, ბევრა ვისწავლე ტერკები.

მთაშიგისაკე წამოველ, უნდა დაეთარა დეკები.

აღარ გაქსონსთა, ქისტებო, საბლით გიკონეთ წყეშები, ყინვართ ბოლოში შავრეკე, ჩოთუშო, შენებ ვერძები.

5 ჯერც ისევ ტერში მიკიდავ შენის ვაცუერძის გვერდები.

კავკაეში ნულარ მიჩვილებ, — შავიწუხლების დელები.

ხალხნი ვართ კელ-შარტოები, საქმე გვაქვ გასაკეთები.

(ე)ეწინდლებმ ვაფებმა ცოლებს უხვეტეთ ნეხვები,

10 საძროხეშიგით გადმომკდრებს დაგიბრაგუნანთ ფეკები, ცოლ რო ქმარს ეუბნებოდას: „ეგდი, თორ გაირეხვები.“

—

წუხელ სიზმარში მენახა: ვჩხრეკდი სასულოს კიბესავ.

გაიათ ბაბუაი ვარ, — ვერ მიჩვენებენ ციხესა.

ბევრ მახე გამიკილავის. ბევრას გავხკილავ კიდევცა,

სადაც ყინულზე შა(ვ)ვარდი, გავიარ(ე) და ვკიბეცა.

—

15 ე(ე)ხლად მეუბნებიან: „იქვე უჩვილავ ქისტებსა.

წინ ჩოთუშ მიუძღვებოდა ახალგაზდაებს ბიჭებსა.

როცა კავკაეში ჩავიდა, სუდიას ქრთამებს მისცემსა.

—

ქალს რად არ მამკებ, ჩოთუშო? რად არ გამიკდი სიბესა?

კაცი ხარ ჯილაგიანი, გამორჩეული ქისტებსა.

673. ილია

ჩაუწერია ა. გომიაშვილს. — 12 ჩაეასხემლი ჩაეასხმიდი (გომ.).

674. რუსეთ-იაპონიის ომი

ესეც ა. გომიაშვილის მიერაა ჩაწერილი. — 19 ფეკიც] ფხის (გომ.); 26 სიგვირგვ] მოსალოდნელია: სიმირგელი; 28 ყინვიანი მქონ] ყინვიან მიქონ (გომ.); 30 უნახავ] უნახავთ (გომ.).

675. იმპერატორს

ჩამიწერა დათიკო ცისკარაულმა (გაღმომცეს 6. 3. 1913.) — 7 ბაბო მეც მყვანდა, ბერდია] ძმები იყენენ ახალასიო.

ამის მათქვამს დასაჭერლად სდეედენ ხელმწიფის შეურაცხყოფისათვისაო.

676. მითირი (Gog)

9 მითრთვეს] შეცთომაა ბეჭდვისა, გასწორდეს: მიართვეს. — მაცე, ძმა მითირისა, სტრაჟნიკი ყოფილა.

677. ბაკათ ბაკა

ჩამიწერა გაბრიელ ნაროზაულმა ვახტანგ ბალიაურის კარნახით 1. 3. 1931. ტფილისში. — 19 ბერდას] გასწორდეს, უნდა: ბერდაის.

მელექსედ გამოყვანილია ბაბო ბერდაის შვილი, რომლადაც ობოლა წიკლაური იგულისხმებაო, დევების კორწილის ავტორიო (№545).

678. ხოლმე და მეთქი

ნათქვამია კუკუა (გიორგი) ცისკარაულის მიერო. ჩამიწერა გ. ნაროზაულმა ვ. ბალიაურის სიტყვით 1. 3. 1931. ტფილისში. — სიპერდიანნი] ასე ლექსისთვისაა ნახმარი, თორემ ჩვეულებრივ „სიპებიანი“ ითქმისო; 8 მკარზე ნაქონნი წრიანი] წრიაპებს, ვიდრე საჭირო არ არის, მხარზე გადაიკიდებენ ან თოფზე დაახვევენ ხოლმე და ისე მიაქვთო.

ლექსი, მიმართული ვაჭრისა და მემამულის წინააღმდეგ, მაჩვენებელია აგრეთვე იმისა, თუ როგორ ღიღია განსხვავება ხვესურისა და კახელის სულეირ განწყობილ-

ბას შორის. „ხოლმე“ და „მეთქი“ ხვესურისათვის იმდენად კი არ არის გასაკვირალი, როგორც ის გარემოება, რომ იგი „სირცხვილ-ნამუსს“ ვერ ზედავს კახეთში.

679. ტყუილით გატენა

მათქვამია მგელა ჯინჭარაული, შატილიონიო. ჩამაწერინა გიორგი ჯინჭარაულმა 1. 3. 1931. ტფილისში. — 1 საზულაოდა] ზულაე მთის სახელია; 6 სასაგძლე] იგულისხმება გუდა.

ხელას კნდომებია მგელას მოცდენა მუშაობიდან და უხუმრია: ნადირობისას ჯიხვი დავეჭერი და მომაძებნიეო.

680. ფანდური და წისქვილი

ჩაიწერე გიორგი ჯინჭარაულის სიტყვით 1. 3. 1931. ტფილისში. ამისი მათქვამია გუგო გოგოჭური, გუროელიო.

681. თრევა ძაღლის კუდივით

მიამბო გ. ჯინჭარაულმა 1. 3. 1931. ტფილისში. ლექსის მათქვამია მამულა ჯინჭარაული. ლექსი იმაზეა ნათქვამი, რომ გიორგამ ქალი არ მისც მამულასაო. — მე-9 და მე-10 სტრიქონს შუა ერთი მუხლი აკლია: „არცა ღნახია მზიო, ვაცუნა შამაეაქციე.“

682. მეშეშე

მიამბო იმავე გ. ჯინჭარაულმა 1. 3. 1931. ტფილისში. ლექსის მათქვამია ზთისო გოგოჭური, გუროელიო.

683. ფიცრობად (Gs)

8 არ სჭარბაე] არ სწარბაე Gs; 8 მას უკვენ წავედ უკულმა, ნადიროს ვაც რომ მავხპარე] მომყავს აქვე ლექსი, რომელიც ამის თაობაზე უთქვამს ვაცის პატრონს ნადიროს, გუდამაყრელს:

029.

ნეთხიჩოურმა მთიბელმა ცელი დახყუდა, დაშქინა,
იტყოდა გული-გულშია: „დედას გიტირებ, ნადირო!“
გამოქდა პირდაპირადა, ნადიროს ვაცი დაძირო.

- ვერც ჯალაფთ აჭმევ ოქშაში, მიაც უქეჩო(ღ) გამწირო.
 5 ქუდიც აღარ მოიკდა, იმის სულ ეშმათ შესწირო.
 გახკვირან თირკმელათ ქონსა, აგეთი [იყვა] როგორც საპონი!
 იქნება არ დაიკარგას, – უგემური ხყავ პატრონი.
 ან შეიდი ძროხა მამეცით, ან შეიდ თუმანი კელადა.
 ჩაჩაურ თათარ(ა)შვილი როგორ ძალიან დიდობსა!
 10 ნადიროს ვაცი მოხპარა, დედი(ს) საქნარში უნდოდა.

(Gs).

1 ნეთხიჩორმა] ნეთხიციორმა Gs; 4 უქეჩო(ღ)] უქეცო Gs. – „ეს ლექსი თქვა თავად ვაცის პატრონმა ნადირომ. ნადირო იყვა გუდამაყრელი. მას მახპარა ვაცი ნიკო ანუ ჩაჩაურ ოჩიაურმა. ეს გაიგა ნადირომ და ვაცის ფასი წ(ა)ართვა რჯულით, ნიკო ოჩიაურს, შეიდეულად შეიდი თუმანი. ნადირო, ვაცის პატრონი, და ნიკო ოჩიაური, მამპარავი, შემდეგ შეარიგნეს. იქნებ 35 წელი შემდეგში“ Gs.

684. არწივ-ჯიკვებს

ჩამიწერა გ. ნ ა რ ო ზ ა უ ლ მ ა გ ბ ა ლ ი ა უ რ ი ს კ არ ნ ა ხ ი თ 1. 3. 1931. ტფილის-ში. ლექსი ბეწინა წიკლაურის მიერაა ნათქვამიო.

ლექსს უთუოდ ატყვია მწიგნობრული გზით შეძენილი ცოდნა. ოთხი ოთხეულისაგან პირველი და მეოთხე სრულია, მეორესა და მესამეს კი აკლია თითო მუხლი. ამას გარდა, ენაც არაა მთლად ხეესურული: მონადირეო 1, 3, დარაჯობ 3 (მოსალოდნელი იყო: მენადირეო, ზდარაჯობ).

685 ყორნებს (R 106)

ბ.

რა ცუდი ზნე გჭირსთ, ყორნებო: ტირილ არ იცით მკედარზედა;
 შამიოსებით შავდა, თუთრს არ ჩაიცომთ ტანზედა;
 ვაჟკაცს გულს ამარიდებთ, ჩამაირიგებთ ჯარზედა;
 რაც უნდა კაი ყმა მოკვდეს, ცრემლ არ მოგივათ თვალზედა;
 დაითხიფებით სისხლითა, ილტოზე წახვალთ წყალზედა.

(Rფ 184).

ბ.

თქვენი ჭირიმე, ყორნებო: გლოვა არ იცით მკედარზედა;
 რაც უნდა კარგი ყმა მოკვდეს, ცრემლ არ მოგივათ თვალზედა;

შამოსებით შავდა, თურს არ ჩაიცომთ ტანზედა;
კარგს ყმას გულს ამაარიდებთ, ჩამოირიგებთ ჯარზედა;
გაილექებით სისხლითა, გადახვალთ ილტოს წყალზედა.

(V, აფხუშობა: ივერია, 1886, № 141)

დ.

რა ცუდი ზნე გჭირსო, ყორნებო: თურს არ ჩაიცვამთ ტანზედა.
ტირილის სამაგიეროდ ყფა რად იცით მკვდარზედა?
ვაჟკაცს გულს ამაგლეჯავთ, ჩამაარიგებთ ჯარზედა.
დასხდებით, ჭმას დაუწყებთ, ცრემლი არ მოგლით თვალზედა.

(Ge)

თუ არ ვცდები, ეს ლექსი Ges სადღაც უნდა ჰქონდეს დაბეჭდილიც. [„ცნობის ფურცელი, 1906, სურათ. დამატ. №37,6,“ ა. შანიძის მინაწერი. რედ.]

ე.

გამოჩნდა დედა ბებერი, ცრემლებ ჩამოსდის თვალზედა:
„ცუდი ზნე გაქვისო, ყორნებო, — ტირილს არ იტყვით მკვდარზედა.
ვაჟკაცს გულს ამაარიდებთ, ჩამაარიგებთ ჯარზედა.

(Bo, ივერია, 1899, №189)

ასე თველება ი. ბოძაშვილის მიერ ს. შარა-ქეში ჩაწერილი ლექსი ქისტების დაცემის შესახებ ფშაველ-გუდამაყრელთ ცხვარზე („თოფებ სჭეხს საკარეშია, ჟირიმბ თავის ჭკკაზედა“ და სხვ.). აღნიშნული სიტყვებით ბებერი დედა დასტირის თავის შვილს ქუჯეგას, რომელიც მეცხვარეებს შემოჰკვდომიათ.

ვ.

თქვე დაწყეულსო ყორნებო, სუ შავ რად გაცვათ ტანზედა?
აღარც კი იცით ტირილი, უწინ თქვენ მიხვალთ მკვდარზედა.
ვაჟკაცს გულს ამაარიდებთ, ჩამაარიგებთ ჯარზედა.
დაიბანებით სისხლითა, მემრ ტერლოს ჩასდით წყალზედა.

(Tფ)

ზ.

რა ცუდი ზნე გაქვთ, ყორნებო, — ცრემლ არ მოგივით თვალზედა.
ხართ შავდ დაჯიგრულები, ტირილ არ იცით მკვდარზედა.
ვაჟკაცს გულს ამაარიდებთ, ჩამაარიგებთ ჯარზედა.

(Tფ)

686. ჩიტებს (R 53)

ბ.

დადევით, ჩიტნო ქერონნო, ნუ ეთულებით ნართაო.
გამოგიქროლებსთ მინინო, თავს მიგინარცხებსთ ქვათაო.

(Rფ 139)

687. ძმანი და რძალნი (R 54)

688. მოკეთეები (U)

გადმობეჭდილია ივერიიდან (1891, №90).

ბ.

ან უნდა ძმასა ძმა ჰყვანდეს, ან კარგი შვილი მამასა.
ან ღელისძმათა ღისწული, ის მაუქნავდა ყანასა.

(Rფ 134)

689. ბევრნი ძმანი (G 246)

ბ.

ნეტავი ძმათა მრავალთა! ცხარე მზე ამაუქლება.
ვერცვინ წაართომს ღიაცსა, ვერცვინ შინ შამაუქლება.

(Rფ 146)

ბ.

ნეტავი ბევრი ძმისასა! ცხარე მზე არ დაადგება.
ვერც არას მტერი ულაშქრებს, ვერც ბატონი მოუხტება.

(Rქ, №327)

690. ბერიკაცი (G 246)

ბ.

მაიმატიდი ჭკვა-გონსა, რიგებას სოფლებისასა.
ჯერ ბოლოს გაიკეთებდი, შემრ გზასა სულეთისასა.
გაუჯავრდიდი სწორადა თავისასა და სხვისასა.

(R 50)

1 მაიმათიდი] მაიმათოდი R (ფშაური ფორმა). — იგევეა არსებითად სის ვარიანტიც (ივერია, 1888, №84), სადაც განსხვავება მხოლოდ ბოლოში იჩენს თავს: თავისასა და სხვისასა] თვისასა, სხვისისასა U.

სს სხვა ვარიანტიც მოჰყავს სამიოდე წლის შემდეგ:

ზ.

ბერო, რად სჩივი ბერობას, მოკლებას თვალებისასა?
მაიმათიდი ჭკვა-გონსა, რიგებას სოფლობისასა.
ჯერ ბოლოს გაიკეთებდი, მემრ გზასა სულეთისასა.
გაუჯავრდიდი სწორადა თავისისასა, სხვისასა.

(U, ივერია, 1891, №90).

გაგონილი მამის წვერა არაბული საგან.

დ.

ბერო, ბერობას ნუ სჩივი, მაკლებას თვალებისასა.
ეცადე ჭკვა-გონებასა, რიგებას სოფლებისასა.
აიჯუფთების სწორები, ნუ მოუწონებ, ზეთის მადლსა!
გაუჯავრდიდი სწორადა თავისასა და სხვისასა.
ჯერ ბოლოს გაიკეთებდი, მემრ გზასა სულეთისასა.

(Sh).

ჩავეწერე ზეთისო არაბული საგან 16. 5. 1931. ტფილისში (ზეთისო ძირად ბარისაკოელია, ამჟამად თეთრ წყლებშია ჩამოსული, თელავის რაიონში).

ე.

აიჯუფთების სწორები, გაუჯავრდიდი, ზეთის მადლსა!
ბედნად ნუ გაუჯავრდიდი თავისასა და სხვისასა.

(Msh).

1 აიჯუფთების სწორები] აი ჯუფთების წვერები Msh; 2 ნუ გაუჯავრდიდი] ნუ გაუჯავრდე Msh.

ვ.

ბერო, ბერობას ნუ სჩივი, დაკლებას თვალებისასა.
გავლა-გამოვლას ეცადე, რიგებას სოფლობისასა.
სწორად სამართალ მისცოდე თავისასა და სხვისასა.

(ივერია, 1890, №148).

გაგონილი ყოფილა კოშარაში.

ზ.

ბერო, ბერობას ნუ ჰჩივი, დაკლებას თვალებისასა.
ჭკვას და გონებას ერჩიე, რიგობას სოფლებისასა.

(Rფ 137).

691.

გადმობეჭდილია სიდან (ივერია, 1891, №90). სს იგი გაუგონია მამის წვერა
არაბული საგან. აქ იგი ისეა წარმოდგენილი, თითქო შუა ნაწილი იყოს ამავე
წიგნში 705 ნომრად დაბეჭდილისა და 690 ნომრის გვარიანტისა.

Mshის ვარიანტში: I შენ] შე Msh.

ბ.

შე ბერიკაცო წვერ-თეთრო, გინდა ალავერდს შადგომა,
კარგი გინდარის სმა-ჭამა, სულზედაც გინდა დადგომა.

(Rფ 149).

ბ.

ბერიკაცი ვარ წვერ-თეთრი, ალავერდს მინდა შადგომა,
კარგის თქმა, კარგის გონება, სულის არ მინდა წაწყლომა.

(ქოშარაში გაგონილი: ივერია, 1890, №148).

692 (G)

ბ.

დავბერდი, დაუჩანანავდი, წვერი შემეკნა ჭლარა.
შინ საქმეს ველარ ვაკეთებ, გარეთ ვარგივარ აღარა.

(Q, მოძღვარი).

ბ.

დავბერდი, დაუჩანანავდი, წვერი გამიკნა ჭლარა
შინ ვალაბს მოვსძულევივარ, გარედ ვუნდივარ აღარა.

(Q 22).

დ.

დავბერდი, დავნაჩანაკლი, წვერი გამიქლა ჭლარა.
შინ ჯალაფთ მოვსმულეებივარ, ბატონს უნდივარ აღარა.

(Rფ 136).

693. დარდიან მთვრალი (G 246)

ბ.

დავითვერ, ნისლმა დამათრო აბანოთ ამამდინარმა.
ნისლმა ხო ვერა დამათრო, – ჯავრმა გულს გადამდინარმა.

(Rფ 138).

694. მომცდარ ყანა (G 247)

ბ.

ყანასა მორეულასა არ უნდა დახედულობა.
გავლა უნდა და გამოვლა, ნამგალსა მოლესულობა.

(Rფ 69).

ბ.

ყანასა ფათალიანსა რად უნდა დახედულობა?
გავლა უნდა და გამოვლა, ნამგალსა მოლესულობა.

(Tფ)

დ.

ყანასა მორეულასა რად უნდა დახედულობა?
გავლა-გამოვლა უნდარის, ნამგალსა მოლესულობა.
(ქოშორაში გაგონილი: ივერია, 1890. №148).

695. პატივი მუშას (G 247)

ბ.

კემწიფევე, შენი სასახლე ჰგავის ქალაქის ქუჩასა.
შენც კარგა მოგეკსენება, დახვედრა უნდა მუშასა.

(Rფ 152).

ბ.

ბატონო, შენი სასახლე გიგავს ქლაქის ქუჩასა.
ხომ კარგად მოგესსენებათ, პატივი უნდა მუშასა.

(ნაპერწყალი, თეატრი, 1888, №34).

696. მამკალნ ქალნი (G 247)

697. სწორების სიყვარული (G 248)

698. შვენება (G 250)

უკანასკნელი მუხლის რითმად მოსალოდნელია „გემნიარობა“, რომლის მიხედვითაც შეიძლება გეთქვა, რომ ლექსი მოხუერია წარმოშობითა.

ბ.

სახლო, გაშვენებს ჭურჭელი, ჭურჭლო – ღვინიანობა.
ქალო და რძალო ლამაზო, ჯალაფუჩი გემრიელობა.

(რეგ 36).

699. ჯალაფობა (G 250)

1 ხუთთავ] ჯერ დაეწერა „სამთავ“, მაგრამ შემდეგ ასე გადასწორებინა.

700. ტყუებით წამოყვანილი (G 251)

701. შენ რადა-ღ (G 251)

ბ.

ცეცხლო, შენ დამწოვ, წესია; შენ რაღა, ნეღლო შეშაო?
კმალო, შენ გამჭრი, წესია; შენ რაღა, ღუშმნის ენაო?
ქალო, შენ დამწყევ, წესია; შენ რაღა, ქალის დედაო?

(რეგ 150).

ბ.

ცეცხლო, შენ დამწვავ, წესია; შენ რაღა, ნეღლო შეშაო?
კმალო, შენ გამჭრი, წესია; შენ რაღა, ღუშმნის ენაო?

(A, ჯეჯილი, 1898, №12).

1 ნეღლო] ნეღლობ A.

702. სტუმართ უნდაური დიაცი (R 49)

2 სტუმართ უნდაურ დიაცსა სახჩი ნუ შაუტივიდი] ასე აქვს Rს, მაგრამ მოსალოდნელია: სტუმართ უნდაურ დიაცი სახჩი ნუ შაუტივიდი. „სახჩი“ ფორმას R ასწორებს („სახლში“), თანაც შენიშნავს: „ქვესურები იტყვიან «სახჩი», მაგრამ ჩემის ფიქრით ძალიან საჭიროება არ მოითხოვს, სწორედ ისე ვინმართო, როგორც ისინი ამბობენ, ცოტა წამკითხველსაც უნდა გაუადვილდეს გაგება.“

შდრ. შემდგომ ნომერს.

703. ადრე და ნელად (R 50)

შეიძლება ეს ლექსი ვარიანტი იყოს წინა ნომრისა.

704. გაგონება (R 50)

705. რად მინდოდი (U)

Uმა დაბეჭდა ივერიაში (1891, №90). მას იგი გაუგონია მამის წვერა არაბული საგან. — ამას იქ უშუალოდ მოსდევს №691 და 690 გ). — განთ ამლისა] განთ მამლისა U.

706. წუთისოფელი (O)

ოქროს დადება კერად, როგორც ზოგიერთ ვარიანტშია, მე მგონია „კერმად“ დადებას გულისხმობს, ე.ი. ბანკში შენახვას. თუ ასეთი გაგება სწორია, მაშინ ლექსი კარგა ძველი უნდა იყოს. როდესაც „კერმა“ გაუგებარი გამხდარა, იგი „კერა“დ გადმოუკეთებიათ და ამგვარად გაუაზრიანებიათ.

ბ.

ვაი შენ, წუთისოფელო, დაგცადე მრავალ ფერადა.
ქორცო, გალაღე, გასუქე, სულო, გადავიდეგ მტერადა.
სული ვერც იმან მოიგო, ვინც ოქრო დადგა კერადა,
ჯალაბსა მწარე ცხოვრება ტკბილად ვერ აუფერადა.

(Q, ივერია, 1885, №10 = ც. წ. 50).

ზ.

ვაი შენ, წუთისოფელო! გაგიქე ათას ფერადა.
ქორცო, გასუქე, გალაღე; სულო, გაგიქე მტერადა.
ვერც სული იმან მაიგო, ვინც ოქრო ჩადგა კერადა.

(Rგ 142).

3 ვინც ოქრო ჩაღვა კერადა] Rს მოჰყავს ამისი სხვა ვარიანტიც: ვინც ოქრო ჩაღვა ძველადა.

დ.

ტიალო წუთისოფელო, დაგცადე ათას ფერადა.
კორცო, გასუქე, გალაღე; სულო, გაგიქე მტერადა.

(Tფ).

მ.

ვაი შენ, წუთისოფელო! დაგცადე ათას ფერადა.
ხორცი ვასუქე, ვალაღე, სულს გადავექე მტერადა.
ვერც სული იმან აცხოენა, ვის ოქრო ეღვა კერათა.

(ივერია, 1891, №85).

ჩაუწერია ავ. გოღერძიშვილს ს. ქოდალაში (სიღნაღის მაზრაში).

პ.

ვაი შენ, წუთისოფელო, დაგცადე ათას ფერადა.
ხორცი, გასუქე, გალაღე, სულო, შეგიღვე მტერადა.

(ივერია, 1889, № 204).

ჩაუწერია ნ. ხუციშვილს ს. ახალ-ქალაქის მიდამოში.

ზ.

ვასუქე ხორცი, ვალაღე, სულს გადავადექ მტერადა.
ვერც იმან აცხოენა სული, ვინც ოქრო დაღვა კერათა.

(ივერია, 1894, №30).

ჩაუწერია ვ. კობონაშვილს ახალ-ციხის მაზრაში.

707.

დაბეჭდილია Rონის მიხედვით (ივერია, 1879, №1).

ბ.

წუთისოფელის სტუმრები ვართ, ჩვენ რო წავალთ, სხვა დარჩება.
რასაც ვაამებთ ერთურთსა, იმის მეტი რა შავერჩება ?
სამი აღლი ტილოს მეტი სამარეში რა ჩავყვება?

(Tფ).

ბ.

წუთისოფლის სტუმრები ვართ, ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება.
კარგი ვსვით და კარგი ვჭამოთ, იმის მეტი რა შეგვრჩება?
სამის ადლის ტილოს მეტი საიქიოს რა გაგვეყვება?

(Rფ 150).

დ.

წუთისოფლის სტუმრები ვართ, ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება.
რაც ერთმანეთს გავახარებთ, იმის მეტი რა შეგვრჩება?

(ზ. ბილანი შვილი 129).

ზ. ბილანი შვილს იქვე მეორე ვარიანტიც მოჰყავს, სადაც მეორე მუხლი ასე
იკითხება: „კარგი ვსოთ და კარგი ვჭამოთ, ამის მეტი რა შეგვრჩება?“

708. ფიცის კარს (R 49)

709. კაი კაცი (Ro)

პირველად დაიბეჭდა ივერიაში (1879, №1).

710. რკინის ქალმანი (Ro)

გადმოვბეჭდე ივერიიდან (1879, №1).

იგივე მოჰყავს Rსაც ფშაურ ლექსებს შორის (Rფ 31).

ბ.

ქალ, ქისტეთს გაგათხოვებენ, ქალმანი გინდა რკინისა.
ახმეტა მოგაგონდება, ლილარი მოგკლავს ღვინისა.

(Sh).

ჩავეწერე კამისია ბადრი შვილისა გან 11. 7. 1911 ს. შუაფხოში.

ბ.

ქალ, ქისტეთ(ს) გაგათხოვებენ, ქალმები გინდა რკინისა.
მოგაგონდება ახმეტა, სვირილი მოგკლავს ღვინისა.
ახმეტაშია, მატანსა ღვინით დაგბანენ პირსაო.

(Go).

დ.

ქალ, კახეთს გაგათხოვებენ, ქალმანი გინდა რკინისა.
მოხვალ და მოგაგონდების, მოგკლავს სურვილი ღვინისა.

(ივერია, 1886, №140).

ჩაუწერია მ. ნ ა თ ა ძ ე ს. მიწერილია: „ხალხში გაგონილი“ო და მოდი და გაიგე,
სად არის გაგონილი!

711. გულის ტკივილი (Ro)

გადმობეჭდილია ივერიიდან (1879, №1).

ღის ხელნაწერ ვარიანტში: 1 არწივი] ფრინველი Q; 2 უჩნელად] უჩნველად Q.

712. დილის ნიაგს (R 180)

ბ.

ჰარალო, დილის ნიაგო. მე შენთვის მიტირნიაო.

— შენ ჩემთვის რა გატირებდა? მე შენთვის რა მირგიაო?

(თეატრი, 1886, №6).

ჩაუწერია რ. მ ი რ ზ ა ა ნ ე ლ ს სიღნაღის მახრამში.

713. კევსურული ნანა

დაბეჭდილია ნ. ჭო ნ ქ ა ძ ი ს ჩანაწერის მიხედვით. — 2 ასწევდესო = არწევდესო,
არწევდნენო (ისეთივე მოვლენაა, როგორც სთვა: რთვა, სჭობა: რჭობა, სძე: რძე, სთველი:
რთველი, ე(ვ)სტათე-წმინდა: ერთა-წმინდა და მისთ.).

ბ.

ეე ნანო ქალასაო, სამკალ გაჩენილასაო.

მტრედებ უღუღუნებენო, ანგელოზებ ასწევენო.

რუროთაო, ნანათაო, სამკალ გაჩენილასაო.

(Msh).

ეს უმღერნია ს. ჭიაურში ძი ლ ა ა რ ა ბ უ ლ ს აკუნის რწევით.

ბ.

ეე ნაო ძილასაო, სამკალ გარენილასაო.
დედა ტუტუს მოუტანდა ზის-ცვრით გატენილასაო.
ეე ნაო ძილასაო, ეე ნაო ქალასაო.

(Msh).

ჩაუწერია კომპოზიტორს ნ. წიკლაურის აგანს. საჭურეში. — ზის-ცვრით] სისვრით Msh.

714. წყლის მარსიტი (R 54)

1 მარსიტი] „წყლის სული, ქაჯი“ R.

ბ.

დამაცა, წყლისა მარსილო, ვერ მიგაყენო კილოსა!
შენ დიახ აჩქარებულხარ, მე ველი ჩემსა კილოსა.

(Rფ 139).

პო, აქ „მარსილო“ იკითხება.

715. რა სჯობ (U)

გადმობეჭდილია ივერიიდან (1888, №64), სადაც არ არის აღნიშნული, თუ ვისგან არის გაგონილი. სამაგიეროდ შმა ეს ლექსი მეორედ დაბეჭდა უცვლელად ივერიაში სამი წლის შემდეგ (1891, №90) და იქ კი აღნიშნულია, რომ იგი მას ჩაუწერია ბაცალიგველის ბათაკა არაბული აგან.

ბ.

ჯორი ჯობ საქონელშია, — კარზე მოვ აკიდებული;
მემრე კარი და უღელი მტყელ მამულს გაკიდებული;
შიგ მოსაელავად ქერ-იფქლი, თავ-თავით დაკიდებული;
იმის სამკელად ქალი ჯობ, საქმარედ მოწიფებული;
5 ძნის შესაკრავად ვაჟი ჯობ, საკელ-მკარ შერეკებული;
ნაპირს აღაგში ციხეი საომრით გამართებული;
შიგ საკიდებლად სიათა, ტყვია-წამლითაც მორთული;
იმის სასრველად ვაჟკაცი გუნება-გაჯავრებული.

(Sh თ).

ჩამაწერინა მართა ივანეს ასულმა სისეაურისამ, დიკლოელმა, ომალოში 7. 9. 1913 - 1 ჯორი ჯობი ვირი ჯობი (ვარიანტი მისივე. ვირმა მართლა იცის შინ მისვლა, თუ ტვირთი აკიდებული აქვსო); 4 მოწიფებული პირველად თქვა: მომზადებული; 6 საომრით გამართებული პირველად თქვა: საომრად გამზადებული; 5 ძნის შესაკრავად იმის საქმარედ (ვარიანტი); 8 ვაჟკაცი პირველად თქვა: ვაჟი ჯობი.

ბ.

ჯორი ჯობს საქონელშია, - კარზედ მოვ აკიდებული.
მემრე კარი ჯობს ცხვებშია გრძელ ბექსა გაკიდებული.
იმის სამკალად ქალი ჯობს საქმარედ მოწიფებული.
ძნის შემკრავად ვაჟი ჯობ საკელ-შკარ-შერეეებული.

(Sh თ).

ჩამაწერინა პავლე აზიკურიძემ 4. 9. 1913 ს. ფარსმაში. - 4 იმის შემკრავად ვაჟი ჯობი როცა რომელიმე ღარიბს სამკლის ოჩხარა აქვს, ქალები მკიან, ვაჟები კი ულოთი კონვენო.

716. ქალისად და ვაჟისად (O)

717. გატეხა-გაუტეხლობა კმლისა და ვაჟისა (C)

ბ.

გატეხით, გამაგრებითა კმალმა ბედნად არ გასჭრა.
გატეხილისა ვაჟისა ყორანმა ლეში არ ჭამა.
გაუტეხელის ვაჟისა წინ-წინ მკლავები დაჭამა.

(Rფ 138).

2 გატეხილისა ვაჟისა...] „ვინც დარღს გაუტყდა, იმისი ლეში ყორანმა არა ჭამო“ R.

ვაჟა-ფშაველას მოქყავს ეს ხალხური ლექსი ეპიგრამად თავის „სულა და კურდღელა“ში (ივერია, 1888, №237 = თხზულებათა მესამე ტომი, ტფ. 1930, გვ. 59), მაგრამ პირველი მუხლის გამოკლებით.

718. ქუდი

დავებუქდე ნ. მაკალათიას ჩანაწერის მიხედვით.

719. კევსური (Sh)

გაგონილი მაქვს 1911 წ. ხევსურეთში.

აჯობებდა, რომ ამისთვის სათაურად მიმეცა „ხის ბეჭი“ და თქმულებათა შორის მომექცია.

ამოღებულია თქმულებიდან, რომელიც ჩაუწერია Cს გიგია ჯინჭარაულის სიტყვით 12. 7. 1925 ბარისაკოში. თქმულება, რომელსაც სათაურად აქვს „ბათორის ამბავი“ წარმოადგენს ვარიანტს ხალხური თქმულებისას, რომლითაც უსარგებელია ვაჟა-ფშაველას თავის პოემაში („ხის ბეჭი“, თხზულებათა მესამე ტომი, ტფ. 1930, გვ. 267 და შემდგ.). რადგანაც თქმულებას მნიშვნელობა აქვს ვაჟას შემოქმედების გასაგებად, მომყავს იგი აქვე შეუმოკლებლად.

„წავიდა ერთ მონადირე ნადირობად და შადგა ერთს კლდის ეხში და დაანთო ცეცხლი. შუადამის დრო რო მოვიდა, გაიგონა ეშმაკების ძახილი. მოკლა იმან ერთ ჯიკვი, გაატყავა, ამაირდა გულ-ფირტივი და შედგა ცეცხლში. ის ოკერი უცბად ისევ წამოხტა ცეცხლშიით და გაიქცა. იძახა იმ მონადირემ: რა საკვირველს შავესწვერ?! და უძახეს ეშმაკებმ: ეგ რა საკვირველია? საკვირველი ბათირმა მაიხილა. ადგა და წამოვიდა მონადირე და იარა ხალხში, იკითხულა: ბათირმა რა მაიხილავ? მივიდა ბათირსთან თითონ, ხკითხა ბათირს: რა მაიხილევ? უთხრა ბათირმა: მე ასე მაიხილევ: შენ რო ყოფილხარ, იმ კლდის ეხში მეც ვიყავ. დავანთე ცეცხლი. შევიდინა ძახილი შუადამის დროს: ქორწილი გვაქვ და წამედივ — ვერავ, — უძახა ეშმაკმ, — სტუმარი მყავის, ვერ წამოვალავ. მეორედ ისევ უძახეს: წამედივ და სტუმარიც აქ წამაიყვანევ. და თანაც ბნელა იყვ. მიძახა ვილდაცამ: წამოდი, წავიდათ, ქორწილი აქ(ვ).— რას ამბობ? მე თვალით არვიხს არ გხედავთ — წამოდი, — მიძახა, — ჩემ ქმსა მოხყევ, ხოლოთ არაფერი მოგატყუონ, ჩემად უკითხავად არავის აზმრახდა. და მივედი. მთელი ეშმაკებით გამოტანილი იყო. დავსხედით სკამზე. მაშინ კი დავინახე ყველა თვალით მაიყვანეს სამი ჯიკვი, დაკლეს და ადუღეს. გააკეთეს ტაბლები და ხალხს პური აჭმიეს. ყველა ძვალეები, რაც იყო...¹ ქორცი შაჭამეს. არაყიც დალიეს. ერთი მამაწვადავს მე, არ დავლიე. უთხრეს ჩემ ხაზეინს: რატო არ დალევს შენი სტუმარიო? — გამოგელის რამეს, უთხრა ჩემმა ხაზეინმა. — ხვალ ერთსამც მახკლავსო ჯიკესაო! მეორე ყანწი მამაწვადავს. არ დავლიე. — რა სწყინს შენს სტუმარსაო? უთხრეს ჩემსა ხაზეინსა. ისევ ისი უთხრა: გამოგელის რამესაო. და: ხვალ ორს ჯიკესამც მახკლავსო! თქვეს. მესამე მამაწვადავს ყანწი. მაინც არ დავლიე. თქვეს: ხვალ სამსამც² მახკლავსო! და დავლიე მეცა არაყი. პურიც ვჭამე.

შაყარეს უქორციოდ დახიზულები ძვალეები, მახზეივს ტყავი, დახკარეს მათრაკი. ადგა და გაიქცა ჯიკვი, რომენიც შავჭამეთ! ახლა მეორეს (ა)ასხეს ძვალეები, მახზეივს ტყავი, შაულოცეს. ადგა და გაიქცა. მითხრა ჩემმა ხაზეინმა ეშმაკმა: ერთ ძვალი დამა-

¹ თუმცა დედანი წესსა და რიგზეა, მაგრამ აქ წერტილები დაესხი, რადგანაც რაღაც აკლია. მოსალოდნელია: ძვალი შინახეს, კორცი კი შაჭამესო.

² დედანშია: ოთხსამც.

ლევ. გაეჩიარა წელში და დამალე. დაიწყეს ძებნა. ის ბეჭი მე მქონდა. გაუკეთეს ხისა, ჩაუგდეს, მახვიეს ტყავი, შაულოცეს:

ადეგ, ადეგ, ხეჭუჭაო,
ხისა გიგდავ ბეჭადაო.

ადგა და გაიტყა. მაშინ დავიძინე. დილით, როცა გათენდა, ავღევი და დავინახენ თვალით ჯიკვები. მართ(ლ)ად სამი ჯიკვი მოეკალ და ის ბეჭი მე მქონდა დამალული. ანკი ის მამიკლია, რომენსაც ხის ბეჭი ჩაუგდეს წუხელ!

მყვანდეს ძმა-ზალნი. მოვართვი სამი ჯიკვი. დამქრა მათრაკი ჩემმა ზალმა. გადავიქექ ძალდადა. გაუსხადა ლოცვა. დაეჯექი გზაშიგაო. გამიარა ერთმა თავადისშვილ-მაო და გაუღეტი უკენ. გონი კაცისი მქონდა, მაგრე ძალლი ვიყავ დამიგდა პური. მომიყვანა მემცხვარუსთან. მემცხვარეს თურმე ხყვანდა მგლები შემოჩვეული. დაღონებულები იყვნეს მემცხვარეები, — უჭამდეს ცხვარსა. უთხრა თავადისშვილმა: მე ასეთი ძალლი მყავსო, სუ დაღუპავს მაგ მგლებსა. რასაკვირველია, მეც გამიხარდა. მგელი კი არა, გინდა, დათვი იყოს, როგორ ვერ მოხველავო? დამე დაუწევი ნაპირასა ცხვარსა. მოვიდა მგლის ჯოგი. კაცი ვიყავ ძალდად გადაქეული. დავეტანე მგლებსა. შიული დავგლიჯე. რაც იყვნეს. დილით რო გათენდა, დარჩეს გაკვირებულები: თექვსმეტი მგელი მამეკლა! თქვეს მემცხვარეებმა: ეს ნამდვილად კაციაო ანუ კიდე მაჩვენება ას, ეს რა აბაგია? ერთმა ძალმა თექვსმეტი მგელი მოკლა! და წაიღეს მკითხვასთან: ეს რა აბაგია ჩენს თავს, ძალლია, თუ რამე მოჩვენება? უთხრა მკითხავმ: შილო, ეს კაცია, ძალდად გადაქეული. შამილოცა მკითხავმ და ისევ კაცი ვიქენ. უთხარ: მამე-ციოთ ჩემი სამუშაო, რაც მგლები მაგამორეთ. მამცეს ასი თუმანი ოქრო.

ეგ აბაგე გამაუვლია ბათირს ეშმაგებით და თავის ზღისგან.“

მეორე ნაწილი მოთხრობის ხელოვნურად არის დაკავშირებული პირველთან. იგი სხვა ჩანს, მაგრამ სისრულისათვის მოვიყვანე. მონადირის სახელი აქ ბათირი არის, ვ ა ჟ ა ს ხის ბეჭში კი ბალა (ან ბალია); აქ ჯიკვის ბეჭზეა საუბარი, ვ ა ჟ ა ს პოემაში კი ირბისაზე, მაგრამ არსებითი მხარე ვ ა ჟ ა ს ხის ბეჭისა და ამ თქმულებისა ერთი და იგივეა.

721. მითხვლის ქალი

ჩამიწერა გ. ნ ა რ ო ზ ა უ ლ მ ა ვ ბ ა ლ ი ა უ რ ი ს ს ი ტ ყ ვ ი თ . — 2 ე ე ხ ლ ა] ე ხ ლ ა (ნარ.); 7 ე ე წ ა ე] ე წ ა ე (ნარ.).

722. ლაშქარშით დაბრუნებული (Th 200)

ეს ლექსი ძალიან გავრცელებულია როგორც მთაში, ისე ბარში. დაბეჭდილთაგან მე ვიცნობ ორს ქართლურ ვარიანტს (1. „ტიროდა ქართლელი ქალი შუა ქართლისა ვზასაო“: მოგზაური, 1901, №11, ჩამწერია ქ ა რ თ ვ ე ლ ი ო ს ე ბ შ ი და 2. „ქართლ-

ლი ქალი ტიროდა ქართლისა შუა გზასაო“: R ქ, №335), და ერთს ფშურს („გადა-
მავლო ყორანო, გადაიტანე ჩქამიო“: X 207. ეს არის ნაწყვეტი, ბოლო), ხოლო
დაუბეჭდავთაგან: ორს ფშურს ვარიანტს (1. „ქალი ატირდა ქანანა შუა ქართლისა
მთასაო“: Rფ 40 და 2. „ქალი ტიროდა ქანანა შუა ქართლისა მთასაო“, — ჩაუწერია
გ. ლეონიძეს ნ. მჭედელურის სიტყვით 1924 წ. ს. დრეიძეში, ცივ-გომბორის
კალთაზე), ერთს თუშურს („წუხრი ლაშქრიდან მოვიდა შუალამისა ზანსაო“, — ეს მე
ჩაუწერე ქვ. აღვანში 1913 წ.) და ერთს ქართლურს („ჩემი დღემც დაადგებიან, ვინც
ქალი ენდოს ქმარსაო“, ჩაუწერია ა. კაკანაძეს ს. ვარჯანში: საისტ. და საეთნოგრ.
საზოგადოების მუზეუმის ხელნაწერი №2449).

9 თვალ-წამი-ეთის] თვალ-წამიათის Th; 16 ხორამ-ხურამთა] ხარამ-ხურამთა Th.
— სულ ბოლოს დავაკელ ერთი მუხლი: „ჩემსა დედასა უთხრიდით: იყიდნოს ჩემნი
თმანია“, რომელიც Ges მიერ ჩაწერილს ტყვეობიდან გამოპარულის ლექსშიც გადასუ-
ლა (255გ, მ. 20 და შემდგომი):

- 20 მითქვიდით ჩემსა დედასა: იყიდოს ჩემი თმა(ნ)იო.
არცა-რა მაგრე გრძელია, — შვიდ-კეცი, შვიდი მქარო.
დაკიდოს ბელლის კაჩოზედ, აფრიალებდეს ქარო.
გამვლელსა და გამომვლელსა ზედა რჩებოდეთ თვალიო.
(Ge).

ორი უკანასკნელი მუხლის დაბეჭდვა თავის ადგილას (გვ. 568) შემთხვევით გამოძრჩა.

723. ქალის წყველა მეშაირეს

დაბეჭდილია ნ. ჭონქაძის ჩანაწერის მიხედვით. — 4 ამავე] ამა ჭ 5 მეშაირეო]
მოშაირეო ჭ; 6 მილნატრიდა] მინატრიდა ჭ; 7 კასაო] კარაო ჭ; 13 იკვირაებდან
სხვანოო] რაღაც გადარეულია, რადგანაც დარღვეულია რითმა; 14 ლურჯასა] ლურჯას
ჭ; 17 უნცროს] უმცროს ჭ

724. ძილა

დაბეჭდვლენ. ჭონქაძის ჩანაწერის მიხედვით. დედანში მას ასეთი სათაური აქვს:
„ამპარტავანი ძილას სიმღერა.“ — 1 ვაჟერება] ვაჟერებაო ჭ; 2 ვაბერება] ვაბერებაო
ჭ; 4 შაჟერება] შეჟერებაო ჭ; 5 არ გადავხენება] არ გადავხენებო ჭ

725. ჩახერგვა

დაბეჭდვლენ უცნობი პირის ჩანაწერის მიხედვით (ბესო წიკლაურისა?),
ჩემი მასალებიდან. განსხვავებანი დედანთან შედარებით: 1 სთველ] სთვლი; თოლ]
თოვლი; 2 ლაშთ] ლაშთა; 6 შავიყარნეთ] შავიყარნენ.

726. ფიცრობაზე

დაებეჭდე იმავე უცნობის ჩანაწერის მიხედვით – 3 შრავის] დედანშა: შრავის.

727. ფშაურად გადანათლული (Gog)

ლექსი ეკუთვნის გველეულს უნცრუა არაბულსო. – 3 ბაჩლელი] დაცინვით უნდა იყოს ბატატზე (შდრ. 258 შშშ); 4 ძან] ძან Gog.

728. მედიდურს (Sh)

ჩამაწერინა გ. ჯ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ მ ა 1. 3. 1931. ტფილისში.

ბ.

ქალო, გინდოდი, მინდოდი, თავსაც შენავე ქლილობდი.
რა გიჭირდ აძრახლოძასა, თუ შინ არ შემოხვიდოდი?

(A, კვალი, 1893, №6).

2 გიჭირდ] მიჭირს A.

729. მელანიას (Sh)

ჩამაწერინა გ. ჯ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ მ ა 1. 3. 1931. ტფილისში. აქ მოხსენებული უშიშა და მერცხალა (მ. 3) შეიძლება არხოტელი მოლექსეები იყვნენ.

730. სალალატოდ (Sh)

მაბზო გ. ჯ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ მ ა 1. 3. 1931. ტფილისში. ლექსი გუროელის გუგო გოგოჭურის მიერაა ნათქვამიო.

ლექსი იმაზეა ნათქვამი, რომ ახალ წელს ზვიადი სწორფრობის წესით ქალოან იწეა და გუგო, ზვიადის ბიძაშვილი, ხუმრობით მათ საზეერავად წავიდაო. თოფის გავარდნაზე (მ. 6) აქ ტყეულად არის საუბარი, „სიტყვის გასალამაზებლად“ო. სადუცე (მ. 1) უბანია გუროშიო; კოკოშია (მ. 7) კაცია გუროელიო.

731. გულადობა (R 194)

ამ ლექსის გამო R შენიშნავს: „ფშაულები დასცინიან ხოლმე ხეესურებს და იმათ სიგულადეს.“ ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ლექსი ხეესურულადაა მოქცეული ფშაულის მიერ.

732. მოწმავის სკოლა

დაბეჭდილია ნ. ჭონქაძის მიხედვით, რომელიც შენიშნავს: უნტრუა ივანეს ძე არაბულის მიერ გამოთქმული ჩვენს შესახებ.“ – 16 კურდღლის მწეალების სულია] როგორც 641 №-თან აღენიშნე, თვითონ ხვესურები კურდღლის ხორცს არ ჭამენ და თუ კურდღელი მოკლეს, ბარიდან მისულს მისცემენ ხოლმე. როგორც ჩანს, კურდღლის ხორცს გემო მოწმავის სკოლის მასწავლებელმატ გაუშინჯა და ამაზე უნდა იყოს აქ მითითება; 17-19 ნინიჩკა მოსწავლეებელმა არ იცის მთიელთ რჯულია და სხვე იგულისხმება, რომ მასწავლე-ბელი ქალი ფშავ-ხვესურების წესს არ იცავს და თვიურის დროს არ იხიზნება სამრელოში.

733. სკოლაში

დაბეჭდილია ნ. ჭონქაძის ჩანაწერის მიხედვით. ზედ აწერია დედანში: „ბეწინას მიერ“, რაიცა ალბათ ასე უნდა გავიგოთ: ბეწინას მიერ გამოთქმული.

734. თიბად გასვლა (Gs)

ეს და ორი მომდევნო ნომერი ჩამიწერა Gsm 10. 3. 1931. ტფილისში, ჩამიწერა ორ ცალად: ერთი შავად, ფანქრით, და მეორე თეთრად, მელნით. ორ სავე ჩანაწერში მესამე სტრიქონში: მშვილდ-ისარნიოოო] მსვილდ-ისარნიოოო. ს. გაბურია შენიშნავს: „ამ სიმღერებს არაფერი მღიშვნელობა არა აქვს. მარტო ეს მღერა იხმარების იმ დროს, როდისაც ცელი უკავია ხელში, თიბის დროს. შემდეგ ეს არაოდეს არ იხმარება, გარდა თიბისა. ესე არის ძველური და ახლა ძვირა გაიგონებ ამ მღერას.“

კავებში ჩავსვი ის ნაწილაკები და ხმოვნები, რომლებიც მელოდისთვის არის დანიშნული და აზრის გამოხატვასთან პირდაპირი კავშირი არა აქვს;

ამ ნომრის მეორე და მესამე სტრიქონი 743-ის ვარიანტია.

735. ბროლია ცელი (Gs)

შეტომით აქ გამოტოვებულია მესამე სტრიქონი [გასწორებულია. რედ.]:

თივა გაფიცხდა[ოოო ამა] საფარცხველო[ოოო].

736. თიანელი (Gs)

აქაც გამოტოვებულია ორი უკანასკნელი სტრიქონი [გასწორებულია. რედ.]:

[აი] ჩვენ კი შეგვინახნა[ოოოოო]

ცელო, გასჭერი, [აი] ჩემო[ოო] ნალო[ოოოო].

4 გასჭერი] თეთრში ასეა, მაგრამ შავში: გასწერი.

737. ცელი და ცოლი

ეს და ორი მომდევნო უცნობი პირის ხელითაა დაწერილი (დამწერი მსმენელია სასოფლო-სამეურნეო მუშუაქისა). გადმოცეს 3. 3. 1931 – 2 ყოფილიყვა, 4 ყოფილიყვო (ასეა დედანშიც). უკანასკნელი ფორმა კონტაბინაციის ნიადაგზე უნდა იყოს წარმომდგარი: ყოფილიყვა + ყოფილიყო = ყოფილიყვო.

თავში უწურთნი] გადალაქული (Gსის ვარიანტი).

ბ.

ცელი ვლესე და ვერ გავლესე. –

გადალესული ყოფილიყო.

ცოლი ვწურთნე და ვერ გავწურთნე. –

გადალაქული ყოფილიყო.

5 ცელსა წინაეა ვერ შავატყვე, –

გადალესილი მჭონდა ცელი.

ცოლსა წინაეე ვერ შავატყვე, –

გადალაქული მყაეის ცოლი.

(R 208).

738. მთიბელი მთიბელს

ჩამწერის შესახებ ნ. შნშ. 737 ნომერთან. – 3 ჩამამცდელს] ვარიანტად ეს მითხრეს: ჩამცილდეს; 4 დატუქსვილნიო] დედანში ეწერა: დატუქსულნიო და აგრე ვ ბ ა ლ ი ა უ რ მ ა გადამასწორებინა.

რამოდენადმე ამას Rის მიერ ფშავში ჩანაწერი უდგება:

ბ.

ქურნი დაბერენ, ბიძასო, –

ქოჩორნი თივას არ ვითიბენ.

ქუჩნი ჩამამცდენ ტირილითა,

ნალეო, შენნი დაგზავნილნი.

(Rფ 72).

739. ბერდია

ჩამწერის შესახებ ნ. შნშ. 737 ნომერთან.

740. ბეუიტაიშვილი

ეს და ოთხი მომღვენო ნომერი (№№ 740-744) ჩამიწერა გ. ნ ა რ ო ზ ა უ ლ მ ა
გ. ბ ა ლ ი ა უ რ ი ს სიტყვით ტფილისში 1. 3. 1931. — 6 ომობდილიოო] ლომობდი-
ლიოო (ვარიანტი).

741. გველი

ჩამწერის შესახებ ნ. შნშ. №740-თან.

742. ქოქომონი

ჩამწერის შესახებ ნ. შნშ. №740-თან.

743. ირემი საფქავზე

ჩამწერის შესახებ ნ. შნშ. №740-თან. — ამისი პირველი და მესამე მუხლი 734
ნომერშია შესული.

6 დამატყერებივო] კაკმატელმა ბერდია ალუდაურმა (27. 4. 1931) ამის
ნაცვლად ვარიანტად ეს მითხრა: დამაკერებივო.

744. ღვირბინი

ჩამწერის ვითარების შესახებ ნ. შენიშვნა 740 ნომერთან. — როდესაც ეს სიმღერე
კაკმატელ ბერდია ალუდაურს წავუკითხე (ტფილისში 27. 4. 1931), მან მე-8
მუხლი „მისცეს ღვირბინი გუროულსა“ ასე შეასწორა: „ღურბინ რად მისცეს იმედასა?“

2 ჩამაგხველაო] აჯობებდა ასეთი ორთოგრაფიით: ჩამაგქველაო.

ბ.

მთიბელო, ჯვარის სასვეესა

ბუნასეულმა ჩამოგკვივლა.

დაგაგლეჯინა კაფიანი.

ნამკრეკნი სისხლით გასკრეინა.

5 ნამკრევთ სათავეს დაგრჩა ცელი,

ნამკრევთ ბოლოში სალესველი.

(R 206).

1 სასვეესა] სახვეესა R (მგონია, რომ წარმომდგარი უნდა იყოს გადაწერის დროს მსგავსი ასოების არევისაგან უცნობ სიტყვაში); 2 ჩამოგკვიელა] ჩამოგხვიელა R; 3 კაფიანი] „სადაც ნაკაფი ტყე“ R.

745. სისხლიანი წყალი (Gog)

Gog შენიშნავს: „მთბლური სიმღერა ადგილების დაკების დროს, როცა ერთმა-მეორემ ძალ-მომრეობით ადგილებს ართმევდეს ძველ დროს.“

ბ.

- უდელას მუშა აირია,
წყალი მოიდა სისხლიანი.
ვაუებს ერთმანერთი უჩაგრია
ბუჩუკურ-უკენაკოვლებსა.
5 ნეტარ, რაზედა, რომელზედა?
თავის მამისა მამულზედა.
ბეჩავთა დისწულ-დედისძმათა
ერთერთი უნადირებია!
წადი, დედასა უამბილი:
10 დედა, გავწირე სისხლიანი.

(R 205).

4 ბუჩუკურ] ბუჭუკურ R; 10 დედა, გავწირე სისხლიანი] „ვითომ შევიღმა უამბოს დედას, რომ შენი ძმა მოვკალო“ R.

ბ.

- არ იჯერებენ გიგაურნი:
„გიგა არ გვინდა კაცებშია, —
ქრთამი შაჭამა აქოვლისი,
დედიძმათავე დაიხარა.

(R 204).

746. შარვანაული (Gog)

„შარვანაული მდიდარი კაცი იყო ძალიანი და ქვესურეთში ძალ-მამრეობით დაკავებული ხქონდა ადგილი. თვითონ შარვანაული გულამაყრელი ყოფილა და როცა მოუკლავს, წაუღია გულამაყარში. ფხიტუ დიდი მთ(ა) არის გადასავ(ა)ლი და ამ დროს მისი ქალი

ამბობს ამ სიმღერას. იქ აქვის თავის ბიძაშვილის იმედი, თანგულასი. და ბოლო დროს თანგულაც მოკლეს ლეკებმა და მაზედ და შარვანაულზე საერთოდ ამბობს სიმღერას ქალი. ტბათანა ადგილის სახელია და იქვე არის ტბა. იმაში ერთხელ ღამე ლეკები დაღუპულან და მაზედ მადლობას ეუბნება შარვანაულის ქალი. ლეკები როცა დაღუპულან, მაშინ თანგულას საშუქაროდ მომდინარან“ GUG.

ბ.

- შარვანეულო შავარდენო,
მთიბელნი გიხარიან-ლა?
მთიბელ-მომკალი ქერ-იფქლის
წყაროს-კარს გიხვევიან-ლა?
5 მთიბელ-მომკალთა სანაყროდ
ღუმასა რბეში ხარშავ-ლა?
სტუმართა წამოსასხმელად
ტყავსა ქემხითა ჰკერავ-ლა?
ბევრისა მტრისა გამრიგეს
10 ენასა ბჭეში გარევ-ლა?
ბევრისა მტრისა გამჯავრებს
ფრანგულსა წელზე იბამ-ლა?

(Sh გულ-).

ჩაეწერე 17. 6. 1913. გულამაყარში. — შარვანეულნი ორი კომლია ამჟამად ს. გაშიში, ორიც ქართლშია გადასახლებული. ერთი გულამაყარული ლექსი, ჩემ მიერ ჩაწერილი, მიქა შარვანეულს ზურაბ ერისთვის დროს ხევსურად გულისხმობს. იმავე ლექსში ბადუნა თლოშიაურიც იხსენიება.

747. არწივის მალალი (R 203)

1 არხოტიენებო] არხოტიენელნო R.

748. სულა და კურდღელა (R 203)

2 ახუნო] „მთა ჩარგალში“ R; 4 ჩარგლის კარს იწუნენ ვეძაზედა] „ჩარგლის კარს არაგვზედ რამდენიმე ალაგას გამოდის მჟავე წყალი და აგრეთვე მლაშეც. წინათ მალლა სწორე მინდორზე იყო ერთი წყარო, ადგილი სულ წითლადა ჰქონდა შეღებული, ქვები, მიწა. იმისას იტყოდენ: აქ დაუხოციათ სულა და კურდღელაო. ეხლა კი წყალმა დაჭამა, რიყე-ღა და მშვენიერი სასმელი მჟავე წყალი გამოჩნდა“ R; 8 ირმებმ სრავალი გადაშალესა] „იმდენი ირმები ყოფილა წინად ჩარგალში, რომ თურმე იმათ შიშით

საფქავს ვერ გააფენდენ, ირმები შეუჭამდენ. ამასვე ამტიცებს შემდეგი ლექსიც“ R (მხედველობაში აქვს აქ 749 ნომრად დაბეჭდილი).

ბ.

- შვილნი წაელაღენ თიბაზდაო.
ვხედავ: ნამკრევებ არ აჩინდაო.
ახუნო, არცა ღნახენაეო?
– შვილთას რას მკითხავ, ბერიკაცო?
- 5 ჩარგლის კართ იწვნეს ვეძათანაო.
წითლადავ იყვნეს შეღებილინო.
ორთავ შიშვლები კმლებ ეჭირაო,
ერთურთს ბუზებესა ულაღევდესო.
სულას გულს შჭირდა ნაისრალიო,
- 10 კურდღელას მკარი მოტეხილიო.
შვილნო სულაო, კურდღელაო,
იმედი თქვენი მომეშალაო.
ერთხან დასხმულნი ცელ-საღესნიო
შეორედ იქავ ავიღენიო.
- 15 ბარვე გაგწირავ, ჩარგლის გორო, –
მე აქა ვერა ვისარებლეო.

(Gog).

ჩაუწერია ჩირდილში იმედა არაბული სიტყვით შუა მარტში 1931 წ.

ბ.

ჩემი სულაიდ' კურდღელაი
ჩარგლის-კარს წვანან დაჭრილები.
კმლით ყორნებს ულაღვენ ერთმანეთსა.

(V).

მოჰყავს ვაჟა-ფშაველას ეპიგრამად თავის „სულა და კურდღელა“ში, როგორც დედის ტირილი.

749. მშაველი თუ ჩარგალელი (R 203)

სათაური მე განზრახ გავუკეთე ასეთი. დღეს ასეთი დაპირისპირება უცნაურად მოგვეჩვენება, რადგანაც ჩარგალი ფშავეში შედის, მაგრამ იმ დროისთვის, როდესაც ლექსი წარმოშობილა, ჩარგალი, როგორც ჩანს, არ ყოფილა ფშავის ნაწილი, თორემ

მათი დაპირისპირება არ იქნებოდა. — 2.3 შშაველი] ფშაველი R; 2 გირჩევ] „გირჩევნია“ R; ჩარგალს ვემანი საირმენი] „ალბათ ვეძახედ უვლიათ სალოკად, ნადირს ზომ მლაშე ძალიან უყვარს“ R.

750. საჩივარი (R 204)

5 უბის თავს] „ფშაველა ეს მთა“ R.

ბ.

დედაე, ნუ მიმცემ ბასილასა, —
ცელის ტარზედა ელღვეოდა,
ცელი ნამკრევეჩი გადაეგლო,
თვითონ ქალებჩი ეთრეოდა.
5 თუ მიმცემ, მიმეც ბაჩანასა,
მთიბელთ თავზედა ევლებოდა.

(Rფ 71).

ა ვარიანტში ქალის საქმროდ ბაჩანაა დაწუნებული და გიგა გიგაური — მოწონებული; ბ ვარიანტში კი, სამაგიეროდ, ბასილაა დაწუნებული, ბაჩანა კი მოწონებული. ამიტომ მოვიყვანოთ ერთი ფშაური მთიბლური სიმღერე, სადაც გიგა გიგაური დახასიათებულია როგორც მთიბელი (მისი დახასიათება სხვა მხრივ ნ. №745-ში):

030.

ისეთი არა მინახია,
გიგა რო ვნახე გიგაური:
შვიდი მტკაველი ცელი ჰქონდა,
თორმეტი ადლი ცელის ტარი!

(Rფ 70).

751. ხოზორი (R 204)

აქ მოხსენებული გიგა უნდა იყოს წინა ნომრის გიგა გიგაური.

752. დროშა (R 204)

2 ბურსაჭლი] ასე უწერია Rს, მაგრამ შეცთომა მგონია, აჯობებდა: ბურსაჭლი; 4-5 შიბი ცხრა-კეცი ეღვა ყელსა ლაშარის ჯვარის ჩადებული] ალბათ ისეთი ხასიათის ჯაჭვი იგულისხმება, რომელსაც ყელ-კისერზე იდებდენ და ხატის უღელი ერქვა.

753. რექა (R 205)

1 რექასა] „კაი-ვაგლახს, ნაგავს, ჭუჭუს“ R.

754. ახუნი (R 205)

755. სასიბის ღელე (R 205)

756. ხვეწნა (R 206)

ბ.

მთიბლების თავით გეხვეწებიო:
ნამკრევის ტოტსა ნუ მომიჭრიო, –
ობოლ ვარ, შემაკლდება გულსაო.
თორ წყვეა(ს) ცდილას დედას-ჩემიო,
დაგწყვეს და შაშვი მოგედებაო.

(Gog).

757. დათვია (R 207)

758. ცელ-ცუდა და ცოლ-ცუდა (R 207)

759. უსაჯურისძე (R 207)

გორ-კეკელის გორი] კაქმატელმა ბერდია ალუდაურმა: კეკელთის გორი (sic) ლიქოკის მხარეს არისო.

760. სათითიაწნი (R 207)

4 სახელ-გაუხენილნი] ასე უწერია Rს კითხვის ნიშნითურთ ფრჩხილებში. მისი კითხვის ნიშანი იმდენად გამართლებულია, რომ „სახელ“ კი არ უნდა, არამედ „საკელ.“ ბერდია ალუდაურმა უკანასკნელი სტრიქონის ნაცვლად ეს მითხრა: „საკელ-მოფხვირილი გიგაური“ (ე.ი. საკელ-დაგლუჯილიო).

761. ამანათი (R 208)

ბ.

ცელი არ უჭრის ამანათსა,
ამანათობა ეჯავრება.

ცელო, გაუჭერ ამანათსა,
ამანათობა დააჯერე.

(Rფ 71)

1 ამანათსა] „შეზიზნული, სხვა სოფლის ან თემის კაცი, უმამულო“ R.

762. მირეშა (R 208)

763. მოწმამელ-დათვისელი (R 208)

764. თოთიაური (R 208)

765. ჯიმჯიმი (R 208)

766. მისრიანი (Gog)

3 დაგკერენ] დაკერენ Gog; 4 მშაელისასაო] ფშაელისასაო Gog.

767. სკლატის საკელნი (Gog)

ჩამწერი შენიშნავს: „დედის გამოთქმული მკვდარ შვილზე.“

768. მთიბლების სამღერალს (Gog)

„მკვდარზე კეცურის დელაკაცის ნატირალი, მთიბლური“ (ჩამწერის შენიშვნა).

[№№769-788 ნ. დამატებაში. რედ.]

რამდენჯერმე (ერთდღესადრე)

1. ერისთობა კეკსურეთში:

ეგვეე ლექსი სს წინადაც პქონდა დაბეჭდილი (ივერია, 1886, №269), ოღონდ იქ:
I ზურაბო] ბატონო.

6. აზნაურების კოცა

ე ვარიანტის მეორე ნაწილი Rსაც ჩაუწერია ქართლში, ცოტა სხვაგვარად (Rქ, №62).

3.

დაჯდება ბედიანაი ლიქოკ ლიქოკის ჯარზედა.
სათავეს უსხენ უფროსნი, აძრახდებიან ჭკვაზედა.
ქვე-ქვე მქარ — ახალ-უხალი, კელ უძე კმლის ხე-ტარზედა.

(ივერია, 1903, №149).

მოჰყავს დ. პ ა ვ ლ ი ა შ ვ ი ლ ს („ლუდის ხდისა და ხმარების საქმე ხეკსურეთში“) და შენიშნავს, რომ ამ ლექსს ფანდურზე უმღერენ ლიქოკელს, როდესაც იგი სტუმრად არის სადმე, მაგ. ბარის-აკოშიო. — 2 უსხენ] უსხდენ (პავ.); 3 უძე] უძევ (პავ.).

9. უტი

3.

ზურაბო, აკი ვითხარი: კეკსური კაცი უტია.
ქალუნდაურის ფრანგულმა კმალ(მ) შუქი გამოუტია.
გამოაქციეს ზურაბი, საფურცლეს ვეღარ უწია.
საფურცლეს დასცეს ხანჯრები, სულ ნელად ამოუტია.

5 ზალი ჩამოვიდოდა, ჩამოტიროდა კმითაო:
„არვინ მეგონა მამრევი ჩემის ძმის ზურაბისაო“.

(U, ივერია, 1887, №15).

ორი უკანასკნელი მუხლი ვარიანტია ლექსისა ზურაბის მოკვლის შესახებ (№20).



14. ზურაბის ჯავრი

ბ.

ჯავრი კლავს ზურაბს ორისავე: ქვესურეთისა, მშავისა.
ქვესურეთ ჭორმეშავისა, ჭორმეშავე კლდისა შავისა,
შიგ მღგომის მარტიისა, კმალ-სისხლიანის ვაჟისა.

ეს სიტყვები ბურჟუაზულთ საქებაო, მაგ. ბურჟუაზულ სტუმარს შეკმლერებენ ფან-დურზე ს. ჩირდილშიო, ამბობს დ. პ ა ვ ლ ი ა შ ვ ი ლ ი („ლუდის ხდისა და ხმარების საქმე ხვესურეთში“: ივერია 1903, №149).

ეს ვარიანტი თითქმის იგივეა, რაც ჩინა. — 1 ქვესურეთისა, მშავისა] ქვესურეთისამ, ფშავისა (პავ.); 2 [ქვესურეთ] ქვესურის (პავ.).

20 ზურაბის მოკვლა

ბ.

ელუმ, შე თულუმშივილო, ვეფხვი ხარ, ველის არგანი.
შენ მაქკალ ერისთვიშვილი, გულზედ შენ დაეც ხანჯარი.

მოჰყავს ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა ს თავის წერილში ფშავლების შესახებ (ივერია, 1886, №36).

ორი მუხლი ამის ერთი ვარიანტისა ნ. ზემოთ დამატებაში №9-სთან.

24. ქვესურები ბახტრიონის ომში

ბ.

მალა მთას თუში ჰყოდა ტახტრევან გალავანზედა.
ორასი ლეკი მოეკლა, ზედ დაეწერა ფარზედა.

(K 45).

ბა.

თუში ვარ, მაგრამ კარგი ვარ, კიდევ ვჯობივარ კახსაო.
უწინ მე გადავფრინდები ბახტრიონის გალავანსაო.
უწინ მე დამსმენ ტახტზედა, კელს დამკვრენ ტალავარზეო.

(Lach, №119).

ამას გარდა გასწორდეს მე-მ ვარიანტში წასული შეცდომა: პირველ სტრიქონში „ვაჯობებ“ ასე შესწორდეს: „ვჯობივარ“, მეორე სტრიქონი კი სულ წაიშალოს.

36. კირჩლა ბაბურაული

მ.

საძელის წვერზედ ვინ შახკედ? ვინ დასძარ ჯაჭვის საკელი?
არაბულისძე იქნების, — კირჩლას უყვარდა სახელი.

ამ სიტყვებით სოფ. ჩირდილში მასპინძელს მიმპართავს სტუმარი, მაგ. ბურჯურე-ლიო, ამბობს დ. პ ა ვ ლ ი ა შ ვ ი ლ ი („ლუდის ხდისა და ხმარების საქმე ხევსურეთში“: იუერია, 1903, №149). — 1 საძელის] საძელეს (მაგ.); შახკედ] შახედ (მაგ.); დასძარ] დასძრა (მაგ.); საკელი] სახეულე (მაგ.).

44. თორღვა

მცურავი ჯაჭვის შესახებ მი ნ დ ი ა ქ ი ს ტ ა უ რ მ ა შემდეგი მიაზმო: „თორღვაი ჩავარდ ყინვარში. იქ ვეშას წიწილებს ესხა. მაშვარად თორღვას დასძინებოვ იმ ვეშას სხვა ვეშა მოძტერე ხეწანოვ ის წასულ, ბარტყებ უნდო დაუჭმას. თორღვა დაუნასუე ბარტყებისთან ნაწოლი, შაშინებულ და უკენ გაქცეულ. ბარტყების დედა ნადირობით მომდინარ, შვილებს საჭმელ უნდო მართვას. იმ ვეშას ნავალს შახედ. შაშინდ, — ბაღლებს დამიჭმდაო. სანადირო გასწირ, გაიქცა და ჩახედ ბარტყებსა და თორღვაიც შწოლარე ნახა. ჩავიდა და თორღვას უთხრა: ის ვეშაი ბარტყებს დამიჭმდა, შენ რომ არ მოსულიყავო. რა უნდა გაჩუქაო? — თუ ზეთი ამიყვანავო, მე შენი სხვა არაფერი მინდაო. ვეშაი მეძრე გასამობილდა: ენა ენაზე დაადო თორღვას. და თორღვას მის ენა მეძრე ესმოდა. და აჩუქა თორღვას მცურავი ჯაჭვი. ჯაჭვს ძალო ხქონდა, დაუცემდა და დაამობდა. მინამ ის ხქონდა, ვერაინ კლევდა. ერთხან თორღვა იხილებოდა. ჯაჭვი წაიყარ და წაუვიდ. მას უკენ თორღვაიც მოკლეს“.

თქმულება თორღვას ჯაჭვის შესახებ მ ა კ ა რ ო ვ ი ს ქ ლ ს ასეთი სახით ჩაუწერია: ერთხელ თორღვა ანდაცის წყალში ბანაობდა. გაიძრო ჯაჭვი, წყლის ნაპირზე დადვა და ისეთი სიტყვა უთხრა, რომ ქვასეთი დამიძმდაო. ეხეთქება ჩქარი წყალი, მაგრამ ვერ ძრავს ადგილიდანო. მაგრამ თორღვას მტერი ჰყავდა: მისი საცოლო მზექალა მოსწონდა სხვა ხევსურს, რომელმაც, დაინახა თუ არა თორღვას ჯაჭვი წყლის პირთან, ისეთი სიტყვა უთხრა, რომ ჯაჭვი ბუმბულივით მსუბუქი შეიქნა და წყალში გაიტაცაო. ჯაჭვის დაკარგვასთან ერთად თორღვამ ძალოლონც დაკარგა და, რადგანაც უცოლო იყო, მისი სიცილილის შემდეგ მისი გუარი ამოწყლო (Г. Д е м и д о в, В ущельях первобытной Грузии, М.-Л. 1930, გვ. 154).

48. კეესურები გორის ბრძოლაში

ზ.

ავარდა ერთ ურჯული ნიფი თათრის ხანიო.
ერეკლე გულან მაგვივა, შამიხვიენა ყმანიო.

¹ ჯაჭვი ყორისაგან ქჷონდა ნაჩუქარიო, მაგამ ეს ალბათ უხვირო თარგმანის ბრალი იქნება.

- თავ-თავ კევსურსა იკითხავს: „კევსურთ ვინა გყავთ თავიო?“
 კევსურ(ნ) იმედას მიუცვლენ: „ბელლის გავგილი კარიო,
 5 გამოგვიბძანენ დროშანი, სამივ აგვიბი ზარიო,
 კევსურებ დავემწყალობნე, წყრომით არ გახყვეს ჯვარიო“.
 დაუჭერიან ურუმსა საქალაქონი გზანიო.
 თათარამ ბიჩინავით(მ)ა თოფს დააყრივნა კმანიო,
 ურუმთ მაუკლა ბელადი: „ჩემიმც უმცროსი ზარიო!“
 10 მეკრედ გამოულალავ ფუნჩიანისძე კარიო.
 ამადის ბობოქრობაი: „ბებერმ გავლესე კმალიო,
 სახელს ნურავინ დაღმალავთ, ქართველ თუ ვინ ზარიო“.
 ომია გორის ბოლოსა, სისხლ(სა) წვიმს, ზე კი დარიო.
 ომობენ ჯალაბაურნი წიქა, (მ)ჭედელა ძმანიო.
 15 ვერ უქმარებავ წიქასა თორმეტ-თუმნიან კმალიო.
 რაობით ვერ იქმარებდა? – ტყვიამ არ მისცა ზანიო.
 (მ)ჭედელამ, ძმათ უვარემა, კლდეს მათოლა თავიო,
 ორიე ერთ საათს იძებნა: წიქაი, თავის თავიო.
 ცხენო, წავიდათ მოკლიავ, ქართლის დავხიათ წყალიო.
 20 ქალაქ შვეშჩივლათ ბატონსა: სრუ ჩვენზე რადა ბრალიო?
 უსაფლაობ კევსურნი ყორნებს გააქვის მკვდარიო.
 ამან(დ) ნამყოფებ(მ) კევსურებ(მ) იმედას დასდევს ბრალიო:
 „აქ რაად მაგიდიოლით, თუ არ ბრძანებდა ჯვარიო?“

(ივერია, 1903, №149).

მოჰყავს დ. პ ა ვ ლ ი ა შ ვ ი ლ ს, როგორც გუდანლების შესაქები სიმღერე სტუმრობის დროს („ლუდის ხდისა და ხმარების საქმე ხევსურეთში“).

9 ბელადი ბელადნი (პავ.); უმცროსი უმცროსნი (პავ.); 11 ამადის ამაგის (პავ.); ბებერმ ბებურმ (პავ.); მართალია, ბებური საკუთარი სახელია, მაგრამ აქ კორექტ. შეცდომაა, ან არა და შეიძლებოდა სხვა გვეფიქრა: ბე(რ)-ბურმ, ე.ი. მაინც ბებერმაო. 19 ცხენო წავიდათ, მოკლიავ ცხენს წავიდათ მოკლეაო (პავ.).

49. კევსურები აწყურთან¹

ბ.

ვერ გაიგეთა, კევსურნო? კევის მთა გადმოსულაო.
 ერეკლე ბატონიშვილი ტახტზეით ჩამოსულაო,

¹ აჯობებდა, რომ სათაურად გამეკეთებინა: კევსურები ასპინძის ომში.

- ორქაფა შუკაზმებაჲ, საომრად გამზადულაო:
 „ჩამამივიდენ კევსურნი, თავი დამჭირდა ყმისაო.“
- 5 წილი იყარონ ახლებმა, ბერებ კი ვერა ღისაო“.
 კევსურებ მააკსენებენ: „არ-წასვლ არ იქნებისაო“.
 ჩამამატერიეს არაგვი, ქავ რას დაუღებისაო?
 მუხრანს მიუვლენ ბატონსა, სუ წყრომით არ იქნებაო.
 გადაიარეს სურამი, აწყვერსა მიუღებაო.
- 10 აწყურულ სიმაგრეშია ლეკები ჩაუღებაო.
 დაბრუნდა იარალაი, — ამას არ შაუქლებაო.
 წუხლების ბატონიშვილი: „ჯარ რაით გამიწყებდაო“.
 კევსურებ მააკსენებენ: „ღლეს ჩვენი გადაგექლებაო“.
 ღლისაბლუგეს ფარები, თავზედ ჩაჩქები ჰქლებაო.
- 15 „არიქათ, კევსურთ ვაყებო, კმალი სისხლშია წელღებაო“.
 წყალში ჩაყარეს ღაშქარი, კიდი არ დაღნებებდაო.
 იმედაის შვილ სუბბათა თავ-კაცთ წინ გაუძღვებდაო.
 ვაჟას კევსურის შვილსა თავ რად არ დაღნანდებდაო?
 დედის-ძმათ გაუჯავრებაჲ, ძმათ აღარ ეკითხებდაო.
- 20 აბაი ბიტურაისი დედასამც დაურჩებდაო!
 მაილო ლეკის მაჟარი, ცარიელ არ დარჩებდაო.
 მაუკლავ კოხტა ბელადი, — გლეხი არ ეკადრებდაო.
 შვილი ტყვედ წამაუყვანავ, — მოახლედ დამჭირდებდაო.

(V, ივერია, 1886, №199).

შეტანილია საზოგადო შენიშვნებში ხევსურების შესახებ.

52. სათრუსოოდ

რამოდენიმე მუხლი ამ სიმღერისა (1, 2, 6, 7, 8, 9) სს წინედ ჰქონდა მოყვანილი თავის შენიშვნაში ხევსურების პოეზიის შესახებ (ივერია, 1887, №178).

2 ნეტავი არ ჩასულიყვნენ, საერისთოელებს სწყინსაო] წყენა იმითია გამოწვეული, რომ ვითომ ხევსურების მამაცობამ დაჩრდილა საერისთოელების სახელიო.

86. ზეზვა და თათულიკა

ძალიან მისდევს გ ვარიანტს Vს მიერ ჩაწერილი (№20). განსხვავება: 1 საქაროვნესა] საქაროვნესა V; 2 ციბლაი-ღ' თოთელიკაი] ციბალაი და თოთელი V; 3 დატეხეს კმლები] კმლები დატეხეს V.

126. ფხოველი და შავანელი

ბ.

- ერთი პატარა ფხოველი შავ-მთას სამზირლად დაჯდება.
ორშაბათ დილას წამუა. წინ შაბაშელა დაძხვდება.
შაიყრებიან ვაყები, მეშველი აღარ შაძხვდება.
მაგათ ხანჯრების ნამტვრევი მიწას გველებურ დაძვრება.
5 მაგათ ფარების ნამტვრევი სისხლს პერებულად მაძღვედა.
მუალის შავი ყორანი, მაგათ შუაში დაჯდება,
ჯერ დაითვრება სისხლითა, შემრე საყეფრად შადგება.

(Rფ 177).

გაგონილი ყოფილა ვ ა ს ი ლ რ ა ზ ი კ ა შ ვ ი ლ ი ს ა გ ა ნ . — 1 ფხოველი] „ფხოველი ფშაველი უნდა იყოს“ R (ან უკეთ: ფხოველი ძველებური გაგებით ფშაველ-ხევსურებს გულისხმობს. დღესაც ქისტები ხევსურებს ფხოველებად იცნობენ); 2 შაბაშელა] „მშენიერს ხევსურულ ვარიანტში შ ა ვ ა ნ ე ლ ი ა“ R (შავანელის შესახებ R ხევსურულ ვარიანტთან შენიშნავდა: „მე ამათი ვერა გავიგე რა: ვინ იყო შავანელი, ან სადაური“. ამაზე უნდა ვუპასუხოთ, რომ შავანი ქისტის სოფელია შავანის წყალზე, რომელიც ლარსსა და ბალთას შუა ერთვის თურგს მარჯვენა მხრიდან); 3 მეშველი აღარ შაძხვდება] „ხევსურებმა იციან, თუ ახლო-მახლო მეშველი არ ეგულება. ადვილად არ გაბედავს ჩხუბს. ხმალს რო იძრობს, იმედი აქვს, რომ დაიჭურენ და არ გაუშვებენ. ამიტომ ქალები პირდაპირ ჩაერევიან ჩხუბში და გაემბიან ჩოხაზუდ. ხევსურიც იწევს, რაც ძალი და ღონე აქვს, თან გუნებაში იძახის: მართლა კი არ გამიშვან, ღმერთი არ გაუწყრეთო. ორივე ვარიანტები ერთი წყაროდან არიან“ R.

146. ზოგაის მინდი

მ.

- არხოტი მზირი წავიდა, წყრომით გახყევა ჯვარიო.
არხოტის ჭლას გაუდგენ, გააწყვეს თოფის ჯარიო.
წინ უდგა ზოგაის მინდი, ჩააწყებინა ნამიო.
საძელის ღელეს გადვიდენ, თოფებს უპირეს ტალიო.
5 ჩავიდეთ ქამალალოსა, მებეგრენია ჩვენნიო.
არ-გონით მიზუს ჩაცვივდენ, შიგა ალაჯას ქალიო;
დანლობით ციხეს შარეკნა, „ღღეს ზო ძმანი ხართ ჩემნიო?!“
ახყარა იარაღები, გამაუკეტა კარიო.
შანაქოს კაცი გაგზავნა: „თქვენაც გვიჭირეთ მკარიო, —
10 მინდი ჩავიგდე კელადა, მგელი მჭამელი თქვენიო“.

სავათუნებოდ აივსო მიზუს ქავე-ციხის კარით.
რა აჩქარებით მოცვიდენ სულხან-ბათაკა ძმანი!
„მინდი გვაჩვენეთ თვალითა, – ძველ ბევრ გვიკლავ ვალო“.
მინდი რა სანახავია? წელთ აღარ არტყავ კმალიო.
15 აბჯარნ მისცენით მინდისა, დააცდინეთ თავიო!
თუ მარტო ლაშქარს გაგიძღვათ, შინავ გაუშვით მთელიო.
ბეწინამ, ნანაისძემა ჩარდახში ბანდნეს ჯღანნიო.
ციხილამ გადმოგიფრინდათ, არწივმ გაშალნა მქარნიო.
„წადი, წაიღე ამბავი, მინდის რა ადგა ძალიო.
თორმეტი მოკლა მინდიმა, დადგა, ჩაავო კმალიო“.

(V, ივერია, 1886, №200).

ვაჟა-ფშაველა აღნიშნავს ფშაველების პოეზიის გაელენას ხვესურულზე, მაგრამ თანაც დასძენს, რომ ხვესურებს საკუთარი ლექსებიც მოეპოვებათო და ერთ ასეთ ნიმუშად ეს მოჰყავს.

155. ლექების დაცემა კისტანზე

ამ სიმღერის საში მუხლი (15, 16, 17) სმა დაიმოწმა თავის წერილში ხვესურული პოეზიის შესახებ (ივერია, 1887, №178).

163. ნანა თორღვაის ქალი

ნანას ტყვეობიდან დახსნის ამბავზე ბაჩანამ პოემა აავო ამ სათაურით: „ნანაის სიმღერა“ (ივერია, 1900, №93). ამ პოემაში შეტანილია ხალხური სიმღერის ერთი (ფშაური?) ვარიანტი.

167. ქვესურების გალაშქრება მითხოს

ე ვარიანტთან ნათქვამია, მაგაზე მეტი Hს არ მოეპოვებაო. არა, სხვა ადგილას კიდევ ჰქონია ორი მუხლი:

ბევრმა ქვესურმა გალესა ჯარში წასაელად კმალია.
ქალმაც ბევრმა გაკეცა მტრის სამუქაროდ ქმარია.

ზ.

ბევრამ გაბანდა ქვესურმა სამითხოვოდა ჯღანია.
შვილ ღლეს, შვილ ღამეს ეშაღდნეს, ელვენ სიწმიდის ცანია.

- ველ-კეთილ შამაგროვდიან, დაშენეს მთა და ბარია.
 დათვის ჯვარ გადაიარეს, როგორც მარილზედ ცხვარია.
 5 სალაშქროს ჭალას ჩავიდეს, არ სწვდება წვიმის ცვარია.
 ორი დასვიან ქადაგი, არც ერთს მუეც(ა) ჯვარია.
 არ იჯერებენ ქვესურნი: „მითხოს გაბევრდა ცხვარია“.
 ჯერ კი გატენეს ჯარევა, ქაეი და ქაეის კარია.
 არლოს ჩაყარნეს ქვესურნი. ღმერთო, რა დიდი ბრალია!
 10 ნისლაურთაი ივაწა ვერე აბრუნდა, რომ ტარია,
 ვერე დაისწვრა ისარი, როგორც თბე-ბორბალმ წყალია.

(Bb).

სათურად აქვს: „უწინდელი მღერა“. – II თბე-ბორბალმ] თბე ბორბალი Bb.

169. ქვესურები საურუმოში

ბ ვარიანტის სამი მუხლი (8, 9, 10) სმა წინედ ღამოწმა თავის შენიშენაში ხეცსურულ პოეზიაზედ (ივერია, 1887, №178).

ერთი ამისი ვარიანტი მ გ ე ლ ა ა რ ა ბ უ ლ ი ს მიერ ლაშქრულის ხმით ფანდურზე დამღერებული Mshს ჩაუწერია ს. ბარისაკოში.

183. ლეკების დაცემა ღულსა და სნოზე

3.

ღულელ(თ) კლდეს ღულელ(თ) შვილებსა სიმღერა გამუდიოდა.
 ქორწილ აქე მგელაის შვილსა,
 კოდ(ნ) უდგან ღული(თ) სავსენი, სისხლ პერა მუდიოდა.
 იღუის(ა) იღუას მქართ სისხლი ჩამასდიოდა.

- 5 სამი აქე ლეკის მარჯვენა, „ვერ ვქენ“, იმასა ჩიოდა.
 ღულელთ ვაჟების ნაკოცი ლეკი კლდეთ გადადიოდა.
 სულეთში ღულელთ შვილების ჩივილი შამადიოდა.
 „მქარ არ გვიჭირეს ქვესურთა, მარტოთა არ გადიოდა.
 ქვესურთ შვილების გატეხა ანდრეზად არ მადიოდა“.

(ივერია, 1903, №149).

მოჰყავს დ. პაველია შვილს, როგორც ღულელეების შესაქები სიმღერე სტუმრობის დროს („ლუდის ხდისა და ხმარების საქმე ხეცსურეთში“). – 1 გამუდიოდა] გამოდიოდა (პავ.); 2 მგელაის] მგელაით (პავ.); 3 ღული(თ) სავსენი] ღუდის სავსენი (პავ.); 4 ჩამასდიოდა] ჩამადიოდა (პავ.).

ამისი ერთი ვარიანტი Qs შეტანილი აქვს თავის „მოდვარ“შიც:

გაკვიძელ, ბერო მინდიაჲ, მუკლი მოიბი მგლისაო,
ჩაკვიყოლიენე უნცროსნი, ვისაც თავი აქვს ცდისაო.

217. აბა გიგაური

15. 5. 1931. ჩემთან ხ თ ი ს ო ა რ ა ბ უ ლ ი ი ც ო (ამჟამად კახეთს ჩამოსული, თეთრ წყლებში), იმისი ხელით აბას მოკითხვის წერილი გაუუვზაენე. იმის პასუხად 6. 7. 1931 მივიღე ფოსტით რამოდენიმე ფურცელზე თვით აბას მიერ ჩანაწერი ხევესურული ლექსები და პროზა, სხვათა შორის ახალი ვარიანტები ამ ნომრისა და ორი მომდევნო ნომრისა. ხალხური ლექსის ბედის გასათვალისწინებლად უსათუოდ მნიშვნელოვანია ის გარემოება, თუ როგორ ახსოვს ერთი და იგივე ლექსი ერთსა და იმავე პირს სი-ცოცხლის სხვა-და-სხვა პერიოდში. ა ბ ა გ ი გ ა უ რ ი ს კერძო მაგალითზე შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ზოგადი მოვლენა, რომ სხვა-და-სხვა დროს კაცი სხვა-და-სხვანაირად ამბობს ლექსს. ეს მაგალითი იმ მხრივ არის კარგი, რომ ლექსების შინაარსი თვით აბას ეხება. პირველად ა. გ ი გ ა უ რ მ ა ეს ლექსები 1913 წ. ჩამიწერა. ახალ-მიღებულებს მის მიერვეა ჩაწერილი, მაგრამ არ ვიცი როდის. ბოლოში მიწერილია: „ეს ლექსები სხვის ხელში იყო“ო, რაიცა იმას მაფიქრებინებს, რომ ისინი სპეციალურად ჩემთვის არ ყოფილა დანიშნული, მაგრამ არც დიდი ხნის დანაწერი ჩანს. ყოველ შემთხვევაში ინტერვალი ორ სხვა-და-სხვა ჩანაწერს შუა არ აღემატება 18 წელს და 15-ზე ნაკლებს არ უნდა იყოს. აღვნიშნოთ გი ასოებით ახალ-მიღებული მასალა. მთავარი გ ა ნ ხ ე ა ვ ე ბ ა ნ ი:

0 მთიდან წამავლენ ქისტები, გზაი აქე ჩასაზრულია (ასე იწყებს გი); 1 მამაძალ-ლებსა ქისტებსა] ი მამაძალის შეილებსა გი; 2 თიანეთ ჩამავილოდეს] კახეთისაკენ ჩავიდეს გი; 3 მსახურებმ იძახეს: „ცხენებიც] იძახეს მსახურთა: „ცხენები გი; მე-5 მუხლს შემდეგ გი უმატებს: რა კი არ გაუხარდების, — სახელის მოყვარულია; 7 აისხა აბჯარი] აისხამს აბჯარსა გი; 8 კვირობენ] ამბობენ გი; სადისკეს] სადისკე გი; 9 მაგდენ] მაგდვენ გი; სრუ მირგვლიე] სამ-პირად გი; 11 მიუჯგარდების პატრონი, გზარ ქონ გამაცდილნია გი; 12 იძვეს] ეძებს გი; განათულია] განათებულია გი; 13 შამაეჯარა] შამაახლოვდა გი; 15 მეორე გამაიცვალა] ლიქოკით გამაუცვალეს გი; 16 მიხქრის, თანდათან გამაღდა, მათრაქს დაუგლო ყურია გი; 17 ბლოელო აფშინაშვილო, ყველაფ-რითა ხარ სრულია გი; 18 ჩვენებ სტრაჟნიკებ ჩაკოცეს] ახლა ფიქრობა დაიწყო გი; 19 ლალატით ქისტებს ნუ ჩაეკოც, — ის არ ას ვაშკაცურია გი; 20 გათუნდა, ნახა ქურდები, მთას იკით გადასულნია გი; 21 ეძახდა] ეძახის გი; ოთხი უკანასკნელი მუხლის ნაცვლად ახალმოსულ მასალებში იკითხება:

ორსავ მკრით გადის თოფები, ჭალაში ჩამასულნია.
თავს ადგა მძიმე ავდარი, ქარ-სეტყვა უდაბურია.
თოფის ქმა, ელვა-ქუხილი ერთუცში გადართულია.
ცხენებიც დააყრინა, ერთ ქურდიც დახარჯულია.
ორს დღესა ღამეს მშვიერი, არც უნახავის პურია.

—

გაბუურ ბესარიენის(ა) სიმართლით გამათქმულია.

(gi).

218.

ბ.

- ბლოელო აფშინაშვილო, კაც აღარა გყავ ცალია.
ჩაჩნამლი ყველამ გაიგა შენი სახელი, გვარია.
გარდაგვირეკეს ქისტე(ბ)მა ფშავ-ქვესურების ცხვარია.
უკან გადახყვა პრისტავი, მითხოს მივიდა კვალთა.
5 გიგაურ აღარ ისვენებს: „ეხლა დაბრუნვის ხანია.
ეგ ქურდებს ვერას დაიჭერს, ალბათ დაჭამა ცხვარია“.
აქუჩებს ქვესურთ შვილებსა, ვინც უფრო მეომარია.
საჩქაროდ გადაიარეს სამითხოველონი გზანია.
დინინე(ბ)მ მითხოველ(ბ)მა გაქსნეს დურბინდის თვალია.
10 მითხოს ჩდილ ლურჯა შამორბის, ოფლ გაზდის როგორც წყალია.
ზედა ზის დამკლავებული, პატრონტაში სრტ(ყ)ავ, კმალია.
ქელში ვინტოვკა უჭერავ, ქურდების მაძებარია.
მოხყეების შორი-ახლოსა ქვესურებ ფაროსანია.
ბლოელ გიგაურ იქნების, ქისტების ნიავეღარია.
15 „საჩქაროდ თოფებ დამალეთ! მაგრა ჩაკეტეთ კარია!
ყაჩალებ ტყეში გავიდენ, არავის მოხკრას თვალია!
არ წავა უსიკედლილოდა, არვინ დახყაროთ ჩქამია!
რაც უნდა იმას აცხადებს, გუნებაი აქვ ჩქარია“.
ზოგათ თქვეს: „გზაში ჩაუსხდეთ, წყალში ჩავაგდოთ მკვდარია“.
20 ზოგათ: „ჩვენ მაგას ვერ მოვხკლავთ, — შორიდან უქრის ქარია“.
ჩავიდეს სახანოშია, მახკითხეს ნაქურდალია.
ბევრ ხან არ გააგვიანეს, დაკლეს ქურდების კარია.
„რა(ს) შერებით? — უთხრეს ქისტე(ბ)მა, — რა გემართებს თქვენი ვალია?
ჩვენ ზომ არა ვართ ქურდები? აქა გვყავ სამართალია“.
25 აღელდა ქვესურთ შვილები: „არ გვინდა სამართალია.

- ბოლ-ნისლად უნდ დაიდოს. ტყვია(ვ), დალუწე ძვალთა!
ქისტისა, კეკსურისაი წავიდას სისხლის წყალია“.
- გიგაურს გაბრაზებულსა ცრემლში უბრუნევენ თვალნი.
დასტყლიშა მამასახლისსა, ხანჯარ აღგლიჯა, ქმალთა.
- 30 კეკსურებს უთხრა: „შაკარით, – გვიც ქურდების მკარია“.
გაჯავრდა მართულაძე: „შენ არ გაქვ ცემის ვალია.
მე აქ ვარ შენზე უფროსი. არ იცი სამართალია“.
- „მე რას მიყვირი, პრისტაუო? ხო არ აიღე ქრთამია?
ერთ კვირას ქურდებთან იყავ, ალბათ კატლეთებ სჭამია.
- 35 მე შენ' ველარა გამიგავ, მთელი ხარა, თუ მკვდარია?“
ცეფ შამახვიეს სოფელსა, მოარეკეს ცხვარია.
ქურდებიც კელში ჩაიდგეს, – აღარსად წასავალია.

–

- ღონდარგამა და გაგამა კარვად დაგვირეს მკარია.
ლექსიც მაშვეე გამათქვეს, დიდ-ხან ცოცხალიმ ხარია!
- 40 ხორველა ქისტებისაი, ღარიბ-საწყლების მკარია.
ფშავ-კეკსურეთის იმედო, ფრთხილად იარენ გზანია.
ველარვინ გაზღის შენ-ფერსა შვილად კეკსურის ქალია.

(gi).

ამის მათქმბი ყოფილა გაგა თორღვას ძე არაბული. – 38 ღონდარგა] „ღონდარგა ზურაბაშვილი, ქისტნი“ გი.

აქ ჩვენ ყურადღებას არა ის იქცევს, რომ ლექსი სხვა სიტყვებით არის გამოთქმული, ვიდრე ა ვარიანტი, არამედ ის, რომ სხვაგვარად არის გამართული იდეოლოგიურად: 1913 წლის ჩანაწერში პრისტაევზე არაფერია ნათქვამი, აქ კი იგი (პრისტაევის გვარიც არის მოყვანილი: მორთულაძე) მექრთამედ და ყაჩაღების თანაშრომლად არის გამოყვანილი. აღარ ვიცი, ეს მხარე წინად განზრახ იყო ჩამწერისაგან დაკლებული (ჩამწერი მაშინ პრისტაევის ხელქვეითი იყო, ჩაფარი), თუ ახალ-დამატებულია ახლა. უფრო პირველი უნდა ვივარაუდოთ.

219.

ბ.

- ერთსა მეც ვიტყვი სიტყვასა ვაშკაცის ცდილობაზედა.
კაი ყმა მაიგონილით, ვარ რო დასხდებით სმაზედა.
ნაჩალიკ ბარათაშვილი იძახდა მაღალ კმაზედა:
„ქურდებს წაუსხამ ცხენები, გიგაურ გახყვას კვალზედა“.
- 5 ღამის სიბნელეს არ დაზღვეს იმ სახირხლიან გზაზედა.
სრუ ღამით შამაიარა, ძილ არ მასვლია თვალზედა.

- საგათენებოდ შამოკდა ძალა წუბროენის მთაზედა.
ჩამაუჩინდა ქისტებსა იწროში გუროს წყალზედა.
„ცხენებ სად მიყვავ, ძალღებო? ვერ წახოლთ თავის ჭკვაზედა“.
- 10 პირველში ქისტე(ბ)მ ესრიეს, მემრ გაქდა დასწრობაზედა.
ცხენებიც დააყრევია, ქურდებიც დარჩეს გზაზედა.
საკარყმო მიუტანიდით, ჯაყს ნუვინ იტყვით კაზედა.
ბარაქელ, აფშინაშვილო! წინიდგეს მაზღით ცდაზედა.
ნუ დაიცლებთ, სწორებო, რა დასხლათ ლუდის სმაზედა,
- 15 სიმაგრეს კევსურეთისას, – მტერ ვერ გაგვივლის კარზედა.
ბლოს უდგა მაგარ ციხეი იმ არწივთ ნახუდარზედა.

—

- ამაგ სიმღერის მათქვამი ბერი ორ ბოსლის კარზედა.
ქელში ბერდენკა მიჭურავ, მტერი მოგვიდის კარზედა.
ჩუსტები გამამიგზავნე, – ბაწართ ვერ ვიქდენ ჯღანზედა.
- 20 შატილით გორგალაი ორ, არ გადამიცა სხვაზედა.

(gi).

ამისი მათქვამი შატილეული გორგალა გვარად ჯინჭარაული ყოფილა.

253. შატილის დაწვა

რუსის ჯარის ლაშქრობა ხევსურეთში ალექსანდრე ბატონიშვილის წინააღმდეგ აწერილია В. Поттоის მიერ: Ист. 44-го драгун. Нижегородского полка. т. II. СПб. 1893, гл. VIII. ოთხი რაზმისაგან შემდგარი ჯარი გამართულა ხევსურეთისაკენ სხვა-და-სხვა მიმართულებით (ერთი გენ. სტალისა და სამი გენ. სიმონოვიჩის მეთაურობით). სტალის რაზმი ფასანაურიდან დაძრულა 23. 5. 1813, გაუვლია გულამყარი, გადასულა თავ-კევსურეთს და აულია ბარისაკო. შემდეგ გადაულახავს უღელტეხილი და ლებაის-კარში შეერთებია გენ. სიმონოვიჩის რაზმებს. გუროსთან მომხდარა დიდი ბრძოლა. შემდეგ შატილიც აულიათ და 15 ივლისს რუსის ჯარები გამობრუნებულა უკან.

255. ტყვეობიდან გამოქცეული

გ ვარიანტის ორი უკანასკნელი მუხლი (23-24) ნ. 722 ნომრის შენიშვნაში.

ერთი ვარიანტის დასაწყისი (ოთხი მუხლი) ა. კ ა პ ა მ ე ს ა ც ჩ ა უ წ ე რ ი ა ქ ა რ თ ლ შ ი და იქ იმას წინ ორი მუხლი მიუძღვის კიდევ, რომლებიც რითმის მიხედვით არ უდგება დანარჩენს:

დედა-მამათა მილეხთა მიმყიდეს სიმღიდრისთვისა,
აილეს ჩემი ნავაჭრი, შეჭამეს შიმშილისთვისა.

სამ წელს ვიყავი პატიმრად, გარეთ გამოუვალა და სხვ.

260. შალვა

გ ვარიანტი ჩაწერილი ყოფილა კოშარაში აფ შინათ გიორგის სიტყვით.

268. რა უნდა ვაყას

ეს ლექსი, პირველი მუხლის გამოკლებით, შეტანილი აქვს სს თავის შენიშვნაში ზევსურული პოეზიის შესახებ (ივერია, 1887, №178). – 3 აყფუდებოდის] შეცდომაა ბეჭდვისა, 1891 წლის ივერიიდან აქ გამოყოლილი, უნდა: აყფუდებოდას (ასეა 1887 წლისაშიც).

270. დაბარება ველს წასულს

ჟ.

ხმალს ნუ უყურებ, ვაჟკაცო – ხმალი მშვიერი მგელია.
გაგიჭრის, წაგისაღისებს, ბოლოს საფლავის მიხრელია.

(K 53).

275. კაი ყმა

თ.

მგელი არ იშლის მგლობასა, კარგი ყმა მამაცობასა;
არწივი – არწივობასა, მთის ყურეს ნადირობასა.

(K 53).

278.

ამ ლექსის დ ვარიანტის ორი პირველი მუხლი, ივერიაში დაბეჭდილი 1890 წ., გაგონილი ყოფილა გაბიდოურთ ალექსისაგან.

280. ცუდი ყმა

ბ.

შინ რად არ იჯე, ცუდაო? დედას უმართე ტარები.
ზეით მხვალ, ძირში ყინული, ჯიკვებს ვერ ჩაეპარები.

(Rფ 205).

1 დედას უმართე ტარები] „თითის ტარებს თვითონა სთლიან ფშაეში“ R; 2 ზეით მხვალ] „ზეიდან მხვალ, გაძღნარი“ R.

282. ყმა კაი და ცუდი

ამისი ორი მუხლი შეტანილია №648-ში.

286.

სს ეს ლექსი დამოწმებული ჰქონდა უფრო ადრე თავის შენიშვნაში ხეცსურული პოეზიის შესახებ (ივერია, 1887, №178).

287. ვაშკაცი

ი.

ვაუკაცსა გული რკინისა, აბჯარი უნდა ხისაო.
თვალნი ქორებლივ მხედაენი, მუხლები შევარდნისაო.

(K 53).

298. ერთგულსა და ორგულს.

ი. დ ა ვ ი თ ა შ ვ ი ლ ი ს ჩანაწერ ვარიანტს სათვალავი დაკვლებია. ამიტომ, თუმცა წინაა მოთავსებული, მაგრამ გაუკეთდეს: ე. შემდგომი კი ეს იქნება.

3.

ვისი ხარ, გოგო ლამაზო, ვის გაუზღიხარ შევილადა?
არც გინდა პირის დაბანა, არც წარბის ღება ხშირადა.

(აღლ. შ ი რ ი ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ივერია, 1886, №112).

303. ვის რა ალაღებს

ერთმა მანგლისის მიდამოებში გადასახლებულმა მთიულმა 1930 წ. ზაფხულში მანგლისში ეს მითხრა მესამე მუხლად, ქადის კვერების ნაცვლად:

მთიულო, დიდი ლომისა, ე ყვირილობის კარია.

305. კმალი

ე ვარიანტი პირველად ივერიაში დაიბეჭდა (1902, №159). იგი გოსტიბეში ყოფილა გავონილი.

317. შაპატიყება

ბ.

ქალ, ქმარი შაპატიყე, ლაშქრობა შამუარდება.
ძნელია უსუსურობა, გზაზე სამ დაგივარდება.

(Rფ 203).

340. საუკნიახოდ

დ.

წაწალ წაწალთან დაწება, საუკნიახოდ შადგება.
თუ ბატარა ხან დასცალდა, თაფლ-ერბოსავით დატკება.

(V, ივერია, 1886, №199).

ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა ს ე ს ლექსი მოჰყავს, როგორც ხვესურული.

422. სურვილს მოკვლევინებული

მ.

აჰ, ქალო, ვაშლი, რა ვაშლი! უბეს ნადები, ნასეტყვი.
ამაღამ შენთან წამოვალ. გულის ჭირიმე, რას მეტყვი?

(ზ. ბ ი ლ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, 127).

პ.

პირველი მუხლი ზ. ჩ ხ ი კ ვ ა ძ ე ს ნოტებზე აქვს გადაღებული: ა, ქალო, ვაშლი
წითული, უბეს ნადები, ნასეტყვი (სალაპური, ტფ. 1896, გვ 17).

465. ომი გუმბრზედ

ბ.

ზეცაში დახმენ ღურბელნი, დედა-ძინაზედ წყალნია.
აღარც მოსავალ მოვიდა, დიდი დგას ცოდვა-ბრალია.
მრუშობა არის, ქურდობა, დანდობა აღარ არია.
ძმამა ძმა აღარ დაინდო, აღარც ქალი და რძალია.

(Rფ, ივერია, 1879, №3).

481. ქოში წითელი

ბ.

მასპინძელ კარგა გვმასპინძლობს გულითა მხიარულითა,
მწვანე ქოშები გაცვითა სუფრაზე სიარულითა.
წითელი ქვევრი მოხადა, დაგვიხვდა სიყვარულითა.

(Rქ, №609).

ამ ვარიანტს აღარ უდგება ხევსურული სათვის გაკეთებული სათაური, რადგანაც აქ ქოშები მწვანე იხსენიება.

485. რაში რას

ამისი ერთი ვარიანტი დ. პავლიაშვილსაც მოჰყავს („ლუდის ხდისა და ხმარების საქმე ხევსურეთში“: ივერია, 1903, №145). იგი ჩემს ვარიანტს მისდევს, ოღონდ: 2 დასატიებლად მტრისადა] მტრისა დასატიებლად (ივერიაში დასატიებლად არის დაბეჭდილი, მაგრამ ეს ალბათ კორექტურული შეცდომაა).

დ. პავლიაშვილი იშენიშნავს, რომ ეს სიმღერე მაშინ ითქმის, თუ მასპინძლის ოჯახში მშვიდობიანობაა, თორემ თუ მგლოვიარედ არიან, მაშინ „ტირილითა და გვლენითა“ უნდაო (№ 776).

511. კირიმოსანს

ამისი ორი მუხლი შესულია 594 ნომრის ბ ვარიანტში.

519. მოყმე და ვეფხვი

ა. გომიაშვილსაც ჩაუწერია ძველი ვერსია ლექსისა ივ. წიკლაურის სიტყვით. აქ ჩვენთვის საყურადღებოა შემდეგი მუხლები:

მოყმემაც კელში იყარნა ხე-ტარნი ცალ-ყუისანი.
საწყალ დედა-შენს ვინ ეტყვის, კარს უდგას ქადაგ-მისანი,
უერთოდ არ დაიხარჯნეს შენი აფხოტის ისარნი.

526. სიკვდილი და ობოლი

მ.

სიკვდილმა ჩამაიარა, ობოლი დამხვდა წინაო.
„შე მამკალ, ჩემო სიკვდილო, — ობლობა მამეწყინაო.

– „მე შენ ვერ მოგკლავ, ობოლო, – შენი დამტირე ვინაო? არცა გაქვ სანთელ-სარკმელი, არც სუღარ გიბე შინაო“.

(Shq).

გავიგონე ჩარგელის პ ა პ ა ბერის ძის შ ა რ ტ ი ა შ ვ ი ლ ი ს ა გ ა ნ 1. 10. 1913. მალაროს კარში.

557. აღების ღამე

ბ ვარიანტი უცვლელად ჩაუწერია ს ო ს ი კ ო მ ე რ კ ვ ი ღ ა მ ე ს ა ც ქ ა რ თ ლ შ ი (აკაკის თვიური კრებული, 1900, №12). იგივეა არსებითად ზ. ბილანიშვილის მიერ გარე-კახეთში ჩაწერილიც (ხალხ. სიტყვ., 125).

558. აქვსების შაბათს

ღ. პ ა ვ ლ ი ა შ ვ ი ლ ი აღნიშნავს, რომ „ხევსურები დიდ-მარხვის პირველ დღეს და უკანასკნელს, ე.ი. დიდ-შაბათს, შვივრები ატარებენ, ვიდრე ვარსკვლავები არ ამოვა. გასაფრთხილებელი ლექსიც კი არის, რომ არაინ შესცდეს და წმინდად შეინახოს როგორც დიდ-მარხვის ორშაბათი, ისე დიდი შაბათი, ანუ აღვსების შაბათი, როგორც ხევსურებმა იციან:

ბ.

აღვსებისა შაბათსაო მკედარნი ჩავლენ ტაბახსაო!
ვინაც წინ-წინ პური ჭმას, ვაი იმის უკლავთაო!

ამნაირ პურის ჭმას ხევსურები პურნილაობას ეძაძიან, ვითომ პურის მეტი არა იჭმევა რაო. დანარჩენ დიდ-მარხვის დღეებს თითქმის არაინ არ მარხულობს, გარდა ძლიერ ხანში შესულ ხევსურებისა“ (ცნობის ფურცლის დამატება, 1904, №222).

–

769. ღარაქიშიძე (Sh)¹

მაგზო ხ თ ი ს ო ა რ ა ბ უ ლ მ ა ტ ფ ი ლ ის შ ი 16. 5. 1931. აქ მოხსენებული ღარაქიშიძე უნდა იყოს ღარაქიშთ ნანაისძე (№01).

¹ ტაბახსაო] ასე აქვს ღ. პ ა ვ ლ ი ა შ ვ ი ლ ს, რომელსაც ვარიანტიც კი მოჰყავს: ტრაბახსაო. მაგრამ ერთიც და მეორეც საეჭვოა.

² ამ ნომრის შემდეგ ა. შანიძეს დამატებებში შეუტანია ლექსების ძირითადი (ა) ვარიანტებიც. ისინი გადატანილია ტექსტების ძირითადი ნაწილის ბოლოში (იხ. გვ. 340 და შემდეგ) [რედ].

770. ზოროშნელი ტყვე (Sh)

მაბო იმავე ხთისო არაბულმა ტფილისში 16. 5. 1931.

771. თესლი

ზისერმანი, Кавказ, 1851, №22.

2 ფრინველთ თქვენ უნდით ფერებად] ზისერმანს აქვს: „ფრინველს თქვენ უნდა ფერებად“, რაიცა ორგვარად შეიძლება გაიმართოს, ან ასე: „ფრინველთ თქვენ უნდით ფერებად“ (ე.ი. თქვენ უნდისართ ფერებად, თქვენ უნდა დაგეფეროსთო), ან კიდევ ასე: „ფრინველთ თქვენ უნდა ფერება“ (ე.ი. ფრინველთ თქვენი ფერება უნდაო).

ზისერმანმა ამ ლექსს რუსული თარგმანიც დაურთო.

772. ვეფხენი და ლომნი

ზისერმანი, Кавказ, 1851, №22.

ზისერმანმა ამ ლექსს რუსული თარგმანიც დაურთო.

773. ლუდი (Sh)

ჩემი უბის წიგნიდან. ჩაწერილი მაქვს როშკის საზოგადოებაში 1911 წ.

774. კარგნი გასაჭირნი

ამ სიტყვებით ლიქოკელს უმღერენ ფანდურზეო, როდესაც იგი სტუმრად არის სადმე, მაგ. ბარისაკოშიო, ამბობს დ. პავლიაშვილი (ლუდის ხდისა და ხმარების საქმე ხევსურეთში“: ივერია, 1903, №149).

ახლა ლიქოკიდან მისული სტუმარი ჩამოართმევს ფანდურს და შეაქებს ბარისაკოვლებს შემდეგი ლექსითაო:

775. მკარ-გძლივ

დ. პავლიაშვილი, ივერია, 1903, №149.

1 მაიქნეთო] მიაქნეთ (პაე); 3 დაღლაღათ ისარსა] დაღლაღავს ისარსაო (პაე).

776. ტირილი და გვლევნა

ივერია, 1903, №145.

მოჰყავს დ. პავლიაშვილს („ლუდის ხდისა და ხმარების საქმე ხევსურეთში“) და ამბობს, რომ ამას მაშინ მღერიან სტუმრები, როცა მასპინძელი მწუხარედ არის,

ეთქვათ, თუ ახალ-მიცვალებული ჰყავს, ან სხვა რამ ამგვარიო, მაშინ როდესაც, თუ მასპინძლის ოჯახში მშვიდობიანობაა, მღერიანო: „სატუმრიელოდ შხეს ღვეიხართ“ (№485). — გელეენითა] გელეეითა (პავ.).

ბ.

ტირილითა და გლოვითა მტერნი არ შეგვიბრალებენ.
სადაც კი დაგვეწვიან, დღე იყოს, დაგვილაშებენ.
სადაც ვერ დაგვეწვიან, მუქარას დაგვიბარებენ.

(A, ჯეჯილი, 1898, №8).

ბ.

ტირილითა და ვიშითა მტერნი არ შეგვიბრალებენ,
მოულენ, დაგვეწვენ და დაგვდაგვენ, მზე იყოს, დაგვიბნელებენ.

(ზ. ბილანიშვილი, 130).

777. ქისტების მზირი კაკმატში (Sh)

ჩაიწერე ხახმატელის ბერდია აფშინას ძე აღუღარისაგან ტფილისში
27. 4. 1931.

778. წოვა-თუშების დაცემა ქისტების ცხვარზე (Ms)

ჩაწერილია გიორგი ლიქოკელის სიტყვით ლიქოკში. — თითქო აქ მოთხრობილ ამბავსავე უნდა ეხებოდეს Bu t №№ 34, 35.

1 დავენატრი] დავენატრი Msh; წოვათ] წოვად Msh; 5 უკენ] უკან Msh; 6 ლეკნი და თუშნი] ლეკნი და თუშები Msh; ამეს მზისასა] მზე მაე მზისასა Msh (შეიძლება და ასეც გაგვეგო: მზე-მაე ხნისასა, ე.ი. შზის მოსვლის ხანს); 7 ომ იქნა] ომი ქნა Msh; ღვაქ] გავს Msh; 9 დილაზედ] Mshს უწერია: დილოზედ. თუ აქ საზოგადო სახელი იგულისხმება, იგი იქნება ან დილაზედ, ან დილოზედ, მაგრამ შეიძლება საკუთარიც იყოს: გვარი იმალებოდეს შიგ ან მამის სახელი. ეთქვათ დილოზე, დილოსძე თუ სხვა რამ ასეთი, ანთას ვინაობის გამოსარკვევი; 10 გახკვირან] გაკვირენ Msh; 15 გყვანდა] ყვანდა Msh (ასეც შეიძლება: გყვანდა, ან ხყვანდა); 18 გაუცვლი] გაუზვი Msh (შესწორება არც მე მაკმაყოფილებს, მაგრამ „გაუზვი“ სულ არაფერს გვეუბნება); 19 ნაჭრევიანი] ნაჭმევიანი Msh; 20 მოეშით] მოეშოდ Msh; 22 ცხვრისასა] ცხენისასა Msh.

აქ ვერ ქისტებზეა საუბარი (მ. 2) და შემდეგ კი ლექებზე გადაღის (მ. 6), რაცა სხვაგანაც გეხვდება (მღრ. მაგ. №608, მმ. 3 და 9).

779. წყლიან აკოფში (gi)

ლექსი უთქვამს აბა გიგაურს, რომელიც ახლა იორზეა ჩამოსული და ამითი აიხსნება ასეთი გავლენა ბარული კილოსი ლექსის ფორმებზე.

780. მომარკება (Sh)

მაიბო ბერდია აფშინას ძე აღუდაურმა, კაკმატელმა, 27. 4. 1931. ტფილისში. ბერდიას სიტყვით, მომარკება, ანუ ჭირის წყენა, ნათქვამია ლექსად ჩონია ლიქოკელის მიერ. როგორც ჩანს, ლექსი რუსთაველული ოთხეულებით არის გამართული, მაგრამ ზოგიერთ ოთხეულს მუხლები აკლია.

ბ.

გოგ.: ბადვ, ვერ გექნა ჩემ თავი, მანამდ ეგეთას გნახვედი!
დიდ ბრალი, ღმერთის წყენა, შენ' გული შასწუხდებოდას,
ქვესურეთ ქვეის-ბრობაი, ხატი, დროში გცდებოდას!

ბადა.: ჩვენ მაგის ღირსნიც არა ორთ, რო იტყვის თქვენი პირით.

5 ცოცხალნიც თქვენი მღონენ ორთ, მოვკვდებით — თქვენიც ჭირით.
გოგოთურ, ზვარ იხუთები, ზვარა-რას ღვრძნობ ქარებსა?
მანამდინ იყავ ახალი, არ ღვანდ შენ ჩვენითანებსა:

ბერსა საქმეებს შვრებოდი გულისა მოსაფხანებსა.

გოგ.: უწინდელ დროი სხვა იყო, ის იყო კაცთა მტკიცება.

10 რამთვენი ხანი წავიდა, კაცთა ქნეს გადაჯიშება,
დაყარეს იარაღები, მტრის აღარ აქვისთ შიშება.

ამ ციხესა ვახენი, უწინ რო მტერი ხკოცია,
ბატარა შუკუნებ აქვის ისრების შესატყორცია.

ამაგის ამენებაში ძროხა გასულას ოცია,

15 ამაგის გამგეს ხუროსა ერბო უჭამავ, კორცია.

(Sh).

ჩავიწერე 1911 წ. თითქო ბეს. გაბურისაგან. — ამას შესავლად მიუძღვის: „ბადას შვილი მოუკვდა. მოვიდა მოხუცი ბრმა გოგოთური. — ვინ მოგივიდათ სტუმარი? — ბადა, მამავ, ბადა. სანახავია ბადა“.

სხვა გალექსილი ნიმუში ჭირის წყენისა ანუ მომარკებისა არის №528, რომელიც საყოველთაოდ არის გავრცელებული. რაცა შეეხება პროზაულ ჭირის წყენას, ერთი

ნიმუში რიგიანად ჩაწერილი (იმათ გარდა, რაც 528 ნომრის შენიშვნაშია მოყვანილი),
დ. პ ა ე ლ ი ა შ ვ ი ლ ს ა ც მოყვას („სცენები ხევესურთა ცხოვრებიდან“: ივერია, 1903,
№135).

781. კმანი სულეთში

ჩაუწერია გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე ს რომელიდაც ხევესურისაგან. გადმომცა კ კ ო ტ ე ტ ი -
შ ვ ი ლ მ ა .

782. თიანეთის მაზრის უფროსს (Msh)

გაგონილი მ გ ე ლ ა ჯ ი ნ ჭ კ ა რ ა უ ლ ი ს ა გ ა ნ ს . ბარისაკოს.

783. ზინკლები ტყავზე (Sh)

მაიბო ბ ე რ დ ი ა ა ლ უ დ ა უ რ მ ა ტფილისში 27. 4. 1931. მისი სიტყვით, ლექსი
ჩონია ლიქოკელის მიერაა ნათქვამი. — 3 გადაიფურთხის მოხუცი მოსალოდნელია:
გარდაიფურთხის მოხუცმა.

784. დახასიათებანი (Sh)

სახუმარო ლექსია, რომელიც თითქმის ყველა სოფლიდან ჩამოთვლის თითო-ორიოლა
პირს და ამა თუ იმ მხრივ ახასიათებს, ზოგს რბილად, ზოგს მაგრად. დახასიათებულებს
შორის ქალებიც ურევია (ქალთა დახასიათებიდან აქ მხოლოდ ერთია შემოტანილი, მ. 19).

ეს ლექსი მე პირველად თავ-ხევესურეთში მაიბბეს 1911 წ. შიგ მარტო 62 მუხლი
იყო და მხოლოდ თავ-ხევესურეთის ხალხი იყო მოყოლილი, არხოტში კი 1913 წ. ამას
ზედ დაურთეს მუხლები იქაური ხალხის შესახებაც. აქ ლექსი შემოკლებულად არის
დაბეჭდილი, გამოკრებილია მუხლები, სახელდობრ: 1/9, 2/20, 3/21, 4/25, 5/26, 6/27,
7/35, 8/38, 9/39, 10/43, 11/45, 12/46, 13/47, 14/48, 15/49, 16/50, 17/51, 18/52, 19/
56, 20/63, 21/64, 22/65, 23/66, 24/67, 25/68, 26/69, 27/70, 28/71, 29/84, 30/85,
31/86.

2 რაკე სვლიბი კურაიო] ე.ი. ძალიან მჭამელიაო; 5 სადიდებელს არ გაუტევეს...]
„უდუმლად“ უყვარს სმაო; 6 ბელლის-კრულა] ე.ი. ბელლის კარში (იქ, სადაც საშ-
ლოცველია); 7 დაუბერა საბერეელსა] ვისაც ეხება, მჭედელიაო; 8 მჭედელთ გაგა
მეტად მოსული კაციოა; რა-კელ აბრაცუნაიო] ე.ი. კონტაობა უყვარსო; 13 ქოოდ ცალე
გულაიო] ე.ი. ძალიან გულადიაო; 15 ბევრ შაჭამა დუმაიო] მდიდარს ამბობენ; 16
ნიფხავ-ჩაჩოჩვილაიო] ნიფხავი (რომელიც ჩვენებურად უფრო შალვარი იქნება) კოჭამ-

დე უწევსო, ეს კი სირცხვილია, — მოკლე უნდა იყოს; რაკელ ჩამოსხმულაიო] ეი. ყოჩალია; 18 აბაბუქნი(?) ადგილია, ბლოს ეკუთვნისო; ბათხა დიდი კაცი, ბატატურა ფეკებგაშლით მდგომარე; 20 ზენ-უბანი უბანია ახიელში; ძუნძულთ გვარია; 21 მთის ჯერის ტყეში ახიელის თავს მთაში ტყე აქვს ჯვარს; 22 ხომიზურთა კუკუაი ციხის შამობრუნავია] ახიელის ციხე ხომიზურთ ეკუთვნის; 23 კოჭა-ლარა-დულაია] ღარადელებს იპარავდა ბალღობაშიაო; 25 ჯვარჩი ბატატურაია] ხუცესია და ჯვარში (ე.ი. სალოცავში) ფეხებს განზე გაიდგამსო; 28 მარწუხთ გამომბულაიო] მჭედელია და სულ მარწუხი უჭირავს ხელშიო; 29 პეტრეს გამომბულაია] „ხუცესია“ პეტრეს ხატშიო; 30 ლოკანა-ურაწუნაია] ერაწეების ლოკანა უყვარდაო; 31 დაზგა-შალაშინაია] ღურგალია და მუდამ შალაშინი უჭირავსო.

785. მოჯაბრეებს (Msh)

ჩაუწერია ს. საჭურეში 19-20 წლის ქალის ნინა წიკლაურის აგან. — 1 აიშალაო] ასე უთქვამს მღერისას, ჩამოთვლაში კი: აიშლებაო; 3 დრუენიები = პრუენიები; 4 ჩემები] ჩემებრ Msh; 5 ყურობ ხარ მისა ჭკამაო] რაღაც არეულია, აზრი არ გამოდის, ჩემი შესწორებაც ბევრს ვერას ქმველის; 8 ნათოსი] ნათორი Msh; 9 გაგატიალა მამაო] ე.ი. მამა მოგიკედესო, სწყევლის; 11 ფასით] ფართი Msh; 13 ორიდ-გეს სამის მამაო] ადგილი გარყვნილი უნდა იყოს. ორიდგეს (Msh განცალკევებულად წერს: ორი დგეს) ამას ნიშნავს ხევსურულად: ორიდან, მაგრამ სხვა სიტყვებთან როგორ დაეკავშიროთ? „მამაო“ ხევსურულად ამასაც ნიშნავს: მა(დლ)მაო (მღრ. 345, 26). თუ ეს სიტყვა იგულისხმება აქ, მაშინ „სამის“ სიტყვაში თავში რომ ს არის, იგი წინა-მავალი სიტყვის ბოლოკიდურის გავლენით იქნებოდა გამოწვეული, მაშასადამე, ასე წავიკითხავდით: ამის მა(დლ)მაო. მაგრამ ასეთი შესწორებითაც არა გამოდის-რა. თუ რომ ორსა და სამში რიცხვები იგულისხმება, მაშინ „მამაო“-ში „მამა“ უნდა ვიცნათ წოდ. ბრუნვაში. 18 შენ(დ) დაძინებებე] შენ დაძინებებე Msh; 19 ფერკისულაზე ვთვალა(ვ)ო] ფერხის სულაზე თვალაო Msh.

786. ბეწინას

მაამბო ბაბუა ქეთელაურმა, ბისოელმა, კაკმატში 1911 წ., დასძინა, ფშაურაო.

787. არაყიანი ქინთი (Sh)

მაამბო ერთმა გუდამაყრელმა გორულში (ბაკურ-კევი), 22. 6. 1913, ხევსურულ კილოზე. — 1 ზენა-მკრელო] ეს ჩემი გადაკეთებულია. დედანში სხვა სიტყვაა; 2 ქალ-

ზალში] მოამბემ: ქალ-რძალში; თქვენის სოფლის] ესეც ჩემ მიერაა გადაკეთებული, დედანში პირდაპირ დასახელებულია სოფელი ხევსურეთში.

788. აბაბაი რო (Sh)

ჩამაწერინეს როშკაში 1911 წელს. — ლელა ცოლია და ძილო კი ქალი აპარეკასიო.

ბ.

აპარეკაის ცოლია მე არ მამცემსა ძილოსა?
აბაბაი რო მინდოდა! ვინ მამცემს სასაცილოსა?
წავიყვან მარილობადა, არ ჩავაცილებ ინოსა.
მალ-მალე დაეასვენებდი, საც ვნახავდ თხილის გრილოსა.
5 ავეთ-ავეთს კი ჩავახვევ, მივლგვრი ტირილის კილოსა.
რაა(დ) გეწყინა, ბაბოო? მათრაკ ასუქებს სპილოსა.

(Sh).

ეს ლექსი გიგიტელის ნათქვამიანო, მითხრა ნ ა დ ი რ ა ბ უ რ დ უ ლ მ ა, რომელიც თუთრ წყლებშია გადმოსახლებული და რომელსაც თელავში შევკვხვდი 19.7.1931. ნ ა - დ ი რ ა ს სიტყვით, ბაბო, რომელსაც მათქვამი მიჰმართავს (მ. ნ), ბიძაშვილია ძილოსიო. აპარეკა და ბაბო ღუღუღელები არიანო.

ინდექსები

1. დათმული ნიშნები

ა) ჩამწერთა აღსანიშნავად

A აფშინაშვილი გრიგოლ.
Al ალბანელი დ.
B ბალაური ერასტი.
Ba რკინული აპარეკა.
Bb აბიკა.
Bc ლიქოკელი ბაბო.
Bd არაბული ბაბო.
Bo ბოძაშვილი იოსებ.
Bu ბუქურაული ივანე.
C წერეთელი ვიორგი.
D დოლაქიძე შალვა.
Dj ჯინჭარაული გიგია.
H უცნობი ხეცხური.
G გაბური ბესარიონ.
Ge გელოვანი გედეონ.
Gi გიგაური აბა.
Go გომელაური ივანე.
Gog გოგოჭური ხთისო.
Gs გაბური სიმონ.

K კარგარეთელი ია.
L ლეონიძე ვიორგი.
Lb ბეწუკლიშვილი შალვა.
Lr რაზიკაშვილი ლევან.
M მაკალათია სერგი.
Mr მრეელიშვილი მაყვალა.
Msh მშეელიძე შალვა.
O ოჩიური ალექსი.
Q ყაზბეგი ალექსანდრე.
R რაზიკაშვილი თედო.
Ro როსტომაშვილი დ.
Sh შანიძე აკაკი.
T ტუქესიშვილი ვასილ.
Th თედორაძე ვიორგი.
U ურბნელი ნიკო.
Uth უშიკაშვილი პეტრე.
V ვაჟა-ფშაველა.
X ხიზანაშვილი დავით.

ბ) სხვა ნიშნები

ჩამწერთა აღმნიშვნელ ლათინურ ასოებთან დასმული ქართული ასოები და მარცვლები სათანადო სიტყვის დასაწყისს წარმოადგენს: გულ(ამყრული), თ(უმური), კ(ახური), მი(იულური), მოხ(ეური), ფ(შური), ქ(ართლური), მაგალ. Rფ = თ. რ ა ზ ი კ ა შ ე ი ლ ი ს მიერ შეკრებილი ფშური ლექსები, Sh გულ. = ა. შ ა ნ ი ძ ი ს მიერ გულამყარში შეკრებილი მასალები და მისთ () ფრჩხილებში ჩასმული ასოები თუ მთელი სიტყვები ჩემ მიერაა ჩამატებული, მაგ. გაუგოდ() 105, 3; ჯავრი(თ) 364, 14.

[] კავებში ჩასმულია ის ასოები და სიტყვები, რომლებიც ხელნაწერში მოიპოვება, მაგრამ ლექსისათვის ზედმეტია. მთელი სიტყვები ხშირად განმარტებას წარმოადგენს, მაგ. აღარ მოგივას [, უთხრიდივ.] იღუა[ი], ახ(ა)ლ შემ(ბ)შელი [ცყვანდის] კმლისაო 249, 19.

„უთხრილი“ და „გვეანდი“ ხელნაწერში მოიპოვება და აზრის გასამართლებად არის თქმული, თორემ ლექსისათვის ზედმეტია. მუხლი ასე უნდა იქნეს წაკითხული:

აღარ მოვივას იდუა, ახალ-შემბმული კვლისაო.

მთიბლურ სიმღერებში (№№ 634-737) კაცებში ჩასმულია მელოდისათვის საჭირო ხმოვნები და მარცვლები.

შენიშვნა. კაეები ბერგან არაა მოხმარებული.

¹ ან ² აღნიშნავს მუხლის პირველს ან მეორე ნახევარს. მაგ. 5, 5² (გვ. 349) ამას ნიშნავს: ლექსი № 5, მეხუთე მუხლის მეორე ნახევარი; 28¹+29² (649 ნომრის შენიშვნაში) ამას ნიშნავს: ოცდამეხუთე მუხლის პირველი ნახევარი+ოცდამეცხრე მუხლის მეორე ნახევარი.

ძირითად ფონდში დაბეჭდილი ლექსები (339 გვერდამდე) ა ვარიანტად არის მიღებული, თუ მათ სათანადო პარალელები მოეპოვებათ, მაგ. 47 (ან № 47) გულისხმობს პირველ ვარიანტს, რომელიც 51-ე გვერდზეა დაბეჭდილი, მაშინ როდესაც ბ, გ, დ და სხვა ვარიანტები მოთავსებულია 410-412 გვერდებზე.

2. ჩამწერ-შემკრბნი

აბიკა (?) ერთი პატარა რვეული ე. ბალიაურის მიერ გადმოცემული. გარეკანზე აწერია: „ხელს ეაწერ აბიკა“. თუ ეს აბიკა წიკლაურია, როგორ მოხდა, რომ არც ერთი საკუთარი ლექსი არ მოაქცია შიგ? აღნიშნულია ასე: Bb. მას ჩაუწერია შემდეგი ნომრები: 165გ, 167ზ (დამ.), 183გ, 223გ, 540ბ, 543გ, 546ბ.

აღბანელი დ. (დ. ქადაგიძე?), თუშური სიმღერები: კვალი, 1897 (აღნიშნულია ასე: A1): 2 მ, 30გ, დ, 43 თ, 127 შმ. 163 შმ., 211 დ შმ., 254 ი.

არაბული ვაჟიკა. ჩემთვის არაა ნათელი, მოამბე იგი თუ ჩამწერი: 249ბ, 275, 276, 282, 284ბ, 286ბ, 322ბ.

არაბული სუმბატა (Bd). ორი პატარა რვეული, გადმოცემული ე. ბალიაურის მიერ. ერთგან შიგ რვეულში ვკითხულობთ: „ხელს ეაწერ სუმბატა არაბული“, მეორეგან: „საკნაეზედ ვიყავ კარი კინად გამიგორდა. სუმბატა არაბული“. რვეულები დაწერილია 1925 წ. მის მიერ ჩაწერილთაგან აქ მოყვანილია: 4, 161, 165, 184, 187ბ, 206გ, 214, 540, 541ბ, 646.

არაყიშვილი დიმიტრი 274გ.

არხოტონი (მ. შამანური?) 204, 206, 207.

აფშინაშვილი გრიგოლ (A), მასწავლებელი (1916 წ. მასწავლებლად იყო ს. კახში, საინგილოში, როგორც მისი წერილიდან ჩანს: საქართველო. 1916, № 245). ფშურ სიმღერა-ლექსებს ათავსებდა სხვადა-სხვა გამოცემაში (ივერია, ვეჯილი, აკაკის თეიური კრებული). მის შეკრებილ მასალათაგან აქ შემოტანილია: ბბ, 85 შმ., 120ე, 163 შმ., 377გ, 417ბ, 526 შმ., 542ა შმ., ზ, თ შმ., 544ბ, 701გ, 728ბ, 776ბ (დამ.).

ბალიაური ერასტი (B), არხოტელი, სტუდ. ტფილისის უნივერსიტეტისა. ამჟამად ექიმი ხვესურეთში. მე რომ „წელიწდეულში“ 1924 წელს ბესარიონ გაბურის ხვესურული მასალები გამოვაქვეყნე, ამან ხალისი შეჰმატა ბევრს. სხვათა შორის ერასტისაც დავაგაღე ხალხ. სიტყვიერების მასალების შეკრება. ეს დავალება მან პირადადაც შეასრულა და სხვებსაც ჩააწერინა მასალები (Ba, Bb, Bc, Bd). მიუღი ეს მასალა (დაახლოებით 116 გვერდი პატარა რვეულის ზომისა, აქედან თვით ერასტის მიერ ჩაწერილი თუ გადაწერილი 62 გვ.) მივიღე 1925 წელს.

ბალაური ვახტანგ (გაგა) 388 შნშ. (ნ. მოამბეებში).

ბეწულოშვილი შალვა (სხ). ფშური (1) ლექსები და სიმღერები, შეკრებილი გ. ლეონიძის დაეალბით. ვადმობტა გ. ლეონიძემ. ზოგიერთი ლექსის ენას ხვესურული ელფერი აქვს. მის მიერ შეკრებილ მასალათგან აქ შემობტანილია: 4ბ, 7ბ, 8ბ, 10გ, 15ბ, 18 ია. 19 ა ბ, 20გ, 29ბ, 36დ, 38დ, 59 ია, 74 ბ, 80დ, 99ზ, 105ბ, 134ბ, 148 შნშ., 179გ, 180გ, 182ე, 232გ, 306დ, 316ე, 658ბ, 015.

ბიბილაშვილი ე., ხალხური ლექსები ჩაწერილი ს. კარალეთში: 127 შნშ., 260 ია, 418გ შნშ., 419ზ, 551 ბ, 647ბ.

ბილანიშვილი ზ., ხალხური ლექსები შეკრებილი 1883-87 წლებში გარეთ-კახეთში, სოფ. პატარძელში (ძველი საქართველო, II, ეთნოგრ. განყოფილება, გვ. 63 და შემდგ., გადმობეჭდილია „ქართ. სიტყვიერება“ში: წ. I, გვ. 111 და შემდგ. აქ დამოწმებულია გვერდები ქართ. სიტყვიერების): 249ბ, 287ზ, 422ე (დამ.), 551ზ, 707დ, 776გ (დამ.).

ბოძაშვილი იოსებ (ბო), ფშური ლექსები ს. შარა-კეეში ჩაწერილი 1897 წელს (საქ. საისტ. და საეთნოგრ. საზოგ. მუზეუმის ხელნაწერი, № 1968, ამჟამად საქ. მუზეუმში დაცული). ზოგი ამბათგანი დაიბეჭდა ივერიაში 1899წ., ზოგი დაბეჭდილიაგანი ამ რვეულში არ არის. ამ ტომში შემოსულია: 6გ, 322გ, 465ბ, 506დ, 685ე.

ბოჭორიძე გიორგი, თუშური ლექსები შეკრებილი 1902 წელს ზაფხულში (საისტ. და საეთნ. საზოგ. მუზ. ფონდის ხელნაწერი № 2008): 201გ, 519 იდ.

ბუქურაული ივანე (ბუ), I. ხვესურული სიმღერები (მოამბე 1896, №№ 10, 11). აქედან შემობტანილია: 11ბ, 50გ, 55, 56, 58გ, 59ბ;

2. თუშური ლექსები (იბეჭდებოდა სხვა-და-სხვა გამოცემაში, ახლად დაბეჭდილ იქნა ძველ საქართველოში, ტ. II, ეთნოგრ. განყოფ., გვ. 1 და შემდგ., შემდგე აქედან ხალხური სიტყვიერების პირველ წიგნში იქნა უცვლელად გადაბეჭდილი, გვ. 49 და შემდგ. როგორც ძველ საქართველოში, ისე ხალხურ სიტყვიერებაში ლექსები ნომრობით არის აღნიშნული და, რომ ორივე გამოცემის სარგებლობა შეიძლებოდა, ჩემს წიგნში ნომრებია დასახელებული. როგორც შედარებამ გამოარკვია, ძველ საქართველოში დაბეჭდილი ლექსი ყველაფრად იგივე არ არის, რაც წინადა ივერიაში, თუ სხვაგან დაბეჭდილები, – ცოტ-ცოტა განსხვავებულობას გვიჩვენებენ, მაგრამ ამ დეტალებს აქ აღარ გამოვკვიდებიარ. ამ გამოცემაში შემობტანილია მხოლოდ ძველ საქართველოში დაბეჭდილი (და აქედან ხალხურ სიტყვიერებაში უცვლელად გადაბეჭდილი) ტექსტები: 24ე, 25გ, 43ზ, 45გ შნშ., 58ზ, 65ე, 98 შნშ., 119 შნშ., 143გ შნშ., 163შნშ., 184ი, 211დ შნშ., 243 შნშ., 254ბ, 274გ, 305დ, ე, 319ე, 465 შნშ., 542ე შნშ., 551ე.

Bucher, K. 557 ბ შნშ.

გაბური (ანუ: გაბური) აბაისძე მარტიას ძე, ლექსებში: ბესარიონ, ბესარიონ ბალახურისძე, ბალახურისძე-გაბური, ჩაგვირილა, ჩაგვირილა არხოტიონი¹). იგი არხოტიდანაა (სოფ. ჭიბლა), შემოკლებით ასეა აღნიშნული: G. ნაწილი ლექსებისა 1914-15 წლებშია დაწერილი პეტერბურგ-იურიევში (სადაც იგი იმყოფებოდა ომში დაჭრის შემდეგ) და წინადაც დაბეჭდვლ წელიწადულში, ნაწილი კიდევ 1926-1928 წლებშია დაწერილ-

¹ აბაისძე მისი ნამდვილი შინაურული სახელია, ზოლო ოფიციალურად (ნათლობით) გიორგი ჭკვია. შინაობაში კიდევ (რძლებისაგან) ასეც იწოდებო: გიგია, მაღალი.

ჩაწერილი სოფ. ჭობლაში, სადაც იგი ამჟამად ცხოვრობს. გვერდობლივ დამოწმებული მასალა (მაგ. G 229) წელიწადულიდან ამოღებულს გულისხმობს, ისე კი (მაგ. G) – ახალ მიღებულს.

2ღ, 8ბ, 11, 13, 18ღ, 21, 22, 24ბ, 26ბ, 30ბ, 42, 44 ზშ., 47ბ, 59ღ, 64ა, 65ბ, 74ბ, 78, 79ბ, 88ბ, 91ბ, 93გ, 102ა ზშ., ბ, 103ბ, 104ბ, 106 ზშ., 130, 131, 134ე, 140ღ, 163გ, 175ბ, 181ბ, 184ბ, 184გ ზშ., 211 ზშ., 217ზშ., ბ, 221, 224 ზშ., 224ბ, 229, 230, 231, 232, 233, 234, 235, 236, 237, 238, 239, 240, 241, 242, 243, 244, 245, 246, 247, 248, 250, 251, 252, 270გ, 273ბ, 275, 279, 283, 284, 285, 286, 288 ზშ., 291, 300, 312, 314, 315 ზშ., 316, 320, 321, 323, 324, 325, 337, 338, 339, 355ბ, 404 ზშ., 419, 435, 436, 437, 438, 439, 442, 446, 447, 448, 452, 463, 464, 466, 467, 474, 476, 477, 488ბ, 489, 490, 494, 497, 498, 499, 502, 507ბ, 508, 509, 510, 517, 519ბ, 524, 528, 532, 539, 547, 549, 550, 551, 552, 554, 555, 556, 557, 558, 564, 586ბ, 616ბ, 617, 618, 622, 630, 631, 689, 690, 692, 693, 694, 695, 696, 697, 698, 699, 700, 701, 04 ზშ., 07, 014.

გაბური სიმონ (ანუ ბაბო) მინდიას ძე (შემოკლებით Gs), ჭობლელი, ბესარიონის ბიძაშვილი. 1926-30 წწ. ეატმანი ტფილისში, ამჟამად ს. ჭობლაში მცხოვრებული. ჩემი დაჯალბებით მან 1930 წ., მარტში, ტფილისში ყოფინისას ჩაწერა 48-ოდე ლექსი და ზოგ მათგანს შენიშვნებიც დაურთო. რადგანაც იგი წინაღ კავკასიში ნაცხოვრება, სადაც მოხვედრებს მხედობდა, ამიტომ მის ჩანაწერს თუ ჩემთვის პირადად ნააზრობ ლექსებს მოხსენი კოლოს ვაგულან ატყვია (მაგ. ვა ჯგუფის 618 შერწყმა ინლაუტში: შემალორდება=შემალეარდება 283 ზშ. და სხვ.). მის გამოთქმას ის თავისებურება ახასიათებს, რომ სათანადო სისინა და შიშინა ბგერები ერთი-მეორისაგან ზოგჯერ ძნელი გასარჩევია (წჭ, ძქ, ცწ, სშ, ზუ). ეს გარემოება ზოგჯერ მის ჩანაწერ ტექსტებშიც იჩენს თავს: აქა-იქ სისინა ბგერათა ნიშნები (წ, ძ, ც, ს, ზ) გვხვდება, სადაც შიშინა რიგის ნიშნებია მოსალოდნელი (ჭ, ჯ, რ, შ, ე) და პირადად (მაგ. დასკა=დაშა 567, 10; ხურძინო=ხურჯინო 620, 7, წყივის=ჭყივის 47, 11; ჩაბურთი=ცაბურთი 47, 10, არცველა=არჩველა 023, 3 და სხვ. 47გ, 71, 104, 107ბ, 124, 127, 175ბ ზშ., 202, 203, 220, 223, 226, 227, 282 ზშ., 283 ზშ., 299ბ, 308, 328, 421, 422, 424, 448ბ, 453, 473ბ, 512ე, 545 ზშ., 567, 568, 569ბ, 570ბ, 571, 572, 573, 585, 586, 587, 588, 589, 590, 598ბ, 620ბ, 628, 629, 632, 635, 637, 683, 734, 735, 736, 020, 029).

გაჩეზილაძე სევასტი, ხალხური ლექსები შეკრებილი სოფ. წვეპაში, ზემო-იმერეთს (ძველი საქართველო, I, გადმოხეტილია ხალხური სიტყვიერების პირველ წიგნში, გვ. I და შემდ.): 298ღ, 555ღ.

გელოვანი გედეონ. პატარა რვეული (ხელნ. № 2017 საისტ. და საეთნ. საზოგ. ფონდიდან), რომელსაც ს. გორგაძის ხელით აწერია: „ეს ლექსები ჩაწერილია ფშაუში“. იმავე ფონდის 1999 ნომერში მოიპოვება რომელიღაც რედაქციისათვის გაგზავნილი „თუშურ-ფშაუური ლექსები“, ოთხ პატარა ფურცელზე. ხოლო ცნობის ფურცლის სურათებიან დამატებაში (1906, დამ. № 376) დაბეჭდა „თუშ-ფშაური ლექსები“. სულ ხუთი. ლექსები ისე უხეიროდაა ჩაწერილი, რომ კარგად არც მათი თუშურობა ჩანს და არც მათი ფშაურობა. პირობით მე ყველა ფშაურებში მოვაქციე: 99გ, 163 ზშ., 254ღ, 255გ, 685ღ, 722 ზშ.; 685ღ ლექსთან რომ ვაბობ, ეს ლექსი Gs სადაღაც დაბეჭდილი უნდა აქონდეს-მეთქი, ეს გახლავს ცნ. ფურცლის სურათებიანი დამატება

№ 376 1906 წლისა, სადაც ოღონდ მესამე სტრიქონში ხელნაწერის „ამაგლეჯაეთ“ ფორმის ნაცვლად დაბეჭდილია: „ამოარიდებთ“.

გიგაური აბა აფ შინას ძე (აფშინათ აბა), (შემოკლებით Gi), ბლოელი, ამჟამად იორზე ჩამოსული, სოფ. ფიჭვიანში, აბა თან მახლდა ჩემს ხევისურეთში მოგზაურობის დროს 1913 წელს 18 აგვისტოდან 3 სექტემბრამდე (ბარისაკო, კაქატი, შატილი, არლოტი), იქიდან თუშეთში ვადაწყვა (აწუნტის უღელტეხილით) ფარსმამდე. ზოგი რამ მისგან ზეპირად მაქვს გაგონილი, ზოგიც ჩამიწერა. რამოდენიმე ლექსი კიდევ 6. 7. 1931. მივიღე ფოსტით (ნ. შენიშვნა დამატებაში 217 ნომერთან, გვ. 779). ახალ-მიღებულ მასალას, რომელიც gi ასოებით არის აღნიშნული, უკვე ბარის გაეღენა ეტყობა ენის მხრივ. 216, 217, 218 (ყველა ესენი ნ. დამატებაშიც), 219, 542, 561ბ, 562, 563, 564ბ, 566, 779 (დამ.).

„ ხეთოსო 471, 479 (შეიძლება ხეთოსო გიგაური მათქვამი იყოს და არა ჩამწერი). გოგებაშვილი აკობ 617 შნშ.

გოგიჩაიშვილი ფილიპე 557ბ შნშ.

გოგოჭური ხეთოსო აფ შინას ძე, (Gog), სასოფლო-სამეურნეო მუშ. ფაკ.-ის მსმენელი, 101ბ, 246ბ, 249გ, 604, 605, 609, 670ბ, 676, 727, 748ბ, 756ბ, 766, 767, 768.

გოდერძაული ქერჩო (ელიზბარ), აკადელი, 542დ.

გოდერძიშვილი აპოლონ, ხალხური ლექსები ჩაწერილი სოფ. ქოდალაში, სიღნ. მახრამა: 526დ, 706ე.

გომელაური ივანე (Go), თუშური ლექსები გაგონილი და ჩაწერილი თუშეთში 1892 წელს (საისტ. და საეთნ. საზ. ფონდიდან, 84 ლექსი 24 გვერდზე, რომელთაგანაც აქ მხოლოდ რამოდენიმეა შემოტანილი). დაბეჭდილთაგან ყოველთვის წყაროა ნაჩვენები: 28ე, 59იბ, 184თ, 260მ, 431ბ, 506გ, 710კ.

გომბაშვილი ალექსანდრე, პუღაგ. ინსტიტუტის სტუდენტი, მოხვეე, 512ე, 519(დამ), 670, 671ბ, 672, 673, 674, 026.

გორგაძე სერგი 63გ შნშ., 287.

გრიშაშვილი იოსებ 409გ.

დავითაშვილი იოსებ 298ე (ნ. დამატებაც).

დასამიძე გიგო 518ე.

დოლაკიძე შალვა (D), ქართ. ენის კაბინეტის თანამშრომელი ყოფ. უნივერსიტეტში, რომელმაც 1930 წ. ზაფხულში ჩემი დავალებით მოიარა ხვეი და შეკრიბა მოხუერი ლექსები და სხვა მასალები: 20დ, 24ზ, 32დ, 42დ, 72ე, 74ე, 120ე, 125გ, 163 შნშ., 229გ, 232დ, 255ზ, 424გ, 527გ.

ვაჟა-ფშაველა (V). a) ხევისურულები: 49ბ (დამ.), 146ე (დამ.), 275გ, 340დ (დამ.), 485ბ.

b) ფშაურები (ამათში შემავალი ნომრიანები, მაგ. ასეთი: V №29, გულისხმობს ვაჟას ეთნოგრაფიული მოთხრობის ბოლოს მოთავსებულ ლექსებს: „ფშაველი და მისი წუთისოფელი: ძველი საქართველო, II, ეთნოგრ. განყოფ., 276 და შემდ.; ლექსები გადაბეჭდილია ხალხური სიტყვიერების I წიგნში, გვ. 489 და შემდ.): 20ე (დამ.), 24გ შნშ., ე შნშ., 25 დ შნშ., 27ბ შნშ., 28ზ, 86 (დამ.), 125 შნშ., 184ბ, 270დ, 314ბ შნშ., 341 შნშ., 384 შნშ., 518გ, 523ბ, 537 შნშ., 542ბ, 543 შნშ., 551გ, 685გ, 717ბ შნშ., 748გ.

c) ვაჟას შემოქმედებისა და პიროვნების დასახსიათებლად 117 შნშ., 125, 143 შნშ., 255ბ შნშ., 528 შნშ., 543 შნშ., 582 შნშ., 720 შნშ.

ზისერმანი, ა. 314ბ, 771, 772.

თელორამე გიორგი (Th), ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში. ტფ., 1930. 44ბ, 79ე, 167ვ, 209, 325გ, 342 შმ., 344, 345, 346, 348, 351, 359ბ, 381, 382, 383, 420, 441, 519ვ შმ., ზ, 522 შმ., 528 შმ., 535ბ, 541დ, 542 შმ., 546გ, 722.

თურქაშვილი ლუკა, ზენა-შკრელი ფშაველი, Lach-ის წყარო 119 და 120 ნომრებისათვის, ამ წიგნში: №№ 25 ა (დამ.) და 428ბ შმ.

კალმის-წვერა ნ. კობაიძე ანდრია.

კაპანაძე ანნა, ლექსები და გამოცანები ჩაწერილი ქართლში (საისტ. და საეთნ. საზოგ. მუზეუმის ფონდიდან, № 2449): 32 შმ., 163 შმ., 255 (დამ.), 722 შმ.

კარგარეთელი ია (K), სიბურა-მუსიკის სახელმძღვანელო სახალხო სკოლებში სახმარებლად. ტფ., 1921: 25 ი (დამ.), 58 იბ შმ., 260 ივ, 270 ე (დამ.), 275 თ (დამ.), 287 ი (დამ.), 305ე.

კობაიძე ანდრია (კალმის-წვერა), მოხვეე: 1 ბ შმ. 42ბ, 54 შმ. (ნ. კიდევ მოამბეებში).

კობტინაშვილი ვასილ 59ბ, 706ზ.

კოტეტიშვილი ვახტანგ 255ბ შმ., 468 შმ., 519ე. ი.

Lach, R. Gesänge russischer Kriegsgefangener, aufgenommen und hrsg. Bd. III: Kaukasusvölker. Abtlg. 1: Georgische Gesänge. Transkription und Uebersetzung der georgischen Texte von A. Dirr. Wien, 1928 (Lach-ის ერთი ფშაური წყარო ლუკა თურქაშვილი ყოფილა, ზენა-შკრელი, მეორე კი, ბასილ გუშალაშვილი, ზემო-თხანელი. უკანასკნელის სიტყვით Lach-ს თავის წიგნში 112 ნომრად შეუტანია ვარიანტები აქ 254 და 316 ნომრად მოთავსებული ლექსებისა.

ლეონიძე გიორგი (L) 722 შმ. გ. ლეონიძემ გადმოცა კრებული მისი დეალებით ფშაში ჩაწერილი ლექსებისა (ნახე ბეწუკლიშვილი შ. და რაზიკაშვილი ლ.).

ლიქოკლი ბაბო (Bc), ორი პატარა რვეული გადმოცემული ე. ბალიაურის მიერ. რვეულის ერთ გვერდზე მას ზელი[თ] უწერია: ბაბო ლიქკელი". მისი ჩანაწერია: 2 შმ., ე, 5, 7 შმ., 8დ შმ., 9დ, 10ბ, 11 შმ., 15, 16, 18ე, 58გ, 59გ, თ, 90ბ, 156, 157, 158, 159, 183დ, 186, 195, 254.

„ დავით 469 შმ.

მგელა 480 (?)

მაკალათია ნიკო, ერთხანს მასწავლებელი არხოტში. მისი ჩანაწერი ლექსები გადმოცა მისმა ძმამ სერგიმ და ერთი ფურცელი კიდევ რ. შარაშიძემ. 253, 303ბ, 385ბ, 393, 545დ, 718, 027 (ზოგი მათგანი გადმოცემული ჭიონდა სერგის).

სერგი (M) 1ბ შმ., 335ბ, 340ბ, 344ბ, 347ბ, 349დ. 353 შმ, 359გ, დ, 367ბ შმ., 385ბ, 388, 389, 390, 391, 392, 393, 394, 395, 396, 397, 398, 399, 427, 428, 435ე, 543ბ პირველს გარდა, ესენი აქედანაა გადმობეჭდილი: ფშაური წაწლობა და ხევსურული სწორფრობა. ტფ., 1925.

შაკაროვის ქალი 44 შმ. (დამ.), 547 შმ.

მეთვალყურე 287თ, 288გ შმ.

მირზანელი რ. 712ბ.

მირანაშვილი ალ. 298ე (დამ.).

მოლოდინაშვილი დ., ხალხ. ლექსები გაგ. და ჩაწერილი ს. ბაზალეთში (ამათ მოის გავლენა ატყვიათ, მაგრამ პირობით ქართლურებშია ჩათვლილი): 75ე, 163 შმ., 211დ შმ.

ბრელივილი მაყალა (უნივერსიტეტის სტუდენტი. ამჟამად კურს-დასრულებული. შემოკლებით Mr). ფშური ლექსები შეკრებილი 1929 წელს ზფხულში სოფ. ჩარვალში და ჩებთის საგანებოლ მის მიერვე გადმოწერილი: 44იდ, 99ვ, 163 შშ., 223დ, 325ვ. შშ., 362ბ, 384 შშ., 422ბ შშ., 435ვ, 519თ. 06, 025.

მშველიძე შალვა (Msh), კომპოზიტორი, რომელიც 1929 წელს სამუსიკო ექსპედიციის ჩარს იყო ზევსურელა და ზევსურთ ახალ-შენებში კახეთში: 169 (დამ.), 512ზ, 519შ, 690ე, 691 შშ., 713ბ, გ, 778, 782, 785.

მკ-შვილი ი. 419ვ.

ნათაძე მ. 710დ.

ნაროზაული გაბრიელ (ბერლია), არხოტელი. სასოფლო-სამეურნეო მუშფაეის მსმენელი: 607, 614, 666, 667, 669, 677, 678, 684, 721.

ნაქერწკალი 695ვ.

ონიაური ალექსი ალექსანძე (O). არხოტელი ზევსური, (სოფ. ახიელი). რომელიც ბატარა ქევსურის სახელითა ცნობილი ლექსებში (ნ. მათქამებში). იმის იმედით, რომ ბ. გაბურის ნაწერების მსგავსად მისასაც დაბეჭდავდი, ალექსიმ 1925 წელს გადმომცა ბარისაკომი ჩაწერილი პროზა და პოეზია, რომლისგანაც ზოგიერთი საკუთარი ლექსია. მის მიერ ჩაწერილ ლექსთაგან აქ დაბეჭდილია: 88, 89, 129, 135, 176ბ, 193, 211ბ, 233ბ, 237ბ, 259, 260, 270ბ, 274ბ, 288, 289 შშ., 290, 293, 298, 299, 307, 309, 310, 319ბ, 327, 331, 332, 333, 334, 335, 341, 342, 343, 349, 354, 363, 367, 368, 370, 371, 372, 384, 402, 403, 404, 405, 425, 450, 451, 454, 455, 456, 457, 458, 460, 461, 473, 482, 483, 486ბ, 488, 504, 551ბ, 552ბ, 553, 574, 575, 576, 597, 619, 620, 634, 648, 706, 716, 017; ნ. კიდევ 336 შშ., 520 შშ.

პელაშვილი დ., ერთ ზანობაზე მასწავლებელი ბარისაკომი: ნვ, 14ვ, 36ვ, 48ზ, 183ვ, 485, 558ბ, 774, 775, 776 (პაქელიანის ჩანაწერები გვიან მომაგონდა და დამატებაში მოქყვა).

რაზაკაშვილი თედო (R, Rვ, Rთ, Rქ, Rკ).

R = ზევსურული ლექსები, ზელნაწერი საქ. საისტ. და საეთნ. საზოგად. მუზეუმის ფონდიდან, № 2025. ზელნაწერი უყლოა, ნაწერია ზოგჯერ ცალ გვერდზე, ზოგჯერ ორსავეზე. შედგება რამოდენიმე არა-თანაბარი განყოფილებისაგან, რომელთაც თავთავისი პაგინაცია აქვს. მე სათვალავი გვერდებისა საერთო გაუკეთე და ამ საერთო სათვალავის მიხედვითა აქ ეს ზელნაწერი დამოწმებული. თითო-ორილა გამონაკლისს გარდა R წყაროს არ ასახელებს, ოღონდ ერთგან (გვ. 44) მოქყავს თქმულება „ღვთიშვილთ დაბადება და ქდავება“ (რომელიც ამ წიგნში არაა შემოსული) და იქ შენიშნავს: „ასე მიაბზო ზევსურმა ბაბო უჩონა ურმა. ამან წერა-კითხვა ჩვენსა ისწავლა და მერე ბებერი ლექსი ჩამიწერა და ეს დაბადებაც“.

Rვ = რვა რვეული ფშური ლექსებისა. რვეულებს თავთავისი პაგინაცია აქვს და საისტ. და საეთნოგრ. საზოგადოების მუზეუმის ზელნაწერთა შორის თავთავისი ნომრები აქვს მიჩენილი (№№ 2439-2445, 2447). ამათთანვეა მეცხრე რვეული (რიგით მერვე), რომელშიც მოიპოვება „თუშური ლექსები ალქანში ჩაწერილი 1889 წელს“, № 2446 (სიმოკლისათვის: Rთ). მიუხედავად იმისა, რომ ეს ცხრა რვეული მუზეუმში ცალკე ერთეულებად ითვლება, მე საერთო პაგინაცია გაუკეთე და ამ საერთო სათვალავის მიხედვითა აქ დამოწმებული: Rვ იქნება რვეულები 1-7 და 9, Rთ

კი რე. 8, სახელდობრ: (რე. 1, № 2439, გვ. 1-26; რე. 2, № 2440, გვ. 27-64; რე. 3, № 2441, გვ. 65-92; რე. 4, № 2442, გვ. 93-133; რე. 5, № 2443, გვ. 134-162, რე. 6, № 2444, გვ. 163-228, რე. 7, № 2445, გვ. 229-244; რე. 8 (თუშური ლექსების კრებული), № 2446, გვ. 245-257; და რე. 9, № 2447, გვ. 258-303.

Rთ=თუშური ლექსები ალვანში ჩაწერილი თ. რაზიკაშვილის მიერ 1889 წელს (საისხ. და საეთნოგრ. საზოგ. მუხ. ხელნაწ. № 2446). მის შესახებ ნ. ზემოთ.

Rქ=ხალხური ლექსები ქართლში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ (ძველი საქართველო, III, ეთნოგრაფიული განყოფილ. გვ. 1 და შემდგ. გადმობეჭდა უცვლელად ხალხურ სიტყვიერებაში, წ. I, გვ. 177 და შემდგ. ორივე გამოცემის გამოყენების საშუალება რომ ჰქონდეს მკითხველს, ლექსები აქ ნომრებით არის დამოწმებული და არა გვერდობლივ. რადგანაც ერთი და იგივე ნომერი სხვა-და-სხვა გვერდზეა მოთავსებული სხვა-და-სხვა გამოცემაში.

Rკ=ხალხური ლექსები კახეთში შეკრებული თედო რაზიკაშვილის მიერ (ძველი საქართ., საეთნოგრ. განყოფ., გვ. 196 და შემდგ.; გადმობეჭდილია ხალხურ სიტყვიერებაში, I, გვ. 372 და შემდგ.). ლექსები აქაც ნომრებითაა დამოწმებული.

a) ხე ე ს უ რ უ ლ ი (R): 6დ, 8ე, 9ბ, გ, 10, 12, 13(ზ), მ, თ, 19, 23, 25ბ, 26, 27, 28ბ, 30, 31, 32გ, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 41, 43გ, 44დ, ე, ვ, ზ, 45ა, ბ, 47დ, ე, ვ, 48ე, 49, 53, 57, 58ა, ბ, 59ე, ვ, 60, 61, 62, 63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 70, 72ბ, 74გ, 75ა, ბ, გ, 76ა, ბ, 77, 79გ, დ, ჯშ, 80ბ, 82, 83, 84, 85, 86ა, ბ, გ, 87, 90, 91ა, გ, 92, 94, 95, 97, 98, 99, 100, 104გ, 107გ, 110ა, ბ, 112, 113, 114, 115, 116, 117, 118, 119, 121, 122, 123, 125, 126, 132, 134გ, დ, 138, 139ა, ბ, 140ა, გ, 141, 142, 143, 144, 145, 146, 147, 148, 149, 150, 151, 152, 153, 154ა, ბ, 157ბ, 160, 166, 167, 170დ, 180, 183ე, 187, 188, 189, 193ბ, 194, 197, 198, 212, 213, 214 ჯშ., 261, 269, 270, 271, 272, 273, 274, 277, 278, 285ბ, 286გ, 289 ჯშ., 290გ, 292, 293ბ, 294, 295, 296, 297, 301, 302, 304, 305, 311, 312 ჯშ., 315, 318, 319გ, 325ბ, 362, 374, 376, 377, 378, 379, 380, 386, 387, 400, 406, 407, 408ბ, 409, 410, 411, 412, 413, 414, 415, 416, 417, 418, 423, 429, 431, 433, 434, 440, 449, 482გ, 485ბ ჯშ., 488გ, 487 ჯშ., 489ბ, 491, 492, 493, 494ბ, 495ბ, 496, 497ბ, 500, 501, 503, 511, 516გ, 518, 519გ, დ, 522, 523, 525, 526, 529, 530, 531, 533, 542გ, ე ჯშ., 543, 544, 548, 552გ, 560, 591, 598, 602 (ყ?), 616, 621, 647, 654, 655, 656, 657, 659, 662, 664, 685, 686, 687, 690ბ, 702, 703, 704, 708, 712, 714, 731, 737ბ, 747, 748, 749, 750, 751, 752, 753, 754, 755, 756, 757, 758, 759, 760, 761, 762, 763, 764, 765; 09.

ბ) ფ შ ა უ რ ი (Rთ): 18ი, 20ე, 21ბ, 32გ(?), 36გ, 42ბ, 43ე, 58იგ ჯშ., 65მ, 72ბ, მ, 74ე, 91დ, 93ე, 99დ, 119 ჯშ., 120გ, 125ე, 126ბ (დამ.), 127 ჯშ., 140 ჯშ., 163 ჯშ., 184ე, 232ბ, 241 ჯშ., 254ე, 256ბ, 260დ, 275ე, 276ბ, 278გ, დ, 279ბ, 280ბ (დამ.), 282ბ, 283გ, 284დ, 305ბ, 306გ, 314ბ ჯშ., 316გ, 317გ (დამ.), 318ბ, 320ბ, 340გ, 360ბ, 384 ჯშ., 385 ჯშ., 403ბ, 411ბ, 416ბ, 417ბ ჯშ., 419ბ, 422ბ, 424ბ ჯშ., 428გ, 438ბ, 481ბ, 482დ, 484ბ, 499ბ, 506ბ, გ, 516დ, 524გ, 526ბ, 527ბ ჯშ., 533ბ, 542ო, ი, 548ბ, გ, 555ბ, 594ბ, 602(?), 617 ჯშ., 685ბ, 686ბ, 688ბ, 689ბ, 690ზ, 691ბ, 692დ, 693ბ, 694ბ, 695ბ, 698ბ, 701ბ, 706გ, 707გ, 710 ჯშ., 714ბ, 717ბ, 722 ჯშ., 750ბ, 761ბ; 012, 018, 021, 022, 030.

ც) თ უ შ უ რ ი (Rთ): 211დ ჯშ., 275ზ, 506ზ.

ბ) ქართლური (Rქ): 6ე (დამ.), 25ე, 56ღ, 127 შჲ., 132 შჲ., 260ე, ზ, იბ, 287ბ, 288ბ, გ შჲ., 298ბ, 305გ, 415ბ, 418ბ, გ შჲ., 422ღ, 481გ (დამ.), 551თ, 689გ, 722 შჲ.

ე) კახური (Rკ): 127 შჲ., 298გ.

რაზიკაშვილი ვახტანგ, პედ. ინსტიტუტის სტუდენტი, 519 ე.

„ ლევან (Lr) 2-თ, 18 ია, 47ზ, 48ე (გადმოცა გ. ლეონიძემ).

რკინული აპარეკა (Ba). „რკინული“ ალბათ ფსევდონიმია, ნამდვილი გვარი არაბული უნდა იყოს. სულ ორი რვეულია. ე. ბალიაურის მიერ გადმოცემული, ლექსი და პროზა. ერთი რვეულის ბოლოს აწერია: „ხელს ვაწერ მე აპარეკა რკინული“. აქედან წიგნში შემოტანილია: 162, 183ბ, 258ბ, 465 შჲ., 541გ, 545ბ, 546, 624.

როსტომაშვილი დავით (Ro) ა) ხეკსურული: 2გ, 279ბ, 707, 709, 710, 711; ბ) ფშაური (Rფ): 465გ; ც) თუშური (Rთ): 43ბ, 45გ შჲ., 119 შჲ., 143გ, 163 შჲ., 254თ, 255ე [სისტ. დ საუნ. საზოგ. კალაღებში მოიპოვება დ. როსტომაშვილის ხელნაწერი თუშური ლექსებისა, რომლებიც მოამბეში დაიბეჭდა (1895, № 3, 1896, № 12, 1897, №№ 1, 2, 3, 4)].

საზოკია თედო 418გ.

სოსიკო 557ბ (დამ.), 617 შჲ.

სუართ ამინა 54 შჲ.

ტუქსიშვილი ვასილ (T) (= ჩოხელაშვილი ვასილ) კვესურული ლექსები ჩაწერილი ერთ ნაწილი ს. ბარის-ახოში 1918 წ. და ერთი მეტეხის ციხეში 1922 წ.; ბ) ფშაური ლექსები ჩაწერილი ფშაგში 1925 წ. ზაფხულში ჩემი დაჯალღებით (1925 წ. შრომის ბირეის კომიტეტის მიერ მოწყობილი იყო უმუშეეარ ინტელიგენტთათვის საზოგადოებრივ საშუაოში. რამოდენიმე კაცი, რომელთა შორისაც ე. ტუქსიშვილიც ურია, მონაწილეობას იღებდა სალექსიკონო და სადიალექტოლოგიო საშუაოებში, რომელთა ხელმძღვანელობაც მე მქონდა მონღობილი. ზაფხულში იგი ფშაგში იქნა ჩემ მიერ მიღლენილი საგანგებო მიზნით, შეეკრება ხალხური პოეზიის ნიმუშები. ფშაური ლექსები ამ მიღლენის ნაყოფია).

ა) ხეკსურული (T): 2ზ, 4გ, 8გ, 19 ა, 32, 37გ, 42ე, 43ღ, 50ბ, 58ღ, 59ი, 65ღ, 72ღ, 93, 133, 169გ, 170ბ, გ, 182ღ, 184გ, 201, 205ბ, 211ღ, 254გ, 360, 373, 470, 518გ შჲ., 512ღ, 623, 638, 642, 660, 665.

ბ) ფშაური (Tფ): 44ბ, 45გ, 56გ, 58ბ, 63ბ, 65ზ, 74ზ, 75ღ, ე, 86ღ, 93გ, 99ე, 120ღ, 125ღ, 134ზ, 146ღ, 148 შჲ., 163 შჲ., 184ე, 211გ შჲ., 225ბ, 227ბ, 254ე, 255ე, 275ე, 278ბ, 282ბ შჲ., 287ღ, 316ღ, 384 შჲ., 385 შჲ., 403გ, 422 შჲ., 428ბ, 435ღ, 516ე, 519ბ, 520ღ, 533გ, 542ია, იბ შჲ., 551ე, 645ბ, 685გ, ზ, 694გ, 706ღ, 767ბ.

უპიკაშვილი პეტრე (Uმ): 58ე, 260ე.

ურბნელი ნ. (U) (= ხიზანაშვილი ნ.), ხვესურული სიმღერები (ივერია, 1887, №№ 264; 1888, №№ 27, 32, 41, 43, 44, 57, 78, 79, 80, 84, 120, 121, 135, 136; 1891, № 90). თითო-ოროლა ხვეს. ლექსი მოიპოვება მის ეთნოგრაფიულ წერილებში (დროება, 1884, №№ 231, 241, 1885, №№ 165, 166, ივერია, 1886 №№ 267, 268, 269, 1887, №№ 8, 14, 15, 71, 72, 74, 158, 170, 171, 209, 263), აგრეთვე მის სხვა წერილებში (ისტ. კვალი საზ. პოეზიისა: ივერია, 1888, № 238; ზეზვა და ბახტრიონის ციხე: ივერია, 1888, № 228; შენიშვნა ხვესურების პოეზიის შესახებ: ივერია, 1887,

№ 178). სის შეკრებილი მასლა: 1 (ნ. დამატებაშიც), 6 შპ., 7, 8 შპ., გ. 9 (დამ.), 18 შპ., 20ა, ბ შპ., 248 შპ., 28, 40, 43ბ, 44ბ, 45 შპ., 46, 48ბ, 51, 52 (ნ. დამატებაშიც), 54, 59ზ, 79, 81, 101, 102, 103, 105., 108, 128, 134ბ, 155, 163, 167გ, 169ბ, 174, 177ბ, 178, 179, 181, 182, 185, 196, 199, 268 (ნ. დამატებაც), 287, 319, 322, 516ბ, 560ბ, 616ბ, 688, 690ბ შპ., 690გ, 691, 705, 715; 02.

ქართველი ოსებში 722 შპ.

ვაზბეგი ალექსანდრე (Q) (=ა. მოჩნუბარიძე), ა) ხელნაწერი მასალები მწერლის არქივიდან (წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმის ფონდი, №№ 3996 და 3997 ა და ბ. აქედან ამოღებული ლექსები მარტო Q ასოთა აღნიშნული. ბ) სახალხო ლექსები ხეში შეკრებილი (ივერია, 1885, №№ 8, 9, 10, 11, 12), რომელიც ცალკე წიგნაკადაც გამოვიდა: სახალხო ლექსები მოხვევთა და მოხვეის სიმღერები, 1886 (შემოკლებით: ც. წ.). 8ზ, 25გ, 58 იგ. 120ბ, 180გ, 190გ შპ. (და დამატებაც), 283ბ, 284გ, 286დ, 287ე, ვ. 299გ, 318ა შპ., 419გ, 422გ, 516ზ, 692ბ, გ. 706ბ, 711 შპ.

შანიძე აკაკი (Sh). ჩემი ინტერესი მთისადმი იწყება 1908 წლიდან, როდესაც გიმნაზიელმა ზაფხული გვატარე ბიძა-ჩემთან ს. ჯორჯში, სადაც ნარევი მოსახლეობა მთიულებისა და ფშაელებისა. რამოდენიმე ლექსი იმ დროიდან მომდინარეობს. შემდეგ უკვე სტუდენტმა 1911 წ. ზაფხულში პეტ. უნივერსიტეტის აღმოს. ენათა ფაკის დავალებით ემიგრაზურე ფშაესა და თვ ხევსურეთში, სადაც დიდილექტოლოგიური ხაზით უმთავრესად სალექსიკონო მასალებზე ემუშაობდი, ხოლო უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ 1913 წ. ზაფხულში რუს. სამეცნიერო აკადემიის დავალებით მოვიარე (15 იენისიდან—10 ოქტომბრამდე) გუდამაყარი, მთიულეთი, ხევი, ხევსურეთი, თუშეთი და ფშაე და შეეკრიბე მასალები აქაური კილოების შესახებ (ნ. ამის შესახებ ჩემი Отчет о летней командировке 1913 г. в Душетский и Тионетский уезды Тифл. губ. для изучения груз. говоров: ИАН 1913, გვ. 1069 და შემდ.). მთის ხალხს, განსაკ. ფშაელებს და ხევსურებს, შემდეგმც ევხელოი ტფილისში, ერწოში, თუ სხვაგან და შემთხვევას არ ეუშვებდი ხელიდან, რომ ხალხური სიმღერები შემეკრიბა. თუ შემეკრიბინებინა. ჩემი თანამშრომლები ყველა ცალ-ცალკეა დასახელებული, ხოლო Sh ასოებით მარტო ის ლექსებია აღნიშნული, რომლებიც პირადად ჩემ მიერაა ჩაწერილი:

ა) ხევსურული (Sh): 2ა, ბ, გ. 3, 8ა, თ. 9, 14, 17, 18, 24, 25, 29, 36ბ, 37ბ, 43, 44, 47, 48ა, დ, 50, 59, 72, 73, 74, 106, 107, 111, 120, 134, 140ბ, 155ბ, 167ბ, 168, 169, 170, 171, 172, 173, 175, 176, 177, 182გ, 183, 190, 191, 200, 206ბ, 210, 211, 215, 222, 223ბ, 224, 225, 228, 247, 249, 255, 257, 262, 263, 265, 267, 275ბ, 289, 303 შპ. (დამატებაშიც), 306, 317, 326, 330, 340, 341, 349ბ, გ. 355, 356, 357, 358, 361, 369, 375, 385, 401, (430), 432, 435ბ, 443, 444, 445, 462, 465, 472, 481, 482, 484, 485, 486, 487ა, ბ, 495, 505, 512ა, ბ, 513ბ, 516, 517, 519ა, იდ შპ., 520ბ, 536, 537, 541 შპ., 548 შპ., 552ბ შპ., 559, 560გ, 561, 562ბ, 565, 569, 570, 577, 578, 579, 580, 581, 582, 583ა, ბ, 584ა, ბ, 592, 593, 594, 595, 596, 599, 601, 903ბ, 606, 608, 610, 611, 612, 613, 615, 625, 626, 633, 636, 639, 640, 644, 645 (?), 649, 652, 653, 658, 661, 663, 668, 679, 680, 681; 06 შპ., 016.

ბ) ფშაური (Shფ): 58თ, 59თ, 93დ, 134თ, 146ბ, 148 შპ., 154 შპ., 201ბ, 206დ, 313, 316ბ, 384 შპ., 385 შპ., 424ბ, 433ბ, 518ბ, 519ა, 526ე (დამ.), 542დ შპ., ე. ვ. 645 (?).

- ც) თუშური (Shთ): 6ე, 24დ, 25წ, 28გ, 99ბ, 384 შგმ., 419დ, 715ბ, გ, 722 შწმ.
- დ) მოხეური (Sh მოხ.): 1 ბ შწმ., 18გ, 42ბ შგმ., გ, 72ე, 74დ, 125ბ, 182ბ, (430), 551დ.
- ე) მთიულური (Sh მთ.) პირობით ამაშია ჩათვლილი კორეში ჩაწერილებიც 1908 წ.: 27ბ, 44იგ, 408გ, 483ბ.
- წ) გულამაყრული (Sh გულ.): 1ბ, 42ე, 93ბ, 241 შგმ., 409ბ, 520გ, 746ბ.

შანიძე პავლე 208.

შარაშიძე ჩიტო (ქრისტინე) 253 შწმ., 519ე.

შაქრო 25თ.

ჩოხელაშვილი ვასილ ნ. ტუქსიშვილი ვ.

ჩხიკვაძე ზ. 422ე (დამ.), 557ბ.

ციცკარული დ. არხოტელი, მუშუგაის მსმენელი, 336, 582ბ, 671, 675.

წერეთელი გიორგი (C), ჩემი მოწაფე (ამჟამად ასპირანტი სემიტურ ენათმეცნიერებაში), რომელსაც 1925 წელს დაევაღლე შეემოწმებინა ჩემი დაკვირვება მრჩობლობით რიცხვის შესახებ ზვესურულში და მანაც დაადასტურა ჩემი ცნობები. ამასთანავე ერთად მან ჩაწერა ტექსტები, რომელთაგანაც აქ მოყვანილია: 8დ, 9ე, 11 შგმ., 18გ, 32ბ, 34ბ, 38გ, 208ბ, 211გ, 217გ, 223ე, 229ბ, 256, 275დ, 290ბ, 306ბ, 319დ, 350, 352, 353, 359, 408, 436 შგმ., 469, 470ბ, 475, 478, 481 შგმ., 482ბ, 489გ, 490 შგმ., 513, 520, 538, 541, 545გ, 603, 641, 643, 717, 720.

წიკლაური ბესო, ერწოელი, 594გ, 725, 726.

ჭავჭავაძე ილია, 190ბ, 287ბ, გ, 288გ, (548).

ჭინჭარული ნ. ჯინჭარული.

ჭონჭაძე ნ. (=ნიჩქა ანუ ანანა ჭონქაძე-გალაშვილისა), მასწავლებელი ს. მოწალოში 1924 წ. მის მიერ ჩაწერილი ლექსების რვეული გადმომცა ს. მაკალათიამ. 265ბ, 344ბ, 347ბ, 349დ, 367ბ, 377ბ, 384ბ, 388, 389, 390, 396, 397, 398, 399, 713, 723, 724, 732, 733.

ჭყონია ი. 424ბ შგმ.

ხახანაშვილი ა. 28დ, 56ბ შგმ., 314ბ შგმ.

ხ(ელაშვილი) მ. 179ბ, 184დ (გ. ლეონიძის კრებულიდან).

ხიზანაშვილი დავით (X), ფშური ლექსები (ივერია. 1887, №№ 140, 144, 154, 172, 174, 188, 195), რომელიც ოდნავ შეესებული სახით ცალკე წიგნადაც გამოვიდა: „ფშური ლექსები შეკრებილი დავით ხიზანაშვილის მიერ“, ტფ., 1887. გვერდობლივ დამოწმება ამ ც(ალკე) წ(იგნს) გულისხმობს. რამოდენიმე ლექსი აქედან საქართველოს სურათებიან დამატებაში იყო გადაბეჭდილი დავითის მოკელის გამო (საქართვ. 1916, № 254). 14ბ, 18ბ, 20ბ, დ შგმ., 24ვ, ზ შგმ., 24თ, 25დ, 27ბ შგმ., 28ვ, 43ე, 44თ, ი, ია, 56ბ, 58ია, 63გ, 65ე, 80გ, 82-83 შგმ., 85 შგმ., 106 შგმ., 119 შგმ., 127 შგმ., 134ვ, 141 შგმ., 146ბ შგმ., 147გ, 184ზ, 188 შგმ., 254ზ, 255დ, 270დ, 287 შგმ., 314ბ შგმ., 320ბ შგმ., 322 შგმ., 360გ, 422ბ შგმ., 506ე, 516ე, 518დ, 519იგ, 523ბ შგმ., 542იბ, 551ე შგმ., 560დ, 722 შგმ.; 06, 028.

„ ნიკო ნ. ურბნელი ნ.

ხუციშვილი ნ., ხალხური ლექსები შეკრებული სოფ. ახალ-ქალაქის მიდამოში: ივერია, 1889, № 218 (ამას შენიშვნა აქვს: „ახალ-ქალაქს ახლო მთაში სცხოვრობენ მთი-

ულნი¹, რომელნიც გუდამაყრიდამ არიან გადმოსახლებულნი“): აქედან შემოვიდა: 260ი, 274ე, 282ე, 288გ შშშ., 706გ.

ჯაბუშანური გიორგი უთურგას ძე, ახილელი: 107დ, 109, 134, 524ბ, 528 შშშ.

ჯინჭარაული გიგია გიორგის ძე (Dj), ბარისაყოელი 192, 264, 426, 521, 542ბ, 600, 650, 651 (გადმოცა პლატონ ცქიტისეილმა 1930 წ.)

უცნობი პირნი ა) უცნობი ხეესური (H). რამოდენიმე ლექსი აღმოჩნდა საისტ. და საეონ. საზოგად. მუზეუმის ქალაქებში: 12ბ, 14 შშშ., 19აგ, 24გ, 167ე (დამატებაშიც ნ.), 317ბ, 658გ; 03.

ბ) უცნობი ფშაველი, კოშარაში ლექსების ჩამწერი: 260გ, 278დ, 284დ შშშ., 285გ, 315 შშშ., 526გ, 527ბ, 555გ, 690ე, 691გ, 694დ; 024.

ც) სხეა-და-სხეა: 258, 260თ, 274დ, 275შ, 283დ, 459, 468 შშშ.

3. შოამგზავნი

აზიკურიძე პავლე 24დ, 28გ, 715ე.

ალუდაური ბერდია აფშინას ძე 214 შშშ., 743 შშშ., 759 შშშ., 760 შშშ., 777, 783.

„ ნათელისძე 140ბ.

„ ფიცხელა (გიორგი) ჯოყოლას ძე 326, 330, 361, 481, 482, 484, 595, 596, 601.

„ ჩალხია ძიკიას ძე, კაჭმატელი 167ბ, 658; (თუ სხეა პირი არ არის) 470.

არაბული ახალა (ანუ დავით) უთურგას ძე (თილილაშვილი, ითილიშვილი), ჯუთელი, 36ბ, 37ბ, 224, 289, 495.

ბაბუკი მინდიას ძე ჯუთელი, 168, 175.

ბათაკა თოთიას ძე (ს. ბაცალივო) 43ბ, 44ბ, 163, 182, 319, 715.

ბერდია 37გ, 50ბ, 169გ, 201.

გაგა 170, 593.

გიორგი თათარას ძე (ს. წინ-კადუ) 7, 8გ, 20, 28, 169ბ.

გიორგი სუმბატას ძე 54.

დათუკა, ალოტელი, 519შ.

ვაფიკა ნ. ჩამწერლებში.

თათარა, ჩირდილელი, 593, 626, 652, 653.

იმედა 748ბ შშშ.

ლელა საღირას ასული 347ბ.

მამისწვერა (ს. წინ-კადუ) 101, 134ბ, 174, 286, 690, 691, 705.

მგელა 169 შშშ. (დამ.)

ნადირა, ჩირდილელი, 356, 465, 537.

ნანუკა თოთიას ასული 390, 397.

ძილა (ბარისაყოელი) 011; (ჭიაურელი) 713ბ.

ხთისო 690დ, 217 შშშ. (დამ.), 769 (დამ.), 770 (დამ.).

ხოლიგა 196.

¹ ქართლის მთიან ადგილებში გადმოსახლებულ მთიელებს (მთიულებს, გუდამაყრელებს, ფშაველებს) მთიულებს ეძახიან საზოგადოდ. ა.შ.

„ ზოშეტა ქორიას ასული 388.
 არჩემაშვილი კაცრიელ 518ბ.
 აფშინათ გიორგი 260გ. (ღამ.).
 ბადრიშვილი კამისია 58თ, 59იგ, 424ბ, 710ბ.
 ბალაღური ბადა (ერასტის მამა, აშქამად კახეთში ჩამოსული, გრემში) 40, 51, 52, 79, 81, 102, 103, 105, 167გ, 178, 179, 199, 616ბ.
 „ ვახტანგ (იგივე გაგა), არხოტელი 388 შნმ., 607, 608 შნმ., 614, 666, 667, 669, 677, 678, 684, 721, 738, 739.
 ბარწოშვილი ზთისო 134თ. 316ბ.
 ბექაური ლაზარე 27ბ შნმ.
 ბობაშვილი დ. 623.
 ბურდული ბაბუა კავას ძე 661.
 „ ნადირა 788ბ.
 „ უშიშა, ერწოელი, 59ბ.
 ბურჯკური მარიამ 75დ, 255ე.
 გაბიდაური ივანე 519ია.
 გაბილოურთ ალექსი 278დ (ღამ.).
 გაბური ბესარიონ 780ბ (ნ. ჩამწერლებსა და მათქვამებში).
 „ სიმონ (იგივე ბაბო) 206ბ, 545 შნმ., 561, 573, 580 შნმ., 591 შნმ. 598 შნმ. (ნ. კოდევ ჩამწერლებში).
 გელიაიძე ივანე 20დ, 24ზ, 229გ.
 გიანაშვილი დავითო 542ე.
 გიგაური აბა აფშინას ძე (აფშინათ აბა): 120, 177, 191, 200 შნმ., 369, 432, 487, 565 (?).
 „ აფშინა (ს. ბლო) 177ბ, 268.
 „ ზეთისო ნ. მათქვამებში.
 გიგია 93, 133.
 გოგოჭური აფშინა 263.
 „ გიგია, სისკარას ძე, ჭორმეშიონი, 14, 29, 520ბ.
 „ თა გიგიას ასული 398, 399.
 „ ზთისო (Gog) 610 (ნ. ჩამწერლებში).
 ზეიდაური ალუდა კირჩლას ძე (ს. არდოტი) 48ბ, 108, 128, 155, 181, 185, 516ბ.
 თავბერიძე ესტატე ნე.
 თანდილაშვილი ივ. 227ბ.
 თეთრაული გაგა მამუქას ძე (თეთრაული, ნისლაურთ მაისტელი) 8, 72, 74, 177, 649 (ნ. მათქვამებში).
 თურქაშვილი ლუკა (Lachis წყარო. მას ჩაუწერიანებია №16 25ია (ღამ.), და 428ბ.
 თურქოძე ბაბო 28დ.
 კალმისწვერა ნ. კობაიძე ა.
 კარატიელი ზთისო 201ბ.
 კვიწინაძე ზაქარია 418გ.
 კობაიძე ანდრია (კალმის-წვერა) 1ბ შნმ., 42ბ შნმ., 74დ.
 შიო 32დ, 72ე, 74ე, 255ზ.

კოჭლაშვილი ივანე 645.

ლიქოკელი გიორგი 778.

„ დავით 184გ, 205ბ.

„ მგელა (ნ. მათქვამებში).

„ მგელიკა 59ი.

„ ჩაჩაური 670.

მარიამი 408გ.

მარტიაშვილი პაპა 43ე, 526ე (დამ.)

მანხოშვილი ლუკა 225ბ, 542ია.

„ მართა 542იბ შვშ.

მგელიაშვილი ზალიკო 86დ.

მისრიაშვილი ივანე 146ბ.

მოიძინაშვილი თამარ 025.

მჭედლური მახარე 433ბ.

„ ნ. 722 შვშ.

„ ნიკო 56გ, 588.

ნაროზაული გაბრიელ (ბერდია), 016 (ნ. ჩამწერლებში).

ოჩიაური ალექსი ალექსას ძე (პატარა ქვესური) 107, 649 (ნ. ჩამწერლებში, მათქვამებში).

„ ბაკა თამარიძის ძე 59, 106.

„ გიორგი ივანეს ძე 340, 517.

„ გარსია იონეურის ძე 222.

„ იონეური (ივანეური) 17, 73.

„ ნათელა 349დ, 367ბ.

პირქუშაშვილი დავით 44იდ, 223დ.

ყამიაშვილი პეტრე 260დ.

რაზიკაშვილი ვასილ 126ბ (დამ.).

ხისვაურისა საბედო 99ბ.

„ მართა 715ბ.

ხუარიშვილი კაცილა 27ბ.

(უჩონაური ბაბო. მას წერა-კითხვა რაზიკანთსა უსწავლია და შერმე ბევრი ლექსი ჩაწერია
Rისთვის. ნ. Rის შენიშენა ხვესურული სიძღერა-ლექსების რეეულში. გვ. 44).

ფიცხელაური ივანე 04, 232დ.

„ მგელა (ალექსა) ალიას ძე 536.

„ მინდია (მიხა) ყუდას ძე 215.

„ ხეთისო 512ბ (?), 578, 583ბ.

ქავთარაძე გიორგი 435გ.

ქეთელაური ბაბუა მგელიკას ძე, ბისოელი (ჩემი მოამბე) 2გ, 317, 786; ქეთელაური ბაბუა
(Tის მოამბე, შეიძლება იგივე პირი იყოს, რომელიც მე მიაშობდა) 170გ, 172დ.

„ მამუკა 357, 582.

ქელეხიძე რევაზ 163 შვშ.

ქერაული ბაძია, უკენ-კადუელი, 375, 472.

„ შიშია 208ბ, 211გ, 475, 478, 643.

ქისტაური გაგა, ერწოელი, 636.

- „ მგელიკა აპარეკას ძე (უკენ-აკოელი) 210, 644.
- „ მინდია იმედას ძე, ლულელი, 2, 3, 8თ, 9, 18, 24, 25, 43, 44, 47, 48, 50, 111, 155ბ, 169, 182გ, 183.
- „ ხეთისო 206ღ.
- ლულუშური ბიჭა 42.
- „ იაგორ 42გ, 430 (?).
- ჩოხელი ბუჭკია სბ, 241 შშშ.
- „ კოფია 520გ.
- „ ქოთია 73ბ.
- ჩოხელაშვილი ივანე 645ბ.
- „ ფრუშეი 465ბ.
- ცაბური ბეწინა 516ღ.
- ძილუა, ერწოელი, 625.
- ცისკარული გიგია ოდინას ძე (ოდინათ გიგია) 512, 517.
- წიკლაური გიორგი პაპის ძე, ზანდუკელი, 409.
- „ თათარა 228, 255.
- „ ივანე გარსიას ძე, გარბნელი (ჩემი მოამბე) 401, 639;
- წიკლაური ივანე (რომელსაც ა. გომიაშვილის თვის ჩაუწერიანებია როშკაში, შეიძლება იგივე პირი იყოს, რაც ჩემი მოამბე) 512გ, 671ბ, 519 შშშ. (ღამ).
- „ მწარა 577, 599.
- „ ნინა 713გ., 785.
- „ კირჩლა 249.
- წოწკურაული ათა 74ე.
- „ ბეწინა 333ბ.
- ჭინჭარული ნ. ჯინჭარული.
- ხეთაგური გახულა 42ღ, 125გ.
- ხელაშვილი ზურაბ 512ღ შშშ.
- ხიზანაშვილი მისხ 93ღ.
- ხიმიკური გიორგი 542გ.
- ხულელი იასე 18ე, 72ე, 125ბ, 177 შშშ., 182ბ.
- ხუციშვილი გიორგი 313.
- „ ლეკან 527გ.
- ხუცურაული გიგია 541 შშშ., 542ე შშშ.
- ჯაბუშანური გიორგი უთურგას ძე 176, 265, 349გ, 663.
- „ უნცრუა (ლუკა) 519.
- ჯაფარიძე გოგოთურ 86გ.
- ჯინჭარული ბაბო ბათაკას ძე, უკენ-აკოელი 48ღ, 485, 486, 487ბ, 495ბ შშშ.
- „ ბათაკა 211, 257, 358, 519იდ შშშ.
- „ გიგი 469, 538, 720.
- „ გიორგი (სულხანაურის ძე, ბარისაკოელი) 217გ, 545გ.
- „ გიორგი, შატილელი (მუშ. ფაკის მსმენელი) 513ბ, 606, 608, 611, 612, 613, 668, 679, 680, 681, 682, 728, 729, 730.
- „ გოგოთურ 8ღ, 18გ, 32ბ, 34ბ, 38გ (?), 256, 520.

მგელა 782.

მიხა ნიას ძე, შატილელი, 172, 173.

მიხა მგელას ძე, უკენ-აკოელი, 443.

ნანაისძე, შატილელი, 353, 513.

სადარა ბათაკას ძე, გულანელი, 223ბ, 225.

სამუკა 373, 512დ, 642.

ყულა (ივანე) გიორგის ძე, უკენ-აკოელი, 200.

ჩონქარა ანდროს ძე, კისტნელი, 341, 560გ, 592, 615.

წიქა ომას ძე, გულანელი, 171.

4. მათქვამები¹

აბიკათ გიორგი ნ. არაბული გიორგი.

ალამქარა (სალამქანა?) 359.

არაბული აკურა (მამუკა), ჯუთელი, 430.

„ გაგა თორღეას ძე 218 (ნ. დამატ.).

„ გიგა ნ. კოტორელი.

გიორგი (აბიკათ გიორგი), ჯუთელი, 572.

გიორგი (არ ვიცი სადაური) 521.

(?) ვეფხია ბეწიას ძე, სახილელი, 401.

„ ივანე (კოლექტიური ლექსის მონაწილე) 466.

„ უნტრუა ივანეს ძე, გველეული, 732, 727.

„ უნტრუა (=ჩოთეშო), ჯუთელი, 604.

არახიჯელი ნ. გიგაური გიგა.

ასლაყაიშვილი ნ. ოჩაური გარსია.

ატაბურათ ხთისო 580.

ახალა მინდიათი ნ. მინდიათ ახალა.

ბაბილთ ნია (ბაბილის ნია), ლულელი, 206, 210 (?), 603.

ბაბუ(კ)ა ნ. გაიათ ბაბუ(კ)ა.

ბალახურისძე-გაბური ნ. გაბური ბესარიონ.

„ შიშნია 17.

ბალიაური თარუა 135.

ბერდაიშვილი ბაბო ნ. წიკლაური ობოლა.

ბერდიათ გაგა 602.

ბესარიონ ნ. გაბური ბესარიონ.

¹ მათქვამებად ყოველთვის ავტორები იგულისხმება. აქ მხოლოდ ის მათქვამებია ჩამოთვლილი, რომელთა შესახებაც ცნობები ან თვით ლექსშია შეტანილი, ან მოამბეთაგან მომეპოვება. თუ რაიმე შეცოთობა აქ დაშვებული, თუ მათქვამობა სისწორით არაა აღნიშნული (ეთქვათ, თუ ვინიცობაა, ნამდვილი მათქვამის ნაცვლად სხვა დასახელებული), მე ნუვინ დამუშავებ, რადგანაც მე იმას აღვნიშნავდი ხოლმე, რასაც მუუბნებოდნენ. შემოწმების საშუალება ყოველთვის არ მქონდა. აქ უცუქელია. ბერია ისეთი უსახელო ლექსიც, რომელთა მათქვამობაც, წიგნის დაბეჭდვის შემდეგ, შედარებით ადვილი გამოსარკვევი იქნება ადგილობრივ.

ბიტურა, ბლოელი, 49.

ბუბა 365.

ბურღიაული გიგა 336 (შეიძლება გიგიტელი იყოს).

ბურღული კოლიკე, ერწოელი, 599.

გაბიდაური ნ. ცისკარაული კუკუა.

გაბური (ანუ გაბურვი) ბესარიონ, ჭიმღელი, 93ე, 102ბ (?), 134დ (?), 217 (ნ. დამატებაც), 221, 224, 229, 237, 338, 339, 447, 448, 463, 446, 466 (კოლექტ.), 467, 468, 474, 476, 477, 539, 617, 618 (ნ. ჩამწერთა შორისაც).

გაიათ ბაბუა 670.

გასპარა ნ. ქიბიშური ქორია.

გაგა ნ. ბერდიათ გაგა.

გიგაური აბა აფ შინას ძე, (დიჩინი), ბლოელი 369, 453, 466 (კოლექტ.), 563, 566, 779 (ნ. ჩამწერლებშიც).

„ ბაბუა 545 (?)

„ გიგა (დაბალ გიგა, არახიჯელი) 226, 568, 577, 589.

„ ხეთისო 471, 479 (შეიძლება იგი ჩამწერი იყოს და არა მათქვამი).

გიგტელი 579, 581, 788 (მღრ. ბურღიაული გიგა).

გიგოჭური განბა, კანეშას ქალი, 668.

„ გუგო, გუროელი, 680, 730.

„ თიურა, თორელის ქალი, სახილელი, 609.

„ ხთისო, გუროელი, 682.

გოდერძიანი 347 (ნ. თამარა).

გულბათი (ლიქოკელი ხაზონა, აკუშელი) 225.

დიჩინი ნ. გიგაური აბა.

ვაჟა-ფშაველა ნ. ქერაული ბაძია.

ვეფხვია ბეწიას ძე (არაბული?), სახილელი, 401.

თამარა 323, 324(?), 347 (გოდერძიანი); თამარუა ლიფოდელი, 356.

თეთრაული (თეთრაული) გაგა (=ნისლაურთ მაისტელი) 446, 649.

თიბრისი 643.

თოსებ 786.

კალატოზაიშვილი 469.

კოტორელი (გიორგით კოტორელი, გიგა არაბული) 583.

კურტენაიშვილი 633.

ლელა 329.

ლიქოკელი მგელა 208, 480 (შეიძლება ჩამწერი იყოს).

„ ხაზონა (=გულბათი), აკუშელი, 225.

მარიემი ნ. ჩალხათ მარიემი.

მერცხალი (ანუ მერცხალა) ნ. წიკლაური მინდია.

მზექალა 248.

მთერალა 588, 642.

მინდიათ ახალა 645.

მუშტარა 366.

ნადირო, გუდამაყრელი, 029.

ნათულა 88.

ნანა 364.

ნაკშირული გივა, ამღელი, 455.

ნია ნ. ბაბილთ ნია.

ნისლაურთ მაისტელი ნ. თურაული გავა.

ომა ნ. წიკლაური მინდია.

ომათ სუხია 535.

ოსიკა 578.

ორიაური ალექსი ალექსანძე (=პატარა კვესური) 402 (?), 450, 451, 454, 456, 457, 458, 460, 461, 619, 634, 648, 541 (?).

„ გარსია 222, 334.

„ გიგია (ანუ გიგა, ხუტუნიშვილი, გარდაიცვ. 1916წ.) 371, 587, 589, 620.

„ თოთია 466 (კოლექტ.).

„ მინდია 016

„ ნიკო (ჩაჩაური) 308, 570, 632, 683.

პატარა კვესური ნ. ორიაური ალექსი.

პატარა კვესურიშვილი (?) 541.

პეტრო (პეტრუა, პეტრო ჩამღელი) ნ. წიკლაური უშიშა.

ხალაშქანა (?) ნ. ალაშქარა.

ხუართ ამინა 57 შნშ.

ხულხანაური, ბისოელი, 601.

ხუხია ნ. ომათ სუხია.

უშიშა ნ. წიკლაური უშიშა.

ფიცხელაური ივანე, მოხვეე, 04, 023 (პირე ნაწილი).

ქათარი, ფშაველი, 201.

ქეთელაური 330.

ქვექვეუბნელა 593.

ქერაული ბაბია 642(?), 472 (ვაჟა-ფშაველა).

„ ბეჭიტა 470.

ჭიბიშაური ქორია მგელასძე (=გახარა) 220, 582, 584, 588, 642 (?).

ღუღუშაური გუგუა 227.

შუაიშვილი დათვია 596.

ჩალხათ მარიემი 343.

ჩოთემო ნ. არაბული უნტრუა, ჯუთელი.

ცისკარაული დიმიტრი 223, 475.

„ კუკუა (გიორგი) 164 (გაბილოურობით), 678 (ჯერჯიკაულობით).

ბილა 424 (?).

ბუგარა 478.

წიკლაური აბიკა 267, 515, 534, 667, 017.

„ ბეწინა 684.

გრანჯა (ჩუნთია) 165, 473, 514, 517, 672.

ობოლა 136, 137, 545, 677 (ბაბო ბურდაიშვილი)

„ მინდია (ომა, მერცხალი ანუ მერცხალა, ტეტია) 204/205, 216, 265, 512, 561, 565, 567, 569, 571, 573.

უშიშა (პეტრო, პეტრუა, პეტრო ჩამღელი) 131, 547, 562, 564, 585, 586, 607, 628, 629, 630, 631, 666.

„ წვრილა 187 (?), 466 (კოლექტ.).

ჯინჭარაული ნ. ჯინჭარაული.

ხთისო ნ. ატაბურათ ხთისო.

კეესურიშვილი 162, 210 (=ბაბილთ ნია?), 228 (?) (შდრ. ჯინჭარაული ბათაკა).

ჯაბუშანური გიორგი უთურგას ძე 519 (ნ. ჩამწერლებში, მოამბეებში).

ჯვიელაური იოსებ, უკენა-ფშაველი, 452.

ჯინჭარაული ბათაკა 267.

„ ბაბუა, გოგოთურის ძმა, 465.

„ გამახელა ნ. ჯინჭარაული ხელა.

„ გოგოთურ, ბარისაკოელი, 520.

„ გორგალა, შატილელი, 219 (ნ. დამატება).

„ თათარი, აკოელი (ე. ი. ბარისაკოელი) 627.

„ მამულა 681.

„ მგელა, შატილელი, 679.

„ სამუკა ნიას ძე 513.

„ სულხანა(ური) გოგოთურის ძე 605.

„ ჩონქარა, კისტნელი, 341, 592, 615.

„ ხელა (ანუ: გამახელა) 606, 608, 611.

„ ხოლიგა, ლებაისკრელი, 610.

5. ღმრთა საძიებელი

კეესურული

I. საემირონი

1. ერისთობა კეესურეთში	43	14. ზურაბის ჯავრი	47
2. ზურაბის გალაშქრება კეესურეთზე	—	15. მისურაული	48
3. ომი ღულის თავს	44	16. მშაველა	—
4. წყლიანი ლოგინი	—	17. ზურაბის წადილი საარხეატოდ	—
5. ომი აკუმოს	—	გალაშქრებისა	—
6. აზნაურების კოცა	45	18. ლაღათი დაკოცა კეესურებისა	—
7. ომი ორწყალში	—	19. „ „ „	49
8. წერონი	—	20. ზურაბის მოკვლა	50
9. უტი	46	21. ზურაბის დაწყველა	—
10. ქიზბარაული	—	22. ზურაბის სიმაპრი	51
11. ჭრელა ნადირიშვილი	—	23. ადგომამც იყვა	—
12. მიგრის ტყავი	47	24. კეესურები ბახტრიონის ომში	—
13. ქერაულ-ქიზბარაულნი	—	25. „ „ „	—

26. ზეზვა გაფრინდაული	52	67. „	70
27. „ „	—	68. „	—
28. ზეზვას დაჭერა	—	69. „	—
29. მარტია მისურაული	—	70. ანჯარ	—
30. მამუკა ქალუნდაურის მოკვლა	—	71. ბაბუხური	—
31. ბერდია	53	72. ბალათრა ჯაბუმანური	—
32. ბერდია და კირჩლა სანეს	—	73. ბალათერას ფარი	71
33. „ „ „	54	74. იოსება	—
34. „ „ „	—	75. ბექა	72
35. კირჩლა ბაბურაული	—	76. ბუკულიშვილი	—
36. „ „ „	—	77. თავისი ქალების დაქოცა	—
37. ლაშქრობა დაუგვიანდა	—	78. გაგა ბერდიშვილი	—
38. კირჩლას სიკვდილი	55	79. „ „	73
39. კირჩლას ქალი ტყვედ	—	80. „ „	—
40. შიოლა ლუღუშაური	56	81. კადელი ღერენათა	74
41. „ „ „	—	82. გორგი	—
42. შიოლა და მთრეხელი	—	83. „	—
43. ვაჟუსძის მოკვლა თორღვას მიერ	57	84. თუშები ლეკების წინააღმდეგ	75
44. თორღვა	58	85. გულუსვიშვილი	—
45. „ „ „	—	86. ზეზვა და თათულიკა	—
46. თორღვას მოკვლა	59	87. ივა	—
47. ნარჩევი ხალხი	—	88. თამარისძის დატირება	76
48. კვესურები ვორის ბრძოლაში	—	89. ახია	—
49. კვესურები აწყურთან	60	90. კისტნელი იმედა	—
50. კვესურები თუშეთში ლეკების წინააღმდეგ	62	91. ლუხუში	77
51. სათრუსოოდ	—	92. მარიაშულიძე	—
52. „	63	93. მექობაური	—
53. აბდულა	—	94. სესელა	78
54. გაბრიელ	64	95. ფერაულნი	—
55. წინის უმის გმირი	—	96. მინდია ბერდიშვილი	79
56. პატარა კახი	—	97. მჭედლური და წიქა	—
57. თურქმანი ტფილისში	—	98. ნაკუდა გამაროზა	—
58. რკინის კარის შექსნა	65	99. ნასკაურისძე	—
59. ქალაქის არევა	—	100. უთურგის გიორგი	80
60. ბორაყის წაღება	66	101. სახელობა	—
61. ხახათ მწარია	—	102. მინდია (შიშნია) ბალახურისძე	—
62. ლევანი	—	103. ალუდაური	81
63. „	67	104. „	—
64. დათუნა	68	105. მარტია კირჩლაიშვილი	82
65. მუცალი	—	106. უშიშა ოჩიაური	—
66. აბაშა	69	107. უშიშა წიკლაური	83
		108. „ „	—

109. „ „	84	148. მშველების ლაშქრობა შატილზე	
110. ლაბბერი და შაკანა	85	გარას მეთაურობით	101
111. შალვათ ხახონი	—	149. მშველები ტერელოს	102
112. „ „	86	150. გუროლები სამაისტოლ	—
113. შუქიაური	—	151. შატილის გატეხა	103
114. ჭორამეშა	—	152. მშველები ქვა-კედს	—
115. ზუის ანთა	—	153. გარა თურმანული	—
116. „ „	87	154. ჩანთელი და აფთარაული	—
117. ძაღლიკა ხიმიკაური	—	155. ლეკების დაცემა კისტანზე	—
118. ფუნჩა და მანგია	—	156. ქისტებმა გზა შეუკრეს თუშეთს	
119. ფუნჩათ ჯამრული	—	მიმავალ კარატის ჯვარიონთ	104
120. ველგუჯა ხუშაიშვილი	88	157. „ „ „	—
121. თუშების მექალაქე	—	158. „ „ „	—
122. ბაის ციხე	—	159. „ „ „	105
123. სალუქის ქავთან	—	160. ქისტები ისთაბარი	—
124. ისყია	89	161. თადიაური	—
125. კეესა თქეეს	—	162. ლეკის ლაშქარი კვესურეთში	—
126. ფხოველი და შვანელი	—	163. ნანა თორღეაის ქალი	106
127. შაეი ვარ	—	164. ბერდიშვილები	107
128. გუროლები სამეკობროდ	—	165. „	108
129. „ „	90	166. ქოლიკიშვილი	—
130. მითხოვლების დასხმა		167. კვესურების გალაშქრება მითხოს	109
არდოტლის ცხვარზე	91	168. ჩავგირილა	110
131. ძელის სამანი	92	169. კვესურები საურუმოში	—
132. ტყვეების დაყრევინება	—	170. კვესურების გალაშქრება	
133. ლეკების დასხმა	—	არშასა და სნოს	111
134. ფაცხერი და ალუდი	93	171. უხათზე დაცემა	—
135. ქისტების ლაშქრობა არხოტზე	—	172. ომი ბერის მიუცემლობის გამო	112
136. „ „ „	95	173. ქორთუა	—
137. „ „ „	96	174. ჭირი არ შეარჩინეს	113
138. კმლითა თუშთ, ხანჯრით ლეკებმა	97	175. ლილღველთ დაცემა ჯუთაზე	—
139. ლილღვლების დასხმა ლაგაზიანთ		176. კვესურების გალაშქრება არხოტზე	114
ცხვარსა და კაროვანზე	—	177. ნაროზ ბლოელი	115
140. თუშთ მოურავი	98	178. სამთხოოდ აპირებენ გალაშქრებას	116
141. თუშების დაცემა კოშარაზე მიცქის		179. პირობის შეკერა	—
ბელადობით	—	180. მშველების ლაშქრობა ქმოსტზე	—
142. ღაზი და ლუის ლუხუმი	99	181. ოჩიაური	—
143. ლუის ლუხუმი	—	182. გაგაის ძობი	117
144. თარეშიდან მოსული შვილები	100	183. ლეკების დაცემა ლულსა და სნოზე	118
145. აპარეკა	—	184. ივანეური	119
146. ხოგაის მინდი	—	185. ჯაქმატელთ მზირი ქისტეთში	—
147. მოლოდინში	101	186. „ „ „	120

187. მანგათ ოსისფერაი	120	227. „ „	146
188. ბერიძე მჭედლურიშვილი	121	228. „ „	147
189. ფულიკა	—	229. „ „	148
190. მინდია	—	230. ძმის სისხლის აღების მოლოდინში	149
191. მამუკა გელღაური	—	231. აბა ბაკალაური	150
192. გორგასლამ	—	232. ფაღაური	—
193. მტრის ვალი	122	233. სამი მზე	—
194. ყმაწვილის მოკვლა ჭორმეშავს	—	234. ახალა	—
195. „ „ „	123	235. „	—
196. ჯოჯოლიკათა ივანე	—	236. „	—
197. სისხლი იძიეს	—	237. თორმეტის შურის მძებნელი	151
198. თამარისძის სისხლი აიღეს	124	238. მინდია თეთრაულისძე	—
199. ჭრელას სისხლი იძიეს	—	239. „ „	—
200. ლადუმი	125	240. უთურგანნი	—
201. თათრების დასხმა ფშველთ ჯოჯუზე	—	241. ხალაისძე	152
202. ქურდობა არ შეარჩინეს	126	242. მიქელა	—
203. ლაიფყვეს ცხენის მოპარვა	—	243. თუშები სააქორაოდ	—
204. ქისტების დასხმა ფშველების ცხვარზე ანდარუჯოს მეთაურობით	—	244. ლეკები და თუშები	153
205. „ „ „	127	245. დანდობით გაწყვეტინება არხოტიენებისა	—
206. „ „ „	128	246. კადუელები	—
207. კაგა ნაროზაული	—	247. წითულათანა	—
208. სულხანაური	129	248. ჯაბირი წყალზე	—
209. „	130	249. გუროვლები სამეკობროდ	154
210. ფუტკრის ქურდი	131	50. ყარაული შიბუს ჭალაში	155
221. ქისტების დასხმა თუშების ცხვარზე	—	251. ნისლაურისძე	—
212. ყაზიბეგანთ ცხვარზე დასხმა	133	252. გაბურთ დაღევა	—
213. ცხენების წასხმა ზენა-მკრიდან	—	253. შტილის დაწევა	—
214. „ „ „	134	254. მშველ-ქვესურთ მიშველება თუშეთში	156
215. კიორიკა და ცხენის ქურდი	—	255. ტყვეობიდან გამოქცეული	—
216. აბა გიგაური	135	256. ხარხელაური	157
217. „ „	136	257. გუდანის ჯეარს	—
218. „ „	137	258. ბატატი	158
219. „ „	138	259. ორბელნი	159
220. მამუკა და სადარა	139	260. შალვა	—
221. სადარა	—	261. მიქანი	—
222. ზეკუცია არხოტს	140	262. თურმან ფაფარენელი	—
223. მამუკა გოგოჭური	141	263. კილაეის გადამღებელი	—
224. „ „	143	264. წინას ვალზედ მიყოლა	—
225. „ „	144	265. ბჭობა არხოტისა და ღიღლოს შესარიგებლად	160
226. „ „	146		

266. არხოტიენებს	161	307. შტილიონი და კმალი	169
267. სწორ-სწორად შაქება	162	308. ნიკოს კმალი	170
268. რა უნდა ვაყას	163	309. ახალგაზდას	—
269. რა უნდა იცოდეს ბეწიკუამაც კი	—	310. ბეწინიკას	—
270. დაბარება ველს წასულს	—	311. ბუნა	—
271. ალაზანს	—	312. რა მამწონს	—
272. ახლები ომჩი	—	313. ლურჯაის ნატოტარები	—
273. მეტობის ქნა	164	134. დიდი იმედი	—
274. ზეაეი	—	315. ობოლი ველად	171
175. კაი ყმა	—	316. სამაისტლო ვაუები	—
276. „ „	165	317. შაპატიეება	—
277. „ „	—	318. ოროლთ გამბარებელი	—
278. „ „	—	319. ნატერა თუშის ქალისა	—
279. „ „	—	320. ლუდი, ძაღლი და ყმა	172
280. ცული ყმა	—	321. ხუთთა მცემელი	—
281. „ „	—	322. შეუბოვარი	—
282. ყმა კაი და ცული	166		
283. „ „ „ „	—	II. სატრფიალონი	
284. „ „ „ „	—	323. ბესარიონს	175
285. „ „ „ „	—	324. „	—
286. „ „ „ „	—	325. ხოლიგათ თათარას	176
287. ვაშკაცი	—	326. კეირიკას	—
288. „	167	327. ალექსის	—
289. „	—	328. აბაისძეს	177
290. „	—	329. ძილას	—
291. „	—	330. ეთერს	—
292. თქვენისთანა	—	331. თონას	—
293. „	—	332. გაშორშორება	—
294. „	—	333. ალიათ ხორას	178
295. „	168	334. ლალე	—
296. მამაცი ყმა	—	335. ქავჯი და ქერქა	179
297. ტანად და გულად	—	336. ჩაღზაის მარიემას	—
298. ერთგულსა და ორგულს	—	337. ოსმანს	—
299. ქალი და ვაჟი	—	338. გაცინებულს	180
300. ომის კარ დამჭეხნებელი	—	339. სათთე	—
301. ჯაჭვი	—	340. საუკნიახოლ	—
302. შვილდოსანთ	169	341. ვაშკაციის მაუწყინარი	181
303. ვის რა ალაღებს	—	342. ბეერის დროს გამამცელებელი	—
304. ომში უკრძალაენი	—	343. სიზმარში სანახველი	—
305. კმალი	—	344. ძმობილის ვაწირვა	182
306. მოკლე კმალი და მდაბალი ვაშკაცი	—	345. პატარა ამბავი	—

346. წილის გაყრა	183	388. მეფარაგეს	197
347. ძელიმხანას	—	389. ციფირად დაწერებული	198
348. სუკეელაის განიროული	184	390. ღილის კსნას დაჩეულს	—
349. მოძულეებულ ძმობილს	—	391. ზრიალ-გრიალი —	—
350. როგორი უნდა ქალი	185	392. ელიზბარა	199
351. როგორი უნდა ვაჟი	—	393. კერაჩი შატანება	—
352. როგორ ვაჟს უნდა ქება	—	394. შაირებული	—
353. სასაღდათოს	186	395. ურიეო წოლა	—
354. საღდათში მიმავალს	—	396. გულზედ მოსული	200
355. ქმრის დაწუნება	187	397. არქიელა	—
356. წყეშსობად	—	398. მუქარის დათხოვა	—
357. მწუხიარე ძმობილს	—	399. გროზად	201
358. საყეედური	188	400. დასაეთ წამება	—
359. დღე თუ ღამე	—	401. ილო და სანათა	—
360. რა უნდა სიყვარულს	189	402. ქალის მოტაცება	203
361. მთას იქითელა ვაჟას	—	403. ობოლიეით ატირება	204
362. შენაც გარმადი	190	404. საკინძი	—
363. ძმობილის ამტერება	—	405. ბაბაღეს	—
364. სიკეთე წყალში	—	406. ჯინჭარაულთ ქალი	—
365. გადარყენა	—	407. ქალუაჟის სიტყვა-პასუხი	—
366. ჩემთან ჩემი, სხვასთან სხვისი	191	408. „ „	205
367. მკედარი ღობილი	192	409. ფარაგ-ჩამოწყეეტილი	—
368. მკედარი ძმობილი	—	410. თუ მინდა	—
369. ნუკულმ სირბილი	—	411. კოტანი	—
370. უტან გამაგებოვა!	193	412. ბანზედ ტრიალება	—
371. მიზრუნებული	—	413. ვინაც შენტან	—
372. შუღამეთ მდინრებს	—	414. ვირთ შაფერება	206
373. ქალი წყალზედ	194	415. გოშა	—
374. დედის ერთას	—	416. მაინც არ	—
375. მაშინ და ეეხლა	—	417. კასთან —	—
376. ჯობილობით	—	418. ვაჟის ნატერა	—
377. თეთრს ცხენოსანს	195	419. „ „	—
378. ტიელად	—	420. გიორგის	—
379. კეთილიანი ქალი ვაჟს	—	421. ქალები ნლომა	207
380. სხვათა ენათა მიმყოლს	—	422. სურვილს მოკლეკვინებული	—
381. ცრემლები	196	423. მეძროხე ქალს	—
382. პირის უტეხლობა	—	424. წყემსს	—
383. გაფოთებული	—	425. ღამაზს	—
384. ცოლის წართმევა	—	426. სიცილ-ზახანი	—
385. საყელო	—	427. ქოჩორეები	—
386. ფარაგის ამბები	197	428. ყვითელ-თმიანს	208
387. მოლოდინში	—	429. აიშას	—

430. დასტური	208
431. სამაგიერო	—
432. ჩახურვა	—
433. შენის შიშით	—
434. წაწლები	209
435. ტრფიალება	—
436. ცოლები ქმრებზე	—
437. უქმრო და უცოლო	—
438. რაზე შეეტყობა	—
439. საქმარეები	—
440. კახური ტილი	—
441. გუნების ქმარი	210
442. გასათხოვარ ქალი ქვესურისა	—
443. ნიატ	—
444. სამი დღე-ღამე	—
445. შუაჩი	—

III. სხვა-და-სხვა

ა) ხალდათობა და ომი

446. ნაობრანცე	213
447. სალდათში მიმავალი	—
448. თეთრ-ქუდაები სარუსეთოდ	—
449. სალდათში მიმავალ ძმასა და სწორ-ფერს	214
450. სალდათად დაბარებული	215
451. ღელვა ზღვაზე	—
452. მცხვარე სალდათი აფიცერზე	216
453. გადათხეული	—
454. სმირანაზე	217
455. სალდათის დანაბარევი	—
456. ეაენი გოსპიტელში	219
457. „ „	220
458. „ „	—
459. „ „	—
460. შინისკე მზადება	221
461. მაკითხვა	222
462. სალდათის წადილი	223
463. საახალწლო მილოცვა სწორებს	—
464. სალდათის სიკვდილი	224
465. ომი გუმბრზედ	225
466. მობილიზაცია	226

467. ბრძოლის კელზე	228
468. წელწად-წუხრა გრანიცაზედ	228
469. სულკაზედ	—
470. ეშმაკის მოვონილი	232
471. სისხლის წემა	234
472. მსოფლიო ომში დაჭრილი	235
473. წერილას	—
474. სიკვდილი ფრონტზე	236
475. კობა ცისკარაული	237
476. „ „	238
477. მსოფლიო ომის დროს 1914-15 წწ. დაკოცილი არხოტიენები	240
478. ომისაი და ცდისაი	242
479. ნიკალას დაცემა	243
480. თვითმპყრობელობის დამკობა	244

ბ) სტუმარ-მასპინძლობა

481. ქოში წითელი	244
482. ძლიე სამ	—
483. წინად და ეხლა	245
484. რა იყო და რა არა	—
485. რაში რას	—
486. სასტუმროდ და სამასპინძლოდ	—
487. სპილონი	—
488. ზერდაგი	—
489. უსტუმროდ	—
490. ბარაქა	246
491. ქორთა სადილი	—
492. შაჩევეა	—
493. ძველი ტალავარი	—
494. ორსავე	—
495. მძიმენი	—
496. შენ და ჩვენ	247
497. გძელი ღზინი	—
498. ლუღოვეთი	—
499. ჭაჭანაისძე	—
500. პურ-ძვირი	—
501. ძე	—
502. დიასახლისი	—
503. პურადი და მამაცი	248
504. პურადობა და მამაცობა	—

გ) ნადირობა	
505. მოყმეთ	248
506. ჯიკვს	—
507. „	—
508. ლაბერდის ეხი	249
509. საკარის მთა	—
510. მენადორის თაფი	—
511. კირიმოსანს	—
512. თივის თრაზე	—
513. სათიფოდ	250
514. ჯიკვზე ნადირობა	251
515. მუჯოზიენი	252
516. მენადორის მარცხი	253
517. მენადორის ხიფართი	254
518. შვილი ძმანი და იმათი ბიძა	—
519. მოყმე და ვეფხეი	255

დ) სიკვდილი	
520. სიკვდილთან გაბასება	256
521. სიკვდილი ახალ-უხლებისა	258
522. დარიშქანით მომკვდარი და სხვა ახალგაზდები	259
523. ჩათბეა სიკვდილის მიერ	260
524. ნარჩევი ეაყების ჩაკოცა არხოტში	—
525. ქალების სიკვდილი ბარისაკოს	261
526. სიკვდილი და ობოლი	—
527. სოფლის უფროსი	—
528. ჭირის პატრონს	262
529. კმელეთს თვალი	—
530. რეკათ ვამრული	—
531. ჯიკუა მაკინცაური	—
532. მარტია შუქიაური	—
533. მეგრელათ ფუნჩია	263
534. სუხუშია	—
535. წყალში ჩაკარდნა და სიკვდილი	264
536. ალაღებულ წყალში დაღუპეა	—
537. საფლავის დაძვრის შედეგი	265
538. ტანად დაბალა ვაშკაცი	266
539. დავით წიკლაური	—

ე) თქმულებანი	
540. ციხის ნაშალი	268
541. შურის ციხე	269
542. იაკსარი	270
543. კოძალა	272
544. „	—
545. ღვეების კორწილი	—
546. ღვეების ამოწვეტი	273
547. გაბურთ ეშმა	275
548. სალოცაეები	—
549. მამახურას	—
550. გულის კერძება	—
551. ალვა	—
552. ნაბღებურ	—
553. გვლენა	276
554. მედროშეის	—
555. იშრიშობა	—
556. ახალი წელი	—
557. აღების ღამე	—
558. აქსების შაბათს	—
559. მარიანობის მარხვა	—
560. სულეთი	277

ვ) გაღმქება	
561. თოხლების დაკოცა აბას მიერ	277
562. „ „ „ „	278
563. აბასგან მინდიასა და უშიშას	—
564. უშიშასგან აბას	279
565. მინდიასგან აბას	280
566. აბასგან მინდიასა და უშიშას	—
567. მინდიასგან მარტიას	281
568. მარტიასგან მინდიას	282
569. მინდიასგან ახიელებს	—
570. ახიელლებისგან მინდიას	—
571. მინდიასგან აფშინას	283
572. გ. არაბულისგან უშიშასა და მინდიას	—
573. მინდიასგან გ. არაბულს	—
574. ჯუთელთ	—
575. „	—
576. ქმოსტელთ	284

577. არახიველისაგან უმიშას	284	615. ოჯახი	300
578. ოსიკასაგან მანგიას	285	616. წყველა	—
579. გივიტელისაგან ოსიკას	—	617. კარი ნიკორა	301
580. ხთისოსაგან გივიტელს	—	618. ცხენი	—
581. გივიტელისაგან ხთისოს	—	619. ნილის ფერი	—
582. ვასპარასაგან ლიქოკელთ	—	620. წითლას გაყიდვის შემდეგ	302
583. ვასპარას	286	621. ხალხელაურის ცხენი	—
584. ვასპარასაგან ხახონაურთ	—	622. ბერი ცხენი	—
585. დედიდაებს	287	623. ჯორა	—
586. „	—	624. სეტყვა კევსურეთში	303
587. ჯიკვის ტყაეები	—	625. საქონის ჭირი	—
588. მამიდაშვილს	—	626. წყლის ადიდება	—
589. გივასაგან ბალიაურს	288	627. ურჯულო რჯული	304
590. ხუტუნთუილისაგან აკვაიშვილს	289	628. უშიშა წიკლაური (პეტრო)	—
591. აპარეკულს	—	629. „ „ „	—
592. ბაბილთ ლელა	290	630. „ „ „	—
593. გიგიას	—	631. „ „ „	305
594. ცაში შაჯენა	—	632. ნიკო ოჩიაური	—
595. კაქმატელთ ახალ-უაყები	291	633. კურტენიშილი	—
596. დათიას	—	634. ახალგაზდებს	—
597. მაკითხვა ძმობილს	—	635. მაჩუფო და მგელა	306
598. დაეთათ ბერდიას	292	636. ბატონი ძირეს	—
599. მწარის	—	637. კულა გლდანელი	—
600. ჩემს მეშაირეს	293	638. იჩო	307
601. მჩეჩელნი ბისოს	—	639. ახალ-წული	—
602. ვაგასაგან გამახელისძეს	—	640. მარტია და მაჩეი	—
603. მშველისა და ტევსურის გაბასება	—	641. კურდღლის ბაცაცა	308
		642. მარკე ყოფილა	—
ზ) ნარევი		643. ბათირა	—
604. ზელიმ-ხანზე დაცემა და მისი		644. ყროლი ზამთარი	309
ძმის მოკვლა	294	645. კევსური კახეთში	310
605. სისხლის აღება	296	646. სამის შასმა	—
606. ზიანი	—	647. ვარამი	—
607. ხაიწურა	297	648. არხვატს	311
608. ქისტების დაცემა მთიბელ- მამკლისად	—	649. არხოტი და არხოტიენები	—
609. მობილიზაცია	298	650. ბარისკოს	312
610. თოფის სროლა ორ-წყალში	299	651. კინაღ	313
611. შულლობას მოწადინებული	—	652. ლიაცის შულლი	—
612. ომი კელის წყალზედ	—	653. დედაკაცი	—
613. ჩუას სიკვდილი	300	654. ქმარ-უნდაური	—
614. ჯარჯო	—	655. ჯალაფთ დამჯერე	314
		656. ძაგება	—
		657. გაძლება	—

658. ძველების მოგონება	314	701. შენ რაღაღ	329
659. ნაცვალ-სუღია	—	702. სტუმართ უნდაური დიაცი	—
660. თავები წისქვილში	315	703. ადრე და ნელად	—
661. თავების ქორწილი	—	704. გაგონება	—
662. კატის ომის თავგებთან	316	705. რად მინდოდი?	—
663. თავი და ღულელი	—	706. წუთისოფელი	—
664. გირწყილების ქორწილი	—	707. „	—
665. არხოტჩივი	317	708. ფიცის კარს	330
666. უთურავით ქვე-ციხის პატრონი	—	709. კაი კაცი	—
667. ხუცობა	—	710. რკინის ქლამანი	—
668. სამრელოს ყორის ქანი სახლში	318	711. გულის ტკივილი	—
669. საიღლიანნი	—	712. დილის ნიავს	—
670. გავიარე და ვკიბეცა	—	713. კვესურული ნანა	—
671. სინდურისძე	319	714. წყლის შარსიტი	—
672. ჭოლიკაურს	320	715. რა სჯობ	331
673. იღია	321	716. ქალისად და ვაჟისად	—
674. რუსეთოაპონის ომი	—	717. გატეხა-გაუტეხლობა კმლისა და ვაჟისა	—
675. იმპერატორს	322	718. ქუდი	—
676. მითორი	323	719. კვესური	—
677. ბაკათ ბაკა	—	720. ხეჭუჭა	—
678. ხოლმე და მეთქი	324	721. მითხოვლის ქალი	—
679. ტყუილით გატენა	—	722. ლაშქარშიით დაბრუნებული	332
680. ფანდური და წისქვილი	325	723. ქალის წყევლა მეშიარეს	—
681. თრევა ძაღლის კუდივით	—	724. ძილა	333
682. მეშეშე	—	725. ჩახეგრევა	—
683. ფიცრობად	326	726. ფინხოზაზე	334
684. არწიე-უიკეებს	—	727. ფშაურად გადანათლული	—
685. ყორნებს	—	728. მელდურს	335
686. ჩიტებს	—	729. მელანიას	—
687. ძმანი და რძალნი	327	730. საღალატოდ	—
688. მოკეთუები	—	731. გულადობა	336
689. ბერნი ძმანი	—	732. მოწმავის სკოლა	—
690. ბერი კაცი	—	733. სკოლაში	—
691. „ „	—		
692. „ „	—		
693. დარდიან მთერალი	—	8) მთიბლური	
694. მომცდარ ყანა	328	734. თიბად გასელა	337
695. პატივი მუშას	—	735. ბროლია ცოლი	—
696. მამკალნ ქალნი	—	736. თიანელი	—
697. სწორების სიყვარული	—	737. ცელი და ცოლი	—
698. შეენება	—	738. მთიბელი მთიბელს	—
699. ჯალაფობა	—	739. ბერდია	338
700. ტყუებით წამოყვანილი	—	740. ბეკიტაიშვილი	—

741. გველი	338
742. ქოქობონი	—
743. ირემი საუქაუზე	339
744. დვირიანი	—
745. სისხლიანი წყალი	—
746. შარვანაული	340
747. არწივის მაღალი	341
748. სულა და კურდღელა	—
749. შშველი თუ ჩარვალელი	—
750. საჩივარი	342
751. ხოხორი	—
752. დროშა	—
753. რეკა	—
754. ახუნი	—
755. ხსიპის ღელე	343
756. ხეწნა	—
757. დათვია	—
758. ცელ-ცულა და ცოლ-ცულა	—
759. უსაჯურისძე	344
760. სათითიანნი	—
761. ამანათი	—
762. მირეშა	—
763. მოწმეულ-დათვისელი	345
764. თოთიაური	—
765. ჯიბჯიმი	—
766. მისრიანი	345

01	364
02	370
03	396
* 04	408
* 05	420
* 06	425
07	428
* 08	459
09	461
* 010	462
011	468
* 012	477
013	481
014	493
* 015	497
016	498

767. სკლატის საკელნი	—
768. მთიბლების სამღერალს	346
თ) დამატებანი	
769. ლარაქიშიძე	346
770. ხოროშნელი ტყვე	346
771. თესლი	347
772. ვეფხენი და ლომნი	—
773. ლული	—
774. კარენი გასაჭირნი	—
775. მკარ-გრძლივ	—
776. ტირილი და გელეენა	—
777. ქისტების მზირი კაჭმატში	348
778. წოვა-თუშების დაცემა ქისტების ცხეარზე	348
779. წყლიან აკოფში	349
780. მომარკება	351
781. ძმანი სულეთში	—
782. თიანეთის მაზრის უფროსს	352
783. ზინკლები ტყაუზე	—
784. დახასიათებანი	—
785. მოჯაბრეებს	353
786. ბეწინას	354
787. არაყიანი ქინთი	—
788. აბაბაი რო	—

017	499
* 018	509
019	511
020	525
* 021	543
* 022	572
* 023	594
* 024	608
* 025	609
026	619
027	629
* 028	635
* 029	758
* 030	782

NB. ვარსკლავიან ნომრებს გარდა ყველა ხეცსურულია.

ვიანტებში წასულთაგან ხეგურული შემდეგი ნიშნებით აღნიშნული ნომრები: B, Ba, Bb, Bc, Bd, C, Dj, G, Gi, Gog, Gs, H, M, O, R, Sh, T, Th, U, ამას გარდა ჩაწერილები ეკუთვნის არაბული სისა, ნ. მაკალათიასი, ნ. ჭონქაძისა და ზოგი სხვაც:

2 ბ, გ, დ, ე, ჯ, ზ, 4 გ, 6 დ, ე (ღამ.), 8 ბ, გ, დ, ე, ე, თ, 9 ბ, გ, დ, ე, ე (ღამ.), 10 ბ, 11 ბ, 12 ბ, 14 გ (ღამ.), 18 გ, დ, ე, ზ, მ, თ, 19ა გ, 24 ბ, გ, 25 ბ, 26 ბ, 28 ბ, 30 ბ, 32 ბ, 34 ბ, 36 ბ, ე (ღამ.), 37 ბ, გ, 38 ბ, გ, 42 ე, 43 ბ, გ, 44 ბ, გ, დ, ე, ე, ზ, მ, 45 ბ, 47 ბ, გ, დ, ე, ე, 48 ბ, გ, დ, ე, ზ (ღამ.), 49 ბ (ღამ.), 50 ბ, 58 ბ, გ, დ, 59 ბ, გ, დ, ე, ე, ზ, თ, ი, 65 ბ, გ, დ, 72 ბ, გ, დ, 74 ბ, გ, 75 ბ, გ, 76 ბ, 79 ბ, გ, დ, ე, 80 ბ, 86 ბ, 88 ბ, 90 ბ, 91 ბ, გ, 93 გ, 101 ბ, 102 ბ, 103 ბ, 104 ბ, გ, 107 ბ, გ, დ, 110 ბ, 134 ბ, გ, დ, ე, 139 ბ, 140 ბ, გ, დ, 143 ბ, 146 ე (ღამ.), 154 ბ, 155 ბ, 157 ბ, 163 ბ, გ, 165 ბ, გ, 167 ბ, გ, დ, ე, ე, ზ (ღამ.), 169 ბ, გ, 170 ბ, გ, დ, 175 ბ, 176 ბ, 177 ბ, გ, 180 ბ, 182 გ, 183 ბ, გ, დ, ე, ე (ღამ.), 184 ბ, გ, 187 ბ, 193 ბ, 205 ბ, 206 ბ, გ, 208 ბ, 211 ბ, გ, დ, 217 ბ, გ, 218 ბ (ღამ.), 219 ბ (ღამ.). 223 ბ, გ, ე, 224 ბ, 229 ბ, 233 ბ, 237 ბ, 246 ბ, 249 ბ, გ, 254 ბ, გ, ია, 255 ბ, 258 ბ, 265 ბ, გ, 270 ბ, გ, 273 ბ, 274 ბ, 275 ბ, გ, დ, 279 ბ, 284 ბ, 285 ბ, 286 ბ, გ, 290 ბ, გ, 293 ბ, 299 ბ, 303 ბ, 306 ბ, 314 ბ, 317 ბ, 319 ბ, გ, დ, 322 ბ, 325 ბ, გ, 335 ბ, 340 ბ, დ (ღამ.), 341 ბ, 344 ბ, 347 ბ, 349 ბ, გ, დ, 355 ბ, 359 ბ, გ, დ, 367 ბ, 377 ბ, 384 ბ, 385 ბ, 408 ბ, 435 ბ, 448 ბ, 470 ბ, 473 ბ, 482 ბ, გ, 485 ბ, 486 ბ, 487 ბ, 488 ბ, გ, 489 ბ, გ, 494 ბ, 495 ბ, 497 ბ, 507 ბ, 512 ბ, გ, დ, ე, ე, ზ, 513 ბ, 516 ბ, გ, 517 ბ, 519 ბ, გ, დ, ე, ე ზზშ, ზ, მ, ი, 520 ბ, 524 ბ, 535 ბ, 540 ბ, 541 ბ, გ, დ, 542 ბ, გ, 543 ბ, გ, 545 ბ, გ, დ, 546 ბ, გ, 551 ბ, 552 ბ, გ, 558 ბ (ღამ.), 559 ბ, გ, 561 ბ, 562 ბ, 564 ბ, 582 ბ, 583 ბ, 584 ბ, 594 გ (?), 598 ბ, 603 ბ, 616 ბ, 620 ბ, 638 ბ, 658 გ, 670 ბ, 671 ბ, 690 ბ, გ, დ, ე, 713 ბ, გ, 734 ბ, 737 ბ, 745 ბ, გ, 748 ბ, 756 ბ, 780 ბ, 788 ბ.

ფშაური

(A, Bo, Ge, Lb, Lr, Mr, V (ნომრებით აღნიშნულები), X, ყველა რომელთაც „ფ“ ასო უზის: Rg, Rog, Shg, Tg, კომარაში ჩაწერილი უცნობი პირის მიერ და ზოგი სხვაც).

2 თ, 4 ბ, 6 ბ, გ, 7 ბ, 8 მ, 10 გ, 14 ბ, 15 ბ, 18 ბ, ი, ია, 19ა ბ, 20 ბ, გ, ე, ე (ღამ.), 21 ბ, 24 გ, მ, 25 დ, ია (ღამ.), 28 ე, ზ, 29 ბ, 32 გ, 36 გ, დ, 38 დ, 42 ე, 43 დ, ე, ე, 44 თ, ი, ია, იბ, იდ, 45 გ, 47 ზ, 48 ე, 56 ბ, გ, 58 მ, თ, ი, ია, 59 ია, იგ, 62 ბ, გ, 65 ე, ზ, მ, 72 ზ, მ, 74 ე, ზ, მ, 75 დ, ე, 80 გ, დ, 86 გ, დ, 91 დ, 93 გ, დ, ე, 99 გ, დ, ე, ე, ზ, 105 ბ, 120 გ, დ, ე, 125 დ, ე, 126 ბ (ღამ.), 134 ე, ზ, მ, თ, 146 ბ, გ, დ, 179 ბ, გ, 180 გ, 181 ბ, 182 ე, 184 დ, ე, ე, ზ, მ, 201 ბ, 205 დ, 223 დ, 225 ბ, 227 ბ, 232 ბ, გ, 254 დ, ე, ე, ზ, 255 გ, დ, ე, 256 ბ, 260 გ, დ, 270 დ, 274 ე, 275 ე, ე, 276 ბ, 278 ბ, გ, დ, 279 ბ ზზშ, 280 ბ (ღამ.), 282 ბ, 283 გ, 284 დ, 285 გ, 287 დ, 305 ბ, 306 გ, დ, 316 ბ, გ, დ, ე, 317 გ, 318 ბ, 320 ბ, 322 გ, 340 გ, 360 ბ, გ, 362 ბ, 377 გ, 403 ბ, გ, 411 ბ, 416 ბ, 417 ბ, 419 ბ, 422 ბ, 424 ბ, 428 ბ, გ, 433 ბ, 435 ბ, დ, ე, ე, 438 ბ, 465 ბ, გ (ღამ.), 482 დ, 484 ბ, 499 ბ, 506 ბ, გ, დ, ე, 516 დ, ე, ე, 518 ბ, გ, დ, ე, 519 ე, თ, ია, იბ, იგ, 520 დ, 523 ბ, 524 გ, 526 ბ, გ, ე (ღამ.), 527 ბ, 533 ბ, გ, 542 დ, ე, ე, ზ, მ, თ, ი, ია, იბ, 544 ბ, 548 ბ, გ, 551 ე, ე, 555 ბ, გ, 559 დ, 594 ბ, 645 ბ, 658 ბ, 685 ბ, გ, დ, ე, ე, ზ, 686 ბ, 688 ბ, 689 ბ, 690 ე, ზ, 691 ბ, გ, 692 დ, 693 ბ, 694 ბ, გ, დ, 695 ბ, 698 ბ, 701 ბ, გ, 706 გ, დ, 707 ბ, გ, 710 ბ, 714 ბ, 717 ბ, 748 გ, 750 ბ, 761 ბ, 776 ბ (ღამ.); 012, 015, 018, 021, 022, 024, 025, 028, 030.

თუშური

(Al, Go, Bu ნომრებით აღნიშნულები, გ. ბოჭორიძე, და ყველა რომლებსაც თ ასო უზის: Ro, Roa, Sho).

2 მ. 6 ე. 24 დ. ე. 25 გ. მ. 28 გ. დ. 30 გ. დ. 43 ზ. მ. თ. 50 გ. 58 ე. ზ. 59 მ. იბ. 65 ე. 99 ბ. 143 გ. 184 თ. ი. 201 გ. 254 მ. თ. ი. 255 ე. 260 მ. 274 გ. 275 ზ. 284 გ. 305 დ. ე. 319 ე. 419 დ. ე. 431 ბ. 506 ე. ზ. 519 დ. 551 ე. 710 გ. 715 ბ. გ.

მოხეური

(D, Q და Sh მოხ.)

1 ბ ზმ., 8 ზ. 18 ე. 20 დ. 24 ზ. 25 ე. 32 დ. 42 ბ. გ. დ. 58 იგ. 72 ე. ე. 74 დ. ე. 120 ბ. 125 ბ. გ. 182 ბ. 190 გ (ნ. კოდუე დამატებაში), 229 გ. 232 დ. 255 ზ. 283 ბ. 286 დ. 287 ე. ე. 299 გ. 419 გ. 422 გ. 424 გ. 516 ზ. 527 გ. 551 დ. 692 ბ. გ. 706 ბ; 04, 08.

მთიულური

(Sh მთ.)

1 ბ ზმ., 27 ბ. 44 იგ. 408 გ. 483 ბ.

გუდამაყრული

(Sh გულ. ნ. ხუციშვილი)

1 ბ, 42 ე. 93 ბ, 260 ი, 274 ე, 282 ე, 288 გ ზმ., 409 ბ, 520 გ, 706 ე. 746 ბ, 022 (წარმოშობით).

ქართლური

(K, Rj და სხვა)

25 ე. ი (დამ.), 56 დ. 75 ე. 260 ე. ზ. ი. ია. იბ. იგ. 270 ე (დამ.), 275 თ (დამ.), 283 ე. 287 მ. ი (დამ.), 288 ბ. 298 ბ. ე. 305 გ. 305 ე. 415 ბ. 418 ბ. გ. 419 ზ. 422 დ. 481 გ (დამ.), 518 ე. 551 მ. თ. 647 ბ. 689 გ.

კახური

(ზ. ბილანიშვილი, ა. გოდერძიშვილი, Rj და სხვა)

25 ზ. თ (?), 279 ბ ზმ., 287 ზ. 298 გ. 419 ე. 422 ე (დამ.). ე (დამ.), 526 დ. 551 ზ. 557 ბ. 706 ე. 707 დ. 712 ბ. 776 გ (დამ.).

სხვა-და-სხვა

იბერიული: 298 დ. 555 დ; მესხური: 706 ზ; მთაში შეკრებილი: 125 ე. 260 ე. თ. 275 მ. 282 დ. 287 ბ; გაურკვეველი: 58 ე. იბ. 190 ბ. 287 გ. 287 თ. 288 გ. 298 ე (დამ.). 409 გ. 695 გ. 710 დ.

შინაარსი

წინათქმა (აკად. გუგუაშვილი)	5
წინასიტყვაობა	10
I. საბავშვო	41
II. საბავშვო	173
III. სსს-და-სსს	211
ა) სალაშქრო და ომი	213
ბ) სტუმარ-მასპინძლობა	244
გ) ნადირობა	248
დ) სიკვდილი	256
ე) თქმულებანი	268
ვ) გალექსება	277
ზ) ნარევი	294
თ) მთხრობა	337
თ) დამატებული	346
შენიშვნები და პარიანტები	355
დამატებული (კომენტარები)	785
ინდექსები	810
1. დათქმული ნიშნები	810
2. ჩამწერ-შემკრები	811
3. მოამბანი	821
4. მათქმები	825
5. ლექსთა საძიებელი	828

გამომცემლობის რედაქტორი
გარეკანი
კომპ. უზრუნველყოფა

ცირა ჯიმკარიანი
ნინო ებრალიძე
ლალი კურდღელაშვილი
ხათუთა ბადრიძე
ლელა ნიკლაური
რუსუდან მიქენაია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემლობა

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179
Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279
www.press.tsu.edu.ge